საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სხდომის ოქმები

VIII

ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
დამფუძნებელი კრების 100 წლისთავს

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
დოკუმენტები

ტომის სარედაქციო საბჭო
ირაკლი იაკობაშვილი, მზია ხოსიტაშვილი, ემზარ ჯგერენაია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სხდომათა დოკუმენტები და დამატებები

ტომი VIII

1921 წლის 1 იანვარი – 17 მარტი

თბილისი 2020

UDC(უაკ) 328(479.22)+94(479.22)
ს-323

სერია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დოკუმენტები

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სხდომის ოქმები. ტომი VIII; 1921 წლის 1 იანვარი – 17 მარტი. გამოცემის იდეის ავტორი და შემდგენელი – ირაკლი იაკობაშვილი, VIII ტომის სამეცნიერო რედაქტორი – მალხაზ მაცაბერიძე; პირთა, ადგილთა საძიებლის შემდგენელი – ირაკლი იაკობაშვილი.

თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემა. 2020 წელი. 651 გვერდი.

„საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმების“ მერვე ტომში თავმოყრილია დამფუძნებელ კრებაში, ზოგადად ქართულ საზოგადოებაში 1921 წლის იანვარ – მარტში მიმდინარე მოვლენების ამსახველი დოკუმენტები. დამფუძნებელი კრების სხდომათა დოკუმენტების პრაქტიკულად ყველა საბუთი ქვეყნდება პირველად. გამოცემა სასარგებლო უნდა იყოს საქართველოს უახლესი ისტორიის და XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ – პოლიტიკური ისტორიის მკვლევართათვის, ისევე როგორც საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართე წრისთვის.

„საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმების“ მერვე ტომის ელექტრონული ვერსია უსასყიდლოდ ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკაში.

ISBN 978-9941-9652-8-9 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-9736-0-4 (მერვე ტომის)

© 2020 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,

სარჩევი

რამოდენიმე მოსაზრება საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის იანვარ-მარტის დოკუმენტების ფორმისა და შინარსის შესახებ xi

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ჟურნალი 1921 წლის 1 იანვარს 1

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 4 2

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 78 სამშაბათს 1921 წლის იანვრის 4 4

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 78 სამშაბათს 1921 წლის იანვრის 4 5

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 78 სამშაბათს 1921 წლის იანვრის 4 8

დამფუძნებელ კრებაში: 4 იანვრის სხდომა 13

დამფუძნებელი კრება: იანვრის 4 18

დამფუძნებელი კრება: შთაბეჭდილებანი. 21

„ნაღმი“: 4 იანვრის დილის სხდომა 23

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 5 29

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი: სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 5 30

დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 79 (საგანგებო) 1921 წლის იანვრის 5 32

„კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაზე“. 5 იანვრის სხდომა 33

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და ფრაქციების წარმომადგენელთა შეერთებული სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 5 (საღამოს) 35

დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 79 (საგანგებო)1921 წლის იანვრის 5 38

„დამფუძნებელი კრება“: 1921 წლის იანვრის 5. 42

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 6 48

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი. 1921 წლის იანვრის 12 51

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 80. ოთხშაბათს 1921 წლის იანვრის 12 52

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 15 53

საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი 1 921 წლის იანვრის 16 55

საქართველოს დამფუძნებელი კრება: კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში. 1921 წ. 16 იანვარი 56

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 82 (საგანგებო) კვირას 1921 წლის იანვრის 16. 62

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 83 ორშაბათი, 17 იანვარი	65
ნოე ჟორდანიას სიტყვა, წარმოთქმული დამფუძნებელ კრების 17 იანვრის სხდომაზე	67
საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 83 იანვრის 17 სხდომა	80
საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 84 ოთხშაბათი, იანვრის 19 სხდომა	86
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 20	89
საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 85 1921 წლის 21 იანვრის სხდომა	93
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II, სხდომა № 85. პარასკევს, 1921 წლის იანვრის 21	94
ლეო შენგელაიას სიტყვა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 იანვრის სხდომაზე	96
ფინანსტა მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის სიტყვა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის 21 იანვრის სხდომაზე	107
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II, სხდომა № 85. პარასკევს, 1921 წლის იანვრის 21	116
საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისხდომის ჟურნალი. 1921 წლის იანვრის 21	119
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II, სხდომა № 85. პარასკევს, 1921 წლის იანვრის 21	121
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი. 1921 წლის იანვრის 22	124
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი. 1921 წლის იანვრის 22	126
საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 86. პარასკევს, 1921 წლის იანვრის 23	133
საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 86. პარასკევს, 1921 წლის იანვრის 23	134
სამსონ დადიანის გამოსვლა დამფუძნებელი კრების სხდომაზე. პარასკევს, 1921 წლის იანვრის 23	135
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 87. სამშაბათს, 1921 წლის იანვრის 25	146
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 87. სამშაბათს, 1921 წლის იანვრის 25	150
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 87. სამშაბათს, 1921 წლის იანვრის 25	151
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 87. სამშაბათს, 1921 წლის იანვრის 25	154
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 87. სამშაბათს, 1921 წლის იანვრის 25	162
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი 1921 წლის იანვრის 26	165
საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 88, ოთხშაბათს	

1921 წლის იანვრის 26 167

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 88, ოთხშაბათს
1921 წლის იანვრის 26 168

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის იანვრის 27 170

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II სხდომა № 88 სამშაბათს,
1921 წლის იანვრის 27. 173

დღესასწაული სოხუმში 175

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II. სხდომა № 89. 1921 წლის იანვრის 28-ს 176

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II. სხდომა № 89. 1921 წლის იანვრის 28-ს 177

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II. სხდომა № 89. 1921 წლის იანვრის 28-ს 185

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II. სხდომა № 90, 1921 წლის იანვრის 30 190

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II. სხდომა № 90, 1921 წლის იანვრის 30 191

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II. სხდომა № 90, 1921 წლის იანვრის 30 192

სალამი ჯარსა და გვარდიას დამფუძნებელი კრებიდან 199

საქართველოს დამფუძნებელი კრება სესია II. სხდომა № 91, 1921 წლის თებერვლის 1 201

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 4 213

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II სხდომა № 92, 1921 წლის თებერვლის 4 215

საქართველოს დამფუძნებელი კრება.სესია II სხდომა № 92, 1921 წლის თებერვლის 4 216

დამფუძნებელ კრებაში: 4 თებერვლის სხდომა: შთაბეჭდილება 220

1921 წლის თებერვლის 4 222

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 5 226

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 7 228

საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვები.
თებერვლის 7 229

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II სხდომა № 94, 1921 წლის თებერვლის 8 238

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II სხდომა № 94, 1921 წლის თებერვლის 8 242

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II სხდომა № 94, 1921 წლის თებერვლის 8 244

„კამათი დასრულდა“: 8 თებერვლის სხდომის შესახებ 248

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II სხდომა № 95, 1921 წლის თებერვლის 9 253

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 9 254

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 9 256

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 10-ს 258

დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო - საფინანსო და იურიდიული კომისიების
შეერთებული სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 10 260

ილია ნუცუბიძის სიტყვა საქართველოს დამფუძნებელი კრების თებერვლის
10-ის სხდომაზე 262

საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II სხდომა № 96, 1921 წლის თებერვლის 11 272

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 11	273
„დამფუძნებელ კრებაში“. თებერვლის 11-ის სხდომა	274
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 12-ს	276
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 12-ს	277
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 14-ს	280
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 97. კვირას 1921 წლის თებერვლის 14	283
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 98. სამშაბათი, 1921 წლის თებერვლის 15	284
დამფუძნებელი კრების მთავრობის, პრეზიდიუმისა და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომის ჟურნალი. 1921 წლის თებერვლის 16	
სასწრაფო, ღამის 12 საათი	301
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მთავრობისა და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომის ჟურნალი 1921 წლის თებერვლის 16	303
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. რიგგარეშე სხდომა 1921 წლის თებერვლის 16	304
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 99, ორშაბათს, 1921 წლის თებერვლის 21	305
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 99, ორშაბათს, 1921 წლის თებერვლის 21	306
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 99, ორშაბათს, 1921 წლის თებერვლის 21	312
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წერილი თავდაცვის საბჭოს. 1921 წლის თ ებერვლის 24	313
დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წერილი გენერალური შტაბის უფროსს. 1921 წლის 24	314
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 100 (რიგგარეშე). 1921 წლის თებერვლის 28 თებერვალი, ქ. ქუთაისი	315
მთავრობის თავმჯდომარის გრიგოლ ლორთქიფანიძის და ფრაქციის წევრების სიტყვები საქართველოს დამფუძნებელი კრების № 100 (რიგგარეშე) სხდომაზე. 1921 წლის თებერვლის 28. ქ. ქუთაისი	319
საქართველოს დამფუძნებელი კრება. სესია II. სხდომა № 100 (რიგგარეშე). 1921 წლის თებერვლის 28 თებერვალი, ქ. ქუთაისი	326
თავდაცვის კოლეგიის არჩევა. თებერვლის 28. ქ. ქუთაისი	327
საქართველოს დამფუძნებელი კრების მიმართვა პარლამენტებისადმი	328
გაზეთ „ერთობის“ სარედაქციო სტატია. ტებერვლის 28	329
იონა თოდუა: დამფუძნებელი კრების დელეგატთა სხდომა 1921 წლის. მარტის 15, ბათუმი.	332
ალექსანდრე ზაქარიაძე: დამფუძნებელი კრების დელეგატთა სხდომა 1921 წლის. მარტის 17, ბათუმი	333

ამხ/ სერგო ქავთარაძის დეპეშა 334

დამატებები

საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921.02.21 336

საქართველოს დამფუძნებელი კრების რეგლამენტი 360

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მიღებული დაფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ ტფილისი 1920 წელი მაისი 381

„მშრომელი ხალხის კონსტიტუცია“: საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, წარდგენილი დამფუძნებელ კრებაში სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის მიერ 409

ნოე ჟორდანიას მოხსენება საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციაზე. 1921 წლის 19 იანვარი 428

რაჟდენ არსენიძის მოხსენება საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციაზე. 1921 წლის 20 იანვარი 436

დამფუძნებელი კრების დამოუკიებელ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფის („ახალი სხივის“) დეკლარაცია, გამოქვეყნებული დამფუძნებელ კებაში 1921 წლის 11 თებერვალს. 438

პავლე საყვარელიძე: საქართველოს კონსტიტუციისთვის 443

სამსონ დადიანი: ჩვენი კონსტიტუცია (პატარა განმარტება) 482

განმარტებითი ბარათი კონსტიტუციის მე-12 თავისა („სწავლა-განათლება და სკოლა“) 522

განმარტებითი ბარათი კონსტიტუციის მე-13 თავისა („სოციალ-ეკონომიური უფლებები“) 524

განმარტებითი ბარათი კონსტიტუციის მე-17 თავისა („კონსტიტუციის გადაშინჯვა“). თეზისები 527

რაჟდენ არსენიძე: „პარლამენტი: სანიმუშო პროეკტი“ 529

რაჟდენ არსენიძე: „დებულება - აღმასრულებელი ხელისუფლება. ანიმუშო პროეკტი“ 550

ალექსანდრე მდივანი: საკონსტიტუციო საკითხები 553

დებულება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობისა. პროექტი 582

გიორგი გვაზავა: მოქალაქეობის კანონპროექტი 583

მელიტონ რუსია: სოციალური უფლებანი (დებულება - ადგილობრივი მართველობა) 584

გიორგი გაზავა: ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი 592

პავლე საყვარელიძე: ეროვნული უმცირესობანი 593

ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება 594

აფხაზეთის ავტონომიური მართველობის დებულება 596

Резолюция, принятая Армянским Национальным Советом в Грузии, на заседании 6 июля 1920 года 599

О Культурной автономии немцев в Грузинской Демократической Республике. 3 Марта 1920 года 600

Проект Статута Самоуправления Эллинов Грузии. 8 марта 1920 года 604

Проект Русского Национального Совета о правах национальных меньшинств. 606

Тезисы Конституция Армянского Национального Самоуправления в Грузии, выработанной Армянским Национальным Советом 609

Проект Права национального меньшинства для евреев республики Грузии 611

Проект Прав мусульман Восточной Грузии, вносимый в конституционную комиссию Учредительного Собрания Грузии 613

„დამოუკიდებელ“ სოციალ-დემოკრატთა კრება. 3 აპრილი, 1921 წელი 614

რამოდენიმე მოსაზრება საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის იანვარ-მარტის დოკუმენტების ფორმისა და შინარსის შესახებ

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომათა დოკუმენტებმა დღემდე სხვადასხვა სახით მოაღწია ჩვენამდე.

პირველი, და ძირითადი ცნობები დამფუძნებელი კრების მუშაობისა — ესაა 1919-1920 წლებში დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომათა სტენოგრამები; კრების სხდომების მიმდინარეობის დროს სტენოგრაფისტები ხელით იწერდენ კრებაზე გამომსვლელთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს (სხდომათა ასეთ ჩანაწერებს დღეს საპარლამენტო საქმისწარმოებაში „სტენოგრამათა დედნები" ეწოდება), რომლებიდანაც დამფუძნებელ კრების სტამბაში, სხდომებიდან რამოდენიმე დღეში იბეჭდებოდა ამ სხდომის სტენოგრამის ოფიციალური, ბეჭდური ვერსია (რვეულის სახით).[1]

განსხვავებული ვითარებაა ამ თვალსაზრისით დამფუძნებელ კრებაში 1920 წლის ბოლოს და 1921 წელს: წარმოდგენილი მერვე ტომის გამოცემის სამუშაოს დაწყებამდე, დამფუძნებელი კრების 1921 წლის იანვარ-თებერვლის სხდომათა ოფიციალურ, ნაბეჭდ სტენოგრამების ძიებისას გავარკვიე, რომ არც საქართველოს არქივებში და ბიბლიოთეკებში და არც უცხოეთის საცავებში (ძირითადად საფრანგეთში, 1921 წლის ქართულ ემიგრაციის წრეებში) არაა შემონახული დამფუძნებელი კრების 1920 წლის დეკემბრის მეორე ნახევრის, ისევე როგორც 1921 წლის იანვარ-თებერვლის სხდომათა სტენოგრამების ოფიციალური, სტამბური ცალები. შედეგად, 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის იანვარ-თებერვლის სხდომების შესახებ ცნობები წარმოდგენილ ტომში სხვა წყაროებიდან იქნა მოძიებული.

არანაკლებად მნიშვნელოვანი წყარო, სადაც შესაძლებელია მოპოვებული იქნას დამფუძნებელი კრების 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის იანვარ-თებერვლის სტენოგრამები, ესაა ამ სტენოგრამების ზემოდნახსენები ე. წ. „დედნები", ანუ დამფუძნებელ კრებაზე დამსწრე სტენოგრაფისტების მიერ კრებაზე გამომსვლელთა მიერ წარმოთქმულ სიტყვების ჩანაწერები ხელით (სტენოგრაფიული ნიშნებით თუ ქართული შრიფტით), რომელთა საფუძველზე იბეჭდებოდა კრებაზე გამომსვლელთა ე.წ. „თეთრი", ბეჭდური ვარიანტი.[2]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო 1921 წლის იანვარ-თებერვლის განმავლობაში დამფუძნებელ კრების საკანონმდებლო მუშაობის შესახებ არის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ოფიციალური დოკუმენტები; დამფუძნებელი კრების ვრცელი საარქივო ფონდის შესწავლისას გავარკვიე, რომ ოფიციალურ

1 ჩვენს მიერ გამოცემული დამფუძნებელი კრების სტენოგრამების პირველ შვიდ ტომში ტექსტების უდიდესი უმრავლესობა უცვლელად გადმობეჭდილია დამფუძნებელი კრების მიერ დაბეჭდილ ამ ოფიციალურ რვეულებიდან უცვლელად, პირვანდელი სტილის სრული სახის შენარჩუნებით. შესწორებულ მხოლოდ იმ წლებში ბეჭდვისას დაშვებული კორექტურული შეცდომები.

2 დამფუძნებელი კრების ცალკეულ პლენარულ სხდომათა სტენოგრამების ეს „დედნები" აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი № 1833; „საქართველოს დამფუძნებელი კრება".

ინფორმაციით შედარებით მწირ 1921 წლის კრების პრეზიდიუმის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კრების პრეზიდიუმი ერთგვარად „თავის თავზე“ იღებს კრების პლენარული სხდომების ფუნქციას. კრების პრეზიდიუმზე, ე.წ. „მიმდინარე“ საკითხებთან ერთად იხილება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ყველა ის საკითხი, რომლის განხილვას იმ დროს არსებული ვითარება (ქვეყნის შიგნით, თუ ქვეყნის გარეთ) მოითხოვს.

აღმოჩნდა, რომ კრების პრეზიდიუმის ოქმებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობების ამოკრეფა შეიძლება; უპირველესად ესაა პრეზიდიუმის მიერ პლენარულ სხდომებზე გამომსვლელების დადგენილი სიები, ზოგ შემთხვევაში ამ გამომსვლელების მოხსენებების თემატიკა, პლენარულ სხდომებზე განსახილველ თუ მისაღებ კანონპროექტების ჩამონათვალები, სხვა ინფორმაციები; თუ გავითვალისწინებთ, რომ 1921 წლის სტენოგრამების საკმაო ნაწილი სრულად (ზოგიც საერთოდ) არ შემორჩა, ამ სხდომების შესახებ პრეზიდიუმის ოქმებში მოძიებული, ერთი შეხედვით მცირი ცნობებიც კი დიდ მნიშვნელობას ღებულობს. ამიტომაც, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ წარმოდგენილ ტომში შეგვეტანა დამფუძნებელი კრების 1921 წლის იანვარ-თებერვლის პრეზიდიუმის სხდომათა შემორჩენილი მთელი დოკუმენტაცია.

დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომის ოქმების — ერთი შეხედვით ნაკლებად ინფორმატიულ დოკუმენტებს შორის აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნობა: ესაა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ახლადშექმნილი კონსტიტუციის მეხუთე — ბოლოს წინა — მოსმენის ოფიციალური დოკუმენტი.[3]

*

საქართველოს კონსტიტუციის ქართული ტექსტის დედნად ითვლება ბათუმში, პოლიგრაფისტ ნიკოლოზ ხვინგიას სტამბაში დაბეჭდილი ტექსტი. რაც შეეხება კონსტიტუციის ფრანგულ თარგმანს, მისი ოფიციალური ტექსტი დაიბეჭდა 1922 წელს (საფიქრებელია საფრანგეთში); ამასთან, ფრანგულ გამოცემის სათაურში მითითებულია, რომ „ფრანგული თარგმანი დამტკიცდა დამფუძნებელ კრების 1921 წლის 22 თებერვალს“. ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვენდოთ ამ თარიღს, ვინაიდან, სამწუხაროდ, 1921 წლის 22 თებერვლის სხდომათა არანაირი საბუთი სადღეისოდ ქართულ არქივებში არ იძებნება.

რაც შეეხება თვით კონსტიტუციის ტექსტის ფრანგულ (და, როგორც ირკვევა, ფრანგულიდან ინგლისურ[4]) თარგმანს; დევნილობაში ქართული ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტების გაცნობისას, ერთგან წავაწყდი ხსენებას მასზედ, რომ საქართველოს ხელისუფლება დევნილობაში განაგრძობდა საქართველოს კო-

3 წარმოდგენილი ტომი (№ 8). გვ. 305. ქუთაისის სხდომის ტექსტი პირველად გამოცემულია პროფ. მალხაზ მაცაბერიძის მიერ. იხ. მალხაზ მაცაბერიძე. „ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს... „ დამფუძნებელი კრების სხდომა ქუთაისში 1921 წლის 28 თებერვალს. თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2009 წ.

4 კონსტიტუციის ინგლისური თარგმანი იხ. Konst. Kandelaki. The Georgian question before the free world. Paris, 1953. 2019 წელს, „ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის“ მიერ გამოვიდა კონსტანტინე კანდელაკის ამ წიგნის ინგლისურიდან ქართულად თარგმანი: კონსტანტინე კანდელაკი, ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე. გამომცემელი, ნოე ჟორდანიას ინსტიტუტი, თბ. 2019 წ.

ნსტიტუციის ტექსტის დახვეწას, და ეს „დახვეწილი“ ტექსტი კონსტიტუციისა თარგმნილი ყოფილა ფრანგულ ენაზე.

1922 წელს დაბეჭდილ კონსტიტუციის ფრანგული თარგმანის 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისში, დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებულ კონსტიტუციის ტექსტთან შედარებისას აღმოვაჩინე, რომ კონსტიტუციის ქართულ დედანსა და ფრანგულ თარგმანს შორის მართლაც არის საკმაო სხვაობა, — თუმცა, ხაზგასმით მინდა განვაცხადო: საქართველოს კონსტიტუციის ქართულ დედანსა და მის ფრანგულ (და როგორც გავარკვიე, — კონსტ. კანდელაკის მიერ 1953 წელს გამოცემულ ნაშრომს დანართის სახით დართულ საქართველოს კონსტიტუციის ინგლისურენოვან) ტექსტებს შორის სხვაობა მართლაც ჩანს, თუმცა ფრანგულ (და ინგლისურ) ენოვან ტექსტში შეტანილი არც ერთი დამატება არ ცვლის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ კონსტიტუციის ტექსტის რომელიმე მუხლში მოყვანილ აზრს[5]. სხვაობა დედანსა და თარგმანებს შორის ჩანს მხოლოდ ქართულ დედანში ნახსენებ ზოგ მცნების უფრო ვრცლად, ერთაზროვნად განმარტებაში, გარკვეულ ჩამონათვალის გაზრდაში, ცალკეულ საკითხების მეტად დაზუსტებაში, ცალკეული საკითხების გავრცობაში[6];

კონსტიტუციის ტექსტის ფრანგულ თარგმანში მხოლოდ ერთ ადგილას არის შემთხვევა კომსტიტუციის ტექსტში ახალი საკითხის შეტანისა: ქართულ დედანის პირველი თავის მეოთხე მუხლში მოყვანილია მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის აღწერა, იმ დროს როდესაც იმავე პირველი თავის მეოთხე მუხლის ფრანგულ (იქიდან კი — ინგლისურ) თარგმანში დამატებულია საქართველოს რესპუბლიკის გერბის (ფრანგ. — Le sceau, ინგლ. — The Seal) აღწერა[7].

1921 წლის იანვარ-თებერვლის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის დოკუმენტების უაღრესად დიდი მნიშვნელობის დამამტკიცებელი ბრწყინვალე მაგალითია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკს შორის დადებული ხელშეკრულება საქართველოსთვის 1.500.000 (მილიონ ნახევარ) გირვანქა სტერლინგის ოდენობის სესხის მიცემის შესახებ.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის საქართველოს დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომაზე განხილვა — როგორც შემორჩენილ საბუთებიდან ჩანს — ვერ მოესწრო; მეტიც, საქართველოს მხრიდან ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის, ბ. კონსტანტინე კანდელაკის მიერ, ამ ხელშეკრულების დადებიდან 40 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ცნობის გარდა[8] ამ უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულების

5 ხაზგასმა აქ და ქვევით (თუ საგანგებოდ არაა აღნიშნული) ჩემია. შემდგენელი.

6 ასეთი ცვლილებები შეიძლება შედარდეს დღევანდელი პარლამენტის ე.წ. „მეორე მოსმენის“ დროს, კანონის მუხლობრივი განხილვისას შესატან ცალკეულ ტერმინოლოგიულ ცვლილებებს.

7 ჩანს, კონსტანტინე კანდელაკის 1953 წლის ინგლისურენოვან წიგნის გამოცემის ქართული თარგმანის რედაქციას კონსტიტუციის ინგლისური თარგმანი სრულად იდენტურად მიაჩნდა ქართულ დედნისა, რის გამოც კონსტ. კანდელაკის ზემოდმოყვანილ წიგნის 2019 წლის კონსტიტუციის ქართულ ტექსტად მოყვანილია არა ამ კონსტიტუციის თარგმანი ინგლისურიდან (რომელიც, შეგახსენებთ, ტექსტობრივად ნაწილობრივ განსხვავებულია ქართული დედნის ტექსტიდან), არამედ გადმობეჭდილია კონსტიტუციის 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული ქართული კონსტიტუციის დედანის ტექსტი, მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ეს უნებლიე გადაცდენა არანაირ ჩრდილს არ აყენებს კონსტ. კანდელაკის ამ ნაშრომის ქართულად თარგმნის დიდ მნიშვნელობას XX საუკ. საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის.

8 იხ. კონსტ. კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. წიგნი II, პარიზი, 1960 წ. გვ. 189.

დადების ფაქტის ხსენებას ვერც ერთ სამეცნიერო გამოკვლევაში ვერ მივაგენი[9].

ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში აღმოჩნდა საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის 1921 წლის 21 იანვრის ოფიციალური ოქმი,[10] რომლის მიხედვითაც „სხდომის პირველ საკითხად მოსმენილია ფინანსთა და ვაჭრობა — მრეწველობის მინისტრის მიერ დღეს, იანვრის 21 — ს, წარმოდგენილი — დამფუძნებელი კრების მიერ დასამტკიცებლად — ხელშეკრულობა, დადებული საქართველოს მთავრობისა და ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის — ს შორის 1.500.000 გირვ. სტერლინგის სესხის შესახებ".[11]

დამფუძნებელი კრების დოკუმენტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მასივია, დამფ. კრების კომისიათა დოკუმენტები.[12] სწორედ დამფუძნებელი კრების კომისიების დოკუმენტებში მივაგენით დამფ. კრების საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიული კომისიების1921 წლის 10 თებერვლის შეერთებული სხდომის „ჟურნალს" (ანუ სხდომის ოქმს), სადაც დაწვრილებითაა აღწერილი შეერთებულ კომისიაზე დამსწრე, ფინანსური დარგის სპეციალისტთა მოსაზრებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ხელისუფლებასა და ინგლისის კერძო კომერციულ ბანკს შორის მილიონ ნახევარ ინგლისურ გირვანქა სტელინგის მომგებიან სესხად აღების ხელშეკრულების განხილვის შესახებ[13]. შემორჩა ამ გაერთიანებულ კომისიათა სხდომის საბოლოო, ოფიციალური დადგენილება: „ხელშეკრულობა მიღებულ იქნეს„.

1921 წლის იანვარ-თებერვლის ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა დროის ამ მონაკვეთში, ცალკეულ ქართულ პარტიების მიერ ჩატარებული პარტ. კონფერენციების დოკუმენტაცია (კონფერენციებზე გამომსვლელთა ვრცელი, ფაქტობრივად სრულყოფილი სტენოგრამები იბეჭდებოდა იმდროინდელ პარტიულ პრესაში).

1921 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებულ ცალკეულ პარტ. კონფერენციათა შორის ქვეყნისთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია დაინტერესებულ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციას, რომელიც 1921 წლის 19-21 იანვარს, სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა. საყურადღებო უნდა იყოს 19 იანვრის დილის სხდომაზე სოც.-დემ. პარტიის ლიდერის, ნოე ჟორდანიას გამოსვლა „პარტიულ დისციპლინის„[14] და 20 იანვრის საღამოს სხდომაზე რაჟდენ არსენიძის გამოსვლა „კონსტიტუციის" შესახებ.[15]

მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მოხსენების[16] ოფიციალური თემაა პარტიიდან გასულ და ცალკე ჯგუფად („ახალი სხივი"-ს სახელით) ჩამოყალიბებულ ყოფილ თანაპარტიელთა საქმიანობის შეფასება, ისევე როგორც პარტიის შიგნით

9 მადლობელი დავრჩები, თუკი ვინმე მიმითითებს ცნობებს სამეცნიერო გამოცემებში ნახსენებ ცნობაზე 1921 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ ინგლისის კერძო კომერც. ბანკიდან სესხად £ 1.500.000 ის აღების შესახებ.

10 იხ. ტ, 8, გვ. 119-120.

11 იქვე.

12 დამფუძნებელი კრების კომისიების დოკუმენტები ჩვენს მიერ მომზადებულია გამოსაცემად „საქართველოს დამფუძნებელი კრების დოკუმენტების" შემდგომ ტომებად.

13 იხ. 1921 წლის 10 თებერვლის დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიული კომისიების შეერთებული სხდომის ჟურნალი იხ. წარმოდგენილ ტომში, გვ. 260-261.

14 გაზ. „ერთობა" № 16 კვირა, 23 იანვარი, 1921 წ.

15 გაზ. „ერთობა" № 22 კვირა, 30 იანვარი, 1921 წ.

16 ტ. 8. გვვ. 428-435.

ფრაქციულ ბრძოლისადმი დამოკიდებულების შესახებ მოსაზრებების გამოხატვა.

სოც.-დემ. პარტიიდან გასულ „სხიველების“ ჯგუფის წევრთა მიხედვით „მუშათა კლასი უკვე ეჭვის თვალით უყურებს იმ მეთოდებს, რომლითაც მთავრობა და „გაჩინოვნიკებული“ ჩვენი პარტია სარგებლობს. ძველი პარტიული ამხანაგები, ნამდვილი მუშები, და არა „კაზიონი“ ხალხი, რომელნიც მხოლოდ სახელწოდებით არიან მუშები და არასოდეს არ შეუქმნიათ და ახლაც არ ქმნიან არავითარ ღირებულებას, — სწორედ მუშების საუკეთესო ნაწილი იზიარებს „ახალი სხივის“პოზიციას“.[17]

„სხიველები“ აცხადებდენ, რომ „სახელმწიფომ შთანთქა პარტია და მუშათა კლასი ვერ ხედავს პარტიულ ორგანოებში თავის ინტერესის დამცველ აპარატს. ეს მოხელეების, „ჩინოვნიკების“ ორგანოებია, ამბობენ მუშები. მუშათა კლასის მოწინავე რაზმი დიდი ხანია ამას გრძნობს და ოპოზიციონურათ არის განწყობილი. იგი ეძებს მიზეზებს და უკვე ჩამოყალიბდა მიზი აზრი, — იგი ხედავს, რომ პარტია ასცდა ძველ, ნაცად კლასობრივ გზას და გადაიქცა სახელმწიფოს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატად და შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი პარტიის შინაგან საქმეთა მინისტრიცაა, ე.ი. ცეკას ფაქტიური თავმჯდომარე.“[18]

ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან ნათლად ჩანს ქართულ სოც. დემ. პარტიის განვითარების ერთი, მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრული და მეორე, არანაკლებად მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი. კერძოდ, ჩანს ცვლილება ქართულ სოც. დემ. პარტიის ძირითად საკითხში: — ესაა ქართველ სოც.-დემოკრატების პარტიის მიერ 1917-18 წლების საქართველოში (მათი აქტიური საქმიანობის შედეგად) შექმნილ „საბჭოებზე“დაყრდნობით, 1917-18 წლების საქართველოში არსებულ ხელისუფლების ოპოზიციაში „დგომის“ პოლიტიკის შეიცვალა 1918 წლის 26 მაისს შექმნილ ახალ რეალობის გათვალისწინებით (იგულისხმება ქართველ სოციალ — დემოკრატების მოსვლა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში); სოც.-დემოკრატების ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლით ზედმეტი გახდა სოც. დემოკრატების მიერ „საბჭოების“ მხარდაჭერის აუცილებლობა, ზოგადად „საბჭოების“, როგორც ხელისუფლების შემადგენელი ნაწილად არსებობაც კი. 1921 წლის 19 იანვარს, ნოე ჟორდანიას თქმით, <u>მართველ ძალათ გადაქცევას შიშისაგან გათავისუფლებულ სოციალ-დემოკრატებს</u>[19] აღარ დასჭირდათ მათ მიერ შექმნილ, ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ძალის, „საბჭოების“ მხარდაჭერა. ჩანს, ხელისუფლებაში მოსულ პარტიას „საბჭოები“ — არჩევით ადგილობრივ თვითმართველობების შემოღების შემდეგ, — ხელისუფლების უკვე მორალურად მოძველებულ სტრუქტურად მიაჩნიადა.

აკრიტიკებს რა „სხიველების“ მორალურად უკვე მოძველებულ პოლიტიკას, ქართული სოციალ-დემოკრატია (საქართველოში „ორ-უფლებიანობის“ ეპოქის შემქმნელის, 1917-1918 წლებში, „საბჭოებში“ აქტიურად მოღვაწე, იმდროინდელ ხელისუფლების ფაქტობრივად მაკონტროლებელი, ნოე ჟორდანიას პირით), 1918 წლის 26 მაისს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აცხადებს, რომ „დღემდე ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რომ მუშათა კლასს თვით ჩაეგდო ძალაუფლება ხელში. მან ეს შესძლო [1918 წლის 26 მაისს], მან ხელში ჩაიგდო მართველობა [საქათველოში] და მანვე

17 ტ. 8. გვ. 433.

18 ტ. 8. გვ. 432.

19 ტ. 8 გვ. 434.

უნდა აწარმოვოს [ქართული] სახელმწიფო აღმშენებლობა. ეს არის ჩვენი ანბანი და ყოველი ამხანაგი, თითოეული ორგანიზაცია უნდა სცდილობდეს მთელი თავისი ძალ-ღონით ხელი შუწყონ ამ მუშაობას.“ 19 იანვარს წარმოთქმულ მოხსენებაში ნოე ჟორდანიამ გაკვირვება გამოთქვა „სხიველების“ მოთხოვნის შესახებ — არ შევიდენ ხელისუფლებაში, პარტიის ლიდერები არ „გაჩინოვნიკდნენ“ და ამით არ მოსწყდენ პარტიის ძირითად მიზნებს და ასე პასუხობს მათ: „თუ [სხიველები] იტყვით, რომ ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს მთავრობასთან, ეს სხვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინმე სხვას უნდა გადავცეთ ძალა-უფლება და შემდეგ კი ვებრძოლოთ მას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისევ ჩვენ დაგვიბრუნდება ძალა-უფლება! ეს არის თამაში, ეს არის პოლიტიკური გარყვნილება, ეს არის სწორედ პოლიტიკური იმპოტენცია.[20]

ჯერ კიდევ 1918 წლის 8 ივნისს, მუშათა და ჯარის-კაცთა ცენტრის და წითელი გვარდიის შტაბის გაერთიანებულ კრების სხდომაზე ირაკლი წერეთელი უკვე ნათლად აცხადებს იმ დროს ხელისუფლებაში მყოფ „საბჭოების“ წინაშე, რომ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა საქართველოს სოც.-დემ. პარტია, „ჩვენ უნდა ვსთქვათ აშკარათ, რომ სახელმწიფოს სურროგატებს [იგულისხმება „საბჭოები“][21] არ შეუძლია სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის მაგივრობა გასწიოს; აქვე მიცემული იქნა განმარტება, თუ რატომ არ შეეძლოთ 1917-18 წლებში ჩამოყალიბებულ, სხვადასხვა დანიშვნად „საბჭოებში“, დანიშვნად „კომიტეტებში“ მომქმედ სოციალისტებს (კერძოდ ქართველ სოციალ-დემოკრატებს) <u>1918 წლის 26 მაისის შემდეგ</u> სახელმწიფოებრივი აპარატის მაგივრობა გაეწიათ: 1917 წელს, როდესაც გადატრიალება [თებერვლის რევოლიუცია] მოხდა, უნდა დანგრეულიყო ეს ბიუროკრატიზმის ბუდე და დაანგრიეს კიდეც და რაკი სხვა ორგანიზაცია არ იყო, მოხელეები იძულებულნი იყვნენ თითონ ჩადგომოდნენ საქმეს სათავეში [და შეექმნათ დანიშვნითი „საბჭოები თუ კომიტეტები] და თუ კი ეს [საბჭოები თუ კომიტეტები] პირველ ხანებში პროგრესიული მოვლენა იყო, შემდეგ, როდესაც მოვიწვიეთ და დავიწყეთ ერობები და თვითმართველობები და როდესაც პასუხისმგებელი მთავრობა გვყავს, თავისთავად ცხადია, ეს [საბჭოები თუ კომიტეტები] გადაიქცა თავის-თავის წინააღმდეგობად და იმ სარგებლობის მაგივრად, რომელიც მას მოჰქონდა, ზარალი მოაქვს[22]. „ჩვენ უნდა გადავდგათ გადამჭრელი ნაბიჯი, <u>ჩვენ უნდა ავიშოროთ თავიდან ორ-უფლებიანობა</u>, ჩვენ უნდა დავყოთ, განვსაზღვროთ ფუნქციები რევოლიუციონურ ორგანიზაციების და მთავრობას შორის“. — განაცხადა ირაკლი წერეთელმა.[23]

ნოე ჟორდანიას რეზოლიუციის მიხედვით: „რევოლიუციონერულმა ორგანიზაციებმა, რომელსაც ჰყავდა საკმაო რეალური ძალა, ასრულებდა ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ერთის მხრით — და მთავრობამ, რომელსაც არ გააჩნდა რეალური ძალა მეორე მხრით, ცალ ცალკე ვერ შესძლეს [1917-1918 წლების საქართველოში] სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა. მხოლოდ ამ ორი ელემენტის [„კომიტეტების“ და ხელისუფლების] გაერთიანებას შეუძლია შექმნას მაგარი

20 იქვე.

21 გაერთიანებული კრება მ[უშათა] და ჯ[არის] -კ[აცთა] ცენტრის და წითელი გვარდიის შტაბის: 8 ივნისის სხდომა; „ერთობა“, N 119, შაბათი, 11 ივნისი, 1918 წ.

22 კირილე ნინიძის გამოსვლიდან. ტ. 6. გვ 103.

23 იხ. გაერთიანებული კრება მ[უშათა] და ჯ[არის] -კ[აცთა] ცენტრის და წითელი გვარდიის შტაბის: 8 ივნისის სხდომა; „ერთობა“, N 119, შაბათი, 11 ივნისი, 1918 წ.

მთავრობა. <u>რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა მთელი რეალური ძალა უნდა გადასცენ მთავრობის განკარგულებაში</u>[24] და თვითონ კი პოლიტიკური ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშათა კლასს. ამ გაერთიანების ფორმის გამომუშავება მიენდო ამ[მასრულებელ] კომ[იტეტის] ბიუროს მთავრობასთან შეთანხმებით„.[25]

ეს სასიკვდილო განაჩენი იყო არაარჩევით საბჭოებისთვის თუ „კომიტეტებისთვის", ზოგადად რევოლიუციურ „ორ-უფლებიანობის" მომხრეთათვის, ისევე როგორც პოლიტიკურ წარსულში ჩარჩენილ „სხიველების"-თვის.[26]

*

ქვეყანაში „ორ-უფლებიანობის" კიდევ ერთ სფეროში გამოვლინების კარგი მაგალითია 1917-1921 წლების საქართველოში ე. წ. „ორ-დროშიანობის" არსებობის ისტორია.[27]

1917-21 წლების საქართველოში არსებული „ორ-ხელისუფლებიანობის" შესატყვისი „ორ-დროშიანობა" ჩანს ერთმანეთს დაპირისპირებულ მიმართულების მქონე — ნაციონალურ (საქართველოს ეროვნულ სახელისუფლებო) და ინტერნაციონალურ (სოციალ-დემოკრატიულ პარტიის, ზოგადად საქართველოს სოციალისტური მიმართულების) პარტიების იდეოლოგითა შორის, — ისევე როგორც ერთმანეთთან დაპირისპირებულ შეიარაღებულ ფორმირებების — სახელმწიფოებრივ ეროვნულ ჯარის და „პარტიულ" სახალხო გვარდიის დროშათა სიმბოლიკაში; ესაა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების სამფეროვან დროშა და „სახალხო გვარდიის" წითელი დროშა; დაპირისპირებულ იდეოლოგიების მქონე პარტიათა შორის განსაზღვრებითვე დაუძლეველი ეს სხვაობა (ისევე როგორც მათი მიმართება დროშებისადმი) შენარჩუნებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალურად არსებობის ბოლო დღეებამდე.[28] კერძოდ, 1920 წლის იანვარში, ანტანტის ქვეყნების მხრით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის De Jure-დ აღიარების დღეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „დღევანდელ საქართველოს ასულდგმულებს ორი პოლიტიკური დედა აზრი. მან თავის დროშას დააწერა <u>ორი მცნება: უფლება ერის, — უფლება მშრომელის</u> და თქვენ გუშინდელ მანიფესტაციაში დაინახეთ ამ ორი პრინციპის ემბლემა ხალხის ხელში: <u>ორი დროშა — [დროშა] მუშების და [დროშა] ნაციის. ჩვენ ხალხს გადაწყვეტილი აქვს ნაციის თვითარსებობის ნიადაგზე მოაწყოს მშრომელთა საუკეთესო ცხოვრება</u>.[29]"

24 ხაზგასმა და გამუქება ჩემია. გამომცემელი.

25 იქვე.

26 დამფუძნებელი კრების დამოუკიდებელ სოციალ _ დემოკრატიული ჯგუფის („ახალი სხივი" -ს) დეკლარაცია იხ. ტ. 8. გვ. 438-442.

27 „ორ-დროშიანობა", როგორც 1917-1921 წლების საქართველოში კონკრეტული ისტორიული მოვლენის ასახვა სახელმწიფო სიმბოლიკაში, ჯერ, სამწუხაროდ შესწავლილი არაა. იმედია ჩვენი ეს შენიშვნა წაახალისებს ამ საინტერესო საკითხის შესწავლას.

28 დაპირისპირების მიუხედავად, საქართველოს ეროვნული გვარდიის მებრძოლის სამკერდე ნიშანზე გამოსახულია ორი ქართველი მეომარი, რომელთაგან ერთს საქართველოს სახელმწიფო, სამფეროვანი დროშა უბყრია ხელთ, მეორეს კი - რევოლიუციური, „ინტერნაციონალის" წითელი დროშა.

29 ნოე ჟორდანიას სიტყვიდან, ტ. 8. გვვ. 230-231..

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1919 წელს უკვე ჩანს მოთხოვნა — გაიყოს „ინტერნაციონალური“, „რევოლიუციური“ წითელი დროშა და „წითელი“ დღესასწაული, 12 მარტი, საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ, სამფეროვან დროშისგან, და ეროვნულ დღესასწაულიდან, 26 მაისიდან. პირველი, წითელი დროშა და 12 მარტი არ შეიძლება ყველასთვის სავალდებულოდ საზეიმო იყოს, იმ დროს როდესაც „ეროვნული“ სამფეროვანი დროშა და 26 მაისი საქართველოსი ყველასთვის უქმე დღე უნდა იყოს: ქართველ ეროვნულ-დემოკრატ ალექსანდრე მიხედვით „სახელმწიფოს უქმეები, სახელმწიფოს დღესასწაული, სახელმწიფოს დროშა — ეს ერთი არის და ინტერნაციონალური, კლასიური (...)დროშა — მეორე არის. დამფუძნებელ კრებაში ამის გარჩევა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს. არავინ არ მოითხოვს, რომ ინტერნაციონალი არ იდღესასწაულოს ვისაც ეს სურს, მაგრამ ნურავინ ნუ მოითხოვს, რომ კლასიური უქმე [12 მარტი] იდღესასწაულოს მთელმა ქართველმა ხალხმა.[30] ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობას სწამდეს და უქმად მიაჩნდეს ინტერნაციონალის თუ რუსეთის რევოლიუციის პირველი დღე [12 მარტი]. თქვენ ვერ იტყვით, რომ ამ ხალხს ეს ინტერნაციონალი უფრო სწამდეს ვინემ ის უქმეები, რომელნიც მას შეუთვისებია მრავალ საუკუნის განმავლობაში, რომელიც დღეს არის მისი ზნე, მისი ჩვეულება. ამიტომ სამოქალაქო უქმეებად უნდა დარჩენ მხოლოდ ახალი წელი და საქართველოს განთავისუფლების, მისი დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი, როგორც უდიდესი ეროვნული დღე.[31]

დროშებისადმი რადიკალური მიმართება ჩანს ქართველ სოც.-ფედერალისტის, ვანე გობეჩიას სიტყვებში: „თითქმის ყოველი სოციალისტური პარტია, რომელიც მოქმედებდა საქართველოში, ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე და საქვეყნოთ აცხადებდა, რომ ის ერთნაირად იცავს საქართველოში მობინადრე ყველა ერის მშრომელთა ინტერესებს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ — კი ზოგიერთ სოციალისტურ პარტიებმა თავის ძველ სოციალისტურ ტრადიციებს უღალატეს და თავიანთი ინტერნაციონალური დროშა შესცვალეს ნაციონალისტური დროშით. რასაკვირველია, ამას თავის მიზეზები აქვს. მაგრამ ეხლა ამაზე არ ღირს ლაპარაკი.[32]. ინტერნაციონალურ თუ ნაციონალურ დროშების მიმართ საქართველოს სახელისუფლებო, სოციალ — დემოკრატიულ პარტიის პოზიციის მაკრიტიკებელ ფედერალისტ გობეჩიას მხარს უჭერს სოციალისტ-რევოლიუციონერი ლეო შენგელაია, რომელიც ერთგან აცხადებს, რომ „დამფუძნებელმა კრებამ კარგა ხანია გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი რევოლიუციასთან, ამაში დამეთანხმებით მის შემდეგ, რაც თვით სასახლეს ჩამოხსენით წითელი დროშა რევოლიუციისა, არ გაქვთ უფლება თქვათ, რომ დგეხართ რევოლიუციის ნიადაგზე.[33]

თუ დავანებებთ თავს ამ პოლემიკის თეორიულ საფუძველის შეფასებებს და თუ ამჯერად ვეცდებით დროშების პარტიულ შეფერილობების დადგენას, დავინახავთ, რომ — „ინტერნაციონალური“, „რევოლიუციური“ დროშა წითელი ფერისაა, ხოლო „ეროვნული“ დროშა — ესაა იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი „ე.წ. „სამფეროვანი“ დროშა.

---

30 12 მარტი, როგორც დღე, აღმნიშვნელი რუსეთის დიდი რევოლიუციისა, ზოგადსახელმწიფოებრივ დღესასწაულად იქნა დადგენილი საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ.

31 ალექსანდრე ასათიანის სიტყვიდან. ტ. 2. გვ. 126.

32 ივანე გობეჩიას სიტყვიდან. ტ. 1. გვ. 378.

33 ლეო შენგელაიას სიტყვიდან. ტ. 5. გვ. 147.

შემორჩენილია ცნობები ჩვენში წითელი დროშის 1917 წლის თებერვლის რევოლიუციასთან უშუალო იდეურ კავშირისა; „რევოლიუციონურმა ხალხმა აღგავა თვითმპყრობელობის რეჟიმი დედამიწიდან და ისტორიულ წარსულს ჩააბარა ის. მის ნანგრევებზე რევოლიუციის დიადი დროშა აფრიალდა. „ხალხის სრული უზენაესობა და ამ ნიადაგზე სოციალურ წყლულთა განკურნება“ — დაწერილი იყო ამ დროშაზე. აი ამ დიდებულ ლოზუნგით გამოვიდა რუსეთის დიდი რევოლიუცია. მაგრამ ეს დროშა მხოლოდ რამდენიმე თვე ბატონობდა რუსეთის რევოლიუციონურ სინამდვილეში. იქ მის ადგილზე სხვა დროშა და სხვა ლოზუნგები გაბატონდა. (...)

რუსეთის დიდი რევოლიუციის ერთი უმთავრესი მოთხოვნილება, დამფუძნებელი კრება, შეიკრიბა იქ, მაგრამ რამდენიმე დღის არსებობის შემდეგ ის მეტ ბარგად მიიჩნიეს და გადააგდეს. ჩვენმა [ქართულმა] დემოკრატიამ ამ რევოლიუციის დროშა და მისი დიადი ლოზუნგები გადმოიტანა მშობლიურ ნიადაგზე და აქ განახორციელა ეს დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი.[34] ამრიგად, წითელი დროშა აღიქმებოდა, როგორც სიმბოლო 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის მიერ მოპოვებული დემოკრატიული მონაპოვარისა.

სოციალ-დემოკრატ აკაკი ჩხენკელს მიაჩნდა, რომ „სახალხო გვარდია და სახელოვანი ჯარი ეროვნული დროშით, რომელიც დღეს შეკავშირებულია წითელ დროშასთან, დაიცავს მის ინტერესებს, არსებობას, მის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას“.[35]

ერთ მხრივ კომიტეტების, მეორე მხრივ ეროვნულ მთავრობას შორის მოქცეული ზემოთხსენებული „ორ-უფლებოვანი“ ხელისუფლება — მსგავსად, „ორ-დროშიან“ ხელისუფლებათა, როდესაც ერთი, „რევოლიუციურ კომიტეტების“ წითელი დროშაა, ეროვნული ხელისუფლებისა კი — ეროვნული, სამფერიანი დროშა.

გრიგოლ გიორგაძის მიხედვით, „კოლხეთი და იბერია, ეხლა საქართველო, სადაც ძალაუფლება მშრომელი მასის ხელშია, რომელსაც ხელთ უპყრია სამფეროვანი — სახელმწიფოებრივი და წითელი — სოციალისტური დროშა, მოელის თავის იურიდიულ ცნობას და არ დააგდებს ამ დემოკრატიულ გზას იმ რწმენით, რომ დადგება დრო: ევროპაში ბუნებრივად დაჰკრავს ზარი ახალი ხანისა და ახალი გზა ევროპისა იქნება გზა საქართველოს მებრძოლი დემოკრატიისაც“. [36]

აქედანაც აშკარაა, რომ „რევოლიუციური“, „ინტერნაციონალური“, „კომიტეტების“ დროშაა წითელი — სახელმწიფოსი კი — სამფეროვანი.

„ორ-დროშიანობა“ ჩანს საქართველოს სახელმწიფოს ჯარის და „სახალხო გვარდიის“ ურთიერთმიმართებაში: დამფუძნებელ კრებას, მის აღმასრულებელ ორგანოს — მთავრობას და მის დამცველს და მის გმირს — ჯარს და სახალხო გვარდიას არასოდეს საქართველოს დემოკრატიის რესპუბლიკისთვის არ უღალატნია. — მისი წმინდა დროშა ეროვნული და რევოლიუციონური არავის წინაშე არ მოუხრია.[37] გვარდიის ერთ-ერთი დამფუძნებლის და მეთაურის, ვალიკო ჯუღელის მიხედვით „ის ხალხი, რომელიც დარაზმული არის დამფუძნებელ კრების და მთა-

34 ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვიდან. ტ. 5. გვ. 468.

35 აკაკი ჩხენკელის სიტყვიდან. ტ. 6. გვ. 17. ჩხენკელის ამ გამონათქვამში ჩანს სურვილი _ გამქრალიყო დაპირისპირება რევოლიუციურ სახალხო გვარდიას და სახელმწიფოებრივ ქართულ ჯარს შორის, და სხვაობა მათ შორის მხოლოდ დროშების ფერში ყოფილიყო.

36 გრიგოლ გიორგაძის სიტყვიდან. ტ.7. გვ. 442.

37 ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვიდან. ტ.4. გვ. 165.

ვრობის ირგვლივ, მეტის აღფრთოვანებით და აღტაცებით დაირაზმება და ის ჩვენი წითელი დროშა და მეორე ეროვნული დროშა, — რომლითაც ჩვენი მტრის წინააღმდეგ წავალთ, ეს დროშები არ დაეშვებიან მტრის წინაშე, არამედ გაიმარჯვებენ და ისევ აქ დაბრუნდებიან და დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ხალხს გამარჯვებას მიულოცავენ!"[38]

შედარებით მოგვიანებით, 1920 წლის ბოლოსთვის ჩანს მოსაზრება ორი — რევოლიუციური და ეროვნული დროშის დანახვისა ერთ, ჩვენს ნაციონალურ დროშაში, რომელიც, პავლე საყვარელიძის მიხედვით, „სინთეზია დიდი რევოლუციისა და ჩვენი ნაციონალური იდეის".[39]

ამრიგად, აქედანაც ჩანს, რომ სახელმწიფოს ჯარის დროშაა „სამფერიანი", „რევოლიუციურ" სახალხო გვარდიის კი — „წითელი".

*

დანართის სახით საჭიროდ ჩავთვალეთ აგრეთვე მოგვეყვანა საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ მთავარ შემომქმედის, ბ. რაჟდენ არსენიძის მიერ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციაზე 1921 წლის 20 იანვარს წაკითხული მოხსენება.[40] ბ. არსენიძის ეს მოხსენება შეიცავს ბ. კარლ კაუცკის მიერ 1920 წლის ბოლოს[41], საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის ვადების შესახებ.

კერძოდ, არსენიძის მოხსენებიდან ჩანს, რომ კარლ კაუცკის მიხედვით:

1. არ იყო საჭირო პარლამენტის ახალი თავმჯდომარის ყოველწლიურად არჩევა;

2. საჭირო იყო მთავრობის თავმჯდომარის აუცილებელი ცვლა (ზუსტ ვადას ბ. კაუცკი, როგორც ჩანს, არ აძლევდა დიდ მნიშვნელობას); მას უმჯობესად მიაჩნდა, რათა თავმჯდომარე რაც შეიძლება მოკლე ვადით არჩეულიყო — წინააღმდეგ შემთხვევაში კაუცკის შესაძლებლად მიაჩნდა ქვეყანაში პიროვნების კულტის შექმნა.

რაჟდენ არსენიძემ, ჩანს, გამოხატა პარტიის მოსაზრება, როდესაც განაცხადა, რომ ეთანხმებოდა კაუცკის წინადადებას პარლამენტის თავმჯდომარის შედარებით ხანგრძლივი ვადით არჩევის შესახებ, თუმცა არ დაეთანხმა კაუცკის მეორე მოსაზრებას — მთავრობის თავმჯდომარის მოკლე ვადით დანიშვნის შესახებ. საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის საბოლოო

38 ვალიკო ჯუღელის სიტყვიდან. ტ. 6. გვ. 305

39 პავლე საყვარელიძის სიტყვიდან. ტ. 7. გვ. 675.

40 გაზეთი „ერთობა„1921 წლის 30 იანვარი, N 22,; საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრამები. ტ.8, გვვ. 436-437.

41 დამფ. კრების სოც.დემ ფრაქციაში. გაზ. ერთობა, № 1, 1921 წ. კარლ კაუცკი დამფ. კრების სოც. დემ. ფრაქციაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა 1920 წლის 30 დეკემბერს, თუმცა რ. არსენიძის მიერ ჩამოთვლილი რჩევების გამოთქმის თარიღი არ ჩანს.

ტექსტის შედგენისას, ბ. კაუცკის რჩევა გათვალისწინებული იქნა და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის არჩევის ვადა ერთი წლით განისაზღვრა.[42]

*

კიდევ ერთი წყარო საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრამების ტექსტების მოსაძიებლად ესაა 1919-1921 წლის საქართველოში გამომავალი ქართული სახელმწიფოებრივი და პარტიული პრესა სადაც საკმაოდ ხშირად იბეჭდებოდა დამფუძნებელ კრებაზე გამომსვლელ წევრთა სიტყვები. 1919-1921 წლების საქართველოში გამომავალ სხვადასხვა პარტიულ გაზეთებს ერთი მნიშვნელოვანი სახასიათო მხარე ჰქონდა — პარტიული გაზეთები ბეჭდავდნენ ამა თუ იმ სხდომაზე <u>მხოლოდ მათი პარტიის წევრთა</u> გამოსვლების ტექსტებს (და არა სხდომის სრულ სტენოგრამებს). ამრიგად, 1919-1921 წლების საქართველოს პარტიული პრესა მხოლოდ ნაწილობრივად ასახავს დამფუძნებელი კრების რეალობას[43].

*

1921 წლის 28 თებერვალს, ქ. ქუთაისში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების რიგგარეშე, ოფიციალურ სხდომის შესახებ არ არსებობს კრების სამდივნოს მიერ ოფიციალურად დამოწმებული ოქმი, თუმცა შემორჩენილია ქუთაისში დაბეჭდილი გაზეთ „ერთობა"-ს 1921 წლის 2, 3 და 4 მარტის №№ 45, 46 და 47, სადაც მოყვანილია დამფუძნებელ კრების წევრთა გამოსვლების ვრცელი, საკმაოდ პროფესიონალურ დონეზე ჩაწერილი ტექსტები. ჩვენ ვისარგებლეთ გაზეთის ამ ნომრებში გამოქვეყნებული ტექსტებით და ვაქვეყნებთ როგორც კრების სტენოგრამებს, ისე კრებაზე მიღებულ მიმართვებს.

*

დამფუძნებელი კრების სხდომების შესახებ ცნობებს შეიცავენ იმ პირთა მოგონებები, რომლებიც დაესწრენ დამფუძნებელი კრების ამა თუ იმ სხდომას. თავის მოგონებებში. მიუხედავად იმისა, რომ საისტორიო წყაროების სანდოობის ნომენკლატურულ სიაში მოგონებები ყველაზე ნაკლებ სანდოობით სარგებლობს, ასეთი ცნობები იძენენ გარკვეულ ღირებულებას, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მოგონებებში ნახსენებ სხდომების შესახებ რაიმე სხვა ცნობები შემორჩენილი არაა; ჩვენ იძულებულნი ვიყავით მოგვეხმო ასეთი წყაროები დამფუძნებელ კრების წევრთა იმ სხდომების (თუ შეკრებების) დღის წესრიგის თუ სხვა საკითხების დასადგენად, რომლებიც ჩატარდა ქ. ბათუმში, 1921 წლის მარტში.

---

42 „მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ". საქართველოს კონსტიტუცია, თავი 5, მუხლი 67.

43 თუმცა სწორედ ცალკეული პარტიები მეტად უჩიოდნენ სახელისუფლებო პრესას ამგვარ ცალმხრივობას. იხ. მაგ. „სდკ" დოკუმენტები, ტ. 5. გვვ. 407-408, 417.

1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის ხელისუფლება, ისევე როგორც სჩანს, დამფუძნებელი კრების წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის. ქ. ბათუმში. ბათუმში, დამფუძნებელი კრების წევრთა მიერ 1921 წლის მარტში ჩატარებულ შეკრებების შესახებ უაღრესად მწირი ცნობებია შემორჩენილი. სადღეისოდ ოფიციალურ დოკუმენტების მიხედვით არაა ზუსტად ცნობილი არც ის, თუ რა ფორმის შეკრებები შესგა იმ დროს ბათუმში — ოფიციალური (კვორუმის დაცვით), არაოფიციალური (კვორუმის გარეშე), მხოლოდ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრთა ოფიციალური თუ არაოფიციალური შეკრება, არაოფიციალური საუბრები თუ რაიმე სხვა ფორმის შეკრება; — და არც ის, თუ დამფუძნებელი კრების წევრთა რამდენი ასეთი შეკრება შედგა ქ. ბათუმში.

არსებობს რამოდენიმე, უაღრესად დანაწევრებული ცნობები ბათუმის საქა-ლაქო თეატრში 1921 წლის მარტში ჩატარებულ ცალკეულ „შეკრებების" (თუ „თათბი-რების") შესახებ. ამ შეკრებებზე წარმოთქმული სიტყვები არც დამფუძნებელ კრების სტენოგრაფისტებს ჩაუწერიათ (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჩანაწერები სადღეისოდ არ „ჩანს"), და არც იმდროინდელ პრესაში (რათქმაუნდა, სრულიად გასაგები მიზე-ზების გამო) არსად ჩანს ცნობები ამ სხდომების მუშაობის განრიგის, მოხსენებათა დღის წესრიგის თუ ცალკეულ გამომსვლელთა მოხსენების შინაარსების შესახებ.

1921 წლის მარტის ბათუმში, დამფუძნებელი კრების წევრთა მიერ თათბირე-ბის შესახებ დღემდე შემორჩენილი რამოდენიმე მოგონებათა მიმოხილვის შემდეგ საჭიროდ ჩავთვალე აქ მოგვეყვანა ამონარიდები ასეთ თათბირებზე დამსწრე მხოლოდ ორი პიროვნების მოგონებებიდან, რომელთა ტექსტებსაც, ჩემის აზრით გააჩნიათ ობიექტურობის შედარებით მაღალი ნიშნები; მოგონებების ავტორებია საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წევრი, იონა თოდუა და 1921 წელს მომქმედი ქართული ჯარის გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძე.[44]

ამ ორი ცნობის გარდა, 1921 წლის მარტში ბათუმის სხდომის შესახებ ობი-ექტური ცნობა გამოქვეყნდა 1940 წლის 4 თებერვალს საფრანგეთში; დევნილო-ბაში მყოფმა საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის ოფიციალურმა წარმომა-დგენლებმა, საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრებმა და საქართველოს მთავრობის წევრებმა შეიმუშავეს საგანგებო დოკუმენტი, სადაც ოფიციალურად განაცხადეს თავისი მიმართება როგორც ახლად დაწყებულ მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით, აგრეთვე განაცხადეს ქართული სათვისტომოს მიმართება საომრად დაპირისპირებულ მხარებისადმი; საფრანგეთში მყოფმა ქა-რთულმა სათვისტომომ განაცხადა, რომ „ჩვენი მტკიცე პოზიცია დასაწყისითანავე დავიკავეთ: ჩვენ საფრანგეთ-ბრიტანიის ბლოკის მხარეზე ვდგევართ."[45]

ქართულ სათვისტომოს ამ ოფიციალურ დეკლარაციაში, სხვათა შორის, საქა-რთველოს დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიხსენებს 1921 მარტში,

44 იხ. იონა თოდუას (გვ. 332) და ალექსანდრე ზაქარიაძის (გვვ. 333-334) მოგონებები.

45 კონსტ. კანდელაკი. ქართული საკითხი გვ. 223. აქვე უნდა ითქვას, რომ საფრანგეთში მცხვრებ უცხოელთა სათვისტომოებს შორის ქართულმა სათვისტომომ, ერთ-ერთმა უკანასკნელმა _ თუ ყველაზე უკანასკნელმა არა _ განაცხადა თავისი მიმართება დამდგარ ომში მონაწილე მხარეების მიმართ. სათვისტომოს მიერ ოფიციალური განცხადების ასეთი „დაგვიანება" საფრანგეთის ქართულ სათვისტომოში დიდი დაპირისპირების საფუძველი იყო 1940 წლის 4 თებერვლამდეც და 4 თებერვლის შემდეგაც, თუმცა ქართულ სათვისტომოს მიერ გაკეთებულ არჩევანის სისწორეში ეჭვი არც იქამდე, და არც მას მერე, დევნილ ქართველების მიერ ოფიციალურად არ შეტანილა.

ბათუმში ჩატარებული ოფიციალური სხდომა[46] საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და ის გადაწყვეტილება, რომელიც ამ სხდომაზე იქნა მიღებული:

„საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომელმაც მშობლიური მიწა დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, სპეციალური მისიის განსახორციელებლად დატოვა, რათა გაეგრძელებინა ბრძოლა მოსკოველი აგრესორების წინააღმდეგ განარჯვებამდე, ამჯერად ყველა ქართველ ემიგრანტს მოუწოდებს, (...) რათა სრული ძალით ვიღვაწოთ ქართველი ხალხის განსათავისუფლებლად“.[47]

კიდევ ერთი ცნობა 1921 წლის მარტში, ბათუმში ჩატარებულ სხდომათა შესახებ მოგვიანებით მოყვანილი აქვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს, კონსტანტინე კანდელაკს. კერძოდ, 1953 წელს დაბეჭდილ დოკუმენტურ გამოცემაში კონსტ. კანდელაკი იხსენებს 1921 წლის მარტის ბათუმში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების სხდომას და მის ოფიციალურ გადაწყვეტილებას:

„საქართველოს კანონიერი მთავრობა, <u>დამფუძნებელი კრების მიერ [ბათუმში] 1921 წლის 17 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით</u>, ევროპაში გაემგზავრა იმ მისიით, რომ დაეცვა ქართველი ხალხის სუვერენული ინტერესები ცივილიზებული მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისა და უცხოეთის სახელმწიფოების წინაშე“[48]. საქართველოს დამფუძნებელი კრების ბათუმის ამ სხდომის შესახებ, თვით დამფუძნებელი კრების თანამშრომელთა მიერ მომზადებული ვერც ერთი ოფიციალური დოკუმენტი, ჯერჯერობით ვერ იძებნება.

***

და — ბოლოს; სასიამოვნო ვალდებულებად მივიჩნევ განსაკუთრებული მადლობა გამოვუცხადო ჩემს კოლეგებს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ქალბატონებს: სოფიო ღაღანიძეს, დარეჯან ხარშილაძეს, თამარ ხიზამბარელ-სანიკიძეს, ლილი საყვარელიძეს, თეა შუბითიძეს, ხათუნა კენჭოშვილს, ნათია კობახიძეს, მზია ხოსიტაშვილს, მაია გვახარიას, მაია მჭედლიშვილს და ირინე ნიკოლეიშვილს; ბატონებს ემზარ ჯგერენაიას და შალვა პაპალაშვილს, — ქვეყანაში (და მსოფლიოში) კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებულ მკაცრ შეზღუდვებით შექმნილ მწვავე ვითარების მიუხედავად რომ მიწევდნენ უშურველ, გულუხვ და კვალიფიცირებულ დახმარებას.

მათი ჩემდამი მხარდაჭერის გარეშე ეს ტომი ძნელად თუ მომზადდებოდა გამოსაცემად.

ირაკლი იაკობაშვილი,
საქართველოს პარლამენტის არქივის გამგე

2020 წლის 1 დეკემბერი,
თბილისი.

---

46 საყურადღებოა, რომ ბათუმში ჩატარებული სხდომის თარიღი აქ მითითებული არაა. (შემდგენელი).

47 იქვე. გვ. 225.

48 კონსტ. კანდელაკი. ქართული საკითხი ... გვ. 27.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ჟურნალი

1921 წ. 1 იანვარს

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი; დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა: ქრისტინე შარაშიძის ასული.

კანცელარიის გამგის მოხსენება, რომ საჭიროა დამფუძნებელი კრების სტამბის მომუშავეთ დახმარება მიეცეთ – მათი მეტის-მეტად გაჭირვებული მდგომარეობის გამო.

ამასთანავე კანცელარიის გამგემ განმარტა, რომ მას არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა დაემტკიცებინა პრეზიდიუმის წინაშე – ის მუყაითი და გულდადებითი მუშაობა, რომელსაც დამფუძნებელი კრების მომუშავენი ეწევიან.

სტამბის მუშათა შემადგენლობა, თამამად შეიძლება ითქვას, რჩეულია, როგორც უნართანა [...]ით, ისე შეგნებით, რაც ხელს უწყობს სტამბაში საქმის წესიერად წარმართვას.

ეს დახმარება მით უფრო უპრიანია მათთვის, რომ კერძო სტამბებმა და სახელმწიფოს სხვა სტამბებმა ასეთი დახმარება უკვე გაუწიეს თავიანთ მუშებს ამ დღეებში.

კანცელარიის გამგის აზრით საჭიროა მიეცეს თვითოეულ მუშას არა ნაკლებ 5.000 მან., ხოლო შეგირდს – 2.500 მან.

დადგენილება: მიეცეს სტამბის მუშათ დახმარების სახით თვითოეულს ხუთი ათას (5.000) მან., ხოლო შეგირდს – ორი ათას ხუთასი (2.500) მან. სტამბის თანხიდან.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].
კანცელარიის გამგე [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 1.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 4

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი; დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა: კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, იანვრის 4-ს, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – გადამდებ სენთან ბრძოლაში შრომის უნარდაკარგული ან გარდაცვალებული საექიმო პერსონალის ოჯახობისათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია 1920 წლის დეკემბრის 21-ის სხდომაზე.

პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას და დეკრეტის ტექსტს, დართული აქვს სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა უწყების დასკვნა.

ცნობა: სამხედრო მინისტრის ინიციატივით წარმოდგენილი – რადიოტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამატების კანონპროექტის მდგომარეობის შესახებ.

დადგენილება: პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ სხდომაზე – ჯანმრთელობისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისათვის გადასაცემად წინასწარი განხილვისათვის.

2. ეს პროექტი, როგორც უკვე განხილული და მიღებული სამხედრო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიათა მიერ, – შეტანილი იყო დამფუძნებელი კრების 1920 წლის ნოემბრის 26-ის სხდომის დღიურ წესრიგში, ხოლო სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებით იგი მოიხსნა დროებით განხილვისაგან და დღემდე უძრავად იყო.

დღეს, იანვრის 4-ს, ზემოხსენებულ ფრაქციის ბიუროს მდივანმა ანნა სოლოღაშვილის ასულმა ოფიციალურად განუცხადა კანცელარიის გამგეს პრეზიდიუმისათვის მოსახსენებლად, რომ ფრაქცია მოითხოვს პროექტი

კვლავ იქნეს შეტანილი დამფუძნებელი კრების ახლობელ სხდომის დღიურ წესრიგში.

კომისიების მხრით მომხსენებელია ნიკოლოზ იმნაიშვილი.

პროექტის ასლი ფრაქციათ დიდი ხანია, რაც დაურიგდათ.

დადგენილება: კანონპროექტი პირველი (ზოგადი) განხილვისათვის შეტანილ იქნეს დამფუძნებელი კრების შემდეგი სხდომის დღიურ წესრიგში.

მოსმენილია: იუსტიციის მინისტრის, ბატონ რაჟდენ არსენიძის წერილობითი განცხადება შემდეგი შინაარსისა:

„დამფუძნებელი კრების წარსულ სამშაბათის სხდომაზე დეპუტატმა შალვა ნუცუბიძემ წამოაყენა ჩემს წინააღმდეგ ბრალდებები ჩიკვაიძის და სხვ. პროცესიდან, რომელთა შესახებ სასამართლოში ამ საქმის დაუმთავრებლობის გამო მე არ მქონდა უფლება სრული ცნობები მიმეწოდებია დამფუძნებელ კრებისათვის და ამით იმ ბრალდებათა სრული სიმტყუვნე დამემტკიცებია.

რადგანაც დეპუტატის პასუხისგებაში მიცემა იმ სიტყვის გამო, რომელიც დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდანაა წარმოთქმული, არ შეიძლება შეუვალობის კანონის (მ. 2) გამო, თუნდაც ეს თვით დეპუტატმაც მოისურვოს, ამიტომ ვსთხოვ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს სათანადო მცირე კომისიის საშვალებით გამოარკვიოს ამ ბრალდების სიმტყუვნე და ამით ამაშოროს თავიდან დაუმსახურებელი ჩირქის მოცხება“.

დადგენილება: იუსტიციის მინისტრის განცხადება გადაეცეს იურიდიულ კომისიას და ეთხოვოს ამ განცხადებაში აღნიშნულ საგნის გამორკვევა — მცირე იურიდიული კომისიის საშუალებით.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 3.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა № 78

სამშაბათს 1921 წ. იანვრის 4

შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი:
საკანონმდებლო აქტის სახელწოდება:

1. დეკრეტი – დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის 2.000.000 მან. გადადებისა.

კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – ნიკოლოზ იმნაიშვილი.

2. დეკრეტი – კახეთის რკინის გზის საფოსტო ტვირთის გადასაზიდი ფასის გადიდებისა.

კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – ივანე გომართელი.

განგრძობა მსჯელობისა მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 836. ფ. 122.

* * *

დამფუძნებელი კრება*

სესია II

სხდომა № 78

სამშაბათს 1921 წ. იანვრის 4. სასახლე

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე; პრეზიდიუმში არიან: ექვთიმე თაყაიშვილი და ქრისტინე შარაშიძის ასული.

სხდომა იწყება შუადღის 1 საათზე.

სხდომის გახსნისას მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების კომისიებისათვის წინასწარი განხილვისათვის გადასაცემი საკანონმდებლო აქტების შემდეგ ნუსხას:

1. შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – გადამდებ სენთან ბრძოლაში შრომისუნარ დაკარგულ ან გარდაცვალებული საექიმო პერსონალის ოჯახობისათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ.

გადაეცეს: ჯანმრთელობისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიათ.

დამფუძნებელი კრება ამ ნუსხას უცვლელად ადასტურებს.

მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების დღევანდელ სხდომის შემდეგ დღიურ წესრიგს:

1. დეკრეტი – დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის 2.000.000 მან. გადადებისა.

2. დეკრეტი – კახეთის რკინის გზის საფოსტო ტვირთის გადასაზიდი ფასის გადიდებისა.

3. განგრძობა მსჯელობისა მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემოკრატიულ ფრაქციისაგან შემოტანილია შემდეგი წინადადება:

„მოიხსნას დღიური წესრიგიდან მე-2 საკითხი – დეკრეტი კახეთის რკინის გზის საფოსტო ტვირთის გადასახადი ფასის გადიდებისა – რადგან ფრაქციამ მისი განხილვა ვერ მოასწრო“.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას იღებს და ამ ცვლილებით დღიურ წესრიგს ამტკიცებს.

მდივანი კითხულობს სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის შემდეგ განცხადებას: *„გთხოვთ განუცხადოთ დამფუძნებელ კრებას ჩემი თხოვნა სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ“.*

დამფუძნებელი კრება ამ შუამდგომლობას აკმაყოფილებს.

განსახილველია დეკრეტი დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის 2.000.000 მანეთის გადადებისა.

საბიბლიოთეკო კომისიის მხრით მომხსენებელია ექვთიმე თაყაიშვილი (ერ.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს დეკრეტის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მხრით მომხსენებელია იოსებ სალაყაია (სოც.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს კომისიის დასკვნის შესახებ.

დეკრეტი ზოგად მსჯელობას არ იწვევს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – დეკრეტის მუხლობრივ განხილვის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს.

მომხსენებელი ექვთიმე თაყაიშვილი დეკრეტის სათაურსა და პირველ მუხლს ცალკცალკე კითხულობს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოტანილია შემდეგი შესწორება: „დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის ორი მილიონი მანეთის გადადებისა“. დეკრეტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვა „ორი მილიონი“ შეიცვალოს სიტყვით „სამი მილიონი“.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას უკამათოდ იღებს.

დამფუძნებელი კრება დეკრეტის სათაურსა და პირველ მუხლს ამ შესწორებით იღებს.

მომხსენებელი კითხულობს დეკრეტის მეორე მუხლს.

დამფუძნებელი კრება ამ მუხლს უცვლელად იღებს.

მუხლობრივი განხილვა დასრულებულია.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – დეკრეტის მთლიანად მიღების შესახებ არავინ არის ამის წინააღმდეგ, და თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეკრეტი მიღებულია და საბოლოო ტექსტი შესამუშავებლად სარედაქციო კომისიას გადაეცემა.

გრძელდება მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

მსჯელობაში მონაწილეობას იღებს ვალიკო ჯუღელი (სოც.-დემ.).

ორატორი სიტყვას ამთავრებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია წინადადება ორატორთა სალაპარაკო დროს 15 წამით განსაზღვრის შესახებ.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას უარჰყოფს.

მსჯელობა გრძელდება და მონაწილეობას იღებს ი. გობეჩია (სოც.-რევოლ.).

თავმჯდომარე ორატორს აჩერებს და დამფუძნებელ კრებას ახსენებს, რომ უკვე ნაშუადღევის 3 ს. და სურს თუ არა დამფუძნებელ კრებას სხდომა განაგრძოს.

დამფუძნებელი კრება ადგენს სხდომა გაგრძელებულ იქნეს.

ორატორი განაგრძობს.

თავმჯდომარე ორატორს ახსენებს, რომ მას სალაპარაკო დრო ერთი საათი შეუსრულდა.

დამფუძნებელი კრება ორატორს სალაპარაკო დროს 10 წ. უგრძელებს.

ორატორი სიტყვას ამთავრებს.

მდივანი კითხულობს სოც.-დემ. ფრაქციის შემდეგ განცხადებას:

„სოც.-დემ. ფრაქცია შემდეგ კომისიებში სამუშაოდ შემდეგ პირთ ასახელებს:

1. საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. გიორგი ნოდიას მაგიერ კონსტანტინე ანდრონიკაშვილს და

2. იურიდიული კომისია. ნიკო ელიავას მაგიერ გაბრიელ ცისკარიშვილს.

დამფუძნებელი კრება ამ განცხადებას ცნობად იღებს.

თავმჯდომარე სხდომას ნაშუადღევის 3 ს. და 35 წ. ჰხურავს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ. 465.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

1921 წლის იანვრის 4-ს სხდომა

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

სხდომა იხსნება ნაშუადღევის 1 საათზე.

რეგლამენტს არღვევენ.

ილია ნუცუბიძე (სოც.-რევოლ.) რეგლამენტის დარღვევის შესახებ ლაპარაკობს. იგი აღნიშნავს, რომ ბოლო ხანს რეგლამენტი სისტემატიურად ირღვევა მით, რომ სხდომები ძალიან დაგვიანებით იხსნება, რაც მეტად აფერხებს პარლამენტის მუშაობას.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ პრეზიდიუმი აღადგენს ერთად ერთ ზომას ზემოთ აღნიშნულ უწესოების აღსაკვეთად, სახელდობრ იმ დეპუტატების დაჯარიმებას ფულით, რომელნიც ან არ დაესწრებიან სხდომას, ან დააგვიანებენ მოსვლას.

თავმჯდომარე მოუწოდებს ფრაქციებს და კერძოდ დეპუტატებს, თვით მიიღონ ზომები სხდომის დროზე გახსნისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილის და იოსებ სალაყაიას მოხსენებით მიღებული იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისთვის 3 მილიონი მანეთის გადადებისა.

კამათი მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ.

გრძელდება მსჯელობა მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

ვალიკო ჯუღელი: საზოგადოება მხარს უჭერს მთავრობას. ჩვენი საზოგადოებრივი აზრი არ არის მიმართული არსებული მთავრობის წინააღმდეგ, მხარს უჭერს მას.

შენგელაია: საიდან სჩანს ეს?

ვალიკო ჯუღელი: ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ სწორედ ის მთავრობა იხსნის მას გაჭირვებიდან, რომელსაც სათავეში უდგია ბატონი ნოე ჟორდანია.

შენგელაია: თქვენი ფრაქციაც ასე მსჯელობს?

ვალიკო ჯუღელი: სოც. რევოლუციონერები კი უდგანან ოპოზიციაში აი, ამ ხალხურ და სოციალისტურ მთავრობას. მათ არ ესმით, რომ თუ დამარცხდა ეს მთავრობა, ეს იქნება დამარცხება მთელი ჩვენი დემოკრატიისა და სამაგიეროდ გამარჯვება მემარცხენე ფრთისა. არსებულ მთავრობის წინააღმ-

დეგ სოც. რევოლიუციონერთა წარმომადგენელი ლეო შენგელაია ხმარობს დაუშვებელ არგუმენტებს, იგი სხვათაშორის ეხება ოჯახურ ტრაღედიას, ერთ-ერთი ყოფილი მინისტრისა. ასეთ ტრაღედიას მე მგონი თვით ფრაქციის წევრებიც განიცდიან და აქ ტრაღედიებზე ლაპარაკი არ შეეფერება ტრიბუნის ღირსებას.

მემარჯვენე ფრთა უფრო სერიოზულია, ვიდრე მემარცხენე. რაც შეეხება თვით კრიტიკას ოპოზიციისა, მე უნდა ვთქვა, რომ მემარჯვენე ფრთის კრიტიკა უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე მემარცხენე ფრთის. ბატონი სპირიდონ კედია მუდამ ცდილობს ფაქტიურ ნიადაგზე დადგეს და ობიეკტური იყოს, ამიტომ ჩვენ მას მუდამ ყურადღებით უსმენთ. ლეო შენგელაია კი სწყდება ამ ფაქტიურ ნიადაგს და სცდილობს შეიტანოს სუბიექტური დემაგოგიური ელემენტები.

ჩვენ თავს ვუწევთ კრიტიკას. ჩვენ არ გვეშინია არავითარი კრიტიკისა და არც წინააღმდეგი არ ვართ მისი, თუ იგი, რასაკვირველია, გამომდინარეობს საერთო ხალხის ინტერესებიდან. ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით მოვისმენთ ასეთ კრიტიკას და შევეცდებით მით ვისარგებლოთ შეცდომების გასასწორებლად. ჩვენ ვაღიარებთ, რომ მთავარი ხაზი ჩვენი პოლიტიკისა არის სწორი და სამართლიანი, და თუ ამ ხაზის გატარებაში დეტალებში შეცდომებს იპოვნით, ჩვენ შევეცდებით მათ გამოსწორებას. თვით ჩვენ ფრაქციაში ცენტრალურ კომიტეტში თუ ფართო ყრილობაზე ჩვენ სასტიკ კრიტიკას ვაწარმოებთ ხოლმე, რაც ხანდახან მსხვილ ხასიათს ღებულობს; ჩვენ გვესმის, რომ თუ არ იქნა კრიტიკა პარტიაში, თუ მთელი პარტია გადაიქცევა ერთ ინდივიდუუმად, რა საკვირველია პარტია გადაიქცევა მონასტრად და მოკვდება. და თუ მართლაც ჩვენი მინისტრები დაინტერესდნენ იმ ფაქტებით, რომელნიც აქ წამოაყენა ბატონმა კედიამ, ისინი ცდილობენ შეისწავლონ ეს ფაქტები და შემდეგ აქ პასუხი მოახსენონ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

აქ ლეო შენგელაიამ იერიში მიიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. მან რამდენიმე ფაქტი მოიყვანა საგანგებო რაზმის აგენტების და მილიციონერთა ბოროტმოქმედების შესახებ. მე უნდა ვთქვა, თვით სამინისტროში მას გაცილებით მეტ ფაქტს მიაწვდიან ბოროტმოქმედების შესახებ, ვიდრე თვით ლეო შენგელაიას აქვს. ლეო შენგელაია ხედავს მხოლოდ წვრილმანებს და მთავარი, რაც გააკეთა ამ სამინისტრომ, – მას არ უნდა დაინახოს. უნდა ვსთქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი რესპუბლიკის გადარჩენის საქმეში.

ჩვენი დიპლომატიის საგარეო პოლიტიკის მხრივ ჩვენ გვისაყვედურებს ბატონი ლეო შენგელაია საიდუმლო დიპლომატიას. ეს არ არის მართალი. განა თქვენ როდისმე მოგითხოვნიათ, რომ თქვენს ფრაქციაში მოსულიყო სამინისტროს ხელმძღვანელი მოხსენების გასაკეთებლად? თქვენ რომ მოითხოვოთ, რასაკვირველია, ის ამაზე უარს არ იტყვის. ბატონი კედია ბრძანებს, რომ ჩვენ მუდამ ვიგვიანებთ საგარეო სფეროში ზომების მიღე-

ბას. არც ეს არის მართალი, ბატონებო, ჩვენი მთავრობა არ იგვიანებს, მაგრამ არც ჩქარობს.

აქ დიდი იერიში მიიტანეს მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ. უნდა ვსთქვა, რომ ბატონ ერაძემ ამ საქმეში გამოიჩინა დიდი უნარი და გამჭრიახობა. მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე დაუფასებელია. მან შესძლო გამოკვება ამ აუარებელი ჯარისა, რომლისთანა ჩვენ არასოდეს, არც თამარის დროს, – როდესაც დარუბანდის კართან ვიდექით, და არც დავით აღმაშენებლის დროს, – არ გვყოლია. იგი კვებავს მუშა-მოსამსახურეთ. დღეში ეძლევათ 300.000 „პაიოკი“ და საკვირველიც არის, რომ მან შესძლო ასეთი დიდი საქმის გაკეთება მაშინ, როდესაც ჩვენ განვიცდით საშინელ ბლოკადას. მართალია, ერთ დროს ცხვებოდა ცუდი ღირსების პური, მაგრამ ეს ხდებოდა მომარაგების მინისტრისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ჩვენ გულ დასმით მოვისმინეთ ოპოზიცია და მათ კრიტიკაში ჩვენ ვერ ვნახეთ ისეთი რამ, რაც საფუძველს მოგვცემდა უარყოფითად შეგვეხედა ჩვენი მთავრობისათვის. და ჩვენ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი მთავრობა, გადაარჩენს ხალხს დაღუპვისაგან.

იოსებ გობეჩიას (სოც.-რევოლ.) სიტყვა ეხება მთავრობის მიერ საზღვარ გარეთ – ევროპაში წარმოებულ პოლიტიკაში დაშვებულ მომაკვდინებელ შეცდომებს და ამბობს: როგორ დაჰკარგა საქართველომ ამერიკის სესხი ჩემს ევროპაში ჩვენი დელეგაციის წევრად ყოფნის დროს? უკრაინის დელეგაციამ, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა თავის მთავრობასთან, როდესაც უკრაინის ტერიტორიაზე დაუსრულებელი სამოქალაქო ომი სწარმოებდა, ამ სახელმწიფოს დელეგაციამ აიღო სესხად ამერიკისგან 26 მილიონ დოლარად ღირებული სხვა და სხვა საქონელი, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვა. ასეთივე სესხი აიღო ესტონეთის დელეგაციამ.

ჩვენ ძალიან დაგვაინტერესა ამ გარემოებამ, და გავიგეთ, რომ უკრაინის დელეგაციას მიეცა პირობა ამერიკისათვის, რომ ამ არსებულ ვალს ის გადაიხდიდა მაშინ, როდესაც გერმანია, რომელიც შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, გადაუხდიდა კონტრიბუციას უკრაინას.

აი ასეთი უბრალო ვექსილით უკრაინის დელეგაციამ მიიღო ასეთი დიდი სესხი. ჩვენც ვცდილობდით ამნაირი სესხი აგვეღო და რადგან ჩვენ ვშიშობდით, რომ ვაითუ ვერ შევძლოთ საკუთრი საშუალებით საქონლის პირდაპირ თბილისში მიტანა, ჩვენ ვეძებდით ისეთ პირს, რომელიც ჩვენი საქონლის მიტანას იკისრებდა თავის თავზე საქართველოს რომელიმე ნავთსადგურში. ამის შესახებ ჩვენ ბევრი მოლაპარაკება გვქონდა მრავალ პირთან.

ბოლოს ჩვენ დაგვეთანხმა ვინმე რობინოვი, რომლის შესახებ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ის შესძლებდა საქმის გაკეთებას. ჩვენ შევკარით იმასთან ხელშეკრულება რომელსაც ხელი მოაწერა დელეგაციის თავმჯდომარემ და მე. მას უნდა აეღო მხოლოდ 3 პროცენტი იმ სესხიდან რომელსაც ჩვენ ავიღებდით. შეთანხმების ძალით მას უნდა ეშოვა გემები, ჩაეწყო საქონელი, რო-

მელსაც ჩვენ მოგვცემდნენ, რის შემდეგ ის მიიღებდა 1 ½ პროცენტს, ხოლო, როდესაც ეს საქონელი ჩამოვიდოდა საქართველოში, იგი მიიღებდა და მეორე 1 ½ პროცენტს და იმას ჩვენი ბონებით (და არა დოლარებით). მთავრობამ არაფერი გააგებია დამფუძნებელ კრებას.

ამ საქმის შესახებ ყოველივე საბუთები და მიწერ-მოწერა თავის დროზე, 1919 წლის ივნისში გადმოვგზავნეთ საგარეო საქმეთა სამინისტროში და ველოდით პასუხს. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ჩვენმა მთავრობამ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და არავითარი პასუხი არ მოგვცა. როდსაც მე აქ ჩამოვედი – ვეკითხები დამფუძნებელ კრების წევრებს, – იყო თუ არა რაიმე მოხსენება ამ საქმის შესახებ ან საგარეო კომისიაში ან საბიუჯეტო-საფინანსოში.

მიპასუხებენ: არაო“. და აი, მე მიმაჩნია მოვალეობად მიუთითო ჩვენ მთავრობას, რომ მან ჩაიდინა მომაკვდინებელი შეცდომა მით, რომ ასეთ დიდ საქმეს აბუჩად შეხედა; რომ იგი დროზე ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ეკონომიურ საქმეებს და თავის ვიწრო პარტიულ საქმეს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე სახელმწიფოსი.

შემდეგ; შვეიცარიაში უნდოდათ დაეარსებინათ „შვეიცარია – საქართველოს ეკონომიური საზოგადოება“. ამ საქმეს სათავეში უდგა გამოჩენილი პირი და ერთი ლიდერთაგანი ჩვენი მმართველი პარტიისა, აკაკი ჩხენკელი. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საქმე დიდი სკანდალით დამთავრდა. და შემდეგ ერთი პირი, რომელიც იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში, ამბობდა თურმე ჩვენზე: Оказывается мы имели дело с жуликами и подлецами“. ეს საქმე, ბატონებო, გადაცემულია შვეიცარიის სასამართლოში. ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენ პირობა არ შევასრულეთ, და ჩვენის მიზეზით საქმე არ შესდგა, და ამიტომ ისინი ითხოვენ ჩვენგან იმ ხარჯის ანაზღაურებას, რომელი გაწეული იყო საზოგადოებისათვის სახლის ქირაზე და სახლის მოსაწყობად ავეჯეულობის შესაძენად. სულ 50 ათას ფრანკს...

(ალექსანდრე ასათიანი: ე.ი. 200 მილიონამდი?, ჯუღელი: თქვენ იმ დროს რეისებს აკეთებდით პარიზიდან კონსტანტინოპოლამდე.)

აქ ჯუღელი ნატაციას გვიკითხავდა – *„ფაქტებზე ილაპარაკეთო“,* და ახლა კი დამასეირნებს პარიზიდან სტამბოლში და სტამბოლიდან პარიზში, მაგრამ ამის შესახებაც მოვახსენებთ.

რა დაემართა ჩვენ თუთუნს?

ახლა მოგახსენებთ თუთუნის შესახებ. განცხადება მომარაგების მინისტრისა, – ვითომ ის თვითონ არ გზავნიდა თუთუნს საზღვარ გარეთ საკუთარ რისკზე, არამედ კერძო პირებს აბარებდა, ეს არ არის მართალი. ყოველ პარტიას თუთუნისას იქ მოყვებოდა ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი. ის თუთუნი, რომელიც ჩვენ მთავრობას გამოეგზავნა, დაგროვდა ინგლისში და დიდხანს იყო გაუყიდავი, თითქმის ეს თუთუნი ანეგდოტად გადიქცა.

იმ პირებმა, რომელთაც ამ საქმის მოწესრიგება ჰქონდათ მინდობილი, სრულიად ვერ გაამართლეს მთავრობის თავმჯდომარის იმედი და ისე გაა-

ფუჭეს საქმე, რომ ეკონომიური კომისია კონსტანტინე კანდელაკის თავმჯ-დომარეობით იძულებული იყო ლიკვიდაცია მოეხდინა ქავთარაძის გაფუ-ჭებული საქმისათვის.

თუთუნის საქმის გარდა, პურის საქმეშიც ჩვენმა მთავრობამ დიდი უსისტემობა გამოიჩინა. როდესაც ჩვენ იქ გავიგეთ, რომ საქართველო გან-იცდის დიდ კრიზისს პურის მხრივ, ჩვენ ძალიან დიდი ყურადღება მივაქციეთ ამას და ვაცნობე მთავრობას, რომ პურის შეძენა იქ შეიძლებოდა მხოლოდ ვალიუტაზე.

მთავრობამ იმის მაგივრად, რომ ამ საქმისთვის გამოეყენებინა ის პირ-ნი, რომელნიც იქ ვიყავით, გვიპასუხა, რომ ის გზავნის ეკონომიურ წარმო-მადგენლობას სკობელევს და მას ეხსნება სათანადო კრედიტი ვალიუტიდან. ჩვენ ამ ამბავმა აღგვაშფოთა. იქ იყვნენ სხვა და სხვა პირნი, მაგალითად რომში – მისია საბახტარაშვილის მეთაურობით, ბატონი დავით ღამბაშიძე, ცნობილი და გამოცდილი ბაქოელი კომერსანტი ბატონი ჯაყელი, ბოლოს თვით დელეგაციის წევრები, რომელთაც შეეძლოთ ვალიუტით პურის შეძე-ნა და საქართველოში გამოგზავნა. მთავრობა კი გზავნიდა იქ სკობელევს, რომელმაც არც ერთი ენა არ იცის, და რომლის საქმეთა მთავარი გამგებელი იყო ვიღაც შაფრინი, რომელსაც საქართველო იმდენად აინტერესებს, რამ-დენადაც მას ესაჭიროება ჰაეროპლანით გადაფრენა პარიზიდან ლონდონში, და თქვენ უნდა იცოდეთ, რომ იგი იღებს 200 გირვანქა სტერლინგს ესეიგი 4 მილიონ მანეთს. შეიძლება სკობელევი მეტად კარგი და გამოსადეგი სო-ციალ-დემოკრატი იყო რუსეთში, მაგრამ მისთვის არ უნდა ჩაებარებინათ ჩვენი კომერციის საქმე. მე ვამბობ, რომ არ უნდა იხარჯებოდეს ჩვენი სახელ-მწიფო ფული ვოიტინსკ – სკობელევზე...

(ალექსანდრე ასათიანი; ვოიტინსკი რამდენს იღებს? მმართველ პარ-ტიას ხელი ახლოს აქვს სახელმწიფო კასასთან.)

შემდეგ: არ არის მართალი, თითქოს მმართველ პარტიას არ ქონდეს ადვილი ხელმისაწვდომი სახელმწიფო კასასთან. სამწუხაროდ, ბევრია მაგ-ალითები, როდესაც წიგნები, მოხსენებები ცენტრალურ კომიტეტში ან ინ-ტერნაციონალში წარსადგენად გამოდის სახელმწიფო ხარჯზე. რა იხარ-ჯება ჩვენს წარმომადგენლებზე ევროპაში?

შემდეგ: მე უღრმესი აღშფოთება უნდა განვაცხადო იმის გამო, რომ ბა-ტონმა თევზაიამ უსინდისო სიცრუე განაცხადა, ვითომ მე დელეგაციის წევ-რად ყოფნის დროს ევროპაში ვიღებდი 500.000 მანეთს. ეს არ არის მართა-ლი. მე ვიღებდი ნამდვილად 45 ათას მანეთს თვეში. მე მგონია, რომ ბატონ თევზაიას უნდოდა სიცრუის თქმა ჩემზე, შირმა აეფარებინა იმისთვის, თუ რამდენს იღებენ ნამდვილად ის მრავალი მენშევიკები, რომელნიც ევროპაში არიან. რადგან ასე უსინდისო სიყალბეს ამბობენ ჩემზედ, ვითომ მე ვიღებდი 500.000 მანეთს თვეში, მე იძულებული ვარ განვაცხადო, რომ ეხლა იქ მყოფი მისიის წევრები იღებენ მილიონ ნახევარ მანეთს თვეში, ხოლო ეკონომიკური

კომისიის წევრები იღებენ 5.000 გირვანქა სტერლინგს, ესეიგი ჩვენ ფულებზე 125 მილიონ მანეთს თვეში.

დასასრულს მე მოვითხოვ, რომ გაზეთ „ერთობა“-ში, ისევე როგორც იყო მოთავსებული თევზაიას სიტყვიდან ყალბი ცნობა, ვითომ მე ვიღებდი 500.000 მანეთს, იყოს მოთავსებული ჩემი სიტყვიდან ცნობა, თუ რამდენი იხარჯება საზღვარგარეთულ მისიებზე.

სიგვიანის გამო სხდომა იხურება ნაშუადღევის 4 საათზე და გაგრძელება მსჯელობის ამ საკითხის შესახებ სამშაბათს გადიდო.

გაზ. „საქართველო“, № 5. 7 იანვარი, 1921 წ.

* * *

დამფუძნებელ კრებაში:

4 იანვრის სხდომა

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის 2 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

განგრძობა მსჯელობისა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო.

ვალიკო ჯუღელი: თქვენ ალბათ გეხსომებათ, რომ ასეთივე საკითხი ჩვენს წინ წინადაც დადგა და მაშინაც მოითხოვეს – ლეო შენგელაიამ პირდაპირ, სპირიდონ კედიამ კი ცოტა გაუბედავათ – მთავრობის გადადგომა.

დღესაც ისინი ამავე აზრს გამოსთქვამენ და გაკვირვებულნი არიან, რომ მთავრობის შემადგენლობაში არ მომხდარა რაიმე რადიკალური ცვლილებებისა.

ლეო შენგელიას და სხვებს თავისი აზრი საზოგადოებრივ აზრის გამოხატულებად მიაჩნიათ და ამიტომ ამბობენ, რომ „ძველი რეჟიმის დროსაც მთავრობა მხოლოდ პიროვნულად შეიცვლებოდა და რადიკალურ ცვლილებას არ განიცდიდაო“. მაგრამ ეს ანალოგია სრულიად არ შეეფერება დღევანდელ შემთხვევას. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბატონ შენგელაიას მტკიცება არ არის მართალი. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივი აზრი ჩვენ მთავრობის მხარეზეა. ჩვენ ვიცით და ამაში დარწმუნებულნი

არიან ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიებიც, რომ ერთად ერთი მთავრობა, რომელსაც ჩვენს პირობებში შეუძლია ქვეყნის გადარჩენა, არის ის მთავრობა, რომელიც ეხლა უდგას ქვეყანას სათავეში. დღეს ჩვენთან არის მთელი ხალხი. სოციალისტ-რევოლიუციონერები ეხლა რეაქციის ძალთა მდგომარეობაში არიან, რაკი ოპოზიციაში უდგანან ხალხის მთავრობას. და თუ დამარცხდა ეს მთავრობა, მაშინ დამარცხდება მთელი დემოკრატია და ეს იქნება არა პარტიული დამარცხება, არამედ ესერების და ყველა სხვა პარტიების დამარცხებაც. მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენი პარტია დამარცხდა და ხალხი კი გადარჩა, მაშინ ჩვენ ადგილს დაიჭერს არა ლეო შენგელაია და მისი ამხანაგები, არამედ მემარჯვენეები. ეს კი მათთვის არ არის სასურველი.

წარმოვიდგინოთ, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობის მაგიერ შესდგა ლეო შენგელაიას მთავრობა.

(ორატორს მოჰყავს სია მინისტრებისა ამ კაბინეტში).

და ნუ თუ იტყვის რომელიმე სერიოზული მოქალაქე, რომ ასეთი მთავრობა უფრო იქნება ნდობით აღჭურვილი, ვიდრე ნოე ჟორდანიას მთავრობა? რასაკვირველია, ამის შესახებ თვით ლეო შენგელაია იცინის გუნებაში.

ეხლა შევეხოთ მის კრიტიკას.

მე მსურს შევადარო ორი კრიტიკა: ერთი – მემარცხენე სოციალისტების და მეორე – მემარჯვენე-კონსერვატიული ოპოზიციის კრიტიკა. მე მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ მემარჯვენეთა კრიტიკა უფრო უფრო მაღალ საფეხურზე სდგას, ვიდრე სოციალისტების. ის ცდილობს ფაქტების და საბუთების ნიადაგზე დადგეს და ჩვენ ყურადღებით ვუსმენთ. მაგრამ როცა აქ მემარცხენე ოპოზიცია და ლეო შენგელაია გამოდიან, – ის აწყდება ამ ნიადაგს და სუბიექტური მომენტი შემოაქვს. შენგელაია ხანდახან ისეთს ფრაზებს წამოისვრის, რომელსაც ვნება მოაქვს არა პარტიისათვის, არამედ სახელმწიფოსათვის. მაგალითად, მისი ფრაზა – „ყალბი ბონების მბეჭდავი მინისტრი“, – ეს ხომ ყველა ჩვენს მტრებს სურთ, რომ დასცენ ჩვენი ბონების კურსი და ეკონომიურათ დაგვაუძლურონ ჩვენ. და ეს ფრაზა კი ხელს უწყობს ყველა ამას.

რა სახელი უნდა უწოდოთ?

ეს თვითეულ დეპუტატს გაუვლის თავში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბალშევიკების საინფორმაციო განყოფილებამ მეორე დღესვე გაუგზავნა მოსკოვს ლეო შენგელაიას სიტყვა. ამას თავისებური „პრივკუსი“ აქვს. ასევე მეტი გალაშქრება სიმინდის იძულებით ჩამორთმევის წინააღმდეგ: დემოკრატიულ სახელმწიფოს როგორ შეეფერება იძულებითი ზომაო“?

ნუ თუ ლეო შენგელაიას ვერ შეუთვისებია ის უბრალო დებულება, რომ სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ ის დემოკრატიულია, წარმოადგენს იძულებით ორგანიზაციას და რომ ჩვენი სახელმწიფოც ასეთია? მაგრამ ეხლა ეს იძულება, წინააღმდეგ თვითმბყრობელობის იძულებისა, არის მთელი ხალხის ნებისყოფის იძულებისა, არის მთელი ხალხის ნებისყოფის გამოხატულება რომელიმე კერძო ჯგუფის წინააღმდეგ.

თუ თქვენ, როგორც ანარქისტებს, ეს არ გინდათ, მაშინ უნდა მოიტანოთ იერიში სახელმწიფოს წინააღმდეგ და ყველა აქედან გამომდინარე შედეგებსაც უნდა შეებრძოლოთ. მაგრამ ჩვენ მუდამ ვიყავით მომხრენი ისეთი იძულებისა, რომელსაც ახდენს უმრავლესობა და ასეთი იძულება, ალბათ, ლეოც დამეთანხმება, სოციალიზმის დროსაც ძალიან დიდ ხანს იქნა წარმოებული.

ჩვენ კრიტიკა არ გვაშინებს, მაგრამ იგი ხალხის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ასეთ კრიტიკას სიამოვნებით მივეგებებოდით. დიდი სიბრიყვე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ მოღვაწეობაში არ არის შეცდომები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სწორია საერთო ხაზი, რომლითაც ჩვენ მივდივართ და რომ მხოლოდ ის დაიხსნის ხალხს დარბევისა და განადგურებისაგან. ამ მთავარ ხაზს ახლავს შეცდომები, მათ გამოსასწორებლად საჭიროა კრიტიკა. ასეთი კრიტიკა ჩვენგან უნდა ისწავლოთ. ჩვენ ჩვენივე ორგანიზაციებში ვაწარმოებთ ფართო კრიტიკას იმიტომ, რომ ვიცით, თუ მოკვდა პარტიაში კრიტიკა, – იგი მონასტერი გახდება და მონასტერსავით მოკვდება. მაგრამ ჩვენი პარტია მუდამ უგდებს ყურს კრიტიკას, იგი ცოცხალი ორგანიზმია. აქ კი ხშირად კრიტიკის ნაცვლად კრიტიკანობას აწარმოებენ. ვერ გააკრიტიკეს საერთო ხაზი, მოიყვანეს მხოლოდ წვრილმანი ფაქტები და ესეც კარგია. მათზე შესაფერისი პასუხი მიიღეს მინისტრებისაგან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ მოიტანა დიდი იერიში ლეო შენგელაიამ და ვერაფერი ვერ სთქვა. მე შემიძლია უფრო მეტი ფაქტები მოვიყვანო თვითეულ სამინისტროს წინააღმდეგ, რადგან ლეო შენგელაიას სხვანაირად აინტერესებს ეს დეფექტები, მე კი იმიტომ, რომ ისინი გამოსწორდეს, რათა ის მთავარი ხაზი, რომლითაც ჩვენ მივდივართ, გამართლებულ იქმნეს. მართლაც, ყველაფერი არ არის ისე დაყენებული, როგორც ჩვენ გვინდა. არის მექრთამეობა და სხვა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაარჩინა საქართველოს რესპუბლიკა; რომ იშვიათად მწყობრად ჩაატარა მობილიზაცია და სხვა. ამიტომ, როცა დეფექტების შესახებ ლაპარაკობთ, ნუ დაგავიწყდებათ ჩვენი ორგანიზაციების დადებითი მხარეებიც.

ეხლა საგარეო სამინისტროს შესახებ. ლეო შენგელაიამ სთქვა, რომ ჩვენში არსებობს საიდუმლო დიპლომატია. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ იგი ჩვენში არ არსებობს. ყველაფერი არ უნდა გამოიტანო ბაზარზე. სამწუხაროდ, იმდენათ ნაკლებია ჩვენში საიდუმლო დიპლომატია, რომ ხშირად ქუჩაშიც გამოაქვთ საიდუმლო ამბები. არსებობს ფრაქციები, საგარეო საქმეთა კომისია, და იქ ყველა ფრაქციას შეუძლია მოსთხოვოს პასუხი საგარეო საქმეთა წარმომადგენელს. რომ ეს მოთხოვნა არ ყოფილიყვეს დაკმაყოფილებული, – ამის მაგალითს მე ვერავინ დამისახელებს.

ჩვენში არ არის საიდუმლო დიპლომატია, მაგრამ ბევრი არ ითქმება, თუ რამდენი ჯარისკაცი გვყავს და სხ. მაგრამ მთავარი საკითხები – კომისიებში სწყდება; მაშ ჩვენში არ არის საიდუმლო დიპლომატია. ბალშევიკები ყველაზე უფრო ძლიერი მტრები იყვნენ საიდუმლო დიპლომატიის და დღეს არ არის ერთი მთავრობა, რომელიც ისეთს საიდუმლო პოლიტიკას აწარ-

მოებდეს, როგორც ბალშევიკების მთავრობა.

ამას გარდა, ჩვენ გვეუბნებიან, რომ ხშირად აგვიანებთ რამე ზომის მიღებასო; უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ არ ვიცით დაგვიანება, მაგრამ აჩქარებაც ავანტიურათ მიგვაჩნია. ეს არის ჩვენი მთავრობის თვისება – იგი არც აგვიანებს და არც აჩქარებს.

(გრიგოლ ვეშაპელი: ცისტერნები რათ გაგზავნეთ?)

ცისტერნები გაიგზავნა არც დაგვიანებით, არც დაჩქარებით, მაგრამ აქ რომ მთავრობამ დაარღვია დადებული ხელშეკრულება, ამაში ჩვენ არა ვართ დამნაშავენი.

აგრეთვე ჩვენმა მთავრობამ თავის დროზე მოახდინა მობილიზაცია, არ აჩქარდა, არ გასწია დიდი ხარჯები და არ დაატოვებინა ხალხს მუშაობა. დღეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომ ბალშევიკები კარგა ხანი ალბათ წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ და ამაშია უდიდესი სიბრძნე ჩვენი მთავრობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროსი.

მე ვიცი, როცა სპირიდონ კედია ლაპარაკობს დაგვიანების შესახებ. მას ახსენდება სომხეთთან ომი, მაგრამ ამ ომში ჩვენი უდიდესი გამარჯვება იყო არა ეკატერინენფელდში, არა შულავერში, არამედ ის, რომ ჩვენ დროზე შევკარით ზავი.

ჩვენ არ ჩავერიეთ ავანტიურაში.

ჩვენ შეგვეძლო ერევნის და გუმბრის აღება, მაგრამ ჩვენ რომ დროზე არ შევჩერებულიყავით, შეიძლება, მაშინ ის დენიკინი, რომელმაც ექვს თებერვალს აიღო სოჭი, შესაძლებელია 26 თებერვალს აიღებდა სოხუმს და საქართველოსაკენ გამოეშურებოდა. მაგრამ ჩვენი გამარჯვება მდგომარეობს არა იმაში, რომ ვამარცხებთ მტერს ხელჩართულ ბრძოლაში, არამედ იმაში, რომ ჩვენ ვიცით დროზე შეჩერებაც. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, – ჩვენ „დაშნაკციუტუნის“ ბედი გვეწეოდა.

იყო კიდევ ერთ სამინისტრო, რომლის წინააღმდეგ იერიშები მოჰქონდათ იმიტომ, რომ ეგონათ მისი ხელმძღვანელი მუნჯი არისო. მაგრამ, როდესაც ის ამეტყველდა, მაშინ ჩვენმა ძველმა მეგობარმა შალვა ნუცუბიძემ კომპლიმენტებიც კი უძღვნა მას. მე თამამად ვიტყვი, რომ მუშათა კლასი უნდა ამაყობდეს ამით, რომ მან თავის რიგებიდან ასეთი მინისტრი გამოჰყო. მაგრამ თქვენ გაგაკვირვებთ კიდევ სხვა მუშები, რომლებსაც არ მიუღიათ უმაღლესი სწავლა. მუშებმა უდიდესი როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის გადარჩენის საქმეში. ერაძე ყველაზე უფრო ძნელ სამინისტროს ჩაუდგა სათავეში და დიდი ენერგია და უნარიც გამოიჩინა. თქვენ იტყვით დეფექტების, აგენტების უვარგისობის შესახებ; ეს მართალია, მაგრამ საერთოდ ვერავინ იტყვის, რომ ერაძემ ვერ გაამართლა ის ნდობა, რომლითაც ის იყო აღჭურვილი მთელი ხალხის მიერ. ერაძის ლაპარაკს თქვენ ყურადღებით უსმენდით; მაგრამ კარგი ლაპარაკი არ კმარა, საჭიროა კარგი საქმეც.

ჩვენ შინაურ პირობების დახასიათების დროს ერთი რამ ცხადია: ჩვენ არ გვყოფნის საკუთარი ხორბალი და საჭიროა დიდი ენერგია ამ საქმეში.

შემდეგ, ჩვენ არას დროს არ გვყოლია ისეთი დიდი ჯარი, როგორც ეხლა; ამას გარდა, ჩვენ გარს გვერტყა ნამდვილი ნოლადა – და ასეთ პირობებში ერაძის სამინისტრომ შესძლო ეს: მან მისცა პური ჯარსა და გვარდიას და იგივე არჩენს აუარება მუშა-მოსამსახურეებს.

კრიტიკა ძლიერ ადვილი საქმეა, მაგრამ მხოლოდ წვრილმანებს აკრიტიკებენ. აი პური რომ გაფუჭდა, ... არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოხდენილი დემობილიზაცია, იყო ცუდი ამინდები, ვერ ხერხდებოდა პურის გალეწვა. ერაძე საშინელ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული და ამან გამოიწვია პურის ღირსების დაცემა, მაგრამ პური მაინც გვეძლეოდა. იყო დეფექტები, ამან გამოიწვია კიდეც მთავრობის თავმჯდომარის ცნობილი ბრძანება, მაგრამ მიიღეთ მხედველობაში ცუდი პირობები და მაშინ იტყვით, რომ მუშა-მინისტრმა ერაძემ შესძლო დიდი საქმის გაკეთება.

ეხლა რამოდენიმე სიტყვა შალვა ნუცუბიძეს. მან განაცხადა, რომ არ არსებობს ქვედა პალატა და იგი არ არის სრულუფლებიანი, რომ იქაც არის არისტოკრატია და დემოკრატია. პირველის შესახებ უნდა ითქვას, რომ ყველა პარტიას ჰსურს გამარჯვება და გაბატონება და თავისი პოლიტიკის გატარება როგორც ბატონ გობეჩიას, ისევე სოციალისტ- ფედერალისტებსაც. ამ მხრით ისინი უნდა შეურიგდნენ არსებულ მდგომარეობას, ესე იგი ერთი პარტიის გეგემონიას. მაგრამ არისტოკრატიის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ეს არ არის მართალი. ჟორდანია, მაგალითად არის დიდი კაცი, სდგას მთავრობის და პარტიის სათავეში? მაგრამ პარტიულ ცხოვრებაში ის უბრალო წევრია და ხშირად მის მოქმედებას ვაკრიტიკებთ.

ჩვენთან არ არის პიროვნების კულტი. არის მხოლოდ არგუმენტების შეთვისება, მოსაზრებების მხედველობაში მიღება.

საერთოდ, მემარცხენე ოპოზიციის გამოსვლებს წვრილმანი კრიტიკანობის სურვილი ამოძრავებდა. მათ სურდათ რაიმე ეთქვათ და შემდეგ რა იქნებოდა, ამას აღარ ეძიებენ. ხალხისათვის ხან ამასაც აქვს მნიშვნელობა. მაშ მოიტანეთ ეს თქვენი ფაქტები, ამოალაგეთ პორტფელებიდან კომისიებში და თქვენ ნახავთ, რომ წინანდელსავით დამარცხდებით.

მე ვათავებ.

გულდასმით მოვუსმინე ოპოზიციის კრიტიკას, მაგრამ მათმა კრიტიკამ ვერ დამარწმუნა. ისინი წვრილმანებს ეხებოდენ და აქედან ის დასკვნა გამომყავს, რომ ჩვენი ხაზი არის ერთად-ერთი სწორი ხაზი, რომელიც გადაარჩენს ჩვენს ხალხს დაღუპვისაგან. ამ ხაზს სჭირდება ხანდახან გამოსწორება, და ამას, ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, მოიმოქმედებს არა ოპოზიციის კრიტიკა, არამედ მხოლოდ ჩვენი ფრაქცია და მთავრობა.

(ტაში).

იოსებ გობეჩია (სოც.-რევოლ.): ვრცელ სიტყვაში აკრიტიკებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეებს, აღნიშნავს დაგვიანებას საზღვარგარეთ სესხის აღების საკითხში, რასაც დიდ დანაშაულობათა სთვლის ქვეყნის წინაშე. შემდეგ მოჰყავს მაგალითი იმ დეფექტებისა,

რომლებსაც ჰქონდა ადგილი თამბაქოს მონოპოლიის გატარების საქმეში და პურის მომარაგებაში.

სხდომის დასასრულ წაკითხულ იქნა განცხადება იუსტიციის მინისტრისა, რომელიც ითხოვდა, რომ დამფუძნებელ კრებას გადაეცა შალვა ნუცუბიძის მიერ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება გასარჩევად იურიდიულ კომისიაში.

დამფუძნებელმა კრებამ ეს წინადადება მიიღო.

გაზ. „ერთობა“, № 18. ოთხშაბათი, 26 იანვარი, 1921 წ.

* * *

დამფუძნებელი კრება

იანვრის 4

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

თანახმად ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენებისა, მიღებულ იქნა ეს დეკრეტი – დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის 200.000 მანეთის გადადებისა.

შემდეგ გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

ვლადიმერ ჯუღელი. (ს.-დ.) აქ განაცხადეს, რომ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს არ არის მართალი. მთელი ქართველი ხალხი მთავრობას ნდობით ეპყრობა. მთელი ისტორიის განმავლობაში საქართველოს არ ჰყოლია ისეთი პოპულარული და ხალხოსნური მთავრობა, როგორც ჰყავს დღეს. ამიტომ სოც.-რევოლ, რომლებიც მთავრობას ებრძვიან, ობიექტურად კონტრ. რევოლუციონურ საქმეს აკეთებენ, ვინაიდან ჩვენი მთავრობის დამარცხება დღევანდელ პირობებში იქნება ჩვენი დემოკრატიის დამარცხება.

მე მინდა შევადარო ორი კრიტიკა: კრიტიკა, რომელსაც აკეთებს აი ეს მემარჯვენე ფრთა და სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ კრიტიკა სპირიდონ კედიასი ბევრად უფრო საყურადღებოა, ვიდრე შენგელაიასი. ეს იმიტომ, რომ სპირიდონ კედია ცდილობს მოიყვანოს საბუთები, ფაქტები და მათ

ნიადაგზე დადგეს. მემარცხენე ორატორებს კი თავის მსჯელობაში სუბიექ-ტური და დემაგოგიური მოტივები შეაქვთ.

ოპოზიციას არაფერი უთქვამს თითქმის შინაგან საქმეთა სამინის-ტროზე. მე მეტი ფაქტები შემიძლია მოგიყვანოთ, თუ როგორი შეცდომები არის ამ სამინისტროში. მიბრძანდით სამინისტროში და ის თვითონ მოგახ-სენებთ, რომ აპარატი არ არის სრულიად მოწყობილი, რომ ადმინისტრაცია ბოროტად იყენებს მდგომარეობას და სხ. არის, ბატონებო, ნაკლი. ამას არა-ვინ ფიცავს. შეგიძლიათ თქვენ სთქვათ, რომ სამინისტრო არ იღებს ზომებს მათ გამოსასწორებლად? ამის თქმა არ შეგიძლიათ. როდესაც ნაკლზე ლაპა-რაკობთ, ერთი დადებითი მხარეც აღნიშნეთ. დადებითი კი ის არის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდათ შეუწყო ხელი რესპუბლიკის განმტ-კიცებას.

შემდეგ ორატორი ახასიათებს საგარეო სამინისტროს და მომარაგე-ბის სამინისტროს და ამბობს, რომ შეცდომები ყველგან იყო, მაგრამ მთა-ვარი ხაზი სწორი იყო და ამ შეცდომების გამოსასწორებლად თვით იღებდა ზომებსო.

დასასრულ, ორატორი ამბობს: შალვა ნუცუბიძემ სთქვა, რომ სოც. დემოკრატიაში არის არისტოკრატია და დემოკრატია. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. არც ერთი პარტია არ არის ისეთი დემოკრატიული, როგორც ჩვენი პარტია. ამის თქმა აქ დაუშვებელია და დემაგოგიური მიზნით არის ნახმარი. აი, ეს ფრთა უფრო სერიოზულ კრიტიკას აწარმოებს და მთავრობა-საც მეტ ყურადღებას მიაქცევს მას.

(სამსონ დადიანი: ნამეტანი ბევრი რევერანსები მოგივიდათ).

საშუალება რომ მქონდეს, მეტ რევერანსებს თქვენ მოგიძღვნით.

(სამსონ დადიანი: არ ვსაჭიროებთ).

ჩვენში რომ არისტოკრატია არ არის, ეს იქიდან მტკიცდება, რომ ნოე ჟორდანიაც კი, რომელსაც თქვენ დიდ პატივსა სცემთ და მთავრობის თავ-მჯდომარე არის, ჩვენთან „რიადავოი“ წევრად ითვლება.

სოც.-დემ. შეაქვთ წინადადება ორატორისათვის ვადის განსაზღვრის შესახებ. წინადადება ოპოზიციის ხმებით უარყოფილ იქნა.

შემდეგ სიტყვა იოსებ გობეჩიას ეძლევა.

იოსებ გობეჩია (ს. რ.): ორატორი აღნიშნავს იმ შეცდომებს, რომელსაც მთავრობა სჩადის და ამ შეცდომების საილუსტრაციოდ მოჰყავს ზოგიერთი ფაქტები. იგი ეხება რა თავის მისიაში ყოფნას, ლაპარაკობს შემდეგს: პარიზ-ში ჩვენი მისიის ყოფნის დროს გავიგეთ, რომ იმ აუარებელ საქონელს, რომე-ლიც დარჩა ამერიკას ევროპაში ომის შემდეგ, აძლევდა სესხის სახით ახლად აღორძინებულ სახელმწიფოებს. ჩვენ გავიგეთ, მაგალითად, რომ ასეთი სესხი 28 მილიონ დოლარის სახით აიღო იმ უკრაინის დელეგაციამ, რომელიც „დე ფაქტოც“ არ იყო აღიარებული. მიიღო სესხი აგრეთვე ლატვიამ და სხვებ-მა. ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა,

ამიტომ მისიამ გადაწყვიტა მიეღო ზომები ამ სესხის ასაღებად. ამის შესახებ სათანადო მოლაპარაკებაც გაიმართა. მალე ჩვენთვის სასარგებლო ხელშეკრულებაც დავდევით. ყველა ეს ცნობები გამოუგზავნეთ მთავრობას, მაგრამ არვითარი პასუხი არ მიგვიღია. როგორც გამოირკვა, ეს მთავრობას არც კომისიებისათვის და არც არავისთვის არ უცნობებია. ამ საკითხში მთავრობამ მომაკვდავი შეცდომა ჩაიდინა და საქართველოს დიდი ზარალი მიაყენა. გარდა ამისა, შვეიცარიაში დაარსდა „შვეიცარია-საქართველოს ეკონომიური საზოგადოება“. ამისთვის დაიხარჯა დიდი თანხა – დაახლოვებით 15.000 შვეიცარიული ფრანკი, რაც 200.000 მან. უდრის. ამ საქმეს სათავეში ჩვენი მართველი ფრაქციის ლიდერი უდგა. დაიქირავა სახლი, შეიძინა ავეჯეულობა. შემდეგ ეს საქმე სკანდალით დასრულდა. საქმე შვეიცარიის სასამართლოს გადაეცა. ეს საქმე ჯერაც არ არის დამტავრებული.

(ხმები: ვინ არის, ვინ არის ის პირი?)

აკაკი ჩხენკელი.

(ხმაურობა. ხმები: „სად არის ავეჯეულობა“. „ვოიტინსკის დარჩება ალბათ“).

ავეჯეულობა სად არის, არ ვიცი.

(კონსტანტინე გვარჯალაძე ადგილიდან ცხარობს: ტყუილია. შენ კარგად იცი, რომ ის ჩვენ მისიებს გადაეცა. ცილს რატო სწამებთ?)

თავმჯდომარე: გთხოვთ, დაწყნარდეთ.

კონსტანტინე გვარჯალაძე: ცილს რატო სწამებთ?

თავმჯდომარე: ბატონო გვარჯალაძე, გთხოვთ დაწყნარდეთ. ჩაეწერეთ და შემდეგ სთქვით სიტყვა.

კონსტანტინე გვარჯალაძე: სირცხვილია ეს! სირცხვილია! (ხმაურობა. ზარი. თავმჯდომარე აწყნარებს კრებას და ორატორი განაგრძობს).

სასკანდალო საქმე დაემართა აგრეთვე ჩვენს თუთუნს. აქ სთქვეს, ევროპაში ჩვენს თუთუნს ბაზარი მოუპოვეთო. ეს არ არის მართალი; ბაზარი კი არ მოუპოვა ჩვენს თუთუნს მთავრობამ, პირიქით, წაართვა იგი. და ეს ქნეს არა კერძო პირებმა, არამედ მთავრობამ, ვინაიდან ყოველ კერძო პირს, ვისაც იქ თუთუნი ჩამოჰქონდა, თან მოჰყვებოდა მთავრობის წარმომადგენელი და ისე გააფუჭეს საქმე, რომ ჩვენ ეკონომიურ მისიას კანდელაკის მეთაურობით, იმის მაგივრად, რომ თავისი პირდაპირი საქმე ეკეთებია, ამ საქმის ლიკვიდაციას მოუნდა.

დასასრულ ორატორი ეხება იმ უამრავ კონტრაგენტებს, რომელიც გაგზავნილი ჰყავს მთავრობას ევროპაში, და აღნიშნავს, რომ ამ ხალხზე დიდძალი თანხა იხარჯება და ამის ფასს კი არაფერს არ აკეთებენო.

მსჯელობა შემდეგისათვის გადაიდვა.

გაზ. „სახალხო საქმე”, № 1022. 6 იანვარი, 1921 წ.

* * *

დამფუძნებელი კრება: შთაბეჭდილებანი

დამფუძნებელი კრების 4 იანვრის სხდომა მეტად დაგვიანებით გაიხსნა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრების უმრავლესობა არავითარ მონაწილეობას არა იღებდა არასოდეს დამფუძნებელ კრების მუშაობაში, თუ არ ჩავთვლით ასეთად მათ უაზრო წამოძახილებს, ტაშის დაკვრას და ხმაურობის ატეხას. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის არისტოკრატიის – ბიუროს დირიჟორობით. ცხადია, სხვისი დირიჟორობით ასეთი „მუშაობა“ მოსწყინდა სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის უმრავლესობას. ამით აიხსნება, რომ ეს სოც.-დემ. დეპუტატები მაინც და მაინც დიდის ხალისით არ ესწრებიან სხდომებს და სოც.-დემ. ფრაქციის ბიუროს „რეპრესიებით“ უხდება მათი შეკრება ქვორუმისათვის. სხდომები მეტად დაგვიანებით იხსნება და არ სოც.-დემ. დეპუტატებს უხთებათ მთელი საათობით ცთა და ყურება, თუ როდის შეიკრიბებიან ეს სოც.-დემ. დეპუტატი – სტატისტები.

ამ გარემოებას ერთხელ უკვე მიაქცია ყურადღება ჩვენმა ფრაქციამ. ახლა ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელს ილია ნუცუბიძეს მეორეჯერ მოუხთა გამოსვლა რეგლამენტის დარღვევის გამო. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიღებული იქნება ზომები, რათა მომავალში ამას ალაგი არ ექნესო. მეტად დამახასიათებელია, რომ სოციალ-დემოკრატია იძულებულია დაჯარიმებას და სხვა რეპრესიებს მიმართოს, რათა თავის ფრაქციის წევრები მოიყვანოს დამფუძნებელ კრების სხდომაზე.

სხდომის წესრიგის მთავარი საკითხია: განგრძობა მსჯელობისა მთავრობის განცხადების გამო. სოც.-დემ. ფრაქციის სახელით ლაპარაკობს ბატონი ვალიკო ჯუღელი. ბატონი ჯუღელი წინეთ ძლიერ იშვიათად გამოდიოდა დამფუძნებელ კრებაში. ის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, გარეშე საფრთხის დროს გამოდიოდა და საპარადო, სამიტინგო „რეჩებით“ უმასპინძლდებოდა დამფუძნებელ კრებას. ამ ბოლო ხანებში სოც.-დემ. გარეშე ფრონტზე უფრო საშიშოთ შინაური ფრონტი ჩასთვალა. სოც.-დემ. ფრაქციის დაშლა უკვე ფაქტია. ძალები გადნა და აი ბატონი ჯუღელიც *„მოხსნეს გარეშე ფრონტიდან“* და შინაურ ფრონტზე გამოუშვეს.

ამ ბოლო ხანებში ბატონი ჯუღელი ხშირათ გამოდის მთავრობის დასაცავათ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ დამფუძნებელ კრებაში, ის სრულიად გამოუსადეგარია ამ ფრონტზე. მას მართლაც არ ეხერხება პარლამენტარული მუშაობაო. სულ ცოტა ხანია, რაც ამან სისტემატიურათ დაიწყო ეს მუშაობა და უკვე მოასწრო რამოდენიმე სკანდალის მოხთენა. ამ სხდომაზე მის გამოსვლას არ ეტყობოდა ჩვეულებრივი ყოყოჩობა. ის, როგორც იტყვი-

ან, რაღაც წელმოტეხილი ლაპარაკობდა. აღარ გაისმოდა ჩვეულებრივი ბაქიაობა და ტრაბახობა. ამ სხდომაზეც ბატონი ჯუღელი ხშირათ მიმართავდა დემაგოგიას. მან შეეცადა ოპოზიციის ორატორებისთვის პასუხი გაეცა და მათი საბუთების დარღვევა.

მეტად საინტერესო იყო ბატონ ჯუღელის მიერ მომარაგების სამინისტროს დაცვა.

თუმცა მართალია, მომარაგების მინისტრი რამოდენიმე თვის განმავლობაში ხალხს პურის მაგიერ ტალახს აწვდიდა, მაგრამ საერთო მისი მოღვაწეობა მოსაწონისიაო; თუმცა მომარაგების სამინისტროს დიდი დეფექტები აქვს, მაგრამ მისი პოლიტიკა მაინც მისაღებიაო, და შემდეგ მოყვა ბატონ ერაძის ქება-დიდება. ბატონმა ჯუღელმა განაცხადა, რომ ჩვენ კრიტიკას არ გავურბივართ, მაგრამ ისეთი რამეების თქმა, როგორიც აქ იკადრეს, დაუშვებელიაო.

როგორც ეტყობა, სოციალ-დემოკრატიას გულში მოხვედრია ბატონ არსენიძის ერთი ტომარა ფქვილის ისტორია.

ბატონმა ჯუღელმა თავის სიტყვა მიტინგურათ დაათავა: „გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას და სოციალ-დემოკრატიასო!“

ჯუღელის სიტყვის შემდეგ სოც.-რევოლ. ფრაქციის სახელით გამოდის ამხანაგი იოსებ გობეჩია. მან თავის ვრცელ სიტყვაში, სხვათა შორის, ფარდა ახადა იმ ნაწილს სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობისას, რომელიც ყველაზე უფრო იყო ბურუსით მოცული. სხვათა შორის, მან აუარებელი ფაქტები მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ფლანგავენ სოციალ-დემოკრატიის აგენტები საზღვარგარეთ სახალხო ქონებას; თუ როგორ დაუზოგველათ ხარჯავენ მილიონებს და საქმის გაკეთების მაგიერ ახდენენ კიდევაც. საქართველო-შვეიცარულ ეკონომიურ საზოგადოების დაარსების და ბედის ისტორიამ და ამერიკის სესხისა შეუვალობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს დამფუძნებელ კრებაზე.

ორატორმა მოიყვანა იმის საბუთები, რომ სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოს ფულს პარტიულ მიზნებისთვის ხარჯავდე. მან აღნიშნა, რომ ევროპაში მყოფი სოციალ-დემოკრატიის აგენტები მილიონებს ღებულობენ თვეში. მაგალითად, ბატონი სკობელევი (მთავრობის აგენტი ევროპაში) თვეში 4 მილიონ მანეთს ღებულობსო. „ხალხმა უნდა იცოდეს ყველაფერი ესო“ – ამბობდა ორატორი.

ამხანაგი იოსებ გობეჩიას სიტყვამ დიდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო სოც.-დემ. განსაკუთრებით ღელავდა და ხელს უშლიდა ორატორს ბატონო კონსტანტინე გვარჯალაძე (ყოფილი წევრი საქართველოს დელეგაციისა საზღვარგარეთ). სოც.-დემ. სკანდალურ მდგომარეობაში ჩავარდა. აღელვება ძლიერ ეტყობა სოც.-დემოკრატთა თავმჯდომარეს ალექსანდრე ლომთათიძესაც კი, რომელიც ხშირად აძლევდა უადგილო შენიშვნებს სოც.-რევ. ფრაქციის წევრებს.

სოც.-დემოკრატებმა ვერ გაუძლეს მათთვის სამარცხვინო სასკანდალო ფაქტების მოსმენას და ამხანაგ იოსებ გობეჩიას არ მისცეს საშვალება გადმოელაგებია ყველა ფაქტები.

ორატორს, მიუხედავათ ოპოზიციის დაჟინებით მოთხოვნისა, სოციალ-დემოკრატებმა არ გაუგრძელეს ლაპარაკის დრო და მით საშვალება წაართვეს ეთქვა ყველაფერი, რაც სათქმელი იყო.

* * *

ნაღმი: 4 იანვრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე. სხდომის გახსნისას რეგლამენტის დარღვევის გამო სიტყვას იღებს ილია ნუცუბიძე.

ილია ნუცუბიძე: სამწუხაროთ, რეგლამენტის დარღვევამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. სხდომები დანიშნულ ვადას მაგიერ იხსნება ორი-სამი საათის დაგვიანებით. დეპუტატები იძულებულნი არიან მთელი საათები იცადონ აქ, მაშინ როდესაც მათ აუარებელი მოვალეობანი აწევთ. ასეთ ინდეფერეტიზმი, რომელსაც იჩენენ დამფუძნებელ კრების წევრები სხდომაზე დაგვიანებით და ხშირათ არდასწრებით სახელს უტეხს თვით დამფუძნებელ კრებას. საჭიროა, ბოლო მოეღოს ასეთ უწესრიგობას.

თავმჯდომარე: რეგლამენტის დარღვევა გამოწვეულია არა პრეზიდიუმის მიერ. თვით დეპუტატები არ იკრიბებიან თავის დროზე, რის გამო თვით პრეზიდიუმს უხდება მთელი საათობით ცდა, რათა ბოლო მოეღოს ამ მოვლენას. პრეზიდიუმს აუცილებლათ მიაჩნია აღდგენილ იქნას დაჯარიმების წესი. საჭიროა თვით ფრაქციებმაც მიიღონ ზომები, რათა სხდომა თავის დროზე დაიწყოს.

ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენებით დამფუძნებელ კრების ბიბლიოთეკის საჭიროებისთვის გადადებულ იქნა 2 მილიონი მან.

ვალიკო ჯუღელი: (ს. დ.) მთავრობას აკრიტიკებენ ორი მხრით: მარჯვნიდან და მარცხნიდან, მაგრამ მემარჯვენეების ოპოზიცია უფრო მაღლა დგას, ვინემ მემარცხენეების...

(ივანე გობეჩია: კომპლიმენტია მემარჯვენეებისადმი?!)

ჩვენი ხალხი ენდობა მთავრობას.

(ლეო შენგელაია: საიდან სჩანს ეს?)

ხალხი ფიქრობს, რომ მხოლოთ ამ მთავრობას შეუძლია შექმნილ მდგომარეობიდან ხსნა...

(ლეო შენგელაია: რას ფიქრობს, თვით თქვენი ფრაქცია მთავრობაზე?)

ზოგიერთი გამოსვლები ოპოზიციის მხრით, მაგალითად, არსენიძის ერთი ტომარა ფქვილის შესახებ, დაუშვებელია.

ჯუღელის სიტყვის შემდეგ სოციალ-დემოკრატებს შემოაქვთ წინადადება ორატორის დროს შეზღუდვისა.

წინააღმდეგ ამ წინადადებისა გამოდის ლეო შენგელაია.

ლეო შენგელაია: ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ლაპარაკის ვადის შეზღუდვისა. ჩვენ მოვისმინეთ მთავრობის სახაზინო რაპორტი: ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი კარგათ მიმდინარეობსო. სოც.-დემ. ფრაქციას სურს თავის ბეჭედი დაასვას ამ რაპორტს და ფელდფებელივით ფრონტში ჩაუდგეს მას. ჩვენ აუარებელი ფაქტები გვაქვს მთავრობის საწინააღმდეგოთ. მოგვეცით საშვალება ვსთქვათ, რაც სათქმელია.

ორატორის ლაპარაკის დროს შეზღუდვა მით უფრო არ შეიძლება, რომ ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს თავისი აზრი ერთ ფრაქციას. ეს არის ახალი, მეორე პარტია თქვენი ფრაქციისა.

(იოსებ სალაყაია: მთავრობის პოლიტიკის შესახებ ბევრი რამ ითქვა. საკმარისია ისიც, რაც ითქვა.)

ოპოზიციის ხმებით უარყოფილ იქნა წინადადება ლაპარაკის ვადის შეზღუდვისა.

იოსებ გობეჩია: (სოც.-რევ) მართალია მთავრობის განცხადების გამო დიდი კამათი გაიმართა, ბევრი ითქვა, მაგრამ წამოყენებული საკითხები იმდენათ რთული და მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ სავსებით ამოწურული არ არის. სათქმელი კიდევ ბევრია.

ოპოზიციის გამოსვლას და განსაკუთრებით ჩვენი ფრაქციის მიერ წაყენებულ დებულებებს და ფაქტებს უმრავლესობას ფრაქცია ხმაურობით და აურზაურით შეხვდება. მმართველი ფრაქციის ორატორებმა ჩვენს ფაქტებს მხოლოდ დემაგოგიით უპასუხეს. მართალია, ჯუღელის დღევანდელი გამოსვლის კილო ცოტა სხვანაირი იყო. ის თავის სიტყვის დიდ ნაწილში ნოტაციებს უკითხავდა აქ ოპოზიციას. ოპოზიცია, ბატონებო, არ საჭიროებს თქვენს ნოტაციებს, მას კარგათ ესმის თავის მოვალეობა. სჯობია, ასეთი ნოტაციები თქვენს ფრაქციას წაუკითხოთ.

(ლეო შენგელაია: მთავრობასაც!)

დიახ, მთავრობასაც.

მთავრობა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს იმ ფაქტებს, რომლებსაც ოპოზიციის ორატორები აყენებენ. ფაქტებს დემაგოგიას ნუ დაუპირდაპირებთ. ჩვენი გამოსვლები აქ გამოწვეულნი არიან სახელმწიფოებრივი ინტერესებით. მმართველი პარტია კი თავის პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვინემ სახელმწიფოებრივს. ჩვენი საქმიანი ოპოზიცია ამას მთელის თავის არსებით ებრძვის და მომავალშიაც შეებრძოლება.

მმართველი პარტია მთელს საქართველოს თავის პარტიულ მონოპოლიათ აცხადებს. მაგრამ ასეთ მონოპოლიას ალბათ ისეთივე ბედი ეწევა, როგორც

ჩვენს სხვადასხვა სამონოპოლიო საქონლებს (ტაში სოც.-რევ. სკამებზე).

თვით მენშევიკები კარგათ გრძნობენ, რომ ხალხი უკმაყოფილოა მთავრობითა და მისი პოლიტიკით, მთავრობის ვითომდა რეორგანიზაციით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს არავითარი არსებითი ცვლილება არ მოუხდენია.

მთავრობის პოლიტიკაც ძველი რჩება. ამ პოლიტიკას კი ჩვენ არ ვიზიარებთ, და ამიტომ მას ისევე შევებრძოლებით მომავალშიც, როგორც წინათ.

აქ სთქვეს, რომ სოც.-რევ. მთავრობა ვერ შესძლებს გაუძღვეს ქვეყნის მართვა-გამგეობასო. მაგრამ მშრომელი ხალხი, რომელიც გადააყენებს თქვენს მთავრობას, დარწმუნებული იქნება, რომ სოც.-რევ. პარტია შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. იმ გარემოებას, რომ საქართველო ცნობილ იქნა დე-ფაქტოთ; რომ ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი დამოუკიდებლობა, მენშევიკები თავის მუშაობის შედეგათ სთვლიან, მაგრამ ეს მხოლოდ ტრაბახია მათი მხრით და მეტი არაფერი. ჩვენი დე-ფაქტოთ ცნობა გამოწვეული იყო ობიექტური პირობებით შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობით (დენიკინის დამარცხებით და სხვა).

პარიზში ჩვენს დელეგაციას მას შემდეგ დაუწყეს ძებნა და ლაპარაკი, როცა საქართველო უკვე ცნობილ იყო დე-ფაქტოთ. ქართველი ხალხი ბუნებით არ არის ავანტიურისტი, არ გაყვება არც იმპერიალისტებს და არც ბოლშევიკებს. ქართველი ხალხი ძველათაც ცნობილი იყო თავის სიმამაცით. მას ძველათაც ერთ ხელში გუთანი ეკავა და მეორეში ხმალი და ისე იცავდა თავის თავს. ეხლაც ასეა. ქართველი ხალხი, მისი ჯარი და გვარდია იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას. მენშევიკები აქ არაფერ შუაში არიან. სერიოზულათ ლაპარაკი, რომ ეს მთავრობის წყალობით არის შესაძლებელი, ეს მხოლოდ მენშევიკური ტრაბახია.

მთავრობას თავის ნიჭი და შემოქმედებითი უნარი ეკონომიურ სფეროში უნდა გამოეჩინა, მაგრამ სწორეთ აქ მან ვერ შეასრულა თავის მოვალეობა. მთავრობის ეკონომიურმა პოლიტიკამ ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანა, ჩვენი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება.

მთავრობა თავს იმით იმართლებს, რომ სხვა ქვეყნებში უარესი მდგომარეობა არისო, მაგრამ ეს არ არის მართალი. სხვა ქვეყნებში მთავრობებმა ის მაინც შესძლეს, რომ მდგომარეობა არ გაუარესებულიყო, თუ არ გაუმჯობესდებოდა. ჩვენი მდგომარეობა კი თანდათან უარესდება. ასეც რომ იყოს, განა შეიძლება სხვისი სიგლახით საკუთარი სიგლახის გამართლება!

შექმნილი კატასტროფიული მდგომარეობა შედეგია მთავრობის უნიჭობისა და მისი უმოქმედობისა.

მე მინდა აქ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტები და მაგალითები მოვიყვანო მთავრობის უმოქმედობისა, მისი ნამდვილი დანაშაულისა.

როგორც იცით, ამერიკას აუარებელი საქონელი ჰქონდა დამზადებული ომის საჭიროებისათვის. ამერიკა ომებში გვიან ჩაერია. ომი გათავდა. ეს საქონელი კი, რომელიც დამზადებულ იყო ომისათვის, ამერიკას შექმ-

ნილ პირობებსა და მდგომარეობის გამო ან უნდა გაენადგურებია ანდა სხვა მხრით მოეხმარა.

პარიზში მაშინ სხვადასხვა ახლათ შექმნილ პატარა სახელმწიფოების დელეგაციები იყვნენ. თითქმის ყველა დელეგაციამ ისარგებლა ამ იშვიათი შემთხვევით და თავიანთ სახელმწიფოებისათვის მიიღეს ეს სესხი. მაგალითად, უკრაინის დელეგაციამ 28 მილიონ დოლარის ღირებულების საქონელი მიიღო.

ა) საქონლის, სავალიუტო საქონლის სესხათ მიღება საქართველოსაც შეეძლო. ჩვენ რომ ეს საქონელი მიგვეღო მაშინ, ასეთი კატასტროფიული მდგომარეობა არ იქნებოდა ეხლა ჩვენში. იქ იყო აუარებელი საქონელი: ორთქლმავლები, ავტომობილები, მანუფაქტურა და სხვა.

ამ საქონლის მოტანა შეიძლებოდა და ...

(ხმა: იმასაც შესჭამდენ და გაანიავებდნენ, რომ მოეტანათ!)

ყველაფერი მზათ იყო საქონლის საქართველოში გამოსაგზავნათ. საჭირო იყო მხოლოდ მთავრობის დასტური. დელეგაციამ შემოუთვალა იმის შესახებ ყველაფერი მთავრობას. პირადათ მეც რამოდენიმე წერილი გამოვაგზავნე საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაგრამ მთავრობამ ამას ყურადღება არ მიაქცია, პასუხიც კი არ გაგვცა. ეს იყო მთავრობის უდიდესი დანაშაული.

დამფუძნებელმა კრებამ და მისმა წევრებმა ამ ფაქტის შესახებ არაფერი იციან. მთავრობა ვალდებული იყო ეს ეცნობებინა დამფუძნებელ კრების კომისიებისათვის, დამფუძნებელ კრების წევრებისათვის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ასეთი ფაქტები მრავალია, ყველაზე ვერ შევჩერდები. მხოლოთ იმის დასახასიათებლათ, თუ როგორ ექცევიან სახალხო ქონებას, როგორ ხარჯავს ხალხის ფულებს, მოვიყვან ერთ ფაქტს:

საქართველოს დელეგაციის ევროპაში ყოფნის დროს განიზრახეს საქართველო-შვეიცარიის ეკონომიური საზოგადოების დაარსება. ამ საქმეს სათავეში უდგა ერთი ხელმძღვანელთაგანი საქართველოს სოციალ-დემოკრატიისა.

(ხმები: ვინ, ვინ?)

ამ საზოგადოების დაარსებაზე დაიხარჯა აუარებელი ფული. საზოგადოებისთვის ნაყიდი იქნა მოწყობილობა, ქონება ღირებული 12 მილიონ მანეთად, მაგრამ ბოლოს ეს საქმე სკანდალით დამთავრდა. საზოგადოების დაარსება არ მოხერხდა. საქმის ხელმძღვანელი თავს იმით იმართლებდა, რომ „ოკაზივაეტსია მი იმელი დელო ს ჟულიკამი ი პადლეცამი“...

(ლეო შენგელაია: კარგ ხალხთან დაუჭერია საქმე!)

ბოლოს ისეთი შეიქნა, რომ შვეიცარიის სასამართლო გადავიდა საქმე. ვექილის აყვანაც კი დასჭირდათ.

(ვალიკო ჯუღელი: თქვენ რა გააკეთეთ?)

მე რა გავაკეთე, ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ, ეხლა კი სჯობია ფაქტები მოვისმინოთ.

ჩემი ევროპიდან წამოსვლისას სასამართლოში საქმე გათავებული არ იყო. ამ საზოგადოების მონაწილე შვეიცარიელები ზარალის ასანაზღაურებლათ ითხოვენ 38 მილიონ მანეთათ.

(ხმაურობა: ხმები: დაასახელეთ, ვინ იყო ამ საქმის მეთაური?)

მე არ მინდოდა აქ პიროვნებებზე მელაპარაკა, მაგრამ რადგანაც ჩემგან დაჟინებით ითხოვდნენ ამას, უნდა ვსთქვა: ამ საქმის მეთაური იყო ბატონი აკაკი ჩხენკელი (ხმაურობა).

ამ რიგად, ამ საზოგადოების დაარსებაზე მილიონები დახარჯეს და ბოლოს სკანდალითაც დამთავრდა საქმე.

(კონსტანტინე გვარჯალაძე: ავეჯეულობა დარჩა ნაყიდი. ეს ქონება შვეიცარიაში მყოფ საქართველოს მისიას ეკუთვნის).

თქვენ, ბატონებო, ხალხის მილიონი მანეთები ყოველთვის ასეთ შემთხვევებში ავეჯეულობაზე გადაგაქვთ, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ქონების ბედიც არ არის გამორკვეული,

(ხმაურობა, ხმები: ასე ექცევიან სახალხო ქონებას!)

ჩემში ეს ფაქტი უდიდეს აღშფოთებას იწვევდა ...

(ვალიკო ჯუღელი: რათ არ მოიწერეთ ამის შესახებ მაშინ არაფერი?)

მე, ბატონო ჯუღელო, საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში შეგიძლიათ ნახოთ ჩემს მიერ გამოგზავნილი წერილები და საბუთები.

მაგრამ იქნებ სხვა დარგში გამოიჩინეს ჩვენმა მმართველმა წრეებმა ნიჭი და უნარი? ავალაპარაკოთ ფაქტები: მომარაგების მინისტრმა აქ, სხვათა შორის, სთქვა, რომ ჩვენ შევსძელით თუთუნისათვის ევროპაში ბაზარი მოგვეპოვებინა. ეს არ არის მართალი. თუთუნის საქმე ისეთი სკანდალით და სამარცხვინოთ დამთავრდა, როგორც სხვა საქმეებიც. თუთუნს ბაზარი მოუპოვეთ კი არა, ისე წავიდა ბოლოს საქმე, რომ მხოლოთ იმას სცდილობდით: როგორმე ის ხარჯები მაინც გაგესწორებიათ, რომელიც თუთუნის ბაზარზე ვერ გაასაღეთ და ბოლოს ამ საქმეზე მხოლოდ სპეკულიანტები ითბობდენ ხელს.

ასე ექცევიან თქვენ სახალხო ქონებას. მთელი სიმდიდრე ასე გაანიავეთ. თუთუნის საქმის მოგვარებაზე და ლიკვიდაციაზე ბევრი მუშაობა დასჭირდა შემდეგ იმ ეკონომიურ დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა კონსტანტინე კანდელაკი და რომელსაც სხვა თავისი საქმეები უნდა ეკეთებინა.

პურის საქმის მოსაგვარებლათ მთავრობამ თავის რწმუნებულათ ევროპაში დანიშნა ბატონი სკობელევი და მას გაუხსნა კრედიტი. სკობელევმა კი თავის გარშემო ისეთი ხალხი შემოიკრიბა, რომლებსაც ნაკლებათ აინტერესებთ საქართველო, მათ უფრო სხვა აინტერესებთ. ნუთუ არ იყო შესაძლებელი უფრო გამოცდილი ხალხი მოენახა მთავრობას და მისთვის ჩაებარებია ეს საქმე? შეიძლება სკობელევი გამოჩენილი სოც.-დემოკრატი იყოს, მაგრამ ცხადია, მას კომერციის არა გაეგება რა.

რამ აიძულა ბატონი სკობელევი გამხდარიყო კომერციული აგენტი პურის შესაძენათ? შეიძლება იმ ოთხმა მილიონმა, რომელსაც ის იღებს თვეში.

(ხმები ოპოზიციის სკამებიდან: 4 მილიონი თვეში! აი, აი, აი!)

ჩვენ გვაქვს საბუთები იმისა, რომ ხალხის ფულს, სახელმწიფოს ფულს სოციალ-დემოკრატია პარტიულ მიზნებისთვის იყენებს. მაგ. პარტიული მოხსენება სოც.-დემ. ცენტრალური კომიტეტის მეორე ინტერნაციონალისადმი დაბეჭდილ იქნა სახელმწიფოს ხარჯზე.

(ხმაურობა. სოც.-დემ. ხელს უშლიან ორატორს, განსაკუთრებით ღელავს ბატონი კონსტანტინე გვარჯალაძე).

ლაპარაკის დროს ამოდენა ხანს მე ხელს მიშლიდენ სოც.-დემ. განსაკუთრებით კი ბატონი ჯუღელი. ეხლა მას მიემატა ბატონი გვარჯალაძეც.

დამფუძნებელ კრებაში არის მთავრობის დამცველი, რომლებიც ცნობილი არიან თავის დემაგოგიით და ცილის წამებით. ეს არის ბატონები ჯუღელი და თევზაია.

ერთმა მათგანმა, ბატონმა თევზაიამ წინათ აქ ბრძანა, თითქოს ს.-რევ. წარმომადგენელი დელეგაციაში იღებდა თვეში ნახევარ მილიონ მანეთს. ეს არის უსინდისო ცილისწამება. ეს სიცრუეა. მხოლოდ სიმართლე ის არის, რომ აუარებელი სხვადასხვა ალაგას გაბნეული მენშევიკები მილიონობით იღებენ ხალხის ფულს.

(ხმები სოც. დემ. სკამებიდან: განა შეიძლება ამაზე ლაპარაკი!)

მე, ბატონებო, ამას არ ვლაპარაკობ პარტიული მოსაზრებით.

ჩემი ევროპიდან დაბრუნებისას მე წავიკითხე მოხსენებები სხვადასხვა ალაგას, მაგრამ ამის შესახებ მე აქ არაფერი მითქვამს, მაგრამ თვით თქვენ მხდით იძულებელს ვილაპარაკო ამის შესახებ. როდესაც თქვენ უსინდისოთ ცილისწამებთ სოც.-რევ. პარტიის წარმოამადგენელს, მე გეუბნებით: შორს ბინძური ხელები!

ერთობის ფურცლებზე მოათავსეთ უსინდისო ცილისწამებები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ იმავ გაზეთში გამოაქვეყნოთ სიმართლე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი აგენტები საზღვარგარეთ მილიონობით ხარჯავენ თვეში. ხალხმაც გაიგოს, თუ როგორ იხარჯება მისი ოფლით ნაშოვნი მილიონები (ტაში).

ორატორი ლაპარაკის ვადის გამოსვლის გამო სტოვებს ტრიბუნას თავმჯდომარის დაჟინებით შენიშვნების გამო.

გაზ. „შრომა“, № 1. - 2 იანვარი; № 2. - 9 იანვარი; № 3. - 13 იანვარი. – 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 5

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, მისი ამხანაგები ალექსანდრე ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კანცელარიის გამგე ილია ზურაბიშვილი; დამფუძნებელი კრების მდივანი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე.;

მდივნობდა კანცელარიის გამგის ამხანაგი ალექსანდრე ნანეიშვილი.

1. სამეურნეო კომისიის 96 №-ის მომართვა

რესტორანის „შამპანის“ მეპატრონის გ. კერესელიძის თხოვნითურთ, რათა მას ნება მიეცეს დამფუძნებელი კრების წევრთა და მოხელეთათვის სასახლეში მოაწყოს სასადილო არსებულ ნიხრის ფასებთან 40% დაკლებით. ამასთანავე კომისია საჭიროთ სთვლის კერესელიძის თხოვნისამებრ მას დასახელებული სასადილოს მოწყობისათვის მიეცეს საწინდრით საჭირო ჭურჭლეულობა.

დადგენილება: მიეცეს ნება რესტორანის „შამპანის“ მეპატრონეს გ. კერესელიძეს გამართოს სასახლეში დამფუძნებელი კრების წევრთა და მოხელეთათვის სასადილო ბაზრის ფასებთან შედარებით 50 % ნაკლებათ.

2. თავმჯდომარის უფროსის ამხანაგის ალექსანდრე ლომთათიძის მოხსენება პრეზიდიუმის საჭიროებისათვის ეტლის შეძენის შესახებ.

დადგენილება: ამისათვის მას საწინდრით მიეცეს საჭირო ჭურჭლეულობა სასახლის საწყობიდან.

დაევალოს სასახლის გამგეს პრეზიდიუმის საჭიროებისათვის შეიძინოს ეტლი თვისი მოწყობილობით, რისთვისაც მას მიეცეს საჭირო თანხა.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].

მდივნის მაგიერ კანცელარიის გამგის ამხანაგი [ხელმოწერა] ნ. ანანიაშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 4.

* * *

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 5

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა ქრისტინე შარაშიძის ასული.

1. მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, იანვრის 5-ს, წარმოდგენილი – ფინანსთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920-1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშში თანხის გადადების შესახებ.

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა იანვრის 4-ს სხდომაზე.

პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას, დეკრეტის ტექსტსა და უწყებათა ნუსხას თანხების სათანადო განაწილებით.

პროექტი სასწრაფო მნიშვნელობისაა.

სამხედრო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიების ინიციატივით წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა –

დადგენილება: პროექტი, მისი სასწრაფო მნიშვნელობის გამო, ახლავე გადაეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას – წინასწარი განხილვისათვის; დაეგზავნოს აგრეთვე ფრაქციებს.

2. მოსმენილია: მთავრობის განკარგულებაში – თავდაცვის საჭიროებისათვის – 3.000.000.000 მან. გადადების შესახებ.

პროექტი მიღებულია კომისიების მიერ დღევანდელ სხდომაზე.

სხდომაში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო კონტროლიორი, ფინანსთა მინისტრი და მისი ამხანაგი. ამრიგად, მათი დასკვნა მიღებულია.

პროექტი განსაკუთრებული სასწრაფო მნიშვნელობისაა, რის გამოც კომისიები მოითხოვენ, რომ იგი დღევანდელ საღამოს სხდომაზე იქნეს განხილული.

ცნობა: კომისიების მხრით მომხსენებელია ზაქარია გურული.

დადგენილება: ამასთანავე დამფუძნებელი კრების დღევანდელ საღამოს სხდომაზე შეტანილ იქნეს წინადადება, – რომ ეს პროექტი, მისი განსაკუთრებული სასწრაფო მნიშვნელობის გამო, განხილულ იქნეს საღამოს

სხდომაზე წინასწარ ან შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ მსჯელობის განგრძობისა.

დადგენილება: პროექტი ახლავე დაეგზავნოთ ფრაქციათ.

3. მოსმენილია: დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მონაწერი ამა იანვრის 4-ს თარიღითა და 2-ს №-ით შემდეგი შინაარსისა:

თანახმად საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის ამა 1921 წლის იანვრის 3-სხდომის დადგენილებისა, გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა, მომარაგების სამინისტრომ წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას თავისი შტატები დასამტკიცებლად.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საბიუჯეტო საფინანსო კომისია იძულებული იქნება მომარაგების სამინისტრო სრულიად გამორიცხოს 1920-1921 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვინაიდან შეუძლებელია ბიუჯეტში შეტანილ იქნეს საკანონმდებლო წესით დაუმტკიცებელი შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

დადგენილება: დამფუძნებელი კრების დღევანდელ საღამოს სხდომაზე შეტანილ იქნეს წინადადება, რომ ეს პროექტი მისი განსაკუთრებული სასწრაფო მნიშვნელობის გამო განხილულ იქნეს დღესვე, – წინასწარ ან შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ მსჯელობის განგრძობისა.

4 მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, იანვრის 5-ს, წარმოდგენილი – გზათა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – სახაზინო და კახეთის რკინისგზაზე ტარიფის გადიდების შესახებ.

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია 1920 წლის დეკემბრის 28-ს.

პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას, დეკრეტის ტექსტს, ბილეთებისა და სატვირთო ტარიფის გამრავლების აღრიცხვას.

დართული აქვს ორი ოქმი: საგანგებო თათბირის და ერთიც – სატარიფო კომისიის სხდომისა.

დართული აქვს აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის დასკვნა და მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი.

დადგენილება: ამ ჟურნალის ამონაწერი გაეგზავნოს მომარაგების სამინისტროს, რომელსაც ეცნობოს, რომ პრეზიდიუმი იზიარებს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის აზრს და მოითხოვს, რომ სამინისტრომ სასწრაფოდ წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას თავისი უწყების შტატი.

პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ საღამოს სხდომაზე გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისათვის გადასაცემად – წინასწარი განხილვისათვის.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერა] ქრისტინე შარაშიძის ქალი.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 4-6.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა სამოცდამეცხრამეტე (საგანგებო)

1921 წლის იანვრის 5-ს სხდომა

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

სხდომა იხსნება საღამოს 7 საათზე.

მდივანი მოახსენებს დამფუძნებელ კრებას იუსტიციის მინისტრის, ბატონ არსენიძის განცხადებას, რომლითაც ბატონი მინისტრი მოითხოვს, რომ მცირე კომისიამ გამოარკვიოს საქმის ნამდვილი გარემოება იმ ბრალდების გამო, რომელიც მის წინააღმდეგ წამოაყენა დამფუძნებელი კრების წევრმა ბატონმა შალვა ნუცუბიძემ. განცხადება გადაეცა მცირე იურიდიულ კომისიას.

გრძელდება მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

სამსონ დადიანი (სოც.-ფედერ.) აკრიტიკებს სოც. რევ. ფრაქციის მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტს. ორატორი ამბობს, რომ მის მიერ წამოყენებული სოც.-რევოლუციონერთა პროექტის წინააღმდეგ დებულებები ვერ დაარღვია ბატონმა შენგელაიამ და რომ პასუხის მაგიერად მის მხრივ მოისმოდა მხოლოდ ლანძღვა სოც.-ფედერალისტების მიმართ. ორატორს ბავშვურ ლაზღანდარობად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბატონი შენგელაია კონსტიტუციის დასაცავად ეყრდნობა სოც. ფედერალისტთა გაზეთში ნიკოლოზის სურათის დახატვის ფაქტს. ორატორს დიდ ცოდვად არ მიაჩნია ასეთი ფაქტი და ამბობს, რომ სოც. რევ. „კვალში“-ც იმ ნომერში, სადაც მოთავსებული იყო ნოე ჟორდანიას და მიხა ცხაკაიას წერილები, იყო დახატული მთელი შემადგენლობა ნიკოლოზის ოჯახისა.

ლეო შენგელაია (ს. რევ.) იცავს თავის ფრაქციის მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტს, ეკამათება წინა ორატორს. აღნიშნავს, რომ მაინც დაუშვებელი და გამოუსწორებელი შეცდომაა ის ფაქტი, რომ სოც. ფედერალისტების მთავარი კომიტეტის ორგანოში იბეჭდება ნიკოლოზის სურათი და მასთან ერთად მეფის ჩამოსვლას გაზეთი უძღვნის მისასალმებელ წერილს.

(იესე ბარათაშვილი: მაგისთანა წერილი არ ყოფილა!)

აი, თუ არ ყოფილა. (აქ ორატორი შლის და უჩვენებს დამფუძნებელ კრებას „სახალხო გაზეთ-ს“ 1914 წლის 26 ნოემბრის 147 ნომერს. რომლის მესამე გვერდზე დახატულია ყოფილი იმპერატორის ნიკოლოზ II-ს სურათი).

დარბაზში ეს ხანგრძლივ სიცილს იწვევს. ისმის ხმები სოც.-რევ. მხრივ: „სირცხვილი სოციალისტური გაზეთებისათვის“.)

შემდეგ ორატორი კითხულობს იმ წერილს, რომელიც თანდართული აქვს ამ სურათს და რომელშიც ნათქვამია, რომ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჩამოსვლა თბილისში გააბედნიერებს ქართველ ხალხს; რომ ქართველ წოდებათა წარმომადგენელთ საშუალება მიეცემათ წარუდგენენ მათ იმედს და ნუგეშს – იმპერატორს და სხვა.

(პავლე საყვარელიძე: ალექსანდრე მესამეს რომ გვირგვინი მიართვეს თქვენმა მამამთავრებმა, ის როგორღა იყო? ისიც გვიამბეთ).

ეგ ჭორი გახლავთ, ბატონებო.

მომხსენებელი დაასკვნის: ეს დოკუმენტი იმდენად მეტყველია, ბატონებო, რომ მას კომენტარის გაკეთება არ უნდა. ასეთი არის, ბატონებო, იმ ფრაქციის და პარტიის სოციალისტობა, რომლის წევრები თვითონ ამბობენ, რომ მათი პარტია კარგა ხანია ჩაიხრჩო სამსონ ფირცხალავას ცრემლებში და სიმონ მდივნის დიპლომატიაში.

შემდეგი სხდომა უქმეების გამო დაინიშნა ოთხშაბათ 12 იანვრისათვის.

* * *

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

5 იანვრის სხდომა

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე

გრძელდება მსჯელობა კონსტიტუციის მე-10 თავის შესახებ.

სამსონ დადიანი (ს.ფ.) უპასუხებს ლეო შენგელაიას და აღნიშნავს, რომ ს.-რევოლუციონერებმა გადაუხვიეს საკითხის გარჩევის დროს სიდინჯეს და სხვა ვერაფერი არგუმენტი წამოაყენეს, გარდა გინებისა. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ შრომის პრინციპი, რომელიც შეტანილი აქვთ ესერებს თავიანთ კონსტიტუციაში და უაღრესად სოციალისტური ჰგონიათ, გულისხმობს კერძო კაპიტალის არსებობას; კიდეც ამიტომ არ არის შეტანილი ეს პრინცი-

პი კომუნისტების კონსტიტუციაში – იქ ის უკვე ანარქიზმი იქნებოდა.

შემდეგ ორატორი ეხება ესერების იდეურ დემაგოგიას. მათ კონსტიტუციის ერთ მუხლში ნათქვამია – ერთია თანასწორობა უზრუნველყოფილიაო, ხოლო მეორეში – აღიარებულია ერთი სახელმწიფოებრივი ენა. ამით სურთ შეიძინონ პარტიული კაპიტალი და დაამტკიცონ თავიანთი უაღრესი სოციალისტობა, რომ ყველა ერებს თანასწორობას აძლევენო. ერთა სრული თანასწორობა ხომ ნიშნავს აგრეთვე ერთი სახელმწიფოებრივი ენის უარყოფას. მაშ, როგორ თავსდება ერთმანეთში ეს ორი მუხლი? უნიტარულ სახელმწიფოში უნდა იყოს ერთი სახელმწიფოებრივი ენა.

ორატორის აზრით შეიძლება არსებობდეს ორი პოლიტიკური ოპოზიცია: ერთი, რომელსაც ამოქმედებს პარტიული კაპიტალის შეძენის სურვილი და სრულიად არ უწევს ანგარიშს გარეშე პირობებს და მთელს ინტერესებს. მეორე, რასაკვირველია, ჰფიქრობს გააძლიეროს თავისი პოლიტიკური პარტია მკვდარი იქნებოდა? მაგრამ ის სცდილობს თავისი კრიტიკა შეუთანხმოს მდგომარეობას. თქვენი (ესერების) ოპოზიცია პირველი ხასიათის ოპოზიციაა – თქვენ უარი უთხარით მთავრობას სამხედრო კრედიტების მიცემაზე, ჩვენ კი, თუმცა გავაკრიტიკეთ ის, მაგრამ ეს კრედიტები მაინც მივეცით.

ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკას, მაგრამ არ შეგვაქვს ისეთი წინადადება, რომელიც თუ გავიდა, – დაანგრევს ყველაფერს და დაღუპავს სახელწიფოს.

თქვენ განაცხადეთ, რომ იცით ხალხის გულისთქმა და უარი სთქვით კრედიტების მიცემაზე, ხალხმა კი იცით, რითი გიპასუხათ? მან საოცარი, უნახავი ერთსულოვნებით ჩაატარა მობილიზაცია და სამშობლოს სადარაჯოზე დადგა (ტაში).

ორატორის აზრით, ესერების პარტია რუსეთის პარტიის ჩამონატეხია და მას ჩვენში მომავალი არ ექნება.

ლეო შენგელაია. (ს. რ.) მას საჭიროთ მიაჩნია, რომ რესპუბლიკას დაერქვას „შრომის რესპუბლიკა“. აქედან სჩანს, რომ სახელმწიფოს საფუძვლათ შრომა დაედება. სახელი დემოკრატიულად არ არის დამაკმაყოფილებელი და თვით სოციალ-დემოკრატები არიან ამით უკმაყოფილონი და ცდილობენ სხვანაირი განმარტება მისცენ ამ სახელს.

ორატორის აზრით, თუ ესერების პროექტი არ არის ახალი, მით უმეტეს ახალი არ არის საკონსტიტუციო კომისიის პროექტი;

შემდეგ ორატორი ეკამათება სამსონ დადიანს, ამტკიცებს ფედერალისტების უპრინციპობას, მათი პოლიტიკური ხაზის მერყეობას.

შენგელაიას სიტყვის შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ სექციის წინადადებით შეწყდა კონსტიტუციის განხილვა და დახურულ კარებში გაირჩა მთავრობისათვის თავდაცვის საჭიროებისათვის განსაზღვრული თანხის მიცემის საკითხი.

გაზ. „ერთობა“, № 11. 16 იანვარი, 1921 წ.

* * *

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და ფრაქციების წარმომადგენელთა შეერთებული სხდომის ჟურნალი

№1

1921 წ. იანვრის 5 (საღამოს)

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, მისი ამხანაგნი: უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე და ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი – კონსტანტინე ჯაფარიძე.

დაესწრნენ ფრაქციის წარმომადგენელნი: იოსებ სალაყაია – (სოც.-დემ.)., ზაქარია გურული (სოც.-დემ.), პეტრე გელეიშვილი (სოც.-დემ.), სილიბისტრო ჯიბლაძე (სოც.-დემ.), გიორგი ლასხიშვილი (სოც.-ფედერ.), გრიგოლ რცხილაძე (სოც.-ფედერ.), სამსონ დადიანი (სოც.-ფედერ.), ილია ნუცუბიძე (სოც.-რევოლ.), ივანე გობეჩია (სოც.-რევოლ.), სპირიდონ კედია (ერ.-დ.), შალვა ამირეჯიბი (ერ.-დემ.), გრიგოლ ვეშაპელი (ერ. ფრ.)

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შეერთებული სხდომა მოწვეულია დამფუძნებელი კრების დღევანდელი საღამოს სხდომის დღიური წესრიგის შევსების საკითხის გადასაწყვეტად.

როგორც კრებას მოეხსენება, – საღამოს დღიურ წესრიგში შეტანილია მხოლოდ ერთი საგანი – განგრძობა მსჯელობისა კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მხოლოდ დღეს დილით შემოტანილი იქნა ორი განსაკუთრებული სასწრაფო მნიშვნელობის პროექტი – ერთი მთავრობის მიერ – 1920-1921 წ. ბიუჯეტით ნავარაუდევი თანხების 1 ½ გადადებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად იანვრის და თებერვლისთვის, ხოლო მეორე – პროექტი შემოტანილია სამხედრო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიების ინიციატივით – სამხედრო საჭიროებისათვის 3.000.000.000 მ. გადადებისა.

საჭიროება ამ პროექტის უეჭველად დღევანდელი საღამოს სხდომაზე შეტანისა იმის გამო აღიძვრა, რომ ხვალ ზევით, ე.ი. პარასკევს, ქრისტესშობის დღეა, შაბათს დღესასწაულია. ამრიგად, სამი დღე ერთი-ერთმანეთზედ

უქმე დღეა. ფრაქციებში აღიძვრა სურვილი ამ დღესასწაულების გამო დამფუძნებელი კრების შემდეგი სხდომა შემდეგი ოთხშაბათისათვის დაინიშნოს, ე.ი. იანვრის 12-ს, რათა დეპუტატებს საშუალება მიეცეთ, ვინც მოისურვებს, ამ უქმე დღეებში სოფლად წავიდნენ.

რასაკვირველია, ამ პროექტების განსახილველად შეიძლებოდა განსაკუთრებული სხდომა დანიშნულიყო ხვალისათვის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ხვალ შეიძლება კვორუმი არ იქნეს და, ამრიგად, ამ საშური პროექტების განხილვა ერთი კვირით დაგვიანდება, რაც შეუძლებელია. სამხედრო უწყებას კრედიტები სასწრაფოდ ესაჭიროება და ამდენი ხნით დაყოვნება დიდ გასაჭირში ჩააყენებს, – რადგანაც თავისუფალი თანხები აღარ მოეპოვება.

დასასრულ თავმჯდომარემ დასძინა, რომ თუ ფრაქციების წარმომადგენელნი მოისურვებენ გაეცნონ ზემოაღნიშნულ პროექტებს, სათანადო მომხსენებელნი – მოახსენებენ შეერთებულ კრებას საქმის ვითარებას.

შეერთებული კრება ადგენს – მოისმინოს მომხსენებელთაგან საქმის ვითარება.

სამხედრო საჭიროებისათვის სამი მილიარდის გადადების პროექტის მომხსენებელი ზაქარია გურული – სიტყვიერად მოახსენებს კრებას საქმის ვითარებას.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იოსებ სალაყაია აცნობს კრებას ბიუჯეტის 1 ½ გადადების პროექტის შინაარსს.

იმართება მსჯელობა იმ საკითხის გამო, – იქნეს თუ არა ეს ორივე პროექტი დღევანდელ სხდომაზე განხილული.

გიორგი ლასხიშვილი სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით, ხოლო სპირიდონ კედია – ეროვნულ-დემოკრ. ფრაქციის სახელით აცხადებენ, რომ პროექტები უეჭველად დღესვე უნდა იქნეს განხილული და რომ მათი ფრაქციები მხარს დაუჭერენ ამ პროექტების უკამათოდ მიღებას.

გრიგოლ ვეშაპელი აცხადებს, რომ მას არანორმალურად მიაჩნია, რომ დამფუძნებელ კრებას იძულებულსა ჰყოფენ – ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები ნაუცბათევად განიხილოს. მთავრობას შეეძლო – თავის დროზედ წარმოედგინა პროექტები და ფრაქციათ საშუალება მისცემოდათ წინასწარ გაეცნოთ იგინი და მომზადებულიყვნენ თავიანთი აზრის გამოსათქმელად. ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ ათი მილიარდის ემისიის დეკრეტის განხილვის დროს ფინანსთა უწყების წარმომადგენელმა განაცხადა კრებაზე, რომ 21/2 მილიარდი სამხედრო საჭიროებისათვის არის ნავარაუდევიო. ყოველ შემთხვევაში, მისი ფრაქცია მხარს დაუჭერს პროექტებს, მხოლოდ იგი, გრიგოლ ვეშაპელი, მოითხოვს, – შეერთებული კრების ოქმში აღნიშნული იყოს, რომ ასეთი მოვლენა არასასურველია, როგორადაც კანონმდებლობის საქმის წესიერად მსვლელობის დამარღვეველი. ამის შესახებ საჭიროა ეცნობოს მთავრობას და უწყებას. ეს გარემოება მით უფრო უნდა იყოს აღნიშნული ოქმში, რომ ამგვარი შემთხვევები წინადაც ყოფილა.

სპირიდონ კედია იზიარებს გრიგოლ ვეშაპელის აზრს, რომ ოქმში აღინ-

იშნოს არასასურველობა ამგვარი პროექტების ნაუცბათევად განხილვისა, რის შესახებაც ეცნობოს მთავრობას.

კრება იღებს ვეშაპელის წინადადებას.

ილია ნუცუბიძე და ივანე გობეჩია სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით აცხადებენ, რომ მათ უხერხულად მიაჩნიათ თავიანთი აზრის გამოთქმა მანამდე, ვიდრე ფრაქციას საშუალება არ მიეცემა წინასწარ განიხილოს და გაეცნოს პროექტის შინაარსს და აგრეთვე საბუთებს, რომელზედაც პროექტები არის დამყარებული. ამის გამო ბატონები ნუცუბიძე და გობეჩია მოითხოვენ მიეცეთ მათ ფრაქციას დრო პროექტების გაცნობისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ ფრაქცია გამოსთქვამს თავის აზრს – შეიძლება შეტანილი იქნეს პროექტები დღევანდელი სხდომის დღიურ წესრიგში და აგრეთვე იმის შესახებ, – გაიმართოს პლენუმში კამათი, თუ განხილვამ უკამათოდ განვლოს.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ფრაქციათა უმრავლესობის აზრით პროექტები შეტანილ უნდა იქნეს დღევანდელი სხდომის დღიურ წესრიგში. რაც შეეხება ამ პროექტების უკამათოდ განხილვის საკითხს, ამის შესახებ შეთანხმება არ მომხდარა და საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელი რჩება. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი მას შემდეგ გამოირკვევა, როცა სოც. რევ. ფრაქცია გაეცნობა პროექტებს და პრეზიდიუმს თავის აზრს აცნობებს.

საღამოს სხდომის დაწყების დრო უკვე მოახლოვებულია, – ამის გამო საჭიროა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, – თუ რა რიგზე იქნეს საკითხები განხილული: შევუდგეთ პირდაპირ კონსტიტუციის პროექტის გამო მსჯელობას, თუ თავში განსახილველად დამფუძნებელ კრებას პროექტები წარედგინოს და მერე მსჯელობა გაიმართოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

მცირე მსჯელობის შემდეგ შეერთებული კრება იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

დადგენილება: პროექტები დეკრეტებისა – სამი მილიარდის და ბიუჯეტით ნავარაუდევი თანხის 1/12 გადადებისა შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების დღევანდელი სხდომის დღიურ წესრიგში.

რაც შეეხება საგნების განხილვის წესრიგს, – სხდომა დაიწყოს კონსტიტუციის პროექტის გამო მსჯელობით, მოსმენილ იქნეს ერთი ან რამდენიმე ორატორი დროის მიხედვით და შემდეგ კრება შეუდგეს პროექტის განხილვას.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 7-8.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა სამოცდამეცხრამეტე (საგანგებო)

ოთხშაბათს 1921 წ. იანვრის 5. სასახლე

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

სხდომა იწყება საღამოს 6 ს. და 45 წ.

სხდომის გახსნისას მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების კომისიებისათვის წინასწარი განხილვისათვის გადასაცემი საკანონმდებლო აქტების შემდეგ ნუსხას:

აქტებისა და ქაღალდების შინაარსი.

გზათა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – სახაზინო და კახეთის რკინის გზების ტარიფის გადიდების შესახებ.

გადაეცეს: გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

დამფუძნებელი კრება ამ ნუსხას უცვლელად ადასტურებს.

მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების დღევანდელი სხდომის შემდეგ დღიურ წესრიგს.

1. განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტი მეორე (თავობრივი) განხილვისათვის.

ცნობა:

კონსტიტუციის პროექტის ცალკე თავების მომხსენებელნი არიან:

თავი 1 – ზოგადი დებულება;

თავი 2 – მოქალაქეობა – პავლე საყვარელიძე;

თავი 3 – მოქალაქის უფლებანი – კონსტანტინე ჯაფარიძე;

თავი 4 – პარლამენტი;

თავი 5 – აღმასრულებელი ხელისუფლება – კონსტანტინე ჯაფარიძე;

თავი 6 – სასამართლო – სამსონ დადიანი;

თავი 7 – სახელმწიფო ფინანსები – ივანე გომართელი;
თავი 8 – კონტროლი – გიორგი გვაზავა;
თავი 9 – სახელმწიფო თავდაცვა – სპირიდონ კედია;
თავი 10 – ადგილობრივი თვითმმართველობა – მელიტონ რუსია;
თავი 11 – ავტონომიური მმართველობა – აკაკი ჩხენკელი;
თავი 12 – სწავლა-განათლება და სკოლა – ლეო ნათაძე;
თავი 13 – სოციალ-ეკონომიური უფლება – აკაკი ჩხენკელი;
თავი 14 – ეროვნულ უმცირესობათა უფლება – ლეო ნათაძე;
თავი 15 – სახელმწიფო მოხელენი – კონსტანტინე ჯაფარიძე;
თავი 16 – სახელმწიფო და ეკლესია – იესე ბარათაშვილი;
თავი 17 – კონსტიტუციის გადაშინჯვა – პავლე საყვარელიძე.

დამფუძნებელი კრება ამ დღიურ წესრიგს უცვლელად ამტკიცებს.

გრძელდება მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის. – მსჯელობაში, რომელიც პირველ თავს შეეხება, – მონაწილეობას იღებენ სამსონ დადიანი (სოც.-ფედერ.) და ლეო შენგელაია (სოც.-რევოლ.).

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოტანილია შემდეგი წინადადება: დეპუტატის ლეო შენგელაიას სიტყვის შემდეგ კონსტიტუციის შესახებ მსჯელობა შესწყდეს და განხილული იქნეს შემდეგი დეკრეტები:

1) „დეკრეტი – განკარგულებაში თავდაცვის საჭიროებისათვის სამი მილიარდი მანეთის გადადებისა“ და

2) დეკრეტი – სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920-1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშში თანხის გადადებისა“; და ამ დეკრეტის საბოლოო ტექსტები დღესვე იქნეს მიღებული“.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას უკამათოდ იღებს.

განსახილველია დეკრეტი მთავრობის განკარგულებაში თავდაცვის საჭიროებისათვის 3.000.000.000 მანეთის გადადებისა.

სამხედრო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიების მხრით მომხსენებელია ზაქარია გურული (სოც.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს დეკრეტის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

დეკრეტი ზოგად მსჯელობას არ იწვევს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – დეკრეტის მუხლობრივი განხილვის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს.

მომხსენებელი დეკრეტის სათაურსა და თითოეულ მუხლს ცალკცალკე კითხულობს.

დამფუძნებელი კრება დეკრეტის სათაურსა და თითოეულ მუხლს ცალკცალკე უცვლელად იღებს.

მუხლობრივი განხილვა დასრულებულია.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – დეკრეტის მთლიანად მიღების შესახებ –

არავინ არის ამის წინააღმდეგ, და თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეკრეტი მიღებულია და საბოლოო ტექსტის ამავე სხდომაზე წარმოსადგენად ახლავე გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

განსახილველია დეკრეტი – სახელმწიფო დაწესებულებათა 1920-1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშში სათანადო თანხის გადადებისა.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მხრით მომხსენებელია ივანე გომართელი (სოც.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს დეკრეტის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

დეკრეტი ზოგად მსჯელობას არ იწვევს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – დეკრეტის მუხლობრივი განხილვის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს.

მომხსენებელი დეკრეტის სათაურსა და პირველ მუხლს ცალკცალკე კითხულობს.

მომხსენებელი კითხულობს დაწესებულებათა და თანხების რაოდენობის ნუსხას.

დამფუძნებელი კრება ამ ნუსხას უცვლელად იღებს.

დამფუძნებელი კრება დეკრეტის სათაურსა და პირველ მუხლს უცვლელად იღებს.

მომხსენებელი კითხულობს დეკრეტის მეორე მუხლს.

დამფუძნებელი კრება ამ მუხლს უცვლელად იღებს.

მუხლობრივი განხილვა დასრულებულია.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – დეკრეტის მთლიანად მიღების შესახებ – არავინ არის ამის წინააღმდეგ, და თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეკრეტი მიღებულია და საბოლოო ტექსტი ამავე სხდომაზე წარმოსადგენად ახლავე გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

თავმჯდომარე პრეზიდიუმის სახელით წინადადებას აძლევს დამფუძნებელ კრებას გუშინდელ სხდომაზე მიღებული დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის 3.000.000 მანეთის გადადებისა – დეკრეტის საბოლოო ტექსტი დღესვე იქნეს მიღებული.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას იღებს.

განსახილველია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა მთავრობის განკარგულებაში თავდაცვის საჭიროებისათვის 3.000.000.000 მანეთის გადადებისა.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია ივანე გომართელი (სოც.-დემ.), რომელიც აღნიშნავს რა და რა სარედაქციო შესწორება შეიტანა კომისიამ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ ტექსტში და ორივე ტექსტს პარალელურად მუხლობრივ კითხულობს.

დამფუძნებელი კრება ამ საბოლოო ტექსტს უკამათოდ, უცვლელად ამტკიცებს.

განსახილველია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 1920-1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშში თანხის გადადებისა.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია ივანე გომართელი (სოც.-დემ.), რომელიც აღნიშნავს, რა და რა შესწორება შეიტანა კომისიამ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ ტექსტსა და ნუსხაში და ორივე ტექსტს პარალელურად მუხლობრივ კითხულობს.

დამფუძნებელი კრება ამ ტექსტს და ნუსხას უკამათოდ უცვლელად ამტკიცებს.

განსახილველია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის 3.000.000 მანეთის გადადებისა.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია ივანე გომართელი (სოც.-დემ.), რომელიც აღნიშნავს, რა და რა სარედაქციო შესწორება შეიტანა კომისიამ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ ტექსტსა და ნუსხაში და ორივე ტექსტს პარალელურად მუხლობრივ კითხულობს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემდეგი კრება დანიშნულია ა/წ. იანვრის 12-ს, რომელზედაც განგრძობილი იქნება მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) განხილვისათვის.

მდივანი კითხულობს შემდეგი მორიგი (იანვრის 14-ის) სხდომის დღიურ წესრიგს.

თავმჯდომარე სხდომას საღამოს 8 ½ ს. ჰხურავს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 267-269.

* * *

დამფუძნებელი კრება

იანვრის 5

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

გრძელდება მსჯელობა კონსტიტუციის შესახებ

სამსონ დადიანი (ს.-ფედ.): ბატონებო! დამფუძნებელ კრების წევრნო! რამდენიმე წუთით მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, იძულებული ვიქნები, ცოტა საქმეს გადავუხვიო. რაც საინტერესო და აღსანიშნავი იყო, უკვე წარმოვთსქვი ზოგადი დებულებების გარჩევის დროს. მხოლოდ ახლა არ შემიძლია უყურადღებოდა დავტოვო სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის გამოლაშქრება ჩვენს წინააღმდეგ, მით უმეტეს ეს გამოსვლა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და შეუფერებელი იყო.

მოგეხსენებათ, სოც. რევოლიუციონერთა ფრაქციამ წამოაყენა აქ თავისი პროექტი კონსტიტუციისა. მე სიდინჯით შევეხე ამ პროექტს და გავარჩიე იგი, როგორც ძალა შემწევდა. ამ გარჩევის დროს დავიცავი ობიექტივობა, აღვნიშნე მისი დეფექტები და დადებითი მხარეები, მოვახსენე დამფუძნებელ კრებას ის, რაც გამიგონია ამ საკითხების შესახებ და რაც მეცნიერებაში ამომიკითხავს. დავიწუნე რაც დასაწუნი იყო და მოვიწონე, რაც მოსაწონი იყო.

მე გარკვეული დებულებები წამოვაყენე: იმის მაგივრად, რომ ამ გარკვეულ დებულებებზე გარკვევითვე ეპასუხნა ლეო შენგელაიას, უკანასკნელმა პრინციპიალურ საკითხებს გვერდი აუარა, არც ერთზე პასუხი არ გამცა და თავაშვებულ ლანძღვას მოჰყვა მხოლოდ.

მე დავაყენე საკითხი ასე: ის დებულება, რომელიც სოც.-რევოლუციონერთ უაღრესად სოციალისტურ პრინციპად მიაჩნიათ, — მაგალითად უფლება შრომაზე, — არ არის უაღრესად სოციალისტური, და რომ იგი წამოყენებული იყო ბურჟუაზიულ რევოლუციების დროსაც. კიდევ მეტი: თვით ბისმარკსაც შესაძლებელად მიაჩნია მისი განხორციელება. ასე რომ, ამ დებულების კონსტიტუციაში შეტანა არ არის უაღრესად სოციალისტური, როგორც ეს სოც.-რევოლიუციონერებს ჰგონიათ. პირიქით იგი სოციალიზმის დროს უკვე ანაქრონიზმი არის.

ამის საწინააღმდეგოდ, გარდა ლანძღვა-გინებისა, ლეო შენგელაიას არაფერი არ უთქვამს. არის მეორე პრინციპი, შრომის უფლება. ეს კი უაღ-

რესად სოციალისტური არის და ამის შესახებ ესერებს არაფერი არ აქვთ ნათქვამი.

(ხმა: რა განსხვავებაა?)

განსხვავება ის არის, რომ უფლება შრომაზე ურიგდება ბურჟუაზიულ წყობილებასაც. იგი გულისხმობს კერძო საკუთრებას მიწაზედაც კი. ეს არის უფრო საკითხი უმუშევრობისა. შრომის უფლება კი სულ სხვა არის. ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ მშრომელს შერჩეს ნაყოფი თავის შრომისა. აღსანიშნავი და საყურადღებოა, რომ კომუნისტების კონსტიტუციაში უფლება შრომის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. ეს ადვილად ასახსნელია. არაფერია ნათქვამი იმიტომ, რომ ისინი უკვე სოციალიზმს ანხორციელებენ მათი აზრით. და აქ ლაპარაკი ასეთ პრინციპზე მართლაც ანაქრონიზმი იქნებოდა. ამ ჩემ ასეთ დებულებაზე ლეო შენგელაიას ცარიელი ლანძღვა-გინების გარდა, არაფერი არ უთქვამს.

მე აღვნიშნე აგრეთვე მეორე უცნაურობა. ესერები აღნიშნავებ, რომ უზენაესობა ეკუთვნის ხალხსო. ეს დებულება კი პროექტში გამოხატულია ასე: უზენაესობა ხორციელდება ან უშუალო დემოკრატიისა და ან ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტითო. მე აღვნიშნე, რომ შეუძლებელია კონსტიტუციაში ამის თქმა, „ან“ – „ან“. აქ გარკვეულად უნდა იყვეს ნათქვამი ყველაფერი. ეს ტეხნიკური საკითხი არ არის. ეს დიდი პრინციპიალური საკითხია.

(პავლე საყვარელიძე: მართალია.)

შემდეგ ერთი უცნაური აზრი სთქვა ბატონმა შენგელაიამ: *„საქართველო არის დამოუკიდებელი და უნიტარული სახელმწიფო და აქ სოც.-ფედერალისტების არსებობა უნიადაგოაო”.* საერთოდ, ლეო შენგელაიას ძლიერ უყვარს ნოე ჟორდანიას წიგნაკებიდან ციტატების მოყვანა თვით ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში კი ლეო შენგელაია ჩვენს წინააღმდეგ სწორედ ნოე ჟორდანიას არგუმენტს იყენებს. თქვენ გახსოვთ ალბად, აქ გამოდიოდა სოც.-ფედერ. მუშების გაზეთი „ზვირთი“. ამ გაზეთს ეკამათებოდა ნოე ჟორდანია და იგი სწორედ ამ არგუმენტით სარგებლობდა.

მაგრამ თქვენი პროექტის მეორე მუხლში სწერია ერთა სოლიდარობაზე და კავშირის შესახებ და მე თქვენ გეკითხებით: რა არის ეს, თუ არა ფედერაცია და თავისუფალ ერთა კავშირი?

შემდეგ თქვენ ეხებით ერთა ლიგას, რომლის დღევანდელი სახე არც ჩვენთვის არის მისაღები, და ამბობთ, რომ ერთა ლიგაში რომც მიიღონ საქართველო, იგი მაინც არ უნდა შევიდესო. მაშინ მე თქვენ გეკითხებით: რად წავიდა საქართველოს დელეგაციასთან თქვენი წევრი ივანე გობეჩია?

(ხმები: მართალია! ლეო შენგელაია: პარტიას არ გაუგზავნია.)

მით უარესი. ჩვენ კი გვეგონა, რომ თქვენ გააგზავნეთ გობეჩია; იმ დავალებით, რომ ნიადაგი მოემზადებია საქართველოს ერთა ლიგაში მისაღებად. და რამდენადაც შეეძლო, იგი კიდევაც მუშაობდა ამ ნიადაგზე. დღეს კი გვესმის თქვენგან, რომ არ ვიკადრებთ ერთა ლიგაში შესვლასო. მართალია, დღევანდელი ლიგა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამაში გეთანხმებით

თქვენ. მაგრამ ცხადია, რომ კაცობრიობა ახალ ძიების გზაზეა. დღეს ვილსონიდან მოყოლებული მთელი ევროპა, მართალია უხეიროდ, მაგრამ მაინც ეძებენ გამოსავალ გზას შექმნილ მდგომარეობიდან. ყველა სახელმწიფო, რომელიც თავისუფლებისაკენ, ყველა ცდილობს შევიდეს ამ ერთა ლიგაში. უკანასკნელი არის ჩანასახი, მარცვალი, რომელიც მომავალში უნდა გაიზარდოს და ნამდვილ თავისუფალ ერთა კავშირად უნდა გადაიქცეს. ეს მომავალი კავშირი კი ჩვენ წარმოგვიდგენია ფედერაციის სახით. დღეს ნამდვილი და ჭეშმარიტი სოციალისტები აქეთკენ მიისწრაფიან. ასე რომ ის, რაც თქვენ ფედერაციის შესახებ ბრძანეთ, არის სრული გაუგებრობის ნაყოფი.

შემდეგ ასეთივე გაუგებრობა არის თქვენი პროექტის შემდეგ მუხლში, სადაც ერთა თანასწორობაზე არის ლაპარაკი. მე არ მსურს აქ კინკლაობა, მაგრამ არ შემიძლია სხვა რამედ მოვნათლო თქვენი ხერხი, თუ არა დემაგოგიად. თქვენ ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი გაქვთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენაო, ერთ-ერთ სხვა მუხლში კი ლაპარაკია საქართველოში მოსახლე ერების თანასწორ უფლებიანობაზე. რა არის ეს, თუ არა დემაგოგია? ცხადია, ეს მუხლი შეტანილია მხოლოდ ერთი განზრახვით, – პარტიული კაპიტალის გაძლიერებით. ცხადია, თუ თანასწორ უფლებიანობაზე არის ლაპარაკი, აქ ენის თანასწორ უფლებიანობაც დაცული უნდა იყოს და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება თქვენი მხრით გაუგებრობაა მხოლოდ.

მე თუ ვცდები, გამობრძანდით აქ და ეს დაამტკიცეთ. მაგრამ არა ლანძღვით და გინებით, არამედ საღი არგუმენტებით; თქვენ ძალიან გეწყინათ და კერძო საუბარშიაც მითხარით ჩემი შენიშვნა ეროვნული დროშის შესახებ. შეიძლება ის, რაც თქვენ მაშინ ეროვნული დროშის შესახებ სთქვით, იყო შეუგნებლობის ნაყოფი, მაგრამ მე არ ვარ მოვალე დავფარო ეს შეუგნებლობა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს დროშა სამი წლის დაუღალავი ბრძოლით და სისხლით არის შეღებილი, თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ სამი წლის განმავლობაში ეს დროშა იყო ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების ემბლემა და დღეს ვინც იმას ამბობს, რომ ეს დროშა უნდა შევცვალოთო, ის თავის და უნებურად შეიძლება, საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვის.

(ხმები: მართალია).

აბა, ბატონი ლეო შენგელაია, ეცადეთ და უთხარით ჯარს: „გადააგდე ეგ ეროვნული დროშა“-თქო და პასუხსაც კარგს მიიღებთ.

(ხმები: მართალია).

ამას წინად რომ სამხედრო კრედიტის საკითხი იყო, თქვენ უარი უთხარით ამ კრედიტს. ჩვენ გავუკეთეთ კრიტიკა მთავრობის პოლიტიკას, მაგრამ კრედიტს ხმა მივეცით...

(ლეო შენგელაია: სრული ულოღიკობაა).

ლოღიკასაც შეგნება უნდა, ბატონო ლეო შენგელაია. და იცით, რა გიპასუხათ მაშინ ხალხმა თქვენ უარის თქმაზე? ხალხმა უკლებლივ მობილიზაცია მოახდინა და დადგა სამშობლის სადარაჯოზე!

(ხმები: „მართალია“. ტაში. ესერები რაღაცას იძახიან).

შეიძლება თქვენ ეს ტაშიც მინუსად ჩამითვალოთ, მაგრმ მე ამის არ მეშინია. სიმართლე სიმართლედ დარჩება.

ბატონო ესერებო! თქვენ გახსოვთ ერთი არაქელი, რომლის შესახებ აქ შეკითხვაც კი იყო შემოტანილი. როდესაც აქ დროშის შესახებ იყო ლაპარაკი, იცით, რა სთქვა მან? „ჩამოხსენით ეს სამ ფეროვანი მჩვარიო“. ეს სთქვა არაქელამ. და ამას ამბობს საქართველოს ყოველი დაუძინებელი მტერი, ამასვე იმეორებთ თქვენ.

რას ნიშნავს ეს?

(ხმაურობა, ზარი).

არსებობს, ბატონებო, ორგვარი ოპოზიცია, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ პარტიულ კაპიტალის შეძენით, რომელიც მხოლოდ იმით ხელმძღვანელობს, რომ არ გაუწიოს ანგარიში არავითარ მდგომარეობას და გლახა ჭრიაშვილივით ერთი და იგივე იმეოროს. მუდმივ ასეთი ოპოზიცია დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი მომხიბლავი ლოზუნგები გადაისროლოს ხალხში იმ იმედით, რომ უკმაყოფილო ელემენტები მიიმხროს. არის მეორე ხასიათის ოპოზიცია. მართალია, ყოველი პარტია იმდენად არის ცოცხალი ორგანიზმი და ანგარიშ გასაწევი, რამდენადაც იგი ფიქრობს შეიძინოს მიმდევრები და მოექცეს სახელმწიფოს სათავეში. ასე რომ, ყოველი პარტია ამ მხრივ ოპოზიციას აწარმოებს. მაგრამ ეს მეორე ოპოზიცია არაა პასუხისმგებელი ოპოზიცია. იგი გამოდის არა მარტო პარტიული, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდანაც. პირველი: ოპოზიციას აწარმოებთ თქვენ, თქვენ უარს ამბობთ სამხედრო კრედიტზე, ვინაიდან მაინც იცით, რომ ეს კრედიტი გავა და სამშობლო არ ჩავარდება ხიფათში. მაგრამ წარმოვიდგინოთ და არ გავიდა. მაშინ რას შვებით, ბატონო ესერებო, რატომ არ უწევთ შემდეგს ანგარიშს? რატომ საგნის გადაღმა არ იყურებით? იმიტომ რომ პარტიული ინტერესებით ხართ მხოლოდ დაბრმავებული. ჩვენ კი პარტიული ინტერესები არ გვაბრმავებს. ჩვენ სახეში ვიღებთ სახელმწიფოს, მის ინტერესებს და არ ვაძლევთ ხმას ისეთ წინადადებას, რომელიც, რომ გავიდეს, სახელმწიფოს დაანგრევს, ისე როგორც თქვენ ამას სჩადიხართ. თქვენ თქვენი მოგწონთ, ჩვენ კი ჩვენი გზა.

შემდეგ ესერები ხშირად გამოდიან აქ და თავის სოციალისტობაზე გველაპარაკებიან – წერეთელმა ბუბლიკოვს ხელი ჩამოართვაო*. მერე ვინ ისვრის ასეთ საყვედურებს, ვინ გვიკიჟინებს არა სოციალისტობას? ამას გვიკიჟინებს ის პარტია, რომელიც არის ღვიძლი შვილი კერენსკის და ძმათა პარტიისა. ამას გვიკიჟინებს ის პარტია, რომლის მშობელი რუსეთის მშრომელ ხალხს უსევენ მას უცხო კაპიტალისტებს, და რომლებიც დენიკინსა და ვრანგელში ჰპოულობენ ხსნას

ხმები. („მართალია“).

რა უფლება გაქვთ თქვენ უაღრეს სოციალისტურ ნიღაბში მოგვევლინოთ აქ?

(ლეო შენგელაია: ერეკლეს შესახებ რას გვიბრძანებთ)?

მაგის შესახებაც მოგახსენებთ. აი, მაგის შეგნებაც კი არა გაქვთ თქვენ და ამავე დროს აქ უმაღლეს პრინციპზე გვედავებით. არც შეგიძლიათ თქვენ დადგეთ ქართულ ეროვნულ ნიადაგზე, ვინაიდან თქვენ ხართ წმინდა რუსული პარტიის სოც.-რევოლუციონერთა ჩამონატეხი, მისი ფსიქოლოგიით და „ველიკოდერჟაველი“ სულით გაჟღენთილი.

სოც. რევ. დამარცხდნენ რუსეთში, მაგრამ იქ გაიმარჯვა მეორე წმინდა წყლის რუსულმა პარტიამ – ბოლშევიკებმა. თქვენ უაღრესად, როგორც რუსული პარტიის ჩამონატეხმა, შეითვისეთ დროებით ბოლშევიკების მეთოდები. ტყუილად კი არ გიწოდებენ სამეგრელოში ბოლშევიკების, „ნამესტას“ (სიცილი დარბაზში. ხმაურობა ზარი).

თქვენი საქართველოში არსებობა არის ისტორიული გაუგებრობა, თქვენ ბოლშევიკების „ნამესტა“ ხართ. თქვენ არ გქონიათ საქართველოში წარსული, არ გექნებათ არც მომავალი. რომ აღსდგეს რუსეთი, თქვენ დაივიწყებთ არა თუ ამ დროშას, არამედ საქართველოს სამი წლის წინ წმინდა ბრძოლას თავისუფლებისათვის და ისევ მას (რუსეთის) კალთას შეაფარებთ თავს.

დასასრულ, მე მინდა მივაქციო ყურადღება იმ უმართებულო გამოსვლას, რომელიც ლეო შენგელაიამ ჩაიდინა. როდესაც ჩემ მიერ წამოყენებულ დებულებებს მან პასუხი ვერ გასცა არგუმენტებით, ერთ ხერხს მიმართა: „სახალხო საქმეში“ ნიკოლოზ მეორის სურათი იყო დახატულიო, და ამით მოინდომა ჩემი საბუთების გაქარწყლება.

ეს არის პატიოსანი შეკამათება?

მე ვიტყვი – ეს არის ბავშვური ლაზღანდარობა და მეტი არაფერი. რა შუაში იყო აქ ნიკოლოზის სურათი? ნუ თუ ეს ისეთი საბუთი იყო ჩემ ნათელ დებულებების წინააღმდეგ მიმართული? ეს გამოსვლა ამტკიცებს მხოლოდ ერთს: როგორც ზნეობრივ, ისე ინტელექტუალურ სიკოტრეს იმ ფრაქციისას, რომელსაც ამ საბუთის მეტი აღარაფერი შერჩენია ხელთ.

მერე რა მოხდა? განა ესერების ჟურნალ-გაზეთებში არ ყოფილა ასეთი რამე მოთავსებული, განა თქვენმა პარტიამ ალექსანდრე მესამეს საფლავზე გვირგვინი არ დასდვეს? ავიღოთ თვით საქართველოს რეალობა.

თქვენ იცით „კვალი“. აქ იბეჭდებოდა ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის წერილები და რამდენიც გნებავთ, იმდენ მეფეს და მის ოჯახს გიჩვენებთ მე თქვენ ამ გაზეთებში დახატულს. მაგრამ რომელ პატიოსან ჭკუათა მყოფს მოუვა აზრად, რომ ამ არგუმენტით ებრძოლოს „კვალის“ მიმდევრებს და ამით დაუმტკიცოს არა სოცილისტობა? ეს მხოლოდ ლეო შენგელაიას ლოღიკას შეუძლია ჩაიდინოს. და განა ამ ომის დროს დარჩა რომელიმე გამოჩენილი გენერალი, ოფიცერი, მეფე ან სხვა რომელიმე ომში მონაწილე პირები, რომელიც არ დახატულიყო გაზეთში? რა არის დასაძრახისი? ჩვენ ორ თავიანი ხბოც კი დავხატეთ და გარწმუნებთ, ბატონო შენგელაია, კლიშე რომ ძვირი არ იყოს, თქვენ სურათსაც მოვათავსებდით გაზეთში (სიცილ ხმაურობა ზარი. ტაში).

ლეო შენგელაია (ს. რ.) ეკამათება სამსონ დადიანს და იცავს ესერების მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტს, როგორც ერთადერთ დემოკრატიულსა და სოციალისტისათვის მისაღებ პროექტს და კვლავ იმეორებს ნიკოლოზის სურათსა, რომელიც, როგორც ეტყობა. ძალიან შეჰყვარებია.

ამაზე შეწყდება მსჯელობა კონსტიტუციის შესახებ: შემდეგი კრება უქმეების გამო ოთხშაბათის საღამოსთვის დაინიშნა.

გაზ. „სახალხო საქმე", № 1025. 5 იანვარი, 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 6

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, იანვრის 6-ს, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფრის ხარჯების გადიდების შესახებ.

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია 1920 წლის დეკემბრის 21-ს სხდომაზე.

პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას და დეკრეტის ტექსტს.

დართული აქვს სხვა და სხვა საგნების ფასების შედარებითი აღრიცხვა, სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა უწყების დასკვნა და მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი.

დადგენილება: პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას ამა იანვრის 12-ს საღამოს სხდომაზე – ჯანმრთელობისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისათვის გადასაცემად – წინასწარი განხილვისათვის.

2. მოსმენილია: საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისაგან წარმოდგენილი – მის მიერ განხილული და უარყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთათვის უკანასკნელი სამხედრო მოქმედებით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად 276.000 მან. გადადების შესახებ.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისია თავის ამონაწერში ამა იანვრის 4 თარიღითა და მე-3 №-ით შემდეგნაირად ასაბუთებს პროექტის უარყოფას.

„საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ პროექტი 1920 წ. დეკემბრის 1-ს სხდომაზე განიხილა და დაადასტურა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დადგენილება წარსული 1919 წლის დეკემბრის 10-ს სხდომისა, რომელზედაც ის

უარყოფილ იქნა იმ მოსაზრებით, რომ სამხედრო მოქმედება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უწყება შეიმუშავებდა მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენის საერთო დებულებას.

ცნობა: 1919 წ. ივლისის 31-ს შემოტანილი იყო მთავრობის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა ზემოხსენებული საგნის გამო (საქმე № 205 – 1919 წ.).

იმ პროექტით, რომლის პირდაპირი ასლია ახალი პროექტი როგორც განმარტებითი მოხსენებით, ისე დეკრეტის ტექსტით, – გამოთხოვილი იყო იმავე რაოდენობის თანხა – 276.000 მან.

ეს პროექტი დამფუძნებელი კრების 1919 წ. იმავე ივლისის 31-ს დადგენილების თანახმად გადაეცა წინასწარი განხილვისათვის საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ, განიხილა რა ეს პროექტი 1919 წ. დეკემბრის 10, დაადგინა: იგი უარყოფილ იქნეს იმ მოსაზრებით, რომ სამხედრო მოქმედებით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უწყება შეიმუშავებდა მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენის საერთო დებულებას.

ამ დადგენილების გამო პროექტი უწყებას უკან დაებრუნა.

ამის შესახებ ეცნობა მთავრობასაც. მთავრობამ თავის 1920 წლის იანვრის 24-ს სხდომაზე დაადგინა – დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს: „ეს საკითხი ხელახლად დააყენოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიაში“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კვლავ შეიტანა მთავრობაში იგივე პროექტი უცვლელად.

მთავრობამ განიხილა იგი 1920 წ. აპრილის 20-ს, მიიღო და დაადგინა: წარედგინოს იგი დამფუძნებელ კრებას.

ამრიგად, პროექტი კვლავ შემოტანილ იქნა დამფუძნებელ კრებაში 1920 წლის აპრილის 24-ს.

დამფუძნებელმა კრებამ, პრეზიდიუმის წინადადებით, პროექტი წინასწარი განხილვისათვის იმავე საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას გადასცა.

კომისიამ განიხილა პროექტი 1920 წლის დეკემბრის 1-ს სხდომაზე და მიიღო ზემოაღნიშნული დადგენილება.

დადგენილება: ამ ჟურნალის ამონაწერი ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავრობას. უკეთუ უწყებული ხნის განმავლობაში მათგან არავითარი განცხადება არ შემოვა პროექტის ამა თუ იმ გზით წარმართვის შესახებ, – იგი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას განსახილველად – საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნითურთ.

3. მოსმენილია: სამხედრო კომისიისაგან წარმოდგენილი მის და იურიდიულ კომისიის მიერ განხილული და ცვლილებით მიღებული სამხედრო მინისტრის პროექტი დეკრეტისა – 1919 წ. მაისის 20-ს კანონის (კან. კრებ. 1919 წ. №8 კან. 59-ე) მოქმედების შეჩერების შესახებ.

ცნობა: სამხედრო კომისიის მხრით მომხსენებელია ზაქარია გურული. დამფუძნებელი კრების იურიდიულ კომისიას მომხსენებელი არ დაუნიშნავს.

პროექტი ფრაქციათ უკვე დაურიგდათ.

დადგენილება: პროექტი შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების ამა იანვრის 14-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. ფ. 8-10.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 12

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი. დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი;
მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1 მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, იანვრის 12-ს, წარმოდგენილი გარეშე საქმეთა მინისტრის კანონპროექტი – დასავლეთ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლების შტატების დამტკიცებისა.

პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა იანვრის 11-ს სხდომაზე.
პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას და შემდეგ შტატებს:
1) სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა საფრანგეთში (პარიზში).
2) საინფორმაციო ბიუროსი საფრანგეთში (პარიზში).
3) რომის საკონსულოში.
4) საქართველოს ცენტრალური წარმომადგენლობის ბიუროსი ლონდონში.
5) სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ბერლინში და
6) კომერციული აგენტისა საფრანგეთში.
პროექტს დართული აქვს მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი. . .
დართული არა აქვს სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა უწყების დასკვნა.
ცნობა: გარეშე საქმეთა მინისტრის – ამხანაგის ბატონ კონსტანტინე საბახტარაშვილის პირადი განცხადებით – უკანასკნელი შტატი – კომერციული აგენტისა საფრანგეთში, – თუმცა ზემოხსენებულ საერთო შტატებშია მოქცეული, მაგრამ ამ რიგობაზე იგი გამოცალკევებული უნდა იქნეს, რადგანაც შტატი მომარაგების მინისტრმა უნდა წარმოადგინოს.
დადგენილება: პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელი საღამოს სხდომაზე – გარეშე საქმეთა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისათვის გადასაცემად – წინასწარი განხილვისათვის.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ექვთიმე თაყაიშვილი.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 11.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა მეოთხმოცე

ოთხშაბათს 1921 წ. იანვრის 12. სასახლე

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი; მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

სხდომა იწყება საღამოს 7 ს. და 5 წ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ უკვორუმობის გამო სხდომა არ გაიხსნება.

შემდეგი სხდომა – კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის – დაინიშნება ამა იანვრის 16-ს შუადღის 12 საათისათვის, ხოლო მორიგი შემდეგი სხდომა, ნაცვლად ამა იანვრის 14-სა (პარასკევს), დაინიშნება სამშაბათს, იანვრის 18-ს, შუადღის 12 საათზე.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ. 270.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 15

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი;

მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: გზათა კომისიის მონაწერი ამა იანვრის 15 თარიღითა შემდეგი შინაარსისა:

„გთხოვთ კეთილ ინებოთ და პროექტი დეკრეტისა – ასეთის რკინისგზის საფოსტო ტვირთის გადასაზიდი ფასის გადიდების შესახებ – რომელიც შეტანილი იყო დამფუძნებელი კრების ამა იანვრის 4-ს სხდომის დღიურ წესრიგში და დროებით მოიხსნა განხილვისაგან სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადების თანახმად, რომელსაც იგი მაშინ განხილული ჯერ არა ჰქონდა, – კვლავ შეიტანოთ განსახილველად დამფუძნებელ კრებაში უახლოეს სხდომაზე, რადგანაც ეს პროექტი – თავისი შინაარსის მიხედვით – წინ უნდა უსწრებდეს რკინისგზების საერთო ტარიფების გადიდების პროექტს. ეს უკანასკნელი პროექტი უკვე განხილული და მიღებულია გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მიერ და დაუყოვნებლივ წარმოდგენილი იქნება პლენუმისათვის წარსადგენად“.

ცნობა: კომისიების მხრით მომხსენებელნი არიან: – გზათა – პავლე წულაია, ხოლო საბიუჯეტო-საფინანსო – ივანე გომართელი.

დადგენილება: პრეზიდიუმი იღებს მხედველობაში, რომ ხელშეკრულობა ვადიანია და ამიტომ ჰსაჭიროებს სასწრაფო წესით დამტკიცებას, ხოლო რადგანაც იგი უკვე განხილული ჰქონია საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას, – ადგენს: ხელშეკრულობა წინასწარი განხილვისათვის გადაეცეს მარტო იურიდიულ კომისიას, რომელსაც ეთხოვოს მისი სასწრაფოდ განხილვა, რათა იგი შეტანილ იქნეს დამფუძნებელი კრების უახლოეს სხდომის დღიურ წესრიგში.

მოეთხოვოს მთავრობას ამ ხელშეკრულობის შესახებ დასკვნის გადმოცემა, ხოლო საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას – მომხსენებლის დანიშვნა.

პროექტი შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების ამა იანვრის 18-ს საღამოს დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ექვთიმე თაყაიშვილი.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. ფ. 12-13.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 16

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, მისი ამხანაგი: ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი;
მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: იურიდიულ კომისიისაგან წარმოდგენილი მის მიერ განხილული და მიღებული – ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საკონცესიო ხელშეკრულობა.

ხელშეკრულობას დართული აქვს პროექტი ამ ხელშეკრულობის დამტკიცების აქტისა.

ხელშეკრულობისა და პროექტის ასლი ფრაქციათ დღეს დაეგზავნათ.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მხრით მომხსენებელი გრიგოლ რცხილაძე.

იურიდიულ კომისიას მომხსენებელი არ დაუნიშნავს.

ცნობა: ზემოხსენებული ხელშეკრულობა, როგორც მთავრობის საქმეთა დამფუძნებელი კრების კანცელარიას, მთავრობის ამა იანვრის 11-ს სხდომაზე განუხილავს და მიუღია. ამონაწერი მთავრობის სხდომის ჟურნალისა დაუყოვნებლივ იქნება გამოგზავნილიო – დასძინა მთავრობის საქმეთა მმართველობამ.

დადგენილება: ხელშეკრულობა და დამტკიცების აქტის პროექტი შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების ამა იანვრის 18-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

2. მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ ამა იანვრის 13-ს წარმოდგენილი სამხედრო მინისტრის პროექტი დეკრეტისა – სახალხო გვარდიის დამატებითი ყოველდღიური ხარჯების დასაფარავად 160.243. 958 მან. გადაღების შესახებ.

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა იანვრის 6-ს.

პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას, დეკრეტის ტექსტს და

დამატებითი ხარჯების ორ ნუსხას № მე-2 და მე-3.

დართული აქვს სახელმწიფო კონტროლის დასკვნა და მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი.

დადგენილება: პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას ამა იანვრის 16-ს სხდომაზე სამხედრო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისათვის გადასაცემად – წინასწარი განხილვისათვის.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ექვთიმე თაყაიშვილი.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 14.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

1921 წლის 16 იანვარი

თავმჯდომარეობს ექვთიმე თაყაიშვილი.

გრძელდება მსჯელობა კონსტიტუციის პირველი თავის შესახებ.

იოსებ ბარათაშვილი (სოც.-ფედ.) აღნიშნავს დიად მნიშვნელობას ნაციონალური გრძნობისას და ვრცლად არკვევს ნაციონალური თავისუფლების პრინციპის სიდიადეს. შემდეგ ორატორი ეხება მუხლს – დემოკრატიულ რესპუბლიკის მუდმივობისა და უცვლელობის შესახებ; მისი აზრით, სიტყვა მუდმივი არ უნდა დარჩეს კონსტიტუციაში, რადგანაც ამით ხალხს ერთმევა უფლება პოლიტიკურ ფორმის შეცვლისო.

ესერების პროექტი, ორატორის აზრით, ორჭოფობით არის სავსე. მათ გადაჭრით უნდა სთქვან – რომელ გზას ადგნან – დემოკრატიისა თუ დიქტატურის. ისინი ერთსაც იღებენ და მეორესაც. ეს კი მიუღებელია.

პავლე საყვარელიძე. (სოც.-დემ.): ზოგად დებულებების შესახებ მე ბევრს აღარ ვილაპარაკებ, ვიტყვი მხოლოდ რამოდენიმე საზოგადო მოსაზრებებს.

აქ შეეხენ იმ საკითხს, თუ რატომ ჩვენ ნაციონალურ დროშად არ არის წითელი დროშა; რომ საქართველოს სახელმწიფო არსებობს უძველესი დროთაგან, მას ჰქონდა სახელმწიფო ტრადიციები და ჰქონდა თავის დროშა.

საქართველოს ჰქონდა წარსული ისტორია; ეს რომ არ ყოფილიყო, – მაშინ სხვა საქმეა. თვით ნაციონალური დროშა საუცხოვოთ ეთანხმება ჩვენს პრინციპებს, იგი ემბლემაა ორი იდეის – რევოლუციის და ეროვნული შეთანხმების.

უნდა დამტკიცდეს თუ არა კონსტიტუცია რეფენდუმის საშუალებით?

ჯერ ერთი: არ არის მართალი, თითქოს დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ უნდა ითათბიროს, მან უნდა გადაჭრას კიდეც მნიშვნელოვანი საკითხები, დააფუძნოს მნიშვნელოვანი საკითხები, დააფუძნოს საფუძვლები ჩვენი სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა. ხალხმა აირჩია დამფუძნებელი კრება იმისათვის, რომ მას მიეღო კონსტიტუცია. და დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღება არის საბოლოო, რადგანაც სათანადო დავალება არჩევნების დროსვე მისცა მას ხალხმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ თათბირი გვქონია და სხვა არაფერი, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი. ხალხის აზრი შეიძლება შეიცვალოს.

ეს ასე არ არის, ჩვენ ყველა საბუთი გვაქვს ასე ვიფიქროთ, მაგრამ თუ ასე არ არის საქმე, მაშინ დამფუძნებელმა კრებამ აღარ უნდა გადასწყვიტოს აღარც ერთი საკითხი.

როცა ჩვენ რეფერენდუმის წინააღმდეგ მივდივართ, ჩვენ ხალხის კი არ გვეშინია, არამედ ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ ბოლომდის ლოღიკა. აქ შეეხენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც ვითომდა არსებობდა ნეიტრალობის შესახებ მუხლსა და ერთა კავშირში შესვლის აღიარებას შორის. თუ ნეიტრალური ვიქენით, მაშინ შეიბორკება ჩვენი შესვლა ხალხთა კავშირშიო. მაგრამ ჩვენ ნეიტრალობის აღიარებას, სულ ერთია, ვერ ავიცდენთ თავიდან, იგი აღიარებულია დამოუკიდებლობის აქტში და აქ გადმოტანით კი გვინდა იგი უფრო განვამტკიცოთ, არ შეგვიშლის ეს ხელს სხვა ერთა მთლიან ორგანიზაციის შესვლის დროს. ამის კლასიკური მაგალითი შვეიცარიაა, იგი ნეიტრალური ქვეყანაა და ხალხთა ლიგაშიც კი შევიდა...

(გიორგი გვაზავა: რამდენი შრომა დაეხარჯათ ამისათვის?)

შრომა სხვაა, აქ საქმე პრინციპშია – შესვლა შესაძლებელი ყოფილა და თქვენი მოსაზრებები არ არის სწორი. ამის გარდა, თქვენი მოსაზრებები აგრეთვე აქტის წინააღმდეგაც უნდა წამოაყენოთ, ან ერთი, ან მეორე. ეს აქტი კი არის წყარო ჩვენი კონსტიტუციისა და მისი მიღებით უნდა მივიღოთ ნეიტრალობა აგრეთვე კონსტიტუციაშიც. რასაკვირველია, ერთი მხრივ ნეიტრალიტეტი ბევრს არას ჰნიშნავს; მას მხოლოდ სხვების მიერ ცნობის შემდეგ აქვს ძალა; მაგრამ ჩვენ გვაქვს ეს შეტანილი ჩვენი სურვილის გამოსახატავად. ჩვენ ამით ვამბობთ, რომ ჩვენ ასე გვინდა.

ჩვენ ვიცით, რომ ნეიტრალობა უდიდესი ფაქტორია ქართველი ხალხის

განვითარებაში. ნეიტრალობა არც შეგვიშლის ჩვენ ხელს თავდაცვის საქმეში. განა ბატონი გიორგი გვაზავა იტყვის, რომ „ნეიტრალობამ დაგვიშალა თავდაცვის საქმე და მტრის მოგერიება?“ მართალია, ჩვენ ნეიტრალობას არ სცნობენ, მაგრამ უფრო დიდია, რომ ჩვენ ვსცნობთ ჩვენ თავს. თუ გვცნეს – ხომ კარგი, თუ არად და მაშინ მზად ვიქნებით.

ეწინააღმდეგება თუ არა ეს ერთა ლიგაში შესვლას?

ჩვენს პროექტში სრულიად არ არის ლაპარაკი ერთა ლიგის შესახებ.

იქ ლაპარაკია მხოლოდ ერთა თავისუფალ კავშირზე, დემოკრატიულ ერთა კავშირზე. დღევანდელი ლიგა არ წარმოადგენს ჯერ ასეთ ორგანიზაციას; თუ კი გადაიქცევა – ეს სხვაა. მაშინ იქ უნდა იყვნენ ხალხის წარმომადგენლები. ეხლა კი ვინ არის იქ წარმოდგენილი? – მთავრობების წარმომადგენლები, რომლებიც თავისებურათ საქმიანობენ. ჩვენ კი გვინდა, რომ შიგ იყვნენ ერების, დემოკრატიის წარმომადგენლები და მაშინ გახდება იგი რეგულატორი საერთაშორისო მშვიდობიანობისა.

ამბობენ – არის ინტერნაციონალი და ის ასეთ სამსახურს ასრულებსო. ეს არ არის სწორი; ინტერნაციონალი სრულიად სხვა ხასიათის ორგანიზაციაა და იგი არა ხდის ზედმეტად სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან საჯარო უფლებებით. ამას წინათ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის გამო ლეო შენგელაიამ განაცხადა, რომ ეს დიდი გამარჯვებაა ქართველი ერისო. ნეტა რად გაუხარდათ მაშინ ეს გამარჯვება ქართველი ერისა, თუ არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ამას?

შენგელაია ეხლა ამბობს – სოციალისტს არ შეუძლია ლიგაში შესვლაო. მეორე ინტერნაციონალი კი იღებს ერთა ლიგას, მაგრამ ამბობს, რომ სოციალისტებმა უნდა იბრძოლონ მის გადასახალისებლადო, სხვა ლიგის შესაქმნელად. ბატონ გობეჩია იძახის, რომ იქაური ერები ყველა იმპერიალისტური სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნიო.

მაშ, „ვიჯმნათ ეშმაკისაგან და დავრჩეთ მარტო“?

არა, ეს არ არის ასე. იქ არის სხვა ძალებიც, რომლებიც ებრძვიან იმპერიალისტებს. მართალია, მთელი იქაური პოლიტიკა იმპერიალისტურია, მაგრამ არის აგრეთვე მოძრაობაც, რომელიც მიიყვანს კაცობრიობას მშვიდობიანობისა და ერთა კავშირთან. კაცობრიობა უნდა დაიღუპოს და ან უნდა მიაღწიოს მან მშვიდობიანობის ნავსაყუდელს. ასე აყენებს საკითხს ისტორია, და სწორედ ეს ბრძოლა მიიყვანს კაცობრიობას მშვიდობიანობამდის.

ამგვარად, ჩვენი მუხლით ერთა კავშირის შესახებ ჩვენ ორ აზრსა ვხატავთ – ამის აუცილებლობას და ჩვენი ერის სურვილსაც, რომ გვქონდეს საერთაშორისო ურთიერთობა.

სამსონ დადიანის აზრითაც უნდა იყვნეს ერთა კავშირის შესახებ მუხლი, როგორც სურვილის გამოხატვა ან ნეიტრალობა. ან ერთი ან მეორე. მაგრამ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ჩვენ ვიბრძვით ერთა კავშირში შესვლისათვის და აგრეთვე ნეიტრალობისათვისაც. მაგრამ ერთა კავშირის შესაქმნელად დიდი დროა საჭირო და ამიტომაც მანამდის ვაღიარებთ მუდმივ ნეიტრალობის პრინციპს.

დიდი კამათი გამოიწვია მუხლმა დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივობის და უცვლელობის შესახებ. ყველა ამბობს; დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია, მაგრამ ეს საკითხი არის პირველ ყოვლისა ბრძოლის საკითხი, ნაყოფი პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული ბრძოლისა. გამარჯვებული პარტიები სცდილობენ უფლებრივადაც – განამტკიცონ გამარჯვება. საფრანგეთში, მაგალითად, მხოლოდ ერთმა ხმამ გადასწყვიტა რესპუბლიკის ბედი და შემდეგ იწყო ამ რესპუბლიკამ მომაგრება. რესპუბლიკანელები გამაგრდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა შეიტანეს მუხლი რესპუბლიკის ფორმის შეუცვლელობის შესახებ. ლეო შენგელაიას მაგალითი მონარქისტების გამარჯვების შესახებ არაფერს ამტკიცებს. თუ მონარქიამ გაიმარჯვა, მაშინ ის სულყველანაირ კონსტიტუციას დაგიფხრეწს; ამ მუხლით აკრძალულია მხოლოდ ლეგალურათ რესპუბლიკის ფორმის შეცვლისადმი მისწრაფების განხორციელება. მაგალითად, თუ საფრანგეთში გაიმარჯვეს სოციალისტებმა, – იქ რესპუბლიკა არ გახდება გადასინჯვის საგნათ, აგრეთვე ამერიკაში, შვეიცარიის ფედერაციაში, პორტუგალიაში არ შეიძლება იმსჯელონ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების ფორმის გადასინჯვის შესახებ.

აქ საერთოდ ბრძოლა იყო ორ ბანაკს შორის და ერთი გამარჯვებული ბანაკი სცდილობს კანონიც გამოიყენოს. გობეჩიას ჰგონია – რაკი ეს მუხლი შეაქვთ, – ხალხის იმედი არ ჰქონიათო. არა, ჩვენ გვაქვს ხალხის იმედი, მაგრამ ყველამ იცის, რა თამაში სწარმოებს ხალხის ძალებში ისტორიულ პროცესში. ხშირად გამოდის რომელიმე პიროვნება, ისტორიული მატრაკვეცა, რომელიმე ჯგუფი, უმცირესობა, რომელიც თავზე აჯდება ხალხს. ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას ლეგალურათ მოქმედების ასპარეზი და სწორედ ამიტომაა საჭირო ეს მუხლი. ამის გარდა, ყოველივე დემოკრატია თავის საბოლოო განვითარების დროს მიისწრაფის თანასწორობისაკენ. დემოკრატიის ლოღიკური ბოლო სოციალური დემოკრატიაა, ხოლო სოციალიზმის – სოციალურ და ეკონომიკურ დემოკრატიის დამყარება განა უარყოფს პოლიტიკურ დემოკრატიას? განა მომავალში არ იქნება პოლიტიკური ცხოვრება, არჩევნები და სხვა. რესპუბლიკა საერთოდ სახელმწიფოს ჰნიშნავს, მომავალი სახელმწიფო კი არ იქნება თანამედროვე სახელმწიფო. ასე რომ, ეტიმოლოგიურადაც ეს არ ნიშნავს დღევანდელი ფორმის გამარადისებას.

მაშ, რის გვშინებია ჩვენ? – არა მონარქიის, არამედ იმისა, რომ არ წავიდეთ უკან წინსვლის მაგიერ, წინსვლა კი დემოკრატიულ რესპუბლიკის ფორმაშია შესაძლებელი. იასე ბარათაშვილი ამბობს: რათ არ მივცეთ ხალხს უფლება ნელ-ნელა, ევოლუციურად შესცვალოს მმართველობის ფორმაო.

მაგრამ რით უნდა შეცვალოს?

შეცვლა შეიძლება მხოლოდ შინაარსის შეცვლით. ეს არის ფორმა და შიგ შეიძლება სოციალისტური შინაარსიც ჩავდოთ. დღევანდელი სინამდვილე არ არის სოციალისტური, მაგრამ არის ამის ჩანასახები; შემდეგ კი ამ ჩანასახით (გაზრდილი უკვე) შეავსებს ამ ფორმას. ასე რომ, ამ მხრივ – სოციალისტურ შინაარსს არავითარი საფრთხე არ მოელის; ამიტომ მომავლის საუკეთესო ფორმაც – დემოკრატიული იქნება.

„დემოკრატია არ გვინდა, იგი ბატონობას წარმოადგენს“. აქ სჩანს 62 პიროვნების კულტის მიმდევრებისა ე.ი. ეს მომავალში არ იქნებაო. მე 1000 წლებით წინ ვერ გავიხედავ, სულ დიდი 100 წლის გათვალისწინება შეგვიძლია; და იქაც კი იქნება უმრავლესობა და უმცირესობა. დღეს ამის არსებობა აუცილებელია ეკონომიკური მიზეზების გამო, მაგრამ მომავალშიაც იქნება უმცირესობა და უმრავლესობა სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს სხვა ნიადაგზე. ამიტომ იქაც იქნება კრატია, უმრავლესობის ბატონობა.

შეიძლება, როდისმე ეს მოისპოს, მაგრამ ჩვენ ხომ ისტორიის ნიადაგზე ვმოღვაწეობთ და ასე შორს წასვლა პოლიტიკურ პროგნოზების მხრივ არ შეგვიძლია. შენგელაიას აზრით, თუ მონარქისტებმა გაიმარჯვეს – კონსტიტუციას დაგვიფხრეწენო. მაგრამ მთავარი ეს არ არის. ჩვენ რესპუბლიკას პატივი უნდა სცეს ყველამ, მონარქისტებმა ვერ უნდა შესძლონ მის წინააღმდეგ ლეგალურად გალაშქრება.

თუ თქვენ დემოკრატიული წყობილება არ გაკმაყოფილებთ, – ეს სხვა საქმეა, ჩვენ კი მას მომავლის ფორმადაც ვთვლით და ამიტომ ვსპობთ მის მოსპობის ლეგალურ საშუალებებს.

ეს ბურჟუაზიულ ევროპაშიც არისო, – ამბობთ თქვენ; მაგრამ თქვენც ბევრი აიღეთ იქედან. ამას გარდა, იქ ბევრი რამ შესანიშნავად შეიქმნა; მაგალითად, „უფლებათა დეკლარაცია“, რომლის შემადგენელთაც მომავალში ძეგლი დაედგმებათ. რაც შეეხება მეცნიერულობას ამ მუხლისას, – უნდა განვაცხადო, რომ საერთოდ თითქმის ყველა დებულება, მაგალითად, სიკვდილით დასჯის შესახებ და სხ. – მეცნიერებაში, იურისპრუდენციაში კამათის საგნათაა გამხდარი, მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ვუცადოთ კამათის დასასრულს?

რა წყობილებაა დღეს?

ეს საკითხი ბევრს აინტერესებს. ბევრი ამბობს – სოციალისტური არისო, ბევრს ჰგონია, რომ ასე არ არის; კატეგორიულად ლაპარაკი აქ შეუძლებელია. *„ჭკვიანი კაცის „მგონია“ 1000 უვიცის „ვიცი“-ს სჯობია“*, – ამბობს ერთი ანდაზა. დღეს გარდამავალი ხანაა; მაგრამ ჩვენ მას ვერ წავუსწრებთ წინ. ჩვენ მასთან ერთად მივდივართ და ამიტომ ისეთს ფორმასა ვქმნით, რომელიც ჩაიტევს სოციალურ ტრანსფორმაციის შესაძლებლობასაც, იარაღათ გამოგვადგება მომავლის სახელმწიფოს აგების დროსაც.

შენგელაიამ იკითხა – რას ჰნიშნავს განუყოფელი სახელმწიფოვო? ეს ჰნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ არის ფედერატიული, რომ ის უნიტარულია. მაგრამ მან სთქვა, რომ შეიძლება მის განუყოფლად წარმოდგენაო და მოიყვანა აფხაზეთის მაგალითი, – თურმე აფხაზეთი სახელმწიფო ჰქონია. მაგრამ თქვენ ურევთ სახელმწიფოებრივსა და ადმინისტრაციულ ავტონომიას. შვეიცარიის კანტონებში არის ავტონომია სახელმწიფური, ჩვენში კი ავტონომია არ არღვევს სახელმწიფოს უნიტარულობას. ეს არც არღვევს ტერიტორიის განუყოფლობას: თვით თქვენივე – ესერების – კონსტიტუციაშიც არის ასეთი მუხლი. გარეშე ამისა აგება სახელმწიფოსი წარმოუდგენელი იქნებოდა. ერთი ხასიათი აქვს და ფაქტები სხვას ამტკიცებენ.

ესერები განსაკუთრებულად ებრძვიან კონსტიტუციას, მათ ჰსურთ მოაჩვენონ ხალხს, რომ მას ყველა ღალატობს ესერების გარდა; რომ ისინი იცავენ სხვა ერების უფლებასაც, რომელსაც სხვები – ნაციონალისტები აბუჩად აგდებენო. ეს რომ ასე იყოს, – სასაცილოც კი იქნებოდა. მაგრამ არის მეორე მხარეც. ჩვენ გვეუბნებიან, კლასიკურ სახელმწიფოს მუდმივი დამცველები ხართო. მაგრამ ავიღოთ მათი კონსტიტუცია; იქაც არის ყველაფერი – ერთი ენა, ტერიტორიის განუყოფლობა – მე ვლაპარაკობ ფორმალურად, თორემ ფაქტიურათ რომ ესერები ამას აღიარებენ, – ამის ფაქტებიც მოიპოვება. რამდენი ტყვია-წამალი დახარჯეს მათ, რომ დაემტკიცებინათ – დემოკრატიული რესპუბლიკა არ ვარგაო, ხოლო ჩვენი შრომის რესპუბლიკა – ჩვენი პროგრამული მოთხოვნილება არისო.

აბა, ვნახოთ რა სწერია მათ პროგრამაში; იქ სწერია – *„მონარქიის შეცვლა დემოკრატიული რესპუბლიკით და სხვა დემოკრატიული მოთხოვნილებანი“.* მათ თვით დაკარგეს გზა და უღალატეს კიდეც თავის პროგრამას. ამის შემდეგ თქვენ თვითონ განსაჯეთ, ვინ არის უკეთესი სოციალისტი.

სოციალისტობა ფრაზებში კი არ გამოიხატება; ასეთი ფრაზები კი უხვად აქვთ ესერებს, მაგალითად, „სახელმწიფო დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ექსპლოატაციის წინააღმდეგო“. ეს კი უპირისპირდება მათივე ძველ პროგრამულ მოთხოვნილებას 8 საათის სამუშაო დღის და სახელმწიფოს მიერ შრომის დაცვის შესახებ. ამიტომ არ არის მართალი, როცა ამბობენ – *„თავიდანვე ამას ვითხოვდიო“.*

ბატონ შენგელაიას ჰგონია – ერთა თვითგამორკვევა ყველა ერებს, მათ ნაწილებსაც კი უნდა მიეცესო. მაგრამ ეს პრინციპი შეეხებოდა ერთა სახელმწიფოებს და არა ეროვნულ სახელმწიფოებს. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ აქ ცალკე სახელმწიფოები დააარსონ იმიტომ, რომ აქ სცხოვრობენ არა ერები, არამედ ნაწილები ერებისა – მაგალითად, სომხები და სხვები. თუმცა არც ესერები ანიჭებენ სრულ თანასწორობას ყველა ერებს. ამას ამტკიცებს მათ მიერ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება. საერთოდ, მომავალში მე ესერების პროექტის სათანადო თავს შევადარებ ჩვენი პროექტის ასეთივე თავს, აქ – 1 თავში მათ აქვთ 8 მუხლი და 4 ჩვენგან აქვთ აღებული. უაღრესად „სოციალისტებს“ კი არ შეეფერებათ, რომ „*ბურჟუაზიულ*“ კონსტიტუციიდან გადმოიტანონ მუხლები.

ბოლოს ორატორი რამდენიმე სიტყვით უპასუხებს ბარათაშვილის ფედერაციის განმარტების შესახებ და სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს ეს თავი კონსტიტუციისა.

1-ლი თავი კონსტიტუციისა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული იქნა. ესერების ფრაქციამ წინააღმდეგ მისცა ხმა. მუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის პირველი თავისა დაიწყება 10 დღის შემდეგ.

გაზ. „ერთობა“, №24. ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 1921 წ.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეორე (საგანგებო)

კვირას 1921 წ. იანვრის 16. სასახლე

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი; მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

სხდომა იწყება შუადღის 12 ½ ს.

დღის წესრიგი: სხდომის გახსნისას მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების დღევანდელი სხდომის შემდეგ დღიურ წესრიგს:

1. განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის.

ცნობა:

კონსტიტუციის პროექტის ცალკე თავების მომხსენებელნი არიან:

თავი 1 – ზოგადი დებულება – პავლე საყვარელიძე;

თავი 2 – მოქალაქეობა;

თავი 3 – მოქალაქის უფლებანი – კონსტანტინე ჯაფარიძე;

თავი 4 – პარლამენტი;

თავი 5 – აღმასრულებელი ხელისუფლება – სერგო ჯაფარიძე;

თავი 6 – სასამართლო – სამსონ დადიანი;

თავი 7 – სახელმწიფო ფინანსები – ივანე გომართელი;

თავი 8 – კონტროლი – გიორგი გვაზავა;

თავი 9 – სახელმწიფოს თავდაცვა – სპირიდონ კედია;

თავი 10 – ადგილობრივი თვითმმართველობა – მელიტონ რუსია;

თავი 11 – ავტონომიური მმართველობა – აკაკი ჩხენკელი;

თავი 12 – სწავლა-განათლება და სკოლა – ლეო ნათაძე;

თავი 13 – სოციალ-ეკონომიური უფლება – აკაკი ჩხენკელი;

თავი 14 – ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი – ლეო ნათაძე;

თავი 15 – სახელმწიფო მოხელენი – კონსტანტინე ჯაფარიძე;
თავი 16 – სახელმწიფო და ეკლესია – იესე ბარათაშვილი;
თავი 17 – კონსტიტუციის გადაშინჯვა – პავლე საყვარელიძე;
დამფუძნებელი კრება ამ დღიურ წესრიგს უცვლელად ამტკიცებს.

გრძელდება ზოგადი მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის პირველი თავის შესახებ.

მსჯელობაში მონაწილეობას იღებს იესე ბარათაშვილი (სოც.-ფედერ.).

ორატორი სიტყვას ამთავრებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოტანილია წინადადება მსჯელობის შეწყვეტის შესახებ.

ამ წინადადების წინააღმდეგ სიტყვას იღებს ილია ნუცუბიძე (სოც.-რევოლ.).

დამფუძნებელი კრება სოც.-დემ. ფრაქციის წინადადებას კამათის შეწყვეტის შესახებ იღებს ხმის უმრავლესობით.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის შესახებ ზოგადი მსჯელობა დამთავრებულია.

მომხსენებელი პავლე საყვარელიძე საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

ორატორი სიტყვას ამთავრებს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – კონსტიტუციის პირველი თავის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს ამ თავის მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს.

თავმჯდომარე კითხულობს დამფუძნებელი კრების ცნობისათვის კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 და მე-5 მუხლს.

მდივანი კითხულობს უწყებისათვის უკან დაბრუნებულ, გაუქმებულ და ერთიმეორესათვის დართული საკანონმდებლო აქტების შემდეგ ნუსხას:

საკანონმდებლო აქტის სახელწოდება:

1. იუსტიციის მინისტრის პროექტი დეკრეტისა – სასამართლოში მოწმეთა მისვლისათვის გასამრჯელოს დროებითი გადიდებისა და კანონიერ მიზეზის უქონელად სასამართლოში მოუსვლელობისათვის ჯარიმის მომატების შესახებ.

2. შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – შრომის ბირჟის კინო-თეატრის ბილეთების სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

3. მიწათმოქმედების მინისტრის პროექტი დეკრეტისა – იჯარით გაყიდულ-გაცემულ სახაზინო მამულების საიჯარო გადასახადის გადიდების შესახებ.

4. სამხედრო მინისტრის პროექტი დეკრეტისა – ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების კანონის შეცვლის შესახებ.

5. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის ინიციატივით წარმოდგენილი

საკანონმდებლო წინადადება – ზოგიერთ საქონელზე ექსპორტის მონოპოლიის განხორციელების შესახებ.

6. განათლების კომისიის ინიციატივით წარმოდგენილი კანონპროექტი – დამფუძნებელი კრების წევრის თანამდებობისა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოს კანონის დამატების შესახებ.

7. განათლების კომისიის ინიციატივით წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა – სამოქალაქო უწყებათა მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების 1919 წ. მაისის 20-ს და აგვისტოს 2-ს დეკრეტის შეცვლისა – განათლების უწყების ყოველი ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა შესახებ.

8. ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის მინისტრის პროექტი დეკრეტისა – ლითონის, სამეურნეო იარაღების და მანქანების დამმზადებელი ქარხნის „აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია და ამხანაგი", სააქციონერო საზოგადოებისათვის სესხის მიცემის შესახებ.

დამფუძნებელი კრება ამ ნუსხას უკამათოდ ადასტურებს.

მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების კომისიებისათვის წინასწარი განხილვისათვის გადასაცემი საკანონმდებლო აქტების შემდეგ ნუსხას:

აქტებისა და ქაღალდების შინაარსი:

1. შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის ხარჯების გადიდების შესახებ. – გადაეცეს: ჯანმრთელობისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

2. გარეშე საქმეთა მინისტრის კანონპროექტი – დასავლეთ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლობის შტატების დამტკიცების შესახებ. – გადაეცეს: გარეშე საქმეთა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

3. სამხედრო მინისტრის პროექტი დეკრეტისა – სახალხო გვარდიის დამატებითი ყოველდღიური ხარჯების დასაფარავად 160.243.956 მან. გადადების შესახებ. – გადაეცეს: სამხედრო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

4. ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის მინისტრის პროექტი დამტკიცების აქტისა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საკონცესიო ხელშეკრულობის გამო. – გადაეცეს: საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიებს.

დამფუძნებელი კრება ამ ნუსხას უკამათოდ ადასტურებს.

მდივანი კითხულობს შემდეგი სხდომის (იანვრის 18-ის) დღიურ წესრიგს.

თავმჯდომარე სხდომას ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. ჰხურავს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 271-273.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამესამე

1921 წ. ორშაბათი, იანვრის 17

თავმჯდომარეობს ექვთიმე თაყაიშვილი.

ზაქარია გურული მოხსენებით დამფუძნებელმა კრებამ ზოგადათ განიხილა კანონპროექტი რადიოტელეგრაფის გუნდის შეცვლისა და დამატების შესახებ.

ზაქარია გურული მოახსენებს: დამფუძნებელ კრებას 1919 წ. მაისის 26 კანონს *„ოჯახის მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების“* – მოქმედების შესახებ.

ივანე გობეჩია აღნიშნავს, რომ ეს კანონი უსათუოდ უნდა დარჩეს ძალაში და ჯარში სამსახურიდან განთავისუფლება უნდა მიმდინარეობდეს ძველი წესით.

სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე: ამ კანონის შესახებ, რომელიც აქ იყო წინად შემოტანილი, სულ სხვა აზრისა იყო სამხედრო კომისია და სამხედრო სამინისტრო, მაგრამ ეხლა მთავრობამ ამ კანონის გაუქმება მიიღო შემდეგი მოსაზრებით:

ყოველივე კანონი, რომლის ფართოთ განმარტება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, რა გინდ კარგათ ის არ იყო შედგენილი, მაინც უტოვებს ადგილს ბოროტმოქმედებებს და შეცდომებს. აი აქაც ამ კანონში არ არის აღნიშნული კრიტერიუმი, რომელიც უნდა ხდებოდეს ჯარში სამსახურიდან განთავისუფლება – ამიტომ ადგილი აქვთ არა ბოროტმოქმედებას, არამედ – შეცდომებს. ეს დამტკიცებულია ციფრებით. წინეთ რუსეთში ეს განსაზღვრული იყო. ანთავისუფლებდნენ ერთად ერთ ვაჟს და იმათ, ვისიც მშობლები 55 წელზე უფრო მოხუცები იყვნენ, მაგრამ როდესაც ეს გაფართოვებულია ოჯახის მარჩენალის – განთავისუფლებამდე და ეს კი ძლიერ ფართო ცნებაა, ამიტომ ეს ხელს გვიშლის უკვე ჯარის ფართო ორგანიზაციის საქმეში. ამ მიზეზით ჩვენ ვითხოვთ ამ კანონის სრულ გაუქმებასაც.

რაც შეეხება ამ პირების ოჯახებს, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ერთად ერთ მარჩენალების ჯარში წაყვანილების ოჯახებს აღმოეჩინოს მაქსი-

მალური დახმარება როგორც სახელმწიფოს მიერ, ისე სხვა ორგანიზაციების თვითმმართველობის მიერ. ცხადია, რომ ერთი საქმის გაკეთების დროს სხვა საქმეც არ უნდა გავაფუჭოთ, მაგრამ იმ ერთს კი დაბოლოვება უნდა.

ჩვენი სახელმწიფო პატარაა – ეს ერთი – და მეორე – გარშემო ჩვენ აუარებელ მტრები გვახვევია. ამ ორმა გარემოებამ გვაიძულა, რომ ჯარის რაოდენობა მაქსიმალური იყვეს; თუ კი არ მივმართეთ ამ კანონის გაუქმებას, მაშინ თითქმის 30% და უფრო მეტიც შეიძლება ამ კანონის ფართე განმარტების გამო განთავისუფლდეს. და ჩვენ ვერ მივიღებთ მაქსიმალურ ციფრებს. თუ კი საკმაო რიცხვი. იქნება მოწვეულებისა, მაშინ აღარ მოგვიხდება ხშირი მობილიზაციების მოხდენა და შემცირდება ხარჯები.

მობილიზაციით გაწვეულ ჯარში უნდა იყოს დედა გული გამოწვრთვნილი ჯარი, რომელმაც თვით უნდა გაწვრთნას ახლად გაწვეულები, მაგრამ, თუ მოდის ახალი და ძველები, კადრის ჯარისკაცები კი არ არიან – ეს საქმე ძნელი ხდება. მაშინ განთავისუფლება ამცირებებს ამ გაწვრთნის შესაძლებლობას.

ამას გარდა, ჩვენ ხომ ბოლოს და ბოლოს უნდა გადავიდეთ სამილიციო წესზე, მთელი ხალხი უნდა გაიწვრთნეს სამხედროთ. ეს საყოველთაო უნდა იყვეს, რომ მათ შეძლონ სამშობლოს დაცვა. ამ მხრივად საჭიროა ამ კანონის გაუქმება, რომ ეხლავე ყველა იწვრთნებოდეს.

აი, ეს მოსაზრებები უდევს საფუძვლათ ამ კანონის გაუქმებას. ამას გარდა, როგორცა ვთქვით, იქ არ არის გამომუშავებული შესაფერისი კრიტერიუმი, – ამიტომ ის კანონი მთლად უნდა მოისპოს.

ივანე გომართელი. (ს. დ.) მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის ყოველივე კანონი შეიძლება საბაბი გახდეს შეცდომისა და გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი, რა გინდ მწყობრათ არ იყო ის შედგენილი – ჩვენს პირობებში ამ კანონის მოქმედება მაინც უნდა შეჩერდეს. აქ შეიძლება იყოს გულჩვილობა, აღელვება, როგორც გობეჩიამ გამოაცხადა, მაგრამ როცა საქმე რესპუბლიკის დაცვაზე მიდგება, – მაშინ ცივები უნდა ვიყვეთ.

რასაკვირველია, უნდა იყოს ზოგი შეღავათი, მაგრამ ხანდახან ზოგიერთი შეღავათი ფუფუნებაა და ამისთვის კი ეხლა დრო არ არის. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი განსაკუთრებული პირობები. ჩვენ გარშემო მტრები გვახვევია...

(ხმაურობა: თქვენი პოლიტიკის გამო).

არა, რაც არ უნდა კარგი პოლიტიკა აწარმოოთ – იგი არაფერია, თუ გარეშემო გამოხმაურება ვერ ჰპოვეთ, ჩვენ კი გარშემო თავიდან მტრები გვყავდა.

თუ ეხლა ბალშევიკები ჩაჩუმდნენ – ეს არაფერს არ ჰნიშნავს, ისინი თავს არ დაგვანებებენ. რუსეთი ჩვენ ასე იოლათ თავს არ დაგვანებებს: ამიტომ უნდა დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და ამით გავაკეთებთ დიდ ისტორიულ საქმეს, და ბევრ შეცდომას გვაპატიებს ამის გამო ისტორია.

ამისთვის საჭიროა მებრძოლები. ამ კანონის შეჩერება კი მოგვცემს ბევრ მებრძოლებს და ამით უკეთ ვაწარმოებთ თვით დაცვის საქმეს. ამიტომ ეს მიზანშეწონილია, ის ხელს შეუწყობს რესპუბლიკის გაძლიერებას. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ თუ მას თავზე ძალათ გვახვევენ, ჩვენ ვიცავთ სამშობლოს და სანამ ეს ხანა არ გათავებულა, მანამდის ამ კანონის მოქმედებაც უნდა შეჩერებულ იქმნეს რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქმნა. წინააღმდეგ მისცა ხმა სოციალ-რევოლუციონერების ფრაქციამ.

გრიგოლ ურატაძის მოხსენებით მიღებულ იქმნა დეკრეტი გზათა უწყებისათვის ახალ გზატკეცილებისა და შარა გზების გადაცემისა და მათ შესაკეთებლათ 7.000.000 მ. გადადების შესახებ.

ამის შემდეგ გაგრძელდა კამათი მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შესახებ.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელიც იბეჭდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

გაზ. „ერთობა“, №19. 27 იანვარი, 1921 წ.

* * *

დამფუძნებელი კრების 17 იანვრის სხდომა

ნოე ჟორდანიას სიტყვა, წარმოთქმული დამფუძნებელ კრების 17 იანვრის სხდომაზე

I

მოქალაქენო!

ჩემი განცხადების გამო აქ დიდი ხანია არის კამათი.

ამ კამათს მე დიდის გულმოდგინებით ვუგდებდი ყურს თავიდანვე და უნდა ვსთქვა, რომ უმრავლესობა აქ გამოსულ ორატორებისა შეეხო უფრო წვრილმან საგნებს, ვინემ ისეთებს, რომელთაც ისინი უნდა შეხებოდენ.

(ხმა: ჯერ არ გათავებულა).

იმედი გვაქვს – აწი მაინც შეეხებიან.

მთავარი საკამათო საგანი აქ იყო ჩვენი მომარაგების საქმე და მომარაგების სამინისტრო; მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ თვით მომარაგების მინისტრმა გააკეთა მოხსენება, – გამოირკვა, რომ თითქმის აღარავის არაფერი აქვს სადავო და საკამათო ამ სამინისტროს გარშემო.

(სიმონ დადიანი: რა იცით, ბატონო?).

ბატონ დადიანს უნდა გავახსენო, რომ სწორედ მისმა ამხანაგმა შალვა ნუცუბიძემ აქ, ამ ტრიბუნიდან არა თუ კმაყოფილება, – გაკვირვებაც კი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ამდენი საქმე გაკეთებულა და ეს ჩვენ არ ვიცოდითო.

(შალვა ნუცუბიძე: არაფერი მაგის მსგავსი არ მითქვამს. მე ვთქვი, რომ ამდენს არ მოველოდი ამ მინისტრისგან).

მე ვამბობ, რომ მომარაგების მინისტრის მოხსენების წინააღმდეგ არც ერთი ორატორი არ გამოსულა და არსებითად არაფერი არ უთქვამთ.

(სპირიდონ კედია: გამოვალთ, ვილაპარაკებთ).

თუ გამოხვალთ – იმასაც ვნახავთ, – რა ფასი ექნება თქვენს გამოსვლას.

(სამსონ დადიანი: ეს უკანასკნელი სიტყვა ხომ არ არის, თქვენს ფრაქციას კამათის მოსპობის წინადადება ხომ არ შემოუტანია).

აქ, მართალია, ზოგიერთი დეპუტატი შეეხო ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკას; აქ ასე ვთქვათ „ცენტრი“ მთელი ჩვენი მსჯელობისა, თავისთავად ცხადია, უნდა ყოფილიყო ეს ეკონომიური პოლიტიკა; მაგრამ ამას გვერდი აუხვიეს და მხოლოდ ერთმა თუ ორმა ორატორმა ეს საკითხი დასვა და სწორედ მეც ამას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება

აქ უნდა ვთქვა პირველად ყოვლისა ის, რომ ჩვენ ბატონმა შალვა ნუცუბიძემ თავის სიტყვაში საყვედური გვითხრა იმაზე, რომ ჩვენ მინისტრებათ ხან ერთს შევიყვანთ მთავრობაში, ხან მეორეს, ხან ახალ სამინისტროს ვქმნით და ეს არის ერთნაირი უსისტემობა. ამაზე უნდა ვთქვათ, რომ სამინისტროების შემოკლება, ხან მომატება, არავითარ – არც პოლიტიკურ, არც პრინციპიალურ საგანს არ შეადგენს; ეს არის დამოკიდებული პრაქტიკულ საქმიანობაზე...

(გრიგოლ ვეშაპელი: და ფინანსებზე, ხარჯებზე!).

ესეც შესაძლებელია.

მე მოგახსენებთ მთავარ მიზეზებს; ეს არის დამოკიდებული უმთავრესად პრაქტიკულ საჭიროებაზე: თუ რომელიმე დარგი სახელმწიფო მმართველობისა იღებს ისეთ სახეს, ისე დიდდება შინაარსით, რომ საჭიროა მას ჰყავდეს საკუთარი პატრონი...

(შალვა ნუცუბიძე: სწორედ უნდა გავიგოთ, რატომ არის საჭირო!);

თქვენ იცით, ბატონებო, რომ ეს აქ კი არ ხდება მარტო, ეს ხდება სხვაგანაც – ყველა ქვეყნებში. ინგლისში ეხლა არის 20 მინისტრი, იყო 15 მინისტრი, წინა – 12 მინისტრი. საფრანგეთში სრულიად ახალი სამინისტრო არის შექმნილი, მაგალითად, პენსიების სამინისტრო. არასოდეს ყოფილა პენსიების მინისტრი: ეხლა კი არის.

(შალვა ნუცუბიძე: იმათ იციან, რასაც შვებიან!).

იმათ იციან და თქვენც უნდა იცოდეთ: ისინი ამას იმიტომ შვრებიან, რომ ამას მოითხოვს პრაქტიკული საჭიროება ...

(შალვა ნუცუბიძე: ეს უნდა მოხსენდეს დამფუძნებელ კრებას! ამას ვითხოვთ ჩვენ! თავმჯდომარე: გთხოვთ, ნუ უშლით მთავრობის თავმჯდომარეს ლაპარაკს!).

თუ ჩვენ ვხედავთ, რომ პრაქტიკულათ ეს საჭიროა, – ჩვენ ამას ვშვრებოდით. ბატონებო, მოგახსენებთ ამ მხარეზე. აქ ერთხელ წამოვაყენეთ, ჩვენთვის არის პრაქტიკულად საჭირო მომარაგების სამინისტრო და მომარაგების მინისტრი; სწორედ სოციალისტ-ფედერალისტები იყვენ წინააღმდეგნი და ჩვენ რომ მათთვის დაგვეჯერებინა და ასე არ გვექნა, – მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არ გვეყოლებოდა არც ჯარი, არც გვარდია და არც არავითარი საზღვრები გვექნებოდა...

(ხმაური, ზარი, ხმები: მართალია!; სამსონ დადიანი: ჩვენი წინადადება იყო მომარაგების სამინისტროს დაარსება!).

ამიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვართ სათავეში და ვიცით, როცა რა გვჭირია.

აი, ეხლაც ასე იყო: ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი განათლების საქმე ისეთი შინაარსისა არის, ისე გადიდდა, რომ მისი მიწერა სხვა სამინისტროზე ყოვლად შეუძლებელია. ეს საქმე ჩვენში უფრო და უფრო ვითარდება და ჩვენ ვთქვით, რომ მას სჭირდება საკუთარი ხელმძღვანელი...

(შალვა ნუცუბიძე: მასწავლებლების რეზოლიუცია ნახეთ, როგორ ვითარდება ეს საქმე ჩვენში! თავმჯდომარე: გთხოვთ, – ნუ უშლით ორატორს).

უნდა ვთქვათ, რომ მასწავლებლების რეზოლიუცია ვნახე და მე გავიგე, რომ მასწავლებლებს გაცილებით უფრო ნაკლები შეგნება ჰქონიათ სახელმწიფო საჭიროებისა და მისი ინტერესების, ვიდრე მუშებს ...

(ხმაურობა, ზარი; დადიანი: [მასწავლებლებმა] გაიმეორეს თქვენი ნათქვამი, რომ მდგომარეობა კატასტროფულია!).

თუ მართალია, რომ ეს მოახდინა ბლოკმა და ამაში ერიენ ფედერალისტები, – მე თქვენ ამას ვერ მოგილოცავთ ...

(სამსონ დადიანი: სიცრუე მოუხსენებიათ! შალვა ნუცუბიძე: თავმჯდომარეს სწორი ინფორმაცია არა აქვს!).

თავმჯდომარე: ბატონო ნოე, უკაცრავად, მე იძულებული ვიქნები, ბატონებო, სხდომა დავხურო, თუ არ მოუსმენთ მთავრობის თავმჯდომარეს და ხელს შეუშლით მის სიტყვას. არ შეიძლება და არც გეკადრებათ. ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ უშლით ხელს თავმჯდომარეს, დაამთავრებიეთ სიტყვა. თქვენ ჩაწერილი ხართ და შეძლება გექნებათ ილაპარაკოთ. გთხოვთ, დაწყნარდეთ!

ნოე ჟორდანია: უნდა ვთქვა, რომ ..

(ხმურობა, ზარი).

ბატონებო, სოციალ-ფედერალისტები ძალიან სწუხან იქ და, მე მგონია, რომ რაც უნდა იხმაურონ, ხელს ვერ შემიშლიან...

(ხმაურობა ს.-ფ. სკამებზე.; შალვა ნუცუბიძე: მთავრობის თავმჯდომარეს სწორი ინფორმაცია არა აქვს!).

თავმჯდომარე: ბატონო შალვა, ნუ მაიძულებთ სხვა ზომებს მივმართო, გთხოვთ, მოუსმინოთ ბატონ თავმჯდომარეს!

ნოე ჟორდანია: აქ ბატონმა ნუცუბიძემ სთქვა, – შალვამ, აქ ორი ნუცუბიძეა, – სთქვა, რომ აქ მთავრობა ქმნის რაღაც ერთგვარ არისტოკრატიას, ჩვენში არის ერთნაირი ოლიგარხია, რომელიც ბატონობს და მეთაურობსო.

(შალვა ნუცუბიძე: კამარილია!).

კამარილია, ოლიგარხია, არისტოკრატია ერთი და იგივეა. ეს ნუცუბიძემ უნდა იცოდეს. შალვა ნუცუბიძემ არ იცის და უნდა იცოდეს, რას ნიშნავს არისტოკრატია, ოლიგარხია და კამარილია. და თუ ფიქრობს, რომ ასეთი რაიმე არის ეხლა აქ, ჩვენში, სადაც დემოკრატიული რესპუბლიკა არის, დემოკრატიული წყობილება და თუ მას ჰგონია, რომ ეს აქ არის, ეს ნიშნავს იმას, რომ მას არ სცოდნია ამ ტერმინის შინაარსი და ეს სამწუხარო არის.

(შალვა ნუცუბიძე: უბრალო სიტყვა არის!).

ეს იცის ყველამ, რომ არისტოკრატია, ოლიგარქია, მართალია, არსებობს და ბატონობს იქ, სადაც ხალხს არც ხმა აქვს და არც არჩევანი აქვს და ბატონობს თვითმბყრობელობა. თუ თქვენ ჰფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს განსხვავება ჭკუისა და გამოცდილებისა, ე.ი. არისტოკრატია ჭკუისა და გამოცდილებისა, – ამაში შემცდარი ხართ...

(სიცილი, ტაში.)

და თუ გინდათ სთქვათ, რომ აქ ზოგიერთი ჭკუიანი ხალხი არის და არ უნდა იყოსო, – სთქვით!

(შალვა ნუცუბიძე: თქვენი რამდენი კაცი ზის?).

მთავრობა სდგება ისე, როგორც საერთოდ ყველა პარლამენტში...

(შალვა ნუცუბიძე: თქვენს წრეში რამდენი მინისტრია გაბატონებული?).

ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ აი, – აქ ჩვენი პარტია არის გაბატონებული და ცხადია, რომ ეს პარტია აყენებს მთავრობას. ეს ასეა ყველგან. ის პარტია, რომელიც გაბატონებული არის პარლამენტში, აყენებს მთავრობას; თუ არ მოგწონთ ...

(სპირიდონ კედია: მაშინ იქნება ოლიგარხია!).

აი, სწორედ მაშინ იქნება ოლიგარხია, როდესაც უუმცირესობა (!) თავის აზრს მოახვევს უუმრავლესობას (!) ...

(შალვა ნუცუბიძე: ეს ვიცით, ბატონო!).

თუ იცით, არ უნდა სთქვათ ის, რაც არ იცით. ასე არის.

ვიმეორებ, რომ მთავრობა დგება ჩვეულებრივი გზით და არავითარი არა-ჩვეულებრივი გზა, არა-პარლამენტარული გზა არ ყოფილა და არც არსებობს...

(შალვა ნუცუბიძე: ოფიციალურად!; ხმა; ფორმალურად!).

არ ვიცი, ოფიციალურად თუ არა-ოფიციალურად, ისე არის ოფიციალურად, როგორც არა ოფიციალურად. თუ თქვენ ამბობთ, რომ ორი-სამი კაცი აყენებს ვინმეს...

(შალვა ნუცუბიძე: დიაღ! დიაღ! თქვენებმა იციან!).

ეს არ არის მართალი. ჩვენში არასოდეს ორი-სამი კაცი არ ბატონობდა; ბატონობდა და ახლაც ბატონობს თვით პარტია, პარტიული ორგანიზაციები. რასაც დაადგენს ორგანიზაცია, – ამას ასრულებს ორი-სამი და ასი კაცი.

(ვალიკო ჯუღელი: მართალი!).

და თუ კი ორი-სამი კაცი არ ასრულებს უკეთესად, თავის თავად ცხადია, ისე აასრულებს, თუ ეს არის ნება და სურვილი პარტიისა.

(შალვა ნუცუბიძე: სიტყვით!, სიტყვით!; გრიგოლ რცხილაძე: ეს პარტიის საქმეა და არა დამფუძნებელი კრებისა!).

დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობა ჰყავს ერთ პარტიას; აქ არის ს.-დ. ფრაქცია, თავისთავად ცხადია, რომ ამ ფრაქციიდან უნდა გამოდიოდეს ეს თუ ის სამინისტრო, ესა თუ ის მინისტრი...

(შალვა ნუცუბიძე: ვინ აჭახრაკებს საქმეს ამ ფრაქციაში, საქმე ეს არის! რამიშვილი: თქვენ პარტიაში თედო ღლონტი აჭახრაკებს, არა?).

არ ვიცი მე, თქვენ ფრაქციაში საქმეებს ვინ აწყობს, მაგრამ ჩვენს ფრაქციაში აწყობს საქმეებს ის პირები, რომელთაც აქვთ პარტიის სრული ნდობა, აქვთ მეტი გამოცდილება...

(ვალიკო ჯუღელი: მართალია!).

ასეა, ბატონებო, ესენი აწყობენ და თუ თქვენს ფრაქციაში და თქვენს პარტიაში უკუღმა ხდება, – მაშინ ეს დამილოცნია თქვენთვის.

(ტაში; შალვა ნუცუბიძე ხმაურობს).

თავმჯდომარე: ბატონო შალვა! გთხოვეთ რამდენიმეჯერ – ნუ ხმაურობთ, გაგიცხადეთ, ნუ ილაპარაკებთ-თქო. თქვენ არ აასრულეთ; ეხლა შენიშვნას გაძლევთ. თუ კიდევ გაიმეორებთ – სამწუხაროდ, მე იძულებული ვიქნები მივმართო სხვა ზომებს. უმორჩილესად გთხოვთ, დაწყნარდეთ!

ნოე ჟორდანია: ამის შემდეგ მე მინდა გადავიდე იმ ცენტრალურ საკითხზე, რომელიც აქ იყო დასმული, მაგრამ ბევრი ორატორი არ შეეხო. მე მინდა თქვენი ყურადღება ამაზე მივაქციო. აქ ერთ-ერთი ორატორს, – თუმცა მაშინ, როცა სხვა კითხვა ირჩეოდა, – ემისიის გამო, – ეს იყო გრიგოლ რცხილაძე, – არ ვიყავი აქ, მაგრამ წავიკითხე „სახალხო საქმეში“. – ემისიის შესახებ უთქვამს სიტყვა, რომელიც უნდა ეთქვა დღეს, ვინაიდან ეს სიტყვა თავისი შინაარსით დღევანდელ დებატებს ეკუთვნის. იქ უადგილოთ არის დაწერილი..

(ხმები: მართალია!).

ამ სიტყვაში ყველაზე უფრო კონკრეტიულად არის დასახული და დასმული კითხვა. აქ ბატონ რცხილაძეს ისე გამოჰყავს საქმე, რომ თუ ჩვენში დღეს არის ეკონომიური გაჭირვება, ეკონომიური კრიზისი, – ეს არის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ბრალი.

(გრიგოლ რცხილაძე: არა მარტო; აგრეთვე მთავრობის!).

სწორედ ამაზე ილაპარაკა, თუმცა კონკრეტიულად არც ერთი საგანი, არც ერთი ფაქტი პოლიტიკის რეალიზაციისა არ დაუსახელებია, რომელსაც შეეძლო ისეთ დიდი საკითხის გამოწვევა, როგორიც არის ეკონომიკა.

მაგრამ ჩვეულებრივი, ძველებური აზრი იმნაირი არის, რომ რაც მოხდება ცუდი რამ, – უეჭველად მთავრობის ბრალია.

უნდა ვთქვათ, რომ ეს სრულიად არ არის მართალი.

ჩვენში ეკონომიური კრიზისი არსებობს და ამის მიზეზი არ არის არც მთავრობა და არც მისი პოლიტიკა. პირიქით, – ეს კრიზისი არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ესა თუ ის ეკონომიური პოლიტიკა.

არ ვიცი, როგორ შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ჩვენში, საქართველოში, ამ ეკონომიურ ცხოვრების საქმეებს აწარმოებდეს მარტო მთავრობა და ეს იყოს ერთად-ერთი ბატონ-პატრონი ამ ეკონომიურ საქმიანობისა და ის ქმნიდეს რაიმე კრიზისს. ეს რომ რუსეთზე ითქვას, – სხვა არის: მაშინ, მართალი იქნებოდა. ჩვენ რომ წარმოების და ვაჭრობის სრული ნაციონალიზაცია მოგვეხდინა, მოგვესპო კერძო ინიციატივა და ჩვენ ვყოფილიყავით ერთად ერთი მეურნე და მწარმოებელი, – მაშინ მართალი იქნებოდით, ბრალი დაგვედებოდა, რომ საქმე სულ ცუდად მიდის...

(ალექსანდრე ასათიანი: ასეა ბოლოს და ბოლოს).

ასეა თქვენთვის იმიტომ, რომ თქვენი პროგრამის მომხრე არა ვართ. მთავრობის ეკონომიური საქმიანობა შეიძლება იყოს 5-6%, დანარჩენი კი კერძო ინიციატივის ხელში არის.

(სპირიდონ კედია: აკი სამოცი პროცენტიო?; სამსონ დადიანი: [ევროპიელ სოციალ-დემოკრატების] დელეგაციას რომ უთხარით 25% ქარხნებისა ჩვენ ხელშიაო?).

თუ თქვენ გგონიათ, რომ ეკონომიური საქმიანობა არის მარტო ქარხნებია, – სცდებით. მაგრამ არა მარტო ქარხნები არის მეურნეობა, არამედ მთელი კომპლექსი ეკონომიურ მდგომარეობისა და საქმიანობის.

(სამსონ დადიანი: ეს პასუხი არ არის!)

მე ვამბობ, რომ ჩვენში ეკონომიურ სფეროში მუშაობს ყოველი ადამიანი და მათ შორის ჩვენ ვართ, ე.ი. მთელი სახელმწიფო, და მათ შორის მთავრობაც. მაშასადამე, თუ რაიმე კრიზისი არის და საქმე ვერ მიდის ხეირიანად და დამნაშავეს ეძებთ, – დამნაშავე უნდა იყოს მთელი ჩვენი ეკონომიური მოქმედება, მთელი ხალხის მუშაობა ამ ნიადაგზე და მათ შორის მთავრობაც იქნება. მაგრამ საკითხის ასე დასმა სრულიად შეუძლებელია. ეს არის საკითხი კულტურულ პროგრესისა, ე.ი. რამდენად არის მომზადებული ჩვენი ხალხი კულტურულ მუშაობისათვის.

არავის არ მოუვა ჭკუაში, რომ სთქვას: „საქართველოს ხალხი დამნაშავე არის იმაში, რომ იძულებულია პური შემოიტანოს უცხოეთიდან“. მე ვამბობ, რომ ჩვენი ეკონომიური კრიზისის მიზეზი არ არის მთავრობა; პირიქით, –

მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ეგუება დღევანდელ მდგომარეობას, რომ ეს კრიზისი შეამსუბუქოს და შეანელოს. ასეთია ჩემი დებულება და გთხოვთ დაარღვიოთ.

II

ბ[ატონმა] რცხილაძემ ჩვენ გვისაყვედურა, რომ თურმე ჩვენ დიდი ხანია ომიდგან გამოვედით, მაშასადამე, არავითარი არაჩვეულებრივი საქმეები და გასავალი არ გვქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დავანგრიეთ ის, რაც გვქონდაო.

ბ[ატონი] რცხილაძე დიდი ხანია აქ არ ყოფილა, ახლად მოსული არის, მაგრამ მაინც ეცოდინება, რომ საქართველო დღემდე ომიდან არ გამოსულა. თუ გგონიათ, რომ საქართველო მსოფლიო ომში ერია, – ეს არ არის მართალი; იმ ომში საქართველო არ ყოფილა, ერიენ მარტო ქართველები. თუმცა იმ დღიდან, რაც საქართველოს რესპუბლიკა დაარსდა, მსოფლიო ომი მოისპო; მაგრამ აქ მაინც მუდმივ საომარ მდგომარეობაში ვართ; თუ ამას მიიღებთ მხედველობაში, – მაშინ დაინახავთ, რომ ჩვენ გვაქვს აუარებელი, არაჩვეულებრივი სამხედრო გასავალი. თუ მიიღებთ (?) შრომას და ჩვეულებრივ შემოსავალ-გასავალს შეადარებთ, – მაშინ ნახავთ, რომ არც იმდენად ცუდათ არის ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, როგორც ჰგონიათ. თუ მივიღებთ სახეში არაჩვეულებრივ გასავალს, – მაშინ ცხადი იქნება, რომ აქ არაფერი (!) შუაში არის – არც მთავრობა და არც მისი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა. საომარმა გასავალმა გააღარიბა არამც თუ ახალი სახელმწიფოები, – არამედ ისე ძველი სახელმწიფოებიც კი, როგორიც არიან საფრანგეთი, გერმანია და სხ. ამას დიდი ფიქრი და ანალიზი არ უნდა, რომ კაცი გამოვიდეს და თქვას ის, რაც არის.

შემდეგ ბ[ატონი] რცხილაძეს უთქვამს, რომ აქ, საქართველოში, თითქოს ისე იყოს მოწყობილი საქმეები, რომ ყველაფერი უწყობდა ხელს ჩვენს მთავრობას; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც კრიტიკულ მდგომარეობაში არის საქმე.

[ის,] რომ ჩვენს მთავრობას არ უწყობდნენ ხელს, – ეს სჩანს მისივე სიტყვიდან. ეს ასე რომ არ იყოს, – ის არ იტყოდა იმას, რომ ჩვენ დაგვრჩა აუარებელი სხვისი ქონება და ეს ჩვენ გავფლანგეთო. ეს მოწმობს იმას, რომ აქ არამც თუ ხელის შეწყობა არის, არამედ ლტოლვა იქეთ, რომ რაიმე მიზეზი იშოვნონ და ჩვენსკენ გამოილაშქრონ.

თქვენ იცით, რა ღირს ეს ქონება? – მილიონები თუ მილიარდები, – ეს არავინ არ იცის და არც რცხილაძემ იცის.

(ალექსანდრე ასათიანი: ბლომად კი ღირდა).

ეს ქონება რომ დარჩა, – დანაწილდა სამად: ერთი ნაწილი სომხეთმა წაიღო, მეორე – ადერბეიჯანმა და მესამე ნაწილი თფილისში დარჩა. მო-

გეხსენებათ, რომ ამ ტრიბუნიდან მე გავაკეთე ანგარიში ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ექვსი თვის თავზე. მაშინ აქ პარლამენტი იყო. მაშინ ვთქვი, რომ პირველი ექვსი თვის განმავლობაში რუს მოხელეებს და მათ დაწესებულებებს მივეცით 99 მილიონი, ე.ი. 100 მილიონი მანეთი და მაშინდელი ასი მილიონი ეხლა 100 მილიარდი არის. მაშინ ეს დავფარეთ იმ ნაშთებიდან, იმ საქონლიდან, რომელიც დაგვრჩა. ასე რომ, ტყუილად იანგარიშა ბატონმა რცხილაძემ, რომ შევინარჩუნეთ, გავფლანგეთ, ვინმეს წინაშე დამნაშავე ვართ ან ვალი გვაქვს. ვალზე თუ წავა საქმე – ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ჩვენ გაცილებით უფრო მეტი მივეცით.

(ტაში);

(სამსონ დადიანი: ამაზე არ არის დავა! ვლ[ასა] მგელაძე: თუ ამაზე არ არის დავა, – აქ არ უნდა თქმულიყო, – ამ ტრიბუნაზე!)

აქ იყო ბევრი ლაპარაკი ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაზე. ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკას გვიწუნებენ, მაგრამ ვერც ერთმა ორატორმა თავისი ეკონომიური პოლიტიკა ვერ წამოაყენა.

(ლეო შენგელაია: ეს არ არის ძნელი, ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს!)

ძნელი არ არისო, ხშირად ლაპარაკობს ბ[ატონი] შენგელაია, მაგრამ არავითარი ეკონომიური პოლიტიკა არ წარმოუდგენია.

(ლეო შენგელაია: ბიუჯეტის განხილვის დროს ბრძანდებოდით!)

თქვენი ორატორების სიტყვებს ვკითხულობ, მაგრამ წვრილმან კრიტიკის მეტი ვერაფერი დავინახე.

(სპ[ირიდონ] კედია: თქვენი რა არის, იმათი რა იქნება!)

რაშია საქმე?

რანაირი ეკონომიური პოლიტიკა გვინდა?

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა აგებული არის ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე. არ შეიძლება უკუღმა იყოს. თუ შეიცვალა ეკონომიური მდგომარეობა, – თავის თავად ცხადია, რომ შეიცვლება ეკონომიური პოლიტიკაც. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა უფრო იმაში გამოიხატება, რომ ჩვენში არის საქონლის ნაკლებობა და სიძვირე.

რით აიხსნება საქონლის ნაკლებობა და სიძვირე?

მე მგონია, ეს ყველამ იცის. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენს სახელმწიფოში არ მზადდება ყოველივე ის, რაც ჩვენთვის საჭირო არის: უცხოეთიდან უნდა მოვიტანოთ. ეს მოტანა და ყიდვა გვიჯდება ძვირად და აქედან წარმოსდგება ერთნაირი ეკონომიური კრიზისი.

(გრიგოლ ვეშაპელი: შეშაც უცხოეთიდან მოგაქვთ?)

ვეშაპელს ჰგონია, რომ ყველაფერ საქმეში მთავრობა არის დამნაშავე. შესაძლებელია, ამის შემდეგ თქვენ ხეირიანად ველარ დაიძინოთ, მაგრამ რომ იფიქროთ ის, თითქოს ეს მთავრობის ბრალია, – შემცდარი იქნებით. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება მარტო პურისა და ამაზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ. მე ვამბობ, რომ ჩვენში არის საქონლის ნაკლებობა და ვისაც შეუძლიან იშოვნოს საქონელი, ის, თავისთავად ცხადია, იღებს იმაში აუარებელ

ფასს, ვინაიდან ჩვენში არ არის კონკურენცია თვით ვაჭართა შორის, არამედ კონკურენცია არსებობს თვით მყიდველთა შორის.

რასაკვირველია, ვისაც საქონელი აქვს, – ფასებსაც ის აწესებს. ეს მდგომარეობა იყო და არის არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიაც, ერთის მხრივ და ევროპაში მეორეს მხრივ. მაგრამ ევროპაში ამ ბოლო დროს ეს მდგომარეობა შეიცვალა. იქ არამც თუ კრიზისი არ არის საქონლის, პირიქით, საქონლის დიდი რაოდენობა დაგროვდა; ჩვენში კი უკუღმა..

(ალექსანდრე ასათიანი: საქმე მაგაშია, რომ უკუღმაა.)

თუ უკუღმაა, – ეს არ არის ჩვენი ბრალი, არამედ თქვენი. თქვენს კლასს არ შეუძლია შექმნას ჩვენში ის, რასაც ევროპაში ჰქმნის.

(სამსონ დადიანი: ძიძებად (!) არ გამოდგებიან.)

ასეთი მდგომარეობიდან შეიძლება იყოს გამოსავალი სხვადასხვანაირი: ერთი გამოსავალი არის ბალშევიკური...

(გიორგი გვაზავა: კარგი კი არის.)

მეორე არის ლიბერალური – ამათი (უჩვენებს ნ[აციონალ] -დემ[ოკრატებ-ზე]), მესამე არის ჩვენი.

(გიორგი გვაზავა: შუაში დგეხართ!)

თქვენ იცით, რომ რუსეთი ჰფიქრობდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას იმით, რომ ახდენდა ნაციონალიზაციას წარმოებისა და ვაჭრობისას. თუ თქვენ ხართ ამის მომხრე, – ეს სთქვით.

ერთი წევრი დამფუძნებელი კრებისა, აი სოც[იალისტ] – ფედ[ერალისტური] ფრაქციის, სწერდა გაზეთში, რომ ერთად-ერთი გამოსავალი არის ნაციონალიზაცია ვაჭრობა-მრეწველობისაო. ფრაქციას კი ეს არ გამოუცხადებია. თქვენ თუ ამის მომხრე ხართ, – ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ ამის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელ ეკონომიურ კრიზისის გადატანა შეიძლება, თუ მთელი ხალხში ჩაებმება ამ საქმეში, რომელსაც თქვენ ეპოტინებით შორიდან და ვერ ბედავთ.

ჩვენ ვხედავთ რუსეთის, ადერბეიჯანის და სომხეთის მაგალითებს. იქ შიმშილით და სიცივით ხალხი იხოცება.

(სამსონ დადიანი: რამდენი ბანკია თბილისში? ისინი სპეკულაციას ეწევიან.)

მე მოგახსენებთ არა სპეკულაციაზე, – ეს არ არის პოლიტიკა, – მე მოგახსენებთ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაზე, – იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იგი. იმიტომ არსებობს მთავრობა, რომ იგი უნდა ებრძოდეს სპეკულაციას.

მეორე გზა არის ნაციონალ-დემოკრატების – ლიბერალური. თავისთავად ცხადია, ისინი იქნებიან წინააღმდეგნი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა. ამათ აქვთ ერთნაირი ხაზი: თქვენ კი ხართ ჩვენი წინააღმდეგი, მაგრამ არ ვიცით, რა გინდათ. თქვენ უნდა გქონდეთ გარკვეული ხაზი.

ჩვენ არა ვართ მომხრე ნაციონალ-ლიბერალური პოლიტიკის, ვინაიდან ეს იქნებოდა პოლიტიკა წმინდა სპეკულიატიური. იმ დროს, როცა არის საქონლის ნაკლებობა და ასეთი სიძვირე, – ეს საქმე რომ სავსებით ხელში

ჩავუგდოთ კერძო მწარმოებლებს და ვაჭრებს, – ცხადია, ფასები იქნება ერთი ათად მეტი.

(გიორგი გვაზავა: მხოლოდ პირველ დღეებში).

ინგლისში გაძვირდა, მაგრამ არა ისე, როგორც აქ, იმიტომ რომ ინგლისი თვით აწარმოებდა საქონელს.

(გიორგი გვაზავა: სახელმწიფოსაც შეუძლია სპეკულაცია აწარმოოს).

თუ სახელმწიფო ისპეკულიანტებს, – ეს იქნება სახელმწიფოს სასარგებლოდ.

(გიორგი გვაზავა: თუ წააგო?; კედია: რომ წააგოს?)

თქვენ მოისმინეთ მოხსენება ჩვენი მომარაგების მინისტრის, რომ ჩვენ არამც თუ არ ვეწევით სპეკულიაციას, – არამედ, პირიქით, ვებძვით მას. ჩვენ ვდებთ ჩვენს საკუთარ ფულს იმისთვის, რომ ფასები პურზე და სხვა საჭოვაგეზე დავსწიოთ.

(სპირიდონ კედია: ესეც კარგი პოლიტიკაა!).

აქედან ხედავთ, რომ სახელმწიფო ებრძვის სპეკულიაციას. ამის შემდეგ შეგიძლიათ სთქვათ, რომ სახელმწიფო ეწევა სპეკულიაციას? ეს არ არის სიმართლე. ისეთ მდგომარეობაში, როგორშიცა ჩვენა ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია ეს ეკონომიური საქმიანობა დავანებოთ მარტო კერძო პიროვნებებს, რომ ამაში არ ჩაერიოს სახელმწიფო, ერობები და ქალაქები. თუ ჩვენი მდგომარეობა ასეთია და ჩვენ არ დავნგრეულვართ, – ეს იმიტომ, რომ ამ ეკონომიურ საქმიანობას აწარმოებენ როგორც სახელმწიფო, ისე ერობები და ქალაქები. ჩვენ რომ თქვენი აზრით გვევლო და გვეწარმოებია თქვენი ეკონომიური პოლიტიკა, – ჩვენ აქამდის ვიქნებოდით დანგრეული, ისეთი სიძვირე იქნებოდა, რომ ჩვენი ხალხი აჯანყდებოდა, აგრეთვე ჯარი და გვარდიაც.

(ალექსანდრე ასათიანი: ეს ხომ გულთმისნობაა!).

ეს არ არის გულთმისნობა. ჩვენ იმიტომ ვარსებობთ, რომ ვიცოდეთ, ვისი პოლიტიკა საით მიდის.

(შალვა ქარუმიძე: არ არის მაგ პოლიტიკაში ლოღიკა).

მე ვიცი, რომ თქვენი პოლიტიკა სახელმწიფოს ანგრევს, ჩვენი კი აშენებს.

([შალვა] ქარუმიძე: რამდენს იგებს თქვენს მზრუნველობის ქვეშ მყოფი კოოპერატივი?).

უნდა მოგახსენოთ, რომ კოოპერატივის მდგომარეობა არ ვიცი, რადგან არ გვაქვს მასთან პირდაპირი კავშირი.

([შალვა] ქარუმიძე: როგორ სპეკულიაციას ეწევა კოოპერატივი იმ მჭამელ ხალხზე, რომელიც თქვენს მზრუნველობის ქვეშაა?“ სამსონ დადიანი: გამოირკვა, ვინ ჭამა!).

მე ვამბობ, რომ ჩვენ, როგორც ლიბერალურს, ისე ბალშევიკურს პოლიტიკას ვებრძვით და არ მივიღებთ.

(გიორგი გვაზავა: თქვენ მენშევიკურ პოლიტიკაზე დგეხართ).

დიაღ, ჩვენ ვდგევართ მენშევიკურ, სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკაზე. გვაზავამ ეს უნდა იცოდეს.

[(შალვა] ქარუმიძე: საქართველო წვრილი მეწარმეების ქვეყანაა, – არც მენშევიკების, არც ბალშევიკების!).

აქ გვეუბნებიან, – საქართველო პურის ქვეყანაა და ამის შესაფერი პოლიტიკა უნდა იყოსო.

[შალვა] ქარუმიძე: ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველო წვრილ მწარმოებელთა ქვეყანაა, თქვენ კი ქალაქებს – მუქთა ხალხს შეაჭამეთ ყველაფერი!

ის, რასაც ამბობს ბ[ატონი] ქარუმიძე, – არ არის ასე. ქალაქმა კი არ შესჭამა სოფელი, – პირიქით, სოფელმა შესჭამა ქალაქი. წინად იყო გიპერტროფია ქალაქის, ახლა კი მოხდა გიპერტროფია სოფლის. ჩვენ სოციალისტები ვართ და გვინდა, რომ შრომა იყოს განაწილებული ქალაქსა და სოფელს შორის და არ გვინდა ერთიმეორეს სჭამდეს. თქვენ კი გინდათ, რომ ეს ჩვენი მდგომარეობა გააზვიადოთ.

([შალვა] ქარუმიძე: მოგახსენებთ, რაც გვინდა!).

მაშ აქ არ შეიძლება არც ლიბერალური, არც ბალშევიკური პოლიტიკა, არამედ მხოლოდ ჩვენი. თქვენ ამბობთ, რომ ეს არის პოლიტიკის კატასტროფიული.

(ლეო შენგელაია: თქვენ თვითონ ბრძანეთ!).

თქვენი პოლიტიკა თუმცა არ ვიცით, მაგრამ ის, რასაც თქვენ ამბობთ კანტიკუნტად, ამტკიცებს, რომ თქვენ ერთი თვე გექნებათ ხელში სახელმწიფო, – ის პირველ კვირასვე დაინგრევა.

(ნოე რამიშვილი: ორ დღეში დაინგრევა).

ამიტომ ვამბობთ: ვისაც ჰსურს შეებრძოლოს ჩვენს პოლიტიკას, – მან უნდა გვიჩვენოს უკეთესი პოლიტიკა. სანამ ამას არ გვიჩვენებთ, ცხადია, თქვენ არაფერი სათქმელი არა გაქვსთ. მე ვამბობ, რომ ჩვენი პოლიტიკის ნაყოფია, რომ ჩვენ დავაარსეთ მომარაგების სამინისტრო. უნდა ვთქვათ, რომ ერთად-ერთი ბურჯი ჩვენი სახელმწიფოსი არის ეს ორი უწყება – სამხედრო და მომარაგების უწყებანი.

რომ ჩვენ თავის დროზე არ დაგვეწყო მომარაგება, ცხადია, ჩვენ დღეს არ ვიქნებოდით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ვართ. ჩვენი სახელმწიფო გამოდის, როგორც დიდი ვაჭარი, ე.ი. ის ყიდულობს და აწვდის ხალხს, ჯარს და გვარდიას აწვდის ამ ნაყიდ საქონელს ძალიან იაფად და ამით ბაზარზე სცემს ფასებს დანარჩენ საქონელზე.

(გიორგი გვაზავა: რომ წააგოს?).

მე მოგახსენებთ, ჩვენ რომ ერთ გირვანქა პურს ვაძლევთ მუშა-მოსამსახურეს, – ამაზე ჩვენ ვაგებთ ხან 35 მანეთს, ხან 56 მანეთს, ხან მეტს; მაგრამ ჩვენ გვირჩევნია ცოტაოდენი ფული წავაგოთ და სამაგიეროთ მოვიგოთ დიდი რამ – სახელმწიფოს არსებობა.

(ხმა: ვაჭრობაში წაგება?).

მოგახსენებთ, რომ ვაჭრობა აღებმიცემობის სფეროში კერძო ვაჭრებმა ბევრი წააგეს, მაგრამ სახელმწიფოს არ წაუგია. მოგახსენებთ, აი, თამბაქოს საქმე. ამ საქმეში მთავრობას ერთი კაპეიკიც არ უზარალია, მაშინ როდესაც

ყველა ვაჭრებმა ამ საქმეში დიდი ფული წააგეს.

მაშასადამე, ჩვენი სახელმწიფო აწარმოებს ვაჭრობას. უნდა შევურიგდეთ იმ დებულებას, რომ სახელმწიფო, ერობები და ქალაქები უნდა ჩაერიონ ეკონომიურ საქმიანობაში.

თქვენ ლაპარაკობთ, რომ ჩვენ ვაწარმოებთ კერძო ინიციატივას. ეს არ არის მართალი: ჩვენ გამოვდივართ მხოლოდ როგორც კონკურენტები და არავითარ ზღუდეებს არავისთვის არ ვქმნით ხელოვნურად.

(ალექსანდრე ასათიანი: რათ აუკრძალეთ ერობებს წარმოების დაწყება?).

აი, რატომ: ერობები იწყებენ საქმეს, მათ არ აქვთ ამისათვის თანხები, ისინი მოდიან ჩვენთან და გვეუბნებიან – ფული მოგვეცითო. როდესაც საქმე უკვე დაწყებულია, – ჩვენ ვეღარ ვეუბნებით უარს. ამიტომ ჩვენ ვთქვით ასე: ჩვენ წინასწარ გაგვაცანით გეგმა თქვენ მიერ განზრახული საქმისა და თუ ნებას მოგცემთ საქმის დაწყებისას, – მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვიქნებით დაგეხმაროთ: ისე კი ჩვენს ნებადაურთველად უფლება არავის ექნება მოგვთხოვოს დახმარება. აი გერმანიაში, მაგ[ალითად], ფინანსთა მინისტრის ვირტის ნებადაურთველათ არც მთავრობას, არც ერთობას და ქალაქს არ შეუძლია გაიღოს ერთი კაპეიკი.

ჩვენს მთავრობას, უეჭველია, აქვს განზრახვა მოახდინოს ცენტრალიზაცია საზოგადო ფულების ხარჯვისა,.

(ხმა: ერაძეს ვკითხოთ, როგორ დაიცავს ამას?; ვეშაპელი: ერაძეს ავტონომია აქვს მინიჭებული).

ერაძემ ამის შესახებ უკვე სთქვა აქ, თქვენ მას მიეცით განსაზღვრული თანხა. მისი დაწესებულება არის ერთნაირი სავაჭრო დაწესებულება და თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ამ უწყებამ იმოქმედოს წინასწარ დამტკიცებული შტატებით, ის უკვე აღარ იქნება სავაჭრო დაწესებულება.

დამფუძნებელმა კრებამ უთხრა მას: აი, შენ გაქვს თავნი და ივაჭრეო. ამ პირმა ივაჭრა ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ მოვიდა აქ, თქვენთან და ანგარიში მოგცათ.

ამნაირად, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით არის დაფუძნებული დღევანდელ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე. ეს ეკონომიური მდგომარეობა, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიქმნია. ამის შექმნა არც შეეძლო მთავრობას. ის შექმნა ობიექტურმა პირობებმა. ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ აუარებელი საქონელი მოვიტანოთ უცხოეთიდან. მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში – შიგნით არ არის ნაყოფიერი შრომა, არ არის აღორძინებული წარმოება; მეორე მიზეზია ის, რომ ჩვენ ვართ მუდამ საომარ მდგომარეობაში. მაშასადამე, მუდამ ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი სამხედრო გასავალი. მართალია, ჩვენ არ გვაქვს ომი ყოველთვის, აი, მაგალითად, ეხლა ომი არ გვაქვს, მაგრამ თქვენ იცით, რომ ბევრი ხალხი გვყავს გამოყვანილნი და ისინი სდგანან ფრონტზე. სხვათა შორის, შეიძლება აქ ითქვას, რომ იმით, რომ ჩვენ დროზე მოვახდინეთ გასულ წელს მობილიზაცია, ამით ომი მოვიგეთ უომოდ.

(ტაში. სპირიდონ კედია: 1918 წელშიც რომ ასე მოქცეულიყავით, კარგი იქნებოდა).

სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ კიდევ დიდხანს დაგვჭირდება ამ ჯარის ფრონტზე დგომა. ბ[ატონმა] შენგელაიამ წამოიძახა, რომ თუ ჩვენ გვაქვს ფრონტები, – ეს თქვენი გლახა პოლიტიკის ბრალი არისო. არა, ბატონო შენგელაია, აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. აქ არის 2 პრინციპი – ბოლშევიკური და დემოკრატიული და ამ ორ პრინციპს შორის არის დავა და ჩნდება ფრონტი. თქვენ თუ გინდათ, რომ ეს ფრონტი არ იყოს, – თქვენ ჩვენთან ერთად უნდა დაიცვათ ჩვენი სახელმწიფო.

დღეს, მაშასადამე, თუ ჩვენ ფრონტი გვაქვს, ეს გლახა პოლიტიკის ბრალი კი არ არის, არამედ ეს კარგი პოლიტიკის ბრალია. ჩვენ რომ ვაწარმოვებდეთ ისეთ პოლიტიკას, როგორსაც აწარმოებენ ადერბეიჯანში და სომხეთში, – თავის თავად ცხადია, დღეს ჩვენ აქ არ ვიქნებოდით და არავითარი სახელმწიფოებრიობა არ იქნებოდა აქ. ამიტომ უნდა ვთქვათ, და ბოლოს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ამ ჩვენი პოლიტიკის გატარებაში ხელი კი არ უნდა შეგვიშალოს, – პირიქით, ხელი უნდა შეგვიწყოს. ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს, არის ერთნაირი* ბოძი, ერთნაირი საფუძველი, რომელზედაც არის აგებული არა მარტო ჩვენი შინაგანი სიმტკიცე, არამედ – საგარეო სიმტკიცე, და თუ ეს ბოძი წაფორხილდა, – თავისთავად ცხადია, – მაშინ მოიშლება არა მარტო ჩვენი შინაგანი სიმტკიცე, – ერთიანად მოიშლება ჩვენი საგარეო სიმტკიცეც და მაშინ დაიშლება ჩვენი სახელმწიფოც.

(ტაში).

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №№ 19, 20, 27 და 28 იანვარი, 1921 წ.

* გულისხმობს „ერთგვარი".

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა №

სამშაბათი, იანვრის 17 სხდომა

თავმჯდომარეობს ექვთიმე თაყაიშვილი.

მდივანი კითხულობს დღიურ წესრიგს.

1. პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა – რადიო-ტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილების და დამატების შესახებ.

2. დეკრეტი 1919 წლ. მაისის 2-ს კანონის (ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების) მოქმედების შეჩერებისა.

3. დეკრეტი გზათა უწყებისათვის ახალი გზატკეცილებისა და შარაგზების გადაცემისა და მათ შესანახად და შესაკეთებლად 70.000.000 მ. გადადებისა.

4. დეკრეტი კახეთის რკინის გზის საფოსტო ტვირთის გადასაზიდ ფასის გადიდებისა.

5. განგრძობა მსჯელობისა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო – მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

6. დამტკიცების აქტი – ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საკონცესიო ხელშეკრულობისა.

შალვა მესხიშვილი. (ს. ფ.) მოითხოვს, რომ მეექვსე საკითხი მოიხსნას წესრიგიდან, რადგანაც სოც.-ფედერალისტთა ფრაქციამ ვერ მოასწრო ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საკონცესიო ხელშეკრულების განხილვა.

ილია ნუცუბიძე მოითხოვს ესერების ფრაქციის დავალებით ამ საკითხის მოხსნას, რადგანაც ფრაქციამ გვიან მიიღო ეს ხელშეკრულება. ფინანსიურ და იურიდიულ კომისიის ყველა წევრებს არა აქვს შესწავლილი ეს ხელშეკრულება და სათანადოთ გარჩეული. ორატორი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი დიდმნიშვნელოვანია, ამისთვის აჩქარება არ არის საჭირო.

ვიქტორ თევზაია (ს. დ.) ფრაქციის სახელით მოითხოვს რამოდენიმე წუთით სხდომის შეწყვეტას, რომ საშუალება მიეცეს ფრაქციებს შეთანხმდეს ამ საკითხში.

გიორგი გვაზავა (ნ. დ.) წინაარმდეგია კრების შეწყვეტისა და მოითხოვს ისიც ამ საკითხის დღიურ წესრიგიდან მოხსნას, რადგანაც კიდევ გვაქვს ამ ხელშეკრულების განსახილველად ორი კვირის ვადა.

ხმის უმეტესობით მიღებულია რეზოლუცია სხდომის 10 წუთით შეწყვეტის შესახებ.

კრების განახლების შემდეგ ნიკო ელიავას (ს. დ.) წინადადება შემოაქვს ს. დ. ფრაქციის დავალებით, რომ ეს კითხვა გადადებულ იქნეს და უსათუოდ განხილული პარასკევის კრებაზე.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

ზაქარია გურული (ს. დ.) პირველი საკითხის შესახებ სიტყვას იღებს. ორატორი აღნიშნავს, რომ გადიდდა საჭიროება რადიო-ტელეგრაფის გუნდისა. ხსენებული გუნდის გადიდება სამხედრო კომისიამ მიიღო. სულ ემატება 40-მდე აფიცრები და რამოდენიმე ათეული ჯარისკაცები. მომხსენებელი მოითხოვს, რომ კომისიის მიერ მიღებული ცვლილებით მიღებულ იქნას ხსენებული კანონპროექტი.

გრიგოლ რცხილაძე (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ რადიო-ტელეგრაფები ვერ ასრულებენ კარგად ნაკისრ მოვალეობას. უცხოელებსაც აქვთ ჩვენში ისეთი სადგურები, რომლებიც უკეთ მოქმედობენ ჩვენს რადიო-სადგურებზე. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე რადიო-სადგურების დაარსება უცხოეთშიაც. დასასრულ საკითხი მიღებულ იქნა.

ზაქარია გურული (ს. დ.) მეორე საკითხის შესახებ მოახსენებს კრებას და აღნიშნავს იმ კანონის შინაარსს, რომელიც მიღებულ იქნა 1919 წ. მაისის 20, რომლითაც ოჯახის ერთი მარჩენალი განთავისუფლებულია ჯარში გაწვევიდან – ამ კანონის წინააღმდეგ სამხედრო უწყება თავიდანვე წინააღმდეგი იყო, დაბოლოს სამხედრო კომისიაც დარწმუნდა, რომ ამ კანონით სარგებლობდენ ბოროტათ, რის გამოც კომისია იძულებული იყო შეეჩერებია ამ კანონის მოქმედება. სამხედრო კომისიის აზრით, საჭიროა ამ კანონის დროებით შეჩერება, ჯარში გაწვეულთა ოჯახს უნდა მიეცეს დახმარება.

ივანე გობეჩია (ს. რ.) წინააღმდეგია შეღავათის მოსპობისა და აღნიშნავს, რომ არ კმარა საბუთად კანონის შესაჩერებლად, რომ მათ ბოროტად ისარგებლონ. მართალია, გარდამავალ ხანაში ვცხოვრობთ, მაგრამ მომხსენებელს არ აღუნიშნავს, თუ რატომ არის დღეს საჭირო მოლაშქრეების გაწვევა. ერთად ერთ მარჩენალთა გაწვევა გაანადგურებს ჩვენს მეურნეობას. ამისთვის ავტორი მოითხოვს კანონის ისევ ძალაში დარჩენის.

სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე აღნიშნავს აზრთა სხვა და სხვაობას ამ კანონის შესახებ სამხედრო უწყებასა და სამხედრო კომისიას შორის. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თითონ კანონი ისეთი ბუნდოვანია, რომ მისი ცხოვრებაში გატარება უსათუოდ უარყოფით შედეგებს მოგვცემს. კანონში არ არის აღნიშნული ის კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ თვითმმართველობებმა ამ კანონის განხორციელების დროს. ამისთვის მოვითხოვთ ჩვენ ამ კანონის შეჩერებას.

ჩვენ კი ფართო დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ უმწეოდ დარჩენილ ოჯახს. რესპუბლიკის მცხოვრებთა სიმცირე და ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, უსათუოდ მოითხოვს ამ კანონის შეჩერებას. მუდმივი ჯარის ყოლა არ არის ჩვენი იდეალი, ბოლოს და ბოლოს ჩვენ უნდა გადავიდეთ სამილიციო წესზე. ამისთვის ყველა გაწვრთნილი უნდა იყოს სამხედრო საქმეში.

დასასრულ, მინისტრი მოითხოვს არამც თუ მარტო ამ კანონის შეჩერებას, არამედ კანონის სრულიად გაუქმებას.

ივანე გომართელი. (ს.დ.) ორატორი ეთანხმება მინისტრს და აღნიშნავს, რომ გრძნობის ანგარიშის გაწევა კარგია, მაგრამ ამას ვერ ითმენს დღევანდელი რესპუბლიკის მდგომარეობა. დღეს შეღავათები ფუფუნებათ უნდა ჩაითვალოს. გარს გვახვევია აუარებელი მტერი...

(ლეო შენგელაია: კარგი პოლიტიკის ბრალია)

პოლიტიკა მაშინ არის კარგი, როცა მას მეზობლებიც დააფასებენ. ჩვენ მარტო ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვაც რომ შეეძლოთ, ისტორია მაინც გაგვამართლებს. ამ კანონის შეჩერება დროებით უსათუოდ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

ხმის უმეტესობით (გარდა ესერებისა) ორი წლის ვადით შეჩერებულ იქნა კანონი 1919 წ. 20 მაისისა – ოჯახურ მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების შესახებ.

გრიგოლ ურატაძის მოხსენებით მიღებულ იქნა მესამე საკითხი.

ივანე გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა მესამე საკითხი.

შალვა მესხიშვილი. (ს. ფ.) მოითხოვს, რომ მსჯელობისთვის მთავრობის კონსტიტუციის შესახებ დაინიშნოს ორი ან სამი საგანგებო სხდომა.

ვიქტორ თევზაია (ს. დ.) წინააღმდეგია შალვა მესხიშვილის წინადადების.
ხმის უმეტესობით შალვა მესხიშვილის წინადადება უარყოფილ იქნა.
იწყება მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შესახებ.
სიტყვას იღებს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.*
დამფუძნებელ კრებაში მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა:

ნოე ჟორდანია: უმთავრესი საკამათო საქმე იყო მომარაგების საქმე, მაგრამ მას შემდეგ რაც თვით მომარაგების მინისტრმა გააკეთა აქ მოხსენება, გამოირკვა, რომ აღარავის არაფერი აქვს სათქმელი ამ სამინისტროს წინააღმდეგ...

(სამსონ დადიანი: რა იცით, ბატონო? სპირიდონ კედია: გამოვალთ, ვილაპარაკებთ).

შემდეგ აქ ლაპარაკობდენ, რომ ჩვენ ხან ვამოკლებთ, ხან ვადიდებთ მინისტრების რიცხვს. ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არ არის პოლიტიკური საგანი, ეს არის დამოკიდებული პრაკტიკულ საჭიროებაზე. აი, ინგლისში

* „საქ. რეს.“-დან № 14. 1921. ნ. ჟორდანიას სტენოგრაფიულ სიტყვას შემდეგ ნომერში მოვათავსებთ. გაზეთის რედაქცია.

წინად იყო 20 მინისტრი, ეხლა კი არის 14. საფრანგეთში ეხლა დაუარსებიათ ახალი სამინისტრო – პენსიებისა. ჩვენ რომ დროზე არ დაგვეარსებია მომარაგების სამინისტრო, ჩვენ არ გვეყოლებოდა ჯარი და გვარდია და საზღვრები დაუცველი გვექნებოდა.

აქ შალვა ნუცუბიძემ სთქვა, რომ ჩვენში არის ოლიგარხია, არისტოკრატია, კამარილია. მე მოგახსენებთ, რომ ეს არ არის მართალი, ოლიგარხია არის იქ, სადაც ხალხს არ აქვს არავითარი ხმა და დემოკრატიზმი არ არის. ჩვენში კი ბატონობს ხალხი და სრული დემოკრატიზმია. ხალხმა ნდობით აღჭურვა ჩვენი პარტია და ამ პარტიაში ბატონობს არა 2-3 კაცი, არამედ თვით ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა დადგენილებებს ემორჩილება ყველა.

(შალვა ნუცუბიძე: ვინ აჭახრაკებს თქვენ ფრაქციაში საქმეს? ამაშია საქმე).

ბატონ რცხილაძეს ემისიის განხილვის დროს უთქვამს ის სიტყვა, რომელიც ჩემის აზრით უნდა ეთქვა ჩემს განცხადების გამო გამართულ კამათის დროს, ამიტომ მე ამ სიტყვას შევეხები. ბატონ რცხილაძეს უთქვამს: დღეს რომ ეკონომიური კრიზისი არის, ამაზე ბრალი მიუძღვის მთავრობასაო.

ამის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ დღეს შექმნილ კრიზისში ბრალი მიუძღვის მთელ ჩვენ ხალხს და მასთან ერთად რასაკვირველია მთავრობასაც, ვინაიდან დღეს ეკონომიურ პოლიტიკაში ჩაბმულია როგორც მთავრობა, ისე მთელი ხალხი.

ბატონი რცხილაძე გვისაყვედურებს, რომ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, რაც საომარ მდგომარეობიდან გამოვედით და არა ჩვეულებრივი ხარჯები არ გვაქვს, მაინც დავანგრიეთ ქვეყანა. ბატონმა რცხილაძემ უნდა იცოდეს, რომ საქართველო დღევანდლამდე საომარ მდგომარეობიდან არ გამოსულა და რომ ჩვენ მუდამ გვაქვს აუარებელი სამხედრო გასავალი. ხოლო ჩვენ რომ გვიხდება დიდი საომარი ხარჯების გაღება, ამაში არ არის დამნაშავე მთავრობა და მისი პოლიტიკა. ჩვენ ხშირად გვიწუნებენ პოლიტიკას, მაგრამ სამაგიერო კარგი პოლიტიკა არავის არ წამოუყენებია.

(ლეო შენგელაია: ბევრჯერ გვითქვამს).

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არის აგებული ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე და თუ უკანასკნელი შეიცვლება, შეიცვლება ეკონომიური პოლიტიკაც. ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ განვიცდით საქონლის ნაკლებობას, რის გამოც გვიხდება მისი საზღვარ გარეთიდან შემოტანა.

(გრიგოლ ვეშაპელი: შეშაც უცხოეთიდან მოგვაქვს?)

თუ ბატონ ვეშაპელს ჰგონია, რომ შეშის საქმე მთავრობის საქმე არის, შემცდარი ბრძანდება.

(ალექსანდრე ასათიანი: ქალაქთა კავშირს შეშის დასამზადებლად რამდენი ავანსი მიეცით?)

დღეს, მაშასადამე, არის საქონლის ნაკლებობა და კონკურენცია არის არა ვაჭართა შორის, არამედ თვით მყიდველთა შორის. ასეთ კრიზისის დროს შესაძლებელია სამნაირი გამოსავალი: ერთია – ბოლშევიკური, მეორეა ლიბერალურ-მემარჯვენეთა და მესამე – ჩვენი. პირველი გამოსავალი გულისხმობს ნაციონალიზაციის წარმოებას.

ჩვენ ამის გადაჭრით წინააღმდეგნი ვართ. იმიტომ რომ, ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ დღევანდელი კრიზისის გადატანა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მთელი ხალხი, ვისაც აქვს უნარი ეკონომიური საქმიანობისა, ჩაებმევა ამ საქმეში.

ჩვენ ვიცით შედეგი ბოლშევიკური პოლიტიკისა რუსეთში, აზერბაიჯანში და სომხეთში. ის, რომ იქ შიმშილით იხოცება ხალხი, ჩვენ ამისთანა პოლიტიკას ვერ მივიღებთ. ჩვენ არ ვართ მომხრე აგრეთვე ნაციონალურ და ლიბერალურ პოლიტიკისა, რადგან ეს სპეკულიატიური პოლიტიკაა. ეხლა რომ მთელი ეკონომიური საქმე ჩაიგდოს კერძო მწარმოებლებმა და კერძო ვაჭრებმა, თავისთავად ცხადია არსებული ფასები საქონელზე ათჯერ მეტად გაიზრდება.

(გიორგი გვაზავა: პირველ დღეებში).

მაშასადამე, მე ვამბობ, რომ არსებულ მდგომარეობაში ჩვენ არ შეგვიძლიან ეკონომიური საქმიანობა დავანებოთ კერძო პირებს საკუთრად და მასში არ ჩავრიოთ სახელმწიფო, ერობები და ქალაქები. ეს ეკონომიური საქმიანობა მემარჯვენეების ხელში რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, იქნებოდა აჯანყებები როგორც ხალხისა, ისე ჯარისა და აქამდის დანგრეული ვიქნებოდით.

(ალექსანდრე ასათიანი: ეს გულთმისნობა არის).

არა, ეს გულთმისნობა არ არის. მე მოგახსენებთ, ვისი პოლიტიკა სად მიდის.

(შალვა ქარუმიძე: ლოგიკა არ გაქვთ პოლიტიკაში).

მე ვიცი ის, რომ თქვენი პოლიტიკა ანგრევს სახელმწიფოს, ჩვენი კი აშენებს...

(შალვა ქარუმიძე: თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფი კოოპერაცია რამდენს იგებს: აი, სპეკულიაცია სად არის).

კოოპერაციის მდგომარეობა მე არ ვიცი, რადგან ჩვენ მასთან პირდაპირი კავშირი არ გვაქვს. მაშასადამე, ჩვენთვის მიუღებელია როგორც ბოლშევიკური, ისე ლიბერალური პოლიტიკა.

(გიორგი გვაზავა: მენშევიკური?)

დიახ, ჩვენ ვადგევართ მენშევიკურ, ანუ სოც.-დემ. პოლიტიკას ...

(შალვა ქარუმიძე: საქართველო არც ბოლშევიკურია და არც მენშევიკური, ის არის წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანა, თქვენ კი ქალაქს შეაჭამეთ ყველაფერი).

არა, ბატონო, პირიქით, სოფელმა შეჭამა ქალაქი. მართალია, წინედ იყო გიპერტროფია ქალაქების, მაგრამ ეხლა მოხდა გიპერტროფია სოფლების.

ჩვენი მიზანია ამნაირი ანორმალობა არ იყოს, რომ ყველას შორის ერთნაირად იყოს განაწილებული შრომა. მაშასადამე, მე ვამბობ, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით დაფუძნებულია დღევანდელ ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილია არა მთავრობის, არამედ ობიექტურ პირობების მიერ.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სწორია, მასზედ არის აგებული როგორც შინაური, ისე საგარეო სიმტკიცე ჩვენი ქვეყნისა და იმედი გვაქვს, რომ დამფუძნებელი კრება ხელს კი არ შეგვიშლის ამ პოლიტიკის გატარებაში, არამედ ხელს შეგვიწყობს.

(ტაში ს.-დ. სკამებზე).

სხდომა იხურება ნაშუადღევის 4 საათზე.

გაზ. „საქართველო“, № 15. იანვრის 22, 1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა №

ოთხშაბათი, იანვრის 19 სხდომა

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

მე-2 თავის საზოგადო განხილვა

თავმჯომარეობს ექვთიმე თაყაიშვილი

კონსტიტუციის მეორე თავის (მოქალაქეობა) შესახებ მოხსენებას აკეთებს პავლე საყვარელიძე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოებისათვის. სახელმწიფომ უნდა იცოდეს თავისი მოქალაქენი, უნდა იცოდეს, თუ ვისზე ვრცელდება მისი ხელისუფლება. ამიტომ პატარა სახელმწიფოების კონსტიტუციები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს და მოქალაქეობა დეტალურად არის დამუშავებული, მაგ., შვეიცარიის კონსტიტუციაში. ეს საკითხი შეტანილია აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველო ახალი სახელმწიფოა, მას ამიტომ უნდა გამოერკვია თავისი იურიდიული საფუძველი. ამისთვის გამოცემული იყო კანონი ქვეშევრდომობის შესახებ ნაციონალური საბჭოს მიერ, შემდეგ ამ კანონს დაემატა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული კანონი. ამ ორი კანონის საშუალებით უკვე საბოლოოდ განისაზღვრა სახელმწიფოს იურიდიული ფუძე, მისი ობიექტი და ამ კონსტიტუციაში აღნიშნული მუხლები წარმოადგენენ მხოლოდ განვითარებას და იმ პრინციპების დაკანონებას, რომლებიც წინად მიღებულ იქნენ ეროვნულ საბჭოსა და დამფუძნებელ კრების მიერ.

შემდეგ ორატორი ეხება ქვეშევრდომობისა და მოქალაქის ცნებებს და ამბობს:

დემოკრატიის დროს ხალხი ხდება სახელმწიფოს ძალაუფლების სუბიექტი, ეს სრულიად ახალი ხანაა. აქ ხალხი პერმანენტულად ანხორციელებს თავის ნების ყოფას. წინეთ კი ხალხი იყო მხოლოდ ობიექტი, მას მხოლოდ

მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული და უფლებები კი არა. ეხლა კი ორივე ეს მომენტი შეერთებულია.

აქ ისახება ორგვარი ცნება: მოქალაქეს აქვს როგორც უფლება, ისევე მოვალეობა.

რას წარმოადგენს უფლება, ეს ცხადია. სახელმწიფომ უნდა დამიცვას მე, მისი მოქალაქე როგორც თავის ტერიტორიაზე, ისე მის გარეშეც. საერთოდ უფლება იმისთანა უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მისი განხორციელება, არ უნდა შეიქნეს ისეთი უფლებრივი ილუზიები, რაც დაუკარგავს ხალხს მოქმედების უნარს.

მაგრამ ეხლა ორივე ცნება უნდა დარჩეს. მოქალაქე გამოხატავს ერთგვარ აქტივობას მოქალაქისას, მის უფლებებს, ხოლო ქვეშევრდომობა – მის ვალდებულებას, ზოგიერთ მოვალეობებს სახელმწიფოს წინაშე. ვალდებულობას, რომელსაც მას აკისრებს სახელმწიფო, ერთი (მოქალაქეობა), ნიშნავს აქტივობას, სუბიექტურ უფლებას, მეორე კი ობიექტურ მომენტს გამოჰხატავს. ზოგიერთი ორატორები ამის წინააღმდეგ მოდიან, მაგრამ ეს ნათელია მაინც, ამას რუსსოც კი აღიარებდა. ამიტომ ჩვენ უნდა დავტოვოთ ეს ორი ცნება.

შემდეგ ორატორი ჰმართავს კონსტიტუციის მეორე თავის სხვადასხვა მუხლებს და მაგალითებით ამტკიცებს მათ სისწორეს.

ივანე გობეჩია (ს. რ.) აკრიტიკებს სხვადასხვა მუხლებს და მოითხოვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ორი წლის წინად, მაშინ, როცა ასეთი წინადადება შეტანილი იყო ესერების მიერ და ვინც უარს არ განაცხადებს ამაზე, მისი აზრით, ძველი დეფექტები უნდა გამოსწორდეს. ის აკრიტიკებს აგრეთვე ნატურალიზაციის წესს და მთავრობის მიერ საქართველოს მოქალაქეთ ჩარიცხვის თხოვნის განხილვის 1 წლის ვადას. მისი აზრით, მთავრობამ თხოვნა ორი კვირის შემდეგ უნდა განიხილოს.

გიორგი გვაზავა (ნ. დ.): უნდა მიექცეს ყურადღება ტერმინოლოგიას. ორი ტერმინი – მოქალაქე და ქვეშევრდომი არ არის საჭირო. ცნება „ქვეშევრდომი“ გადმოტანილია რუსეთიდან, სადაც არ იყო უფლება, არამედ იყო მხოლოდ მოვალეობა, მაგრამ დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნდა დარჩეს ტერმინი „მოქალაქე“, რომელიც თანასწორადა ჰხატავს როგორც უფლებას, ისე მოვალეობას.

ამ პროექტში შემოტანილია მოქალაქეობის გასარკვევად ტერიტორიალური პრინციპი, მარგამ მარტო იგი საკმარისი არ არის, საჭიროა კორექტივების შეტანა. ესეც არის ამ თავში, მაგრამ აქ ბევრი რამ შესასწორებელია, ბევრი ამოსაღები. ორატორის აზრით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს დეტალიზაცია, რომელსაც აქვს ადგილი ზოგიერთ მიხლებში. მას აგრეთვე ზედმეტად მიაჩნია მუხლი იმის შესახებ, რომ უცხოეთში სამსახურში შესულნი ჰკარგავენ საქართველოს მოქალაქეობას. ეს, მისი აზრით, ჰბორკავს შემოქმედებას და არც არის მიზანშეწონილი.

ივანე გომართელი. (ს. დ.) ზოგიერთ მუხლებში უსათუოდ უნდა შეტანილ

იქნეს შესწორებები. ბევრი გვაზავას მიერ ნათქვამი სწორია. მართალია, დიდათ გულგატეხილად ყოფნა არ არის კარგი, მაგრამ დიდი იდეალისტობაც, ხელგაშლილობაც მიუღებელია ჩვენთვის. დიდ რუსეთისათვის ადვილი იყო ამის ლაპარაკი, მას ეს შეეძლო, ჩვენ კი ძლიერები არა ვართ და შეიძლება, ისეთი მდგომარეობა შეიქნეს, რომ უცხოელების რიცხვმა გადააჭარბოს, როგორც მაგ,. პოლონეთში, სადაც უცხოელები უმრავლესობას წარმოადგენდნენ და თუ ჩვენ წინეთ ფართოდ გაგვიღო სახელმწიფოს კარები და ყველასათვის გვიძახნა – „მობრძანდი, მობრძანდიო“, მაშინ დღეს ჩვენ აღარ გვექნებოდა სახელმწიფო, დღესაც ბევრს სურს ჩვენი სახელმწიფო, დღესაც სურს ჩვენი სახელმწიფოს დანგრევა ლეგალურის გზით და ამის წინააღმდეგ უნდა მივიღოთ სხვადასხვა ზომები. მაგრამ ამას დაწვრილებით შეჩერება ეხლა არ არის საჭირო, ეს ხელფეხს შეგვიბორკავს. ხანდახან უთქმელობა სჯობია, დეტალიზაციის გამო ხშირი იქნება კოლიზიები, კინფლიქტები; იმიტომაც კონსტიტუციაში უნდა იყვეს მხოლოდ ზოგადი დებულებები, ხოლო დეტალები – ეს ცალკე კანონმდებლობის საქმეა. კანონი, შეიძლება, ადვილათ შეიცვალოს, კონსტიტუციის შეცვლა კი ძნელია. ამიტომ მისი ფრაქცია წინააღმდეგია, რომ ამ თავში რაიმე დეტალიზაცია იქნეს შეტანილი. უნდა წამოყენებულ იქნეს მხოლოდ ზოგადი დებულებები მოქალაქეობის შესახებ, ხოლო დაწვრილებით ყველა წესს განსაზღვრავს ცალკე კანონმდებლობა.

მომხსენებელი უპასუხებს სოციალისტ-რევოლუციონერებს და მათი შესწორებები არ მიაჩნია მიზანშეწონილად. შემდეგ ის ეხება გიორგი გვაზავას და ივანე გომართელის მიერ შემოტანილ შესწორებებს და ეთანხმება მათ პოლიტიკური მოსაზრებებით.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ კონსტიტუციის მეორე მუხლი მიღებული იქნა. წინააღმდეგ ხმა მისცეს ესერებმა.

კონსტანტინე ჯაფარიძე აკეთებს მოხსენებას კონსტიტუციის მე-3 თავის (მოქალაქის უფლებები) შესახებ და ვრცლად ჰმარტავს ამ თავის ყოველივე მუხლს. განსაკუთრებული ყურადღებით იგი ჩერდება სიკვდილით დასჯის საკითხზე და ასაბუთებს იმას, რომ კონსტიტუციაში სიკვდილით დასჯა მოსპობილ უნდა იყოს. იგი იცავს აგრეთვე ზოგიერთ პირობებში კონსტიუციონურ გარანტიების შეჩერებას.

კამათი ამ თავის შესახებ შემდეგ სხდომისთვის გადაიდო.

გაზ. „ერთობა“ № 27. 5 თებერვალი, 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 20

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივნობდა: კონსტანტინე ჯაფარიძე.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის პირველი თავის შესწორებანი, წარმოდგენილი:

1. ეროვნულ-დემოკრატიული, 2. სოციალისტ-ფედერალისტთა, 3. სოციალისტ-რევოლუციონერთა და 4. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციების მიერ.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად წარმოდგენილი შესწორებანი გადაეცეს დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას.

2. მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მონაწერი ამა იანვრის 18-ს თარიღითა და 243 №-ით, რომლითაც მმართველობა თხოულობს, რომ მის მიერ ამა იანვრის 15 თარიღითა და 199 №-ით წარმოდგენილი შაბრიერ – მორელსა და კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება უკან დაებრუნოს.

ცნობა: საქართველოს მთავრობისა და შაბრიერ – მორელსა და კომპანიას შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება მიღებული იყო ამა იანვრის 17-ს და იგი წარედგინა დამფუძნებელ კრებას ამა იანვრის 18-ს სხდომაზე წინასწარი განხილვისათვისა და დასკვნისათვის საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიისათვის გადასაცემად.

ხოლო ეს დადგენილება აღსრულებაში არ იქნება მოყვანილი, რადგანაც ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა კონსტანტინე კანდელაკმა, რომელმაც დასდო ეს ხელშეკრულება მთავრობის სახელით, განუცხადა პრეზიდიუმს

სიტყვიერად, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულობა არა ჰსაჭიროებს დამფუძნებელი კრების დამტკიცებას, არამედ მხოლოდ მთავრობის მიერ დადასტურებას. ამის გამო ხელშეკრულობა უკან უნდა დაებრუნოს მთავრობის საქმეთა მმართველობას, როგორც შეცდომით წარმოდგენილი.

ამის შესახებ ტელეფონით ეცნობა მთავრობის მმართველობას, რომელმაც, როგორც ზევით არის აღნიშნული, ხელშეკრულობა უკანვე მოითხოვა.

დადგენილება: მთავრობასა და შაბრიერ-მორელსა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულობა უკან დაებრუნოს მთავრობის მმართველობას, როგორც შეცდომით წარმოდგენილი.

საქმე ამ ხელშეკრულობის შესახებ გაუქმებულ იქნეს.

ხელშეკრულობის დაბრუნების შესახებ მოჰხსენდეს დამფუძნებელ კრებას.

3. მოსმენილია: ცნობა, რომ სარედაქციო კომისიას უკვე შეუმუშავებია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – 1919 წლის მაისის 20-ს კანონის – ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების მოქმედების შეჩერების შესახებ.

კომისიის მხრით მომხსენებელი ივანე გომართელი.

საბოლოო ტექსტის ასლი ფრაქციათ დღეს დაურიგდებათ.

4. ცნობა, რომ სარედაქციო კომისიას უკვე შეუმუშავებია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – გზათა უწყებისათვის ახალი გზატკეცილებისა და შარაგზების გადაცემისა და მათ შესანახათ და შესაკეთებლად 70.000.000 მან. გადადების შესახებ.

კომისიის მხრით მოხსენებულია ივანე გომართელი.

საბოლოო ტექსტის ასლი ფრაქციათ დღეს დაურიგდებათ.

დადგენილება: საბოლოო ტექსტი შეტანილ იქნეს დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრების ამა იანვრის 21-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

5. მოსმენილია: სახელმწიფო კონტროლის მონაწერი 1920 წლის დეკემბრის 30 თარიღითა და 3 №-ით შემდეგი შინაარსია: ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის მიერ 1919-1920 საბიუჯეტო წლის გასავალ და შემოსავალ თვიურ ანგარიშებისა და ასიგნებისა სარევიზიოდ წარმოდგენის 10 თვით დაგვიანების გამო, მიუხედავად ამ ანგარიშთა მოქმედ ინსტრუქციის მე-976 მუხლისა, სახელმწიფო კონტროლმა მიმართა ფინანსთა მინისტრს [23 ნოემბერს ა/წ. № 9164-თ] და სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის [7 ივნისს ა/წ. № 8244-თ და 7 დეკემბერს ა/წ. № 9541] თხოვნით, რათა სასწრაფოდ გამოგზავნილიყო წარმოდგენილი ანგარიშები.

მიუხედავად ამისა, კონტროლში ამ უკანასკნელ დრომდე წარმოდგენილა 1919-1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის მხოლოდ დეკემბრის ხარჯთ-საბუთები.

ამის გამო და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ კონტროლის მიერ ანგარიშების რევიზიის წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხო-

ლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ანგარიშ-ვალდებულნი პირნი და დაწესებულებანი თავის დროზე წარმოადგენენ მოთხოვნილ სხვა და სხვა გამამართლებელ საბუთებს და ცნობებს; აგრეთვე რევიზიის წესდებისამებრ, კონტროლის მიერ თავის დროზე სარევიზიო დასკვნის გამოტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ფინანსთა სამინისტროს დაწესებულებათა მიერ სუსტათ დაცულია გადახდილ ასიგნების და სხვა თვიურ ანგარიშების წარმოდგენის ვადა. სახელმწიფო კონტროლი იძულებულია გაუწყოთ, რომ თუ მას ხელთ არ ექნება ძირითადი საგადასახადო საბუთები, სახელდობრ ასიგნები, ისე მას არ შეეძლება შეამოწმოს ის საბუთები, რომელიც მას სამინისტროებიდან მოსდის.

ამიტომ 1919-1920 წ. ხარჯთ საბუთების შემდგომი რევიზიის შესრულებას კონტროლი ვერ შესძლებს და არც ექნება საშუალება 15 მაისისთვის 1921 წ. წარმოუდგინოს დამფუძნებელ კრებას ვრცელი და ყოველმხრივი მოხსენება, როგორსაც მოითხოვს 6 დეკემბრის 1918 წლის მე-5 მუხლი დებულებისა სახელმწიფო კონტროლის შესახებ, რაზედაც ვალად ვსთვლი გაცნობოთ სათანადო განკარგულების მოსახდენად.

დადგენილება: საბოლოო ტექსტი შეტანილ იქნეს დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრების ამა იანვრის.

6. მოსმენილია: სახელმწიფო კონტროლის ამონაწერი ამა იანვრის 5 თარიღითა და 95 №-ით შემდეგი შინაარსისა: ამასთანავე ერთად დართულ სიაში მოხსენებულ მიმართვებით სახელმწიფო კონტროლი სთხოვდა მომარაგების სამინისტროს, რომ მას მოეწოდებინა სხვა და სხვა გვარი ცნობები და წარმოედგინა ანგარიშები როგორც თვით სამინისტროსი წარსულ საბიუჯეტო წლისა, ისე 1918 წლის ანგარიშები საქართველოს მომარაგების ყოფილ მთავარ სამმართველოისა, რომლიდანაც მომარაგების სამინისტრომ მიიღო მთავარ სამმართველოს მიერ წარმოებულ ოპერაციათა ყოველგვარი საქმეები და საბუთები.

მიუხედავად კონტროლის მიერ მრავალ გზის დაბეჯითებით მოთხოვნისა და იმის მიუხედავადაც კი, რომ კონტროლმა მიმართა მთავრობის თავმჯდომარესაც თხოვნით, რათა გაეწია მისთვის დახმარება, არავითარი პასუხი არაა მიღებული.

საქმის ამნაირი მდგომარეობა აფერხებს კონტროლის სარევიზიო მუშაობის მსვლელობას, და ვინაიდან ახანგრძლივებს ფულის გადახდევინების შესაძლებლობას, თუ ვინიცობაა აღმოჩენილ იქმნა ხაზინის ზარალი, ხოლო ამ გადახდევინებას ზოგჯერ შეუძლებლადაც ხდის ხანგასულობისა გამო დღიდან საზარალო მოქმედების ჩადენისა.

სახელმწიფო კონტროლი ვალად სთვლის კონტროლის მოთხოვნათა მხარის დასაჭერად აცნობოს ყოველივე ეს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს.

ამ ამონაწერს დართული აქვს სია იმ სარევიზიო მოთხოვნათა, რომელიც გაეგზავნა სახელმწიფო კონტროლის მიერ მომარაგების სამინისტროს და

რომლებიც ამ უკანასკნელის მიერ არ არის შესრულებული.

დადგენილება: ამ ჟურნალის ამონაწერი გაეგზავნოს მომარაგების სამინისტროს და ეთხოვოს პრეზიდიუმის სახელით, რომ სახელმწიფო კონტროლის მოთხოვნა რაც შეიძლება სასწრაფოდ იქნეს დაკმაყოფილებული.

დადგენილება: ჟურნალის ამონაწერს დაერთოს მოთხოვნათა სიაც.

7. მოსმენილია: საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის ამონაწერი ამა იანვრის 13-ს თარიღითა და 23 №-ით შემდეგი შინაარსისა: თანახმად საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის ამა 1921 წლის იანვრის 5-ს დადგენილებისა, გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად ბათომის ოლქის და განსაკუთრებულ რაზმის შტატები, ვინაიდან შეუძლებელია ბიუჯეტში შეტანილ იქნას საკანონმდებლო წესით დაუმტკიცებელი შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

დადგენილება: პრეზიდიუმი იზიარებს კომისიის აზრს და ადგენს: ამ ჟურნალის ამონაწერი გაეგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეთხოვოს მას, რომ კომისიის წინადადება, რაც შეიძლება სასწრაფოდ იქნეს აღსრულებული.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 14-16.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეხუთე

1921 წლის 21 იანვარი

21 იანვრის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით იმსჯელა ტყვარჩელის კონცესიის შესახებ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა გრიგოლ რცხილაძემ, რომელმაც გაარკვია იურიდიული მხარე ამ კონცესიისა, ორივე მხარის – კონცესიონერებისა და მთავრობის უფლებები და მოვალეობანი; მან განიხილა აგრეთვე პოლიტიკური და ეკონომიური მხარე ამ კონცესიისა და კომისიის სახელით სთხოვა დამფუძნებელ კრებას მისი მიღება. ამის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა.

ესერების ფრაქციის ორატორებმა – ლეო შენგელაიამ და იოსებ გობეჩიამ პრინციპიალურათ გაილაშქრეს კონცესიების გაცემის წინააღმდეგ და კერძოთ, ამ კონცესიის უცხოელებზე გადაცემა მიზანშეუწონლად და ქვეყნის დამღუპველ ნაბიჯად აღიარეს.

სოც. ფედერალისტთა ფრაქციის წარმომადგენლებმა თედო ღლონტმა და შალვა მესხიშვილმა, თუმცა საზოგადოთ არ ილაშქრებენ კონცესიების წინააღმდეგ, მაგრამ ამ კონცესიის წინააღმდეგ ილაპარაკეს, რადგანაც ის, მათის აზრით, აძლევს საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს სიმდიდრეს უცხოელებს, რომლებიც გააჩანაგებენ ამ ნაციონალურ სიმდიდრეს.

ფინანსთა მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა განმარტა კონცესიის მთავარი მნიშვნელობა, ის პირობები, რომლებშიც მოუხდა საქართველოს ეკონომიკურ მისიას მისი დადება უცხოეთთან. მისი აზრით, ამ კონცესიაზე უფრო ხელსაყრელი კონცესია საქართველოსთვის წარმოუდგენელია; ეს იმით არის გამოწვეული, რომ ის ქვეყანა, რომლის კაპიტალისტებთანაც დადებულია კონცესია, – დაინტერესებულია არა მარტო მოგებით, არამედ მისთვის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქვა-ნახშირი. ამიტომ იგი ყველა დათმობაზე წავა, ოღონდ კი მიიღოს ქვა-ნახშირი. შემდეგ მინისტრი ეხება ზოგიერთ მუხლებს, რომლებმაც გამოიწვიეს სასტიკი კრიტიკა ოპოზიციის მხრივ და ამტკიცებს, რომ ეს კრიტიკა გაუგებრობაზე არის აგებული.

სოც. დემოკრატიული ფრაქციის ორატორმა – ბატონმა თევზაიამ და ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის – ალექსანდრე ასათიანმა მისაღებად აღიარეს კონცესია.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ კონცესია საერთოდ მიღებულ იქნა, წინააღმდეგ ესერების და სოც.-ფედერალისტების ფრაქციების ხმებისა.

ბოლო მისი ტექსტის წაკითხვა და მუხლობრივი განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

გაზეთი „ერთობა“, № 16. 23 იანვარი, 1921 წ.

* * *

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეხუთე

1921 წლის 21 იანვარი

ივანე გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები რამდენიმე წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტებისა.

განხილვა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის კონცესიისა.

კონცესიის შესახებ დამფუძნებელ კრებას მოახსენებს გრიგოლ რცხილაძე

მომხსენებელი აღნიშნავს დიდ სერიოზულობას ამ საკითხისას, რადგან ამ აქტის დადასტურებით საქართველოს უდიდესი სიმდიდრე – ტყვარჩელის ქვა-ნახშირი გადაეცემა უცხოელებს საექსპლოატაციოთ. მომხსენებელი ეხება ქვა-ნახშირის აღმოჩენის ისტორიას და აგრეთვე ნახშირის ანალიზს, რომლის მიხედვითაც ტყვარჩელის ქვა-ნახშირი არ ჩამორჩება თავის ღირსებით ინგლისის საუკეთესო ქვა-ნახშირს. მისი რაოდენობაც ძლიერ დიდია, მაგრამ განსაზღვრული ჯერ კიდევ არ არის.

საქართველოს ეკონომიურმა მისიამ, რომლის ევროპაში გამგზავრების მიზანს ქვეყნის ეკონომიური აღორძინება შეადგენდა, – იზრუნა ამის შესახებ და დასდო ხელშეკრულობა იტალიის მრეწველებთან 11 ოქტომბერს. ეს

ხელშეკრულობა სავალდებულია იტალიისათვის, მაგრამ საქართველოსათვის სავალდებულო ის მხოლოდ მაშინ გახდება, როცა მას დაამტკიცებს დამფუძნებელი კრება. ამისათვის მოცემული არის ოთხი თვის ვადა.

შემდეგ ორატორი ვრცლად ეხება კონცესიის პირობებს და საქართველოს უფლებებსა და მოვალეობებს. ეს პირობები ხელსაყრელია საქართველოსათვის და ამიტომ ის მიღებული უნდა იქნეს დამფუძნებელ კრების მიერ.

ბოლოს ორატორი ეხება ქვა-ნახშირის პოლიტიკურ მნიშვნელობას – ვისაც აქვს ქვა-ნახშირი, ის ძლიერია; ეს კარგათ გამოჩნდა მსოფლიო ომის დროს; ის ქვეყნები, რომლებსაც ნახშირი აკლიათ, ხშირათ იძულებულნი არიან შეუთანხმონ თავისი პოლიტიკა სხვა ქვეყნების პოლიტიკას. საქართველოს აქვს თავისი ქვა-ნახშირი; მას რომ შეეძლოს მისი დამუშავება, – ეს მეტად კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს საქართველოს არ შეუძლია და ამიტომ ერთად-ერთი გზა არის უცხოეთის კაპიტალის დახმარებით მისი დამუშავება.

ლეო შენგელაია (ს. რ.) დღევანდელ დღეს ჩვენ დიდი მწუხარებით ვხვდებით, დღეს მხოლოდ ჩვენი მტრები ზეიმობენ. მოდის ახალი ძალა, უცხოეთის კაპიტალი. ჩვენმა უცხოეთში გაგზავნილმა არგონავტებმა ოქროს ნაცვლად მოგვიტანეს საქართველოს დამონების ქაღალდი. ჩვენს წინ დღეს სდგას საკითხი ფაკტიურ დამოუკიდებლობისა, რადგან ეს ხელშეკრულება მხოლოდ პირველი მაგალითია და მას ბევრი სხვა ასეთები მოჰყვება.

ორატორის აზრით, ამ კონცესიის გაცემა გამოხატულებაა სოციალ-დემოკრატიის სრული კრახის, მისი პროგნოზების არ გამართლებით. მას ეხლა უცხო კაპიტალის მოწვევა უხდება ქვეყნის ასაღორძინებლად. ის ეხლა ეძებს სასიძოს.

მაგრამ ეს სასიძო, რომელიც აქ მოდის, მოხუცებულია, მან უკვე მოსჭამა იქ თავისი დრო. ეხლა სდგება ახალი ხანა, კოლეკტივიზმის ხანა და ამიტომ ეს პრინციპი ხელშეკრულებისა – კონცესიების გაცემის – მიღებულია ჩვენთვის.

ორატორს საზიანოდ მიაჩნია კონცესია, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად კონცესია დიდ შეღავათებს აძლევს საქართველოს. ის ეხება ხელშეკრულების რამდენიმე მხარეს და დაასკვნის, რომ არც ერთი თვალსაზრისით არ არის იგი მისაღები. ამიტომ ესერების ფრაქცია ამის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

თედო ღლონტი (ს. ფ.) აცხადებს, რომ მისი ფრაქცია არ არის პრინციპიალურად კონცესიების გაცემის წინააღმდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ვერ არის კარგათ შედგენილი და მას შეუძლია საგრძნობი ზარალი მიაყენოს ეროვნულ ეკონომიკას. ჩვენ არა პრინციპიალურად უარვყოფთ კონცესიების საჭიროებას, – ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უცხოეთის კაპიტალის დახმარება, მაგრამ ეს ხელშეკრულება ვერ არის სათანადოდ შედგენილიო, – ამბობს ორატორი.

ორატორი აკრიტიკებს ჩვენს ბურჟუაზიას, რომელიც მეტად სუსტია, მხოლოდ სპეკულიაციას მისდევს და წარმოებისათვის კი ხელი ვერ მოუკიდია. ამის გამო სახელმწიფო იძულებული ხდება კონცესიები გასცეს. თვით

ტყვარჩელის ხელშეკრულების წინააღმდეგ ორატორი სასტიკათ ილაშქრებს; იგი არჩევს რამდენიმე მუხლს და ასკვნის, რომ კონცესია საქართველოს უფრო მეტ ზიანს მოუტანს, ვიდრე სარგებლობას. ამ ექსპლოატაციის გრძელი ვადის გასვლის შემდეგ მთელი ეს მაღაროები ამოცარიელდება და თვით საქართველოს ცარიელი მანქანები დარჩება. ხოლო თვით ის რაოდენობა ქვა-ნახშირისა, რომელსაც კონცესიონერები აძლევენ საქართველოს, – სრულიადაც ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს საჭიროებას და საქართველოს მოუხდება ქვა-ნახშირის ძიება; ეს კი მეტად ცუდად იმოქმედებს საქართველოზედ.

ამ მოსაზრების გამო, აცხადებს ორატორი, სოც. ფედერალისტთა ფრაქცია ხმას მისცემს ამ ხელშეკრულების წინააღმდეგო.

შემდეგ ლაპარაკობს ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი. მისი სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

გაზ. „ერთობა", № 21. შაბათი, 29 იანვარი, 1921 წ.

* * *

ლეო შენგელაიას სიტყვა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წ. 21 იანვრის სხდომაზე

ლეო შენგელაია (სოც.-რევოლ.): მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრებო. მწუხარებით და გულისტკივილით უნდა დავიწყო ჩემი სიტყვა.

დღევანდელი დღე ისტორიული დღეა ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისთვის.

(ვიქტორ თევზაია: მართალია!)

ჩვენ სინამდვილეში ფეხს იდგამს, შემოდის ახალი ძალა, – ეს არის ევროპის კაპიტალისტები, ევროპის ცოდნა, ევროპის ტეხნიკა. დღევანდელი დღე არის საზეიმო დღე, მაგრამ სამწუხაროთ არა ჩვენთვის, არა საქართველოს გულწრფელ დამცველთათვის, არამედ ეს არის საზეიმო [დღე] მტრებისათვის, დამოუკიდებლობის მტრებისთვის, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას გვეუბნებოდენ, *„რათ გინდათ დამოუკიდებელი სახელმწიფო, სულ ერთია, თქვენ ეკონომიურ დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებთ, სულ ერთია, რომელიმე დიდი სახელმწიფო ხელში ჩაგიგდებთ და თავის კოლონიათ გადაგაგცევთო".*

როგორც ვიცით, ჩვენი არგონავტები ევროპიდან უკვე ჩამოვიდენ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, მათ ჩვენ ჩამოგვიტანეს არა „ოქროს ვერძი", არ-

ამედ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ავლადიდების დაბევების და დაგირავების ქაღალდი. ეს ქაღალდი დღეს დამფუძნებელმა კრებამ უნდა განიხილოს, დღეს ჩვენი ხალხის წარმომადგენლებმა უნდა განვიხილოთ – გვსურს თუ არა ჩვენ ძირი გამოვუთხაროთ ჩვენ დამოუკიდებლობას.

დღეს ჩვენს წინაშე სერიოზულათ სდგას საკითხი ჩვენი ქვეყნის ფაქტიურ დამოუკიდებლობის შესახებ. ასე ესმის ეს საკითხი ჩვენს ფრაქციას.

თუ ეს შეხედულება, ეს დებულება გადაჭარბებული გამოდგება, ჩვენ ბედნიერნი ვიქნებით, მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, რომ ასე მოხდეს. ხელშეკრულება, რომელიც დღეს ჩვენი ყურადღების საგანი არის, პირველი დებიუტია იმ ეკონომიურ დელეგაციისა, რომელიც კანდელაკის თავმჯდომარეობით ახლა ევროპიდან დაბრუნდა. როგორც გაზეთებიდან ვიცით, დელეგაციას ქონდა მოლაპარაკება სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტებთან. მან შეკრა ხელშეკრულებანი და ამ დელეგაციის მეთაურმა მთელი დუჟინი ხელშეკრულებები ჩამოიტანა.

მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ ეს ხელშეკრულება დადებულია არა რომელიმე ერთი ქვეყნის კაპიტალისტებთან, არამედ მთელი ევროპის კაპიტალისტებთან, – საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის. ეს ალბათ მოხდა იმიტომ, რომ ევროპის კაპიტალისტებს გული არ დასწყდეთ, რომ ყველა მათგანს რაიმე ერგოს ჩვენი ქვეყნიდან, რომ ყველა ეს კაპიტალისტები მადლიერი დარჩეს სოციალ-დემოკრატიით, რომელიც მეტად უხვი ბრძანდება მშრომელი ხალხის ხარჯზედ.

როგორც ირკვევა, ბატონი კანდელაკი წაბრძანებულა კაპიტალისტების მოსაპატიჟებლად. ამის შემდეგ მე მგონია სოც.-დემ. აქვსთ უფლება თავის დროშაზე, რომელზედაც აწერია: *„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“*, დააწერონ: *„კაპიტალისტებო ყველა ქვეყნისა შეერთდით და მობრძანდითო“.*

ეს ხელშეკრულება არის დაგვირგვინება იმ გაშიშვლებისა და გაკოტრებისა, რომელიც სოც.-დემ. გამოაცხადა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში. თქვენ ალბათ გახსოვთ, თუ რა დიდ იმედებს ამყარებდა სოც.-დემ. ჩვენს ბურჟუაზიაზე. ისიც გახსოვთ, რომ სოც.-დემ. მეთაური, ბატონი ჟორდანია რა პერსპექტივებს უხატავდა ამ ბურჟუაზიას და იმედებს ამყარებდა მასზე. მისი აზრით, ის უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის სათავეში, მას უნდა წარემართა იგი თავისი ახალი გეზით, მაგრამ ეს არ გამართლდა. მან თვითონ იცის რა „აპეკუნობა“ ამ ბურჟუაზიისა, ის ფიქრობდა, რომ ევროპის კაპიტალისტები დაეხმარებოდენ მას, მაგრამ კაპიტალისტები არ მოდიოდენ.

და შემდეგ სოც.-დემ. გადასდგა ახალი ნაბიჯი: მოდის ეკონომიური დელეგაცია. სოც.-დემ. მიმართავს უკანასკნელ საშუალებას: ეს არის ევროპის კაპიტალისტების ჩვენში ჩასიძება. როგორც ძველად რუსებმა ვარიაგები მოიწვიეს, ისე მოიქცენ ჩვენი სოც.-დემოკრატია. იგი იწვევს ამ ახალ ვარიაგებს, ეპატიჟება მათ და ეუბნება: *მობრძანდით, ჩვენი ავლა-დიდება დიდია, მობრძანდით და გვიპატრონეთო“.*

რაკი ასე დგას საკითხი, ჩვენ დაინტერესებული ვართ, – ვინ არის ეს ჩვენი სასიძო, რას წარმოადგენს იგი?

ჩვენ ვამბობთ, რომ ის არ არის ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, არამედ 100 წლის მოხუცი, გამოფიტული იმპოტენტი. და როდესაც გვეუბნებიან: *„გინდათ თუ არ გინდათ, ეს ვაჟბატონი იყოს ჩვენი სიძე“, ჩვენ ვამბობთ: არ გვინდა, ვინაიდან ის ჩვენში მოდის არა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ, არამედ მას მოაქვს ჩვენთვის ახალი მონობა. ის მოდის იმავე მიზნებით, რა მიზნებით იგი მოდიოდა სპარსეთში, ინდოეთში, აფრიკაში. ის თვით გაკოტრდა თავის სამშობლოში.*

*კაპიტალისტურმა სისტემამ უკვე დრო მოსჭამა. დადგა ახალი დრო მშრომელი კოლექტიურად ამოძრავებისა.** კაპიტალისტურმა სისტემამ უკვე დრო მოსჭამა, გავიდა ხანა კონცესიებისა, ეხლა სხვა დრო გახლავსთ. ეხლა გახლავსთ დრო მუშა ხალხის ამოძრავებისა, ეს კოლექტივიზმის გზაა სოციალიზმისკენ და დამერწმუნეთ, რომ თვით მენშევიკები, თუ საქართველოში არა, რუსეთში მაინც იტყვიან, რომ ეს ერთადერთი გზაა და სხვა გზა არ არსებობს. ეს ცხადი იქნება, თუ [. . .] მაგრამ სოციალ-დემოკრატიას არ სურს ამას ანგარიში გაუწიოს, ჩვენ კი გვგონია, რომ ეს აუცილებელია. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ ის ხელშეკრულება, რაც აქ იყო წამოყენებული, როგორც მოგახსენეთ, მიუღებელია ჩვენთვის. აპრიორი შეიძლება ეს ითქვას.

რატომ?

იმიტომ, რომ ყოველ ეკონომიურ საქმეს თან სდევს ერთნაირი ეკონომიური რისკი და ეს მით უმეტეს მატულობს, როცა უცხოელებთან გვაქვს საქმე და რაც უცხოა ქვეყანა და კაპიტალი, რომელიც აქ გამოდის, ამას გარდა ამას აქვს კიდევ პოლიტიკური ხასიათი. აქ დიდი რისკია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო ჩვენი მდგომარეობისა, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ განმტკიცებული არ არის, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც დაიმხო ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები; მაინცა და მაინც იმ ქვეყნებიდან, რომელიც აქ ჩამოდის განმტკიცებულათ, ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა არ ჩაითვლება, თუ ამას დაუმატებთ იმ არევ-დარევას, უწესოებას და ანარქიას, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ შექმნა ჩვენში და მიემატება (?) მას, რაც აქ ბატონმა ერაძემ განაცხადა, რომ ჩვენში ისეთი მდგომარეობაა, რომ არც ერთი ევროპული კაპიტალისტი ჩვენში არ ჩამოვაო.

თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა ამას და მიაქცევთ ყურადღებას იმას, რომ კაპიტალისტები მაინც და მაინც მიდიან და თვის კაპიტალი მაინც მიაქვსთ, დაინახავთ, რომ მათთვის საჭიროა დიდი კომპენსაცია. ეს რომ არ იყოს, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხალხი სრულიად უვიცია, რომ ადამიანმა თავის კაპიტალი დააბანდოს ასე უსარგებლოდ.

ეს აპრიორი შეიძლება ითქვას.

* სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 281-284.

ასე რომ არ იყოს, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ეკონომისტები ცუდი ეკონომისტები ყოფილან. მაგრამ ვთქვათ, მე უქებ (?) ბატონ კანდელაკს, რომელიც რეკომენდაციას უკეთებს ამ ხალხს, რომ ეს დიდი და სანდო საზოგადოება არის, აუარებელი თანხები აქვს და თუ ეს მართალია, მით უფრო თამამად ვიტყვი, რომ ასეთი საზოგადოება არ მოკიდებს ხელს ისეთ საქმეს, რომელშიდაც ასეთი რისკია. და თუ მაინც კიდებს ხელს, ეს უსათუოდ იმდენათ სასარგებლოა და ხელსაყრელი, რომ ყოველი ეს პირობები გადალახული იქნება. თუ ჩავუკვირდებით შინაარსს ამ ხელშეკრულებისას, ამას ნათლად დაინახავთ.

მაგრამ ვიდრე ხელშეკრულების შინაარსზე გადავიდოდეთ, უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ რამეს. აქ ერთი არგუმენტია სოციალ-დემოკრატიის ხელში და ეს ძლიერი არგუმენტი არის. ეს არის რუსეთის მაგალითი. მათ, ჩვენ ვიცით, დიდი ომი გამოუცხადეს იმპერიალისტებს საზოგადოთ, მათ არავითარი კავშირი არ სურთ ბურჟუაზიასთან, – არც კომერციული და არც ეკონომიური. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქმნენ მიემართათ ამ იმპერიალისტებისთვის და იქ მეორეთ მოიწვიეს „ვარიაგები“ რუსეთში და ეს „ვარიაგები“ კაპიტალისტები იყვნენ. რა თქმა უნდა, ბოლშევიკების მაგალითი თქვენ ხელთ გაქვთ – ეს დიდი კოზირია. მაგრამ თუ ამას გავიხსენებთ, უნდა გავიხსენოთ ისიც, თუ რას ლაპარაკობდა ამაზე თვით სოციალ-დემოკრატია. როცა ბოლშევიკები დგამდენ ასეთ ნაბიჯს, ჩვენ გვეუბნებოდით, კარგათ გვახსოვს, რომ როცა პირველი ცნობები იყო გაზეთში, რომ ბოლშევიკები იწვევენ მსხვილ ამერიკელ კაპიტალისტებს, მაშინ სოციალ-დემოკრატიის პრესაში, „ბორბა“-ში და სხვაგანაც დაიბეჭდა წერილები, მთელი მოწინავეებიც, სადაც გარკვეულით იყო ნათქვამი, რომ ეს კონცესიები არის ღალატი, გაცემა რუსეთისაო, ეს პირდაპირ რუსეთის გაყიდვაო.

ეს ერთი დებულება.

მეორე დებულება გახლავთ ის, რომ რაკი ევროპიელი კაპიტალი ფეხს იდგამს რუსეთში, იგი უარყოფს მთელ ბოლშევიკურ სისტემას, ვინაიდგან ევროპის კაპიტალი მოითხოვს თავისებურ თვისებებს, პირობებს...

(ვიქტორ თევზაია: მართალია!)

თუ ეს მართალია და თუ ეს მართლა ღალატი იყო რუსეთის მშრომელი ხალხისა და გაყიდვა რუსეთისა, რა ეწოდება ამას ჩვენში?

რას ნიშნავს ეს ნაბიჯი, რომელსაც დღეს სდგამს სოციალ-დემოკრატია?

შემდეგ; თუ მართლა, რაკი ევროპის კაპიტალი ფეხს შედგამს ქვეყანაში, თავისებურ პირობებს დაამყარებს და მოითხოვს. თუ ეს მართალია, მე გეკითხებით: ჩვენში ძალა გახდება? მაშ, რაღა აზრი აქვს ხელშეკრულებაში მოყვანილ ფრაზას, რომ „ყველა ეს წარმოება და მასთან დაკავშირებული მუშაობა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობასო“?

(ვიქტორ თევზაია: მაგაშია საქმე!)

ბატონი კანდელაკი თავის განმარტებით ბარათში სცდილობს დასაბუთებას ეს ხელშეკრულება და სხვათა შორის ასეთი მოსაზრება მოყავს, რომ მთავრობა დიდი ხანია სცდილობს გაეცა ეს ტყვარჩელის ქვა-ნახშირი და მისი აზრით დღეს ხელსაყრელი კონტრაქტები გამოჩნდენ, ესენი არის იტალიელებიო.

რატომ?

მთავარი მოსაზრება არის ის, რომ იტალიას ყველაზე უფრო სჭირდება ქვა-ნახშირიო და, მაშასადამე ის ამბობს, რომ ის პირობები, რომელსაც ვდებთ იტალიელებთან ხელსაყრელი ესე იგი რაც იტალიას ყველაზე უფრო სჭირდება ქვა-ნახშირი, ის ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ მასთანა ვდებთ, ჩვენთვის ხელსაყრელია. ეს ულოღიკო დასკვნაა და დასამტკიცებელ საბუთათ ვერ გამოდგება.

ჩვენ რომ შევაფასოთ ეს ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა, უნდა უეჭველად ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ეს ტყვარჩელის მადანი, და რას ვიძლევით ამ კონცესიით? როცა მომხმარებელმა ბრძანა, რომ ეს მადანი დიდი ხანია იქცევს ყურადღებას არა მარტო რუსეთის, მე დავსძენ, რომ არის შესწავლილი მეცნიერულად და ეს მოგვცემს საშვალებას ჯეროვნად გავეცნოთ ამ საკითხს და ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა იმის შესახებ, რაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში უცხოელებს ხელში უნდა ჩავუგდოთ. ამის გამოკვლევანი სხვა და სხვა სპეციალისტების, მაგალითად, ჩერნევსკის, პაშკოვის (?) და სხვების, და ყველა ეს გამოკვლევანი საუკეთესოა, ამას გარდა, რა მხრითაც უნდა აიღოთ, ეს შესანიშნავი ადგილია და მკვლევარებს თუ დაუჯერებთ, აქ აუარებელი სიმდიდრეა, რომლის რაოდენობა უდრის 40-50 მილიონ ტონას. თვით რუსეთის მთავრობაც უდიდეს ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს. ამიტომ რუსეთის ფინანსთა მინისტრის ბრძანებით მოახდინეს მაშინ ნახშირის ანალიზი და დამტკიცდა, რომ იგი საუკეთესო ღირსების არის, აგრეთვე დასკვნა გაუკეთა ამ ნახშირის ინგლისელმა ინჟენერმა გოლოვლიოვმა, რომელმაც ეს ნახშირი შეისწავლა 1906 წელს და მისი დასკვნა ისეთია, რომ კარდიფის ნახშირის შემდეგ ეს ერთი საუკეთესო ნახშირიაო. მაშასადამე, როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით ეს ყოფილა საუკეთესო მადანთაგანი მთელი მსოფლიოს მაშტაბით და არა მარტო ჩვენი მაშტაბით.

რა პირობებში უვარდება ასეთი სიმდიდრე უცხოელებს ხელში?

აქ ბატონმა რცხილაძემ დაწვრილებით მოგვახსენა ამ პირობების შესახებ, მოიყვანა როგორც უფლებები, ისე მოვალეობაც ამ კონცესიონერებისა და სხვა. ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ კონცესიას, რომელიც ჩვენ აქ უნდა მივიღოთ.

რაში გამოიხატება ის?

უპირველეს ყოვლისა, აქ არის კომპენსაციის შემდეგი საგნები, პროცენტული ნაწილი, შემდეგ მაღაროდან გატანილი ნახშირის ნაწილი, მონაწილეობა მოგებაში, მუშათა საქმე, კონტროლზედაც იყო ლაპარაკი და სხვა. ასე

ზერელეთ რომ გადავხედოთ ხელშეკრულებას, აქ თითქოს ყველა სფერო რიგზეა, მოგებას გვაძლევენ, მონაწილენი ვართ, საქართველოს კანონიც დაცულია, მაგრამ რომ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს ხელშეკრულება მიუღებელია ჩვენთვის. ავიღოთ თუნდ ვადა; ოფიციალური ვადა არის 45 წელი. აქ არ ჩადის სამზადისის ხანა, რომელიც რამდენი გაგრძელდება – არ ვიცით...

(ვიქტორ თევზაია: განსაზღვრულია სამი წელიწადი).

თუ სამი წელიწადი, მაშ ნახევარი საუკუნე ყოფილა!

როცა ამ ნახევარ საუკუნით ჩვენ უდიდეს სიმდიდრეს ხელში ვუგდებთ უცხოელებს, ნახევარ საუკუნის შემდეგ არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი აღარ ვიქნებით, და შედეგი ამ ჩვენი მოქმედებისა უნდა იგემოს მომავალმა თაობამ. რა უფლება გაქვთ, რომ ამას არ ჩაუკვირდეთ, არ დაუსვათ თავს ასეთი კითხვა და არ გადადგათ გამოუსწორებელი ნაბიჯი, რომელიც წყევლა – კრულვას გამოიწვევ მომავალ თაობაში.

ეს 50 წელიწადი, ნახევარი საუკუნე, ისეთი დიდი ვადაა, რომ ამ ხნის განმავლობაში სავსებით შეიძლება ამოიწუროს ეს ქვა-ნახშირი, მიუხედავათ, რომ მრავალი არის.

რატომ?

იმიტომ, რომ, თუ დავუჯერებთ ბატონ კანდელაკს და იმ საზოგადოებას, რომელიც თურმე სერიოზულია, და საერთოდ მთავრობის ანგარიშს, სადაც ამბობს, რომ სამ წელიწადი შეიძლება...* ფუთის ამოღებაო, უკეთესად შედგენილ და მოწყობილ ორგანიზაციას რა ზომამდე შეუძლია გააფართოვოს ეს ადგილი, – არ ვიცი, ასე რომ 50 წლის განმავლობაში იგინი სავსებით შესძლებენ გაიტანონ ეს ქვა-ნახშირი.

როცა ამას უკვირდები, მაგონდება ლერმონტოვის ლექსი „И прах наш потомок оскорбит презрительно“...** მე მეშინია, რომ ეს ლექსი, ეს დებულება, ისეთი კრულვა მომავალმა თაობამ ჩვენზე არ განიმეოროს, როცა არც ერთი ჩვენგანი აღარ იქნება ცოცხალი. მხოლოდ 50 წელიწადი იქნება მუშაობა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მთელ ღირებულებას გაზიდავენ, დარჩება შენობები, რომლებსაც ამ ხნის განმავლობაში იქ მოაწყობენ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს მოსაზრება (?) იყოს.

რას ვაძლევთ ჩვენ უცხოელებს?

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მათ ვაძლევთ ოქრო – ვერცხლს, ნამდვილ ვალიუტას, მაშინ როცა ჩვენ, ბოდიშს ვიხდი, რომ ტლანქათ გამოვთქვამ, დაგვრჩება მხოლოდ ბუტკები და ვატერკლოზეტები.***

* რაოდენობა მითითებული არაა, მხოლოდ წერტილებია დასმული.

** არაზუსტად მოყვანილია ლერმონტოვის ლექსი „Дума“: «И прах наш, с строгостью судьи и гражданина, // потомок оскорбит презрительным стихом, // Насмешкой горькою обманутого сына //Над промотавшимся отцом».

*** სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 277 - 280. “განაგრძობს ვეფხვაძე” [მინაწერი ხელნაწერზე].

მეორე ნუგეში არის ის, რომ ჩვენ გვეძლევა პირველ 10 წელს 10 %, მეორე 10 წელს 15% და მესამე 10 წელს 20 %. ეს მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, მოქალაქენო, რომ ეს აუარებელი ქონება, რომელსაც ტყვარჩელის აგარაკი ქვია, სხვისი იყოს, მაგრამ როდესაც ოქრო შენია, და იქიდან გაძლევენ 10 %, მე გაგახსენებთ, რომ ეს არ უნდა იყოს სახარბიელო, მით უფრო, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი მრეწველობის ინტერესებს, როგორც ეხლა და მომავალში განსაკუთრებით ამ თვალსაზრისით ეს მიუღებელია ჩვენთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ ვინ იქნება ამ წარმოებაში ჩაბმული, თუ რამდენად იქნება ქართული ელემენტი.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესოა მუშათა საკითხი. ამ მხრივ არავითარი სანუგეშო ხელშეკრულებაში არ გახლავთ. იტალიაში აგორდება ხოლმე ტალღა ემიგრანტებისა, აუარებელი მუშები ტოვებენ თავის სამშობლოს და მიდიან სხვაგან და ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ ეს ტალღა არ მოგვადგება. მე არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, თუ კი შესაძლებელი იქნებოდა არამც თუ იტალია, არამედ მთელი ქვეყნის მუშები რომ მოდიოდეს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეროვნულის თვალსაზრისით, მით უფრო, როდესაც გვეუბნებიან, რომ ასე ხელგაშლილი არ უნდა ვიყოთ, უფასოთ კარები გავუღოთ ყველას, მე ვერ გამიგია ასეთი გადაჭრა საკითხისა, როგორც არის ხელშეკრულებაში. აქ არის ნათქვამი, რომ იტალია ვალდებული არ არის მაინც და მაინც დაიქირაოს ქართველი მუშები, თუ შესაძლებელი იქნებაო.

და თუ არ იქნება შესაძლებელი?

მაშასადამე, ეს უმთავრესი ძალა წარმოებისა, მუშა ხელი არ არის სავალდებულოო, რომ იყოს ქართული სხვა ძალების მდგომარეობა როგორი არის? აი, მაგალითად ქართული კაპიტალის მონაწილეობა, – არც ეს არის სასარგებლო ჩვენთვის. შესაძლებელია მითხრან – „ქართველ კაპიტალისტებს უნარი აქვთ“, მაგრამ პირიქით შესაძლებელია, მათ მეტის გაკეთება შესძლონ, ვიდრე ჩვენ გვგონია. ასე რომ ამ მხრივ ქართული ელემენტის მონაწილეობის მხრივ ეს ხელშეკრულება არ არის მისაღები.

ავიღოთ შემდეგი გარემოება: ეს ქართული კანონების დაცვა. ეს არ არის მართალი და ცხოვრებაში არ გატარდება იმიტომ, რომ თითონ ხელშეკრულება იძლევა ამის მაგალითს. აქ არის მაგალითად გამოსყიდვის შესახებ. 30 წლის შემდეგ შეგვიძლია გამოვისყიდოთ.

რა წესით?

იმ წესით, რომელიც რუსეთში არსებობდა. აი, მაგალითად საბაჟოს გადასახადი აიღეთ: ეს იწარმოებს იმ წესით, რომელიც 1917 წელში არსებობდა, ე.ი. ამ მხრივ ქართული კანონები გაუქმებული არის ჩვენ ვიცით, რომ როდესაც იმ ტერიტორიაზე დაიწყებენ მუშაობას, იქ მათ შეუძლიათ შემოიტანონ ყოველგვარი საქონელი, რაც მათ დასჭირდებათ წარმოებისათვის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყოველ იმ საქონელზე, რომელზედაც ჩვენი კანონით ერთგვარი ტარიფია დაწესებული, ეს ტარიფი ამ ხელშეკრულებით მოხსნილია და

როგორ შეგიძლიათ თქვათ, რომ ქართული კანონები იქნება დაცულიო? მით უფრო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ევროპის კაპიტალისტები უსათუოთ გვაიძულებენ შევქმნათ ის პირობები, რომელიც არსებობს ევროპაში. ამას მოწმობს შემდეგი გარემოება: ბატონი კანდელაკი, ვიდრე ის წავიდოდა საზღვარგარეთ, ბიუჯეტის შემოსავლის პროექტში შემდეგს სწერდა:

(კითხულობს).

მაშასადამე, აქედან აშკარაა, რომ ქართული კანონმდებლობა დაცული არ იქნება.

შემდეგ მეტად საინტერესოა კონტროლის საკითხი. ესეც არის აქ, მაგრამ ძირითადი პირობა ყოველი კონტროლისა აქ დაცული არ გახლავთ. ძირითადი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ კონტროლი უნდა იყოს როგორც ეკონომიურად, ისე უფლებრივად დამოუკიდებელი იმ ორგანოსაგან, რომელსაც უნდა გაეწიოს კონტროლი. უამისოდ კონტროლს ეკარგება მნიშვნელობა ამიტომ იყო, რომ დამფუძნებელმა კრებამ აირჩია სახელმწიფო კონტროლიორი, რომელიც არ შედის მთავრობის შემადგენლობაში.

როგორ არის ეხლა ამ ხელისუფლების მიერ დაყენებული კონტროლის საკითხი?

უპირველეს ყოვლისა აქ ნათქვამია, რომ მთავრობა მიავლენს ამ კონცესიონერებს ამ კონტროლიორს, რომელიც ჯამაგირს იღებს კონცესიონერებისაგან...

(ალექსანდრე ასათიანი: ჩვენ თუ მივცემთ, ამის საწინააღმდეგო არ ექნებათ მათ?)

ეს შეიძლება სხვა სახით ანაზღაურდეს, მაგრამ თქმა იმისა, რომ იქიდან მიიღებს ჯამაგირს, ის ეკონომიურად დამოკიდებული იქნება და დაინტერესებული იქნება გარდა იმისა, თუ რა ევალება მას, მას შეუძლია მიიღოს ის ნაწილი, რომელიც ერგება მთავრობას ჯილდოს სახით, მაგრამ, მართვა-გამგეობის საქმეში არ ერევა. მას არ აქვს უფლება გაუწიოს კონტროლი, თუ რამდენი რაოდენობა იქნება ამოღებული მიწიდან. მთავარი საკითხი ეს არის, თუ რამდენი უნდა ამოიღონ. ამის უფლება კონტროლიორს არ აქვს, და კონტროლი აქ არის უბრალო ფრაზა...

(გობეჩია: დამოკიდებულია?)

დიახ, დამოკიდებულია.

ეხლა საინტერესოა საკითხი: შეიძლება თუ არა მათ ეს კონცესია არ აასრულონ და თუ არ აასრულეს, – რას დაკარგავენ ისინი, რა სასჯელს მიიღებენ?

წარმოიდგინეთ, ამ ხელშეკრულებაში არის ისეთი ადგილები, ისეთი მოტივები, რომ მათ შეუძლიათ სრულიად დაუსჯელათ, რა თქმა უნდა, ქონებრივად ეს ხელშეკრულება არ აასრულონ. თუ იქნა ომიანობა, რევოლიუცია ან აჯანყება, თქვენ იცით, რომ ან ომი იქნება, ან რევოლიუცია, რაცხა რომ არ იქნეს, – არ შეიძლება! სოც.-დემოკრატები ისე ვერ მოისვენებენ და მათ შეუძლიათ დაარღვიონ ეს.

გარდა ამისა, აქ არის ერთი გარემოება, რომელსაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს: ტერიტორია ამ რაიონის გარკვეული არ არის. ე.ი. ჩვენ განსაკუთრებულ უფლებას ვაძლევთ იმ ტერიტორიაზე, რომლის რაოდენობა არ ვიცით, და რომელიც აწი უნდა გამოირკვეს. მაგრამ თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ რაც არის სხვა და სხვა საკითხის შესახებ ნათქვამი, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ტყვარჩელის სახით, წარმოიდგინეთ, პატარა სახელმწიფო არსდება, სახელმწიფო, რომელიც არის მონაკო, ყოველ შემთხვევაში მეტი თუ არა, – ნაკლები არ იქნება. აქ არის ნახსენები მდინარე ჰალიზგა, რომელიც ერთვის ზღვას. აქედან ტყვარჩელამდე არის 35 ვერსი და ტყვარჩელიდან კიდევ 30 ვერსი გრძელდება. ასე რომ, 60 ვერსი არის ეს ტერიტორია.

ვინც იცნობს აფხაზეთს, მთელი ეს ტერიტორია შეადგენს ნახევარს მთელი სამურზაყანოისა და კოდორის მაზრებისა, ე.ი. ნახევარი აფხაზეთი. ეს იქნება ცალკე სახელმწიფო, ვინაიდან აქ არიან იტალიელი მრეწველები, მათ აქვთ უფლება ყველაფერზე, ტყეებზე, ყველაფერზე, რაც იქ არის და რის აღმოჩენაც მათ შეუძლიათ, მათ აქეთ განსაკუთრებული უფლება რკინის გზაზე, რომელსაც ისინი გამოიყენებენ და ამავე დროს შემოაქვს საქონელი, რაც მათ დასჭირდებათ. ამავე დროს თუ რაიმე უთანხმოება მოხდება ამ კონცესიონერებს ხალხს და მთავრობას შორის ეს უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის საშუალებით. განა შესაძლებელია, რომ რომელიმე მაზრის საქმეები არბიტრაჟის საშუალებით გადაწყდეს? არბიტრაჟით სწყდება უთანხმოება სახელმწიფოს და სახელმწიფოს შორის, ასე რომ ეს არის პატარა სახელმწიფო. და აი ამიტომ ის, განსაკუთრებით იმ რაიონში, აფხაზეთში ეს ყოვლათ შეუძლებელია.

ეროვნულად თქვენ იცით აფხაზეთი მეტად ჭრელია, იქ არიან სომხები, ესტონელები, ებრაელები, ბერძნები, და როდესაც ახალი ელემენტი ჩაემატება ამ ოლქს, ისეთ ოლქს, რომელიც ჩვენდა სამწუხაროთ, განსაკუთრებით აფხაზეთის შესახებ უნდა ითქვას, მაინც და მაინც ძალიან მეგობრულათ არ არის განწყობილი, მე მგონია ეს მეტად ცუდ ატმოსფერას შექმნის აქ.

თქვენ გახსოვთ ფონ კრესი რომ იყო აქ, აფხაზეთიდან დელეგაციას უგზავნიდენ და სთხოვდენ მას მფარველობას, და როდესაც გერმანიას, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს აფხაზებთან, – მაინც სთხოვდენ დახმარებას, მით უფრო, როდესაც აქ იწყება ახალი სახელმწიფო, რომელსაც კავშირი აქვს იტალიასთან, კვლავ გამოჩნდებიან ისეთი ახალი ავანტიურისტები და კვლავ გაჩაღდება ეს კამპანია. ამ მხრივაც, რა თქმა უნდა ეს ხელისუფლება უნდა იქნას განხილული და შეფასებული. აი ჭიათურის რაიონი – ეს არის შუაგული იმერეთისა და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს ცხინვალის თვალსაზრისით, მაგრამ აფხაზეთი განაპირა ოლქია და როდესაც ასეთ საკითხს ვწყვეტთ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყვეთ.

გარდა ამისა, რაკი აფხაზეთსა არის ლაპარაკი, მაშინ ერთ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთის უფლებრივი მდგომარეო-

ბა გამორკვეული არ არის. ეს ქონება არის აფხაზეთის ტერიტორიაზე...

(რეპლიკა: ეს ქონება საქართველოს ეკუთვნის!)

რა თქმა უნდა, საქართველოს, ეკუთვნის, მაგრამ განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც ახალი დებულება მუშავდება, სადაც ერთ – ერთი მუხლის ძალით სწყდება ისეთი დიდი საკითხი, როგორიც არის ადგილობრივი სიმდიდრის მიცემა, უნდა მოხდეს ადგილობრივი ორგანოების თანხმობით და შეთანხმებით...

(გიორგი გვაზავა: შეცდომაა!)

თუ არ არის, ეს უფრო დიდი შეცდომა არის, იმიტომ რომ ეს ისეთი სიმდიდრე არის, რომელიც ეხება მთელ ერს და რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ეხება იმ მხარეს, სადაც ის არის. ამ მხრივ ვამბობ ასე ხელაღებით და დაუკითხავათ, როდესაც არავის აზრი არ გვინდა გავიგოთ, ასეთი დიდი საკითხი არ უნდა გადავწყვიტოთ, ვფიქრობ ეს უფრო გაამწვავებს ჩვენსა და აფხაზეთს შორის მდგომარეობის, მით უმეტეს უნდა გვეკითხა, რომ აფხაზეთის კომისარიატს ქონია თავისი პრეტენზიები მოლაპარაკება და ის სცდილობს წარმოგვიდგინოს ისეთი პრეტენზიები, რომელიც მაინც და მაინც არ ჩამოუვარდება ამ პირობებს. თუ კი ადგილობრივი ორგანო იღებდა თავის თავზე, ჩვენ უნდა მივესალმოთ ამას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომელიც უფრო გაამწვავებს ურთიერთ დამოკიდებულებას, ამ მხრივაც არ არის ხელსაყრელი ეს ხელშეკრულება*.

არის სხვა მოსაზრება, რომლითაც შეიძლება კიდევ ასე თუ ისე გაამართლო ეს ხელშეკრულება: ეს არის ის, რომ ჩვენში შემოდის ევროპის კაპიტალი. ევროპა იყო ყოველთვის სინონიმი კულტურისა, დაწინაურებისა. მაგრამ ერთი არ უნდა დაგვავიწყდეს: ევროპის ბურჟუაზია მოდის ყაჩაღური მიზნებით. ამიტომ ევროპის ავტორიტეტი და ჩვენი სიმპატიები არ შეიძლება იქნეს მიმართული ამ ხელშეკრულების სასარგებლოდ...

(ხმა დარბაზიდან: რომელი ევროპის სიმპატია გაქვთ თქვენ?).

პირადათ მე თუ მეკითხებით, ჩემი სიმპატიები რევოლიუციონერ ევროპას ეკუთვნის.

შეიძლება გვითხრან, რომ სავაჭრო ბალანსის მიხედვით არის მისაღები ეს ხელშეკრულებაო. ჩვენი სავაჭრო ბალანსი არის პასიური. ჩვენ შემოგვაქ უამრავი საქონელი და ძლიერ ცოტა კი გაგვაქ. სავაჭრო ბალანსი რომ აქტიური უნდა იყვეს, – ეს უდავოა. მაგრამ ეს ხელშეკრულება ოდნავადაც ვერ გამოასწორებს ჩვენს სავაჭრო ბალანსს. შეიძლება პირველ დღეებში გვექნეს აქტიური ბალანსი, მაგრამ შემდეგ ისე გამოიფიტოს ეს სიმდიდრე, რომ არაფერი აღარ დაგვრჩეს და ბალანსი გვექნეს არა აქტიური, არამედ პასიური. ჩვენ რომ გავიტანოთ თამბაქო, ამით არაფერი არ დაშავდება, ვინაიდან თამბაქოს მოყვანა შეიძლება. ესევე ითქმის მატყლზე, აბრეშუმზე და სხვა, მაგრამ რაოდენობა მადანისა ბუნებით არის განსაზღვრული. ჩვენი ქვეყა-

* სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 289-297. გაგრძელება აფხაიძეს. [მინაწერი დედანზე].

ნა არის სამეურნეო ქვეყანა, მაგრამ ჩვენში არსებობს პირობები მხსვილი მრეწველობის განვითარებისთვის და როდესაც მადანი გაზიდული იქნება, ეს იქნება გლახა ჩვენი ინდუსტრიული მდგომარეობისთვის.

მაშასადამე, ერთი მოსაზრება, რომლითაც შეიძლება ამ ხელშეკრულების გამართლება, არის შოთას თქმულება: „რასაცა გასცემ – შენია, რაც არა – დაკარგულია“. თუ ამას გავიზიარებთ, მაშინ შეგიძლიან დამშვიდებით მოაწეროთ ხელი ამ ხელშეკრულებას. მაგრამ თუ არ გაიზიარებთ, – და მე მგონია, რომ არ უნდა გაიზიაროთ, ვინაიდან შოთა დიდი პოეტი იყო და არა ეკონომისტი, – ასეთ ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოაწეროთ.

ამნაირად, ჩვენი აზრი მოკლედ ისეთია, რომ ეს ხელშეკრულება მიუღებელია ყოველ მხრივ პრინციპიალურად, მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მრეწველობის პერსპექტივით და სხვა. მაგრამ ვიცით, რომ ამას მაინც მიიღებენ მენშევიკები, ვინაიდან ჩვენი სოც.-დემ. დაადგა იმ გზას, რასაც ჩვენი თავად – აზნაურობა ადგა. თქვენ იცით, რომ ჩვენი თავად – აზნაურობა იმ გზას ადგა, რომ გაანიავა, რაც ქონდა, ყველაფერი მიყიდ – მოყიდა, შემდეგ მიადგა მიწებს, – ისიც გაყიდა, შემდეგ მიადგა ტყეებს. ომმა შეუშალა ხელი, თორემ მასაც უცხოელებზე მიყიდიდა. სოც.-დემოკრატია ამას აგრძელებს; გაანიავა ყველაფერი, მიწები გლეხებს მიყიდა, ახლა მიადგა მადანს და სურს ესეც საერთაშორისო ბაზარზე გაიტანოს.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენი ფრაქცია ამ ხელშეკრულებას მხარს არ დაუჭერს და წინააღმდეგ მისცემს ხმას, ვინაიდან – თუმცა ვეშაპელს არ მოეწონება, მაგრამ ვიტყვი, – ეს არის распродажа Грузии распивочно [и] на вынос.

თავმჯდომარე: სიტყვა ბატონ ღლონტს ეკუთვნის, მაგრამ ვინაიდან იგი სამ საათამდე სიტყვას ვერ გაათავებს, ამიტომ იგულისხმება, რომ სხდომა გაგრძელდება.

(სიცილი).

თედო ღლონტი (ს.-ფედ): [ხელნაწერი ამით წყდება].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 281-284.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრების

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეხუთე

1921 წ. 21 იანვრის სხდომა

ფინანსთა მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის სიტყვა

I

კონსტანტინე კანდელაკი: მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო!

იმ ვრცელ მოხსენების შემდეგ, რომელიც აქ საფინანსო – საბიუჯეტო კომ ისიის წარმომადგენელმა გააკეთა, მე არ მეგონა, თუ ასეთი დიდი ლაპარაკი შეიქმნებოდა ტყვარჩელის კონცესიის ირგვლივ, არა იმიტომ, რომ ეს საგანი არ იყო მეტად დიდი მნიშვნელოვანი ჩვენთვის, არამედ იმიტომ, რომ მომხსენებელმა დეტალურად მოგახსენათ ეს ხელშეკრულება. მე ვფიქრობ, რომ ვინც მხოლოდ ამ ორი დღის განმავლობაში ჰფიქრობდა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის შესწავლას და არ იცის ნახშირის საკითხის საერთაშორისო მდგომარეობა და ტყვარჩელის ნახშირის დამუშავების პირობები საზოგადოთ, – იმას ამ საკითხის შესწავლა მალე მაინც არ შეუძლია. რა თქმა უნდა, ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გაცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა გავითვალისწინოთ როგორც დადებითი მხარე ამ ხელშეკრულებისა, ისე ის მძიმე პირობებიც, რომელიც ჩვენ კონცესიონერებს მოელისთ, რადგანაც არც ერთ ორატორს არ უთქვამს და ვერც იტყვის, რომ ჩვენ ვისიმე მოტყვილებას ვაპირებდეთ ან შეცდომაში შეგვყავდეს. მოტყუილება შეიძლება არა სერიოზული კონცესიონერისა და ის კი, ვინც სერიოზულად არის დაინტერესებული და სერიოზულათ უყურებს საქმეს – თავისთავად იგულისხმება, მხოლოდ ხელსაყრელ პირობებში წამოვა სამუშაოდ...

(დადიანი: „სიბუნიონის“ ხელშეკრულება გახსოვთ? მაშინაც ასე ლაპარაკობდით!)

კანდელაკი: ბატონ თევდორე ღლონტს იმ უბრალო რიგიანობას მაინც მოვთხოვდი, რომ ამ „სიბუნიონის“ გამო ფინანსთა მინისტრ კანდელაკს პირადათ ისე დაუყენოს ეს საკითხი, როგორც დაეყენება ეს საკითხი დამ-

ფუძნებელ კრების ყოველ წევრს და სხვა უწყებასაც. მან ბევრჯერ გაიმეორა, რომ ვითომ იგი ხელშეკრულება ჩემგან იყო ხელმოწერილი, მიუხედავათ იმისა, რომ კარგათ იცის, რომ სხვისაგან არის იგი ხელმოწერილი. მე თუ ვარ იმის პასუხისმგებელი – ეს იმდენათ, რამდენათაც მთელი მთავრობა და დამფუძნებელი კრება, რომელმაც ეს ხელშეკრულება მოიწონა, მაგრამ ამ ხელშეკრულებასაც ხომ არავითარი ზარალი არ მოუყენებია ჩვენთვის და ეს არა იმიტომ, რომ ბატონი თევდორე ღლონტი გამოვიდა იმის წინააღმდეგ, არამედ იმისთვის, რომ თვით ხელშეკრულობა იცავდა ჩვენს ინტერესებს უარყოფით. თქვენ თუ ჩემი პიროვნება გაინტერესებთ და ამიტომ გინდათ – ერთი და იგივე იმეოროთ, – იმეორეთ, რაც გსურთ, ხოლო თუ ფაქტიურად საქმე გაინტერესებთ, – მაშინ ჩემს პიროვნებაზე იმდენათ ილაპარაკეთ, რამდენათაც საქმის ფაკტიური მხარე გაძლევთ ამის უფლებას.

(ხმა: მართალია!)

ბატონებო! ტყვარჩელის ქვა-ნახშირის შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს, და საბუთები, რომლებიც აქ იყო მოყვანილი, ჩვენც გვაინტერესებდა და ვსწავლობდით მას. ამ ქვა ნახშირის ღირსება დამტკიცებულია ყველასაგან, ამას იკვლევდენ მრავალი ინჟინრები, როგორც რუსები, ისე უცხოელები და დიდი ღირსების რომ არ ყოფილიყო იგი, – ასეთი დიდი ინტერესი არც იქნებოდა მისდამი. დაბალი ხარისხის ნახშირი სხვაგანაც იშოვება. ამ ნახშირის ღირსებათ ითვლება ისიც, რომ ის ზღვასთან არის ახლო, და შესაძლებელი უმთავრესი ნაწილი ნახშირის უიაფესი საშუალებით, ზღვის ტრანსპორტით გაიტანონ.

რაც შეეხება რაოდენობას ნახშირისას ამ რაიონში, იმის გადაჭრით თქმა შეუძლებელი. არსებული გამოკვლევები ამის შესახებ გადაჭრით არაფერს ამბობენ. და სწორეთ იმ გარემოების გამო, რომ რაოდენობა არ არის გამორკვეული და ზოგი მიდამოც სავსებით არ არის შესწავლილი, შეუძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ იქ 13 მილიარდი ფუთი ნახშირია.

ასეთი მოლოდინი შეიძლება არ გამართლდეს. ლაპარაკი იყო რომელიმე ერთი რაიონი მიგვეცა საექსპლოატაციოთ და არა მთელი ტყვარჩელი. მაგრამ რადგანაც მთელი მიდამო გამოკვლეული არ არის და არ ვიცით, რომელი რაიონი უნდა მივცეთ სახელდობრ, ხოლო დიდი წინასწარი ხარჯია საჭირო გაზიდვის მოსაწყობათ, რკინის გზის და პორტის მოწყობისთვის და სხვა და სხვა, როგორ შეიძლება თქმა, რომ სერიოზული კონტრაგენტი დასთანხმდება ნაწილი აიღოს, დიდი თანხა დახარჯოს, შრომა გასწიოს და შემდეგ სხვას დაუთმოს დარჩენილი რაიონები უკეთეს საქესპლოატაციო პირობებში?

ვინც სერიოზულად მოდის სამუშაოდ, ის მოითხოვს, რომ მთელი რაიონი მას მიეცეს, მათი აუცილებელი პირობაა ეს, რადგან, ვიმეორებ, ამ რაიონებში ნახშირის რაოდენობა სავსებით გამოკვლეული არ არის.

აქ ჩვენ მინუსათ ჩაგვითვალეს, რომ მთავრობას დიდი ხანია ჰსურდა ამ კონცესიის გაცემაო. მეორეს მხრით მოიყვანეს თითქოს კომპეტენტური აზრი რუსეთის მინისტრის ერმოლოვისა, რომელსაც, თურმე, უთქვამს თავის

მთავრობისთვის, რომ [ტყვარჩელის] ეს ნახშირი უცხოელებს ხელში არ ჩაუგდოთო. ჩვენ არასოდეს პრინციპიალურად მომხრენი არ ვიყავით იმ აზრის, რომელიც აქ ბატონმა შენგელაიამ წარმოსთქვა. იქ, სადაც პირდაპირ არ შეგვიძლია ჩვენი ინიციატივით მრეწველობის მოწყობა, ჩვენი აზრით უნდა მოვიწვიოთ ადგილობრივი კერძო ინიციატივა. იქ, სადაც ეს საკმარისი არ იქნება, უნდა მოვიწოდოთ უცხო კაპიტალიც. ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დამუშავება ითხოვს იმდენ ხარჯს, და იმდენი გამოცდილებაა ამისთვის საჭირო, რომ მთავრობას ამის ექსპლოატაცია არ შეუძლია ადგილობრივი კაპიტალის საშუალებით. და თუ ის ამიტომ სცდილობდა დიდი ხნის განმავლობაში ამ კონცესიის გაცემას, ეს მას არა მინუსათ, არამედ პლიუსათ უნდა ჩაეთვალოს, რადგან საქმეს საფუძვლიანათ ამუშავებდა. რუსეთს, მართალია, შეეძლო და სურდა კიდეც არ მიეცა იგი სხვისთვის, ვინაიდან რუსეთი ხედავდა ტყვარჩელის კონცესიაში დონის რაიონის ქვა-ნახშირის მეტოქეს. თქვენ ისიც იცით, თუ რა გავლენა ჰქონდა დონის რაიონის მრეწველობას მაშინდელ რუსეთის მთავრობაზე.

საკონცესიოთ რისიმე გაცემა არ ნიშნავს, რასაკვირველია, დაგირავებას და გაყიდვას ჩვენი ქონებისას, როგორც ეს ჰგონია ბატონ შენგელაიას. ამ კონცესიის გაცემის დროს ჩვენი უმთავრესი ყურადღების საგანი იყო თვით მდგომარეობა იმ ქვეყნის, რომელიც იძლევა კონტრაგენტს და თვით კონტრაგენტის ვინაობას, რადგან ყოველივე კონცესიას აქვს ორი მხარე: ერთი, პირადი დაინტერესება კონცესიონერისა იმ მხრივ, რომ კონცესია მას სჭირია, როგორც მოგების საგანი. მეორე: იგი მას აინტერესებს, როგორც აუცილებელი საჭიროება მისთვის, როგორც მწარმოებლისათვის. ამიტომ ჩვენ გავჩერდით იტალიაზე. იტალია არის ერთად ერთი სამრეწველო ქვეყანა, რომელსაც აქვს დიდი წარმოება მოწყობილი ნახშირზე და ამ წარმოებისთვის არა აქვს არც ერთი გირვანქა საკუთარი ქვა ნახშირი. იტალიაში ჩვენ ვიპოვეთ ისეთი წრე, რომელიც დაინტერესებული არ იყო მხოლოდ ფინანსიური მხრივ. საზოგადოება „ილვა“, რომლის წარმოებებში მუშაობენ 80 ათასი კაცამდის, ძლიერ საჭიროებს ნახშირს საკუთარ მრეწველობისათვის. მეორე მხრივ, ჩვენი კონტრაგენტია ძლიერი ჯგუფი იტალო – კავკასიური ბანკისა, რომელიც არის ფაქტიური განყოფილება იტალიის ბანკისა „Banko Italo Disconto“-სი. მე ვფიქრობ შეერთება ამ ბანკის ჯგუფის კაპიტალის და მწარმოებელ ფირმის ინტერესებისა და აგრეთვე იტალიის სახელმწიფოებრივ ინტერესებისაც, მოგვცემს საუკეთესო ნაყოფს. იტალია მონდომებული არის სხვებზე უფრო ადრე დაიწყოს ნახშირის ექსპლოატაცია. აქ ამბობდენ, რომ შეიძლება მათ მუშაობა არ დაიწყონო. ჩვენ არ გვგონია, რომ სერიოზულმა კონტრაგენტმა იკადროს ეს – მით უფრო, რომ ნახშირი მათთვის ახლა ყველაფერია.

მე არ მინდა ბატონ შენგელაიას ვეკამათო იმ დიდ პრინციპიალურ საკითხზე, რომელიც მან წამოაყენა, ესე იგი ის, რომ ჩვენში შემოდის უცხოეთის კაპიტალი და ის ითამაშებს ჩვენში ისეთივე როლს, როგორიც ითამაშა

მან აფრიკაში. ამიტომ მან მინუსად ჩაგვითვალა, რომ ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ იტალიასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან.

უნდა მოგახსენოთ, რომ რაც უნდა ძალიან მოვისურვოთ, დღევანდელ პირობებში ეროვნულ ჩარჩოში ვერ ჩავსვამთ კაპიტალს. აქციონერულმა კაპიტალმა ყოველთვის შესაძლებელია მიიღოს ინტერნაციონალური სახე. თქვენ რომ წამოგეყენებიათ შედარება ამ კონცესიისა იმ ბევრ კონცესიებთან, რომელთა დედანი ტფილისში მოიძებნება, მაშინ, რასაკვირველია, მე ვალდებული ვიქნებოდი კონკრეტიულად პასუხი გამეცა, რომელი აჯობებდა. მაგრამ აქ ეს არ მომხდარა. ის გარემოება, რომ ჩვენ ხელშეკრულების თანახმად უნდა დაარსდეს ქართული აქციონერული საზოგადოება, რომელიც უნდა დაემორჩილოს ადგილობრივ ქართულ კანონმდებლობას და მუშათა კანონმდებლობას, საკმარის გარანტიას იძლევა ჩვენი ინტერესების დასაცავათ.

აქ ბევრი ილაპარაკეს ორი გარემოების გამო. ერთი – ვადის შესახებ და მეორე – რამდენად ხელსაყრელი არის ეს ხელშეკრულება ჩვენთვის ეკონომიური და ფინანსური თვალსაზრისით. მაშ ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო, – თუმცა ოპონენტებმა ეს იციან, მაგრამ მაინც წინააღმდეგს ლაპარაკობენ, – რომ როცა ხელშეკრულებას აფასებთ, – თქვენ უნდა გაითვალისწინოთ მთელი სიმძიმე იმ მუშაობისა, რომელიც იქ არის საჭირო და რაოდენობა იმ თანხის, რომელიც უნდა ჩასდონ კონცესიონერებმა ამ წარმოებაში. მხოლოდ მაღაროებისთვის არის ნაგულისხმევი 60.000.000 ლირა და რკინისგზისათვის საჭირო იქნება ამდენივე. ჯერ კიდევ ძველ რუსეთის დროს ამ რკინისგზის გასაყვანათ საჭირო იყო ძველი 10.000.000 ოქროს მანეთი და თუ გადმოიტანთ ამ თანხას ლირების კურსის მიხედვით, – დამეთანხმებით, რომ 60 მილიონი ლირა საჭირო იქნება რკინის გზის მოწყობისათვისაც. კონცესიონერები ღრმად დარწმუნებულნი არიან იმაში, თუ მართლა რაოდენობა ნახშირისა ჩვენს მოლოდინს გაამართლებს, – ამისთვის საკმარისი არ იქნება 60 მილიონი ძირითადი თანხაც, თუ ჩვენ მეტი არ მოვითხოვეთ ახლა იმისთვის, რომ ყოველ სააქციონერო საზოგადოებებში საწარმოვო და ძირითად თანხის შორის არის საჭირო ერთნაირი პროპორციის დაცვა და დიდი ძირითადი თანხის წინდაწინვე მოთხოვა უსარგებლოდ დაამძიმებდა კონცესიონერებს.

აქ გვეუბნებიან, რომ თქვენ მთელი ნახევარი საუკუნით სწყვეტთ შთამომავლობის საქმეს და თქვენ შთამომავლობიდან წყევლა – კრულვას დაიმსახურებთო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუ ის მოლოდინი, რომელიც ტყვარჩელის სახელთან არის დაკავშირებული, გამართლდა და ექსპლოატაცია რიგიანათ მოეწყო, – მომავალი თაობა წყევლას მაგიერ კურთხევას შემოგვითვლის; აი რატომ: – ბატონებო, ფრაზებით ლაპარაკი ძნელი არ არის. ბატონ ღლონტს ჰგონია, რომ კონსტანტინე კანდელაკი, ეკონომიური მისიის თავმჯდომარე, ყოველთვის პიროვნულად სწყვეტს საკითხს, მაგრამ უნდა მოვახსენო იმას, რომ ჩვენ ეკონომიურ მისიაში უფრო კარგი ეკონომისტები და იურისტები გვყავდა, ვიდრე ბატონი ღლონტი ბრძანებდა. ეს თქვენც კარგათ იცით, ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ საშვალება გვქონდა ბევრი მასალა შეგვეგროვე-

ბია, უცხოელი მცოდნე ინჟენრებსაც დავკითხოდით და ერთს წუთსაც არ დაგვიწყებია, რომ დიდ საკითხს ვსწყვეტდით.

და აი, ყოველივე ამის მიხედვით, ვადის შესახებ უნდა მოგახენოთ შემდეგი: საუკეთესო გამოკვლევა ქვა-ნახშირის შესახებ არსებობს ინგლისში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ომის წინ იქ დიდი გაფიცვები მოხდა, როდესაც მუშათა კლასი მოითხოვდა ნაციონალიზაციას სხვა და სხვა მადნებისას და მაშინ პარლამენტის მოთხოვნილების თანახმად დანიშნული იყო კომისიაც, რომლის გამოკვლევებში ყოველივე დეტალს ქვა-ნახშირის დამუშავების პირობებისას იპოვით. და სწორედ ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს მრეწველობის ამ უდიდესი ქვეყნის პირობები, სადაც ტეხნიკაც ფრიად განვითარებულია.

რა პირობებში იცემა ხოლმე ქვა-ნახშირის კონცესიები ინგლისში?

საკონცესიო ვადა აქ უფრო დიდიც არის, ვიდრე ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულებაში. ასე, თქვენ ნახავთ, რომ ზოგჯერ ვადა კონცესიისა 63 წელია, ზოგჯერ 99 წელს უდრის და თქვენ მოგეხსენებათ, ამაზე მეტი ვადის დადება შეუძლებელია, რადგან ასი წელიწადი უკვე საუკუნეს შეადგენს. მაგრამ არის ისეთი ვადებიც, რომელიც 30 წელიწადს არ აღემატება. მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ ვადა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიმძიმის დაბრკოლების გადამლახველი უნდა იყოს მწარმოებელი, როდესაც იწყებს მაღაროების დამუშავებას. სხვა ქვეყნებში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც კონცესიები იცემა უვადოთ, ესე იგი მანამდის, სანამ მადანის გამოლევა შეიძლება. არის მოკლე ვადის კონცესიებიც (განსაკუთრებით შოტლანდიაში), მაგრამ სწორედ იქ, სადაც დიდი ნახშირების მაღაროები არის, თქვენ ნახავთ, რომ იქ კონცესიის ვადა 45 წელი საშუალო ვადა არის. და თუ იქ, სადაც ნახშირის წარმოება უკვე ტრადიციას შეადგენს, ასეთი ვადები არის რასაკვირველია, იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ გვიხდება ამ კონცესიის გაცემა, რომელსაც მძიმე დაბრკოლებებიც ეღობება წინ, ჩვენ იძულებული ვიყავით ვადა გაგვეგრძელებია და დავაახლოვებულიყავი იმ ვადისთვის, რომელიც საშუალო ვადა მაინც არის.

გაზ. „ერთობა“, № 22. 30 იანვარი, 1921 წ.

II

შემდეგ აქ ილაპარაკეს ფინანსიურ მხარეზე, იმ მოგებაზე, რომელიც ჩვენ გვექნება. ჩვენ ამ მხრივ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მძიმე პირობები დაუყენეთ კონცესიონერებს. იმავე ინგლისის გამოკვლევიდან დაინახავთ, – სამეფო კომისიის გამოკვლევიდან, რომ სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა პირობებში იცემა იჯარით ინგლისის მაღაროები და იჯარის ციფრი გამოხატული არის იმის მიხედვით, თუ რანაირ პირობებში ხდება ექსპ-

ლოატაცია. უდიდესი გადასახადი ნორტმუნდის რაიონში არის ათი პენსი, ხოლო უმცირესი – ორ ნახევარი. ლანკაშირში ექვსი პენსი ერთ ტონაზე, ზოგან მეტიც არის, ზოგან ნაკლები, ხოლო საშუალო გადასახადი მივიღეთ შვიდი პენსი ტონაზე, რომელიც ოქროს ფულზე შეადგენს ნახევარ კაპეიკზე ნაკლებს ფუთზე ანუ 28 კაპ. ტონაზე. ფოთში ძველად, – ჩვენ ეს ვიცით ძველ გამოკვლევებიდან, – ჩვენ ვიცნობთ იმ გამოკვლევებსაც, – რომ ფოთში ჩატანით ფუთი ნახშირი ტყვარჩელიდან დაჯდებოდა შვიდი კაპეიკი; ხუთი კაპეიკი რომ ვიანგარიშოთ ადგილობრივ ფუთზე – პირველ ათ წელიწადს მივიღებთ სახელმწიფოს სასარგებლოთ 30 კაპეიკს, მეორე ათ წელიწადს – 45 კაპეიკს და მესამე ათ წელიწადს – 60 კაპ...

(ხმა: რა გაძლევთ ამ შემოსავალს?)

იმ ნახშირის ნაწილი, რომელიც გვეძლევა ნატურით პირველ ათ წელიწადს 10 %, მეორე ათ წელიწადს- 15%, და შემდეგ 20%. ნატურით გადარიცხვას ჩვენთვის ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ რა ზარალიც არ უნდა მიეცეს წარმოებას, – 10 ფუთზე 1 ფუთი ნახშირი ჩვენ მაინც გვერგება. კონცესიონერები წინააღმდეგნი იყვნენ ხელშეკრულებაში ამ მუხლის შეტანისა, წინააღმდეგნი იყვენ მიგვეღო „валовое отчисление“ და გვპირდებოდენ 50% წმინდა მოგებიდან, მაგრამ ჩვენ ეს წინადადება არ მივიღეთ.

ხელშეკრულებაში შეტანილია კიდევ ერთი მუხლი, რომლის თანახმად, თუ კონტრაგენტები მიიღებენ 10% წმინდა მოგებაზე მეტს, ნახევარი ამ ზედმეტი მოგებისა ჩვენ უნდა მოგვცენ ასანაზღაურებლად;

გარდა ამისა, გვიდებენ ერთ პირობას: გადასახადის ნორმა არ იქნეს მომატებული შედარებით 1917 წ. 1 იანვრამდე არსებულ ნორმისა. ეს საზღვრავს ჩვენს კანონმდებლობასო, – აქ იყო ნათქვამი. არა, ბატონებო, რაც სწერია კონცესიაში, ის უნდა იყოს დაცული და ის არ ნიშნავს კანონმდებლობის შეზღუდვას; რაც არ სწერია, – ის კი ემორჩილება საქართველოს კანონმდებლობას, როცა უცხო კაპიტალი მოდის, – არ შეიძლება არ მოითხოვოს და არ იქონიოს წინასწარი ანგარიში. ეს ანგარიში კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეადგინოს, თუ მან იცის გარკვევით ნორმა გადასახადისა. თუ თქვენ დღეს ერთნაირი ნორმა გაქვთ გადასახადისა და ხვალ კი მას ისე შესცვლით, რომ იგი არა თუ მოგებას ნახავს, არამედ ზარალიც აუცილებელია, – ეს შეცდომაში შეყვანა იქნება კონცესიონერის, რაც სახელმწიფოს არ ეკადრება, მით უფრო, რომ ჩვენ მონაწილენი ვართ მოგებისა. ამიტომ, კონცესიონერები რომ გარკვეულ პირობებში ჩაგვეყენებია და ჩვენ შორის ამის შესახებ დავა არ მომხდარიყო – ვსთქვათ, რომ გადასახადი იქნება ის, რაც იყო 1917 წლის 1 იანვრამდე.

აქ ილაპარაკეს, თითქოს კონტროლი არ ჰყავს მთავრობას ამ დაწესებულებაშიო. კონტროლს რომ უფლება არა აქვს მართვე – გამგეობების საქმეში ჩაერიოს, – ეს მართალია და ასეც უნდა იყოს; ხოლო მას თითქმის სრული კონტროლის უფლება არ ჰქონდეს, არ ვიცი, საიდან მოიტანეთ ასე-

თი შთაბეჭდილება. ხელშეკრულებაში პირდაპირ სწერია: (კითხულობს) ჩვენ მოვითხოვეთ, კონცესიონერებს კონტროლის ხარჯები მასვე გაეღო და ეს შევიტანეთ კიდეც ხელშეკრულებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს სრულიად, რომ მოხელე მათგან იქნება დამოკიდებული: ეს ნიშნავს მათი ხარჯების გადიდება მხოლოდ სახელმწიფოს სასარგებლოთ.

(ხმა: მაგას ვერ გაამართლებთ ვერავითარ სოფიზმით).

ყოველ შემთხვევაში, ამ ხარჯების გაღება არის მათი მოვალეობა და არა ჩვენი მთავრობისა; ამით ჩვენ მათ ზედმეტი ხარჯები დავაკისრეთ. თქვენ თუ გნებავთ გაანთავისუფლოთ ამ ხარჯებიდან – ამისთვის მხოლოდ მადლობას გეტყვიან. არამც თუ არ არსებობს სრული კონტროლი, – არამედ ჩვენ განსაკუთრებული კონტროლი გვაქვს. ესაა ჩვენი წარმომადგენელი საბჭოში, გამგეობაში. ამას შეუძლია იცოდეს მთელი მოქმედების შინაარსი, რომელიც გარედან დანიშნულ კონტროლს ყოველთვის გამოეპარება.

აქ დიდი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ რატომ ვაძლევთ ტყეებსო. მართალია, 10 წლის განმავლობაში მათ ეკუთვნით ტყეების ექსპლოატაციის განსაკუთრებული უფლება და შემდეგ კი მხოლოდ უპირატესობა ტყეების და სხვა სიმდიდრის ექსპლოატაციაში.

(ხმაურობა. ივანე ლორთიფანიძე: აქ „იქნება“ არ არის!).

ალბათ, შეცდომაა, მართალია ტყეების ექსპლოატაციაში აქვთ უპირატესობა მათ, „исключительное право“-ც. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ იმ ტერიტორიაზე არსებულ სიმდიდრის კონცესიები სხვამ მოითხოვა; განა სამართლიანობა იქნება, რომ სხვას მივცეთ ეს კონცესიები და იმავე პირობებში არა იმათ, ვინც უკვე აწარმოებს იმ დიდს წინასწარ მუშაობას?

რაც შეეხება იმას, რასაც ბატონი ღლონტი ლაპარაკობს, უნდა მოგახსენოთ, რომ არც ჩვენ და არც კონცესიონერებს არ გვესმის ტყის დათმობა ისე, როგორც ბატონი ღლონტი ფიქრობს. ადგილობრივ რკინის გზისათვის, მუშების ბინებისათვის და სხვა საჭირო მუშაობისათვის აუცილებელია ხე-ტყის მასალა და ეს ხე-ტყე უნდა დავუთმოთ მას სახაზინო ფასებში, რადგანაც ტყეების მფარველობა სახელმწიფოს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში სახელმწიფო იქნება სწორედ ფასების მკარნახებელიც. მხოლოდ ტყვარჩელის ტყეები უნდა დავუთმოთ უფრო იაფ ფასებში, ვინემ სხვაგნიდან შემოტანილი ტყე, მაგრამ მაინც იმ ფასების მიხედვით, რომელიც რესპუბლიკაში არსებობს. არავითარ ტყის საექსპლოატაციოდ გამოყენებისთვის აქ არ არის ლაპარაკი და ეს ასე რომ არ იყოს, – რაში დასჭირდებოდათ კონცესიონერებს საგანგებო უფლება გამოეთხოვათ, რომ მომავალში თუ ტყეს გასცემთ, უპირატესი უფლება კონცესიისა – ჩვენ მოგვეცითო. მათაც ეს მუხლი ასე ესმით, როგორც ეს თქვენ მიერ გაგზავნილ ეკონომიურ მისიას, ესე იგი მათ არ შეუძლიათ გამოიყენონ ხე – ტყე სხვა გარეშე წარმოებისათვის.

ბატონმა ღლონტმა ეს საკითხი კოკსს დაუკავშირა და სთქვა, რომ ნახშირის მაგივრად შეიძლება გამოიყენონ შეშაო. ისინი კოკსის დამუშავე-

ბით სრულიადაც არ არიან დაინტერესებულნი და ეს ნათლად სჩანს ხელშეკრულების შესაფერ მუხლებიდან. თქვენ თუ გჭირიათ კოკსი თქვენს წარმოებისათვის, თქვენ ვალდებული ხართ თქვენი ნახშირი მოგვაწოდოთ. – ამბობდენ ისინი და ამის დამზადებას თქვენვე გიანგარიშებთო, თქვენ კაპიტალისტებს წარმოებისათვის მოუწოდებთ და იმავე დროს თუ საჭირო ხის მასალას არ მისცემთ სამუშაოსათვის, – მაშინ რა ნაირ პირობებში აყენებთ მათ? თქვენ უნდა გაუწიოთ ანგარიში იმას, რომ არც ერთი სინდისიერი კონტინგენტი არ წამოვა, თუ მხოლოდ გაფცქვნა მოელის მას.

მეორე არსებითი შენიშვნა რკინის გზის უფლებას ეხება. ხელშეკრულებაში ამის შესახებ ვრცლად არის ნათქვამი. ჩვენ დავპირდით მათ მხოლოდ კონცესიას რკინის გზაზე, რომელიც იქნება ცალკე კონცესია, მაგრამ არავითარი დაწვრილებითი პირობები ამის შესახებ არ მიგვიცია. მართლაც, უსამართლობა იქნებოდა სხვას მივცეთ კონცესია რკინის გზისა, თუ კი ისინი მოსიურვებენ მისაღებ პირობებში ამის აღებას, როცა ამათი ნახშირი იქნება უმთავრესად მასაზრდოებელი ამ რკინის გზის. ჩვენ მათ ვუთხარით – რეალი პირობებისა და მიმართულებას რკინის გზისა საქართველოში შევიმუშავებ – თქო. აშკარაა სხვადასხვა მიმართულება რკინის გზისა სხვადასხვა ხარჯებს მოითხოვს, მაგალითად, ოჩემჩირეს მიმართულება მოითხოვს ერთ ხარჯს, ზუგდიდის – მეორეს, ფოთის – მესამეს და სხვა. რკინის გზის აშენება კი ისეთი საქმეა, რომ თუ აქ შეღავათები არ მივეცით, – არც ერთი კონტრაგენტი ჩვენში რკინის გზას არ გაიყვანს.

ბატონებო, თუ 8% მოგებისა არ გინდათ უზრუნველვყოთ, – მაშინ სულ ზედმეტია ლაპარაკი კაპიტალის შემოყვანაზე ჩვენში. სანამ 8% არ იქნება უზრუნველყოფილი, – მანამ ტარიფის საქმეში ვერ ჩავერევით. მე არ მესმის ისეთი დაწყებულება, სადაც ამორტიზაციისათვის განსაკუთრებული თანხა არ იდებოდეს. ის უპირატესობა, რომელსაც ჩვენ დავპირდით, – არ არის დიდი. განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენ ავიღეთ 10 უკანასკნელი წლის კონცესიები, როდესაც რუსეთი არც ისე ადვილათ და გულ-უხვად იძლეოდა ასეთ კონცესიებს.

მე მესმის ლეო შენგელაიას სიტყვები, რომლებიც პრინციპიალურად წინააღმდეგია ევროპის კაპიტალის ჩვენში შემოყვანისა; მაგრამ სოციალ – ფედერალისტები აცხადებენ, რომ პრინციპიალურად არა ვართ წინააღმდეგი, რომ შემოვიდეს ჩვენში ევროპის კაპიტალი, ცოდნა და ტეხნიკაო. ნუ თუ მათ არ უნდათ მისცენ მას რაიმე შეღავათი და ისე ფიქრობენ კაპიტალსა და ინტერესებზე ჩვენში და ისიც დღევანდელ პირობებში?

საზოგადოთ, უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, შემდეგი: ქვა-ნახშირის დამუშავებას ჩვენთვის მართლაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და არა მარტო იმისათვის, რომ ჩვენს სავაჭრო ბალანსს გავაუმჯობესებთ ამით: არამედ იმიტომაც, რომ ჩვენში ამით განვითარდება საზოგადოთ წარმოება. ყველა განვითარებული ქვეყნების ისტორია იმას მოწმობს, რომ მრეწველობის განვითარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა არის საკმაო სათბობო

მასალა. აი ამ მასალის შეჰქმნას დღეს დიდი საფუძველი ეყრება ამ კონცესიით, რადგან დიდი ნაწილი ქვა-ნახშირისა ჩვენ გვეძლევა. ჩვენ გვეძლევა 20% მოდის უფასოდ; ამას გარდა ჩვენ შეგვიძლია ვიყიდოთ 25 % ადგილობრივ ფასებში. მასასადამე ჩვენ გვექნება 45 % ამოღებულ ქვა-ნახშირისა. ეს ქვა-ნახშირი, რომელიც უაღრესად კარგი ხარისხისა არის, ჩვენ მოგვცემს საშუალებას მასზე გადმოვიტანოთ ის წარმოებანი, რომელსაც ტყვიბულის ქვა-ნახშირი არ აკმაყოფილეს, სამაგიეროთ ტყვიბულის ქვა-ნახშირი ჩვენ სხვა დანიშნულებისათვის და ექსპორტისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ. ჩვენში კიდევ არის ხომ ნახშირის მადნეულობა. როდესაც წარმოების შესახებ არის ლაპარაკი ფისკალური მიზნები უკანასკნელ პლანზე უნდა იდგეს: უმთავრესი ამ საქმეში ის არის, რომ ამ ქვა-ნახშირის დამუშავებასთან ერთად ეყრება საფუძველი ჩვენი წარმოების განვითარებას.

ტყვარჩელის წარმოება აუარებელ მუშახელს მოითხოვს. თუ ვანგარიშობთ, რომ ინგლისშიაც კი მუშას დღეში ერთი ტონა ნახშირის მეტი გამოტანა არ შეუძლია, – თქვენ დაინახავთ, რომ ტყვარჩელის მადანის დამუშავების დროს საჭირო იქნება არა ნაკლებ 5.000 მუშისა. ამას მიუმატეთ მათი ოჯახები, მათი ადმინისტრაცია, სხვადასხვა დაწესებულებანი, რკინის გზა, პორტი და სხვა და თქვენ მიიღებთ მთელს ქალაქს, 25-30 ათასი მცხოვრებით, რომლის შექმნას უმთავრესი მნიშვნელობა ექნება უპირველესად ყოვლისა სწორედ იმ მხარისთვის, რომლის წარმომადგენელს თითქოს ახალი ხელშეკრულობა აქვს პორტფელში, მაგრამ ავიწყდება, რომ ამ ხელშეკრულობის განხილვის დროს შეუძლია სულ სხვანაირი სახე მიიღოს, ვიდრე ზოგიერთ ჰგონია, თუმცა ეს ხელშეკრულობა არც ახლა იძლევა იმ გარანტიებს და სარგებლიანობას, რასაც ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულობა.

მე ვფიქრობ, რომ ვინც სერიოზულად გაეცნობით ამ ხელშეკრულობას, გაეცნობა იმ პირობებს, რომელშიც იცემა ნახშირი, დამუშავება უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში – ის დამეთანხმება, რომ მართალია, ჩვენ დიდ ნახშირის სიმდიდრეს ვიძლევით, მაგრამ ვიძლევით მეტად ხელსაყრელ პირობებში ჩვენთვის. ის გარემოება, რომ იტალიამ ამ პირობებში ეს კონცესია აიღო, არ უნდა გაგვიკვირდეს: ჩვენი კოტრაგენტები არა მარტო როგორც მწარმოებლები და ფინანსისტები არიან დაინტერესებულნი ამაში, არამედ იტალია, როგორც სახელმწიფოც, არის ნახშირში დაინტერესებული.

როდესაც ევროპაში ჩვენ შესახებ საჭირო იყო ხმის ამოღება, იტალია მუდამ ჩვენს მხარეზე იყო. ეს გარემოება კი ამტკიცებს, რომ იტალიელები ჩვენთან მოვლენ არა როგორც ექსპლოატატორები, არამედ როგორც კეთილი მეზობლები, რომელთაც უნდათ ეს სიმდიდრე გამოიყენონ როგორც ჩვენ სასარგებლოდ, ისე იტალიის სასარგებლოდაც.

(ტაში).

გაზ. „ერთობა“, № 23. 1 თებერვალი, 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეხუთე

პარასკევს, 1921 წლის იანვრის 21 . სასახლე

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე; მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე; პრეზიდიუმში არის: ექვთიმე თაყაიშვილი.

სხდომა იწყება შუადღის 12 ს. და 10 წ.

დღის წესრიგი:

სხდომის გახსნისას მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების დღევანდელ სხდომის შემდეგ დღიურ წესრიგს:

1. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა 1919 წ. მაისის 20-ს კანონის *„ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების“* მოქმედების შეჩერების შესახებ;

2. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა *„გზათა უწყებისათვის ახალი გზატკეცილებისა და შარაგზების გადაცემისა და მათ შესანახად და შესაკეთებლად 70.000.000 მან. გადადების შესახებ“.*

3. დამტკიცების აქტი ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საკონცესიო ხელშეკრულებისა;

4. დეკრეტი *„სახაზინო და კახეთის რკინისგზების ტარიფის გადიდებისა“;*

5. დეკრეტი „დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის სასახლის სამეურნეო თანხის გასადიდებლად დამატებითი კრედიტის გაღებისა“;

დამფუძნებელი კრება ამ დღიურ წესრიგს უცვლელად ამტკიცებს.

საბოლოო ტექსტი: კან. 1919 წ, მაისის 20 კან. „ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევის გათავისუფლების“ მოქმედების შეჩერების შესახებ.

განსახილველია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – 1919 წლის 20 მაისის კანონის „ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების“ მოქმედების შეჩერების შესახებ.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია ივანე გომართელი (სოც.-

დემ.), რომელიც აღნიშნავს რადარა სარედაქციო შესწორება შეიტანა კომისიამ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტის ტექსტში და ორივე ტექსტს პარალელურად მუხლობრივ კითხულობს.

დამფუძნებელი კრება ამ საბოლოო ტექსტს უკამათოდ უცვლელად ამტკიცებს.

საბოლოო ტექსტი.

განსახილველია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – გზათა უწყებისთვის ახალი გზატკეცილებისა და შარაგზების გადაცემისა და მათ შესანახად და შესაკეთებლად 70.000.000 მანეთის გადადების შესახებ.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია ივანე გომართელი (სოც.-დემ.) რომელიც აღნიშნავს რადარა სარედაქციო შესწორება შეიტანა კომისიამ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ დეკრეტის ტექსტში და გზების ნუსხაში და ორივე ტექსტს პარალელურად მუხლობრივ კითხულობს.

დამფუძნებელი კრება ამ საბოლოო ტექსტს და გზების ნუსხას უკამათოდ უცვლელად ამტკიცებს.

განსახილველია დამტკიცების აქტი ტყვარჩელის ქვა-ნახშირის საკონცესიო ხელშეკრულობისა.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მხრით მომხსენებელია გრიგოლ რცხილაძე (სოც.-ფედერ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარადგენს ხელშეკრულობის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

ხელშეკრულობა იწვევს მსჯელობას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ლეო შენგელაია (სოც.-რევოლ.), თედო ღლონტი (სოც.-ფედერ.).

დროის განგრძობა. თავმჯდომარე ორატორს ახსენებს, რომ მას [თედო ღლონტს] სალაპარაკო დრო გაუთავდა.

დამფუძნებელი კრება ორატორს სალაპარაკო დრო 5 წამით გაუგრძელა.

ორატორი სიტყვას ამთავრებს.

განმარტებას იძლევა ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის მინისტრი, ბატონი კონსტანტინე კანდელაკი.

სხდომის განგრძობა. თავმჯდომარე აცხადებს, რომ უკვე ნაშუადღევის 3 საათია და ეკითხება დამფუძნებელ კრებას, სურს თუ არა სხდომა განაგრძოს.

დამფუძნებელი კრება ადგენს სხდომა განგრძობილ იქნეს.

მსჯელობა გრძელდება და მონაწილეობას იღებს შალვა მესხიშვილი (სოც.-ფედერ.).

თავმჯდომარის გასვლა.

თავმჯდომარის ადგილს იკავებს თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი, ბატონი ალექსანდრე ლომთათიძე.

ორატორი შალვა მესხიშვილი სიტყვას ამთავრებს.

მსჯელობა გრძელდება და მონაწილეობას იღებენ იღებენ ალექსანდრე ასათიანი (ერ.-დ.), ი. გობეჩია (სოც.-რევოლ.) და ბიქტორ თევზაია (სოც.-დემ.).

ზოგადი მსჯელობა დასრულებულია.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

სოც.-დემ. ფრაქციის წინადადება

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოტანილია წინადადება სხდომის დახურვისა და ამ ხელშეკრულობის კვირის სხდომაზე პირველ რიგში წაკითხვისა და დამტკიცების შესახებ.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას იღებს.

სენატორ ივანე ჯაფარიძის განცხადება:

მდივანი კითხულობს სენატის თავმჯდომარის ამხანაგის ივანე ჯაფარიძის შემდეგ განცხადებას: უმორჩილესად ვსთხოვ დამფუძნებელ კრებას გამათავისუფლოს აღნიშნულ თანამდებობიდან პირველსავე სხდომაზე, რადგან ჩემს სახელის ირგვლივ შექმნილი გარემოებანი არ მაძლევენ უფლებას და საშვალებას დავრჩე სენატორის თანამდებობაზე“.

დამფუძნებელი კრება ამ შუამდგომლობას აკმაყოფილებს.

დღის წესრიგი: მდივანი კითხულობს შემდეგი მორიგი (იანვრის 25) სხდომის დღიურ წესრიგს.

სხდომის დახურვა: თავმჯდომარე სხდომას საღამოს 7 ს. 40 წ. ჰხურავს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 274-275.

***

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 21

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე, მისი უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე და ამხანაგი – ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი.

თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ ჩხეიძე;

მდივნობდა: კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დღეს, იანვრის 21-ს, წარმოდგენილი დამფუძნებელი კრების მიერ დასამტკიცებლად – ხელშეკრულობა, დადებული საქართველოს მთავრობისა და ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკს შორის 1.500.000 გირვ. სტერლინგის სესხის შესახებ.

ცნობა: ხელშეკრულობას დართული აქვს ფინანსთა მინისტრის განმარტებითი მოხსენება.

წარმოდგენილია ხელშეკრულების ქართული თარგმანი.

მმართველობის მიერ დადასტურების აქტი არა აქვს დართული.

დადგენილება: ხელშეკრულობა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ სხდომაზე – საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიისათვის გადასაცემად წინასწარი განხილვისა და დასკვნისათვის; მოეთხოვოს მთავრობას დასკვნის წარმოგზავნა.

2. მოსმენილია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დღეს, იანვრის 21-ს, წარმოდგენილი დამფუძნებელი კრების მიერ დასამტკიცებლად – ხელშეკრულობა, დადებული საქართველოს მთავრობისა და „ფერან-გენტრანის“ დაწესებულებების შორის – მეაბრეშუმეობის განვითარებისა და გაუმჯობესების ქართულ-ფრანგული საზოგადოების დაარსების შესახებ.

ხელშეკრულობას დართული აქვს ფინანსთა მინისტრის განმარტებითი მოხსენება.

მთავრობის მიერ დადასტურების აქტი დართული არა აქვს.

ცნობა: რომ რეგლამენტით განსაზღვრული 7 დღის ვადა – დამფუძნებელი კრების მიერ რადიო-ტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამატების კანონპროექტის – პირველი (ზოგადი) განხილვის დღიდან (იანვრის 18) შესრულება ამა იანვრის 25-ს და, მაშასადამე, ეს კანონპროექტი მეორე (მუხლობრივი) განხილვისათვის შეიძლება შეტანილ იქნეს დამფუძნებელი კრების შემდეგი მორიგი სხდომის დღიურ წესრიგში.

დადგენილება:

1. ხელშეკრულობა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ სხდომაზე – საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიისათვის გადასაცემად წინასწარი განხილვისა და დასკვნისათვის.

2. მოეთხოვოს მთავრობას დასკვნის წარმოგზავნა.

3. კანონპროექტი მეორე (მუხლობრივი) განხილვისათვის შეტანილ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა იანვრის 25-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ნიკოლოზ ჩხეიძე.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 17.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა №

1921 წლის 21 იანვარი. დილის სხდომა

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

დღის წესრიგშია ტყვარჩელის ქვა ნახშირის კონცესია.

მომხსენებელია ფედერალისტი გრიგოლ რცხილაძე.

ის აცნობს დამფუძნებელ კრებას ხელშეკრულობის შინაარსს. ტყვარჩელის ქვა-ნახშირი უცხოელებს ეძლევათ 45 წლით. ამ ხელშეკრულობით იტალიის კაპიტალისტებს ეძლევათ მრავალი უფლებები. უფლება აქვთ ისარგებლონ იმ რაიონის ტყეებით და სხვა მასალით უფასოთ. თუ იტალიის კაპიტალისტები მოისურვებენ, მათ შეუძლიათ თავის ეკონომიური გავლენა ძლიერ გააფართოვონ, მათ შეუძლიათ შეისყიდონ იქ მიწები და სხ.

დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ლეო შენგელაია (სოც.-რევ.) მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო!

მწუხარებით და გულის ტკივილით უნდა დავიწყო დღეს ჩემი სიტყვა.

დღევანდელი დღე ისტორიული დღეა ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის. დღეს ჩვენში შემოდის ახალი ძალა – ევროპის კაპიტალი. დღევანდელი დღე საზეიმო დღეც არის, მაგრამ ის საზეიმო არაა ჩვენთვის – საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველთათვის, არამედ ის საზეიმოა ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებისათვის, იმათთვის, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, ჩვენ ნიშნის მოგებით გვეუბნებოდა: რათ გინდათ დამოუკიდებლობა, დამოუკიდებელი სახელმწიფო. სულ ერთია ამ დამოუკიდებლობას თქვენ ეკონომიურათ ვერ შეინარჩუნებთ, სულ ერთია რომელიმე დიდი სახელმწიფო ხელში ჩაგიგდებთ და თავის კოლონიად გადაგაგცევთო.

როგორც იცით, ჩვენი არგონავტები ევროპიდან დაბრუნდნენ, მაგრამ ჩამოგვიტანეს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ავლა-დიდების დაბევებისა და დაგირავების ქაღალდი. ეს ქაღალდი უნდა გაარჩიოს დამფუძნებელმა კრებამ.

დღეს უნდა დავამტკიცოთ, ჩვენ გვსურს თუ არა ძირი გამოვუთხაროთ ჩვენს დამოუკიდებლობას. დღეს ჩვენს წინაშე სერიოზულად სდგას საკითხი

ჩვენი ქვეყნის ფაქტიური დამოუკიდებლობის შესახებ. ასე ვუყურებთ ჩვენ იმ საკითხს, რომელსაც სწყვეტს წარმოდგენილი ხელშეკრულება, და თუ ეს ჩვენი შეხედულება მომავალში გადაჭარბებული გამოდგა, ჩვენ ბედნიერი ვიქნებით.

წარმოდგენილი ხელშეკრულობა არის პირველი დებიუტი იმ ეკონომიური დელეგაციისა, რომელიც ახლახან ევროპიდან დაბრუნდა ბატონ კანდელაკის მეთაურობით. როგორც გაზეთებიდან ვიცით, ბატონ კანდელაკს ჰქონია მოლაპარაკება ევროპის სხვა და სხვა კაპიტალისტებთან. დელეგაციას მან ჩამოუტანა მთელი დიუჟინი ხელშეკრულებათა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ხელშეკრულობანი დადებულია არა რომელიმე ერთის ქვეყნის კაპიტალისტებთან, არამედ იგი დადებულია ევროპის თითქმის ყველა კაპიტალისტებთან. ეს ალბათ, იმიტომ რომ ევროპის კაპიტალისტებს გული არ დასწყდეთ (სიცილი), რომ ყოველ მათგანს რაიმე ერგოს ჩვენი ქვეყნიდან, რომ ევროპის კაპიტალისტები მადლიერნი დარჩნენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც მეტად უხვი ბრძანდება მშრომელი ხალხის ხარჯზე! (ხმაურობა).

ეს ხელშეკრულობა დაგვირგვინებაა სოციალ-დემოკრატიის გაშიშვლებისა და სიკოტრის როგორც თეორეტიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში.

ეს ხელშეკრულობა არის დაგვირგვინება იმ სიკოტრისა და გაშიშვლებისა, რომელიც სოცილა-დემოკრატიამ განიცადა როგორც თეორეტიულ ისე პრაქტიკულ სფეროში. თქვენ იცით, თუ რა იმედებს ამყარებდა სოციალ-დემოკრატია ჩვენს ბურჟუაზიაზე, მას უნდა წარემართა ჩვენი ცხოვრება. მას უნდა მოეწესრიგებია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ ეს არ გამართლდა. მაშინ სოციალ-დემოკრატიას იმედები არ გაუმართლდა. მან ევროპის ბურჟუაზიისაკენ დაიწყო ცქერა, მისგან მოელოდა ხსნას, შველას, მაგრამ არც ევროპიდან მოდიოდენ კაპიტალისტები.

და აი ჩვენ ვხედავთ, სოციალ-დემოკრატია უკანასკნელ ნაბიჯს სდგამს: ის გზავნის დელეგაციას კაპიტალისტების მოსაპატიჟებლად.

ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატიას თამამად შეუძლია თავის დროშაზე, სადაც სწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, დაუმატოს: „კაპიტალისტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით, მობრძანდითო“! (ხმაურობა)

სოციალ-დემოკრატია დღეს მართავს უკანასკნელ საშვალებას. ეს არის ევროპის კაპიტალისტების ჩვენში ჩასიძება (სიცილი).

ის იწვევს ჩვენში ახალ ვარიაგებს, მათ მიმართავს და ეუბნება: დიდი სიმდიდრე გვაქვს, მობრძანდით, გვიპატრონეთო“!

ჩვენ ბუნებრივად ვართ დაინტერესებული ვიცოდეთ, ვინ არის ეს ჩვენი სასიძო, რას წარმოადგენს იგი?!

ჩვენ ვამბობთ: ის არ არის ახალგაზრდა ჯანღონით, ენერგიით სავსე ჭაბუკი, არამედ ის არის ასი წლის ბებერი, გამოფიტული იმპოტენტი (სიცილი), და როდესაც ჩვენ გვეუბნებიან: ეს ვაჟბატონი გინდათ თუ არ გინდათ, უნდა ჩაისიძოთო, ჩვენ ვამბობთ: არ გვინდა, არ შეგვიძლიან!

არ შეგვიძლიან იმიტომ, რომ ის მოდის ჩვენს ქვეყანაში არა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, მას მოაქვს ახალი უღელი, ახალი მონობა. ის მოდის აქ იმავე მიზნებით, რა მიზნებითაც მიდიოდა ის სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში, აფრიკაში. მისი მიზანია ჩვენი გაფცქვნა, ჩვენი ქვეყნის დამონავება!

ჩვენ ვამბობთ: კონცესიების დრო გავიდა. კაპიტალისტურმა სისტემამ დრო მოსჭამა. დღეს სოციალისტებისათვის არის ერთად ერთი გზა – ეს არის სოციალიზაციის, გზა ნაციონალიზაციის. ჩვენ გვიხსნის მხოლოდ მშრომელი ხალხის კოლექტიური შემოქმედება.

აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულობა ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის. თქვენ იცით, რომ ყოველ წარმოებას თან სდევს საწარმოო რისკი. ეს რისკი მით უფრო დიდია, რაც უფრო შორს არის ბაზარზე ესა თუ ის ქვეყანა, რაც უფრო მოუწყობელია კულტურულად სახელმწიფო და სხვა. აქ არის კიდევ მეორენაირი რისკი, უფრო მნიშველოვანი, ვიდრე ეკონომიური რისკი: ეს არის პოლიტიკური მდგომარეობა.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცებული არ არის, ჩვენ არა ვართ იურიდიულად ცნობილი, განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და სომხეთის დაცემის შემდეგ ევროპის კაპიტალისტების თვალში ჩვენი მდგომარეობა ვერ ჩაითვლება მტკიცედ.

დაუმატეთ ამას ის პირობები, რომლებიც შექმნა ჩვენში სოციალ-დემოკრატიამ. ეს პირობები ისეთია, რომ თვით მინისტრმა ერაძემ აქ განაცხადა, რომ ასეთ პირობებში არც ერთი ევროპიელი კაპიტალისტი ჩვენში არ შემოვაო. ასეთი არის მდგომარეობა, და როდესაც მიუხედავათ ყოველივე ამისა, ევროპის კაპიტალისტები აქ ჩამოდიან, უნდა ვიფიქროთ, რომ მათთვის შექმნილია არაჩვეულებრივი ხელსაყრელი პირობები, რომ ყველა ზემოხსენებული დაბრკოლებანი გადალახონ.

გაზ. „შრომა“, № 5. 30 იანვარი, 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი.

1921 წ. იანვრის 22

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე; მისი უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე და ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე.

თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ ჩხეიძე;

მდივნობდა: კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე თავის შესწორებანი, წარმოდგენილი: 1. ეროვნულ-დემოკრატიულ, 2. სოციალისტ-რევოლუციონერთა, 3. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციების მიერ.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის მე-4 მუხ. თანახმად წარმოდგენილი შესწორებანი გადაეცეს დასკვნისთვის საკონსტიტუციო კომისიას.

2. მოსმენილია: სამხედრო მინისტრის ამონაწერი ამა იანვრის 20-ს თარიღითა და 218 №-ით შემდეგი შინაარსისაა: ამ დღეებში დამფუძნებელი კრების რამდენიმე წევრმა დაათვალიერებს ჩვენი სამხრეთ – აღმოსავლეთი ფრონტი.

სამხედრო მინისტრი: სავსებით ვესალმები და მიზანშეწონილად ვსთვლი ამ მოვლენას, მაგრამ რადგანაც არსებული კანონის ძალით ბრძოლის ხაზის დათვალიერება იმ პირთაგან, რომლებიც ჯარების შემადგენლობას არ ეკუთვნიან, შეიძლება მხოლოდ ფრონტის სარდლის ნებართვით. ამისთვის გთხოვთ ბატონ თავმჯდომარეს – ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დამფუძნებელი კრების წევრები მოისურვებენ ფრონტის დათვალიერებას, წინასწარ გავაცნოთ, რათა საშუალება გვექნეს ამის შესახებ თავის დროზე ვაცნობოთ ფრონტის სარდალს.

დადგენილება:

1. ამ ჟურნალის ამონაწერი გაეგზავნოს ცნობისათვის ფრაქციებს და საპროპაგანდო და სამხედრო კომისიათ.

2. ამასთანავე პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს აღნიშნოს, რომ ყოველ შემთხვევაში, როდესაც დამფუძნებელი კრების ფრაქცია, კომისია თუ სხვა უფლებამოსილი ორგანო წარგზავნის თავის წარმომადგენელს ფრონტის დასათვალიერებლად, – წინასწარ წასვლისა, – უნდა ეუწყოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რათა მან ამის შესახებ აცნობოს სამხედრო მინისტრს.

3. მოსმენილია: იუსტიციის მინისტრის, ბატონ რაჟდენ არსენიძის წერილობითი განცხადება შემდეგი შინაარსია:

სტენოგრამის გაცნობამ დამარწმუნა, რომ დამფუძნებელ კრების წევრს შალვა ნუცუბიძეს, მთავრობის რეორგანიზაციის გამო წარმოთქმულ სიტყვიდან ამოუშლია ან გადაუსხვაფერებია თითქმის ყველა ის ვითომდა ფაქტები და ბრალდებები, რომელზედაც მე ფაქტიური პასუხი გავეცი. ამოუშლია მაგალითად ის, თითქოს ბატონი ჩიკვაიძე ჩემი ბრძანებით გაეთავისუფლებინოს გამომძიებელს, ხოლო მისი საქმის სხვა მონაწილენი კი დაეტოვებინოს, თითქოს მოწმეებზე გავლენა მომეხდინოს, ცნობა უბის წიგნის შესახებ და სხვა.

სამაგიეროთ, მოუთავსებია ისეთი ბრალდება, რომელზედაც პასუხის გაცემა მაშინაც თავის დამცირებად მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია.

მკითხველისათვის, რომელიც სტენოგრაფიული ანგარიშებიდან გაეცნობა საკითხს, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს მე სულ სხვა საგანზე ვილაპარაკე, ვინემ მედავებოდა დამფუძნებელი კრების წევრი შალვა ნუცუბიძე.

ყველა ამის გამო გთხოვთ შეიტანოთ სტენოგრაფიულ ანგარიშებში შენიშვნა, რომ დეპუტატმა შალვა ნუცუბიძემ თითონ ამოშალა სტენოგრამაში ის ადგილები, რომელსაც ჩემი საპასუხო სიტყვა ეხება.

დადგენილება: პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიულ ოქმში ამ უკანასკნელ შემთხვევისათვის უნდა დაიბეჭდოს ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვის ის ტექსტი, რომელიც დადასტურებული იქნება პრეზიდიუმის მიერ.

ამის მიხედვით პრეზიდიუმი განიხილავს ბატონი შალვა ნუცუბიძისა და იუსტიციის მინისტრის ბატონ რაჟდენ არსენიძის სიტყვების სტენოგრამას, მიიღებს მხედველობაში მათ შესწორებათ და შეიმუშავებს საბოლოო ტექსტს მათი სიტყვებისას, რომელიც დაიბეჭდება სტენოგრაფიულ ოქმებში და რომელიც სავალდებულო იქნება ორატორისათვის.

4. მოსმენილია: ფინანსთა მინისტრის მონაწერი ამა იანვრის 12-ს თარიღითა და 19 №-ით შემდეგი შინაარსისა:

ვინაიდან ბიუჯეტის პროექტის შედგენის დრო უკვე მოახლოვდა და ეს კი წარმოადგენს მეტად სერიოზულ საქმეს და მოითხოვს დიდ დროს, ფი-

ნანსთა სამინისტრო გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა საჩქაროთ და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1-ლი თებერვლისა წარმოედგინოს მას თქვენდამი რწმუნებულ უწყების შემოსავლის და გასავლის აღრიცხვა მომავალი 1921-22 საბიუჯეტო წლისათვის იმ ფორმების მიხედვით, რომელიც გადმოეგზავნა ფინანსთა სამინისტროს მომავალი საბიუჯეტო წლისათვის.

ყოველი ციფრი უნდა იქნეს დაფუძნებული სათანადო კანონებზე და ისეთ ახსნა – განმარტებებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება აღრიცხული ციფრების საფუძვლიანად ცნობა.

დადგენილება: დაევალოს კანცელარიის გამგეს დამფუძნებელი კრების 1921-1922 წ. ხარჯთაღრიცხვის შედგენა და წინასწარ პრეზიდიუმისთვის განსახილველად წარდგენა იმ ანგარიშით, რომ ხარჯთაღრიცხვა ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულ ვადაზე გაეგზავნოს.

თავმჯდომარეობდა [ხელმოწერა] ნიკოლოზ ჩხეიძე.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 18-19.

***

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. იანვრის 22

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე: ნიკოლოზ ჩხეიძე, მისი ამხანაგები: ალექსანდრე ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი პავლე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ ჩხეიძე.

მდივნობდა: პავლე ჯაფარიძე.

1/32 მოსმენილია: ტფილისის ბრანდმეისტერის გასული წლის 8 დეკემბრის 930 №-ის მიმართვა სასახლის ბუხრების და ღუმელების ცეცხლისა გაჩენისაგან უზრუნველყოფის გამოსარკვევათ სპეციალისტებისაგან საგანგებო კომისიის მიერ დათვალიერების შესახებ.

დადგენილება: ეთხოვოს ტფილისის ბრანდმეისტერს დაასრულოს კომისიის წევრები და სასახლის რემონტის მწარმოებელ ინჟინრებთან შემოწმებული იქნეს სასახლის ბუხრები და ღუმელები.

2/23 მოსმენილია: რკინის გზების სამმართველოს ა/წ. 6 იანვრის 367386 №-ის მიმართვა №19 ანგარიშითურთ ცალად დამტკიცებული სამხედრო კომისიის მიერ საჩქარო მატარებლით სარგებლობისათვის ქირის გადახდის შესახებ.

დადგენილება: გადაეცეს სამხედრო კომისიას დასკვნისათვის.

3/18 მოსმენილია: საფრანგეთში საქართველოს მისიის 153 №-ის მიმართვა გაზეთის „ლე ტან"-ი – №-ითურთ.

დადგენილება: გადაეცეს დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკას.

5/19 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების თვითმმართველობის კომისიის 1 №-ის მიმართვა იმის შესახებ, რომ დეპუტატ პავლე ბიულის მაზრაში ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ მოხსენება კომისიის მიერ განხილული იქნა და დამნაშავენი პასუხისგებაში არის მიცემული.

დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად და ამის შესახებ ეუწყოს დეპუტატ ბიულს.

6/36 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების მუშა-მოსამსახურეთა 6 №-ის მიმართვა, რომ აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების წინაშე აღძრული იქნეს შუამდგომლობა, რათა მოხელეთ ნისიათ დაეთმოთ ამ საზოგადოებიდან საქონელი.

დადგენილება: აღძრული იქნეს შუამდგომლობა.

7/31

1) მოსმენილია: დამფუძნებელი კრების წევრის ივანე ლორთქიფანიძის განცხადება, რომ მას ა/წ. 4 იანვრიდან რამდენიმე დღის თავისუფლება მიეცეს ავათმყოფი დედის სანახავათ.

დადგენილება: შეწყნარებული იქნეს.

2) მოსმენილია: დამფუძნებელი კრების წევრის ილია ნუცუბიძის განცხადება, რომ მას ოჯახური მდგომარეობის გამო 18 იანვრიდან რამდენიმე დღის თავისუფლება მიეცეს.

დადგენილება: შეწყნარებული იქნეს.

3) მოსმენილია: დამფუძნებელი კრების წევრის გერასიმე შევჩუკის განცხადება, ის საპროპაგანდო მიზნით ნეიტრალური გზის მოვლის დროს ავათ გახდა და დამფუძნებელი კრების მუშაობას ვერ დაესწრება.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

8/2 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების წევრის კირილე ნინიძის განცხადება: სოც.-დემ. ფრაქციის შემადგენლობიდან გამოდის, ხოლო დამფუძნებელი კრების წევრათ რჩება.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

9/30 მოსმენილია:

1) ბოჩის ხევის სოფლის მცხოვრებთა ყრილობის ოქმი, რომ მათი სოფლის შკოლებში შემოღებული იქნეს საღვთო სჯულის სწავლება.

2) დუშეთის მაზრის სოფ. ქიასხევის მცხოვრებთა ყრილობის ოქმი, რომ მათი სოფლის შკოლებში შემოღებული იქნეს საღვთო სჯულის სწავლება.

3) დუშეთის მაზრის ბაზალეთის სოფ. მცხოვრებთა ყრილობის ოქმი, რომ მათი სოფლის შკოლებში შემოღებული იქნეს საღვთო სჯულის სწავლება.

4) ცედნის მცხოვრებთა ყრილობის ოქმი, მათი სოფლის ყრილობის ოქმი, მათი სოფლის შკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შემოღების შესახებ.

5) დუშეთის მაზრის სოფელ შვავილას მცხოვრებთა ოქმი, მათი სოფლის შკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შემოღების შესახებ.

დადგენილება: გადაეგზავნოს განათლების მინისტრს განკარგულებისათვის.

10/9 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების წევრის ილია კოპალეიშვილის განცხადება, რომ ის სოფელში ყოფნის დროს სხვადასხვა საქმობით იქნა მიწვეული საპროპაგანდო მიზნით და ამის გამო მოუხდა სამგზავრო ფულის დახარჯვა – ორი ათას შვიდასი (2 700) მან.

დადგენილება: დაკმაყოფილებულ იქნეს.

11/33 მოსმენილია: გასული კრების დადგენილებანი ყოფილი ნეიტრალური ზონის შემდეგი სოფლების მცხოვრებთა:

1. გერგეთის, 2. კარაკალის, კარანსისა და საუხსულახის, 3. ნოვოალექსანდროვკის, ჯალალოღლის, ნიკოლაევსკის, ურუტის, კიდარბეგის, ნოვათაპოლრკის, არმანის, ვარტანლისა და კურტანის, 4. სარჩპატის და მალაია-კარაკლისის, 5. აკარაკლის, ლეჯანახა და ციხე-ლორის, 6. ვორონცოვკის, 7. გერგეთისა და გულაკარასის, 8. ვორონცოვკის, 9. ნოვოალექსანდროვკის და ჯალალოღლის, 10. სარჩაპატრისა და მალიკაკლისა, 11. კარაკალას, კამალსისა და საუხბულახის, 12. აკაბაცის, ლეჯანისა და ციხე-ლორის, 13. დისიხის, 14. შაგალის, 15. ალავერდის ქარხნის მუშების, 16. დ. ალა-

ვერდის, 17. შინახისა და არჩოს და 18. ახპატის, სანაინისა და ვარნალის.

დადგენილება: მიღებულ იქნას ცნობად.

18/37 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის 1 №-ის მიმართვა, რომ ამ კომისიის საქმეთა მმართველსა და საქმის მწარმოებელს ბიუჯეტისთვის ზედმეტი მუშაობის გამო ა/წ. 1 იანვრიდან მიეცეთ ზედმეტათ ჯამაგირისოდენა თანხა.

დადგენილება: მიეცეთ იანვრის თვის ჯამაგირისოდენი. შემდეგ ყოველთვიურად კომისიამ უშუამდგომლოს ამის შესახებ მუშაობის მიხედვით.

19/37 მოსმენილია: დარაჯების ტ. ბერიულისა და გ. ნარიმანიძის თხოვნა, რომ მათ ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდელი მიეცეს.

დადგენილება: ორივეს მიეცეს ერთისათვის თვიური ჯამაგირი.

20/2 მოსმენილია: სასახლის გამგის შუამდგომლობა, რომ თ. მალავსკის სასახლეში მუშაობისთვის მიეცეს სასყიდელი.

დადგენილება: მიეცეს თუთხმეტი ათასი (15.000) მანეთი.

21/7 მოსმენილია:

ა) სასახლის გამგის შუამდგომლობა, რომ მუშებისათვის ტანისამოსის შესაკერათ გადადებული იქნეს ორმოცდაორი ათასი (42.000) მანეთი შესაკერათ და სასარჩულე ფართალი.

დადგენილება: შეწყნარებული იქნეს.

ბ) მოსმენილია: დურგალს გელიტაშვილს, ვინაიდან მას შვებულება არ მიუღია, მიეცეს ერთი თვის ჯამაგირისოდენი თანხა.

დადგენილება: შეწყნარებული იქნეს.

გ) მოსმენილია: სასახლის გამგის 4 №-ის მიმართვა, რომ მას იანვრის თვის ანგარიშში ავანსათ მიეცეს 1920-1921 წლის ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედი.

დადგენილება: დაკმაყოფილებულ იქნეს.

12/33 მოსული დეპეშები:

1. მასწავლებელთა ყრილობის, 2. ლაგოდეხის სოფ. მცხოვრებთა, ჯარისკაცთა და გვარდიელთა, 3. ბორჩხაში მდგომ ჯარის ნაწილისა, 4. სოხუმის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოსი. 5. ხვანჭკარა ბუკეთის მცხოვრებთა, 6. ახალციხის მაზრის ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობის, 7. საქართველოს სექტანტების 3 თებერვალი ყრილობის, 8. სოფ. დანდალას მცხოვრებთა.

დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად.

13/33 მოსმენილია: სოფელ ვორონცოვკის მიმართულებით მდგომი გვარდიის ნაწილების საპროტესტო დეპეშები დეპუტატ ივანე ლორთქიფანიძის

მიერ ვალიკო ჯუღელისადმი „მაუზერისტების მეთაურად“ წოდების გამო.
დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად.

14/30 მოსმენილია: მაკ. შონიას თხოვნა, რომ მას ნება მიეცეს სოხუმიდან ჩამოვიდეს ქ. თფილისს.
დადგენილება: დარჩეს უშედეგოდ.

15/30 მოსმენილია: ჩაქვის მცხოვრებთა შუამდგომლობა, რომ მათ დაუბრუნდეთ სახელმწიფო ფონდიდან ჩამორთმეული საზოგადო საძოვარი ადგილები.
დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად.

16/30 მოსმენილია: ვექილის ლებენდინსკის დეპეშები, რომ მას ასახლებენ აფხაზეთიდან საზღვარგარეთ და ითხოვს საქმის გამოძიებას.
დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად.

17/30 ფოშტა – ტელეგრაფის სარაიონო გამგეობის დეპეშები, მოსახლეთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად.

3/8 მოსმენილია: სასახლის გამგის 5 №-ის მიმართვა ცნობად წარმოდგენილი გასული წლის დეკემბრის თვის სასახლის ანგარიში.
დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად.

4/6 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების მოსამსახურეთა ი. დემეტრაშვილის, გ. შუბლაძისა და მ. მხეიძის თხოვნა, რომ მათ სამსახურის გამო ტრამვაიზე სამიმოსვლო ბილეთების ფასის თანხა გაუდიდდეთ ტრამვაის ბილეთების ფასის გადიდების შეფარდებით.

5/6 მოსმენილია:
1) დამფუძნებელი კრების ბრ. ქვესტორის თანაშემწის გ. მაღალაშვილის თხოვნა, რომ მას ავანსათ მიეცეს 20.000 მანეთი ყოველ თვიურად 3.000 მანეთის ჯამაგირიდან გამოკლებით.
დადგენილება: მიეცეს თითოს თვიურად ათას ხუთასი (1.500) მანეთი ა. წ. 1 იანვრიდან.

4/6 2) მოსმენილია: დამფუძნებელი კრების კანცელარიის მანქანით გადამწერის ნ. ბარათაშვილის ქალის თხოვნა, რომ ამა საბიუჯეტო წლის დამდეგამდი ავანსათ 10.000 მანეთი ყოველთვიურათ 2.000 მანეთის გამობარებით.

დადგენილება: მიეცეს ავანსათ იმავე ვადაში გასასწორებლად შვიდი ათასი (7.000) მანეთი.

3) მოსმენილია: დამფუძნებელი კრების კანცელარიის მანქანით გადამწერის ს. ჭურცილიძის ასულის თხოვნა, რომ მას ავანსათ ამა საბიუჯეტო წლის დამდეგამდი გამობარებით მიეცეს ხუთი ათასი (5.000) მანეთი.

დადგენილება: დაკმაყოფილებული იქნეს აღნიშნულ ვადაში გამობარებით.

4) მოსმენილია: ამავე კანცელარიის მანქანით გადამწერის ეკ. ციციშვილის ასულის თხოვნა, რომ ამა საბიუჯეტო წლის დამდეგამდი გამობარებით 10.000 მანეთი.

დადგენილება: მიეცეს ავანსათ აღნიშნულ ვადაში გამობარებით შვიდი ათასი (7.000) მანეთი.

5) მოსმენილია: ამავე კანცელარიის საქმისმწარმოებლის ნ. ძაბახიძის თხოვნა, რომ მას ამა საბიუჯეტო წლის დამლევამდი გამობარებით ავანსათ მიეცეს 12. 000 მან.

დადგენილება: მიეცეს ავანსათ ვალში გაბარებით რვა ათასი (8.000) მანეთი.

6) მოსმენილია: დამფუძნებელი კრების უფროსი სტენოგრაფის ნ. ავალიშვილის მეუღლის თხოვნა, რომ მას ავანსათ მიეცეს ოთხი თვის ჯამაგირის ოდენი თანხა.

დადგენილება: მიეცეს ავანსათ თხუთმეტი ათასი (15.000) მანეთი ამა საბიუჯეტო წლის დამდეგამდი გამობარებით.

7) მოსმენილია: დამფუძნებელი კრების დამლაგებლის ნ. კოპალეიშვილის თხოვნა, რომ მას ავანსათ მიეცეს ერთი თვის ჯამაგირის ოდენი თანხა თვიურათ 500 მან. გამობარებით.

დადგენილება: მიეცეს ავანსათ ერთი თვის ჯამაგირის ოდენი თანხა ამა საბიუჯეტო წლის და დამდეგამდი გამობარებით.

26/37 მოსმენილია:

1) ამავე კანცელარიის საქმისმწარმოებლის ვლადიმერ სვიმონიშვილის განცხადება, რომ მას მეუღლის ავათმყოფობის გამო მიეცეს რაიმე დახმარება.

დადგენილება: მიეცეს დახმარება ერთი თვის ჯამაგირის ოდენი თანხა.

2) ამავე კანცელარიის საქმისმწარმოებლის გ. გამრეკელის თხოვნა, რომ მას ავათმყოფობის გამო აღმოეჩინოს დახმარება.

დადგენილება: მიეცეს დახმარება ერთი თვის ჯამაგირის ოდენი თანხა.

27/33 მოსმენილია:

1) საახალწლო მისალოცი დეპეშა მესამე ბრიგადის უფროსისა.

2) საახალწლო მისალოცი დეპეში გურიის სახალხო გვარდიას ბატალიონის უფროსისაგან.

3) სახალწლო მისალოცი დეპეში მეცხრე ასპინძის ათასეულის უფროსს.

4) მდივანს საახალწლო მისალოცი დეპეში.

5) ტფილისის გარნიზონის კომენდანტის შტაბის საახალწლო მისალოცი დეპეში.

დადგენილება: მიღებული იქნეს ცნობად და გვარდიისა და რეგულარული ჯარების შტაბებს მიეწეროს, რომ აღნიშნულ ნაწილებს პრეზიდიუმის სახელით მადლობა გადაუხადოს.

8/3 მოსმენილია:

1) ვარანცოვკადან დეპუტატის შევჩუკის დეპეშა ფრონტზე მდგომი მარჯვენა მხარის გვარდიელების სახელით მისალმება.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

2) ჯელალოღლუდან დეპუტატების შევჩუკის, ვარდოიანცის, ჩხეიძისა და კოვალიოვის დეპეშა იქ მდგომი გვარდიის მარცხენა ფრთის მისალმება.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

9/13 თფილისის მაზრის საერობო გამგეობის საახალწლო მისალოცი დეპეშა.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].
კანცელარიის გამგის ამხანაგი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 20-24.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა მეოთხმოცე

პარასკევს, 1921 წ. იანვრის 23. შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი:

საკანონმდებლო აქტის სახელწოდება:

1. მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა – გასული სახარჯთაღრიცხვო წლის დაუფარავი ხარჯის განაღდების შესახებ. – საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – იოსებ სალაყაია.

2. დეკრეტი – ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის თებერვლის 23-ს დადგენილების შეცვლისა. – აგრარული კომისია. – კირილე ნინიძე.

3. სახელმწიფო ბანკის მმართველისა და საბჭოს წევრების არჩევანი.

4. პროექტი დადგენილებისა – პოლიტიკურ, საერთო სისხლის სამართლის და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 836. ფ. 127.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა მეოთხმოცე (80)

პარასკევს, 1921 წ. იანვრის 23

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

გრიგოლ რცხილაძე კითხულობს ტექსტს ტყვარჩელის კონცესიის ხელშეკრულებებისას, რომელიც დადებულია იტალიის ეკონომიურ წრეებთან.

წაკითხულ იქნა, როგორც ქართულად, ისევე დედანიც – ფრანგული ტექსტი. ტექსტის კითხვა ორ საათნახევარზე მეტი გრძელდება. წაკითხვის შემდეგ, რაკი ხელშეკრულება ან მთლად უნდა იქნეს მიღებული ან მთლადვე უარყოფილი, – თავმჯდომარე აღარ უყრის კენჭს მის ცალცალკე მუხლებს, არამედ – კენჭს უყრის ხელშეკრულებას მთლათ.

ხელშეკრულება მიღებულ იქმნა დამფუძნებელი კრების მიერ, წინააღმდეგ სოციალისტ რევოლუციონერებისა და სოც-ფედერალისტების ხმებისა.

ამის შემდეგ სხდომა გადადის კონსტიტუციის მე-3 ე თავის განხილვაზე.

გაზ. „ერთობა“, № 29. 8 თებერვალი, 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

მეოთხმოცე სხდომა

სამსონ დადიანის გამოსვლა დამფუძნებელი კრების სხდომაზე

1921 წ. პარასკევი. იანვრის 23

სამსონ დადიანი: მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ამ რამდენიმე თვის წინად მე დაწვრილებით შევეხე კონსტიტუციის პროექტს და გავაცანი მკითხველ საზოგადოებას ჩვენი შეხედულობა კონსტიტუციის პროექტის შესახებ; იქ აგრეთვე დაწვრილებით იყო აღნიშნული ყველა შესწორება, რომელიც ჩვენ შეგვაქვს. ამიტომ ვეცდები, რაც შეიძლება მოკლედ გაგაცნოთ შესწორებანი, რომლებიც საჭიროდ მიგვაჩნია იყოს შეტანილი ამ ზოგად დებულებაში.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნო რომ პირველ მუხლის მეორე ნაწილი, „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკურ წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“ – ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია. ამის შესახებ თქვენ მოისმინეთ სხვა და სხვა მოსაზრებანი.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ არგუმენტებს, რომელნიც აქ სხვა ფრაქციების წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს, მაგრამ არსებითად ჩვენც შეუძლებლად მიგვაჩნია კონსტიტუციაში დატოვებული იქნას სიტყვები: „მუდმივი უცვლელი ფორმა“.

თქვენ მოისმინეთ აქ მომხსენებლის აზრი. მან განაცხადა, რომ ეს „მუდმივი და უცვლელი“ არ არის არა ჩვეულებრივი რამ, არამედ სხვა წესწყობილებაშიაც, თუნდაც მონარქისტულ მართვა-გამგეობის დროსაც იყო კანონში აღნიშნულიო. მე მოგახსენებთ, რომ ეს მოსაზრება არ არის მისაღები და აი რატომ:

მონარქიზმის დროს, როდესაც მეცნიერება დაქვემდებარებული იყო და ემსახურებოდა არა მხოლოდ ობიექტურ ჭეშმარიტებას, არამედ იმყოფებოდა პოლიტიკის გავლენის ქვეშ, იძულებული იყო შეექმნა ისეთი თეორიები, რომლებიც შეგუებულნი იქნებოდენენ იმ დროში არსებულ მდგომარეობათან; როდესაც მეცნიერები ასაბუთებდნენ მარქსიზმის აუცილებლობას,

ისინი ქმნიდნენ სათანადო მეცნიერულ დებულებებსაც იმისდა მიუხედავად, საერთო მეცნიერულ დებულებებს ეთანხმებოდა ეს თუ არა. რომელიმე მეცნიერი მონარქისტი თავისი თეორიებით ცდილობდა ჩაენერგა საზოგადოებისთვის ის აზრი, რომ ერთად ერთი საუკეთესო ფორმა სახელმწიფოსი არის მონარქიზმიო. ასეთი ტენდენციური მეცნიერება იმას ამტკიცებდა, რომ ერთად-ერთი მისაღები, კანონიერი წესწყობილება, ბუნებრივი წყობილება არის მონარქიზმიო და ამის შეცვლა იქნება არა პროგრესი და განვითარება, არამედ უკან სვლა და დაქვეითებაო. რასაკვირველია, ამ მეთოდებს და პრინციპებს ჩვენ ვერ მივიღებთ იმიტომ, რომ მეცნიერება, რამდენად შეუძლია მას ობიექტურობა გამოიჩინოს, გვაძლევს საბუთს ვთქვათ, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რომელიმე მოვლენა მუდმივი და გაყინული სახით. აგრეთვე მეცნიერებამ და მით უმეტეს იურისპრუდენციამ არ იცის კატეგორია უცვლელობისა. საერთოდ რომ შეუძლებელი არის წარმოვიდგინოთ ცხოვრებაში ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც არ იცვლებოდეს და არ ექვემდებარებოდეს იმ ზოგად კანონს, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა საბერძნეთის ფილოსოფიამ გამოხატა: „პანტა რეი“, – (ყველაფერი მიმდინარეობს) ყველაფერი იცვლება. შეუძლებელია დღეს დავაარსოთ ისეთი წყობილება, რომლის გაუმჯობესობა აღარ შეიძლებოდეს; ეს იქნება მეტაფიზიკა და არა მეცნიერული დებულება.

დამფუძნებელი კრების წევრმა თევზაიამ სთქვა, – აქ იგულისხმება ის კი არა, რომ ფორმის შეცვლა არ შეიძლებაო, არამედ ის, რომ პრინციპი უმრავლესობის ბატონობისა არ იქნება შეცვლილიო. ერთი მხრით ეს აზრი მომხსენებლის დებულებას არ ეთანხმება და თავისთავად არ არის სწორი, ვინაიდან აქ „მუდმივობაზე“ იმ მხრით არის ლაპარაკი, რომ დემოკრატიული ფორმა არის უცვლელიო. თქვენ მოგეხსენებათ, რომ სოციალიზმის დროს, რამდენად შესაძლებელია დაახლოვებით წარმოვიდგინოთ ის ორგანიზაცია, რომელიც იქნება სოციალიზმის დროს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ გადაჭრით, იქაც პრინციპი უმრავლესობისა დებულებად დაცული იქნება; არ შეიძლება გადაჭრით თქმა, რომ მაშინ იქნება უმრავლესობის ბატონობა. რასაკვირველია, რამდენადაც შესაძლებელია წარმოვიდგინოთ სრული იქნება უფლება პიროვნებისა და თავისუფალ კომუნაში ვერ ვიტყვით, რომ უმრავლესობის პრინციპი იქნება დაცული. სოციალიზმი გულისხმობს უფრო მეტს თავისუფლებას პიროვნებისას, ვიდრე უმრავლესობის ბატონობის დროს. ჩვენ შეგვიძლია სოციალიზმის გადაღმაც გადავიხედოთ და იქ არც დემოკრატია და არც რაიმე „კრ [არ იკითხება] ბატონობა არ შეიძლება იყოს.

შემდეგ მეორე მუხლში ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი რამ. ეს არის საქართველოს ნეიტრალობა. მომხსენებელმა ბრძანა: ნეიტრალიტეტი არ არის კარგი, როდესაც მას სხვანაირად იცნობენო. მე კი ვიტყოდი: ნეიტრალობა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ამას სხვებიც იცნობენ და აღიარებენ. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიაში არ ყოფილა მაგალი-

თი, რომ რომელიმე სახელმწიფო გამხდარიყო ნეიტრალ სახელმწიფოდ, თუ მას გარეშე სახელმწიფოს არ იცნობენ. ბელგიას და შვეიცარიას მარტო თვითონ კი არ გამოუყენებია ნეიტრალიტეტი, არამედ ნეიტრალიტეტი იცვნეს გარეშე სახელმწიფოებმაც. ეს არის ორ მხრივი საერთაშორისო აქტი და არა ერთმხრივი.

რა თქმა უნდა, ეს მუხლი თუ კონსტიტუციაში არავითარ ბრძოლას ზიანს არ მოუტანს მას, მაგრამ იქნება ერთგვარად საჩოთირო, რადგანაც შესაძლებელია სხვებმა არ იციან, თუ რით ვხელმძღვანელობთ. დიდი მსჯელობის დროს მე მოგახსენებთ, რომ ამ მუხლის წინააღმდეგნი არიან, იმიტომ რომ მას 2 წლის ტრადიცია აქვს. და ერთგვარად გამართლება ჩვენი პრაქტიკით, მაგრამ ვინც არ იცის ჩვენი 2 წლის მდგომარეობა, ვინც წაიკითხავს ჩვენს კონსტიტუციას უკომენტარებოდ, იმან შეიძლება იფიქროს, რომ ჩვენ არ ვიცით, რომ არ შეიძლება ცალმხრივი ნეიტრალიტეტის გამოცხადებაო...

(პავლე საყვარელიძე: აქტიდან ხომ ვერ ამოვშლით?)

დიაღ, დამოუკიდებლობის აქტი რომ არის, აზრიც აქვს და მისი რედაქცია უფრო მისაღებია. იქ ნათქვამია: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალიტეტი სახელმწიფოა“, ესე იგი, ომი რომ დაიწყონ დიდმა ბუმბერაზებმა, საქართველო არ ჩაერევა არც ერთ მხარეზე. კონსტიტუციის პროექტში აზრი უფრო გაფართოებულია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა“ და სწორედ იმიტომ, რომ დამოუკიდებლობის აქტში გვიწერია და ეს აქტი არის განუყრელი ნაწილი კონსტიტუციისა, შეიძლება ამ მუხლის პირველ თავიდან ამოღება. მაშასადამე, ვინაიდან ეს მუხლი არ არის, იურიდიული ნორმა და შეიძლება უხერხულობა გამოიწვიოს, ამიტომ ტექსტში არ უნდა იყვეს და დამოუკიდებლობის აქტში კი დარჩება.

ეს კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი რესპუბლიკის, მაგრამ ამ ძირითად კანონს აქვს კიდევ ასე ვსთქვათ ძირითადი კანონები, და ეს არის სწორედ ეს „ზოგადი დებულებანი“. ეს მუხლები გამოჰხატავენ მთელს სახეს რესპუბლიკის წყობილებისას და ამ პირველს თავში უნდა მოთავსდეს ყველა ზოგადი ხასიათის დებულებანი, ამ მხრით მე-59 მუხლი შესაძლებელია უკეთესია პირველ თავში მოთავსდეს. აქ სწერია: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.“ ეს ისეთი დებულება არის, ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ არკვევს ხასიათს მთელ კონსტიტუციისას. ეს მუხლი, რომ იყოს გამოტანილი ზოგად დებულებებში, უკეთესი იქნებოდა; მხოლოდ შესაძლებელია თქვენ ბრძანოთ, რომ პირველ თავში პარლამენტზე არ არის ლაპარაკიო. შესაძლებელია, ასედაც მივიღოთ, რომ ნახევარი, რომელიც პარლამენტს ეხება, იქ დარჩეს, პირველი ნახევარი კი აქ გადმოვიტანოთ.

შემდეგ, მესამე მუხლში არის სიტყვა „მუდმივი“, ესე იგი: საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი, სადაც მუდმივ იმყოფება საქართველოს პარ-

ლამენტი და მთავრობა. რასაკვირველია ის არ არის დიდი პრინციპიალური საკითხი, არაფერი დაშავდება, რომ სიტყვა „მუდმივი“ ამ მუხლში დარჩეს. მაგრამ საჭიროება მოითხოვს ამას. სოც.-რევოლუციონერებმა თავიანთ პროექტში ამ სიტყვას დაუპირდაპირეს „ჩვეულებრივი“. ჩვენ კი, როგორც „მუდმივი“, აგრეთვე „ჩვეულებრივი“-ც ზედმეტად მიგვაჩნია. ჩვენთვის ცხადია, რომ საქართველოს დედა ქალაქი, მისი გული და სული, მის ცხოვრების ფოკუსი არის ტფილისი, მხოლოდ სიტყვა „მუდმივი“ უნდა ამოიშალოს. აქ უკვე სთქვეს და მართლადაც, რატომ არ შეიძლება, რომ მთავრობა დროებით ქუთაისში იქნეს?

(ხმები: ხონში რატომ არა?)

ესეც შესაძლებელია, თუნდაც ხონში? არის შეკითხვები. როდესაც მნიშვნელობა ეძლევა, თუ სად იმყოფება მთავრობა, მაგალითად, დღეს კონსტანტინოპოლი და ანგორა.

(პავლე საყვარელიძე: პარიზი და ბორდო).

ყოველ შემთხვევაში, მაინცა და მაინც ამას პრიციპიალური საკითხად არ ვთვლით. არაფერი დაშავდება დარჩეს, მაგრამ შესაძლებლად მიგვაჩნია იქნეს ამოღებული.

შემდეგ მინდა თქვენი ყურადღება მე-5 მუხლს მივაქციო. აქ სწერია: „საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის – ძლევამოსილი გიორგი, თეთრ რაშზე მჯდომარე“. ჩვენი შეხედულებით, „ძლევამოსილი გიორგი“ არ არის ქართული გამოთქმა და შეცნობა. ეს არის რუსული თქმა. რუსებს აქვთ Георгий Победоносец, ჩვენი ხალხის შემეცნებით, კოსმოგონიით კი თეთრი გიორგი. ეს თეთრი გიორგი არის ქრისტიანობაზე უფრო ძველი წარმოშობისა. ჩვენ ხალხს ოდესღაც მთვარე განუსახიერებია თეთრს რაშზე მჯდომარე ჭაბუკის სახით და სხვა მნათობთა შორის მოუთავსებია.

ამიტომ ეს ჩვენი ხალხის ფანტაზიით შექმნილი გმირი არის და რომ არ გავდეს სხვა ხალხის გმირს და სხვა ხალხის თქმას, ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ ეს სახელი „ძლევამოსილი“ – შეცვლილი იყო ამნაირად: „საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.“

მე-6 მუხლი, რომელიც ამბობს: ყოველ კანონს და სავალდებულო დადგენილებას მაშინ აქვს ძალა, თუ არის მიღებული სათანადო წესითო. – მომხსენებელმა სთქვა, რომ აქ არის გამოხატული უფლებრივი ხასიათი ჩვენი რესპუბლიკისა, რომ არც ერთი კანონი არ შეიძლება იყოს კანონი, თუ წესისამებრ არ არის გამოცემულიო. განზრახვა კომისიისა სწორედ ასეთი იყო, მაგრამ ეს აზრი არ არის გამოთქმული ამ მუხლით, ეს მუხლი ამ რედაქციით არ არის მისაღები, ვინაიდან ამ რედაქციით იგი საკონსტიტუციო ნორმა არ არის, არამედ იგი ჩვეულებრივი იურიდიული ნორმაა, რომელიც სხვა სახელმწიფოები ჩვეულებრივ კანონმდებლობაში არის, მაგ. რუსეთის კანონებში პირდაპირ არის ნათქვამი. ამიტომ ჩვენ ვიძლევით სხვა რედაქციას ამ მუხლისას, რომელიც გამოჰხატავს რესპუბლიკის უფლებრიობას.

შემდეგ, მე-7 მუხლი ჩვენ არ მიგვაჩნია საკონსტიტუციო საკითხად; ის, რაც არის აღნიშნული, რომ კანონს არ აქვს უკუქცევითი ძალაო, ეს დებულება, რასაკვირველია, პროგრესიული, იურიდიული დებულება არის, მაგრამ კონსტიტუციის მუხლად, საკონსტიტუციო დებულებად არ მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, კიდევ რომ იყოს საჭირო, ეს უნდა იყოს სხვა ალაგას, აღნიშნულ თავში, ე.ი. ჩვეულებრივს კანონდებლობაში. ყოველ შემთხვევაში ეს შეიძლება სხვა განყოფილებაში, სხვა თავში მოვათავსოთ, მაგრამ ზოგად დებულებაში ამას ადგილი არა აქვს.

მეთორემეტე მუხლში პროექტით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც შეჩერდება ხოლმე სახელმწიფოში კონსტიტუციური გარანტიები. ამ მუხლში კანონმდებელი უთითებს სხვა მუხლებს კონსტიტუციისას, მაგრამ იმ მუხლებს პირდაპირ არ უჩვენებს. ჩვენი აზრით, უმჯობესია ამ 12 მუხლში ნაჩვენები იქნას 49 და 50 მუხლი კონსტიტუციისა, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის შეჩერების შემთხვევებს. მეცამეტე მუხლში „საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად“ აღიარებულია აუცილებლობა „თავისუფალ ერთა კავშირისა“. მე პროექტის ზოგადად განხილვის დროს მოგახსენეთ სუსტი მხარეები ამ მუხლისა. მოგახსენეთ, რომ ეს არის უბრალო დეკლარაცია, რომ არავითარი იურიდიული სავალდებულო ძალა ამ მუხლს არ აქვს, აგრეთვე მართლაც ერთგვარი წინააღმდეგობა არის და იქნება ამ მუხლსა და მეორე მუხლს შორის და სხვ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც წინააღმდეგნი არა ვართ ამ მუხლისა, ვინაიდან აქ გამოთქმული პრინციპი მიგვაჩნია მთავარ პრინციპად ჩვენი, სოციალისტ-ფედერალისტთა მსოფლმხედველობის. სოლიდარობა და თავისუფალი კავშირი თავისუფალ ერთა არის ის ფორმა, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო ურთიერთობას.

მუხლი 14 შეეხება ამ კონსტიტუციის პროექტის მიღებას და დამტკიცებას. ამის შესახებაც ჩვენ მოგახსენეთ, რომ ჩვენ მიგვაჩნია აუცილებელ საჭიროებად, რომ ეს პროექტი, რომელსაც მიიღებს დამფუძნებელი კრება, წარედგინოს ხალხს სარეფენდუმოდ. საერთოდ, რამდენად შესაძლებელია, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ სუვერენობა ხალხისა მიღწეულ იქნას. მე მოგახსენეთ, რომ იდეალია უმეშვეო, პირდაპირი დემოკრატია. მაგრამ ვინაიდან ეს შეუძლებელია ტეხნიკურად, ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ხალხს მეტი საშუალება მივცეთ კანონმდებლობისა, რომ ხალხი მუდმივი კანონმდებელი იყოს. ამ კონსტიტუციით ხალხს აქვს უფლება რეფერენდუმის და ინიციატივის, ე.ი. ყოველივე ჩვეულებრივს კანონმდებლობაშიაც კი ხალხი იღებს მონაწილეობას და მით უმეტეს ეს დიდი საკითხი, რომელიც ეხება სახელმწიფოს ე.ი. ძირითად კანონი უნდა წარუდგეს მას დასტურის მისაცემად.

ეხლა მინდა შევჩერდე სოც.-რევოლუციონერების პროექტზე. მე რომ გავეცანი სოც.-რევოლუციონერების პროექტს, მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდი,

რომ სრულიად ზედმეტი იყო მეორე პროექტის შემოტანა და ყველა ის, რასაც ისინი გვაწვდიან, ჩვენ შეგვეძლო შესწორების სახით წარმოგვედგინა.

მე, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრმა უნდა განვაცხადო, რომ ის შთაბეჭდილება, რომელიც მიუღიათ ესერებს საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობის დროს, მე არ მიმიღია. კომისიაში მე არ მიგრძვნია, რომ უმრავლესობის პარტიას რაიმე მუხლის შესახებ გაეწიოს ჯიუტობა პარტიულ თვალსაზრისით. თუ რაიმე წინააღმდეგობა იყო, მე მგონია, არ ვეთანხმებოდით ერთმანეთს იმდენად, რამდენად ერთი თავი არ ეთანხმებოდა მეორე თავს არა პარტიულად, არამედ ობიექტურად, მეცნიერულის თვალსაზრისით. ჩვენ თვითონ დიდი არაფერი ორიგინალობა არ გამოგვიჩენია, არამედ ვიმეორებთ იმას, რაც წაგვიკითხავს და შეგვითვისებია მეცნიერთაგან. ის მუხლები, რომელნიც ასე უაღრეს სოციალისტურ აზრებად მიაჩნიათ სოც.-რევოლუციონერებს შეიძლებოდა იქაც წარმოედგინათ, ან და აქ შესწორების სახით შემოეტანათ. მე ვერ დავესწარი და არ მქონდა საშუალება ზოგადი მსჯელობის დროს მთელი პროექტის შესახებ აზრი გამომეთქვა და დღეს უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი ნაწილი ესერების პროექტისა იგივეა, რაც კომისიის პროექტი.

(ლეო შენგელაია: ტყუილია!)

მე-65 მუხლი დავთვალე ისე ზერელედ გადათვალიერების დროს და მომხსენებელს დაუთვლია უფრო მეტი. რაც შეეხება დანარჩენებს, დიდი ნაწილი ჩვენს შესწორებებში არის აღნიშნული. დანარჩენი რამდენიმე მასალაც ორიგინალური მუხლებია. აქ თურმე სიცილი გამოუწვევია ამ მუხლებს: მაინც და მაინც არ არის სასაცილო შრომის პრინციპი...

(პავლე საყვარელიძე: მაგან კი არ გამოიწვია სიცილი, მაგრამ მთქმელმა გამოიწვია სიცილი).

არ ვიცი რაზე იცინოდნენ, ხოლო იმათ პროექტში არის დებულებანი თავის თავად ყურადსაღები და ანგარიშ გასაწევი.

გაზ. „ერთობა“ № 1052. კვირა, 13 თებერვალი, 1921 წ.

II

დამფუძნებელი კრების წევრმა გობეჩიამ მოიგონა ერთა ლიგა, როდესაც პროექტის 13 მუხლს შეეხო და ბრძანებს – იქ არ უნდა შევიდეთო. მართალია, სოციალისტურ თვალსაზრისით ეხლანდელს ერთა ლიგაში შესვლა საჩოთიროა, იმიტომ რომ ეს არის კავშირი ბურჟუაზიულ და იმპერიალისტურ სახლმწიფოებისა. ბატონი გვაზავა რამდენიმედ მართალია იმაში, რომ ლი-

გაში შესვლით ვარღვევთ ჩვენს ნეიტრალიტეტს, მაგრამ ყოველთვის ასეთია პატარა ერის ბედი, მას ძალა-უნებურად უხდება ამყოლს აჰყვეს, ჩამყოლს ჩაჰყვეს. როგორც თითონ ეს ერთა ლიგა ქანაობს, ისე ჩვენც იძულებულნი ვართ საგარეო პოლიტიკაში გარემოების მიხედვით ვიმოქმედოთ.

მაგრამ ერთა ლიგას ამ ჟამად, ამ ჩვენი საკითხისათვის იმდენად აქვს მნიშვნელობა, რომ ეს არის ერთგვარი ძიება ერთაშორის სოლიდარობისა და თანხმობისა.

ჩვენ, სოციალისტურ-ფედერალისტებს ვერავინ გვასწავლის, რა ფორმებში უნდა გამოისახოს ეს საერთაშორისო სოლიდარობა, მაგრამ დღეს ჩვენ ვერც ამ ერთა ლიგას ვკრავთ ხელს. ბატონი გობეჩია ბრძანებს, – სოციალისტს არ შეუძლია სთქვას, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობა შესაძლებელია თავისუფალ ერთა კავშირის სახით, მაგრამ მათს პროექტშიაც, მეორე მუხლში იგივეა ნათქვამი, რაც ამ პროექტში. ესერების პროექტიც სწორედ ამასვე იმეორებს „ერთა სოლიდარობა და კავშირიო“ და მაშასადამე, მე არ მესმის ესერების კრიტიკა. ეს კონსტიტუცია არ იწერება სოციალისტური წეს წყობილებისთვის, არამედ ეხლანდელ გარდამავალ ხანისათვის.

სოც.-რევოლუციონერები საკითხს აყენებენ: როგორი რევოლუცია იყო რუსეთში: სოციალისტური თუ ბურჟუაზიული?

მე მგონია, რომ არ არის მართალი ესერების მტკიცება, რომ მათი პროექტის მუხლი არ არის ნამდვილი სოციალისტური და ნაყოფია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციისა.

მე ვამტკიცებ, რომ ის დებულებანი, რომელნიც სოც.-რევოლუციონერების პროექტში უღრმეს სოციალისტურ დებულებებად მიაჩნიათ, აღნიშნული იყვნენ 1848 წლის რევოლუციის დროს და დამერწმუნებით, რომ 1848 წ. რევოლუცია არ იყო სოციალისტური.

აგრეთვე მე ვამტკიცებ, რომ ყველა ეს თითქოს უაღრესად სოციალისტური დებულებანი სრულიად თავისუფლად მოთავსდებიან ამ კომისიის პროექტშიაც. ჩვენ ასეც მოვიქეცით და თითქმის ყველა ეს ახალი მუხლები ესერების პროექტისა ჩვენ შემოგვაქვს შესწორების სახით.

ბატონი გობეჩია ბრძანებს, თითქოს ამ ჩვენი პროექტის მსგავსი პროექტები რევოლუციონერებმა მათ დამწერთ თავზე გადაახიაო. პირიქით, სწორედ ბატონ სოც.-რევოლუციონერების პროექტის ყაიდაზე დაწერილი კონსტიტუციები ვერ შეეგუენ ობიექტურ პირობებს და ცხოვრებამ დახია ისინი.

იდეალები ჩვენ რასაკვირველია ბევრი გვაქვს, მაგრამ აუცილებელია ანგარიში გაუწიოთ გარემოებებსაც. თუ ჩვენი რევოლუციონური „მსურს“ არ შუეთანხმდეთ რეალურს „შემიძლიას“, უეჭველად დავმარცხდებით. ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო კომისიის პროექტი შეეფერება ამ გარდამავალს ხანას. ჩვენ ვერ ვიტყვით რომ დღეს უკვე შევედით სოციალიზმის სამეფოში, არამედ ჯერ ხდება ნიადაგის მზადება და დღეს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ჩანასახები შევქმნათ სოციალიზმისა.

სოც. რევოლუციონერებს უდიდეს რევოლუციონურ მოთხოვნილებად მიაჩნიათ მოთხოვნა დებულებისა; „უფლება შრომაზე“.

მე ვამტკიცებ, რომ ეს ჩვენ დროში არავის გააკვირვებს, თუნდაც არა სოციალისტსაც. 1848 წლის თებერვალში პარიზის პროლეტარიატის ზეგავლენით დროებითმა მთავრობამ გამოსცა პროკლამაცია, რომელიც სცნობდა „უფლებას შრომაზე“ და ეს შევიდა საფრანგეთის კანონთა კრებულშიაც.

ფრანქფურტის ეროვნულ ყრილობაზედ გერმანიის კონსტიტუციის განხილვის დროს 1848 წელს აღიძრა ესევე „უფლება შრომაზე“, მაგრამ შემდეგ ისე კანტიკუნტად თუ იხსენიებენ სოციალისტების ამ უფლებას. იმ დროისათვის მართლადაც დიდი რადიკალური მოთხოვნილება იყო ეს უფლება, მაგრამ ჩვენს დროში ეს უბრალო ლიბერალური რეფორმის საკითხია და სოციალისტურს წესწყობილებაში ხომ სულაც ზედმეტი იქნება.

(ლეო შენგელაია: მენშევიკებმა სთქვეს, არ შეეგუებაო და თქვენც მათ ეგუებით, არა?)

არა, ბატონო შენგელაია, თავს ნუ იკატუნებთ, ვითომ არ გესმოდეთ, რაში გეთანხმებით. მე მოგახსენებთ, რომ ეს თქვენი მოთხოვნა „უფლება შრომაზე“ არ არის ჩვენს დროში უაღრესად სოციალისტური აზრი. იგი დაძველებულია. თქვენ გვარწმუნებთ, თითქოს თქვენი პროექტი იყოს რაღაც სოციალისტური, მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ ეს მუხლი, რომელიც თქვენ ასე მოგწონთ, არ ამჟღავნებს თქვენი პროექტის სოციალისტურს ღირებულებას.

1848 წლის ივნისის დამარცხების წინა დღეებში შემუშავდა პროექტი კონსტიტუციისა, სადაც მოხსენებულია ეს თქვენი „უფლება შრომაზე“ და მის გვერდით აღნიშნულია გარანტიები კერძო საკუთრების დაცვისა. 132 მუხლში ამ პროექტისა აღიარებულია „შრომაზე უფლების“ გარანტიად შრომის თავისუფლება და უარყოფა „ორგანიზაციებისა“. ასე რომ, აქ ბრძოლაა ცეხების წინააღმდეგ. ეს „უფლება შრომაზე“ სრულიად ეგუება ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წეს-წყობას, კერძო საკუთრებას არა მარტო კაპიტალზე, არამედ მიწაზედაც.

ამის შემდეგ 1884 წელს მაისის 9 ს რეიხსტაგის სხდომაზე დეპუტატმა ევგენი რიხტერმა მოითხოვა „უფლება შრომაზე“ და აი, რა უპასუხა მას თითონ ბისმარკმა: „თავდაპირველად მე უნდა უპასუხო უმთავრეს კითხვას, რომელიც წამოაყენა დეპუტატმა რიხტერმა. დიაღ, მე აღვიარებ „უფლებას შრომაზე“ და სანამ ამ პოსტზე ვიქნები, მუდამ მხარს დაუჭერ. მაგრამ მე არა ვდგავარ სოციალიზმის ნიადაგზე, არამედ მე ვდგავარ პრუსიის სახელმწიფოს უფლებაზე, რომელიც სცნობს სახელმწიფოს მოვალეობად მზრუნველობას იმ მოქალაქეთა, რომელთაც მუშაობა არ შეუძლიათ...

(ხმები: ოო, ღატაკებისათვის მზრუნველობა?)

და ავალებს სახელმწიფოს აღმოუჩინოს უმუშევართ სამუშაო. აბა, ახლა სად არის თქვენი ამოძახილები“. განა პრუსიის კანონებით არ არის აღიარებული „უფლება შრომაზე“?

აი, ბატონო შენგელაია, თვით ბისმარკის მთავრობა და ბისმარკიც კი მხარს უჭერდა ამ თქვენს მუხლს, მაშასადამე, ეს არ ყოფილა ისეთი წმინდა სოციალისტური მოთხოვნა, როგორც თქვენა გგონიათ და მაშასადამე, მით უმეტეს ჩვენს პროექტში შეიძლება მისი მოთავსება. თქვენ ერთმანეთში ურევთ „უფლება შრომაზე“ და „შრომის უფლების“, მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის.

(ლეო შენგელაია: თქვენ არ იყავით იმ კრებაზე. მე ვსთქვი ეს! პავლე საყვარელიძე – (დადიანს) არ უთქვამს, არ დაუჯეროთ!).

არა, თქვენს პროექტში არ არის „შრომის უფლება“, არც თქვენ გითქვამთ რაიმე ამის შესახებ. აგრეთვე ამ ორ საკითხთან არის დაკავშირებული „უფლება არსებობაზე“ და თქვენ კი არც ერთი ეს ცნებები არა გაქვთ გარკვეული.

მე მესმის თქვენ რომ დააწვეთ თქვენი პროექტის მეორე ადგილს, სადაც თქვენ მოითხოვთ სოციალიზაციას არა მარტო მიწისას, არამედ ისეთი ქონებისას, რომელიც იძლევა უშრომო შემოსავალს. და აი ეს კი მართლაც რომ სოციალიზმის მოთხოვნაა. ეს უკვე სოციალიზმია და აი მე გეუბნებით, რომ ისეთს პროექტში, რომელიც მოითხოვს ყველაფერის სოციალიზაციას, იქ უკვე ანაქრონიზმია. „უფლება შრომაზე“ – ამის შესახებ მოგახსენებთ, რომ თქვენს პროექტში არეულია სხვადასხვა ცნებები და ერთი სისტემა არ არის. რაც შეეხება ყველაფრის სოციალიზაციას, ეს ჩვენ დღეს შეუძლებლად მიგვაჩნია, მიწის სოციალიზაცია კი ჩვენც შემოგვაქვს ამ პროექტში შესწორების სახით.

თქვენს პროექტში პირველს მუხლში თქვენ ამბობთ : „საქართველო არის შრომის რესპუბლიკაო“.

რა არის ეს „შრომის რესპუბლიკა“?

თქვენ გინდოდათ გეთქვათ „მშრომელთა რესპუბლიკა“-ო, ეს კი ვიცით, რაც არის – იგივე „დემოკრატიული რესპუბლიკა“, მაგრამ თქვენ გსურთ ორიგინალობა და თხზავთ ახალ ტერმინებს.

შემდეგ მესამე მუხლში თქვენ ბრძანებთ: „სახელმწიფო ძალა-უფლება საქართველოში ეკუთვნის მთელს ერს... ამ ძალა-უფლებას ის ანხორციელებს თვითონ უშუალოდ ან მის მიერ საყოველთაო... წესით არჩეულ ორგანოების საშუალებით“-ო.

ამ მუხლში ეს „ან“ პირდაპირ გაუგებარია.

უშუალო, პირდაპირი დემოკრატია თუ წარმომადგენლობითი სისტემა ძირითადად განსხვავდება ერთიმეორისაგან და როგორ შეიძლება კონსტიტუციაში იყოს ან ის, ან ესო?

(ხმები სოც.-რევოლუციონერების ადგილებიდან – ეს ტეხნიკური საკითხია).

უკაცავად, ვისაც ეს ორი პრინციპი ტეხნიკურ საკითხებად მიაჩნია, იმის წარმოდგენაც არა აქვს სახელმწიფოებრივ უფლებისა. მე ზოგადი მსჯელობის დროს მოგახსენეთ ამ „უმეშავეო, პირდაპირი დემოკრატიის“ შესახებ; ეს

ის სისტემაა, როდესაც ხალხი თითონ თავის საჯარო ყრილობაზე, როგორც ზოგიერთს კანტონში შვეიცარიაში, გამოსცემს კანონებს და ირჩევს მთავრობას და ყველა მოხელეს.

წარმომადგენლობითი სისტემა კი გულისხმობს პარლამენტს და ხალხი არა თითონ პირდაპირ, არამედ დეპუტატების სახით კანონმდებლობს. რეფერენდუმი და ინიციატივა კი არის პარლამენტარიზმის მიახლოება იმ პირდაპირ დემოკრატიისა და როგორღა ბრძანდებით თქვენ ან ერთი და მეორეო?! თქვენ კონსტიტუციაში გადაჭრით უნდა სთქვათ, რომელს წესით იღებთ. საკონსტიტუციო კომისიის პროექტში კი აღნიშნულია, რომ ჩვენ გვექნება წარმომადგენლობითი სისტემა და აგრეთვე ინიციატივა-რეფერენდუმი.

ცხადია, თქვენ არა გქონიათ საღი წარმოდგენა ასეთი საკითხებისა, მით უმეტეს, რომ ეს თქვენ ტეხნიკურ საკითხად მიგაჩნიათ.

დასასრულ, არ შემიძლია ჩემი განცვიფრება არ გამოვსთქვა თქვენი მომხსენებელი ბატონ ივანე გობეჩიას განცხადების შესახებ. მან ბრძანა: „ეს სამფეროვანი, ეროვნული დროშა ჩვენთვის მიუღებელიაო“! ბატონებო, ეს სამფეროვანი დროშა დაკავშირებულია მაისის 26-თან. ამ დროშის ქვეშ სამი წლის განმავლობაში ჩვენი ხალხი სისხლსა ღვრის, იგი ფრიალებს დღეესაც ჩვენს საზღვრებზე, იგია ემბლემა, გამოხატულება ჩვენი თავისუფალი ეროვნულ სახელმწიფოში...

(ტაში)

...და ვინც იტყვის – *„ეს დროშა ჩემთვის მიუღებელია“* – ო, იმისთვის მიუღებელი ყოფილა მაშ ჩვენი სახელმწიფოც (ტაში).

(ლეო შენგელაია: ეს დემაგოგიაა!).

ამ საკითხში ყველაზე ნაკლებ საჭიროა მიმართოთ დემაგოგიას, მაგრამ რა ვქნა, რომ ლოღიკური დანასკვი თქვენი აზრებისა და განცხადებისა აქამდე მიდის.

(ლეო შენგელაია: ჩვენ ეროვნული საბჭოს დროსაც წინააღმდეგნი ვიყავით ამ დროშისა!)

მით უარესი თქვენთვის, თუ მაშინ ძნელი იყო გამორკვევა მაშინ, თუ ჯერ კიდევ რუსის ჯარის ეშელონები იყვნენ ჩვენში და თქვენ *„საერთო დემოკრატიული ფრონტისთვის“* ოცნებობდით, დღეს მაინც უნდა გონს მოსულიყავით და ორიენტაცია გამოგერკვიათ. თქვენ ხომ გახსოვთ, როდესაც ეს სამფეროვანი დროშა აფრიალდა ამ სახელმწიფოზე, ბატონი ჯუღელიც წინააღმდეგი იყო, ისიც იმუქრებოდა: *„დემოკრატია არ გაპატიებთ რევოლუციის ღალატსო“*, მაგრამ ისტორიის და რევოლუციის წინაშე ამათ უკვე ქედი მოიხარეს (უჩვენებს „მენშევიკებზე“) და დღეს ახლა თქვენ, ბატონო ესერებო, იმეორებთ იმ ძველ ლათაიებს?!

(ლეო შენგელაია: თქვენ გაგეხარდათ?)

რასაკვირველია, მე გამეხარდა, როდესაც დავინახე განხორციელება ჩემი იდეალისა, რომ ერთი მეორეს გადაეჭდო ორი დროშა, სოციალისტუ-

რი და ეროვნული. მე გამეხარდა, რომ სოციალისტურმა იდეამ თავის საფარველს ქვეშ მიიღო იდეა ეროვნული.

მე პირველს სიტყვაში მოგახსენეთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის და ჩვენი დროის მამოძრავებელი ლოზუნგია იდეა სოციალიზმისა და ეროვნების და რასაკვირველია მიხარია, რომ რევოლიუციამ ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებს გაგვინაღდა ჩვენი რწმენა, რომ სოციალიზმი და ეროვნული იდეა ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგებაო. ვინც ვერ მიიღებს ამ ეროვნულს დროშას, იგი, მაშასადამე, ვერ იღებს ვერც ეროვნებას და ნუ თუ ამის თქმა შეუძლია იმას, ვინც ამ დამფუძნებელს კრებაში ზის? (ტაში).

ამნაირად, ბატონებო, ჩვენ შემოგვაქვს მთელი რიგი შესწორებათა კომისიის პროექტში და არა გვაქვს წარმოდგენილი ცალკე პროექტი, ვინაიდგან ჩვენ არ ხელმძღვანელობთ დემაგოგიურ მოსაზრებით.

გაზ. „სახალხო საქმე“, № 1058. სამშაბათი, 15 თებერვალი, 1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა №

სამშაბათს, 1921 წ. იანვრის 25. სასახლე.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე.
მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივანი ქრისტინე შარაშიძის ასული.

სხდომა იწყება შუადღის 1 ს.
სხდომის გახსნისას მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების კომისიებისათვის წინასწარ განხილვისათვის გადასაცემი საკანონმდებლო აქტების შემდეგ ნუსხას:

1. სავაჭრო ხელშეკრულება, – დადებული საქართველოს მთავრობისა და „შაბრიერ-მორელისა და კომპანიის“ შორის. – დაებრუნა მთავრ. საქმეთა მმართველობისთვის, რადგანაც შეცდომით იყო წარმოდგენილი.
დამფუძნებელი კრება ამ ნუსხას ადასტურებს.
მდივანი კითხულობს უწყებათათვის დაბრუნებული საკანონმდებლო აქტების შემდეგ ნუსხას:

1. განათლების მინისტრის პროექტი დეკრეტისა – ყოფილი ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ვალდებულებათა დასაკმაყოფილებლად და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გახსნილ პარალელების შესანახად 6.584.928 მან. და 20 კაპ. გადადების შესახებ. – განათლებისა და საბიუჯეტო-საფინანსო. – კომ.
2. შრომის მინისტრის პროექტი დეკრეტისა – მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. – შრომისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისია.
დამფუძნებელი კრება ამ ნუსხას ცნობად იღებს.
მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების დღევანდელი სხდომის შემდეგ დღიურ წესრიგს:

1. დეკრეტი – სახაზინო და კახეთის რკინისგზებზე ტარიფის გადიდებისა.
2. დეკრეტი – დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულები-

სათვის სასახლის სამეურნეო თანხის გასადიდებლად დამატებითი კრედიტის გაღებისა.

3. მეორე – (მუხლობრივი) განხილვა კანონპროექტისა – რადიოტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამატების შესახებ.

4. განგრძობა მსჯელობისა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო – მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

5. დეკრეტი – გორის სამაზრო საპყრობილის შენობის შესაკეთებლად 1.764.463 მან. გადადებისა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციის მიერ შემოტანილია შემდეგი წინადადება:

1. პირველი საკითხის – „სახაზინო და კახეთის რკინისგზებზე ტარიფის გადიდების დეკრეტისა“ – საბოლოო ტექსტი დღესვე იქნეს მიღებული.

2. მე-4 საკითხი – „განგრძობა მსჯელობისა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო“ – გადატანილ იქნეს უკანასკნელ საკითხად.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას იღებს. ამ ცვლილებით დღიურ წესრიგსაც ამტკიცებს.

მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების წევრის – პეტრე სურგულაძის (ერ.-დემ.) შემდეგ განცხადებას:

„მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეიდან ჩემი პირადი მდგომარეობის გამო იძულებული ვარ თავი დავანებო დამფუძნებელ კრებას“.

დამფუძნებელი კრება ამ განცხადებას ცნობად იღებს და თავმჯდომარე აცხადებს, რომ გასული წევრის პეტრე სურგულაძის ადგილს მეორე ნუმერის სიით ბატონი რაფიელ ივანიცკი (ეროვნულ-დემოკრატი) დაიჭერს.

განსახილველია დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ტარიფის გადიდებისა.

გზათა კომისიის მხრით მომხსენებელია გიორგი გაგლოევი (სოც.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს დეკრეტის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მხრით მომხსენებელია ივანე გომართელი (სოც.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს კომისიის დასკვნის შესახებ.

დეკრეტი იწვევს ზოგად მსჯელობას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ივანე ლორთქიფანიძე (სოც.-რევოლ.), თედო ღლონტი (სოც.-ფედერ.).

განმარტებას იძლევა გზათა დეპარტამენტის დირექტორი, ბატონი ბესარიონ ჭიჭინაძე.

მსჯელობა გრძელდება და მონაწილეობას იღებს პავლე წულაია (სოც.-დემ.).

ორატორი სიტყვას ამთავრებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ უკვე ნაშუადღევის 3 საათია და სურს თუ არა დამფუძნებელ კრებას, სხდომა განაგრძოს.

დამფუძნებელი კრება ადგენს სხდომა გაგრძელდეს.

მსჯელობა გრძელდება და მონაწილეობას იღებს კვლავ ივანე ლორთქიფანიძე (სოც.-რევოლ.).

ზოგადი მსჯელობა დასრულებულია.

მომხსენებელი გიორგი გაგლოევი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ რკინის გზებზე ტარიფის გადიდების შესახებ შემოსულია ორი პროექტი: გზათა უწყების, რომელიც გზათა კომისიის მიერ არის მიღებული და დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისა და კენჭს უყრის ორივე პროექტს.

დამფუძნებელი კრება იღებს გზათა უწყების პროექტს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, გზათა უწყების შემუშავებული დეკრეტის პროექტის ადგილობრივ განხილვაზე გადასვლის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს.

მომხსენებელი გიორგი გაგლოევი დეკრეტის სათაურსა და პირველ მუხლს პუნ. ა) ცალკცალკე კითხულობს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოსულია შემდეგი შესწორება: 1 მუხ. ა)-ში სიტყვები „მესამე და პირველი კლასის ხუთჯერ“ შეიცვალოს სიტყვებით „მეორე კლასის ხუთჯერ, პირველი კლასის ათჯერ“.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას იღებს.

დამფუძნებელი კრება დეკრეტის სათაურსა და პირველ მუხლს პუნკ. ა) ზემოხსენებულ შესწორებით იღებს.

მომხსენებელი კითხულობს 1 მუხლის შესწორებას.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შენიშვნის შესახებ სოც.-დემ. ფრაქციის მიერ შემოტანილია შემდეგი შესწორება: სიტყვის,,გადასახადის“ შემდეგ ჩაემატოს „მე-4 და მე-3 კლასის ბილეთზე 5 მანეთი, მე-2 კლასის – 10 მან. და 1 კლასის – 20 მან. „ და შემდეგი ნაწილი შეიცვალოს ასე: ემატება სამგზავრო ბილეთების ღირებულების ჯამს“.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას იღებს.

დამფუძნებელი კრება 1 მუხლის შენიშვნას ზემოაღნიშნულის შესწორებით იღებს.

მომხსენებელი ცალკცალკე კითხულობს დეკრეტის 1 მუხ. პუნკტ. ბ) და გ), ამასთან დართულ 129 ჯგ. ტარიფებისას და მე-2 და მე-3 მუხლებს.

დამფუძნებელი კრება ამ პუნკტებსა და მუხლებს ტარიფების სიით უცვლელად იღებს.

მომხსენებელი კითხულობს დეკრეტის მე-4 მუხლს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოტანილია შემდეგი შესწორება: მე-4 მუხლი სრულიად ამოიშალოს.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას იღებს და თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეკრეტის მე-4 მუხლი ამოშლილია.

მომხსენებელი კითხულობს მე-5 მუხლს.

დამფუძნებელი კრება ამ მუხლს უცვლელად იღებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეკრეტის მე-4 მუხლის ამოშლის გამო მე-5 მუხლი მე-4 მუხლად შეიტანება.

მომხსენებელი კითხულობს დეკრეტის მე-6 მუხლს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოტანილია შემდეგი შესწორება:

მე-6 მუხლის უკანასკნელი სიტყვები: „15 იანვრიდან“ შეიცვალოს „თებერვლის 1-დან“.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას იღებს.

დამფუძნებელი კრება ამ მუხლს ზემოაღნიშნული შესწორებით იღებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მე-4 მუხლის ამოღებისა და მის მაგიერ მე-5 მუხლის შეტანისა, ეს მუხლი მე-5 მუხლად შეიტანება.

მუხლობრივი განხილვა დასრულებულია.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – დეკრეტის მთლიანად მიღების შესახებ – არავინ არის ამის წინააღმდეგ, – გარდა სოც.-რევ. და სოც.-ფედ. ფრაქციებისა, თავმჯდომარე აცხადებს, რომ დეკრეტი მიღებულია და საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად სარედაქციო კომისიას გადაეცემა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია სოც.-ფედ. ფრაქციისაგან წინადადება – მთავრობის შემადგენლობის შესახებ მსჯელობისათვის დათმობილი იქნეს ამა პარასკევის სხდომა.

ამ წინადადების დასაცავად ლაპარაკობს შალვა მესხიშვილი (სოც.-ფედერ.).

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას უარჰყოფს.

თავმჯდომარე სხდომას ნაშუადღევის 4 ს. ჰხურავს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ. 310.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეშვიდე (87)

სამშაბათს 1921 იანვრის 25. შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი:
საკანონმდებლო აქტის სახელწოდება. – კომისია და მომხსენებელი.

1. დეკრეტი – სახაზინო და კახეთის რკინისგზებზე ტარიფის გადიდებისა. – გზათა კომ. – გიორგი გაგლოევი; საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – ივანე გომართელი.

2. დეკრეტი – დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის სასახლის სამეურნეო თანხის გასადიდებლად დამატებითი კრედიტის გაღებისა. – საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – ალექსანდრე ასათიანი.

3. მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა – რადიო-ტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამატების შესახებ. – სამხედრო კომისია – ზაქარია გურული.

4. განგრძობა მსჯელობისა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო – მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
დამატება.

5. დეკრეტი – გორის სამაზრო საპყრობილის შენობის შესაკეთებლად 1.764. 463 მან. გადადებისა. – საბიუჯეტო-საფინანსო. – ვასილ ცაბაძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ. 527.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა (87)

სამშაბათს, იანვრის 25, 1921 წ.

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

განსახილველია დეკრეტი სახაზინო და კახეთის გზებზე ტარიფის გადიდებისა.

გზათა კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს გიორგი გაგლოევი, რომელიც აღნიშნავს, რომ რკინის გზას ძლიერ დიდი დეფიციტი აქვს. ამის წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად მოწვეული იქნა თათბირი სხვადასხვა საზოგადოებრივ და ეკონომიურ ორგანიზაციებისა, რომელმაც დაადგინა, რომ დეფიციტის შესამცირებლად საჭიროა რკინის გზაზე სამგზავრო და ბარგის გადასატან ტარიფების გადიდება. ეს ტარიფები ეხლა ძალიან ცოტაა, თითქმის არაფერს არ წარმოადგენს იმ ხარჯთან, რომელსაც ეწევა რკინის გზა. ამიტომაც საჭიროა ამ ტარიფის გადიდება; საგზაო კომისიამ განიხილა რა ეს საკითხი, დაეთანხმა თათბირის დასკვნებს და ადგენს დამფუძნებელი კრების წინაშე ამ დეკრეტს, რომლის ძალითაც სამგზავრო ტარიფი მე-3 კლასისათვის – სამჯერ, მეორისთვის 6 1|2-ჯერ, ხოლო პირველი კლასისთვის 10-ჯერ დიდდება; ხოლო გადასაზიდ ტვირთის ტარიფი კი გადიდდეს 10-ჯერ. იგი სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს ეს დეკრეტი.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წარმომადგენელი ივანე გომართელი ეთანხმება – სამგზავრო კომისიის დასკვნებს და საბოლოოდ რამდენიმე შესწორება შეაქვს შიგ.

ივანე ლორთქიფანიძე (სოც.-რევოლ.) აკრიტიკებს ამ დეკრეტს. მისი აზრით, მთავრობას ადრევე უნდა მოეგვარებინა ეს საკითხი. საერთოდ, რკინის გზის უწყებას ბევრი ნაკლი აქვს და მისი გამოსწორებით – დეფიციტი დიდათ შემცირდებოდა. მთავრობას უნდა მოეწყო ნავთის ამოღება და სხ. ამას გარდა, მასვე უნდა ეზრუნა ელექტროფიკაციის შესახებ. თვით ეს დეკრეტი კი უფრო გააძნელებს ცხოვრებას ისედაც გაჭირვებულ ღარიბ მცხოვრებლები-

სათვის, მოუსპობს მათ სადმე წასვლის საშუალებას, ამიტომ ორატორი ეწინააღმდეგება ამ დეკრეტს.

თედო ღლონტი (სოც.-ფედერ.) აცხადებს, რომ მას კარგათ ესმის ის, თუ რატომ არის შეუძლებელი დეფიციტი ან წარმოება. მაგრამ მისი აზრით, აქ არ არის მარტო რკინიგზის ტარიფის საკითხი, არამედ აქ არის ეკონომიური საკითხიც. მეტად დიდი ხარჯები არის გაწეული სრულიად სხვა საჭიროებებზე და მათი ასეთი გადიდება გამოწვეულია იმ უვარგისი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ფაქტიურად აწარმოებს გიორგი ერაძე.

ამ ცუდმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია მრავალი ზედმეტი ხარჯები. თვით ეს ტარიფის მომაგრება ვერ გამოიღებს საგრძნობ შედეგებს, პირიქით, უფრო გააძვირებს ცხოვრებას; სპეკულიანტები ერთი-ორად გააძვირებენ ყველაფერს და თავის ზედმეტ ხარჯს რკინის გზაზე მომხმარებელს გადაადებენ კისერზე. ამით კი დაზარალდება ღარიბი ხალხი, მოხელენი; დაირღვა ერთგვარი პროცენტული შეფარდება ჯამაგირების რაოდენობისა და სამგზავრო ტარიფებს შორის. ამ მოსაზრების გამო სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია ხმას მისცემს ამ დეკრეტის წინააღმდეგ.

სიტყვას იღებს გზათა უწყების წარმომადგენელი, ბატონი ჭიჭინაზე. ის აღნიშნავს, რომ ივანე ლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილი ცნობები არ შეფერებოდნენ სიმართლეს. ამ საკითხის გადაწყვეტას წინ უძღოდა დიდი მზადება: ჯერ მოწვეული იყო სხვადასხვა ორგანიზაციების თათბირი, მერე ეს საკითხი განიხილა მთავრობამ და შემდეგ კი დაისვა დამფუძნებელ კრებაში. ამაზე ფართეთ საკითხის დასმა შეუძლებელია.

შემდეგ ორატორი ციფრებით ამტკიცებს მგზავრების სიმრავლეს ჩვენ რკინის გზაზე და ამბობს – თითქმის მთელი ქვეყანა დაიძრა მაშასადამე და აქეთ-იქით დადის. ეს აიხსნება ერთი მხრივ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობით, და მეორეს მხრივ იმითაც, რომ თითქმის მუქთათა ვზიდავთ ხალხს. არსად არ არის ასეთი იაფი ტარიფი, როგორც ჩვენშია. საერთოდ კი, ეს ტარიფის გადიდება გამოწვეულია არა იმით, რომ შემცირდეს მგზავრების რიცხვი ჩვენს რკინის გზებზე, სადაც შესუსტებულია მოძრაობა და მხოლოდ მატარებელი დადის, არამედ იმით, რომ თანდათან იზრდება დეფიციტი და საჭიროა მისი დაფარვა.

შემდეგ ორატორი ადარებს ტარიფების სიდიდეს ჩვენში და სხვა ქვეყანაში და ამტკიცებს, რომ ჩვენ გზაზე გადიდებული ტარიფიც კი უფრო იაფი იქნება, ვიდრე თუნდაც საფრანგეთის შეღავათიანი ტარიფი. ლორთქიფანიძის შენიშვნაზე – შპალების მდგომარეობის შესახებ – ორატორი უპასუხებს, რომ ამ მხრივ არც იმდენად უნუგეშოა საქმე. ამ მხრივ მიღებულია სხვადასხვა ზომები. გარდა ამისა, საჩხერესთან განზრახული არის მაგალითად 8 ვერსის რკინის გზის გაყვანა; რაც შეეხება სოხუმის შპალებს, იქიდან გადმოზიდული იყო 600.000 შპალი.

საერთოდ რკინის გზის უწყებამ იმ კრედიტების მიხედვით, რომელიც მას ჰქონდა მიცემული, შესძლო როგორც თავისი საქმეების, ისე რამოდენიმე

სხვა სამუშაოს გაწევა. მაგალითად, ფოილოს ხიდის შეკეთება და სხვა.

ბოლოს, რაც შეეხება იმას, თითქოს რკინის გზა ვერ ახერხებს შპალების შეცვლას და ლიანდაგი ფუჭდებაო – ეს არ შეეფერება სინამდვილეს. რაც შეეხება პირველი კლასის ტარიფის სხვა ტარიფებთან შედარებით უფრო დიდ მომატებას – ეს აიხსნება გარდა იმისა, რომ სპეკულიანტების წინააღმდეგ არის მიმართული, რაც სხვათა შორის ყველგან არის მიღებული და სწორეთ ასეთივე ხასიათის დეკრეტი არის საფრანგეთში გატარებული, აგრეთვე იმითაც, რომ ჩვენში მოძრაობის შემცირების გამო ამ კლასის ვაგონები განსაკუთრებით არიან გაჭედილნი და ფუჭდებიან; ამიტომ ვადებთ დიდ ფასს, რომ ნაკლებმა ხალხმა იმგზავროს შიგ. რასაკვირველია, ასეთი დაყოფა ვაგონებისა კლასებად არ არის ჩვენი იდეალი, ჩვენ მივისწრაფით, ამ მხრით მთლიან მოძრაობისაკენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს შეუძლებელია და ამიტომ გვინდა თანასწორით განაწილდეს მგზავრები სხ. და სხ. კლასის ვაგონებს შორის.

პავლე წულაია: (სოც.-დემ.) სხვა იმდენ ზიანს ვერ მოგაყენებს, რამდენიც შენი თავი. მე მოგახსენებთ იმ პატარა, ოპოზიციონერულ ფრაქციებზე. მე არ ვილაპარაკებ ვრცლად, მე მინდა ერთ გარემოებას მივაქციო ყურადღება. მათ თავისი გამოსვლით უნდოდათ მოეგოთ ხალხის გული, მათ დამცველებათ გამოსულიყვნენ. მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მუშა ხალხს უნდა ტარიფების გადიდება, არ სურთ ტყუილი მუშაობა. მათ სურთ, რომ მათი შრომით თითქმის მუქთათ არ სარგებლობდნენ. ხშირად გაიგონებთ იმათგან, ვინც ბილეთებს ყიდულობენ – ეს რა იაფად გვატარებენო.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ამით ფულის კურსი კიდევ უფრო დაეცემაო, უნდა ვსთქვა, რომ ეს მეშვიდე თვეა, რაც ტარიფები არ მომატებულა, მაგრამ მაინც ეცემა კურსი. და სხვათა შორის, ამ კურსის დაცემას ძლიერ უწყობს ხელს ზოგიერთი ორატორების მიერ აქ წარმოთქმული სიტყვები.

შემდეგ ორატორი ეხება მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობის კრიტიკას და ამბობს, რომ ეს კრიტიკა არის ერთგვარ წვრილმანებზე აგებული და მას არსებითი მნიშვნელობა არ აქვსო. თვით მომარაგების სამინისტრო დიდ როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინების საქმეში. ბოლოს ორატორი აკრიტიკებს ოპოზიციის კრიტიკის მეთოდს და ურჩევს მათ, მოჰკიდონ ხელი ისეთ ფაქტებს და გარემოებებს, რომლებიც მართლაც და ოპოზიციონური არიან.

ივანე ლორთქიფანიძე (სოც.-რევოლ.) თავის მეორე სიტყვაში ხელმეორეთ იმეორებს თავის არგუმენტებს და უპასუხებს გზათა უწყების წარმომადგენელსა და პავლე წულაიას.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ დეკრეტი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული იქნა. წინააღმდეგ მისცეს ხმა სოც.-რევ. და სოც.-ფედერალისტებმა.

გაზ. „ერთობა“, № 29. 8 თებერვალი, 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სამშაბათს, იანვრის 25, 1921 წ.

დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზის ხაზებზე ტარიფის გადიდებისა.

გიორგი გაგლოევი (მომხსენ.) მოახსენებს დამფუძნებელ კრებას რკინის გზის მძიმე მდგომარეობას ფინანსური მხრით. რკინის გზას ამჟამად დიდი დეფიციტი აქვს. გარდა ამისა, საჭიროა რკინის გზის მასალის შეძენა. ამისთვის მომხსენებლი სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ტარიფის გადიდების შესახებ.

ივანე ლორთქიფანიძე (ს. რ.) წინააღმდეგია დეკრეტისა. იგი აკრიტიკებს საერთოდ მთავრობის მთელ ეკონომიურ პოლიტიკას. სახელმწიფო, იმის მაგივრად, რომ გახდეს მეურნეობის რეგულიატორი, თვით ებმება სპეკულიაციის მორევში. იგი თვით უმატებს ფასებს პირველ საჭიროების საგნებზე. ასეთია წყალი, განათება, ტრამვაი და სხვა. მთავრობა სპეკულაციას მისდევს კუდში. ასეთი ხასიათის აღნიშნული დეკრეტიც. უფრო გაუარესებს მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობას. დეკრეტის ცხოვრებაში გატარება გაძვირებას გამოიწვევს.

თევდორე ღლონტი: მოქალაქენო, ჩვენ მთავრობის პოლიტიკის შედეგების შესასწავლად და დასახასიათებლად მეტად ძვირფას მასალას წარმოადგენს ეს დეკრეტი. მარქსისტები ხშირად ამბობენ, რომ ჩვენი მოღვაწეობა, ჩვენი აზროვნება დამყარებულია არა მარტო მატერიალიზმზე, არამედ ისტორიზმზედაც. სამწუხაროდ, ამ ისტორიას ისინი ყოველთვის ივიწყებენ. მაშინ, როდესაც ჩვენ გამოვდივართ ასეთი დეკრეტით ხალხის წინაშე, მე მგონია არ იქნება ზედმეტი, რომ უწყების წარმომადგენელი გაგვიკეთებდეს ხოლმე მცირეოდენ მოხსენებას თავის წარსული მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენი ფრაქცია არა ერთხელ გამოსულა ამ საკითხის შესახებ, როდესაც ამას აქ ადგილი ჰქონდა, ჩვენ ვამბობდით, რომ ამ პოლიტიკის მიხედვით მუშაობა არავითარ სარგებლობას არ მოუტანს სახელმწიფოს. აქ არ არის პოლიტიკური აზრი, აქ არ არის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. პირიქით, სეპარაცია ასეთი დეკრეტის უმზადებს ნიადაგს დიდი ეკონომიური კრიზისების შექმნას, ჰქმნის იმ პირობებს, რომელთაც ბატონი ჟორდანია უწოდებს კატასტროფიულს. ამბობენ, რომ ეს სიტყვა იყო ნათქვამი, როგორც ერთგ-

ვარი უვერტიურა! თორემ არსებითად ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ჩვენ კატასტროფიულ მდგომარეობაში არ ვართ.

ფინანსისტები ხშირად ამბობენ, რომ სახელმწიფოსა და კერძო პირის გაკოტრებას შორის ის განსხვავებაა, რომ სახელმწიფოს ხელში არის იარაღები და მისი გაკოტრება უფრო ნელა ხდება, ვიდრე კერძო პირის, ამ უკანსაკნელის გაკოტრება უფრო სწრაფად ხდება. სახელმწიფოს გაკოტრება ხანგრძლივი პროცესია და მისი ფორმალური სახე გამოიხატება ან საგარეო სესხის დაუკმაყოფილებლობაში, ან შინაურ აჯანყებაში.

თქვენ ნუ დაემყარებით აზრს, თითქოს ჩვენ არ ვიყოთ კატასტროფიულ მდგომარეობაში, თითქოს კატასტროფა შორს იყოს ჩვენგან. რკინის გზის უწყება ამბობს, რომ ჩვენ გვაქვს მრავალი მასალა სასყიდი და სასყიდი ძვირად, ჩვენ ვყიდულობთ ძვირად ყოველ საჭირო საქონელს და არ შეგვიძლია ჩვენი საქონელი გავყიდოთ იაფად.

მოგახსენებთ, ელემენტარულია, რომ ეს შეუძლებელი არის. ჩვენ არ ვეტყვით რკინის გზების მეთაურს, რომ ისეთი წარმოება განავითაროს, რომ იაფად გასცეს და ძვირად იყიდოს. ჩვენ არ ვართ უპასუხისმგებლო ოპოზიცია. ჩვენ გვესმის მდგომარეობა რკინის გზათა დეპარტამენტისა და ვამართლებთ მას იმდენად, რამდენადაც მან ძვირად უნდა იყიდოს.

ამ საკითხში არის არა მარტო რკინის გზების საკითხი, აქ არის ეკონომიური, საერთო სახელმწიფოებრივი საკითხი.

წინად, როდესაც ამისთანა დეკრეტს ვღებულობდით, ჩვენ არ ვადასტურებთ მას იმიტომ, რომ ვიცოდით უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით. ჩვენ ვამბობდით, დღეს დეფიციტი არის 100 მილიონი და რომ მიიღოთ დეკრეტი, გექნებათ მილიარდი. დეფიციტი მართლაც საგრძნობლად გაიზარდა.

რომელი სჯობდა: 100 მილიონი ყოფილიყო დეფიციტი, თუ ეხლა მილიარდები გვქონდეს დეფიციტი? დღეს გამოანგარიშებით დეფიციტი არის 8 მილიარდი და მე თქვენ გარწმუნებთ, 5 თვე გაივლის და თქვენ გექნებათ დეფიციტი 20 მილიარდი. თქვენ აგვისტოში მიიღეთ დეკრეტი და ამბობდით, რომ გვინდა დეფიციტიდან თავი ვიხსნათო, მაგრამ როდის აქედან დაიწყეთ თქვენ ამ დეფიციტისაგან თავის დაღწევა? აგვისტოში მიიღეთ დეკრეტი და ენკენისთვეში უკვე დეფიციტი გაქვთ. ასევე იქნება ეხლა. თქვენ გგონიათ, რომ დეფიციტს თავს დააღწევთ, იმიტომ რომ თქვენ ბრძოლას პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს, (ხმაურობა) რისთვის არა აქვს, ამას მოგახსენებთ, მხოლოდ გეუბნებით, რომ ამის მიღებით გამეორდება ის, რაც არა ერთხელ განმეორებულა. მეორე თვეში გექნებათ დეფიციტი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გაცილებით მეტი იქნება ზომა ამ დეფიციტის.

აქ არის წარმოდგენილი ანგარიშები, თუ რისთვის ვართ ჩაყენებული ამ მდგომრეობაში და ერთი მუხლი ამბობს, რომ გასავალი საქონელზე არის მილიარდ 400 მილიონი მანეთი. რისთვის არის ჩაყენებული სახელმწიფო

ისეთ მდგომარეობაში, რომ მარტო საქონლის ზარალობა უნდა გაიღოს მილიარდ 400 მილიონი მანეთი? იმიტომ რომ ამ უწყების სათავეში სდგას ის ბრძენთა ბრძენი, რომელსაც ეწოდება ერაძე.

(ხმა: ერაძე რომ არ იყოს...)

თქვენ რომ კრიტიკულად მსჯელობდეთ, ერაძის მოხსენებაში არაფერი არ დარჩებოდა. მაგრამ იმ საერთო ცნობებით, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვს სინამდვილესთან, თქვენ ისე დაბრმავდით, რომ თვით ბატონი ჟორდანიაც ტაშს უკრავს ერაძეს. მან მართლა აქ ციფრები მოგიყვანათ, მაგრამ ამ ციფრებში არაფერი საღი არ იყო. მე მოგახსენებთ, რომ მას არაფერი არ გაუკეთებია იმ საქმისთვის, რომელიც ზრდის ფასს.

(ნოე ცინცაძე: ერაძე შენისთანას 100 ასწავლის).

ძალიან ბედნიერი ვიქნები, რომ ისეთი მინისტრი გყავდეთ, რომელიც ყველა ჩვენ დეპუტატს ასწავლიდეს, მაგრამ მას უმუშავია ჩვენთან და თქვენზე არა ნაკლებად ვიცნობთ და ძალიან მოხარული ვიქნებოდით, რომ ის ისეთი იყოს, რომ გვასწავლიდეს.

მარტო ის რას ნიშნავს, რომ ერაძე იძულებული არის მივიდეს „ცეკავშირში", იქიდან წამოიღოს სოფლის გლეხკაცობისათვის ნაყიდი საქონელი – მანუფაქტურა. ჰნიშნავს ეს თუ არა მის სამინისტროს სრულ გაკოტრებას? რას ჰნიშნავს ის, რომ ეს მინისტრი მიდის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში და საქონელი გამოაქვს იქიდან?

ბატონებო! ვინ უნდა ჰკვებავდეს ამ დაწესებულებებს, ვინ უნდა აძლევდეს ჩვენ საზოგადოებას საქონელს, თუ არა ეს სამინისტრო, რომლის ხელში არის მთელი ძარღვი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, ჩვენი სიმდიდრე? მაგრამ ისეთი მდგომარეობა არის, რომ მას არა აქვს არავითარი საქონელი, რომელსაც პირველი მოთხოვნილების ხასაითი აქვს და იძულებულია წაართვას საქონელი საწყალ გლეხკაცობას.

(ნოე ცინცაძე: დემაგოგია არის!)

ის თუ დემაგოგიაა, რომ სამინისტროს საწყობებში არაფერი არ აწყვია, რომ სამინისტრო იძულებული არის წაართვას კოოპერატივთა კავშირს საქონელი, მე არ ვიცი თქვენ რას უწოდებთ დემაგოგიას. მერე იცით, ბატონებო, რა ფასებში მოაქვს სამინისტროს ეს საქონელი? მიაქვს იმ ფასებში, რომელიც გაცილებით მაღალი არის, ვიდრე ჩვეულებრივი სპეკულაციური ფასები.

(ვიქტორ თევზაია: მაგალითად?)

მაგალითად, ჩითი არშინი სამინისტრომ უნდა წაიღოს 700 მანეთად. ეს არ არის გაკოტრება, როცა სამინისტროს ასეთ პოლიტიკას მიმართავს? (ხმაურობა) ჩემთვის ეს სამწუხარო მოვლენა არის, თქვენთვის კი სასაცილო.

ჩვენ მოგახსენებთ, რომ ვიდრე სახელმწიფო არ მოიშორებს სპეკულაციურ კაპიტალს, ჩვენ უეჭველად გვექნება ასეთი დეკრეტები. აქ არის ერთი ნაბიჯი საფინანსო კომისიის მიერ დადგმული სპეკულიანტების წინააღმდეგ.

მე ამ შემთხვევაში უნდა გავიმეორო ბატონ ივანე ლორთქიფანიძის სიტყვას, რომ ეს სრულიად არ ჰნიშნავს სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლას. თქვენ გინდათ ამით სპეკულიანტებს ებრძოლათ? სპეკულიანტი მხოლოდ გაიღიმება და სიამოვნებით ამოიღებს 10.000 მანეთს ბილეთისათვის დარწმუნებული, რომ ის ამაში აიღებს 50.000 მანეთს, უეჭველად ასე მოხდება. და მერე ვინ გადაიხდის, ბატონებო, ამ გადიდებულ ფასს? ამას გადაიხდიან არა თუ მარტო მომხმარებელნი, ამას გადაიხდის სახელმწიფო იმისთვის, რომ ერაძის ინტუიცია, ჰორიზონტი, რესპუბლიკა ისე შორს არ მიდის, რომ სახელმწიფოებრივ მასშტაბით აწარმოოს საქმე. მარტო პატიოსნება არ კმარა. შეიძლება პატიოსანი კაცი იყვეს, მაგრამ მისთვის საჭირო არის ინტუიცია, პერსპექტივა, მას კი ასეთი არ აქვს. მარტო ის, რომ ყველა საწყობები დაცარიელებულია, მოწმობს იმას, რომ საქართველოს მომარაგების მინისტრს არ აქვს პერსპექტივა, ინტუიცია, სახელმწიფოებრივი ჰორიზონტი.

საქართველო ისეთ ბუნებრივ მდგომარეობაში არის, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ეკონომიური ცენტრი ჩვენი მეზობლებისათვის.

(ხმა: როგორ?)

თქვენ არავითარი წარმოდგენა არ გქონიათ, როცა ასეთ კითხვას იძლევით. როდესაც პირველად დაიწყო მე-40 წლებში, ტფილისში უფრო იაფი იყო საქონელი, ვიდრე მთელ კავკასიაში, იმიტომ რომ ტფილისი იყო საწყობი არა მარტო საქართველოსი, არამედ ყველა ოლიგარქისათვის და სახელმწიფოსათვის, რომელნიც ჩვენ გარს გვარტყიან.

ამის აუარებელი სტატისტიკური ცნობები არის და დღეს კი ისეთ მდგომარეობაში ვართ. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ საწყობი ყველასათვის, მაგრამ თვით ჩვენი ეს მდგომარეობაა, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე. ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ინტუიცია უნდა ჰქმნიდეს იმას, რაც ეხლა არ არის და რის წარმოდგენა სრულიად არ აქვს ერაძეს.

თქვენ გინდათ სპეკულაციას შეებრძოლოთ და ამისთვის ადიდებთ ფასს სამგზავრო ბილეთისა 10.000 მანეთამდე? ჩვენ ვამბობთ ეს პოლიტიკა არ არის.

ტფილისში საქონელი შემოაქვთ უმთავრესად სპეკულიანტებს, ისინი ხელოვნურად სწევენ ფასს მასზედ და ერაძე იძულებული არის საქონელი იყიდოს ამ სპეკულიანტებისაგან. მაშასადამე, სახელმწიფო თვითონ ჰქმნის ჩვენთვის არა სასურველ პირობებს, სპეკულიანტების ხელში ჩავარდნას. სულ სხვანაირი მდგომარეობა იქნებოდა, თუ მთავრობა შესცვლიდა თავის პოლიტიკას. მართალია, ჩვენი მმართველი პარტია იწვევს თათბირებს და სხვა, მაგრამ რეალურად მათ არავითარი შედეგი არ მოაქვთ.

(ნოე ხომერიკის რეპლიკა არ ისმის).

ხომერიკმა მოგვცა სრულიად დაცემული სოფლის მეურნეობა, იგი სრულიად ჩაფლულ იქნა და ეხლა ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენი სიმდიდრე ვყიდოთ კონცესიებით. მე მოვითხოვ, რომ ერთელ და სამუდამოდ ჩავუკვირდეთ არსებულ მდგომარეობას და შესცვალოთ პოლიტიკა.

უმთავრესი ბრძოლა სპეკულიანტების წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ იმ მხრივ, რომ მათ მოვუსპოთ საშუალება ბანკებისათვის ხელში დარჩენისა. ნუ აძლევთ საშუალებას ბანკებით სარგებლობისა. დაე, ეს ფული გამოიყენოს სახელმწიფომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მაშასადამე, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა უნდა შეიცვალოს აუცილებლად.

გაზ; „სახალხო საქმე“, № 1045. შაბათი, 5 თებერვალი, 1921 წ.

II

თევდორე ღლონტი: თქვენ მოგახსენებთ, რომ ბილეთი ღირს 1.000 მან., პრაქტიკაში მე დარწმუნებით შემიძლიან ვთქვათ, ეღირება მეტი. თვითონ ბილეთი, რაც ღირს, ორჯერ-სამჯელ მეტს ღებულობენ მოსახლეები...

(ლეო ნათაძე; რანაირად?)

რანაირად და იმნაირად, რომ ბილეთს ვერ მიიღებ. თუ მოისურვებ, პირადად უნდა გაიღოთ გაცილებით მეტი, უნდა იყიდოთ სხვისგან...

(ლეო ნათაძე: მერე ეს მოხელეებს შეეხება?)

... და ამ მოხელეებს შეეხება იმიტომ, რომ რკინის გზის მოხელეს არავითარი კავშირი არა აქვს და ის არ ჰხედავს ჩვენ მთავრობაში მფარველს.

(ხმა: თქვენში როგორაა?)

ბატონებო, ჩვენ არ ვართ მთავრობა, თქვენ ვერ ჰხედავთ, მე შემთხვევით მაქვს ერთი მაგალითი, რომ ერთ უბრალო მოხელეს ითხოვენ და რისთვის ითხოვენ, არ იცის. ძველ წყობილების დროს, როდესაც დაითხოვდნენ, ეტყოდნენ რისთვის და ეხლა, როდესაც მეტი პატივისცემა უნდა ჰქონდეს მუშას, არავითარი ანგარიშს არ უწევენ, არავითარი ცნობა აქვს. აი მაგალითი (კითხულობს): ქუჩაში გადააგდეს მოხელე. მითხარით, სად არის დემოკრატიული წყობილება, როდესაც მუშას, პურის დამრიგებელს ითხოვენ და არავითარის მიზეზს არ უებნებიან, მას უნდა გაიგოს...

(ნიკო ელიავა: ეცოდინება მას!)

...რა მიზეზით არის დათხოვნილი.

(ხმა: იცის!)

გარწმუნებთ, რომ არ იცის და როდესაც ასეთ აქტს ადგენთ, მან უნდა იცოდეს რისთვის ითხოვთ. თუ მან ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა, უნდა მისცეთ სასამართლოში და თუ ის ცუდათ მუშაობდა ეს უთხარით, რომ იცოდეს და შემდეგში გააუმჯობესოს: მაგრამ როდესაც არაფერს ეუბნებით და ქუჩაში ისვრით და როდესაც ლაპარაკობთ, რომ მთავრობას ხელშეკრულობა აქვს, მათ შორის ორგანიული კავშირი არ იქნება, მოისპობა მათ შორის სიყვარული და ის განწყობილება, რომელიც ძვირფასია ჩვენთვის. მატერიალურად,

ბატონებო, ისეთ მდგომარეობაში არიან მოხელეები, რომ რაც უნდა მისცეთ, დაუთმოთ დაკლებულ ფასებში, მაინც არ შეიძლება იმ ჯამაგირით ცხოვრება. რომ ტვირთი გაგზავნოთ, ვერ მოახერხებთ ჩვეულებრივ მდგოამარეობაში; თქვენ ვერ გაგზავნოთ ტვირთს; თუ ხუთასი მანეთი ღირს, უნდა გადაიხადოთ 10.000 მანეთი და მაშინ თქვენი ტვირთი წავა. თითქმის არ არის შემთხვევა, რომ ტვირთი იგზავნებოდეს უქრთამოდ. თვით ოფიციალური წარმომადგენლები, ერობის, კოოპერატივების, ისინიც იხდიან ქრთამს, რომ მიაღწიონ მიზანს. ჩვენ მივედით არა მარტო მატერიალურ კატასტროფამდე, ჩვენ მივედით იდეურ და აგრეთვე მორალურ კატასტროფამდე, გახრწნილებამდე. ეს ყოველ შემთხვევაში არა იმიტომ, რომ მოძრაობაა ცუდი, არამედ აქ სისტემაა ცუდი. მთელი ეკონომიური პოლიტიკა ისეთია, რომ ჩვენ დარღვევის პროცესში ვართ. იცით, რომ ასეთი პირობებში ცხოვრება არ შეიძლება. ჩვენ ვართ დარღვევის გზაზედ და ამიტომაა, რომ ჩვენ ასეთ დეკრეტს მხარს ვერ დავუჭერთ. აქ მომხსენებელი ბრძანებდა, რომ ეს დეკრეტი ცხოვრებას არ გააძვირებსო. ბატონებო, თუ დღემდის ღირდა ფუთი ტვირთი 80 მანეთი, დღეს ეს ღირს ხუთას – ექვსასი მანეთი.

თქვენ იცით, რომ მუშა, მოხელე ცხოვრობს და აჯანყებას არ ახდენს, იმიტომ რომ ყოველ მათგანს კავშირი აქვს სოფელთან. თქვენ ვერ ნახავთ ისეთ მოხელის ოჯახს, რომელსაც სოფლიდან არაფერი მოჰქონდეს, ჭადი, ფქვილი, პური, ჰგზავნის ოჯახს, ცოლს, შვილს და ვინმე სხვას და მოაქვს სოფლიდან, რაც სჭირდება. ეს მარტო სპეკულიანტებთან არ არის ბრძოლა, ეს არის ბრძოლა გაჭირვებულ კლასების წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ დღეს გლეხი ქალაქში მოდის, სოფელში მაღაზიები არ არის. არ არის ძველი ნორმალური განწყობილება, როდესაც გლეხს იქ მიუტანდნენ ყველაფერს. ჩვენ მაღაზიები არა გვაქვს, კოოპერატივები არაა. ისეთი მდგომარეობაა, რომ დღეს ოდნავ ძლიერი გლეხი იძულებულია გამოვიდეს და ეძიოს ბაზარზე ის, რაც უნდა. ეს ძიება იწვევს მოძრაობას ქალაქისაკენ. ის ამბავი, რომ ჩვენი მატარებლები დატვირთულია საქონლით და ხალხით, ეს აიხსნება მარტო იმით კი არა, რომ დიდი სპეკულიანტები დადიან, არა! სოფლიდან გლეხი მოდის, აღებ-მიცემობა საწარმოებს. თუ ყოველგვარ აღებ-მიცემობას უწოდებთ, როგორც პროფესორი მანუილოვი ამბობდა, რომ ყოველგვარი აღებ-მიცემობა იგივე სპეკულაცია არისო?

ასე თუ სთქვით, ყოველი მოხელე, გლეხი, რომელიც ყიდულობს, ისიც სპეკულაციაა!

ასე რომ, თუ ეს მასიური მოვლენა არის, მის წინააღმდეგ ბრძოლა ისეთი მიზან შეუწონელი იქნება, რომ ის ცხოვრებას არამარტო გააძვირებს, არამედ ცხოვრებას მეტად გაართულებს. ეს იწვევს გაძვირებას ყოველგვარ სანოვაგისას. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ თვით სახელმწიფო ჰქმნის ასეთ მდგომარეობას, რომელიც უფრო მძიმე იქნება, ვიდრე არსებითი ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენ აგვისტოში მივიღეთ დეკრეტი ტარიფის გადიდებისა და ენკენისთვეში უკვე გვაქვს დეფიციტი. ეხლა თებერვალში გვექნება ახალი

დეფიციტი. მაგრამ განსხვავება არის იმაში, რომ მაშინ დეფიციტს ვითვლიდით მილიონებით, ეხლა ვითვლით მილიარდებით...

(ვიქტორ თევზაია: ეს ერთი და იგივეა).

თქვენ გგონიათ, ერთი და იგივეა, მაგრამ არ არის. დადგება ისეთი დრო, როდესაც ქაღალდი უფრო ძვირი იქნება, ვიდრე მისი ღირებულება...

(ვიქტორ თევზაია: ქაღალდის ფულია სიმდიდრე?)

ქაღალდის ფული კი არ არის სიმდიდრე, ქაღალდი არის სიმდიდრე, რომელსაც თქვენ აფუჭებთ ფულისათვის... (სიცილი) და მისი გამოცემა, ბეჭდვა, ექსპედიცია. აი ეს არის სიმდიდრე, რომელსაც თქვენ ფლანგავთ. აი ამასა აქვს მნიშვნელობა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მდგომარეობა ისეთია, რომ ყოველგვარ წვრილმანს უნდა გავუწიოთ ანგარიში. ემისიის გამოცემას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს მესმის მე ისეთ ფინანსისტისგან, როგორიც არის ბატონი ვიქტორ თევზაია. მილიონი და მილიარდი ერთი და იგივე არ არის. ეს იგივეა თქვენს შემეცნებაში, მაგრამ ფინანსიურ შემეცნებაში კი ერთ და იგივე არ არის. თქვენ გადიხართ კრებებზე და ხან მართალს და ხან არა მართალს ამბობთ, უფრო ხშირად კი ლაპარაკობთ, რომ ამ აბრუნდების დრო წავიდა...

(ვიქტორ თევზაია: თქვენ უზრდელი კაცი ყოფილხარ და მატყუარა!)

მე ასეთ რეპლიკას პასუხს არ გავცემ არასოდეს.

(სამსონ დადიანი: რეპლიკა არ ისმის; ხმაურობა).

მე მხოლოდ ვიტყვი, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგა იგივე წარმოსდინდების!“ – (ხმაურობა) ამ დეკრეტს ჩვენ უარვყოფთ არა იმიტომ, რომ ვამტყუნებთ გზათა დეპარტამენტის პოლიტიკას, არამედ იმიტომ, რომ ვებრძვით სპეკულაციას და მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას.

ბესარიონ ჭიჭინაძე (გზათა დეპარტამენტის დირექტორი), იძლევა განმარტებას. დეკრეტის შესახებ სთხოვს დამფუძნებელ კრებას მის მიღებას.

წულაია (ს. დ.) მენშევიკების ფრაქციის სახელით მას აღნიშნული დეკრეტი მისაღებად მიაჩნია. მისი აზრით, მომატებას მოითხოვენ თვით მოსამსახურეები და მგზავრებიც. ტარიფის ასეთი მომატება საქონლის გაძვირებას არ გამოიწვევს. ამიტომ იგი მენშევიკების ფრაქციის სახელით სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს იგი.

ივანე ლორთქიფანიძე (ს. რ.) უპასუხებს წინა ორატორებს და ამტკიცებს დეკრეტის მიზანშეუწონლობას ყოველ მხრივ.

მომხსენებლის (გიორგი გაგლოევის) სიტყვის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ, წინააღმდეგ სოც.-ფედ. და ესერების ხმებისა, მიიღო დეკრეტი.

მსჯელობა მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

შალვა მესხიშვილი. (სოც.-ფედ.) მოქალაქენო, ეს ხელმეორედ ამოვდივართ ამ ტრიბუნაზე ერთი და იმავე წინადადების შემოტანის შესახებ. როგორც წარსულ კრებაზე, ისე ახლაც ვიმეორებთ ჩვენს წინადადებას განსაკუთრებული სხდომის დანიშვნის გამო. მართლაც, აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. ეს სამი თვე ვაგრძელებთ იმ საკითხს და აღარ მიეცა შველა. მთელი

მთავრობა ამ ლოჟაში იჯდა აქამდე, მაგრამ როგორც კი მოაღწია საკითხმა მათ შესახებ, უკვე ერთი აღარ მოსჩანს. თქვენ, როგორც სჩანს, სისტემატიური ობსტრუქციის მოწყობა გაგიზრახავთ...

(ხმები: სირცხვილია!)

სირცხვილი ის კი არ არის, რომ ჩვენ საგანგებო სხდომის დანიშვნას მოვითხოვთ, სირცხვილია პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზიდან გაქცევა.

(ტაში სოც.-ფედ. სკამებზე).

ბევრ მასალას მოგაწვდით ზოგიერთ მინისტრების შესახებ, რომელიც თქვენ ძალიან არ მოგეწონებათ. ეს თქვენ იცით და გაურბიხართ. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? თქვენ ხმის უმრავლესობით სარგებლობთ. თქვენ ცდილობთ, რომ გააჭიანუროთ ეს საკითხი და გვისპობთ საშუალებას ვთქვათ ის, რაც ვიცით, რაც სიმართლეა, რაც ბევრ მინისტრს გააწითლებს ამ ლოჟებში.

კიდევ ერთი მომენტი: დამფუძნებელ კრებას უნდა მოვახსენოთ, რომ მოგვცეს საშუალება ერთ განსაკუთრებულ სხდომაზე მასზე ვილაპარაკოთ. მაშინ იყო მთავრობის განცხადება ერთი მინისტრის შეცვლის შესახებ. იმის შემდეგ რამდენიმე ცვლილება მოხდა. ოპოზიცია უკვე სამინისტროში შევიდა სალაყაიას სახით და ამხანაგი წულაია „ოჩერედში“ დგას და უცდის მინისტრობას.

(რეპლიკა: ყალბი ინფორმაცია!)

ეს ინფორმაცია არ გახლავს, ეს გახლავს ის, თუ როგორ იციან სოც. დემ. ფრაქციაში შინაური უთანხმოება.

(რეპლიკა: თქვენ შინაურ საქმეებზე ილაპარაკეთ).

ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენ შინაურ საქმეებზე ჩვენს პარტიაში, თქვენი ზოგიერთი მინისტრების ცუდ მოღვაწეობაზე გვინდა ვილაპარაკოთ.

(ნოე ხომერიკი: 5 კაცმა ილაპარაკა! სამსონ დადიანი: ტყუილია!)

აი, მე, შალვა მესხიშვილი ვაძლევ დამფუძნებელ კრებას პატიოსან სიტყვას, რომ მოვიყვან ფაქტებს ერთი სამინისტროს ცხოვრებიდან, რომელიც თქვენ ძალიან არ მოგეწონებათ. თქვენ ეს იცით, ამიტომ გვისპობთ საშუალებას.

ვალიკო ჯუღელი (ს. დ.) წინააღმდეგია განსაკუთრებული სხდომის დანიშვნისა. ჩვენ მოგეცით საშვალება თქვენ დიდ ხანს გელაპარაკათ, ათასჯერ ილაპარაკეთ. თქვენ ამის ნებას არ მოგვცემდით. ბევრი ილაპარაკეთ, მაგრამ საბუთი არაფერი არ მოგიყვანიათ.

(შალვა ნუცუბიძე; ერთი მინისტრი უკვე გავახვიეთ ტომარაში, მოგვეცით საშუალება კიდევ მოგახსენოთ მთელი სიმართლე).

ვალიკო ჯუღელი მენშევიკების ფრაქციის სახელით წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

წინადადება უარყოფილ იქნა.

გაზ. „სახალხო საქმე“, № 1046. კვირა, 6 თებერვალი, 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა №

პარასკევს, 1921 წ. იანვრის 25. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე

დეკრეტი სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ტარიფების გადიდებისა.

გიორგი გაგლოევი (მომხსენებელი) აცნობს კრებას წარმოდგენილ დეკრეტის შინაარსს და ითხოვს მიღებულ იქნას დამფუძნებელი კრების მიერ სახაზინო და კახეთის რკინის გზების ტარიფის გადიდება.

ივანე ლორთქიფანიძე. (სოც.-რევ.) რკინის გზების ტარიფების გადიდებას დიდი გავლენა აქვს მთელს ეკონომიურ ცხოვრებაზე. ჩვენ, სხვათა შორის, უტაქტობათ მიგვაჩნია ტარიფის გადიდება მაშინ, როდესაც მატარებელთა რიცხვი მეტად შემცირებულია. მეორეს მხრით ტარიფის გადიდება გამოიწვევს საერთო ფასების აწევას პირველი საჭიროების საგნებზე. ჩვენი სახელმწიფო იმის მაგიერ, რომ ზომები მიიღოს სპეკულაციის და ფასების ზრდის წინააღმდეგ, თვით მისდევს უკან ამ ფასების ზრდას, სპეკულაციას.

მთავრობა თვით ადიდებს ფასებს სხვადასვხა საგნებზე, რომელიც მუშებს ეძლევათ, მაშინ როდესაც მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და ჯამაგირები ძველი რჩება...

ავიღოთ ტრამვაის ბილეთის ფასის მომატება. ქალაქმა გაადიდა ტრამვაის ბილეთების ფასი, მაშინ როდესაც მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირები ძველი დარჩა.

დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირის ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც მხოლოდ ტრამვაის ბილეთზე იხარჯება. ამ გზას ადგია სახელმწიფოც. წარმოდგენილი დეკრეტით განზრახულია რკინის გზის ტარიფის გადადება. მერე ვისთვის არის ეს საზიანო? ეს საზიანოა მხოლოთ ხელმოკლე მოსამსახურეთა და მუშებისთვის, სპეკულიანტები კი ამით არაფერს წააგებენ, ვინაიდან ისინი სამაგიეროთ საქონლის ფასს გაადიდებენ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნება ამ ტარიფის გადიდებით მუშა-მოსამსახურეთათვის.

დღეს ჯამაგირით თითქმის არავინ სცხოვრობს. მუშა-მოსამსახურეთა დიდ უმრავლესობას კავშირი აქვთ სოფელთან, საიდან ჩამოაქვთ სურსათ-სანოვაგე. თქვენ აქ მუშა მოსამსახურეებს ართმევთ საშვალებას მოგზაურობის ტარიფის გადიდებით. მთელი მათი ჯამაგირი მხოლოთ გზის ფულს მოუხდება; მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ამ დეკრეტით აუტანელი გახდება. ტარიფის გადიდებით რკინის გზის დეფიციტს თქვენ მაინც ვერ დაფარავთ. გზათა უწყებამ ვერ შესძლო გამოეყენებია შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დარჩენილი მასალა „შპალები" და სხვა. იქიდან ძლიერ მცირედი ნაწილი იქნა გამოტანილი, დანარჩენი კი იქ სათბობ მასალათ გამოიყენეს ადგილობრივ.

თავის დროზე რომ შესაფერისი ზომები ყოფილიყო მიღებული, ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში არ ჩავვარდებოდით, ასეთი დიდი დეფიციტი არ იქნებოდა.

ეხლა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. სატარიფო პალატამ უკვე გამოიტანა დადგენილება ჯამაგირების 100 პროცენტით გადიდებისა; მთავრობა ახალი ემისიის ძალით ბეჭდავს და გამოდის ბაზარზე 10 მილიარდი; საზღვარგარეთიდან პურის შემოტანის იმედი არ არის, როგორც ეს თვით განაცხადა მომარაგების მინისტრმა; ჩვენი ერთი უმდიდრესი მაზრა – პურის მოსავლის მხრით – ბორჩალოს მაზრაა – უკვე შიმშილობაა.

ასეთ მდგომარეობის დროს თქვენ გსურთ ტარიფის გადიდება, რომელიც არ არის მარტო ტეხნიკური ხასიათის საკითხი. მას უდიდესი გავლენა ექნება ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაზე. ასეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანა თქვენმა პოლიტიკამ. თქვენ ხშირათ ამბობთ: კარგი პოლიტიკა ის არის, რომელიც კარგ შედეგებს იძლევა. თვით თქვენ ვერ იტყვით, რომ ჩვენ დღეს კარგ მდგომარეობაში ვიყოთ. ამ მდგომარეობამდე კი თქვენმა, ცხადია, უვარგისმა პოლიტიკამ მიგვიყვანა.

(ხმები სოც.-დემ სკამებიდან; თქვენი პოლიტიკა როგორია?)

დღეს ჩვენ თქვენს პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ; ჩვენს პოლიტიკაზე კი მაშინ ილაპარაკეთ, როდესაც ჩვენ ვიქნებით სახელმწიფოს სათავეში (ხმაურობა სოც.-დემ.). ეს მალე იქნება. თქვენმა პოლიტიკამ ჩვენ ასეთ უბედურ მდგომარეობამე მიგვიყვანა. წარმოდგენილი დეკრეტი ამ მდგომარეობას უფრო გააუარესებს და ამიტომ ჩვენი ფრაქცია მის წინააღმდეგ მისცემს ხმას (ტაში).

თედო ღლონტი (ფედ.) ეხება მთავრობის საერთო ეკონომიურ პოლიტიკის უვარგისობას და ილაშქრებს წარმოდგენილ დეკრეტის წინააღმდეგ.

ბესარიონ ჭიჭინაძე (გზათა დეპარტამენტის უფროსი) უპასუხებს ამხ. ივანე ლორთქიფანიძეს და იცავს ტარიფის გადიდებას.

ვასო წულაია (სოც.-დემ.): ხალხი დიდის სიხარულით შეხვდება ტარიფის გადიდებას. ხალხი თვით მოითხოვს ტარიფის გადიდებას. მე არა ერთ და ორ მოქალაქესთან მქონია ლაპარაკი და მათ უთქვამთ, რომ რკინის გზის ბილეთის ფასი ცოტაა, საჭიროა მისი გადადებაო.

ივანე ლორთქიფანიძე: სოციალ-დემოკრატიას ნაცადი მახინაციებით სურს ტარიფის გადიდების დასაბუთება.

ისინი ამბობენ, თითქოს ხალხი მოითხოვდეს ტარიფის გადიდებას.

ასევე იქცეოდნენ წინეთ რუსეთის შავრაზმელები, რომლებიც თვით აწყობდენ „პოგრომებს“ და შემდეგ კი ამბობენ, თვით ხალხი ახდენს დარბევასო.

გზათა დეპარტამენტის უფროსს არ დაურღვევია ჩემს მიერ წამოყენებული დებულებანი. მის სიტყვაში ამ დებულების ახსნა-განმარტება იყო და არა უარყოფა.

დღეს ისეთი მდგომარეობაა შექმნილი ჯამაგირის სიმცირის გამო, რომ საუკეთესო მოხელენი იძულებულნი არიან მიატოვონ სამსახური და არსებობის სხვა წყარო ეძიონ.

რაც უნდა გაადიდოთ თქვენ ტარიფი, დეფიციტი მაინც იქნება.

აქ გზათა დეპარტამენტის უფროსმა ჩემი ერთი დებულების გაბათილება იმით მოინდომა, რომ განაცხადა: ეხლა ჩვენს რკინის გზებზე მეტი ხალხი მიდის, მაგრამ ეს, ბატონებო, თქვენს სასარგებლოთ არაფერს ამბობს. თუმცა სოციალ-დემოკრატია გასაქანს არ აძლევს ჩვენს ხალხს, მაგრამ ჩვენ მაინც მივდივართ წინ კულტურულათ, მიმოსვლის გაძლიერება მხოლოთ გამოხატულობაა ამისა.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით ეხება მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას, რკინის გზის უწყების დაუდევრობას და ამბობს, რომ რათა მომავალში თავიდან ავიცდინოთ მოსალოდნელი მილიარდი დეფიციტი, საჭიროა მთელი პოლიტიკის შეცვლა.

მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ სოციალ-დემოკრატების ხმებით მიღებულ იქნა რკინის გზის ტარიფის გადიდება.

სოც. – რევოლუციონერებმა და ფედერალისტებმა დეკრეტს წინააღმდეგ მისცეს ხმა.

სხდომის ბოლოს სიტყვას ითხოვს შალვა მესხიშვილი.

ორატორი მოითხოვს მთავრობის თავმჯდომარის გამო გამართულ მსჯელობის გასაგრძობათ დანიშნულ იქნას პარასკევის სხდომა. თუ თქვენ არ გაურბიხართ პოლიტიკურ ბრძოლას, თუ არ გეშინიათ ოპოზიციის ორატორების საბუთების, რომელიც არა ერთს და ორს მინისტრს გააწითლებს, მაშინ დანიშნეთ კამათი ამ საკითხზე პარასკევისათვის.

ვალიკო ჯუღელი (სოც.-დემ.): ჩვენ გვინდა დამფუძნებელი კრება გახდეს სალაპარაკო დაწესებულებათ. მთავრობის შესახებ საკმაო ითქვა, მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის.

(ხმაურობა, ხმები: სირცხვილი, სირცხვილი, გაურბიხართ ბრძოლას, გეშინიათ ფაქტების).

რაც ითქვა, საკმარისია, მეტს არ გალაპარაკებთ.

გაზ: „შრომა“, № 6. 6 თებერვალი, 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წლის იანვრის 26

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მისი ამხანაგი, ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი: ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივნობდა: ქრისტინე შარაშიძის ასული.

1/53 მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მონაწერი ამა იანვრის 25 თარიღითა და 335 №-ით, რომელსაც დართული აქვს მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი – საქართველოს მთავრობისა და „ფერრან-გენტრანის“ დაწესებულებასთან დადებული ხელშეკრულების მთავრობის მიერ დადასტურების შესახებ.

ცნობა: ეს ხელშეკრულება დამფუძნებელი კრების იანვრის 21-ს დადგენილების თანახმად გადაეცა წინასწარი განხილვისათვის საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ კომისიას.

დადგენილება: მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი დაერთოს „ფერრან-გენტრანის“ დაწესებულებასთან დადებულ ხელშეკრულებას.

2/57 მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, იანვრის 26-ს, წარმოდგენილი გზათა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – რკინიგზის მილიციის დამატებითი შტატის – 1920 წ. დეკემბრის 1-დან სამი თვის განმავლობაში შესანახად – 1.989.870 მან. გადადების შესახებ. –

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა იანვრის 6-ს სხდომაზე.

პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას და დეკრეტის ტექსტს.

დართული აქვს სახელმწიფო კონტროლის დასკვნა და მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერი.

დადგენილება: პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ საღამოს სხდომაზე – გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისათვის გადასაცემად – წინასწარი განხილვისათვის.

2/49 მოსმენილია: კანცელარიის გამგის მოხსენება დამფუძნებელი კრების 1921-1922 საფინანსო წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის გამო.

პრეზიდიუმის ამა იანვრის 22-ს დადგენილების თანახმად 1921-1922 საფინანსო წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაევალა კანცელარიის გამგეს. ამასთანავე პროექტი ამ ხარჯთაღრიცხვისა პრეზიდიუმს უნდა წარდგენოდა განსახილველად იმ ანგარიშით, რომ იგი გადასცემოდა ფინანსთა უწყებას ამა წლის თებერვლის 1-ს, როგორც ამას უწყება მოითხოვდა.

კანცელარიის გამგის აზრით, ხარჯთაღრიცხვის შედგენა შეჩერებულ უნდა იქნეს, ვიდრე გადასწყდებოდეს საკითხი სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა, რომლის შესახებ დეკრეტი წარმოედგინა დამფუძნებელ კრებას ამა იანვრის 25-ს და წინასწარი განხილვისათვის გადაეცა შრომისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიათ.

ეს შეჩერება აუცილებელია იმ მოსაზრებით, რომ ჯამაგირის მომატება თვალსაჩინოდ შესცვლის ხარჯთა რაოდენობას, რადგანაც დამფუძნებელი კრების წევრთა და მუშა-მოსამსახურეთა გასამსჯელოს და ჯამაგირის თანხას უმთავრესი ადგილი უჭირავს ხარჯთაღრიცხვაში.

კანცელარიის გამგეს პირადი მოლაპარაკება ჰქონდა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების გამგე ბატონ სკიბიცკისთან, რომელმაც განუცხადა მას, რომ 1921-1922 საფინანსო წლის ხარჯთაღრიცხვის წარდგენა თებერვლის დამლევამდე შეიძლება გადაიდოს და რომ თავისთავად იგულისხმება აუცილებლობა ხარჯთაღრიცხვაში პირადი შემადგენლობის გასამსჯელოს და ჯამაგირის რაოდენობის მთლიანად შეტანა – ე.ი. განზრახული მომატებით.

დადგენილება: დამფუძნებელი კრების 1921-1922 საფინანსო წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენა გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე განხილული და მიღებული იქნება დეკრეტი ჯამაგირის მომატების შესახებ, რათა ხარჯთაღრიცხვაში ჯამაგირის განსაზღვრული მომატებაც იქნება აღრიცხული.

3/12 მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიის მიერ დღეს, იანვრის 26-ს, წარმოდგენილი დასკვნა ეროვნულ-დემოკრატიულ, სოციალისტ – რევოლუციონერთა და სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესწორებათა შესახებ.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად, ფრაქციების მიერ შემოტანილი შესწორებანი და საკონსტიტუციო კომისიის დასკვნა გაეგზავნოს დაუყოვნებლივ ფრაქციათ.

4/46 მოსმენილია: სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ტექსტი – სახაზინო და კახეთის რკინის გზათა ტარიფის გადიდების დეკრეტისა.

ცნობა: მომხსენებელია ქრისტინე შარაშიძის ასული.

საბოლოო ტექსტი ფრაქციათ უკვე დაურიგდათ.

დადგენილება: საბოლოო ტექსტი შეტანილ იქნეს დასამტკიცებლად დღევანდელი საღამოს სხდომის წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერა] ქრისტინე შარაშიძის ასული.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ივანე ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 25-26.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მერვე (88)

ოთხშაბათს 1921 წ. იანვრის 26. საღამოს 5½ საათ.

დღიური წესრიგი:

1. განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის.

განსახილველია მე-3 თავი. – საკონსტიტუციო კომისია. – კონსტანტინე ჯაფარიძე.

ცნობა: კონსტიტუციის პროექტის ცალკე თავების მომხსენებელნი არიან:

თავი მე-4 – პარლამენტი.

თავი მე-5 – აღმასრულებელი ხელისუფლება. – საკონსტიტუციო კომისია. – სერგო ჯაფარიძე.

დამატება: საბოლოო ტექსტი დეკრეტისა სახაზინო და კახეთის რკინისგზებზე ტარიფის გადიდების შესახებ. – სარედაქციო – ქრისტინე შარაშიძის ასული.

გაზ. „ერთობა“, № 36. 26 იანვარი. 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამერვე (88) (საგანგებო)

ოთხშაბათს 1921 წ. იანვრის 26 სასახლე.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივნის ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

სხდომა იწყება საღამოს 7 ს. და 25 წ.

სხდომის გახსნისას მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების კომისიებისათვის წინასწარი განხილვისათვის გადასაცემი საკანონმდებლო აქტების შემდეგ ნუსხას:

აქტებისა და ქაღალდების შინაარსი.

1. გზათა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – რესპუბლიკის მილიციის დამატებითი შტატის – 1920 წლის დეკემბრის 1-დან სამი თვის განმავლობაში – შესანახად 1.989.870 მან. გადადების შესახებ. – გადაეცა: გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

2. ფინანსთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – რესპუბლიკის უწყებათა განკარგულებაში 1921 წლის იანვრის 1-დან საბიუჯეტო წლის დამლევამდე დამატებით 208.912.000 მან. გადადების შესახებ. – გადაეცა: საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების დღევანდელი სხდომის შემდეგ დღიურ წესრიგს:

1. განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის.

განსახილველია მე-3 თავი. – საკონსტიტუციო კომისია. – კონსტანტინე ჯაფარიძე.

ცნობა: კონსტიტუციის პროექტის ცალკე თავების მომხსენებელნი არიან:

თავი მე-4 – პარლამენტი.

თავი მე-5 – აღმასრულებელი ხელისუფლება. – საკონსტიტუციო კომისია. – სერგო ჯაფარიძე.

2. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – სახაზინო და კახეთის რკინისგზებზე ტარიფის გადიდების შესახებ.

თავმჯდომარე პრეზიდიუმის სახელით დამფუძნებელ კრებას წინადადებას აძლევს დღიური წესრიგის მე-2 საკითხი გადატანილ იქნეს პირველ საკითხად.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას იღებს და დღიურ წესრიგს ამ ცვლილებით ამტკიცებს.

განსახილველია საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – სახაზინო და კახეთის რკინის – გზებზე ტარიფის გადიდების შესახებ.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია ქრისტინე შარაშიძის ასული (სოც.-დემ.), რომელიც აღნიშნავს, რადარა სარედაქციო ცვლილება შეიტანა კომისიამ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტისა და მასთან დართული საქონლის ჯგუფთა სიის ტექსტებში, და ორივე ტექსტს პარალელურად მუხლობრივ კითხულობს.

დამფუძნებელი კრება ამ საბოლოო ტექსტს უკამათოდ უცვლელად ამტკიცებს.

გრძელდება მსჯელობა კონსტიტუციის პროექტის მე-3 თავის შესახებ. მსჯელობაში მონაწილეობას იღებენ გიორგი გვაზავა (ერ.-დ.) და ბერიშვილი (სოც.-დემ.).

ზოგადი მსჯელობა მე-3 თავისა დასრულებულია.

მომხსენებელი კონსტანტინე ჯაფარიძე საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – კონსტიტუციის პროექტის მე-3 თავის მუხლობრივი განხილვის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს, და თავმჯდომარე აცხადებს, რომ მე-3 თავი მუხლობრივი განხილვისათვის დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზე წარედგინება.

განსახილველია მეორე (თავობრივი) განხილვის წესით კონსტიტუციის პროექტის მე-4 თავი.

საკონსტიტუციო კომისიის მხრით მომხსენებელია სერგო ჯაფარიძე (სოც.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს ამ თავის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

ორატორი მოხსენებას ამთავრებს.

თავმჯდომარე სხდომას საღამოს 10 ს. და 25 ჰხურავს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 25-26.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წლის იანვრის 27

დაესწრნენ: გზათა დეპარტამენტის დირექტორი, ბატონი ბესარიონ ჭიჭინაძე, დამფუძნებელი კრების წევრნი: მიხეილ კოვალიოვი, გიორგი გაგლოევი და პავლე წულაია; კანცელარიის გამგე: ილია ზურაბიშვილი, მისი ამხანაგი ალექსანდრე ნანეიშვილი და სასახლის გამგე: ლ. კალანდარიშვილი.

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მისი ამხანაგი: ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი: კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი: ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივნობდა: კონსტანტინე ჯაფარიძე.

1/32 თავმჯდომარე სხდომას მოახსენებს, რომ სასახლეს მხოლოდ რამდენიმე დღის საყოფი გასანათებელი მასალა დარჩა. ამ მასალის გამოლევის შემდეგ გზათა დეპარტამენტის შეტყობინების თანახმად, სასახლეს არ შეუძლია მიიღოს რაიმე ნავთეულობა, ამიტომ საჭირო არის აქიდანვე მივიღოთ აუცილებელი ზომა, რომ სასახლე სიბნელეში არ დარჩეს.

ბესარიონ ჭიჭინაძე იძლევა ახსნა – განმარტებას საზოგადოთ ნავთეულობის თადარიგის მდგომარეობის შესახებ; ის აღნიშნავს, რომ დამზადებული ბენზინი სავსებით გადაეცა სამხედრო უწყებას სამხედრო საჭიროებისათვის და საშვალება აქვს სასახლეს იქიდან რამდენიმე მაინც დაუთმოს. გზათა უწყებას აზრათ აქვს სასახლის სადგურის ყოფილი სათავადაზნაურო ელექტრონის სადგურთან შეერთება, რომელსაც ნავთეულობის თადარიგი მიეცა ა/წ. 1 მარტამდი საყოფი, ანდა შეიძლება სასახლემ შუქი ქალაქის ელექტრონის სადგურიდან მიიღოს სასახლის სადგურის ასამოძრავებლად; ხოლო ამ შემთხვევაში, რადგანაც ქალაქის სადგურის 600 ძალას უდრის, აქაური სადგური გადაკეთებული უნდა იქნეს. ჯერჯერობით, ვიდრე ასეთი გადაკეთება მოხდებოდეს, გზათა უწყებას შეუძლია სასახლეს დაუთმოს ათი ფუთი ბენზინი და ნავთი, რაც სასახლის სადგურს ეყოფა შუა თებერვლამდი.

დადგენილება: გზათა დეპარტამენტის განცხადება ათი ფუთი ბენზინისა

და ნავთის დათმობის შესახებ მიღებული იქნეს ცნობად და მომავლისათვის სასახლის გასანათებლად მიღებულ იქნეს ზომები.

2/33 მოსმენილია: სოხუმის ოლქის გვარდიელთა მეორე კონფერენციის საპროტესტო დეპეში ივანე ლორთქიფანიძის მიერ ვალიკო ჯუღელისათვის „მაუზერისტების მეთაურად“ წოდების შესახებ.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

3/33 მოსმენილია: მერისის სოფ. მცხოვრებთა ყრილობის მოსასალმებელი დეპეში.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

4/28 მოსმენილია: გადასახადთა უფროსის მომართვა, რომ დამფუძნებელი კრების წევრთა და კანცელარიის მოხელეთ ნება ეძლევათ შემოსავლის კვალობაზე გადასახადი შეიტანონ 6 ნაწილათ თვის დამლევს.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

5/18 მოსმენილია: მოქალაქის მატისევიჩის განცხადება, რომ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა შეიძინოს მის მიერ ნაშრომი ოსმალეთის საქართველოს შესახებ, რომელსაც 100.000 მანეთად აფასებს.

დადგენილება: აღნიშნული ნაშრომი შეძენილი იქნეს და ავტორთან ფასის შესახებ მოლაპარაკება დაევალოს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს.

6/22 მოსმენილია: რკინის გზის სამმართველოს 364057 №-ის მომართვა, რომ გადახდილი იქნეს გ/წ. ნოემბერში დამფუძნებელი კრების წევრის გრიგოლ გიორგაძის მიერ ტფილისიდან – ერევანს მატარებლის სარგებლობისათვის 69.980 მან.

დადგენილება: ეუწყოს რკინის გზათა სამმართველოს, რომ მომავალში აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მთავრობის მიერ, რადგან ბატონი გრიგოლ გიორგაძე ნოემბერში ერევანს გაგზავნილი იყო მთავრობის მიერ.

7/30 მოსმენილია:

1. გორის მაზრის ნამახეტვის მცხოვრებთა ყრილობის ოქმი მათი სოფლის შკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შემოღების შესახებ.

2. ბროლონის სოფ. მცხოვრებთა ყრილობის ოქმი, მათი სოფლის შკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შემოღების შესახებ.

3. გორის მაზრის ალის სოფ. მცხოვრებთა ყრილობის ოქმი, მათი სოფლის შკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შემოღების შესახებ.

დადგენილება: გადაეგზავნოს განათლების მინისტრს განკარგულებისათვის.

8/31 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების წევრის პავლე ბიულის განცხადება, რომ ალექსანდროფელდის სოფლის მცხოვრებთა მიერ მიწვევის გამო ის რამდენიმე სხდომას ვერ დაესწრო.

დადგენილება: მიღებულ იქნეს ცნობად.

9/36 მოსმენილია: დამფუძნებელი კანცელარიის მანქანით გადამწერის ს. გაბაშიძის ქალის თხოვნა, რომ მას ავანსათ 15.000 მან. მიეცეს.

დადგენილება: მიეცეს საბიუჯეტო წლის დამდეგამდე ჯამაგირიდან გამობარებით ათი ათასი (10.000) მანეთი.

10/34 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების სამეურნეო კომისიის პრეზიდიუმის განცხადება, რომ კომისიის წევრთ ნება მიეცათ მათთვის დამფუძნებელი კრების სხდომებზე დასწრება სავალდებულო არ იქნეს, რადგან დამფუძნებელი კრების წევრთა მაღაზიის გასაფართოებლად მათ დიდი დრო და შრომა ეხარჯებათ.

დადგენილება: გადაეცეს სოც.-დემ. ფრაქციას დასკვნისათვის.

11/32 მოსმენილია: სასახლის გამგის მოხსენება სასახლის საჭიროებისათვის (გერმანული) ფურგონის შეძენის საჭიროების შესახებ.

დადგენილება: შეძენილ იქნეს აღნიშნული ფურგონი. სასახლეში არსებული ეტლი გაცვლილი იქნეს ხელსაყრელად სასახლისთვის საჭირო საგანში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე;
კანცელარიის გამგის ამხანაგი [ხელმოწერა] ლეო ნათაძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 27-28.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მერვე (88)

სამშაბათს, 1921 წლის იანვრის 27. დილის 11 საათზე

დღიური წესრიგი:
საკანონმდებლო აქტის სახელწოდება.

1. საბოლოო ტექსტი კანონპროექტისა გასული სახარჯთაღრიცხვო წლის დაუფარავი ხარჯების განაღდების შესახებ.
კომისია და მომხსენებელი: სარედაქციო კომისია.

2. გაგრძელება მსჯელობისა – ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წ. თებერვლის 23-ს დადგენილების შეცვლის დეკრეტის გამო.
კომისია და მომხსენებელი: აგრარული კომისია – კირილე ნინიძე.

3. სახელმწიფო ბანკის მმართველის და საბჭოს წევრთა არჩევანი.

4. პროექტი დადგენილებისა – პოლიტიკურ, საერთო სისხლის სამართლისა და სამხედრო დანაშაულობის ჩამდენთა მდგომარეობის შემსუბუქების შესახებ.
კომისია და მომხსენებელი: იურიდიული კომისია – გრიგოლ გიორგაძე.

5. დეკრეტი – დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის 1.000.000 მან გადადებისა.
კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – იოსებ სალაყაია; საპროპაგანდო კომისია. – გრიგოლ ურატაძე.

6. პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დაწესებულებათა ორგანიზაციისა.
კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – დავით ონიაშვილი.

7. პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა – შრომის ხელშეკრულობის შესახებ.

კომისია და მომხსენებელი: შრომის კომისია – ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.

დამატება:

8. დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის ბონის 800 მილ. მან. ემისიისა და ბონის ათას მანეთიან კუპიურის შემოღებისა.

კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – სვიმონ მდივანი.

9. დეკრეტი – სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციისათვის ქაღალდის შესაძენად 28.000.000 მან. გადადებისა.

კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – იოსებ სალაყაია.

10. დეკრეტი – ბათომ – ნატანების რკინის გზის ნაწილის 1919/1920 წ. წ. საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად 7.167.350 მან. და სახაზინო რკინის გზის საერთო ხარჯთაღრიცხვის დამატებად 968.193 მან. გადადებისა.

კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – გრიგოლ ურატაძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 836. ფ. 129.

დღესასწაული სოხუმში

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა დიდი ზეიმით იდღესასაწულა ქალაქმა. თავისუფლების ქუჩაზე გამწკრივებული იყო მთელი გარნიზონი. დიდძალი ხალხის თანდასწრებით აბხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარემ, ემუხვარმა წაიკითხა ტფილისიდან მოსული დეპეშა საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ. ამის საპასუხოდ გასროლილ იქმნა რამდენიმეჯერ ტყვიისმფქვრეველებიდან. ამავე დროს ნავთსადგურში მყოფი იტალიის გემი „იუნო“ შეიკაზმა დროშებით და ზეიმს რამოდენიმე გასროლით მიესალმა.

შემდეგ შესდგა მიტინგი, რომელმაც შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

„სოხუმის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელმაც მოისმინა კომისარიატის თავმჯდომარის ცნობა საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ, უგზავნის სალამს მთელ მთავრობას, რომელმაც შესძლო მიუხედავათ მტრების წინააღმეგობისა, მიეყვანა ქართველი ხალხი და ახალგაზრდა რესპუბლიკა დამოუკიდებელ არსებობის ცნობამდე, რასაც ერის ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. აბხაზეთის მცხოვრებლებს ჯარსა და გვარდიას სწამთ, რომ ამიერიდან თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეუდგება იმ ჭრილობების მორჩენას, რომელიც მიაყენა მას მსოფლიო ომმა და საერთო არევ დარევამ. საქართველოს დემოკრატია ზეიმით აცხადებს მთელი ქვეყნის წინაშე, რომ იგი კაცრობრიობის განახლების საქმეში შეიტანს თავის წვლილს“.

ეს დეპეშა მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა.

ამავე დღეს შესდგა ქალაქის თვითმართველობის საზეიმო სხდომა. სხდომამ შემდეგი დადგენილებანი მიიღო:

1 გაიღოს 500.000 მან. სოხუმის უღარიბეს მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენათ;

2 27 იანვრის აღსანიშნავად დააარსოს სტიპენდიები სახელმწიფ უნივერსიტეტში;

3 დაერქვას სოხუმის ერთ- ერთ ქუჩას 27 იანვრის სახელი.

დასასრულ გადაწყდა გაეგზავნოს დეპეშა მთავრობის თავმჯდომარესა და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 31. 8 თებერვალი, 1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მეცხრე (89)

1921 წ. იანვრის 28-ს. შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი:

№ საკანონმდებლო აქტის სახელწოდება.
რიგზე.

1. განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის.

2. მუხლობრივი განხილვა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისა.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 836. ფ. 143.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცამეცხრე (89)

1921 წ. იანვრის 28 -ს. სასახლე

თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მდივნობს დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე; პრეზიდიუმში არიან: ექვთიმე თაყაიშვილი.

სხდომა იწყება შუადღის 1 ს. და 5 წ.

დღის წესრიგი: სხდომის გახსნისას მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების დღიურ წესრიგს:

1. – განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის.

2. – მუხლობრივი განხილვა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისა.

[კომისია და მომხსენებელი: კონსტიტუციური კომისია. – პავლე საყვარელიძე].

ს.-დ. ფრაქციის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქციისაგან შემოტანილია წინადადება, რათა დღიური წესრიგის მე-2 საკითხი პირველ საკითხად იყოს გადმოტანილი.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას იღებს და დღიურ წესრიგს ამ შესწორებით ამტკიცებს.

მუხლობრივი განხილვა: განსახილველია მესამე (მუხლობრივად) განხილვის წესით საქართველოს კონსტიტუციის პროექტი.

კონსტიტუციის პროექტის პირველი თავი.

1 თავი. საკონსტიტუციო კომისიის მომხსენებელი კომისიის სახელით წინადადებას აძლევს დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის შესავალი „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ მიღებული იქნეს დღესვე, ვიდრე დამფუძნებელი კრება პირველ თავის მუხლობრივ განხილვას შეუდგებოდეს.

ეს წინადადება მსჯელობას იწვევს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ – ლეო ნათაძე (სოც.-დემ.), გიორგი გვაზავა (ერ.-დემ.), რაჟდენ არსენიძე (სოც.-დემ.).

ზოგადი მსჯელობა დასრულებულია.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება ადგენს – შეუდგეს კონსტიტუციის პირველი თავის მუხლობრივ განხილვას, ხოლო დამოუკიდებლობის აკტი მიღებულ იქნეს კონსტიტუციის მთლიანად მიღების შემდეგ.

სათაური და მუხლი 1. მომხსენებელი ცალ ცალკე კითხულობს კონსტიტუციის პროექტის პირველი თავის სათაურსა და პირველ მუხლს.

შესწორებანი. თავმჯდომარე აცხადებს, რომ პირველი მუხლის შესახებ შემოსულია შემდეგი წინადადებანი:

1 / ს-ფ. ფრ. „პირველი მუხლის მეორე აბზაცი ასე შესწორდეს: სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

2 / სოც.-რევ. ფრაქცია: „საქართველოს კონსტიტუციის პროექტის პირველ თავში ამოიშალოს მუხლები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13 და 14 და ნაცვლად ამ მუხლებისა შეტანილ იქნეს პირველ თავში შემდეგი: „ჩვენ, დამოუკიდებული და თავისუფალი საქართველოს მშრომელნი, ვითვალისწინებთ რა ჩვენი ქვეყნის თავისებურ სოციალ – ეკონომიურ სტრუქტურას და ძლევა მოსილი რევოლიუციის მიერ შექმნილ უმაგალითო შესაძლებლობას შრომის განთავისუფლებისა და კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის, ვაცხადებთ საქვეყნოთ: დაამსხვრია რა მონობის ბორკილები, საქართველოს მშრომელი ხალხი ამყარებს ახალს სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას, რომლის მიზანი არის პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფა და ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის საზოგადოებრივ ფორმებში განსახიერება.

საქართველოს მშრომელთ სურთ შექმნან უტყუარი გარანტია შრომის ნამდვილი ბატონობისა და ერის დამოუკიდებლობისა; სრული რწმენით, რომ უკვე დადგა კაპიტალიზმის აღსრულება, რომ ყოველი ერი სოციალიზმის სამეფოში უნდა შევიდეს თავის ინდივიდუალობითა და საკუთარი გზით, – საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული ხმის მიცემით, იღებს შემდეგს კონსტიტუციისას:

თავი პირველი: ზოგადი დებულებანი

მუხლი I. „საქართველო არის შრომის რესპუბლიკა“.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს და კონსტიტუციის პირველ თავს, სათაურსა და პირველ მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ. 2. (მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის მეორე მუხლს).

შესწორებანი: თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოტანილია შემდეგი შესწორებანი:

1/ ერ.-დემ. ფრ. „ამოიშალოს მუხლი მე-2. „

2/ ს.-ფ. ფრ. „82 ამოიშალოს და დარჩეს მხოლოდ დამოუკიდებლობის აკტში“. მეორე მუხლიდან გადმოტანილ იქნეს 59 – ს ნაწილი: უზენაესობა რესპუბლიკაში ეკუთვნის მთელს ერს“.

3/ სოც.-რევ. ფრაქცია: „საქართველოს რესპუბლიკა დაუნდობლად ებრძვის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ყველა ფორმებს: კლასობრივს, რასისტულს, ეროვნულსა და რელიგიურს და მიისწრაფვის ერთა სოლიდარობისა და თავისუფალ თანამშრომლობის დამყარებისაკენ.

4/ ს.-დ. ფრ. „მესამე მუხლი სრულიად ამოიშალოს“.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება სოც.-ფედ. ფრაქციის ამ მუხლის მე-2 შესწორებას უარჰყოფს, ხოლო სხვებს იღებს და თავმჯდომარე აცხადებს, რომ კონსტიტუციის პრექტის მე-2 მუხლი ამოშლილია.

მუხ. 3. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მესამე მუხლს.

შესწორებანი: თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია შემდეგი შესწორებანი:

1/ ს.-ფ. ფრ. „მესამე მუხლად გადმოისვას მერვე მუხლი მთლად“.

2/ სოც.-რევ. ფრაქცია: „სახელმწიფოებრივი ძალა – უფლება საქართველოში ეკუთვნის მთელს ერს. ამ ძალა – უფლებას ის ანხორციელებს თვითონ უშუალოდ ან მის მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული სისტემით არჩეული ორგანოების საშუალებით.

3 /ს-დ. ფრ. მე-3 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „სადაც მუდმივ იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა“.

ამ უკანასკნელი შესწორების დასასაბუთებლად სიტყვას იღებს ლეო ნათაძე (სოც.-დემ.).

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება სოც.-ფედ. და სოც.-რევ. ფრაქციის შესწორებას უარჰყოფს და სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებას იღებს.

დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის მე-3 მუხლს სოც.-დემ. ფრ. შესწორებით იღებს.

მუხ. 4. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეოთხე მუხლს.

სოც.-ფედ. ფრაქციის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოსულია შესწორება სოც.-ფედერალისტთა ფრაქციისაგან შემდეგი შესწორება: მუხლი მესამიდან ამოიშალოს სიტყვა „მუდმივ“ (ეს იქნება მეოთხე მუხლი).

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება ამ შემოწმებას უარჰყოფს და მე-4 მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ. 5. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეხუთე მუხლს.

შესწორებანი: თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია შემდეგი შესწორებანი ამ მუხლის შესახებ.

ს-ფ. ფრაქცია მეხუთე მუხლის მეორე აბზაცი შესწორდეს ასე: „საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით“ (ეს იქნება მეექვსე მუხლი).

სოც.-დემ. ფრაქცია: მე-5 მუხლში სიტყვები: „ძლევამოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე“ შეიცვალოს – „თეთრი გიორგი შვიდი მნათობით“.

სოც.-რევ. ფრაქცია: „ამოიშალოს მუხლი 5. „

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება იღებს სოც.-ფედ. და სოც.-დემ. ფრაქციების შესწორებებს და მეხუთე მუხლს შეტანილი შესწორებით იღებს.

მუხ. 6. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეექვსე მუხლს.

შესწორებანი: თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია შემდეგი შესწორებანი ამ მუხლის შესახებ.

სოც.-რევ. ფრაქცია: „მეექვსე მუხლი ამოიშალოს“.

სოც.-ფედ. ფრაქცია: მუხლი 6. „საქართველოს რესპუბლიკა არის უფლებრივი სახელმწიფო, სადაც მოქალაქის უფლებანი და მოვალეობანი განისაზღვრებიან სათანადო წესით გამოცემული კანონებით (ეს იქნება თ. 7).

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებებს უარჰყოფს და მეექვსე მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ. 7. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეშვიდე მუხლს.

შესწორებანი: თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოსულია შემდეგი შესწორებანი:

სოც.-ფედ. ფრაქცია: „მუხლი 7 გადატანილი იქნეს 23 მუხლად“.

ს.-დ. ფრაქცია:. „მე-7 მუხლი სრულიად ამოიშალოს“.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება სოც.-ფედ. ფრაქციის შესწორებას უარჰყოფს და იღებს სოც. დემ. ფრაქციის შესწორებას.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც. დემ. ფრაქციის მიღებული შესწორების თანახმად ეს მუხლი ამოშლილია.

მუხ. 8. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის მერვე მუხლს.

სოც.-რევ. ფრაქციის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოსულია სოც.-რევ. შესწორება: ფრაქციის შემდეგი შესწორება: სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას უარჰყოფს და მე – 8 მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ. 9. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეცხრე მუხლს.

დამფუძნებელი კრება ამ მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ. 10. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეათე მუხლს.

შესწორება: თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოსულია შემდეგი შესწორებანი:

ერ.-დემ. ფრაქცია: მე-10 მუხლის მეორე ნაწილში ორი უკანასკნელი სიტყვის წინ ჩაემატოს სიტყვა „პირველ“.

სოც.-რევ. ფრაქცია. „მე-10 მუხლი სრულიად ამოიშალოს“.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას უარჰყოფს და მე-10 მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ.11. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლს.

სოც.-რევ. ფრაქცია: თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ სოც.-რევ. ფრაქციისაგან შემოსულია შემდეგი შესწორება: მე-II მუხლი სრულიად ამოიშალოს“.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას უარჰყოფს და მე-II მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ. 12. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეთორმეტე მუხლს.

შესწორებანი თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოსულია შემდეგი წინადადებანი:

ს.-დ. ფრაქციის მუხლი 12 შესწორდეს ასე: „ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აღნიშნულია ამ კონსტიტუციის 49 და 50 მუხლებში. (ეს იქნება მეთერთმეტე მუხლი).

სოც.-რევ. ფრაქცია: „მე-12 მუხლი სრულიად ამოიშალოს“.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დამფუძნებელი კრება ამ შესწორებას უარჰყოფს და მე-12 მუხლს უცვლელად იღებს.

მუხ. 13. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეცამეტე მუხლს.

შესწორება: თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოსულია შემდეგი შესწორებანი: ერ.-დემ. ფრ. მე-13 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა: „საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი საერთაშორისო უფლებისა ხდება სავალდებულო ნაწილი საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა“.

სოც.-რევ. ფრაქცია. „მე-13 მუხლი სრულიად ამოიშალოს“.

შესწორებები იწვევს მსჯელობას, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ რაჟდენ არსენიძე (სოც.-დემ.), გიორგი გვაზავა (ერ.-დ.), სამსონ დადიანი (სოც.-ფედ.), ვიქტორ თევზაია (სოც.-დემ.) და ლეო შენგელაია (სოც.-რევ.).

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

დაფუძნებელი კრება სოც.-დემ. ფრაქციის შესწორებას იღებს და თავმჯდომარე აცხადებს, რომ მე-13 მუხლი ამოშლილია.

მუხლი 14. მომხსენებელი კითხულობს კონსტიტუციის პროექტის მეთოთხმეტე მუხლს.

შესწორებანი:

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მუხლის შესახებ შემოსულია შემდეგი შესწორებანი:

სოც.-ფედ. ფრაქცია: მუხლი 14 შესწორდეს ასე – მიღებისა და დამტკიცების შემდეგ დამფუძნებელი კრება კონსტიტუციას უდგენს ხალხს რეფერენდუმისთვის (ეს იქნება მეცამეტე მუხლი).

სოც.-რევ. ფრაქცია: „მე-14 მუხლი სრულიად ამოიშალოს“.

სოც.-დემ. ფრაქცია: მე-14 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად: „დამფუძნებელი კრების მიერ მიღებისა და მის წევრთა ხელის მოწერის შემდეგ კონსტიტუცია გადაეცემა ხალხს დასამტკიცებლად. კოსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი“.

დამფუძნებელი კრება სოც. დემ. ფრაქციის შესწორებას იღებს და მე-14 მუხლსაც ამ შესწორებით იღებს.

პირველი თავის მუხლობრივი განხილვა დასრულებულია.

თავმჯდომარის შეკითხვაზე – კონსტიტუციის პროექტის პირველი თავის მთლიანად პირობით მიღების შესახებ – არავინ არის ამის წინააღმდეგ და თავმჯდომარე აცხადებს, რომ პირველი თავი პირობით მიღებულია.

მეორე თავის განხილვა: გრძელდება მსჯელობა კონსტიტუციის მეოთხე თავის – მეორე (თავობრივი).

კონსტიტუციის პროექტი. მე-4 განხილვისათვის მსჯელობაში მონაწილეობას იღებს იესე ბარათაშვილი.

ორატორი სიტყვას ამთავრებს.

დროის განსაზღვრა: თავმჯდომარე აცხადებს, რომ სოც. დემ. ფრაქციისაგან შემოსულია წინადადება ორატორთა სალაპარაკო დროის 10 წამით* განსაზღვრის შესახებ.

ამ წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობს ლეო შენგელაია (სოც.-რევ.).

დამფუძნებელი კრება სოც.-დემ. ფრაქციის წინადადებას იღებს.

მსჯელობა გრძელდება, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ივანე გობეჩია (სოც.-რევ.).

ზოგადი მსჯელობა მე-4 თავის შესახებ დასრულებულია.

მომხსენებელი სერგო ჯაფარიძე საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

მუხლობრივი განხილვა: თავმჯდომარის შეკითხვაზე – მე-4 თავის მუხლობრივი განხილვის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს და თავმჯდომარე აცხადებს რომ მე-4 თავი დამფუძნებელ კრებას მუხლობრივი განხილვისათვის სათანადო ვადაზე წარედგინება.

თავმჯდომარის გასვლა: თავმჯდომარის ადგილს იჭერს ექვთიმე თაყაიშვილი.

განსახილველია მეორე (თავობრივი) წესით კონსტიტუციის პროექტის მეხუთე თავი.

კონსტიტუციის პროექტი. მე-5 თავი.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია სერგო ჯაფარიძე (სოც.-დემ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს ამ თავის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

ეს თავი ზოგად მსჯელობას იწვევს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ რაჟდენ არსენიძე (სოც.-დემ.), გიორგი გვაზავა (ერ.-დემ.) და გრიგოლ რცხილაძე (სოც.-ფედ.).

რეგლამენტის დარღვევისათვის სიტყვას იღებს სამსონ დადიანი (სოც.-ფედ.).

თავმჯდომარე ამის შესახებ განმარტებას იძლევა.

ერ.-დემ. ფრაქციის წინადადადება: თავმჯდომარე აცხადებს, რომ ერ.-დემ. ფრაქციისაგან შემოსულია წინადადება სხდომის გადადების შესახებ.

დამფუძნებელი კრება ამ წინადადებას უარჰყოფს.

ზოგადი მსჯელობა დასრულებულია.

მომხსენებელი საბოლოო დასკვნას წარმოსთქვამს.

მუხლობრივი განხილვა. თავმჯდომარის შეკითხვაზე – მე-5 თავის მუხლობრივი განხილვის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს და თავმჯდომარე აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრებას მე-5 თავი მუხლობრივი განხილვისათვის სათანადო ვადაზე წარედგინება.

განსახილველია მეორე (თავობრივის) განხილვის წესი კონსტიტუციის წესით.

კონსტიტუციის პროექტი. პროექტის მეექვსე თავი.

მე-6 თავი.

სარედაქციო კომისიის მხრით მომხსენებელია სამსონ დადიანი (სოც.-ფედ.), რომელიც დამფუძნებელ კრებას სიტყვიერ მოხსენებას წარუდგენს ამ თავის ძირითად დებულებათა და კომისიის დასკვნის შესახებ.

ეს ზოგად მსჯელობას არ იწვევს.

მუხლობრივი განხილვა: თავმჯდომარის შეკიკთხვაზე – ამ თავის მუხლობრივი განხილვის შესახებ – დამფუძნებელი კრება ადგენს მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეს და თავმჯდომარე აცხადებს რომ მე-6 თავი მუხლობრივი განხილვისათვის დამფუძნებელ კრებას სათანადო ვადაზე წარედგინება.

მდივანი კითხულობს დამფუძნებელი კრების იანვრის 30 სხდომის დღიურ წესრიგს.

დღის წესრიგი: მდივანი კითხულობს დამფუძნებელ კრების მორიგი (თებერვლის 1-ის) სხდომის დღიურ წესრიგს.

სხდომის დახურვა: თავმჯდომარე სხდომას ნაშუადღევის 4 ს. 50 წ. ჰხურავს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 328-329.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცამეცხრე (89)

1921 წ. იანვრის 28 -ს. სასახლე.

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში.

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

სწარმოებს მუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისა.

ლეო ნათაძეს ს.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით შეაქვს წინადადება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის და საქართველოს კონსტიტუციის საზოგადო შესავლის წაკითხვა გადაიდოს კონსტიტუციის მუხლობრივ გარჩევამდე.

ამ წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობენ ეროვნულ-დემოკრატები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ წინადადება მიღებულ იქმნა მხოლოდ ზოგიერთი შესწორებებით.

მეორე მუხლი – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არის ნეიტრალური სახელმწიფო“ – ამოიშალა სრულიად, რადგანაც ამის შესახებ არის ლაპარაკი დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

მესამე მუხლი – საქართველოს დედაქალაქის შესახებ – შემდეგი სახით იქმნა მიღებული: – „საქართველოს დედა ქალაქი თფილისია“. დანარჩენი კი: „სადაც მუდმივათ იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა“ – სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით ამოიშალა.

მე-5 მუხლი მეორე აბზაციდან, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით – შემდეგი სახით იქმნა მიღებული: „საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი 7 მნათობით“, კონსტიტუციის პროექტში კი შემდეგნაირათ იყო – „ძლევა მოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე“.

მე-7 მუხლი „კანონს არა აქვს უკუმოქმედების ძალა“ სრულიად ამოიშალა.

დიდი კამათი გამოიწვია მე-13 მუხლმა, სადაც აღნიშნულია: „საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას

ერთად ერთ საშუალებათ მიაჩნია თავისუფალ ერთა კავშირის შექმნა“. ამ მუხლის შესახებ შეაქვს შესწორება სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას, რომლის წინადადებაა სრულიად ამოიშალოს ეს მუხლი.

რაჟდენ არსენიძე (ს.დ.): ჩვენ ამ მუხლს იმიტომ კი არ უარვყოფთ, რომ არ გვინდოდეს ერთა ლიგაში შესვლა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც სოციალისტებს, სრულიად არ მიგვაჩნია იგი საერთაშორისო მშვიდობიანობის ერთად ერთ საშუალებათ – ამის იარაღი არის მხოლოდ ინტერნაციონალი. ჩვენ, რასაკვირველია, გვინდა ერთა ლიგაში შესვლა, მაგრამ იგი მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი. საერთაშორისო მშვიდობიანობას ჩვენის, სოციალისტების აზრით, მხოლოდ სოციალისტური წესწყობილება დაამყარებს. ამიტომაც ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა ამოიშალოს მუხლი, რადგანაც ის (ერთა ლიგა) არ არის ერთად ერთი საშუალება მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.

გიორგი გვაზავა. (ნ. დ.) წინააღმდეგია ამ მუხლის ამოშლისა. მისი აზრით, სახელმწიფო ვერ იცხოვრებს განმარტებულათ, მას აუცილებლათ მოუხდება სხვებთან ურთიერთობის დაჭერა, და სხვა სახელმწიფოები კი სრულიად არ არიან სოციალისტური სახელმწიფოები. ამიტომ საჭიროა დეტოვება ისეთი მუხლისა, რომელიც გამოჰხატავს საქართველოს განწყობილობას სხვა სახელმწიფოებთან. ამიტომ მას დატოვება უნდა, მხოლოდ შესწორებით.

სამსონ დადიანი. (ს. ფ.) წინააღმდეგია ამ მუხლის ამოშლისა, რადგანაც აქ გამოხატულია საქართველოს მისწრაფება თავისუფალ ერთა ფედერაციისაკენ; მას წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ სოციალისტებმა ხმა მისცენ ასეთი კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ იგი მოითხოვს დარჩეს ეს მუხლი, მხოლოდ ამოიშალოს სიტყვა: „ერთად-ერთი“, რადგანაც, მართლაც ის არ არის საერთოდ ერთად ერთი საშუალება, და მით უმეტეს – სოციალიტებისათვის.

ვიქტორ თევზაია (ს.დ.) უპასუხებს გვაზავას და აღნიშნავს, რომ ის უდავო დებულება, რომლის ძალითაც ყოველივე სახელმწიფომ უნდა დაიჭიროს კავშირი სხვა სახელმწიფოებთან, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს მუხლი უსათუოთ უნდა დარჩეს. შეიძლება რომელიმე სახელმწიფომ მიიღოს ასეთი მუხლი სხვა სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარებისა, – მაგრამ არ შეასრულოს, მეორე კი – არ მიიღებს, არ აღნიშნავს კონსტიტუციაში, მაგრამ ამისათვის იზრუნებს. ასე რომ, სახელმწიფოს შეუძლია არსებობა-განვითარება ისეც, თუ არ იქნება ეს მუხლი.

შემდეგ ორატორი უპასუხებს სამსონ დადიანს და აღნიშნავს, რომ თუ ამოიშალა სიტყვა „ერთად ერთი“, მაშინ მუხლი ან უნდა ამოიშალოს (რადგან აზრი აქვს ასეთ დებულებას) ან უნდა ჩამოთვლილ იქნეს ყველა საშუალებები, საერთაშორისო მშვიდობიანობისა. უკანასკნელი – არ არის მიზანშეწონილი, მაშ მუხლი არ უნდა ამოიშალოს. ეს არ ჰნიშნავს იმას, რომ საქართველო არ მიისწრაფის ერთა კავშირისაკენ, საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ – ეს პირდაპირ გამომდინარეობს ნეიტრალობის აღიარებისაგან. იგი პირდაპირ იმპერატიული მანდატია მომავალ პარლა-

მენტისათვის მიცემული, რომ მან იზრუნოს მშვიდობიანობის შექმნისათვის საერთაშორისო მასშტაბში.

ლეო შენგელაია. (ს. რ.) მოითხოვს ამ მუხლის ამოშლას, მაგრამ მის მაგიერ ისეთი მუხლის მიღებას, რომელიც გამოჰხატავს საქართველოს დამოუკიდებლობას სხვა სახელმწიფოებთან.

მომხსენებელი პავლე საყვარელიძე იცავს კომისიის აზრს და მე-3 მუხლს.

ხმის უმრავლესობით ეს მუხლი ამოიშალა.

ყველა დანარჩენი მუხლები უცვლელად იქნა მიღებული.

პირობითად ეყარა შემდეგ კენჭი მთელ პირველ თავს, რომელიც მიღებულ იქმნა, წინააღმდეგ მისცეს ხმა სოც. რევოლუციონერებმა.

იხსნება კამათი კონსტიტუციის მე 4 თავის შესახებ.

იოსებ ბარათაშვილი (ს. ფ.) არკვევს სახელმწიფოში ძალაუფლების განაწილების მნიშვნელობას და ჩვენს სამოშობლოში უშუალო დემოკრატიის შეუძლებლობას.

იოსებ გობეჩია (ს. რ.) აკრიტიკებს მეოთხე თავს და მოითხოვს სავალდებულო რეფერენდუმის ინსტიტუტის შემოღებას.

სერგო ჯაფარიძე (მომხსენებელი): თავის უკანასკნელ სიტყვაში უპასუხებს ესერებს და ამტკიცებს, რომ ჩვენ პარლამენტს არ შეიძლება ბურჟუაზიული პარლამენტი დავარქვათ და ეს მით უმეტეს, რომ მთელი ესერების პროექტის ეს თავი სულ მთლად საკონსტიტუციო კომისიის პროექტიდან არის გადმოწერილი. ორატორს შეუძლებლათ მიაჩნია ფაკულტეტიურ რეფერენდუმის იმ სახით მიღება, როგორითაც ეს ესერებმა წარმოიდგინეს.

კამათის შემდეგ დამფუძნებელი კრება ღებულობს წინადადებას მე-4 თავის მუხლობრივ განხილვაზე გადასვლისას.

სერგო ჯაფარიძე აკეთებს მოხსენებას კონსტიტუციის მე-5 თავის შესახებ, სადაც გამოთქმულია ზოგადი მოსაზრებები აღმასრულებელი ხელისუფლების ხასიათის შესახებ.

რაჟდენ არსენიძე:. (ს.დ.) ამ საკითხის შესახებ საერთო კამათი წინათ იყო. მაშინ გამოვთქვით და დავასაბუთეთ ჩვენი შეხედულება. ეხლა კი მხოლოდ იმ დებულებებს წამოვაყენებთ, რომლებშიც არ ვეთანხმებით კომისიის პროექტს.

მთავარი განსხვავება მთავრობის თავმჯდომარის შესახებ მუხლში, ამას ჩვენ ვიღებთ, მაგრამ ამასთანავე ერთად რესპუბლიკას უნდა ჰყავდეს თავისი უმაღლესი წარმომადგენელი. მაგრამ რომ ასეთი წარმომადგენელი მთავრობის გარეშე იდგეს, ანუ სხვანაირათ, პრეზიდენტული სისტემა ჩვენთვის მიუღებელია, იმიტომ რომ აქ არის პერსონალური მართვა-გამგეობა, ჩვენში კი, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნდა იყვეს ხალხის მართვა-გამგეობა. ასეთ მმართველობის დროს შესაძლებელია უფრო მეტი შეცდომების დაშვებაც

და აგრეთვე აქ უფრო მეტი ადგილი ეძლევა პიროვნების გამოჩენას. ამიტომ ჩვენ შემდეგ სისტემას ვაყენებთ: რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უნდა იყვეს ამავე დროს რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლათ, მაგრამ ის უნდა დარჩეს კოლეგიის წევრათაც. მან უნდა გაიზიაროს კოლეგიის აზრები და პარლამენტის შეხედულებანი. ამისათვის საჭიროა შემდეგნაირი კომბინაცია – კოლეგიის წევრი უნდა დარჩეს სახელმწიფოს წარმომადგენლათაც და მას ზოგიერთ შემთხვევებში უნდა მიეცეს განსაზღვრული ნაბიჯების გადადგმის უფლება – ჯარის გამოწვევისა და სხ. აქ კი არავითარი საფრთხე არ არსებობს, რადგანაც ის ამავე დროს კოლეგიის წევრი არის და არა ერთპიროვნული მმართველი. ჩვენ არ გვეშინიან პრეზიდენტისა, მაგრამ ჩვენ არ გვინდა მივცეთ ერთ პიროვნებას ისეთი უფლებები, რომლებიც შეიძლება გახდნენ სერიოზულ საფრთხეთ რესპუბლიკისათვის.

ამიტომ ვიღებთ ჩვენ შეთავსების პრინციპს რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლის და მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობისას ერთ პიროვნებაში, რომელიც კოლეგიის წევრია და რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

შემდეგი საკითხი – არის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. კონსტიტუციის პროექტის ძალით, როგორც მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე, მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, მაგრამ იქ არ არის აღნიშნული ვადა. ჩვენის აზრით, ის უნდა იქნეს აღნიშნული ერთი წლით და აი, ამ დროს განმავლობაში ის ვალდებული უნდა იყვეს შეასრულოს თავის ამომრჩეველთა ნებისყოფა. მას არ უნდა შეეძლოს თავის თანამდებობისგან წასვლა იმის გამო, რომ ის არ ეთანხმება პარლამენტის დადგენილებას. სწორეთ ამაში მდგომარეობს მთავრობის მუდმივობის პირობა. ამით აცილებული იქნება ისეთი პარლამენტალური კრიზისი, რომელსაც ჰქონდა ადგილი – მაგ. ადერბეიჯანში. მაშასადამე, მთავრობის თავმჯდომარე ემორჩილება პარლამენტს და ეს იშვიათი შემთხვევა არის. სამაგიეროთ, მინისტრები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი პარლამენტის წინაშე; მათ აქვთ მინიჭებული განსაზღვრული უფლებები – თითოეულს თავის სფეროში, ისინი იქ დამოუკიდებლათ მოქმედებე და ისინი უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი პარლამენტის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მოღვაწეობა არასასურველი იქნება. რაც უფრო კარგათ გაატარებს ის თავის საქმიანობას – მით უფრო კარგი, თუ ცუდათ მაშინ მას დაიწუნებს პარლამენტი.

აქ ერთმანეთში შეზავებული არის ორი პრინციპი – პასუხისმგებლობისა და მორჩილებისა. მათ შორის სრული შეგუებაა, და ეს კონსტიტუცია ეთანხმება იმ პრაქტიკას, რომელიც გვქონდა ჩვენ და რომელსაც აქამდის ვატარებდით; ამას კი სხვათა შორის გვიკარნახებენ ჩვენი საგარეო მდგომარეობა. რასაკვირველია, შეიძლებოდა მიგვეღო არა პოლიტიკურად პასუხისმგებელი მთავრობა, როგორც ეს მაგ. შვეიცარიაში, მაგრამ საქართველოს განსაკუთრებულ პოლიტიკურ პირობებში მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა აუცილებებლია. ამიტომ ვარჩიეთ ასთი შეგუება და მორჩილების და პასუხისმგებლობის პრინციპებისა.

მაშასადამე მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც ჰქმნის პოლიტიკას და მიმართულებას აძლევს მას, – ე. ი. პარლამენტს, მინისტრები კი, რომლებსაც მთავრობის თავმჯდომარე ჰნიშნავს – პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე.

დანარჩენში ჩვენ ვეთანხმებით კონსტიტუციის პროექტს. მხოლოდ ერთი შესწორება კიდევ გვინდა შევიტანოთ – ესაა ვადა არჩევისა. პროექტში ეს არ არის აღნიშნული, მაგრამ, ალბათ, იგულისხმება ვადა პარლამენტისა. პარლამენტის გადარჩევასთან ერთად უნდა მოხდეს მთავრობის თავმჯდომარეც? მაგრამ ეს არ არის მისაღები: მთავრობის თავმჯდომარე უნდა იქნეს არჩეულ წელიწადში ერთხელ და რაკი ჩვენში არ არის ბევრი ღირსეული პირი, ამიტომ უნდა შეიძლებოდეს მთავრობის თავმჯდომარის გადარჩევა ზედიზედ.

გიორგი გვაზავა (ს. დ.) აღნიშნავს, რომ უფრო მიზანშეწონილია პრეზიდენტების სისტემა. პრეზიდენტი აირჩევა ხალხის მიერ და უკანასკნელი ჰნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც შეასდგენს თავის კაბინეტს. ამ შემთხვევაში პარლამენტი თვალყურს ადევნებს მთავრობის ყოველივე ნაბიჯს.

გრიგოლ რცხილაძე (ს. ფ.) იცავს პროექტს, რომელიც წარმოადგინა საკონსტიტუციო კომისიამ; ეს პროექტი მისი აზრით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე სხვა სისტემები.

სერგო ჯაფარიძე (მომხ.): იცავს კომისიის სახელით მის პროექტს.

კამათის დასრულების შემდეგ – დამფუძნებელი კრება ღებულობს წინადადებას – გადავიდეს ამ თავის მუხლობრივ განხილვაზე.

სამსონ დადიანი აკეთებს მოხსენებას კონსტიტუციის მე-6 თავის სასამართლოს შესახებ.

მოხსენება არ იწვევს კამათს. დამფუძნებელი კრება იღებს მას და გადადის მის მუხლობრივ განხილვაზე.

გაზ. „ერთობა“ № 36. 16 თებერვალი,1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მეათე (90)

1921 წ. იანვრის 30. შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი:

I. მუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის პროექტის მეორე თავისა.
კომისია და მომხსენებელი: საკონსტიტუციო კომისია. პავლე საყვარელიძე.

განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის.

განსახილველია მე-7 თავი: სახელმწიფო ფინანსები.
კომისია და მომხსენებელი: საკონსტიტუციო კომისია. ივანე გომართელი.

ცალკე თავების მომხსენებელნი არიან:
თავი 8 კონტროლი, – გიორგი გვაზავა;
თავი 9 სახელმწიფო თავდაცვა, – სპირიდონ კედია;
თავი 10 ადგილობრივი თვითმმართველობა, – მელიტონ რუსია;
თავი 11 ავტონომიური მმართველობა;
თავი 12 სწავლა – განათლება და სკოლა, – ლეო ნათაძე;
თავი 13 სოციალ – ეკონომიური უფლება;
თავი 14 ეროვნულ უმცირესობათა უფლება, – ლეო ნათაძე;
თავი 15 სახელმწიფო მოხელენი, – კონსტანტინე ჯაფარიძე;
თავი 16 სახელმწიფო და ეკლესია, – იესე ბარათაშვილი;
თავი 17 კონსტიტუციის გადასინჯვა, – პავლე საყვარელიძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 836. ფ. 144.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება.

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეათე (90)

1921 წ. იანვრის 30 -ს. დილის 11 საათ.

დღიური წესრიგი:
საკანონმდებლო აქტის სახელწოდება.

1. დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის ბონის 800 მილიონ. მანეთის ემისიისა და ბონის ათასმანეთიანი კუპიურის შემოღებისა.
კომისია და მომხსენებელი: საბიუჯეტო-საფინანსო. – სვიმონ მდივანი.

2. კავკასიის კომისარიატის 1918 წლის თებერვლის 23-ს დადგენილების შეცვლის დეკრეტის გამო. – კომისია და მომხსენებელი: აგრარული კომისია. – კირილე ნინიძე.

3. დეკრეტი – ბათომ – ნატანების რკინის გზის ნაწილის 1919-1920 წწ. საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად 7.167.350 მან. და სახაზინო რკინისგზის საერთო ხარჯთაღრიცხვის დამატებად 968. 193 მან. გადადებისა. – საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – გრიგოლ ურატაძე.

4. დეკრეტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში საპროპაგანდო კომისიის საჭიროებისათვის 1.000.000 მან. გადადებისა. – საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – იოსებ სალაყაია; საპროპაგანდო კომისია – გრიგოლ ურატაძე.

5. პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა – ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ. – საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – ნ. ონიაშვილი.

6. პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა – შრომის ხელშეკრულობის შესახებ. – შრომ. კომ. – ი. ფირცხალაიშვილი.

7. დეკრეტი – სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციისათვის ქაღალდის შესაძენად 24.000.000 მან. გადადებისა. – საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – იოსებ სალაყაია.

8. პროექტი დადგენილებისა – დამოუკიდებლობის ფონდის შექმნისათვის საყოველთავო ხელისმომწერის გამოცხადების შესახებ.

9. შეკითხვა – დამფუძნებელი კრების წევრის გრიგოლ ვეშაპელისა – მთავრობისადმი აფხაზეთში თამბაქოს მონოპოლიის განხორციელების შესახებ.

10. შეკითხვა – დამფუძნებელი კრების წევრის გრიგოლ ვეშაპელისა – მთავრობისადმი აფხაზეთში ქვეშევრდომების კანონის გატარების შესახებ.
დამატება.

11. დეკრეტი – სახალხო გვარდიის შესანახად ყოველთვიურად 15.000.000 მან. გადადებისა. – სამხედრო კომისია. ვ. მ. – ვალიკო ჯუღელი; საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. – სვიმონ მდივანი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 836. ფ. 133.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება.

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეათე (90)

1921 წ. იანვრის 30-ს.

საქართველოს იურიდიული ცნობა დამფუძნებელ კრებაში.

30 იანვარს დამფუძნებელი კრების მორიგი სხდომა გაიხსნა ნაშუადღევის 1 საათ. დღის წესრიგში კონსტიტუციის განხილვა. თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

ივანე გომართელი მოხსენებას აკეთებს კონსტიტუციის მე-7 თავის (ფინანსების) შესახებ.

სხდომა ჩვეულებრივად მიმდინარეობს. მოხსენება დაახლოვებით 40 წ. გაგრძელდა. ამ დროს დამფუძნებელი კრების კულუარებში უკვე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ეს-ეს არის იტალიის მისიის წარმომადგენლებმა მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორის მიერ გამოგზავნილი რადიოდეპეშა გადასცა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მიერ იურიდიულად ცნობის შესახებო. ივანე გომართელის მოხსენების შემდეგ სიტყვა ეძლევა განცხადებისათვის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას.

მთავრობის განცხადება

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (დამფუძნებელი კრება მის ტრიბუნაზე ასვლას მხურვალე ტაშით ხვდება).

ნოე ჟორდანია: მოქალაქენო,

მომეცით ნება მოგილოცოთ ის ამბავი, რომელიც ახლა მივიღეთ.

ჩვენ გვატყობინებს ევგენი გეგეჭკორი იტალიის მისიის საშვალებით, რომ ამ თვის 27-ს უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველო იურიდიულად.

(ტაში, ოვაციები, ისმის ხმები; „ვაშა".)

ამ აქტით იშვა ახალი სახელმწიფო კაცობრიობის წყვდიადში, ეს ახალი სახელმწიფო არის ჩვენი სახელმწიფო (ტაში.)

ჩვენ აქამდის თვითონ ვთვლიდით ჩვენს თავს სახელმწიფოდ, ჩვენ თავს თვითონ ვაღიარებდით სუვერენულ და დამოუკიდებელ ერთეულად; ამიერიდან კი, ამ ჩვენ აზრს, დებულებას, რომელიც ჩვენ ვაღიარეთ ამ სამი წლის წინად, დაეთანხმნენ მოწინავე სახელმწიფოები და ამით ჩვენ შევედით საკაცობრიო ოჯახში, როგორც სრულწლოვანი და სრულუფლებიანი სახელმწიფო სრულუფლებიან სახელმწიფოთა შორის. ჩვენ ამიერიდან არ გვეშინია არავითარი საფრთხის, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფოდ ცნობა არის აქტი არა წუთიერი, არამედ – არის აქტი მუდმივი.

თქვენ იცით, რომ ბელგია იქმნა დაპყრობილი, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ბელგია, როგორც სახელმწიფო, არ იქნება აღდგენილი. (ტაში) იმ ჩვენ გართულებულ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ეს ჩვენი იურიდიული ცნობა უდრის უდიდესს დახმარებას და აი, უნდა ვუძღვნა სალამი და გულითადი მადლობა გამოვუცხადო იმ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელთაც აი ახლა, ამ აქტით, ჩვენ ხელი გამოგვიწოდეს და ჩვენს მდგომარეობაში აგვამაღლეს. ვუძღვნი მადლობას ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს (ტაში და ხანგრძლივი ოვაციები იტალიის მისიის მიმართ).

აგრეთვე მადლობა უნდა ვუძღვნა ამ სახელმწიფოთა აქაურ წარმომადგენლებს, რომელთაც, ჩვენ ვიცით, დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში და აქედან ამ აქტის სასარგებლოდ აწვდიან იქ ცნობებს და ერთნაირად ეწეოდნენ პროპაგანდას თავის ოფიციალურ წრეებში. ამ საქმეში მიიღეს

მონაწილეობა აქ მყოფმა პოლკოვნიკმა სტოქსმა, შევალიემ და იტალიის მისიამ. (ტაში).

დღეიდან ჩვენ გვმართებს, რასაკვირველია, უფრო მეტი გაორკეცებული მუშაობა, სიმაგრე და ერთი ფრონტის შექმნა ყოველგვარ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ, და ეხლა კიდევ უფრო გვმართებს დავაჩქაროთ ჩვენი მუშაობა აი, აქ, დღეს წარმოებული და მივიღოთ რაც შეიძლება ადრე კონსტიტუციონური სახეც. ამიტომ მე მგონია, რომ ჩვენ დღეიდან შეგვიძლია უფრო გულდამშვიდებით, უფრო მუყაითად ვიშრომოთ და მოვუწოდოთ ყოველ ჩვენ თანამშრომელთ, ყველა იმათ, ვინც აქტიურად იღებს მონაწილეობას ჩვენს სახელმწიფოს აშენებაში და აგრეთვე მთელ ჩვენ ხალხს, რომ ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოსადმი ნდობა და მისი ყველა სახელმწიფოების მიერ აღიარება, როგორც სრულუფლებიან სახელმწიფოსი, გავამართლოთ ჩვენი მუშაობით და ჩვენი სიმტკიცით. (ტაში და ოვაციები).

ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვა

ალექსანდრე ლომთათიძე: მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ჩვენ ხალხს, ჩვენ ერს აუსრულდა მოლოდინი. მას ჰქონდა უფლება, რომ ასეთი ამბავი მოსვლოდა ევროპიდან, როგორც თქვენ აქ მთავრობის თავმჯდომარემ მოგახსენათ. ჩვენმა ერმა იცოდა, რომ მისი დაუღალავი ბრძოლა ამ უდიდესი გამარჯვებით დამთავრდებოდა.

დღეს, მოქალაქენო, როდესაც ეს ამბავი გადაგორდება ჩვენ ხალხში, არ დარჩება არც ერთი, ვისაც კი უყვარს თავისუფალი სამშობლო, თავისუფალი საქართველო, რომელიც თავის გულითად მადლობას და სალამს არ გაუგზავნის იმ ხალხთ და სახელმწიფოთ, რომელთაც უდიდესი დახმარება გაგვიწიეს ჩვენ ამ გამარჯვების მოპოვებაში.

ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი, საქვეყნოთ აცხადებს, რომ ის პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც ეკისრება მას ამ საერთაშორისო ხასიათის აქტით, რომელიც თქვენ აქ მოგხსენდათ.

ჩვენი ხალხი დაუღალავათ იშრომებს და იმუშავებს, რომ აიყვავოს, გააძლიეროს, დაიცვას მტრისგან თავის თავისუფალი სამშობლო და ევროპის ხალხებთან ერთად საკაცობრიო იდეალების გზაზე ძლევამოსილად იაროს. ნება მომეცით, ბატონებო, რომ დამფუძნებელი კრების და მაშასადამე, მთელი ერის სახელით მადლობა გამოვუცხადო ყველა იმათ, ვინც დაეხმარა ქართველ ერს ამ უდიდესი გამარჯვების მოპოვებაში და უპირველესად ყოვლისა და უმთავრესად, რასაკვირველია, ინგლისს და მის ხალხს, საფრანგეთს და მის ხალხს, იტალიას და მის ხალხს.

გაუმარჯოს მათ!

(მქუხარე ტაში და ხანგრძლივი ოვაციები უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისადმი).

გაუმარჯოს იმ პატარა ქვეყანას, რომელიც დღეიდან დაამშვენებს დიდ ევროპის დიდ ქვეყნებს თავის დაუღალავი შრომით, მუშაობით, ნიჭით და უნარიანობით.

(ტაში და ოვაციები).

ჩვენი სალამი არ შეიძლება ამ ტრიბუნიდან ამ დიდებულ ჟამს არ მიუძღვნათ ჩვენ შეიარაღებულ ძალას – გვარდიას და ჯარს.

(ტაში, ოვაციები და ვაშას ძახილით ფარავენ თავმჯდომარის სიტყვას).

სალამი ჯარსა და გვარდიას!

სხდომის დახურვის წინ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ნოე ხომერიკს წინადადება შეაქვს, რომ დამფუძნებელი კრების სახელით მისალმების დეპეშა გაეგზავნოს ჯარსა და გვარდიას, რაც ერთსულოვანი ტაშით იქნა დაფარული.

ამის შემდეგ დეპუტატები, მთავრობის წევრები და სხდომაზე დამსწრე საზოგადოება დამფუძნებელი კრების დარბაზიდან აღფრთოვანებული გამოიშალენ ეროვნული ჰიმნის გალობით – ქუჩებში.

ქუჩებში ამ დროს ცივი ქარი ჰქროდა და ნელ-ნელა თოვდა კიდეც. დამფუძნებელი კრებიდან დაწყებული მანიფესტაცია ქუჩაში მოსიარულეთათვის მოულოდნელი ამბავი იყო. მანიფესტაცია რუსთაველის პროსპექტით გაემართა მთავრობის სახლისკენ.

პირველი მიტინგი გაიმართა მუშათა სახლის წინ. ილაპარაკეს გიორგი ლასხიშვილმა და სამსონ დადიანმა.

მთავრობის სახლის წინ დიდძალი საზოგადოება შეგროვდა, სახლები და მაღაზიები უკვე შეემკოთ დროშებით.

აქ ილაპარაკა პავლე საყვარელიძემ. აქედან მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია დაიძრა უკანვე, დამფუძნებელი კრებისკენ. სასახლის წინ მოედანი ხალხით გაიჭედა. ქუჩებში გამოჩნდნენ სახალხო გვარდიის ცხენოსანი და ქვეითი ნაწილები, ჯარის ნაწილები მუსიკით, მუშების ჯგუფი – წითელი დროშებით.

სასახლის წინ სიტყვა დაიწყო სამსონ დადიანმა. ცოტა ხნის შემდეგ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის აივანზე გამოჩნდნენ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები ალექსანდრე ლომთათიძე და ექვთიმე თაყაიშვილი, მთავრობის წევრები: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე და სხ. ხალხში გაისმა მძლავრი „ვაშა“-ს ძახილი, რასაც მოყვა ხანგრძლივი ტაში.

სამსონ დადიანის სიტყვის დამთავრების შემდეგ მთავრობის სახელით ლაპარაკობს ნოე რამიშვილი.

ნოე რამიშვილი: მოქალაქენო! მოგილოცავთ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ბრწყინვალე გამარჯვებას. ჩვენ, ვისაც ხალხის ნებისყოფამ მოგვანდო რესპუბლიკის მართვა – გამგეობა, მტკიცეთ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს გამარჯვება თავიდანვე უზრუნველყოფილი იყო. ამის თავდებს ჩვენ ვხედავდით ქართველი ერის თვითმოქმედებასა და

თვითშეგნებაში, მის საბოლოო გადაწყვეტილებაში – შეექმნა დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. დღეს ჩვენი დაუძინებელი და მოსისხლე მტრებიც ხედავენ და დარწმუნდებიან, რომ საქართველოს ხალხის მიერ შექმნილი სახელმწიფოს წაქცევა გარეშე თავდასხმით შესაძლებელი საქმეცაა. ამის თავდებია ჩვენი სამხედრო ძალა, ჯარი, სახალხო გვარდია, რომელიც შექმნა ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა დემოკრატიამ და რომელიც რკალივით არტყია ჩვენს რესპუბლიკას და ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ გადმოლახავს ქართველი ერის შვილთა მიერ შემოკალთებულ საზღვრებს.

მოქალაქენო! ჩვენი მტრები იმედოვნებდნენ და ეს იმედი ალბათ ჯერაც არ დაუკარგავთ, რომ ისინი შესძლებენ საქართველოს რესპუბლიკის შიგნიდან აფეთქებას, ჩვენი ოფლითა და სისხლით შექმნილ სახელმწიფო წყობილების დაფუშვას. ისინი იმედოვნებენ, რომ მრავალი დაბრკოლება, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, ჩვენს სახელმწიფოს შეარყევს. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენი გამარჯვება ამ შინაურ დაბრკოლებათა დასაძლევათაც სავსებით უზრუნველყოფილია. ამის თავდებია ჩვენი გათვითცნობიერებული ხალხი, რომელსაც შეცდომაში ვერავითარი მტერი ვერ შეიყვანს და რომელიც ნაცადი გზით განაგრძობს მტკიცე სახელმწიფო ორგანიზმის აგებას.

მოქალაქენო! სამი წელიც არ გასულა, რაც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო მოეწყო. ამ ვადაში საძნელოა ოჯახის მოწყობაც კი და რაღა უნდა ითქვას რთულ სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწესრიგებაზე. მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა მოიპოვა არა ერთი და ორი გამარჯვება ამ მცირე ხნის განმავლობაში და ის სრული იმედით შესცქერის მომავალს. ის ჩვენთან ერთად დარწმუნებულია, რომ მისი მომავალი უზრუნველყოფილია, რომ მტერთა ოინები ჩაფუშულია, რომ ძლევამოსილი ჯარისა და სახელოვანი გვარდიის წყალობით მისი საზღვრების დაცვა უზრუნველყოფილია და ჩაყრილია მტკიცე საფუძველი შინაური ცხოვრების მოსაწესრიგებლად და ბედნიერების სამეფოს ასაგებად.

მოგილოცავთ მთავრობის სახელით ბრწყინვალე გამარჯვებას და გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს განვითარება და მომავალი მრავალ ასეთ გამარჯვებას გვიქადის.

(ხანგრძლივი ტაში და „ვაშა“.)

ხალხი მოითხოვს ნოე ჟორდანიას ტაშითა და „ვაშა“-სს ძახილით. ნოე ჟორდანიას აივანზე გამოსვლა და რამოდენიმე ათასი კაცის გულიდან ამოხეთქილი „ვაშა“ მძლავრი ტაშით, – ერთი იყო.

ნოე ჟორდანია მოკლე სიტყვაში მიულოცავს დამსწრეთ საქართველოს იურიდიულ ცნობას და უსურვებს ისე მედგრად დაეცვას ჩვენს ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც დღემდე იცავდა მას და დასძენს, რომ ის გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ დღეიდან საქართველოს დამოუ-

კიდებლობისა, სწორი გზაა და ამავე გზით წასვლა მიგვიყვანს ახალ და ახალ გამარჯვებამდეო.

ალექსანდრე ლომთათიძე დამფუძნებელი კრების სახელით მიულოცავს დამსწრეთ საქართველოს შეიარაღებულ ძალას – ჯარსა და გვარდიას. მიტინგი გრძელდება...

ლაპარაკობს პავლე საყვარელიძე. ის წინადადებას იძლევა წავიდნენ უცხო სახელმწიფოთა მისიების წინაშე მანიფესტაციების გასამართავად.

შემდეგ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ისიდორე რამიშვილმა და მიტინგიც დაიძრა მისიებისკენ, უცხო სახელმწიფოთა მისიებისაკენ. დამფუძნებელი კრებისა და განოვის* ქუჩები ხალხით გაიჭედა. სახლების აივნებიდან და ღია ფანჯრებიდან მანიფესტაციას „ვაშა“-ს ძახილით და ტაშით ეგებებიან:

პირველად მანიფესტაცია შეჩერდა საფრანგეთის უმაღლეს კომისარ ბატონ შევალიეს ბინის წინ, სერგიევის** ქუჩაზე. აქ ბ. შევალიემ აივნიდან უსურვა „საქართველოს გამარჯვება“ და სხ.

როცა სერგიევის ქუჩიდან მანიფესტაცია სოლოლაკის ქუჩას მიადგა, თავისუფლების მოედნიდან უკვე მოვიდა სახალხო გვარდიის ქვეითა ნაწილი სრული შეიარაღებითა და მუსიკით. პასკევიჩის ქუჩაზე საფრანგეთის მისია მორთული იყო როგორც თავისი, ისე საქართველოს დროშებით. მთელი მისია აივანზე გამოვიდა. მისიას მანიფესტაცია შეეგება „გაუმარჯოს საფრანგეთს“ ძახილით და მარსელიეზას სიმღერით.

საფრანგეთის წარმომადგენელმა საქართველოს ეროვნულ დროშის ხელში აღებით ანიშნა მანიფესტანტებს „საქართველოს გამარჯვება“.

გერმანიის მისიის წინ მანიფესტაცია შეჩერდა, ვიდრე ულრიხ რაუშერი აივანზე გამოვიდოდა. „ვაშა“-მ და „გაუმარჯოს გერმანიას“ ძახილმა მოიცო ახლო ქუჩები.

ბატონმა რაუშერმა მოკლე სიტყვაში უსურვა საქართველოს გამარჯვება და სხ.

საპასუხო სიტყვაში გრიგოლ ალშიბაიამ უსურვა გამარჯვება აგრეთვე გერმანიას, რომელმაც პირველად იცნო საქართველო იურიდიულად.

* ქუჩის სწორი სახელია „გან“-ის ქუჩა (რუს. „Гановская“) (დღევანდელი გალ. ტაბიძის ქუჩა). გან, პავლე ვასილის ძე, სენატორი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავმჯდომარე ხელმწიფე იმპერატორის მიერ დაფუძნებული კომისიისა, რომელსაც დაევალა შეედგინა დებულება ამიერკავკასიის მხარის მართვის შესახებ. ამ დებულების ავტორი. ჩამოვიდა თბილისში 1837 წლის 19 ივლისს.

** ქუჩის სწორი სახელია „სერგის“ ქუჩა (რუს. „Сергиевская“), სრულად – „დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის ქუჩა“ (დღევანდელი ივ. მაჩაბლის ქუჩა). დიდი მთავარის სერგი ალექსანდრეს ძე, იმპერატორს ალექსანდრე II-ს მეხუთე ვაჟი. მოსკოვის გენერალ – გუბერნატორი. მოკლული ტერორისტ ივან კალიაევის მიერ 1905 წლის 4 თებერვალს, ქ. მოსკოვში.

როცა მანიფესტაცია აქედან ერმოლოვის ქუჩით დაეშვა რუსთაველის პროსპექტისაკენ, პეტრე დიდის ქუჩით გვარდიის ქვეითი და ცხენოსანი ნაწილები მიდიოდნენ გერმანიის მისიისაკენ საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის წინ;

სადაც ნოე ჟორდანია სცხოვრობს, მანიფესტაცია შეჩერდა და აივანზე გამოსულ ნოე ჟორდანიას ტაშითა და „ვაშათი“ შეეგება, ტაშითა და „ვაშათი“ იქნა აგრეთვე გატარებული გვარდიის ნაწილები ისევ დამფუძნებელი კრების წინ. აქედან მანიფესტაცია ისევ სასახლის წინ დაბრუნდა. ამ დროს ქუჩაში უკვე ჩამწკრივებული იყო ჯარის სხვადასხვა ნაწილები.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის აივნიდან ლაპარაკობდა ალექსანდრე ლომთათიძე. მიუხედავად იმისა, საკმაოდ ცივოდა და ხშირი თოვლიც მოდიოდა, ხალხი მრავლად გამოფენილიყო ქუჩებში ჯარის პარადი.

დამფუძნებელი კრების წინ ჩამწკრივებული ჯარის ნაწილების პარადი სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებთან ერთად მიიღო სამხედრო მინისტრმა პარმენ ჭიჭინაძემ, რის შემდეგ ჯარისა და გვარდიის ნაწილები წავიდ-წამოვიდნენ.

საღამოს დაახლოებით 5 საათზე სამხედრო სასწავლებლიდან გამოსული იუნკერები ვერის დაღმართითა და რუსთაველის პროსპექტით გაემართენ დამფუძნებელი კრების, მთავრობის თავმჯდომარის და უცხო სახელმწიფოთა მისიების ბინებისაკენ თეატრებში. სახელმწიფო დრამის თეატრში მუშათა წარმოდგენაზე („ბერდო ზმანია“) სიტყვა წარმოსთქვა ივანე გომართელმა, სახელმწიფო ოპერის თეატრში – ალექსანდრე წუწუნავამ. აქ ორკესტრმა შეასრულა როგორც საქართველოს, ისე სხვადასხვა სახელმწიფოთა ეროვნული ჰიმნები. საერთოდ ღამით ქუჩებში, სახლებში, კაფეებში და სხვა ადგილებში დიდხანს გრძელდებოდა სასიხარულო ცნობით გამოწვეული აღფრთოვანება და მხიარულება.

გაზ. „ერთობა“, №23. 1 თებერვალი, 1921 წ.

სალამი ჯარსა და გვარდიას დამფუძნებელი კრებიდან

სამხედრო მინისტრს

ასლი მთავარ სარდალს

გთხოვთ დაუყოვნებლივ გადასცეთ ჯარსა და გვარდიას: უდიდესი სიხარულით აღსავსე დამფუძნებელი კრება მოგილოცავთ თქვენ, ჩვენი ქვეყნის ერთგულნო დარაჯნო, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მიერ. თქვენმა თავდადებამ და თქვენმა დაღვრილმა წმინდა სისხლმა მოუპოვა თქვენს სამშობლოს სრული თავისუფლება და ამიერიდან საქართველო შეიქმნა სრულუფლებიანი წევრი მსოფლიო სახელმწიფოთა დიდი ოჯახისა.

გაუმარჯოს ჩვენ სამშობლოს, გაუმარჯოს თქვენ შეუდრეკელ სიმწიფეს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე.

*

სამხედრო მინისტრისგან. საქართველოს რესპუბლიკის ჯარსა და გვარდიას.

გილოცავთ დიდად სასიხარულო ამბავს. იანვრის 27 უმაღლესმა საბჭომ ევროპის დიდი სახელმწიფოებისა იურიდიულად იცნო ჩვენი ნორჩი სახელმწიფო.

საქართველო ამიერიდან სრულუფლებიანი წევრია ძველ სახელმწიფოთა ოჯახის. აწიც ისე, როგორც აქამდის, მედგრათ დაიცავთ რესპუბლიკის საზღვარს გარეშე მტრისგან. გახსოვდეთ, რომ ჩვენ ამიერიდან მარტონი აღარ ვართ.

გაუმარჯოს ჩვენ სახელოვან ჯარს და გვარდიას. გაუმარჯოს ჩვენს დამოუკიდებელ, უფლებრივად ცნობილ სახელმწიფოს.

სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე.

*

უცხო სახელმწიფოთა მისიებში.

ჩერუტტის განცხადება.

საქართველოში მყოფმა იტალიის სრულუფლებიანმა მინისტრმა ჩერუტტიმ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს შემდეგი განუცხადა:

მე ბედნიერი ვარ, რომ მე და ჩემს მთავრობას ხვდა წილად ეცნობებია საქართველოს მთავრობისათვის შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა.

მივიღე რა რადიოთი გეგეჭკორის ეს ცნობა, მე დაუყოვნებლივ პირადად გადავეცი იგი მთავრობის თავმჯდომარეს და ვუსურვე საქართველოს რესპუბლიკას განვითარება და აყვავება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი იტალია სიხარულით შეხვდება საქართველოს იურიდიულათ ცნობის ამბავს, ვინაიდან იტალია დიდი ხანია, რაც საქართველოს განსაკუთრებული სიმპატიებით ეპყრობა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდულათ ცნობის შემდეგ საქართველოს ახლგაზრდა რესპუბლიკა ძლევამოსილათ გასწევს წინ პროგრესისაკენ და მშვიდობიან აღმშენებლობისათვის.

*

პოლონეთის მისიის სალამი.

საქართველოში მყოფმა პოლონეთის წარმომადგენელმა ვ. ოსტროვსკიმ მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშით მიმართა:

„გულითადი სიხარულით შევხვდი მთელი ქვეყნის მიერ თქვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იურიდულად ცნობის ამბავს. მიიღეთ ჩემგან პოლონეთის ხალხის სახელით გულწრფელი მოლოცვა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენის გამო. გისურვებთ თქვენ და თქვენი საუცხოვო ხელმძღვანელობით მთელ მოძმე ქართველ ხალხს, რათა საქართველოს სახელოვან ისტორიაში კაცობრიობის საკეთილდღეოდ კვლავ ჩაწერილიყოს საუცხოვო ფურცელი“.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა №

1921 წ. 1 თებერვალი

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

1. ივანე გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისთვის სასახლის სამეურნეო თანხის გასადიდებლად დამატებითი კრედიტის გადადებისა.

2. ზაქარია გურულის მოსენებით მიღებულ იქნა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ პროექტისა რადიო-ტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამატების შესახებ.

3. ვასილ ცაბაძე მოახსენებს დამფუძნებელ კრებას დეკრეტს გორის სამაზრო საბყრობილის შენობის შესაკეთებლად 1.764.462. მანეთის გადადების შესახებ, რის შესახებაც იმართება მცირე კამათი.

4. შალვა ქარუმიძე (გაერთიანებული დემოკრატიული პარტია) მოითხოვს ფრაქციათა წარმომადგენლებისგან განსაკუთრებულ კომისიის დანიშვნას იმის გამოსარკვევად, თუ რა გააკეთა გორის დამხმარე კომიტეტმა ორატორის აზრით უკანასკნელს არაფერი გაუკეთებია.

5. რაჟდენ არსენიძე (იუსტიციის მინისტრი) აცნობს დამფუძნებელ კრებას მოკლედ გორის დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობას ამ ერთი წლის განმავლობაში. იგი აცხადებს, რომ ვრცელ მოხსენებას ამის შესახებ დამფუძნებელ კრებას მოკლე მომავალში წარუდგენო.

6. ვასილ ცაბაძე (მომხსენებელი) უკანასკნელ საპასუხო სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ.

7. შემდეგ გრძელდება მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

მსჯელობაში მონაწილეობას იღებენ შალვა ქარუმიძე და გრიგოლ რცხილაძე (ს.-ფ.), რომლის სიტყვასაც ვრცლად შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 26. 4 თებერვალი, 1921 წ.

***

გრიგოლ რცხილაძის სიტყვა დამფუძნებელი კრების თებერვლის 1 სხდომაზე მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

გრიგოლ რცხილაძე: პატივცემულმა მთავრობის თავმჯდომარემ უკანასკნელ გამოსვლის დროს სთქვა, – ერთი ძველი აზრი არსებობს: ვითომც, რაც სახელმწიფოში არ ვარგა, ყველაფერი მთავრობის ბრალი იყოსო. მან ეს უარჰყო და განაცხადა: ისე მესმის, რომ ან მთავრობა თვით დღევანდელი შემადგენლობით არ კისრულობს პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ან მთავრობა ჰფიქრობს, რომ თავის თავად ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა თავის შინაგანი მიზეზებით არ არის შესაძლებელი ან მოსალოდნელი. სხვაგვარი ახსნა ამ განმარტებისა მე არ შემიძლია.

უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთი აზრი და არც მეორე სამართლიანად არ მიმაჩნია, მაგრამ არც ის მინდა ვთქვა, რომ მთავრობა პასუხის მგებელი არ არის ყველა იმისთვის, რაც სახელმწიფოში ჰხდება.

მე მინდა ძლიერი მთავრობა გვყავდეს, რადგან ამ ძლიერებაზე დამოკიდებულია. გრძნობა, რომ ის პასუხისმგებელია. სრულიად არ შემიძლიან შეუთანხმდე ისეთ შეხედულებას, როცა მთავრობა თვით მოქმედების პლიუსად ითვლის იმას, რაც სასარგებლო არის ქვეყნისათვის და პასუხისმგებლობას იმისთვის კი, რაც არ არის სასურველი, თავიდან იცილებდეს. გუშინწინ, როცა მთავრობამ ამცნო დეპუტატებს და შემდეგ ხალხს, ყველასთვის ახლად მიღებული სასიხარულო ცნობა, თან დაამატა: ეს მაჩვენებელი არის იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორი არისო.

როგორც ჰხედავთ, როცა საქმე ეხება ისეთ რამეს, რაც არ ვარგა, მაშინ მთავრობა თავის თავს პასუხისმგებლად არა სთვლის, ეს არ არის დამოკიდებული მთავრობაზეო. მაგრამ, როცა ჩვენი ქვეყნისთვის სახეიროს რამეს დაადგენენ პარიზში ან ლონდონში, ეს ჩვენი პოლიტიკის სისწორის მაჩვენებელიაო (ხმაურობა).

მე საქმეს ისე უყურებ, როგორც უნდა უყურებდეს ყოველი ქართველი მოქალაქე, ისე, რომ ჩვენი მთავრობა პასუხის მგებელია ყოველივე იმისა, რაც ხდება ჩვენ ქვეყანაში. ამ პასუხისმგებლობის თავიდან ასაცდენად ხშირად იხსენიებენ იმას, რომ ჩვენ ბევრი ხარჯი გვაქვს გართულებულ საგარეო მდგომარეობის მიზეზითო. ეს დებულება ისეთ აქსიომად არის მიღებული, რომელსაც არავინ უყურებს კრიტიკულის თვალით.

რა თქმა უნდა, უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, სახელმწიფო რომ არ საჭიროებდეს შეიარაღებული ძალის შენახვას, მაგრამ ეს საჭიროება მარტო ჩვენ არ გვხდება. ეს დიდი ხნის ამბავია. ომის წინედ იმაზე ნაკლები ხალხი არ გვყოლია ჯარში, რაც ეხლა: უფრო მეტიც გვყავდა. რომ გადასინჯოთ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენ ჯარს ინახავენ სახელმწიფოები ომის წინად და შეუდაროთ იმას, თუ რამდენი გროვდება ჯარი. როცა ჩვენი მთავრობა აცხადებს მობილიზაციას, თქვენ ჰნახავთ, რომ რიცხვი იმ ხალხისა, რომელიც თოფ-ქვეშ გვყავს, ჩვენი მოსახლეობის ერთ პროცენტს არ აღემატება. ამიტომ სრულიად შემცდარია ის აზრი, რომ ისე გვქონდეს გართულებული მდგომარეობა, იმდენი ძალის შენახვა გვიხდებოდეს, რომ შეუძლებელი იყოს ნორმალური პირობების შექმნა.

ეს შემცდარი აზრია. მე მინდა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ხარჯი, რომელსაც ეწევიან, გამოწვეულია არა იმდენად თვითონ საქმის საჭიროებით, რამდენადაც იმით, რომ არ იციან, როგორ რას მოუარონ. (ხმაურობა. რეპლიკები არ ისმის). ისიც ხდება ხოლმე, რომ არ იციან რას ლაპარაკობენ. მე არ მინდა კონკრეტულ ფაქტებზე დავხურდავდე, მაგრამ სხვა გზა და გზა ზოგიერთ ფაქტებს მოგახსენებთ.

მე გეკითხებით, რამდენად შეამოკლებს ხარჯებს ორი შტაბის – გვარდიის და ჯარის შეერთება? გიანგარიშიათ თქვენ ეს როდისმე? ამის დეტალური ანგარიშები გიჩვენებდათ, რომ ჩვენ ორჯელ-სამჯერ მეტს ხარჯს ვეწევით და ყველგან რომ ასეთი ხარჯები შევამციროთ, დაინახავთ, რომ არც ასე ღარიბი ქვეყანა ვყოფილვართ, რომ ჩვენ საჭიროებანი ვერ დავაკმაყოფილოთ. ეს მხოლოდ ერთი პატარა მაგალითია, ასეთი მაგალითები აუარებელია.

მეორე საყვედური, რომელიც ჩვენ გავიგონეთ მთავრობის თავმჯდომარისაგან იყო ის, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს ცალკე ინციდენტები, კრიტიკა კი მთავრობის მოქმედებისა არ ყოფილაო. მე ამ ინციდენტების აღნიშვნა ისე მესმოდა, რომ ამის საშუალებით ერთგვარი ილუსტრაცია უნდოდა გაეკეთებინა იმისა, რაც გვაკლია. ჩემის აზრით, ზოგიერთი კერძო შემთხვევა მეტად საგულისხმიერო იყო და მთავრობას უნდა ეგრძნო, რას უწონებენ მას და ამაზე უნდა გაეცა პასუხი, მარგამ სამწუხაროდ, ეს პასუხი ვერ გავიგონეთ და პირიქით დავინახეთ დადასტურება იმისა, რაც უსაყვედურეს: რომ ჩვენ მთავრობას თავის მოვალეობად არ მიაჩნია სახელმწიფოში უფლებრივ წეს-რიგის დაცვა. იმისთვის იყო აქ დასახელებული რამდენიმე მაგალითი უფრო მეტიც, ვიდრე საჭირო იყო, რომ მთავ-

რობას ეს საყვედური გაეგო. მიუხედავად იმისა, მთავრობის წევრებმა თვის განმარტებით არამც თუ გააბათილეს, არამედ დაამტკიცეს, რომ მართლა არ არის იგი დამცველი სახელმწიფოში უფლებრივ წეს-რიგისა.

თქვენ მოისმინეთ განცხადება ბატონ ერაძისა, რომელიც ხანგრძლივად ლაპარაკობდა. ბ. ერაძე ბრძანებს, რომ ის რომ ჩაუდგეს საქმეს, მის წინაშე აიმართა საკითხი: როგორ იმოქმედოს: პარლამენტარულად თუ რევოლუციონურად?

რას ჰნიშნავს ეს?

იმისივე განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, თუ როგორ უნდა ემოქმედნა: უნდა შემოსულიყო თვის გეგმების წინ და წინ დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად, თუ უნდა ემოქმედნა დამფუძნებელ კრების გარეშე.

მისი პასუხი ამაზე ის იყო, რომ უნდა ემოქმედნა რევოლუციურად.

ჩვენ გვყავს რევოლუციონური მთავრობა, და როცა რევოლუციონური მთავრობაა, ამ დროს რევოლუციონურად მოქმედება ჰხდება რეაქციონურ მოქმედებად.

მოქმედება შეიძლება იყოს რევოლუციონური შინაარსით და მოქმედების მეთოდით. როცა ქვეყანას რევოლიციონური მთავრობა განაგებს, მაშინ რევოლუციონურ მეთოდით მოქმედება ჩვენის აზრით ჰნიშნავს რევოლუციის უარყოფას.

(თედო ღლონტი: მართალია!)

უფრო საინტერესო იყო ჩემის აზრით და ამავე თვალსაზრისს უფრო ნათლად ამტკიცებდა იუსტიციის მინისტრის განცხადება ერთი შემთხვევის შესახებ. ეს იყო ის შემთხვევა, როცა მოხდა უთანხმოება ერთი თემისა და მთავრობის შუა კანონის შეუსრულებლობის გამო. მთავრობამ შეუთვალა თემს, კანონი აასრულეო. თემი პასუხს აძლევს: არ ვასრულებო; და ბოლოს მთავრობამ დაიწყო კომპრომისის ძებნა და იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ამას მოითხოვდა ის, რომ ადგილობრივ რაღაც საშინელება მომხდარიყო.

(შალვა ნუცუბიძე: ადგილობრივი – ეს რომელი გზა იყო – პარლამენტალური, თუ რევოლუციონური?)

ეს ის გზა იყო, რომელსაც ჩემის აზრით უმცირესი წინააღმდეგობის ხაზი ჰქვიან. საითკენაც უფრო ადვილი არის სიარული, იქით წავიდნენ. ეს ახასიათებს ჩვენ მთავრობას ბევრ საქმეში. აიღეთ სისტემა გადასახადებისა ან როგორ სწარმოებს შინაური საქმეები?! მაგრამ კერძოდ ამ შემთხვევაში მე მაინტერესებს ის, რომ ჩვენს კაბინეტს არ აღმოაჩნდა საკმაო სიმტკიცე უფლებრივ წეს-რიგის დასაცავად, ჯერ თვითონ მთავრობამ დაინახა საჭიროდ აღდგენა დარღვეულ წეს-რიგისა, მაგრამ ბოლოს დასთმო თავისი შეხედულება და შეურიგდა ამ წეს-რიგის დარღვევას.

უფრო მეტი – მე არ მინდა მაგალითებით აგავსოთ. მაგრამ არ შემიძლია ერთ გარემოებას თქვენი ყურადღება არ მივაქციო. დღემდე ჩვენ გვეგონა, საპირადო მოვალეობას გარეშე დამფუძნებელი კრებისა სხვა ვერავინ

გაუჩენდა ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეებს, მაგრამ დეკემბრის ათს ჩვენ წავიკითხეთ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის მიერ ხელმოწერილი დადგენილება იძულებით შრომის შესახებ. დეკემბრის ათს გამოიცა ეს დადგენილება. ამ დადგენილებით ერთგვარი პირადული მოვალეობა აქვს დაკისრებული მოქალაქეს. მე მაინტერესებს, თუ ჩვენში არსებობს უფლებრივი წეს-რიგი და მთავრობა მას იცავს, როგორც ხდება, რომ ეს მთავრობა გვერდს უქცევს ხალხის წარმომადგენლობას, დამფუძნებელ კრებას და თითონ ჰქმნის ახალ მოვალეობას?

ახლა ვნახოთ, როგორი შინაარსი აქვს ამ წესებს, ამ დადგენილებას.

(თედო ღლონტი: ეს კონტრრევოლუციონური გზაა!)

იმის ძალით გვარდიის შტაბს შეუძლია, ვისაც უნდა მოჰკიდოს ხელი ქუცაში და გაგზავნოს სამუშაოდ. ეს არის დაკანონება თვითნებობის. მე მოგახსენებთ, რომ ყოველ სახელმწიფოში აუცილებლად ფეხს იკიდებს თვითნებობა, თუ კი არ არის იქ დაცული უფლებრივი წეს-რიგი.

(თედო ღლონტი: მართალია!)

ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. ვიდრე თქვენ, დამფუძნებელი კრების უმრავლესობა, არ დადგებით უფლებრივ წეს-რიგის გზაზე, თვითნებობა იქნება ლეიტმოტივი თქვენი და თქვენი მთავრობის მოქმედებისა...

(სპირიდონ კედია: მართალია. ტაში; რეპლიკა კედიას მისამართით: გიხარიათ? ტაშს უკრავთ? სპირიდონ კედია: თქვენც დაგიკრავთ ტაშს, თუ სიმართლეს იტყვით.)

მე არ შემიძლია ერთი კომიკური მაგალითი არ მოგიყვანოთ: თქვენ იცით, თუ რა მწვავე საკითხია ბინის საკითხი. ბინების საქმის მოწესრიგება აქვს დავალებული აქ, ტფილისში თვითმართველობის საბინაო განყოფილებას.

ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის კაბინეტის პირდაპირ, აი დიდი შენობა რომ არის, ერთი ფართო ოთახი მიცემული აქვს ერთ ქათამს (სიცილი, ხმაურობა).

(სპირიდონ კედია: აგერ ვლასა მგელაძეს არა აქვს ოთახი. გრიგოლ ვეშაპელი: ვისია ის ოთახი? ხმაურობა).

ეს იმდენად საკვირველი ამბავია, რომ დაუჯერებლად გეჩვენებათ.

(ვეშაპელი. ალბად ერაძის კვერცხის საწყობია).

სწორედ იმიტომ, რომ ასე არ მოგჩვენებოდათ, ამ ფაქტის დასამოწმებლად მოვიწვიე ქალაქთა კავშირის ერთ ერთი წევრი და ვაჩვენე ის ფართო ოთახი, რომელშიც მოთავსებულია ის ერთად ერთი ქათამი.

(სიცილი და ხმაურობა; ხმები: ვისია ბინა და ქათამი?)

ბინა ქალაქთა კავშირისაა და მიუცია ოთახი ქათმისათვის.

(რეპლიკა: ქათამი ვისია? ვლასა მგელაძე: ქათამიც მიუვალი ხომ არ არის, არ შეიძლება გაამეოროთ?)

არ ვიცი (სიცილი და ხმაურობა).

თავმჯდომარე: გთხოვთ დაწყნარდეთ, მოუსმინეთ ორატორს.

ბატონებო! მე მოგახსენებთ სრულიად სერიოზულად, რომ როცა სახელ-

მწიფოში არ არის დაცული უფლებრივი წეს-რიგი და არ არსებობს გრძნობა პასუხისმგებლობისა, გრძნობა უფლებრიობისა, და მე მოგახსენებთ, რომ ეს პირობა არ არის ჩვენს სახელმწიფოში, მაშინ არც მთავრობის მოქმედებაში, არც საერთოდ მთელს ცხოვრებაში, აღარ არის უფლება, და მის მაგიერ ჩნდება თვითნებობა. ჩემის აზრით, აქედან წარმოსდგება მრავალი ჩვენი ნაკლოვანება, უწესოება და ურიგობა.

ამის ერთი მაგალითი მე დაგისახელეთ, თქვენ შეგიძლიათ აუარებელი მოიყვანოთ. აი ტფილისის ქუჩებში ნახავთ, რომ მოდის ურმები – ჰხვდებიან მეურმეს, ართმევენ, რაც მოაქვს, და გამკითხავი არ არის. ეს ფაქტია.

(ნოე რამიშვილი: ვინ ართმევენ?)

ჰკითხეთ თქვენს ადმინისტრაციას, თქვენ ყარაულებს. დამახასიათებელი ჩვენი ცხოვრებისა სწორედ ის არის, რომ ჩვენში უფლებრივი წეს-რიგის შეგნება არსებობს.

ეს ერთი მომენტი, რომელზედაც მინდოდა თქვენი ყურადღება მიმექცია.

ჩემის აზრით, მთავრობას ორი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი: ერთი – მოეხდინა ხალხის და ქვეყნის ორგანიზაცია ახალი პოლიტიკური პირობების მიხედვით უფლებრივ ფორმებში და უფლებრივი წეს-რიგის შექმნით; მეორე – მოეხდინა ხალხის და ქვეყნის ორგანიზაცია ეკონომიურ მთლიანობის შექმნით. ე.ი. მთავრობის წინაშე იყო ორი საქმე; 1. ორგანიზაცია ხალხის უფლებრივი წეს-რიგის განმტკიცებით და 2. ორგანიზაცია ხალხის ეკონომიკური მთლიანობის განვითარების, ეკონომიური პოლიტიკის გატარებით.

ჩვენს მთავრობას რომ ეს უფლებრივი წესრიგი არა სწამს, ეს ნათლად გამოირკვა მთავრობის ზოგიერთი წევრების აქ გამოსვლებიდან და ეს ახასიათებს ჩვენს ცხოვრებას, დაწყებული თავიდან თემებამდე.(!)

თუ მთავრობა არ შესცვლის ამ გეზს, ცხადია, ვერც სხვა მოსთხოვს უფლებრივ ნორმების დაცვას.

რაიც შეეხება მეორე საგანს ეკონომიურ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას, მე უნდა მოგახსენოთ, რომ აქაც ჩვენი მთავრობა იმ დონეზე არა სდგას, რომელიც მის და ქვეყნის მდგომარეობას შეეფერება. ამის შესახებ ჩვენ მოვისმინეთ ვრცელი სიტყვა პატივცემულ მთავრობის თავმჯდომარისა 17 იანვარს. მთავრობის თავმჯდომარემ დაუპირდაპირა ერთმანეთს ორი ეკონომიკური პოლიტიკა. მან სთქვა; ერთი თქვენი, მეორე ბოლშევიკებისო, ლიბერალური და ბოლშევიკურიო. არც ერთი და არც მეორე ჩვენ არ მოგვწონსო, ჩვენ გვაქვს მესამე – სოციალ-დემოკრატიული, მენშევიკური პოლიტიკაო.

მე უნდა მოგახსენოთ, რომ ის ლიბერალური პოლიტიკა, რომლის შესახებ ბატონი თავმჯდომარე აქ ლაპარაკობს, ნამდვილად მე-19 საუკუნის დასაწყისის შემდეგ აღარსად აღარ არის. ამ პოლიტიკას ახასიათებს სახელმწიფო პოლიტიკაში ჩაურევლობა. მე არ ვიცი, ვინ არის აქ ამის მომხრე.

(სპირიდონ კედია: არავინ!)

მაგრამ სხვა ქვეყნებში ამ პოლიტიკას მე-19 საუკუნის დასაწყისი შემდეგ მომხრე არა ჰყავს. ეს პოლიტიკა მკვდარია.

(ნოე ხომერიკი: ბრიუსელის კონფერეციამ რა დაადგინა?)

როგორ! ბრიუსელის კონფერენციამ ის დაადგინა, სახელმწიფო ნუ ჩაერევა ცხოვრებაშიო? კარგად გაგიგიათ ბრიუსელის კონფერენციის დადგენილება.

(ნოე ხომერიკი: თქვენ რომ გაიგეთ, მე გეკითხებით: რა დაადგინა ამ კონფერენციამ ვაჭრობის შესახებ?)

მე ეგზამენს არ ვიჭერ, რომ ყოველ კითხვაზე გიპასუხოთ.

ეს დაპირისპირება თავისუფალ ვაჭრობისა და ბოლშევიზმისა, რომელსაც მომხრე არავინა ჰყავს მოსკოვის გარეშე, გარდა კერძო პირებისა და ჯგუფებისა...

(ნოე ხომერიკი: თედო ამ აზრს იზიარებს თუ არა?)

თედოს შეგიძლიათ ჰკითხოთ და გიპასუხებთ. ეს დაპირისპირება ისეთი ბუნდოვანია რომ აქედან რაიმე დადებითი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია და ამიტომ აკი ვერც გამოიტანეთ ვერავითარი დასკვნა, გარდა იმისა, რომ სთქვეს, ჩვენი პოლიტიკა მენშევიკურიაო, რომელიც თხოულობს, რომ სახელმწიფო ჩაერიოს ქვეყნის საქმეშიო. მაგრამ ეს სადავო საკითხი არ არის, სადავო ის არის, თუ როგორ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ქვეყნის საქმეში. იქ კი არ თავდება საკითხი, სადაც ბატონი მთავრობის თავმჯდომარემ გაათავა, არა, იქ ის იწყება მხოლოდ, სწორედ ის უნდა გამორკვეულიყო, როგორ და რისთვის, და ამაზე კი პასუხი არ მიგვიღია.

მეორე აზრი, რომელიც მან განავითარა, იყო ის, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა გამომდინარეობს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობიდანო. ესეც იმისთანა დებულებაა, რომლის შესახებ დავა არვის არ შეუძლია, მაგრამ ესეც თავისთავად არაფერს არ ამბობს; რადგან იმისგან, რასაც ეკონომიური ცხოვრება წარმოადგენს, თავისთავად არავითარი ეკონომიური პოლიტიკა არ გამომდინარეობს. ამისათვის საჭიროა შეფასება ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობისა, მაგრამ როგორია მთავრობის შეფასება, ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, ეს ჩვენთვის არ უთქვამთ, ჩვენ გავიგეთ მხოლოდ, რომ ყოფილა ჩვენში საქონლის სიძვირე და სიცოტავე.

გაზ: „სახალხო საქმე“ № 1048, ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1921 წ.

II

ჩვენი ეკონომიური ცხოვრების შეფასებამ დაანახვა იმათ, ვისაც ვალად აწევს გაუწიოს ხელმძღვანელობა ეკონომიური პოლიტიკას და მაშასადამე,

ქვეყნის და ხალხის მთელ ეკონომიურ მოქმედებას, – საქონლის სიცოტავე და სიძვირე.

განა ამის მეტი ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებაში არაფერია დასანახი?! განა ეს არის შეფასება ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა?!

არც მთავრობის თავმჯდომარის სიტყვაში, არც მომარაგების მინისტრის სიტყვაში იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიურ ცხოვრებაში, ჩვენ პასუხი არ მიგვიღია. მე არ ვთვლი პასუხად იმ განცხადებას, რომ ჩვენ ვაწარმოებთ ვაჭრობას და ეს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არისო. ეს პასუხი არ არის. ეს არ არის ეკონომიური პოლიტიკა. თუ რომელიმე საქმის გამო მთავრობამ შეჰქმნა შემსყიდველთა აპარატი, ეს ეკონომიური პოლიტიკა არ არის...

(ხმა: აბა, რა არის?)

ეს არის ვაჭრობაში ჩარევა იმავე გზით და იმავე პრინციპით, რომელსაც კერძო პირები მისდევენ.

მე მოგახსენებთ, რომ ეკონომიურ პოლიტიკაში საჭიროა გადაწყდეს ჯერ ერთი ძირითადი საკითხი: რა მიმართულებით უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიური განვითარება. თქვენ მოისმინეთ შალვა ქარუმიძის სიტყვა. ის გეუბნებოდათ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება უნდა ხდებოდეს სოფლის მეურნეობის დაწინაურებითო. ე.ი. მთავრობამ უნდა დაისახოს მიზნად ეკონომიური კანონ-მდებლობით გაუწიოს მფარველობა სოფლის მეურნეობას მთელ სახელმწიფოში.

რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა აზრიც არსებობდეს, მაგრამ ის საკითხი, თუ რა გინდათ განავითაროთ, რა მიმართულებით, ეს საკითხი უნდა იყოს გამორკვეული იმისათვის, ვისაც სურვილი აქვს გაუწიოს ქვეყანას ეკონომიური ხელმძღვანელობა. აი ამ საკითხის შესახებ მთავრობის პასუხი არა გვაქვს.

შემდეგ, ვისაც უნდა ეკონომიურ საკითხებში გარკვევა, იმან ანგარიში უნდა გაუწიოს იმ სინამდვილეს, რომელსაც ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს. ამ სინამდვილეში უნდა ამოიკითხოს, თუ რა უშლის ხელს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ნორმალურ განვითარებას და იხმაროს ღონისძიებანი ამ ნაკლის გასასწორებლად. სანამ ეს არ არის გამორკვეული, მე მოგახსენებთ: რაც უნდა ძლიერი იყოს მთავრობის ენერგია, მაინც საერთოდ სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უკან და უკან დაიწევს, წინ ვერ წავა. სწორედ იმიტომ, რომ ეს ძირითადი საკითხია ეკონომიური პოლიტიკისა და ჩვენ მთავრობას კი ის არა აქვს არც გადაწყვეტილი, არც დასმული, ჩემი აზრით, სწორედ ამიტომაა, რომ წარმოება ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე ეცემა; მაგალითად; 1919 წელს წინა წლებთან შედარებით მრეწველობამ დაიწია.

(ნოე რამიშვილი: რა მრეწველობა?)

მე მოგახსენებთ: თამბაქოს მრეწველობამ – 38 პროცენტი, ქიმიურმა მრეწველობამ – სამჯერ, სატყეო მრეწველობაში – 98 პროცენტი...

(ნოე რამიშვილი: ქვა-ნახშირის მრეწველობამ?)

ზეთის მრეწველობამ – 96 პროცენტი, სპირტის სარეკტიფიკაციო წარმოება დაეცა 100 პროცენტით.

(ხმა; რატომ?)

რატომ? – ამის პასუხს გვაძლევს გამორკვევა ამ მრეწველობის პირობებისა. პირველი ადგილი ამ პირობებში იმას უჭირავს, რომ ჩვენს სამრეწველოებს ნედლი მასალა არა აქვს. ასეთია ის გამოკვლევა, რომელიც აქვს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს...

(ნოე ხომერიკი: ასე მალე საიდან მიიღეთ? ხმები: ოო! ოო!; ნოე ხომერიკი: მთავრობის ბრალია, რომ სიმინდი ვერ წაიღეს?)

ეს სიმინდს არ შეეხება... (ხმაურობა) ეს არის ღვინის, სპირტის რეკტიფიკაცია. წარმოება დაეცა 100 პროცენტით.

(ხმა: რათა? სპირიდონ კედია: შინაგან საქმეთა მინისტრმა უკედ იცის!)

რა თქმა უნდა, თქვენი ბრალი არ არის, რომ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეთ ქვეყანა, რომ სამრეწველო დაწესებულებებს ნედლი მასალისა...

(ნოე ჟორდანია: ეს ჰნიშნავს დემაგოგიას!)

ეს ჰნიშნავს იმას, რომ არ არის საღი მოქმედება იმის მაგიერ, რომ თქვენ იზრუნოთ შრომის განაყოფიერებისათვის, შრომის გაზრდისათვის. ამის მაგიერ თქვენ ერთად ერთი საშუალება გაიჩინეთ. ეს არის სამანქანო პრესი, სხვა საშუალება დღევანდლამდე ვერ აღმოაჩინეთ,

(ლეო ნათაძე: თქვენ უნდა იყოთ სათავეში!)

მე ავასრულო მთავრობის ფუნქციები?

(ნოე ხომერიკი: არა, არა! თქვენი მოსაზრება უნდა გვითხრათ!)

მე წინ და წინვე მოგახსენეთ, რომ ყველაფერზე პასუხი უნდა მოგვცეს მთავრობამ. თუ გნებავთ, ეს დებულება დაარღვიეთ.

(ლეო ნათაძე: ქათამს რომ კაბინეტი აქვს?)

ეს იმ თვითნებობის ბრალია, რომელიც თქვენ დაამყარეთ. რომ არ იყვნენ დარწმუნებული ისინი, ვინც ქათმები ოთახში შეიყვანეს, რომ ყველაფერი ეს ჩაუვლით, არაფერი ეს არ მოხდებოდა, ვერავინ გაბედავდა ამას (სიცილი).

გაზ: „სახალხო საქმე“ № 1049. ხუთშაბათი, 10 თებერვალი, 1921 წ.

III

მე მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის რამოდენიმე ცნობა იმის შესახებ, თუ რა საქმეში გადავაჭარბეთ ჩვენ ყველა ქვეყნებს. ჩვენ გადავაჭარბეთ...

(ლეო შენგელაია: ჭამაში! ჭამაში!)

არა, ბატონო, ჩვენ ყველაზე ნაკლებსა ვჭამთ, ჩვენ ფულების ბეჭდვაში გადავაჭარბეთ. რათა? იმიტომ, რომ არც ერთი ქვეყნის მთავრობა...

(ჯაფარიძე: ახალი ქვეყნისა?)

...არ აწარმოებს ისეთ უნაყოფო ეკონომიურ პოლიტიკას, როგორც ჩვენი მთავრობა. არც ერთ ქვეყანაში არ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება ქვეყნის მართვა-გამგეობა აწარმოვოთ ისეთ უშინაარსო ეკონომიურ პოლიტიკის პრინციპით, როგორც ამას გვიჩვენებს ჩვენი მთავრობა, და არც ერთი მთავრობა არ არის იძულებული მიმართოს ასე ხშირად ფულების ბეჭდვას, როგორც ჩვენი თქვენ იცით, რომ ძალიან დავალიანდნენ ქვეყნები ევროპიულ ომის შემდეგ. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება, თუ რამდენს ქაღალდის ფულს ბეჭდავენ იმ ქვეყნების მთავრობანი, რომელნიც ომის ქარ-ცეცხლში იყვნენ. მაგალითად, საფრანგეთი.

(ხმები: ინგლისი, ამერიკა!)

ყველაზე მეტი საფრანგეთშია დაბეჭდილი, გერმანიაში დაბეჭდილია – 63 მილიარდი...

(ხმა: ავსტრიაში? პოლონელებში, იტალიაში, ალბანიაში, უნგრეთში?)

რაღა ისეთ ქვეყნებს იღებთ, რომელთაც არაფერი უვარგათ?..

(სიცილი, ხმაურობა. ხმები: მაშ, ამერიკასთან შეგვადარეთ. სიცილი, ხმაურობა, ზარი).

თავმჯდომარე: გთხოვთ, დაწყნარდეთ ბატონებო!

(თედო ღლონტი: არსად! არსად! ნოე რამიშვილი: რუსეთის ყოფილ იმპერიაზე მოგვახსენეთ. როგორ არის იქ საქმე?)

ძალიან გიხარიათ? სასიხარულო თქვენთვის არაფერია. თქვენ 3 წელში დღემდე ვერ გაიგეთ, რომ რუსეთის იმპერიის ნაწილი აღარა ვართ!

(ხმაურობა. ხმები: ესტონია რუსეთის ნაწილია? სომხეთი?! აზერბეიჯანი?! იმათთან შეგვადარეთ).

პეტრე გელეიშვილი: საფრანგეთთან ნუ გვადარებთ!

(ლეო ნათაძე: და ამერიკასთან!)

მე იმასთან გადარებთ, რომლებთანაც შედარება უფრო ღირსეულია.

(ხმები: ოო! ოო! ხმაურობა. პეტრე გელეიშვილი: სად არის ლოღიკა ამერიკასთან რომ გვადარებთ?)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკეთესთან შედარება უკეთესია. თუ თქვენ უმჯობესად მიგაჩნიათ შედარება მოსკოვთან ან ალბანეთთან, მობრძანდით და გააკეთეთ ეგ შედარება.

(ხმა: შედარებას ლოღიკა აქვს, აბსოლიუტური შედარება შეიძლება? რამიშვილი: გადახედეთ ბოლშევიკებს! სპირიდონ კედია: ბოლშევიკები რომ არ ყოფილიყვნენ, რა ეშველებოდათ?! ხმაურობა. ზარი)

...თუ გგონიათ, რომ თქვენი რეპრესიებით იმარჯვებთ ბოლშევიკებზე, ძალიან სცდებით. (დიდი ხმაურობა. ზარი.)

თავმჯდომარე: ბატონებო, გაერთიანებული ლაპარაკია. ყველა ლაპარაკობს, ეგრე არ შეიძლება! კეთილ ინებეთ ბატონებო, მოუსმინეთ ორატორს.

გრიგოლ რცხილაძე. როგორც გეტყობათ თქვენ არა გსურთ, ან არ შეგიძლიანთ დინჯად მოისმინოთ ჩვენი ქვეყნის შედარება სხვა ქვეყნებთან. ამიტომ ამას აღარ გავაგრძელებ...

(პეტრე გელეიშვილი: გვახარებს, ბატონო, გვახარებს, როდესაც ინგლისთან და ამერიკასთან გვადარებთ, კაი გუნებაზე ვდგებით!)

მე მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც თქვენ აწარმოებთ, ფაქტიურად ჩვენ ქვეყანას უბრუნებს საშუალო საუკუნოების დროს...

(შალვა ქარუმიძე: მართალია, კოშკები აკლია, თორემ სადამოჟნო ბეგარა..)

დაუკვირდით იმ პირობებს, რომელშიაც ჩააყენეს მუშები! არა მარტო გასამრჯელოს მხრივ, არამედ თვით ორგანიზაციის მხრივ მათი სოციალური მდგომარეობა საშუალო საუკუნეებს უახლოვდება.

ჩაუკვირდით ჩვენი კაპიტალის მოქმედების ფორმებს, მოიგონეთ ის დრო, როდესაც კაპიტალი პირველად ვითარდებოდა. აი სწორედ იმ დროს უახლოვდებით. დაუკვირდით, როგორ ჰყოფთ ტერიტორიას პატარა-პატარა ერთეულებად, რომ უკეთ აწარმოვოს კაპიტალმა ექსპლოატაცია და თქვენ მოგაგონდებათ საშუალო საუკუნოები. იცით, რას ფიქრობს ზოგიერთი საქმიანი ხალხი, რომელიც წარმოების პირობებს საქმიანი თვალით უცქერის? ისინი ფიქრობდნენ, რომ ერთად ერთი გზა არის, რომ ის, რაც არის ეხლა, ყველაფერი დაინგრეს და ხელ-ახლა აშენდესო. მე ამ აზრს, რასაკვირველია, არ ვიზიარებ, მაგრამ ის რეალობა, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი ეკონომიური ცხოვრება, საშინელ გავლენას ახდენს იმაზე, ვისაც უნდა მოეძებნოს გამოსავალი. ჩვენ მთავრობისაგან ვითხოვთ ორ რამეს: უფლებრივ წესრიგს და ისეთ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებას, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს კრიტიკული მდგომარეობიდან. ის, რაც ჩვენ ვიცით სინამდვილიდან და ის, რაც ჩვენ გვესმის მთავრობისაგან, გვიჩვენებს, რომ უფლებრივი წესრიგი არ შედის მთავრობის პროგრამაში, ხოლო მისი ეკონომიური პროგრამა არის სავსე ცარიელი ადგილებით და თქვენ გეკითხებით, (მიმართავს სოც.-დემოკრატებს): განა შეიძლება დიდხანს დარჩეს ასეთი პირობები?!

(ნიკო ელიავა. დასაბუთება აკლია!)

ეს თქვენი ბრალია, რომ დასაბუთება ვერ დაინახეთ.

(სპირიდონ კედია: მარტო ქათამი კმარა დასაბუთებად!)

საკმაო სიდინჯით ყურს ვერ მიგდებთ და ამიტომ მინდა ჩემი სიტყვა დავასრულო.

(ნოე ხომერიკი: თუ გეგმას წამოაყენებთ, სიამოვნებით დაგიგდებთ ყურს).

მე დასასრულ მინდა პასუხი გავსცე მთავრობის პატივცემულ თავმჯდომარეს, რომელმაც აქ წამოაყენა ბრალდება, თითქოს მე აქედან გამცემლობას ვეწეოდე და ვაქვეყნებდე ისეთ ცნობებს, რომლის გამოქვეყნება არ შეიძლება. ვითომ მე ვსთქვი რუსეთის მიერ დატოვებულ ქონების შესახებ ისეთი რამ, რის თქმა არ შეიძლებოდა. აი, ბატონებო, ინგლისური ჟურნალი, აი აქ სწერია, თუ რა დარჩა რუსეთს საქართველოში, ყველაფერი ჩამოთვლილია.

(ნოე ჟორდანია: ვინ მისცა მათ ეს ცნობა?)

არ ვიცი. აქ სხვათა შორის სწერია, რომ აკაკი ხოშტარიამ შექმნა სატრანსპორტო კომპანია, რომლის საფუძვლად შეიქნა კავკასიის საავტომო-

ბილი ნაწილის ქონება და სხვ.

(დავით შარაშიძე: ვინ აძლევს ცნობებს საზღვარგარეთ, ეს ჩვენ კარგად ვიცით; ნოე ჟორდანია: ამის შესახებ ცნობა ვინ მისცა?)

თქვენ გინდათ სთქვათ, რომ მე ვიცი?

(ნოე ჟორდანია: არა).

აი, მეორე წიგნი, ფრანგული გამოცემა, რომლის ავტორი სომეხია, ლორის-მელიქოვი. წიგნის სათაურია: „რუსეთის რევოლუცია და ამიერკავკასიის რესპუბლიკები“. აქ სხვათა შორის შეფასებულია ქონება 2 მილიარდ ფრანკზე მეტად.

(რაჟდენ არსენიძე: თქვენ დაუჯერეთ?)

არა, მე არ დავუჯერე. მე უჯერებ იმას, რაც თვითონ ვიცი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ 100 წლის განმავლობაში აქ რუსეთი იყო, როგორც იმპერიალისტური ძალა. ცხადია, მას ჰქონდა აქ აუარებელი სამხედრო მასალა და როდესაც რუსეთი აქედან წავიდა, აშკარაა, რომ მას ზოგიერთი ნაწილი სამხედრო ქონებისა დარჩებოდა. აი, ეს ვსთქვი მე.

(ნოე ხომერიკი: ეს სიტყვის ბანზე აგდებაა.)

მე ეს ვსთქვი მაშინ და ამით არავითარი გამცემლობა არ ჩამიდენია. ხოლო მე არ ვიცი, რას უძახის ბატონი ხომერიკი სიტყვის ბანზე აგდებას.

(ნოე ხომერიკი: მაშინ თქვენ გააზვიადეთ ეს, როგორც ლორის – მელიქოვმა).

მე ზოგიერთი ცნობები მაშინ ამოვიღე სახელმწიფო კონტროლის მოხსენებიდან. აქედან ცხადია, მე არავითარი გამცემლობა არ ჩამიდენია და თუ ბრალდებულების წამოყენებაზე მოდგება საქმე, მაშინ მე მეტს დაგიმტკიცებთ თქვენ.

(ტაში სოც.-ფედ. სკამებზე).

გაზ: „სახალხო საქმე“ № 1050. პარასკევი, 11 თებერვალი, 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. პარასკევი, თებერვლის 4

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა: ქრისტინე შარაშიძის ასული.

1. მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, თებერვლის 4 ს, წარმოდგენილი იუსტიციის მინისტრის პროეკტი, ამნისტიისა – საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად:

ცნობა: ამნისტიის პროეკტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა თებერვლის 3-ს სხდომაზე,

პროექტი შეიცავს განმარტებით მოხსენებას და ამნისტიის ტექსტს.

დადგენილება: ამნისტიის პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ სხდომაზე – იურიდიულ კომისიისათვის გადასაცემად წინასწარი განხილვისა და დასკვნისათვის.

2. მოსმენილია: საქართველოს სენატის თავმჯდომარის მონაწერი ა/წ. იანვრის 31-ს თარიღითა და 32 №-ით, რომლითაც სენატის თავმჯდომარე შუამდგომლობს სენატორების განთავისუფლებულ თანამდებობაზე სხვა პირთა არჩევის შესახებ. ამასთანავე სენატის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ამჟამად თავისუფალია ათი სენატორისა და სენატის თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა, რაც სენატის მოღვაწეობას მეტისმეტად აფერხებს.

დადგენილება: სენატის თავმჯდომარის მონაწერის ასლი გაეგზავნოს სარეკომენდაციო კომისიას და ფრაქციებს და ეცნობოს მათ, რომ პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს, საკითხი ახალი სენატორების არჩევისა რაც შეიძლება სასწრაფოდ იქნეს მოგვარებული, რადგანაც, როგორც სენატის თავმჯდომარე განმარტავს და პრეზიდიუმმა თითონაც იცის, – სასამართლოს ამ უმაღლესი დაწესებულების დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობა, სენატორების ნაკლებობის გამო, მეტის – მეტად ფერხდება.

3. მოსმენილია: ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიისაგან წარმოდგენილი – მის მიერ განხილული და მიღებული სარედაქციო ხასიათის შესწორებით შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – ზუგდიდისა და ახალქალაქის სამაზრო ერობებისა და ქალაქ ახალციხის თვითმმართველობის ხმოსნების რწმუნებულობის ვადის განგრძობის შესახებ.

ცნობა: კომისიის მხრით მომხსენებელია ბენია ჩხიკვიშვილი. პროექტის ასლი ფრაქციათ უკვე დაურიგდათ.

დადგენილება: პროექტი შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების თებერვლის 8-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე];
მდივანი [ხელმოწერის გარეშე];
კანცელარიის გამგე [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 29-30.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მეთორმეტე (92)

1921 წ. თებერვლის 4, შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი

1. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის სასახლის სამეურნეო თანხის გასადიდებლად დამატებითი კრედიტის გადადების შესახებ.
 კომისია და მომხსენებელი: სარედაქციო კომისია, ქრისტინე შარაშიძის ასული.

2. საბოლოო ტექსტი კანონისა რადიო-ტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამატების შესახებ.

3. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – გორის სამაზრო საპყრობილის შენობის შესაკეთებლად 1. 764. 468 მან. გადადების შესახებ.

4. დეკრეტი – სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა.
საბიუჯეტო-საფინანსო კომისია გრიგოლ ურატაძე.

5. დეკრეტი – საქართველოს ბონის 5.000 და 10.000 მან. კუპიურის გამოცემისა.
საბიუჯეტო-საფინანსო კომისია: ვასო ცაბაძე.

6. განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) წესით განხილვისათვის.

ცნობა:

ცალკე თავების მომხსენებელნი არიან:

თავი 11 – ავტონომიური მმართველობა – საკონსტიტუციო კომისია. მუხრან ხოჭოლავა;
თავი 12 – სწავლა-განათლება და სკოლა – ლეო ნათაძე;
თავი 13 – სოციალ-ეკონომიური უფლება – რაჟდენ არსენიძე;
თავი 14 – ეროვნულ უმცირესობათა უფლება – ლეო ნათაძე;
თავი 15 – სახელმწიფო მოხელენი – კონსტანტინე ჯაფარიძე;
თავი 16 – სახელმწიფო და ეკლესია – იესე ბარათაშვილი;
თავი 17 – კონსტიტუციის გადაშინჯვა – პავლე საყვარელიძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 836. ფ. 149.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მეთორმეტე (92)

1921 წ. თებერვლის 4, შუადღის 12 საათი

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ წესრიგის პირველ რიგში არის სოც. ფედერალისტთა ფრაქციის განცხადება დეპუტატების ჩხიკვიშვილსა და ნუცუბიძეს შორის მომხდარ ინციდენტის გამო და აღნიშნავს, რომ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, თუ რა მიმართულება მიეცეს ამ საკითხს. რეგლამენტის ძალით ორატორების განკარგულებაშია 5 წუთი.

შალვა მესხიშვილი (ს. ფ.): დეპუტატ ჩხიკვიშვილის მიერ დეპუტატ შალვა ნუცუბიძისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება არის დიდი პოლიტიკური საკითხი. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ის დღესვე გაარჩიოს დამ-

ფუძნებელმა კრებამ და დღესვე გამოიტანოს გადაწყვეტილება.

კონსტანტინე გვარჯალაძე (ს. დ.): სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს აქ, დამფუძნებელ კრებაში უფრო ხშირად ამ ტრიბუნიდან ზოგიერთი დეპუტატები ისეთი სიტყვებით უმასპინძლდებიან ერთმანეთს, რომლებიც სრულებით არ არის დასაშვები. სწორედ ეს არა სასიამოვნო მოვლენები იწვევენ სამწუხარო შედეგებს. ასეთ არა სასიამოვნო მოვლენები იწვევენ სამწუხარო მოვლენებს ევროპის პარლამენტშიაც. მაგალითად, გერმანიაში და ავსტრიაშიც ჰქონია ადგილი, მაგრამ არსად არავის არ მოუთხოვია ის, რაც სოც.-ფედერალისტებმა მოითხოვეს.

(სამსონ დადიანი: იქ ეს მომხდარა ბრძოლის დროს და არა ქურდულად მიპარვით).

ეს ინციდენტი ვერ შეადგენს და არც უნდა შეადგენდეს დამფუძნებელი კრების მსჯელობის საგანს, აქ ის ვერ გაირჩევა. დაზარალებულ მხარეს აქვს სხვა საშუალებები, რომლებითაც შეუძლია მას თავი დაიკმაყოფილოს.

ლეო შენგელაია (ს. რ.) აცხადებს, რომ ამ ინციდენტით შეურაცყოფილია არა ერთი დეპუტატი, არამედ მთელი დამფუძნებელი კრება და ამიტომ ბუნებრივად მიგვაჩნია ამ ინციდენტის აქ ამოწურვა და თუ თქვენ ამის საშვალებას არ მოგვცემთ, მაშინ ჩვენი ფრაქცია ნიშნად პროტესტისა ამ სხდომას დასტოვებს.

კირილე ნინიძე ამბობს, რომ მომხდარი ინციდენტი არ არის ისეთი პოლიტიკური საკითხი, როგორიც ის აქ დასახეს. ეს პირადი საკითხია, მაგრამ მე მაშინებს ის დასაბუთება, რომელიც მას გვარჯალაძემ გაუკეთა. ორატორი აკრიტიკებს გვარჯალაძის დასაბუთებას და მასში პოულობს იმ მეთოდის გამართლებას, რომელსაც ჩხიკვიშვილმა მიმართა შალვა ნუცუბიძის წინააღმდეგ. ორატორი მოითხოვს, რომ ის საკითხი ამოსწუროს დამფუძნებელმა კრებამ.

ალექსანდრე ასათიანი დემოკრატიული ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ამ სამწუხარო ინციდენტის შესახებ დამფუძნებელი კრება ვერ ილაპარაკებს. უკეთესი იქნებოდა, რომ ეს საკითხი სულ არ გამოტანილიყო დამფუძნებელი კრების პლენუმში და ის განეხილა რომელიმე კომისიას, მაგრამ რაკი აქ გამოიტანეს ეს საკითხი, საჭირო იქნება განსაკუთრებული კომისიის არჩევა, ან სასამართლოს წესით ამ საკითხის გამორკვევა.

გრიგოლ რცხილაძე აღნიშნავს, რომ წამოყენებული საკითხი უაღრესად პოლიტიკური საკითხია და ის უნდა გაარჩიოს დამფუძნებელმა კრებამ.

გარეგინ ტერ-სტეფანიანი მოითხოვს ამ საკითხის პლენუმზე ამოწურვას.

პავლე ბერიშვილი: ჩვენი ფრაქცია მწუხარებას გამოსთქვამს როგორც ამ ინციდენტის, ისე იმის გამო, რასაც უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა ხალხის უზენაეს ორგანო დამფუძნებელ კრებაში. მართალია, მომხდარი ინციდენტი სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა განვაცხადოთ, რომ ზოგიერთი დეპუტატები ისეთ რამეებს კადრულობენ აქ, რასაც ადგილი არა აქვს უბრალო პატარა კრებაზე, თუ გნებავთ, იაჩეიკის კრებაზედაც ...

(ნოე ჟორდანია: მართალია!)

და მე მგონია, რომ ბოლოს და ბოლოს პარლამენტმა უნდა ჰკითხოს თავის თავს: ამიერიდან მაინც მოეღება თუ არა ბოლო ასეთ სამწუხარო მოვლენებს. ჩვენ აქ გვითხრეს, რომ აქ შეურაცხყოფილია დამფუძნებელი კრება, თვით ხალხიო; ერთი გვითხარით, ბატონებო, როდესაც აქ ერთმა დეპუტატმა ესერების ფრაქციიდან გვარდიის მეთაურს „მაუზერისტი“ უწოდა, რომელმა ხალხმა დაავალა მას ეს?

მე გავიგონე, რომ ერთმა დეპუტატმა მეორე დეპუტატს ჯიბგირი უწოდა...

(ვასო წულაძე ადგილიდან: ეს შალვა ნუცუბიძე იყო!)

განა ეს დასაშვებია? ეს დაავალა მას ხალხმა?

(იესე ბარათაშვილი: ეს საჯაროთ არ ყოფილა თქმული! სიცილი).

ეს სულერთია, ასე ხომ იყო თქმული. აქ ამას წინეთ დეპუტატ ლეო შენგელიას „მეგრული თხა“ უწოდეს...

(ვასო წულაძე: ეს იყო დეპუტატი შალვა ნუცუბიძე!)

და ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთ სამწუხარო მოვლენებს ამიერიდან მაინც ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩხიკვიშვილს და ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტი არ არის პოლიტიკური საკითხი, ეს კერძო საკითხია და სრულებით არ ბღალავს დამფუძნებელი კრების პრესტიჟს. დეპუტატზე ძალადობა არ უხმარია სახელმწიფოებრივ დაწებულის ორგანოს. ცხადია, აქ შეუვალობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ ასეთი კერძო საკითხის შესახებ დამფუძნებელი კრება ვერ იქონიებს მსჯელობას, ამისთვის არსებობს სხვა საშვალება.

პირადი საკითხისათვის სიტყვა ეძლევა ბენია ჩხიკვიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ სიცრუეა, თითქოს დინჯი ლაპარაკის დროს გაერტყას მას ნუცუბიძისათვის: პირიქით, მან, ჩხიკვიშვილმა მოსთხოვა ნუცუბიძეს სრულიად კულტურული გზით იმის დამტკიცება, რაც დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან იყო თქმული ჩხიკვიშვილის საწინააღმდეგოთ. მაგრამ ნუცუბიძე მას არ გამოყვა საამხანაგო სასამართლოში და უთხრა გამომწვევი კილოთი – კიდევ გავიმეორებ იმ სიტყვებს ტრიბუნიდანო. მხოლოდ ამის შემდეგ, ამბობს ორატორი, მე ვერ მოვითმინე და დავარტყი. ვაცხადებ, რომ არავითარი წინასწარ განზრახვას ადგილი აქ ჰქონია, იყო მხოლოდ აფექტი, ნუცუბიძის ლაპარაკით გამოწვეული. ამიტომ მე პირადათ დიდი მოხარული ვიქნები, თუ დამფუძნებელი კრება ამ საკითხის შესახებ იქონიებს მსჯელობას, მაშინ მეც საშუალება მომეცემოდა მეთქვა, როგორ უმართებულოდ მომიხტენ მე. მაგრამ თუ დამფუძნებელი კრება არ გაარჩევს ამ საკითხს, მე თანახმა ვარ ბატონ ნუცუბიძეს გავყვე საჯარო სამედიატორო სასამართლოში ან ოფიციალურ სასამართლოში.

თავმჯდომარე: საკითხი ამოწურულია. შემოსულია სამი რეზოლუცია. მე კენჭს უყრი. სოც. ფედერალისტების და ნაც. დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუცია. უარყოფილ იქნა.

მიღებულ იქმნა სოც.-რევ. ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლუცია: „სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ სოც. ფედერალისტთა წინადადება დეპ. ჩხიკვიშვილის გაძევების შესახებ მოხსნილ იქნას და დამფუძნებელ კრებაში მსჯელობას ამის შესახებ მოისპოს“.

შალვა მესხიშვილი სოც.-ფედერალისტების ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ნიშნად პროტესტისა მათი ფრაქცია არ დაესწრება სამს სხდომას. ესერებმა და ფედერალისტებმა სხდომა დასტოვეს.

შემდეგ გრიგოლ ურატაძე მოახსენებს კრებას დეკრეტს – სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირის მომატების შესახებ. ის ამბობს: დეკრეტს, რომელიც წარედგინება დამფუძნებელ კრებას, შეეხება მუშა-მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას; აგვისტოს მომატების შემდეგ ცხოვრება ძლიერ გაძვირდა; საჭირო იყო მდგომარეობის როგორმე გამოკეთება. ყველაზე უკეთ ეს შეიძლება მომარაგების გაფართოებით, რომ მუშა-მოსამსახურეთ პირველ მოთხოვნილების საგნები მიეღოთ მომარაგების სამინისტროდან. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში ეს არ ხერხდება. პოლიტიკურმა გართულებამ მომარაგების ყურადღების ცენტრში დასვა ფრონტი. სხვანაირად არ შეიძლებოდა. ამიტომ ჩვენ ამხანათ იძულებული ვართ მივმართოთ ფულის ნიშნებით ჯამაგირის გადადებას. დეკრეტით განზრახულია 50 პროცენტით მომატება, ხოლო სანამ მომარაგების სამინისტრო შესძლებდეს პურის ულუფის ნახევარ გირვანქით გადიდებას, მომატება იქნება კიდევ 50 პროც. სულ 100 პროც. თუ მომარაგების სამინისტრომ შესძლო პურის ულუფის გადიდება ნახევარი გირვანქით, მასში 50 პროც. მომატებისა მოიხსნება.

ამის შემდეგ ვასო ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი 5 ათასიან და 100 ათასიან ბონების გამოცემის შესახებ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 28. კვირა, 6 თებერვალი, 1921 წ.

***

დამფუძნებელ კრებაში: 4 თებერვლის სხდომა

შთაბეჭდილება

თორმეტი საათია. კრების დარბაზში არ სჩანან, ქანდარა კი საკმაოდ ჩალაგებულია. საკმარისია ერთი თვალი გადაავლო, რომ შეამჩნიო უმთავრესად „ობივატელების“ შემადგენლობა. ასეთი დიდი რიცხვი მოქალაქეების შეკრებილა სენსაციისათვის. ის დიდის სიამოვნებით წავიდოდა ცირკში ჭიდაობის სანახავად ან ცხენების ჭენების საყურებლად, მარგამ დღისით ეს არ ეწყობა. მისთვის ნუცუბიძის ინციდენტი „თვალის სეირის“ ამბავია. მაგრამ დავანებოთ ამ არა ჩვეულებრივ სტუმრების დიდ უმრავლესობას თავი. ისინი არ არიან საინტერესო.

დეპუტატები იჭერენ ადგილს. თავმჯდომარე ხსნის კრებას და აცნობს მას სოციალისტ-ფედერალისტების განცხადებას დეპუტატ ბენია ჩხიკვიშვილის წევრობიდან გადაყენების შესახებ. რა მიმართულება მიეცეს განცხადებას? ასეთია დასმული საკითხი.

დარბაზში სიჩუმეა. ტრიბუნაზედ ადის მესხიშვილი. ცრუ კლასიკური აღელვებით და ხელოვნური პათოსით ის ასაბუთებს მისი ფრაქციის წინადადების არსებითად განხილვის საჭიროებას. მას რომ უსმენ, რწმუნდები, რომ არც ერთი ფრაზა მისი გულის სიღრმიდან არ არის ამოღებული; გგონია, რომ რამოდენიმე წუთის შემდეგ მას შეუძლიან სულ სხვა საგანზედ, თუნდაც ჩინეთის მანდარინებზედ ასეთივე აღტაცებით ილაპარაკოს.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით ლაპარაკობს კონსტანტინე გვარჯალაძე. „დამფუძნებელი კრება ვერ შეუდგება ამ საქმის გარჩევას. ინციდენტი მოხდა მის გარეშე. თუ ნუცუბიძე მოისურვებს სამართალს მიმართოს, დამფუძნებელი კრება არ გადაეღობება მის სურვილს. ბევრი მომხდარა ასეთი სამწუხარი ინციდენტები ევროპაში, მაგრამ პარლამენტს ის არ განუხილავსო“.

მოგეხსენებათ, რომ თედო ღლონტი ენციკლოპედისტია, საქართველოს გუმბოლტია. ის ავტორიტეტულად იძახის ადგილიდან, რომ ამის მსგავსი არსად მომხდარაო. რასაკვირველია, სოციალისტ-ფედერალისტები ეთანხმებიან თედოს. ყველა სხვა დეპუტატებს თედოს შესახებ უკვე შემუშავებული აქვთ აზრი.

ტრიბუნაზე ადის ლეო შენგელაია. ერთ თვალს გადაავლებს ქანდარას და შემდეგ ზევით არ იხედება, ეტყობა, რომ მას არაფრად ეჭაშნიკა რუსთაველის პროსპექტიდან მოსული სტუმრები. ისარგებლა რა თვისი ხუთი

წუთით, ლეო შენგელაია შეეხო მთელს პოლიტიკას – საგარეოს, საშინაოს, მუნიციპალურს, უნდოდა ცოტა რამ ეთქვა მომარაგების სამინისტროზედ, მაგრამ დრო გავიდა და ნიშნად თავის უკმაყოფილებისა, ერთი დღით, თავის ნებით დასტოვა სხდომა და მის ამხანაგებთან ერთად სასეირნოდ წასვლა გადასწყვიტა.

ალექსანდრე ასათიანმა დიდი გულისწყრომა გამოიწვია ფედერალისტების მხრით, როდესაც მოითხოვა საქმის კომისიისთვის გადაცემა. მას დასწამეს, რომ შჩედრინის კომისია ყავდა სახეში.

სამაგიეროდ, კირილე ნინიძეს ბევრი ტაში უკრეს ფედერალისტებმა. კირილეს თურმე სულ არ ეინტერესებოდა ნუცუბიძის საქმე; თავისი ხუთი წუთი მან მოანდომა იმის დასაბუთებას, რომ აქვს უფლება ილაპარაკოს ხალხის სახელით.

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი ბერიშვილი. ის ხშირად არ ლაპარაკობს დამფუძნებელ კრებაში, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ის ჩინებული ორატორია. ის საქართველოს მუშების მოწინავე ჯგუფს ეკუთვნის. გამოსთქვამს ფრაქციის სახელით მწუხარებას ინციდენტის გამო და გადადის სიტყვის თავისუფლებაზე, რომელიც ვითომ შელახა ჩხიკვიშვილმა.

„დასაშვებია თუ არა, რომ ერთმა დეპუტატმა მეორე მის ამხანაგს „ჯიბგირი“ დაუძახოს? – კითხულობს ბერიშვილი.

„ეს ჩაიდინა დეპუტატმა ნუცუბიძემ“ – იძახიან ადგილიდან. ლეო შენგელაია, რომელიც ჯერ დარბაზშია, გაფითრებული და ფერ წასული თავს ღუნავს.

„დასაშვებია თუ არა, რომ დეპუტატმა დედა აგინოს მის ამხანაგებს“? – დინჯათ, მაგრამ მწარე კილოთი კითხულობს ბერიშვილი.

„ეს არის სამსონ დადიანიო“ – იძახიან ადგილებიდან.

გამოირკვა, რომ დამფუძნებელ კრებაში ყოფილა ხალხი, რომელთაც დიდი ხანია ხელობათ გადაუქცევიათ წევრები პიროვნების აბუჩად აგდება და შეურაცხყოფა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პრეზიდიუმი მომავალში კრებიდან გააძევებს ისეთ პირებს, რომელთაც, მიუხედავად მაღალი ღირსებისა, სარდაფების ზნე ჩვეულება შეუთავსებიათ და რომელთაც ვერ შეუთვისებიათ მუშათა წარმომადგენლის ბერიშვილის უბრალო დებულება – სიტყვის თავისუფლება დედის გინებას არ ნიშნავსო.

დამფუძნებელმა კრებამ უარყო სოციალ-ფედერალისტების წინადადება: მესხიშვილმა გამოაცხადა, რომ „ფედერალისტები ამ სხდომას სტოვებენო“ და გაეშურა კარებისაკენ.

ვიღაცამ დაიძახა: „ა, ადვოკატებმა იშოვეს დრო სასამართლოში თავისუფლად სასიარულო”.

ფედერალისტებს თან გაყვნენ ქანდარის „დამები“.

„პაპუნა“.

გაზ. „ერთობა“ № 28. 6 თებერვალი, 1921 წ.

***

1921 წლის თებერვლის 4

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ წესრიგის პირველ რიგში არის სოც. ფედერალისტთა ფრაქციის განცხადება დეპუტატების – ჩხიკვიშვილისა და ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტის გამო და აღვნიშნავ, რომ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, თუ რა მიმართულება მიეცეს ამ საკითხს.

რეგლამენტის ძალით ორატორების განკარგულებაში 5 წუთია.

შალვა მესხიშვილი (ს. ფ.): დეპუტატ ჩხიკვიშვილის მიერ დეპუტატ შალვა ნუცუბიძისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება არის დიდი პოლიტიკური საკითხი. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ის დღესვე გაარჩიოს დამფუძნებელმა კრებამ და დღესვე გამოიტანოს გადაწყვეტილება.

კონსტანტინე გვარჯალაძე (ს. დ.): სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს აქ, დამფუძნებელ კრებაში და უფრო ხშირად ამ ტრიბუნიდან ზოგიერთი დეპუტატები ისეთი სიტყვებით უმასპინძლდებიან ერთმანეთს, რომელიც სრულებით არ არის დასაშვები. სწორედ ეს არა სასიამოვნო მოვლენები იწვევენ სამწუხარო შედეგებს. ასეთ არა სასიამოვნო და სამწუხარო მოვლენებს ევროპის პარლამენტშიც; მაგ. გერმანიაში და ავსტრიაშიც ჰქონია ადგილი, მაგრამ არსად არ მოუთხოვია ის, რაც სოც. ფედერალისტებმა მოითხოვეს...

(სამსონ დადიანი: იქ ეს მომხდარა ბრძოლის დროს და არა ქურდულათ, მიპარვით!)

ეს ინციდენტი ვერ შეადგენს და არც უნდა შეადგენდეს დამფუძნებელი კრების მსჯელობის საგანს, აქ ის ვერ გაირჩევა. დაზარალებულ მხარეს აქვს სხვა საშუალებები, რომლებითაც შეუძლია მას თავი დაიკმაყოფილოს.

ლეო შენგელაია (ს. რ.) აცხადებს, რომ ამ ინციდენტით შეურაცხყოფილია არა ერთი დეპუტატი, არამედ მთელი დამფუძნებელი კრება და ამიტომ ბუნებრივათ მიგვაჩნია ამ ინციდენტის აქ ამოწურვა და თუ თქვენ ამის საშუალება არ მოგეცემათ, მაშინ ჩვენი ფრაქცია ნიშნად პროტესტისა ამ სხდომას დასტოვებს.

კირილე ნინიძე ამბობს, რომ მომხდარი ინციდენტი არ არის ისეთი პოლიტიკური საკითხი, როგორც ის აქ დაასახელეს. ეს პირადი საკითხია, მაგრამ მე მაშინებს ის დასაბუთება, რომელიც მას გვარჯალაძემ გაუკეთა.

ორატორი აკრიტიკებს გვარჯალაძის დასაბუთებას და ამაში პოულობს იმ მეთოდის გამართლებას, რომელსაც ჩხიკვიშვილმა მიმართა ნუცუბიძის

წინააღმდეგ. ორატორი მოითხოვს, რომ ეს საკითხი ამოსწუროს დამფუძნებელმა კრებამ.

ალექსანდრე ასათიანი დემოკრატიული ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ამ სამწუხარო ინციდენტის შესახებ დამფუძნებელი კრება ვერ ილაპარაკებს; უკეთესი იქნებოდა, რომ ეს საკითხი სულ არ გამოტანილიყო დამფუძნებელი კრების პლენუმში და ის განეხილა რომელიმე კომისიას. მაგრამ რაკი აქ გამოიტანეს, საჭირო იქნება განსაკუთრებული კომისიის არჩევა, ან სასამართლოს წესით ამ საკითხის გამორკვევა.

გრიგოლ რცხილაძე აღნიშნავს, რომ წამოყენებული საკითხი უაღრესად პოლიტიკური საკითხია და ის უნდა გაარჩიოს დამფუძნებელმა კრებამ.

გაბრიელ ტერ-სტეფანიანი (დაშნ.) მოითხოვს საკითხის პლენუმში ამოწურვას.

პავლე ბერიშვილი: ჩვენი ფრაქცია მწუხარებას გამოსთქვამს როგორც ამ ინციდენტის, ისე იმის გამო, რასაც უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა ხალხის უზენაეს ორგანო – დამფუძნებელ კრებაში. მართალია, მომხდარი ინციდენტი სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა განვაცხადოთ, რომ ზოგიერთი დეპუტატები ისეთ რამეებს კადრულობენ აქ, რასაც ადგილი არ აქვს უბრალო პატარა კრებაზე, თუ გნებავთ „იაჩეიკის“ კრებაზედაც...

(ნოე ჟორდანია: მართალია!)

...და მე მგონია, რომ ბოლოს და ბოლოს პარლამენტმა უნდა ჰკითხოს თავის თავს: ამიერიდან მაინც მოეღება თუ არა ბოლო ასეთ სამწუხარო მოვლენებს? ჩვენ აქ გვითხრეს, რომ აქ შეურაცყოფილია დამფუძნებელი კრება, თვით ხალხიო. ერთი გვითხარით, ბატონებო, როდესაც აქ ერთმა დეპუტატმა ესერების ფრაქციიდან გვარდიას „მაუზერისტი“ რომ უწოდა, რომელმა ხალხმა დაავალა მას ეს?

მე გავიგონე, რომ ერთმა დეპუტატმა მეორე დეპუტატს ჯიბგირი უწოდა...

(ხმა ადგილიდან: ეს შალვა ნუცუბიძე იყო; ნოე ხომერიკი: ძალიან კულტურული ყოფილა!)

განა ეს დასაშვებია, ეს დაავალა მას ხალხმა?

(იესე ბარათაშვილი: ეს საჯაროდ არ ყოფილა თქმული. სიცილი).

ეს სულ ერთია, ისე ხომ იყო თქმული. აქ ამას წინეთ დეპუტატ ლეო შენგელაიას მეგრული თხა უწოდეს ...

(ხმა ადგილიდან: ეს იყო დეპუტატი შალვა ნუცუბიძე!)

... და ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთ სამწუხარო მოვლენებს ამიერიდან მაინც ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩხიკვიშვილსა და ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტი არ არის პოლიტიკური საკითხი, ის კერძო საკითხია და სრულებით არ ბღალავს დამფუძნებელი კრების პრესტიჟს. დეპუტატზე ძალადობა არ უხმარია სახელმწიფოებრივ დაწესებულებას, ორგანოს. ცხადია, აქ შეუვალობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ ასეთი კერძო საკითხის შესახებ დამფუძნებელი კრება ვერ იქონიებს მსჯელობას, ამისთვის არსებობს სხვა საშუალება.

პირადი საკითხისათვის სიტყვა ეძლევა დეპუტატ ჩხიკვიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ სიცრუეა, თითქოს დინჯი ლაპარაკის დროს გაერტყას მას ნუცუბიძისთვის. პირიქით მან, ჩხიკვიშვილმა, მოსთხოვა ნუცუბიძეს სრულიათ კულტურული გზით იმის დამტკიცება, რაც დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან იყო თქმული ჩხიკვიშვილის საწინააღმდეგოთ. მაგრამ ნუცუბიძე მას არ გაყვა საამხანაგო სასამართლოში და უთხრა გამომწვევი კილოთი: „კიდევ გავიმეორებ იმ სიტყვებს ტრიბუნიდანაო". მხოლოდ ამის შემდეგ, – ამბობს ორატორი, – მე ვერ მოვითმინე და დავარტყი.

ვაცხადებ, რომ არავითარ წინასწარ განზრახვას ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ აფექტი ნუცუბიძის გამომწვევი ლაპარაკით გამოწვეული. ამიტომ მე პირადათ დიდი მოხარული ვიქნები, თუ დამფუძნებელი კრება ამ საკითხის შესახებ იქონიებს მსჯელობას, მაშინ მეც საშუალება მომეცემოდა დამემტკიცებინა, თუ როგორ უმართებულოდ მიხსენიებენ მე, მაგრამ, თუ დამფუძნებელი კრება არ გაარჩევს ამ საკითხს, მე თანახმა ვარ ბატონ ნუცუბიძეს გავყვე საჯარო სამედიატორო სასამართლოში...

(დადიანი რაღაცას ლაპარაკობს).

ბატონო დადიანო, როდესაც მე და ნუცუბიძეს ეს შეგვემთხვა, მაშინ თქვენ რამოდენიმეჯერ დედა შემაგინეთ, ნაცვლად იმისა, რომ ორი მოჩხუბარი მხარე გაგეშველებინათ!

(სამსონ დადიანი და დეპუტატი ვასო წულაძე რაღაცას ელაპარაკებიან ერთმანეთს, ტყდება ხმაური).

(ზაქარია გურული: – მიმართავს სამსონ დადიანს: ბატონო დადიანო, ნუ გვიწვევთ!: დადიანი: სცადეთ! გურული: ნუ გვიწვევთ!)

თავმჯდომარე ზარს რეკავს და კრებას მოუწოდებს სიწყნარისაკენ.

თავმჯდომარე: საკითხი ამოწურულია. შემოსულია სამი რეზოლუცია. მე კენჭს ვუყრი. სოც.-ფედერალისტების და დემოკრატიული ფრაქციის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა. სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილია შემდეგი რეზოლიუცია;

„სოც. დემოკრატიული ფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის წინადადება დეპუტატ ჩხიკვიშვილის დამფუძნებელი კრებიდან გაძევების შესახებ მოხსნილი იქნას და დამფუძნებელ კრებაში მსჯელობა ამის შესახებ მოისპოს."

ამის შემდეგ შალვა მესხიშვილი სოც-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ფედერალისტთა ფრაქცია ნიშნათ პროტესტისა 3 სხდომაზე არ გამოცხადდება, ესერებმა და ფედერალისტებმა დარბაზი დატოვეს.

შემდეგ გრიგოლ ურატაძე მოახსენებს კრებას დეკრეტს – სახელმწიფო მუშა მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. მომხსენებელი ამბობს: დეკრეტი, რომელიც წარედგინება მისაღებად დამფუძნებელ კრებას, შეეხება მუშა მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ვფიქრობ, არ დამჭირდა ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ

რა გაჭირვებას განიცდიან დღეს მუშა-მოსამსახურეები. უკანასკნელი მომატება, როგორც იცით, მოხდა აგვისტოში. მას შემდეგ ცხოვრება იმდენად გაძვირდა, რომ არსებული ხელფასი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს პირველ მოთხოვნილებათა მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი. საჭირო და აუცილებელი იყო ასეთი მდგომარეობის როგორმე შეძლებიდაგვარათ გამოკეთება. ყველაზე უკეთ ეს შეიძლებოდა მომარაგების გაფართოებით, რომ მუშა-მოსამსახურეებს პირველ მოთხოვნილებათა საგნები მიეღოთ მომარაგებით. სამწუხაროდ, დღევანდელ პირობებში ეს არ ხერხდება. პოლიტიკურმა გართულებამ მომარაგების ყურადღების ცენტრში დასვა ფრონტი და სხვაფრივ არც შეიძლებოდა.

ამ რიგათ, ჩვენ იძულებული ვართ დროებით მაინც მივმართოთ ფულის ნიშნებით ჯამაგირის გადიდებას. დეკრეტით განზრახულია მომატება 50%, ხოლო სანამ მომარაგების სამინისტრო შესძლებდეს ნახევარი გირვანქა პურით ულუფის გადიდებას – კიდევ 50% პროცენტი, როგორც ღირებული განზრახული პურის მომატებისა.

ასეთია მოკლეთ შინაარსი ამ დეკრეტისა, რაც თვიურად ითხოვს სამ მილიონ მანეთს.

ეს დეკრეტი მიღებული იქნა.

ამის შემდეგ ვასილ ცაბაძის მოხსენებით მიღებული იქნა დეკრეტი 50 და 100 ათასიანი ბონების გამოცემის შესახებ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 28. კვირა, თებერვლის 6. 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. თებერვლის 5

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესწორებანი, წარმოდგენილი სოციალ-დემოკრატიულ, სოციალისტ-რევოლუციონერთა და ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციების მიერ.

ცნობა: კონსტიტუციის VII თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა თებერვლის 2-ს სხდომაზე, მაშასადამე, შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის VII თავის შესწორებანი, შემოტანილ იქნა სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციების მიერ.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხ. შესწორებანი გადაეცეს დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას.

2. მოსმენილია: ცნობა კონსტიტუციის VIII თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა ამა თებერვლის 2-ს სხდომაზე, მაშასადამე, შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხ. შესწორებანი გადაეცეს დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას.

3. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის IX თავის შესწორებანი, შემოტანილი: სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: კონსტიტუციის IX თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა ამა თებერვლის 2-ს სხდომაზე, მაშასადამე, შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხ. შესწორებანი გადაეცეს დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას.

4. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის X თავის შესწორებანი შემოტანილი: სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტ – რევოლუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: კონსტიტუციის X თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა ამა თებერვლის 2-ს სხდომაზე, მაშასადამე, შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხ. შესწორებანი გადაეცეს დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 32.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წლის თებერვლის 7

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა ქრისტინე შარაშიძის ასული.

1. მოსმენილია: საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისაგან დადგენილი და მის მიერ იურიდიულ კომისიის მიერ განხილული და ორივე კომისიის შესწორებით მიღებული სახელმწიფო კონტროლიორის კანონპროექტი სახელმწიფო კონტროლის შტატის გადიდებისა, კონტროლის უწყებაში დამატებითი გასამრჯელოს შემოღების და სახელმწიფო კონტროლის სავიზიო წესდების და დებულების შევსებისა და შეცვლის შესახებ.

საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მიერ დადგენილი მთლიანი პროექტის სახით შესწორებულ კანონპროექტს, იურიდიული კომისია წარმოადგენს ვარიანტს სახელმწიფო კონტროლის მე-92 (საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის პროექტის V განყ.) და მე-2 . საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის პროექტის VII გან.)

კომისიების მხრით მომხსენებელნი არიან საბიუჯეტო-საფინანსოსი – გრიგოლ რცხილაძე და იურიდიულისა – ილია ფირცხალაიშვილი. პროექტის ასლი ფრაქციათ უკვე დაეგზავნათ.

ცნობა: მთავრობისა და ფინანსთა უწყების დასკვნა ამ კანონპროექტის შესახებ წარმოდგენილი არ არის და საქმეში ჩართულ მასალიდან არ სჩანს, რომ სახელმწიფო კონტროლს კანონპროექტის ასლი გაეგზავნოს ცნობად მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროსათვის.

დადგენილება: სახელმწიფო კონტროლის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი და ყოველი დანარჩენი მასალა გაეგზავნოს დასკვნისათვის მთავრობასა და ფინანსთა მინისტრს და ეთხოვოს მათ, რომ ეს დასკვნა, რაც შეიძლება სასწრაფოდ იქნეს გამოგზავნილი, რათა დამფუძნებელ კრებისათვის კანონპროექტის განსახილველად წარდგენა აღარ დაბრკოლდეს.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 30.

***

საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვები

1921 წ. 7 თებერვალს

7 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამავე სამინისტროს შენობაში საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო გამართულ იქმნა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი, მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრნი და მთელი დიპლომატიური კორპუსი შემდეგი შემადგენლობით:

1. ანგორის* დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის წარმომადგენელი პოლკ. კიაზიმბეი;
2. გერმანიის ელჩი ბატონი რაუშერი;
3. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოქსი;
4. იტალიის სრულუფლებიანი მინისტრი ბატონი ჩერუტტი;
5. პოლონეთის წარმომადგენელი ბატონი ოსტროგორსკი;
6. რუსეთის წარმომადგენლობის პირველი მრჩეველი ბატონი ს[ერგო] ქავთარაძე;
7. საბერძნეთის წარმომადგენელი ბატონი სეკფერისი;
8. საფრანგეთის წარმომადგენელი ბატონი შევალიე;
9. საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარე პოლკოვნიკი კორბელი;
10. ამერიკის {შეერთებული შტატების] კონსული ბატონი მოზერი;
11. ბელგიის კონსული ბატონი მელერი;
12. ესტონეთის კონსული ბატონი პოლი;

* თურქეთის დღევანდელი დედაქალაქის, „ანკარას“ იმდროინდელი სახელი.

13. ისპანიის კონსული ბატონი ბარსეგიანი;
14. ლატვიის კონსული ბატონი ბურინი;
15. ლიტვის კონსული ბატონი დალეიდა;
16. ნორვეგიის კონსული ბატონი გურსკი;
17. საფრანგეთის კონსული ბატონი ნეტემანი;
18. სპარსეთის კონსული ბატონი მუაზაზედ დოვლე;
19. ფინეთის კონსული პოლკოვნიკი ბერკვისტი;
20. ჩეხოსლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბატონი სვატოში;
21. ჰოლანდიის კონსული ბატონი ფონ ალდენშტატი;
და სხვ.

ბანკეტზე წარმოითქვა მრავალი სიტყვა.

აქ მოგვყავს როგორც მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას, ისე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების სიტყვები იმ რიგით, როგორც იყო წარმოთქმული და იმ სახით, როგორც ეს სიტყვები მოგვაწოდეს ჩვენ ხსენებულ სახელმწიფოთა მისიებმა.

*

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა

ბატონებო!

მთელი საქართველო დღესასწაულობს საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის და საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიანათ შესვლას. ქართველი ერი ამ აქტს ელოდა სამ წელიწადს, ელოდა, როგორც დამსახურებულს თავისი წარსულით და თავისი აწმყოთი.

ქართველობა არ არის გუშინდელი, ახლად აღმოცენებული ერი, მიუჩვეველი სახელმწიფოებრიობას და პოლიტიკურ ცხოვრებას. საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორი ათას წელიწადს, მან გასძლო ამ აზიის შესავალში, ხალხთა გადასახლების და შეხლა-შემოხლის შარა-გზაზე და დაიცვა თავისი კულტურა, თავისი თვითარსებობა. ბოლოს ის თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს, რომლის საფარველს ქვეშ მან განაგრძო თავისი კულტურული მუშაობა და პოლიტიკური წინმსვლელობა. ბოლოს საქართველო თავისივე ნებით გამოეყო რუსეთს, რუსეთისავე თანხმობით და ამით აღადგინა ამ ასი წლის წინეთ გაწყვეტილი სახელმწიფოებრივი არსებობა.

დღევანდელ საქართველოს ასულდგმულებს ორი პოლიტიკური დედა აზრი. მან თავის დროშას დააწერა ორი მცნება: უფლება ერის, უფლება მშრომელის და თქვენ გუშინდელ მანიფესტაციაში დაინახეთ ამ ორი პრინციპის ემბლემა – ხალხის ხელში ორი დროშა – მუშების და ნაციის. ჩვენ ხალხს

გადაწყვეტილი აქვს ნაციის თვითარსებობის ნიადაგზე მოაწყოს მშრომელთა საუკეთესო ცხოვრება.

ამ გზაზე ჩვენ მივდივართ არა განმარტოებულათ, არა საკუთარი ძალღონის ამარად, არამედ ევროპასთან ერთად და ევროპის დახმარებით: ჩვენ არ გვინდა ჩვენი სიზანტით ევროპას ჩამოვრჩეთ, მაგრამ არც ისე გვინდა, რომ საეგებიო ნახტომებით მოვინდომოთ ევროპას წინ გავასწროთ.

ამ ჩვენ ურთიერთობაში ორივე მხარე მოვიგებთ – ჩვენ ევროპის კულტურით, საქმიანობით და გამოცდილებით, ევროპა – ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით, ჩვენი გზით აზიის ხალხებთან ურთიერთობის დამყარებით.

27 იანვრის აქტი საქართველოს და ევროპას სამუდამოთ აკავშირებს და მათი მჭიდრო ურთიერთობის საძირკველს ყრის. ამ აქტში გამოიხატა ნებისყოფა როგორც ევროპის მართველი წრეებისა, ისე მისი ოპოზიციურათ განწყობილ დემოკრატიისა; საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ მის კითხვაში შეერთდა ევროპა, განურჩევლათ პარტიისა, კლასისა და რწმენისა.

და აი, ნება მომეცით დავლიო სადღეგრძელო ამ ჩვენი დიდებული, იშვიათი ნათლიებისა, დავლიო სადღეგრძელო აქ წარმოდგენილი დიდი სახელმწიფოების ხალხთა და მთავრობათა – საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, გერმანიის.

მე ვსვამ აგრეთვე სადღეგრძელოს ჩვენს წინ დაბადებულ სახელმწიფოთა – პოლონეთის, ამ აღმოსავლეთის საფრანგეთის – და ფინლიანდიის – ამ ჩრდილოეთის პოლონეთის.

მე ვსვამ ჩვენთან ერთად დაბადებულ და დამოუკიდებელ პატარა სახელმწიფოთა – ესტონიის, ლატვიის და ლიტვის სადღეგრძელოს.

და უკანასკნელათ, მე მინდა განსაკუთრებით დავლიო სადღეგრძელო ჩვენ მეზობელ ერთა და სახელმწიფოთა, რომელთანაც კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ, – სადღეგრძელოს რუსეთის, ოსმალეთის, სპარსეთის, სომხეთის და აზერბეიჯანის.

მე ვუსურვებ ყველას – გამთიშველი წარსული, მწარე წარსული დავიწყებულ იქნას და ხალხთა ერთობა, სოლიდარობა და კავშირი კვლავ აღდგენილ იქნას კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

ბატონი შევალიე (საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში და უმაღლესი კომისარი კავკასიაში):

აუღელვებლათ ვერ ვუპასუხებ მე ბატონ თავმჯდომარის სიტყვას. საქართველოს განთავისუფლებისათვის საფრანგეთმა გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც შეეძლო.

საფრანგეთი სულით და გულით ულოცავს საქართველოს ხალხს, მთავრობას და რესპუბლიკის თავმჯდომარეს. აქ მე ვხედავ ყველა ხალხთა წარმომადგენლებს. ამ ხალხთა შორის ერთნი საფრთხეში გამობრძმედილნი მეგობრები არიან, მეორენი კი – ყოფილნი ან დღევანდელი მტრები. მაგრამ აქ,

ამ წუთში ყველა ამ წარმომადგენლებს აერთიანებს ერთი გრძნობა, გრძნობა მშვიდობიანობისა და შერიგებისა. ჩვენ თავს ვადგივართ საქართველოს აკვანს და მე ვისურვებ, რომ საქართველო თავის აღორძინების პირველ დღეს თავის გარშემო ხედავდეს მხოლოდ მომღიმარ სახეებს. ჩვენმა დიდმა პოეტმა ვიქტორ ჰიუგომ სთქვა: როდესაც ბავშვი გაჩნდება ოჯახში, – თავნი დაიხრებიან, გულნი გაიხსნებიან ბავშვის მისაღებადო.

ბატონებო! გავხსნათ ჩვენი გულები, დავხაროთ თავები, რომ ხალხთა ოჯახში მივიღოთ ახალგაზრდა, ახლად შობილი, ან უკეთ, ახლად აღორძინებული ჩვენი დაი.

დღეს მე აქ არ ვაწარმოებ პოლიტიკას, ჩემს სიტყვების უკან არ იმალება არავითარი საიდუმლო განზრახვა, არავითარი საიდუმლო აზრი. უდიდესი გულწრფელობით ვისურვებ, რომ ახლად აღორძინებულ საქართველოს გარშემო სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, რაც საფუძველია საერთაშორისო აყვავებისა და კეთილდღეობის.

ვინაიდან მე წილად მხვდა უპირატესობა აქ დამსწრე ერთად ერთ ქალთან ჯდომისა, ნება მომეცით მივესალმო მას და მისი სახელით ყველა ქალებს და ვისურვო, რათა მათ შორიდან მოუძღვნან საქართველოს არა მარტო თავიანთი სურვილები, არამედ ძლიერი მისწრაფებანი მშვიდობიანობისანი.

დიდის კმაყოფილებით ვუსმენდი მე ღრმად პატივცემულ რესპუბლიკის თავმჯდომარის მტკიცებას, რომ საქართველოს სურს დაამყაროს მშვიდობიანი კეთილდღეობა ეროვნული თანაარსებობის საფუძველზე.

ჩვენს დროში არ არსებობს სხვა საფუძველი, რომელზედაც შესაძლებელი იყოს სოციალური პროგრესის დამყარება. და ჩვენ საქართველოსთან ერთად სულითა და გულით ვისურვებთ, რომ მან თავისი თავის გადარჩენასთან ერთად გადაარჩინოს საქართველოს მშრომელნიც.

მე ვსვამ სადღეგრძელოს საქართველოს, მისი თავმჯდომარის, მინისტრებისა და კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებლის, კონსტანტინე საბახტარაშვილის. ჩემს სიტყვებს მე ვუერთებ ჩემს წინამოადგილე და მეგობრის – დე მარტელის გრძნობას. მე ვსვამ ბატონ ევგენი გეგეჭკორის სადღეგრძელოს, რომელიც ამდენი ხანია ნაყოფიერად მუშაობს თავისი ქვეყნის სასარგებლოდ.

დასასრულ, მე გთხოვთ თქვენ საქართველოს აღორძინების დღესასწაულის დროს მოვიგონოთ ყველა ის პირნი, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს თავისუფლებასა, სამართლიანობასა და ჭეშმარიტებისათვის.

პოლკოვნიკი სტოქსი (დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი კავკასიაში).

ბატონებო!

მე მინდა მადლობა ვსთქვა იმ ტკბილი სიტყვების გამო, რომლებიც მისმა აღმატებულებამ, თავმჯდომარე ჟორდანიამ სთქვა ბრიტანეთის მთავრობისა და ჩემს მიმართ.

ჩემის აზრით, საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული მეგობრობა დამყარებულია საერთო ინტერესების ნიადაგზე და ვიმედოვნებ, რომ ასეთი მეგობრობა მუდმივი იქნება.

მე გულწრფელად მოგილოცავთ საქართველოს იურიდიულად ცნობას. თუმცა მე დიდ სიამოვნებას განვიცდი იმის გამო, რომ დღეს ინგლისის წარმომადგენელი ვარ, მაგრამ ცოტათი მაინც მაწუხებს, რომ ჩემს ალაგას არ არის ის ინგლისელი, რომელიც 30 წლის წინად მოვიდა აქ და გაგეცნოთ თქვენ და რომელიც, მე მწამს, თანამოაზრეა თქვენი სიხარულისა. ეს ადამიანი გახლავთ ბატონი ოლივერ უორდროპი.

გთხოვთ, მიირთვათ სადღეგრძელო ქართველი ხალხის ჯანმრთელობისა და აყვავებისთვის და აგრეთვე მისი აღმატებულების ნოე ჟორდანიას, – დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარისა.

ულრიჰ რაუშერი (გერმანიის ელჩი).

დღევანდელი დღესასწაული გამართულია უმშვენიერეს მოვლენის საქებ სადიდებლათ იმ მოვლენათაგან, რომლებიც საზოგადოთ შეიძლება ჩაითვალოს ზეიმის საგნათ: სახელდობრ, – ზეიმი გამოწვეულია უფლებრივობის საბოლოო გამარჯვებით და საუკუნოებრივ უუფლებობის დამარცხებით. რომ ქართველი ხალხის მხიარულებისა და სიამაყის დღეს გერმანიის წარმომადგენელი გულწრფელად იზიარებს თქვენს ზეიმს, – ამის აღნიშვნა ჩემთვის საჭირო არ იქნება, ეს კარგად იცის თვითეულმა ქართველმა. იურიდიულად ცნობა დიდი მნიშვნელობის ფაქტია საქართველოს ცხოვრებაში. მაგრამ ის თავისთავად არ ქმნის ახალ დამოკიდებულებას, ის მხოლოდ გამოხატულებას აძლევს იმას, რაც არის: ის მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ აქ ხალხმა და ქვეყანამ მოიპოვა ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, – ხალხმა და ქვეყანამ, რომლებიც თავისივე წიაღში ატარებენ ყველა გარანტიებს თავისუფალი არსებობისა და სიდიადისათვის მომავალში.

ვინც ეს არ იცოდა დღემდე, – ის გუშინ დარწმუნდებოდა ამაში. თქვენი დიდათ პატივცემულ ბატონ თავმჯდომარის მეთაურობით ჩვენ გუშინ ჩამოვიარეთ თქვენი საუკეთესო ჯარების ფრონტი, – ჯარების, რომლებიც ერთ-ერთ გარანტიას შეადგენენ თქვენი დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობისათვის, და როდესაც ამის შემდეგ თქვენი თავმჯდომარის ტრიბუნის წინაშე გაიარა მთელმა ხალხმა, ყველა პროფესიებმა, ყველა კლასებმა და პარტიებმა, ყველა ერებმა, რომლებიც თქვენი მშვენიერი ქვეყნის ბედნიერ მიწა წყალზე ცხოვრობენ; როდესაც თვითეული მათგანი აღფრთოვანებული იყო და სიამაყეს გრძნობდა დამოუკიდებელ სამშობლოს სიყვარულით, რომლის დამოუკიდებლობასაც ისინი მედგრად დაიცავენ, – მაყურებელს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო ერთი რამ: ჩვენს წინ სდგას ხალხი, რომელიც თავის წიაღშივე ატარებს გარანტიებს დამოუკიდებელ არსებობისთვის!

იმ საუბრიდან, რომელიც მე მქონდა თქვენი მთავრობის წევრებთან, გავიგე, რომ თქვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა გააკეთოთ ახალგაზრდა სახელ-

მწიფოს აპარატისათვის, რომ ყველა სფეროებში თქვენ გმართებთ ბევრი მუშაობა და გაუმჯობესების გატარება. მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი დაბრკოლება სახელმწიფოებრივ განვითარების საქმეში უკვე დაძლეულია. გზა თავისუფალია. და დღეს წმინდა გიორგის მერანს თქვენს სახელმწიფოებრივ ღერბში კიდევ უფრო მაღლა შეუძლია აღიმართოს. დღეს იგი უფრო გაბედულათ გაემართება წინ, მომავლისაკენ;

მე მწამს, მე ვიცი, რომ თქვენი უნარისა და დიდ ნაციონალური თვისებების მეოხებით ეს იქნება ბედნიერი, დალოცვლილ, საამაყო მომავალი.

საქართველოს რესპუბლიკის ამ მომავლის სადღეგრძელოთ ვცლი მე ჩემს ჭიქას.

ბატონი ჩერუტტი (იტალიის ელჩი).

ბატონო მთავრობის თავმჯდომარევ, მოწყალეო ხელმწიფენო! იმავე უმაღლეს კმაყოფილების გრძნობით და იმავე მღელვარებით, რომლებსაც მე განვიცდიდი მაშინ, როდესაც პატივი მქონდა გადამეცა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისათვის ბატონ გეგეჭკორის დეპეშა უმაღლეს საბჭოს მიერ 27 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობის „De Jure"-თ აღიარების შესახებ. – კვლავ მოგიძღვნით მხურვალე სალამს და ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფის, მთავრობისა და იტალიის ხალხის კეთილ სურვილებს.

მე ვთვლი უუბედნიერეს მოვლენად ჩემი დიპლომატიური მუშაობის დროს იმ გარემოებას, რომ საშუალება მომეცა ვყოფილიყავი ამ კეთილშობილ ქვეყნის იურიდიულად დაბადებისა, აგრეთვე იმ გარემოების, რომ მე პირველმა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან განვუცხადე საქართველოს მთავრობას უმხურვალესი სურვილები იტალიის ხალხის სახელით. და მართლაც. საქართველოს „De Jure"-თ ცნობა, – ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც ასე ეთანხმება ჩემი მთავრობის სურვილებს და რომელიც დიდის სიხარულით იქნა მიღებული იტალიაში, სადაც ასე ცოცხალია სიმპატია კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკისადმი.

როდესაც თფილისში მოვდიოდი და გამოსამშვიდობებელი აუდიენცია მქონდა მის უმაღლესობა მეფესთან, – ჩემი უავგუსტოესი ხელმწიფე შემხვდა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ მიემგზავრებით იმ ქვეყანაში, სადაც მე რამოდენიმე დაუვიწყარი კვირეები გავატარე ამ 30 წლის წინად: თქვენ მიემგზავრებით ქვეყნის ერთ-ერთ უმშვენიერეს მხარეს და მე მშურს თქვენი ხვედრი".

მე მინდოდა მომეყვანა აქ ეს სასიყვარულო სიტყვები იტალიის მეფისა, ვინაიდან ამ სიტყვებით შეიძლება გამოხატული იქნეს ყველა იტალიელის სიმპატია საქართველოსადმი, – იტალიელების, რომლებსაც ბედნიერება ჰქონდათ რამოდენიმე ხანი დაეყოთ ამ სტუმართმოყვარე ქვეყანაში.

რაც იტალიის მთავრობას შეეხება, – მისი ღონისძიებანი საქართველოს „De Jure"-თ ცნობის სასარგებლოდ და მისი გაბედული გამოსვლები მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, ლოღიკურია დასკვნა მისი

პოლიტიკური გეზისა.

მთავრობას, რომელიც მატარებელია ლიბერალიზმის უუწმიდესი ტრადიციებისა, წარმომადგენელია იმ ქვეყნის, რომელიც საუკუნოების (!) განმავლობაში განიცდიდა უსამართლო ძალადობას უცხო სახელმწიფოების მხრივ და რომელიც მიმართავდა თავის დამოუკიდებლობისა და სამართლიან საზღვრების მოსაპოვებლად უფლების და არა იარაღის ძალას, – ამ მთავრობას არ შეეძლო თავისუფალ, დამოუკიდებელ და ბედნიერ საქართველოს დაარსებაში არ დაენახა ერთ ერთი ლოღიკური შედეგთაგანი უმაგალითო მსოფლიო კონფლიქტისა.

იტალიის მთავრობას, რომელსაც აღაფრთოვანებს ძველი რომის სიბრძნე, ხელი უნდა შეეწყოს ამ ბედნიერ მოვლენის დაჩქარებისთვის სამართლიანობის სახელით, რომელმაც მიიღო თავისი კურთხევა ტიბრის ნაპირებზე.

მაგრამ გულწრფელი სურვილები თქვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს მიმართ გამოსთქვა აგრეთვე იტალიის ხალხმა, იმ ხალხმა, რომელმაც კარგათ იცის მონობის ტანჯვა წვალება, რომელსაც არასოდეს არ მოუდრეკია ქედი ტირანების ბატონობის წინაშე, რომელსაც მუდამ მაღლა ეჭირა თავისი თავი, რადგანაც სწამდა სიწმინდე უფლებისა, სიმართლე თავის საქმისა! იტალიის ხალხი, რომელმაც ომის დროს ამდენი სისხლი დაღვარა, რომელმაც შესაძლებელია, უფრო მეტი უბედურება გადაიტანა, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხმა, რადგანაც იტანჯებოდა შიმშილისა და სიცივისაგან იმ დროს, როდესაც მისი ჯარისკაცები იბრძოდნენ ფრონტზე, – ეს ხალხი ხედავს ახალ სახელმწიფოში, რომლის დაბადებას ჩვენ ვზეიმობთ – მსოფლიო ომის ერთ იშვიათ უმაღლეს შედეგთაგანს და იგი სულითა და გულით ზეიმობს.

მშრომელი ხალხი, რომელიც ქართველი ხალხის მსგავსად აღვსილია სამშობლო მიწა წყალისადმი სიყვარულით და მასავით უარყოფს სამშობლოს მომსპობ უტოპიებს, უწვდის თავის ხელს კავკასიის მშრომელებს და ძმური გრძნობით ართმევს მას ხელს.

გამოვსთქვამ რა ამ გრძნობებს, მე გულწრფელად ვუსურვებ ყოველივე კეთილს საქართველოს, მის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ასეთის ღირსებით და ნიჭიერათ თავმჯდომარეობს საქართველოს მთავრობაში;- მთავრობის ყველა წევრებს, დამფუძნებელ კრებას, საქართველოს არმიას და სახალხო გვარდიას; მე მსურს, რომ საქართველოს შესვლა საერთაშორისო ოჯახში, რაც წარმოადგენს სამართლიანობის აქტს, გარდაიქცეს მომასწავლებლათ იმისა, რომ მთელს ქვეყანაში მყარდება ჭეშმარიტი რომაული მშვიდობიანობა.

პოლკოვნიკი კიაზიმ ბეი (ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის წარმომადგენელი).

ბატონო თავმჯდომარე, მოწყალეო ხელმწიფენო!

მე მინდოდა ჩემი სიტყვის წარმოთქმა ოსმალურად, რათა უკეთ გამომეხატა გრძნობები, მაგრამ რაკი არა მყავს კარგი მთარგმნელი, ამიტომ მე

ვარჩევ ვილაპარაკო ფრანგულ ენაზე, რომელზედაც აცნობა მე-19 საუკუნემ ქვეყნიერებას თავისუფლებისა და ხალხთა სამღვთო უფლებათა მრავალი თეორიები, რომლითაც გამოჩენილი საფრანგეთის პოეტი და პატრიოტი პიერ ლოტი იცავდა და იცავს ოსმალეთის ხალხის სიმამაცეს და უდანაშაულობას და ფეხქვეშ გათელილ მის უფლებებს.

ბატონებო! მე, როგორც ოსმალეთის დიდ ნაციონალურ ყრილობის მთავრობის წარმომადგენელმა, შემიძლია განვაცხადო და დავამოწმო, რომ საქართველოს იურიდიულად ცნობა ოსმალეთის ხალხზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს.

ეს შთაბეჭდილება ემყარება პირველად ყოვლისა იმაზე, რომ ოსმალებს, როგორც ძლიერ მოყვარულთ თავის საკუთარ დამოუკიდებლობისა, ყველაზე უფრო ძლიერათ შეუძლიანთ დააფასონ და პატივი სცენ თავის მეზობლების დამოუკიდებლობას.

მეორეთ, მიუხედავათ სხვადასხვა შეხედულებისა ამ საკითხში, ოსმალები უყურებენ საქართველოს ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ძვირფას განძს აღმოსავლეთის ხალხთა ოჯახში.

მესამეთ, საქართველო თავის გეოგრაფიულ და ეკონომიურ მდგომარეობის გამო არის ხიდი ევროპასა და აზიას შორის, მაგრამ მეორე ხიდი, სტამბულის, ამ ჩვენი ძვირფასი დედა ქალაქის შემდეგ, რომელიც სამღვთოა ჩვენთვის და მთელ ისლამის ქვეყნისათვის.

მეოთხეთ, არის კიდევ ერთი მოტივი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი – საქართველოს ცნობა გამოიწვევს ხმამაღალს და თანაგრძნობის გამოძახილს აღმოსავლეთის ხალხთა და მთელი ქვეყნის მხრივ, რომლებიც ამ წუთში ღრმა შიშს განიცდიან თავისი მომავალი არსებობის გამო!

არა მსურს რა შევეხო დიდი პოლიტიკის საკითხებს, მე ვკმაყოფილდები შემდეგი შენიშვნით: ტანისამოსს იცვლიან სეზონის მოთხოვნილებების თანახმად.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მე კმაყოფილების გრძნობით მსურს გაცნობოთ, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა მიჰმართეს უშუალოდ ჩემს მთავრობას ანგორაში თხოვნით, გაჰგზავნოს მან თავისი წარმომადგენლები ლონდონის კონფერენციაზე.

ჩვენმა მთავრობამ, რომელიც კანონიერი წარმომადგენელია ჩვენი ქვეყნის და განმახორციელებელია ჩემი ქვეყნის და განმახორციელებელია ოსმალეთის ხალხის ნებისყოფის, უკვე გაჰგზავნა თავის დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა გუშინ ღამით სპეციალური მატარებლით ლონდონში, საიდანაც ერები ელიან დამშვიდებისა და შემსუბუქების ცნობის მიღებას. დაბოლოს, რეალური ზავის დამყარებას, რომელსაც ოსმალები ქვეყანაზე ყველაზე უფრო ძლიერ საჭიროებენ.

მე ვიღებ სასმისს დამოუკიდებელ საქართველოს აყვავებისთვის, მისი მთავრობის და მთავრობის თავმჯდომარის, დიდათ პატივცემულ ბატონ ჟორდანიას დღეგრძელობისათვის.

სერგო ქავთარაძე (რუსეთის ს.ფ.ს.რ. წარმომადგენლობის პირველი მრჩეველი)

ამხანაგო ნოე!

მე მოგმართავთ აქ, რადგან ის წყარო, რომლიდანაც ჩვენ მიგვიღია იდეური საზრდო, – ერთია.

მე მოგმართავთ ასე, როგორც წარსულში ჩემს მასწავლებელს.

მე მოგმართავთ ქართულად, რადგან ეს ენა არის ენა ქართველ მშრომელთა ხალხის, რომელთანაც გამიტარებია მთელი ჩემი რევოლიუციონერული სიყმაწვილე.

ამხანაგო ნოე!

თქვენს სიტყვაში რუსეთი მოიხსენიეთ, როგორც ისტორიული და გეოგრაფიული მეზობელი. მე კი მგონია, აქ აღსანიშნავია უფრო მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, მომენტი იდეური: რუსეთი არის სოციალისტური რესპუბლიკა, სადაც მშრომელი მასები კარგა ხანია შეუდგენ სოციალისტური წესწყობილების დამკვიდრებას, სოციალიზმის ცხოვრებაში გატარებას და თქვენთვის, როგორც სოციალისტისთვის, რომელიც სახელმწიფოს სათავეში უდგია და რომლის საბოლოო მიზანი სოციალიზმია, არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო ღრმა კავშირი, ვიდრე ისტორიული და გეოგრაფიული.

იმ წარმომადგენელთა შორის, რომელმაც თავიანთ საპასუხო სიტყვაში გამოსთქვეს სიყვარული და სიმპატია ქართველი ხალხისადმი, მე, როგორც მშრომელთა რესპუბლიკის დღეს აქ შემთხვევით წარმომადგენელს, დარწმუნებული ვარ, მომაკუთვნებთ არა უკანასკნელ ადგილს და ჩემს სიყვარულის და თანაგრძნობის განცხადებას ქართველი მშრომელი ხალხისადმი თქვენ მიიღებთ მეტის რწმენით და დაჯერებით.

აგრეთვე იმ ჰიმნს, რომელიც არის ლოცვა მთელი მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატის და აგრეთვე თქვენიც, თქვენ მოისმენთ ღრმა სასოებით და თქვენი გული მეტის თანაგრძნობით და სიყვარულით აძგერდება „ინტერნაციონალის“ ხმების გაგონებაზე.

ნება მიბოძეთ, ეს სასმისი ავიღო ხელში და სრულის გულწრფელობით ვსთქვა სადღეგრძელო ქართველი მშრომელი ხალხის და აგრეთვე თქვენი, როგორც მისი დღევანდელი ბელადის და მესვეურის.

გაზ: „ერთობა“ № 34. 13 თებერვალი, 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წლის თებერვლის 8

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი; დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე; მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1/62 მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, თებერვლის 8-ს წარმოდგენილი ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი – ქალაქ ბათუმისა და ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებისა.

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა თებერვლის 5-ს სხდომაზე. პროექტი შეიცავს ქვემოდ ჩამოთვლილ უწყებათა ბათუმის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა შტატებს და შემოსავლის აღრიცხვებს.

ამ შტატებს და აღრიცხვებს დართული აქვს სათანადო სამინისტროების განმარტებანი და მასალა.

მთელ ამ მასალას დართული აქვს ფინანსთა მინისტრის ამხანაგის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისადმი მონაწერი ამა თებერვლის 8-ს თარიღითა და 96 №-ით შემდეგი შინაარსისა: „ამასთანავე ვადგენ დასამტკიცებლად ქ. ბათუმის და მის ოლქში სახალხო განათლების, იუსტიციის, ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწველობის, მიწათმოქმედების, გზათა და შრომის სამინისტროების ქვემდებარე დაწესებულებათა შტატებს და შემოსავალ – გასავლის აღრიცხვებს, რომელნიც მთავრობის 5 ამა თებერვლის სხდომაზე იქნენ განხილულნი და მიღებულნი, თანახმად სახელმწიფო კონტროლის და ფინანსთა სამინისტროს მიერ შეტანილი ცვლილებებისა.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას, ის წარმოდგენილი იქნება დამატებით, ვინაიდან თუმცა ეს უკანასკნელი უკვე განხილულია სახელმწიფო კონტროლის და ფინანსთა სამინისტროს მიერ, მაგრამ ამ ხარჯთაღრიცხვით გამოთხოვილი თანხა, რომელიც შეტანილ შესწორებების შედეგს უდრის 96.780.523 მან., ვერ არის განაწილებული § § – ათ და მუხლებათ ცუდათ შედგენილ მასალის გამოგზავნის გამო; სამხე-

დრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაზე კი ფინანსთა სამინისტროს ჯერ არ მიუღია სახელმწიფო კონტროლისაგან დასკვნა და ამიტომაც იმის შესახებ რაიმე გადაწყვეტილი აზრის გამოთქმაზე ფინანსთა სამინისტრო თავს იკავებს, მაგრამ საქმის სისწრაფისა გამო, ეს ხარჯთაღრიცხვაც ეგზავნება საბიუჯეტო კომისიას, რადგანაც შესაძლებელია კონტროლმა იქ მისცეს თავის დასკვნა ამ საკითხის შესახებ".

პროექტს არ აქვს დართული თვით დამტკიცების კანონის ტექსტის პროექტი.

დადგენილება: განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

2. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე-IX თავის შესწორებანი, შემოტანილი: 1) სოციალ-დემოკრატიული და 2) სოციალისტ – რევოლუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავში ზოგადი წესით განხილვა ამა თებერვლის 4-ს დამთავრდა და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

3. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XII თავის შესწორებანი, შემოტანილი: 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა და 3) სოციალისტ – რევოლუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა ამა თებერვლის 4-ს დამთავრდა და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

4. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XIII თავის შესწორებანი, შემოტანილი 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

12/2 მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XI თავის შესწორებანი, შემოტანილი: სოციალისტ-რევოლუციონერთა და ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა ამა თებერვლის 4-ს დამთავრდა და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

3/12 მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XII თავის შესწორებანი, შემოტანილი: 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა და 3) სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა ამა თებერვლის 4-ს დამთავრდა და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

4/12 მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XIII თავის შესწორებანი, შემოტანილი: 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა, 3) სოციალისტ-რევოლუციონერთა და 4) ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა ამა თებერვლის 4-ს დამთავრდა და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

5/12 მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XIV თავის შესწორებანი, შემოტანილი: 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა, 3) სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა ამა თებერვლის 4-ს დამთავრდა და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

6 მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XV თავის შესწორებანი, შემოტანილი: 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა, 3) სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა ამა თებერვლის 4-ს დამთავრდა და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

7/29 მოსმენილია: ცნობა, რომ საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიულ

კომისიათ უკვე განუხილავთ და მიუღიათ ფინანსთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – თავდაცვის გადასახადის შესახებ. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მხრით მომხსენებელია გრიგოლ ურატაძე. იურიდიულ კომისიას მომხსენებელი არ დაუნიშნავს. პროექტის ასლი ფრაქციათ ხვალ დაურიგდებათ.

ცნობა: პროექტი სასწრაფო მნიშვნელობისაა.

დადგენილება: შესწორებანი, კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლის თანახმად, გადაეცეს საკონსტიტუციო კომისიას დასკვნისათვის.

8/57 მოსმენილია: ცნობა, რომ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას უკვე განუხილავს და მიუღია შესწორებით ფინანსთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა – რესპუბლიკის უწყებათა საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯის დასაფარავად დამატებით 208.912.000 მან. გადადების შესახებ.

კომისიას უწყების პროექტით ნავარაუდევი თანხა 183.912.000 მან. შეუმცირებია. ამ პროექტის განხილვის დროს კომისიაში მონაწილეობას იღებდენ სათანადო უწყების წარმომადგენელნი.

ცნობა: პროექტი ფრაქციათ დღეს დაურიგდებათ. კომისიის მხრით მომხსენებელია კონსტანტინე გვარჯალაძე.

დადგენილება: პროექტი შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 11-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

9/1 მოსმენილია: ცნობა, რომ გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიათ უკვე განუხილავთ და მიუღიათ შესწორებით და დეკრეტის სახით გზათა მინისტრის კანონპროექტი – სახაზინო და კახეთის რკინიგზის მილიციის დაარსების შესახებ.

კომისიათ ეს პროექტი შემდეგნაირად შეუცვლიათ: დეკრეტი რკინიგზის მილიციის დროებითი შტატის შესანახად. 1.989.870 მან. გადადებისა. ორივე კომისიის მხრით მომხსენებელია პავლე წულაია.

ცნობა: პროექტის ასლი ფრაქციათ ხვალ დაეგზავნებათ.

დადგენილება: პროექტი შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 11-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივანი [ხელმოწერის გარეშე];
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 34-36.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მეთოთხმეტე (94)

1921 წ. თებერვლის 8. შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი:
№№ საკანონმდებლო აქტის სახელწოდება (რიგზე).

1. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. კომისია და მომხსენებელი. შენიშვნა: სარედაქციო კომისია, ივანე გომართელი.

2. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – საქართველოს ბონის 5.000 და 10.000 მან. კუპიურის გამოცემის შესახებ. სარედაქციო კომისია: ივანე გომართელი.

3. პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა პირდაპირი გადასახადის და ბაჟის წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ: საბიუჯეტო-საფინანსო კომისია: კირილე ნინიძე.

4. დეკრეტი – ბინისა და სადგომების უდიდესი ქირის დაწესებისა: თვითმმართველობის კომისია. მელიტონ რუსია.

5. დეკრეტი – ტფილისის ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფრის შესანახად დამატებით 1.842.736 მან. გადადებისა: საბიუჯეტო-საფინანსო და ჯანმრთელობის კომისია. ივანე გომართელი.

6. დეკრეტი – ზუგდიდის და ახალქალაქის თვითმმართველობის ხმოსანთა რწმუნებულობის ვადის განგრძობისა: თვითმმართველობის კომისია. ბენია ჩხიკვიშვილი.

7. განგრძობა მსჯელობისა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

[ხელმოწერის გარეშე]

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 737. ფ.ფ. 9-12.

***

დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრტიულმა ფრაქციამ, ნაცვლად აკაკი ჩხენკელისა, რომელმაც მიიღო დანიშნულება ევროპაში, სამხედრო კომისიის წევრად დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე აირჩია.

სოც. დემ. ფრაქცის მხრით სამხედრო კომისიაში, ნაცვლად ნიკოლოზ იმნაიშვილისა, არჩეულია პეტრე გელეიშვილი.

შრომის კომისიაში სოც. დემ. ფრაქციის მხრით, ნაცვლად ფირცხალაიშვილისა, არჩეულია ვასილ ცაბაძე,

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 30, 9 თებერვალი, 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მეთოთხმეტე (94)

1921 წ. თებერვლის 8

თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე

თავმჯდომარე ამცნობს დამფუძნებელ კრებას რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე ხელთუფლიშვილის გარდაცვალებას და მოკლეთ ახასიათებს განსვენებულის მოღვაწეობას და პირად თვისებებს. განსვენებული ხელთუფლიშვილი, – ამბობს თავმჯდომარე, – ეკუთვნოდა მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლებში გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე. ჩუმი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი მოღვაწე იყო. მან თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ერის გათვითცნობიერების საქმეში. განსვენებულს, როგორც იურისტს, ბადალი არ ჰყავდა კავკასიაში. ცხადია, დამფუძნებელმა კრებამ ასეთ ადამიანს ჩააბარა რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარეობა, მაგრამ ბედმა არ არგუნა მას დიდხანს სდგომოდა სათავეში ამ დაწესებულებას. აღსანიშნავია განსვენებულის პირადი თვისებებიც: უმწიკვლო და ღრმა კეთილშობილება და უდიდესი პატივისცემა ადამიანისადმი; აი რა ახასიათებდა მას. აი ასეთი პიროვნება დაჰკარგა ქართველმა საზოგადოებამ და გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივისცეთ განსვენებულის ხსოვნას.

დამფუძნებელმა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

შემდეგ მიღებული იქნა წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტთა საბოლოო ტექსტი.

შემდეგ გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ.

ივანე ლორთქიფანიძე (ს.რ.) აღნიშნავს: ჩვენი მთავარი დებულება, რომელიც წარმოვადგინეთ, მთავრობის საწინააღმდეგო იყო ის, რომ მთავრობა უპასუხისმგებლოა; სხვა რომ არა იყოს, თვით ის კამათიც, რომელიც მთავრობის განცხადების გამო სწარმოებს, ამტკიცებს, რომ ჩვენ არ გვყავს პასუხისმგებელი მთავრობა. ორი თვე ნახევარია, რაც ეს კამათი გრძელდება და მთავრობას ამ ხნის განმავლობაში არ მიუღია დამფუძნებელი კრების დას-

ტური ნდობა, მან არ დასვა ნდობის საკითხი. ამას თუ დავუმატებთ იმ ახალ „რაზობლაჩენიებს“, რომელსაც „ახალი სხივი“ აკეთებს ...

(ნოე რამიშვილი: ოო!)*

მართალია, ეს თქვენ არ მოგწონთ, მაგრამ მართლდება ამხანაგ ლეო შენგელაიას სიტყვები, რომელიც მან სთქვა ზაფხულში; „ნოე რამიშვილი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ანგრევს სახელმწიფოს და როგორც პარტიის დიქტატორი, ანგრევს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და თუ ამ პარტიის დანგრევამ მოუსწრო, მაშინ აშენდება ჩვენი სახელმწიფო”.

(სიცილი)

შემდეგ ორატორი ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამბობს: ბატონი რამიშვილი არც პრესის და არც დამფუძნებელი კრების საშუალებით ჩვენ არ გვატყობინებს, თუ რა ხდება ამა თუ იმ მაზრაში, რესპუბლიკაში. რატომ არ გვეუბნებით 3 თვეში მაინც, თუ რა ხდება აბხაზეთში, ბათუმის ოლქში, რა სულის კვეთებაა იქ და სხვ. შინაგან საქმეთა მინისტრი ემყარება მარტო რეპრესიულ ზომებს; აიღეთ, თუ გნებავთ, მოქალაქე წვერავას დატუსაღება, რომელიც იყო კლუბის მორიგ გამგეთ. ის დაატუსარეს სტუდენტთა საღამოს 26 იანვარს და განსაკუთრებულ რაზმში გააგზავნეს, იქ კი გაანთავისუფლეს.

* მინისტრ რამიშვილის ამ რეპლიკის შემდეგ, დეპუტატ ტერ-სტეფანიანის სიტყვამდე, გაზეთ „ერთობაში“ შემდეგი ტექსტა მოყვანილი: „მართალი, ეს თქვენ არ მოგწონთ, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენი პარტია ინგრევა, და რაც უფრო ადრე დასრულდება ეს პროცესი, მით უკეთესია, მაშინ აშენდება ჩვენი სახელმწიფო...

(სიცილი, ხმები: „თქვენი აშენებული სახელმწიფო რაღა იქნება?“)

ორატორი ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამბობს: ბატონი რამიშვილი არც პრესის და არც დამფუძნებელი კრების საშუალებით ჩვენ არ გვატყობინებს, თუ რა ხდება რესპუბლიკის ამა თუ იმ მაზრაში, რატომ არ გვეუბნებით 3 თვეში ერთხელ მაინც, თუ რა ხდება აფხაზეთში, ბათომის ოლქში რა სულის კვეთებაა იქ და სხვა. შინაგან საქმეთა მინისტრი ემყარება მარტი რეპრესიულ ზომებზე, აიღეთ თუ გნებავთ მოქალაქე წვერავას დატუსაღება, რომელიც იყო კლუბის მორიგი გამგე. ის დაატუსაღეს სტუდენტთა საღამოს 26 იანვარს და განსაკუთრებული რაზმში გაგზავნეს, ის კი გაათავისუფლეს. განა დასაშვებია ეს? განა დასაშვებია თეატრის დაბეჭვა? აიღეთ თუ გნებავთ ბინების საკითხი, ჩვენში ამ მხრივ დიდი კრიზისია მაშინ, როდესაც ერთ ან ორ სულს 7-8 ოთახი უჭირავს.

თქვენ ყველამ იცით, რომ ერთ ქუჩაზე ლარინსკის ქალს უჭირავს სახლი, იქ 7-8 ოთახში სუფევს მორევი გარყვნილებისა...

(ბიკტორ თევზაია და სხვები, ადგილიდან: „ჩვენ არაფერი ვიცით, თქვენ კი გცოდნიათ!“)

ყოველ შემთხვევაში, ეს იციან მილიციის აგენტებმა.

(ვალიკო ჯუღელი: „თქვენ იქ დადიხართ?“)

არა, მაგრამ ნუ დამასახელებინებთ სტუმრების გვარებს.

თავმჯდომარე: ბატონო ორატორო, თავი დაანებეთ მაგის შესახებ ლაპარაკს, ილაპარაკეთ საგანზე.

ლორთქიფანიძე: ამიტომ საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს შინაგან საქმეებს.

შემდეგ ორატორი ეხება იუსტიციის მინისტრის მოქმედებას და დაასკვნის, რომ იუსტიციის მინისტრი იმას აკეთებს, რაც მას მოეპრიანება, ის ერევა სასამართლოს საქმეებში მაშინ, როცა ეს საჭირო არ არისო.

განა დასაშვებია ეს? განა დასაშვებია თეატრის დაბეჭდვა?

ამიტომ საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს შინაგან საქმეებს. შემდეგ ორატორი ეხება იუსტიციის მინისტრის მოქმედებას და ასკვნის, რომ იუსტიციის მინისტრი აკეთებს, რაც მას მოეპრიანება, ის ერევა სასამართლოს საქმეებში მაშინ, როცა ეს საჭირო არ არისო.

შემდეგ ილაპარაკა გარეგინ ტერ-სტეფანოვმა (დაშნაკ.). მან აღნიშნა, რომ თემი, ქალაქი და ერობა თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებენ და ხშირად არავითარ ანგარიშს არ უწევენ საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, არ ემორჩილებიან ცენტრის განკარგულებას. მაგ, სიღნაღში ადგილობრივმა გვარდიის შტაბმა დაიჭირა სკოლის შენობა. ამის შესახებ მე მოვახსენე შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს. მან მოახდინა განკარგულება, მაგრამ სისრულეში არ იქნა მოყვანილი.

ნოე რამიშვილი (შინაგან საქმ. მინისტრი): დამფუძნებელი კრების წევრნო!

აქ თქვენ გელაპარაკეს მთავრობის უპასუხისმგებლობის შესახებ და საბუთად ის მოიყვანეს, რომ: აი, ორი თვე ნახევარია, რაც კამათი გრძელდება მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ და ამის შემდეგ მთავრობას დღესაც არ აქვს ნდობა მიღებული დამფუძნებელ კრებისგანო. მე ვფიქრობ, რომ დამფუძნებელი კრების ყველა დეპუტატმა კარგათ იცის, თუ როგორ ხდება სხვა ქვეყნების პარლამენტში მთავრობის გამოსვლის აწონ-დაწონვა. ის, რაც ჩვენში ხდება, არ მომხდარა არც ერთ ევროპის პარლამენტში. თქვენ იცით ისეთი ფრაქცია, რომელსაც არ გამოეთქვას თავისი აზრი, არამედ ზოგიერთი ფრაქციიდან სამმა ორატორმა ილაპარაკა. მართალია, ევროპაში ხდება დიდი დღეები, მაგრამ იქ იციან მთავრობის მოქმედების პოლიტიკური აწონ – დაწონვა და არა ქუჩაში გაგონილი ჭორების ტრიბუნაზე გამოტანა და ამაზე დახურდავება პოლიტიკური საკითხისა.

ამ რიგათ, ოპოზიციამ და განსაკუთრებით სოც.-ფედერალისტების ფრაქციამ ეს მთავარი საკითხი, პოლიტიკური მხრივ, მიაფუჩეჩეს და ამით კამათს თავისი მნიშვნელობა დაუკარგეს. ოპოზიციამ ძალიან კარგათ იცის, რომ მთავრობაში მომხდარ ცვლილების შესახებ უმრავლესობის ფრაქციამ უკვე გამოიტანა თავისი მსჯავრი, დადგენილება და ეს დადგენილება დამფუძნებელმა კრებამაც უნდა მიიღოს, მაგრამ ისინი მაინც აწარმოებდნენ დაუსრულებელ კამათს და იცით რატომ? იმიტომ რომ უკვე მოახლოებულია საპარლამენტო არჩევნები და მათ სურთ პარტიული კაპიტალის შეძენა. ლორთქიფანიძემ აქ განაცხადა, რომ უპასუხისმგებლობას ისიც ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ყოველ 3 თვეში არ გვიკეთებს მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა ხდება ამა თუ იმ მაზრაშიო. მე ვეკითხები ბატონ ლორთქიფანიძეს: რომელ პარლამენტშია ასეთი წესი მიღებული? თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ პარლამენტს, სადაც ასეთი წესი იყოს მიღებული.

ქალაქ ზუგდიდის მაზრა ახსენეს. მე მგონია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან „გაბედულია“ სოც. – რევოლუციონერთა ფრაქცია, მაინც ვერ

დაასახელებს იმ მაზრებს, სადაც მათ ფეხი მოიტეხეს. მაშინ, როცა იქ ბატონობდნენ სოც. – რევოლუციონერები, ძარცვა-გლეჯა იყო.

(ხმები: მართალია!)

დღეს კი იმ მაზრაში ყაჩაღთა რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია. არასოდეს, თვით მეფის მთავრობის დროსაც არ ყოფილა ზუგდიდის მაზრაში ისეთი მცირე რიცხვი ყაჩაღთა, როგორც ამ ჟამად არის. სხვათა შორის, ბათუმზედაც იყო ლაპარაკი მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა ხანია, რაც ბათომი ჩავიბარეთ. იქ საქმეს გაუმჯობესება ეტყობა. ამას უცხოეთის პრესაც აღნიშნავს, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ დამნაშავე მოხელეთა თავის ადგილზე დაეტოვებინოს და პასუხისმგებაში არ მიგვეცეს, – ამის მაგალითს თქვენ ვერ დამისახელებთ.

(ლეო შენგელია: ამბულახის კომისარი?)

ბატონო შენგელაია, ჰკითხეთ თქვენს გვერდით რომ ზის, ივანე გობეჩიას ამის შესახებ და ის გეტყვით. ამბულახის კომისარის შესახებ ჩემთან მოვიდა ივანე გობეჩია და მე მაშინათვე გავეცი ბრძანება ამბულახის კომისრის გადაყენების შესახებ.

(ლეო შენგელაია: ის კომისარი ეხლა თავის თანამდებობაზე არ არის?)

არ არის.

(ლეო შენგელაია: სასიამოვნოა!)

შემდეგ მინისტრს მოჰყავს მთავრობის დადგენილება კლუბების და ზოგიერთი თეატრების დახურვის შესახებ და ასკვნის, რომ „ქართულ კლუბთან" არსებული თეატრი იყო კლუბის განყოფილება და მან განიცადა კლუბის გამგე, როგორც პასუხისმგებელი პირი და ეს დაპატიმრება გამოიწვია მთავრობის დადგენილების დარღვევამ, რომელიც მოხდა კლუბის დარბაზში.

რაც შეეხება სიღნაღის სკოლის გვარდიის დაკავებას, მე მართლაც გავეცი განკარგულება მისი განთავისუფლების შესახებ და მე დღეს პირველად მესმის ტერ-სტეფანიანცისაგან, რომ ის განკარგულება სისრულეში არ არის მოყვანილი, ყოველ შემთხვევაში მის შემდეგ ჩემთან არ მოსულა გარეგინ ტერ-სტეფანიანი და არაფერი უთქვამს. ამ წვრილმანის კითხვის აქ გამოტანა მაინც არ ღირდა. მე ვაცხადებ, რომ ყოველ დეპუტატს შეუძლია მოვიდეს სამინისტროში და თუ რაიმე ბოროტ მოქმედებას აღმოაჩენს, დაუყოვნებლივ იქნება მიღებული ზომები. სამინისტროს კარები არ არის ღია მხოლოდ იმ ვექილებისათვის, რომლებიც ბოროტმოქმედებას იცავენ.

(სპირიდონ კედია: ეს ასეც უნდა იყოს).

აქ ბატონმა ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ სოც.-დემოკრატია რამიშვილმა დაანგრია, ხოლო სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოს ანგრევსო. ამის შესახებ მე უნდა განვაცხადო, რომ სოც.-დემოკრატიის მიერ დაღუპული სახელმწიფო ჯერ არავის უნახავს და ვერც ოდესმე ნახავს...

(ტაში).

ხოლო ესერებმა უკვე დაღუპეს ორი სახელმწიფო: ერთი რუსეთი და მეორე ერევანი!

როდესაც სომხეთში ვრაციანს მიანდვეს კაბინეტის შედგენა, მე მაშინვე განვუცხადე კერძო საუბარში ერთერთ მთავრობის წევრს: „ახლა დაიღუპა სომხეთი-მეთქი“. ჩემი სიტყვები გამართლდა.

აქ ბევრს ლაპარაკობენ პარტიული კაპიტალის შესაძენად, მაგრამ მომავალ არჩევნებში ხალხი ყველა მათ დაუმტკიცებს, თუ რა უნიადაგონი არიან ისინი და მთელ მათ გამოსვლებს სათანადოდ დაამტკიცებს (ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს ნოე ჟორდანიამ (რომლის სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ), სპირიდონ კედიამ და ალექსანდრე ასათიანმა. შეტანილ იყო სოც. დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მარტო კირილე ნინიძეა ჩაწერილიო. მაშინ სოც.-დემოკ. ფრაქციიდან გაისმა ხმები: *„მივცეთ ნინიძეს სიტყვა”,* მაგრამ ნინიძე დარბაზში არ აღმოჩნდა. ამგვარად, კამათი დასრულდა.

კენჭი ეყარა სოც. დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წარდგენილ რეზოლუციას:

„მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება მთავრობის ნაწილობრივ განახლების შესახებ, დამფუძნებელი კრება კმაყოფილებას გამოსთქვამს და გადის მორიგ საკითხზე“.

კენჭის ყრის დროს ეროვნულ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს, ესერებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. სოც.-ფედერალისტები სხდომას არ დასწრებია*.

გაზ. „საქართველოს რესპულიკა“, № 31. 10 თებერვალი, 1921 წ.

***

„კამათი დასრულდა!“

დამფუძნებელ კრებაში 8 თებერვლის სხდომაზე, როგორც იქნა, დამთავრდა კამათი მთავრობის განცხადების გამო, გამოწვეული მთავრობაში მომხდარი ცვლილებებით. ეს საკითხი დამფუძნებელ კრების დღიურ წესრიგში თითქმის სამი თვე იდგა. სოციალ-დემოკრატიამ, მიიღო ყოველგვარი ზომები, რომ კამათს ფართო საზოგადოების ყურადღება არ მიექცია, რომ იგი შეუმჩნევლად ჩაეტარებია.

* სხდომის ეს წინადადება გაზ. „ერთობაში“ ასეა მოცემული: „რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცა ესერებმა. თავი შეიკავა დემოკრატიულმა ფრაქციამ“. იხ. „ერთობა“. № 32. პარასკევი, 11 თებერვალი, 1921 წ. გვ. 2.

სწორედ ასე იყო შარშანაც. მაშინ მოხდა აგრეთვე მთავრობის რეორგანიზაცია, დაარსდა ცალკე მომარაგების და იუსტიციის სამინისტროები. ამის შესახებ იყო მთავრობის განცხადება, მაგრამ ვიდრე ამ განცხადებამდი დამფუძნებელი კრება მივიდოდა, ორი თვე გავიდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მსჯელობა მთავრობის განცხადების შესახებ სოც.-დემ. წინადადებით ყოველთვის წესრიგის ბოლოში გადაჰქონდათ.

ასე იყო ამ წელსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ შარშან მთავრობის პოლიტიკის შესახებ მსჯელობა კვირაში ორჯერ შეიძლებოდა, ამ წელს კი ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ კვირაში ერთხელ!.

სოციალ-დემოკრატიამ მოისურვა კამათი ადრე შეეწყვიტა, მაგრამ დამფუძნებელ კრებაში ეს მან ვერ გაიყვანა. ყოველივე ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატების რწმუნება, რომ „კამათი ოპოზიციამ გააჭიანურაო“, სიმართლეს არ შეიცავს. მართალია, საკითხი – მსჯელობა მთავრობის განცხადების შესახებ წესრიგში დიდხანს იდგა, და როგორც დავინახეთ, იდგა სწორედ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეოხებით, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ყოველივე ის, რაც საჭიროი იყო მთავრობის პოლიტიკის შესახებ, ითქვა.

ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როცა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კამათის შეწყვეტა ვერ შესძლო, შეჰქმნა ისეთი პირობები, ისეთი ატმოსფერა დამფუძნებელ კრებაში, რომ მთელი რიგი ორატორებისა წინააღმდეგ მათი სურვილისა, მოიხსნა!.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან ამ კამათში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველამ, ვისაც ლაპარაკი შეეძლო. მაშასადამე, არც ის არის მართალი, თითქოს სოც.-დემ. ყველაზე ნაკლები ალაპარაკა. სოციალ-დემოკრატიამ ილაპარაკა იმდენი, რამდენიც მას შეეძლო. რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალი არ არის, თუ მას მუშტი და კრივი უფრო ეხერხება, ვიდრე სერიოზული კამათი!

სოციალ-დემოკრატიამ ვერ გააბათილა ვერც ერთი ბრალდება, წამოყენებული მის მთავრობის წინააღმდეგ! მას არ აღმოაჩნდა არავითარი საღი რევოლიუციუონური პოლიტიკა. ბატონმა ნოე ჟორდანიამ ისევ და ისევ გაიმეორე თავისი ანი, ბანი!

სოც.-დემ. ორატოებმა მოგვაყარეს დაზეპირებული შაბლონირი ფრაზები: *„სხვაგან უარესია, ობიექტური პირობები ხელს გვიშლიდა“*-ო და სხვა.

ერთი სიტყვით, *„არც მარჯვნით, არც მარცხნით“*– აი ის თილისმა პოლიტიკა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გააბედნიერა!

ამ პოლიტიკამ ჩვენი ქვეყანა კატასტროფამდი მიიყვანა. ეს აღიარა თვით ბატონმა ნოე ჟორდანიამ. ამ პოლიტიკის წყალობით დღეს თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ თვით *„ყველაფრის მცოდნე“* და *„ყოვლის შემძლე“* ნოეებმაც კი არ იციან თუ რამდენი წევრი არის დღეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში! საუცხოვო პოლიტიკაა, არა, მკითხველო?!

არც მარჯვნით, არც მარცხნით! – ეს არის უპირველეს ყოვლისა, თავისი პოლიტიკის **უარყოფით დახასიათება***. ის გვეუბნება თუ რა არ არის მენშევიკური პოლიტიკა, ის არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა არის, როგორია მენშევიკების პოლიტიკა. პოლიტიკა უნდა ხასიათდებოდეს უპირველესად ყოვლისა დადებითად. გარდა ამისა, გამოდის თითქოს მემარჯვენე და მემარცხენე პოზიცია იმდენათ გარკვეული მცნებაა, რომ მას არავითარი განმარტება არ სჭირდება, ეს კი ყველამ იცის, ასე არ არის. მსხვილი ბურჟუაზია მსხვილ აგრარიებთან შედარებით მემარჯვენეა, მაგრამ თვით მსხვილი ბურჟუაზია დღეს რეაქციონერია, უაღრესად მემარჯვენეა.

გარდა ამისა, როცა სოც.-დემოკრატია ამბობს: „არც მარჯნით, არც მარცხნით“, ეს იმას ნიშნავს, რომ მას საკუთარი პოლიტიკა არა აქვს. მან ჯერ უნდა გაიგოს რას იტყვის მემარჯვენე, შემდეგ რას იტყვის მემარცხენე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მოგვცეს ის პოლიტიკური ვინეგრეტი, რომელსაც ჰქვია: „არც მარჯვნით, არც მარცხნით!“

ბატონ ნოე ჟორდანიას განმარტებით დღეს არის სამი პოლიტიკა: ლიბერალური, მენშევიკური და ბოლშევიკური.

ლიბერალური პოლიტიკა ხასიათდება ფორმულით: „lesse faire, lesse passes“. ეს ერთობ ძველი ახსნაა, დღეს საქმე ცოტა სხვანაირად გახლავთ. კაპიტალისტები არ არიან ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევის წინაღმდეგ, თუ ეს ჩარევა მათ სასარგებლოთ იქნება!

კიდევ მეტი, ლიბერალები არ არიან წინააღმდეგ იმისა, რომ სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში იძულებით ქონება ჩამოართვას, მხოლოდ ეს უნდა მოხდეს აუცილებლად სასყიდლით!

განა გიორგი გვაზავა არ იყო, რომ დამფუძნებელ კრებაში, როცა ირჩეოდა კანონი ქონების იძულებით შესახებ, განაცხადა: „სიამოვნებით ვეგებები ამ ნაბიჯს“-ო?!

როგორც ხედავთ ლიბერალების დღევანდელ თეორიას სავსებით აკმაყოფილებს ... მენშევიკების პრაკტიკა!

ავიღოთ სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური პროგრამა ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევაზე. მის ახალ საფუძველზე. აწყობაზე იქ სიტყვაც არ არის!

ავიღოთ მეორე დოკუმენტი – დღევანდელი ჩვენი მთავრობის დეკლარაცია. რომელი ეკონომიური ხაზია აქ გატარებული? – არავითარი. ან უკეთ რომ ვსთქვათ – ლიბერალურ რაქციონური!

დამფუძნებელი კრების ოქმები რომ ავიღოთ დავრწმუნდებით, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატია ადგა „lesse faire“ – ის პოლიტიკას და ჩვენ დიდი ენერგია დაგვჭირდა იმისთვის, რომ სოციალ-დემოკრატები დაგვერწმუნებინა, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევა აუცილებელია.

ალბათ ყველას ახსოვს ბატონ ერაძის განცხადება დამფუძნებელ კრებაში, როცა დამფუძნებელმა კრებამ მუშა-მოსამსახურეთა სურსათ – სანოვა-

* ბოლდი ყველგან, სადაც საგანგებოდ არაა აღნიშნული – დედანშია. შემდგენელი.

გის დასამზადებლათ პირველად 50 მილიონი გაიღო. „ჩვენ ვიწყებთ ახალ ხანას, ჩვენ, – ესეიგი სახელმწიფო, უნდა გამოვიდეთ ბაზარზე კონკურენტის როლში“-ო, ამბობდა ბატონი ერაძე. ჩვენი პასუხი იყო: „გვიან ჯობს ვიდრე არასოდეს“-ო.

ასეთია საქმის ვითარება, ბატონი ნოე ჟორდანია კი გვარწმუნებს: „მთელს დედამიწაზე ერთად ერთი სწორი პოლიტიკა მენშევიკური პოლიტიკა არის“-ო.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

მესამე პოლიტიკა, ბატონ ნოე ჟორდანიას რწმუნებით, არის ბოლშევიკური პოლიტიკა. არც აქ არის მართალი ბატონი ნოე ჟორდანია. დღევანდელი ბოლშევიზმი ისე არ წააგავს 1905 წლის ბოლშევიზმს, როგორც ცისარტყელა ბაყაყს!

კიდევ მეტი, ერთია ბოლშევიზმი ოქტომბრამდი, ხოლო სულ სხვაა იგი ოქტომბრის შემდეგ. ის ყოველ დღე იცვლის პროგრამას და ტაქტიკას და განა ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ბოლშევიზმზე, როგორც გარკვეულ და მთლიან მიმდინარეობა – პოლიტიკაზე?!

როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმი, წმინდა რუსული მოვლენაა. მარტო ეს გარემოება საკმარისია იმ დებულების გასაბათილებლად, თითქოს მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობაში იყოს მხოლოდ ორი მიმდინარეობა: ბოლშევიზმი და მენშევიზმი. ბოლშევიკი, ჩემის აზრით წააგავს იმ ადამიანს, რომელსაც ექიმმა წამალი გამოუწერა და უთხრა“ „წვეთობით დალიე“ -ო. ავათმყოფმა იფიქრა: „რაღა წვეთობით დავლიო, ერთად გადავკრავ და უცბათ მოვრჩები“ -ო და ... თავი მოიწამლა!.

მენშევიკი მოგვაგონებს იმ ადამიანს, რომელიც ექიმს მაშინ მიმართავს მხოლოდ, როცა სიცხე 40 გრადუსამდე აუვა, როცა სასიკვდილოთ ლოგინში ჩავარდება!.

ჩვენ, სოც.-რეოლიუციონერებს, გვინდა, რომ მშრომელი ხალხი სრულებით არ გახდეს ავათ და თუ გახდება, თავის დროზე მიმართოს ექიმსა და წამალს და იოლათ დავძლიოთ ავადმყოფობა.

ყველაზე საღი, როგორც ხედავთ, სწორედ ჩვენი პოლიტიკაა.

„ჩვენ ვაჭრობა დავიწყეთო“, აი ის დებულება, რომელსაც ამ ჩვენ პოლიტიკას უპირისპირებს ბატონი ნოე ჟორდანია, მაგრამ ვაჭრობა რომ სოციალისტობასა და რევოლიუციონერობას ნიშნავდეს – სოციალიზმი ათასჯერ განხორციელდებოდა!.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონების ჯუღელის და ერაძის გამოსვლები.

ბატონ ჯუღელს მოსვენებას არ აძლევს „ჩემი მთავრობა“ ჟორდანია – შენგელაია – ასეთია ბატონ ჯუღელის დაპირდაპირება – ესე იგი ჩვენ გენიოსები ვართ, ბუმბერაზი ხალხი გვყავს, თქვენ ვინ ხართო. ამაზე ხალხის სიბრძნემ კარგა ხანია გასცა პასუხი, რომელიც ამბობს: „თავის ქება კიტრად ღირსო!”

ესეც რომ არ იყოს, სოციალ-დემოკრატია ხშირად უპირდაპირებს ბატონ ნოე ჟორდანიას ხან ჩემს სახელს, ხან კირილე ნინიძეს და სხვ. და მე ვშიშობ, რომ სოციალ-დემოკრატების მეთაურზე არ გამართლდეს შოთას სიტყვები:

„როცა ტურფა გაიაფდეს,
არა ღირდეს არცა ჩირად!”

საქართველოს დემოკრატია დიდის ინტერესით ელოდა ბატონ ერაძის მოხსენებას. მოხსენებაც მოვისმინეთ. სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ერთი რამ ნათელჰყო ბატონმა ერაძემ თავის მოხსენებით, სახელდობრ ის, რომ ის სრულიად უპასუხისმგებლოა. ბატონმა ერაძემ ტრიბუნიდან საქვეყნოდ განაცხადა, რომ ის არ მოქმედობდა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონების და წესების თანახმად.

ასეთი განცხადების შემდეგ უფლებრივ ქვეყანაში თავის პოსტზე მინისტრი ერთ დღესაც ვერ გაჩერდებოდა, ჩვენში კი... მაგრამ მოუსმინოთ ისევ ბატონ ერაძეს. აზერბეიჯანის შემოსევისაგან ჩვენი რესპუბლიკა, თურმე ბატონმა ერაძემ იხსნა. „ჩვენ პურით გავიმარჯვეთო“, ბრძანებდა ბატონი ერაძე. ამნაირად ბატონი ერაძე არამც თუ ეკონომისტი და ფინანსისტი, სტრატეგიც ყოფილა!

აქ ერთი გარემოება არის მეტად საინტერესო. როცა საგანგებო რაზმის შტატებს იხილავენ, ჩვენ გვეუბნებიან, რომ საგანგებო რაზმის მეთაურებმა იხსნეს ჩვენი ქვეყანაო, როცა გვარდიაზეა ლაპარაკი, გვეუბნებიან, რომ ჯუღელმა და გვარდიამ იხსნა რესპუბლიკაო., ახლა გამოდის რომ რესპუბლიკა იხსნა ... ერაძემ! ძლიერ კარგი იქნება გავიგებდეთ, თუ სად არის ბოლოს და ბოლოს სიმართლე. ეს საჭიროა თვით სოციალ-დემოკრატიისათვის, ვინაიდან, თუ გამოირკვა, რომ ჩვენი ქვეყანა იხსნეს როგორც ერაძემ, ისე გვარდიამ და საგანგებო რაზმმა, მაშინ სოციალ-დემოკრატია ვალდებულია იქ, სადაც ის ძეგლს დაუდგამს ერაძესა და გვარდიის მოღვაწეთ, დაუდგას აგრეთვე ძეგლი ... საგანგებო რაზმის მეთაურებსაც!

მთავრობაში მომხდარ ცვლილებებით ყველაზე უფრო დაზიანებული ბატონი ევგენი გეგეჭკორი გამოვიდა. ის წინედ თავმჯდომარის მოადგილე იყო, ეს თანამდებობა ახლა სხვას ეკუთვნის, ამ ნაირად ევროპაში გასეირნება ბატონ გეგეჭკორს სოციალ-დემოკრატიამ რატომღაც წაამწარა!

მომხდარი რეორგანიზაცია არ არის არსებითი, ის საქმეს ვერ შველის, ამიტომაც გრძელდება დღესაც მთავრობის რეორგანიზაცია, მაგრამ მომხდარ რეორგანიზაციას აქვს ერთი დიდი დადებითი მხარე. მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდა ერთ – ერთი ნოე, ამ ნაირად ნოეების „ოჩერედი“ დაიწყო!. ეს ისე დიდი მიღწევაა, რომ თამამად შეიძლება ის საქართველოს მშრომელ ხალხს საახალწლოთ მიულოცოთ!.

ლეო შენგელაია.

გაზ. „შრომა“, № 7. კვირა, 13 თებერვალი, 1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდა მეთხუტმეტე (95)

1921 წ. თებერვლის 9, საღამოს 5 ½ საათი.

დღიური წესრიგი:
№№ საკანონმდებლო აქტის სახელწოდება (რიგზე).

1. მუხლობრივი განხილვა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე-III თავისა. კომისია და მომხსენებელი: საკონსტიტუციო კომისია. კონსტანტინე ჯაფარიძე.

2. განგრძობა მსჯელობისა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მეორე (თავობრივი) განხილვისათვის.

განსახილველია:

1) თავი 16 – სახელმწიფო და ეკლესია: მელიტონ რუსია.
2) თავი 17 – კონსტიტუციის გადასინჯვა: პავლე საყვარელიძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 737. ფ. 13.

***

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წლის თებერვლის 9

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე; მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი; დამფუძნებელი კრების მდივანი, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა ქრისტინე შარაშიძის ასული.

1/26 მოსმენილია: სასახლის გამგეობის 21 ნომრის მიმართვა, რომ შტატის გარეშე აყვანილ სასახლის მოხელეთ ჯამაგირი მოემატოთ 100% იმ წესით, როგორც ეს მოემატა უკანასკნელი დეკრეტით სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთა.

დადგენილება: შეწყნარებულ იქნას.

2/26 მოსმენილია: მესაათის შ. კაც – ის განცხადება, რომ ის ჩარიცხულ იქნეს სასახლის შტატში.

დადგენილება: უარი ეთქვას.

3/30 მოსმენილია: შრომის სოფლის მცხოვრებთა ოქმი, რომ მათი სოფლის შკოლებში შემოღებულ იქნეს საღვთო სჯული სწავლება.

დადგენილება: გადაეგზავნოს განათლების მინისტრს განკარგულებისათვის.

4/30 მოსმენილია: სოფ. ჯალალალღლოს სახელმწიფო მოხელეთა კავშირის თხოვნა დასაქმების შესახებ.

დადგენილება: გადაეგზავნოს მთავრობის საქმეთა მართველობას.

5/32 მოსმენილია: ფინანსთა და ვაჭრობა – მრეწეველობის სამინისტროს 573 №-ის მიმართვა, რომ ბატონ დუმბაძეს დროებით დაეთმოს სარგებლათ საოჯახო ნივთები სასახლის საწყობიდან.

დადგენილება: დაეთმოს რაც მოჰყვება სასახლის საწყობიდან, დანარჩენის შესახებ ეცნობოს უწყებას, რომ მიმართოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

6/32 მოსმენილია: თ. კობეშავიძის განცხადება, რომ მას შეუძლია მიაწოდოს სასახლეს 80 საჟენი შეშა 50 000 მან. საჟენი.

დადგენილება: თ. კობეშავიძისგან შეძენილ იქნეს ნაწილ – ნაწილად.

7/32 მოსმენილია: იაკობ მახარაძის განცხადება, რომ მას შეუძლია სასახლეს მომავალი წლისათვის მიაწოდოს 100 საჟენი შეშა. პრინციპიალურად შეუძლია დაევალოს სასახლის გამგეს მოელაპარაკოს მახარაძეს პოსტის დასაწესად.

დადგენილება: პრინციპიალურად შეუძლია დაევალოს სასახლის გამგეს მოელაპარაკოს მახარაძეს პოსტის დასაწესად.

7/36 მოსმენილია: სასახლის გამგის თანაშემწის ირ. შევარდნაძის თხოვნა, რომ მას, რადგან ტანსაცმელი არ აქვს სასახლის საწყობიდან დაეთმოს შინელის ფართალი [. . .] ტანისამოსის შესაკერათ.

დადგენილება: ვინაიდან სახელმწიფო ხარჯზე ტანისამოსი მხოლოდ კვალიფიციურ მუშებს ეძლევა, და მასთან სასახლის საწყობში სატანისამოსო ფართლეული არ მოჰყვება, ხოლო არსებული შინელის ფართლეულის გადასაკეთებლათ უნდა იქნეს მოხმარებული, ბატონს ირ. შევარდნაძეს ბოლო თხოვნაზე უარი ეთქვას.

8/46 მოსმენილია: დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის 6 – ის მიმართვა, რომ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს ნოე ჟორდანიას ბიუსტის გამოქანდაკებებისათვის მიეცეს ორმოცდაათი ათასი (50.000) მანეთი.

დადგენილება: დაკმაყოფილებულ იქნეს.

9/33 მოსმენილია:

1. სოფ. მათხოჯის სოც.-ფედერალისტთა ჯგუფის საპროტესტო დეპეშები ბენია ჩხიკვიშვილისა და შალვა ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტის გამო;

2. ქუთაისის მოსწავლეთა კრების საპროტესტო დეპეშები ბენია ჩხიკვიშვილისა და შალვა ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტის გამო.

3. სოც.-ფედ. პარტიის და საქალაქო კომიტეტების საპროტესტო დეპეშები ბენია ჩხიკვიშვილისა და შალვა ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტის გამო.

დადგენილება: მიღებულ იქნას ცნობად.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე].
მდივანი [ხელმოწერის გარეშე]
კანცელარიის გამგის ამხანაგი [ხელმოწერის გარეშე]

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 37-38.

***

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. თებერვლის 9

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა. ქრისტინე შარაშიძის ასული.

1/63 მოსმენილია: მთავრობის საქმეთა მმართველობის მიერ დღეს, თებერვლის 9-ს, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა: „დავრდომილთა თავშესაფრის და ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფრის შენობების შესაკეთებლად. 2.206.358 მან. გადადების შესახებ“.

ცნობა: პროექტი მთავრობის მიერ მიღებულია ამა წლის იანვრის 27 სხდომაზე.

პროექტი შეიცავს ორ განმარტებით მოხსენებას ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა შენობების შეკვეთების საჭიროების დასაბუთებისას და ერთ საერთო დეკრეტის ტექსტს, რომლითაც პირველი დაწესებულებისათვის ნავარაუდევია 1.402.456 მან., ხოლო მეორისთვის 802.902. მან. ეს ორივე ჯამი მთლიანად არის აღრიცხული (2.206.358 მან.) შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის გადასადებად. პროექტს დართული აქვს სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა უწყების დასკვნა თვითეული დაწესებულებისათვის ცალკე და აგრეთვე ხარჯთაღრიცხვები შენობების განზრახული შეკეთებისათვის. დართული აქვს მთავრობის სხდომის ჟურნალის ამონაწერიც.

დადგენილება: პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დღევანდელ საღამოს სხდომაზე საბიუჯეტო-საფინანსო კომისიისათვის გადასაცემად – წინასწარ განხილვისათვის.

2/47 მოსმენილია: ცნობა, რომ სარედაქციო კომისიას უკვე შეუმუშავებია საბოლოო ტექსტი ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის

შესანახად 1.842.736 მან. გადადების შესახებ.

ცნობა: კომისიის მხრით მომხსენებელია ქრისტინე შარაშიძის ასული. საბოლოო ტექსტი ფრაქციათ უკვე დაურიგდათ.

დადგენილება: საბოლოო ტექსტი შეტანილ იქნეს დასამტკიცებლად დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 11-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

3/61 მოსმენილია: ცნობა რომ იურიდიულმა კომისიამ უკვე განიხილა და მიიღო იუსტიციის მინისტრის პროექტი. ამნისტიისა – საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად. კომისიის მხრით მომხსენებელი კონსტანტინე ჯაფარიძე. ამნისტიის ასლი ფრაქციათ დღეს დაურიგდებათ.

დადგენილება: ამნისტიის პროექტი შეტანილ იქნეს განსახილველად დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 11-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერის გარეშე].
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 40.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წლის თებერვლის 10-ს. სასახლე

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა ქრისტინე შარაშიძის ასული.

1/12 მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან დღეს, თებერვლის 10-ს წარმოდგენილი დასკვნა ფრაქციების მიერ შემოტანილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის IV თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: კონსტიტუციის პროექტის IV თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა ამა წლის იანვრის 28-ს.

დადგენილება: საკონსტიტუციო კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად – დღესვე გადაეგზავნოს ფრაქციებს და კონსტიტუციის პროექტის IV თავი შეტანილ იქნეს მუხლობრივი განხილვისათვის ამა თებერვლის 13-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

2/12 მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან დღეს, თებერვლის 10-ს წარმოდგენილი დასკვნა ფრაქციების მიერ შემოტანილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის V თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: კონსტიტუციის პროექტის V თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა ამა წლის იანვრის 28-ს.

დადგენილება: საკონსტიტუციო კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად, – დღესვე დაეგზავნოს ფრაქციებს და კონსტიტუციის პროექტის V თავი შეტანილ იქნეს მუხლობრივი განხილვის ამა თებერვლის 13-ს სხდომის წესრიგში.

3/12 მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან დღეს, თებერვლის 10-ს წარმოდგენილი დასკვნა ფრაქციების მიერ შემოტანილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტის VI თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: კონსტიტუციის პროექტის VI თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა ამა წლის იანვრის 28-ს.

დადგენილება: საკონსტიტუციო კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად, – დღესვე დაეგზავნოს ფრაქციებს და კონსტიტუციის პროექტის VI თავი შეტანილ იქნეს მუხლობრივი განხილვისათვის ამა თებერვლის 13-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე;
მდივანი [ხელმოწერის გარეშე];
კანცელარიის გამგე [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 41.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდიული კომისიების შეერთებული სხდომის ჟურნალი

1921 წ. თებერვლის 10

დაესწრნენ: გრიგოლ რცხილაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, გიორგი ლასხიშვილი, ბიქტორ თევზაია, მელიტონ რუსია, სერგო ჯაფარიძე, გაბრიელ ცისკარიშვილი, ვასილ ცაბაძე, დიომიდე თოფურიძე, ივანე გომართელი; ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი, სახელმწიფო ბანკის გამგე იასონ ლორთქიფანიძე, ამიერკავკასიის ბანკის ყოფილი გამგე ბატონი ედუარდ ბერგი.

თავმჯდომარეობდა გრიგოლ რცხილაძე.

მდივნობდა ივანე გომართელი.

განსახილველი საგანი.

1/2 ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ წარმოდგენილი დასამტკიცებლად ხელშეკრულობა, დადებული საქართველოს მთავრობასა და ბრიტანეთის საგარეო ბანკს შორის 1.500.000 გირვანქა სტერლინგის სესხის შესახებ.

მოხსენება გააკეთა კონსტანტინე გვარჯალაძემ.

მომხსენებელი მოკლეთ განუმარტავს სხდომას ხელშეკრულობის შინაარსს და დასძენს, რომ ის დღევანდელ პირობებში მისაღებია, ვინაიდან ჩვენი ფინანსური მდგომარეობა მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფორმა და რაოდენობა აღნიშნული სესხისა ვერ ფარავს და აკმაყოფილებს ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიურ მოთხოვნილებას. მაგრამ არსებულმა მდგომარეობამ გვაიძულა მიგვეღო ამ ფორმის სესხი.

ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკმა უარყო ჩვენთვის სესხის მიცემა როგორც ბიუჯეტის დასაფარავად, ისე თავდაცვის საჭიროებისათვის და დათანხმდა სესხი მიეცა მხოლოდ სახელმწიფო მრეწველობისათვის. სესხის

რაოდენობა უდრის 1.500.000 გირვანქა სტერლინგს. ამ თანხიდან 1.000.000 გირვანქა სტერლინგით ჩვენ უნდა შევიძინოთ სხვა და სხვა მასალა იმავე ბანკის საშუალებით. დანარჩენ 500.000 გირვ. სტერლინგიდან 160 ათასი გირვანქა უნდა წავიდეს სახელმწიფოს აუცილებელ საჭიროებათა დასაფარავად; 340 ათასი – კი ფულის ტრიალის გასაუმჯობესებლად, ხოლო უკანასკნელი მიგვეცემა მაშინ, თუ ჩვენ და ბანკი შევთანხმდებით იმ ზომის შესახებ, რომელსაც ეს ფული მოხმარდება ფულის ტრიალის გასაუმჯობესებლად.

სესხში ვიხდით სულ 9,37%. ვადა სესხისა არის მხოლოდ 5 წელი, ვინაიდან დიდვადიანი სესხი არის საობლიგაციო სესხი, რომლის გამოცემა ჩვენთვის მოუხერხებელია. უმთავრესი გარანტია, რომელსაც ჩვენ მათ ვაძლევთ, ეს ის არის, რომ ყოველგვარი საქონელი ჩვენ უნდა შევიძინოთ ბანკის საშუალებით. სესხის უზრუნველსაყოფად კი მიჩნეულია შავი ქვის მონოპოლიიდან შემოსული გადასახადი. საზოგადოთ პირობები სესხისა ხელსაყრელად უნდა ჩაითვალოს და ამ ხუთი წლის განმავლობაში ყოველი ღონე უნდა იქნეს მიღებული ან ახალი სესხის უფრო ხელსაყრელ პირობებში მისაღებად, ან ამ ვალის გადასახდელად.

ამიერკავკასიის ბანკის ყოფილი გამგე ბატონი ბერგი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულობა მეტად ხელსაყრელ პირობებშია დადებული. რაც შეეხება ფული ტრიალის სისტემის გაუმჯობესებაში ბანკის ჩარევას, უნდა ითქვას რომ ეს არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, ვინაიდან ამ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ მათი პრაქტიკით და გამოცდილებით. საერთოდ ხელშეკრულობა დღევანდელ პირობებში საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს.

ამის შემდეგ ხელშეკრულობა მუხლობრივ იქნა წაკითხული, რომლის დროს შეტანილი იქნა ქართული ტექსტში ზოგიერთი სარედაქციო შესწორებანი.

დადგენილება. ხელშეკრულობა მიღებულ იქნეს, ხოლო პირობის ქართული ტექსტის მე 5-თე მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი სარედაქციო შესწორებანი:

1. ამოიშალოს „შეუძლიან“ და დაიწეროს „უნდა“.

2. „თუ შემდეგ ყველა შემთხვევა მიეცემა საბანკო ჯგუფს, თანახმად ამ პირობის აზრისა, გარდა ფქვილისა და ხორბლისა სხვა საქონელიც იყიდოს, რომელიც მთავრობას ესაჭიროება“ ამოიშალოს და ჩაიწეროს „თუ შემდეგ თანახმად ამ პირობის აზრისა საბანკო ჯგუფს მიეცემა ყველა საშუალება იყიდოს დანარჩენი საქონელი, რომელიც ესაჭიროება მთავრობას გარდა ფქვილისა და ხორბლისა“.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე];

მდივანი [ხელმოწერის გარეშე];

სცსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქმე 1408, ფ. 75.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

1921 წლის თებერვლის 10-ს. სასახლე.

ილია ნუცუბიძის სიტყვა კონსტიტუციის შესახებ

ილია ნუცუბიძე: ბატონებო, მეოცე საუკუნის მეოცე წელი განსაკუთრებული დატათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხალხის ისტორიაში. დღეს ქართველი ერი იმუშავებს კონსტიტუციას, ე. ი . ეს ქმნის უფლებრივ წესებს თავის ყოფა ქცევისას. კონსტიტუცია არის, ბატონებო, ერთნაირი უფლებრივი კარნახი, რომლის მიხედვით ერმა უნდა იცხოვროს და იმოქმედოს. კონსტიტუციის მიხედვით შეიძლება კაცმა იქონიოს წარმოდგენა იმაზე – თუ რა დონეზეა ერის კულტურული, მორალური და სხვა განვითარება.

როგორც ვსთქვით, ჩვენი ერი დღეს იმუშავებს საკუთარ კონსტიტუციას, მის მრავალ საუკუნოვან ისტორიულ განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა მხოლოდ. კონსტიტუციაში უნდა ჩაწნულ იყოს ერის სულიერი მისწრაფება, ის უნდა იყოს აშენებული სინამდვილეზე, მაგრამ ამავე დროს, კონსტიტუციამ უნდა მიიღოს მხედველობაში პერსპექტივებიც. თუ კონსტიტუცია აშენდა მხოლოდ სინამდვილეზე, ის იქნება ისეთი უხეში და ტლანქი, როგორც თვით სინამდვილეა, მაგრამ თუ კონსტიტუცია აშენდა მარტო პერსპექტივებზე, ის იქნება განყენებული, ჰაერში გადმოკიდებული და ცხოვრებაში განუხორციელებელი. ამიტომ კონსტიტუცია უნდა გამოვიდეს სინამდვილიდან და გაშალოს პერსპექტივები. ამ ორივე მომენტის ჰარმონიული შედუღება მოგვცემს ნამდვილ და საღ კონსტიტუციას. კონსტიტუცია, რომელიც არ ეგუება სინამდვილეს და რომელიც ფრთას არ უშლის პერსპექტივა, დიდათ შეაფერხებს ცხოვრების განვითარებას. ის კონსტიტუცია, სადაც სინამდვილე და პერსპექტივები ჰარმონიულათ არის შედუღებული, როგორც ვსთქვით, დიდათ შეუწყობს ხელს ხალხის, ერის წარმატებას და განვითარებას. ასეთია მნიშვნელობა კონსტიტუციისა და ამიტომ დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს კონსტიტუციის გამომუშავების დროს...

ბატონებო, არამც თუ დამფუძნებელი კრება, მთელი ხალხი, მთელი ერი უნდა იყოს დაინტერესებული კონსტიტუციით. ჩვენ სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავთ. ქანდარები კონსტიტუციის განხილვის დროს, ხშირად ცარიელია,

თუმცა დღეს ასე თუ ისე ცოტად შევსებულია...

(ვალიკო ჯუღელი: რომ ცოდნოდათ, რომ შენ ილაპარაკებდი – სულ არ მოვიდოდნენ; სიცილი, ხმაურობა).

ის ნერვიულობა, რომელიც ეტყობა კონსტიტუციის შემუშავების დროს პოლიტიკურ მოღვაწეთ, უნდა ეტყობოდეთ, ყოველ მოქალაქეს, იმიტომ რომ მის ყოფა-ქცევას კალაპოტში აყენებს კონსტიტუცია. ბატონებო, ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, კონსტიტუციას ვქმნით, მაგრამ შესაძლებელია დამოუკიდებლობა, კონსტიტუციის შექმნა, ეს ყოველივე უიმედო რამ არის, შესაძლებელია გარეშე მდგომარეობა, ისტორიის მიმდინარეობა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს არსებობას, ჩვენს დამოუკიდებლობას.

(ვალიკო ჯუღელი: რაშია საქმე?)

ეს საკითხი უნდა დავსვათ ჩვენ და ჩვენდა საბედნიეროთ ეს საკითხი დადებითად წყდება. ისტორიის მსვლელობა ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ, საქართველოს ხალხს, შეუძლია დამოუკიდებელი ცხოვრება და ამის უფლება აქვს.

(ივანე მაჭავარიანი: სოციალისტები რომ არ აწუხებდენ!)

მე-20 საუკუნე ამტკიცებს იმას, რომ კაცობრიობა იჭრება მცირე ეროვნულ ერთეულებათ. წინად ეს კაცობრიობა იყო აგებული იძულებით პრინციპზე, ეროვნული ორგანიზმები იყო დაფლეთილი. მაგრამ 19 საუკუნეში ეს ეროვნული ერთდებიან და ყალიბდებიან ცალკე ორგანიზმებათ. მოიგონეთ გერმანიის ისტორია, ავსტრო-უნგრეთის, იტალიის, რუსეთის. ახლა ჯერი მიდგა ინგლისზე და ინგლისიდან გამოიჭრება ეროვნული სახელმწიფოები. ასე რომ ისტორიის მსვლელობა – ეს ჩვენი გამართლება არის.

მაგრამ ეს არ კმარა. შესაძლებელია ისტორიული ვითარება ხელს გვიწყობს, მაგრამ თუ შინაური ცხოვრება ჩვენ ვერ მოვაწყვეთ, ვერ დავამყარეთ ისეთი წესები, რომელსაც მოითხოვს ნამდვილი რეალური მდგომარეობა, ჩვენი ხალხის ინტერესები, ჩვენ აღვიგვებით დედამიწის პირიდან ისე, როგორც წაიშალა არა ერთი ერი.

ამას ბატონებო, იმისთვის ვამბობ, რომ კონსტიტუციის საკითხი მეტად დიდი საკითხია და მას სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი რეალობა არცერთ რეალობას არ ემსგავსება, და ამიტომ არც კონსტიტუცია, შეიძლება გავდეს სხვა რომელიმე კონსტიტუციას, რადგან ეს კონსტიტუცია სინამდვილიდან უნდა გამომდინარეობდეს. ის კონსტიტუცია კი, რომელიც წამოაყენა საკონსტიტუციო კომისიამ – ტიპიური ბურჟუაზიული კონსტიტუცია – ისეთი კონსტიტუცია როგორიც აქვთ ბურჟუაზიულ ქვეყნებს და ამიტომ სრულებით არ ეგუება იმ სინამდვილეს, რომელზედაც მე მოგახსენეთ.

(ვალიკო ჯუღელი: მაშ, თქვენ კონსტიტუცია გადაგვიშალეთ.)

ეს კონსტიტუცია, ბატონებო, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, არ არის აგებული დემოკრატიულ პრინციპებზე. ამ კონსტიტუციის პირველ მუხლში სწერია, რომ ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ ეს სიტყვები „დემოკრატიული რესპუბლიკაო“,

არის ცარიელი სიტყვები. თვით შინაარსი კონსტიტუციის არ ამტკიცებს იმას, რომ დამყარდება ჩვენი დემოკრატიული წყობილება? ხალხს რომ მისცეთ საყოველთაო ხმის მიცემის უფლება – ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დამყარდა დემოკრატიული წყობილება. ფორმალურად შეიძლება იყოს, მაგრამ არსებითად ეს დემოკრატიული რესპუბლიკა არ არის, არც იქნება თუ არ იქნა მატერიალური პირობები, რეალური პირობები იმისთვის, რომ ხალხმა უფლებები გამოიყენოს თავის სასარგებლოთ ის წყობილება, რომელიც არსებითად ხალხს ეხმარება და ემსახურება, არამედ მის წინააღმდეგ იქნება მიმართული, თუნდაც ამ წყობილების შექმნაში და განმტკიცებაში თვით ხალხიც ღებულობს მონაწილეობას, არ არის ხალხური. მაგრამ მე თქვენ მოგახსენებთ, ბატონებო, რომ ეს კონსტიტუცია ფორმალურადაც არ არის დემოკრატიული. ვინაიდან აქ ხალხს არა აქვს უფლება პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა თვალსაჩინო საკითხების გადაწყვეტაში... აქ არ არის, მაგალითად, სავალდებულო რეფერენდუმი ომისა და ზავის, ბიუჯეტის და სხვა მრავალ საკითხებშიდ. ეს საკითხები აქ წყდება პირდაპირ პარლამენტის მიერ.

(ლეო ნათაძე: რომელ მოედანზე შევკრიბოთ ხალხი ამ საკითხის გადასაწყვეტათ? ხმაურობა, სიცილი)

თავმჯდომარე. ბატონებო, ხელს ნუ უშლით ორატორს, მოუსმინეთ.

ასე რომ ასეთი რთული საკითხები, რომლებიც ხალხს ეხება, წყდება მის დაუკითახავათ. მართალია, ერთს მუხლში ნათქვამია – თუ ოცი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს (მუხლი 72) მაგრამ, ბატონებო, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ხალხი ღებულობდეს მონაწილეობას ამ საკითხის გადაწყვეტაში.

(ვიქტორ თევზაია: თუ მოითხოვს კი, თუ არა და არა; საყვარელიძე – თქვენ როგორ გგონიან, ბატონო ილია?)

ისეთ საკითხებში, როგორიც არის ომის ან ზავის, სესხის აღება ან რაიმე ფინანსიური ვალდებულება, უნდა იქნეს სავალდებულო რეფერენდუმი.

(გიორგი გვაზავა: მტერი რომ დაგვანახა რა დროს რეფერენდუმი იქნება?)

ბატონო გვაზავა, მტრების დასხმის შესახებ აქ არის მუხლი, რომლის ძალითაც მთავრობას შეუძლია საზღვრები დაიცვას ჯარის საშვალებით და ომი კი არ გამოაცხადოს ფორმალურად.

(ვიქტორ თევზაია: კატა-თაგვობანას თამაში ხო არ არის?)

საზღვრების დაცვა სხვაა, ომის ფორმალურად გამოცხადებას თავის განსაკუთრებული ატრიბუტები აქვს და ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი უნდა ჩაერიოს ამაში; ხალხია აქ პასუხისმგებელი ფიზიკურად, ქონებრივად და ყოველნაირად და თვით ხალხმა უნდა გადასწყვიტოს ომის და ზავის საკითხი

(ვალიკო ჯუღელი: მობილიზაცია რეფერენდუმით უნდა მოხდეს? საყვარელიძე: შვეიცარიაში როგორ არის? ვალიკო ჯუღელი: სამხედრო მინისტრათ დადექი, გამოდგები.)

შვეიცარიაში, მიუხედავათ იმისა, რომ ხალხი ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში, მაინც ბურჟუაზიული რესპუბლიკაა და არა დემოკრატიული.

(გიორგი გვაზავა: სად არის დემოკრატიული? ხმა: ეგებ ბოლშევიკების რესპუბლიკაა ნამდვილი დემოკრატიული?)

არსად.

(ივანე მაჭავარიანი: თუ არსად, ჩვენც ღმერთმა დაგვიფაროს).

შემდეგ, ბატონებო, არც ერთი თავი ამ კონსტიტუციისა არ არის შედგენილი ისე, როგორც შეეფერება დემოკრატიულ რესპუბლიკას. ავიღოთ, მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლება, მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი.

(ვიქტორ თევზაია: რა უშავს მერე?)

მთავრობის თავმჯდომარეა მთავრობის უზენაესი წარმომადგენელი, როგორც პრეზიდენტი სხვაგან. მაშ, პარლამენტი რაღაა?

(ვიქტორ თევზაია: უზენაესია).

ამას გარდა თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რასაც ბატონი ჟორდანია ლაპარაკობს მთავრობის თავმჯდომარის შესახებ, რომ მას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული უფლებები, – ის პირდაპირ პრეზიდენტი იქნება. ახლა ავიღოთ სასამართლო, აქ პირდაპირ ყველაფერი ძველებურათაა დატოვებული. სენატი, მომრიგებელი მოსამართლე და სხვა, არ არის სასამართლო დამოუკიდებელი. დამოუკიდებელი სასამართლო იქნება მაშინ, თუ მოსამართლეს აირჩევს ხალხი და იქნება დაცული კოლეგიალობის პრინციპი.

(მუხრან ხოჭოლავა: ეს ივანე გობეჩიას პრინციპია).

ეს ისეთი პრინციპია, რომლის საწინააღმდეგოთ საყვარელიძეს ვერაფერს იტყვის.

(პავლე საყვარელიძე: მოგახსენეთ, ბატონო).

ავიღოთ თავი დაფინანსების შესახებ. არ არის ნაჩვენები თუ რაზე უნდა იყოს აგებული მთავრობის ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკა. არ არის ნათქვამი, თუ რა წყაროები შექმნის შემოსავალს ...

(ვიქტორ თევზაია: ეს კანონის საქმეა).

აუცილებლად უნდა იყოს კონსტიტუციაში ნათქვამი, მაგალითად რჩება თუ არა არაპირდაპირი გადასახადები და სხვა... აქ ამის შესახებ არაფერი არ არის. თავში სახელმწიფო თავდაცვის შესახებ, რომ მუდმივი ჯარი გაუქმებულ იქნება. თუ ეს პროექტი მომხრეა, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამილიტარო სისტემა იქნეს შემოღებული ეს გარკვევით აღნიშნული უნდა იყოს. დღეს ჩვენ მუდმივი ჯარი გვყავს. კონსტიტუციის პროექტით ეს ჯარი შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს. კონსტიტუცია ასე გაურკვეველ ალაგებს არ უნდა შეიცავდეს. კონსტიტუციაში გარკვეულათ და კატეგორიულათ უნდა იყოს ნათქვამი რა გვსურს და რის წინააღმდეგი ვართ. რეგულიარული ჯარის ყოლა აღსავსე იქნება მრავალი უარყოფითი შედეგებით ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის და როგორ შეიძლება ასეთ დიდ საკითხზე არავითარი გარკვეული პასუხი არ იყოს კონსტიტუციაში?

შემდეგ თავი განათლების შესახებ. არც აქ არის დაცული დემოკრატიული პრინციპები. არ არის ნათქვამი, რომ შკოლა შრომის პრინციპზე უნდა იყოს აგებული, რომ დიპლომი თავის თავად არც საშვალოს და არც უმაღლეს სასწავლებლის არავითარ პრივილეგიებს არ ანიჭებს, რომ სწავლა ღარიბთათვის სწავლის ყველა საფეხურზე უფასოა და სხვა.

ამის გარდა არაფერი არის აქ ნათქვამი, ბატონებო, მეცნიერთა და ხელოვანთა უზრუნველყოფის შესახებ.

(ხმაურობა; ხმები: არის, არის; პავლე საყვარელიძე: მფარველობა არის ბატონო!)

არის რაღაც ნათქვამი, მაგრამ ძალიან სუსტად...

(ლეო შენგელაია: ცარიელი ფრაზები!).

სოციალურ-ეკონომიურ უფლებებზე დიდი თავია, კონსტიტუციაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აქვს დეკლარაციული ხასიათი და არავითარ კონკრეტიულ უფლებრივ ნორმებს არ შეიცავს. შემდეგ ეროვნულ უმცირესობათა შესახებ აქ არ არის დაცული ინტერესი ეროვნულ უმცირესობათა. არ ეძლევათ მათ საჯარო უფლებები და სხვა.

დაწვრილებით თითეულ თავზე და მუხლზე მოგახსენებთ, როდესაც იქნება თავობრივი და მუხლობრივი განხილვა. ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენ დაუპირისპირეთ თქვენს კონსტიტუციას, არის აგებული სულ სხვა პრინციპზე, არის ანტიპოდი თქვენი კონსტიტუციისა.

(პავლე საყვარელიძე: რათ დამალეთ? რატომ არ გამოაქვეყნეთ? ლეო ნათაძე: ეგება მიგვეღო?; ლორთქიფანიძე: ეხლა მიიღეთ! ჩვენი კონსტიტუცია... ხმაურობა, ზარი).

თავმჯდომარე: ბატონებო, ნუ მიშლით ხელს, ნუ უშლით ორატორს.

ჩვენი კონსტიტუცია არა გავს არცერთ კონსტიტუციას.

(ვალიკო ჯუღელი: არაფერს არ გავს ეს კონსტიტუცია; ბენია ჩხიკვიშვილი: ეგ მართალია! ხმაურობა, ზარი).

თავმჯდომარე: უკაცრავათ, ბატონებო, არაფერი არ ისმის (ხმაურობა)

ასეთი კონსტიტუცია არსად არ არის დედამიწის ზურგზედ და ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენი კონსტიტუცია ჩვენი სინამდვილის შვილია, ჩვენი სინამდვილე კი სხვა სინამდვილეს არა გავს.

(ივანე მაჭავარიანი: მაშ მუზეუმში შევინახოთ!)

ჭეშმარიტ სოციალისტებს ჯერ არსად კონსტიტუცია არ შეუდგენიათ. ჩვენ პირველნი ვართ ამ შემთხვევაში. მართალია, თქვენ, ს,-დემოკრატებო, წარმოადგინეთ კონსტიტუციის პროექტი, მაგრამ თქვენ ხომ სოციალისტები არა ხართ.

(სიცილი. ხმები: ჰო! ჰო! ჰო!).

ჩვენ კონსტიტუციაში არის დაცული შრომის პრინციპი.

(ვიქტორ თევზაია: რაშია ეს პრინციპი?)

შრომის პრინციპი ნიშნავს შემდეგს: ყოველ მოაქალაქეს აქვს უფლება

შრომაზე და შრომა არის ყველასთვის სავალდებულო.

(სიცილი, ზარი, დიდი ხმაურობა).

პირველი გარემოება – მოქალაქის უფლება შრომაზე, ქმნის მოქალაქის უფლებას და სახელმწიფოს ვალდებულებას, მეორე გარემოება – საყოველთაო სავალდებულო შრომა – ქმნის მოქალაქის ვალდებულებას და სახელმწიფოს უფლებას. მოქალაქე ვალდებულია იმუშავოს, პარაზიტობის უფლება მას არა აქვს. სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეს შესაფერისი სამუშავო მისცეს და თუ სახელმწიფოს მოქალაქე სამუშევრით ვერ უზრუნველყო, პირველი ვალდებულია მისცეს უკანასკნელს იმ მინიმუმი ხელფასისა, როგორიც რესპუბლიკაშია დაწყებული.

(განუწყვეტელი ზარი. დიდი ხმაურობა).

თავმჯდომარე. სიწყნარე დაიცავით, თუ შეიძლება, ბატონებო!

(ივანე მაჭავარიანი: ზურგიელიძის პრინციპი! ვალიკო ჯუღელი: მოძველებული პრინციპი!)

თავმჯდომარე. დამშვიდდით თუ შეიძლება, ბატონებო, (ხმაურობა. ზარი). დააცადეთ ორატორს! მოისმინეთ, გთხოვთ დაწყნარდეთ! გაიგონეთ, რას ამბობს ორატორი.

(ვალიკო ჯუღელი: რუსულად გამოვა: „პრავო ნა ტრუდ“).

ასი სოც.-დემოკრატია და თუ ყველამ პირი დააფჩინა და ილაპარაკა, რა გამოვა?!

(სიცილი, ხმაურობა, ზარი.)

თავმჯდომარე. დამშვიდდით, ბატონებო!

ჩვენი კონსტიტუცია, როგორც მოგახსენეთ, არის აგებული შრომის პრინციპზე.

(ვიქტორ თევზაია: ძველი პრინციპია).

მართალია, შრომის პრინციპი ჩვენზე წინ წამოაყენეს სხვა სოციალისტებმა. ორმოციან წლებში ეს იდეა დიდი პოპულარული იყო როგორც ლიტერატურაში ისე მუშათა წრეებში. ამ გარემოებით აიხსნა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობა 1848 წელს იძულებული იყო მუშათა კლასის მძლავრი მოთხოვნილებისათვის ანგარიში გაეწია და მუშათა კლასს განსაკუთრებული მოწოდებით აუწყა, რომ ის უზრუნველყოფს მუშას სამუშაოთი. რასაკვირველია, ბურჟუაზია შრომის პრინციპს გულწრფელათ ვერ დაიცავდა, არც დაუცავს, მაგრამ მუშების ჩასაჩუმებლათ, მოსატყუებლათ ისიც ჩაებღაუჭა ამ პრინციპს. 1894 წელს შვეიცარიის სოციალისტების წინადადება, რომ ყოველ მოქალაქეს ქონდა უფლება შრომაზე ბურჟუაზიის მახინაციებით უარყოფილ იქნა ხალხის მიერ. შრომის პრინციპს იცავს ფურიე, კონსიდერანი და სხვები. ასე რომ ეს იდეა ახალი არაა, არც ჩვენა გვაქვს „ნოვატორობის“ პრეტენზიები ამ შემთხვევაში, მაგრამ ერთი გარემოება აშკარაა – შრომის პრინციპი იმ გაგებით და იმ კომბინაციით, როგორც ჩვენ წამოვაყენეთ, სხვას არ წამოუყენებია.

(ვალიკო ჯუღელი: ჩვენ ვაყენებთ დასვენების პრინციპს).

ამის გარდა, ბატონებო, ჩვენ შევიტანეთ კონსტიტუციაში კოლექტივიზაციის პრინციპში. სახელმწიფო უნდა დაადგეს ფართო კოლექტივიზაციის გზას. ეს სამი მომენტი – მოქალაქის უფლება შრომაზე, საყოველთაო სავალდებულო შრომა და კოლექტივიზაცია – ერთიმეორედან გამომდინარეობს და ერთიმეორეს ავსებს. ამ სამი მომენტის ჰარმონიულათ შედუღება ქმნის ძალთა უაღრეს ეკონომიას.

(ივანე მაჭავარიანი: რეპლიკა არ ისმის; გობეჩია: არ მოეწონათ).

სწორედ ეს ეკონომია იხსნის ჩვენს რესპუბლიკას. თუ ძალთა ეკონომიის ნიადაგზე არ შევქმენით ჩვენი სიმდიდრე და კულტურა, ხსნა არ არის. ის გზა, რომელიც ევროპამ და ამერიკამ გავლო, ჩვენ არ გამოგვადგება. ჩვენ სხვა ისტორიულ პირობებში ავიდგით ფეხი, სხვა გარემოებაში გვხვდება სახელმწიფოებრიობის შექმნა და ეს უნდა იქნას ჩვენ მიერ შეფასებული და შესაფერისთა გამოყენებული. თუ ჩვენში შემოვიდა ევროპის კაპიტალი, ეს კაპიტალი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც მოახდენს ზეგავლენას. ეს უეჭველია და ყველასათვის უდავოა. ჩვენ გვაქვს ორიგინალური კულტურა, ეროვნული თავისებურობა ძლიერია, მაგრამ თუ უცხო კაპიტალის ქვაბში გადავიხარშეთ – ეროვნულ ინდივიდუალობას დავკარგავთ. ჩვენ კი გვინდა ეროვნული მე, ეროვნული ინდივიდუალობა შეინარჩუნოთ და ჩვენი საკუთარი ხელით შევიტანოთ საკაცობრიო სალაროში ეროვნულ შემოქმედების განძი...

(ხმა: მართალია).

ამისათვის საჭიროა ის განსაკუთრებული ეროვნული გზა, რომელზედაც მე თქვენ მოგახსენეთ. ეს გზა თქვენ ძალიან გეუცხოვათ, რადგან თქვენთვის ახალი არის. ამგვარათ ეს გზა, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენი კონსტიტუცია, არის ის, რომ ყოველ მოქალაქეს უნდა ქონდეს უფლება შრომაზე, შრომა უნდა იყოს ყველასათვის სავალდებულო და ფართო კოლექტივიზაცია. ეს ცნებები მე უკვე განვმარტე.

(ვალიკო ჯუღელი : დიახ, შევითვისეთ).

რომ უცხო კაპიტალი შემოვიდეს ჩვენში, – რა მოხდება? მე მოგახსენეთ და კიდევ ვიტყვი, ჩვენ პოლიტიკურს, ეკონომიურს და ეროვნულ სახეს დავკარგავთ. უცხო კაპიტალი ჩვენ შორეულ ქვეყანაში არ გადმობარგდება, თუ მან ჩვენში ჩარჩული მოგება არ ნახა, ნორმალი მოგებით ის არ დაკმაყოფილდება და ჩვენ შევიქნებით მისთვის საწველი ფური. ეს, თქვენთვის მაინც მატერიალისტებისათვის ცხადი უნდა იყოს. ამიტომ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ერთად ერთი გზა ეროვნულ აღორძინებისა და წარმატებისა არის ის გზა, რომელსაც ჩვენი კონსტიტუცია გვიჩვენებს. საკუთარი ძალებით საკუთარი საქმის გაკეთება. უნდა უყოთ მობილიზაცია მთელ სახალხო ენერგიას და გამოვიყენოთ ის მიზან-შეწონილათ ეროვნულ კულტურისა და სიმდიდრის შექმნისათვის. ეს გზა ააცდენს ჩვენს ერს „ნიველიროვკის“ განსაცდელს.

(პავლე საყვარელიძე: კაპიტალი სადა გვაქვს?)

უდიდესი კაპიტალი არის ხალხის ენერგია. ეს ენერგია ყოველივეს წყაროა. მხოლოდ მას უნდა გამოყენება. უნდა უყოთ მობილიზაცია ამ ენერგიას.

(ვალიკო ჯუღელი: თქვენ ფრაქციას ვერ მოუხდენია ენერგიის მობილიზაცია)

გარდა ამისა, ბატონებო, ერის წარმატებისათვის მიუცილებელი პირობაა ერის ფიზიკური ჯანმრთელობა. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ჩვენმა კონსტიტუციამ. ჩვენს კონსტიტუციაში არის განსაკურებული თავი ჯანმრთელობის შესახებ.

შემდეგ ერის თვალი, ერის დიდება არის ინტელიგენცია. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოზარდი თაობა ნივთიერად, გაზრდილებს კი მისცეს ნივთიერი საშვალება შემოქმედებით მუშაობისათვის. ჩვენი კონსტიტუციით რესპუბლიკა ვალდებულია უზრუნველყოს საგანგებო ჯილდოს დანიშვნით პოეტები, ხელოვანები და მეცნიერები, რომელთა შრომას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

(ვალიკო ჯუღელი: დაიღუპა ხაზინა და ის არის. ნახევარი საქართველო სულ პოეტებია).

ყველაფერი ის, რასაც მიაქცია ყურადღება ჩვენმა კონსტიტუციამ, მართლაც უნდა იყვეს აღნიშნულ საქართველოს კონსტიტუციაში. ეს მით უფრო საჭიროა, ბატონებო, რომ თუ ქართველი ერი არ გამაგრდა და განვიდარდა კულტურულად და ნივთიერად, ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და დაცვა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ შევინარჩუნოთ საზღვრები, დავიცვათ იგი მომხდურ მტერთაგან, მაგრამ თუ ჩვენ არ ავმაღლდით შესაფერ დონემდე კულტურულად, ეროვნულ ყოფას შინაარსი გამოეფიტება. ის ორიგინალური გზა, ის გეზი, რომლისაკენაც მიგითითებთ ჩვენი ფრაქცია, არის ერთად ერთი სწორი და ნამდვილი გზა საქართველოს აყვავებისათვის. თუ თქვენ არ დაადგებით ამ ჩვენ მიერ ნაჩვენებ გზას, ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი საქმე და გეგმები დაიღუპება და მთელი ჩვენი მშრომელი ხალხის იმედები დაიფერფლება. მაგრამ, ბატონებო. მე მრწამს, თუ ჩვენი დამფუძნებელი კრება მიიღებს თქვენ მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციას, ხალხი, მშრომელი გლეხობა და მუშები მალე შეიგნებენ დამღუპველ შედეგებს თქვენ კონსტიტუციისას. გავა დრო და ჩვენი ხალხი გამოიცნობს – სად არის მისი მხსნელი გზა. მაშინ იგი უკუაგდებს ძველს და მიიღებს იმ კონსტიტუციას, რომელიც ერთად ერთია მისი ინტერესების დამცველი, რომელიც ერთად ერთი შეამზადებს ნიადაგს სოციალიზმის სამეფოში შესასვლელად. ეს არის ის კონსტიტუცია, რომელიც შეიმუშავა ჩვენმა ფრაქციამ, და რომელსაც მე გაგაცნობთ ამ ტრიბუნიდან. აი ბატონები ამ კონსტიტუციის შინაარსი (კითხულობს)

ამგვარად, ბატონებო, ეს კონსტიტუცია არის...

(ალექსანდრე ასათიანი: შეშა? რად არ შეიტანეთ შიგ? სიცილი. ხმაურობა).

რაშია ბატონებო საქმე? რა შუაშია აქ შეშა?

(სიცილი. ხმაურობა. ზარი).

თავმჯდომარე. ბატონებო, გთხოვთ ნუ ხმაურობთ, ნუ უშლით ორატორს ხელს.

შეშის შესახებ ჩემი მისამართით კი არ უნდა ლაპარაკობდეთ რამეს, არამედ მენშევიკების მიმართ.

(პავლე საყვარელიძე; არა კონსტიტუციაში რატომ არ შეიტანეთო? სიცილი. ხმაურობა. ზარი).

თავმჯდომარე. გთხოვთ, ბატონებო, დაწყნარდით, ნუ ხმაურობთ!

როგორც მოგახსენეთ ეს ორი კონსტიტუცია არის ერთმანეთის ანტიპოდი. ჩვენი კონსტიტუცია არის წითელი კონსტიტუცია, კონსტიტუცია მშრომელთა. თქვენი კონსტიტუცია კი არის ყვითელი კონსტიტუცია, ბურჟუაზიული კონსტიტუცია.

(ხმაურობა. ხმები: თეთრი კონსტიტუცია რომელი არის? სიცილი. ზარი).

ჩვენი კონსტიტუცია არის აღმოცენებული რევოლიუციის ტალღებში, ქართველი ხალხის სულისკვეთებაზე, თქვენი კონსტიტუცია კი არის უბრალო კომპილაცია სხვადასხვა ბურჟუაზიულ კონსტიტუციათა, რომელიც სრულიად არ შეეფერება ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, მის ზრახვებს და მოთხოვნილებებს, ამიტომ ქართველი ხალხი თქვენს კონსტიტუციას შეგნებულად ვერ მიიღებს. შესაძლებელია, თქვენ ძალით მოახვიოთ მას თავზე ეს მისთვის ყოვლად მიუღებელი ფორმა სახელმწიფოებრივ წყობილობისა, შეიძლება იძულებით ატაროს მან ეს უშნო, ულაზათო და ყვითელი ტანისამოსი, მაგრამ, თუ მიეცა შეიძლება, ქართველი ხალხი მთელი ძალღონით შეებრძოლება ამ კონსტიტუციას, ის შეეცდება გამოიცვალოს უხეიროთ შეკერილი ტანსაცმელი და ჩაიცვას კოხტა და მოხდენილი ეს კონსტიტუცია, რომლის თქვენ წინაშე წარმოდგენის ბედნიერება მომეცა მე ჩემი ფრაქციის სახელით; ეს კონსტიტუცია მთელ ქვეყანაზე ერთად ერთია, იგი აღმოცენებულია თვით ჩვენი ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ შემეცნებაზე. ის ადუღებს და აკავშირებს თავის არსებაში იმას, რაც არის ფაქტიურად სინამდვილეში და იმას რაც უნდა იყვეს. ეს ორი მოვლენა: ფაქტი და პერსპექტივა საუცხოვოდ და საუკეთესოდ არის შედუღებული ამ კონსტიტუციაში. ჩვენი კონსტიტუციით იქმნება ნიადაგი, რეალური ნიადაგი ხალხის წარმატებისთვის. მხოლოდ ჩვენ კონსტიტუციას შეუძლია შექმნას ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის ყოველმხრივ განვითარებას: ეკონომიურსა და კულტურას. თქვენი კონსტიტუცია, რომელიც ქართველ ერს სრულ განადგურებას უქადის, იგი ლამობს შექმნას ბურჟუაზიული წყობილება, რაც ქართველ ხალხს უფრო დააქვეითებს და წელში გაწყვეტს.

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ კაპიტალიზაციის წესით, ჩვენ ვერ შევალთ აღთქმულ ქვეყანაში, სოციალიზმში. არამც თუ ვერ შევალთ, არამედ შუა გზაზე კისერს მოვიტეხთ თქვენი გზით რომ ვიაროთ. მთელი მსოფლიოს ბაზარი დაკავებული არის მძლავრი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ და ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ მათი საშვალებით და დახმარებით აქ შეიქნება ისეთი წყობილება, რომელიც ჩვენ ერს განვითარების საშვალება

მისცემს? უცხო ძალა, კაპიტალი თუ ჩვენში შემოვა, ის უეჭველად დაგვამარცხებს, თავის მონასტერს აქ მოაწყობს. ამაზე არა ერთხელ გვითქვამს, აღგვინიშნავს ეს გარემოება და კიდევ ვიმეორებ, ეს არის მეტად სახიფათო გზა. ვერც შინაური კაპიტალი განვითარდება, ვინაიდან იგი ვერ შესძლებს უცხო კაპიტალის კონკურენციის გაწევას, და თუ იგი მაინც დაიბადა ჩვენში, მას ექნება მეტად ჩარჩული და ტლანქი ხასიათი, ისეთი რომ, მისი წარმოდგენა არ შეიძლება.

ასე რომ შინაური კაპიტალი, უცხო კაპიტალი და კერძო ინიციატივა ჩვენ ხალხს განადგურებას უმზადებენ. კაპიტალიზაციის გზა არ არის ხსნა ჩვენი ერისა. ერთად ერთი ხსნა არის შრომის მობილიზაცია. ხალხის ენერგიის მობილიზაცია ესაა კოლექტივიზაცია, რომელიც ქმნის ძალთა ეკონომიკას. ეს შექმნის ჩვენი ხალხისთვის იმ რეალურ პირობებს, რომელშიაც განვითარდება ჩვენი ერი და შეინარჩუნებს თავისებურებას. და მე ვამბობ, რომ ჩვენი კონსტიტუცია ქმნის ასეთ პირობებს. ეს არის ორიგინალური კონსტიტუცია, მაგრამ ორიგინალური არის თვით ჩვენი ხალხი, ვინც ჩვენს კონსტიტუციას გადახედავს, დარწმუნდება, რომ ეს კონსტიტუცია არის გულწრფელი აღსარება ხალხისა. აქ აღბეჭდილია მისი გრძნობა და გონება და ვინც წინ აღუდგება ამ კონსტიტუციას – იქნება ამ ხალხის წინააღმდეგი.

ვიმეორებ, შეიძლება დროებით მოახვიოთ მას უცხო სამოსელი, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ხალხი იცნობს თავის თავს და უცხო სამოსს მოიხდის.

ამ რიგად ჩვენი ფრაქციის სახელით მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ეს კონსტიტუცია და გთხოვთ მიიღოთ იგი.

(ტაში სოც.-რევ. სკამებზე).

თავმჯდომარე. მე-11 საათია ვიხილავთ. როგორ ინებებთ?

(ხმები. შევწყვიტოთ კრება).

მსჯელობა პარასკევს გაგრძელდება.

სხდომა დახურული გახლავთ.

სხდომა 10 საათ. და 15 წ. იხურება.

გაზ. „შრომა“,№ 7. კვირა, 13 თებერვალი, 1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეთექვსმეტე (96)

1921 წ. პარასკევი, თებერვლის 11. შუადღის 12 საათი

დღიური წესრიგი:

1. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა – ტფილისის ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფრის შესანახად დამატებით 1.842.736 მან. გადადების შესახებ.
კომისია და მომხსენებელი.
შენიშვნა. სარედაქციო კომისია. ქრისტინე შარაშიძის ასული.

2. პირველი (ზოგადი) განხილვა კანონპროექტისა პირდაპირი გადასახადის და ბაჟის წესდებაში ზოგიერთ ცვლილების შეტანის შესახებ.
საბიუჯეტო-საფინანსო და იურიდილი კომისია. კირილე ნინიძე.

3. დეკრეტი თავდაცვის გადასახადისა. საბიუჯეტო-საფინანსო კომისია. გრიგოლ ურატაძე.

4. დეკრეტი – რესპუბლიკის უწყებათა საკანცელარიო უწყებათა საკანცელარიო და სამეორნეო ხარჯის დასაფარავად დამატებით 1.830.912.000 მან. გადადებისა. საბიუჯეტო-საფინანსო კონსტანტინე გვარჯალაძე.

5. დეკრეტი – რკინიგზის მილიციის დროებითი შტატის შესანახად 1.989.870 მან. გადადებისა. გზათა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიანი. პავლე წულაია.

6. პროექტი ამნისტიისა საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად. იურიდიული კომისია. კონსტანტინე ჯაფარიძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 737. ფ. 14.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეთექვსმეტე (96)

1921 წლის 11 თებერვალი

დამფუძნებელ კრებაში (11 თებერვლის სხდომა)

თავმჯდომარეობს ექვთიმე თაყაიშვილი.

დამფუძნებელი კრება ისმენს ნ. იმნაიშვილის რიგ გარეშე განცხადებას.

ნიკოლოზ იმნაიშვილმა „ახალი სხივის“ ჯგუფის სახელით წაიკითხა დეკლარაცია.

ანანია სალუქვაძე სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით აკეთებს განცხადებას და აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ „ახალი სხივის“ გარშემო შემოკრებილი ჯგუფი გარიცხა ფრაქციიდან და მას შემდეგ აარსებენ ისინი დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიულ პარტიასო.

გრიგოლ ვეშაპელი აღნიშნავს, რომ პრეზიდიუმმა დაარღვია რეგლამენტი, როცა ანანია სალუქვაძეს მისცა სიტყვაო.

იესე ბარათაშვილიც ამბობს, რომ რეგლამენტი დარღვეულიაო და დასძენს, რომ სალუქვაძისთვის სიტყვის მიცემით პრეზიდიუმი დაემორჩილა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასო. ბარათაშვილს ამ სიტყვის გამო უყვირეს: „ძირს“-ო; ისმოდა ხმები: „პრეზიდიუმი რა შუაშია, ის კანონიერად მოიქცაო“.

თავმჯდომარის ადგილს იკავებს ალექსანდრე ლომთათიძე: ის აწყნარებს კრებას და პრეზიდიუმის სახელით წინადადება შეაქვს ბარათაშვილის ორი სხდომიდან გაძევების შესახებ პრეზიდიუმის შეურაცყოფისათვის.

ბარათაშვილის განმარტების შემდეგ პრეზიდიუმის წინადადებით დამფუძნებელი კრება ხმის უმრავლესობით ერთი სხდომიდან აძევებს ბარათაშვილს.

დასასრულს მიღებულ იქნა სხვადასხვა დეკრეტები და ამინისტიის პროექტი საქართველოს იურიდიულად ცნობის აღსანიშნავად.

დამოუკიდებელ სოც.-დემ პარტიაში („სხივის ჯგუფში“) შედიან: მუხრან ხოჭოლავა, კირილე ნინიძე, ნიკოლოზ იმნაიშვილი, ილია ფირცხალაიშვილი, ერმალო კალაძე, ივან კოპალეიშვილი, თემურ ჭელიძე და აპოლონ სულაქველიძე.

მოსმენილ იქნა აგრეთვე პავლე საყვარელიძის განცხადება სოც. – დემოკრატიული ფრაქციიდან გასვლის შესახებ. (როდესაც სოც.-დემ. ფრაქციიდან გასვლის შესახებ განცხადებებს ჰკითხულობდნენ, – ოპოზიცია, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ განსაკუთრებით კი სოც. ფედერალისტები დიდ სიხარულში იყვნენ).

გაზ. „ ერთობა“, № 34. 13 თებერვალი, 1921 წ.

***

დამფუძნებელ კრებაში

1921 წლის თებერვლის 11-ს

თავმჯდომარეობს ექვთიმე თაყაიშვილი.

დამფუძნებელი კრება ისმენს დეპუტატებს დამფუძნებელი კრების წევრთა კირილე ნინიძის, მიხეილ ხოჭოლავას, ნიკოლოზ იმნაიშვილის. ილია ფირცხალაიშვილის, ერმალო კალაძის, ივანე კოპალეიშვილის, თემურაზ ჭელიძის და აპოლონ სულაქველიძის განცხადებას, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი გადიან სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან.

წაკითხულ იქნა აგრეთვე პავლე საყვარელიძის წერილობითი განცხადება მისი სოც.-დემ. ფრაქციიდან გასვლის შესახებ,

უკანასკნელი თავის გასვლის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ის არ ეთანხმება ფრაქციის ზოგიერთ მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხებში.

დამოუკიდებელი სოც. დემოკრატიული ჯგუფის სახელით დეკლარაციას კითხულობს ნიკოლოზ იმნაიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ სოც. დემოკრატიულმა ფრაქციამ დაჰკარგა თავისი ნამდვილი სოციალისტური სახე, ის გაითქვიფა სახელმიფოში, მან გაამეფა უპასუხისმგებლობა მთავრობისა და მოხელეებისა, ვერ გაატარა დროზე აგრარული რეფორმა, ვერ დააყენა ჯეროვან ნიადაგზე მუშათა კანონმდებლობა და სხვა.

„ამიტომო – სთქვა ორატორმა – ჩვენ იძულებული ვიყავით გამოვსულიყავით სოც. დემოკ. ფრაქციიდან და დაგვეარსებინა ცალკე დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი“-ო.

ამის მერე გამოვიდა ანანია სალუქვაძე, რომელმაც სოც. დემოკრატიული ფრაქციის სახელით გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ ნინიძე, იმნაიშვილი, ხოჭოლავა და სხვები პარტიამ გარიცხა თავის შემადგენლობიდან ანტიპარტიული მოღვაწეობისათვისო. ანანია სალუქვაძის განცხადებაში ზოგმა დელეგატმა კამათი დაინახეს, და რეგლამენტი ჩასთვალეს დარღვეულად, რის შესახებ ლაპარაკობენ გრიგოლ ვეშაპელი და იესე ბარათაშვილი. უკანასკნელმა აღნიშნა, რომ „ანანია სალუქვაძისთვის უყკანონოთ სიტყვის მიცემაში მე ვხედავ, რომ პრეზიდიუმი დაემორჩილა სოც. დემოკრატიულ ფრაქციასო".

ამ უკანასკნელი სიტყვების გამო ისმის ხმები „ძირს", „ძირსო".

თავმჯდომარის ადგილს იკავებს ალექსანდრე ლომთათიძე, რომელიც აწყნარებს დამფუძნებელ კრებას და პრეზიდიუმის სახელით წინადადება შეაქვს პრეზიდიუმის სახელით წინადადება შეაქვს პრეზიდიუმის შეურაწყოფისათვის დეპუტატი ბარათაშვილის ორი სხდომიდან გაძევების შესახებ.

განმარტებისთვის სიტყვა ეძლევა ბარათაშვილს, რომელიც ამბობს, რომ მას არ ქონია სურვილი პრეზიდიუმისთვის რაიმე შეურაცყოფა მიეყენებინა, მან მხოლოდ აღნიშნა ფაქტი,

ამის შემდეგ პრეზიდიუმის წინადადებით ხმის უმრავლესობით დამფუძნებელმა კრებამ გადასწყვიტა ერთი სხდომიდან გააძევოს დეპუტატი ბარათაშვილი.

დასასრულ მიცემულ იქნა რამოდენიმე დეკრეტი და ამნისტიის პროექტი საქართველოს იურიდიულად აღიარების აღსანიშნავად.

დაწვრილებით შემდეგ.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 34. კვირა, 13 თებერვალი, 1921 წ.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. თებერვლის 12

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. მისი ამხანაგი, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე.

მდივნობდა კონსტანტინე ჯაფარიძე.

1. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე-16 თავის შესწორებანი, შემოტანილი 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა და 3) სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 9-ს სხდომაზე და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესით მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხ. თანახმად შესწორებანი გადაეცეს დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას.

2. მოსმენილია: საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე-17 თავის შესწორებანი, შემოტანილი 1) სოციალ-დემოკრატიულ, 2) სოციალისტ-ფედერალისტთა და 3) სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციების მიერ.

ცნობა: თებერვლის 9-ს სხდომაზე და შესწორებანი კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაზეა შემოტანილი.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-4 მუხ. თანახმად შესწორებანი გადაეცეს დასკვნისათვის საკონსტიტუციო კომისიას.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერა] კონსტანტინე ჯაფარიძე.
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 44.

***

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წლის თებერვლის 12

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელ კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე.

მდივნობდა ქრისტინე შარაშიძის ასული.

მოსმენილია:

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის ექვთიმე თაყაიშვილის წერილობითი განცხადება შემდეგი შინაარსისა:

„როგორც უწყის პრეზიდიუმმა დღევანდელ 11 თებერვალის კრების სხდომის თავმჯდომარეობა მე ვიკისრე ჩვენი უფროსი ამხანაგის ბატონ ალექსანდრე ლომთათიძის თხოვნით. თავისთავად ცხადია, ყოველ თავმჯდომარეს უნდა მიეცეს საშუალება ისე წაიყვანოს კრება, როგორც მას ესმის და ძალუძს. თუ რაიმე ინციდენტი მოხდება, პირველ ყოვლისა მანვე უნდა მიიღოს ზომა ინციდენტის ლიკვიდაციისათვის.

ბატონ იოსებ ბარათაშვილის სრულიად შეუფერებლის განცხადების გამო პრეზიდიუმის შესახებ, მას სიტყვა ჩამოვართვი და ვთხოვე კათედრა დაეტოვებია, მაგრამ ვინაიდგან ამ კრებაში დიდი ხმაურობა ასტყდა, ჩემს ზარის რეკას და თხოვნას – დაწყნარებულიყვნენ, არ დაემორჩილენ, მე თანახმად რეგლამენტისა სხდომა დახურულად გამოვაცხადე და თავმჯდომარის სავარძელი დავსტოვე. ამის მომხრე იყო ბატონი კონსტანტინე ჯაფარიძე. მე აზრათ მქონდა როცა დაწყნარდებოდენ, განმარტება მიმეცა კრებისათვის და ინციდენტის ლიკვიდაცია მომეხდინა.

მაგრამ უეცრივ ჩემი ადგილი დაიჭირა ბატონმა ალექსანდრემ და კრებას წინადადება მისცა ბატონი იოსებ ბარათაშვილი ორი კრებიდან დაეთხოვნათ.

მე გაოცებული დავრჩი, მივბრუნდი და ბატონს ალექსანდრეს განუცხადე, – მე კრება დავხურე მეთქი და ყოველ შემთხვევაში ასეთი სასტიკი სასჯელის მომხრე არა ვარ მეთქი.

ხმაურობა გრძელდებოდა, ბატონი ალექსანდრე აღელვებული იყო და მე ყურადღება არ მომაქცია. ცოტა დავიცადე, განვიზრახე პირადი საკითხისთვის სიტყვა ამეღო და ჩემი აზრი მეცნობებია პლენუმისათვის, მაგრამ ეს უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებდა მთელს პრეზიდიუმს და სწორედ პრეზიდიუმის პრესტიჟის დასაცავად ვამჯობინე ისევ დადუმებით დამეტოვებია პრეზიდიუმიც და კრებაც.

ეხლა ჩემთვის უხერხული მდგომარეობა შეიქნა: გამოდის, რომ მე არ შემძლებია სხდომის ხელმძღვანელობა, ვერ დავიცავი პრესტიჟი პრეზიდიუმისა და ამიტომ უფლება მიეცა თავმჯდომარის უფროს ამხანაგს განეგრძო კრება და სასტიკი სასჯელი მოეთხოვა დეპუტატისათვის. გარდა ამისა ჩემის ღრმა რწმენით, როდესაც იოსებ ბარათაშვილმა განაცხადა, რომ მას სრულებით აზრათ არ ჰქონია პრეზიდიუმის შეურაცხყოფა, ჩვენ უნდა დავკმაყოფილებულიყავით უფრო მცირე სასჯელით: ანალოგიურ შემთხვევაში სხვები კრებიდან არ გაგვიძევებია.

მე ბატონ ალექსანდრესაგან და ყველა პრეზიდიუმის წევრისაგან ჩემ მიერ დამსახურებულს ყურადღებას, თავაზიანობას და პატივისცემას ვარ ნაჩვევი და ერთს წამშიაც არ დავუშვებ, რომ ბატონმა ალექსანდრემ მე განძრახ შეურაცხყოფა მომაყენა, მაგრამ ჩემი პრეზიდიუმის ამხანაგების უნებლიეთ ჩემთვის უხერხული მდგომარეობა შეიქნა და რომ მე ამას თავი დავაღწიო საუმჯობესოდ მიმაჩნია დავსტოვო პრეზიდიუმის წევრობა, მით უმეტეს რომ ყველა ფრაქციებმა, გარდა ერთისა მე დამწამეს მიკერძოება და ამით მე მათ მივცემ საშუალებას უფრო მიუდგომელი წევრი აირჩიონ“.

ამ განცხადების გამო თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ განმარტა შემდეგი:

„როდესაც დამფუძნებელ კრებაში ასტყდა არეულ – დარეულობა და ყვირილი, მე საჭიროდ ვსცანი პრეზიდიუმთან მივსულიყავ და თავმჯდომარის გვერდზე დამეჭირა სავარძელი. ამ დროს ორატორი იესე ბარათაშვილი ჯერ კიდევ ტრიბუნაზე იდგა. მე ხმაურობის გამო არ გამიგია, რომ თავმჯდომარემ მას სიტყვა ჩამოართვა, და მოსთხოვა ტრიბუნიდან ჩამოსულიყო. ხოლო როდესაც ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა თავმჯდომარის სავარძელი მიატოვა, მეგონა, რომ თავმჯდომარის ადგილი დამითმო, რადგანც არ გამიგია მისი სიტყვები „კრებასა ვხურავო“.

მე განვაგრძე თავმჯდომარეობა და მივიღე ის ზომები პრეზიდიუმის შეურაცხმყოფელ დეპუტატის მიმართ, რასაც გარემოების მიხედვით საჭიროდ ვსთვლიდი.

ამრიგად ეს სამწუხარო ინციდენტი გაუგებრობის შედეგია. ყოველ შემთხვევაში ჩემს ვალად ვრაცხ ბოდიში მოვიხადო ბატონ ექვთიმეს წინაშე, რომ ჩემდა უნებურად მას წყენა მივაყენე და ვსთხოვო კვლავ დაიკავოს ის საპატიო ადგილი პრეზიდიუმის შორის, რომელიც მას ყოველთვის დიდის ღირსებით ეჭირა“.

დადგენილება: პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ეს სამწუხარო ინციდენტი გაუგებრობის შედეგი იყო და პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის განუცხადოს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს თავისი უღრმესი პატივისცემა და სთხოვოს ნუ ინებებს ამ გაუგებრობის მიზეზით პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გასვლას.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერის გარეშე]
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 42-43.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

სხდომის ჟურნალი

1921 წ. თებერვლის 14-ს

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე; მისი ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე; მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე.

მდივნობდა ქრისტინე შარაშიძის ასული.

1. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შეტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის VII თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 2-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხლ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის VII თავი შეტანილ იქნეს მუხლ. განხილვის. დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

2. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შეტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე – VIII თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 2-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხლ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის VIII თავი შეტანილ იქნეს მუხლ. განხილვის დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

3/12. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის IX თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 2-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხლ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის მე-IX თავი შეტანილ იქნეს მუხლ. განხილვის დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

4/12. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის X თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 2-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხლ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის X თავი შეტანილ იქნეს მუხლობრივ განხილვაზე დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

5/12. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XI თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 4-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხლ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის XI თავი შეტანილ იქნეს მუხლ. განხილვის დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

6/12. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XII თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 4-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის XII თავი შეტანილ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში მუხლობრივი განხილვისათვის.

7/12. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XIII თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 4-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის XIII თავი შეტანილ იქნეს მუხლ. განხილვის. დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

8/12. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XIV თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 4-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის XIV თავი შეტანილ იქნეს მუხლ. განხილვის. დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

9/12. მოსმენილია: საკონსტიტუციო კომისიისაგან წარმოდგენილი დასკვნა – ფრაქციების მიერ შემოტანილ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის XV თავის შესწორებათა შესახებ.

ცნობა: ამ თავის ზოგადი წესით განხილვა დამთავრდა დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 4-ს სხდომაზე.

დადგენილება: კონსტიტუციის განხილვის წესის მე-5 მუხ. თანახმად კომისიის დასკვნა – ფრაქციების შესწორებითურთ – გაეგზავნოს ფრაქციათ და კონსტიტუციის XV თავი შეტანილ იქნეს მუხლობრივ განხილვის. დამფუძნებელი კრების ამა თებერვლის 16-ს სხდომის დღიურ წესრიგში.

თავმჯდომარე [ხელმოწერა] ალექსანდრე ლომთათიძე.
მდივანი [ხელმოწერის გარეშე]
კანცელარიის გამგე [ხელმოწერა] ილია ზურაბიშვილი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 45-46.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება.

სესია II.

სხდომა ოთხმოცდამეჩვიდმეტე (97).

კვირას, 1921 წ. თებერვლის 14. შუადღის 12 საათ.

დღიური წესრიგი:
№№ საკანონმდებლო აქტის სახელწოდება.

რიგზე.
1. მუხლობრივი განხილვა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის: კომისია და მომხსენებელი.

შენიშვნა. საკონსტიტუციო კომისია.

მე-4 თავისა. სერგო ჯაფარიძე.
მე-5 თავისა. სერგო ჯაფარიძე.
მე-6 თავისა. სამსონ დადიანი.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 737. ფ. 11.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეთვრამეტე (98)

სამშაბათი, 1921 წლის თებერვლის 15. სასახლე

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაზე.: „საბჭოთა სომხეთის თავდასხმა საქართველოზე“.

სხდომას დაესწრნენ, თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, პრესისა და თვითმმართველობათა წარმომადგენელნი. დარბაზი სავსეა სტუმრებითა და მსმენლებით.

რიგს გარეშე განცხადებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარე ბატონი ნოე ჟორდანია.

ნოე ჟორდანია: მოქალაქენო! განმეორდა 1918 წლის ამბავი. სომხეთი კვლავ ვერაგულათ თავს დაგვესხა, მან კვლავ ააფრიალა სისხლის და ომის დროშა და ჩუმათ, მუხანათურათ შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში. შემოიჭრა იმავე გზით, იმავე საშუალებით, იმავე წესით, როგორითაც მან ჩაიდინა ეს ამ ორი წლის წინეთ.

ამ თვის თორმეტს, ღამით მისი მოწინავე რაზმები თავს დაესხენ ჩვენ სადარაჯო პოსტებს, აიყოლიეს ზოგი გაბრიყვებული სოფლები და ამნაირათ ხელთ იგდეს ერთი ნაწილი ბორჩალოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრებისა. სომხეთის ხელმძღვანელი წრეები იცვლიან ფერს, როგორც ეს დასჭირდებათ, მარა ამით ოდნავათაც არ იცვლიან სულს და გულს, ოდნავათაც არ უახლოვდებიან ადამიანურ საერთაშორისო ჩვეულებას. ისინი დღესაც ვერ ინელებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, დღესაც არ სცნობენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ცდილობენ ყოველივე ძალღონით დაამხონ და შემუსრონ იგი.

ეს მათ ვერ შესძლეს 1918 წელში; შემდეგ ცენტრი თავის მუშაობისა გადაიტანეს ევროპაში და იქ ამ ორი წლის განმავლობაში უფრო ებრძოდენ საქართველოს, ვიდრე იცავდენ სომხეთს. იქაც ვერ მიაღწიეს მიზანს, და აი ახლა ხელახლა სცადეს აქ და შეიარაღებული ძალით ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრენ. განა ეხლა კი მიაღწევენ მიზანს?

არა, არასოდეს, ისინი ეხლაც ისე სასტიკად და მარცხდებიან, ისე ლაჩრულად გაიქცევიან, როგორც დამარცხდენ და გაიქცენ პირველად.

(მხურვალე ტაში. ხმები: უარესად).

რის და ვისი იმედით იწყებს ომს ეს გაქცევას დაჩვეული ხალხი და რის და ვისი იმედით აბრიყვებენ სომხეთის გლეხ-კაცობას ეს ყვითელი თუ წითელი ვაჟბატონები?

ამათ არასოდეს არ ქონებიათ თავის იმედი, ისინი მუდამ გარეშე ძალას ეძებდენ მეზობლის წინააღმდეგ. პირველი ომი მათ დაიწყეს დენიკინის იმედით, მაგრამ დენიკინმა დააგვიანა და როცა მას სოჭზე გამოილაშქრა, – სომხეთი დიდი ხნით დამარცხებული იყო. საქმეში ჩამოერია ახლათ მოსული ინგლისელნი, გაგვაჩერებინეს გამარჯვებული ჯარი და შეგვიქმნეს ნეიტრალური ზონა.

ეს დენიკინის მოტრფიალენი ეხლა უცებ დაცემული მთავრობის ლოცვა-კურთხევით, გადაიქცენ საბჭოთა მთავრობის მოტრფიალეთ. და ეხლა ამ ბოლო იმედით მოდიან ჩვენკენ და ლამობენ შეასრულონ ის, რაც დენიკინის შავმა ლაშქარმა მათ წინეთ ვერ შეუსრულა.

როგორც ხედავთ, სომხეთის ბატონ-პატრონები ყოველნაირ ძალას ემხრობიან, ოღონდ ეს ჩვენ წინააღმდეგ კი გამოადგეთ.

კუზიანს სამარე გაასწორებსო, მათი გამასწორებელი დღეიდან ჩვენი ხმალია.

როგორც ხედავთ, ბალშევიკური სომხეთი მოდის დაშნაკურ სომხეთის გზაზე და აწარმოებს პირწმინდათ მის პოლიტიკას. ჩვენ არასოდეს არ დაგვიჯერებია, რომ სომხეთის ახალი დროშა ოდნავაც მაინც შესცვლიდა მის ძველ დროშას, არასოდეს არ ვყოფილვართ დარწმუნებული იმაში, რომ სომხეთის ბოლშევიკური მთავრობა მართლა დაადგებოდა საერთაშორისო სოლიდარობის და თანხმობის გზას. ის დღიდან თავისი არსებობისა ეძებს საბაბს განხეთქილებისა და ომიანობისას. განა არ შეიძლებოდა სადავო კითხვების მეზობლურად, მშვიდობიანად მოგვარება? დიაღაც რომ შეიძლებოდა, მაგრამ ეს, მიუხედავათ დაპირებისა, ტყვიაზე გადასცვალეს.

რა იყო ჩვენს შორის სადავო?

სადავო საგანი იყო სწორეთ გარეშე ძალის მიერ შექმნილი ნეიტრალური ზონა, სომხეთის სამხრეთი ნაწილი. ჩვენ ეს ორი წელიწადია ვცდილობთ ამ ზონის მოისპობას და ნამდვილ საზღვრის დადებას. ამ საგანზე გვქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკება სომხეთის ძველ მთავრობასთან, რომლის თანხმობით ჩვენ ეს ზონა დროებით დავიკავეთ. ბოლშევიკური მთავრობას ჩვენ შვიდ და ათ დეკემბერს მივმართეთ ნოტით ამ სადავო კითხვის მოლაპარაკებით გასათავებლად. იმავე თვის 29 -ს მისგან მივიღეთ თანხმობის პასუხი ნებითვე, ხოლო იანვარში თვით ნოტის ავტორი, საგარეო საქმეთა კომისარი ბეკზადიანი ჩამოვიდა თფილისში და მასთან საბოლოოდ შევთანხმდით. უნდა შეკრებილიყვნენ ორივე ქვეყნის დელეგაციები თფილისში, ჩვენ ველოდით მათ დელეგაციებს თფილისში. სამაგიეროთ კი მივიღეთ ... თავდასხმა.

სწორედ ასე მოხდა 1918 წელშიც. ალბათ გახსოვთ, იქ, ერევანში ჩვენი ელჩი დაარწმუნეს: „თფილისში ვგზავნით დელეგატებს საზღვრის კითხვის მოლაპარაკებით გადასაჭრელათო“, ხოლო ნამდვილათ კი იმავე დროს თავდასხმა მოახდინეს. იგივე მუხანათობა, ორპირობა, გაუტანლობა ბატონობს ერევანში დღესაც.

მაგრამ ერთი უპირატესობა, უეჭველია, ჰქონდა ძველ მთავრობას. მან შემდეგ თავდასხმისა ოფიციალურათაც ომი გამოგვიცხადა. ერევნის ეხლანდელი მთავრობა დღევანდლამდის სდუმს და სცდილობს ქვეყანას ამცნოს, რომ აქ ომი კი არა, ადგილობრივი გლეხთა აჯანყებაა.

მაშ, ვისია ჩვენი ჯარების წინ მდგომი ცხენოსანი და ქვეითთა პოლკები, არტილერია და ტყვიამფრქვეველები?

უპატრონოებია?

ვინ მოიყვანა სომხეთ – რუსეთის რეგულიარული ნაწილები ბორჩალოს მაზრაში? განა შეიძლება ქურდულად ომის წარმოება? ჯარების დამალვა?

არა, ჩვენ საქმე გვაქვს სომხეთის მთავრობასთან და არა მათ მიერ გაბრიყვებულ გლეხებთან. შინაგანი ბალშევიკური შეთქმულება და გარედან თავდასხმა – აი რა მოხდა ბორჩალოში. ამ გეგმის განხორციელება მათ ვერ შესძლეს დეკემბერში – თფილისში, საქართველოს შიგნით; და აი, აქ დამარცხებულნი, მას ანხორციელებენ ნეიტრალურ ზონაში და მით აჩაღებენ სისხლის ღვრას ორ მეზობელ ხალხთა შორის.

მათ სურთ საქართველოს დაბყრობა ბორჩალოდან.

ტყუილი იმედია, საქართველოს დემოკრატია აჩვენებს ამ ვაჟბატონებს თავის ვაჟკაცობას, თავის დადებას და გამარჯვებას. მომხვდურნი ისევ უკან გაიქცევიან, როგორც არა ერთხელ გაქცეულან წინათაც. და აი, ამაში დარწმუნებული ერევნიდან ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და მფარველობას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ხელშეკრულების ნიადაგზე.

ერევანს დარჩა ერთად – ერთი ბაქო, სადაც დიდი გავლენით სარგებლობენ საქართველოდან გაქცეულნი ქართველი ბოლშევიკები, თავის ხალხისა და ერის აშკარა მოღალატენი, ერევნის ავანტიურის წამქეზებელნი.

(ხმები: მოღალატენი, ზიზღი მათ!)

ბატონებო!

ძველი საქართველო დაასუსტა სწორეთ ასეთმა მოღალატეობამ, ქართველთა საქართველოდან გაქცევამ და სპარსთა ან სხვა უცხო ჯარებით უკან დაბრუნებამ. დღევანდელი ქართველი ბალშევიკები, ბაქოში მოკალათებული ზურაბ წერეთლები*, იმეოებენ აი ამ ფეოდალის მუხანათობას, მაგრამ ერთი განსხვავებით: დღევანდელ შეერთებულ და შეკავშირებულ დემოკრატიულ

* უნდა იგულისხმებოდეს თავადი ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი (1744 - 28.1.1823 წწ.) გენერალ-მაიორი, იმერეთის სახლთუხუცესი, მამა იმერეთის მეფის სოლომონ II – სარდარის, ქაიხოსრო წერეთლისა; ზ. წ-ს ქალიშვილი მართა იყო მეუღლე სამეგრელოს მთავრის, ლევან დადი-

საქართველოს თავის უღირს შვილთა არ ეშინია, ის თავის თავს, თავის არსებობას და მთლიანობას ბოლომდის მამაცურად დაიცავს და მომხვდურთ და მოღალატეთ სამაგიეროს მიაგებებს. (ტაში).

მოქალაქენო!

მთავრობამ მიიღო ყველა ზომა ქვეყნის დასაცავად, მან გამოაცხადა დამატებითი მობილიზაცია, შემოიღო სამხედრო წესები, შეაკავა მოწოლილი მტერი, ხელთ იგდო სტრატეგიული პოზიციები, ჩვენი გვარდია და ჯარი მტკიცედ სდგას თავის პოსტზე და ვაჟკაცურად ასრულებს თავის მოვალეობას, შეაჩერა თვითმმართველობათა არჩევნები და შეეცადა ერის მთელი ენერგიის თავდაცვის გარშემო დაგროვებას. შევუწყოთ ხელი ფრონტს, გადავდოთ ყველაფერი ფრონტისთვის, დროებით ჩავაგოთ ქარქაშში პარტიული ხმალი და ვაჩვენოთ მტერს ჩვენი ერთობა და სიმტკიცე.

დამფუძნებელი კრება, ეს გული და ტვინი საქართველოისა და მის მიერ დაყენებული მთავრობა წარუძღვება ხალხს წინ, გამარჯვებისაკენ.

(მხურვალი ტაში და ოვაციები).

გაზ. „ერთობა“, № 37, ხუთშაბათი, 17 თებერვალი, 1921 წ.

II

ნოე ჟორდანიას შემდეგ ლაპარაკობს ვიქტორ თევზაია. სოც-დემოკრატების სახელით, მუხრან ხოჭოლავა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებისაგან და ამხანაგი შალვა ნუცუბიძე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციისაგან.

მოგვყავს ჯერ-ჯერობით ამხანაგ შალვა ნუცუბიძის სიტყვა.

შალვა ნუცუბიძე (ს.-ფ.) ბატონო დამფუძნებელი კრების წევრნო!

სულ რამდენიმე დღის წინად ქართველი ერი ზეიმობდა იმ გამარჯვების გამო, რომელიც წილად ხვდა. სულ რამდენიმე დღის წინად ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ განათლებული ევროპა სავსებით გამოერკვა ერთ უტყუარ ფაქტში – ქართველი ერი მომწიფდა, სრულიად მომწიფდა იმისთვის, რომ

ანისა, მეორე ქალიშვილი, ქეთევანი – მეუღლე საქართველოს მეფე გიორგი XII-ს ვაჟის, იოანე გიორგის ძისა. XIX საუკ. დასაწყისში უაღრესად გავლენიანი პირი მთელს დასავლეთ საქართველოში, რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში – არაფორმალური შუამავალი დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობასა და რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას შორის. ცალკეული დოკუმენტური ცნობების მიხედვით ზურაბ წერეთელმა გარკვეული სამსახური გაუწია XIX საუკუნის 20-იან წწ. დასავლეთ საქართველოში გამეფებულ რუსეთის იმპერიის მოხელეებს იმერეთის სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობის და სამეფოში მომქმედი საგადასახადო წესების თავისებურებებათა გაგებაში. (შემდგენელი).

თითონ გაუძღვეს თავის თავს, იყოს საკუთარი თავის ბატონ – პატრონი. და როდესაც ასეთ ფაქტის წინაშე დადგა არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ ჩვენი მეზობლებიც, ამან შეჰქმნა ის სპეციფიური პირობები, რომელთმაც, უნდა ვიფიქროთ, დააჩქარა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელთანაც დღეს ჩვენ საქმე გვაქვს.

ამ დიდსა და ხანგრძლივ მუშაობის შემდეგ, რომელსაც შედეგად მოჰყვა ევროპის მიერ ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის შეფასება და ამ გამოცდის შემდეგ, ჩვენ მოგვინდომეს ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ ერთხელ კიდევ უნდა დაგვჭირდეს იმის დამტკიცება, რომ მომავალშიაც ისე, როგორც წარსულში, ჩვენ შეგვეძლება საკუთარი ძალით ჩვენი თავის ბატონ – პატრონობა.

როგორც პირველ შემთხვევაში ჩვენ შევძელით, ბატონებო, დამფუძნებელი კების წევრნო, იმ გამოცდის დაჭერა, ისე, მე ვფიქრობ, და იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი ხალხი ამ შემთხვევაშიაც არ უღალატებს ძველ გზას და ამ გამოცდასაც ისევე ღირსეულად დავიჭერთ.

ჩვენ მეზობელ სომხეთს, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებს, დიდი ხანია ერთი გზა აქვს არჩეული. ეს გზა ჩვენმა საგარეო მინისტრმა ერთხელ მშვენივრად დაასურათა: „მეც წავხდი, შენც წაგახდინეო“. როდესაც სომხეთი დარწმუნდა, რომ ევროპამ ღირსეულად შეაფასა საქართველოს თვითცნობიერება, როდესაც [სომხეთი] დარწმუნდა, რომ საქართველო შევიდა ისეთ ფაზაში თავის პოლიტიკურ მომავლისა, რომლის გამო მის წინააღმდეგ ამბოხება და გამოლაშქრება მომავალში გაცილებით ძნელი იქნებოდა, როდესაც სომხებმა დაინახეს აჩრდილი დიდებული, ძლიერი საქართველოისა, რომელიც იურიდიულად ცნობის შემდეგ ყველასათვის თვალსაჩინოდ ისახება, როდესაც სომხეთი დარწმუნდა ამ ისტორიულ მომენტის აუცილებლობაში, მაშინ, რა თქმა უნდა, დაგროვილმა ბოღმამ, რომელიც ამ იდეით – „მეც წავხდი, შენც წაგახდინეო“ ხასიათდება, – სომხები თავს დაგვესხენ იმ მიზნით, რომ თვითონ წამხდართ, ჩვენც წაგვახდინონ. მაგრამ ჩვენ უნდა გამოვსთქვათ მტკიცე რწმენა, ბატონები, დამფუძნებელ კრების წევრნო, რომ, როგორც წარსულში, ეხლაც, ისინი ვერ შესძლებენ ჩვენს წახდენას, ისინი ამ შემთხვევაში წამხდარნი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წახდენას ვერ მოესწრებიან.

(ტაში. „მართალია“!)

სომხებმა იციან, და ამ გარემოებას, ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ თუ დაგვიანდა, თუ საქართველო შეეგუა იმ მდგომარეობას, რომელიც არის შექმნილი, თუ საქართველო ჩამოიქნა, სომხებმა იციან, რომ საქართველოს ამის უნარი აქვს, თუ საქართველომ შესძლო ევროპასთან დაახლოვება, თუ ევროპასთან კავშირმა, სულიერმა და ეკონომიურმა, დააყენა ჩვენი ქვეყანა თავის შემოქმედების ნადაგზე, თუ საქართველო ჩადგა ერთ მწკრივში ევროპასთან თანამშრომლობისა, მაშინ შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომ თუ დრო გავა, ძნელი

იქნება საქართველოსთვის ლახვრის ჩაცემა. ამიტომ არის რომ სომხებმა არ დააგვიანეს და ჩვენი იურიდიული ცნობა პირველი საბაბი არის, რომ სომხეთს ეს საქმე მოეწყო.

რა თქმა უნდა, ნეოტრალური ზონის საკითხი, რომელიც აქ იყო აღნიშნული, ეს იყო, სხვათა შორის საბაბი იმისთვის, რომ ეს საქმე მომხდარიყო. მაგრამ არსებითად თავის შინაარსის შინაგანი ბუნების მხრივ, საქართველოს იურიდიული ცნობა იყო იმის დამაჩქარებელი, რომ სომხეთმა ეს თავდასხმა მოაწყო. ყოველი დაგვიანება საათით, წუთით და მით უმეტეს თვით, შექმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ საქართველო უფრო მტკიცედ, უფრო მჭიდროდ ეზიარებოდა იმ კულტურას, სულიერს, ეკონომიურს და პოლიტიკურს, რომელიც ევროპისაკენ გზას გვიკაფავდა და სომხები ამბობდენ: „თუ არა ეხლა – არასოდეს“.

ჩვენ კი სომხებს უნდა უთხრათ: არც ეხლა არც არასოდეს.

(ტაში).

რას ვხედავთ სომხეთის მხრით? დავიჯეროთ ერთი წუთით, რომ სომხეთი მართლაც დაადგა ახალ გზას, რომ სომხეთმა გაწითლების შემდეგ გამონახა იხეთი გზა თავის პოლიტიკურ თავისუფლებისა, რომელსაც ახალი მეთოდები და პერსპექტივები აქვთ.

მართლაც სჩანს ეს მათ გამოსვლაში ჩვენს წინააღმდეგ?

არა, პირიქით, რაც იყო აღნიშნული მთავრობის თავმჯდომარის მიერ, უტყუარ ფაქტად რჩება. სომხეთი თავის ბუნებაში რაც უნდა გაწითლდეს, არაფრით არ შეცვლილა.

გვიჩვენეს თუ არა სომხეთის წარმომადგენლებმა, რომელთაც მოაწყვეს ეს გამოსვლა – ახალი რამ?

გვიჩვენეს თუ არა ისეთი რამ, რაც ახასიათებს იმ განსხვავებას სომხეთის პოლიტიკურ ვითარებისა იმ დროიდან, როდესაც მათ ასეთივე თავდასხმა მოაწყვეს? არავითარი განსხვავება არ მომხდარა არც ამ თავდასხმაში, არც სომხეთის პოლიტიკურ ვითარებაში. ის განაგრძობს ძველ გზას. სომხეთი მიდის ძველი გზით და უნდა იცოდეს ყველამ და სომხეთის დემოკრატიამაც, რომ თუ წინად სომხეთის მეთაურებს მიჰყავდათ სომხეთი დაღუპვის გზაზე, გაწითლებულ მათ ხემძღვანელებს არც აურჩევით ისეთივე ავანტიურული გზა სომხეთის ხალხის დაუსრულებელ სისხლის ღვრისა.

მთავრობის თავმჯდომარე შინაურ მთლიანობისაკენ მოგვიწოდებდა, ის ამბობდა: „დღეს უნდა ჩაიგოს ქარქაშში პარტიული ხმალი, ვინაიდან ამას გვავალებს მდგომარეობა“-ო. დიახ, ეს ყველას გარკვეული გვაქვს და ისე, როგორც განვაცხადეთ ეს პირველ ბატალიონის ბრძოლის ველზე გამგზავრების დროს, ისე ვამბობთ აქ, რომ – დღესაც, ისე როგორც წარსულში, როდესაც საქართველოს საფრთე დაუდგებოდა – საქართველოში არ არსებობს პარტიული სხვა და სხვაობა, არ არსებობს პარტიული ბრძოლა, არც ერთი – მეორეზე ხმლით მისვლა. საქართველოში არსებობს ისე როგორც სთქვეს მაშინ, ერთი, საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილთა პარტია!

(ვალიკო ჯუღელი: „გაუმარჯოს“! ტაში).

იმედს გამოვთქვამ სოც.-ფედერალისტთა სახელით, რომ თუ ეს ომი ხანგრძლივი იქმნა, მთავრობა ყოველი თავისი ნაბიჯით ნათლად დაანახვებს მთელ საქართველოს და პირველ ყოვლისა დამფუძნებელ კრებას და შემდეგ მთელ ხალხს, ყოველგვარ განკარგულების გაცემის, ყოველ პასუხისმგებელ პირის დანიშვნის დროს, რომ იცავს ამ მთლიანობას და მთლიანობის დროს ჩვენ მთავრობასთან ერთად მუდამ ვიქნებით, – და როდესაც დავინახავთ, რომ ნათლად და ცხადად სჩანს ამ მთლიანობის სურვილი, მაშინ ჩვენ მთელ ჩვენ ენერგიას, უნარს, – ფიზიკურს და გონებრივს, მივიტანთ სამშობლოს სამსხვერპლოზე. და თუ საქართველოს საბოლოო ხსნა უწერია, – და ამაში დარწმუნებული ვართ, – ეს არის მხოლოდ ამ ერთსულოვნების გზით და ეს ასეც მოხდება.

(ვალიკო ჯუღელი: „გაუმარჯოს“! ტაში).

ახირებულ სომხეთს ახირებული წარმოდგენა აქვს რევოლიუციაზე. საქართველოში მოდიან იმავე მეთოდით და იმავე მიზნით, როგორც თვით სომხეთში და სჩანს, რომ სომხებმა შეითვისეს ეს თავისეური გაგება რევოლიუციისა. რევოლიუცია დღემდის ყველას ესმოდა ისე, რომ ეს იყო შინაურ ძალთა ჭიდილი, აჯანყება – აფეთქება. მაგრამ რევოლიუცია, რომელიც გარეშე მომსვლელს შემოაქვს, შემოტანილი რევოლიუცია – ის არის ყველგან და ყოველთვის დაბყრობა და ვერავითარ რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიით არ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ მიზანი თქვენი შესვლისა იმ ქვეყანაში – მახვილით ხელში არის ის, რომ ემსახურებით სოციალისტურ – პროგრესის საქმეს, რომ საფუძველს უყრით ახალ, უკეთეს ცხოვრების შექმნას, – ეს მაინც არის დაბყრობა, პირწავარდნილი დაბყრობა სოციალისტურ ქურქში გახვეულ იმპერიალისტებისა.

სომხეთის დღევანდელი ხელმძღვანელები, თუ მათ აინტერესებთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური წინსვლა, თუ მათ აინტერესებთ საქართველოში ისეთი პირობების შექმნა, როდესაც შესაძლებელი იქნება ხალხის განვითარება და სავსებით მომწიფება, გაშლილი იქნება ასპარეზი თავისუფალი ბრძოლისა, თუ ისინი მართლა ამათ ფიქრობენ, – ძალით არ უნდა იჭრებოდენ ჩვენს სამშობლოში, არ უნდა ეკარებოდნენ ჩვენს საზღვრებს, არამედ მათ უნდა იცოდენ, რომ გარედან შემოსული ძალა ჩვენ ჩაგვაგებინებს ქარქაშში პარტიულ ხმალს და ამოგვაღებინებს ქარქაშიდან თავდაცვის ხმალს.

(ხმა: „მართალია!“ ტაში).

უნდა იცოდნენ, თუ ჩვენში შინაური პოლიტიკური ბრძოლა, სრულიად ბუნებრივი დემოკრატიულ სახელმწიფოში, ბუნებრივი და მისაღები ფორმის პოლიტიკური ბრძოლა ვითარდება, – ის ძალა, რომელიც საქართველოს საზღვრებს ადგება და საშუალებას არ აძლევს გაბატონებული წრის პოლიტიკური მეთაურების მოწინააღმდეგეს ბუნებრივი ბრძოლა აწარმოონ, ჰქმნის

ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენ იძულებული ვხდებით პარტიული ხმალი ქარქაშში ჩავაგოთ.

ეს უნდა გაიგონ და ნუ იფიქებენ, რომ ისინი რევოლოუციას და სოციალურ და ეკონომიურ ბრძოლის გაღრმავებას ხელს უწყობენ, – პირიქით, ისინი, თავის მოქმედებით ამ ბრძოლას ხელს უშლიან.

(ხმა: „მართალია“).

ერთი რწმენა უნდა გამოვთქვა უკანასკნელად: მე ვფიქრობ, რომ მდგომარეობა უცვლელი რჩება როგორც იქ, ისე აქ. უცვლელი რჩება იმ მხრივ, რომ როცა ერთნაირი სიძულვილით, ერთნაირი გააფთრებით, ერთნაირი წაქეზებით გვებრძვიან ის ბნელი ძალები, რომელნიც ჩვენს სამშობლოს ირგვლივ დაგროვილან – ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს გზას და ჩვენს ღირსებას არ უღალატებთ როგორც წარსულში, ისე დღეს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აქ განაცხადეს, ჩვენ არ მოვწონვართ ორჯონიკიძეს, და ეს იმიტომ, რომ რომ ჩვენ ვრჩებით თვალად მთელს ამიერკავკასიაში. და ასეთი მდგომარეობა, როგორც სჩანს, დიდხანს გაგრძელდება, იმიტომ რომ იმ გზას, იმ ხაზს, რომეზედაც ვდგევართ ისტორიული პერსპექსტივების მეოხებით, მომავალშიაც არ შევცვლით. არა ერთსა და ორს, იქიდან გამოსულს, აუჭრელებს თვალს ჩვენი დიდების გვირგვინი.

ჩვენს ისტორიულ ბედს ვერავინ შესცვლის ისე, როგორც მზის ამოსვლას აღმოსავლეთით, ვერავინ გააუქმებს იმ გარემოებას, რომ იალბუზის ყინვით ნაკვეთი თავი მომავალშიაც მზის სხივებს გაღიმებული შეხვდება და მისი ასხივოსნებული თავი ჩვენი დიდების გვირგვინად გაშლილი ამ ერთს და ორს მოშურნე მტერს აუჭრელებს თვალს, სიხარბით დამთვრალს, მის ფერდობებზე და კალთებზე კი ქართველი ერი მომავალშიაც განაგრძობს ეკონომიურ და პოლიტიკურ შემოქმედებას.

(ძლიერი და ხანგრძლივი ტაში ყველა ფრაქციებისა).

გაზ. „სახალხო საქმე“ № 1056. პარასკევი, თებერვლის 18.

***

ალექსანდრე ლომთათიძე: მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მე მგონია, რომ მტრის გული, ფიქრი, მიზანი მისი უკვე გატეხილია. მტერი – მუხანათი, დაუნდობელი მტერი დამოუკიდებელი თავისუფალ რესპუბლიკისა – უკვე მოხრილია წელში! ის გრიალი ზარბაზნებისა, კაკანი ტყვიამფრქვეველებისა, რომელიც გაისმის სადახლოს მიდამოებში, ის ვაჟკაცური არწივისებური ბრძოლა, რომელსაც ჩვენი თავისუფალი რესპუბლიკის თა-

ვდადებული მამულისშვილები აწარმოებდენ იქ. და მეორეს მხრივ, ერთსულოვნება, რომელიც გამოისახა, ჩამოყალიბდა აქ, ამ დიდ ტრიბუნაზე დღეს, – ეს თავზარდამცემია ჩვენი მტრისათვის.

მოქალაქენო, ნუ თუ დღეს მაინც მოიპოება ისეთი გულუბრყვილო ვინმე, ვისაც ჰგონია, რომ თავდადებული ბრძოლა დამოუკიდებელ საქართველოსი ეს არის ბრძოლა მარტო საკუთარი საქმისათვის?

ნუ თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს პატარა ქვეყანა გაცოფებული და თავდადებული ბრძოლით საკაცობრიო იდეას არ ემსახურება? მე მგონია, თუ აქამდეს იყო ასეთი ვინმე – დღეს უნდა დარწმუნდეს, რომ პატარა საქართველო საერთაშორისო, საისტორიო, საკაცობრიო საქმეს ემსახურება. ბოლშევიზმს საქართველოში უნდა ბაზა განიმტკიცოს, მას უნდა თავისუფალი, დემოკრატიული მომუშავე ხალხი საფლავში ჩაყაროს და ამ საფლავში უნდა მოუყაროს თავი ყველა საუკეთესო ძალებს, რომელნიც ამ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთს რასმესთვის იბრძოდნენ – თავისუფლების, დამოუკიდებლობის და ისეთი გზის გაკაფვისა, რომლის საშუალებით საკაცობრიო იდეალს მიახწევდა.

რაკი ეს ასეა, ნუ თუ მართლა განათლებული, მოწინავე ევროპა, ევროპის მოწინავე ხალხი, აზიის მოწინავე ხალხი, მოწინავე ხალხი ამერიკისა, ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება და თავისუფლების ნიადაგზე საკაცობრიო საბოლოო მიზნის მიხწევა, ნუ თუ ამას სათანადო ანგარიშს არ გაუწევენ?

მე მგონია, ბატონებო, და ვფიქრობ, რომ ეს იქნება აზრი მთელი დამფუძნებელი კრებისა, რომ ის ფაქტი, რომელიც დღეს არის აქ, ის მოვლენა, რომ მთელი მოწინავე ევროპის, მოწინავე აზრის ხალხთა წარმომადგენელი აქ მოსულან დღეს და დაესწრენ ამ ამბავს, ეს იმას ამტკიცებს, რომ ისიც სათანადო ანგარიშს უწევენ ჩვენ მდგომარეობას. თვით ეს ფაქტი აღნიშნავს იმას, რომ პატარა საქართველო მარტო არ არის ამ საქმეში. ჩვენ გვწამს და დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო სიტყვით, არა მარტო ზნეობრივად, არამედ ყოველგვარი, ყოველმხრივი დახმარება მთელი მოწინავე სახელმწიფოები ევროპისა და აზიისა, – ყველანი ჩვენთან იქნება, და ჩვენთან ერთად გააკეთებენ ამ საქმეს, რომელიც, ვიმეორებ, არის არა მარტო საქართველოს საქმე, არამედ მთელი კაცობრიობის საქმე.

ამიტომ, ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მივესალმო აქ მოსულ სტუმრებს და რწმენა გამოვთქვა, რომ მოწინავე ევროპა, ამერიკა და აზია გაეცნობა მათი საშუალებით ჩვენ მდგომარეობას. (ტაში).

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო, ამ დიად მომენტში მე არ შემიძლიან მას აქეთ რაც აქ ითქვა, რომ ფრონტზე იღვრება სისხლი და მოგხსენდათ თქვენ, რომ არიან დახოცილები, მე არ შემიძლიან, მოქალაქენო, არ გთხოვოთ თქვენ, ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ თავისუფალ სამშობლოსათვის დახოცილთ გმირთა საფლავს.

ნუ თუ გონიათ ჩვენ მტრებს, რომ ამ გმირებს და მათ წმიდა საფლავებს არ მიემატოს ასი და ათასი ჩვენი ვაჟკაცების სხეულები, თუ ამას მოითხოვს გაერთიანებული, მთლიანი და დამოუკიდებელი საქართველოს ბედი და იღბალი. (ტაში)

დე იცოდეს ყველამ, თუ დამოუკიდებელ საქართველოს უწერია ისეთი ბედი, რომ ცბიერმა მტერმა იმას საფლავი უნდა გაუთხაროს, არ დარჩება არც ერთი კაცი, რომელიც რითაც შეუძლიან არ გამოვიდეს ბრძოლის ველზე და შესძახოს ძველებურად, ვაშკაცურად, მამულიშვილურათ: „ჩვენ იმიტომ ვღვრით სისხლს, ვწირავთ უამრავ მსხვერპლს ჩვენს თავისუფლებას, რომ მუდამ მთლიანი ვიყოთ და დღესაც გვინდა მტლად დავედოთ ამ თავისუფლებას, მაგრამ მუხანათი მტერს არ გავაპარტახებინებთ ჩვენს სამშობლოს“.

ნება მიბოძეთ, ბატონებო, თქვენი სახელით უსურვო გამარჯვება და მხურვალე სალამი უძვირფასეს ვაჟკაცებს, რომელნიც სისხლს ღვრიან ბრძოლის ველზე დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

(ტაში, „ვაშა”).

ჩვენი მხურვალე სალამი ჩვენ ნორჩ ჯარსა და თავდადებულ გვარდიას! (ტაში.)

ნუ შეეშინდებათ, მედგრათ და მაგრათ იყონ ფრონტზე, მთელი დამფუძნებელი კრება და მთელი ერი თავის ძვირფას ვაჟკაცებთან, თავის შვილებთან არის დღეს და იქნება მუდამ, ჭირში და ლხინში. ძლევამოსილება მათ და გამარჯვებით დაბრუნება თავისუფალ სამშობლოში. (ტაში.)

მოქალაქენო და დამფუძნებელი კრების წევრებო, მე მინდა რომ ერთხელ კიდევ თქვენი სახელით, დამფუძნებელი კრების სახელით განვაცხადო, რომ გულში მოხვდეს ჩვენს მტერს, – აქ არიან ისინი, ჩვენს მიწა – წყალზე თუ სხვაგან, რომ დამოუკიდებელი საქართველო და თავისუფალი საქართველო იარსებებს, ის გაიმარჯვებს, ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს მთელ კაცობრიობას, თუ რა შესძლებია უდიდეს ძველ კულტურას და ამ კულტურასთან ერთად ახალ კულტურას, და ამ დიადი კულტურის დოვლათით გასხივოსნებულს გულსა და სულს. მე მგონია რომ საქართველო ამ სახელს დაიმსახურებს და მაშინ გაიმარჯვებს დამოუკიდებელი, მთლიანი საქართველო. გაიმარჯვებს ჩვენი შეიარაღებული ძალა, ჯარი და გვარდია! (ტაში).

არის, მოქალაქენო, წინადადება წარმოდგენილი შემდეგი შინაარსისა:

[დატოვებულია ცარიელად 2 სტრიქონი].

(ტაში.)

გახლავთ წინადადება, დაევალოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს მიმართოს „უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებს...

გიორგი გვაზავა: ერთა ლიგას!

არის ასეთი დამატება: „ერთა ლიგასაც“. წინააღმდეგი ხომ არ ბრძანდებით?

ხმები: არა!

[სტენოგრამის ტექსტი ამით წყდება].

***

ლეო შენგელაია: ბატონებო, როგორც მთავრობის თავმჯდომარის განცხადებიდან სჩანს, – ჩვენ უკვე ვიმყოფებით საომარ მდგომარეობაში.

წითელი სომხეთი ვერ ასცდა იმ გზას, რომელზედაც ადგა ძველი სომხეთი. ეს არის სადაო საკითხების იარაღით გადაჭრა. ეს არის გარეშე ძალებზე დაყრდნობა.

ის ამბები, რომელიც ბორჩალოში მოხდა ძლიერ წააგავს იმ ამბებს, რომელიც დილიჯანს დაატყდა თავს: ჯერ აჯანყებისა და ამბოხების მოწყობა და შემდეგ შეიარაღებულ ძალებით ჩარევა – ასეთი იყო და არის ის გზა და ის საშვალება, რომლითაც კომუნისტები ებრძვიან ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს.

მათ სურთ ამნაირათ შეიძინონ კაპიტალი და შეინარჩუნონ უმანკოება. ეს კაპიტალი არის საქართველო, ხოლო უმანკოება კი – ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. ამნაირად, იმ უამრავი ნოტების, რომელსაც მთავრობა ამ მოკლე ხანში ღებულობდა, მუზიკაც მოჰყვა და ეს არის ზარბაზნების გრიალი და სისხლიანი შეტაკება. ჩვენს წინაშე სდგას ისევ ძველი საკითხი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ. ჩვენ – საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერებს, და მე მგონია ყველა იმათ, ვინც სდგას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ნიადაგზე, ერთხელ და სამუდამოთ ეს საკითხი გადაჭრილი და გადაწყვეტილი აქვთ.

ჩვენ არ გვინდა არავისთან ომი – ჩვენ გვინდა ყველა ჩვენ მეზობლებთან გვქონდეს მეგობრული ურთიერთობა. ჩვენ, სოც.-რევოლიუციონერებს გვწამს ერთი ომი, ომი მიმართული ექსპლოატატორთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ. ეს არის კლასთა ბრძოლა.

ჩვენ არ გვწამს ომი ერებსა და სახელმწიფოთა შორის, ვინაიდგან ეს არის დემოკრატიის დამარცხება არა მარტო მაშინ, როდესაც ის მარცხდება ფრონტზე, არამედ მაშინაც, როდესაც ის იმარჯვებს იქ.

ამიტომ ჩვენ ვეუბნებით ჩვენ მეზობლებს და იმ ერებს, რომლებიც გარს გვარტყია: თუ გაქვთ რაიმე სადაო, მობრძანდით, იარაღი განზე იყოს, შევთანხმდეთ და თუ გამოდიხართ ხალხის ინტერესებიდან, ყოველთვის შეგვიძლია ვიპოვოთ საერთო ენა და ეს საკითხები გადავწყვიტოთ უიარაღოთ. და თუ მიუხედავად ამისა ჩვენი მეზობლები ჩვენს წინააღმდეგ მაინც წამოვლიან და დაემუქრებიან ჩვენს დამოუკიდებლობას, ერთად – ერთი პასუხი ეს იქნება: მთელი ჩვენი არსებით, მთელი ჩვენი ძალ – ღონით დავხვდეთ ასეთ მტერს და შესაფერი პასუხი გავცეთ! (ტაში.)

თქვენ ალბათ გახსოვთ, როცა ადერბეიჯანმა გამოაცხადა საბჭოთა მთავრობა, მისი პირველი ნაბიჯი იყო ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრება.

სომხეთმა კი, როგორც გაწითლება, ისე ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრე-

ბა დააგვიანა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც ადერბეიჯანის გზას დაადგა. ორივემ იციან, რომ ისინი ერთად და ცალ – ცალკე უძლური არიან ჩვენს წინააღმდეგ და ვერ შესძლებენ დაამხონ ჩვენი დამოუკიდებლობა . .

(ხმები: მართალია!)

მაგრამ მათ მაინც მოინდომეს ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც თითქოს მოწმობდეს, რომ დამოუკიდებელნი არიან. ჩვენ გვებადება ეჭვი, – მართლა ეს ადერბეიჯანი და სომხეთი იმიტომ ხომ არ არსებობენ დამოუკიდებლად, რომ ჩვენ გვებრძოლონ?

(ტაში, სიცილი.)

რა საბუთით მოდიან ჩვენს წინააღმდეგ? იმ საბუთით ხომ არა, რომ ჩვენ ერთხელ ერთად ვიყავით, მაგრამ ეს ხომ იქნებოდა უსაფუძვლო საბუთი?

განა გოლანდია და ბელგია ერთად არ იყვნენ, მაგრამ რომელ რიგიან კომუნისტს მოუვა აზრად, რომ ეს სახელმწიფონი შეერთდეს?

განა ინგლისი და შეერთებული შტატები შეერთებული არ იყვნენ, მაგრამ რომელ რიგიან კომუნისტს მოუვა თავში, რომ ეს სახელმწიფონი შეერთდნენ?

განა მთელი ბალკანეთი ოსმალეთის ხელში არ იყო, მაგრამ რომელ რიგიან კომუნისტს მოუვა აზრათ, რომ ისინი ოსმალეთს დაუბრუნდნენ?

ჩვენ ამ დღეებში ანტანტამ გვიცნო და შესაძლებელია ეს საბჭოთა რესპუბლიკები ჩვენ წინააღმდეგ მოდიან სწორედ ანტანტის ჯიბრზე? მაგრამ ეს ხომ იქნებოდა სრულიად უგუნურება, ვინაიდგან გაცილებით ადრე, ვინემ ანტანტამ ჩვენი დამოუკიდებლობა „ფაქტიური“ და „იურიდიული“ აღიარა, რუსეთმა [აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა „ფაქტიური“ და „იურიდიული“].

საბჭოთა რუსეთი ცდილობს დაუახლოვდეს ევროპას.

მაშ რაღა დარჩა?

მათი ერთად – ერთი საბუთი – მგლის საბუთი, რომელიც ამბობს: „შენი შეჭმა მსურს და ეს არის საკმარისი საბუთიო“. და რაკი ეს ასეა, აქ ყოყმანი ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ, როგორც ერთი კაცი, დავირაზმებით ჩვენი დამოუკიდებლობის სადარაჯოზე და მე მწამს, ჩვენ გავიმარჯვებთ ისე, როგორც არა ერთხელ გაგვიმარჯვნია!

(ტაში.)

ჩემის აზრით მომენტის სირთულე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩვენ წინააღმდეგ არი ძლიერი სახელმწიფოები, არამედ იმაში, რომ ჩვენი მტრები ვერ ინელებენ ჩვენ დამოუკიდებლობას და ამავე დროს თითქოს მოკავშირენიც არიან ოსმალეთის და რუსეთის. მაგრამ რუსეთი და ოსმალეთი, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს წინააღმდეგ არ მოდიან...

(სპირიდონ კედია: დიდი განსხვავებაა მათ შორის.)

და უდიდესი გამარჯვება ის არის, როდესაც მტერს მოყვრად გადააქცევ და მინდა ეს მოხდეს.

აქ თქვეს, რომ ასეთ მომენტში საჭირო არ არის პარტიული უთანხმოება. მე სავსებით ამას ვერ გავიზიარებ, იმიტომ რომ მიყვარს თავისუფალი

დამოუკიდებელი საქართველო. და რომ მოისპოს ეს პარტიული ბრძოლა, ეს იქნება საქართველოს დასახიჩრება, ეს იქნება იგივე რომ ვსთქვათ, რომ ეპიდემიის დროს ექიმები არ უნდა იყვნენ. ჩვენ ვამბობთ რომ სწორედ ასეთ მდგომარეობაში რაც მეტი ექიმი იქნება, მით უკეთესი.

ჩვენი მდგომარეობა მით განსხვავდება ექიმებისაგან, რომ საქმე გვაქვს ჯანსაღ საერთო ორგანიზმთან, რომელიც არის საქართველო.

ამბობენ, რომ ყველა გზები რომში მიდის და ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა ჩვენი პარტიების გზა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ მიდის.

ამ ფარგლებში არამც თუ შესაძლებლად და აუცილებლად მიგვაჩნია ყოველგვარი კრიტიკა. ჩვენი ცხოვრება მოწესრიგებული არ არის, ჩვენთვის მიუღებელია ეს პრაქტიკა და პოლიტიკა და პრინციპიალური გზა, რომელსაც ადგია მმართველი პარტია, მაგრამ იმდენად ძლიერია ჩვენი საყვარელი თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოსადმი, რომ ჩვენ უდიდეს შეცდომათ მიგვაჩნია, რომ ხეებს იქით ტყე არ დაგვენახა, ეს „ტყე“ არის საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი საერთო ძალღონით და ბრძოლით.

აქ ბევრი ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა და ჩვენსასაც არავის დავუთმობთ. მაგრამ თუ არ მოგვეშვებიან და დაგვესხმებიან თავს, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ და დავიცავთ ჩვენ თავისუფლებას. შეიძლება დავიხოცოთ, მაგრამ უკანასკნელი ჩვენი სიტყვა იქნება, ჩვენ მივმართავთ ჩვენი თავისუფლების დროშას და ვიტყვით „Noli turbare circulos meos!“ *

(ტაში.)

ვიქტორ თევზაია: ბატონებო, ერევნის გაკომუნისტებურ მთავრობას შეშურდა, რომ მის გვერდით არსებობს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც მოუგვარებია თავისი შინაური საქმეები, მოუწესრიგებია თავისი საერთაშორისო მდგომარეობა და კულტურულ განვითარების გზას დასდგომია. ეს შური ამ მთავრობამ მიიღო თავის წინაპრებისგან. ის ხალხი ვერ ითმენს მის გვერდით წარმატებას და აყვავებას და ამბობს: „მე თუ არ ვარ, სხვაც ნუ იქნებაო“. მაგრამ თავისი სუსტი ძალღონით ის ვერ შესძლებდა ამ ვერაგულ გამოსვლას რესპუბლიკის წინააღმდეგ და იმან პოვა მოკავშირე ბაქოში მოკალათებულ ავანტიურისტებს შორის. ბაქო, რასაკვირველია, არ არის ადერბეიჯანი, ადერბეიჯანის ხალხი გრძნობს იმ მდგომარეობას, რომელშიც ის ჩაყენებულია ...

(ვალიკო ჯუღელი: მართალია!)

...და ეს ხალხი თითონ უდიდეს გაჭირვებაში მყოფი, თავისუფლება აყრილი, ამ ბრძოლაში იქნება იმათ მხარეზე, ვინც იცავს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას!

* ლათინური გამოთქმა, შეიძლება ითარგმნოს როგორც „ნუ შემოიჭრები ჩემს ფარგლებში“. (Do not disturb my circles). (შემდგენელი).

(ტაში.)

(გრიგოლ ვეშაპელი: დაღესტანშიაც!)

მართალია, ქართულ რესპუბლიკას თან ახლდა ერთი ზნე – ჩვეულება, ის არავის არასოდეს არ უცხადებდა ომს, და სხვისი დანგრევას არასოდეს არ სცდილობდა, მაგრამ არის ხალხი, ჯგუფები, რომლებიც ვერ ურიგდებიან ასეთ კეთილშობილურ აზრს და ზრახვებს! ნება მომეცით აქ წავიკითხო ერთი დოკუმენტი: 24 იანვარს ბაქოს კომუნისტურ პარტიას გამოუტანია შემდეგი დადგენილება, ბატონ ორჯონიკიძის მოხსენებით . . .

(ხმები: მოღალატეებია!)

[დატოვებულია 5-6 სტრიქონი ცარიელი, ამ ტექსტის ჩასაწერად].

ასეთია, ბატონებო, ეს დამხმარე ძალები, რომლითაც სარგებლობს დღეს თითონ დაბეჩავებული და თავისი ქვეყნის გამანადგურებელი ერევნის ეგრედ წოდებული კომუნისტური მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკას არასოდეს აზრათ არ ქონია უცხო ქვეყანაში წასულიყო მის დასაბყრობად, ამ ვაჟბატონებს კი მიზნად დაუსახავთ ჩაერიონ ამ ქვეყნის საქმეში, სადაც ოდნავ წესრიგი და ოდნავ თავისუფლება მაინც არსებობს.

(ხმები: მართალია!)

ადერბეიჯანის კომუნისტებს ჰგონიათ, რომ იმათ იპოვეს დამხმარე და როგორც მოგეხსენებათ, ესენი არიან ბაქოში მოკალათებული კომუნისტები, მაგრამ ნურავის ნუ გონია, რომ საქართველოს რესპუბლიკა დღეს მარტო არის და თუ ამას ფიქრობენ, სასტიკად სცდებიან!

(ხმები: მართალია!)

ამ კეთილშობილურ რაინდულ ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად და თავისუფლების შესანარჩუნებლად საქართველოს მხარეზე იქნება ევროპის მოწინავე დემოკრატია.

(ტაში.)

(გრიგოლ ვეშაპელი: აზიაც!)

ჩვენთან იქნება თავისუფალი მებრძოლი ერები, რომელთაც იციან რომ საქართველოს ბედი ამ შემთხვევაში არის მათი ბედი. ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ ამ ბრძოლაში ისინი თანაგრძნობას და დახმარებას გამოუცხადებენ.

(ტაში, ხმები: მართალია!)

ერევანის და ბაქოს ჯგუფს გონიათ, რომ საქართველოს რესპუბლიკას, ისინი ფიქრობენ, რომ შესძლებენ დაშალონ და დაარღვიონ მთლიანი დემოკრატიული ფრონტი. ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ საქართველოს რესპუბლიკა, დემოკრატია, საქართველოს მთელი ერი დღეს უაღრესად გაერთიანებულია ერთი აზრით, ერთი ნებით გამსჭვალულია. ეს არის დამცემის უკუგდება და მისი ერთხელ და სამუდამოდ განადგურება.

(ტაში.)

დადგა დრო მოქმედებისა და ამ მოქმედების დროს გაერთიანებული, მთლიანი საქართველო ზურგს გაუმაგრებს ბრძოლაში გაკაჟებულ ჯარს

და გვარდიას. ხოლო ჯარი და გვარდია ამ ბრძოლაში განაგრძობენ თავისი დიად წარსულს და ჩვეულებრივ გმირულად შეასრულებენ თავის მოვალეობას რესპუბლიკის და ერის წინაშე.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მთელ ქართველ ერთან ერთად სავსებით დარწმუნებულია ჩვენს გამარჯვებაში. ამაში ძლიერ ჩქარა დარწმუნდებიან ჩვენი მტრებიც, სადაც არ უნდა მოქმედებდნენ ისინი, თუნდაც თბილისში.

ჩვენი ფრაქცია სავსებით იზიარებს მთავრობის განცხადებას და დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის მთავრობა მტკიცე ხელით და ურყევი ნებით დაიცავს ახალგაზრდა რესპუბლიკის ბედს, ფრაქცია უცხადებს ნდობას და აღუთქვამს განუსაზღვრელ დახმარებას. (ტაში.)

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 298-305.

***

გარეგინ ტერ სტეფანიანი: მთავრობის ბატონ თავმჯდომარის მიერ მოხსენიებულ სიტყვიდან მოვისმინეთ, რომ ბორჩალოს მაზრაში, ეგრედ წოდებულ ნეიტრალურ ზონაში მომხდარა შეტაკება საქართველოს და საბჭოთა სომხეთის ჯარებს შორის. მე არ ვიცი, თუ რას მოელიან ისინი, როცა ომს სტეხენ...

(ჩხიკვიშვილი: ჩვენ ვიცით).

...მე ერთი რამ მაგონდება, როცა რამდენიმე თვის წინათ სომხეთში დაარსდა რევკომები, მათ პროტესტი გამოაცხადეს და მოითხოვეს, რომ გაყვანილ ყოფილიყვნენ ის ჯარები, რომელნიც შევიდენ ნეიტრალურ ზონაში იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც იყო საქართველოსა და სომხეთს შორის დადებული.

შემდეგ გავიდა რამდენიმე დრო, არ მახსოვს, რომ რაიმე ნაბიჯი გადაედგას სომხეთის მთავრობას და თორმეტ ამ თვეს უნდა შესრულებულიყო ვადა, ხოლო თერთმეტში კი ხდება ეს შეტაკება.

მე არ ვიცი, თუ სომხეთის გლეხობას, მშრომელ ხალხს უნდა აჯანყება, მაგრამ მე ერთი რამ ვიცი, რომ მშრომელი ხალხი – და უფრო გლეხობა – აჯანყებას ვერ მოახერხებს, თუ არ იქნება ამის უფრო ღრმა მიზეზები. ეს არის ის, რომ ჩვენ გვაფიქრებიებს...

ჩვენი პარტია კვლავ, როგორც პარლამენტში მომხრე ყოფილა, რომ ყველა საკითხი, სადაო საკითხი გამორკვეულიყოს კონფერენციის საშვალებით

და არა იარაღის ძალით. იარაღის ძალით ასეთი საკითხები არ გადაწყდა არც ზანგეზურში, არც ყარაბახში და არც სოჭში.

რა არის ამის მიზეზები?

მე ამას არ ვიტყვი, მაგრამ ეს მიზეზები ყველამ იცით. ჩვენ მომხრე ვართ დავეხმაროთ მთავრობას იმ საკითხებში, სადაც შეიძლება გადაწყვეტა კონფერენციის გზით და თუ არ შეიძლება, მაშინ ჩვენი პარტია, როგორც ყოველთვის, თქვენთან იქნება და დახმარებას აღმოგიჩენთ!

(ტაში.)

(მაჭავარიანი: საქმით დაამტკიცეთ, საქმით...)

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ. 306.

***

მუხრან ხოჭოლავა: ბატონებო, მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. მას შემდეგ, რაც სომხებს და მის ხალხს დაეპატრონენ ძველი ცნობიული ჟანდარმი, მხოლოდ წითელი ფერით შეღებილი, ჩვენ ყოველ დღე, ყოველ საათს გვიმზადდებოდა ღალატი და პროვოკაცია. განმეორდა, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ სთქვა ძველი ისტორია, განმეორდა სოჭის ეპოპეია, მაგრამ ის ჟანდარმი მოგვევლინა ნამდვილი თავისი სახით, უნიღბოთ, იქ ჟანდარმი იყო ძველი ტანისამოსით. იქაც მოხალისეთა ჯარმა გაითამაშა ის საზიზღარი ფარსი, რომელსაც, ვითომ და მცხოვრებთა აჯანყება ეწოდება, იქაც მან დაიყოლია სომხის ერთი ნაწილი, მოწამლული და მოშხამული შოვინისტური აგიტაციით, კლერიკალური აზრით. აქაც ჟანდარმი ფარსს იმეორებს თურმე, ფერი ვერ შესცვლის ჟანდარმის ბუნებას, მაგრამ იქ სოჭის ფრონტზე დროებით მაინ[ც] მოხალისეთა რაზმი დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას. ეს იმიტომ, რომ იქ ჩვენს ბრძოლაში ჩაერია მესამე ძალა, გადაეღობა ქართველის მეომარ ძალას. მაშინ ჩვენ, სამწუხაროდ, დავუჯერეთ ამ ძალის რჩევას და იქიდან წინასწარ გავიყვანეთ ჩვენი ჯარი.

სწორეთ თებერვლის ბოლოს, დილის 3-4 საათზე, მოღალატეთა შავი ლაშქარი დაეცა ჩვენს ჯარს და რამდენიმე დარაჯს ყელი გამოსჭრა, შემდეგ მოახდინა ის ფარსი, რომელსაც აჯანყება ეწოდება, მაგრამ აქ რის იმედი უნდა ქონდეს მტერს, რომელიც ასეთ კომედიას იმეორებს. ნუთუ თავხედი მტერი ფიქრობს, რომ ქართველ ხალხს შეაჩერებს შინაური თავხედობა აზრთა სხვადასხვაობას ფრონტში და მის საქმეში...

(მაჭავარიანი: არასოდეს!)

ნუ თუ ეს ხალხი ფიქრობს, რომ მთელი ერი ვერ გადაიქცევა ამ სასტიკ ბრძოლის დროს ერთ კაცათ? (ტაში).

ჩვენი საზოგადოება, რთული და დიდი ისტორიის მქონე, არ არის ისეთი პრიმიტიული, პირველყოფილი, როდესაც არ არის აზრთა სხვადასხვაობა, დიფერენციაცია. მაგრამ ყოველი აზრის, ყოველი შეხედულება მიტანილ იქნება თავდაცვის სამსხვერპლოზე, ეს უნდა იცოდეს მტერმა. და ჩვენ, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან ერთად ის დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელიც ცალკე არსებობს, ახლა, როდესაც შეიძლება ბევრი რამ ჰქონდეს სათქმელი, მაგრამ ამ მომენტში, როდესაც დასმული არის საქართველოს ბედი ჩვენ ერთი პარტია ვართ ყველანი საქართველოში და ჩვენ მთავრობასთან ერთათ გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი ჯარი, ჩვენი გვარდია, შეასრულებს თავის საისტორიო საგმირო საქმეს და ის გამარჯვებული დაბრუნდება.

მაგრამ ჩვენ გახლავართ სოციალისტები და ჩვენ არ შეგვიძლიან ამ რწმენასთან ერთად არ გამოვსთქვათ ერთი იმედი, ერთი სურვილი, რომ ეს ბრძოლა, ეს სისხლის ღვრა იქნება უკანასკნელი რომელშიაც მოინათლება თვით სომხეთის ხალხი, ეს გათვითცნობიერდება და შეიგნებს, რომ ზურგი უნდა შეაქციოს და გაასამართლოს ის ჯგუფი, რომელიც მას უთხრის ძირს, ის ხალხი, რომელიც თავზე ახვევს ამ უბედურებას. (ტაში).

იქნება სომხეთის დემოკრატია ამ ომში მაინც, – როდესაც შეჩერდება ზარბაზნების ქუხილი – ამ ცეცხლში მოინათლება და დარწმუნდება, [რომ] მისი გზა, მისი კულტურა, მისი განვითარება, მისი სახელმწიფოებრივად მისი განმტკიცება შეიძლება არა შურის ძიებით, არა მოღალატეობით, არამედ სოლიდარობით და მტკიცე, ძმური კავშირით.

ამ იმედით და ამ რწმენით ვტოვებ მე ამ ტრიბუნას! (ტაში).

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 736. ფ.ფ. 307-308.

დამფუძნებელი კრების მთავრობის, პრეზიდიუმისა და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომის ჟურნალი.

1921 წ. თებერვლის 16. სასწრაფო, ღამის 12 საათი.

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, მისი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, დამფუძნებელი კრების მდივანი კონსტანტინე ჯაფარიძე, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული;

დაესწრნენ: ნოე ჟორდანია და კონსტანტინე კანდელაკი, იოსებ სალაყაია; ფრაქციების წარმომადგენლები ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, ივანე ლორთქიფანიძე, კირილე ნინიძე, პავლე საყვარელიძე და გიორგი ლასხიშვილი.

თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე;

მდივნობდა ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე ჯერ – ჯერობით დაიგვიანებს, თათბირი გახსნილია და სთხოვს გენერალ – გუბერნატორს ბატონ ჩხიკვიშვილს თათბირს მოახსენოს მთავრობის თავმჯდომარის დავალება

ბენია ჩხიკვიშვილი თათბირს მოახსენებს, რომ მას დავალებული აქვს მთავრობის თავმჯდომარის მიერ გადასცეს ამ თათბირს სამწუხარო ცნობა, რომ ქალაქი ტფილისი ამაღამვე დაცლილი უნდა იქნეს, ვინაიდან მტერი დილით უნდა შემოიჭრეს ქალაქში. დამფუძნებელი კრების წევრთა გასაყვანათ და სახელმწიფო ქონების გატანისათვის სადგურზე უკვე დგას მატარებელი და საჭიროა ახლავე შეუდგეთ ევაკუაციას,

შალვა ქარუმიძე წინააღმდეგია დამფუძნებელი კრების წევრთა გასვლისა ქ. ტფილისიდან, ის წინადადებას იძლევა დეპუტატები აქვე დარჩნენ და მტერს ჯარის კაცებთან ერთად ებრძოლონ და დედაქალაქი უბრძოლველად არ დაუთმონ შემოსულ მტერს. ყოველ შემთხვევაში ის აქვე დარჩება და ბრძოლას განაგრძობს.

ბიქტორ თევზაია: რადგან ტფილისის დატოვებით ბრძოლა არ თავდება, არამედ იწყება და დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს მტერზე გავიმარჯვებთ – ის მომხრეა მოხდეს დამფუძნებელი კრების გახიზვნისა და იქიდან ხელი შეეწყოს ბრძოლის წარმოებას.

გრიგოლ ვეშაპელი ეთანხმება ბიქტორ თევზაიას.

ამ დროს დარბაზში შემოდის ვალიკო ჯუღელი და თათბირს მოახსენებს, რომ მტერი მოდის ტფილისზე, ვინაიდან ჩვენი ჯარი განადგურებულია; მაგრამ იმედია, რომ ხვალ მაინც სარდალი შეძლებს მტერი ტფილისიდან შეაჩეროს და ევაკუაცია მოხდეს სახელმწიფო ქონებისა.

სამსონ დადიანი: ვალიკო ჯუღელის მოხსენების შემდეგ მდგომარეობა უკეთესად იხატება. თუ შესაძლოა მტერი ხვალ არ იქნეს შემოშვებული ქ. ტფილისს, დეპუტატებმა ეხლავე მიიღონ ყოველი ზომა ჯარის მოსაგვარებლად.

ამ დროს დარბაზში შემოდის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომელიც საომარი მდგომარეობის შესახებ ისეთივე მოხსენებას აკეთებს, როგორც ვალიკო ჯუღელი.

თავმჯდომარე მიმართავს დამსწრე დეპუტატებს და სთხოვს მათ ქალაქ ტფილისიდან დამფუძნებელი კრება არ იქნეს გადატანილი და ზომები იქნეს ორი-სამი ათასი მეომარი. თვით დეპუტატები კი წავიდნენ ჯარში მეომართა გასამხნევებლად.

ამის შემდეგ კამათი სწყდება.

დადგენილება:

I) ომის საწარმოებელ ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად ეხლავე გაიგზავნონ

1. კახეთს – ან. ჭიაბრიშვილი, სანდრო ახმეტელაშვილი და გაბრიელ ცისკარიშვილი;

2. ფშავეთში – შალვა ქარუმიძე.

2) ამაღამვე შეგროვილი იქნეს ორი – სამი ათასი ჯარის კაცი ქალაქ ტფილისში და მოყვანილი მთავარსარდლის განკარგულებაში.

3) მოქმედ ჯარში გაიგზავნონ:

1. ივანე ლორთქიფანიძე,
2. იოსებ მაჭავარიანი,
3. ნიკოლოზ იმნაიშვილი და
4. სამსონ დადიანი.

4) დაარსდეს მოხალისეთა სამობილიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ალექსანდრე ლომთათიძე,
2. სპირიდონ კედია,
3. ილია ნუცუბიძე
4. გრიგოლ რცხილაძე,

რომელთაც მჭიდრო კავშირი ექნება გენერალურ შტაბთან და რომელმაც მოხალისენი მთავარი სარდლის განკარგულებაში უნდა გადაგზავნოს.

თავმჯდომარე [ხელმოწერის გარეშე];
მდივანი [ხელმოწერის გარეშე];
კანცელარიის გამგის ამხანაგი [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ.ფ. 47-48.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მთავრობისა და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა

სხდომის ჟურნალი

1921 წ. ოთხშაბათი, თებერვლის 16

დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, დამფუძნებელი კრების მდივანი, მისი ამხანაგი ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარეობდა: ალექსანდრე ლომთათიძე.

მდივნობდა: ქრისტინე შარაშიძის ასული.

თავმჯდომარე თათბირს გახსნილად აცხადებს და სიტყვას მთავრობის თავმჯდომარეს ბატონს ნოე ჟორდანიას აძლევს.

ნოე ჟორდანია სთხოვს მთავრობას მიენიჭოს ესეიგი ერთი საგანგებო ფუნქციები, რაც დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის და რაც საჭიროა შემოსულ მეთაურთაგან რესპუბლიკის დასაცავად მთავრობას ექნეს.

მთავრობა ფიქრობს, რომ მოსალოდნელ შემოტევაში საჭირო იქნება ქ. ტფილისის დაცლა, რადგან უფრო ხელსაყრელი სტრატეგიული ადგილები ქ. ტფილისის დასავლეთით მდებარეობს და ცოცხალ ძალთა შესანახად იქნებ საჭირო დარჩეს გენერალური ბრძოლა მცხეთის აღმოსავლეთით გადავიტანოთ. ამ შემთხვევაში ქ. ტფილისიდან გამოტანილი უნდა იქნეს რესპუბლიკის საგანძური.

თავმჯდომარე: რაც შეეხება მთავრობის ზოგიერთი ამ უფლებებით აღჭურვას, რომლებიც დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის, მის შესახებ შეგვიძლია ხვალვე მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრება და ის გადასწყვეტს.

ამ თათბირზე შეიძლება ვითათბიროთ ქ. ტფლისიდან სახელმწიფო საგანძურის გატანისათვის და შესაძლებელი შემთხვევისათვის თვით დამფუძნებელი კრების გადატანის შესახებაც.

სპირიდონ კედია: მთავრობას, ეჭვს გარეშეა, უნდა მიენიჭოს იმ ზომების მიღების უფლება, რომლებიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის დასაცავად. მას საკონსტიტუციო კანონების შეჩერების უფლებების უნდა ექნეს.

ხოლო, რაც შეეხება დამფუძნებელ კრებას [ტექსტი ამით წყდება].

[ხელმოწერების გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1377. ფ. 49.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა №

1921 წლის თებერვლის 16

დამფუძნებელი კრების დადგენილება.

მოისმინა რა განცხადება მთავრობის თავმჯდომარის საბჭოთა სომხეთის ვერაგული თავდასხმის შესახებ, დამფუძნებელი კრება საქართველოს სუვერენული ერის სახელით აღშფოთებას გამოსთქვამს სომხეთის საბჭოთა რუსეთის მიერ საერთაშორისო უფლების ელემენტარული ნორმების ფეხქვეშ გათელვის გამო.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა სომხეთის ამ მუხანათურ თავდასხმაში უმთავრეს ძალას წარმოადგენს ბაქოდან გამოსული რუსთა მხედრობა, რომელიც იმპერიალისტურ ძალათ მოევლინა ამიერ კავკასიას.

დამფუძნებელი კრება სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ რესპუბლიკს დასაცავათ და მისი თავისუფლების უზრუნველსაყოფად მიღებულ ზომებს.

დამფუძნებელი კრება აცხადებს, რომ სრულიად საქართველოს ერი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება შემოსეულ მტერთა მოსაგერიებლად.

დამფუძნებელი კრება მხურვალე სალამს უძღვნის რესპუბლიკის ჯარსა და გვარდიას, დარწმუნებულია, რომ საქართველოს ერთგულნი და მამაცნი შვილნი დაიცავენ სამშობლოს მიწა წყალს და სრულ გამარჯვებას მიანიჭებენ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 37. 17 თებერვალი, 1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეცხრამეტე (99)

ორშაბათს, 1921 წლის თებერვლის 21. საღამოს 4 საათი

დღიური წესრიგი:

განგრძობა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე 4 კვირა მუხლობრივი განხილვისა.

კომისია და მომხსენებელი: საკონ[სტიტუციო კომისია], სერგო ჯაფარიძე.

მუხლობრივი განხილვა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის:

5 თავისა (აღმასრულებელი ხელისუფლება) – სიმონ ჯაფარიძე;
6 თავისა (სასამართლო) – სიმონ ჯაფარიძე;
7 თავისა (სახელმწიფო ფინანსები) – ივანე გომართელი;
8 თავისა (კონტროლი) – გიორგი გვაზავა;
9 თავისა (სახეკმწიფო თავდაცვა) – სპირიდონ კედია;
10 თავისა (ადგილობრივი თვითმართველობა) – მელიტონ რუსია;
11 თავისა (ავტონომიური მმართველობა) – ლეო ნათაძე;
12 თავისა ((სწავლა – განათლება და სკოლა) – ლეო ნათაძე;
13 თავისა (სოციალ – ეკონომიური უფლება) – რაჟდენ არსენიძე;
14 თავისა (ეროვნულ უმცირესობათა უფლება) – ლეო ნათაძე;
15 თავისა (სახელმწიფო მოხელენი) – რაჟდენ არსენიძე;
16 თავისა (სახელმწიფო და ეკლესია) – მელიტონ რუსია;
17 თავისა (კონსტიტუციის გადასინჯვა) – პავლე საყვარელიძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1 . საქმე № 715. ფ. 157.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეცხრამეტე (99)

ორშაბათი, 1921 წ. თებერვლის 21. სასახლე

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა, წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 21 თებერვლის სხდომაზე

მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლას დამფუძნებელი კრება დიდის ოვაციით და ტაშის ცემით ხვდება.

ნოე ჟორდანია: მოქალაქენო! ახლა თავიდან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზები და აგრეთვე ის, თუ რა მსვლელობას მიიღებს ეს ომი ახლო მომავალში.

ირკვევა ის, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხანია ჰქონია განზრახვა, რომ საქართველოში მოხდეს გადატრიალება და საბჭოთა მთავრობა იქნეს გამოცხადებული, მაგრამ ისინი ამას აქამდის ვერ ანხორციელებდენ იმიტომ, რომ არ ჰქონდათ ერთნაირი საკმაო საბაბი.

მხოლოდ ახლა, ამ ათი დღის წინად მათ იშოვეს ეს საბაბი ლორის ოლქში.

იქ მათ მოაწყვეს ჩუმი შეთქმულება, დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ. იქ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა, და აი, ვითომ იმათ მოსახმარებლათ მოდის რუსეთის ჯარი. სწორეთ 15 ამა თვეს გამოიცა ბრძანება აზერბეიჯანში და სომხეთში მყოფ საბჭოთა ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ტყვეებისაგან. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია აღება თფილისისა და მოხდენა საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანისა. იქ არის აღნუსხული, თუ რომელმა ჯარმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა აიღოს ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი: დაბოლოს დაასკვნის ასე, რომ 19 თებერვალს უნდა ავიღოთ თფილისიო.

პირველი შემოტევა იმ ჯარისა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური. და აი, ამ უეცარმა, მოულოდნელმა შემოტევამ ჩვენი ჯარის მდგომარეობა შეარყია იქ, სადაც ეს ჯარი იდგა, შეარყია იმდენათ რომ ეს იყო მომენტი, როცა იმ ჯარებს, რომელიც გვყავდა საზღვრებზე

ბორჩალოს მაზრაში სრულიად არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროთ, უნდა ითქვას, რომ როგორ ჯარმა, ისე ჩვენმა ხალხმა ჩქარა შეიგნო მდგომარეობა, გამოსწორდა და უკვე დროზე ჩაება ომის ორგანიზაციულ მუშაობაში. ეს სწრაფი გამოსწორება მდგომარეობისა, ეს ხელ ახლა თავის მოყრა იმ ჯარებისა, რომელიც დამარცხებული იყო. ეს სწრაფად მოკრეფა და სწრაფად შეკავშირება არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ კიდევ აქა ვართ დღეს.

ჩვენ ვიხევდით უკან.

ეს დავიწყეთ ლორიდან; როდესაც შევატყეთ, რომ ამ მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენი ჩვენი ჯარი შეარყია ერთის მხრით, და მეორეს მხრით, თუ ადერბეიჯანი დაგვესხმოდა თავს, ჩვენი მიზანი იყო ეს შერყეული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან უკან გამოგვიყვანა და საუკეთესო პოზიციები დაგვეკავებინა. ამიტომ უკან დავიხიეთ, დახევა მოხდა ალაგ-ალაგ მწყობრად, ალაგ-ალაგ კი არ იყო წარმოებული მწყობრად – როგორც ეს შეეფერება დახეულ ჯარს. მაგრამ საერთოდ, თითქმის დიდი ნაწილი ჯარისა, რომელიც იქ იყო, წამოვიდა მწყობრად თუ ცალ-ცალკე გამოვიდა.

ის ხალხი, რომელიც გამოვიდა, მოღლილი იყო, მაგრამ საბოლოოდ გატეხილი – არა. მოღლილი იყო და საჭიროებდა მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენებას, რომ ისეთივე ჯარის კაცებათ გამხდარიყვნენ, როგორც ახლად გამოსული მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვიხილეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ის არის, რომ თუმცა ასეთი უეცარი თავდასხმა მოხდა, უეცარი გამოსვლა, მაგრამ დეზერტირობა არ ყოფილა.

ამნაირად, ამ დროს განმავლობაში ჩვენ შევძელით ის, რომ მტრის წინააღმდეგ გამოგვეყვანა საუკეთესო გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გაჟღენთილი ჯარი.

პირველი გენერალური ბრძოლა, რომელიც ჩვენ მივეცით საბჭოთა ჯარებს, ეს იყო ღამით 19 [თებერვალ]ს. ამ დრომდე ჩვენ მათთვის არასოდეს გენერალური ბრძოლა არ მიგვიცია და არც მათ მოუციათ ჩვენთვის.

ბრძოლა წარმოებდა დიდ ფრონტზე, დაახლოვებით 100 ვერსამდე. ამ ფრონტს ჰქონდა სამი ადგილი: ფრთა მარჯვენა, მარცხენა და ცენტრი. 18 და 19 [თებერვალს] ღამით მოხდა ამ ფრონტის, ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ შემოტევა მთელ ამ მანძილზე თქვენ გახსოვთ ეს დიდებული ომი.

19 [თებერვალს] დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით გარღვევა მტრის ცენტრისა და იქ იგემა მტერმა სრული დამარცხება.

შემდეგ 19 [თებერვალს] დღით, მოხდა ბრძოლა ჩვენ მარცხენა ფრთაზე.

იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერი იყო მეტად წინ წამოსული, – მოსული მარტყობში (!), ლილოში და აქ 19 [თებერვალ]ს დღით მოხდა ჩვენი შეტაკება მტერთან და მტერს დავახევინეთ და გადავრეკეთ ყარაიაზისაკენ. მხოლოდ დღეს, 21 – [თებერვალ]ს და წუხელ მოხდა დიდი შეტაკება მარჯვენა ფრთაზე. ამ მემარჯვენე ფრთის ბრძოლა თითქმის ისეთივე იყო, როგორც ცენტრში.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს მეტად მედგრათ, მაგრათ და იჩენს დიდ დისციპლინას. წუხელ ჩვენს ჯარებს, რომელნიც დაბანაკებულნი იყვნენ კოჯორის მიდამოებში, თავს დაესხნენ და მოინდომეს ერთი ადგილის, რომელიც, ასე ვთქვათ, ღიად იყო დარჩენილი, გარღვევა. აქ მათ შეხვდნენ იუნკერები და თქვენ გეხსომებათ, რომ აქ გაიმართა დიდი ბრძოლა. იქ იყო ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გრანატებით და ხიშტებით ისე, რომ ასე ახლოს ჩვენ და ისინი ერთმანეთთან არ მივსულვართ ამ ბრძოლაში. მაგრამ იქაც ისინი სასტიკად დამარცხებულნი იქნენ.

(მხურვალე ტაში, ხმები: „ვაშა“!)

იქ, იმ მიდამოებში მტერს ეჭირა ბევრი მაღლობი ადგილები. ზოგი ისეთი მაღლობი ადგილი ეჭირა, რომ იქ რომ დაედგათ ზარბაზნებს, აქ თფილისს თითქმის გაანადგურებდა.

ჩვენ გუშინ მივიღეთ ზომები, რომ ეს მალღობი ადგილები მათთვის წაგვერთმია. ეს იყო პირველი ნაბიჯი ჩვენი გამარჯვებისა და უნდა ვთქვათ, რომ ისეთი მიუვალი ადგილები, ისეთი მთები, სადაც მტერი იდგა და გამაგრებული იყო, ჩვენმა გვარდიის ნაწილებმა აიღეს გუშინ შეტევით ისე, რომ არც ერთი კაცი არ დაუკარგნიათ.

(ხმები: „გაუმარჯოს“ და ხანგრძლივი ტაში.)

ამ ომში გამოირკვა ერთი რამ, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას, თითონ მაგრად მოდის, მაგრამ როცა შეუტევ, ვერ სძლებს. თორემ ამგვარად შეუძლებელი იქნებოდა მაღლობი ადგილების დატოვება, რომ ჰქონდეთ უნარი შეტევის გაძლების.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია იჩენს სამაგალითო მხნეობას...

(აქ კრება ფეხზე ადგომით, „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ძახილით ესალმება ჯარსა და გვარდიას).

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, იფეთქა ჩვენი ძველი წინაპრების სისხლმა.

(ძახილი: „ვაშა“ და გაუმარჯოს“ და ტაში.)

იმ წინაპრებისა, რომელნიც დიდ მოზღვავებულ მტერს მცირე გუნდით ამარცხებდნენ.

ეხლა მინდა მოგახსენოთ, თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძროლობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ აქ გამოაგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, საცა სწერია, რომ შულავერში შედგა „საქართველოს მთავრობა“ და ეს შულავერში შეყენებული „საქართველოს მთავრობა“ ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ხალხს, დამფუძნებელ კრებას, გადააყენოს თავიანთი ხელისუფლება, გადააგდონ იგი და იცნონ შულავერის „მთავრობა“.

ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავის მართველობა. ეს-

ენი არიან – მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი!, ომარი!, გეგეჭკორი ალექსანდრე და კვირკველია.

და აი, ბატონებო, ამ ქართველთ, ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელნიც მტერს მოუძღვიან და სცდილობენ სისხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარი, და გახდენ საქართველის ტირანები – მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არასოდეს არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარი გზით თავის თავზე არ აიღებს.

იმისთვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ შულავერის „მთავრობა“ მიეღო?

*მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს, რა ვაჟბატონები აპირებდენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: ან სიკვდილი, ან გამარჯვება“!**

ის რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ ბრძოლის ველზე, მოენატრებათ ყველა დიდ და ძლიერ სახელმწიფოების ჯარებს დღევანდელ პირობებში.

(ხმები: „მართალია“).

თვითეული ჩვენი მეომარი დარწმუნებულია იმაში, რომ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა დავიხოცოთ. (ტაში).

და მე მგონია, რომ ამით ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

(ტაში და „ვაშა”).

ჩვენ დღეს ისე ვართ გამაგრებული თფილისში, რომ თფილისის წართმევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

(„ვაშა“ და ტაში).

თფილისმა უკვე გამოიყენა თავისი ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრეების სიმტკიცე. თფილისი არის და უნდა გადავაქციოთ საქართველოს ვერდენათ. (ტაში).

და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი თფილისი, ეს ჩვენი ვერდენი საბოლოოდ გადასწყვეტს ამ ჩვენ ბრძოლას.

და ნუ შეგვეშინდება ჩვენ იმის, თუ რა მოხდება სხვაგან პროვინციაში. ჩვენ არ შეგვარყევს ის, რომ კახეთის ან ბორჩალოს მაზრების ზოგი სოფლები გადავიდა მტრის ხელში.

(ხმები: მართალია!)

(სპირიდონ კედია: ეს დროებითია!)

სანამ თფილისი გამაგრებულია და ჩვენ მაგრად ვდგევართ, მე ვამბობ, რომ ბრძოლის ბედი აქ გადაწყდება და აქ გაითხრება სამარე ჩვენი მოწინააღმდეგისა. (ტაში).

* „*დახრილი*“ შრიფტით გამოყოფილი ტექსტი ნოე ჟორდანიას მოხსენებისა მოყვანილია მხოლოდ პარიზში გამომავალ ჟურნალ „ბრძოლის“ 1926 წლის № 8, თებერვლის ნომერში. (შემდგენელი).

ჩვენი საგარეო მდგომარეობა გამაგრებულია იმ მხრივ, რომ კოალიციას უკვე ჩამოშორდა სომხეთი. სომხეთში მოხდა გადატრიალება. საბჭოთა მთავრობა ჩამოგდებულია, დატყვევებული და მის ალაგას გამოცხადდა ახალი მთავრობა და ჩვენ მან უკვე მოგვმართა, რომ სურს დაიჭიროს მეგობრული კავშირი საქართველოსთან და არავითარ შემთხვევაში არ იღებს და არც მიიღებს მონაწილეობას საქართველოს წინააღმდეგ ომში.

(გრიგოლ ვეშაპელი: Timeo Danaos...)

ბატონო, პოლიტიკაში მაგნაირ თქმულებებით ვერ ვიხელმძღვანელებთ და არც ვიხელმძღვანელებთ, აქ გადამწყვეტია ანგარიში.

გარდა ამისა, ჩვენ აქტიური დახმარება გაგვიწია საფრანგეთმა.

(ხმები: გაუმარჯოს", „ვაშა" და ტაში).

საფრანგეთის ესკადრა მივიდა გაგრაში და ჩვენ ჯარებთან ერთად გუშინ ებრძოლა მტერს და მტერი დამარცხებული იქნა.

(„ვაშა" და ტაში; ვეშაპელი: „ეს სჯობია სომხეთს").

ამნაირად, ჩვენი შინაური სამხედრო მდგომარეობა ერთის მხრით და საგარეო მდგომარეობა მეორეს მხრით თანდათან მტკიცდება და ჩვენ გვაქვს სრული იმედი, რომ შემდეგ და შემდეგ უფრო განმტკიცდება.

ეხლა მინდა მოგახსენოთ იმაზე, თუ ვისი ინიციატივით და ვინ მოუძღვის აბ საბჭოთა ჯარს საქართველოს წინააღმდეგ.

(ხმები: მოღალატეები!)

ალბათ იცით, რომ აქ გამოვიდა ფურცელი და დარიგდა, სადაც სწერია შემდეგი: რომ შულავერში შესდგა საქართველოს მთავრობა. (სიცილი და ხმაურობა).

...და ეს შულავერში შემდგარი საქართველოს მთავრობა არის თურმე ნამდვილი ჩვენი ხალხის მთავრობა და მოუწოდებს ჩვენ ხალხს, რომ ჩვენი დამფუძნებელი კრება, დღევანდელი მთავრობა იქნეს გადაყენებული, გადაგდებული და შულავერის მთავრობა იცნოს.

(ნოე რამიშვილი: „მალე გავრეკავთ ადერბეიჯანიდანაც").

ის ხალხი, რომელსაც სურს ჩვენი უცხო ხიშტების საშუალებით თავისი ძალა უფლება, თავისი მთავრობა დააყაროს.

(ხმები: ზიზღი მათ!).

აი ეს ხალხი გახლავთ შემდეგნი: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი!, ომარი!,, გეგეჭკორი ალექსანდრე და კვირკველია.

(ნიკოლოზ ჩხეიძე: „ღვანკითელების მთავრობა"! ხმები: „კარგი კომპანიაა").

ამნაირად, ბატონებო ამ ქართველების, ჩვენი ქვეშევრდომების სურვილი, რომელნიც მოუძღვებიან მტერს და სურთ ქართველი ხალხის და ჯარის შემუსვრა სისხლითა და მახვილით და საქართველოს ტირანებათ მოევლინოს, – ამას არასოდეს ქართველი ხალხის არ დასთანხმდება.

(ხმები: „არასოდეს“, ტაში).

ამ შერცხვენას ქართველი ხალხი არასოდეს არავითარ საშუალებით არ მიიღებს თავის თავზე.

(ხმები: „მართალია“, ტაში).

მას ამისთვის არ უმუშავნია, იმისთვის არ ჩამოუგდია პეტერბურგის მთავრობა რომ მიეღო შულავერის მთავრობა.

(ტაში და „ვაშა”).

მე ვამბობ, რომ ქართველი ხალხი გაიგებს რომელი ვაჟბატონები აპირებდნენ მის ასე გათელვას, მაშინ ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება უფრო განმტკიცდება და იტყვის: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“. (ტაში, დიდი ოვაციები).

წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის მეთაურს ნოე ჟორდანიას!*

გაზ. „ერთობა“, № 41. ოთხშაბათი, 23 თებერვალი, 1921 წ.

* „მთავრობის თავმჯდომარემ [ნოე ჟორდანიამ] დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე, როდესაც საბოლოოთ მიიღეს კონსტიტუციის პროექტი, წარმოსთქვა ყოვლად დამაშოშმინებელი სიტყვა. ნოე ჟორდანიამ სთქვა, სხვათა შორის, თბილისი საქართველოს ვერდენია, მას არავის დაუთმობს, მთელი საქართველო რომ აიღოს მტერმა, ჩვენ თბილისს, საქართველოს გულს არავის დავუთმობთ, აქ დიდ ბრძოლას ავუტეხავთ მტერს და მერე ხელ ახლა დავიბყრობთ წართმეულ ნაწილებს. ამ საღამოს მანვე განაცხადა: – ჩვენ მარტონი არა ვართო, ჩვენ გვყავს მოკავშირე, ეს საფრანგეთიაო. მახსოვს, მთელი დამფუძნებელი კრება ფეხზე წამოდგა და ტაშისკვრით მიეგება ამ განცხადებას. მაშინ მე და მიხაკო წერეთელი ვისხედით დიპლომატიურ ლოჟაში. გარეშე ხალხი ძალიან ნაკლებად იყო დარბაზში. ვიქნებოდით სულ ასე 25-30 კაცი. განცხადების დროს ჩვენც წამოვდექით. მე ზამთრის ქურთუკში ვიყავი, ძალიან ციოდა დარბაზში. რომ დაგვინახეს წამომდგარი ჩვენ დიპლომატუყრ ლოჟაში, ბევრმა დეპუტატმა გაიღიმა. ალბად, რომ ნამდვილი დიპლომატ-წარმომადგენლების ნაცვლად ჩვენ, მათი მოქალაქენი, დაგვინახეს. ეს ისეთი წუთი იყო, რომ არასოდეს დამავიწყდება. ჩვენ განვიცადეთ რაღაც საშინელი ობლობა, ცუდ გნებაზე ვიყავით, მაგრამ მაინც არ ვგრძნობდით, თუ რომ საშიშროება ასე ახლოს იყო ჩვენზე. იხ. გრ. დიასამიძე. “ჩვენი გამოსვლა საქართველოდან. 24-25 თებერვალი, 1921 წელი. საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკა. იშვიათ გამოცემათა ფონდი. გრ. დიასამიძეს პირადი არქივი.

***

დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა ოთხმოცდამეცხრამეტე (99)

ორშაბათს, 1921 წლის თებერვლის 21

დამფუძნებელი კრების დადგენილება.

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1. იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებულ არიან ქართველი ხალხის მოღალატეებათ. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი.

ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას.

2. მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა,

– რომ შულავერში შედგა ჯგუფი, რომელიც თავის თავს საქართველოს მთავრობას უწოდებს;

– რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის საბჭოთა რუსეთის ჯარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ;

დამფუძნებელი კრება ადგენს:

ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ჰამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია გამოცხადებულ იქნენ ქართველი ხალხის მოღალატეებათ, ჩამოერთვას მათ ყოველივე ქონება და დაყენებულ იქნან კანონ გარეშე.

ჟურნ. „ბრძოლა“, № 19. 20 თებერვალი, 1927 წ. ქ. პარიზი.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წერილი თავდაცვის საბჭოს (სასწრაფო)

1921 წლის თებერვლის 24. № 880

ქ. ტფილისი

უკანასკნელი მობილიზაციით (19 წლიდან 40 წლამდე) დამფუძნებელი კრების კანცელარიის თითქმის მთელი შემადგენლობა, გარდა ორი-სამი კაცისა, ჯარი უნდა იქნეს გაწვეული.

ასეთ ვითარების გამო დამფუძნებელი კრების მოქმედება სრულიად შეფერხდება, რადგანაც მას სათანადო აპარატი არ ეყოლება, რათა კანონმდებლობის ტეხნიკური საქმე აწარმოოს.

ამის გამო და თანახმად სამხედრო ბეგრის წესდების 33 მუხ. დამატების პუნქტ „ბ"-ს მეორე განყოფილებისა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი შუამდგომლობს, რათა განთავისუფლებული იქნეს მობილიზაციისაგან შემდეგი კატეგორიის მოსამსახურენი:

1. ალექსანდრე ნანეიშვილი, კანცელარიის გამგის ამხანაგი; და საქმის მწარმოებელნი;
2. ალექსანდრე სალარიძე;
3. შოთა გელოვანი;
4. გიორგი ბოჭორიძე;
5. ანდრია საყვარელიძე;
6. არჩილ ეგოროვი;
7. ნიკოლოზ კობახიძე;

ამასთანავე, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თვითეულ ამ პირთაგან მინდობილი აქვს განსაკუთრებული დარგი საქმისა, რომლისთვისაც საჭიროა უწყებული ხასიათის გამოცდილება და უნარი, მით უფრო, რომ საქმისმწარმოებელთა ერთი ნაწილი უკვე ჯარში იმყოფება.

თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი [ექვთიმე თაყაიშვილი];
კანცელარიის გამგე [ივანე ზურაბიშვილი].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1258. ფ. 17-18.

***

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

1921 წლის 24 თებერვალი

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წერილი გენერალური შტაბის უფროსს.

1921 წლის თებერვლის 24

№ 54ა /921.

გენერალური შტაბის უფროსს.

გაცნობებთ, რომ დამფუძნებელი კრების ქვემოთ ჩამოთვლილ წევრთ დაევალათ ფრონტზე ყოფნა, რათა ყოველგვარი საშუალებით და დახმარებით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს დაცვის საქმეს:

1. შალვა ალექსი – მესხიშვილი [ხელმოწერის გარეშე].;
2. სამსონ დადიანი. [ხელმოწერის გარეშე].

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ს. 1258. ფ. 17.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

1921 წ. 28 თებერვალს. ქ. ქუთაისი

სესია II

სხდომა რიგგარეშე

სხდომა გაიხსნა ქალაქის თეატრში საღამოს 7 საათზე. პრეზიდიუმი მოთავსებულია სცენაზე, დეპუტატები სხედან პარტერის წინა რიგებში; დანარჩენი ადგილი პარტერისა და ქანდარა ხალხითაა გაჭედილი.

წარმოდგენილია ყველა ფრაქცია.

კარლო ჩხეიძის სიტყვა

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე, რომელიც სხდომის გახსნისას შემდეგ სიტყვას ამბობს:

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მალე ორი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც მუშაობს დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრება.

ხალხის ისტორიაში ორი წელიწადი – მცირე დროა: ქართველი ხალხის ისტორია კი უნდა გაიზომოს არა ათი წლობით, არა საუკუნოებით, არამედ ათასი წლობით.

მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ამ ორი წლის ისტორიას და ქართველი ხალხის ცხოვრებას ამ დროს განმავლობაში, თუ მიუდგომლათ გავითვალისწინებთ ჩვენი დამფუძნებელი კრების მუშაობას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი წელიწადი არის უმდიდრესი და უდიდესი ეპოქა მის ისტორიაში. უჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არამც თუ ჩვენ, არამედ – ჩვენი მომავალი თაობანიც, მომავალი ისტორიკოსები ბევრჯერ შეეკითხებიან თავის თავს, თუ სად იყო ქართველ ხალხში იმდენი ცხოველმყოფელი ძალა, რომელმაც ამდენი საქმე გააკეთებინა მას.

მოქალაქენო, რანი ვიყავით ჩვენ ამ ორი წლის წინად, რას წარმოვადგენდით ჩვენ განათლებულ კაცობრიობის თვალში მაშინ, როცა ქართველმა ერმა თავის თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა? იქ, ევროპაში, ქართველ ხალხს, რომელსაც აქვს წარსული სახელმწიფო და რომელსაც სურს შეჰქმნას თავისი აწმყო, – არავინ არ იცნობდა, იმას მხოლოდ თითო ოროლა მსწავლუ-

ლი, კაბინეტებში გამოკეტილი თუ იცნობდა როგორც ერს, მაგრამ ევროპა არა გვცნობდა.

დღეს ევროპამ იცის, რომ საქართველოს ჰყავს დამფუძნებელი კრება, უზენაესი გამომხატველი მისი მოძრაობის, მის მომავლის და მისი სურვილებისა.

ევროპამ იცის, რომ დამფუძნებელმა კრებამ ღირსეულად აწარმოვა ის საქმე და მუშაობა, რომელსაც მოითხოვდა მისგან ხალხი და დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესები. ევროპამ იცის, რომ არსებობს ხალხი, რომელიც ღირსია დამოუკიდებელი არსებობისა და რომ ის ღირსია შეჰქმნას თავისი განვითარების შესაფერისი პირობები.

დასავლეთ ევროპამ იცის, რომ ჩვენ 26 მაისამდის რუსეთის ერთ ნაწილს შევადგენდით; მან უკვე იცის, რომ ჩვენი წინაპრები ერთ დროს იძულებულნი გახდნენ რუსეთს მიჰკედლებოდნენ, რომ სანამ ჩვენ რუსეთის ფარგლებში ვიყავით მოქცეულნი, – რუსეთს ვეკუთვნოდით – იქ ჩვენი ერი კულტურულ ელემენტის როლს თამაშობდა, რომ რეაქციის დროს ის ცხოველმყოფელს სულს ატარებდა და თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში მოწინავე რიგებში იდგა. როდესაც რუსეთის დემოკრატია მომავალში აღორძინდება, ის იტყვის: დიდება ქართველ ერს, რომელმაც თავის ბელადებთან ერთად თავი არ დაიზოგა და უდიდესი ბრძოლა გასწია საერთოდ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლაში.

მოქალაქენო, მე ვთქვი, რომ ეს ხანა არის უმდიდრესი ჩვენ ისტორიაში და ვისაც ამაში შეუვა ეჭვი, – მას მე მოვთხოვ მომიყვანოს რომელიმე ერის მაგალითი, რომელსაც ქართველი ერის ცხოვრების ეხლანდელ პირობებში ესოდენი შეექმნას და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთს მაგალითს მე ვერავინ მომიყვანს.

ჩვენ შევქმენით სახელმწიფო ისეთ პირობებში, როდესაც ერი ერთი საუკუნის განმავლობაში სხვის უღელს ქვეშ იყო. თვითმპყრობელობა ცდილობდა დაეხშო ყოველივე ნიჭი შემოქმედებისა, მაგრამ იმდენათ დიდი იყო ქართველი ერის პოტენციალური ძალა, რომ იგი ვერ დაახშო. და ეხლა, ვით ფოლადზე ტალკვესმა, ისე იფეთქა ამ ძალამ, დაიწყო მუშაობა და ეს მუშაობა თქვენ ყველამ კარგად იცით.

ამის შესახებ ყველაფერს მე არ ვიტყვი, ვიტყვი მხოლოდ ერთს: გამოიჭედა და აშენდა ის შენობა, მისი საფუძველი, რომელსაც ჩვენ ასე შევხარით – სახელმწიფო ქართველი ერისა. ამას ხედავს დღეს მთელი განათლებული კაცობრიობა. მე უფრო მეტს ვიტყვი: დასავლეთ ევროპაში გაკვირვებული არიან ჩვენი საქმიანობით და იქ გაკვირვებას გამოსთქვამენ იმ გმირობის შესახებ, რომელიც გამოიჩინა ქართველმა ერმა თბილისის მიდამოებში, დაანთხია რა იქ თავისი მებრძოლების უმანკო, წმინდა სისხლი. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ამ გმირების ხსოვნას.

(დამფუძნებელი კრება და დამსწრე საზოგადოება ფეხზე დგება).

რა მიზნით გამოილაშქრა მტერმა, რა უნდათ ჩვენგან?

ქართველ ხალხს არა ერთხელ განუცდია მტრის შემოსევა, მაგრამ მისთვის მუდამ ეს მტერი მტრადა სჩანდა და ქართველმა ერმა იცოდა, რომ იგი მას განადგურებას უქადდა, მაგრამ დღევანდელი მტერი საკვირველი მტერია. არც ერთ მტერს არ უთქვამს ქართველი ერისათვის, რომ ის ილაშქრებს მის წინააღმდეგ როგორც მეგობარი, რომ მას თან მოაქვს ყველაფერი კარგი, საკაცობრიო იდეალები, რომ ის მას შეიყვანს სამოთხეში, საუკეთესო ცხოვრების წიაღში. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ამ მტერს, მაგრამ რას თვალთმაქცობს, რაშია საქმე? ამიტომ უნდა ვთქვათ ვინც არის ის, რადგან ის მაცდურია და შეიძლება ვინმე გულუბრყვილო შესცდეს – სთქვას – შეიძლება მართლაც სიკეთე მოაქვსო. ჩვენ კი ვეუბნებით ხალხს: ეს მტერი არის ის მტერი, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით 120 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას განაგებდა რუსეთის ტლანქი, უხეში ძალა; და თუ ამ მტერს ხელს უწყობენ საქართველოს ზოგიერთი მამულიშვილნი, მაშინ ვიტყვით ჩვენ, რომ ესეც ვიცითო და მოვიგონებთ ზურაბ წერეთლებს და სხ.

ჩვენ ვიცით, რომ იმ მტერის, – რომელიც ჩვენკენ მოდის – დროშაზე სწერია დიდებული ლოზუნგები კაცობრიობის გათავისუფლებისა, – არ უნდა იყვეს ჩაგვრაო და სხვა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ლოზუნგების შინაარსი ცხოვრებაში განხორციელების დროს გაჰქრა, სადღაც გადაიკარგა, და ჩვენ ვხედავთ, თუ რა დარჩა მათგან. როდესაც პოლონეთის წინააღმდეგ გაილაშქრა რუსეთმა, იქ ის ვითომდაც სოციალურ განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ნამდვილად კი, ეს იყო ბრძოლა პოლონეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და აქ იჩინა თავი იმ ძველმა წინააღმდეგობამ, რომელიც არსებობდა დამოუკიდებლობისაკენ მიმსწრაფ პოლონეთსა და ამის წინააღმდეგ ამხედრებულ თვითმპყრობელობას შორის. იგივე ხასიათი აქვს ეხლა ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას.

ჩვენ გვაგონდება წარსული დრო, როდესაც მუქარით, დაპირებებით და სხ. შემოვიდნენ ჩვენში ისინი, როდესაც პეტრე დიდის შემდგომ აქეთკენ ილაშქრებდნენ მაშინდელი რუსეთის გამგეები. მათ მოსდევს ზოგი ქართველი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ არის მათ შორის გულუბრყვილო, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ისინი მოგვიტანენ სიკეთეს, – ეს ბრბოები როსტოვიდან, ტამბოვიდან და სხვა ადგილებიდან, მაგრამ მე მგონია, რომ თითოეულმა მათგანმა ძლიერ კარგად იცის, თუ რა მოგველის ჩვენ მათგან.

ამნაირად, ჩვენ დღეს გვაქვს საქმე იმავე საკითხთან, რომ ქართველი ერი კვლავ იქმნეს დაპყრობილი, ეს კარგად უნდა გავითვალისწინოთ და ამაში არავინ არ უნდა მოსტყუვდეს, აქ ჩვენ ყველას ერთი შეფასება უნდა გვქონდეს. ევროპის, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მიერ საქართველოს ცნობამ დასცა წელში, გააბრაზა რუსეთის იმპერიალისტები და ისინი გააფთრებულნი იბრძვიან, რომ მოისპოს ეს თავისუფლება და კვლავ დაგვედგას მონობის უღელი. ამაში არ არის არავითარი ეჭვი და ვინც ამას არ

დაიჯერებს, შეჰხედონ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებს, სადაც მტერია შემოსული. იქ ისინი ახდენენ მობილიზაციებს, აგროვებენ ხალხს, რომ წაიყვანონ ისინი და აბრძოლონ სხვა ერებთან. იცოდეს ეს მთელმა ქართველმა ერმა, იცოდეს ეს ყველა მოქალაქემ.

თავისთავად ცხადია, რომ მომენტი მეტად მძიმეა, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ეხლა აღსდგნენ ჩვენი წინაპრები და აქ დაგვესწრონ ისინი გვეტყოდნენ: არ შედრკეთ, წინ გასწითო! რადგანაც, – ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ აქ, ქუთაისში, არ გვეყოლებოდა დღეს დამფუძნებელი კრება. მათმა ბრძოლამ უამრავი მტრის წინააღმდეგ მოგვიყვანა ჩვენ აქამდის.

უნდა ვსთქვათ: ჩვენმა ხალხმა დაამტკიცა, რომ მას აქვს ცხოველმყოფელი ძალა, სული, დაუშრეტელი ენერგია, რომ ის მედგრათ იბრძოლებს. ჩვენ გვმართებს მხოლოდ გაძლიერება მისი ნებისყოფისა.

მოქალაქენო, კიდევ ერთი საკითხია დიდათ მნიშვნელოვანი: ჩვენ მარტონი ვართ თუ გვყავს დამხმარე ძალა? აქ უნდა ვთქვათ: რაც უფრო მტკიცენი, ძლიერნი ვიქნებით ჩვენ, მით უფრო მეტი დახმარება გვექნება აღმოჩენილი. შეიძლება ჩვენთვის თავი არავინ გასწიროს, მაგრამ დასავლეთ ევროპის საარსებო ინტერესს შეადგენს, რომ ჩვენ უკუვაქციოთ მტერი. ეს ასე სწრაფათ ვერ აამოძრავებს ევროპას, მაგრამ თვითეული წუთი იმედს გვაძლევს, რომ ეს დახმარება დღითი დღე უფრო მოგვემატება. მაგრამ ამას უნდა ენერგია, შეუდრეკლობა და რაც მეტს გამოვიჩენთ ჩვენ მას, მით უფრო მეტი იქნება დახმარებაც.

მოგმართავთ თქვენ, დამფუძნებელ კრების წევრებს, გთხოვთ წახვიდეთ ხალხში და მიიღოთ ყველა ზომები ხალხის გათვითცნობიერებისათვის. დროებით უნდა შესწყდეს კანონმდებლობითი მუშაობა, რათა ის ხალხი არ შესცდეს, არ დაიღალოს, გაუმაგროს ზურგი ფრონტს, აწარმოოს მუშაობა და კიდევ მუშაობა. ხალხს უნდა შერჩეს რწმენა, რომ მისი მუშაობა, იდეალები, სახელმწიფო არ არის წარმავალი, რომ ის უკვდავია, მიუხედავათ სხვადასხვა დროებითი გაჭირვებისა. ეს კი იციან ქართველებმა. ქართველი ხალხი არის მომავლის ხალხი, ის უკვდავების მატარებელია, ის ხვალინდელი დღით ცხოვრობდა – და განა შეიძლება, რომ გაჭირვებამ ამოაცალოს მას ეს სული?

ამას მალე დაანახვებს ის ყველას, მტერი ვერ შესძლებს თავის ზრახვების ასრულებას. თქვენ ხედავდით მოქალაქენო, თუ როგორ ებრძოდა მოზღვავებულ მტერს, – არა ერთხელ მტრის მიერ დანგრეულ თბილისთან ჩვენი ჯარი და სწირავდა მას თავს. და თუ თბილისი – რიცხვით ბევრად უფრო მეტმა მტერმა დაგვატოვებინა, თფილისი იდეურად რჩება ჩვენ და მთელი საქართველოს დედაქალაქად.

(ტაში).

თუ ჩვენ იძულებულნი ვიყავით ჭაღარა თფილისიდან ჭაღარა ქუთაისში გადმოგვეტანა მუშაობა, ნურავინ იფიქრებს, რომ ქუთაისი ეცილება დედაქა-

ლაქობას თფილისს, ქუთაისი განაგრძობს სვლას თფილისის გზით, მის უკან დასაბრუნებლათ – არა სიტყვით მხოლოდ, არამედ – საქმით.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს, გაუმარჯოს მის დამოუკიდებლობას, გაუმარჯოს მის თავისუფალ თფილისს.

(ხანგრძლივი ტაში).

თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ შექმნილ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ლორთქიფანიძემ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა შექმნილი მდგომარეობა და დასახა მისგან გამოსავალი გზები.

გაზ. „ერთობა“, № 45. ოთხშაბათი, 2 მარტი, 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხომა: რიგგარეშე

28 თებერვლის სხდომა

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვა

გრიგოლ ლორთქიფანიძე: მოქალაქენო, ერის წარმომადგენელნო! იმ დიდ ისტორიულ ბრძოლაში, რომელსაც დღეს აწარმოებს ქართველი ხალხი მწარე წამებასთან ერთად წილათ გვხვდა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებათა და ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებათ, პოლიტიკურ გამარჯვებათ, უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დღეს აქ, ქალაქ ქუთაისში გაიხსნა დამფუძნებელი კრების მუშაობა. ეს იმის გამომხატველია, რომ მტერმა ვერ შესძლო საქართველოს რამდენიმე დაკვრით დანგრევა. თქვენ იცით, ბატონებო, რომ ის მუხანათი მტერი, რომელიც დღეს ჩვენ სამშობლოს შემოესია, რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქართველოს

თავისუფლება და დამოუკიდებლობა შიგნიდან აეფეთქებია. მაგრამ ქართველი ხალხის ღრმა შეგნებამ და მტკიცე ერთობამ არ მისცა მას ამის შეძლება. მტერი იძულებული შეიქნა ნიღაბი აეხადა და ის აშკარათ, გაშლილი დროშით ჩვენს საზღვრებში შემოიჭრა, მაგრამ იმის იმედით, რომ რამდენიმე დაკვრით და თფილისის აღებით ერთბაშად დააჩოქებდა ჩვენს ხალხს და ჩვენს რესპუბლიკას დაანგრევდა, მაგრამ აქაც ანგარიში არ გაუმართლდა და ამის უტყუარი საბუთი და თავმდები ის არის, რომ თუმცა ჩვენ დროებით თფილისი დავტოვეთ, მაგრამ ფრონტი მაინც მტკიცედაა და ერის უზენაესი წარმომადგენლობა და მისი ნდობით აღჭურვილი მთავრობა მეორე ადგილას განაგრძობს თავის საპასუხისმგებლო მუშაობას.

მოქალაქენო! დამფუძნებელი კრების წევრნო! ომი არ თავდება იმით, რომ ჩვენ თფილისი და აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი დავტოვეთ. იწყება ომის მეორე ხანა. თქვენ იცით, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც გაგახსენებთ ომის პირველი პერიოდის უმთავრეს მომენტებს.

რუსეთის იმპერიალიზმმა პირველად 11 თებერვალს მუხანათურად, სომხურ ნიღაბს ქვეშ შემოგვიტია სომხეთის საზღვრებიდან. პირველი მარცხის შემდეგ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია შეტევაზე გადავიდა და მტერს ზურგი აბრუნებინა. რუსეთის ანგარიში არ გამართლდა და ის იძულებული შეიქნა აზერბაიჯანის პირბადის ქვეშ გამოსულიყო და ამგვარათ, აღმოსავლეთიდან, აზერბაიჯანის ტერიტორიიდანაც შემოგვესია. ვერც ეს უქადდა მას უეჭველ გამარჯვებას და ამიტომ მოსკოვის ჯალათები გაშიშვლდნენ და პირდაპირ, ნიღაბ ახდილათ წმინდა რუსულ საზღვრებიდან, ჩრდილოეთიდანაც მოიტანეს იერიში რუსთა ურდოებმა.

მალე სამი კვირაა, რაც პატარა საქართველო, რომელიც რუსეთის ერთ მოზრდილ გუბერნიასაც კი ვერ უდრის თავის მცხოვრებთა რიცხვით, აუწერელი სიმამაცითა და გმირობით განაგრძობს ბრძოლას ვებერთელა რუსეთთან. და ეს ბრძოლა საქართველოს დავითისა გოლიათის წინააღმდეგ კვლავ გაგრძელდება და დასრულდება ისე, როგორც დავით გოლიათის თქმულებაშია მოთხრობილი. ამის თავდებია ის საარაკო სიმამაცე, ის ჩვენთვის საამაყო ბრძოლის სცენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა თფილისის პოზიციებზე. მრავალჯერ მეტრიცხოვან მტერს იერიში იერიშზე მოქონდა ჩვენი მეომრების წინააღმდეგ, მათი სანგრები ყუმბარებით ივსებოდა, მაგრამ მტერი დამარცხებული უკუიქცეოდა. როდესაც სასიკვდილოთ დაჭრილ მეომრებს მოწყალების დები და ექიმები ეკითხებოდნენ: „როგორ ხარ, რა ადგილსა გაქვს ჭრილობაო“, გმირები პასუხის მაგივრათ უკანასკნელ ძალას იკრებდნენ და თვითონ ეკითხებოდენ: „ჩვენი ბათალიონი სადაა, ხომ გადავიდა შეტევაზე, წინ მიდის ხომ“-ო. იმათი კვნესა-გოდება არ ისმოდა, არ ისმოდა ჩვეულებრივი ასეთ შემთხვევაში „ვაი დედა“, „მიშველეთ“ და სხვა. მათი უკანასკნელი ამონაკვნესი იყო: „საქართველოს გაუმარჯოს“-ო და, აბა, რა გასაკვირველია, თუ ყველა უცხოელნი, ვინც კარგათ არ იცნობდა ამდენხანს

ქართველ ხალხს და გაიცნო ის თფილისის ბრძოლების დროს, აღტაცებულნი და განცვიფრებულნი არიან ჩვენ მეომართა საზღაპრო გმირობით.

ასე თავგანწირული და ძლევამოსილი იყო საქართველოს მხედრობის ბრძოლა თფილისის მიდამოებში მაგრამ მტრის მრავალრიცხოვანობამ, ფრონტის ძლიერ გაგრძელებამ (დაახლოებით ას ორმოცი ვერსი) აიძულა მთავარსარდლობა უკან დაეხია, მაგრამ, როგორც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ მოგახსენათ, არა იმიტომ, რომ ამით ომი გაგვეთავებინა, არამედ ომისათვის, დროს მოსაგებათ და გასაძლიერებლათ.

ბატონებო, დღევანდელი საომარი მდგომარეობა ასეთია: ჩვენი აღმოსავლეთი ფრონტის გადაჯგუფება და დასვენება ხდება გორისა და ხაშურის რაიონში. ჩვენ ვართ გენერალური ბრძოლის მოლოდინში და ამ ბრძოლას ჩვენ მივცემთ, როდესაც ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება, ხოლო მოგერიებითი ბრძოლას ვაწარმოებთ იქ, სადაც ამას მდგომარეობა გვაიძულებს. შესაძლებელია, ჩვენ კიდევ დავტოვოთ ტერიტორია საომარი მოსაზრებით, მაგრამ არის ერთი ზღვარი, სადაც ქართველი მხედრობა ან გაიმარჯვებს ან სახელოვნად მოკვდება. ლიხის მთაგრეხილების ბუნებრივ ზღუდეს დაემატება ჩვენი მხედრობის ცოცხალი გალავანი. აქ მიეცემა მტერს უკანასკნელი მოგერიებითი ბრძოლა, აქედან დაიწყება ჩვენი მხედრობის წინსვლა. აქ, ამ პოზიციებზე იქნებიან არა მარტო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი, არამედ ის ქართლ-კახელნი, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ლაშქარში არიან. აქ იწარმოებს არა იმერეთის დაცვის ბრძოლა, არამედ მთელი საქართველოს განთავისუფლების საქმე. რაიცა შეეხება კახეთსა და დუშეთ-თიანეთს, საქართველოს ეს ნაწილები ჩვენის ცნობით განაგრძობენ მტერთან უსწორო ბრძოლას.

აფხაზეთის ფრონტზე პირველად დახევის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა მტკიცდება. იქ ერთგვარი გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც მაშველი ძალები მივიდა.

თქვენ გაინტერესებთ უთუოდ ის, თუ რა ხდება იმ ადგილებში, რომელიც მტერმა დაიჭირა. იქ ხდება დარბევა. პირველ ყოვლისა მიერეკებიან პირუტყვს, ხდიან ხალხს ისეთ ტანსაცმელს, რომელიც გამოადგებათ ჯარისათვის. ახდენენ საერთო მობილიზაციას, და მათ უეჭველია, გადახვეწავენ სადღაც შორს სპარსეთ-თურქესტანში ან ყინულიან რუსეთ-ციმბირში და იქ შორეულ ქვეყნებში დაღვრიან მათ სისხლს. ასე სჭედს მუხანათი მტერი ქართველი ხალხისათვის იმ საშინელ მონობის ბორკილს, რომელიც სამიოდე წლის წინათ დაამსხვრია ჩვენმა ხალხმა.

რაიცა შეეხება, ბატონებო, საერთაშორისო მდგომარეობას, ის ჯერ-ჯერობით სავსებით არ არის გამორკვეული. ამ ჟამად მუშაობს ლონდონის კონფერენცია, რომლის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ექნეს ჩვენთვისაც. შესაძლებელია ახლო მომავალში ძირიანათ შეიცვალოს ზოგიერთი ძალთა ურთიერთობა და განწყობილება. ამიერ კავკა-

სიაშიც არ არის დამყარებული მტკიცე წონასწორობა. თქვენ მოგეხსენებათ, თუ როგორი განმათავისუფლებელი როლი ითამაშა საქართველომ სომხეთის მიმართ, როდესაც რუსეთის ჯარი საქართველოს შემოესია და ძლიერი დამარცხებანი განიცადა, სომხეთიდან რუსეთმა უდიდესი ნაწილი თავისი ჯარისა თბილისისაკენ გამოგზავნა; ამ გარემოებით ისარგებლა სომხეთის ხალხმა და რუსეთის მონობის უღელი გადააგდო.

აზერბაიჯანის ხალხიც ებრძვის რუსეთის მონობას ყარაბახსა და ლენქორანში. ამგვარათ, ბატონებო, საერთაშორისო მდგომარეობა საერთოთ და კერძოთ მდგომარეობა ამიერკავკასიაში გვავალებს, რომ რაც შეიძლება მოვიკრიბოთ ძალები, ბრძოლა განვაგრძოთ, დრო მოვიგოთ, ვინაიდან ყოველი ზედმეტი დღე ჩვენ სასარგებლოთ მუშაობს.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მტკიცეთ გვახსოვდეს, რომ ჩვენი დღევანდელი მტერი ისეთი თვისებისაა, რომ მასთან ზავი არ შეიძლება, მისი ბუნებაა ღალატი, ცბიერობა, უპირობა. მან არ იცის ზავი, მას მხოლოდ განადგურება შეუძლია. ის მოდის ცეცხლითა და მახვილით, რომ დედამიწის ზურგიდან აღგავოს ქართველი ერი, მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მოდის რუსული იმპერიალიზმის ყველაზე უფრო საზიზღარი და საშინელი ფორმა. ამიტომ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი.

იმედი უნდა გვქონდეს, რომ მოწინავე კაცობრიობის თანაგრძნობა და დახმარება ჩვენს მხარეზეა. ევროპამ უკვე გამოგვიცხადა მორალური თანაგრძნობა, იქ ხდება საზოგადოებრივი აზრის მანიფესტაციები ჩვენს სასარგებლოთ. რეალური დახმარებაც იქნება, ამის პირველი ნიშნები უკვე ჩვენ ხელთ არის. იცის ქვეყნიერებამ, რომ ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს.

ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, ბრძოლა გაგრძელდება. ჩვენ ამ ბრძოლით დავამტკიცეთ, რომ გვინდა არსებობა, შეგვიძლია არსებობა და ღირსი ვართ ამისი. ეს თავდადებული ბრძოლა თავდები იქნება იმისი, რომ საქართველო უკვდავი იქნება როგორც ხვალინდელი დღის გათენება. თქვენ იცით სულ ახლო ისტორიიდან, წარსული დიდი ომიდან, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებმა ბელგიამ, სერბიამ, ჩერნოგორიამ სრულიად დაკარგეს ტერიტორია, მაგრამ ერი არ გატყდა სულიერათ, მათ ქედი არ მოიხარეს და ისინი აღდგნენ. და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენმა ხალხმა გამოიჩინა ასეთი სულის სიძლიერე და სიმამაცე, საქართველო უკვდავია, არამც თუ არ მომკვდარა, არც მოკვდება.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! მთავრობის გადაწყვეტილება ისევე მტკიცე და ურყევია, როგორც წინათ. მტრის წინ ქედს არ მოიხრის, არც ერთ ადლს საქართველოს ტერიტორიისას უბრძოლველათ არ დასტოვებს. მოიხმობს მთელი ერის ძალასა და ენერგიას თავდაცვის გასაგრძელებლათ. ამას ფიქრობდა, ამბობდა და აკეთებდა მთელი ერი, ამავე სიტყ-

ვისა და საქმის იყო დამფუძნებელი კრება, ამას ემსახურებოდა თქვენი მთავრობა. მთავრობა დღესაც ამ აზრისაა. ხალხიც ხომ ამ გზას ადგია; ბრძანეთ მისი სახელით, ერის წარმომადგენელნო, თქვენი გადამჭრელი სიტყვა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი სიტყვაც სხვანაირი ვერ იქნება.

(საერთო ტაში).

ამის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა შალვა მესხიშვილმა (ს.-ფ.), ივანე გობეჩიამ (ს.-რ.), სპირიდონ კედიამ (დემოკრატ.), ნიკოლოზ იმნაიშვილმა (დამ. ს.დემ.) და ივანე გომართელმა (ს.დ.).

გაზ. „ერთობა“, № 46. ხუთშაბათი, 3 მარტი 1921 წ.

II

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა.

შალვა მესხიშვილი (სოც.-ფედ.) ვერაგი მტერი მუხანათურათ დაგვესხა და ქურდულათ მოინდომა ჩვენი სამშობლოს თავისუფლების განადგურება. მტერმა დროებით დაატყვევა ჩვენი ჭაღარა თფილისი და დატყვევებული აღმოსავლეთი საქართველო უცდის დასავლეთ საქართველოსაგან შველას.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თუ კი ქართველი ხალხი გამოიჩენს ურყევ ნებისყოფას, სიმტკიცეს და გამარჯვების რწმენას, მის გაფოლადებულ ნებისყოფაზე გარდატყდება მტრის ზრახვები. თფილისს დავიბრუნებთ სულ ახლო მომავალში და ჩვენი დამფუძნებელი კრება გაიხსნება სასახლის თეთრს დარბაზში.

ნიკოლოზ იმნაიშვილი (დამ.ს.დ.) პატარა სახელმწიფოს რომ ქურდულათ თავს დასხმოდეს დიდი სახელმწიფო, არ ახსოვს ისტორიას; მაგრამ ეს ააშკარავებს ჩვენს სიძლიერეს, რადგან ჩვენი სახელოვანი მხედრობის წინააღმდეგ მხოლოდ ასეთი თავდასხმით თუ შეიძლებოდა მტრის დროებით გამარჯვება. მაგრამ თუ ჩვენ გამოვიჩენთ ნების სიმტკიცეს, ჩვენსკენაა გამარჯვება, რომელსაც ხელს უწყობს ევროპის მორალური დახმარება. დამფუძნებელმა კრებამ, როგორც ერთმა კაცმა, უნდა სთქვას: „ჩვენ გავიმარჯვებთ და თუ ოდესმე ბალშევიზმს უწერია დასამარება, მისი მესაფლავე იქნება ჩვენი პატარა, მაგრამ სულით ძლიერი საქართველო“.

ივანე გობეჩია (ს.რ.) საქართველო განსაცდელშია, მაგრამ აქ სიტყვები არ გამოდგება. დღეს საქმის დღეა. ჩვენ გვმართებს სიმხნევე და სიმტკიცე. დღეს ყველა უნდა ვიქცეთ გმირებად. უცხო, უხეში ძალა თავს ახვევს ხალხს

იმ წესწყობილებას, რომელიც მას არ სურს. ეს დაუშვებელია და ასეთ მოძალადეს ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით უნდა შევებრძოლოთ. მოვუწოდებ ქართველ ხალხს, რომ მან გაიღოს მსხვერპლი, რითაც შეუძლია. ყველას შეუძლია დღეს რაიმე გააკეთოს. ყველას, ვისაც სურს ქართველი ერის სიცოცხლე, არ დაინდობს ლაჩარს და შეუგნებელს და ასე ჩვენ გავიმარჯვებთ.

სპირიდონ კედია (დემოკრ. პარტია) ბალშევიზმის სახით ბნელეთი გვებრძვის. ჩვენს მხარეზეა მთელი განათლებული კაცობრიობის თანაგრძნობა. საჭიროა დიდი სიმტკიცე, ბრძოლის ენერგიის რაციონალიზაცია, შეგნება და რწმენა გამარჯვებისა და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ივანე გომართელი (ს.-დ.) მოქალაქენო, სხვადასხვა ჭირი ჩვენი ერისათვის არ ახალია, ძველია, მაგრამ ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ ქართველი ერი გატეხილიყვეს, სულით დაცემულიყვეს და ეხლაც, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი საფრთხის წინა ვდგევართ, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ საფრთხეს ჩვენ ჩვენი წინაპრების მსგავსად დავძლევთ.

მოქალაქენო, ჩვენმა წინაპრებმა ერთი უდიდესი თვისება გადმოგვცეს – რაინდობა. ქართველებს სურთ მტრებიც კი რაინდები იყვნენ. ჩვენი მხედრობა არ იბრძოდა ქურდულათ, მტერი კი ასე არ მოქმედებდა. თქვენ მოისმინეთ მოხსენება იმ საშუალებათა შესახებ, რომლებსაც მიმართეს ჩვენმა მტრებმა, ქურდულათ რომ გვესხმოდენ თავს, მაგრამ პირისპირ ბრძოლაში მტრებმა სამჯერ იგემეს უდიდესი მწარე დამარცხება.

მაგრამ ჩვენ იძულებულნი გავხდით დროებით დაგვეცალა თფილისი არა დამარცხების გამო, არამედ იმიტომ, რომ მოზღვავებული მტერი ერთობ დიდი იყო. მაგრამ ქართველი ერის სულის ძლიერება და ენერგია ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისევ მალე შევალთ უკან ჭაღარა თფილისში. (ტაში).

დამფუძნებელი კრება აქ, ქუთაისში, განაგრძობს თავის მუშაობას. აქ ძლიერ უყვართ საქართველო და აქვე ყველამ უნდა ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებისათვის.

ჩვენში არსებობენ პარტიები, არის პარტიული ბრძოლა, პარტიები ხშირათ ვებრძვით ერთმანეთს და ეხლა ამ წუთში, განსაცდელის ჟამს, ყველანი ერთადა ვართ შეერთებულნი, რათა დავამარცხოთ მტერი. ქართველი ერის სიძლიერე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გაჭირვების ჟამს, ის აქამდის დაყოფილი, ერთიანდება, ერთი აზრით იმსჭვალება, ერთი გადაწყვეტილება აქვს და რაკი არსებობს ასეთი მტკიცე გადაწყვეტილება, მტკიცე სურვილი გამარჯვებისა, ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ კიდეც.

მაგრამ როგორია ეს მტერი, რა სახე აქვს მას?

თუ რუსეთის ბოლშევიზმმა თავის დროშაზე ლამაზი სიტყვები დააწერა, ლამაზი ლოზუნგები ამოქარგა – ყოველივე ეს წარიშალა იმ ჭუჭყისაგან, რომელიც თითონ ბალშევიზმმა მოიტანა. სამოქალაქო ომით და სხვა ზომებით. რუსეთი ეხლა სამარეს წარმოადგენს ცოცხალთათვის, იქ სიცილი დაავიწყდათ და ეხლა მოდიან ჩვენში, რომ გაანადგურონ ეს ერთად-ერთი,

მთელ რუსეთში ხელშეუხებელი კუთხე, გაცარცვონ ის და განაცარცვი ლენინს მიართვას – „საქართველოს პროლეტარიატი გიგზავნის საჩუქარსო“. ამ მტერს განზრახული აქვს ჩვენი დამონება, დამარცხება, გაცარცვა და როცა ამას გაიგებს ქართველი ერი – მაშინ უფრო გაიზრდება მისი მისწრაფება გამარჯვებისადმი და ქართველი ერიც გაიმარჯვებს.

საერთოდ, ქართველი ერი ხომ არავის ესხმის თავს, ის მშვიდათა ცხოვრებს და ხმალს იშიშვლებს ხოლმე მხოლოდ მაშინ, როცა მას თავს ესხმიან, თავის დასაცავად. ბალშევიზმი კი ყველა სხვა სახელმწიფოებს თავს ესხმის. იგი ებრძოდა პოლონეთს, ლატვიას, ესტონიას და სხვა სახელმწიფოებს, ეხლა გვესხმის თავს ჩვენ და სურს პატარა, კულტურული საქართველოს განადგურება.

მოქალაქენო, თქვენ გითხრეს, რომ ჩვენ მხარეზეა მთელი ევროპაო. თუ მეტყვით მორალური დახმარება არაფერს არა ჰნიშნავსო, მე გიპასუხებთ, რომ ჯერ ერთი, უკვე არის რეალური დახმარებაც და შემდეგ, ჩვენ ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ რაინდები, მებრძოლნი ვართ და მაშინ მივიღებთ კიდეც დახმარებას. ლაჩარს, მშიშარას არავინ არ დაეხმარება. ჩვენ კი დღითიდღე გაგვეზრდება დახმარება და თუ უფრო გაიზრდება ჩვენი მისწრაფება გამარჯვებისადმი, მაშინ დავამარცხებთ მტრებს.

მოქალაქენო, მთელი საუკუნოები გვიყურებენ ეხლა ჩვენ. აი ამ დროშის დაფხრეწა და ხელში ჩაგდება, რომელიც ჩვენს თავზე ფრიალებს და რომელიც ჩვენს წინაპრებსაც დაფრიალებდა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში, წინათაც მოსდომებია ბევრ მტერს და ეხლაც სურს, მაგრამ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ბრძოლით და უკუგდებით. ქართველი ხალხი ებრძვის მათ თავის მთავრობასთან და მხედრობასთან ერთად, ეს მიგვიყვანს ჩვენ გამარჯვებამდის და აქედან ქართველი ერი უფრო გაბრწყინებული გამოვა (ტაში).

***

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა (რიგგარეშე)

1921 წ. 28 თებერვალი, ქ. ქუთაისი

ქართველ ხალხს დამფუძნებელ კრებისაგან

დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა რა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის მოხსენება და გაითვალისწინა რა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, მიმართავს ქართველ ერს შემდეგი მოწოდებით:

„მუხანათი მტრის შემოსევის გამო თფილისი დროებით მოსწყდა საქართველოს, ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა თავდებია, რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი დაბრუნებულ იქნება თავისუფალ რესპუბლიკის წიაღში.

დამფუძნებელი კრება განაგრძობს მუშაობას ქ. ქუთაისში, რომ აღასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე იგი მზად არის მთელი თავისი ძალღონე შესწიროს ხალხის კეთილდღეობას და შემოსეული მტრისაგან სამშობლოს დაცვას.

ეს მტერი აწარმოებს დაპყრობის და განადგურების პოლიტიკას, მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. მისი განზრახვაა ქართველ ერს ხელი ააღებინოს თავის ოჯახზე, მიწაწყალზე და სახლკარზე, ხელფეხი შეუბორკოს მას და თავის ყურმოჭრილ მონათ აქციოს.

შემოსეული ბოლშევიკები აწიოკებენ ხალხს, ყველა 50 წლამდის იძულებით მიჰყავთ თავის ჯარებში და საომრად გზავნიან რუსეთისა და სხვა შორეულ ფრონტებზე.

ასე მოიქცნენ ბოლშევიკები ყველგან, სადაც გაიმარჯვეს, ასეთი დღე დააყენეს რუსეთის ყოფილ მთლიან ტერიტორიაზედ აღორძინებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და ასეთივე ბედის წინ სდგას ჩვენი თფილისიც.

თავისუფალი ერი ვერასოდეს ვერ შეურიგდება ამისთანა სიცოცხლეს. სხვისი ინტერესებისათვის სიკვდილს, უცხო ქვეყნებში უაზროდ თავისი სისხლის დაქცევას, ჩვენი ხალხი ამჯობინებს სამშობლო კერისათვის თავდადებას.

ამ განსაცდელის ჟამს მან უკვე გამოიჩინა და იჩენს უდიდეს გმირობასა და ერთსულოვნებას.

ჩვენ მარტონი არა ვართ. ევროპის მუშათა კლასმა უკვე აღიმაღლა ხმა ჩვენს სასარგებლოდ და ბალშევიკური თავდასხმელების წინააღმდეგ, საერთაშორისო დემოკრატია ვერ მოითმენს წითელი იმპერიალიზმის მიერ დემოკრატიულ საქართველოს ფეხქვეშ გათელვას. ევროპიდან უკვე ვღებულობთ ნივთიერ დახმარებას და საფრანგეთის საზღვაო ძალები ჩვენ ჯარებთან შეთანხმებით იცავენ საქართველოს მიწა-წყალს.

ჩვენ შინაგან სიმტკიცეზე, ჩვენი ბრძოლის უნარზეა დამოკიდებული, რომ ეს დახმარება კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაძლიერდეს.

მთელი საქართველო დღეს უნდა გადაიქცეს ერთ სამხედრო ბანაკად და თავის მამაც ჯარსა და გვარდიას გვერდში ამოუდგეს. მთავრობა და სარდლობა თავის მხრით ყოველი ღონისძიებით სცდილობენ, რომ ხალხის თავგანწირული ბრძოლა მისი სრული გამარჯვებით გათავდეს.

დამფუძნებელი კრება მოუწოდებს ქართველ ერს მტკიცე და შეურყეველი რწმენით დადგეს სამშობლოს კერის სადარაჯოზედ.

გაუმარჯოს დამოუკიდებელს, თავისუფალ საქართველოს“!

1921 წ. 28 თებერვალი.

გაზ. „ერთობა“, № 45. ოთხშაბათი, 2 მარტი, 1921 წ.

***

თავდაცვის კოლეგიის არჩევა

მოწოდების ტექსტის მიღების შემდეგ (ტექსტი უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის მე 45 ნომერში) დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად აირჩია თავდაცვის კოლეგია, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება მთავრობასთან და სარდლობასთან, ეცოდინება ყოველივე ზომა მათი და დამაკავშირებელი იქნება დამფუძნებელ კრებისა და მთავრობის. კოლეგიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი (ერთი წევრი თითო ფრაქციიდან): ნიკო ელიავა (ს. დ.), გრიგოლ ვეშაპელი (დემოკ. პარტ.), გრიგოლ რცხილაძე (სოც. ფ.), ივანე გობეჩია (ს. რ.), ნიკოლოზ იმნაიშვილი (დამ. სოც. დემ.).

შემდეგ თავმჯდომარე კარლო ჩხეიძემ მიმართა დამფუძნებელ კრების წევრებს და დაუსახა მათ მომავალი გეზი პროვინციაში მუშაობის დროს.

დამფუძნებელი კრების სხდომები დროებით შესწყდა. მისი მომავალი სხდომების მოწვევა მიენდო პრეზიდიუმს, როდესაც ის საჭიროდ დაინახავს.

სხდომის დასასრულს დამფუძნებელმა კრებამ დაავალა პრეზიდიუმს გაუგზავნოს მიმართვანი ევროპის სახელმწიფოებს, პარლამენტებს ამ ვერაგულ შემოსევის შესახებ. მიღებულ იქნა ერთხმად წინადადება, რომ მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ჩვენს სახელოვან მხედრობას.

გაზ. „ერთობა“, № 47. პარასკევი, 4 მარტი, 1921 წ.

***

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიმართვა პარლამენტებისადმი

ინგლისის თემთა პალატას,
საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის პარლამენტებს,
გერმანიის რაიხსტაგს.

სამი წელი სრულდება, რაც საქართველომ დამოუკიდებლობის დროშა აღმართა.

ამ ხნის განმავლობაში ქართველი ერი დაუღალავი ენერგიით აშენებდა დემოკრატიულ სახელმწიფოს.

ყოფილი რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიის სივრცეზე საქართველო ერთად ერთი ბედნიერი კუთხე იყო თავისი მშვიდობიანობით და წესრიგით, თავისი ხელუხლებელი, გაუნადგურებელი დაბა-ქალაქებით და სოფლებით.

სამი წლის განმავლობაში საქართველომ სამჯერ გმირულად მოიგერია გარეშე მტრის შემოსევა, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი მაგალითი, რომ ქართველ ლაშქარს სხვისი ტერიტორიის დაპყრობა განეზრახოს.

დღეს, სწორედ მაშინ, როცა მთელმა განათლებულმა ევროპამ სცნო საქართველო თავისი ოჯახის სრულუფლებიან წევრად, ბალშევიკური რუსეთის დამშეული „წითელი“ არმია ომის გამოუცხადებლათ ოთხის მხრით დაესხა ჩვენს ქვეყანას.

სამმილიონიანი ხალხის ლაშქარი თავდავიწყებით იგერიებს ძლიერ მტერს.

საქართველოს გული – მისი მთავარი ბურჯი – თფილისი ამ ჟამად მტრის ხელშია, მაგრამ ქართველ ხალხს იარაღი არ დაუყრია: მას გადაწყვეტილი აქვს ებრძოლოს მოსეულ მტერს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე განაგრძოს ქვეყნის დაცვა საშინელი განადგურებისაგან.

საქართველო პატარაა და სრულიად ობლად ებრძვის მრავალრიცხოვან გააფთრებულ მტერს.

მთელი განათლებული კაცობრიობისაგან ცნობილი ქვეყანა იბრძვის თავისი უწმინდესი უფლებისათვის, თავისი ორი ათასი წლის კულტურის დასაცავად, თავისი ხალხის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად.

და ეს ბრძოლა ქართველი ხალხისა ბალშევიზმის წინააღმდეგ არის ამასთანავე ბრძოლა ევროპის კულტურის დასაცავად, რადგანაც საქართველოში ბალშევიზმის გამარჯვება დიდ მუქარას უმზადებს მთელ განათლებულ კაცობრიობას. საქართველო სრული გაჟლეტის საფრთხის წინაშე სდგას. მას ესაჭიროება სასწრაფო დახმარება, ხოლო არა მარტო ზნეობრივი, არამედ – რეალურიც.

საქართველოს დამფუძნებელი კრება მოუწოდებს თქვენს ხალხს – აღმოუჩინოს ჩვენს ქვეყანას ეს დახმარება.

გაზ. „ერთობა“, № 47. პარასკევი, 4 მარტი 1921 წ.

***

გაზეთ „ერთობის“ სარედაქციო სტატია

28 თებერვალს ქუთაისში შესდგა დამფუძნებელი კრების სხდომა. ის გარემოება, რომ დამფუძნებელი კრება ქუთაისში შეიკრიბა, ერთის მხრით მწუხარების აღმძვრელია, მეორე მხრით – იგი სასიხარულო და დამაიმედებელიც არის. სამწუხაროა ეს გარემოება მით, რომ დამფუძნებელი კრების პირდაპირი ალაგი თფილისია, ის თფილისი, რომლის დროებით დაკარგვამ აიძულა საქართველოს უზენაესი დაწესებულება გადმოეტანა თავისი მუშაობა ქუთაისში. უკვე ის, რომ ეს იძულებით მოხდა, ყოველი ქართველის გულს სევდით ავსებს, მაგრამ ყოველი მოქალაქის გულში იმავე დროს აღვივებს და აცხოველებს მტერთან თავგანწირული ბრძოლის წადილს თფილისის დასაბრუნებლად.

მაგრამ დამფუძნებელი კრების მუშაობის განახლება ქუთაისში მრავალი იმედების აღმძვრელიც არის. მტერი მოადგა ჩვენს ქვეყანას დიდძალი

ჯარით, მაგრამ ეს ჯარი თითქმის მთლიანად თფილისს ეკვეთა. მტერმა დააწვინა თფილისის მისავალთან ურიცხვი ჯარისკაცი, არ დაიშურა მათი სიცოცხლე, მათი რიცხვი, ოღონდ კი თფილისი აეღო. აურაცხელის მსხვერპლის გაღებით მან მოახერხა თფილისის ხელში ჩაგდება. მან იცოდა რას შვრებოდა, როდესაც ამოდენა მსხვერპლს იღებდა. მას იმედი ჰქონდა, რომ აღება საქართველოს გულისა ერთბაშად შესწყვეტს მთელი საქართველოს მაჯისცემას, რომ თბილისის მის ხელში გადასვლით ერთბაშად მოდუნდება და ჰაერში დარჩება გამოკიდებული ყველა ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, – მთავრობა, დამფუძნებელი კრება, ადგილობრივი თვითმმართველობანი, მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი.

სხვაგან, ნაკლებ დემოკრატიულ და ნაკლებ განმტკიცებულ სახელმწიფოში ეს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ მტრის განზრახვა არ გამართლდა საქართველოში. ამის მომასწავებელია დამფუძნებელი კრების მუშაობის განახლება ქალაქ ქუთაისში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ორგანოს გუშინდელი სხდომა ყოველმხრივ საიმედო და გამამხნევებელი გამოდგა. ამ სხდომამ გვიჩვენა, რომ მტრის შემოსევამ, თბილისის დაჭერამ, ათასმა უბედურებამ, რაც ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა, სრულებითაც ვერ შეარყია ჩვენი სახელმწიფო; იმ საშინელმა ურუოს ცემამ, რომლითაც მტერს უნდოდა დაენგრია ჩვენი სახელმწიფოებრივი შენობა, ვერ მოშალა, ვერ შეარყია ვერც ერთი არსებითი ნაწილი ამ შენობისა.

დამფუძნებელი კრება უწინდებურად დგას თავის სადარაჯოზე და უწინდებურობაზე უფრო განმზადებულია საბრძოლველად. ის კილო, რომლითაც იგი ლაპარაკობს, უწინდებურზე უფრო მრისხანე და მტერთან ბრძოლის ჟინის მაჩვენებელია; ყველა მისი პარტიები გაერთიანებული და შეთანხმებულნი არიან ისე, როგორც არასდროს.

თავის ალაგას უკლებლივ დგას მთელი მთავრობა, რომელსაც ჯერ წარბიც არ შეუხრია და რომლის გულში უწინდებურზე მეტად ელვარებს სამშობლოდან მტრის განდევნის წადილი და იმედი.

ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალა მთლიანად, უკლებლივ დგას ბრძოლის ველზე, წინანდელზე უფრო ძლიერია იგი მაშველ ძალების მიმატებით; ბრძოლისათვის კიდევ უფრო მეტად გამზადებულია, ვიდრე იყო თბილისის მთებზე და ელოდება იმ ნეტარ ჟამს, როდესაც ადგილობრივი პირობები და სტრატეგიული მოსაზრება შეძლებას მისცემს მას ეკვეთოს მის სამშობლოში შემოჭრილ მტერს.

ჩვენი ერის დემოკრატიული ორგანიზაციები, ქალაქის თვითმმართველობა, ერობა, თემი, კერძო დაწესებულებები, კერძო პირები, მთელი ხალხი, ფეხზეა დამდგარი ისე, როგორც არასდროს, მთელი ხალხი მზად არის თავისი სარჩო-საბადებელი შესწიროს ქვეყნის ხსნის საქმეს.

ეს სურათი გადიშალა დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქალაქ ქუთაისში. მტრისთვის გულში ლახვრის ჩამცემი გამოდგა ეს სხდომა და მოკეთის გამამხნევებელი და დამაიმედებელი. თბილისი მოსტაცა მტერმა საქართველოს, მაგრამ იგი დარწმუნდება, რომ ეს გარემოება კი არ გაუადვილებს, არამედ კიდევ უფრო გაუძნელებს მას ბრძოლას, მტერი დაინახავს, რომ ის ტკივილი, რომელიც მიაყენა მან საქართველოს თბილისის წართმევით, კი არ მოადუნებს, კი არ მოღუნავს ჩვენს ხალხს, არამედ ლომივით გაამწარებს მას და ზღვევის წადილს აუგზნებს გულში.

ამის მაუწყებელია დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა.

გაზ. „ერთობა“, № 45. ოთხშაბათი, 2 მარტი, 1921 წ.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

სხდომა: რიგგარეშე

დამფუძნებელი კრების დელეგატთა სხდომა

1921 წ. 15 მარტი, ქ. ბათუმი

(...) დამფუძნებელი კრება არ შესდგა და თათბირი გაიხსნა. (გარეშე ხალხი) აუარებელია. გაიხსნა თათბირი, ყველა ფრაქციები უსაყვედურებ-დენ ჩვენს ფრაქციას, რომელსაც თითქოს განზრახ არ ნდომოდეს, რომ დამ-ფუძნებელი კრება შემდგარიყო. თავმჯდომარე აცხადებს (144) სხდომა უნდა გადაიდვას 8 საათისთვისო. ფრაქციები მოითხოვდენ, რომ ამ დაპირებულ დროს მაინც უსათუოდ შემდგარიყო კრება.

კრება გაიხსნა 8 ½ საათზე საღამოს კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

მთავარი მოხსენება გააკეთა ნოე რამიშვილმა, რომელსაც თვითონ საჭ-�ოთ მიაჩნდა მთავრობის არჩევა. საჭირო იყო თავდაცვისა და მთავრობის ნდობა. უნდა [ხელნაწერი არ იკითხება] დამოუკიდებელ სოც. დემოკრატების, ნაც. დემოკრატების, ფედერალისტების, ნაციონალისტების. უფრაქციო პავ-ლე საყვარელიძე უსაყვედურებდენ მთავრობას საერთოდ და კერძოდ, უკ-მაყოფილებას გამოსთქვამდენ სამხედრო სამინისტროზე პარმენ ჭიჭინაძის მეთაურობით. მეტი არადამაჯერებლობა არის, მაგრამ იმედს გამარჯვების მაინც პოულობენ თითქოს და მოითხოვდენ [მთავრობის] გადადგომას და [სო-ციალ-დემოკრატთა] ფრაქციას უნდობლობას უცხადებდენ [ხელნაწერი არ იკითხება] და მოითხოვდენ მის რეორგანიზაციას.

მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც ნდობას უცხადებდა მთავრობას და თა-ვდაცვის საჭიროებას აღნიშნავდა. 42 ხმით 22 ის წინააღმდეგ დამატებით რეზოლიუცია საქართველოს დაცვის შესახებ, ქონების, რომელიც მიემართე-ბა საზღვარგარეთ, გაზიდულობის, რომ ბოლშევიკებს არ ჩაეგდოთ ხელში მიღებულ იქნა ერთხმათ.

კრება დაიხურა ღამის 1 საათზე დაახლოებით.

იონა თოდუა. „გაქცევის დღიური“.
წიგნიდან : ქრისტინე (ბადუ) თოდუა – წულუკიძე.
„ჩემი თავგადასავალი და ზოგიერთნი მოგონებანი“.
თბ. „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია:. 2910. გვ. 143-144.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

სესია II

დამფუძნებელი კრების დელეგატთა სხდომა

1921 წ. 17 მარტი, ქ. ბათუმი

ბათუმი. ქალაქის საკრებულოს შენობა.

„ბათუმის დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა – გაიგზავნოს საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული მთავრობა ბატონ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მას ეძლეოდა უფლება შეედგინა კოალიციური მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ორი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული, ეღთი – ეროვნულ-დემოკრატიული და ერთი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიების. ბატონ ნოე ჟორდანიას ეძლეოდა უფლება თვითონ დაენიშნა თავისი მოადგილე. მთავრობას მიეცა უფლება თან წაეყვანა მუშაობისთვის აუცილებელი სპეციალისტები და პიროვნებები.

მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოს და ქართველი ერის ინტერესები მთელი დედამიწის მთავრობებისა და ერების წინაშე.

ამავე კრებაზე დამფუძნებელმა კრებამ მოუწოდა ქართველი ერი და მისი ინტელიგენცია დარჩენილიყვენ და ხალხთან და მისი ბედიღბალი გაეზიარებინათ. მხოლოდ მათ, ვისთვისაც მოსალოდნელი იყო რეპრესიები ბოლშევიკების მხრივ მათი მუშაობისთვის დამოუკიდებლობის დროს, ეძლეოდათ უფლება წასულიყვენ ემიგრაციაში.

ასეთი იყო უკანასკნელი დადგენილება თავისუფალი ქართველი ერის თავისუფლად არჩეული პარლამენტისა. ამიტომ, სანამდე ქართველი ერი არ იქნება თავისუფალი და მას არ ექნება შეაძლებლობა, დადგენილება სავალდეულო რჩება ყველა ქართველისთვის და საქართველოს მოქალაქისათვის.

თანახმად ამ დადგენილებისა მთავრობამ გადაწყვიტა მთავარსარდალი და მე [გენერალი ალ. ზაქარიაძე] აუცილებლად წავყოლოდით მას. გარდა ამისა, ეძლეოდა უფლება ემიგრაციაში წასვლისა: მთელს პირად შემადგენლობას ჩემი შტაბისა და სამხედრო სკოლისა, აგრეთვე, უფროს ოფიცრობას, ვინც კი მოისურვებდა.

მთავრობის ბრძანების მიხედვით, 17-18 მარტს, ღამით, მთავარსარდალმა გასცა თავის უფლება – თანამდებობა გენერალ ვარდენ წულუკიძეს, მე კი, – ჩემს თანაშემწეს, პოლკოვნიკს ნიკოლოზ გედევანიშვილს, რომლებმაც

გადაწყვიტეს საქართველოში დარჩენა. 18 მარტს გამთენიისას ჩვენ გადავედით გემებზე საფრანგეთის მფარველობის ქვეშ.

ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ ბათუმში ბრძოლები გრძელდებოდა. 18 მარტს მთავარ სარდალი და მე რამოდენიმეჯერ გავედით ხმელეთზე ინფორმაციების მისაღებად. აქ გავიგეთ, რომ ახლადშემდგარ ბოლშევიკურ კომიტეტს მთავარსარდლად დაუნიშნეს ბატონი გიორგი მაზნიაშვილი გენერალ ვარდენ წულუკიძის მაგიერ.

დაახლოებით ნაშუადღევის 5 საათზე, ჩვენი გემები ნავსადგურიდან გავიდენ ზღვაში და გაეშურენ კონსტანტინოპოლისაკენ.

გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე. მოგონებები.

***

ამხ. სერგო ქავთარაძის დეპეშა

ამხ. ქავთარაძემ ბათომიდან დეპეშით აცნობა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევკომს:

„ხვალ ფოთით ვგზავნი სახელმწიფო ბანკს.

გთხოვთ გამოგზავნოთ სპეციალური მატარებელი პარტიების, ფაქციების და დამფუძნებელი კრების წევრთა წასაყვანად. მათ გადასწყვიტეს შეიკრიბნენ თბილისში, რათა ერთხმად მიღებულ რეზოლიუციით დაგმონ წინანდელი მთავრობა. მე პრინციპულად მოვიწონე მათი გადაყვეტილება.

მასები მშვენიერ გუნებაზე არიან. ხელისუფლების ავტორიტეტი მეტად მაღლა დგას. ინტელიგენცია ბეჯითად თხოულობს სამუშაოს. აუცილებლად ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ ბათუმის მოსახლეობის შესამცირებლად. უცხოეთის კომერციულ წრეების ნდობა იზრდება. იტალიელი გემი „გეორგი“ წავიდა ტვირთით. კიდევ ველით გემების მოსვლას.

მე ორი კომისია დავნიშნე აჭარისა და ქობულეთის ხალხისთვის ჯარისაგან მყენებული ზარალის გამოსარკვევად. მინიმალური ზარალის ანაზღაურება იქნება მათთვის მანუგეშებელი“.

გაზ. „კომუნისტი“, № 25. 1 აპრილი, 1921 წ.

დამატებები

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ

1921 წლის 21 თებერვალს

თავი 1

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.

მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია. სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 7.

ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 8.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა–გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 11.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

თავი 2

მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.
საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.
მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

თავი 3

მოქალაქის უფლებანი

მუხლი 16.
მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.
წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.
ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია. ორდენი გაუქმებულია. საომარ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 19.
სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 20.
არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მუხლი 21.
ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 22.
პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 23.

ადმინისტრაციას შეუძლია თავისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას მიასწრებს;

ბ) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმომქმედს ხელს დაადებს;

გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მუხლი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც; თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მისვლამდის მისი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 27.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთუ რაიმე გზით და საშვალებით ემცნოთ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობისა.

მუხლი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 29.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია; მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევის, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მუხლი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მუხლი 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 34.

თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მუხლი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

მუხლი 36.

გონებრივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 37.

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მუხლი 38.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მუხლი 39.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მუხლი 40.

ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას;

ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა;

აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს იძიოს თავისი მამა.

მუხლი 41.

პოლოტიკური დევნილი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

მუხლი 42.

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის, ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

მუხლი 43.

ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, და 38, ომის დროს კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დაგენილება წარუდგინოს.

მუხლი 44.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-22, 25, 26 და 30 მუხლებში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მუხლი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

თავი 4

პარლამენტი

მუხლი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 47.

პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს; შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

მუხლი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს, ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მუხლი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მუხლი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 52.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მუხლი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 54.

პარლამენტის უფლებაა:

ა) კანონმდებლობა;

ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

გ) ომის გამოცხადება;

დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარ ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;

ე) ამნისტია;

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;

ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;

ც) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და

თ) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მუხლი 55.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა ფარულად გამოაცხადოს.

მუხლი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მუხლი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მუხლი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მუხლი 59.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

მუხლი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტს და თავის მოქმედების წესს.

მუხლი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

მუხლი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს. პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

მუხლი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და

ბ) 5.000 ამომრჩეველს.

მუხლი 64.

თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხახლს წარუდგინოს. რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

თავი 5

აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 66.

უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 67.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 68.

მთავრობის დანარჩენ წევრებს – მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მუხლი 69.

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი.

მუხლი 70.

მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია თავმჯდომარეს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღ-

სრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისამებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება იმის გარდა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მუხლი 71.

მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

მუხლი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;

ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული;

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა;

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა;

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის:

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტიდან უნდა მიიღოს ნებართვა;

ზ) განაგოს ფინანსები, სჭრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ–გასავლის სავარაუდო აღრიცხვა ბიუჯეტი;

თ) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება. უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

ი) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მუხლი 73.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითოეული მათგანი დამოუკიდებლად და პარ-

ლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

მუხლი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს, თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

მუხლი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

თავი 6

სასამართლო

მუხლი 76.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვას, და

ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მუხლი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწამოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მუხლი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 81.

მძიმე სისხლის სამართლისა, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მუხლი 82.

მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, კანონით განისაზღვრება.

მუხლი 83.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლოში ან გამოძიებაში არის მიცემული.

სრულიად დათხოვნა კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით.

თავი 7

სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 84.

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს.

მუხლი 85.
სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

მუხლი 86.
თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მუხლი 87.
პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და ან რაიმე ფინანსური ვალდებულება.

მუხლი 88.
სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მუხლი 89.
თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს პარლამენტის ნებართვით.

მუხლი 90.
ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

თავი 8

სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 91.
სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:
ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;
ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი;

გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, და
დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

მუხლი 92.
სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მუხლი 93.
კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

თავი 9

სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 94.
ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

მუხლი 95.
სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 96.
სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 97.
სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

თავი 10

ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 98.

ადგილობრივი თვითმმათველობა არის ამავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 99.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია, უფლება–მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 100.

ადგილობრივ თვითმმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 101.

ადგილობრივი თვითმმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მუხლი 102.

ადგილობრივ თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 103.

მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეარჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 104.

ადგილობრივი თვითმმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთვარობის ცენტრალურ ორგანოებს.

მუხლი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალურ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 106.

ადგილობრივ თვითმმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

თავი 11

ავტონომიური მმართველობა

მუხლი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებელ იქნება ცალკე კანონით.

თავი 12

სწავლა-განათლება და სკოლა

მუხლი 109.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია: სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 110.

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მუხლი 111.

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ

მიეცეს. ამ მიზნით განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად.

მუხლი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

თავი 13

სოციალ-ეკონომიკური უფლებანი

მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

მუხლი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 116.

წვრილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის – შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მუხლი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმმართველობას ევალება დაარსოს შრომის ბირჟა, საშვამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში. ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით, ან დაზღვევის სახით.

მუხლი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

მუხლი 123.

ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობისა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია: 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში. არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოკიდებული უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მუხლი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში: მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად. დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

თავი 14

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.

მუხლი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულების (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მუხლი 131.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მუხლი 132.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 134.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 135.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 136.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20 %-ს, ამ ეროვნულ

უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც.

მუხლი 137.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

თავი 15

სახელმწიფო მოხელენი

მუხლი 138.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 139.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარულ წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული, ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 140.

თვითეულ მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 141.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისამებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

თავი 16

სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 142.
სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოკიდებულნი არიან.

მუხლი 143.
არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144.
ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

თავი 17

კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 145.
კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:
ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა და
ბ) 50.000 ამომრჩეველსა.

მუხლი 146.
წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 147.
კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.

მუხლი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მართვა-გამგეობას ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

მუხლი 149.

პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგივრობას გასწევს დამფუძნებელი კრება.

სტამბა ნიკოლოზ ი. ხვინგიასი.
ბათომი, [მარტი] 1921 წელი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების რეგლამენტი

თავი 1

დამფუძნებელი კრების გახსნა და დამფუძნებელი კრების წევრთა რწმუნებულობის შემოწმება:

§ 1. დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას გახსნის მისი უხუცესი წევრი, რომელიც მუდმივი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს. მდივნის თანამდებობას იმავე დროს ასრულებს დამფუძნებელი კრების ყველაზე უმცროსი წევრი.

შენიშვნა: წლოვანებას არკვევს დამფუძნებელი კრების კანცელარია, თანახმად წევრთა მიერ წარმოდგენილი ცნობისა.

§ 2. თავმჯდომარისა და მდივნის არჩევამდე დამფუძნებელი კრება სხვა საკითხებს არ შეეხება.

§ 3. თავის წევრთა არჩევანის კანონიერების განსახილველად დამფუძნებელი კრება აირჩევს სამანდატო კომისიას.

§ 4. თავის მოხსენებას არჩევანის გაუქმების გამო კომისია წერილობით წარუდგენს განსახილველად დამფუძნებელ კრებას. ამ შემთხვევაში უნდა დაცულ იყოს მე-33 მუხლში აღნიშნული წესი.

§ 5. დამფუძნებელი კრების თვითეული წევრი სარგებლობს წევრის სრული უფლებით იმ დრომდე, სანამ მიღებული არ იქნება დადგენილება მისი არჩევანის გაუქმებისა.

თავი 2

თანამდებობის პირთა არჩევანი.

§ 6. დამფუძნებელი კრება აირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიაც შედიან თავმჯდომარე, მისი ამხანაგები, მდივანი და მისი ამხანაგები. პრეზიდიუმის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს თვით დამფუძნებელი კრება.

§ 7. წინა მუხლში (6) აღნიშნულ თანამდებობათა კანდიდატებს ასახელებენ ბარათებით. კენჭი ეყრება იმ კანდიდატებს, რომელნიც ამის თანხმობას განაცხადებენ.

§ 8. არჩევანი მოხდება ფარული კენჭის ყრით ბარათებით.

§ 9. არჩეულად ის ჩაითვლება, ვინც ნახევარზე მეტ ხმას მიიღებს. თუ კანდიდატებმა თანაბარი ხმა მიიღეს მათ წილს უყრის თავმჯდომარე.

§ 10. თუ ნახევარზე მეტი ხმა არავის ამოუვიდა, მოხდება ახალი არჩევანი (მუხ. მე-7 და მე-8). თუ მეორე არჩევანის დროსაც ნახევარზე მეტი ხმა არავინ მიიღო, არჩეულად ჩაითვლება ის, ვისაც მეტი ხმა ამოუვა.

§ 11. მე-6 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთ აირჩევენ ერთი სესიის ვადით. ისინი განაგრძობენ თავის მოვალეობის ასრულებას შემდეგი სესიის დასაწყისში სათანადო თანამდებობის პირთა არჩევამდე.

§ 12. თუ მე-6 მუხლში აღნიშნული რომელიმე თანამდებობა ვადის გასვლამდე განთავისუფლდა, ეს უნდა ეცნობოს მახლობელ სხდომაზე დამფუძნებელ კრებას, რომელიც დანიშნავს ახალი არჩევანის დღეს. ახლად არჩეული პირი თანამდებობაზე დარჩება იმ ვადამდე, როდემდისაც არჩეული იყო მისი წინამოადგილე.

თავი 3

დამფუძნებელი კრების კომისიები.

§ 13. დამფუძნებელ კრებას შეუძლიან წინასწარი განხილვა საქმეებისა თავის არჩეულ კომისიას მიანდოს.

§ 14. დამფუძნებელი კრება კომისიებს აირჩევს ფარული კენჭის ყრით, თუ ამას რომელიმე წევრი მოითხოვს.

§ 15. არჩეულად ჩაითვლება დამფუძნებელი კრების ის წევრი, რომელიც ნახევარზე მეტ ხმას მიიღებს. თუ ამნაირის წესით კომისიის სრული შემადგენლობა არჩეული ვერ იქნა, მაშინ მოხდება მეორე დამატებითი არჩევანი. ამ შემთხვევაში არჩეულად ის ჩაითვლება, ვინც სხვასთან შედარებით მეტ ხმას მიიღებს.

§ 16. დამფუძნებელი კრება აირჩევს: 1) მუდმივ კომისიებს, რომელთაც ექნებათ განსაკუთრებული ვალდებულებანი ან დაევალებათ განხილვა ერთგვარი კანონ-პროექტებისა და საკითხებისა (კანონმდებლობის განსაკუთრებული განყოფილებისა) და 2)დროებით კომისიებს, რომელთაც განსახილველად ექნებათ განსაზღვრული კანონპროექტები და საკითხები.

§ 17. მუდმივი კომისიებია: 1) საკონსტიტუციო, 2) საფინანსო-საბიუჯეტო, რომელსაც დაევალება განხილვა შემოსავალ-გასავალის პროექტისა უწყებათა საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად, განხილვა სახვა და სხვა ხარჯისა, რომელიც ხაზინამ უნდა გაიღოს და აგრეთვე წინასწარი განხილვა იმ საქმეებისა, რომელნიც საფინანსო კანონმდებლობას შეეხება,

3) სარედაქციო, რომელსაც დაევალება დამფუძნებელი კრების მიღებულ კანონპროექტის საბოლოო ტექსტის შემუშავება; 4) საბიბლიოთეკო, რომელიც განაგებს დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკას. 5) სამეურნეო საგამგეო, რომელიც განაგებს დამფუძნებელი კრების სამეურნეო საქმეებს.

შენიშვნა: დამფუძნებელ კრებას შეუძლიან თუ საჭიროდ დაინახავს, სხვა მუდმივი კომისიებიც აირჩიოს.

§ 18. კომისიების წევრთა რიცხვს განსაზღვრავს თვით დამფუძნებელი კრება.

§ 19. მუდმივი კომისიების არჩევნები მოხდება ყოველ სესიის დასაწყისში.

§ 20. მუდმივი კომისია განაგრძობს მოქმედებას ახალი შედგენილობის არჩევამდე. დროებითი კომისია გაუქმებულად ჩაითვლება იმ დროიდან, როცა დამფუძნებელი კრება საბოლოოდ გადასჭრის საკითხს, რომლისთვისაც ეს კომისია იყო არჩეული.

§ 21. კომისიის პირველ სხდომას იწვევს დამფუძნებელი კრების მდივანი თავმჯდომარის განკარგულებით, არა უგვიანეს სამის დღისა კომისიის არჩევის შემდეგ. კომისიის პირველ სხდომას გახსნის უხუცესი წევრი. პირველი სხდომა კანონიერად ჩაითვლება თუ წევრთა ნახევარზე მეტი დაესწრო; შემდეგნი კი თუ დაესწრო კომისიის მთელი შემადგენლობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა. ის კომისია, რომლის წევრთა კანონიერი რიცხვი სამჯერ მოწვევის შემდეგ არ შეიკრიბება, გაუქმებულად ჩაითვლება და ახალი არჩევანი დაინიშნება.

§ 22. კომისია პირველ სხდომაზევე აირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. სურვილისამებრ შეუძლია თავმჯდომარის ამხანაგებიც აირჩიოს. არჩევანი მე-9 და მე-10 მუხლში აღნიშნულ წესით სწარმოებს. შედეგი არჩევანისა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს.

§ 23. არავის შეუძლიან იყოს ერთსა და იმავე დროს ორი კომისიის თავმჯდომარედ და მდივნად.

§ 24.კომისიას შეუძლიან თავის წრეში ამოირჩიოს მცირე კომისია. მცირე კომისიის არჩევნების წესს თვით კომისია განსაზღვრავს.

§ 25. თუ კომისია საჭიროდ სცნობს მოისმინოს მთავრობის წევრთა, ან სხვა თანამდებობის პირთა სიტყვიერი განმარტებანი, ან რაიმე საბუთი განიხილოს, უნდა აცნობოს სათანადო პირთ და დაწესებულებებს, რომელნიც ვალდებულნი არიან კომისიის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. მთავრობის წევრს უფლება აქვს თავის მხრით წარუდგინოს კომისიას თავისი განმარტება, ან გასასინჯველად გადასცეს საბუთები და ქაღალდები.

§ 26.კომისიები, თუ საჭიროდ დაინახავენ, მცოდნე პირებს მოიწვევენ, დამფუძნებელი კრების წევრებს შეუძლიანთ სათათბირო ხმის უფლებით დაესწრონ კომისიის სხდომებს.

§ 27. კომისიის მდივანი აწარმოებს სხდომის ჟურნალს, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: სხდომის დრო, დამსწრეთა სახელი და გვარი, სია განხილუ-

ლი საკითხებისა, კომისიაში შეტანილი სხვა და სხვა წინადადებანი, დადგენილებანი და დასკვნანი.

§28. კომისიის მოხსენებას, რომელიც წარედგინება დამფუძნებელ კრებას, კომისიის მოსაზრებათა და საქმის ვითარების აღნუსხვის გარდა, თან უნდა ახლდეს დასკვნა პროექტის სახით.

§ 29. კომისიაში კითხვები გადასწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. თუ ხმები თანასაწორად გაიყო, მიღებულად მიჩნეულ უნდა იყოს ის აზრი, რომელსაც თავმჯდომარე მიემხრობა.

§ 30. თუ საკითხის გამო რამდენიმე სხვა და სხვა დასკვნა იქნა წარმოდგენილი და უმრავლესობა არც ერთს არ მიემხრო, ამ შემთხვევაში კომისიის მოხსენებაში აღნიშნული უნდა იყოს ორი წინადადება, რომელსაც შედარებით წევრთა მეტი რიცხვი მიემხრო.

§ 31. კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს თავისი განსაკუთრებული აზრი წარუდგინოს კომისიას წერილობით. მაშინ კომისია ვალდებულია ის აზრი თავის მოხსენებასთან ერთად დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს განსახილველად.

§ 32. დამფუძნებელი კრების წინაშე განმარტების მისაცემად, ან წერილობითი მოხსენების წარსადგენად, კომისია ერთს ან რამდენსამე მომხსენებელს ამოირჩევს.

§ 33. კომისიის მოხსენება, დამფუძნებელ კრებაში წარდგენისათანავე, დამფუძნებელი კრების წევრებსა და მთავრობის სათანადო წევრებს გაეგზავნება. ამ დროიდან მოხსენების დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარდგენამდე უნდა გავიდეს არა ნაკლებ სამი დღისა.

შენიშვნა: ეს ვადა შეიძლება შემცირებულ იქნეს მხოლოდ დამფუძნებელი კრების დადგენილებით.

§ 34. თუ კანონ-პროექტი ერთზე მეტ კომისიას შეეხება, დამფუძნებელ კრებას შეუძლიან დაადგინოს, რომ ასეთი კანონ-პროექტი განხილულ იქნეს კომისიათა შეერთებულ სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარეს და მომხსენებელს კომისიათა შეერთებულ სხდომაზე ამოირჩევენ.

§ 35. როდესაც დამფუძნებელი კრება კანონ-პროექტს კომისიას გადასცემს განსახილველად, შეუძლიან მოსთხოვოს, რომ ამ კომისიამ თავის მოხსენებასთან ერთად წარმოადგინოს დასკვნა სხვა კომისიებისაც იმ საკითხისათვის, რომელიც სპეციალურ საგანს შეეხება.

§36. კომისია, რომელიც წარმოადგენს დასკვნას სპეციალურ საკითხის გამო, თავის განსაკუთრებულ მომხსენებელს ამოირჩევს დამფუძნებელი კრების სხდომის წინაშე ამ დასკვნის დასასბუთებლად.

§ 37. კომისიას, რომელსაც კანონპროექტის განხილვა აქვს დავალებული, შეუძლიან დამფუძნებელი კრების დაუდგენლადაც, გამართოს შეთანხმებული მუშაობა სხვა კომისიებთან. მოითხოვოს მათგან დასკვნა სპეციალური საკითხების გამო და სხვა. ასეთ შემთხვევაში მოწვეული კომისიის წევრები

კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ და არც თავის განსაკუთრებულ მომხსენებელს ამოირჩევენ.

§ 38. ისეთ შემთხვევაში, როდესაც კომისიას ჰსურს მონაწილეობა მიიღოს მეორე კომისიისათვის მინდობილ საქმის განხილვაში, ან ვერ შეუთანხმდება მეორე კომისიას საერთო მუშაობის დამყარების საკითხში, ან სურს უარი სთქვას დამფუძნებელი კრების დავალებაზე, დაინტერესებული კომისია სათანადო შუამდგომლობით მიმართავს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, რომელსაც ეს შუამდგომლობა შეაქვს განსახილველად დამფუძნებელ კრებაში თავის დასკვნასთან ერთად.

§ 39. მმართველობის ყოველი დარგის მოქმედების გამოსაძიებლად, სარევიზიოდ, საკონტროლოდ თუ სხვა მიზნისათვის დამფუძნებელი კრება აირჩევს განსაკუთრებულ კომისიას, ან პირს.

§ 40. ასეთ კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს როგორც საადმინისტრაციო და სამოსამართლო, ისე ადგილობრივ თვითმართველობათა დაწესებულებებსა და თანამდებობის პირთ ყოველი ცნობის წარმოდგენა და სიტყვიერი თუ წერილობითი განმარტების მიცემა. ეს პირნი და დაწესებულებანი ვალდებულნი არიან კომისიის მოთხოვნილება დაუბრკოლებლივ შეასრულონ.

§ 41. განსაკუთრებული უფლებები (როგორც მაგალითად სამსახურიდან გადაყენება, სამართალში მიცემა, დაპატიმრება და სხვ.) მიენიჭება თვითეულ კომისიას დამფუძნებელი კრების ცალკე დადგენილებით ან ინსტრუქციით.

§ 42. მე-40 მუხლში აღნიშნული ყოველი კომისია ცნობასა და ანგარიშს თავის მოქმედებისას წარუდგენს დამფუძნებელ კრებას, ან მის მიერ სპეციალურად არჩეულ ორგანოს.

თავი 4

საქმეთა განხილვის წესი

ნაწილი პირველი: საკონონმდებლო საქმეთა განხილვის წესი

§43. საკანონმდებლო საქმეს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს მას შემდეგ, როცა ეს საქმე განხილულ იქნება კომისიაში და უკანასკნელი წარმოადგენს სათანადო მოხსენებას.

§ 44. დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილ კაანონპროქტებისა და საკანონმდებლო წინადადებათა სია დამფუძნებელი კრების მახლობელ სხდომას უნდა წარედგინოს.

§ 45. კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების კომისიაში გა-

დაცემის შემდეგ, ყველა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც კომისიაში გადაცემულ საქმეს შეეხება, უნდა გადეცეს. მასალად იმავე კომისიას მე-44 მუხ. აღნიშნული წესით.

§.46.კომისიის მიერ დამფუძნებელ კრებაში შემოტანილი ყოველი კანონ-პროექტი უნდა განხილულ იქნეს სამჯერ.

§ 47. კანონპროექტის განხილვა იწყება მის ძირითად დებულებათა საზოგადო განხილვით (პირველი განხილვა). პირველი განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას ჰსურს თუ არა კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას შეუდგეს. თუ დამფუძნებელმა კრებამ მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა უარჰყო, კანონპროექტიც უარყოფილად უნდა ჩაითვალოს.

§ 48. პირველსა და მეორე განხილვის შუა უნდა გავიდეს არა ნაკლებ შვიდი დღისა. შესწორებანი და დამატებანი, ან დამატებითი მუხლები განსახილველი კანონპროექტისა უნდა წარედგინოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამის დღისა პირველი განხილვის შემდეგ. ეს დამატებანი და შესწორებანი პრეზიდიუმის განკარგულებით გაეგზავნება დამფუძნებელი კრების წევრებს ერთი დღით მაინც ადრე იმ სხდომამდე, როდესაც კანონპროექტის მეორე განხილვა არის დანიშნული.

§ 49. კანონპროექტის მეორე განხილვის მიზანია ცალ-ცალკე მუხლების განხილვა. ცალკე მუხლების განხილვის დროს, დამფუძნებელი კრების დადგენილებით, შეიძლება წესი მუხლობრივ განხილვისა შეიცვალოს, ან რამდენისამე მუხლის განხილვა შეერთდეს, ან ერთი მუხლი რამდენსამე ნაწილად დაიყოს და თვითეული ნაწილი ცალკე განხილულ იქნეს.

§ 50. შესწორებანი და დამატებანი თავმჯდომარემ უნდა გამოაქვეყნოს იმ მუხლის განხილვის დაწყებამდე, რომელსაც შესწორება, ან დამატება შეეხება, მუხლის განხილვის დროს შესწორებისა და დამატების შეტანა არ შეიძლება.

მომხსენებლის, ან მთავრობის წევრის განცხადებით შესწორებანი და დამატებანი დამფუძნებელი კრების სხდომის განხილვამდე კომისიას უნდა გადაეცეს წინასწარ განსახილველად. ამ შემთხვევაში მეორე განხილვა კანონპროექტისა ან ცალკე მუხლისა უნდა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ თავის დასკვნას არ წარმოადგენს კომისია, რომელსაც დამფუძნებელ კრებას შეუძლიან განსაზღვრული ვადა დაუნიშნოს, სარედაქციო ხასიათის შესწორება კენჭის უყრელად უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისიას.

§ 51. მუხლობრივ განხილვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხება კრებას: შეიწყნარებს თუ არა ის კანონპროექტს მიღებულ შესწორებით მთლიანად.

§ 52. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონპროექტი უნდა გადაეცეს სარედაქციო კომისას საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად, რომელიც მუხლობრივ განსახილველად (მესამე განხილვა) და დასამტკიცებლად წარედგინება დამფუძნებელი კრების სხდომას. ამ განხილვის დროს შეიძლება შეტანა მხოლოდ სარედაქციო შესწორებისა.

საბოლოო ტექსტი უნდა დაურიგდეს წევრებს ერთი დღით მაინც ადრე იმ სხდომამდე, რომლის დღიურ წესრიგშიაც არის იგი შეტანილი.

ნაწილი მეორე: შემოსავალ-გასავალის განხილვის წესი

§ 53. მთავრობის მიერ შეტანილი პროექტი შემოსავალ-გასავალისა და უწყებათა საფინანსო ხარჯთაღრიცხვანი, აგრეთვე დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მიერ შეტანილი ხარჯთაღრიცხვა დაუყოვნებლივ უნდა გადეცეს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

§ 54. ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტის განხილვა დამფუძნებელი კრება მას შემდეგ იწყებს, როცა წარმოდგენილ იქნება საბიუჯეტო კომისიის ყველა მოხსენება: 1) მთელი შემოსავალ-გასავალისა, 2) შემოსავალისა და ცალკე ხარჯების პროექტისა (ე.ი. სახელმწიფო გასავალის რამდენიმე ნომერთა კრებულისა).

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული წესი ხარჯთაღრიცხვის განხილვისა შეიძლება შეიცვალოს დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული დადგენილებით, თანახმად საბიუჯეტო კომისიის მოხსენებისა.

§ 55. საბიუჯეტო კომისიის მოხსენებათა გარჩევას დამფუძნებელი კრება შეუდგება არა უადრეს ერთი კვირისა დამფუძნებელი კრების წევრთათვის ამ მოხსენებათა დარიგების დღიდან.

შენიშვნა: მოხსენებანი კერძო ხარჯთაღრიცხვათა პროექტების შესახებ დამფუძნებელი კრების წევრებს დაბეჭდვისთანავე ურიგდება.

§ 56. პირველად უნდა განხილულ იქნეს ხარჯთაღრიცხვის პროექტის ძირითადი საფუძვლები (პირველი განხილვა). ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს კენჭის ყრით საკითხი მუხლობრივ განხილვაზე გადასვლის შესახებ.

§ 57. ყოველი შესწორება შემოსავალ-გასავალის კანონპროექტში შესატანად უნდა წარედგინოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს არა უგვიანეს პირველი განხილვის დამთავრებისა. პრეზიდიუმი ამ შესწორებებს გადასცემს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას სათანადო დასკვნის წარმოსადგენად და მეორედ განხილვამდე ერთი დღით ადრე მაინც ადრე დაუგზავნის ყველა წევრებს კომისიის დასკვნითურთ.

§ 58.არა უადრეს 7 დღისა პირველი განხილვის შემდეგ, უნდა მოხდეს მეორე განხილვა რომლის მიზანია შემოსავალ-გასავალის ცალ-ცალკე მუხლების განხილვა. თუ მუხლს თან ახლავს როგორც შემოსავალის, ისე გასავალის ნუსხა, პირველად უნდა განხილულ იქნეს და კენჭი ეყაროს გასავალის პროექტს.

§ 59.ხარჯთაღრიცხვის პროექტის განხილვა სწარმოებს ერთის მხრით ნომერთა რიგის მიხედვით და მეორეს მხრით ნომერთა იმ ჯგუფების მიხედვით, რომელნიც წარმოადგენენ ცალკე უწყებათა საფინანსო ხარჯების ნუსხას.

პირველად უნდა განხილულ იქნეს მთელი უწყების საფინანსო ხარჯთაღრიცხვის საზოგადო საფუძვლები, შემდეგ კი ხარჯთაღრიცხვის პროექტის ცალ-ცალკე მუხლები.

§ 60. შემოსავალის პროექტის განხილვის დროსაც პირველად უნდა მოხდეს მსჯელობა პროექტის საზოგადო საფუძვლის თაობაზე, შემდეგ კი მისი თვითეული პარაგრაფის გამო ცალ-ცალკე.

§ 62. წარმოდგენილი შესწორება და კომისიის დასკვნა უნდა მოხსენდეს დამფუძნებელ კრებას იმ დროს, როდესაც სათანადო ნომრის ან ნომერთა ჯგუფის (მუხ. 55) განხილვა დაიწყება. ამ დროს ახალი შესწორების შეტანა არ შეიძლება.

§ 63. როდესაც შემოსავალ-გასავალის ყველა მუხლის კენჭის დამთავრდება საბიუჯეტო კომისია წარუდგენს დამფუძნებელ კრებას შემოსავალ-გასავალის შესწორებულ პროექტს, რომელიც შედგენილი უნდა იქნეს თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ შესწორებებისა და ცვლილებებისა. ამის შემდეგ კენჭი უნდა ეყაროს შემოსავალ-გასავალის კანონ-პროექტის თვითეულ მუხლს ცალ-ცალკე, შემდეგ კანონპროექტს მთლიანად.

§ 64. თუ შესწორება აღნიშნულ ვადაზე გვიან არის შეტანილი და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა თავის დასკვნა ვერ წარმოადგინა, დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, სტოვებს შესწორებას განუხილველად, თუ შესწორების განხილვა გადააქვს იმ დროისთვის, როდესაც საბიუჯეტო კომისია თავის დასკვნას წარმოადგენს.

ამ დადგენილების გამოტანის წინ სიტყვა მიეცემა მხოლოდ შესწორების ავტორსა და საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელს.

ნაწილი მესამე: დეკრეტების განხილვის წესი.

§65. ყოველი წინადადება დეკრეტების, ინსტრუქციის და დაგენილების პროექტის სახით, შეტანილი დამფუძნებელ კრებაში, შეიძლება გადეცეს სათანადო კომისას კრების საგანგებო დადგენილებით თვითეულ შემთხვევაში. დამფუძნებელ კრებას შეუძლია კომისიაში გადაუცემლადაც განიხილოს ასეთი წინადადება.

ამ მუხლში აღნიშნული წინადადება უნდა დაურიგდეს დამფუძნებელი კრების წევრებს 24 საათით მაინც ადრე იმ კრების გახსნამდე, რომელზედაც განზრახულია მისი განხილვა.

§ 66. დეკრეტი, ინსტრუქცია და დადგენილება უნდა განხილულ იქნეს ჯერ საზოგადოდ და შემდეგ მუხლობრივ. საზოგადო და მუხლობრივი განხილვის შუა ინტერვალი სავალდებულო არ არის.

§ 67. დეკრეტი, ინსტრუქცია და დადგენილება გადეცემა სათანადო კომისიას თანახმად ამ რეგლამენტის მე-52 მუხლისა.

სარედაქციო კომისია ვალდებულია საბოლოო ტექსტი წარმოადგინოს იმავე ან შემდეგ სხდომაზე.

§ 68. უკეთუ დეკრეტი საკანონმდებლო ნორმას შეიცავს, დამფუძნებელ კრებას შეუძლია დაადგინოს მისი განხილვა საკანონმდელო წესით თანახმად ამა რეგლამენტის 4 თავის პირველი ნაწილისა.

ნაწილი მეოთხე: წესი ისეთი საქმის განხილვისა, რომელთაც საკანონმდებლო ხასიათი არა აქვთ.

§ 69.იმ საქმეს, რომელსაც საკანონმდებლო ხასიათი არა აქვს, სამჯერ განხილვის წესი არ შეეხება.

§ 70. დამფუძნებელი კრების წევრმა მთავრობის მიმართ შეკითხვა წერილობით უნდა შეიტანოს სხდომის დაწყებამდე. თავმჯდომარე ამ შეკითხვას მოახსენებს დამფუძნებელ კრებას სხდომის დასარულს და პირველ სიტყვას შემკითხველს აძლევს.

§ 71.მთავრობა შეტანილ შეკითხვას პასუხს გასცემს ან დაუყოვნებლივ, ან ერთ-ერთ მახლობელ სხდომაზე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ერთი კვირისა დღდან შეკითხვის გამოცხადებისა დამფუძნებელ კრების სხდომაზე.

§ 72. თუ შემკითხველს შეკითხვა სასწრაფოდ მიაჩნია, რაც თვით შეკითხვის ტექსტში უნდა იყოს აღნიშნული და დამფუძნებელმა კრებამაც დაადასტურა, მთავრობამ პასუხი უნდა გასცეს არა უგვიანეს სამის დღისა შეკითხვის დამფუძნებელ კრებაში განცხადების შემდეგ. სასწრაფოა შეკითხვა თუ არა, ამის გამოსარკვევად სიტყვა ეძლევა ორს: ერთს – მომხრეს, ერთს – მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 10-ის წუთისა.

§ 73. შეკითხვის განსახილველად დამფუძნებელ კრებას შეუძლია განსაკუთრებული სხდომა დანიშნოს; მაშინ ყოველი შეკითხვის განხილვა გადაიდება ამ სხდომისათვის.

§ 74. შეკითხვის გარდა დამფუძნებელი კრების წევრს შეუძლია მთავრობას მიმართოს კითხვით ამა თუ იმ საგნის განსამარტებლად. განსამარტებელი საკითხი სხდომის დაწყებამდე წერილობით უნდა ეცნობოს თავმჯდომარეს, რომელიც მას მოახსენებს დამფუძნებელ კრებას და სხდომის დასასრულს სიტყვას აძლევს ავტორს მხოლოდ კითხვის დასასმელად მთავრობის მიმართ. ამ სიტყვის ვადა განისაზღვრება 5 წუთით.

კითხვის საპასუხოდ მთავრობა მისცემს განმარტებას ან დაუყოვნებლივ ან შემდეგ სხდომაზე.

კითხვის დასმის და მთავრობის განმარტებითი პასუხის გამო დამფუძნებელი კრება კამათს არ მართავს და არც დადგენილება გამოაქვს.

§ 75. ცნობა დამფუძნებელი კრების წევრის დროებით გადაყენებისა, სრულიად განთავისუფლებისა, ან მისი დატუსაღების შესახებ და სხვა, თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს დამფუძნებელ კრებას მახლობელ სხდომაზე.

თავი 5

დამფუძნებელი კრების სხდომის წესი.

ნაწილი პირველი: სხდომის დანიშვნა, გახსნა, შეწყვეტა და დახურვა.

§ 76. დამფუძნებელი კრების სხდომათა დღეებსა და საათებს თვით დამფუძნებელი კრება დანიშნავს.

ყოველი სხდომის დასასრულს დამფუძნებელი კრება ამტკიცებს შემდეგი სხდომის დღიურ წესრიგს.

§ 77. თუ თავმჯდომარემ სასწრფო სხდომა დანიშნა, დამფუძნებელი კრების წევრებს უნდა ეცნობოს ეს უწყებით, რომელშიაც აღნიშნული იქნება სხდომის საგანი.

§ 78. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს შეუძლია, თუ საჭიროება მოითხოვს, წესრიგში ახალი საქმეები შეიტანოს, რაც დამატებითი უწყებით უნდა ეცნობოს დამფუძნებელი კრების წევრებს.

§79. თუ ნახევარი საათის განმავლობაში, სხდომისთვის დანიშნულ დროს შემდეგ დამფუძნებელი კრების ორმოცდაათ (50) წევრზე ნაკლები შეგროვდა, თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრება არ შესდგა.

§ 80. დამსწრე წევრთა რიცხვის გამორკვევა თავმჯდომარის საქმეა.

§ 81. თუ სხდომის დროს წევრთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდება (მუხ. 79), თავმჯდომარეს უფლება აქვს ან დახუროს სხდომა, ან ცოტა ხნით შესწყვიტოს. თუ სხდომის შეწყვეტის შემდეგაც წევრთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, სხდომა დაიხურება.

§ 82. სხდომის შეწყვეტა თავმჯდომარის საქმეა, თუ წინადადება სხდომის შეწყვეტისათვის დამფუძნებელი კრების წევრმა შეიტანა, თავმჯდომარე ამ წინადადებას კენჭს უყრის უკამათოდ.

§ 83. სხდომა დაიხურება ან დანიშნულ დროზე, ან განსახილველად დასმულ ყველა საკითხების განხილვის შემდეგ; ზოგიერთ შემთხვევაში კი (მუხ. 81 და 114) თავმჯდომარის განკარგულებით სხდომის უფრო ადრე დახურვა შეიძლება დამფუძნებელი კრების დადგენილებით; დამფუძნებელ კრებას შეუძლიან დანიშნულ ვადის შემდეგაც განაგრძოს სხდომა.

ნაწილი მეორე: საქმეთა განხილვის წესი

§ 84. სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარე მოახსენებს კრებას ყველა შემოსულ საქმეს და აგრეთვე მოქალაქეთაგან ან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათაგან შემოტანილ განცხადებებსა, რეზოლიუციებსა

და სხვ. საკითხი იმისი, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს შემოსულ საქმეებს, უნდა გადასწყდეს დღიურ წესრიგზე გადასვლამდე. ამ საგანზე ორატორების სიტყვა განისაზღვრება 5 წუთით.

§ 85. დამფუძნებელ კრებაში ყოველნაირი წინადადება უნდა შეტანილ იქნეს წერილობით.

შენიშვნა: ამ მუხლში (85) აღნიშნული წესი არ შეეხება ისეთ წინადადებას, რომელიც უკამათოდ გადასწყდება.

§ 86. სანამ განსახილველად დასმული საკითხი გადაწყვეტილი არ არის სხვა საკითხების წამოყენება არ შეიძლება, თუ თვით დამფუძნებელმა კრებამ ამის თაობაზე განსაკუთრებული დადგენილება არ გამოიტანა. კამათის შესაჩერებლად და სხვა საკითხზე გადასასვლელად საჭიროა დამფუძნებელი კრების განსაკუთრებული კრების განსაკუთრებული დადგენილება. ამის გამოსარკვევად სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 87. დამფუძნებელი კრების სხდომას შეუძლიან დაადგინოს, რომ საკითხი, არსებითად გადაწყვეტამდე, ამა თუ იმ კომისიას გადაეცეს. ამის გამო სიტყვა ეძლევა: ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს- თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 88.განსახილველად დანიშნული რომელიმე საკითხის გადადების ან შეცვლის წინადადება უნდა შეტანილ იქნეს მორიგ საკითხზე გადასვლის წინ. ამ წინადადების გამო სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს – თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 89. თუ დამფუძნებელი კრების წევრსა სურს შეიტანოს რიგს გარეშე ისეთი წინადადება, რომლის გამო რაიმე დადგენილების გამოტანა საჭირო არ არის, ეს წერილობით უნდა განუცხადოს თავმჯდომარეს, რომელზედაც დამოკიდებულია სათანადო ნებართვის მიცემა. ამ განცხადებისათვის დამფუძნებელი კრების წევრს 10 წუთი მიეცემა და კამათი ამ საგანზე არ შეიძლება.

§ 90. სანამ დამფუძნებელი კრება საკითხის განხილვას შეუდგებოდეს, შეიძლება წინასწარი საკითხის აღძვრა, რომ დამფუძნებელმა კრებამ სრულიად არ მიიღოს ეს საკითხი განსახილველად. ამ წინადადების გამო სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს.

§ 91. არ შეიძლება არსებითად გადაწყვეტა არც ერთი ისეთი საკითხის, რომელიც დღიურ წესრიგში არ არის აღნიშნული.

ეს შენიშვნა არ შეეხება საქმეთა განხილვის წესს და აგრეთვე ისეთ საკითხებს, რომელთათვისაც ამ რეგლამენტში განსაკუთრებული წესი არის ნაჩვენები.

§.92. როდესაც მთავრობის წევრი განმარტებას მოახსენებს დამფუძნებელი კრების წევრთა შეკითხვის ან თითონ შემოაქვს განცხადება, რომელიც დამფუძნებელ კრებაში დასმულ საკითხს არ შეეხება, თავმჯდომარე წინა-

დადებას აძლევს დამფუძნებელ კრებას გადასწყვიტოს ჰსურს განმარტებათა და განცხადებათა განხილვას დაუყონებლივ შეუდგეს, თუ ამ განხილვას გადასდებს შემდეგი სხდომისათვის. ამ საკითხს დამფუძნებელი კრება უკამათოდ სწყვეტს.

§ 93. სხდომის დახურვის წინ თავმჯდომარე მოახსენებს კრებას იმ დღეს შეტანილ ყველა საქმეს და განცხადებას, რომელიც დამფუძნებელი კრების, პრეზიდიუმის ან რეგლამენტის მიერ განსაზღვრულ ვადამდე შემოსულა და წარუდგენს კრებას შემდეგი სხდომის წესრიგს დასამტკიცებლად.

ნაწილი მესამე: მსჯელობის წესი.

§ 94. თავმჯდომარე სხდომას ხელმძღვანელობს. არავის შეუძლიან თავმჯდომარეს სიტყვა შეუბრუნოს მისი შენიშვნისა და განმარტების გამო. არავის შეუძლიან სიტყვის წარმოთქმა თავმჯდომარის ნებადაურთველად.

შენიშვნა: წერილობითი პროტესტები თავმჯდომარის მოქმედების გამო სხდომის ჟურნალში ჩაეკერება გამოუქვეყნებლივ.

§ 95. სიტყვის მისაღებად განცხადება უნდა შეტანილ იქნეს იმ საგანზე გადასვლის შემდეგ, რომლისათვის სიტყვას თხოულობენ. პირველი სიტყვის წარმოთქმამდე, დამფუძნებელი კრების წევრს არ შეუძლიან მეორედ მოითხოვოს სიტყვა.

§ 96. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ორატორებს რიგით, თანახმად წარდგენილი განცხადებისა.

§ 97. მთავრობის წევრებს სიტყვა რიგს გარეშე მიეცემათ.

§ 98. მომხსენებლის გარდა არავის შეუძლიან ილაპარაკოს საათზე მეტი. დამფუძნებელ კრებას შეუძლიან უკამათოდ მიიღოს დადგენილება ორატორის სიტყვის გაგრძელების თაობაზე.

§ 99. ყოველ ორატორს, გარდა მომხსენებლისა, ერთსა და იმავე საგანზე შეუძლიან ილაპარაკოს მხოლოდ ერთხელ.

ეს შეზღუდვა არ შეეხება იმ სიტყვას, რომელიც წარმოითქმის კამათის შეწყვეტის შემდეგ. (მ. 120).

§ 100. როდესაც დამფუძნებლი კრების წევრი სიტყვას თხოულობს ისეთი საკითხის გამო, რომლის შესახებაც კამათი რეგლამენტით შეზღუდულია, განცხადებაში უნდა აღინიშნოს, სიტყვის მთხოვნელი მომხრეა თუ წინააღმდეგი განსახილველი წინადადებისა. თუ ეს აღნიშნული არ არის-განცხადება უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

§ 101. თუ მე-100 მუხლში აღნიშნულ სიტყვას თხოულობს ორატორთა მეტი რიცხვი, ვიდრეა რეგლამანტითაა განსაზღვრული, სიტყვა იმას ეძლევა, ვინც პირველად წარუდგინა განცხადება თავმჯდომარეს. ამ რიცხვში

უნდა შეტანილ იქნეს განსახილველი წინადადების ავტორი.

§.102. კომისიის მომხსენებლსა და განსახილველ წინადადბის ავტორს რიგს გარეშე ეძლევა სიტყვა, მაგრამ ისე კი, რომ არ შესწყდეს ლაპარაკი იმ ორატორისა, რომელსაც უკვე მიღებული აქვს სიტყვა.

შენიშვნა: თუ ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარემ თავისი განმარტება წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, ახალი განცხადების შეტანა იმავე საკითხის გამო აღარ შეიძლება.

§.103. ყოველ წევრს შეუძლიან რიგს გარეშე მიიღოს სიტყვა რეგლამენტის დარღვევის გამო. ამ შემთხვევაში ორატორს 5 წუთი ეძლევა და კამათი არ სწარმოებს.

შენიშვნა: თუ ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარემ თავისი განმარტება წარუდგინა დამფუძნებელ კრებას, ახალი განცხადების შეტანა იმავე საკითხის გამო აღარ შეიძლება.

§ 104. პირად საკითხისათვის სიტყვა უნდა მიეცეს იმავე სხდომაზე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ როცა განსახილველად დასმულ საგანზე კამათი შესწყდება, ამ შემთხვევაში ორატორს 5 წუთი ეძლევა და კამათი არ სწარმოებს.

§ 105. თუ დამფუძნებელი კრების წევრი დარბაზში არ აღმოჩნდა მაშინ, როდესაც მისი სიტყვის წარმოთქმის რიგი მოვა, მისი გვარი გადატანილ იქნება ორატორთა სიის ბოლოს. თუ მეორედაც არ აღმოჩნდა დარბაზში, სიტყვის უფლებას ჰკარგავს.

§ 106. წევრებს შეუძლიან ერთმანეთს შეუცვალონ რიგი, ან დაუთმონ სიტყვა იმას, ვისაც სიტყვა აღებული არა აქვს.

§ 107. თუ თავმჯდომარესა ჰსურს განსახილველად დასმული საკითხის გამო სიტყვის წამოთქმა, რიგში ჩაეწერება და თავისი სიტყვის წარმოთქმის დროს თავმჯდომარეობას სხვას დაუთმობს.

§ 108. ორატორი სიტყვას ტრიბუნიდან წარმოსთქვამს.

§ 109. თუ ორატორმა საგანს გადაუხვია, თავმჯდომარე წინადადებას აძლევს საკითხს დაუბრუნდეს.

§ 110. თუ ორატორი თავმჯდომარეს არ ემორჩილება, შეურაცხმყოფელ, უკმეხ ან საზოგადოდ დამფუძნებელი კრების ღირსების შეუფერებელ სიტყვებსა ხმარობს, თავმჯდომარეს შეუძლიან შემდეგი ზომები მიიღოს: მოუწოდოს წესიერებისადმი, მისცეს შენიშვნა, ჩამოართვას სიტყვა ან და წინადადება მისცეს დამფუძნებელ კრებას, რომ ასეთი წევრი ერთის, ორის ან სამი სხდომიდან დაითხოვონ.

შენიშვნა: სიტყვა ჩამორთმეულ ორატორს იმ საგანზე სიტყვა აღარ მიეცემა იმავე სხდომაზე.

§ 111. თუ დამფუძნებელი კრების წევრი წესიერებას არღვევს, თავმჯდომარეს შეუძლიან: მოსთხოვოს დაიცვას წესიერება, მისცეს შენიშვნა ან წინადადებით მიმართოს დამფუძნებელ კრებას, დაითხოვოს იგი სხდომიდან.

§ 112. მე-110 და მე-111 მუხლში აღნიშნულ წინადადებებს კენჭი უნდა ეყაროს უკამათოდ. კენჭის ყრამდე წესიერების დამრღვევ წევრს შეუძლიან პირადად ან დამფუძნებელი კრების რომელიმე სხვა წევრის პირით კრებას თავისი განმარტება წარუდგინოს. ამნაირი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ერთხელ. ამ შემთხვევაში სიტყვისათვის ორატორს ათი წუთი ეძლევა.

§ 113. თუ დარბაზში ხმაურობა ასტყდა, ან უწესობა დაიწყო და თავმჯდომარემ მისი შეჩერება ვერ მოახერხა, მაშინ იგი თავის ადგილს სტოვებს და სხდომა ნახევარი საათით შეწყვეტილად ჩაითვლება. თუ სხდომის განახლების შემდეგაც ხმაურობა და უწესოება გაგრძელდა, თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებს.

ნაწილი მეოთხე: მსჯელობის შემოკლება და შეწყვეტა

§ 114. მომხსენებლის სიტყვის შემდეგ იწყება კამათი. წინადადებანი ორატორთა სიის დახურვისა, სიტყვის დროს განსაზღვრისა, კამათი სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტისთვის შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ კამათის დაწყების შემდეგ. აღნიშნულ წინადადებათა გამო სიტყვა ეძლევა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 115. ათ წუთზე ნაკლები ვადით არ შეიძლება ორატორის სიტყვის შეზღუდვა.

§ 116. თავმჯდომარე მოვალეა გამოაცხადოს სია ჩაწერილ ორატორებისა, თუ ამას მოითხოვს რომელიმე წევრი კამათის დროს მსჯელობის შემოკლების ან შეწყვეტის გამო.

§ 117. კამათის ნაწილობრივი შეწყვეტის შემდეგ დამფუძნებელი კრება განსაზღვრავს, ჩაწერილ ორატორთაგან რამდენს მიეცეს სიტყვა.

ამ ორატორებს ასახელებს თავმჯდომარე მთელი სიიდან, ხოლო მათ შეუძლიანთ თავიანთი სიტყვა სხვას დაუთმონ.

§ 118. სანამ თავმჯდომარე კენჭს უყრიდეს საკითხს კამათის ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ, სხდომა უნდა დროებით შესწყდეს, თუ ამას მოითხოვს დამფუძნებელი კრების არა ნაკლებ ხუთი წევრისა.

§ 119. მე-114 მუხლში აღნიშნული წინადადებანი უარყოფილად ჩაითვლება, თუ მათ წინააღმდეგ თორმეტმა ან მეტმა წევრმა მისცეს ხმა.

§ 120. როდესაც ორატორთა სია დასრულდება ან დამფუძნებელი კრება დაადგენს კამათის სრულს შეწყვეტას, თავმჯდომარე კამათს დასრულებულად აცხადებს.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცემა კომისიის მომხსენებელს განსახილველი წინადადებისა და განსაკუთრებული აზრის ავტორებს, თუ უკანასკნელნი

მოისურვებენ; სიტყვა მიეცემათ აგრეთვე იმათ, ვინც პირადი საკითხის ან ხმის მიცემის მოტივების გამო არიან ჩაწერილნი.

§ 121. თუ კამათის შეწყვეტის ან შემოკლების შემდეგ მთავრობის წარმომადგენელმა სიტყვა წარმოსთქვა, ორატორთა ჩაწერა უნდა განახლდეს და წინად მიღებული ზომები კამათის შეზღუდვის ან შეწყვეტისათვის გაუქმებულად ითვლება.

ამის შემდეგ მსჯელობის შეზღუდვა ან შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ ახალი დადგენილების ძალით. (120).

ნაწილი მეხუთე: კითხვის დასმა

§ 122. კამათის დასრულების შემდეგ (მუხ. 121) თავმჯდომარე შეუდგება კენჭის ყრას, რაც წევრებს უნდა ეცნობოს ზარით დამფუძნებელი კრების შენობაში ყველგან.

§ 123. წინადადების ავტორს შეუძლიან უკან წაიღოს თავისი წინადადება, სანამ დამფუძნებელი კრება მის შესახებ დადგენილებას გამოიტანდეს, და თუ ვინმე სხვა წევრმა არ მოითხოვა მისი გადაჭრა წინადადება მოხსნილად ჩაითვლება.

თუ წინადადება რამდენსამე წევრის ხელმოწერით არის შეტანილი მისი უკან წაღების უფლება აქვს პირველ სამს ხელისმომწერთაგანს სათითაოდ.

§ 124. კამათის დასრულებულად გამოცხადების შემდეგ (მუხ. 121) ახალი წინადადების წარდგენა აღარ შეიძლება.

კენჭის ყრის დაწყებამდე თავმჯდომარე აცხადებს რა-და-რა წინადადებას უნდა უყაროს კენჭი.

სიტყვიერად წარდგენილ წინადადებას გარდა მე-85 მუხ. შენიშვნაში აღნიშნულისა, კენჭი არ შეიძლება ეყაროს.

§ 125. წინადადებათა წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, თუ რა წესით უყრის მათ კენჭს.

§ 126. დამფუძნებელი კრების ყოველ წევრს შეუძლია კითხვის დასმის გამო თავისი მოსაზრებანი წარადგინოს. ამისთვის მას ხუთი წუთი წუთი ეძლევა.

§ 127. კითხვათა დასმის რიგი დამოკიდებულია თავმჯდომარეზე, რომელიც ქვემოდ აღნიშნულ მუხლებით (მუხ. 129) იხელმძღვანელებს.

§ 128. თავმჯდომარემ საკითხი ისე უნდა დასვას, რომ პასუხის გაცემა შეიძლებოდეს ან „ჰო“-თი ან „არა“-თი.

§ 129. თვითეული წევრის მოთხოვნით ყოველი დასკვნა, მუხლი, წინადადება და რეზოლიუცია უნდა დანაწილებულ იქნეს. თუ თავმჯდომარე ჰხედავს, რომ ასეთი დანაწილებით გრამატიკული აზრი იკარგება ან დანაწ-

ილება მუხლისა შეუძლებელია, იგი ამ საკითხის გადასაწყვეტად მიჰმართავს დამფუძნებელ კრებას, რომელიც უკამათოდ დაადგენს განაწილდეს მუხლი, ან წინადადება თუ არა.

§ 130. როცა დასკვნა, მუხლს, წინადადებას ან რეზოლიუციას ნაწ-ილ-ნაწილად ეყრება კენჭი (მუხ. 129), შემდეგ მთლიანადაც უნდა ეყაროს კენჭი, უარყოფილი ნაწილების გამოკლებით.

§ 131. წინასწარ საკითხს; ჰსურს თუ არა დამფუძნებელ კრებას მიღებულ იქნეს წინადადება განსახილველად, ყოველთვის პირველად უნდა ეყაროს კენჭი (მუხ. 90).

§ 132. წინადადებას, რომელიც შეეხება საქმის მიმართულების მიცემას და გადადებას, დამატებითი ცნობის მოთხოვნას და სხვ., კენჭი უნდა ეყაროს უფრო ადრე. ვიდრე თვით საკითხს არსებითად.

§.133. როდესაც კითხვა რიცხვებს შეეხება კენჭის ყრა უმცირესი რიცხ-ვიდან იწყება.

§ 134. სხდომის ან საქმის განხილვის ვადის განსაზღვრის დროს კენჭი ჯერ შორეულ ვადას უნდა ეყაროს, შემდეგ მახლობელს.

§ 135. ყოველ წინადადებას, ან კანონპროექტს, რომელიც კომისიის მიერ არის შემოტანილი, კენჭი უნდა ეყაროს იმ სახით, როგორც კომისიას წარ-მოუდგენია.

§ 136 . თუ კომისიას შემოუტანია დასკვნა ამა თუ იმ წინადადების ან კანონპროექტის უარყოფისა, კენჭი უნდა ეყაროს არა კომისიის დასკვნას, არამედ თვით კანონპროექტს, ან წინადადებას.

§ 137. დამფუძნებელი კრების წევრების რწმუნებულებათა შემოწმების დროს ჯერ კენჭი უნდა ეყაროს საკითხს, კანონიერია თუ უკანონო არჩევ-ნები, ხოლო შემდეგ ამისა, საკითხს, მიღებულ თუ უარყოფილ იქნეს თვით არჩევნები, თანახმად სამანდატო კომისიის მოხსენებისა.

§ 138. შესწორებას და დამატებას კენჭი უნდა ეყაროს იმ მუხლზე ადრე, რომელსაც ეს შესწორება ან დამატება შეეხება.

§ 139. შესწორებას, ან დამატებას, რომელსაც წინადადების ავტორი ან მომხსენებელი დაეთანხმება, კენჭი უნდა ეყაროს არა ცალკე, არამედ იმ წინადადებასთან ერთად რომელსაც ეკუთვნის.

§ 140.თუ წარმოდგენილია რამდენიმე შესწორება ჯერ კენჭი უნდა ეყაროს იმას, რომელიც ძირითად წინადადებასთან უფრო დაშორებულია. თუ ასეთი განსხვავება არ არსებობს, პირველად უნდა ეყაროს კენჭი უფრო ადრე წარმოდგენილ წინადადებას.

§ 141. ცალკე საკითხებისა და შესწორებათა კენჭის ყრის შემდეგ განსა-კუთრებულად უნდა ეყაროს კენჭი მთელ მუხლს, ან წინადადებას მიღებული შესწორებით.

§ 142.თუ რამდენიმე დამოუკიდებელი და ერთი მეორის უარის მყოფე-ლი წინადადებაა შემოტანილი თავმჯდომარე ჯერ კენჭს უყრის უფრო

ადრე წარმოდგენილს, შემდეგ კი სხვებს. თუ დამფუძნებელი კრების წევრმა განაცხადა, რომ ამა თუ იმ წინადადებას პირველად უნდა ეყაროს კენჭი, ეს საკითხი დამფუძნებელმა კრებამ კენჭის ყრით უნდა გადასწყვიტოს. ამ საკითხის გამოსარკვევად სიტყვა მიეცემა ერთს მომხრეს, ერთს მოწინააღმდეგეს, თითოს არა უმეტეს 5 წუთისა.

§ 143. კანონპროექტს ან ამა თუ იმ წინადადებას კენჭის ყრის დროს არ შეიძლება დართული ჰქონდეს მოტივები მიღებისა, ან უარყოფისა.

§ 144.მორიგ საკითხებზე გადასასვლელ ფორმულის კენჭის ყრის დროს, უბრალო გადასვლას დასაბუთებულზე ადრე უნდა ეყაროს კენჭი.

§ 145. თუ მორიგ საკითხზე გადასასვლელი რამდენიმე მოტივებიანი ფორმულა არის წარმოდგენილი, თავმჯდომარე კენჭს უყრის თანახმად მე-142 მუხ. აღნიშნულ წესისა.

§ 146. ერთი რომელიმე ფორმულის მიღების შემდეგ დანარჩენებს კენჭი აღარ უნდა ეყაროს.

§ 147. თუ მორიგ საკითხზე გადასვლის არც ერთი წარმოდგენილი ფორმულა მიღებული არ იქნა, თავმჯდომარე საკითხს დასრულებულად აცხადებს და შემდეგს საკითხზე გადადის.

ნაწილი მეექვსე: კენჭის ყრის წესი

§ 148. დამფუძნებელი კრების წევრი მხოლოდ თავის ხმას აძლევს, სხვის მაგიერად ხმის მიცემა არ შეიძლება.

§ 149. რეგლამენტში აღნიშნულ შემთხვევის გარდა კენჭის ყრა მოხდება ახდილად.

§ 150. ახდილი კენჭის ყრის დროს თვითეულ წევრს შეუძლიან ხუთი წუთი ილაპარაკოს ხმის მიცემის მოტივების განსამარტებლად.

შენიშვნა: თუ საკითხი უკამათოდ სწყდება, ხმის მიცემის მოტივების გამო სიტყვა არავის მიეცემა (მუხ. 83, 99, 130, 152, (შენ.) და 153).

§ 151. ახდილი კენჭის ყრა მოხდება ხელის აწევით. თუ შედეგი გამოურკვეველია თავმჯდომარეს შეუძლიან კენჭის ყრა გაიმეოროს.

ხმებსა სთვლიან ქვესტორი და მისი თანაშემწენი, თავმჯდომარის მეთვალყურეობით.

§152. თუ კენჭის ყრის შედეგები ეჭვებს გამოიწვევს, ხმის მიცემა ხდება კარებში გასვლით. ამ წესს თავმჯდომარე მიმართავს ან თავისი სურვილით, ან დამფუძნებელი კრების განცხადებით, თუ ამნაირი განცხადების მომხრე აღმოჩნდა არა ნაკლებ თორმეტი წევრისა.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული საკითხის გამო კამათი არ იმართება.

§ 153. ამ შემთხვევაში წინადადების მომხრეები ერთ კარში გადიან, მოწინააღმდეგენი მეორეში. ხმებსა სთვლიან ქვესტორი და მისი თანაშემწენი თავმჯდომარის მეთვალყურეობით.

§ 154. ახდილი კენჭის ყრის დროს, როდესაც კენჭის ყრა სახელობით სწარმოებს, დამფუძნებელი კრების თვითეულ წევრს უფლება აქვსდამფუძნე-

ბელი კრების მდივანს წარუდგინოს წერილობითი განმარტება იმისა, თუ რა მოტივებით არ ეთანხმება უმრავლესობას. ასეთი განცხადება დამფუძნებელი კრების სხდომას არ მოხსენდება და პირდაპირ სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშში უნდა მოთავსდეს.

§ 155. კენჭის ყრის დაწყებამდე დამფუძნებლი კრების წევრს შეუძლიან წერილობით მოითხოვოს, რომ კენჭის ყრა სახელობით მოხდეს. ამ წინადადებას კენჭი უნდა ეყაროს უკამათოდ.

§ 156. სახელობითი კენჭის ყრა ხდება ბარათებით, რომელშიაც ხმის მიმცემის გვარი და სახელი უნდა იყოს აღნიშნული.

§ 157. ფარული ხმის მიცემით უნდა მოხდეს თანამდებობის პირთა არჩევანი. არჩევნების დამტკიცება, ან გაუქმება და აგრეთვე გადასწყდესსაკითხი დამფუძნებელი კრების რომელისამე წევრის სასარგებლოდ ხარჯის გაღებისა.

ამ შემთხვევაში ხმებსა სთვლიან მდივანი და მისი თანაშემწე, თავმჯდომარის მიერ ამისთვის საგანგებოთ მოწვეულ დამფუძნებელი კრების წევრებთან ერთად.

§ 158. ფარული კენჭის ყრის შემდეგ ხმები უნდა დაითვალოს დაუყოვნებლივ იმავე სხდომაზე.

§ 159. კრების კანონიერების გამორკვევის დროს მხედველობაში უნდა იყვნენ მიღებულნი დამფუძნებელი კრების ის წევრნიც, რომლებმაც ხმის მიცემის დროს თავი შეიკავეს.

თავი 6

დამფუძნებელი კრების წევრთა პირადი მდგომარეობა

§ 160. წევრმა სესიაში სამუშაოდ ჩამოსვლისთანავე დამფუძნებელი კრების კანცელარიას უნდა მიაწოდოს თავისი მისამართი და სხვა საჭირო ცნობები.

§ 161. თუ დამფუძნებელი კრების წევრსა ჰსურს დროებით განთავისუფლება დამფუძნებელი კრების მუშაობიდან, წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ, სადაც აღნიშნული იქნება რა ვადით თხოულობს განთავისუფლებას.

თუ განცხადებაში ვადა აღნიშნული არ არის,ვადა ითვლება განცხადების მეორე დღიდან იმ დღემდე, როცა დაბრუნების შემდეგ სხდომაზე დამსწრეთა წიგნში პირველად მოაწერს ხელს.

§162. პრეზიდუმი დამფუძნებელი კრების წევრს პასუხს შეუთვლის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განთავისუფლება შეუძლებლად მიაჩნია. თუ დამფუძნებელი კრების წევრმა განცხადების წარმოდგენის დღის განმავლობაში

პრეზიდიუმისაგან ცნობა არ მიიღო, ეს იმის მომასწავებელია, რომ პრეზიდიუმს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს დამფუძნებელი კრების წევრის განთავისუფლებისა.

შენიშვნა: თუ სხვა და სხვა მიზეზის გამო წევრი იძულებულია უეცრად წავიდეს, მაშინ იგი ვალდებულია განცხადება გამოუგზავნოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს სამი დღის განმავლობაში.

§ 163. წელიწადში ერთ თვეზე მეტის ვადით განთავისუფლების საკითხს სწყვეტს თვით დამფუძნებელი კრება.

ამისათვის თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის დასკვნასთან ერთად დამფუძნებელი კრების სხდომას მოხსენდება გადასაწყვეტად.

შენიშვნა: ავადმყოფობის გამო განთავისუფლება ამ ვადაში არ შედის.

§ 164. თუ დამფუძნებელი კრების წევრმა განთავისუფლება ვერ გამოიყენა ან ვადაზე ადრე დაბრუნდა და ამის გამო არაფერი განაცხადა, განთავისუფლებულად ითვლება თანახმად მე-161 მუხლში აღნიშნული წესისა.

§ 165. დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც განთავისუფლებული არ არის, მაგრამ დამფუძნებელი კრების სხდომებს პატივ-სადები მიზეზის გამო ვერ დაესწრო, (მუხ. 167) აღნიშნავს ამას სხდომაზე არა დამსწრე წევრთა სიაში.

ეს უნდა სიაში აღნიშნული იქნეს არა უგვიანეს ერთი დღისა იმ თვის გათავების შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც წევრი სხდომას ვერ დაესწრო; წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წევრი დააკლდა სხდომას არა პატივ-სადები მიზეზის გამო.

თუ უკანასკნელი დღე კვირა-უქმე შეხვდა, მაშინ ვადის დასასრულად ითვლება კვირა უქმის შემდეგი პირველი საქმის დღე.

თუ დამფუძნებელი კრების წევრს საშუალება არა აქვს პირადათ აღნიშნოს წევრთა სიის წიგნში მიზეზი კრებაზე მოუსვლელობისა შეუძლიან წერილობითი განცხადება წარუდგინოს ამის შესახებ თავმჯდომარეს.

შენიშვნა: თუ დამფუძნებელი კრების წევრს დაავიწყდა თავისი გვარის აღნიშვნა დამსწრეთა სიაში, განცხადება ამის თაობაზე თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს ამა 165 მუხლში აღნიშნულ ვადამდე.

§ 166. სხდომაზე დაუსწრებლობის პატივსადებ მიზეზად ითვლება: 1) ავადმყოფობა დამფუძნებელი კრების წევრისა; 2) სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა მისი ოჯახის წევრისა; 3) სამუშაო, რომელიც დამფუძნებელი კრების მოქმედებასთან არის დაკავშირებული და 4) ისეთი პირადი საქმეები, რომელთა გადადება არ შეიძლება.

§ 167. სია იმ წევრებისა, რომელნიც სხდომებს ვერ ესწრებიან პატივსადებ ან არაპატივსადებ მიზეზებისა გამო, პერიოდულად უნდა გამოცხადდეს.

§ 168. დამფუძნებელი კრების წევრს, რომელიც სხდომას დააკლდება ამა

პატივსადებ მიზეზის გამო, უნდა გამოერიცხოს ყოველ გამოშვებულ სხდომისათვის ერთი მეოცდა-ათედი თვიური გასამრჯელოსი.

§ 169. დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც ორი თვის განმავლობაში სრულიად არ დაესწრო სხდომას და არც არავითარი განმარტება წარმოადგინა ამის გამო დამფუძნებელი კრების წევრობიდან გამორიცხულად ჩაითვლება და მის ადგილს მორიგი კანდიდატი დაიჭერს.

§ 170. განცხადება წევრობაზე უარის თქმისა წარდგენილი უნდა იქნეს თავმჯდომარის სახელობაზე, რომელიც ამ განცხადებას დამფუძნებელი კრების სხდომას მოახსენებს. განცხადების უკან წაღება შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე სანამ იგი დამფუძნებელი კრების სხდომას მოხსენდებოდეს.

§ 171. თუ აღნიშნული განცხადება პირადად არ არის წარდგენილი ხელის მოწერა სათანადოდ უნდა იყოს შემოწმებული. უამისოდ განცხადებას მსვლელობა არ მიეცემა.

თავი 7

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი

§ 172. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს შეადგენს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგები, დამფუძნებელი კრების მდივანი და მდივნის ამხანაგები.

§ 173. პრეზიდიუმის მოვალეობაა თვალყური ადევნოს დამფუძნებელი კრების მუშაობას, სახელდობრ:

1) მოახსენოს დამფუძნებელ კრებას თავისი მოსაზრება მუშაობის შესახებ, და თანახმად ამ მოსაზრებისა წარუდგინოს დასამტკიცებლად დამფუძნებელი კრების სხდომის დღიური წესრიგი; 2) მისცეს დასკვნა რეგლამენტში აღნიშნულ საკითხებზე; 3) განსაზღვროს, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს დამფუძნებელი კრების სახელობაზე შემოსულ ქაღალდებს; 4) განაგოს მე-6 თავში აღნიშნული განთავისუფლების საკითხები და იმ წევრთა საქმეები, რომელნიც სხდომებს არ ესწრებიან. 5) განაგოს დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურეთა მიღებისა, დათხოვნისა და სხვა საქმეები.

§ 174. პრეზიდიუმი შიმუშავებს დამფუძნებელი კრების შინაგან წესრიგს ყოველ იმ შემთხვევისათვის, რომელიც განსაზღვრული არ არის რეგლამენტით ან დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით და რომელიც რეგლამენტის ან დამფუძნებელი კრების დადგენილებით სხვა ორგანოს არა აქვს მინდობილი.

§ 175. პრეზიდიუმს უფლება აქვს ან საკუთარი ინიციატივით, ან დაინტერესებული მხრის განცხადეებით გააუქმოს დამფუძნებელი კრების ყოვე-

ლი ორგანოს ისეთი დადგენილება, რომელიც კანონს, რეგლამენტს ან დამფუძნებელი კრების დადგენილებას ეწინააღმდეგება.

§ 176. მე-175 მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა გაუქმებამდე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს თავისი განმარტება წარუდგინოს პრეზიდიუმს.

§ 177. პრეზიდიუმს იწვევს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. თავმჯდომარე მოვალეა მოიწვიოს პრეზიდიუმი, თუ მისმა ორმა წევრმა მოითხოვა.

§ 178. პრეზიდიუმის სხდომა კანონიერად ჩაითვლება თუ დაესწრება არა ნაკლებ სამის წევრისა, მათ შორის დამფუძნებელი კრების მდივანი ან მისი ამხანაგი.

§ 179. პრეზიდიუმის მუშაობის ჟურნალის წარმოების წესრიგს თვით პრეზიდიუმი იმუშავებს.

თავი 8

რეგლამენტის გადასინჯვის წესი

§ 180. რეგლამენტის შეცვლა, დამატება ან გადასინჯვა სწარმოებს იმავე წესით, რომელიც მიღებულია საკანონმდებლო საქმეთათვის (თავი 4, ნაწ. 1)

1919 წ. აპრილის 25.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე.

სცსა. ფ. 1833. ანაწ. 1. ფ.ფ. 28-38.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი

მიღებული დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ

ტფილისი. 1920 წელი მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წელს, მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ-რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავსა საკუთარ საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზე-

გავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, აცხადებს:

1) ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა, არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა.

მუხლი 3.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი, სადაც მუდმივ იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა.

მუხლი 4.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 5.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის – შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის – ძლევამოსილი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე.

მუხლი 6.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 7.

კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა, გარდა სისხლის სამართლის კანონისა, უკეთუ იგი ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას.

მუხლი 8.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 9.

ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა, სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 10.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 11.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 12

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 13

საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას ერთად ერთ საშვალებად მიაჩნია თავისუფალ ერთა კავშირი.

მუხლი 14

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელ მოწერით.

თავი მეორე

მოქალაქეობა

მუხლი 15

საქართველოს მოქალაქედ ითვლება:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარეშე;

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისგან;

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა;

დ) კანონიერი წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქის მიერ;

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე-ქალი, რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ, განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვლის; ხოლო არასრულწლოვანი შვილი ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადა მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილი;

ვ) უცხოელთა არასრულწლოვანი შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას;

ზ) შვილი საქართველოს იმ მოქალაქე-ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივ სცოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვნების შემდეგ არ განაცხადა, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს, და

ჰ) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 16.

ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან ქვეშევრდომობის გარეშე მყოფს რომელიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა, განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნებლად არ მიიჩნევს; თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შენიშვნა I. უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა რითიმე, შეიძლება ამ ვადის გარეშეც მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ.

შენიშვნა 2. აგრეთვე ვადის არ მიხედვით შეიძლება ამოღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ყოველი უცხო – ქვეშევრდომი ქართველი.

მუხლი 17.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 18.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც რესპუბლიკის წინაშე, კანონით განსაზღვრულ სახელმწიფოე-

ბრივ მოვალეობათა შესრულების შემდეგ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და უცხო ქვეყნის მოქალაქეობას მოიპოვებს ნატურალიზაციის წესით;

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად, და

გ) ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

თავი მესამე

მოქალაქის უფლებანი

მუხლი 19

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 20

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 21

ხარისხის მინიჭება შეიძლება მხოლოდ თანამდებობის ან პროფესიის აღსანიშნავად, აკადემიურ ხარისხს ეს არ შეეხება

ორდენი და წარჩინების ნიშანი სახელმწიფომ არ უნდა მიანიჭოს.

მოქალაქეს არ შეუძლიან უცხო სახელმწიფოსგან მიიღოს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 22

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინური წესი.

მუხლი 23

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 24

არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 25

ადმინისტრაციას შეუძლიან თავისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილზე მიასწრებს;

ბ) როცა დანაშაულზე მიასწრებს და დანაშაულისაგან დაზარალებული, ან დამსწრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს;

გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მუხლი 26

დამნაშავეთა დაკავება შეუძლიან კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მოსვლამდის მათი მიმალვა მოსალოდნელია.

მუხლი 27

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარმოდგენილი; თუ აღნიშნული სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 28

მე-27 მუხლში აღნიშნული სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 29

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, უკეთუ რაიმე გზითა და საშვალებით ეცნობათ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძახონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობის შესახებ.

მუხლი 30

იმ საპატიმროს ან სხვა დაწესებულების უფროსი, სადაც შეპყრობილი ზის, ვალდებულია გაანთავისუფლოს უკანასკნელი, თუ 24 საათში სასამართლოს წერილობითი ბრძანება არ მიუვიდა შეპყრობის განგრძობისათვის.

მუხლი 31

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია; მისი გაჩხრეკა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებისამებრ შეიძლება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 32

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია; მისი ამოღება და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 33

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 34

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს; მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლიან, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მუხლი 35

ყველა მოქალაქეს შეუძლიან თავისუფლად დააარსოს ყოველგვარი სარწმუნოებრივი კავშირი, თუ იმ კავშირის მიზანი და მოქმედება კანონით აკრძალული არ არის.

მუხლი 36

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადართულად; ყოველი ბოროტმოქმედებისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მუსლი 37

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბენ საჯაროთ და უიარაღოთ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 38

ადმინისტრაციას შეუძლიან დახუროს კრება, თუ დანაშაულის ხასიათი მიიღო.

მუხლი 39

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადართულად დააარსონ ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანინით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 40

გონებრივი, სასულიერო, სავაჭრო და სამეურნეო სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონების მიხედვით.

მუხლი 41

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მუხლი 42

მუშათა მშვიდობიანი გაფიცვა თავისუფალია, უკეთუ არ ეწინააღმდეგება კანონსა და სახელმწიფოს ინტერესებს.

მუხლი 43

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით.

მუხლი 44

ქორწინება უნდა ემყარებოდეს უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფილობასა. ქორწინების ფორმას აწესებს კანონი და განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი, უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იდაოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა; აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს ეძიოს თავისი მამა.

მუხლი 45

აკრძალულია – უცხო სახელმწიფოს გადაეცეს პოლიტიკური დამნაშავე.

მუხლი 46

საქართველოში უცხოელებს ისეთივე პირადი და ქონებრივი უფლება აქვთ, როგორც რესპუბლიკის მოქალაქეებს, თუ მათი უფლება სხვარიგად არ არის განსაზღვრული საერთაშორისო წესით.

მუხლი 47

ზემოაღნიშნულ კანონთა დადგენილების დარღვევისათვის, როგორც თანამდებობის ისე კერძო პირი მიეცემა პასუხისგებაში, თანახმად სისხლის სამართლის კანონებისა.

მუხლი 48

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 49

შინაური ამბოხებისა ან უცხო სახელმწიფოსთან იმის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია. რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 24, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 36, 37, 42 და 48, იმის დროს კი 23 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პალამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლიან თავის პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

მუხლი 50

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-24. 27, 28 და 33 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მუხლი 51

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ შეწყნარებული პრინციპებისაგან.

თავი მეოთხე

პარლამენტი

მუხლი 52

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი პირდაპირი, და პროპორციული წესისამებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

მუხლი 53

პარლამენტის წევრთა ასარჩევად რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად თანახმად კანონისა. თითოეულ ოლქს უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა, მცხოვრებთა რაოდენობისამებრ. არჩევნების დანარჩენ წესრიგს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 54

პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელს ერს და არა ცალკე ოლქს, რომელმაც ისისნი აირჩია.

მუხლი 55

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს; პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა ჩადენაზე მიასწრებენ, ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს; შეპყრობილი ან სასამართლოში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი მოითხოვს.

მუხლი 56

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს, ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მუხლი 57

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მუხლი 58

პარლამენტის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოს ან ადგილობრივ მმართველობის სამსახურში; იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის წევრი, სახელმწიფო კონტროლიორი, მინისტრის ამხანაგი, ან ასრულებდეს ადგილობრივ მმართველობის ხსოვნის მოვალეობას; დეპუტატს შეუძლიან მიიღოს მთავრობისაგან რაიმე პოლიტიკური დავალება ვადით – არა უმეტეს ექვსი თვისა.

მუხლი 59

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მუხლი 60

პარლამენტი გამოსცემს კანონს, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 61

პარლამენტის უფლებაა:

ა) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

ბ) ომის გამოცხადება;

გ) ზავის ჩამოგდება;

დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;

ე) ამნისტია;

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება;

ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;

კ) თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული; და

თ) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მუხლი 62

პარლამენტის სხდომები საჯაროა, მაგრამ პარლამენტს შუძლიან განსაკუთრებული დადგენილებით ფარულად გამოაცხადოს თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა.

მუხლი 63

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მუხლი 64

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მუხლი 65

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მუხლი 66

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

მუხლი 67

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტით მოქმედების წესს.

მუხლი 68

პარლამენტი იკრიბება ყოველ წლივ, ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

მუხლი 69

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 70

პარლამენტის მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ვადით არა უმეტეს ხუთი თვისა წელიწადში. როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

მუხლი 71

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და

ბ) 5, 000 ამომრჩეველს.

მუხლი 72

თუ ოცი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს.

რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 73

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

არ შეიძლება ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ, ან მის ამხანაგად არჩეულ იქნეს ზედიზედ.

თავი მეხუთე

აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 74

უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 75

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

მუხლი 76

მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი.

მუხლი 77

მთავრობის დანარჩენ წევრებს – მინისტრებს, იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მუხლი 78

მთავრობის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ის რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლიან იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი მმართველობის ხმოსანი.

მუხლი 79

თავმჯდომარე სცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მმართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისამებრ.

თავმჯდომარეს არააქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მუხლი 80

როდესაც თავმჯდომარე ავად არის ან სხვაგან იმყოფება, მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი მისივე დავალებით.

მუხლი 81

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა.

ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა.

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული.

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობისა.

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის.

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა რესპუბლიკისა 3, 000 კაცამდე, ვადით არა უმეტეს 21 დღისა; უკეთუ მეტი ძალა დასჭირდა, ან მეტის ვადით, ამის ნებართვა პარლამენტისგან უნდა მიიღოს.

ზ) განაგოს ფინანსები, სჭრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა და ბიუჯეტი.

თ) აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და ყოველ წელს ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობისათვის; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

ი) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მუხლი 82

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის.

მუხლი 83

როგორც მთავრობა მთლიანად, ისე თვითეული მინისტრი აღჭურვილი უნდა იყოს პარლამენტის ნდობით. როგორც მთავრობა ისე თვითეული მინისტრი უნდა გადადგეს, თუ დაჰკარგავს პარლამენტის ნდობას მისი გადაჭრილი დადგენილებით.

მავრობა განსაზღვრავს პოლიტიკის საერთო მიმართულებას და პასუხისმგებელია ამ მიმართულებისა და საერთო გამგებლობისათვის (მუხ.81), თვითეული მინისტრი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით, უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს (მუხ.82).

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება.

მუხლი 84

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს, თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა – განმარტება მისცეს.

მუხლი 85

მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მთავრობის წევრთა გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

მუხლი 86

ერთისა და იმავე პირის არჩევა მთავრობის თავმჯდომარედ ზედი-ზედ არ შეიძლება.

თავი მეექვსე

სასამართლო

მუხლი 87

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი და რომელიც მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას, და

ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მუხლი 88

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრატიული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 89

სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის სახელით.

მუხლი 90

სასამართლოს არცერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრატი-ული ორგანოს მიერ.

მუხლი 91

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევა-ში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურულ იქნეს თვით სასამართ-ლოს დადგენილებით.

მუხლი 92

ყოველგვარ სისხლის სამართლის, პოლიტიკურის და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მუხლი 93

მოსამართლის თანამდებობის მიღების წესი, აგრეთვე პირობა, რომელ-საც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, აღნიშნულია კანონში.

მუხლი 94

არ შეიძლება სასამართლოს წევრის დათხოვნა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ.

თავი მეშვიდე

სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 95

არცერთი გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი მმართველობის გადასახადთა დაწესების უფ-ლებას განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 96.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

მუხლი 97.

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ – ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მუხლი 98.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და არც რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

მუხლი 99.

როდესაც პარლამენტის სხდომები შეწყვეტილია, ხოლო სესხის აღებას საჭიროება მოითხოვს, პარლამენტი საჩქაროდ მოწვეულ უნდა იქნეს.

მუხლი 100.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში აღნიშნული უნდა იქნეს. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მუხლი 101.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს, პარლამენტის ნებართვით.

მუხლი 102

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

თავი მერვე

სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 103

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება,

ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი და
გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში.

მუხლი 104.
სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

მუხლი 105.
კონტროლის ორგანიზცია და წესი მოქმედებისა განსაზღვრულია კანონით.

თავი მეცხრე

სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 106.
ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა თანახმად კანონისა.

მუხლი 107.
სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 108.
სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 109.
ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

მუხლი 110.
ჯარში ჩარიცხული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ერთგულების ფიცსა ან აღთქმას სდებს.

თავი მეათე

ადგილობრივი მმართველობა

მუხლი 111.

ადგილობრივი მმართველობა განაგებს ადგილობრივი მართვა-გამგეობის და მეურნეობის საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 112.

ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია, უფლება, მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 113.

ადგილობრივ მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 114.

ადგილობრივი მმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მუხლი 115.

ადგილობრივ მმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 116.

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი მმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ ეწინააღმდეგება კანონს. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 117.

ადგილობრივი მმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

მუხლი 118.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი მმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 119.

ადგილობრივ მმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, განსაზღვრული ცალკე კანონით.

თავი მეთერთმეტე

აფხაზეთისა, სამუსლიმანო საქართველოს და ზაქათალის ავტონომიური მმართველობა

მუხლი 120.

აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 121.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობის დებულება შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

თავი მეთორმეტე

სწავლა-განათლება და სკოლა

მუხლი 122.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობა არის მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 123.

სახელმწიფო ზრუნავს – ხელოვნებისა, ისტორიისა, კულტურისა თუ ბუნების ნაშთი და ძეგლი დაცულ იქნეს და უცხოეთში არ იქნეს გატანილი.

მუხლი 124.

პირველ დაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთ ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველ დაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განთლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მუხლი 125.
პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცემათ.

მუხლი 126.
კერძო თაოსნობით გამართული სკოლა ემორჩილება რესპუბლიკის კანონს.

მუხლი 127.
სავალდებულო სწავლის დამთავრებისას თვითოეული მოწაფეს ეძლევა ერთი ცალი კონსტიტუცია.

თავი მეცამეტე

სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მუხლი 128.
რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 129.
საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესითა და საფასურით.

მუხლი 130.
რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო, სამრეწველო და სამეურნეო დარგი და კერძო წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 131.
რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია სოფლის მეურნეობის აყვავება, მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწისმფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 132.
დაქირავებული სამუშაო ძალა რესპუბლიკის კანონმდებლობის საზრუნავი საგანია.

მუხლი 133.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ მმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, შუამავალი კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს საშოვნელად.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 134.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 135.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლიან.

მუხლი 136.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 137.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა, ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლად, რესპუბლიკის წლიური შემოსავლიდან უნდა გადაიდოს არა ნაკლებ 5%-ისა.

მუხლი 138.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 139.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16–18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო ისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 140.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მუხლი 141.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 142.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 143.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

თავი მეთოთხმეტე

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 144.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

მუხლი 145.

ამა თუ იმ უმცირესობისადმი მიკუთვნება განისაზღვრება თანახმად მოქალაქეთა სურვილისა და მათი ნებაყოფლობითი განცხადებისა.

მუხლი 146.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს შეადგინოს ეროვნული კავშირი, მოაწყოს და დაიცვას თავისი კულტურული საქმე კონსტიტუციისა და კანონების საზღვრებში.

მუხლი 147.

ეროვნულ კავშირს უფლება აქვს გახდეს იურიდიულ პიროვნებად თანახმად საერთო წესებისა.

მუხლი 148.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

მუხლი 149.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც შეიცავს კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 150.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 151.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გაღებული თანხით დაარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 152.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის დედა-ენაზე.

მუხლი 153.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ

უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მუხლი 154.

კანონთა გამოქვეყნების წესი ეროვნულ უმცირესობისათვის განისაზღვრება ცალკე კანონით.

მუხლი 155.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით.

თავი მეთხუთმეტე

სახელმწიფო მოხელენი

მუხლი 156.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 157.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო სრულებით დათხოვნა სამსახურიდან შეიძლება იმ ორგანოს დადგენილებით, რომელსაც ამის უფლება ექნება მინიჭებული კანონით.

მუხლი 158.

თვითეულ მოხელეს მიენიჭება უფლება პენსიისა; მოხელისა და მის ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 159.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისამებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს.

თავი მეთექვსმეტე

სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 160.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან. არ შეიძლება იქნეს გამოცემული ისეთი კანონი, რომელიც აღიარებს ან უარყოფს რომელსამე სარწმუნოებას ან სარწმუნოებრივ ორგანიზაციას.

მუხლი 161.

არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა.

მუხლი 162.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ მმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია

თავი მეჩვიდმეტე

კონსტიტუციის გადაშინჯვა

მუხლი 163.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადაშინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა, და

ბ) 50.000 -ს ამომრჩეველსა.

მუხლი 164.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივ გადაშინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში შედის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 165.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადაშინჯვის წინადადება მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის დადასტურების შემდეგ.

მუხლი 166.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდის კონსტიტუციის გადაშინჯვის წინადადების საგნად.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალში ან გამოძიებაში იქნება მოცემული.

სრულიად დათხოვნა – კი შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის ძალით.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი. შედგენილი და გამოცემული დამფუძნებელი კრების საზოგადოების მიერ,

ტფილისი, ივნისი, 1920 წელი.

მშრომელი ხალხის კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, წარდგენილი დამფუძნებელ კრებაში

სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქციის მიერ

ჩვენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მშრომელნი, ვითვალისწინეთ რა ჩვენი ქვეყნის თავისებურ სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას და ძლევამოსილი რევოლუციის მიერ შექმნილ უმაგალითო შესაძლებლობათ შრომის განთავისუფლებისა და კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის, ვაცხადებთ საქვეყნოთ:

დაამსხვრია რა მონობის ბორკილები, საქართველოს მშრომელი ხალხი ამყარებს ახალს სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას, რომლის მიზანი არის პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფა და ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის საზოგადოებრივ ფორმებში განსახიერება.

საქართველოს მშრომელთ სურთ შექმნან უტყუარი გარანტია შრომის ნამდვილი ბატონობისა და ერის დამოუკიდებლობისა; სრული რწმენით, რომ უკვე დადგა კაპიტალიზმის აღსასრული, რომ ყოველი ერი სოციალიზმის სამეფოში უნდა შევიდეს თავისი ინდივიდუალობითა და საკუთარი გზით.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული ხმის მიცემით იღებს შემდეგს კონსტიტუციას:

თავი პირველი

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

საქართველო არის შრომის რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს რესპუბლიკა დაუნდობლად ებრძვის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ყველა ფორმებს: კლასობრივს, რასიულს, ეროვნულსა და რელიგიურს და მიისწრაფვის ერთა სოლიდარობისა და თავისუფალ თანამშრომლობის დამყარებისათვის.

მუხლი 3.

სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება საქართველოში ეკუთვნის მთელს ერს, ამ ძალა უფლებას ის ანხორციელებს თვითონ უშუალოდ, ან მის მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული სისტემით არჩეული ორგანოების საშვალებით.

მუხლი 4.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 5.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

მუხლი 6.

ადმინისტრატიული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითი წესით.

მუხლი 7.

დამფუძნებელი კრების მიერ მიღების შემდეგ ეს კონსტიტუცია გადაეცემა ხალხს სარეფერენდუმოთ.

თავი მეორე

მოქალაქეობა

მუხლი 8.

საქართველოს მოქალაქეთ ითვლება ყველა: 1) ვინც ამ კონსტიტუციის მიღებამდი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ცხოვრობდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ კი ის ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ კონსტიტუციის მიღებისა არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და ბ) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

მუხლი 9.

ნატურალიზაციის წესით საქართველოს არა-მოქალაქეს შეუძლია მოიპოვოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ კი ის ერთი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე; სათანადო შუამდგომლობა უნდა წარედგინოს ადგილობრივ თვითმართველობას, და თუ უკანასკნელმა ორი კვირის განმავლობაში შუამდგომლობა არ უარყო, მთხოვნელი საქართველოს მოქალაქეთ ჩაითვლება.

შენიშვნა: უცხო მოქალაქე, რომელსაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე, შეიძლება ამ ვადის გარეშეც მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქეთ.

მუხლი 10.

საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს: ა) ვინც რესპუბლიკის წინაშე კანონით განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მოვალეობათა შესრულების შემდეგ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე, და ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას მოიპოვებს.

თავი მესამე

მოქალაქის უფლებანი

მუხლი 11.

ყოველი მოქალაქე სარგებლობს: სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, მიმოსვლისა და ბინადრობის სრული თავისუფლებით.

მუხლი 12.

ყოველი მოქალაქე შეუვალია: მისი შეპყრობა ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 13.

დამნაშავეთა დაკავება შეუძლია ყოველ მოქალაქეს, თუ ბოროტმომქმედს დანაშაულის ადგილას მიუსწრებს.

მუხლი 14.

ყოველი შეპყრობილი 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი, და სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს არა უგვიანეს 24 საათისა წაუყენოს ბრალდება, ან დაუყონებლივ გაათავისუფლოს.

მუხლი 15.

მოქალაქის ბინა და კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია; ბინის გაჩხრეკა და კორესპოდენციის ამოხვმა-გადაშინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 16.

მოქალაქის დასჯა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 17.

ყველა მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან.

მუხლი 18.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსოს ყოველგვარი კავშირი.

მუხლი 19.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მუხლი 20.

მე-18 და მე-19 მუხლებში აღნიშნული უფლებებით სარგებლობენ აგრეთვე სახელმწიფო მოხელენი.

მუხლი 21.

ორივე სქესის მოქალაქე ყოველგვარ უფლებებში გათანასწორებულია.

მუხლი 22.

აკრძალულია უცხო სახელმწიფოს გადაეცეს პოლიტიკური დამნაშავე.

მუხლი 23.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 24.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 25.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის; მოქალაქეს უფლება აქვს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს.

თავი მეოთხე

სახალხო საბჭო

მუხლი 26.

რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის საქართველოს სახალხო საბჭო; სახალხო საბჭო შედგება 100 დეპუტატისაგან. დეპუტატები არჩეული არიან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ორივე სქესის მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შესრულებია. სახალხო საბჭო ირჩევა ორი წლის ვადით.

მუხლი 27

სახალხო საბჭოს წევრთა ასარჩევად რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად.

მუხლი 28.

სახალხო საბჭოს წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა მის მიერ გამოთქმული აზრისა და შეხედულებისათვის. სახალხო საბჭოს წევრის პიროვნება შეუვალია; ის არ შეიძლება შეპყრობილ, ან სამართალში მიცემულ იქნეს, ვიდრე სახალხო საბჭოს წევრად ითვლება, თუ თვით სახალხო საბჭომ ნება არ დართო.

მუხლი 29.

სახალხო საბჭოს წევრებს მიეცემა გასამრჯელო.

მუხლი 30.

სახალხო საბჭოს წევრობა სხვა თანამდებობასთან შეუთავსებელია. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ მთავრობის წევრები, რომლებიც არ სარგებლობენ სახალხო საბჭოში დეპუტატის ხმის მიცემის უფლებით, ვიდრე მთავრობის წევრებად არიან.

მუხლი 31.

სახალხო საბჭო გამოსცემს კანონსა და დადგენილებას, რომელიც გამოქვეყნდება კანონით განსაზღვრული წესით მხოლოდ სახალხო საბჭოს თავმჯდომარის, ან მისი ამხანაგის ხელმოწერით.

მუხლი 32.

სახალხო საბჭოს ეკუთვნის:

ა) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალისა;

ბ) ამნისტიისა და შეწყალების უფლება;

გ) თანამდებობის პირთა არჩევა, – კონსტიტუციის, ან კანონით მისდა მინიჭებული.

დ) აღმასრულებელი ხელის უფლების საერთო კონტროლი;

და ე) ხალხისთვის კანონების წარდგენა იმ საკითხებში, რომელთათვის დაწესებულია სავალდებულო რეფერენდუმი.

მუხლი 33.

სავალდებულო რეფერენდუმით სწყდება:

ა) სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება, ან სადაო საზღვრების შესწორება;

ბ) ომისა და ზავის საკითხები;

გ) სესხის აღება;

დ) საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებათა დამტკიცება;

და ე) ბიუჯეტის დამტკიცება.

მუხლი 34.

სახალხო საბჭოს წევრთ უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა.

მუხლი 35.

სახალხო საბჭო თითონ განსაზღვრავს რეგლამენტით თავის მოქმედების წესს.

მუხლი 36.

სახალხო საბჭო იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი სახალხო საბჭოს არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ სახალხო საბჭოს გახსნას.

მუხლი 37.

სახალხო საბჭოს მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 38.

სახალხო საბჭოს მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ვადით, არა უმეტეს სამი თვისა წელიწადში. როცა სახალხო საბჭოს მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებული შემთხვევისათვის აქვს სახალხო საბჭოს პრეზიდიუმს. სახალხო საბჭოს შეკრება სავალდებულოა, თუ დეპუტატთა ერთი მეხუთედი მოითხოვს.

მუხლი 39.
ინიციატივის უფლება ეკუთვნის:
ა) სახალხო საბჭოს ყოველ წევრს,
და ბ) 1000 ამომრჩეველს.

მუხლი 40.
თუ დეპუტატთა მთელი შემადგენლობის ერთმა მეხუთედმა ან 10.000 ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, სახალხო საბჭო ვალდებულია ახლათ მიღებული კანონი ან დადგენილება 6 კვირის განმავლობაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს.

მუხლი 41.
სახალხო საბჭო ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს. არ შეიძლება ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ ან მის ამხანაგად ზედიზედ იქნეს არჩეული.

მუხლი 42.
სახალხო საბჭო ვადის გასვლამდი ხელახლა უნდა იქნეს არჩეული, თუ ამას მოითხოვს ამომრჩეველთა ნახევარი.

თავი მეხუთე

აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 43.
რესპუბლიკის მთავრობა არის ხალხის მსახური და მისი ნების ცხოვრებაში გამტარებელი. მთავრობას ევალება რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა. ის იღებს სასწრაფო და გამაფრთხილებელ ზომებს რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად და შრომის წყობილების განსამტკიცებლად.

მუხლი 44.
მთავრობას აქვს უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა.

მუხლი 45.
მთავრობა ვალდებულია სახალხო საბჭოს ყოველს მოთხოვნაზე, ხოლო ჩვეულებრივ ყოველ სამ თვეში წარუდგინოს მას მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობისათვის.

მუხლი 46.

მთავრობას შეუძლია სახალხო საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით მოულოდნელ შემთხვევაში გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა ხუთი ათას კაცამდი ვადით, არა უმეტეს 14 დღისა; უკეთუ მეტი ძალა დასჭირდა, ამის ნებართვა სახალხო საბჭოსაგან უნდა მიიღოს.

მუხლი 47.

მთავრობა ვალდებულია წარუდგინოს სახალხო საბჭოს ყოველწლივ შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და ბიუჯეტი.

მუხლი 48.

მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევს სახალხო საბჭო ერთის წლის ვადით.

მუხლი 49.

მთავრობის დანარჩენ წევრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეთაგან.

მუხლი 50.

მთავრობის წევრობა სხვა თანამდებობასთან, გარდა სახალხო საბჭოს წევრობისა შეუთავსებელია.

მუხლი 51.

მთავრობის თავმჯდომარეს არავითარი განსაკუთრებული უფლება არა აქვს, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდამი მიკუთვნილი. მთავრობის თავმჯდომარე სცემს ბრძანებას და განკარგულებას კანონის ასრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მუხლი 52.

მთავრობის თავმჯდომარეს შეუძლია მისი მოვალეობის ასრულება დროებით დაავალოს მთავრობის ერთ-ერთს წევრს.

მუხლი 53.

ერთი და იგივე პირის არჩევა მთავრობის თავმჯდომარედ ზედიზედ არ შეიძლება.

მუხლი 54.

მთავრობა პასუხისმგებელია საერთო გამგებლობისათვის.

მუხლი 55.

თითოეული მინისტრი დამოუკიდებლად და სახალხო საბჭოს წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს.

მუხლი 56.

როგორც მთავრობა, ისე თითოეული მინისტრი უნდა გადადგეს, თუ დაჰკარგავს სახალხოს საბჭოს ნდობას.

მუხლი 57.

მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ სახალხო საბჭოს; მთავრობის წევრთა გასამართლება საერთო წესით წარმოებს.

თავი მეექვსე

სასამართლო

მუხლი 58.

რესპუბლიკა დაყოფილია წვრილ სასამართლო ერთეულებად; ყოველ ერთეულში არსებობს კოლეგიალური სასამართლო, რომლის წევრებს ორი წლის ვადით ირჩევენ ერთეულის სრულუფლებიანი მოქალაქენი.

მუხლი 59.

რესპუბლიკაში არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო, რომლის წევრებს ორი წლის ვადით ირჩევენ რესპუბლიკის სრულუფლებიანი მოქალაქენი.

მუხლი 60.

აღნიშნულ სასამართლოთა ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება ცალკე კანონით.

მუხლი 61.

სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

მუხლი 62.

სასამართლოს წევრის დათხოვნა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

მუხლი 63.

სასამართლო უფასოა.

მუხლი 64.
მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს შრომის რესპუბლიკის სახელით.

თავი მეშვიდე

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 65.
რესპუბლიკის ფინანსების მთავარი წყარო არის მისი საზოგადოებრივი მეურნეობა.

მუხლი 66.
არაპირდაპირი გადასახადი გაუქმებულია ყველა საგნებზე გარდა ფუ-ფუნების საგნებისა.

მუხლი 67.
დაწესებულია შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გადასახადი.

მუხლი 68.
მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი სრულიად თავისუფალია გადასახადისაგან.

მუხლი 69.
სახელმწიფოს აქვს ერთი მთლიანი ბიუჯეტი, სადაც ყოველივე მისი შე-მოსავალ-გასავალი აღნიშნული უნდა იქნეს. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარუდგინოს სახალხო საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხლი 70.
ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში არ შეიძლება.

მუხლი 71.
სახალხო საბჭოს ნება დაურთველად არც ერთი გადასახადი არ შეიძლე-ბა დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს.

მუხლი 72.
სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება და სახელმწიფოს ყოველ-ნაირი შემოსავალი და გასავალი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს.

მუხლი 73.
სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს სახალხო საბჭო, რომლის წინაშე ის პასუხისმგებელია.

თავი მერვე

სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 74.
მუდმივი ჯარი გაუქმებულია.

მუხლი 75.
რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას შეადგენს სახალხო მილიცია.

მუხლი 76.
ყოველი მოქალაქე ვალდებულია პირადათ მოიხადოს სამილიციო ბეგარა.

მუხლი 77.
სახალხო მილიციის ორგანიზაცია ცალკე კანონით განისაზღვრება.

თავი მეცხრე

ადგილობრივი თვითმართველობა

მუხლი 78.
ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო არის ფუძე შრომის რესპუბლიკისა, განაგებს თვითმართველობისა და მართველობის საქმეებს და ანხორციელებს მეურნეობის ფართო და აქტიურ განსაზოგადოებრივობის პრინციპებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 79.
ადგილობრივ თვითმართველობათა ცენტრალურ კავშირებს ენიჭება საჯარო უფლებები.

მუხლი 80.
ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება.

მუხლი 81.
ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 82.
ადგილობრივ თვითმართველობის ორგანიზაცია და უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება ცალკე კანონით.

მუხლი 83.
ინიციატივის უფლება აქვს ყოველ ხმოსანს და ხმის მიმცემთა იმ რაოდენობას, რომელიც თითოეულს ცალკე შემთხვევაში ხმოსნის საარჩევნო მეტრს უდრის.

მუხლი 84.
ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილება გადაეცემათ ადგილობრივ მცხოვრებთ სარეფერენდუმოთ, თუ ამას მოითხოვს ხმოსანთა 1/5 ან ხმის მიმცემთა ის რაოდენობა, რომელსაც თითოეულს ცალკე შემთხვევაში ხმის მიმცემთა 1/5-ს უდრის.

თავი მეათე

სწავლა-განათლება და სკოლა

მუხლი 85.
სულის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას რესპუბლიკა სთვლის პიროვნების სრული განთავისუფლების აუცილებელ პირობათ. მეცნიერება და ხელოვნება რესპუბლიკის ზრუნვის უპირველეს საგანს შეადგენს.

მუხლი 86.
სწავლა ყველა საფეხურზე უფასოა და საეროა.

მუხლი 87.
პირველ და უმაღლეს – დაწყებითი სწავლა საყოველთაოა და სავალდებულოა.

მუხლი 88.

ღარიბ მოსწავლეთ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ნივთიერად სწავლის ყველა საფეხურზე.

მუხლი 89.

არავითარი შკოლა, არც დაბალი, არც საშვალო და არც უმაღლესი თავისთავად არავითარ სახელმწიფოებრივ უფლებებს და უპირატესობათ არ ანიჭებს მოქალაქეს.

მუხლი 90.

სკოლა მთლიანია და შრომის პრინციპზე აგებული.

მუხლი 91.

ხელოვანნი და მეცნიერნი, რომელნიც სპეციალურად ხელოვნებასა და მეცნიერებას ემსახურებიან, ითვლებიან რესპუბლიკის სამსახურში და, თავიანთი ნიჭისა და შრომის უნარის მიხედვით, ღებულობენ გასამრჯელოს.

თავი მეთერთმეტე

სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მუხლი 92.

სოციალ-ეკონომიურ სფეროში რესპუბლიკის ძირითადი მიზანია: შრომის საბოლოო განთავისუფლება შრომისა და საკუთრების მწყობრ სისტემატიურ სოციალიზაციის საფუძველზე.

მუხლი 93.

რესპუბლიკა აღიარებს უფლებას შრომაზე.

მუხლი 94.

სიღარიბესა და ექსპლოატაციასთან საბრძოლველად შემოღებულია შრომის საყოველთაო ბეგარა.

მუხლი 95.

რესპუბლიკა ვალდებულია უზრუნველყოს ნივთიერათ-შრომის უნარს მოკლებულნი.

მუხლი 96.
მუშათა საბჭოების არსებობა და მოქმედება უზრუნველყოფილია.

მუხლი 97.
წარმოებაში დაწესებულია მუშათა კონტროლი.

მუხლი 98.
წესდება ხელფასის მინიმუმი.

მუხლი 99.
ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს; გამონაკლისს სამუშაო დროს შესახებ განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 100.
წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო ისაზღვრება 6 საათით დღეში. მოზარდთა და საზოგადოდ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 101.
განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუ-მწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოში ამყოფოს მუშა-ქალები.

მუხლი 102.
ყველა სახლები და შენობანი, რომლებიც უშრომო შემოსავლის წყაროს შეადგენს, ერის კუთვნილებად ცხადდება და გადადის რესპუბლიკის ცენტრალურისა და ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებაში.

მუხლი 103.
ბანკები და ყველა საკრედიტო დაწესებულებანი გადადიან სახელმწიფოს ხელში.

მუხლი 104.
კოოპერაცია რესპუბლიკის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის საგანს შეადგენს.

თავი მეთორმეტე

მიწის სოციალიზაცია

მუხლი 105.

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ყველა მიწები, ტყეები და წყლები და აგრეთვე ყოველივე ის, რაც მიწის წიაღშია შეადგენს ამიერიდან და სამუდამოთ ხალხის საერთო ავლა–დიდებას.

მუხლი 106.

ყველა მოქალაქეს აქვს თანასწორი უფლება მიწაზე, ტყეზე და წყალზე და აგრეთვე ყოველივე მასზე, რაც მიწის წიაღშია.

შენიშვნა: პირველ რიგში მიწით დაკმაყოფილებულნი იქნებიან მიწის მუშები.

მუხლი 107.

უმაღლესი გამგებლობა მიწის, ტყეების, წყლების და აგრეთვე ყოველივე იმის, რაც მიწის წიაღშია, ეკუთვნის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს. ადგილობრივი გამგებლობა ევალება ადგილობრივ თვითმართველობათ, თვითოეულს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 108.

მიწის უმაღლესი გამგებლობისა და აგრეთვე ადგილობრივ თვითმართველობათა დანიშნულებას შეადგენს: შექმნა ხალხის საკეთილდღეოთ საჭირო პირობების საწარმოვო ძალთა უაღრესი განვითარებისათვის, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება და მისი სამართლიანი განაწილება მცხოვრებთა შორის.

მუხლი 109.

პირთა და დაწესებულებათა უფლება მიწაზე ხორციელდება მხოლოდ სარგებლობის სახით.

თავი მეცამეტე

ჯანმრთელობა

მუხლი 110.

ჯანმრთელობა, როგორც ერის ფიზიკური არსებობის აუცილებელი პირობა, რესპუბლიკის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენს.

მუხლი 111.

რესპუბლიკა ვალდებულია:

ა) აღმოუჩინოს მოქალაქეთ უფასო საექიმო დახმარება;

ბ) მოაწყოს უფასო სანატორიუმები; და

გ) აწარმოოს ფართო ბრძოლა ტუბერკულიოზისა და მალარიის წინააღმდეგ.

მუხლი 112.

რესპუბლიკას ევალება დედობისა და ბავშვების დაცვისათვის განსაკუთრებული მზრუნველობა.

თავი მეთოთხმეტე

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 113.

ყოველ ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება შეინარჩუნოს თავისებურობა და განავითაროს თავისი ეროვნული ინდივიდუალობის პროგრესიული მხარეები.

მუხლი 114.

ერთა თანასწორობა რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია.

მუხლი 115.

ამა თუ იმ ეროვნულ უმცირესობისათვის თავის მიკუთვნება განისაზღვრება მოქალაქეთა პირადი და ნებაყოფლობითი განცხადებით.

მუხლი 116.

ეროვნულ კავშირებს ენიჭებათ საჯარო უფლებები.

მუხლი 117.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დედა-ენაზე თავისუფლად წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს.

მუხლი 118.

ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის დედა-ენაზე.

მუხლი 119.

ეროვნულად ნარევ ოლქებში კულტურულ–განმანათლებელ საქმეებისათვის გადადებული თანხის ხარჯვაში უნდა იქნეს დაცული შესაფერისი პროპორცია.

მუხლი 120.

ადგილობრივი მართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20 პროც. ამ ეროვნული უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთათ და მის დედა-ენაზეც.

მუხლი 121.

არა ქართველ დეპუტატს შეუძლია სახალხო საბჭოში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენაზე.

თავი მეთხუთმეტე

აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს, და ზაქათალის ავტონომიური მართველობა

მუხლი 122.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს: აფხაზეთს, სამუსლიმანო საქართველოს და ზაქათალას ენიჭებათ ფართო ავტონომია.

მუხლი 123.

ავტონომიური ერთეულის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა კომპეტენცია განისაზღვრება ცალკე კანონით.

მუხლი 124.
ავტონომიური ერთეული შეადგენს ცალკე საარჩევნო ოლქს საქართველოს სახალხო საბჭოს არჩევნების დროს; არჩევნები ხდება საერთო წესით; დეპუტატების რიცხვი განისაზღვრება მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით.

თავი მეთექვსმეტე

სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 125.
ეკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევებულია.

მუხლი 126.
არც ერთს სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 127.
ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

თავი მეჩვიდმეტე

დედაქალაქი, დროშა, ღერბი

მუხლი 128.
რესპუბლიკის დედაქალაქი არის ტფილისი, სადაც ჩვეულებრივ იმყოფება სახალხო საბჭო და მთავრობა.

მუხლი 129.
რესპუბლიკის დროშა არის წითელი იისფერი წარწერით: „საქართველოს შრომის რესპუბლიკა“.

მუხლი 130.
რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომარე.

თავი მეთვრამეტე

კონსტიტუციის გადაშინჯვა

მუხლი 131.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადაშინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) სახალხო საბჭოს წევრთა ნახევრის არა ნაკლებს

და ბ) 30.000 ამომრჩეველს.

მუხლი 132.

კონსტიტუციის საზოგადო გადაშინჯვის წინადადება მიღებული უნდა იქნეს სახალხო საბჭოს ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით, ნაწილობრივი გადაშინჯვის წინადადება მიღებული უნდა იქნეს სახალხო საბჭოს ყველა წევრთა არა ნაკლებ ნახევარის მიერ. გადაშინჯული მუხლი ძალაში შედის მხოლოდ ხალხისაგან დადასტურების შემდეგ.

დამფუძნებელი კრების სოციალისტ რევოლიუციონერთა ფრაქცია:

1. ლეო შენგელაია;
2. ილია ნუცუბიძე;
3. ივანე გობეჩია;
4. იოსებ გობეჩია;
5. გრიგოლ ნათაძე;
6. ივანე ლორთქიფანიძე.

რედაქტორი ილია ნუცუბიძე.
გამომცემელი ცენტრ. კომიტეტი.

გაზ. „შრომა“, № 4. 23 იანვარი, 1921 წ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენცია

ნოე ჟორდანიას მოხსენება

1921 წლის 19 იანვრის დილის სხდომა

პარტიული დისციპლინა

ამხანაგებო!

ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა მოხსენება გაგიკეთოთ პირველ საკითხზე – პარტიული დისციპლინის შესახებ. როგორც ამხანაგმა ჯიბლაძემ მოგახსენათ, ეს საკითხი დასმულია იმიტომ, რომ ჩვენი პარტიის დისციპლინა ცოტაოდენ შეირყა და თქვენ იცით, კედელი რომ რღვევას დაიწყებს, თუ დროზე არ მოვუარეთ, სულ დაინგრევა და ამიტომ ჩვენ ეხლავე ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთ მოვლენას.

თითქმის 25 წელიწადია მას შემდეგ, რაც არსებობს ჩვენი პარტია, ჩვენი ორგანიზაცია; 25 წელიწადია, რაც ჩვენმა მუშათა კლასმა შექმნა საკუთარი ორგანიზაცია და იბრძვის ორგანიზაციის საშუალებით და ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა ის, რაც ხდება დღეს. ის დისციპლინა, პარტიული ტრადიცია, ერთნაირი პარტიული სიმაგრე, რომლის შიგნით ჩვენ თავიდანვე ვმუშაობდით და ერთმანეთისადმი ნდობა გვქონდა, – ყოველივე ეს ერთის მხრით შენგრეულია და ამგვარად, საფრთხეშია ის ძველი პარტიული ტრადიცია, რომელიც დღემდე ჩვენ გამარჯვებას გვანიჭებდა.

რა ნაირი იყო პარტიული დისციპლინა და ორგანიზაცია წინად, რა როლს თამაშობდენ კერძო ჯგუფები და პიროვნებები მაშინ და როგორ არის საქმე ახლა?

ჩვენი ორგანიზაცია და მისი ისტორია დიდი ხნიდან იწყება, ჩვენ ვიყავით რუსეთის ს.დ. პარტიის ნაწილი; იქაც იყო პარტია და აქაც; მაგრამ ჩვენი მუშაობა დიდათ განსხვავდებოდა იმისაგან, რაც იყო რუსეთში. პირველი კითხვა, რომელიც დაისვა ლონდონში პარტიულ ყრილობაზე, იყო ორგანიზაციული კითხვა და ამ ნიადაგზე მოხდა განხეთქილება. ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ პარტია უნდა შენდებოდეს ზევიდან, ხოლო მეორე, წინააღმდეგ, მოითხოვდა პარტიის ქვევიდან შენებას. დაიბადა ორი მიმართულება, გაჩნდა მენშევიკ-ბალშევიკობა.

რუსეთში ეს ორი მიმართულება მხოლოდ თეორიულად განსხვავდებოდნენ. პრაქტიკაში კი ორივე ერთნაირად – ზევიდან აშენებდნენ პარტიას, მარტო ჩვენში შენდებოდა პარტია ქვევიდან.

ამიტომ ბრძოლა რუსის ბალშევიკებსა და მენშევიკებს შორის პირველად წვრილმანებს ეხებოდა, ჩვენი განსხვავება კი მათთან იმთავითვე ძირითადი იყო. პირველად ჩვენ დავაყენეთ კითხვა ნათლად და ძირიანათ როგორ უნდა შენდებოდეს პარტია: ზევიდან თუ ქვევიდან – დიქტატორულად თუ დემოკრატიულად – და სწორედ აქ იყო ჩანასახი ჩვენი დღევანდელი განსხვავებისა.

შემდეგ გამოირკვა, რომ ბალშევიკების შეხედულებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა დემოკრატიასთან. არა მარტო ორგანიზაციულ, არამედ პოლიტიკურ საკითხშიაც.

ამნაირად, სულ სხვადასხვა ნაირათ შენდებოდა ორგანიზაცია რუსეთში და ჩვენში. იქ შეიკრიბებოდნენ პროფესიონალური რევოლიუციონერები და დანიშნავდნენ კომიტეტს: აქ კი ორგანიზაციებს ადგენდნენ თვით მუშები, ორგანიზაციები შემდეგ ირჩევდნენ კომიტეტს. იქ ხელმძღვანელებს თვითონ მოქონდათ ფული; აქ კი მთელი ბატონპატრონი თვით მუშათა ორგანიზაცია იყო – მუშები თვით იხდიდენ პარტიისათვის ფულს და თვითონ ზრუნავდენ პარტიის გაძლიერებაზე. ასეთი მაგალითი არსად არ ყოფილა, გარდა საქართველოსა და ლატვიისა. ერთი სიტყვით, იქ, რუსეთში ორგანიზაციის ხაზეინი იყო ინტელიგენცია, აქ კი მუშები, შეერთებული მასა და მას ემსახურებოდა ინტელიგენცია.

მეორე თვისება ჩვენი ორგანიზაციისა ის იყო, რომ პარტიული ორგანიზაცია ჩვენში მუდმივი იყო და ვერავითარი რეაქცია, ვერავითარი შიში ვერ ანგრევდა მას. რა თქმა უნდა, ის სუსტდებოდა, კლებულობდა ან მატულობდა. მაგრამ მაინც მუდამ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, აქ, ტფილისში ამ ოცი წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი მომენტი, რომ ჩვენი ორგანიზაციის არსებობა შერყეულიყო მაშინ, როდესაც რუსეთში ორგანიზაციის არსებობა გამონაკლისი იყო და უფრო ხშირად ის არ არსებობდა. იქ, როცა გმირებს დაიჭერდნენ, – ორგანიზაციაც დაიშლებოდა, რადგანაც თვით მასა არ იყო მუშაობაში ჩასმული. 1905 წელს, როცა რევოლიუცია მოხდა, მოსკოვში არ არსებობდა პარტიული ორგანიზაცია, მაშასადამე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თვისება იყო მუდმივობა და დემოკრატიული შენება.

ასეთ პირობებში რა როლი ეჭირა პიროვნებას?

აქ პიროვნებას, რაგინდ ნიჭიერი და მომზადებული ყოფილიყო ის, ჰქონდა ხელქვეითი როლი, ის პირდაპირი მორჩილი და აღმასრულებელი იყო ყოველივე იმისა, რასაც ორგანიზაცია დაადგენდა. აქ არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე პიროვნებას თავის ირგვლივ შემოეკრიბა გუნდი და მიეცა მისთვის თავისი სახელი, როგორც ამას რუსეთში ჰქონდა ადგილი;

იქ თვითეულ ლიდერს თავისი ჯგუფი ჰყავდა, თავისი ორგანიზაცია ჰქონდა – ლენინელები, მარტოველები, პლეხანოველები და სხვები. ამ ლიდერების ირგვლივ იყრიდნენ თავს მუშები და ეს იყო მთელი ორგანიზაცია – პარტია. ასევე იყო ბაქოშიც, საცა ჩვენ ვხედავთ სტარიკოველებს, სჩენდრიკოველებს დასხვა. ამ ნაირად, საქართველოს გარეშე ნამდვილი პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდა.

რით აიხსნება ეს განსხვავება ?

იმით, რომ რუსის მასა განსხვავდება ჩვენი მასისაგან; მას არ შეუძლია მოქმედება ისე, თუ რომელიმე ლიდერს, გამოჩენილ პიროვნებას არ მიჰყვეს უკან რა თქმა უნდა. პიროვნებას ჩვენშიაც დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ ისეთ პიროვნებას, რომელიც ყველაზე უკეთ ხატავდა მასის, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ სულის კვეთებას. მხოლოდ თუ პიროვნება ამ მასის, ორგანიზაციის სულის კვეთების წინააღმდეგ წავიდოდა, რა გინდ ნიჭიერი, მძლავრი ყოფილიყო ის, გარიყული დარჩებოდა და ყოველივე გავლენას ან ძალას ჰკარგავდა. რასაკვირველია, აზრთა სხვა და სხვაობა, დავა ჩვენშიაც იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომპეტენტური ორგანიზაცია თავის განაჩენს გამოიტანდა, – დავაც მოისპობოდა. არ ყოფილა მაგალითი, რომ ცალკე გამოსულიყო რომელიმე პიროვნება და თავისი სექტის შენება მოენდომებია. ამით განვსხვავდებოდით ჩვენ რუსეთის პარტიისაგან.

მართალია, იყო ერთი მაგალითი ჩვენშიც – დარჩიაშვილი. მაგრამ ის წავიდა პარტიიდან და უკანასკნელმა აღიარა მისი გასვლა. პარტიის გარეშე, რა თქმა უნდა, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიაში პიროვნებას ან ჯგუფს ჰქონდეს თავისი ორგანო, რომელიმე ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლათ.

ამრიგად, ჩვენში პიროვნებას, ჯგუფს, არ ჰქონდა დამოუკიდებლათ მოქმედების უფლება. ის იყო პარტიაში და მის ფარგლებში მისი დადგენილების თანახმად მუშაობდა.

სამწუხაროდ, ეს ჩვენ პარტიული ტრადიცია და დისციპლინა დღეს შერყეულია. პირველ ხანებში მე ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, სანამ არ დავინახე, რომ პატარა საქმეს შეიძლება სერიოზული შედეგი მოჰყვეს.

ყველა ქვეყნებში განხეთქილება პირველად პარლამენტის ფრაქციიდან დაწყებულა. ასე მოხდა საფრანგეთში, სადაც დიდხანს პარტია დაუძლურებული იყო, სანამ [ჟან] ჟორესმა არ შესძლო მისი შეკავშირება და შეერთება. სწორედ ფრაქციის წევრები როგორც ბრაუნი, მილეირანი და სხვები, არ ემორჩილებოდენ პარტიულ დისციპლინას, იკრებდენ თავის თავის ირგვლივ მიმდევრებს და ამ გზით შიგნიდან დაარღვიეს და დააუძლურეს პარტია. დეპუტატს ხშირად თავი მიაჩნია განსაკუთრებულ მადლით ცხებულათ და პარტიულ დისციპლინას მაინც და მაინც არ დაგიდევს.

განხეთქილებაც ფრაქციიდან იწყება. ჩვენ ფრაქციაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი აგდებულია, თითქოს ის უცხო ვინმე იყოს და დეპუტატს

შეეძლოს თავის ნებაზე და დამოუკიდებლად იმოქმედოს. ამან დაღუპა საფრანგეთის პარტია და დიდი ხნით დაასუსტა ის. იმ ფაქტმა, რომ დეპუტატები თავისი შეხედულებით მოქმედებენ და არ ემორჩილებიან პარტიის დადგენილებას, შექმნა იქ ერთ დროს უდისციპლინობა და აქედან იწყება პარტიის რღვევაც. ამ ნაირათ არჩეული პირები, რომელნიც მასიურ ორგანიზაციას მოწყვეტილნი არიან, ადვილათ ეთიშებიან პარტიულ დისციპლინას, რადგან ისინი აღარ განიცდიან მასის კონტროლს. თქვენ იცით, რომ „ახალი სხივის“ ნომრებში დეპუტატები გამოდიან ფრაქციის წინააღმდეგ. აბრალებენ მას სერვილიზმს და სხვა მრავალ ცოდვებს და ამ რიგათ ასუსტებენ მის ძლიერებას. ფრაქცია – ეს მოწინავე მებრძოლი რაზმია და როცა აქ, შიგნით, ერთი ნაწილი მეორეს წინააღმდეგ ილაშქრებს, – მაშინ ის, როგორც ბრძოლის ორგანიზაცია აღარ არსებობს. იმ დროს, როცა ირგვლივ მტრები გვახვევია, თუ შიგნით არ გვექნა სიმაგრე და ურთიერთშორისი სიმტკიცე, ჩვენი შენობის დანგრევას ყველა შესძლებს.

უნდა ვსთქვათ, რომ წინადაც იყო ჩვენს პარტიაში ასეთი შემთხვევა, – აირჩევდნენ კომიტეტს და შემდეგ ამრჩევლები (!) ამ კომიტეტს ოპოზიციაში უდგებოდნენ, მაგრამ მაშინ ეს იყო დარცხვენილი საქმე და ერქვა ინტრიგა, რომელიც ორგანიზაციის გარეშე არ გადიოდა. დღეს კი ეს წესი საქვეყნოდ, აშკარად გამოიტანეს, პრინციპად აღიარეს და კიდეც ტრაბახობენ ამით. ფრაქცია ირჩევს მთავრობას, ყველა თანახმაა იმ პირის, რომელსაც მისი შედგენა ევალება, უცხადებს მას ნდობას და მეორე დღეს კი იმავე ფრაქციის ერთი ნაწილი გამოდის თავისივე არჩეული მთავრობის წინააღმდეგ.

როგორ შეიძლება, რომ ერი დღეს ნდობა გამოუცხადო მთავრობას და მეორე დღესვე მის წინააღმდეგ გაილაშქრო!

ამას წინათ მე ვთქვი ფრაქციაში, რომ ასეთ პირობებში არ შემიძლია მუშაობა, ვინაიდან არ ვიცი, ვისთან მაქვს საქმე – მოყვარესთან თუ მოწინააღმდეგესთან. მოწინააღმდეგესთან ადვილია ბრძოლა, ჩვენ მიჩვეული ვართ ამას, მაგრამ როცა ისევ შენივე ამხანაგები გიცხადებენ ბრძოლას, – ეს მეტად ძნელია. ფრაქცია ერთსულოვნად ადგენს, რომ ის მთავრობას მხარს უჭერს და მეორე დღეს მთავრობის წინააღმდეგ აშკარად გამოდის „სხივი“ და მას უნდობლობას უცხადებს.

ეს პოლიტიკური გარყვნილებაა.

(ხმები: „მართალია“).

არავითარი ნდობა არ შეიძლება გვქონდეს ასეთ ხალხთან და ფრაქციას არაფერი სახეირო არ მოელის, თუ მას თავიდანვე არ ვუწამლეთ და იქ, ერთხელ და სამუდამოთ ინტრიგა არ მოვსპეთ.

ეს არის დისციპლინის აშკარა დარღვევა.

შეიძლებოდა წინედ გვეფიქრნა, რომ ეს წარმავალი მოვლენაა, დღეს ასე იქნება, – ხვალ გამოსწორდებაო, მაგრამ ამ დისციპლინის დარღვევაში წარმოშვა უკვე დიდი აზრთა განსხვავება. ვინც წაიკითხა „ახალი სხივი“-ს

ორი უკანასკნელი ნომერი მან აშკარად უნდა სთქვას, რომ ამ ჯგუფს უკვე არაფერი საერთო არა აქვს ჩვენს პარტიასთან. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი არღვევენ ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ვაშენებდით და ვაშენებთ და ამ გვარად „სხივი:“ დაგვშორდა ჩვენ არა მარტო დისციპლინის დარღვევით, არამედ თავისი იდეოლოგიითაც და თავისი შეხედულებებით. ასე არ მოხდებოდა, რომ „სხივი“ რომელიმე ორგანიზაციის ორგანო ყოფილიყო. როდესაც ორგანიზაციასთან გაქვს კავშირი, მაშინ ძალაუნებურად ჰმორჩილებ მასის კონტროლს, ხოლო თუ შენ მოსწყდი ორგანიზაციას, გასწყვიტე მასასთან კავშირი, მაშინ სწორ გზას ვეღარ შერჩები – ან აქეთ გადავარდები, ან იქეთ: შენს მოქმედებას აღარ აქვს არავითარი ჩარჩო და შენს საკუთარ მისწრაფებას და საკუთარ გულის ზრახვას მისდევ.

სწორედ ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. „სხივი“ არა აქვს კავშირი არ ერთ ორგანიზაციასთან, ის არის კერძო ჯგუფის, კერძო პიროვნებების ორგანო. ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი კრიტიკის, დისკუსიის, ან ორგანოს დაარსების, მაგრამ კრიტიკა უნდა სწარმოებდეს ორგანიზაციის ჩარჩოებში და გაზეთი უნდა წარმოადგენდეს რომელიმე ორგანიზაციის ორგანოს. მე წერა თქვენზე ნაკლები არ ვიცი, მაგრამ არასოდეს ცალკე არ გამოვსულვარ.

როგორ მოხდა რომ ეს ორი-სამი კაცი ვერ დაეტია ჩვენთან, ცალკე გამოვიდენ და თავიანთი ეკლესიის შენება დაიწყეს ?

ეს გამოიწვია სწორედ იმ უჩარჩოებამ, რომელზედაც მე წინეთ გითხარით: ეს გამოიწვია იმან, რომ ისინი მოწყდნენ ორგანიზაციას.

აიღეთ მაგალითად, „ახალი სხივის“-ს მე-2 ნომერი, სადაც თვით სათაური გვიჩვენებს შინაარსსაც. მას ჰქვია: „მოხელეთა კორპორაცია თუ სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია“. ე.ი. ვითომ ჩვენი პარტია მოხელეთა პარტიათ გადაიქცაო.

აქ ასეთი ამბებია:

„სახელმწიფომ შთანთქა პარტია და მუშათა კლასი ვერ ხედავს პარტიულ ორგანოებში თავის ინტერესის დამცველ აპარატს. ეს მოხელეების, „ჩინოვნიკების“ ორგანოებია, ამბობენ მუშები“...

„მუშათა კლასის მოწინავე რაზმი დიდი ხანია ამას გრძნობს და ოპოზიციონურათ არის განწყობილი. იგი ეძებს მიზეზებს და უკვე ჩამოყალიბდა მიზი აზრი, – იგი ხედავს, რომ პარტია ასცდა ძველ, ნაცად კლასობრივ გზას და გადაიქცა სახელმწიფოს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატად და შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი პარტიის შინაგან საქმეთა მინისტრიცაა, ე.ი. ცეკას ფაქტიური თავმჯდომარე“...

„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ოფიციალური პარტია ასცდა ამას და მიექანება ბურჟუაზიული გზით, აკეთებს ყოველდღიურ „მეჩშანურ“ საქმეს, იქნებ დიდათ საჭიროს. მაგრამ არა ნამდვილ დემოკრატიულს და, მით უმეტეს, არა სოციალისტურს“.

„ჩვენს პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლება არ ემორჩილება საკანონმდებლო ორგანოს და აქედან იბადება მთავრობის სრული უპასუხისმგებლობა“.

„უსისტემობა, ბიუროკრატიზმი და მასთან კონტროლის სრული უქონლობა. კონტროლის აბუჩად აგდების აღმაშფოთებელი ფაქტები მოგვცა უკანასკნელმა დებატებმა დამფ[უძნებელ] კრებაში მომარაგების მინისტრის მოხსენების შესახებ“.

ეს იყო პრინციპები და ეხლა ვნახოთ საშვალებები, რომლებიც ამ პრინციპებიდან გამომდინარეობენ:

„მუშათა კლასი უკვე ეჭვის თვალით უყურებს იმ მეთოდებს, რომლითაც მთავრობა და „გაჩინოვნიკებული“ ჩვენი პარტია სარგებლობს. ძველი პარტიული ამხანაგები, ნამდვილი მუშები, და არა „კაზიონი“ ხალხი, რომელნიც მხოლოდ სახელწოდებით არიან მუშები და არასოდეს არ შეუქმნიათ და ახლაც არ ქმნიან არავითარ ღირებულებას, – სწორედ მუშების საუკეთესო ნაწილი იზიარებს „ახალი სხივის“ პოზიციას“.

„მათ არ მოსწონთ ბალშევიკური კომუნისტური გიპერტროფია, მაგრამ მუშათა კლასი ვერ ურიგდება ვერც მენშევიკურ იმპოტენციას. ისინი გამოსთქვამენ მტკიცე სურვილს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ პარტიულ მუშაობას, ნამდვილ კლასიურ პარტიის შექმნას, არსებულ მოხელეთა კორპორაციის სრულ გადაქმნას და ჭეშმარიტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენას. მხოლოდ იმ პირობებში შეიძლება განვითარდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული აზრი. იქნება ამისთვის დაგვჭირდეს ახალი ფორმის გამონახვა, ერთგვარი გადამიჯვნა, მაგრამ თუ ამას საქმე მოითხოვს, თუ ეს აუცილებელი შეიქმნება, მაშინ სათანადო ნაბიჯებიც უნდა იქნეს გადადგმული“.

ესე იგი, გამოვყოთ და დავაარსოთ ცალკე პარტია, აი რას ქადაგებს „სხივი“!

ეხლა ავიღოთ „ახალი სხივის“ უკანასკნელი ნომერი, სადაც მოთავსებულია ხოჭოლავას მოხსენება, რომელიც მას გაუკეთებია რკინიგზელთა ყრილობაზე.

აქ სწერია:

„შეგნებული კლასთა ბრძოლის ნაცვლად სრული პასივობა, მოწინავე მუშების დარაზმვის ნაცვლად კავშირებში მთავრობის ხალხის გამეფება“.

აქ, როგორც ხედავთ, დაგმობილია ჩვენი პარტიის დღევანდელი მუშაობა და ტაქტიკა. როგორც ხედავთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოწოდებასთან, რომ ეს უვარგისი მუშაობა, ეს უვარგისი ორგანიზაცია და უვარგისი მთავრობა უკუვაგდოთ. აქ აშკარა მოწოდებაა დავუბრუნდეთ ძველ გზას, ესე იგი ბრძოლა გამოვუცხადოთ მთავრობას და „გაჩინოვნიკებულ პარტიას“. ორში ერთი – ან პარტიულ მთავრობას უნდა ებრძოლა, ან ხელი უნდა აიღო ძალა უფლებაზე და სხვას დაუთმო იგი. რა თქმა უნდა, სხიველები ირჩევენ პირ-

ველ გზას, ესე იგი, ჩვენს პარტიულ მთავრობასთან ბრძოლას და ამისთვის უნდათ ახალი პარტიის დაარსება. აქ არის ერთნაირი ლოღიკა და პრინციპიც, გერმანიაში ამ აზრმა დაასუსტა პარტია; ამ აზრისავე ადგა დაგლახაკავებული რუსეთის მენშევიკური პარტია. ეს ლოღიკა წარმოდგება მართველ ძალათ გადაქცევის შიშისაგან, მაგრამ ჩვენ დიდი ხანია დავგმეთ ეს ლოღიკა, ხოლო ეხლა მისი პრაქტიკულად ცხოვრებაში გასატარებლად გამოდის „ახალი სხივი“.

ეს გაზეთი ამ მიზნით მოუწოდებს მუშებს „გამიჯვნისაკენ“, „ახალი ფორმის“ გამონახვისაკენ, ე.ი. რასკოლისაკენ (№ 2).

აქ მართლაც დიდი განსხვავება არსებობს ჩვენსა და მათ შორის და ამან მხოლოდ უკანასკნელ დროს იჩინა თავი.

დღემდე ჩვენ ვიბრძოდით იმისთვის, რომ მუშათა კლასს თვით ჩაეგდო ძალაუფლება ხელში. მან ეს შესძლო, ხელში ჩაიგდო მართველობა და მანვე უნდა აწარმოვოს სახელმწიფო აღმშენებლობა. ეს არის ჩვენი ანბანი და ყოველი ამხანაგი, თითოეული ორგანიზაცია უნდა სცდილობდეს მთელი თავისი ძალ-ღონით ხელი შუწყონ ამ მუშაობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველგან, ყოველ დაწესებულებებში ჩვენი ამხანაგები იყვნენ. თუ იტყვით, რომ ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს მთავრობასთან, ეს სხვაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინმე სხვას უნდა გადავცეთ ძალა-უფლება, და შემდეგ კი ვებრძოლოთ მას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისევ ჩვენ დაგვიბრუნდება ძალა-უფლება. ეს არის თამაში, ეს არის პოლიტიკური გარყვნილება, ეს არის სწორედ პოლიტიკური იმპოტენცია. (ტაში).

პირველად „სხივში“ იბეჭდებოდა წერილები მხოლოდ ბოროტ მოქმედებებზე. ასეთი წერილები „ერთობა“-შიაც იბეჭდებოდა. აქ პრინციპიალური განსხვავება, რა თქმა უნდა არ იყო ერთად-ერთი აზრთა განსხვავება-შეუთავსებლობის შესახებ, მაგრამ წარსულ ყრილობამ ამის შესახებ სთქვა თავისი სიტყვა და ამის შემდეგ ეს საკითხი არ უნდა დასმულიყო. ასე იყო საქმე აქამდის, მაგრამ ეხლა კი სულ სხვას ვხედავთ. დღეს ჩვენ ვხედავთ აზრთა ნამდვილ სხვადასხვაობას და თუ მათი აზრი, რომელიც ზევით დავახასიათეთ, გავრცელდა, თუ მან მიმდევრები მოიპოვა ჩვენს პარტიაში, დაინგრევა ჩვენი პარტია და ამასთან ერთად დაინგრევა ჩვენი სახელმწიფოც. და როცა ჩვენს პარტიაში ფრაქციის წევრები ასეთ აზრებს ავრცელებენ და ქმნიან პრინციპიალურ განსხვავებას, – ცენტრალურ კომიტეტმა მოვალედ სცნო თავი ეს კონფერენცია მოეწვია, რომელმაც სათანადო მსჯავრი უნდა დასდოს ამ აზრებს და ამის მატარებელ ჯგუფს.

მთელი ეს განსხვავება, განხეთქილება და აზრთა სხვა და სხვაობა გამოიწვია, როგორც მოგახსენეთ იმ გარემოებამ, რომ „ახალი სხივი“ იყო არა რომელიმე ორგანიზაციის, არამედ ჯგუფის, პიროვნებათა ორგანო. ამ პიროვნებათ ზურგს უკან არა ყავს ერთი ორგანიზაცია; ისინი მოქმედებენ უკალაპოტოთ, უკანტროლოთ, უმასოთ, მიშვებული თავიანთ ფანტაზიაზე.

ასეთ შემთხვევაში გენიოსიც რომ იყო, თუ არ გაქვს ჩარჩო, რომლის ფარგლებში შენ უნდა იმოქმედო, სწორ გზას აუცილებლივ გადასცდები, გაყვები თავის ოცნების ლოღიკას და არა მასის და პარტიის კარნახს.

აი, აქედან დაიბადა და მომზადდა ის პრინციპიალური განსხვავებაც, რომელიც დღეს ანსხვავებს „ახალი სხიველებს“ ჩვენგან.

მაშასადამე, აქედან თქვენ ხედავთ, რომ დისციპლინა ყოფილა ძირი, დედა ჩვენი აზრის, მოღვაწეობის, მოქმედების და როდესაც მას გადასცდები, – ანარქიის უფსკრულში გადავარდება.

ბევრია ჩვენში ეკონომიურ გაჭირვების გამო უკმაყოფილო; შეიძლება, ამ ჯგუფის აგიტაციამ თვალი აუხვიოს მათ და გაიტაცოს, მაგრამ ასეთი ხალხი ვერ ითვალისწინებს იმას, რომ ეს გზა დაღუპავს ჩვენს პარტიას და ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენ ვერ მოვითმენთ პარტიის დაღუპვას და სახელმწიფოს განადგურებას და მე უნდა გითხრათ, რომ თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები – პარტია დაიშლება და შემდეგ დაიშლება მთელი სახელმწიფოც; ასეთ მოქმედებას კი ჩვენ ვერ დავუშვებთ ჩვენი სახელმწიფოს წიაღში.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს აღდგენილ იყოს დისციპლინა; მან შეიმუშავა შესაფერისი თეზისები.

(კითხულობს თეზისებს)

შინაარსი ამ თეზისებისა არის ის, რომ პარტიულ ორგანიზაციაში და მით უმეტეს მათ შორის, რომლებიც არჩეული გვყავს სხვადასხვა წარმომადგენლობით ორგანოებში, – სასტიკად იყოს დაცული პარტიული დისციპლინა, რომ არც ერთ პირს არ შეეძლოს გადაუდგეს პარტიას თუნდაც თავის შეკავებითაც კი.

ჩვენ დღეს უფრო გვჭირია პარტიული სიმაგრე ვინემ ოდესმე. ჩვენ დღეს ირგვლივ მტრები გვარტყია და ამ უკიდურეს მდგომარეობაშია ჩვენი პარტიის სიმტკიცე წარმოადგენს საფუძველს ჩვენი თავდაცვისას. ერთმანეთისადმი ნდობა, მტკიცე დისციპლინა, ერთობა და ამხანაგობა შეადგენს ჩვენი პარტიის შინაურ ძალას და ამ ძალაზეა დაყრდნობილი მთელი სახელმწიფოც. და თუ ეს ძალა შეირყა, თუ გამეფდა ჩვენს შორის ანარქია, მაშინ სამარცხვინოთ დავანგრევთ ყოველივე იმას, რაც დღემდე გვიშენებია.

მთელი ჩვენი ძალა უნდა შევინარჩუნოთ, ძველი ტრადიცია უნდა გავამაგროთ, ჩვენი ძველი დისციპლინა უნდა განვამტკიცოთ. ვისაც ეს არ მოსწონს, – შეუძლია მიბრძანდეს და ჩვენი პარტიის გარეშე რაც უნდა ის ჩაიდინოს, ხოლო ჩვენ არავის მივცემთ ნებას ჩვენი სიმაგრე შიგნიდან დაანგრიოს და ამით დასცეს პარტიაც და ჩვენი რესპუბლიკაც.

(ხანგრძლივი ტაში).

გაზ. „ერთობა“, № 16, კვირა, 23 იანვარი. 1921 წ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენცია

რაჟდენ ასენიძის მოხსენება

1921 წლის 20 იანვრის სხდომა

კონსტიტუციის საკითხი

კონსტიტუციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რაჟდენ არსენიძე.

რაჟდენ არსენიძე: კონსტიტუციის საკითხი დღეს პრაქტიკულად სდგას: დამფუძნებელი კრება არჩევს მას და მალე იგი ძირითად კანონათ იქცევა. ეს კონსტიტუცია შექმნა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და, მაშასადამე, მთელი პასუხიმგებელიც ეს პარტია არის. ამიტომ პარტიამ სრულის ყურადღებით უნდა მოეკიდოს კონსტიტუციის საქმეს. წინა ყრილობამ ბევრი იმსჯელა ამ საკითხზე; მაგრამ კონსტიტუციაში კიდევ არის ისეთი მუხლები, რომლების შესახებაც საჭიროა თავისი აზრი გამოსთქვას ამ ყრილობამ.

მომხსენებელი საჭიროდ არ მიაჩნია შეჩერდეს კონსტიტუციის ზოგად დებულებებზე, ვინაიდან ამის შესახებ ბევრი ითქვა დამფუძნებელ კრებაშიაც და წინა ყრილობაზედაც. იგი ეხება მხოლოდ ზოგიერთ საკითხებს, რომლებმაც შემდეგ გამოიწვიეს სხვადასხვა შეხედულებები. მომხსენებელი ვრცლად ეხება კონსტიტუციის მე-3 თავზე, 42 მუხლზე, სადაც ლაპარაკია მოქალაქეობრივ უფლებების შესახებ და დაახლოვებით შემდეგს ამბობს:

„ამ მუხლში ლაპარაკია მუშათა გაფიცვის შესახებ. წინა ყრილობაში შეეხენ ამ საკითხს და აღიარეს, რომ მუშათა გაფიცვა თავისუფალიაო. აქ იბადება სხვა საკითხი – საკითხი მუშებისა და მოსამსახურეების ურთიერთობის შესახებ. დგება საკითხი: დასაშვებია თუ არა მოხელეების გაფიცვა? აქ ერთი მეორეს უპირისპირდება სახელმწიფოს იდეა და სახელმწიფო აპარატი (მოსამსახურეები): როდესაც მოხელეები ეფიცებიან სახელმწიფოს, ეფიცებიან პარლამენტს. სხვანაირად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ და თუ ასეთი გაფიცვა დაშვებული იქნება, – ცხადია, ამით სახელმწიფოს მუდამ განადგურების საშიშროების წინაშე იქნებ; ამას შეიძლება ის მოჰყვეს, რომ აპარატი გაბატონდეს ხალხზე“.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საკითხს ისტორიულის თვალსაზრისით, ასახელებს თეორიას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ეწყობა არა რომელიმე კლასის ინტერესების, არამედ პროფესიის ინტერესების მიხედვით და

ამბობს, რომ თუ ასე იქნება აშენებული სახელმწიფო, – მაშინ იგი არ იქნება მთლიანი კლასიური ორგანო, არამედ კომპლექტი პროფესიულ ორგანოებისა.

ორატორი აღნიშნავს, რომ მუშების უზრუნველყოფის საკითხი არის სოციალური საკითხი, ხოლო მოხელეებისა კი – სახელმწიფოებრივი საკითხი; და შემდეგ დაასკვნის, რომ მოხელეებს არ შეიძლება ჰქონდეთ გაფიცვის უფლება. მომხსენებელს მოჰყავს რამოდენიმე პრაქტიკული მაგალითები და ამტკიცებს, რომ პრაქტიკული მოსაზრებითაც დაუშვებელია მოხელეების გაფიცვა.

შემდეგ ორატორი ეხება კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლებს:

1. პარლამენტის თავმჯდომარის შესახებ. მომხსენებელი იზიარებს კარლ კაუცკის შენიშვნას, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ არ არის საჭირო ყოველწლიურად იყოს არჩეული პარლამენტის ახალი თავმჯდომარე.

2. მთავრობის თავმჯდომარის შესახებ. აქ მომხსენებელი არ იზიარებს კაუცკის შეხედულებას, ვინაიდან, თუ ყოველწლიურად არ იქნება არჩეული მთავრობის თავმჯდომარე, მაშინ, – მისი აზრით, – შესაძლებელია შეიქნეს პიროვნების კულტი. დემოკრატიამ უნდა წარმოშვას კოლექტიური ხელმძღვანელი; წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატია სუსტია. მომხსენებელი საჭიროდ მიაჩნია მთავრობის თავმჯდომარე აუცილებლათ იცვლებოდეს; ვადას ის არ აძლევს დიდ მნიშვნელობას; მას უმჯობესად მიაჩნია, რათა თავმჯდომარე რაც შეიძლება მოკლე ვადით ირჩეოდეს.

3. სოციალური უფლებები და კანონმდებლობა. მომხსენებელი მოითხოვს რათა კონსტიტუციაში შეტანილი იყოს მუხლი, სადაც აღნიშნული იქნება რომ სახელმწიფოს ბიუჯეტი არა ნაკლებ 5 % ხმარდება იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილნი იქნენ რესპუბლიკის დაშავებულ – დასახიჩრებული მოქალაქენი.

4. 8 საათის სამუშაო დღე. მომხსენებელი სავსებით იზიარებს კაუცკის შენიშვნას იმის შესახებ, რომ კანონში აღნიშნული იყოს არა უთუოდ „8 საათიანი სამუშაო დღე“, რაც სოფლის და მსგავს ხასიათის მეურნეობაში ხშირად უხერხულობას ქმნის, არამედ – „48 საათის სამუშაო კვირა“; უკანასკნელი იმ მხრივ არის უკეთესი, რომ ჰგულისხმობს რა იმავე 8 საათისთვის სამუშაო დღეს, ამასთანავე უფრო კარგათ შეიძლება გამოყენებული იქნეს ეს პრინციპი იქ, სადაც წარმოების ინტერესები ვერ ეგუება 8 საათის სამუშაო დღეს.

დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს ყრილობას გამოსთქვას სურვილი, რათა კონსტიტუციის მიღება რაც შეიძლება დაჩქარებულ იქნას.

გაზ. „ერთობა“, 30 იანვარი, № 22. 1921 წ.

დამფუძნებელ კრების დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის („ახალი სხივი“-ს) დეკლარაცია

გამოქვეყნებული დამფუძნებელი კრებაში 11 თებერვალს

მას შემდეგ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სათავეში მოექცა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

სოციალ-დემოკრატიას ჩვენში წილად ხვდა უდიდესი გამარჯვება, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის: სოციალ-დემოკრატია დაეპატრონა სახელმწიფო ძალა-უფლებას და ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა.

1919 წლის 12 მარტს გაიხსნა დამფუძნებელი კრება, რომლის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიის კანდიდატთა სიიდან იქნა არჩეული.

ამის მიხედვით შესდგა წმინდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სოციალისტურ მთავრობის ხელში ფრთებს გაშლიდა ხალხის სრული თვითმყრობლობა და დემოკრატიულ წყობილების ნიადაგზე აღორძინდებოდა მუშაობა მშრომელი ხალხის საბოლოო მიზნის – სოციალიზმისათვის.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა: თავის სახელმწიფოებრივ ბატონობის დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია ჰკარგავს სოციალისტურ სახეს; იგი უკვე ასცდა კლასობრივ ბრძოლის გზას, სახელმწიფო მმართველობამ შთანთქა პარტია; ის ცდილობს დაიმორჩილოს აგრეთვე მუშათა პროფესიონალური მოძრაობა, რომელიც დიდ ღირებულებას წარმოადგენს, როგორც სოციალური საკითხის ცალკე კატეგორია და არა როგორც მმართველობის მიზნების იარაღი.

სოციალ-დემოკრატიული პროგრამა მინიმუმ მოითხოვს ხალხის თვითმყრობლობას, რომლის ძალითაც მთელი უზენაესი სახელმწიფო უფლება ხელთ უპყრია ხალხს და მის მიერ არჩეულ ერთპალატიან საკანონმდებლო კრებას.

მართალია, ჩვენში კანონმდებლობს დამფუძნებელი კრება, მაგრამ არ არის განხორციელებული მთავრობის პასუხისმგებლობა, და მრავალი კანონი, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული, აუსრულებელი რჩება. მთავრობა ნაკლებად უწევს ანგარიშს სახელმწიფო კონტროლს, და ხალხს ქონება ხშირად იხარჯება უთავბოლოდ და უწესრიგოდ.

პროგრამა მოითხოვს აგრეთვე სიტყვის, კრების, ბინის, პიროვნების თავისუფლებას და ხელშეუხებლობას; სინამდვილეში იშვიათად თუ სარგებლობს ვინმე ამ ხელშეუხებლობით და თავისუფლებით.

ჩვენი ადგილობრივი თვითმმართველობა უპატრონოდ არის მიტოვებუ-

ლი; ზოგან ის ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენს, უკონტროლოდ მუშაობს, ზოგან კი ცენტრალურ მთავრობის თვითნებობას და ბიუროკრატიულ ძალდატანებას ითმენს.

მოუწესრიგებელია განაპირა კუთხეების ყოფნა-ცხოვრება და მათი ურთიერთობა ცენტრალურ მმართველობასთან ქაოტურ მდგომარეობაში იმყოფება.

მუშათა კანონმდებლობა მივიწყებულია, არ არსებობს დაზღვევა და დაშავებულ დასახიჩრებულ მუშებზე არავინ ზრუნავს.

მივიწყებულია აგრეთვე ომში დაჭრილ-დაზარალებულთა პენსიის საქმე.

სრულიად მოუწესრიგებელია დღევანდელი ცხოვრების უმწვავესი საკითხი – პირველი მოთხოვნილების საგანთა მიწოდება-განაწილების საქმე, რაც მძიმე და აუტანელ ტვირთად აწვება განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეებს და მოქალაქეთა ღარიბ ნაწილს.

აუტანელია ღარიბ გლეხკაცობის, სოფელის მუშათა მდგომარეობა, და სოფელი ამაოდ ელის აგრარულ რეფორმის დასრულებას. შერყეულია ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ, რომელიც მოხდა წარსული წლის ზაფხულში, ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი წარმოების და კერძო ინიციატივის შეთანხმების საჭიროებას. ჩვენმა მთავრობამ კი წარმოების ვერც ერთ მხარეს ვერ გაუწია სათანადო პატრონობა: მოშლილია საზოგადოებრივი მეურნეობა, რომლისათვის მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, და იმავე დროს კერძო ინიციატივის ნაცვლად ბატონობს აღვირახსნილი სპეკულაცია. არ არსებობს სახელმწიფოს კონტროლი საზოგადოებრივ და კერძო წარმოებაზე.

სახელმწიფო მონოპოლიის საქმე სრულიად მოუწესრიგებელია; დაუზოგველად იფლანგება სახელმწიფოს სიმდიდრე და მშრომელი ხალხის დოვლათი.

ერთი სიტყვით, წმინდა მუშური და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დასუსტება ან სრული დაშლა, გლეხკაცობის ღვთის ანაბარად მიტოვება, ადმინისტრაციის თვითნებობდა როგორც ცენტრში, აგრედვე პერიფერიებში, კულტურა – განათლების საქმის მოუწყობლობა, ანარქია როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში, უპასუხისმგებლობა და უკონტროლობა – აი, რა ახასიათებს დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას.

რა არის ამის მიზეზი? სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი?

ჩვენ კარგად გვესმის მნიშვნელობა ობიექტურ პირობებისა: ხანგრძლივი ომის გავლენამ ხელი შეუწყო ჩვენი ეკონომიური ვითარების დაქვეითებას, გარეშე საფრთხე ხელს გვიშლის დემოკრატიულ წყობილების განმტკიცების საქმეში.

მაგრამ ყველაფერს ობიექტური პირობებით ვერ გავამართლებთ და თუ ჩვენ მაინც შევძელით შეგვექმნა სახელმწიფო და თავი დაგვეღწია ბოლშევიკურ ანარქიისათვის, ეს აიხსნება უმთავრესად ქართველი ხალხის კულტურული განვითარებით და პოლიტიკური შეგნებით.

თითქმის ორი წელიწადია რაც დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციაში ვმუშაობთ, და ამ მუშაობამ ნათელ ჰყო ჩვენთვის უვარგისობა იმ სისტემისა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს პარტიულს და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას; ეს არის პარტიის და სახელმწიფოს ერთმანეთში არევა.

დღევანდელი საზოგადოება მოწინააღმდეგე კლასებად არის დაყოფილი. ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკაც ბოლოს და ბოლოს კერძო საკუთრების პრინციპზეა დამყარებული. ს.-დემოკრატია კი კერძო საკუთრების გაუქმების პერსპექტივაზე აშენებისთვის მოღვაწეობს; ხოლო ს.-დემოკრატიული მთავრობა იძულებულია კერძო საკუთრების ფარგლებში იმოქმედოს და არსებითად კლასთა მორიგების საქმეს ემსახუროს.

ამას ემატება მოვალეობათა შეთავსება, რომელიც კიდევ უფრო ართულებს ისედაც წინააღმდეგობით სავსე მდგომარეობას: ცენტრში მინისტრები იგივე პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრები არიან, ადგილობრივ კი ქალაქის თავები და ერობის თავმჯდომარეები, კომისრები და მილიციის უფროსები პარტიულ კოლექტივებს ხელმძღვანელობენ.

პარტია პოლიტიკურ კონტროლს უნდა უწევდეს მართველობის ორგანოებს; ისინი კი უწევვენ ასეთ კონტროლს თავის თავს, ე.ი. არავითარ კონტროლს არ ექვემდებარებიან.

ასეა საქმე თვით დამფუძნებელი კრებაშიაც. ვინაიდან დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობა სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას ეკუთვნის, ამიტომ ფაქტიურად ეს ფრაქცია უნდა ყოფილიყო მდგომარეობის ბატონ-პატრონი; მაგრამ ბატონობს არა ფრაქცია, არამედ მთავრობა, ცენტრალურ კომიტეტში გამაგრებული.

მთავრობა, რომელიც ფორმალურად დამფუძნებელ კრების აღმასრულებელი ორგანოა, ნაკლებად უწევს მას ანგარიშს.

ზოგჯერ კი თვითონ მთავრობაც, როგორც მთელი, დაჩრდილულია და დიდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს სწყვეტენ თავის ნებაზე ცენტრალურ კომიტეტის უფრო მოხერხებული წევრები. ეს არის მეორე, არა ლეგალური მთავრობა. ის ყოვლის შემძლეა: ხშირად არ კმაყოფილდება პოლიტიკური საკითხებით და თავისი მოღვაწეობა სამოქალაქო ურთიერთობის სფეროშიც გადააქვს, რითაც აუქმებს სასამართლოს პრეროგატივებს და მართლმსაჯულებას ფიქციად აქცევს.

ჩვენ ვსცადეთ ს.-დემ. ფრაქციის შიგნით შევბრძოლებოდით ამ მოვლენას, მაგრამ ვერას გავხდით. ჩვენ შეძლება არ გვქონდა გარედ გამოგვეტანა სიმართლე, დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან გვეთქვა ის, რასაც ფრაქციაში ვამბობდით, არც ხალხის ფართე წრეების და არც პარტიას ჩვენი ხმა არ სწვდებოდა, რადგან ფრაქციის სხდომების ანგარიშები არსად იბეჭდებოდა.

ამ გარემოებამ იძულებელი გვყო ჩვენ დაგვეარსებინა საკუთარი სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ახალი სხივი“.

თავისუფალმა ს.-დემ. ორგანომ დიდი სამსახური გაუწია, როგორც პარტიული ცხოვრების გამოცოცხლებას, ისე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეს.

მაგრამ პარტიის მართველმა წრეებმა ყოველი ღონე იხმარეს თავისუფალი აზრის ჩასაკლავად, მათ ამ მიზნისათვის გამოიყენეს მაღალიდან შერჩეულ დელეგატებისაგან შემდგარი პარტიული კონფერენცია. წინდაწინ შემუშავებულ დადგენილებით, რომელიც თავზე მოახვიეს კონფერენციას პარტიის გათიშვის მიზნით, მათ ჩვენ დაგვაყენეს განხეთქილების ფაქტის წინაშე – და იძულებული გაგვხადეს დაგვეარსებინა დამფუძნებელ კრებაში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. მმართველ ფრაქციის ფარგლებში შეუძლებელი გახდა კრიტიკის და ნაყოფიერ მუშაობის წარმოება და ჩვენ ვერ შევასრულებდით ჩვენ მოვალეობას მუშათა კლასის და მთელი ხალხის წინაშე, რომ მისთვის არ გვემცნო საქმის ნამდვილი ვითარება.

როგორია ჩვენი სამოქმედო პროგრამა?

ჩვენ ვდგევართ სოციალ-დემოკრატიულ პლატფორმაზე, მაგრამ ჩვენ საკმაოდ არ მიგვაჩნია პროგრამის მხოლოდ ფორმალური და სიტყვიერი აღიარება, როგორც ამას სჩადის მმართველი ფრაქცია. ჩვენ გვინდა ცხოვრებაშიც რეალურად იქნეს დაცული უფლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და მასთან ერთად პარტიასაც შერჩეს თავისი სოციალისტური და კლასობრივი სახე.

ამას გარდა, დღეს ჩვენ მოვითხოვთ აგრარული რეფორმის საჩქაროდ დასრულებას; სოფლის მუშას უნდა მიეცეს მიწა და ამავე დროს არ უნდა იქნეს დავიწყებული საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესები.

მუშათა კანონმდებლობის საქმეში ჩვენ მოვითხოვთ საჩქაროდ გატარებული იქნას მუშათა დაზღვევის კანონები და მოეწყოს დაშავებულ – სადახჩრებულთა და შრომის უნარ დაკარგულთა უზრუნველყოფის საქმით.

ჩვენ მოვითხოვთ პასუხისმგებლობას და კანტროლს, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებას და ხალხის ქონების დაზოგვას.

ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ უნდა იქნას თვითმართველობათა უფლებები.

განაპირა კუთხეების მცხოვრებთა – მაჰმადიან ქართველების, აფხაზების და სხვ. საარსებო მოთხოვნილებები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და საზოგადოთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები უზრუნველყოფილი, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივ მთლიანობის განმტკიცება – გაძლიერებას და მის დემოკრატიის შეკავშირებას.

პოლიტიკურ აღმშენებლობაში ჩვენ მხარს დავუჭერთ ხალხის თვითმპყრობლობის დამკვიდრებას, და მთავრობა ისარგებლებს ჩვენი ნდობით არა განუკითხავად და განუსჯელად, არამედ იმდენად, რამდენად ეს მისაღები იქნება დემოკრატიული და სოციალისტური თვალსაზრისით.

ჩვენ კარგად გვესმის სიდიადე იმ მომენტისა რომელშიაც გამოსვლა გვიხდება. ჩვენ არ ვმალავთ, რომ ასეთი ჩვენი ნაბიჯი ზოგიერთ წრეებში

გაუგებრობას დაბადებს; საქმეში ჩაუხედავი მეგობრები აქ დაინახავენ საფრთხეს ს.-დ. მუშათა პარტიისათვის, პარტიის გულუბრყვილო მტრები კი სიხარულს მისცემიან. საბედნიეროდ უსაფუძვლოა როგორც პირველთა შიში, ისე მეორეთა სიხარული: ჩვენი ნაბიჯი მიმართულია სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის აღორძინებისა და გაჯანსაღებისაკენ. მორჩილება და სერვილიზმი ვერასოდეს ვერ გახდება საზოგადოებრივ ცხოვრების ქვაკუთხედად. ასეთ როლს ის ვერც პარტიაში ითამაშებს.

წინააღმდეგ ყოველგვარი ოპორტიუნიზმისა ჩვენი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული სიტყვა და საქმე ხელს შეუწყობს მუშათა პარტიის კლასობრივ პოზიციის გამაგრებას და დაუბრუნებს მას იმ ელემენტებს, რომელნიც მმართველობის ყოველსავე ნაკლს პარტიას აწერენ და მთავრობით უკმაყოფილონი სოციალ-დემოკრატიაზე გულს იცრუებენ და ბოლშევიკურ ბანაკში ვარდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო იქმნა იურიდიულად ცნობილი ევროპის მიერ, ჩვენ მაინც კარგად გვაქვს გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის რთული საგარეო მდგომარეობა და ძლიერი თავდაცვის ფრონტის აუცილებლობა.

მაგრამ ვინაიდან უპასუხისმგებლობა და უკანტროლობა ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ძლიერებას და ჩვენი გაჩუმება კი ხელს შეუწყობდა სახელმწიფოებრივ სხეულის დასუსტებას და სოციალისტური საქმის შეფერხებას, ჩვენ არ ვუშინდებით არავითარ გაუგებრობას, რადგან ნათლად ვხედავთ, რომ ხალხის წინაშე ნამდვილი მდგომარეობის გამოაშკარავება გააჯანსაღებს რა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, ამით იმავე დროს განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი მისწრაფებას, გააძლიერებს თავდაცვის საშუალებას და მოგვიპოებს მეტ ავტორიტეტს საერთაშორისო ურთიერთობაში.

აი, ამ მტკიცე რწმენით გამოვდივართ ჩვენ დამფუძნებელ კრებაში, როგორც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი.

დამფუძნებელი კრების წევრები: კირილე ნინიძე, ერმალო კალაძე, ილია კოპალეიშვილი, თეიმურაზ ჭელიძე, აპალონ სულაქველიძე, ილია ფირცხალაშვილი, ნიკიფორე იმნაიშვილი, მუხრან ხოჭოლავა.

გაზ: „სახალხო საქმე“, № 1054. 16 თებერვალი, 1921 წ.

პავლე საყვარელიძე

საქართველოს კონსტიტუციისთვის

1

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სახელმწიფო ამ სიტყვის ნამდვილი უფლებრივი მნიშვნელობით, რომ მას არ ჰქონდეს თავისი საკუთარი ძირითადი კანონები, თავის კონსტიტუცია, რომლის თანახმად ეწყობა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სახიერება სახელმწიფოს უმაღლესი ნებისყოფა და ისაზღვრება მისი მთავარი ორგანოების ურთიერთული დამოკიდებულება და კომპეტენცია.

„სახელმწიფო უკონსტიტუციოთ იქნებოდა ანარქია – ამბობს პროფესორი ელინეკი – კონსტიტუცია მოსდგამს ძველი ქვეყნის ტირანიასაც კი, ეგრეთ წოდებულ დესპოტებს ისე, როგორც იმგვარ წყობილებას, სადაც მართვა გამგეობა საზოგადოებრივი ხსნის დემოკრატიულ კომიტეტის ხელშია 1793 წლის საფრანგეთის მაგალითის მსგავსად“.

მაგრამ მაინც რა არის კონსტიტუცია? რაში მდგომარეობს მისი საგანი და დანიშნულება?

ლასალი საზღვრავს კონსტიტუციას, როგორც ძალთა ნამდვილ განწყობილებას სახელმწიფოში. მთავარ საზოგადოებრივ მოქმედ ძალთა ურთიერთობა და მასზე აგებული სახელმწიფოებრივი ძალა–უფლება, როგორც სწორი გამომხატველი ამავე საზოგადოებრივ ძალთა დამოკიდებულების, წარმოადგენს ქვეყნის რეალურ კონსტიტუციას. ვისაც უნდა შესცვალოს სახელმწიფოში არსებული კონსტიტუცია, მან უწინარეს ყოვლისა უნდა შესცვალოს საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთური განწყობილება. სწორეთ ამ ძალთა განწყობილების ცვლილება არის ქვაკუთხედი საზოგადოდ კონსტიტუციის ცვლილების. მემარჯვენეთ ამ ძალთა განწყობილების ცვლილების მოხდენა სურთ თავის სასარგებლოდ, ისინი ცდილობენ საზოგადოების ძალთა სიმძიმის ცენტრი გადახარონ მარჯვნით, კონსტიტუცია გაამარჯვნონ. მემარცხენენი თავის მხრით ამ ძალთა ცენტრს მარცხნით ეწევიან და რეალურ კონსტიტუციას ამარცხებენ. არსებითად ამაში მდგომარეობს პარტიათა ბრძოლის მთავარი აზრი და შინაარსი.

ის უფლებრივი ნორმები და წესები, რომელთაც ჩვენ დაწერილს თუ დაუწერელ კონსტიტუციას ვუწოდებთ, ამ რეალურ საზოგადოებრივ ძალ-

თა ურთიერთულ განწყობილებას უნდა შეესაბამებოდეს. უფლებრივი თვალსაზრისით კი, კონსტიტუცია, თუ გნებავთ, არის სახელმწიფოებრივი წესდება, სადაც აღნიშნულია სახელმწიფოს ძირითადი კანონები, რომლის თანახმად „იქმნება და სრულდება მისი ნება, ისაზღვრება მისი კომპეტენცია, წესრიგდება მისი წევრების მდგომარეობა“ და სხ. კიდევ სხვანაირათ რომ ვთქვათ, კონსტიტუცია არის იმ ძირითადი წესების კრებული, რომელიც საზღვრავს ერთის მხრით სახელმწიფოს წესწყობილების და მთავრობის ფორმას, სახელმწიფოს უმაღლესი ძალა–უფლების მატარებელ ორგანოების ურთიერთობას, მეორე მხრით მოქალაქეთა უფლებებს, რომელთაც სახელმწიფო უზრუნველ ჰყოფს.

კონსტიტუცია შეიძლება იქნეს დაუწერელი. ეს მაშინ არის, როცა იგი ემყარება დაუწერელ უფლებას, ჩვეულებებს, უკეთ ჩვეულებითი უფლებას ან კიდევ ჩვეულებრივი წესით გამოცემულ ჩვეულებრივ კანონდებას, სამოსამართლო განაჩენებს, ტრადიციებს და სხ. ასეთი კონსტიტუციის მაგალითს წარმოადგენს ინგლისის კონსტიტუცია. უნდა ითქვას, რომ ასეთი ტიპი კონსტიტუციის თანამედროვე ხალხთა პოლიტიკურ უფლებრივ ისტორიაში იშვიათი მოვლენაა. საზოგადოთ გავრცელებული კონსტიტუციის ტიპი არის დაწერილი კონსტიტუცია. სამაგალითოთ შეიძლება დავასახელოთ საფრანგეთი, ხოლო დაწერილ კონსტიტუციის წმინდა ტიპად უნდა მივიღოთ, როგორც ხალხის უზენაესი ნების გამოხატულება – დემოკრატიული კონსტიტუცია. (შ. ბორჟო. Учреждение и пересмотр конституций გვ. 34).

ბევრი იმ აზრის იყო და არის, რომ კონსტიტუცია ყოველთვის დაწერილი უნდა იყოს, დაუწერელი კონსტიტუცია კონსტიტუცია არ არისო. თომას პენი ფიქრობდა, რომ თუ ჯიბეში კონსტიტუციის ჩადება არ შეიძლება, იგი არ არსებობს ე.ი. კონსტიტუცია ყოველთვის წერილობით უნდა იყოსო. ზოგიერთები კი და მათ შორის ყველაზე უკიდურესი ჟ. დე მეტრი, აღიარებენ, რომ პოლიტიკური კონსტიტუციის ფესვი ყველა დაწერილ კანონამდე არსებობს, საკონსტიტუციო კანონი არის მხოლოდ განვითარება ან დამტკიცება ადრევე არსებული დაუწერელი უფლების. დე მეტრი პირდაპირ ამბობს, რომ კონსტიტუცია არასოდეს არ იწერება და არც შეიძლება დაიწეროსო. დე მეტრი, როგორც მონარქისტი და კათოლიკი კონსტიტუციას ღვთაებრივ ხასიათს აძლევს, ამიტომ იგი უარყოფს, რომ ადამიანის ჭკუა-გონებას შეეძლოს კონსტიტუციის შექმნა და დაწერა. ცხადია, ასეთი ღვთაებრივი ხასიათის საბუთი დაწერილი კონსტიტუციის არსებობის წინააღმდეგ უსაბუთობას უდრის და იგი სრულიად არ ეგუება თანამედროვე კაცობრიობის პოლიტიკურ სინამდვილეს, რომელიც თვალნათლივ ამტკიცებს საზოგადოებრივ წყობილების რყევას და კონსტიტუციების შექმნასა და ცვლას სწორეთ ადამიანთა შრომისა და ბრძოლის მეოხებით.

დაწერილ კონსტიტუციების მიზანი, ბორჟოს თქმით, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ განამტკიცოს და დააკანონოს არსებული ფორმები,

როგორი გზითაც – რევოლიუციით თუ ევოლიუციით – უნდა იყვნენ წარმოშობილი ისინი. კონსტიტუციებს ჰქმნიან, „აკეთებენ“, მაგრამ არა იმ აზრით, რომ სრულიათ ახალი სახელმწიფოსთვის სრულიად უჩვეულო და შეუსაბამო ფორმები და მართვა–გამგეობა გამოსახონ და დაამყარონ. თითქმის ყველა თავისუფალი ხალხი და დემოკრატიული სახელმწიფო კონსტიტუციას იწერს თავისთვის და ამ მხრით მისდევს ამერიკის და საფრანგეთის წერილობითი კონსტიტუციების მაგალითს და არა ინგლისურ სისტემას დაუწერელი კონსტიტუციისას, რომელიც მიმბაძველს ვერ ნახულობს და თითქმის სრულიად განმარტოებული სდგას კონსტიტუციათა ისტორიაში. დაწერილი კონსტიტუცია წარმოადგენს უმთავრესათ „გარანტიათა კანონს, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის სუვერენულ უფლებებს და თავისუფალ განვითარებას. და ყველაზე უფრო დაწერილი, მეცნიერულათ შემუშავებული კონსტიტუცია სწორეთ დემოკრატიულ სახელმწიფოს ესაჭ�iroება“. (ბორჟო იგივე თხზულება გვ. 36 და 39).

ზოგიერთი კონსტიტუციები ბოძებულია ან წარმოადგენს ხარტიას, ერთგვარ შეთანხმებას მეფისა და ხალხს შორის. ასეთი კომპრომისული ხასიათის და ბუნების არის კონსტიტუციურ მონარქიების დიდი უმრავლესობის კონსტიტუციები, მაგრამ არის მეორე გვარის კონსტიტუციები, რომელთაც საფუძვლად უძევს ხალხის სუვერენიტეტის აღიარება და რომელნიც დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქმედებენ. აქ კონსტიტუციას აწესებენ, აფუძნებს თვით ხალხი, მპყრობელი უზენაესი ძალა უფლების, ან პირდაპირ ან კიდევ თავის წარმოდგენილთა საშუალებით.

ჩვენს სამშობლოში დემოკრატიული წეს წყობილება არსებობს. საქართველოში პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება ბრძანებლობს. დამფუძნებელი კრების უმთავრესი დანიშნულება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება და მიღებაა. და, აი დამფუძნებელი კრებაც ცოტა ხნის შემდეგ შეუდგება საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვას, იმ პროექტის, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა ყველას საყურადღებოდ და საცნობად. ვფიქრობთ, ეს გარემოება უთუოდ გამოიწვევს პოლიტიკური მწერლობის მნიშვნელოვან გამოხმაურებას და საშუალებას მისცემს ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ჩვენი რესპუბლიკის სვე-ბედით, ფრთხილათ ასწონ-დასწონოს ყოველი თავი, ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვა საკონსტიტუციო პროექტისა და ამ გვარათ თავის კრიტიკული შეხედულების გამოთქმით და საზოგადოებრივი აზრის ამუშავებით პირდაპირ ჩაერიოს ხალხის კონსტიტუციურ ნების ჩამოყალიბებაში.

დღეს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი დიდ სახელმწიფოთა არეოპაგის წინაშეა დასმული ევროპაში. ჩვენ მოულოდნელათ ველით ჩვენი სახელმწიფოებრივების, ჩვენი ერის სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის ცნობას. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა დაუშვათ, რომ ვინმე ძლიერთაგანი ჩვენი

საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ძალმომრეობის და უსამართლობის გზაზე შესდგება და ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების წინააღმდეგ გაილაშქრებს. საქართველოს აქვს შეურყეველი უფლება, გამტკიცებული ისტორიით და დაგვირგვინებული ხალხის დემოკრატიული თვითგამორკვევით, გაფოლადებული რწმენით შეხედოს თავის მომავალს. ჩვენს სულისკვეთებას იზიარებს და აწი კიდევ უფრო გაიზიარებს საერთაშორისო დემოკრატია. პროფ. ა. ა. ცაგარელი თავის უკანასკნელ ხანში გამოქვეყნებულ შრომაში, ამბობს, რომ ქართველები მოითხოვენ რა თავის სახელმწიფოებრივ უფლებათა აღდგენას და აღიარებას, ემყარებიან არსებულ საერთაშორისო უფლებას და იმედი აქვთ პირველ-ყოვლისა კანონიერების, სამართლიანობის და მართლ-მსაჯულების, რომელიც გამომდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო კანონმდებლობისაგან. 2) მაგრამ ამ ისტორიულ უფლების სამართლიანობას თან ახლავს და ადასტურებს დღევანდელი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკურ მდგომარეობა ქართველი ხალხის, რომელიც სრულიად თვითგამორკვეული, თავისუფალი ნების აღიარებით აცხოველმყოფელებს და აკანონებს თავის დამოუკიდებლობას.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა ჩვენი საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, ჩვენ შინაური სახელმწიფოებრივი ძალების სიმტკიცეს და ორგანიზაციას უნდა დავემყაროთ, ჩვენვე ვიცნოთ და შევიგნოთ ჩვენი თავი და მთელს ჩვენ კოლექტიურ არსებაში გავაუკვდავოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. კონსტიტუციის მიღება დამფუძნებელი კრების მიერ ეს იქნება უდიდესი სახელმწიფოებრივი შემოქმედება, უდიდესი გამამტკიცებელი, დამფუძნებელი აქტი, მაჩვენებლი ხალხის ნებისყოფის და ბრძანების. მის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ყველამ მტერმაც და მოყვარემაც.

2

საქართველო უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის გველეშაპის ხელში იგუდებოდა. მას უბრალო ოცნებაც კი აკრძალული ჰქონდა თავის შელახული და შეგინებული უფლების აღდგენისათვის. 1783 წ. ტრაქტატის ძალით იგი თავისუფალი და შინაურ ცხოვრებაში სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. ხოლო თვითმპყრობელი რუსეთის ტლანქმა ძალამ ყოველივე უფლება და სამართლიანობა გასთელა და საქართველო პოლიტიკურათ სრულებით გააუქმა და ქართველები ეროვნულად დაიმონავა. მაგრამ დასევდიანებული, დამწუხრებული საქართველო იმედს მაინც არ იქრობდა გულში და თავის აღორძინება–გამთელებისათვის უკეთესი მერმისის მოსაახლოვებლად იბრძოდა დიდი ყოფილი რუსეთის ფარგლებში მთე-

ლი რუსეთის დემოკრატიასთან ერთად. მას, ცოდვა გამჟღავნებული სჯობს, პოლიტიკური სახეობა დაკარგული ჰქონდა და რუსეთის სახელმწიფოში წარმოდგენილი იყო, როგორც ტფილისის და ქუთაისის გუბერნია. მაგრამ თვით საქართველოს ძირითად მოსახლეობაში ქართველ ხალხში, რომელიც მემკვიდრეობდა ორი ათასი წლის კულტურას, ცოტახნის თვლემის და ძილის შემდეგ თანდათან გაღვივდა ცეცხლი ეროვნული თვითშეგნების და განთავისუფლების. მძლავრი დემოკრატიის დაბადებამ და მისმა ბრძოლამ ფაქტიურათ გადასწყვიტა ბედი ქართველი ერის გაერთიანებისა და პოლიტიკურათ აღორძინების.

საქართველო უფლებრივათ და პოლიტიკურათ აღარ არსებობდა, რუსეთის თვალსაზრისით ის უბრალო ჩვეულებრივი პროვინცია იყო და მეტი არაფერი. ფაქტი ამას ღაღადებდა. და აი ამ ფაქტიური მდგომარეობის წინაშე იჩოქებდა არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწე, რომელნიც საერთო მტერთან თვითმპყრობლობასთან ბრძოლით თავდავიწყებამდე გატაცებულნი გულწრფელად ივიწყებდენ ერის ისტორიულ უფლებას და მის დაუცხრომელ ლტოლვას ნაციონალურ თვითაღდგენისადმი. თვით რუსეთში კი არ იყო არც ერთი პარტია, არც ერთი ჯგუფი, არც დემოკრატიული, არც სოციალისტური, რომელსაც მოგონებოდეს საქართველოს უფლება და პოლიტიკური თავისუფლება და მათ აღდგენაზე ხმა ამოეღოს. არამც თუ ძველი წყობილება, რუსეთის დროებითს რევოლიუციურ მთავრობებსაც არ ემეტებოდათ უბრალო თვითმართველობაც კი პატარა ერებისათვის და კერძოთ საქართველოსთვის. ასეთია საზოგადოთ დიდპყრობელური ფილოსოფია. ამ მხრით ყველა რუსული პარტია, რუსეთის ყოველნაირი სახელმწიფოებრივი რეჟიმი, ბოლშევიკურიც კი, უაღრესათ რუსულ-ნაციონალური და იმპერიალისტურია.

მაგრამ რუსული პარტიები და რუსეთის მოღვაწენი თუ ივიწყებდენ ერის უფლებას და მის გამათავისუფლებელ ლტოლვილებას, სამაგიეროთ თვით ერი არ ივიწყებდა თავის თავს და როგორც კი დაჰკრა რევოლიუციის საათმა, მან მყისვე იგრძნო გულის სიღრმეში განთავისუფლების მოახლოვების სიხარული და საერთო რევოლიუციურ პოზიციების გამტკიცებასთან ერთად შეუდგა ეროვნულ ძალთა პოლიტიკურ გამთელების საქმესაც.

საერთო ნიადაგის გამოუნახველად შეუძლებელი იყო ეროვნული ორგანიზმის აღდგენა. ამ საერთო ნიადაგის გამონახვა გაადვილა ჯერ საერთაშორისო ომმა და კარზე მომდგარმა გასაჭირმა (სამაჰმადიანო საქართველოს ბრძოლის ველად გადაქცევა), შემდეგ რევოლიუციის მსვლელობამ და თავდაცვითმა ომებმა.

ჯერ ისევ ძველი რეჟიმის ბატონობის დროს ჩაისახა ინტერპარტიული პოლიტიკური თათბირი და შეთანხმება სხვა და სხვა საშინაო თუ საგარეო საკითხების შესახებ. რევოლიუციამ ყველას ფრთა შეასხა. თავისთავად ცხადია, საერთო სრულიად რუსეთის საკითხები იპყრობდა პარტიების ყურადღებას. მაგრამ ცხოვრების მიმდინარეობა და რევოლიუციის ლოღიკური

განვითარება ყველას თავზე ახვევდა ერის გადარჩენის და რევოლიუციის მონაპოვარის ადგილობრივად ეროვნული ტერიტორიალურ საზღვრებში შენარჩუნების საჭირბოროტო საკითხს. ეს კი იწვევდა ერის თავისუფლების გამოცხადებას და მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოწყობას. არავინ არ ფიქრობდა რუსეთიდან გამოყოფას. მაგრამ ისტორიული და პოლიტიკური აუცილებლობის კარნახით ბოლოს და ბოლოს ყველა აქეთკენ მიილტოდა.

რევოლიუციის შემდეგ დაარსდა საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, შემდგარი ჩვენში მოქმედ პარტიათა წარმომადგენლობისგან, რომელმაც ბოლოს დელეგატებიც კი გაგზავნა პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირებზედ, სადაც ა. ი. ჩხენკელმა განაცხადა სხვათა შორის შემდეგი:

„მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ქართველი ერისა და ყველა მისი პარტიების სახელით, რომლებიც ეროვნულ საკითხში უკვე შეერთდენ საპარტიათაშორისო საბჭოს დაარსებით... ამ საკითხის შესახებ (ეროვნული საკითხი) ქართველ ერს, მისი პოლიტიკური პარტიების სახით, უკვე აქვს თავისი აზრი, რომელიც ეროვნულ პროგრამებში გამოითქმება, მთელი ერი გაერთიანებულია და პროგრამა იგი მოითხოვს საქართველოს თვით ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობის მიკუთვნება. მე ვსთქვი სიტყვა მიკუთვნება, ნამდვილად კი შეიძლებოდა მეთქვა საქართველოს უფლებების „აღდგენა“ ეს უფლებები მას ჰქონდა, ესენი დაცულია ცნობილ ხელშეკრულობაში, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შუა დაიდო მაშინ, როდესაც 100–ზე მეტი წლის წინად საქართველო რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. მხოლოდ ეს უფლებები გასთელეს, მნიშვნელობა დაუკარგეს. მაშასადამე ეხლა მათ აღდგენაზე გვიხდება ლაპარაკი“. (სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ეს სიტყვა ცალკე წიგნადაც არის ქართულად გამოცემული).

ეს ხელშეკრულობა (1783 წ.) ნათლად აღიარებდა რუსეთის და საქართველოს უფლება-მოვალეობას და მათ ურთიერთულ დამოკიდებულებას. რუსეთს ამ ხელშეკრულობის დედა აზრის ძალით მფარველობა უნდა გაეწია საქართველოსათვის და მისი ხელშეკრულობის შეცვლა ან გაუქმება ორივე მხარის ნებაყოფლობით უნდა მომხდარიყო. პროფეს. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით 1784 წ. ხელშეკრულობა თვით ხელშემკვრელ მხარეებს მფარველობითი მოკავშირეობის ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი აუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულობა სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ“. („დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში”. გვ. 32).

აი ეს ხელშეკრულება „მფარველობითი მოკავშირეობის“, რომელსაც თავისთავად მავნებლობის მეტი არაფერი მოუტანია საქართველოსთვის („პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა“. ამბობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი), რამოდენიმე წლის შემდეგ სრული-

ად უკანონოდ და უსამართლოდ დაარღვია რუსეთმა და ძალმომრეობის მანიფესტით საქართველო შეიერთა. მაშასადამე საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უფლება პოლიტიკური თავისუფლების აღდგენა მოეთხოვა, დადებული ხელშეკრულება დარღვეულად და გაუქმებულად გამოეცხადებია და თავის დამოუკიდებელ უფლებრივ მდგომარეობას დაბრუნებოდა...

1917 წ. 19 ნოემბერს ინტერპარტიული საბჭოს თაოსნობით და ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც გააერთიანა მთელი ერი. ეს იყო უდიდესი და უშესანიშნავესი მოვლენა საქართველოს უკანასკნელ 117 წლის განმავლობაში. მაშინ აღსდგა ქართველი ერი როგორც კულტურულ პოლიტიკური ერთეული და იურიდიული პიროვნება. მართალია ამ ყრილობას არ ჰქონია აზრად დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაგრამ ეს უკანასკნელის წინამორბედი იყო, მან დარაზმა ძალები და მოამზადა ნიადაგი ოც და ექვსი მაისისთვის, რომელიც მის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა. საქართველოს სახელმწიფო ჯერ არ გამოცხადებულიყო, მაგრამ მისი აუცილებლობა, მისი გარდაუვალი საჭიროება უკვე ნაგრძნობი და ნაგულისხმევები იყო, სრული თავისუფლების და დამოუკიდებლობის აზრი ჰაერში ტრიალებდა.

ყრილობის თავმჯდომარემ, ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიამ მისასალმებელ სიტყვაში ასე გამოხატა ეროვნული ყრილობის მოწვევის საჭიროება: „ჩვენ ვშიშობთ აბობოქრებულ ცხოვრების ზღვის ტალღებმა ჩვენც არ ჩაგვიტანოს რღვევის მორევში. ჩვენ პატარა ერი ვართ და ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომლის ახლოს გაჭიმულია დიდი საომარი ფრონტი. ამიტომ გვმართებს დიდი სიფხიზლე, გარდა ამისა, რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი. დღეს არ არსებობს ცენტრალური მთავრობა და რუსეთთან ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქმის სავსებით გაწყდა. ამნაირათ ერთის მხრით ჩვენს ახლოს დიდი საომარი ფრონტის არსებობა, ხოლო მეორეს მხრით რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვავალებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს ვუპატრონოთ. ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები“.

რადგანაც პირველ ეროვნულ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების და სახელმწიფოებრივი აღორძინების ისტორიაში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ, შემოკლებით ერთი მისი უმთავრესი პოლიტიკური დადგენილება, რომელიც ეხება საქართველოს პოლიტიკურ თვითმმართველობას. ითვალისწინებს რა საერთო მდგომარეობას რუსეთში და ჩვენში, ეროვნული ყრილობა აცხადებს:

„ყრილობა საჭიროდ სცნობს შესდგეს, როგორც დროებითი დაწესებულება, საქართველოს ეროვნული საბჭო, ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძღოლად და ცხოვრებაში გასატარებლად. საბჭოს შესადგენად ყრილობა ირჩევს 60 წევრს. საბჭოს წევრები ადგილს უთმობენ ამიერკავკასიის სეიმის ქართველ დეპუტატებს, როდესაც არჩევნების დასრულებით ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში მათი ვინაობა გამოირკვევა.

რიცხვი დეპუტატებისა გამორკვეულ იქნება საარჩევნო პროპორციის მიხედვით. პარტიათა შეთანხმებით საბჭოს წევრებათ შეიძლება მიღებულ იქნან აგრეთვე ისეთი პირები, რომელნიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში შეტანილი არ ყოფილან. (მუხლი 4) ყრილობა საჭიროდ სთვლის განხორციელებულ იქმნას საქართველოში ისეთი ნორმები, რომელნიც მას საშუალებას მისცემენ თავისუფლად განვითარებისათვის და ავალებს დამფუძნებელ კრების ქართველ დეპუტატებს მოითხოვონ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ამ ნორმების მიღება და დადასტურება. ასეთ ნორმებად მიაჩნია ყრილობას საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ საკითხებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯვნება დაინტერესებულ მოსაზღვრეებთან შეთანხმებით. საქართველოში მოქცეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროდ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერკავკასიის ერთა შორის. სამაჰმადიანო საქართველოს მიენიჭება ფართო თვითმმართველობა, ასეთივე ფართო თვითმმართველობა მიენიჭება ყველა იმ განაპირა ადგილებს, რომელთა მცხოვრებნი მოისურვებენ საქართველოს თვითმმართველ ერთეულში შემოსვლას (მუხლი 6). თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავლისათვის ვერ მოხერხდა, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრება, როგორც ამიერკავკასიის ისე ცალ-ცალკე ერების, რომელნიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წყობილებას, როგორც თვითეულ ეროვნულ ტერიტორიალურ ერთეულებში, ისე მთელ ამიერკავკასიაში (მუხ. 7). საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს (მუხლი 8)“.

ასეთი იყო ის უფლებრივ-პოლიტიკური ნორმები, რომლებიც ქართველმა ხალხმა თავისთვის შეიმუშავა იმ გარდამავალ ხანაში, როცა ბოლშევიკების გაბატონებისას რუსეთი, როგორც სახელმწიფო დაიშალა, ახალი კი არც ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის და არც საქართველოს რესპუბლიკის სახით ჯერ არსად სჩანდა. ამ დროს უფლებრივ სახელმწიფოებრივად ყველგან საშინელი ქაოსი და გაუგებრობა მეფობდა. ხოლო მიუხედავად ამისა დემოკრატიის საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციის წყალობით ფაქტიურად რევოლუციური წესიერება დაცული იყო. ამიერკავკასიის ხალხთ მაჯლაჯუნასავით თავს დასწოლოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. ყარსი და ბათუმი დაეცა. ოსმალეთი ოზურგეთისკენ მოემართებოდა. ქართველი ერი შემოსეულ მტერს ებრძოდა თავგამეტებით.

ამიერკავკასიის სეიმში ყველაზე გავლენიანმა ფრაქციამ სოც. დემოკრატიამ (ფაქტიურად ეს იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატია) შესძლო მეტათ გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობის სწორად ამოკითხვა და დეპუტატ დ. ონიაშვილის პირით განაცხადა, რა რომ დღეს უკვე რუსეთის ორიენტაცია არსებითად რეაქციონური ორიენტაციაა, წინადადება მისცა

სეიმს აღეარებინა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერატიული რესპუბ-ლიკის დამოუკიდებლობა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. მაგრამ ამ ეფემერულმა სახელმწიფომ ერთ თვეს ძლივს იცოცხლა, რადგან იგი თავისში ატარებდა დაშლის და თვითდარღვევის ელემენტებს (1918 წ. 22 აპრილი, 1918 წ. 26 მაისი).

გათენდა ამიერიდან ისტორიული 1918 წ. 26 მაისი, როცა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა სასახლის თეთრ დარბაზში. საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ამ გვარათ გამოთქვა ისტორიული მომენტის მნიშვნელობა: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის იშვიათის და ამავე დროს ტრაღიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრე-ბა საფუძველი მეორე სახელმწიფოს“. ამიერკავკასია როგორც სახელმწიფო მოკვდა, ხელმეორედ იშვა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმ-წიფო, დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ამ ისტორიულ კრებაზე გა-მოცხადებული, უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც უფლებრივ და კონსტიტუციურ გამოხატულებას აძლევს საქართველოს სახელმწიფოე-ბრივობის შობას და დასაწყისს. ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივ უფ-ლებრივი არსებობა ემყარება ამ დამოუკიდებლობის აქტს.

ეს არის თუ გნებავთ ჩვენი კანონთა კანონი ჩვენი კონსტიტუციათა კონ-სტიტუცია. ამიტომ ეს დიდებული აქტი, რომელიც შემდეგ საქართველოს დამფუძნებელ კრებამ მიიღო და დაადასტურა 1919 წლის მარტის 12, ერ-თიანად უნდა შევიდეს საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც შესავალი კარი, რაც სახელმწიფოს დაფუძნების აქტს დაუკავშირებს საკონსტიტუციო კანონმდებლობას და მთლიანად ხასიათს მისცემს მთელ კონსტიტუციას.

აი ეს დამოუკიდებლობის აქტი, როგორც იგი მიიღო, დაადასტურა და გამოაქვეყნა ყველა თავის წევრთა ხელმოწერით საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება, – არჩეული პირდაპირი, თანას-წორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12 ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26 ს, ნა-შუადღევის 5 ს. და 10 წ. ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუ-კიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევი-წროვებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით,

რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

„რუსეთის დიდის რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თავის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ამ გვარათ საქართველომ თავის დამფუძნებელი კრების სახით იცნო თავის თავი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო დემოკრატიულ რესპუბლიკანური წესწყობილებით, თავის თავად ცხადია, რაკი დამფუძნებელმა კრებამ იცნო, დაადასტურა და აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღებული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ, ამით მან ეო იპსო იცნო და დაადასტურა ყოველივე ის, რაც მოიმოქმედა ჯერ ეროვნულმა საბჭომ და შემდეგ საქართველოს პარლამენტმა თავის საკანონმდებლო მოღვაწეობით ზემოხსენებული აქტის ძალით. მაშასადამე სულ ზედმეტი უნდა ყოფილიყო ამ საკანონმდებლო ორგანოს (ეროვნულმა საბჭომ საქართველოს პარლამენტი დაირქვა) მიერ მიღებული კანონების ცალცალკე ან ერთად დადასტურება დამფუძნებელი კრების მხრით.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ დაუახლოვდეთ საგანს და გავითვალისწინოთ რესპუბლიკების ძირითადი, ტიპიური ფორმები და სათანადო უფლებრივი კალაპოტი და აგებულება მოვუნახოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც სახელმწიფოებრივობის კონსტიტუციონურ ფორმას.

3

ნამდვილი პოლიტიკური დემოკრატიის საფუძველია ხალხის სუვერენიტეტის აღიარება. ყოველი უფლობის ანუ ხელმწიფების წყარო ხალხშია. ყოველი ძალა უფლება ხალხიდან მომდინარეობს ყველა დიდ სახელმწიფოებრივ საკითხში უკანასკნელი გადასაწყვეტი ხმა ეკუთვნის ხალხს. ამას მოითხოვს დემოკრატიის პრინციპი.

მაგრამ დემოკრატიის ეს ძირითადი სახელმწიფოებრივი პრინციპი ყველა პოლიტიკურ დემოკრატიაში ერთგვარათ არ სახიერდება. ზოგან ხალხი პირდაპირ, განუყოფელათ უშუამავლოთ ანხორციელებს სახელმწიფოს კანონმდებლობითს და მმართველობითს ფუნქციებს. ეს პირდაპირი დემოკრატიაა. ზოგან ხალხი, თანახმად უფლობათა დაყოფის თეორიისა, განსაზღვრულ პირობებში თავის წარმომადგენლებს ანდობს სახელმწიფოს კანონმდებლობითი და მმართველობითი ფუნქციების ასრულებას, აშორებს რა პრინციპიალურათ ერთმანეთს კანონმდებლობით ხელისუფლებას (ძალაუფლება) და აღმასრულებელ ხელისუფლებას (მმართველობა). ამას დავარქვათ უბრალოდ წარმომადგენლობითი დემოკრატია. ზოგან კი ხალხი კანონმდებლობს დემოკრატიულათ არჩეული პარლამენტის საშუალებით, ხოლო მთავრობა დაკავშირებულია პარლამენტთან თავის წარმოშობით და მის წინაშე პოლიტიკური პასუხისმგებლობით, ეს პარლამენტარული დემოკრატიაა.

ასეთია ის სამი ძირითადი ტიპი პოლიტიკური დემოკრატიის, რომელიც ამა თუ იმ ცვლილებით ბატონობს დღეს სხვა და სხვა რესპუბლიკებში. პირდაპირი დემოკრატიის სამშობლოა შვეიცარია. წარმომადგენლობითი დემოკრატიის (დემოკრატია განაწევრებული ანუ ხელმწიფებით ან ძალაუფლებით) ქვეყნად დღეს ამერიკა უნდა ჩავთვალოთ. ხოლო პარლამენტარული დემოკრატიის კლასიკურ მაგალითს იძლევა საფრანგეთის რესპუბლიკა*.

მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმები განყენებულათ ზემოხსენებული დახასიათების მიხედვით დავანაწილოთ შემდეგნაირათ:

1. დემოკრატიული რესპუბლიკა შვეიცარული ტიპის პირდაპირი დემოკრატიით; 2) დემოკრატიული რესპუბლიკა ამერიკული ტიპის დუალისტური, უფლობა-განაწევრებული დემოკრატიით; და 3) დემოკრატიული რესპუბლიკის ფრანგული ტიპის პარლამენტარული დემოკრატიით.

საქართველოს დამფუძნებელი კრების უზენაესი ნების აღიარებით საქართველო გამოცხადებულია დემოკრატიულ რესპუბლიკად. დამოუკიდებლობის აქტის ფორმულა, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა, ამბობს რომ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

აქედან არ სჩანს თუ როგორი ტიპის უნდა იყოს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა და ვის პოლიტიკური დემოკრატიის შინაარსით, რომელ ზემოთ ჩამოთვლლილ ტიპიურ ფორმათაგან უნდა ჰგავდეს იგი თავის კონსტიტუციური აგებულობით, პირდაპირ დემოკრატიას უნდა წარმოადგენდეს ის, უფლობა-განაწევრებულ დემოკრატიას თუ წმინდა პარლამენტარულ დემოკრატიას.

ეს კითხვა ჩვენი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ძირითადი კითხვაა. ის არის აგრეთვე ღერძი მთელი კონსტიტუციის. ამ კითხვის გადაჭრაზეა დამოკიდებული კონსტიტუციის ხასიათი, ბუნება და მიმართულება. ამიტომ ხდება აუცილებელი ეხლავე, სანამ კონსტიტუციის გამოქვეყნებულ პროექტის განხილვას შეუდგებოდეთ ნაწილ-ნაწილად და მუხლობრივ, განვიხილოთ კონსტიტუციის ხერხემალი, მთავარი ჩონჩხი, რომელზედაც ბუნებრივად დამყარებულია მთელი შენობა, მისი ყველა მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ნაწილები. ე.ი. განვიხილოთ ის, თუ როგორი ტიპის დემოკრატიაა ჩვენი დემოკრატია, როგორი ფორმის რესპუბლიკაა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა და როგორ პრინციპზეა აღმოცენებული სხვა და სხვა ძალა-უფლების, თუ ხელისუფლებათა ურთიერთული დამოკიდებულება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იდეალურად ყველაზე უკეთესი დემოკრატია ეს პირდაპირი და შვეიცარიული დემოკრატიაა. თუ არჩევაზე მიდგება საქმე, ცხადია, ასეთ დემოკრატიას ავირჩევდით და ჩვენს რესპუბლიკანურ კონსტიტუციას პირდაპირი დემოკრატიის პრინციპს დავუდებდით საფუძვლად, მა-

* იხ. პროფ. ი. გაჩეკი „საზოგადო სახელმწიფო უფლება:. რუს. ტ. II „თანამედროვე დემოკრატის უფლება“.

გრამ მარტო არჩევით და პირდაპირ წამბაძველობით ვერ ვიხელმძღანელებთ ჩვენ საქართველოს კონსტიტუციის ფორმის გამოჭრის საქმეში. ყოველი ქვეყანა თავის ბუნებრივი გზით ვითარდება და მიუხედავად სხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული გავლენისა თავის პოლიტიკურ დაწესებულებებს თავისებურობას აძლევს. ერთი საზომის გამოჭრა ყველასათვის შეუძლებელია. სხვა და სხვა ერების ცხოვრება იმდენად რთული, იმდენად მრავალ მხრივი და განსხვავებულია, რომ მათი სავსებით ერთნაირ კალაპოტში მოქცევა, მათი უფლებრივი და კონსტიტუციური ვითარების სრულებით ერთგვარ ყალიბში ჩამოსხმა შეუწყნარებელია ისტორიულად, პოლიტიკურად და კულტურულად. ყოვლის შემძლებმა ნაპოლეონმა 1798 წ. სცადა შვეიცარიისთვის მოეხვია თავზე მის მიერ მოწონებული ცენტრალიზმი და გამოაცხადა შვეიცარიის უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, ერთი და განუყოფელი, მსგავსად საფრანგეთის ერთნაირი რესპუბლიკისა. მაგრამ შვეიცარიის ხალხმა არ მიიღო ცენტრალისტური დემოკრატიზმი, როგორც მისთვის შეუსაბამო და შეუფერებელი. ნაპოლეონიც იძულებული გახდა შერიგებოდა ამას და ეთქვა – სჩანს, ცენტრალიზაცია ალპების ყვავილი არ ყოფილაო.

საქართველო პირწმინდათ ვერც შვეცარიულ სისტემას გადმოიღებს, ვერც ამერიკულ სისტემას და ვერც ფრანგულ სისტემას. ის იმდენათ თავისებურს ისტორიულ-გეოგრაფიულ არეში იმყოფება, იმდენათ განსაკუთრებულ კულტურულ ეკონომიკურ წრეში და უკლებრივ პოლიტიკურ და საერთაშორისო პირობებშია ჩაყენებული, რომ აუცილებლად საჭიროებს რამოდენიმედ განსხვავებულ კონსტიტუციურ წყობილებას თუ გნებავთ შერეული სისტემის წყობილებას, რომელიც კერძოდ, საკუთრივ არც ერთ ზემო დახასიათებულ სამ ფორმათაგანს არ ჰგავს სავსებით და ყველაფერში, მაგრამ შესაძლებელია თავის არსებითი თვისებით მიემგზავსოს საშუალოდ შემუშავებულ ტიპს.

და მართლაც შესაძლებელია საქართველომ ერთიანათ შვეიცარიული სისტემა მიიღოს და თავის კონსტიტუციით პირდაპირი დემოკრატია დააკანონოს? ვნახოთ.

წმინდა, პირდაპირი დემოკრატია დღეს გაბატონებულია შვეიცარიის რამოდენიმე კანტონში: ურიშში, აპენცელში, უნტერვალდენში და სხვა აქ არის ხალხის პირდაპირი კანონმდებლობა და ხალხის პირდაპირი მმართველობა. ეს არის „დანცქემეინდენ“. მთელი კანტონის ხალხი ყოველ წელიწადს ერთად იკრიბება ერთხელვე დანიშნულ ადგილას, გაშლილ ჰაერზე. ეს შესაძლებელი ხდება იქ, იმიტომ რომ ეს კანტონები პატარა მისუვერენული სახლემწიფოებია; კრებას ესწრება 10.000 ან 15.000 მოქალაქე. არ ვთვლით ბავშვებს და ქალებს, რომელთაც აგრეთვე შეუძლიათ დაესწრონ კრებას. მთელი ხალხი როგორც სუვერენული და პირდაპირ კანონმდებელი კრება ისმენს კანტონის საერთო მდგომარეობას, სწყვეტს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხებს, სცვლის და ადგენს კანტონალურ კანონებს, ნიშნავს მოხელეებს და სხ. ამ ხალხის საკანონმდებლო კრებაზე გასაოცარი წესიერება სუფევს.

სრული თავისუფლებაა სიტყვის, მაგრამ ამით არავინ სარგებლობს, რომ წესრიგი დაარღვიოს და საერთო მუშაობას ხელი შეუშალოს. ორატორებს განსაკუთრებული მოთმინებით უსმენენ. ყველა გრძნობს, რომ საკანონმდებლო კრებაა და სწყდება სახელმწიფოებრივი საკითხები. სახალხო კრება სულ პირველად ირჩევს კანტონის პირველ მაგისტრატს-მოხელეს, რომელსაც ეწოდება დანდამანნ-ნ. იგი ირჩევა მხოლოდ შემდეგ კრებამდე, ე.ი. მხოლოდ ერთი წლით. იგი არის ამავე დროს კანტონალური მთავრობის თავმჯდომარე და მთელი კანტონის წარმომადგენელი და თავმჯდომარე. მთავრობა აქ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მოკლებულია, იგი უმაღლესი მოხელეების საქმიანი და ამსრულებელი კრებულია და მეტი არაფერი.

ასეთია შეურეველი ტიპი პირდაპირი დემოკრატიის.

ყველა მიხვდება, რომ ასეთი დემოკრატიული წყობილების მაგალითი. ჩვენი კონსტიტუციის საფუძვლად ვერ გამოდგება ჩვენი ხალხის ან ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიის რაოდენობა და სივრცე ვერ გაამართლებს ასეთი დემოკრატიის შემოღებას. ამას არ უწყობს ხელს არც ჩვენი ისტორიულ-კულტურული ტრადიცია და უფლებრივი შემეცნება. ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობაც ისეთნაირია, რომ წარმოუდგენელია იგი მოთავსდეს ასეთი პირდაპირი დემოკრატიის საკონსტიტუციო ფარგალში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შვეიცარიის ის კანტონები, სადაც წმინდა პირდაპირი დემოკრატიაა განხორციელებული, არ წარმოადგენენ კონფედერაციაში იმ მოწინავე კანტონებს, რომელთა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება მისაბაძავი იყოს კულტურულათ ჩამორჩენილ ქვეყნისთვის.

რუსო მართალია: იდეალურათ რომ წარმოვიდგინოთ საკითხი, ხალხის პირდაპირი კანონმდებლობა ცხადია, ნაციონალურ სუვერენიტეტს უფრო შეეფერება, მაგრამ იგი, როგორც საერთო წესი პირდაპირ განუხორციელებელია თანამედროვე დემოკრატიულ სახელმიწოფებში. ის მთელ დედამიწის ზურგზე მხოლოდ რამოდენიმე პაწაწკინტელა დემოკრატიულ ნახევრად სუვერენულ სახელმწიფოებში არსებობს. მისი განხორციელება რომ ეცადათ თანამედროვე დიდ და საშუალო დემოკრატიულ სახელმწიფოთა პირობებში, ნაციონალური სუვერენიტეტის პრინციპი არსებითად გაყალბდებოდა, ხალხის პოლიტიკური წინამსვლელობა შეფერხდებოდა, სახელმწიფოებრივი მთლიანობა დაირღვეოდა და არევ დარევა და თუ შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივი შეუძლებლობა გაბატონდება. ამას კარგათ გრძნობდა თვითონ რუსო.

არის ისეთი კანტონები შვეიცარიის კონფედერაციაში, სადაც წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემაა დაარსებული. მაგრამ ეს წარმომადგენლობითი სისტემა ძალიან შეზღუდულია პირდაპირი დემოკრატიის ჩარევით. ხალხის პირდაპირი ჩარევის ფორმებია რეფერენდუმი და ინიციატივა.

რეფერენდუმი არის ხალხის შეკითხვა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის დასადასტურებლად და დასამტკიცებლად. ასეთ შემთხვევაში არსებითათ და ფორმულარურადაც პარლამენტის მიერ მიღებული კანონი კიდევ არ კანონობს, ის მხოლოდ კანონ-პროექტია, რომელიც გადაეცემა ხალხს დასტურ-

ისათვის. თუ უმრავლესობამ მოიწონა ეს პარლამენტში გატარებული კანონი – კანონპროექტი, მხოლოდ მაშინ ხდება იგი კანონად და ძალაში შედის.

მაგრამ რეფერენდუმი ორგვარია. ერთია რეფერენდუმი სავალდებულო, ხოლო მეორე რეფერენდუმი არასავალდებულო, ფაკულტატიური. სავალდებულოა რეფერენდუმი მაშინ, როცა პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი აუცილებლად უნდა გადაეცეს ხალხს შესაკითხავად და დასადასტურებლად. არასავალდებულო რეფერენდუმი მაშინ არის, როდესაც პარლამენტის მიერ მიღებული კანონი გადაეცემა ხალხს, შესაკითხავათ და დასადასტურებლად, თუ განსაზღვრულ დროში ამას მოითხოვს მოქალაქეთა განსაზღვრული რაოდენობა. დამახასიათებელია, რომ ზოგან ზოგიერთი კანონები, მაგ.: ფინანსიური, ექვემდებარება სავალდებულო რეფერენდუმს დანარჩენი კანონები კი არასავალდებულო რეფერენდუმს. თავისთავად ცხადია საკონსტიტუციო კანონის მიღება ყოველთვის სავალდებულო რეფერენდუმს ემორჩილება.

რაც შეეხება ინიციატივის უფლებას, იგი უფლებაა ხალხის პირდაპირი საკანონმდებლო თაოსნობის, მოქალაქეთა განსაზღვრულ რიცხვს უფლება აქვს ყოველთვის წარუდგინოს პარლამენტს განსახილველად და მისაღებად, ესა თუ ის საკანონმდებლო წინადადება და კანონ პროექტი. ბერნის კანტონში შეიძლება კონსტიტუციის რევიზია მოხდეს 8000 მოქალაქის მოთხოვნით. ციურიხის კანტონში 5000 მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს ყოველი კანტონალური კანონის გაუქმება ან შეცვლა, და თუ ამ მოთხოვნას არ ემხრობა კანტონალური პარლამენტი (საბჭო), კითხვა პირდაპირ ხალხს გადაეცემა გადასაჭრელად.

ზოგან შემოღებულია ვადის გასვლამდე დეპუტატის რწმუნებულობის გაუქმება, თუ ამას მოითხოვს ამომრჩევლების განსაზღვრული რაოდენობა, ზოგან შეიძლება ვადის გასვლამდე მოხდეს მთელი პარლამენტის განახლება ამომრჩეველთა განსაზღვრული ნაწილის გადაწყვეტილებით. მთავრობას წარმომადგენლობითი სისტემის კანტონებში ირჩევს ან საკანონმდებლო კრება ან პირდაპირ ხალხი. მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, არჩეული მხოლოდ ერთი წლით. რა თქმა უნდა არც კანტონებში და არც საკავშირო სახელმწიფოში, კონფედერეციაში, აღმასრულებელ ხელისუფლებას, მთავრობას არ აქვს უფლება დაითხოვოს საკანონმდებლო დაწესებულებანი, რომელნიც ხალხის მუდმივი ზედამხედველობის და კონტროლის ქვეშ, აღჭურვილნი არიან უმაღლესი უფლებით*.

შვეიცარია ფედერატიული სახელმწიფოა, შედგება ოცდახუთი პატარა სახელმწიფოსაგან, კანტონებისაგან, რომელთა შესახებ გაკვრით ვილაპარაკეთ ზევით. აქ დემოკრატია მეფობს, როგორც ძირს კანტონალურ ცხოვრებაში, ისე ზევით კონფედერაციაში. შვეიცარიაში საკანონმდებლო ხელისფლება ეკუთვნის საკავშირო ანუ ფედერალურ კრებას, რომელიც ორი პალატისაგან

* ე. ფრანდენი, Institutions Folitqus del' Europe centemporaine, ტ. III, გვ.120 -122.

შესდგება: კანტონალური საბჭო (კანტონთა წარმომადგენლობა) და ნაციონალური საბჭო (მთელი შვეიცარიის ხალხის წარმომადგენლობა). აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის ფედერალურ საბჭოს (მთავრობას), რომელსაც ირჩევს ფედერალური კრება შვიდი წევრისაგან სამი წლის ვადით. ერთს ამ შვიდთაგანს მთელი შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტად ირჩევს ფედერალური კრება ანუ პარლამენტი მხოლოდ ერთი წლის ვადით. ის არის ამავე დროს თავმჯდომარე ფედერალურ საბჭოსი ანუ მთავრობის და ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ერთი და იმავე პირის არჩევა პრეზიდენტად და მაშასადამე მთავრობის თავმჯდომარედ ზედიზედ შეუძლებელია.

შვეიცარიის პრეზიდენტის თანამდებობა უფრო საპატიოა, ვიდრე რაიმე განსაკუთრებული უფლების და უპირატესობის მატარებელი, როგორც ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებში ან საფრანგეთში, სადაც პრეზიდენტები თავის ძალაუფლებით კონსტიტუციურ მეფეებს არ ჩამოუვარდებიან. მთავრობის წევრებს ცალცალკე ირჩევენ, სდგება საქმიანი არაპარლამენტარული სამინისტრო, რომელიც პოლიტიკურ პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი და ნდობა-უნდობლობის გამოცხადების ციებ ცხელებას არასოდეს არ განიცდის. აქ აღმასრულებელი ხელისუფლება გამომდინარეობს საკანონმდებლო კრებიდან, რომელსაც იგი ემორჩილება. მთავრობას და პარლამენტის ურთიერთობაში შეთანხმების და ხელისუფლებათა კორდინაციის პრინციპს კი არ აქვს ადგილი როგორც ეს ამერიკულ დუალისტურ დემოკრატიაშია, არამედ ბატონობს პრინციპი. ხელისუფლებათა მთავრობა ემორჩილება ყველაფერში სუბორდინაციას, პარლამენტს.

როგორც ხედავთ, შვეიცარიაში წარმომადგენლობითი დემოკრატია ყოფილა. მაგრამ თუ ჩვენ მაინც შვეიცარიულ დემოკრატიას პირდაპირ დემოკრატიასთან ვათანაბრებთ, ეს იმიტომ რომ ჯერ მართლა პირდაპირი დემოკრატია შვეიცარიის კანტონებშია განხორციელებული და მეორედ რეფერემდუმში და ინიციატივა, რომელიც კონფედერალურ სფეროშია შემოღებული, ფაქტიურათ ძალიან აახლოვებს შვეიცარიის წყობილებას პირდაპირ დემოკრატიასთან. ასეთია მოკლედ შვეიცარიულ დემოკრატიის მთავარი დამახასიათებელი კონსტიტუციონური თვისებანი.

ახლა ვიკითხოთ: შეიძლება ყველა ეს დამახასიათებელი თვისებანი შვეიცარიული დემოკრატიისა უცვლელად გადმოვიტანოთ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და მივაკუთნოთ საქართველოს კონსტიტუციას? ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება.

წმინდა დემოკრატიულ კანტონებზე უკვე გვქონდა ლაპარაკი. არც სხვა კანტონების მაგალითების პირდაპირი გადმოღებით წავალთ შორს ჩვენს პოლიტიკურ აღმაშენებლობაში. სავალდებულო რეფერენდუმი საკანონმდებლო მოღვაწეობას გააჩანაგებს და ჩვენს დემოკრატიას სარგებლობის ნაცვლად მავნებლობის მეტს არას მოუტანს. თვითონ შვეიცარია ფედერატიული რესპუბლიკაა (კონსტიტუცია ხმარობს კონფედერაციას). ამიტომ მაინც

და მაინც გასაკვირველიც არა არის რა, თუ შვეიცარიის ფედერატიული ტანისამოსი სავსებით არ მოადგეს ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ სხეულს.

გარდა ამისა შვეიცარიის მთავრობა თავის ხასიათით პოლიტიკური მთავრობა არაა. პარლამენტარული სოლიდარული პასუხისმგებლობა მან არ იცის. მისი პოლიტიკა თუ პარლამენტმა არ მიიღო ან მის მიერ შემოტანილი კანონ-პროექტი უარჰყო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობამ ამაში დაინახოს პოლიტიკური უნდობლობა და მყისვე გადადგეს. სრულიადაც არა. მას შეუძლია აუშფოთებლად განაგრძოს თავისი საქმიანობა კანონით დადებული ვადის (3 წლით) გასვლადმე. აქ მთავრობის წევრები ვადით არჩეული უმაღლესი მოხელენია, საქმიანი ამსრულებლებია პარლამენტის ნება სურვილების და პოლიტიკის.

ასეთი სისტემა მთავრობის და პარლამენტის ურთიერთობისა ჩვენთვის მისაღები არ არის. ჩვენ სულ სხვა საერთაშორისო გარემოებაში ვიმყოფებით, სულ სხვა კულტურულ და სოციალურ განვითარების დონეზე ვდგევართ. სახელმწიფოებრივად ახლა ვმაგრდებით. გვეჭირვება მაგარი, პოლიტიკური, კოლექტიური პასუხისმგებლობით შეკრული მთავრობა. მთავრობა როგორც სხვა და სხვა დეპარტამენტის უბრალო გამგეთა კრებული, რაგინდ ნიჭიერი და წინდახედულნი იყვნენ ეს გამგენი, აღმასრულებლ ხელისუფლებად თანამედროვე ისტორიულ პირობებში საქართველოს ვერ გამოადგება. ამას ჩვენში ყველა დაკვირვებული პოლიტიკოსი გრძნობს.

ისიც სათქმელია, რომ ჩვენი ჩვეულებითი უფლებით და კონსტიტუციური პრაქტიკით, რომელსაც ვაწარმოებთ ეს მეორე წელიწადია, შვეიცარული სისტემა არ დამკვიდრდა. ჩვენ პარლამენტული მთავრობა გვყავს, რომელიც პოლიტიკურათ პასუხისმგებელია დამფუძნებელი კრების წინაშე. მთავრობის შედგენაც სულ სხვანაირი წესით ხდება აქ.

დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. მარტის 14 მიიღო დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა. ამ დეკრეტით ევალება დამფუძნებელ კრების წევრს ნოე ჟორდანიას საქართველოს მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით. დეკრეტი აგრეთვე აღიარებს, რომ „მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია“.

ამ ნაირათ დამფუძნებელი კრება ირჩევს პრემიერს, რომელიც იწვევს დანარჩენ მინისტრებს თავის შეხედულებისამებრ. ეს საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური პრაქტიკის გაგრძელებაა. მხოლოდ საქართველოს პირველი დროებითი მთავრობა ნ.ბ. რამიშვილის თავმჯდომარეობით, ეროვნულ საბჭოს მიერ არჩეული დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, იყო სხვა წესით შემდგარი. ამ მთავრობის წევრები საბჭომ ცალ ცალკე აირჩია. შემდეგ როცა ნ.ნ. ჟორდანია იქნა მთავრობის თავმჯდომარედ არჩეული შემოვიდა და გამტკიცდა პრემიერული სისტემა. ეს სისტემაა გაბატონებული დღეს და არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი შეიცვლება ახლო მომავალში.

თუ დაუკვირდებით, საქართველოს მთავრობის და საკანონმდებლო დაწესებულებათა ურთიერთობის პრაქტიკა განსხვავებულ მაგალითს წარმოადგენს.

ჩვენს სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში პოლიტიკური სამინისტროს მთავარი ელემენტები გაბატონდა. პარლამენტარული პასუხისმგებლობა – უმთავრესი დამახასიათებელი თვისება პარლამენტარიზმისა – ფაქტია. ყოველივე ეს მოგაგონებთ ფრანგული ტიპის პარლამენტარულ დემოკრატიას. მაგრამ საკონსტიტუციო პროექტით განზრახული რეფერენდუმ ინიციატივით, თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევით, მთავრობის თავმჯდომარის იმავე დროს მთელი რესპუბლიკის წარმომადგენლის რომლის მინიჭებით, ერთი და იმავე პირის მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე ზედიზედ აურჩევლობით და სხვ. კონსტიტუციის პროექტი რამდენიმედ აახლოებს ჩვენს მდგომარეობას შვეიცარიულ დემოკრატიასთან.

მაგრამ ახლა შედარებებს თავი დავანებოთ და სხვა დემოკრატიულ კონსტიტუციების არსებითი მხარეები წარმოვიდგინოთ, რამდენათაც ეს ჩვენი თემისთვის არის საჭირო და აუცილებელი.

ჩრდილო ამერიკულ შეერთებული შტატებიც დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომელიც შესდგება 50-დე პატარა რესპუბლიკისაგან. ამერიკის ამ დიდს ფედერაციაში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის კონგრესს (პარლამენტს), რომელიც დეპუტატთა პალატისა (მთელი ხალხის წარმომადგენლობა) და სენატისაგან (შტატების წარმომადგენლობა) შესდგება. აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა ხალხის მიერ ოთხი წლით. ერთი და იგივე პირი, ჩვეულების ძალით, პრეზიდენტად მესამეჯერ აღარ აირჩევა, რომ მისი ძალა-უფლება მუდმივი და ხალხისთვის საშიშარი არ გახდეს. ამერიკის პრეზიდენტი ერთი უძლიერეს პრეზიდენტთაგანია ყველა რესპუბლიკის პრეზიდენტთა შორის. რაში მდგომარეობს მისი უფლება და მოვალეობა?

ამერიკის პრეზიდენტი განაგებს ჯარს, ფლოტს და მილიციას. სდებს ხელშეკრულობას სხვა სახელმწიფოებთან სენატის თანხმობით. ნიშნავს ელჩებს და ყველა მოხელეებს. აქვს შეწყალების უფლება. შეუძლია საგანგებო შემთხვევებში მოიწვიოს პარლამენტი. აქვს ვეტოს უფლება: მას შეუძლია არ დაეთანხმოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, ამ შემთხვევაში ის უკან აბრუნებს კანონს ხელახლა განსახილველად ათი დღის განმავლობაში. მეორედ განხილვის და დადასტურების შემდეგ კანონი ძალაში შედის მიუხედავად პრეზიდენტის თანხმობა-უთანხმოებისა. პრეზიდენტი აცნობს პარლამენტს საერთო მდგომარეობას, უთითებს საჭირო ზომებს, ზრუნავს კანონის ასრულებისათვის და სხ. ომიანობის დროს ამერიკის პრეზიდენტი პირდაპირ დიქტატორული უფლებით იმოსება.

დაუკვირდით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციას. მინისტრებს ნიშნავს თვითონ პრეზიდენტი. მაშასადამე, ისინი პასუხისმგებლები არიან პრეზიდენტის და არა პარლამენტის წინაშე. აღმასრულებელი ხელი-

სუფლება სრულებით ჩამოშორებულია საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. მთავრობის წევრები ვერასოდეს ვერ იქნებიან პარლამენტის წევრები, მათ არა თუ ხმის მიცემა და მსჯელობა, პარლამენტის სხდომებზე დასწრების უფლებაც არ აქვთ. პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, თავისთავად ცხადია, ასეთ სისტემაში არ არსებობს. პრეზიდენტი მხოლოდ ხალხის წინაშე აგებს პასუხს პირდაპირ და სრულიადაც არ არის ვალდებული არც ის და არც მისი მინისტრთა კაბინეთი პოლიტიკური პასუხისმგებლობა იგრძნონ პარლამენტის მიმართ.

ამ ნაირათ ამერიკული უფლობა განაწევრებული დემოკრატიის წყობილება სულ სხვა გვარის და ბუნების არის, ვიდრე შვეიცარიაში და საფრანგეთში არსებული დემოკრატიები. შვეიცარიაში პარლამენტი ირჩევს მთავრობას, როგორც თავის გადაწყვეტილებათა და კანონთა ამსრულებელ ორგანოს. საფრანგეთში პრეზიდენტი უპასუხისმგებლოა (გარდა სახელმწიფოებრივი ღალატისა), მაგრამ, როგორც დავინახავთ, მინისტრები ცალ ცალკე და საერთოთ მთელი კაბინეთი სოლიდარულად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, საიდანაც სდგება პრეზიდენტის მიერ დანიშნულ პრემიერ მინისტრის თაოსნობით პოლიტიკური სამინისტრო. ამერიკის დემოკრატიაში კი პრეზიდენტი პასუხის მგებელია ხალხის წინაშე, ხოლო მის მიერ დანიშნული მინისტრები მხოლოდ და მარტოოდენ მას ემორჩილებიან და სრულებით დამოუკიდებელნი არიან პარლამენტისაგან. აქედან აშკარად სჩანს, რა უუფლებო და პოლიტიკურათ სუსტს თანამდებობას წარმოადგენს შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარეცაა და თავის კოლეგიაში მხოლოდ პირველია თანასწორთა შორის.

მკითხველს, ვიმედოვნებთ, არ გაუჭირდება იმ აუცილებელი დასკვნის გამოტანა ზემოხსენებულიდან, რომ საქართველოს დემოკრატიულ წყობილებას და მის კონსტიტუციას არ მოუხდება და არც შეეფერება ამერიკის უფლობა განაწევრებული დემოკრატიის ურთიერთული დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების და პარლამენტის და მისი პრეზიდენტის უფლობა მოსილობა. ჩვენ ჩვენი პოლიტიკური წყობილებისათვის ვერ ვღებულობთ სავსებით შვეიცარიის დემოკრატიის კონსტიტუციის შესახებ მთავრობის მოწყობისა. ვერ მივიღებთ ჩვენი კონსტიტუციისათვის ვერც ამერიკულ დემოკრატიის უპასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე. იმაზე აღარ გვინდა შევჩერდეთ, რომ საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის ცდა დიდათ განსხვავებულია ამერიკის კონსტიტუციურ გაკვეთილებისაგან. ჩვენთვის ამერიკის დიდი დემოკრატია დიდი მაგალითია, მისი მდიდარი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა მწვრთნელი და ჭკუის მასწავლებელია ყველა დემოკრატიის პოლიტიკური შემოქმედებისა და ცხოვრებისათვის. მხოლოდ არ ვფიქრობთ ამ საკითხში, ე.ი. სახელმწიფოებრივ ძალაუფლების ორგანიზაციის საქმეში მისი წაბაძვა ხელსაყრელი იყო ჩვენთვის.

დაგვრჩა პარლამენტარული დემოკრატიის განხილვა. მაგრამ გზა და გზა მის შესახებ იმდენი ვილაპარაკეთ, რომ სათქმელი ბევრი აღარ გვექნება. ვიხელმძღვანელოთ საფრანგეთის მაგალითით.

საფრანგეთის რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია პრეზიდენტი, რომელსაც პარლამენტის ორივე პალატის – სენატისა და დეპუტატთა პალატის – შეერთებული კრება (ნაციონალური კრება) ირჩევს 7 წლით. ვინც იცის რა ტანჯვით და ბრძოლით წარმოიშვა საფრანგეთის რესპუბლიკა, რა მონარქისტული დაბრკოლებანი ეღობებოდა მის საბოლოო აღიარებას და დაფუძნებას, მას არ გაუკვირდება ასეთი დიდვადიანი საპრეზიდენტო თანამდებობა. მაინცა და მაინც ამ ვადის დაწესების გარეგნული საბაბი ის იყო, რომ მარშალი მაკმაგონი მეთაურობდა აღმასრულებელ ხელისუფლებას შვიდი წლის განმავლობაში. საფრანგეთის პრეზიდენტს ძალიან დიდი უფლებები აქვს მინიჭებული. მას ემორჩილება მთელი შეიარაღებული ძალა, იგი ნიშნავს მოხელეთ, სდებს ხელშეკრულებებს სხვა სახელმწიფოებთან და სხ. აქვს უფლება ხელმეორედ გაახილვინოს კანონი პარლამენტს. აგრეთვე მას აქვს უფლება სენატის თანხმობით დაითხოვოს დეპუტატთა პალატა და ახალი არჩევნები მოახდინოს. პარლამენტის დათხოვის უფლება ამერიკის პრეზიდენტს არ აქვს, თუმცა სხვა მხრივ მისი უფლებები, როგორც დავინახეთ არ ჩამოუვარდება საფრანგეთის პრეზიდენტისას.

პარლამენტარული დემოკრატიისთვის, რაღა თქმა უნდა, დამახასიათებელია არა ეს პრეზიდენტის უფლებათა სიფართოვე, არამედ მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. მინისტრებს ნიშნავს ფორმალურათ პრეზიდენტი. მაგრამ ფაქტიურათ ის ვალდებულია პრემიერად მოიწვიოს პარლამენტის უმეტესობის ნდობით აღჭურვილი პირი, პარლამენტის დიდი ფრაქციების რომელიმე მეთაური, რომელიც შემდეგ თვითონ ადგენს სამინისტროს (კაბინეტს) საკუთარი გეგმის და სურვილის თანახმად. ეს სამინისტრო პოლიტიკურად და სოლიდარულად პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე. იგი ვალდებულია გადადგეს, თუ პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა. საფრანგეთის მინისტრები პასუხის მგებლები არიან არა მარტო თავის მოქმედებისა და პოლიტიკისათვის, არამედ პრეზიდენტის სახელმწიფური მოქმედებისა და აქტებისათვის, რომელთაც გამოქვეყნებისას სათანადო მინისტრები უნდა ადასტურებდენ ხელისმოწერით. თვითონ პრეზიდენტი კი, როგორც ითქვა, უპასუხისმგებლოა. ხოლო ყოველივე ეს, ვიმეორებთ, არაა დამახასიათებელი პარლამენტარული დემოკრატიული წყობილებისათვის. ასეთი წყობილება ბატონობს ამერიკის ზოგიერთ დემოკრატიულ რესპუბლიკებში. მაგალითად ვენეცუელა, ჩილი, სანდომინგო და სხ. ვენეცუელაში და სანდომინგოში მინისტრს არ აქვს პარლამენტის წევრობის უფლება, მაგრამ პარლამენტის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მინისტრის გადადგომას. აი ეს ახასიათებს უმთავრესად პარლამენტარიზმს.

საქართველოს კონსტიტუციას შეუძლია შეითვისოს პარლამენტარულს დემოკრატიის მართველობა. მაგრამ მან ამასთან ერთად უნდა შეითვისოს ის კონსტიტუციური გარანტიები, რომელსაც იძლევა შვეიცარიული დემოკრატია. ამ ორი ტიპის დემოკრატიის პრინციპების ფრთხილი შეთანხმება და შეზავება მოგვცემს საქართველოს რესპუბლიკისთვის საუკეთესო კონსტიტუციას. ასეთი კონსტიტუცია დაზღვეული იქნება ორივე დემოკრატიის უარსაყოფი და მიუღებელი მხარეებისაგან, მატარებელი იქნება ორივე დემოკრატიის დადებითი თვისებებისა. ჩვენი კონსტიტუციით მთავრობა კოლექტიურად პასუხისმგებელი უნდა იყოს პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისთვის და თვითეული წევრი მთავრობისა პირველათ თავის მოქმედებისათვის, როგორც ამბობს კონსტიტუციის პროექტი. მაგრამ კონსტიტუცია უნდა აღიარებდეს აგრეთვე იმ პრინციპებს, რომლებიც გულისხმობენ ხალხის პირდაპირს ჩარევას კანონმდებლობასა და მმართველობაში.

დაწვრილებით ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განვიხილოთ კონსტიტუციის პროექტის თავების გარჩევის დროს. მაშინ შევეხებით იმ საკითხსაც, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანიზაციასთან. ეს არის პრეზიდენტობის შემოღების თუ შემოუღებლობის საკითხი...

საზოგადო დებულებანი – დამოუკიდებლობა და განუყოფელობა

საკონსტიტუციო კომისიის მიერ თავიდანვე მიღებულია, რომ საქართველოს კონსტიტუცია დაყოფილ იქნეს თავებად და სათაურებად. ერთს ასეთ თავს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული? „საზოგადო დებულებანი“.

ზოგან კონსტიტუციებში ასეთი თავი სრულებით არ არის. ხოლო სადაც ეს თავი ცალკეა შეტანილი კონსტიტუციაში (მაგ. შვეიცარია, ნორვეგია, ბელგია და სხ.), იქ მათ შორის შინაარსის მხრივ დიდი განსხვავებაა. შვეიცარიის კონსტიტუციაში „საზოგადო დებულებანი“ შეიცავს კონსტიტუციის უდიდეს ნაწილს და ეხება თითქმის ყველა საკონსტიტუციო საკითხს, გარდა პარლამენტისა და კონსტიტუციის გადაშინჯვისა.

ნორვეგიის კონსტიტუციაში კი „საზოგადო დებულებანი“ შეიცავს სულ 21 მუხლს და არკვევს უმთავრესათ მოქალაქეთა უფლებებს, ხოლო ბელგიის კონსტიტუცია და მისი მიმბაძველი კონსტიტუციები, როგორც მაგალითად, რუმინიის, „საზოგადო დებულებათა“ თავში აქცევს სულ რამოდენიმე მუხლ. და საზოგადო ხასიათის კითხვებს. მაგალითად: სახელმწიფოებრივი დროშა, მთავრობის რეზიდენცია, ფიცის დადება და სხ.

ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში სათაურებს შეესა-

ბამებოდეს მათი შინაარსი, რომ ის ნათლად და მარტივად იყოს შედგენილი და ამავე დროს ადვილი შესასწავლიც იქნეს ამიტომ ვამჯობინებთ ამ შემთხვევაში ბელგიის კონსტიტუციის მაგალითით ხელმძღვანელობას.

ჩვენი კონსტიტუციის „საზოგადო დებულებანი“ შეიცავს სულ ხუთ მუხლს.

პირველი მუხლი შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველში ნათქვამია, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“. ხოლო მეორე ნაწილი აღიარებს, რომ მისი „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა, არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში იყოს განსაკუთრებული მუხლი იმის შესახებ, რომ საქართველო არის სახელმწიფო თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი. თავისთავად ცხადია, ასეთი მუხლი კონსტიტუციისთვის საერთოთ სავალდებულო სულაც არ არის. მრავალი ქვეყნის კონსტიტუციამ არ იცის მზგავსი მუხლი. თითქოს თავისთავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო, რომელიც თავისთავს კონსტიტუციას უდგენს, არის თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი. ხშირათ ამბობენ ამ განსაზღვრათა ნაცვლათ ერთს ყოვლის შემცველ სიტყვას „სუვერენული“, ან როგორც ჩვენ დამოუკიდებლობის აქტშია, „სუვერენულ უფლებათა მატარებელი“ სახელმწიფო. და მართლაც უფლებისმეტყველების განმარტებით ყველა ეს თვისება – სახელმწიფოს თავისუფლება, მისი დამოუკიდებლობა და განუყოფლობა დამახასიათებელი მომენტებია სუვერენიტეტისთვის.

სუვერენიტეტი უფლებრივ-პოლიტიკური ცნებაა და ნიშნავს უზენაეს ბრძანებლობას, უმაღლეს უფლობა მოსილებას სახელმწიფოში. ზოგიერთები სუვერენიტეტს უწოდებენ თავისუფალი პოლიტიკური განსაზღვრის უფლებას ანტონ მენეგერი თავის წიგნში „ახალი სწავლა სახელმწიფოზე“ სუვერენიტეტს უწოდებს „უმაღლეს ფაქტიურ ძალა-უფლებას სახელმწიფოში“. სუვერენიტეტი როგორც უზენაესი ბრძანებლობის უფლება ხან ხალხის ერთ ნაწილს, უმცირესობას, არისტოკრატიას ეკუთნოდა, ხან ერთ პირს, მონარქს. ამით ხასიათდებოდა უმთავრესათ არისტოკრატიული თუ მონარქიული სახელმწიფოებრივობა. მაგრამ სუვერენიტეტი რომ საზოგადოების ყველა წევრთ, მთელ მის შემკრებლობას ჰქონოდეს, ეს ძველმა ისტორიამ არ იცის. ათინაში დემოკრატიის ბატონობის დროს, ხალხის დიდს უმრავლესობას უფლებას მოკლებული მონები შეადგენდნენ. პრინციპი ნაციონალური სუვერენიტეტის მჭერმეტყველურათ დაიცვა რუსომ თავის „Contract Social“-ში, იგი გადაიქცა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის უმნიშვნელოვანეს პრინციპად. ნაციონალური სუვერენიტეტი მოასწავებს ხალხის თვითმპყრობელობას, ერის ბრძანებლობას. სუვერენიტეტი ეკუთვნის მთელ ხალხს მთლიანად აღებულს, იგი სხვას არავის ეკუთვნის.

ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია 1789 წ. ამბობს: „ყოველი სუვერენიტეტის პრინციპი ეკუთვნის ერს; არავითარ კოლეგიას, არავითარ პიროვნებას არ შეუძლია ისარგებლოს ხელისუფლებით, რომელ-

იც მისგან არ გამომდინარეობს“. საფრანგეთის 1793 წ. რესპუბლიკის კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „სუვერენიტეტი ხალხში იმყოფება. იგი ერთი და განუყოფელია, გაუცემელი და ხელუხლებელია“.

ნაციონალური სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს ტერიტორიალური სუვერენიტეტი, ტერიტორიალური ბრძანებლობა, რომელიც ახასიათებს სწორეთ სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. სახელმწიფო თვის სუვერენობას ჰკარგავს, როდესაც მის შინაურ და გარეშე პოლიტიკაში სხვა სახელმწიფო ერევა, რითაც ისაზღვრება მისი სახელმწიფოებრივი ნებისყოფა. ამ ჟამათ არ გვინდა მკითხველს გადავუშალოთ ის დიდი პოლიტიკურ ფილოსოფიური და უფლებრივი კამათი სუვერენიტეტის გარშემო, რომელიც უფლების მეცნიერებაში სწარმოებს. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სუვერენიტეტის პრინციპი საფუძველია ყველა დემოკრატიული კონსტიტუციის. ჩვენი პირველი საკონსტიტუციო დამფუძნებელი პარტია თავისუფლებისა – დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუციის პროექტი სწორედ აი ამ ხალხის სუვერენიტეტზე, მის ბრძანებლობაზე არის აგებული.

ხშირათ სახელმწიფო, რომელიც თავისთვის კონსტიტუციას იმუშავებს ბევრნაირათ არ არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი, მაშასადამე არც სუვერენული. მაგალითისათვის მოვიგონოთ დამოუკიდებელი, მისუვერენული ანუ ნახევრათ სუვერენული სახელმწიფოები როგორც საერთაშორისო ისე სახელმწიფოებრივ-ფედერატიულ უფლების სფეროში.

ჩვენმა კონსტიტუციამ პირდაპირ უნდა თქვას, რომ საქართველო თავისუფალია; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავის არსებობასა და მოქმედებაში ემყარება ავტონომიურ ნების აღიარებას, თავის სახელმწიფოებრივ უფლების შემოქმედებისას, გამოდის საკუთარ თავისუფალ, შეუზღუდველ თვითგამორკვევიდან. კონსტიტუციამ უნდა თქვას, რომ საქართველო დამოუკიდებელია; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფოთაგან, სუბიექტია საერთაშორისო უფლებისა და ხალხთა ოჯახში თავისუფალი მსვლელობა აქვს. საერთაშორისო უფლება თხოულობს, რომ ახლად დაბადებული სახელმწიფო, სანამ ფორმალურათ საერთაშორისო უფლებრივ სუბიექტად გახდებოდეს, აუცილებლად საჭიროებს ცნობას სხვა სახელმწიფოთაგან. ეს იყო ჩვენი დღევანდელი უდიდესი საერთაშორისო საკითხი, საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისა, დიდ სახელმწიფოთა მიერ ჩვენი სახელმწიფოს აღიარებისა ეს ცნობა ჩვენი დამოუკიდებლობისა დღეს (ამ წლის 12 იანვრიდან) უკვე ფაქტია.

მაგრამ ეს ცნობა, ეს აღიარება საზოგადოთ ეხება არა სახელმწიფოს, როგორც ასეთის არსებობას, არამედ მის საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობას, მის უფლებრივ ურთიერთობის მოწესრიგებას დანარჩენ სახელმწიფოებთან.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობა ბადებს ორმაგ ვალდებულებას. სახელმწიფო, რომელიც ცდილობს, რომ სხვა სახელმწიფოებმა იცნონ მისი დამოუკიდებლობა, ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო უფლებრივი

ნორმები. აგრეთვე ის სახელმწიფონი, რომლებიც მის დამოუკიდებლობას იცნობენ, ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო უფლებრივი ნორმები. აგრეთვე ის სახელმწიფონი, რომლებიც მის დამოუკიდებლობას იცნობენ, ვალდებული არიან პატივი სცენ და ანგარიში გაუწიონ მის საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობას.

ჩვენმა კონსტიტუციამ უნდა აღიაროს აგრეთვე, რომ საქართველო განუყოფელია, როგორც თავის სახელმწიფოებრივი ტერიტორიით ისე სახელმწიფოებრივი ძალა უფლებით და სუვერენიტეტით. ჩვენი სახელმწიფო ერთი, მთლიანი და განუყოფელია. ის სადა, უნიტარული სახელმწიფოა და არა რთული, ფედერატიული. ჩვენი სახელმწიფოებრივობის საზღვრებში შეუძლებელია სხვა სახელმწიფოებრივი ტერიტორიები, სხვა სახელმწიფოებრივი ავტონომიები ცალ ცალკე ცენტრთან დაკავშირებით ან და მათი ფედერატიული კავშირი ფედერალური უფლების გამტკიცებით. როგორც იცით, მრავალი სახელგანთქმული უფლებისმეტყველის ფიქრით, ფედერატიულ სახელმწიფოში სახელმწიფოებრივი ძალა–უფლება და სუვერენიტეტი განუყოფელი არ არის. ფედერატიულ სახელმწიფოში ცენტრსა და შემადგენელ სახელმწიფოთა შორის არის განაწილებული სახელმწიფოებრივი ფედერალური უფლობა, იქ არსებობს ორმაგი სუვერენიტეტი, ფედერალური ცენტრი საზღვრავს შემადგენელ სახელმწიფოებს, კანტონებს, შტატებს და ეს უკანასკნელი საზღვრავენ ფედერალურ ცენტრს. ხდება თუ გნებავთ გაორმაგებული სუვერენიტეტის ურთიერთული შეერთება, ორი სუვერენიტეტის ურთიერთული შემსჭვალვა – penetration réciproque როგორც ამბობს დუბსი.

რაღა თქმა უნდა, ჩვენს რესპუბლიკაში ამ ორმაგი სუვერენიტეტის პრინციპის ნასახიც არ არის. იგი არავისთან არ არის შეკავშირებული რომელიმე ტიპის უნიით, არც დასერილი აქვს სახელმწიფოებრივი სხეული, რომ მრავალ უფლება მოსილს ცენტრთა კომპრომისულ ურთიერთობის ნიადაგზე იყოს აღმოცენებული მისი პოლიტიკური არსებობა. იგი მთლიანი და განუყოფელია.

ცხადია შეგვეძლო გვეთქვა კონსტიტუციაში, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა. ეს იმის მომასწავებელია, რომ საქართველოს აქვს უზენაესი უფლება ბრძანებლობისა ყველა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქის მიმართ. ამავე დროს მას აქვს უზენაესი უფლება თავისი ხალხი წარმოადგინოს საერთაშორისო ურთიერთობაში. პირველ უფლებას ესმენი უწოდებს შინაურ სუვერენიტეტს, მეორეს კი – საგარეო სუვერენიტეტს. მაგრამ ვფიქრობთ, განსაზღვრა, რომ საქართველო თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფოა, სავსებით გულისხმობს როგორც პირველს, ისე მეორე უფლებას უკეთ საქართველოს განუყოფელ ერთაარს უფლობა მოსილებას.

შედარებითი საკონსტიტუციო უფლება ადასტურებს არსებითად ამ გვარი განსაზღვრის შესაძლებლობას კონსტიტუციაში. ნორვეგიის კონ-

სტიტუციის პირველი მუხლი ასე იწყება: „სამეფო ნორვეგია არის თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი და გაუცემელი სახელმწიფო“. რომ ანალოგიური მუხლი მიზანშეწონილი და შესაძლებელია ამას, სხვათა შორის ამტკიცებს მრავალი ქვეყნის კონსტიტუცია, მათ შორის სერბიის, რუმინიის, ბულგარეთის და სხ. კონსტიტუციები.

უნდა აღინიშნოს აგრედვე, რომ ასეთი კონსტიტუციური თვითგანსაზღვრა თავის პოლიტიკური ვინაობის უფრო სავალდებულოა იმისთანა სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ახლა დაიბადენ და როგორც სუვერენული ერთეულები ახლა გამოდიან საერთაშორისო ასპარეზზედ. საქართველომ 118 წლის მონობის შემდეგ ხელახლა იწყო სახელმწიფოებრივი ცხოვრება და მის პირველ დემოკრატიულ კონსტიტუციაში აღნიშვნა იმის, რომ ის არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, არა თუ ზედმეტი აუცილებელიცაა.

6

დემოკრატიული რესპუბლიკა

აქნამდი ჩვენ გვქონდა სახეში სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი პოლიტიკური ორგანიზმი, ხოლო ამ გარემოების აღნიშნვა არაფერს გვეუბნება ჩვენ თვით სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილების ფორმის და შინაარსის შესახებ. ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია – ყველა ესენი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. მაგრამ მათი პოლიტიკური წყობილება ერთნაირი სრულებით არ არის. ინგლისი პარლამენტარული მონარქიაა, საფრანგეთი – პრეზიდენტული, ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ხოლო შვეიცარია – დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ამიტომ საჭირო იყო ჩვენს კონსტიტუციაში მოკლეთ და ზოგადათ აღნიშნვა ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური მართვა-გამგეობის ფორმის. სწორეთ ამას ეხება საზოგადო დებულებათა პირველი მუხლის მეორე ნაწილი: მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს დებულება პირველ ყოვლისა არსებითათ ეთანხმება დამოუკიდებლობის აქტში უკვე გამოთქმულ აზრს: „დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა“. აქ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დამოუკიდებლობის აქტი არ ლაპარაკობს საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივობასა და უცვლელობაზე. და ეს განსხვავება როგორც პრინციპიალური,

ისე პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ამ საკითხს ეძლევა მნიშვნელობა ეგრედ წოდებულ კონსტიტუციის გადაშინჯვის საქმეში. მაშასადამე ამას შევეხებით ჩვენ უფრო დაწვრილებით მაშინ, როცა კონსტიტუციის გადაშინჯვას განვიხილავთ. ახლა შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ფორმა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომელიც – კონსტიტუციის ძალით არასოდეს გადაისინჯება, არასოდეს არ შეიცვლება, როგორც უნდა შეიცვალოს თვით ჩვენი კონსტიტუცია. მისი გადაშინჯვა კი შეიძლება მოხდეს მთელათ ან ნაწილობრივათ.

ჩვენ ვგულისხმობთ ლეგალურ, კანონიერ კონსტიტუიურ უფლებას და საშუალებას, რომელიც ეყრდნობა ერთხელვე აღიარებულ სრულუფლებოვან ხალხის უზენაეს ნებისყოფას და რომელსაც, როგორც ვთქვით, პოლიტიკური „დაცვის გარანტიის“ ხასიათი აქვს.

არის ერთი გზა კონსტიტუციაში აღიარებულ წყობილების (დემოკრატიული რესპუბლიკა) დასანგრევათ და შესაცვლელათ. ეს არის გზა აჯანყების დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. „სახელმწიფოს კონსტიტუცია, – ამბობს ელინეკი („изменение и преобразование конституции“ გვ.7), შეიძლება ძირიანათ შეიცვალოს ძალმომრეობით. ყველა რევოლუციის მიზანია კონსტიტუციის შეცვლა“. ყოველი გამარჯვებული რევოლუცია ქმნის ახალ უფლებას. გარდა რევოლუციისა კონსტიტუციის შეცვლა ხდება დაპყრობით, შეერთებით, ჩამოცილებით და სხ. (იხ.).

საერთოდ ეს მართალი მოსაზრებანია. მაგრამ ამ ჟამათ ჩვენ სხვა საკითხი გვაინტერესებს. ჩვენ კონსტიტუციურ და უფლებრივ ნიადაგზე ვდგავართ. სხვანაირათ კონსტიტუციის ნორმების შემუშავება შეუძლებელია. სუვერენულ სახელმწიფოს, მის სუვერენულ ხალხს შეუძლია შესცვალოს, სულ უარყოს ძველი ან სულ ახალი კონსტიტუცია მიიღოს. საკითხს რომ სრულებით ჩამოვაშოროთ პოლიტიკური ხასიათი და სულ განყენებულათ წარმოვიდგინოთ უფლებრივ კონსტიტუციური ვითარება, უნდა ვთქვათ, რომ შეუძლებელია კონსტიტუციის რომელიმე დებულების მუდმივობასა და უცვლელობაზე ლაპარაკი. დამფუძნებელი ძალაუფლება შეუზღუდველია. კონსტიტუციის დამფუძნებელი ან გადამშინჯველი დემოკრატიულ სახელმწიფოებში თვით ხალხია, პირდაპირათ თუ არაპირდაპირათ, და მას აქვს ურყეველი უფლება კონსტიტუციური კანონები შესცვალოს ისე, როგორც სურს და შეეფერება მის ინტერესებს. ჯერ კიდევ სიესი ამბობდა, რომ ხალხის დამფუძნებელი ძალა უფლება ხელმწიფება, pouvoir constituant, არ არის შეზღუდული და არც შეიძლება შეიზღუდოს არავითარი კონსტიტუციური ფარგლებით. ეს ხალხის ბუნებრივი უფლებაა. კლარკის თქმით, „ყველა ხალხს და ერს აქვს თავისუფლება და უფლობა ასწოროს და ცვალოს თავის კონსტიტუციები“, საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 1793 წ. ამბობს: „ხალხს ყოველთვის აქვს უფლება გადასინჯოს, გააუმჯობესოს და შესცვალოს თავისი კონ-

სტიტუცია. ერთს თაობას არ შეუძლია თავის კანონებით საუკუნოთ შეზღუდოს ყველა მომავალი თაობანი“.

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ საფრანგეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1793 წ.) აღიარებს კონსტიტუციის ცვლილების მუდმივ შესაძლებლობას. ერთს თაობას არ აქვს უფლება ისეთი კონსტიტუცია დასწეროს, რომელიც შეჰკრავს და შეზღუდავს მომავალ თაობათა ნებასა და სურვილს. ასეთია ბუნება და ხასიათი ხალხის სუვერენიტეტის პრინციპების და უფლებრივი წყარო სათავის – დამფუძნებელი ძალისა და ხელისუფლების. ცხადზე უცხადესია, რომ ეს მუდმივი ცვლილების შესაძლებლობა ეხება, როგორც მთელ კონსტიტუციას ისე მის რომელიმე ნაწილს, როგორც კონსტიტუციაში გამოსახულ სახელმწიფოებრივ პრინციპებს ისე სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ფორმას.

მაგრამ ჩვენთვის არანაკლებ საყურადღებოა სწორეთ ის, რომ დღევანდელი საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონები, თუმცა აღიარებენ გადასინჯვის საჭიროებას და აწესებენ მის ფორმებს, ერთ მთავარ დებულებას მაინც უცვლელს და სამუდამოდ ხელუხლებელს სტოვებენ. ეს არის საფრანგეთის მართვა გამგეობის გამგეობის ფორმის შეუცვლელობა კონსტიტუციის ძალით. საფრანგეთის საკონსტიტუციო კანონებში ნათქვამია, რომ „მართველობის რესპუბლიკანური ფორმა არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“. (1875 წ. კონსტიტუციის მერვე მუხლი).

ეს 1875 წლის კონსტიტუციის დამატებაა, რომელიც მიიღო საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ (სენატის და დეპუტატთა პალატის შეერთებულმა კრებამ) 1884 წელს. აი ეს დამატება პირდაპირ ნაკარნახევია იმ პოლიტიკური პირობებით, რომელშიაც წარმოიშვა მესამე რესპუბლიკა და შემუშავდა საფრანგეთის უკანასკნელი კონსტიტუცია, მისი ისტორიული დედა აზრი ის არის, რომ საფრანგეთის 1875 წ. საკონსტიტუციო კანონები პირდაპირ არ აღიარებდენ რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობის შემოღებას. მონარქისტებს, რომლებიც საკონსტიტუციო კანონების მიღების დროს თითქმის იმდენი იყვნენ ნაციონალურ კრებაში, რამდენიც რესპუბლიკანელები, შეეძლოთ ამით ესარგებლათ და კანონიერის გზით, კონსტიტუციის ძალით გაეუქმებიათ რესპუბლიკა და აღედგინათ მონარქია. ეს იყო უმთავრესი მოსაზრება, რომელმაც აიძულა 1884 წლის ნაციონალური კრება კონსტიტუციაში შეეტანა დამატების სახით „ძირითადი პრინციპი“ რესპუბლიკანური წყობილების უცვლელობის შესახებ. ამით აეყარათ იარაღი მონარქისტებს, რომლებიც ამიერიდან უნდა გამოსხთოვოდენ ლეგალური საშუალებით თავის მთავარი მიზნის განხორციელებას.

პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებული 1917 წელს აგვისტოს 21 ამბობს, რომ არ შეიძლება გადასინჯვის საგნად გახდეს ისეთი წინადადება, რომელსაც მიზნად აქვს მართვა გამგეობის რესპუბლიკანური ფორმის გაუქმება. (განყ. VII, სტ. 82, §2.)

ამნაირათ ნაციონალურ კრებას შეუძლია კონსტიტუცია შეცვალოს, გადაშინჯოს, მიუმატოს, მოაკლოს. მაგრამ მას არ შეუძლია შეცვალოს თვით მართვა გამგეობის ფორმა, არ შეუძლია რესპუბლიკა გააუქმოს და მონარქია შემოიღოს. რა თქმა უნდა. ბოლოს და ბოლოს საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობა სწყვეტს საკითხს და შეიარაღებული და გამარჯვებული ძალით ყოველი კონსტიტუციის დაშლა შეიძლება. მაგრამ თავისთავად კონსტიტუცია, უფლებრივი ცხოვრება, უფლებრივი ტრადიცია, კონსტიტუციურ ფარგლებში გამოკვეთილი, რომლისთვისაც მუდამ მზად არის სახელმწიფო იბრძოლოს, დიდს ძალას წარმოადგენს და უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის და მისი ხანგრძლივობის.

შვეიცარიის, ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები პირდაპირ არ აღიარებენ, რომ მათი სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა მუდმივი და უცვლელია. მაგრამ როცა კონსტიტუცია ბრძანებს, რომ კონფედერაცია (იხ. შვეიცარიის კონს. მე-6 მუხლი – კავშირი (იხ. შეერთ. შტატების კონსტ. სტ. IV განყოფ. 4). თუ სხვა რომელიმე დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი ორგანო მხოლოდ რესპუბლიკანურ და დემოკრატიულ მართვა-გამგეობის ფორმას იცავს და უზრუნველჰყოფს კონსტიტუციურათ. ცხადია, მათი დემოკრატიულ რესპუბლიკანური წყობილების სახე არსებითად უცვლელი და მუდმივია. შვეიცარიის არც ერთს კანტონს არ აქვს ნება ძირითადი კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკა-დემოკრატიული თუ წარმომადგენლობითი, – შეცვალოს და მონარქიული ან არისტოკრატიული წყობილება შემოიღოს.

მონარქიული კონსტიტუციები აღიარებენ ხოლმე მთავარი მონარქიული პრინციპის ხელუხლებლობას, მის ასე ვთქვათ „სიწმინდეს“ და მუდმივობას. თუ ეს ასეა, დღეს, როცა ბრძოლა სრული დემოკრატიზაციისათვის ყოველგან გრძელდება, დემოკრატიამ უფრო მეტის უფლებით უნდა მოითხოვოს თავის დემოკრატიული პრინციპის ხელუხლებლობა, მუდმივობა და ამის კონსტიტუციაში აღნიშნვით ხალხის სახელმწიფოებრივ თავისუფლებას და უფლობა მოსილებას მტკიცე გარანტია მისცეს და უფლებრივი საფუძველი ჩაუყაროს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა ერთად-ერთი ნამდვილი და მაღალი ფორმაა ხალხური მართველობის, შეთანხმებული ხალხის ინტერესებთან და მის ცხოველმყოფელ სახელმწიფოებრივ ნებისყოფასთან. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური სუვერენიტეტი მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნახულობს თავის ბუნებრივ გამოხატულებას. პროფ. ესმენი პირდაპირ ამბობს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს ხალხის სუვერენიტეტის ბუნებრივს და სრულს განხორციელებას. რადგანაც აქ ამ შემთხვევაში ყველა ხელისუფლებას, პირდაპირ თუ არაპირდაპირი თვით ერი, ნაცია ანდობს და ანდობს მხოლოდ დროებით, ნაციონალურ სუვერენიტეტს რჩება თავისი მუდმივი აქტივობა და პერიოდულად იჩენს თავს სინამდვილეში (იხ. „საკონსტიტუციო უფლება“. რუს. გვ.138).

ამიტომ სუვერენულ ერს, რომელიც ისტორიის წინაშე გამოდის და მოქმედებს მომავალ თაობათა სახელით, შეუძლია ერთხელ და სამუდამოთ აღიაროს სახელმწიფოებრივი წყობილების განსაზღვრული ფორმა – სახელდობ დემოკრატიული რესპუბლიკა. მას ნება აქვს, ეს აუცილებელიცაა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, რომ თავის სუვერენული, აბსოლუტური უფლების ძალით რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ მართვა გამგეობის უცვლელობის და მუდმივობის ძირითადი პრინციპი კონსტიტუციით გამოაცხადოს და ყველა წარმოშობილი ხელისუფლების სავალდებულოთ და სახელმძღვანელოთ. ჩვენი ხალხი ამ დებულების შეტანით კონსტიტუციაში უფრო დამშვიდებული, გაფრთხილებული და უზრუნველყოფილი იქნება.

რაც შეეხება თვით დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც პოლიტიკური წყობილების ფორმას ჩვენ იგი მიგვაჩნია „ერთადერთ ხალხური პოლიტიკური წყობილების ფორმად არა მარტო დღევანდელი პირობებისათვის, როცა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი და განუვითარებელია ცხოვრება, არამედ მომავლისთვისაც, როცა შრომის სამეფო დამყარდება და საზოგადოების ურთიერთობის სოციალისტური გარდაქმნა განხორციელდება. დემოკრატიული რესპუბლიკა ფორმაა, რომელშიაც სავსებით მოთავსდება საზოგადოების სოციალისტური შინაარსი. ამ მხრით პროლეტარიატის პოლიტიკური იდეალი დემოკრატიული რესპუბლიკაა. ამავე აზრით ამბობს ცნობილი სოციოლოგი მარქსისტი კაუცკი: „ჩვენ უკვე მიტომ ვართ რესპუბლიკელები, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ერთადერთი პოლიტიკური ფორმაა, რომელიც ეთვისება სოციალიზმს“.

არ გვავიწყდება ყველა ის უარყოფითი მხარე, რომელიც ახასიათებს თანამედროვე დემოკრატიულ რესპუბლიკათა საზოგადოებრივ ცხოვრებას. კარგად ვიცით, რომ თანამედროვე დემოკრატიული რესპუბლიკა კიდევ შორს არის სოციალური რესპუბლიკის ბატონობისაგან; იგი პირველ ყოვლისა ხალხის პოლიტიკური ბატონობის ფორმაა, რომელიც ელის სოციალურ შინაარსს. დღეს რესპუბლიკაში შეუძლო კლასებს ლუკმა პურისათვის უხდებათ საშინელი ბრძოლა, ჯერ კიდევ ბურჟუაზიული საზოგადოებრიობის პრინციპი ბატონობს. მაგრამ აქ თვითონ დემოკრატიული რესპუბლიკა საუკეთესო პოლიტიკური წყობილებაა, რომელიც ყოველნაირად ხელს უწყობს ეკონომიურ სამართლიანობის დამყარებას და ხალხის სოციალისტური კულტურის შეთვისებას და განვითარებას. რესპუბლიკანური წყობილების პოლიტიკური ფორმა საუკეთესო კალაპოტია მუშათა მოძრაობის მიზნების განხორციელებისათვის. ამ მოძრაობის საბოლოო გამარჯვება არა თუ გააუქმებს სახელმწიფოს რესპუბლიკანურ ფორმას, არამედ უფრო გააძლიერებს და განამტკიცებს მას. პროფ. ანტონ მეიერი სწერს „როცა სახალხო მუშური სახელმწიფო გაათანასწორებს მასების პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებს, მხოლოდ მაშინ მოისპობა საბოლოოდ ყოველივე საფრთხე სახელმწიფოს რესპუბლიკანური ფორმისათვის“*

* Новое учение о государстве გვ. 182.

ამ შეხედულებას დემოკრატიულ რესპუბლიკაზე უარჰყოფს ბალშევიზმი, რომელიც უპირდაპირდებს მას საბჭოთა რესპუბლიკას. ლენინი თავის ისტორიულ „თეზისებში“ აღიარებს, რომ რუსეთმა უკვე გადალახა ფორმა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და აღიარა პროლეტარიატისათვის ერთადერთი მისაღები ფორმა – პროლეტარული დიქტატურის გამომხატველი, საბჭოების მართვა გამგეობა. ლუნაჩარსკი სწერს ბალშევიკურ ხიშტით გარეკილ რუსეთის დამფუძნებელ კრების შესახებ: „იგი მოკვდა, როგორც უკანასკნელი მემკვიდრეობა დემოკრატიული რესპუბლიკის, რომელსაც რუსეთმა უკვე გადააბიჯა“. ამ გზას უნდა გაჰყვეს ყველა ქვეყნის მუშა ხალხი? არა დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ, არამედ არა დემოკრატიული რესპუბლიკით მომავლისაკენ, არამედ დემოკრატიის უარყოფა და დიქტატურის გამოცხადება საბჭოების სახით – აი ბალშევიზმის მთელი პოლიტიკური სიბრძნე-სიცრუე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბალშევიკური საბჭოთა რესპუბლიკა არ წარმოადგენს სოციალიზმის და კომუნიზმის უზრუნველყოფას. რუსეთის სოვდეპიის მაგალითი ააშკარავებს, რომ ყოველი „დიქტატურა“ არ არის პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც უსათუოდ გულისხმობს ხალხის დიდი უმრავლესობის მიმხრობას და მისი ბრძანებლობის და დემოკრატიის ფორმების განმტკიცებას. ბალშევიზმის ბატონობა აიხსნება რუსეთის განსაკუთრებული პირობებით. მის ხანგრძლივობას ხელს უწყობს გარეშე ძალთა ჩარევა და ომის წარმოება, რომელიც აკავშირებს და ერთი დროშის ქვეშ აყენებს ყველა რევოლუციონურ ძალებს. გარეშე საფრთხის მოძრაობასთან ერთად ბალშევიზმი უნდა შეუდგეს შინაურ შემოქმედებას და აი ის ამ ნიადაგზე ან დაიღუპება კატასტროფიულად ან და ნელი და შეუჩერებელი ევოლიუციით მივა დამფუძნებელი კრების მოწვევის აუცილებლობამდე დემოკრატიის აღიარებამდე. ე.ი. მიიღებს იმას, რასაც უარყოფდა და უარყოფს იმას, რაც შეადგენდა მის არსებობას და თავისებურობას.

დემოკრატიულ რესპუბლიკას ვერც ერთი წინამავალი ერი ვერ უარყოფს; დემოკრატიის გარეშე, დემოკრატიის წინააღმდეგ სოციალიზმს ვერ დაამკვიდრებს ვერც ერთი სახელმწიფო, რაგინდ განვითარებული იყოს იგი, როგორც გერმანია, ან რაგინდ განუვითარებელი იყოს იგი როგორც რუსეთია დღეს.

7

ნეიტრალობის შესახებ

„საზოგადო დებულებათა“ მესამე მუხლი აღნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას, განსაკუთრებით მის საერთაშორისო დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოთა მიმართ ომიანობის დროს. ეს მუხლი ასეა გამოთქმული:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფოა“.

ეს დებულება ცოტა სხვა რედაქციით გამოცხადებულია დამოუკიდებლობის აქტში, სადაც სწერია: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“. ეს, სხვათა შორის, გვავალებს, რომ ჩვენს კონსტიტუციაში უთუოთ აღნიშნული იყოს საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტი.

რა არის ნეიტრალიტეტი? როგორია ნეიტრალური სახელმწიფო?

პირველ ყოვლისა ნეიტრალიტეტი გულისხმობს ჩაურევლობას სხვათა გამწვავებულ საქმეში, სხვათა ომში: ეს საერთაშორისო მოვლენაა, საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობაა. დროებიანი ნეიტრალიტეტი ეხება განსაზღვრულ მოვლენას, განსაზღვრულ კონფლიქტსა და ომს. სახელმწიფო, ყველასაგან ცნობილი და აღიარებული, სხვა სახელმწიფოთა შორის შეიარაღებულ მოქმედების დროს, გამოდის და აცხადებს: არც იქით ვარ, არც აქეთ, ნეიტრალიტეტი მიჭირავსო. და ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა სახელმწიფომ და განსაკუთრებით მებრძოლმა მხარეებმა.

სულ სხვაა მუდმივი ნეიტრალიტეტი. იგი დამყარებულია შეთანხმებაზე ნეიტრალურ სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოთა შორის და საფუძველს შეადგენს მონაწილე სახელმწიფოთა უფლებრივი ურთიერთობისას (ლისტი). ნეიტრალიტეტი, რომელიც სრულებით არ გულისხმობს დამოუკიდებლობის შეზღუდვას, გამოწვეულია თავის დაცვის ინტერესებით, მშვიდობის მყოფელობით თუ გავლენიან დაინტერესებულ სახელმწიფოს არ შეუძლია ომი აწარმოოს ვისიმე წინააღმდეგ ან შეკრას სხვასთან სამხედრო კავშირი ომის საწარმოებლათ. მაგრამ იგი თავისუფალია დაიცვას თავისი თავი შემოსევისაგან. ამ მიზნით მას შეუძლია იყოლიოს ჯარი, საერთოთ შეიარაღდეს თავიდან ფეხებამდე თავის დამოუკიდებლობის და ტერიტორიის დასაცავად. ეს შეიარაღებული ნეიტრალიტეტია.

მუდმივი ნეიტრალიტეტი, როგორც საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობა, გულისხმობს არა მარტო ნეიტრალური სახელმწიფოს საერთაშორისო უფლება-მოვალეობის არამედ აგრეთვე საერთაშორისო უფლება-მოვალეობას იმ სახელმწიფოებისას, რომლებმაც აღიარეს და დააკანონეს ეს ნეიტრალიტეტი განსაკუთრებული ხელშეკრულების დადებ-

ით. ნეიტრალიტეტი ავალებს იმათაც კი ვინც მის დამყარებაში პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ მაინც ხმამაღლა თუ ხმა ამოუღებლივ იცნო და დაეთანხმა ნეიტრალიტეტს. თავის თავად ცხადია, თუ ნეიტრალურ სახელმწიფოს ჩარევა ომში მოასწავებს ნეიტრალიტეტის დარღვევას, მაშასადამე თავის საერთაშორისო მოვალეობის ასრულებაზე ხელის აღებას და წარმოადგენს უთუოდ საერთაშორისო უფლებრივ დანაშაულს (დელიგტს) მაშინ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის დამრღვეველი მეომარი სახელმწიფონი იღებენ ხელს თავის საერთაშორისო მოვალეობაზე და სჩადიან საერთაშორისო უფლებრივ დანაშაულს. სწორეთ ასეთი დანაშაული ჩაიდინა ამ დიდი საერთაშორისო ომის დასაწყისში გერმანიამ ნეიტრალური ბელგიის და ლუქსემბურგის მიმართ. მაგრამ რადგან არავითარი საერთაშორისო ორგანო, ამ დანაშაულის დამსჯელი არ არსებობდა და არც დღეს არსებობს, (ერთა ლიგა და არბიტრაჟი კიდევ მომავლის საქმეა), მაშინდელ მოძალადეებს თამამათ შეეძლოთ ეთქვათ – საერთაშორისო სამართალი ფარატინა ქაღალდიო.

ისიც უნდა ითქვას, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტი, როგორც უფლებრივი მოვლენა, შეიძლება შეიცვალოს ან მოისპოს მხოლოდ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოთა თანხმობით. ნეიტრალიტეტის დასაწესებლათ, საერთაშორისო უფლებაში, არ კმარა ნეიტრალობის მოსურნე სახელმწიფოს განცხადება – ნეიტრალური ვარო. ეს ცხადია, თავისთავად დიდ–მნიშვნელოვანი საქმეა, როცა სახელმწიფო, ხალხის ნებასურვილი მოითხოვს ხელუხლებლობას, ჩაურევლობას და მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის წარმოებას. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა სხვა სახელმწიფოების თანხმობა და ფორმალური ხელშეკრულობა მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ. ნეიტრალურ სახელმწიფოს არ შეუძლია როცა მოესურვება მაშინ უარყოს ნეიტრალიტეტი და დაარღვიოს მის შესახებ სხვებთან დადებული ხელშეკრულობა ცალმხრივი განცხადების ძალით. არც სხვა რომელიმე ნეიტრალიტეტის დამყარებაში მონაწილეობის მიმღებ სახელმწიფოს აქვს უფლება თავის ნებით უარყოს ეს საერთაშორისო ხელშეკრულობა. ნეიტრალურ სახელმწიფოს ტერიტორიალური გაფართოება შეუძლებელია მოხდეს სხვა სახელმწიფოთა დაუთანხმებლათ.

კლასიკური ნეიტრალური ქვეყნებია შვეიცარია, ბელგია, ლიუქსემბუერგი. პირველის ნეიტრალიტეტი გამოცხადდა ვენის კონგრესის დროს 1815 წ. დიდი სახელმწიფოების კოლექტიური უზრუნველყოფით. მეორე, ბელგია, დამტკიცდა ნეიტრალურ სახელმწიფოდ პირველად 1831 წელს საერთაშორისო ხელშეკრულობით, რომელსაც უზრუნველყოფენ დიდი სახელმწიფონი. კარგათ გახსოვთ, თუ როგორ დაარღვია გერმანიამ ეს ნეიტრალიტეტი და როგორ გაანადგურა მისმა სამხედრო ძალამ ბელგიის ხალხის კეთილდღეობა. მესამე, ლიუქსემბურგი, რომელიც სავსებით გადასთელა და გაანადგურა იმპერიალისტურმა გერმანიამ უკანასკნელი ომის დროს, აღიარებულ იქნა

ნეიტრალურ სახელმწიფოდ 1867 წ. დიდი სახელმწიფოების მიერ.

საქართველო აცხადებს, რომ ის ნეიტრალური სახელმწიფოა: ამ განცხადებას, რომელიც კონსტიტუციის დებულებად იქცევა, უნდა დიდი სახელმწიფოების საერთაშორისო სანქცია. საჭიროა ცნობა ჩვენი ნეიტრალიტეტის სხვების მიერ განსაკუთრებული შეთანხმების აქტის ძალით, ისე როგორც აუცილებელი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა ევროპის მიერ საერთაშორისო ოჯახში თავისუფლათ შესასვლელათ. ცალმხრივათ გამოცხადებული მუდმივი ნეიტრალიტეტი ცოტა რამეს ნიშნავს, თუ იგი არ იქნა აღიარებული აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო უფლების საზღვრებში. ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ყურადღება განსაკუთრებით უნდა მიექცეს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის კიდევ უფრო გაძლიერებას და მისი ნეიტრალიტეტის უფლების საყოველთაო ცნობას და უზრუნველყოფას.

ჩვენ ჩვენის მხრით ვიცავთ მუდმივ ნეიტრალიტეტს, როგორც დემოკრატიული ხალხი, რომელიც მთელის თავის არსებით მოწადინებულია კეთილი განწყობილება იქონიოს ყველა ხალხთან და ყოველნაირათ ხელი შეუწყოს საერთაშორისო სოლიდარობის გაღრმავებას და გამტკიცებას. გარდა ამისა ჩვენ პატარა ხალხი, პატარა სახელმწიფო ვართ და დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აყოლა არ გვარგია დიდი მუდმივი ჯარის შენახვა წელში გაგვწყვეტს. კიდეც რომ გვინდოდეს, დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო ვერ გავხდებით, ოღონდ ერთი უნდა იყოს ყველასათვის ცხადი: არც სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩავერევით და არც სხვას მივსცემთ ნებას ჩვენ სახელმწიფოს საქმეებში ჩაერიოს როგორც სწერდა ამას წინეთ გაზ. „ერთობა“ (№10 1920).

ჩვენი გეოგრაფიული, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა და ინტერესები გვიკარნახებს მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადებას და მისი ცნობისათვის სწორი და ფრთხილი პოლიტიკის წარმოებას. ეს არსებითათ გამოხატავს ჩვენი ხალხის დემოკრატიულ მოთხოვნილებას და ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ აუცილებლობას.

როცა ნეიტრალობის გამოცხადებაზე გვაქვს მსჯელობა, ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს ჩვენი სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხების საბოლოოდ გამოურკვევლობას და გადაუწყვეტელობას. ცხადია ჩვენ ნეიტრალური სახელმწიფო ვერ ვიქნებით, თუ ჩვენი საქართველოს ბუნებრივი, ისტორიულ–პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი საზღვრები არ იქნენ აღდგენილი. სამაჰმადიანო საქართველო განუკვეთელი ნაწილია საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის. ამიტომ როდესაც ნეიტრალობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ჩვენ ბუნებრივ საზღვრებს და საქართველოს სახელმწიფოებრივ ტერიტორიას. სწორედ აი ამ ბუნებრივ გეოგრაფულ და ისტორიულ საზღვრებში და სახელმწიფოებრივ ტერიტორიის მთლიანობის ფარგლებში გვინდა ვიყოთ ჩვენ ნეიტრა-

ლური სახელმწიფო. მხოლოდ ასეთ პირობებში შეგვიძლია გულწრფელად აღვიაროთ და დავიცვათ მუდმივი ნეიტრალიტეტი, არავის არ შევედავოთ და არც არავის მივცეთ ნება შემოდავების სწორეთ ასეთ ბუნებრივათ და ისტორიულათ გამოკვეთილ პირობების მიხედვით და ცნობით უნდა მოხდეს საქართველოს ნეიტრალიტეტის აღიარება. ამას მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები, ხალხის დაუძლეველი ზრახვანი, ეს არის შეურყეველი მოთხოვნა სამართლისა და უფლების.

დღევანდელ ხალხთა სვე–ბედის მთავარი მესაჭე, დიდ სახელმწიფოთა არეოპაგი, რომელმაც უკვე იცნო ფაქტიურათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ყოველივე ამას უთუოთ დიდს ანგარიშს გაუწევს და დამოუკიდებლად აღიარებულ სახელმწიფოს არსებობის საშვალების მიცემაზე უარს ვერ ეტყვის.

„Cuique suum“* და ჩვენც ჩვენი უნდა მოგვეცეს.

ცხადია ჩვენ სახელმწიფოებრივ საზღვრების საბოლოო ჩამოყალიბების საქმეში შეთანხმების და მშვიდობიანობის გზით უნდა ვიაროთ. ეს არა ერთხელ განუცხადებია ჩვენს მთავრობას, როგორც ევროპის დიდ სახელმწიფოსთვის ისე თავის მეზობლებისათვის. ეს არა მარტო სიტყვით, საქმითაც დაუმტკიცებიათ ჩვენს ერს და მის მესვეურთ.

ყველამ და განსაკუთრებით ჩვენმა მეზობლებმა უნდა იცოდენ ჩვენი სურვილი მუდმივი მშვიდობისმყოფელობისა. სადავო საკითხების გადაჭრას ყოველთვის ავარჩევთ შეთანხმების და მოლაპარაკების გზით. საერთაშორისო არბიტრაჟის კითხვა ჩვენთვის უბრალო სიტყვის მასალა და დიპლომატიური ტკბილ სიტყვაობა არ გახლავთ.

მაგრამ ვისაც ჩვენთან რაიმე კეთილ განწყობლური დამოკიდებულება სურს დაამყაროს, იგი ვალდებულია ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიული სახელმწიფოებრივი სულისკვეთება გაიგოს და ქართველი ერის უფლებას პატივისცეს. ცხადია, „ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისთვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს“ (ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს საზღვრები“ გვ. 49). ამ გონიერ დათმობას საზღვრების საკითხში საქართველოში არავინ არ უარყოფს. ოღონდ თავი და თავი ის არის, რომ დათმობის პოლიტიკას ყოველთვის და ყოველგან უნდა საზღვრავდეს რესპუბლიკის ინტერესები და დემოკრატიული სახელმწიფოებრივობის საჭიროება.

მაშასადამე ჩვენ გვინდა საქართველო იყოს ნეიტრალური სახელმწიფო თავის ბუნებრივ ისტორიულ საზღვრებში, აღდგენილი თავის უფლების, სამართლიანობის და ინტერესების თანახმად. ამ წუთს იგი სულგანაბული

* ლათ. „ყველას თავისი“.

ელის. უამისოდ მისი ნეიტრალიტეტის მუდმივობა წარმოსადგენადაც შეუძლებელია. ჩვენ მოველით ამ კითხვის გადაწყვეტას ახლო მომავალში.

მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადება და სხვა სახელმწიფოთაგან მისი ცნობა არ კმარა, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი იყოს. დღევანდელ საერთაშორისო ჭიდილის და მეტოქეობის დროს უფლებას, სადაც და როგორადაც უნდა იყოს იგი გამოთქმული, პატივს არ სცემენ, თუ მას თან არ ახლავს მფარველი ძალა. ჩვენი სახელმწიფო აცხადებს და იცავს თავის მუდმივ ნეიტრალიტეტს ზემოთ განმარტებული აზრით. საქართველო სხვისას არაფერს მოინდომებს, ხოლო თავისას არავის დაანებებს; რაც მას ეკუთვნის დღევანდელი სინამდვილით, ისტორიით და უფლებით, მთელი თავის ძალღონით დაიცავს და შეინარჩუნებს. ეს საყოველთაო სახელმწიფოებრივი და სახალხო რწმენა და ლტოლვილებაა.

მართალია, ნეიტრალიტეტის უზრუნველმყოფელი სახელმწიფონი ვალდებულნი არიან მფარველობა გაუწიონ ნეიტრალურ სახელმწიფოს თავდასხმის და შეურაცხყოფის დროს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მშვიდობიანი განვითარებისთვის. მაგრამ ამის იმედით ვერ დარჩება საერთოდ ვერც ერთი ნეიტრალური სახელმწიფო და კერძოთ საქართველოს რესპუბლიკა. მას თავის დასაცავად ყოველთვის ეყოლება და უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალა ამა თუ იმ სახით. ნეიტრალურ სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი მთლიანობა, თავისი ნეიტრალიტეტი დაიცვას სამხედრო ძალით, თუ კი ვინმე მოძალადე გაბედავს მათ შელახვას. ამ შელახვის უბრალოდ გულში გავლება, უბრალო განზრახვა ფეხზე აყენებს ხოლმე ნეიტრალურ სახელმწიფოს. ამის მაგალითია ნეიტრალური შვეიცარია. თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის ასეთი მდგომარეობა სრულიად ნორმალური იქნება. ამ მდგომარეობას საერთაშორისო უფლების ენაზე, როგორც უკვე ვსთქვით ერთხელ, შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს ეძახიან.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ნეიტრალური ბელგიის და ნეიტრალური ლიუქსემბურგის მაგალითები. თუ ისინი თანამედროვე იმპერიალისტურმა ომმა გაანადგურა, არა გვგონია ვინმემ ამის ბრალი მათ ნეიტრალურ მდგომარეობას დასდოს. თუ როგორ განხორციელდება უფლება ნეიტრალიტეტისა, ეს არ არის კონსტიტუციის საქმე. ჩვენ უნდა შევიტანოთ კონსტიტუციაში, როგორც პრინციპი დებულება საქართველოს საუკუნო ნეიტრალიტეტისა.

8

დედაქალაქის საკითხი

დედაქალაქის საკითხს ყველგან დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის. ტფილისი ყოველთვის დედაქალაქი ყოფილა საქართველოსი, მაშინაც კი, როცა უკანასკნელი ბაბილონის საშინელ ტყვეობას განიცდიდა ხოლმე, და ამ ერიდან უკუნისამდე საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქადვე დარჩება იგი.

იტალიის ცნობილი პატრიოტი კავური ჯერ კიდევ გაუერთიანებელ იტალიაში ამბობდა: რომი უნდა იყოს იტალიის დედაქალაქი, ურომოდ იტალია საბოლოოდ ვერ გაერთიანდებაო. დღეს საქართველოში შეიძლება ითქვას: ტფილისი საქართველოს დედაქალაქია, უტფილისოდ არ არის საქართველო. მაშასადამე უმისოდ საქართველო ვერ გაერთიანდებოდა, გაუერთიანებლად ვერ გათავისუფლდებოდა. ხოლო გაუთავისუფლებლად იგი ვერასოდეს ვერ გაღონიერდებოდა და ამაღლდებოდა კულტურულათ, პოლიტიკურათ და სოციალურათ.

ტფილისი ჩვენი სამშობლოს თავი და გულია ერთსა და იმავე დროს, საქართველოს თვალი და ყურია. ეს უნდა იცოდეს ყოველმა ქართველმა, უნდა შეიგნოს საქართველოს ყოველმა მოქალაქემ.

„აშკარაა ტფილისის ვითარება – ეს მთელი ჩვენი ქვეყნის ვითარებაა. ტფილისის განვითარება – ეს საქართველოს განვითარებაა, ტფილისის ისტორია საქართველოს ისტორიაა, და მათი მერმისიც მჭიდროთ შეკავშირებულია ერთმანეთთან“. ამას სწერდა ამ ოცი წლის წინეთ ნ. ჟორდანია და იგივე შეგვიძლია მუდამ ვიმეოროთ ტფილისის და საქართველოს ურთიერთულ დამოკიდებულების შესახებ.

საკონსტიტუციო კანონმა უნდა აღიაროს ერთხელ და სამუდამოთ, რომ თფილისი საქართველოს დედაქალაქია, ჩვენი რესპუბლიკის სატახტო ქალაქია. ეს იმას ნიშნავს, რომ არავის – არც შინაურს, არც გარეულს, აზრადაც არ უნდა მოუვიდეს ტფილისის უსაქართველოდ და საქართველოს უტფილისოდ წარმოდგენა, ტფილისის საქართველოდან გამოყოფა, ტფილისის სხვების ხელში გადასვლა ან მისი ინტერნაციონალურ ქალაქად გადაქცევა, როგორც ამაზე ტკბილათ ოცნებობდენ ჩვენი დაუძინებელი მტრები. წინათ ზოგიერთებს ჩვენშიაც ეტყობოდა მერყეობა და ყოყმანი ტფილისის საკითხში. მაგრამ მათ ეს მოსდიოდათ გადაჭარბებული ტაქტიკური სიფრთხილით თუ გაუგებრობით, სამშობლოს და დემოკრატობის თავისებურათ გაგებული სიყვარულით.

შეიძლება სრულებით არ აღნიშნოთ კონსტიტუციაში ტფილისის დედაქალაქობა. და ამით მას საქართველოს ვერავინ ჩამოართმევს, ისე რო-

გორც ქართულ ენას ვერავინ წაართმევს ჩვენს ხალხს, კიდეც რომ არ მოიხსენიოთ იგი არც ერთ კანონში და კონსტიტუციაში. მაგრამ ამის დაკანონება კონსტიტუციით არის ქვეყნის და მთელი კაცობრიობის წინაშე აღნიშვნა და გამტკიცება ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული მდგომარეობის, არის ხალხის ძვალ-რბილში გაჯდომა ტფილისის – როგორც დედაქალაქის – აუცილებლობის და გარდუვალობის აზრისა ჩვენ სახელმწიფოებრივ არსებობის ისტორიაში. ამას გვიკარნახებს ჩვენ, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია და საერთაშორისო უფლებრივობა ისე შინაური სახელმწიფოებრივი ცხოვრების ვითარება. არიან სახელმწიფონი, რომელთათვის განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს დედა ქალაქის აღნიშვნას საკონსტიტუციო კანონებში. და სწორედ ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს ვეკუთვნით ჩვენც. სხვა არა იყოს რა ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელი ცხოვრება ერთ საუკუნეზე მეტი შემწყდარი იყო და ახლა, პოლიტიკურათ მკვდრეთით აღდგომისას, როცა ხალხი ორნაირათ (დემოკრატიულათ და ნაციონალურათ) დღესასწაულობს თავის განთავისუფლებას მტარვალობისაგან, როცა მის დედაქალაქს საუკუნოებით დასჩხაოდენ თვალბედითი შავი ყორნები, ტფილისის მთავარ სახელმწიფოებრივ ქალაქად აღიარება, მისი კონსტიტუციურ დედა-ქალაქად გამოცხადება უაღრესად მიზანშეწონილი და კანონიერია.

კონსტიტუციის პროექტის სათანადო მუხლი ასე გამოითქმება:

„საქართველოს დედა-ქალაქი არის ტფილისი, სადაც მუდმივად იმყოფება საქართველოს პარლამენტი და მთავრობა“.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ცენტრი, ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი არის ამავე დროს დედა-ქალაქი კულტურის, დემოკრატიის და რევოლიუციის. ეს არის აკვანი ჩვენი რესპუბლიკის მომავალი დიდების.

დიდი რესპუბლიკანელი მაძინი სწერდა იმავე რომზე, კეისართა რომის შემდეგ პაპების რომი, ხოლო პაპების რომის შემდეგ ხალხის რომიო. ეს იყო მთელი პოლიტიკური პროგრამა იტალიის რესპუბლიკანური გაერთიანების, რომელიც მაძინის იდეალების თანახმად, რესპუბლიკანურათ არ განხორციელდა. იტალია დღევანდლამდე გაერთიანებული კონსტიტუციონურ–მონარქიული სახელმწიფოა. ჩვენ ვიტყვით ცოტა გარდასხვაფერებულათ: მეფე-ფეოდალთა ტფილისის შემდეგ ნამესტნიკების ტფილისი; ნამესტნიკების ტფილისის შემდეგ ხალხის, დემოკრატიის ტფილისი. ესეც პოლიტიკური პროგრამა გახლავს საქართველოს რესპუბლიკანურ-დემოკრატიული გაერთიანების, რომელიც უკვე განხორციელდა და თანდათან სიმტკიცით ღრმავდება ჩვენი ხალხის კოლექტიურ არსებაში.

ცოტაა ქვეყნად ისეთი კონსტიტუცია, სადაც ამა თუ იმ სახით აღნიშნული არ იყოს სახელმწიფოს დედა ქალაქი, რომელშიაც მუდმივად ბინადრობს სახელმწიფოებრივი ხელისუფლებანი.

საფრანგეთში განსაკუთრებული საკონსტიტუციო კანონია მიღებული (1879 წ.) სახელმწიფოს დედა ქალაქის – პარიჟის, როგორც პარლამენტის მუდმივი რეზიდენციის შესახებ. კონსტიტუციის სათანადო ტექსტი ამბობს: „აღმასრულებელი ხელისუფლების და ორივე პალატის (ე.ი. პარლამენტის პ.ხ.) სამყოფი ადგილი პარიჟი უნდა იქნეს“. კონსტიტუცია არა მარტო ამას აღნიშნავს, ის სასახლეებს და მათ დარბაზებსაც კი ანაწილებს პალატებს შორის: ლიუქსემბურგის სასახლე ეძლევა სენატს, ბურბონის სასახლე დეპუტატთა პალატას. მაგრამ ისიც არის დამატებული, რომ პალატებს ნება აქვთ პარიჟში სადაც უნდა იქ აირჩიონ თავისთვის სასახლე. ამ საკითხს, შედარებით უმნიშვნელოს, საინტერესო ფურცელი აქვს დათმობილი საფრანგეთის პოლიტიკურ ისტორიაში, რომლის გაყოლა ახლა შორს წაგვიყვანდა. ეს იმდენად არც საჭიროა ჩვენთვის ახლა.

შვეიცარიის კონსტიტუცია აღიარებს: „ყოველივე, რაც ეხება კონფედერაციის ხელისუფლებათა სამყოფს, ეკუთვნის ფედერალურ კანონმდებლობის უწყების საგანს“. და ჩვენ ვიცით, რომ ფედერალურ კანონმდებლობით შვეიცარიის ფედერალური პარლამენტის და მთავრობის სამყოფი ქალაქი ბერნია, ხოლო შვეიცარიის უმაღლესი სამსაჯულო იმყოფება ქ. ლოზანაში. ასეთი გაორება არ აიხსნება კანტონალურ-ფედერალური წყობილების ისტორიით.

ბელგიის კონსტიტუციისთვის „ბრიუსელი ითვლება ბელგიის სატახტო ქალაქად და მთავრობის რეზიდენციად“. რუმინიის კონსტიტუცია: „ქალაქი ბუხარესტი არის რუმინიის დედა ქალაქი და მთავრობის სამყოფი ადგილი“. როგორც ხედავთ ამ კონსტიტუციებში აღნიშნულია სახელმწიფოს დედაქალაქი, მხოლოდ როგორც მთავრობის სამყოფელი ადგილი. პარლამენტი აქ ნახსენები არ არის. ასე იქცევა მრავალი კონსტიტუცია. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მათ არ წავბაძავთ და ვიხსენიებთ კონსტიტუციაში დედაქალაქს, უმთავრესად როგორც პარლამენტის და მთავრობის რეზიდენციას.

დედაქალაქის საკითხი ერთობ საინტერესოდ სდგას საზოგადოთ ფედერატიულ სახელმწიფოებში, სადაც ყველა შემადგენელი სახელმწიფო, შტატი ანუ კანტონი ცდილობს თავის ტერიტორიაზე იყოს მთელი კავშირის დედაქალაქი, მათი საკუთარი დედაქალაქი გახდეს კონსტიტუციით მთელი ფედერალური მთელის ცენტრი, მთელი საკავშირო სახელმწიფოს პოლიტიკური და ადმინისტრატიული ცხოვრების სათავე. ზევით მოვიხსენიეთ შვეიცარიის კონფედერაცია. აგრეთვე შეგვიძლია მოვიხსენიოთ ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელთა ფედერალური დედა ქალაქი ვაშინგტონია.

ავსტრალიის ფედერაციაში კონსტიტუციის ძალით პარლამენტს ენდობა მთავრობის სამყოფელი ადგილის განსაზღვრა. ის საკითხი თუ სად, რომელ შტატში უნდა ყოფილიყო ფედერალური ქალაქი, დიდს აურ–ზაურს და სიმწვავეს ბადებდა ავსტრალიაში. ამ ბრძოლის და შემდეგ საკითხის კომპრომისული და ხელოვნური გადაჭრის შედეგები ნათლად გამოსჩანს თვით

კონსტიტუციიდანაც, რომელიც ამის შესახებ ამბობს (მუხლი 125): მთავრობის სამყოფელ ადგილს განსაზღვრავს პარლამენტი. ეს ადგილი უნდა იქნეს იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაეთმობა ფედერაციას ან შეძენილ იქნება მისგან. ეს ადგილი უნდა იმყოფებოდეს ახალ სამხრეთის უელსის სახელმწიფოში სიდნეიდან არა ნაკლებ ასი მილის მანძილზე".

ასე ხელოვნურათ და ნაძალადევათ შექმნეს ავსტრალიის ფედერალისტებმა ავსტრალიის საკავშირო დედაქალაქი, სახელწოდებით დელგეთი, რომელიც არსებითად, მცხოვრებთა რაოდენობით და პოლიტიკურ-სოციალურათ სრულიად უმნიშვნელოა.

1) იხ. მისი „ზოგადი სწავლა სახელმწიფოზე", რუსულად, თავი 15 „სახელმწიფოებრივი წესწყობილება".

2) პროფ. ა.ა. ცაგარელი, «Непререкаемыя права грузии» ტფ. ა. არაბიძის გამომცემლობა

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №№ 17, 20, 21, 24, 25, 26, 30, 32, 36, 37, 41, 43. 1920 წ.

ჩვენი კონსტიტუცია

(განხილული ხალხოსნური სახელმწ. უფლების თვალსაზრისით)

პატარა განმარტება

სამსონ დადიანი

ამ მიმოხილვაში აზრები და შენიშვნები მოხსენდა მთავარ კომიტეტს პარტიისას, რომელმაც ბევრი მოსაზრება მიიღო და ბევრი უარჰყო.

კონტიტუციის ამ მიმოხილვის მიზანია ობიექტურად განხილვა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის ამ პროექტისა, რომლის შემუშავებაში საპარლამენტო ყველა ფრაქცია იღებდა მონაწილეობას და, იღებს რა პროექტის ძირითად პრინციპებს ავტორს ამ მიმოხილვისას, შეაქვს მხოლოდ შესწორებანი.

ამ მიმოხილვაში აღნიშნულია თითქმის ყველა ის პრინციპი, რომელიც თანდათან პირველ ადგილს იჭერს ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობის დროს ახალ სხივებად იჭრება სახელმწიფოებრივი უფლების თეორეტიულ კვლევა-ძიებაში.

რადგანაც მომავალი პარტიული კონფერენცია განიხილავს კონსტიტუციის პროექტს და მთავარი კომიტეტის შესწორებანი სრულიად არა ზღუდავენ მას, ჩვენც ამ მიმოხილვას ვბეჭდავთ იმ სახით, რა სახითაც მთავარმა კომიტეტმა იგი მოისმინა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იზიარებს ჩვენს ზოგიერთ შესწორებას.

შესწორებანი და მუხლობრივი განხილვა ამ მიმოხილვაში არ არის დალაგებული, ასე ვსთქვათ, თანდათანობით, ზედმიყოლებით, არამედ იმისდა მიხედვით, რომ აზრთა და პრინციპთა გაშლა ლოღიკურად განვითარებულიყო. ამიტომ მკითხველს მოუხდება გადასვლა არა შემდეგს და შემდეგს მუხლებზე, არამედ უკან მობრუნება და წინა მუხლების ანალიზი, მაგრამ ეს აზრების გაცნობას და შეთვისებას არ უშლის.

მიმოხილვა აგრედვე თავისუფალია ყოველგვარი პოლემიკისაგან და თუ არის კამათი, ეს მხოლოდ პრინციპებთან და არა რომელიმე პოლიტიკურს მიმართულებასთან და აქ ებრძვის წმინდა ხალხოსნური პრინციპები ბურჟუაზიულს და წმინდა პარლამენტარისტულს; შესწორებანიც იმ მიზნითაა შეტანილი, რომ პროექტი გაიწმინდოს დაძველებული სახელმწიფო უფლების

პრინციპებისაგან და გაშუქებულ იქნას წმინდა ხალხოსნური სახელმწიფოს პრინციპები.

მიმოხილვაში ზოგიერთი თავი პროექტისა სულაც არ არის განხილული იმიტომ, რომ ამ თავებს ავტორი უცვლელად იღებს.

აგრედვე არ არის აღნიშნული ზოგიერთი შესწორება, რომელსაც პრინციპიალური ხასიათი არა აქვს.

შეიძლება როგორც ნაკლად, ისე ღირსებადაც ჩაეთვალოს ამ მონოგრაფიას ისა, რომ მრავალი დებულება მხოლოდ დასმულია, მაგრამ დასაბუთება მოკლე აქვს, ასეთია ის დებულებანი, რომელნიც ავტორს უდავოდ მიაჩნია და მისი ვრცელი არგუმენტაცია კი მეტს დროს და ადგილს მოითხოვდა. ვინც არ იღებს ამ დებულებათ, მას შეუძლიან სპეციალურ ლიტერატურას გაეცნოს და იმას მაინც იტყვის, რომ ახალს პრინციპებზე შენდება მომავალი სახელმწიფოებრივი უფლება.

***

დღევანდლამდე არსებული ყოველი სახელმწიფო იყო დამცველი კლასობრივი ინტერესებისა და დამცველი საზოგადოების გაბატონებული უმცირესი ნაწილისა.

რომელ ჯგუფსაც, წოდებას ან კლასს ექნებოდა ხელში სახელმწიფოებრივი აპარატი, იგი იყო გამგებელიც მთელი სახელმწიფოსი, იგი განაგებდა მთელი ერის ბედ-იღბალსაც.

როგორც ფეოდალურს წესწყობილებაში, აგრედვე მთელი საუკუნოების განმავლობაში ბურჟუაზიის ბატონობის დროსაც, ხალხის დიდს უმრავლესობაზე გაბატონებული იყო უმცირესობა და ეს ბატონობა განმტკიცებული იყო სახელმწიფოს მთელი აპარატებით და მისი აუცილებელი ატრიბუტებით: ჯარით და ბიუროკრატიით. ეს ბატონობა უმცირესობისა ფეოდალურს აბსოლუტურს მონარქიებში მტკიცდებოდა მონარქის სახით, რომელიც იყო წყარო ყოველივე „კანონიერების და კანონებისა“.

ისტორიამ იცის რამოდენიმე მაგალითი იმისა, რომ სახელმწიფოს საშოში არსებობდა ერთგვარი ქიშპი და ბრძოლა მონარქის „უზენაეს“ ძალა-უფლებასა და საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ამ ძალა-უფლების გაზიარებისადმი ლტოლვის გამო. მაგალითად, ინგლისის პარლამენტს, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში ჩაეყარა ნიადაგი.

ბრძოლა თვითმპყრობელობის შესაზღუდავად სწორედ ფეოდალობის დროს იწყება; ისტორია პარლამენტის განვითარებისა არის ისტორია იმისა, თუ როგორ ხდებოდა თანდათან უფრო ფართო წრეები საზოგადოებისა მოზიარე სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებისა.

ვინაიდგან უმეშვეო დემოკრატიის დრო გადასული იყო; ვინაიდგან თანდათან პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქმნა ქორუმ, აგორა, ეკკლესია ბერე-ს სისტემა, რადგანაც გაიზარდა ფარგლები ეროვნული სახელმწიფოებისა და ყველა მოქალაქის შეკრება მოედანზე საკანონმდებლოდ ვეღარ ხერხდებოდა, თანდათანობით ეს „უმეშვეო დემოკრატია“ ეძებს სხვა ფორმას და ამ ძიების გზაზე ვითარდება კოლექტივისტური (სოციალური) თეორია საყოველთაო არჩევნების სისტემისა.

შემცდარი აზრია, ვითომ საყოველთაო არჩევნების სისტემა: პარლამენტი, წარმომადგენლობა ბურჟუაზიის მოგონილი იყოს და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდეს.

ისტორია მთელი რიგი ერებისა და სახელმწიფოებისა გვასწავლის, რომ არ არსებობდა ბურჟუაზია მაშინ, როდესაც ცხოვრება იმუშავებდა წარმომადგენლობით სისტემას და ჩნდებოდა ჩანასახი პარლამენტისა. არც ის არის მართალი თითქოს წარმომადგენლობითი სისტემა და პარლამენტი იყოს იარაღი ბურჟუაზიის ბატონობისა.

მართალი მხოლოდ ის არის, რომ ეს სისტემაც ისე, როგორც ყოველი სახელმწიფო აბატონებს და საზოგადოების, საზოგადოებრივი ცხოვრების მესვეურად ჰხდის ყველას, ყოველს ჯგუფს ან კლასს, რომელიც კი დაეპატრონება ამ სისტემას, რომელიც ჩაიგდებს მას ხელში და ამსახურებს თავის ინტერესებს.

იყო დრო, როდესაც მხოლოდ ერთი ნაწილი ერისა, ფეოდალური წრეები, პრივილეგიური წოდებანი განაგებდნენ მთელი ერის, ეროვნული სახელმწიფოს ბედ-იღბალს და ამაში მათ ხელს უწყობდა, უდიდეს იარაღად ადგებოდა სწორედ წარმომადგენლობითი სისტემა და პარლამენტი.

გამოეცალა ნიადაგი ფეოდალიზმს. მთელი ძალა-უფლება მიითვისა მონარქმა, განმტკიცდა თვითმპყრობელობა, მაგრამ ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ახალი გამარჯვებული კლასი, ისევ უმცირესობა ერისა, ბურჟუაზია და ახლა ეს შეებრძოლა თვითმპყრობელობას.

ერთი უდიდესი იარაღი ბურჟუაზიისა თვითმპყრობლობის წინააღმდეგ იყო წარმომადგენლობითი სისტემა და პარლამენტი. არა მარტო ბარიკადებზე იღვრებოდა სისხლი თავისუფლებისათვის, არამედ პარლამენტსაც ჰყავს თვისი წამებული და თვითმპყრობელობასაც გაუღია სისხლის მსხვერპლი თვისი უფლებების დაცვისათვის პარლამენტარული ბრძოლის ველზე.

დედოფალ ელისაბედის დროს ინგლისში პარლამენტი სრულიად მორჩილია მეფისა და 1593 წლამდე იგი ვერც კი ახერხებს თვისი უფლებისათვის ბრძოლას. პარლამენტს აიძულებენ დათანხმდეს პასიურს როლს და კმაყოფილი უნდა იყოს, თუ მას იმის უფლებას მისცემენ, რომ მეფის საკანონმდებლო წინადადებას მისცეს დასტური, იშვიათ შემთხვევაში შეიტანოს შესწორება და უფრო იშვიათ შემთხვევაში კი უარი უთხრას დამტკიცებაზე.

მაგრამ 1593 წლიდან პარლამენტი აღარ კმაყოფილდება ასეთი პასიური როლით, იწყება გამუდმებული ბრძოლა ტახტსა და პარლამენტს შორის

და პარლამენტი სცდილობს აღადგინოს კანონმდებლობითი ფუნქციები, რომელნიც მას ძველთაგანვე ჰქონდა.

ელისაბედის სიკვდილის შემდეგ, რითაც მოისპო დინასტია ტიუდორებისა, რომელმაც მისცა ინგლისს უაღრესად აბსოლუტური მეფეები, სამეფო ტახტზე მკვიდრდება შოტლანდიელი დინასტია სტიუარტებისა, იაკობ I შვილი მარიამ სტიუარტისა, რომელმაც პრესვიტარიანიზმთა ბრძოლაში ეშაფოტზე დალია სულია.

თუ აქამდე პარლამენტი თვისი უფლებებისა და პრივილეგიებისთვის იბრძოდა, ამის შემდეგ ამას მიემატა სტიუარტების სიძულვილი პრესვიტრიანიზმისა, (პრესვიტერიანცები უარყოფენ ეპისკოპოზის უფლებას; არა აქვთ არავითარი იერარქია გარდა არჩეული მღვდლებისა; მრევლის კრება მათ საკანონმდებლო ორგანოა; ამ კრების მიერ არჩეული მღვდლებისაგან შესდგება სინოდი-უმაღლესი სასულიერო საკანონმდებლო ორგანო). იაკობ პირველი უარყოფდა ამ სისტემის მთელს რიგს თავის ტრაქტატებში და მას ეკუთნის თქმა: No bishop no king (თუ არ არის ეპისკოპოზი, არ არის არც მეფეო) და მაშასადამე სიმწვავე სამეფო ტახტის და პარლამენტის ბრძოლისა ორკეცდება.

აქედან იწყება თანდათანი გაფართოება პარლამენტის უფლებებისა: უფლება დეპუტატების მანდატების შემოწმებისა, უფლება თემთა პალატისა ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცებისა (ლორდთა პალატას რჩება უფლება მთლიანად მიღების ან მთლიანად უარყოფისა); გამოგლეჯა მეფისა და მისი საბჭოს ხელიდან სავაჭრო და საკოლონიო მონოპოლიის საქმისა და სხ. და სხ.

ამ ბრძოლის პროცესში მეფეები, როგორც იაკობ პირველი, მიჰმართავენ სხვა და სხვა საშუალებებს, როგორმე პარლამენტის გარეშე და მის მოუწვევლადაც ჰმართონ ქვეყანა, აჰკრიფონ გადასახადები და სხ., მაგრამ პარლამენტიც ფხიზლად იცავს თავის უფლებებს.

დეპუტატი ფილიპსი, ჯორჯ ელიოტი, ლორდ კოკი, ლორდ სტრაფორდი, რომელიც შემდეგში გადუდგა პარლამენტს, რომელი დეპუტატ პიმის ინიციატივით დაწყებულს ბრძოლაში დამარცხდა და 1645 წლის იანვრის 10-ს კიდევაც სიკვდილით იქნა დასჯილი, ეს სახელებია პარლამენტის პრივილეგიების და მათ წინააღმდეგ მებრძოლ მოღვაწეთა.

ჩვენს დრომდი მოაღწია ამ ბრძოლამ და დაგვიგვირგვინდა იგი პარლამენტის სრული გამარჯვებით. თუმცა ინგლისში არის მეფე, მაგრამ იგი უფრო დეკორაციაა მეტი არაფერი და დღეს ინგლისია სანიმუშო ქვეყანა წმინდა პარლამენტარიზმისა.

იმის მიხედვით, რომელი ჯგუფი საზოგადოებისა გამოდიოდა მორიგეობით ისტორიის ასპარეზზე, ხდება შეზღუდვა თუ, გაფართოება პარლამენტის უფლებებისა და ვინაიდგან მეცხრამეტე საუკუნე და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი დახასიათდება იმით, რომ ხალხის ფართო მასსა თანდათან წინა რიგში გამოდის, პარლამენტშიაც იჭრება ეს ახალი ელემენტი, ეს ახალი ფაქტორი და ისტორიისა პოლიტიკური ცხოვრებისა.

ჩვენა ვსთქვით, რომ ყოველი სახელმწიფო იყო დამცველი კლასობრივი ინტერესებისა და ამ სახელმწიფოს აპარატების წყალობით გაბატონებული იყო სხვა და სხვა კლასი, რომელიც დიდს უმცირესობას შეადგენდა ერისას.

ეს ისტორიული სინამდვილე დღეს ყველასაგან მიღებულია, მაგრამ აქედან სხვა და სხვა პოლიტიკურს პარტიებს, მეცნიერთ და ჯგუფებს სხვა და სხვანაირი დასკვნა გამოჰყავთ. ერთნი ამბობენ: ვინაიდგან აქამდე არსებული სახელმწიფოები გაბატონებულ კლასებს ემსახურებოდა, იგი მომავალშიაც ასეთი იქნება, რა ფორმაშიაც არ უნდა ჩამოისხას, და ამიტომ იგი უარყოფილი უნდა იქნას მთელი თვისი აპარატებით და ატრიბუტებითაო. სახელმწიფო აღმოცენდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის ნიადაგზე, მისი დაწერილი კანონები დამცველია ამ სისტემისა და ის, ვინც ჰხედავს, ვისაც შეთვისებული და შეგნებული აქვს ტენდენცია ისტორიის განვითარებისა, რომელსაც მივყევართ კერძო საკუთრების სისტემის მოსპობისაკენ, შრომის სრული განთავისუფლებისაკენ და შრომის მეუფების დამყარებისაკენ, უნდა უარყოფდეს თვით სახელმწიფოს ისევე, როგორც კერძო საკუთრების ინსტიტუტს, უნდა უარყოფდეს მაშასადამე თვით კანონებს და მის წყაროს – პარლამენტსაცო.

ასე მსჯელობენ ანარქისტები ინდივიდუალისტები, ანარქისტი კომუნისტები და კომუნისტები მარქსისტული სკოლისა.

ჩვენ თავს ვანებებთ ანარქიზმის თეორიას და საჭიროდ მიგვაჩნია გავითვალისწინოთ. მარქსისტული სკოლა კომუნისტებისა, რომელნიც იჩემებენ პირველობას და ამ რევოლიუციონურს ხანაში ცდილობენ სინამდვილეში განახორციელონ თვისი თეორია.

სახელმწიფოებრივი ფორმების ევოლიუციაში და პოლიტიკურს განვითარებაში არსებობს ერთგვარი ცირკულაცია.

თავდაპირველად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ჩამოსხმული იყო წმინდა ხალხოსნობაში, უმეშვეო დემოკრატიაში. ათინაში, რომში და სხ. საფუძვლად სახელმწიფოებრიობას სწორედ ეს „უმეშვეო დემოკრატია“ ედვა თუმცა დიდი ნაწილი საზოგადოებისა, სახელმწიფოსი სრულიად გარეშე იდგა ამ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, მაგრამ მას მაინც ერქვა რესპუბლიკა, ვინაიდგან ის უუფლებო ნაწილი საზოგადოებისა იყვნენ მონები და ეს მონები იყვნენ ბრძოლის ველზე დამარცხებულნი მტრები, უცხო ტომის, უცხო სახელმწიფოს შვილნი, რომელთაც გამარჯვებულნი იმასაც კი აყვედრიდნენ, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნეს, ბედნიერნი უნდა ყოფილიყვნენ ამით. მაშინდელი შეგნებით სასაცილოც იქნებოდა პრეტენზიები იმისა, რომ მათაც ჰქონოდათ ის უფლებები, რაც ჰქონდათ სახელმწიფოს მოქალაქეთ.

რასაკვირველია ისტორიამ იცის აუარებელი აჯანყებანი, მაგრამ ეს იყო აჯანყება მონებისა და არა მოქალაქეთა და მოქლაქეებად ირიცხებოდნენ მხოლოდ გამარჯვებულნი, რომელნიც იყვნენ აგრეთვე გამგენი მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

იმ ძველი დროის რესპუბლიკაში მთელი სუვერენობა, სახელმწიფოებრიობა ეკუთვნოდა ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო და ამ სახელმწიფოებრიობას იგი უმეშვეოდ ანხორციელებდა პირდაპირი კანონმდებლობით ფორუმზე, აგორაზე, ეკლესიაში.

ვანდალების, ჰუნების და სხვა ველურების შემოსევით დაემხო ძველი ქვეყნის რესპუბლიკები და ხალხთა დიდმა აღრევამ წარმოშვა ახალი ფორმები, რომელნიც საშუალო საუკუნოებში დაგვირგვინდა ფეოდალიზმით და მეთვრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტის პირველ ნახევარში უკვე მივიღეთ სრულიად ჩამოყალიბებული კლასობრივი სტრუქტურა ახალი კულტურის ქვეყნებისა. ამ სტრუქტურის გამომხატველია თვითმპყრობელობა და პარლამენტარიზმი. პირდაპირი ხალხოსნობა ძველი დროისა, უმეშვეეო დემოკრატია, როგორც პირდაპირი კანონმდებელი შეიცვალა წარმომადგენლობითი სისტემით და ეს სისტემა ხორციელდება პარლამენტში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოს და ადამიანთა შორის ურთიერთობის საფუძვლად ედება ფაქტი საზოგადოებრივი უთანასწორობისა და ერთურთის დამონებისა. მთელს საზოგადოებაში, მთელს ერში კაპიტალიზმის ზეგავლენით ხდება საზოგადოებრივი განვითარება, დიფერენციაცია და თითოეული განვითარებული საზოგადოებრივი ჯგუფი სდგება თავისი ეკონომიური ინტერესების ნიადაგზე და უპირისპირდება მეორე ჯგუფს, მეორე კლასს, რომელთა შორის ჩაღდება დაუნდობელი ბრძოლა.

ამ ბრძოლაში ყოველი კლასი, რომელიც მიისწრაფის გამარჯვებისაკენ, საბრძოლველ იარაღად მოიმარჯვებს ხოლმე სახელმწიფოს და მის აუცილებელს ატრიბუტს პარლამენტს და საარჩევნო უფლებას.

ერთი მხრით გაბატონებული კლასი ბურჟუაზიისა ამტკიცებს კლასობრივ სისტემას არჩევნებისას და ცდილობს ამ უფლების გარეშე დააყენოს რაც შეიძლება მეტი ნაწილი საზოგადოებისა და მეორეს მხრით კი მშრომელი მასსა, კლასი მუშა-პროლეტარიატისა იბრძვის საარჩევნო უფლების დემოკრატიზაციისათვის, მისი გაფართოებისათვის, რომ ამ გზით თითონ ჩაიგდოს ხელში სახელმწიფოს უდიდესი აპარატი და ბურჟუაზიის ალაგას თითონ გაბატონდეს.

ამ ბრძოლაში აშკარავდება ახალი ტენდენცია ისტორიული პროცესისა და ჩვენ თითქოს ისევ მივილტვით წმინდა ხალხოსნობისაკენ, როდესაც ხალხის ბედის გამგებელი არის თითონ ხალხი.

ეს მებრძოლი კლასები სოციალურს და პოლიტიკურს ბრძოლას აწარმოებენ ჯგუფობრივ თავისი იდეოლოგების მეთაურობით და პარტიულად დარაზმულნი. ჩვენ, სოციალისტური პარტიები არ უარვყოფთ თვით იდეას სახელმწიფოსას; იმ საზოგადოებრივს ფორმას, რომელიც იქნება თვით სოციალიზმის დროსაც, შეგვიძლიან უწოდოთ სახელმწიფო. რასაკვირველია, იმ სოციალისტური ურთიერთობის ფორმა სულ სხვა პრინციპებზე იქნება აგებული. თუნდაც მარტო ის გავითვალისწინოთ, რომ სოციალისტური სახელმწიფო არ იქნება კლასობრივი ხასიათის მატარებელი, ვინაიდან მა-

შინ თვით კლასები არ იქნებიან. ესეც კი ცხადყოფს ჩვენთვის თუ რაოდენად განსხვავდება დღევანდელი სახელმწიფო იმ სოციალისტურისაგან. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვერ წარმოგვიდგენია კაცობრიობის განვითარების ისეთი მდგომარეობა, როდესაც არ იქნება საჭირო არავითარი ნორმები, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის რეგულიატორი, არ იქნება საჭირო არავითარი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და სხ. და მაშასადამე, სადაც ესენი არის, იქ უეჭველია უნდა იქნას იძულებითი ხასიათის ორგანოები და მაშასადამე იქნება სახელმწიფოებრივი ცხოვრებაც.

ჩვენ ვდგევართ მშრომელი კლასის ინტერესების ნიადაგზე, მაშასადამე ვიცავთ ინტერესებს ერის უმრავლესობისას და ვეძებთ ისეთს ფორმებს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისას, რომელიც მაშინაც კი, როდესაც სრულიად არ მოსპობილა კლასები, როდესაც სრულად არ განადგურებულა კლასი ბურჟუაზიისა, მაშინაც კი შეეძლოს ერის უმრავლესობას, მშრომელთა კლასს გაბატონება პოლიტიკურად და მაშასადამე ეკონომიურადაც.

დღესვე დანამდვილებით არ შეგვიძლიან დაწვრილებით წარმოვადგინოთ რა ფორმებს მიიღებს შორეულ მომავალში საზოგადოება. შესაძლებელია იმდენად განვითარდეს ადამიანი და მისი საზოგადოებაც, რომ ერთეულებს და პატარა ჯგუფებსაც შეეძლოთ თავისად არსებობა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სოციალისტურ სამეფოში გადასვლა ჩვენ წარმოგვიდგენია ერთგვარ ეტაპებით და ერთ-ერთ ამ გადამავალი ხნის ფორმად ჩვენ მიგვაჩნია წმინდა დემოკრატია, რესპუბლიკა ან როგორც ჩვენს დროში ტავტოლოგიურად ვხმარობთ დემოკრატიული რესპუბლიკა ხალხოსნობა.

სახელმწიფოთა ფორმების ცირკულიაციაში ეს რგოლი ხალხოსნობისა იმ პუნქტიდან, საიდანაც დღეს ჩვენ გავსცქერით ახლობელი მომავლის პერსპექტივას არის თითქმის მიზანი, იდეალი უაღრესი თავისუფლებისა.

ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხს, ყველაფერი ხალხის შემწეობით თუ ეს ლოზუნგი გამოჰხატავს იმას, რომ პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც თითონ ხალხია უმეშვეოდ თავისი თავის ბატონ-პატრონი, ცხადია, რომ სოციალისტების საზრუნავი საგანიც სწორედ ეს არის.

კონკრეტულად ჩვენი სინამდვილისთვისაც, მაშასადამე, ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია დემოკრატიული რესპუბლიკა პარლამენტით, სახელმწიფოებრივი აპარატებით.

აგრედვე სინამდვილეში ცდილობენ განახორციელონ და დაამყარონ საზოგადოებრიობა სხვა პრინციპებზე და თავგანწირვით იბრძვიან ამისათვის მთელს რუსეთში და ბევრგან სხვა ქვეყნებშიაც რევოლიუციონური ძალები.

ჩვენ შეგვიძლია დღევანდელი სინამდვილის საზომით გავზომოთ ეს ორივე სისტემა და ვნახოთ რომელი სისტემა უფრო უახლოვდება ხალხის სუვერენობის დამყარებას: დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა სისტემა. საბოლოო მიზანი ხომ ერთი გვაქვს ჩვენ, სახელმწიფოებრივს სოციალისტებს და კომუნისტებსაც და ეს მიზანია მოსპობა კლასობრივი

ბატონობისა, დამყარება პოლიტიკური და სოციალური თანასწორობისა, გაბატონება მშრომელთა და ვინაიდგან განთავისუფლებული შრომის მეუფების დროს ყველა მშრომელი იქნება, არ იქნება არავინ მუქთახორა, ექსპლოატატორი, მაშასადამე მშრომელთა კლასი და მთელი ერი სინონიმი უნდა იქნას მომავალში.

მაშასადამე უაღრესი ხალხოსნობა, აგრე წოდებული „უმეშვეო დემოკრატია", ისევ „აგორა", „ფორუმი", „ეკლესია", „ვეჩე" ყოფილა იდეალური წესწყობილება, როდესაც ხორციელდება ლოზუნგი: „კანონი არის მხოლოდ ის, რაცა სურს და რასაც ბრძანებს თვით ხალხიო". იდეალი არისტოტელისა დღესაც მიუღწეველია და დღესაც იდეალია ჩვენთვის, იგი ამბობდა: „თავისუფლება და თანასწორობა მხოლოდ იქ არის, სადაც ყოველი მოქალაქე თანასწორად, სრულიად და უმეშვეოდ მონაწილეობს მართვა-გამგეობაშიო", ანდა კიდევ „თუ შესაძლებელია, უმჯობესია სრულიად არ გმართვიდენ, მაგრამ თუ ეს არ შეიძლება, მაშინ ყოველ შემთხვევაში ხან უნდა გმართვიდენ, ხან კი თვითონ მართვიდეო", ამბობს ეს უკვდავი ფილოსოფოსი.

არისტოტელის გონება იმასაც მისწვდა, ჯერ კიდევ იმ შორეულს წარსულში, რომ საუკეთესო მდგომარეობა მხოლოდ აბსოლუტურს თავისუფლების დროსაა, ე.ი. როდესაც არავინ გაწუხებს თავის მართველობით, წესებით, კანონებით და სხ. მაგრამ ეს მასაც საოცნებო ბედნიერებად მიაჩნია ინდივიდისათვის, მისი მხოლოდ მიახლოება შეიძლება.

თუ პიროვნება, მოქლალქე იძულებულია დაემორჩილოს რაიმე ნორმებს, თუ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის აუცილებელია რაიმე იმპერატიული ნორმები, ყოველ შემთხვევაში ეს ნორმები თითოეული პიროვნების ნებისყოფის გამომხატველი მაინც უნდა იყოს.

ჩემთვის უფრო ადვილია დავემორჩილო და სავალდებულოდ გავიხადო ისეთი ნორმა, რომელიც როდესმე მაინც, ამადა ამ წუთში მე მსურდა. სრულიად მართალი იყო ჟ.ჟ. რუსო, როდესაც იგი ამბობდა: მე ვიცი რა მსურს დღეს, მაგრამ იმისი თქმა არ შემიძლია, ხვალაც იგივე მენდომება თუ არაო და მიტომ იგი უარყოფს წარმომადგელობას და მომხრეა უმეშვეო კანონმდებლობისა, მაგრამ ჩვენ ვინაიდან დავინახეთ, რომ ეს ტეხნიკურად შეუძლებელია, იმისთანა წესი მაინც უნდა შევიმუშაოთ, რომ ამ იდეალს გვაახლოებდეს და ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც განხორციელდება ისევ და ისევ არსიტოტელის ფორმულა: „ჩვენ მოქალაქეს იმას ვუწოდებთ, ვინც თანასწორად მონაწილეობს განმსჯელ, გადამწყვეტ და განმხილველ უფლებაშიო" და ჩვენ ვიტყოდით „ვინც მონაწილეობს კანონმდებლობითს, აღმასრულებელ და სასამართლო უფლებებში", ე.ი. მოქალაქე იქ არის, სადაც იგი თითონ არის მატარებელი სუვერენობის, სახელმწიფოებრიობის და ეს შესაძლებელია მხოლოდ ხალხოსნურს წესწყობილებაში.

საუკეთესო წყობილება იქ არის, სადაც მეტი უფლება აქვს ხალხს, სადაც იგია სუვერენი. ჩვენს დროში ორს ფორმაში შეიძლება გამოიხატოს ეს ხალ-

ხის ხელმწიფება. შვეიცარიის კანტონი გლარუსი და ური; ორი ნახევარი კანტონი უნტერვალდენისა და ორი ნახევარი კანტონი აპპენცელისა კანონმდებლობს თავისი Landsgemainde-ს (საჭირო ყრილობა) საშუალებით და სხვა დიდი კანტონები კი რეფერენდუმით და ფართო ინიციატივის უფლებით.

მარქსისტული სკოლის კომუნისტები უარყოფენ ყოველივე ამას, როგორც ბურჟუაზიულს მეწვრილმანეობას და გვაწვდიან თავიანთ „საბჭოთა სისტემას“.

საინტერესოა ხალხის უმრავლესობის ინტერესების თვალსაზრისით გადავხედოთ და შევაფასოთ საბჭოთა სისტემის ღირსება, ს.-რ.ს.ფ.რ. კონსტიტუცია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სისტემა იმ სახით, როგორც ეს განხორციელებულია რუსეთის კომუნისტთა კონსტიტუციაში, გაცილებით უფრო დაშორებულია ხალხის სუვერენობას და მაშასადამე სოციალიზმსაც, ვიდრე დემოკრატია, ვიდრე რესპუბლიკა, ან თანამედროვე ტერმინოლოგიით: დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი შერეული პარლამენტარიზმით და ხალხოსნობით. მარქსის სკოლის კომუნისტებს ეს ჩვენი ხანა მიაჩნიათ გარდამავალ ხანად ბურჟუაზიულ და კაპიტალისტური წეს-წყობილებიდან სოციალიზმში და ამ გარდამავალ ხანაში ისინი სახელმწიფოს აყალიბებენ საბჭოთა სახით.

ეს კომუნისტები იმდენად უახლოვდებიან ანარქისტ-კომუნისტებს, რომ ძნელი ხდება მათი განსხვავების მკაფიოდ ასახვა. თითონ ლენინი მხოლოდ გაკვრით ეხება ამ განსხვავებას, ბურჟუაზიულ აზროვნებად ჰსახავს მას (იხ. Переход вр. И госуд.) და მხოლოდ იმას უწუნებს ანარქისტებს, რომ იმათ არა აქვთ ეს „გარდამავალი“ ეტაპი და პირდაპირ უნდათ კომუნაზე გადახტომაო.

ჩემი აზრით, ეს ისეთი მცირე განსხვავებაა, რომ ანარქისტებს თუ დაერქმით უტოპისტები და ბურჟუაზიულ აზროვნებად დავსახავთ მათს „პერმანენტულს რევოლიუციას“ თვით კომუნიზმის განხორციელებამდე, მაშინ შორს არ ყოფილან არც რუსეთის კომუნისტები ასეთსავე უტოპიაზე.

სოციალიზმი ჰნიშნავს კლასების მოსპობას. პროლეტარიატის დიქტატურამ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველისფერი გააკეთა მათ მოსასპობლად, მაგრამ კლასების მოსპობა უცებ არ შეიძლება.

კლასები დარჩნენ და დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მთელს ეპოქაში. დიქტატურა ზედმეტი იქნება, როდესაც კლასები გაჰქრებიან, ხოლო უდიქტატუროდ ისინი არ გაჰქრებიან“-ო, ამბობს ლენინი (იხ. „საქართველოს კომუნისტი“ №14 ეკონომიკა და პოლიტიკა პროლ. დიქტატურის დროს) რა ლოღიკური დასკვნები გამოდის ამ დებულებიდან? ლენინის აზრით დღეს მძვინვარებს სოციალისტური რევოლიუცია, რომელიც მოედება მთელს ევროპას და იქიდან აზიასაც. ანდა რაკი ეს გზა არ გამოდგა, მოედება მთელს ნახევრად ველურს აზიას და ეს „განწმენდის ცეცხლი“ გადავარდება ევროპის სახურავზედაც. ამ ჟამად რუსეთში განხორციელებულია „დიქტატურა პროლეტარიატისა“ და ასევე იქნება ამ მოკლე ხანში, ამ დიდი რევოლი-

უციის პროცესში მთელს მსოფლიოში, მაგრამ „შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთა ამ დიქტატურამ კლასების მოსასპობად“, კლასები კი სულ არ განადგურებულან „კლასები დარჩებიან ამ დიქტატურის მთელს ეპოქაშიო“... კლასების მოსპობა უცებ არ შეიძლებაო;“ არ არის გამორკვეული ეს „უცებ“ რას ჰნიშნავს, რას უდრის დრო და სივრცეში, თუ ასე ითქმის, „დიქტატურის მთელი ეპოქა“. თუ დიქტატურა მანამდე იქნება, სანამდის კლასები არ მოისპობიან და დიქტატურა კი არსებითად ბრძოლაა ამ კლასების მოსასპობად, სჩანს ეს დიქტატურა, რომელიც უდრის კომუნისტების შეგნებით რევოლიუციონურს ქმნას და გარდაქმნას, რაღაც პერმანენტულს ხასიათს იღებს, ყოველ შემთხვევაში განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. მაშასადამე ანარქისტები უფრო მართალნი ყოფილან, როდესაც ისინიც ქადაგობენ მუდმივს, შეუჩერებელს და თანდათან ინტენსიურს გაღრმავებას რევოლიუციისას, რადგანაც რაღა საჭიროა ამ ბუმბერაზ ბრძოლაში კლასთა მოსასპობად კიდევ შეჩერდეს პროლეტარიატი და განუსაზღვრელი დროის განმავლობაში განამტკიცოს „დიქტატურა პროლეტარიატისა“, როდესაც კლასები ისევ არსებობენ და თურმე კლასი ბურჟუაზიის „ასჯერ და ათასჯერ უფრო ძლიერია“. „მათ დარჩათ საერთაშორისო ბაზა, საერთაშორისო კაპიტალი, რომლის წარმომადგენლები რუსეთში ისინი არიან... მათი ბრძოლის ენერგია გაიზარდა ასჯერ, და ათასჯერ მეტად სწორედ მათი დამარცხების გამო“-ვო სწერს ლენინი (იხ. გაზ. „საქ. კომ.“ №14).

მართალი მოგახსენოთ უცნაური აფორიზმია და ახირებული ბრძოლის მეთოდი! რუსეთის პროლეტარიატი ეს მესამე წელიწადია სისხლის მორევში სცურავს, ტიტანიურს ძალას იჩენს ბრძოლაში, უკანასკნელს ძალებს იკრებს და ბურჟუაზია კი, რომელიც მან დაამარცხა „სწორედ ამ დამარცხებით ათასჯერ უფრო ღონიერი გამხდარა“!

ბევრი სიმართლეა ამ დებულებაში; ინტერნაციონალურს პროლეტარიატს შეებრძოლა ინტერნაციონალური კაპტალიზმი და ბურჟუაზია და სწორედ ამას უნდა დაესვა კომუნისტებისთვის საკითხი: შეიძლება ჯერ კიდევ საჭირო იყო საბოლოო გამარჯვებისათვის ნიადაგის შემზადება და საბოლოო იერიშამდე მოხერხებული მანიოვრებით და პარტიზანული ომით დაუძლურება ამ ასთავიანი გველეშაპისა; თორემ ვ. ლენინის დახასიათებით ეს ბურჟუაზია რაღაც საზღაპრო გველეშაპად გადაქცეულა: წასჭრიან მას ერთს თავს და მის ადგილას ასი ახალი ამოდის! და აი ეს „მოხერხებული მანიოვრებია“ საერთაშორისო ბურჟუაზიის დაქსასვაა, ცალკე გამომინდვრებაა და „პარტიზანული ომია“ თანდათან წართმევა ამ იარაღისა რომლითაც იგი ძლიერია, რომლითაც იგი დღეს იბრძვის, ე.ი. სახელმწიფოებრივი აპარატების, საარჩევნო სისტემის და პარლამენტის ჩამორთმევა. როგორი იქნებოდა ის სარდალი, რომელიც მტერს ზარბაზნებს წაართმევდა მთელი მოწყობილობით და იმის ნაცვლად, რომ იგი მას მიუბრუნოს და დაუშინოს თითონვე ააფეთქებდა და გაანადგურებდა!

პროლეტარიატის დიქტატურა არ არის „უმრავლესობის“ დიქტატურა

და ნუ თუ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ იმ საბრძოლველ საშუალებაზე, რომელიც ჩვენს მხარეზე გადმოიყვანს ამ „მშრომელი მასების უმრავლესობას“!?

ჩვენი შეხედულებით „დემოკრატიული რესპუბლიკა“, საყოველთაო არჩევნების სისტემა, პარლამენტი და „უმეშვეო დემოკრატიაა“ ის იარაღი, რომლის საშუალებით მებრძოლი კლასის ბანაკში თავს უყრის მთელი ერის უმრავლესობა მშრომელი კლასის სახით.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ „საბჭოთა სისტემა“ არ უარყოფს პრინციპს წარმომადგენლობისას, მაგრამ აღებულია სრულიად უვარგისი ფორმა ამ სისტემისა. „საბჭოთა სისტემა“ სამსართულიანი არჩევნების ნიადაგზეა აშენებული: პირველი საფეხურია „სრულ, რუს. მუშ. გლეხთა, ყაზახთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა, მეორეა – „სრ. რუს. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი“ და მესამე „სახალხო კომისართა საბჭო“.

ყოველი სახელმწიფოებრივი აპარატი და ორგანო მით უკეთესია და უფრო ხელსაყრელი მშრომელთა კლასისათვის, რომელიც რაც შეიძლება ახლო სდგას ამ ხალხთან და რასაკვირველია საყოველთაო არჩევნებით არჩეული დამფუძნებელი კრება და პარლამენტი უფრო ახლოსაა ხალხთან, როგორც უმაღლესი ორგანო, ვიდრე ეს „საბჭოთა სისტემა“ რომელიც გვირგვინდება „კომისართა საბჭოთა“, და ერთ და იმავე დროს არის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო.

ყოველი საზოგადოების, ყოველი ერის საშოში მშრომელთა კლასია დიდი უმრავლესობა და ცხადია საყოველთაო არჩევნები უმაღლეს სახელმწიფოებრივს ორგანოში აბატონებს ამ მშრომელთა უმრავლესობას.

ზევით ვამტკიცებდით, რომ ჩვენი „უმეშვეო დემოკრატიაა“ ის იდეალური ფორმა, როდესაც მშრომელთა კლასი, თუ სრულიად არა სპობს, მაინც აუძლურებს და გეგემონიას ართმევს დღეს გაბატონებულს ბურჟუაზიულს კლასს. ეს იდეალი უფრო მოახლოებულია ჩვენთვის საყოველთაო არჩევნების შემწეობით, ფრთებ-შეკვეცილი პარლამენტით, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გაბატონებულია რეფერენდუმი და ინიციატივა, ვიდრე „პროლეტარიატის დიქტატურის“ დროს, როდესაც მმართველობს არა თითონ ხალხი, არამედ შეუზღუდველად „კომისართა საბჭო“.

ამ „საბჭოთა სისტემაში“ არ არსებობს რეფერენდუმი და ინიციატივა და კომუნისტების კონსტიტუციაში მხოლოდ 57-ს პარაგრაფშია ნათქვამი: „სადაც მოსახერხებელი იქნება, სოფლის ამომრჩეველნი თითონ განაგებენ მართვა-გამგეობასო“, აქ ჩვენ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ მარქსიზმის შეხედულებას ამის შესახებ, ხოლო უნდა აღვნიშნოთ, რომ, „ბოლშევიკები“ უფრო სწორედ განმარტავენ მარქსს, უფრო ჭეშმარიტი მარქსისტები არიან, ვინემ „მენშევიკები“. („ბოლშევიკებმა პრაქტიკაშიაც გამოაშკარავეს მარქსიზმის სიკოტრე“.)

ზოგადი დებულებანი

ჩვენს კონსტიტუციაში თავდაპირველად ყურადღებას იპყრობს პირველი მუხლი, სადაც ნათქვამია: „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა, არის დემოკრატიული რესპუბლიკა“-ო.

რაც შეეხება ამ პარაგრაფის მეორე ნაწილს: („მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა, არის დემოკრატიული რესპუბლიკა“) ეს სრულიად ზედმეტია მით უმეტეს იმიტომ, რომ არა თუ პოლიტიკური ფორმების, არამედ უფრო კონსერვატიული ხასიათის საზოგადოებრივი მოვლენათა შესახებ არ შეიძლება ითქვას ეს „ფორმა“, ეს მოვლენა საბოლოო და მუდმივიაო.

მით უმეტეს მიუღებელია ასეთი აბსტრაქცია ჩვენთვის, სოციალისტებისთვის და მით უმეტეს დღევანდელს მომენტში მოქმედ საზოგადოებრივ ძალებისთვის; ჩვენ, სოციალისტები ვდგევართ ევოლიუციონური თეორიის ნიადაგზე და გვწამს, რომ ცის ქვეშეთში ყოველივე ექვემდებარება ამ თანდათანობითი განვითარების პროცესს.

„პანტა რეი“-ო ამბობდა ელინთა ფილოსოფოსი და ჩვენცა გვწამს მეცნიერების ზეგავლენით, რომ ყოველივე მიმდინარეობს დრო და ჟამთან ერთად, ყველაფერი იცვლება და ეს ცვლა არის წინსვლა, განვითარება, გაუმჯობესება.

ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებს გვწამს ეს გზა პროგრესისა და თან ისიც, რომ ამ ბუნებრივ წინსვლას, ევოლიუციას აქვს თავისი ეტაპები, პერიოდები, ფაზისები.

მეცნიერნი და ეკონომისტ-პოლიტიკოსნი ხშირად მოიყვანდნენ ხოლმე ამ ევოლიუციის დასასურათებლად კვერცხს და წიწილს, ან ბავშვს დედის მუცელში ცხრა თვის, და სხვადასხვა პირუტყვებისაში სხვადასხვა დროის განმავლობაში, ხდება ევოლიუციონური განვითარება სპერმატოზოიდისა და თუმცა ამ ზრდის დროსაც არის ხოლმე თითქოს „მოულოდნელი“ აფეთქება, ფეთქვა (როდესაც მაგალითად „ბავშვი თამაშობსო“, რომ იტყვიან) მაგრამ ეს ევოლიუციონური მსვლელობა უკვე აშკარა აფეთქებით, დიდი რევოლიუციით და იბადება ახალი არსება.

ასეთივე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივი ფორმათა ევოლიუცია და იმ დიდს აფეთქებას, რის შედეგად იბადება ახალი ფორმა, ამას ჩვენ უწოდებთ რევოლიუციას. ამნაირად, ევოლიუციის გზაზე არის რევოლიუციონური მომენტები და პუნქტები. ჩვენი შემეცნებით საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ევოლიუციონური მიმდინარეობა ჩვენი აქტიური ჩარევით შეიძლება დაჩქარდეს ან შეფერხდეს და კიდევაც რამდენადმე შეეცვალოს გეზი და მიმართულება.

გადამეტებული არ იქნება ვსთქვათ, რომ არა თუ ეს ევოლიუცია, არამედ რევოლიუციაც კი უფრო გამწე, ბუნებრივი და მუდმივი მოვლენაა,

ვიდრე ის მომენტები, როდესაც შეფერხდება ხოლმე ეს ევოლიუცია, ან როდესაც რევოლიუციას მოჰყვება რეაქცია. უფრო მარტივად რომა ვსთქვათ, ვინაიდან ევოლიუცია და რევოლიუცია მომასწავებელია წინსვლისა, პროგრესისა, გაუმჯობესებისა და რეაქცია კი შეფერხება ან შეჩერება, ან უკან დახევა, და ვინაიდან მსოფლიო კანონია კანონი ევოლიუციისა, á priori შეიძლება ითქვას, რომ მომავალი ცვლილება ყოველთვის უფრო პროგრესიული იქნება არსებულზე. და თუ მოხდება კიდეც უკან მობრუნება, რეაქცია, ეს იქნება დროებითი გარდამავალი და ევოლიუციის საერთო კანონს იგი ვერ შესცვლის.

მაშასადამე შეუძლებელია ჩვენ არსებულს მივაკეროთ იარლიკი მუდმივობისა, მარადისობისა, რადგანაც ყოველი იცვლება, უცვლელი არაფერია, და მეორე მხრით არ შეგვიძლიან ჩვენ დღეს განუსაზღვრელ დროის სივრცისათვის აღვიაროთ ესა თუ ის მოვლენა მუდამ და უცვლელად პროგრესიულად.

ამიტომაც დღეს, ამ გარდამავალ ხანაში ვამკვიდრებთ დემოკრატიას, რესპუბლიკას, ამ მიღებული ტერმინით, „დემოკრატიულს", მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი საფეხურია ევოლიუციისა, ეს უკანასკნელი სიტყვაა საზოგადოებრივი ცხოვრების შემოქმედების ასპარეზზეო.

ამ ფორმულით, რომელიც არის კონსტიტუციაში, ჩვენ თითქოს ვამბობთ, რომ არც ბუნებრივი ევოლიუციით, არც კანონმდებლობითი ევოლიუციით, არც კანონმდებლობითი გზით ამ ფორმას ჩვენ ვერ გადავალთ და თუ მოხდება რაიმე ცვლილება, ეს ცვლილება უნდა მოხდეს რევოლიუციონური გზითო.

ეს ასეც არის, რაც მტკიცდება პროექტის 166 მუხლის ძალით, რომელიც ადგენს, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება მოხდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად"-ო.

არსებითად ამ მუხლის შესახებ მსჯელობა გვექნება მეჩვიდმეტე თავის განხილვის დროს, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ არ არის სასურველი და მისაღები ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხალხს მხოლოდ რევოლიუციონური გზით აქვს საშუალება კონსტიტუციის გადასინჯვისა და ძირითადი შეცვლისა.

იურიდიულადაც მიუღებელია ეს, ვინაიდან იურისპრუდენციამ, როგორც მეცნიერებამ არ იცის კატეგორია უცვლელობისა, იგი მას უარყოფს, როგორც მეტაფიზიკურს ცნებას.

მეორე დიდი ნაკლი პროექტისა ის არის, რომ კონსტიტუციის, ამ ძირითადს კანონებს „ამტკიცებს, იღებს და აქვეყნებს" დამფუძნებელი კრება, რაც გათვალისწინებულია პროექტის მეთოთხმეტე მუხლში.

პროექტი პრინციპიალურად იმ პოზიციაზე სდგას, რომ ხალხს აქვს უფლება ინიციატივისა არა მარტო ჩვეულებრივს კანონმდებლობაში, არამედ კონსტიტუციის მთლიანს ან ნაწილობრივს გადასინჯვაში. ეს დემოკრატიული და აუცილებელი პრინციპია და თუ რაიმე შესწორება სჭირია პროექტს ამ საკითხში, მხოლოდ იმ მხრით, რომ ეს უფლება რეალური და რაც შეიძლება ფართო უნდა იყოს.

და თუ ხალხი კანონმდებლობს, იღებს მონაწილეობას ჩვეულებრივს კანონმდებლობაში, მით უმეტეს ეს უფლება მან უნდა გამოიყენოს მაშინ, როდესაც იგი ამტკიცებს შედარებით ყველა სხვა კანონზე უფრო მუდმივს ძირითად კანონებს.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება ამ პროექტით ენიჭება პარლამენტის წევრთა ორს მესამედს ან ორმოცდა ათი ათას მოქალაქეს და მაშასადამე ულოღიკობა იქნებოდა თავიდანვე არ დავეკითხოთ იმ ხალხს – ჰსურს თუ არა ეს კონსტიტუცია.

ჩვენთვის გასაგებია და საიდეალოც, რომ ყოველი კანონი ხალხის მიერ იცემოდეს, ვინაიდან არავისა აქვს უფლება შეკრას ვალდებულებით ხალხი, როდესაც იგია ერთად ერთი მატარებელი სუვერენობისა და იგია აგრედვე წყარო ამ სუვერენობისა.

დამფუძნებელ კრებას არ შეუძლია რაიმე უწყალობოს, მიანიჭოს ხალხს, ვინაიდან დამფუძნებელი კრებაც თავის უფლებებს იღებს ხალხიდან.

შვეიცარიაში და ამერიკაში ფეხმოდგმული ჰქონდა ასეთ დებულებას: „Jex est quod populus jubet atque constituis“ (კანონი ის არის, რასაც ხალხი ბრძანებს და აგრეთვე დაამყარებსო). ეს დებულება შეითვისა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ და 1793 წლის კონსტიტუციამ.

ამ უაღრესად ხალხოსნურს, რესპუბლიკანურს პრინციპს ჩვენს დროშიაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მაშასადამე ჩვენი კონსტიტუციაც, რომელიც არის ძირითადი კანონი, უნდა მიღებული იქნას ხალხის მიერ, ხალხის დასტურით.

არის აგრედვე წვრილმანი უხერხულობანიც პროექტის პირველ თავში.

მეათე მუხლი ამბობს: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია“-ო. ეს მეტაფიზიკური ტერმინი უზენაესი უნდა შეიცვალოს სიტყვა „ძირითადი“-თ. ქართულს ენაში უზენაესი გამომხატველია მხოლოდ იმ ძალისა, რომელიც იქ მაღლა ზეცაში ჰსუფევს. ეს ტერმინი გამომხატველია ღვთაებრივი დასაწყისისა და მაშასადამე იგი სრულიად არ შეეგუება ჩვენს სოფლმხედველობას და ჩვენს კანონმდებლობაშიაც არ უნდა იხმარებოდეს.

აგრედვე კონსტიტუცია არ არის ზემდგომარე, სხვა კანონების მაღლა მდგომარე, არამედ პირიქით იგი ფუძეა ყველა სხვა კანონისა, იგი ძირითადი კანონია და მასზე ემყარება მთელი რესპუბლიკაც.

ამავე მეათე მუხლში ნათქვამია: „კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობას და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენსო“.

უხერხულად მიმაჩნია ამისი თქმა, ვინაიდგან „სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს“ არა მარტო კონსტიტუციის ასრულება და განხორციელება, არამედ საერთოდ ყველა კანონისაც. ეს რომ ასე დარჩეს ისე გამოდის, თითქოს კონსტიტუციის პრინციპების ასრულება სავალდებულოა და სხვა კანონებისა კი არა.

სრულიად საჭირო არ არის ამის აღნიშვნა, ვინაიდან აქსიომაა, რომ არა თუ კონსტიტუცია, არამედ ყოველივე კანონი და პრინციპი შესრულებული და განხორციელებული იყოს არა მარტო „ყოველი ხელისუფლების“, არამედ ყოველი მოქალაქის მიერ. ასე რომ, მეორე ნაწილი მეათე მუხლისა სულ უნდა ამოიშალოს. მეხუთე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის – „ძლევამოსილი გიორგი“-ო და სხ.

მართალია, გიორგის კულტი ძველთა-ძველია და ქართველი ერის კოსმოგონიური ფანტაზიის ნაყოფია, თუ ასე ითქმის, მაგრამ გიორგის საქრისტიანო ეკლესიაც იცნობს და სხვათა შორის რუსულმა ეკლესიამაც იცის Георгий Победоносный. ჩემი აზრით, ეს „ძლევამოსილი“ არ არის ქართული წარმოშობისა, არამედ მას რუსული ელფერი აკრავს. ჩვენი გიორგი კი ხალხში ცნობილია, როგორც თეთრი გიორგი. როდესაც ეროვნული საბჭო ბჭობდა ამ ღერბის შესახებ, მაშინაც გიორგის ჩვენ უწოდეთ „თეთრი გიორგი“ და ამიტომ უნდა იყოს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ღერბი არის – თეთრი გიორგი შვიდი მნათობით“.

პირველი თავის მეორე მუხლი ლაპარაკობს რესპუბლიკის ნეიტრალობაზე. ეს მუხლი ისევ დეკლარატიული ხასიათისაა, როგორც მეცამეტე მუხლი, რომელიც აღიარებს: „საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას ერთად ერთ საშუალებად მიაჩნია თავისუფალ ერთა კავშირიო“.

რასაკვირველია, არ არის საკმარისი რომელიმე სახელმწიფომ თავისი თავი აღიაროს ნეიტრალად, არამედ ეს ნეიტრალობა უნდა სწამდეს სხვებს, სწორედ იმათ, ვის გასაგონადაც ამას ვამბობთ და აღვიარებთ.

ისიც მართალია, რომ შეიძლება ისეთი მდგომარეობაც შეიქნას, რომ მიუხედავად ამ ჩვენი დეკლარაციისა, ჩვენ თავს დაგვესხან, ან მოინდომონ სხვა და სხვა პოლიტიკურ კომბინაციებში ჩათრევა. და ბოლოს ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ბელგიისა და შვეიცარიის ნეიტრალობა სწორედ საერთაშორისო სფეროში დაისვა და საერთაშორისო კომბინაციების წყალობით აღიარებულ იქნა სხვებისაგან.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, ეს მუხლი ჩემი აზრით უნდა დარჩეს კონსტიტუციაში.

ერთი რომ, ამ დეკლარაციას ამტკიცებს ჩვენი რესპუბლიკის არსებობის ფაქტიური მხარე. ჩვენ ეს პრინციპი აღვიარეთ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე და ამ ნეიტრალობას ვიცავდით კიდეც. ბევრჯერ იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენი ჩათრევა მოინდომეს სხვა და სხვა მებრძოლმა ძალებმა საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ ჩვენ ვაცხადებდით: „ჩვენ ნეიტრალი სახელმწიფო ვართ, ჩვენ მხოლოდ თავის დაცვა გვსურს და ვიცითო“.

შეიძლება გვითხრან: რაღაი თქვენ ნეიტრალი სახელმწიფო ხართ, კეთილი ინებეთ და იყოლიეთ ამდენი და ამდენი ჯარი, მეტის უფლება არა გაქვთო. მაგრამ ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: ჩვენ სინამდვილეში დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ჩვენდათავად ნეიტრალობის დაცვა, მაგრამ ჩვენ ხელს ვერ

ავიღებთ თავდაცვაზე და ამ თავდაცვისათვის კი ამდენი ჯარი გვჭირდება; მაგრამ თუ ყველა არსებული სახელმწიფო მოგვცემს გარანტიებს, რომ ჩვენი ნეიტრალობა არავითარს შემთხვევაში შელახული არ იქნება და საერთაშორისო გარანტიებით უზრუნველყოფენ ჩვენს არსებობას, ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდებით საერთაშორისო უფლებით გათვალისწინებულს რიცხვს ჯარისას.

აგრედვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც თუ ასეთი საერთაშორისო გარანტიებია ყოველ დროისა და გარემოების მიხედვით ნამდვილი გარანტია. ბელგია ნეიტრალური სახელმწიფო იყო, მაგრამ ეს გარანტიები ქაღალდის ნაფლეთებად მიიჩნიეს.

ამრიგად, ეს მუხლი თუ კონსტიტუციას არაფერს ჰმატებს, ნაკლიც არ მოაქვს და უნდა დარჩეს.

მეცამეტე მუხლში „თავისუფალ ერთა კავშირია“ აღიარებული საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად.

მართალია, შეიძლება ითქვას, რომ ეს დეკლარაციული მუხლიც არ უნდა იყოს კონსტიტუციაშიო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თვით კონსტიტუციაც საერთოდ ერთგვარი დეკლარაციაა.

კონსტიტუციით სახელმწიფო საყოველთაოდ აქვეყნებს თავისი პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული შემოქმედების გეგმას, პროგრამას. ეს ის ფართო პლატფორმაა, რომლითაც იცხოვრებს, რომელსაც იხელმძღვანელებს და განახორციელებს სახელმწიფო. კონსტიტუცია დეკლარაციაა მთელი კაცობრიობისადმი; ეს რეკომენდაცია, თავის გაცნობაა ყველა სხვასთან, ვინც ჩვენს გაცნობას მოისურვებს და იგი რეგულიარია შინაური ცხოვრებისა. ამის გარდაც ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებს სიხარულის მეტი არა გვმართებს, ვინაიდან მთელი ჩვენი პოლიტიკური საერთაშორისო შემეცნება ამ პრინციპზეა აშენებული. დიაღ, საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად ერთად ერთ საშუალებად თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი უნდა იქნას აღიარებული.

თავი მესამე

მოქალაქის უფლებანი

ამ განყოფილებაში პრინციპიალური ხასიათის შესწორება არა მაქვს გარდა ერთისა, მუხლი 42 ამბობს: „მუშათა მშვიდობიანი გაფიცვა თავისუფალია, უკეთუ არ ეწინააღმდეგება კანონს და სახელმწიფოს ინტერესებს“. ხალხოსნურს სახელმწიფოში, ე.ი. ისეთს სახელმწიფოში, სადაც დამყარებულია ნამდვილი დემოკრატია, ხალხია თავისი მმართველ-პატრონი, უფლე-

ბა გაფიცვებისა იღებს სულ სხვა ხასიათს, ვიდრე აბსოლუტურ ან წმინდა პარლამენტარისტულს სახელმწიფოში. იმ სახელმწიფოში, სადაც რომელიმე პრივილეგიური კლასია გაბატონებული, მუშათა კლასი, კლასი მშრომელი უმრავლესობისა უპირისპირდება ამ გაბატონებულს კლასს და მის ბატონობის ორგანოს სახელმწიფოს.

ბურჟუაზიული სახელმწიფო იცავს კერძო საკუთრებას, იგი დარაჯია ვაჭარ-მრეწველ-კაპიტალისტთა ინტერესებისა და სცოცხლობს ზედმეტი ღირებულების ნაწილით, რომელსაც სახელმწიფო იღებს ამ კლასისაგან სამსახურისათვის, როგორც დარაჯი.

სახელმწიფო და გაბატონებული კლასი ორივე მონაწილეა შრომის ექსპლოატაციისა და ბოლოს და ბოლოს ის ნაწილიც ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც ეძლევა სახელმწიფოს, ხმარდება ისევ იმ გაბატონებულ კლასს.

ასეთს მდგომარეობაში რასაკვირველია, მუშათა კლასი მუდმივს წინააღმდეგობაშია სახელმწიფოსთან ისევე, როგორც გაბატონებულს კლასთან. ასეთს სახელმწიფოში თუ რაიმე გაუმჯობესება შედის მუშათა ცხოვრებაში, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია თვით სახელმწიფოსათვის და მუშათა ხელფასი უდრის მხოლოდ საცხოვრებელს მინიმუმს.

ეს მდგომარეობა უკარნახებს მუშათა კლასს ბრძოლის ყოველივე სასტიკ ზომას, ვინაიდგან ვერც პარლამენტი და ვერც მთავრობა ვერ იკისრებს მუშათა კლასის ინტერესების წინ წამოწევას. ამიტომაც იბადება უნდობლობა მუშათა კლასისა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ყოველივე ორგანოს და თვით პარლამენტისადმი.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოში შეუძლებელია ლაპარაკი კლასთა შეთანხმებაზე, სოლიდარობაზე, მშრომელი კლასის ინტერესების დაცვაზე და თუ ვინმე არწმუნებს მუშათა კლასს, რომ ეს სოლიდარობა არსებობს, იგი ატყუებს მას და ან მუშათა კლასს სწამს ეს „ერთობა“, იგი თავს იტყუებს.

რასაკვირველია, ჩვენ ვიცით რომ ერის ცხოვრებაში ხშირად დადგება ხოლმე ისეთი საბედისწერო მომენტი, როდესაც ერი იძულებულია სასწრაფოდ მოახდინოს ეროვნულ ძალთა გაერთიანება და მთელი თავისი არსებით თვისი ფიზიკური არსებობისათვის იბრძოლოს. ეს ინსტიქტი არსებობისა, დროებით ჩრდილავს, ყველა სხვა ინტერესს, მაგრამ ეს მდგომარეობა არ არის მუდმივი და კლასობრივს ბრძოლას ვერა სპობს.

მაგრამ მდგომარეობა იცვლება, როდესაც თვით მშრომელთა კლასი იგდებს ხელში სახელმწიფოებრივს ძალა-უფლებას და სახელმწიფო ხდება ახლა ამ უმრავლესობის იარაღად. ზემოდ ჩვენს დროს გარდამავალი ხანა უწოდეთ, ე.ი. ისეთი ეპოქა, როდესაც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წესწყობილება სრულიად განადგურებული არ არის, მაგრამ პოლიტიკური ჰეგემონია უკვე მშრომელთა კლასის ხელშია, სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ორგანო და პოლიტიკური ბრძოლის იარაღი მშრომელთა კლასის ხელშია. სახელმწიფო და ხალხი უკვე იდენტური ცნებაა. თუ წინად სახელმწიფო უპირისპირდებოდა ხალხს, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობას, ახლა

სახელმწიფომ უნდა დაიცვას ამ მომენტში გაბატონებული კლასის ინტერესები, ე.ი. მშრომელი უმრავლესობის.

რასაკვირველია, საკითხი კიდევ სხანაირად დაისმის, როდესაც კლასები მოისპობა და სოციალიზმი განხორციელდება. მაშინ შეუძლებელი იქნება რომელიმე კლასის ინტერესებზე ლაპარაკი მაგრამ დღეს, ამ გარდამავალს ხანაში სახელმწიფო მაინც იარაღია ერთი კლასის გაბატონებისა, სახელდობრ მუშათა კლასისა, ეს არის ნამდვილი „დემოკრატია“ (ხალხის ბატონობა) და არა დიქტატურა პროლეტარიატისა, ე.ი. ბატონობა ერის უმცირესობისა უმრავლესობაზე.

მაშასადამე ჩვენი რესპუბლიკა უპირველეს ადგილზე უნდა აყენებდეს მშრომელი მასის ინტერესებს და იცავდეს მას. მუშათა კლასს აქვს რამოდენიმე იარაღი თავისი ინტერესების დასაცავად: შრომის ბირჟა, შუამავალი კანტორები, დაზღვევა, სხვა და სხვა კასები, შრომის ინსპექცია, განსაკუთრებული სოციალური კანონები, კანტროლი წარმოებისა, გაფიცვები და რევოლიუციონური გამოსვლა.

რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიური პოლიტიკის გეზი ისეთია აღებული, რომ ფრთები ეჭრება კერძო ინიციატივას, კერძო წარმოებას და მთელი გულისყური მთავრობისა მიქცეულია საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წარმოების გაფართოებისკენ, განმტკიცებისაკენ.

ჩვენი აზრით კერძო წარმოება ამ მოკლე ხანში სრულიად არ მოისპობა, მაგრამ როდესაც კერძო მწარმოებელმა იცის ასეთი გეზი სახელმწიფოსი ეკონომიურს სფეროში, იგი ვერ გაბედავს წარმოების გაჩაღებას, არ გამართავს ფაბრიკა-ქარხნებს. მაშასადამე ეს როლი კერძო კაპიტალისა თუ სრულიად არა, უდიდეს ნაწილად თვით სახელმწიფომ უნდა იკისროს და სახელმწიფო გამოვიდეს ერთ დიდ მექარხნედ, ერთ უდიდეს „ხაზეინად“.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ მოვითხოვთ მუშების მონაწილეობას წარმოების ორგანიზაციაში, მოვითხოვთ მშრომელ ხალხის პროფესიონალურ კავშირების ხელში გადაცემას შინაურ საადმინისტრაციო საქმეებისას ქარხნებში, ფაბრიკებსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც კი მომუშავენი ერთს პროფესიონალურს ორგანიზაციას შეადგენენ. (იხ. ჩვ. პროგრამა).

მაშასადამე, ერთი მხრით სახელმწიფოს ხელში გროვდება თითქმის მთელი წარმოება, მეურნეობა, მრეწველობა და რადგანაც სახელმწიფოებრივი აპარატი მშრომელი კლასის ხელშია, ცხადია ერთი და იმავე დროს მუშა დამქირავებელიც არის და დაქირავებულიც; იგი აძლევს სამუშაოს, როგორც მონაწილე საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მრეწველობისა და მეორე მხრით კი იგი თითონ ასრულებს დაქირავებულის როლს.

ეს ორმაგი მდგომარეობა, ეს გაორება პიროვნებისა უჩვეულ მდგომარეობაში აყენებს მუშას: იგი დაინტერესებული უნდა იყოს ამ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი მრეწველობის აყვავებაში და მაშასადამე ყოველგვარი ბრძოლა ხაზეინ-სახელმწიფოს წინააღმდეგ, ყოველგვარი გა-

ფიცვა საზარალო იქნება სახელმწიფოსათვის, როგორც ეს საზარალო იყო წინათ კერძო მწარმოებელისათვის.

მაგრამ მეორე მხრით არც რესპუბლიკაში ეკუთნის მუშას მთელი ნაყოფი თავისი შრომისა. როგორც კერძო მწარმოებელი ითვისებდა ზედმეტ ღირებულებას, ასევე სახელმწიფო მრეწველი, ან საზოგადოებრივი წარმოებაც მიითვისებს ამ ზედმეტ ღირებულებას, – მართალია სახელმწიფო ნაკლები პროცენტით დაკმაყოფილდება, მაგრამ მუშის შრომის ნაწილს მაინც ითვისებს.

უეჭველია მაშასდამე მუშის ინტერესები სრულიად უზრუნველყოფილი არც ამ გარდამავალ ხანაში იქნება და მაშასადამე ადგილი ექნება ბრძოლას სახელმწიფოსა და მუშას შორის.

როდესაც ჩვენი კონსტიტუცია იძლევა მშვიდობიან გაფიცვების უფლებას, თუ ეს გაფიცვა არ ეწინააღმდეგება უდრის იმას, რომ გაფიცვის უფლება მოსპოთ, ვინაითგან გაფიცვა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს.

თითქოს სრულიად ლოღიკურია ჩვენი კონსტიტუციის ეს დებულება: სახელმწიფო თვით მუშათა კლასისაა და თავის თავს ხომ არ გაეფიცებაო! მაგრამ ცხადია სახელმწიფოს და მუშის ინტერესები თანასწორი არ არის ამიტომ შვენ არ შეგვიძლია მუშას მოუსპოთ საშუალება გაფიცვისა.

უეჭველია მუშათა კლასი კრიჭაში არ ჩაუდგება სახელმწიფოს, ვინაიდგან ეს სახელმწიფო მისია; უეჭველია მუშა არ მოისურვებს წარმოების მოსპობას, რადგანაც თითონ არის პატრონი, როგორც მოქალაქე და აი ჩვენი ცხოვრება ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ჩვენს მშრომელს ხალხს უკვე შეგნებული აქვს ეს და იობის მოთმინებით იტანს გაჭირვებას, არ ეფიცება თავის სახელმწიფოს. და თუ ამას იგი იტანს დღეს, როდესაც ჯერ კიდევ არ არის კალაპოტში ჩამდგარი ცხოვრება და კერძო მწარმოებელი კიდევ დაპარპაშობს ასპარესზე, იგი უფრო მეტის ლმობიერებით მოეპყრობა სახელმწიფოს, როდესაც მართლა განხორციელდება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ეკონომიური პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ ვერ მოუსპობთ მათ იმის საშუალებას, რომ უკიდურეს შემთხვევაში მუჯლუგუნი წაჰკრას სახელმწიფოს და მოაგონოს თავისი გაჭირვება.

ამიტომ მუხლი 42 უნდა ამგვარად შესწორდეს: „მუშათა ეკონომიური ხასიათის მშვიდობიანი გაფიცვა ნებადართულია“ და ამას კიდევ მიემატოს: „გაფიცვის დროს მუშებს ჯამაგირი უნდა ეძლიოს“.

აგრედვე აქ ირკვევა კიდევ ერთი ფრიად პრინციპიალური საკითხი, – ეს საკითხი ეხება მოხელეთა და მოსამსახურეთა უფლებებს. ჩვენი კონსტიტუცია სრულიად არ აქცევს ყურადღებას ამ დიდს ჯგუფს საზოგადოებისას. სხვა უფლებებზე მოხელეებისა ჩვენ ვილაპარაკებთ მეთხუთმეტე თავის განხილვის დროს, ხოლო აქ დროულად მიგვაჩნია გამოვარკვიოთ მოხელეთა უფლება გაფიცვებზე.

ხელმწორედ უნდა მოვიგონოთ, რომ ჩვენ ვამყარებთ დემოკრატიას, ვამყარებთ გარდამავალს ფორმას ხალხოსნური სახელმწიფოსას. აგრედვე

დავინახეთ, რომ ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა გახდნენ მწარმოებლებად. და უნდა გაჩაღდეს საზოგადოებრივი მრეწველობა-მეურნეობა.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ხელში მოგროვდება თითქმის მთელი ეკონომიური ცხოვრება ჩვენი ერისა და იგი მოგვევლინება ხან როგორც მექარხნე, ხან მეურნე, ხან ვაჭარი, ხან მეთამბაქოე, ხან ელექტრონის, განათების, ტელეფონი, ფოსტის პატრონი, ხან აღმაშენებელი კომპანია, შარა-გზების და რკინის გზების გამყვანი და სხ. და სხ.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ინგლისმა მოახერხა გასაზოგადოებრიობა და გასახელმწიფოებრიობა მთელი რიგი დარგებისა, როგორც მრეწველობაში, აგრედვე მეურნეობაში და როგორც არა ერთხელ აღუნიშნავთ ეკონომისტებს, ინგლისში მოქალაქე რასაც კი ახლებს ხელს, ყველაფერი ეს დამზადებულია საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მიერ და ჩვენს სახელმწიფოს ხომ კიდევ უფრო ფართო დავალება ეხსნება ამ მხრით.

მეორე მხრით, ჩვენს ხალხოსნურს სახელმწიფოში თანდათან ფეხს მოიკიდებს ის პრინციპი, რომ ყოველი მოქალაქე უნდა შრომობდეს და ხალხოსნურს სახელმწიფოში ყველა, ვინც კი ასრულებს საზოგადოებრივს სახელმწიფოებრივს ბეგარას, იქნება ის ფიზიკურად მომუშავე, ეგრედ წოდებული შავი მუშა, თუ მოხელე, კანტორის მოსამსახურე, იგი იქნება სახელმწიფოს მუშა-მოსამსახურე.

ამ შემთხვევაში ასეთ მუშა-მოსამსახურეზე და მოხელეზე შეუძლებელი იქნება ვიქონიოთ ძველებური ბიუროკრატიული შეხედულება, ვინაიდან ეს მოხელენი ცალკე კასტა კი არ იქნება, არამედ ყველა მოქალაქე იქნება აუცილებელი ნაწილი მთელი სახელმწიფოებრივი მანქანისა.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვამბობთ, „მუშათა გაფიცვებიო“, მუშათა წრიდან ვერ გამოვრიცხავთ სხვა მოქლაქეთაც, რომელნიც ასრულებენ სახელმწიფოებრივს საქმეს, ერთგვარს მოვალეობას, ბეგარას.

ავიღოთ სანიმუშოდ მუშები, რომელნიც მუშაობენ მაღაროებში, რომელთაც სახელმწიფომ უკვე მოუხდინა ნაციონალიზაცია, ან ავიღოთ მუშები იარაღის, თოფისწამლის, ფულის ექსპედიციის და სხ. და ცხადია, რომ ასეთ დარგში მომუშავე მუშების გაფიცვა ყოველთვის საზიანო იქნება სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მაშასადამე იმ ფორმულის ძალით 42 მუხლში რომაა ნახმარი, მთელი რიგი მუშებისა მოკლებულნი იქნებიან გაფიცვის უფლებას.

მეორე მხრით მოხელენიც ასევე უმეშვეოდ სახელმწიფოებრივს საქმეს აკეთებენ და მათი გაფიცვაც ისევე საზიანო იქნება, როგორც ზემოდ დასახელებული დარგის მუშებისა.

ამიტომ ჩვენ ვდგევართ ასეთი ალტერნატივის წინაშე: საერთოდ ჩვენს დემოკრატიაში იქნება დაშვებული გაფიცვა თუ არა.

ჩვენი აზრით, როგორც მუშებს ვერ წავართმევთ უფლებას თვისი ეკონომიური ინტერესების დაცვისას, აგრედვე ვერც მეორე დარგს მუშებისას, რომელთაც მოხელენი ეწოდება, ვერ წავართმევთ ამ უფლებას.

მშრომელს ხალხს ბოლოს და ბოლოს თავისი სახელმწიფო იმისთვის უნდა, რომ მათი არსებობა უზრუნველყოფილი იქნას და მათი ეკონომიური მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდეს. თუ დღეს, როდესაც ეს-ეს არის ფეხს იდგამს ჩვენი რესპუბლიკა მუშებთან ერთად ითმენენ და ჩუმად არიან მოხელენიც, როდესაც მომავალში მომაგრდება სახელმწიფო, უკვე შესაძლებელი იქნება დავაჩუმოთ და დავამშვიდოთ ჩვენ მშრომელი ხალხი იმით, რომ ეს მათი სახელმწიფოა და უნდა მოითმინონ, იშიმშილონ, ყველაფერი მოიკლონ.

ჩვენთვის სახელმწიფო კი არ არის თვით მიზანი, არამედ მიზანი ხალხის უმწვერვალესი კეთილდღეობაა და სახელმწიფო ამის საშუალება.

ამ მოსაზრებათა მიხედვით საბოლოოდ მე-42 მუხლმა ასეთი სახე უნდა მიიღოს: „მუშა მოსამსახურეთა და მოხელეთა მშვიდობიანი გაფიცვა თავისუფალია“ (ან უკეთ რომ ვსთქვათ: ნებადართულია).

შემდეგ მუხლი 27 და 28 იძლევა გარანტიას, რომ დატუსაღებული მოქალაქე გამოუძიებლად და დაუკითხავად 48 საათზე მეტს აღარ დარჩება, მაგრამ აგრედვე უნდა მიეცეს შეპყრობილს გაიგოს რაში სდებენ ბრალს და მიეცეს საშუალება ამ ბრალდების წინააღმდეგ განმარტების და საბუთების წარდგენისა. აშკარაა, რომ მოქალაქემ უნდა იცოდეს ეს მისი უფლებაა, რაში სდებენ ბრალს, ამიტომ 28 მუხლს აბზაცს უნდა მიემატოს: „თავისუფლება წართმეულ პირებს ამავე დროს განმავლობაში უნდა ეცნობოს რომელი აღმასრულებელი ორგანოს მიერაა მათი დაკავება ბრძანება გაცემული და დაუყონებლივ უნდა მიეცეს მათ უფლება ამის წინააღმდეგ საბუთების და მოსაზრებების წამოყენებისა“.

მუხლი 38. „ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს კრება, თუ დანაშაულის ხასიათი მიიღო“. ასეთი ფორმულა მიუღებელია, რადგანაც ერთობ ზოგადადაა ნათქვამი და ადმინისტრაციას საშუალება ეძლევა „დანაშაულის ხასიათი“ ხშირად იქ დაინახოს, სადაც არ არის ასეთი დანაშაული. ამიტომ ეს მუხლი სრულიად უნდა ამოიშალოს.

მუხლი 40 სრულიად უნდა ამოიშალოს, რადგანაც მთელი შინაარსი კონსტიტუციისა ჰგულისხმობს ასეთს თავისუფლებას, ხოლო ზოგიერთ ნაწილში კი სხვა მუხლებს და საერთოდ გეზს რესპუბლიკისას არ ეთანხმება. ამ კონსტიტუციით საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის ფართო ასპარეზი ეძლევა კერძო საკუთრების, წარმოების და სხ. ჩამორთმევას და გასაზოგადოებას (იხ. 129 და 130 მუხლი). ასეთს ატმოსფეროში კი ცხადია კერძო ინიციატივა, კერძო სამრეწველო პროფესია ფრთებს ვერ გაშლის და საერთო ეკონომიური პოლიტიკა ჩვენი ისეთია, რომ ცნობილია პრიმატი (პირველობა) საზოგადოებრივი შემოქმედებისა. მაშასადამე არ შეე-

საბამება სინამდვილეს იმის თქმა, რომ უზრუნველყოფილია „სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარებაო“, მით უმეტეს ეს ითქმის „სავაჭრო“ პროფესიაზე. სახელმწიფოებრივი ფართო მონოპოლიის სისტემის რესპუბლიკაში არ შეიძლება ითქვას „უზრუნველყოფილია“ სავაჭრო პროფესიის თავისუფალი განვითარებაო“.

ამასთანავე შეუძლებელია ერთმანეთში აირიოს და ერთს მუხლში მოვათავსოთ „გონებრივი, სასულიერო, სავაჭო, სამეურნეო და სამრეწველო“ დარგებო კულტურისა. რა აქვთ ამათ საერთო!

45 მუხლში სადანადოთ არ არის აზრი გამოთქმული. „აკრძალულია უცხო სახელმწიფოს გადაეცეს პოლიტიკური დამნაშავეო“. ეს აზრი უკეთესია ასე გამოვსთქვათ: „უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკური დამნაშავე არ გაიცემა“ (არ გადაეცემა).

46 მუხლი ასე შესწორდეს: ამოიშალოს „საერთაშორისო წესით“ და დაემატოს: „თუ მათი უფლება სხვაფრივად არ არის განსაზღვრული საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს ურთიერთ შეთანხმებით“.

47 მუხლიდანაც ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ „ზემოაღნიშნულ კანონთა დადგენილების დარღვევისათვის“ მოეთხოვებოდეს კერძო ან თანამდებობის პირთ პასუხი. ნამდვილად კი პასუხი მოეთხოვება ყველას არა ზემოაღნიშნულ, არამედ „ქვემოდჩამოთვლილი“ და საერთოდ ყოველი კანონის დარღვევისათვის. ამას გარდა უხერხული გამოთქმაა „კანონთა დადგენილების დარღვევა“. კანონი ერთი მხრით თითონაა დადგენილება და დადგენილებასაც შეიძლება კანონის ხასიათი მიეცეს.

ასე რომ საერთოდ ეს მუხლი სულ ზედმეტია, რადგანაც პასუხისმგებლობა თავისთავადაც იგულისხმება და სხვა მუხლებშიაც არის აღნიშნული.

თავი მეოთხე

პარლამენტი

ჩვენ ზემოდ საკმაოდ ვილაპარაკეთ პარლამენტარიზმის შესახებ. საერთოდ საყოველთაო არჩევნებზე, წარმომადგენლობაზე და ხალხოსნობაზე, დემოკრატიაზე. მოვიგონებთ რა იმ პრინციპიალურს მოსაზრებებს ამ ცნებათა შესახებ, მოკლედ კიდევ შემდეგს ავღნიშნავთ.

მუხლი 53 ამბობს, რომ რესპუბლიკა დაყოფილი იქნება საარჩევნო ოლქებად და თითოეულს ოლქს მიეცემა „განსაზღრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა“-ო.

თავდაპირველად ეს სისტემა მიუღებელია, არ არის სასურველი სპეციფიური ადგილობრივი საქართველოს ისტორიული მიზეზების გამო. მთელი

ჩვენი ძველი ისტორიული ცხოვრება დახასიათდება დაქსაქსულობით, პარტიკულიარიზმით, რომელსაც ასაზრდოებდა ფეოდალიზმი.

თუ მეთორმეტე საუკუნეს, თამარის დროს ისტორიკოსები ოქროს ხანას უწოდებენ ჩვენს ისტორიაში და მართლადაც ამ დროს მიაღწია საქართველომ სახელმწიფოებრივ ძლიერებას, განათლების და კეთილდღეობის უმწვერვალეს წერტილს შედარებით სხვა დროსთან, ეს იმით აიხსნება, რომ ამ პიროვნებამ შესძლო დაეძლია ტომობრივი დაქსასულობა, დაემორჩილებია გოროზი ფეოდალები, მოესპო პარტიკულიარიზმი და შეექმნა ერთი მთლიანი საქართველო.

ამ ერთობამ შეაძლებინა საქართველოს მტრების ალაგმვა და თვისი საზღვრების უზრუნველყოფა. მაგრამ თამარის სიკვდილთან ერთად დაირღვა ეს მთლიანობაც და მას შემდეგ იწყება საქართველოს დასუსტება, დაქვეითება, მისი ცხოვრების დეკადანსი და ესეც იყო ერთი უდიდესი მიზეზი იმისა, რომ საქართველომ „დიდს ერთმორწმუნე რუსეთს შეაფარა თავი".

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობს ხალხი და რუსეთის ბატონობამ ის სიკეთე მოგვიტანა ჩვენ, რომ საუკუნოებით დაქსაქსული საქართველო გააერთიანა. მთელმა საქართველომ ერთნაირად იგრძნო მონობაში თავი და, ვინაიდან მთელი ერი ერთს ტაფაში იხრაკებოდა თანდათან განვითარდა მთლიანობის გრძნობა ეროვნული შეგნება და დღეს თუ ჩვენ მოპოებული გვაქვს ეროვნული თავისუფლება და ვაშენებთ ეროვნულს სახელმწიფოს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხალხის ეროვნული შეგნების ნაყოფია.

ეს ასეა, მაგრამ ცხადია, რომ დღესაც არსებობს ერთგვარი ტომობრივი ტრადიციები, კუთხური პატრიოტიზმი და ჩვენ რომ ხელი შეუწყოთ ამ გრძნობას, გავაღვივოთ იგი, ამით სამარეს გავუთხრით ჩვენს ერთობას; ისევ დავქსაქსავთ მთლიანს ერს და ამით შეუძლებელს გავხდით ეროვნულს აღორძინებას. კონსტიტუციაში არა სჩანს რამდენ ოლქად იქნება დაყოფილი რესპუბლიკა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ ორი შესაძლებლობა: ან უნდა იყოს დაყოფილი საერისთავოდ და სამთავროებად, ე.ი. ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და სხ. ან შეიძლება დაიყოს მაზრებად.

არც ერთი არც მეორე მისაღები არ არის, რადგანაც ამას არ მოითხოვს არავითარი მოსაზრება, არც პრინციპიალური და არც ტეხნიკური და ზიანს კი დიდს მოგვიტანს, მაზრებიც თითქმის იგივე ტომობრივი დაყოფა იქნება: ოზურგეთის მაზრა გურიაა, სენაკის და ზუგდიდის – სამეგრელო, ქუთაისის და შორაპნისა – იმერეთი, გორის მაზრა – ქართლი, თელავისა – კახეთი და თუ გნებავთ სიღნაღისა – ქიზიყი და სხ.

მაგრამ არსებობს ბევრი სხვა მოსაზრებაც, ღრმა პრინციპიალური ხასიათისა, რაიცა შეუძლებლად ჰხდის შედარებით პატარა ერთეულის კიდევ ოლქებად დაყოფას.

როდესაც საფრანგეთი და ამერიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად, ეს კიდევ გასაგებია, რადგანაც ტეხნიკურად ძნელია რამდენიმე მილიონი ამომ-

რჩევლის ერთ ერთეულში მოქცევა; სხვა არა იყოს, ხმების დათვლა მოითხოვს დიდს შრომას. მაგრამ საქართველოს დაყოფვა გურიის ან ოზურგეთის მაზრის, სამეგრელოს ან ზუგდიდის მაზრის და სხ. დეპუტატებად სრულიად მიუღებელია. არსებობს წმინდა პარლამენტარიზმისაგან განმტკიცებული ერთი ფრაქცია, რომ დეპუტატი წარმომადგენელია მთელი ერის და არა ოლქისაო. ბურჟუაზიას ამ პრინციპის განმტკიცება იმისათვის დასჭირდა, რომ განემტკიცებინა ამით პარლამენტის სუვერენობა. თუ დეპუტატები მთელი ერის წარმომადგენელნი არიან, ეს დიდს ავტორიტეტს აძლევს ამ ერის თვალში პარლამენტს და ამით კი სარგებლობს პარლამენტი და ერის სუვერენობა თავის თავზე გადააქვს.

ჩვენს რესპუბლიკაში კი არ არის წმინდა პარლამენტარიზმი, ე.ი. სუვერენობა ეკუთნის არა პარლამენტს, არამედ ხალხს; ჩვენშია არა პარლამენტარიზმი არამედ დემოკრატიზმი. მაშასადამე თუ პარლამენტარიზმის სისტემისთვისაც კი, სადაც არჩევნები ოლქობრივ სწარმოებს, ფიქციაა რომ ვითომ ყოველი დეპუტატი წარმომადგენელია მთელი ერისა და არა ოლქისა, მით უმეტეს შეუფერებელია ეს პრინციპი ჩვენი ხალხოსნური სახელმწიფოსათვის.

არსებითად მართალი არ არის, თითქოს ყოველი დეპუტატი მთელი ერის წარმომადგენელი იყოს იმიტომაც, რომ დეპუტატებს ირჩევენ პოლიტიკური პარტიები და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, რადგან მათ აქვთ თვისი ინტერესები ამისდა მიხედვით, თუ რომელ კლასს ეყრდნობიან, რომელი კლასის ინტერესებს იცავენ. აგრედვე რომელიმე ჯგუფი იმისთვის ირჩევს ამა თუ იმ დეპუტატს, რომ იგი იყოს სახელმწიფოებრივ უმაღლეს ორგანოში მისი წარმომადგენელი და დაიცვას მისი კლასობრივი ან ჯგუფობრივი ინტერესი. და რომ მართლაც მთელი ერი იყოს წარმოდგენილი პარლამენტში, ამისთვისაა შემოღებული პროპორციული სისტემა არჩევნებში. პროპორციული სისტემის წყალობით უმცირესს ჯგუფსაც საშუალება ეძლევა იყოლიოს წარმომადგენელი პარლამენტში და ეგევე სისტემა უფრო ცხადჰყოფს, რომ შეუძლებელია თვითოეულს დეპუტატს ერის წარმომადგენელი უწოდოთ. ვსთქვათ რომელიმე სიამ მიიღო სწორედ იმდენი ხმა, რამდენიც საჭიროა ერთი დეპუტატის ასარჩევად. მაგალითად 5 ან 6 ათასი: ხომ ცხადია, რომ ასეთი დეპუტატი არის წარმომადგენელი ამ ხუთი ათასი მოქალაქისა და გამომხატველი მათი ინტერესისა და არ მთელი ერისა.

ამ უკანასკნელს დროს უფრო დემოკრატიულს ქვეყნებში, შვეიცარიასა და ამერიკაში კიდევაც სწარმოებს ერთგვარი ბრძოლა ამ ფიქციის წინააღმდეგ. ამერიკაში თვით ხალხი და დეპუტატებიც სთვლიან დეპუტატს ოლქის წარმომადგენლად და საამისო გამოთქმაც მუშავდება: ამბობენ „დეპუტატი ედინბურგისა, აბერდინისა“-ო და სხ. ყურადსაღებია, რომ მეცნიერებაში ამ საკითხის შესახებ აზრები იცვლება იმისდა–მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია პარლამენტი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისში ლორდ ბლეკსტონი იცავდა პარლამენტის „თვითმპყრობელობას და უკონტროლობას“ ეს ის დრო იყო, როდესაც მივწყებული იყო ხალხის დიდი მოძრაობა და პარლამენტმა ჩაიგდო ფაქტიურად ხალხის უფლება ხელში, ბლეკსტონი იცავდა იმ აზრს, რომ დეპუტატი წარმოადგენს მთელს ხალხს და არა ოლქსაო.

მაგრამ მეორე მეცნიერი, ტომას კეინი ისევ რევლიუციონურს ხანაში ცხოვრობდა და ჯონ ლოკკივით და უფრო გაბედულადაც იცავდა ხალხის სუვერენობას პარლამენტის სუვერენობის წინააღმდეგ.

მეცნიერი ესმენიც ბლეკსტონივით დეპუტატს სახავს ნაციის წარმომადგენლად და არა ოლქისა „და ეს იმისათვის, რომ მოსპონ დეპუტატის პასუხისმგებლობა“-ო, სწერს ტახტარიოვი (იხ. მისი წიგნი: „От представительства к народовластіи“).

ამერიკელი მეცნიერი დოუელი ამბობს: „არ არის წარმომადგენელი, რომელიც მართლაც მთელი ერის წარმომადგენელი იყოსო“ და განმარტავს, რომ დეპუტატი არსებითად თავისი საკუთარი იდეების წარმომადგენელია ზნეობრივი მიდრეკილების მხრით და სხვა მხრით კი იგი უაღრესად იმათი იდეების გამომხატველია, რომელთაც იგი აირჩიეს და რომელთა ხმების იმედიც მას აქვს შემდეგისთვისაცო.

საინტერესოა აგრედვე ღენერალ ბულანჟეს ისტორია ამ საკითხის გასაშუქებლად. 1881 წელს ბულანჟემ საფრანგეთის ყველა ოლქში დაიდგა ყუთი რომ „ერის წარმომადგენლად“ მოვლინებულიყო, მაგრამ სწორედ მეცნიერებმა ასტეხეს განგაში, რომ ეს არის ხალხის უფლებების უზურპაციაო და სხ.; ბულანჟე იძულებული შეიქნა თავი მოეკლა და გამოიცა კანონი 1889 წ. 17-VI „არავის შეუძლია კანდიდატად გამოსვლა ერთი ოლქის მეტშიო“.

ამნაირად, როდესაც საზოგადოება ჯერ კიდევ კლასობრივი სტრუქტურისაა როდესაც არსებობს პარტიული სიების სისტემა, და სადაც არის პროპორციული არჩევნები, აბსურდია იმის თქმა, რომ დეპუტატი მთელი ერის წარმომადგენელიაო.

ამიტომაცაა ჩვენი კონსტიტუციის პროექტის 54 მუხლი ბუნდოვანი: „პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ცალკე ოლქს, რომელმაც ისინი აირჩიაო“. აქ არა სჩანს „თვითეული“ წევრის შესახებაა ლაპარაკი, „ოლქის დეპუტატებზე“, თუ „ყველას“ შესახებ.

თუ აქ იმის თქმა უნდათ, რომ „თვითეული დეპუტატი წარმოადგენს მთელს ერსო“, ეს, როგორც ზევით დავინახეთ, არ შეესაბამება სინამდვილეს და არ ეგუება დემოკრატიას („დემოკრატიულს რესპუბლიკას“) და თუ ამას ამბობენ წარმომადგენლების შესახებ „მთლიანად“, ეს კიდევ მისაღებია, მაგრამ ოლქის გამო ლაპარაკი ზედმეტი ხდება.

ასე რომ, თუ ჩვენ მივიღებთ ოლქობრივს სისტემას, მაშინ ძალა უნებურად უნდა მივიღოთ ის ფიქციაც, ვითომ მიუხედავად იმისა, რომ კაცს ოლქში ირჩევენ, იგი მაინც მთელი ერის წარმომადგენელი არისო, – ეს კი არც საჭიროა და არც სასურველი. ორში ერთი უნდა მივიღოთ: ან მთელი რესპუბ-

ლიკა ერთს საარჩევნო ოლქად დარჩეს და მაშინ კიდევ მისაღებია ის ფიქცია, მაგრამ თუ ოლქებად დაიყო, დეპუტატებიც უნდა მივიღოთ, როგორც ოლქის დეპუტატები.

ოლქობრივი სისტემა თუ იქნა დატოვებული კონსტიტუციაში, მაშინ ისიც უნდა იქნას განსაზღვრული, თუ რამდენს ოლქში შეიძლება კანდიდატურის წამოყენება.

ამერიკაში კონსტიტუციურ ჩვეულებად განმტკიცდა, რომ კანდიდატი იმ ოლქის მცხოვრებიც უნდა იყოს, სადაც მისი კანდიდატურაა წამოყენებული.

აგრედვე ოლქობრივი სისტემა აადვილებს ნამდვილს დემოკრატიულს მოთხოვნას, რომ ამომრჩეველთ შეეძლოთ უკანვე გამოწვევა დეპუტატისა, თუ იგი გადაუხვევს მათს მიზნებს ან არ გაამართლებს მათს იმედებს.

აქვე იჩენს თავს საკითხი, აქვთ თუ არა უფლება ამომრჩეველთ განსაზღვრული დავალება დააკისრონ დეპუტატს და სხ. და სხ.

ასე რომ ოლქობრივი სისტემა თუ დარჩება, მაშინ ამგვარი მოთხოვნილებათა მთელი რიგი უნდა იქნას მხედველობაში მიღებული; ჩვენს პროექტში კი ეს არ არის გათვალისწინებული და ამ მხრით იგი უსრულია.

ოლქობად დაყოფა გვავალებს ყველა ეს მოთხოვნილებაც ავასრულოთ და მათი კონსტიტუციაში აღნიშვნა კი სასურველი არ არის.

ოლქობრივს სისტემას აგრედვე ბევრი ნაკლიცა აქვს. ოლქობრივი სისტემის ბრალია რამოდენიმედ ის, რომ ოლქის ერთეულში არჩეული დეპუტატები ერთგვარს პრეტენზიებს აცხადებენ ამ ოლქზე; მაგალითად ამ ოლქში მოსამსახურეთა და მოხელეთა დანიშვნა თავის უფლებად მიაჩნიათ და თავის კანდიდატს აყენებენ. ჩვენში ჯერ ახლა რამდენი უხერხულობაა ამ მხრით და ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება ოლქობრივი სისტემის დროს.

თუ ოლქები იქნება, ცხადია თვითეულს ოლქს უნდა მივაკუთნოთ პროპორციულის წესით განსაზღვრული რიცხვი დეპუტატებისა. ამისათვის კი ყოველი ახალი არჩევნების წინ უნდა მოხდეს ახალი აღწერა მცხოვრებთა, რადგანაც მცხოვრებთა რიცხვი აუცილებელი იქნება, თორემ შესაძლებელია ჩვენშიც განმეორდეს ინგლისის „დამპალი დაბების“ ისტორია, ე.ი. შეიძლება რომელიმე საარჩევნო ოლქი, თუ სულ არ დაიცლება, იმდენად მაინც შემცირდეს, რომ ათი დეპუტატის ნაცვლად ერთი ერგებოდეს, მაგრამ მაინც ათს ირჩევდეს შეიძლება ისიც მოხდეს, რომ რომელიმე ოლქი ხუთი-ათი წლის განმავლობაში და სამს წელშიაც ისე გაიზარდოს, რომ ორი იმდენი დეპუტატი ერგებოდეს, რამდენიც წინად ჰყავდა. ასეთი ხშირი აღწერა კი ძალიან კარგია, მაგრამ ისეთი ძნელია და ძვირი, რომ ჩვენი ხაზინა ამას ვერ შეძლებს.

ერთი დიდი ნაკლი აქვს იმ წესს, როდესაც მთელი რესპუბლიკა ერთს საარჩევნო ერთეულს წარმოადგენს. ეს ნაკლი ის არის, რომ ერთი გავლენიანი პარტია თვისი პოპულიარული და გავლენიანი ლიდერების სახელით დაჩრდილავს სხვა პარტიებს. შესაძლებელია თვით პარტიას არ მისცეს ბევრმა ხმა, მაგრამ როდესაც იგი ამ პარტიის სიის პირველს რიგში ამოიკითხავს საყოველთაოდ ცნობილს და პოპულიარულს პირებს, იგი ბრმავდება ამ

პიროვნებათა ავტორიტეტით და ხმას აძლევს მისთვის არა სასურველს პარტიას. ეს აშკარაა, მაგრამ ოლქობრივ სისტემის ნაკლი გაცილებით მეტია და ამიტომ ჩვენ ისევ ერთი მთლიანი საარჩევნო ერთეულის სისტემას ვირჩევთ.

ამნაირად 53 და 54 მუხლი ჩვენი შესწორებით ასეთი უნდა იყოს: § 53 პარლამენტის წევრთა ასარჩევად რესპუბლიკა ერთი მთლიანი ერთეულია.

პარლამენტის წევრები მთელი ერის წარმომადგენლები არიან.

§ 55. დეპუტატი განსაკუთრებით დემოკრატიაში, რესპუბლიკაში, („დემოკრატიულს რესპუბლიკაში") არა მარტო პარლამენტშია ვალდებული ფხიზლად მოეკიდოს თავის მოვალეობას და ემსახუროს ხალხს, არამედ იგი ყოველგან და ყოველთვის თვალსყურს ადევნებს, როგორც კანონმდებლობას, აგრედვე კანონის ასრულებას და აგრედვე მართლ მსაჯულებას. დეპუტატის შესახებ უნდა არსებობდეს, და არსებობს კიდეც, ისეთი პრეზუმცია, – თავის თავად იგულისხმება რომ იგი მუდამ „თავის მოვალეობას ასრულებს". მაშასადამე სრულიად ზედმეტია იმისი თქმა, რომ იგი პასუხს აგებს „იმ აზრსა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროსა"-ო.

აგრედვე ამ მუხლში ერთი ვრცლად და ბუნდოვნადაა ნათქვამი მისი შეპყრობის ან სამართალში მიცემის შესახებ და საბოლოდ ეს მუხლი ასე უნდა შესწორდეს: §54 (-55 პრ.) „არ შეიძლება პარლამენტის წევრის პასუხისგებაში მიცემა მის მიერ წარმოთქმული აზრისა და შეხედულებებისათვის". შემდეგ რჩება პროექტის ტექსტი, ხოლო კიდევ ჩაემატება: ... „გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ" და სხ.

§ 57 (-58 პრ.) ჩაემატოს „პროფესორი" იმათ რიცხვში რომელთაც შეუძლიათ იყვნენ ერთ და იმავე დროს დეპუტატიც. ერთი რომ ჩვენ უკვე გვაქვს კანონი და ტრადიციაც ასეთი შეთავსებისა და მეორე მხრით ეს სასარგებლოც იქნება. რასაკვირველია პარლამენტში რაც შეიძლება მეტი სერიოზული და მცოდნე პირები უნდა იყვნენ და მეორე მხრით ჩვენი უნივერსიტეტი ისე ღარიბია სამეცნიერო ძალების მხრით, რომ როდესაც ეს შესაძლებელია მას სრულიად არ უნდა გამოვსტაცოთ მეცნიერი. § 71 (72 პრ.) ამ მუხლში უნდა ამოიშალოს სიტყვა „ახლად". ხალხს უნდა ჰქონდეს საშუალება განუწყვეტლივ თვალყური ადევნოს კანონმდებლობას, დაიწუნოს, რაც არ მოსწონს, მოთხოვოს რა კანონიცა ჰსურს. პროექტი კი ამ უფლებას ზღუდავს და ხალხს აძლევს უფლებას ინიციატივისას, თაოსნობისას მხოლოდ „ახლად მიღებული" კანონის სარეფერენდუმოდ მოთხოვნას. მაგრამ თუ ამოვშლით სიტყვას „ახლად", მაშინ ხალხს უფლება ექნება, მოითხოვოს ხმის ჩამოტარება, როგორც ახალი ისევე ძველი კანონისათვის და აგრედვე დამზადებული პროექტიც მოაწოდოს პარლამენტს სარეფერენდუმოდ.

§ 72 (73 პრ.) ამ მუხლში უნდა ამოიშალოს მეორე ნაწილი ამ მუხლისა, ვინაიდან არავითარი მოსაზრება არ არსებობს იმის გასამართლებლად,

თითქოს არ შეიძლებოდეს ზედი-ზედ სამი წლის განმავლობაში (სესიის ვადა) არჩეულ იქნას თავმჯდომარეს და მის ამხანაგად ერთი და იგივე პირი. ერთად-ერთი მხედველობაში მისაღებია ხალხის ინტერესი და ამ თვალსაზრისით კი უფლების უზურპაცია ან სხვა რამ საშიშროება შეუძლებელია ამ მხრით. ზოგიერთს რესპუბლიკაში პრეზიდენტის შესახებაა ასეთი აკრძალვა გათვალისწინებული და ამას აქვს ერთგვარი საფუძველი, რადგანაც პრეზიდენტიდან მეფემდე ერთი ნაბიჯია.

ამ მეოთხე თავს უნდა ჩაემატოს შემდეგი მუხლები:

§ 73 (ახალი). „იმ მოხელეს და მუშა-მოსამსახურეს, რომლის კანდიდატურაც წამოყენებული იქნება, უნდა მიეცეს არჩევნების მომზადებისათვის არა ნაკლებ ორი კვირის შვებულება“.

§ 74 (ახალი.) „პარლამენტი ნიშნავს საგამომძიებლო პარლამენტის კომისიას, თუ ამას მოითხოვს პარლამენტის წევრთა ერთი მეოთხედი“. ეს აუცილებელი შესწორებაა შეკითხვის უფლებისა. ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილემ დაგვანახვა, რომ შეკითხვას ოპოზიციისას, რაც უნდა სამართლიანი და საბუთიანი იყოს იგი, ფაქტიური შედეგი არ მოსდევს. უმრავლესობის პარტია იმის შიშით, რომ მათს მთავრობას უნდობლობა არ გამოუცხადონო, აშკარა უწესოებასაც კი ხელს აფარებს და შინაურული წესით ასწორებს, თუ მოისურვებს მითითებულ დეფექტებს მაგრამ თუ ერთი მეხუთედის მოთხოვნით პარლამენტი დანიშნავს გამოძიებას, მაშინ ხალხს ექნება ერთგვარი გარანტია, რომ უმრავლესობის პარტიის უპასუხისმგებლობა არ იქნება. ეს სასარგებლო იქნება, ვინაიდან მთავრობისთვის უნდობლობის გამოუცხადებლადაც შესაძლებელი გახდება იმისი გამორკვევა მართალია თუ არა ოპოზიციის მიერ აღნიშნული დეფექტები.

თავი მეექვსე

სასამართლო

Quod principis placuit legis habet vigorem – „რასაც მეფე დაადგენს – კანონის ძალა აქვსო“. ასე დახასიათდება ის სახელმწიფო, სადაც მთელი ძალა-უფლება და ხელისუფლების ყველა ფუნქცია ერთის ხელში არის.

ძველს აბსოლიუტურს სახელმწიფოში არავითარი განსხვავება კანონსა და თვითმპყრობელის ნება-სურვილს შორის არ არსებობს.

მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში საყოველთაოდ ცნობილია აუცილებლობა იმისა, რომ მეფის უფლება კანონზე მაღლა სდგას. მეფეა წყარო კანონისა და ყოველი ნორმისა, მაგრამ ამ კანონთა და ნორმათა ძალა ვერ ადის „მეფის ტახტის სიმაღლემდე“.

ძველს მონარქიაშიაც არის, ეგრედწოდებული, ადმინისტრაციული კანონები, მაგრამ მათ ძალა აქვთ ქვევით მდგარ ხელის-უფლებაზე და განსაკუთრებით ქვეშევრდომებზე, მაგრამ არა ვრცელდება თვითმპყრობელზე.

რასაკვირველია, ქვეშევრდომს არა აქვს არავითარი უფლება იმ მმართველი ხელისუფლებისადმი, რომელიც კანონის მაღლა სდგას და ეგრედ წოდებული კატეგორია სუბიექტიური საჯარო უფლებისა – უფლება მოქალაქეთა, ამ რეჟიმმა არ იცის, – იქ არის უფლებანი მხოლოდ წოდებათა და არა უფლება მოქალაქისა და იქ თვით მოქალაქეც არ არსებოს.

აბსოლიუტური მონარქიების ქვეშევრდომს, როდესაც რაიმე განკარგულება და ბრძანება არღვევს და ჰლახავს მის ინტერესებს, ამის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ჩივილი შეუძლიან უფროსებთან, მაგრამ მას არა აქვს უფლება სასამართლოში საჩივრის ან სარჩელის აღძვრისა.

აბსოლიუტურს წესწყობილებაში არის ქვეშევრდომი, რომელიც კანონის თვალში ობიექტია და არ არსებობს. მოქალაქე, რომელსაც აქვს მთელი კომპლექტი მოვალეობათა და უფლებათა.

უმთავრესი დამახასიათებელი პრინციპი აბსოლიუტიზმისა ხელისუფლებათა დიფერენციაცია, განვითარება, კანონმდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლება და სასმართლო შეგროვილია თვითმპყრობელის ხელში.

მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიის განმათავისუფლებელი იდეების მეოხებით დამკვიდრდა ეს განვითარება კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლებისა, მაგრამ რაც შეეხება სასამართლოს, იგი ამ აბსოლიუტიზმის დროსაც ახერხებდა, ასე თუ ისე დამოუკიდებელს არსებობას.

მართალია, ყოველი სასამართლოს საქმე შეეძლო შეეჩერებინა, თავის განხილვაში აეღო, ჩარეოდა სასამართლოს უმაღლესი მთავრობა, მეფე და ამ „უფლების“ გამომხატველი ნორმებიც კი არსებობდა საფრანგეთში – „Jusfice refenue“ და გერმანიაში „Machtsprücse“ მაგრამ მაინც ერთგვარად სასამართლო კანონს ექვემდებარებოდა.

ერთი მხრით, ასე ვსთქვათ, ასეთს „თავისუფლებას სასამართლოსას“ ხელს უწყობდა ის, რომ მაგალითად, საფრანგეთში მოსამართლის თანამდებობის ყიდვა შეიძლებოდა. და ცხადია მოსამართლე, რომელსაც ნაყიდი ექნებოდა თანამდებობა, ეცდებოდა სხვისგან რაც შეიძლება ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყო, მონტესკიემ, რასაკვირველია, იცოდა ეს შედარებით დამოუკიდებელი მდგომარეობა სასამართლოსი და ამართლებდა კიდეც თანამდებობის ყიდვის სისტემს, რადგანაც მისი აზრით ასეთი წესის მეოხებით უფრო ძნელი იქნება საქმის მოჭახრაკება და ნათლიმამობაო.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გერმანიაში თანდათან უფრო და უფრო ნაკლებ ერევა სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროში უმაღლესი ხელის-უფლება, პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ პირველი 1739 წელს იმუქრება, რომ იგი შეუბრალებლად ჩამოახრჩობს „ძაღლთან ერთად“ ყველას ვინც მას მიმართავს სასამართლოს მიერ გარჩეული საქმისათვის და 1752 წლის ოქტომბრის 22-ს რესკრიპტით აცხადებს, რომ იგი არ ჩაერევა

სასამართლოს საქმეებში და თავის საქმეებშიც თითონაც სახელმწიფოს კანონებს დაექვემდებარება.

1772 წელს უკვე მთავრობის განცხადებით სასამართლოს უპირველესი საფუძველია, რომ არც ერთი საქმე, რომელიც უკვე გაირჩა სასამართლოს უკანასკნელს ინსტანციაში, არ შეიძლება გადასინჯული იქნასო.

რუსეთში პეტრე დიდმა რომ სენატი დააწესა, თან რეკეტმეისტერის თანამდებობის დაარსებისას უქაზით აკრძალა სენატის გადაწყვეტილების გასაჩივრება. სენატი მისი უდიდებულესობის უმაღლესი რწმუნებულია, უაღრესად პატიოსანთა და ცნობილთაგან შესდგება იგი და მის იქით არავის სათხოვნელი გზა არა აქვს და ვინც გაბედავს ასეთს კადნიერებას იგი სიკვდილით დაისჯებაო. ტენდენცია სასამართლოს „დამოუკიდებლობისა“ ასეთი იყო პეტრეს დროსაც. მაგრამ სამოქალაქო და სისხლის სასამართლო კანონს დაექვემდებარა მხოლოდ ალექსანდრე მეორის რეფორმის წყალობით.

თუ როდისმე იურიდიულს ნორმებს, კანონს აქვს და უნდა ჰქონდეს უაღრესად ავტორიტარული ხასიათი და ძალა, თუ როდისმე კანონი უნდა იყოს საფუძველი საზოგადოებრივი ურთიერთობისა სახელმწიფოში, ეს არსებობს და ხორციელდება მხოლოდ კონსტიტუციურს სახელმწიფოში, ე.ი. ისეთს სახელმწიფოში, სადაც უკვე აღარ არის ქვეშევრდომი, არამედ არის სუბიექტი კერძო და საჯარო უფლებათა მოქალაქე.

ყველასთვის, ვისაც კი სწამს და ვინც იღებს სახელმწიფოს, ე.ი. არ უარჰყოფს ფორმასთან ერთად თვით იდეას სახელმწიფოსას, აუცილებელია ცნობა და მიღება იმ სისტემისა, სადაც არც ერთი ხელის უფლება კანონზე მაღლა არა სდგას და მხოლოდ ასეთს სახელმწიფოს ეწოდება „უფლებრივი სახელმწიფო“.

მხოლოდ უფლებრივს სახელმწიფოშია აღმასრულებელი ხელისუფლება დაქვემდებარებული კანონმდებელს ხელისუფლებას და მხოლოდ იმ წესწყობილებას შეგვიძლია დავარქვათ „უფლებრივი“ სადაც ეს ასეა და აი სასამართლო მოწოდებულია დარაჯად უდგეს ამ უფლებრიობას.

სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის მიზანშეწონილების, საზოგადოებრივი ან კერძო სარგებლიანობის თვალსაზრისით ხელმძღვანელობა, არამედ იგი თვისი განაჩენით. აღნიშანავს უფლების არსებობას და განამტკიცებს, იცავს ამ უფლებას, თუ იგი შელახულია.

„აღნიშვნა უფლებისა უფლების დასაცავადო, აი ეს არის მოსამართლის დანიშნულებაო“ ამბობს მეცნიერება, თუ კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება თვითმოქმედია და აქტიური, თუ იგი ხელმძღვანელობს კერძო და საზოგადოებრივს ინტერესებს, სასამართლო სრულიად უმოქმედოა მანამ, სანამდის მას არ მოუწოდებენ დარღვეული უფლების დასაცავად, სანამ არ დარღვეულა უფლება. „სადაც არ არის დავა – იქ არ არის სასამართლო“... „მოსამართლეს ჰკითხავენ – იგი უპასუხებსო“ სწერს ვ.მ. გესსენი.

უფლებრივს სახელმწიფოში მოქალაქე პოულობს, იღებს უკვე უფლებებს და ამ უფლებებს ელინეკი სამ ჯგუფად ჰყოფს 1. უფლება თავისუფლებისა

ე.ი. განთავისუფლება მოქალაქისა, თუ ასე ითქმის სახელმწიფოს მეურვეობისაგან (От опеки) და მიღება სიტყვის, წერის სინდისის, კრების, კავშირის და სხვა და სხვა თავისუფლებისა. ამ უფლებათა დასაცავად მოქალაქეს აქვს უფლება საჩივრისა, სარჩელისა. 2. მეორე ჯგუფს შეადგენს ყოველივე ის, რისი მოთხოვნის უფლებაცა აქვს მოქალაქეს სახელმწიფოსაგან, რაც შეადგენს სახელმწიფოს მოვალეობას და მოქალაქის უფლებას, როგორც მაგალითად, უფლება საჩივრის აღძვრისა, მოთხოვნა სამართლისა. და 3. მესამე კატეგორიაა – პოლიტიკურ უფლებანი, ე.ი. უფლება სახელმწიფოებრივი ხელისუფლებაში მონაწილეობისა. (არჩევნები და სხვ.)

ყოველივე ამ უფლების დასაცავად საჭიროა არსებობდეს გარანტია და ერთ-ერთს ასეთს გარანტიას წარმოადგენს ადმინისტრაციული იუსტიცია, რომელსაც მეცნიერებაში განსაზღვრავენ როგორც ისეთს სასამართლოს, რომელიც აუქმებს ადმინისტრაციული ხელისუფლების უკანონო განკარგულებათ.

ფრანგი და გერმანელი სახელმწიფოებრივი უფლების მეცნიერნი თითქმის ყველაფერი იმ თეორიის მომხრენი არიან რომ ადმინისტრატიული სასამართლოები მოწოდებულია ყოველივე ხელისუფლების უკანონოთ მოქმედების და განკარგულების გასაუქმებლად და უფლებრივი წონა-სწორობის აღსადგენად. აგრედვე უფლებრივს სახელმწიფოში უნდა არსებობდეს საქალაქო და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა ხელისუფლებათა ყველა წარმომადგენლისა და თვით მინისტრებისაც.

ეს მდგომარეობა იწვევს აგრედვე იმ გარემოებას, რომ თანდათან სუსტდება და ბოლოს სულაც უქმდება ეგრედ წოდებული „ადმინისტრატიული გარანტია“ რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მოხელის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლებოდა, თუ არ მისი უფროსის ნებართვით.

ხელისუფლებათა განვითარების თვალსაზრისით (Separation des pouvoirs) რასაკვირველია მიუღებელია ეს „ადმინისტრატიული გარანტია“, ვინაიდან თუ აღმასრულებელი ხელისუფლება დაქვემდებარებულია კანონმდებელს ხელისუფლებას კანონის და უფლების დარღვევის განხილვა და აღდგენა უნდა ჰქონდეს მინდობილი დამოუკიდებელს საერთო სასამართლოს.

კანონი ის არის, რაც ბატონს მოეპრიანებაო, თუ ამ პრინციპზე იყო აგებული აბსოლუტური სახელმწიფოები, უფლებრივი და მით უმეტეს ხალხოსნური სახელმწიფო, რესპუბლიკა, დემოკრატია ანხორციელებს და ემყარება ძველს რომაულს პრინციპს: lex est qouh populus jubet atque constitiut.

ჩვენი პროექტიც კონსტიტუციისა ამ პრინციპზეა აშენებული.

ბევრი რამ, რაც აღნიშნულია ჩვენი კონსტიტუციის პროექტში, გადმოღებულია ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლად არსებობის სინამდვილიდან და ეს უფრო ითქმის სწორედ სასამართლოს შესახებ. ნაშენობა, კონსტრუქცია სასამართლოსი ჩვენში დარჩა ისეთივე, როგორიც იყო რუსეთში, ხოლო რევოლიუციის სინამდვილემ შეიტანა ის ახალი უაღრესად დემოკრატიული პრინციპები, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ და განვიხილეთ.

სენატია ის უმაღლესი ინსტანცია, რომელსაც ევალება „თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას“ და იგია საკასაციო ინსტანცია.

ჩვენს პროექტში მტკიცედ გატარებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა და აგრედვე იგი დაქვემდებარებულია კანონს. მის საქმეში ჩარევა, ან მისი საბოლოო დადგენილების შეცვლა-შეჩერება არავის ძალუძს.

აგრედვე ჩვენი კონსტიტუციით გაუქმებულია ყოველგვარი განსაკუთრებული ან წოდებრივი სასამართლონი, ყოველი მოქალაქე გასამართლებული უნდა იქნეს საერთო წესითაო“ ამბობს 23 მუხლი და გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ დისციპლინარული წესი, მაგალითად სამხედრო უწყებაში.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი პროექტით „ყოველგვარი სისხლის სამართლის, პოლიტიკურის და აგრედვე ბეჭვდითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“ და ჩვენს სინამდვილეშიაც უკვე მიღებულია იგი, ამის სასურველობას და საჭიროებას მტკიცება არ ესაჭიროება ჩვენთვის ჩვენი ხალხისათვის, – იმათთვის, ვინც მთელი ნახევარი საუკუნე იმას ვევედრებოდით რუსეთის მთავრობას, რომ ჩვენთვისაც მიენიჭებინათ ეს ინსტიტუტი.

მაგრამ იმათთვის, ვინც ჰფიქრობს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საჭირო იყო მხოლოდ აბსოლიტიზმის და თვითმპყრობელობის რეჟიმში და რაკი ჩვენ დღეს ხალხოსნური სახელმწიფო გვაქვს, იგი ვითომ საჭირო არ იყოს, საჭიროდ ვსცნობ შემდეგი აღვნიშნო.

სწორედ იქ, სადაც ხელმწიფება ხალხს ეკუთვნის და ხალხია გამგებელი და ბატონ-პატრონი თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, თვისი წევრთა მოქმედების განსჯაც მას უნდა ჰქონდეს.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ საუკეთესო ფორმად საზოგადოებრივი ცხოვრებისა ჩვენ მიგვაჩნია „უმეშვეო დემოკრატია“. წარმომადგენლობითი სისტემა წარმოადგენს კომპრომისს „უმეშვეო დემოკრატიის“ ტეხნიკურად განუხორციელებლობის წინაშე, თორემ სასურველობის თვალსაზრისით, უმჯობესია „პირდაპირი კანონმდებლობა“. „პირდაპირი ხალხის განმგებლობა“ და მაშასადამე ხალხის მიერ საჯარო გასამართლებაც. თეორიულად ამის საწინააღმდეგოდ შეუძლებელია რისამე თქმა, ვინაიდან ულოღიკობა იქნებოდა გვეთქვა: ხალხს შეუძლია კანონმდებლობა (წარმომადგენელთა სახით), მაგრამ ამ კანონების აღსრულება და მოქალაქის მოქმედებათა აწონვა ამ კანონების სასწორზე კი არ შეუძლიაო.

ტეხნიკურად დღეს „ფორუმზე“, „ვეჩეზე“ გასამართლება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ამის გამოსასწორებლად გვაქვს მიღებული კომპრომისი – წარმომადგენლობითი სისტემა და აი ეს „ნაფიცი მსაჯულებიც“ არიან ხალხის საზოგადოების სინდისის წარმომადგენლები.

თავი მეთორმეტე

სწავლა-განათლება და სკოლა

ყოველ შემთხვევაში სოციალისტური პარტიებისთვის სადაო არ არის, რომ ამ თავითვეა საჭირო მომავალი სოციალისტური სახელმწიფოსათვის ნიადაგის მომზადება და ამ მუშაობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მოქალაქე ერთ-ერთს დარგს ტეხნიკისას, ერთ-ერთს პროფესიას უნდა იცნობდეს. ამიტომ პირველწყებითს სასწავლებელში, სადაც ახალი თაობა უფასოდ იღებს განათლებას, ერთ-ერთი ხელობაც უნდა იყოს სავალდებულო ბავშვის ნიჭის მიხედვით.

ამისთვის 124 მუხლს უნდა ჩაემატოს ცალკე აბზაცად: „პირველდაწყებითს სასწავლებელში სავალდებულოა საპროფესიო განათლება“.

რასაკვირველია, დემოკრატიულს რესპუბლიკაში სწავლა-განათლება, სკოლების გახსნა, რაც შეიძლება, თავისუფალი უნდა იყოს. ყოველს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება საკულტურო დაწესებულებათა დაარსებისა, მაგრამ რესპუბლიკის კანონებს და წესებს მაინც უნდა ემორჩილებოდეს ყველა ეს არის აღნიშნული 126 მუხლში, მაგრამ „კანონს“ შემდეგ უნდა მიემატოს „და განკარგულებებს“.

თავი მეცამეტე

სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მუხლი 128 უნდა ამოიშალოს, ვინაიდან თავის თავად იგულისხმება, რომ რესპუბლიკა ხალხის კეთილდღეობისათვის უნდა ზრუნავდეს. მაგრამ ეს აზრიც უხეიროდაა ამ მუხლში გამოთქმული; მაგალითად რას ნიშნავს „მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის“ ზრუნვა? რა საზომია ამ „ღირსეული არსებობისათვის“? ეს იმდენად ფართო ფორმულაა, რომ არავითარი შინაარსი აღარ რჩება და მნიშვნელობა აღარა აქვს.

მუხლი 129-ში უნდა ამოიშალოს სიტყვა „საფასურით“, სოციალისტური თვალსაზრისით კერძო საკუთრებას დიდი ხანია ჩამოეცალა ეს შარავანდედი, რომლითაც ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურს წეს-წყობილებაში, იგი შემოსილი იყო. თეორიები კერძო საკუთრების ინსტიტუტის სამართლიანობისა და აუცილებლობისა, ხელშეუხებლობისა დიდი ხანია დაიმსხვრა. კერძო საკუთრებას შეადგენს ან ის, რაც ბუნებით შექმნილია, რის შექმნაში შრომას ადგილი არა ჰქონია, როგორც მაგალითად, მიწა და აქ ცხადია, არა თუ

„სამართლიანობა“, უსამართლობაა მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა. მიწა არავის შეუქმნია და მისი დაჩემება, მისაკუთრება მხოლოდ ისტორიული უსამართლობაა, რომელიც უნდა მოისპოს და მიწა უნდა საერთო კუთვნილებად გადაიქცეს.

მაშასადამე როდესაც სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ვისმე მიწა ჩამოერთმევა, არავითარი საფასური მას არ უნდა მიეცეს და შეიძლება ანაზღაურება იმ შრომისა და კაპიტალისა, რომელიც მიწის გაუმჯობესებისათვის მესაკუთრეს დაუხარჯავს. თუ ამ ჩამორთმევით მესაკუთრეს მოესპო ცხოვრების საღსარი, სახელმწიფომ აღმოუჩინოს მას დახმარება, მაგრამ დაკანონება იმისა, რომ უეჭველად საფასური მიეცესო, მისაღები არ არის. იგივე პრინციპი უნდა დაედვას ქალაქის უძრავი მამულების და შენობების ჩემორთმევას.

პრინციპი სოციალიზაციისა უნდა დაედვას საფუძვლად ჩვენი რესპუბლიკის სოციალურს ურთიერთობას, მაგრამ ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარების პროცესში კი იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მიცემა იმ საფასურისა, რომელიც პატრონს დაუხარჯავს და არ ამოუგია, მაგრამ აქაც შეუძლებელია კონსტიტუციაში კატეგორიულად აღინიშნოს, რომ საფასური მიეცემაო.

მუხლ. 130-ს ჩაემატოს და „სასოფლო“ სამეურნეო, ვინაიდან მეურნეობა ზოგად მცნებად გადაიქცა და აქ კი უნდა ცხადად იყოს ნაჩვენები, რომ ეს მუხლი გულისხმობს აგრედვე „სასოფლო-სამეურნეო“ დარგსაც.

მუხლი 137. 5 პროცენტი გადიდდეს 10 პროცენტამდე.

მუხლი 138 ჩაემატოს 42 საათის შემდეგ: „ყოველ მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს წელიწადში ერთი თვის შვებულება ჯამაგირის შენახვით“.

მუხლი 140. ამ მუხლის პირველს აბზაცს უნდა მიემატოს: „დააწესოს თანასწორი ხელფასი თანასწორს მუშაობაში სქესის განურჩევლად“. და ამავე მუხლში მიემატოს ახალი აბზაცი: „უნდა დაწესდეს მუშათა მონაწილეობა წარმოების ორგანიზაციაში და მათი კანტროლი“.

თავი მეთოთხმეტე

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

ჩვენს კონსტიტუციაში ორნაირად ისმება ერთნაირი საკითხი: გათვალისწინებულია ავტონომიები და ამის გარდა გარანტიები ერთეული ერის სხეულში ჩათესილ ეროვნებათა უმცირესობათა უფლებებისა.

საერთოდ ეროვნული საკითხის განხილვის და გადაწყვეტის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ თითოეულ კონკრეტულს შემთხვევაში

ვისთან გვაქვს საქმე – არის ესა თუ ის ერთეული ეროვნულად განსხვავებული ჩვენგან, თუ იგია ეროვნულად ქართველი ერის შემადგენელი ნაწილი.

ჩვენ გვაქვს სახელმწიფო და ვინაიდგან სახელმწიფო არ არის გარეშე ტერიტორიისა მოქალაქეთა და სახელმწიფოებრივი აპარატისა, ჩვენც მოვალე ვართ ამ სამს ელემენტს მოუაროთ, შემოვუფარგლოთ სხვა და სხვა პრინციპების მიხედვით (გეოგრაფიული, ეთნიურ-გეოგრაფიული, ეთნიურ-ეთნოგრაფიული, ისტორიული, სტრატეგიული და სხ.) ქართველი ერი მრავალ შტოიან და მრავალ ტომიანი ერია, მაგრამ თვით ისტორიულს შორეულს წარსულშიაც კი, როდესაც დიდი პარტიკულიარიზმი, დიდი დანაწილება იყო ამ ერთეულის, მაშინაც კი მეგრელი, სვანი, თუ ფშავ-ხევსური, იმერელი და ქართლ-კახელი ერთი ეროვნული ორგანიზმი იყო. და თუ იყო იგი განვითარებული, დანაწილებული, ეს იყო დამახასიათებელი თვისება ფეოდალიზმისა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს ევროპაში.

ავტონომია, ეროვნული ერთეულის გამოცალკევება მხოლოდ იქ არის აუცილებელი და სასურველი, სადაც ეროვნულად განსხვავებული ერთეული ითქვიფება უცხო ეროვნებაში, სადაც იკარგება ეროვნული სახიერება.

ან ეროვნული სხვაობა, ან ტერტორიალური სიდიდე, ან ეკონომიური ინტერესები უნდა ამართლებდეს ავტონომიური ურთიერთობის დამყარებას სხვა და სხვა ერებს შორის.

ყოველი ერი, მიუხედავად მისი ფიზკური და კულტურული სხვაობისა, უნდა ჩავთვალოთ თანასწორი ღირებულებისად ისევე, როგორც ჩვენ ვიღებთ თანასწორობას პიროვნებათა შორის, მიუხედავად მათი ფიზიკური, ზნეობრივი და კულტურული განსხვავებისა, ვინაიდგან, როგორც კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, კულტუროსნობა ამა თუ იმ ერისა, დროისა და გარემოების ნაყოფია და განუზომელია პოტენცია ერისა, სანამ მის ჟამს არ დაუკრავს.

აქედან გამომდინარეობს ერის უფლებაც და არც ერთს ძლიერს, კულტუროსანს ერს არა აქვს უფლება გაუბატონდეს სუსტსა და უკულტურო ერს, შეზღუდოს მისი ეროვნული უფლებები და გასთქვიფონ იგი თავის საშოში.

ეროვნული ავტონომია ერთ-ერთი იარაღის პატარა ერისა იმისათვის, რომ მან შეინარჩუნოს თვისი ეროვნული თავისებურობა, განავითაროს თვისი ეროვნული ნიჭი და თავის წვლილი შეიტანოს საკაცობრიო კულტურის სალაროში.

ასეთი ავტონომია მით უფრო აუცილებელი ხდება ერისათვის, რამდენადაც მეტი საფრთხე მოელის მას მეორე ერის ეროვნული ზეგავლენის მხრით, მაგრამ სადაც ფაქტიურად ასეთი წყობილება არ არის და არც შეიძლება იყოს, იქ ზედმეტია „ეროვნული ავტონომია“.

ასეთი ხელოვნური ავტონომიები მხოლოდ დაასუსტებს როგორც ცენტრად მისწრაფს, აგრეთვე ცენტრით მსრბოლს ერთეულს.

თუ ქართველი ერის სხვა და სხვა ტომთა შორის საჭიროა იყოს რაიმე ხაზი, თუ საჭიროა მათი ერთეულებად ორგანიზაციისა, ეს მხოლოდ იმდე-

ნადაა სასურველი და აუცილებელი, რამდენადაც ხელს შეუწყობს მართველობის დემოკრატიზაციას, მმართველობის დაახლოებას ხალხთან. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდნენ ტერიტორიალური თვითმართველოსანი ერობების თუ სხვა რამ ორგანიზაციების სახით და ჩვენს რესპუბლიკაში ერთობათა კონსტრუქცია სავსებით აკმაყოფილებს სახელმწიფოს დემოკრატიას. უფრო მეტიც ითქმის, ჩვენი ერობები უახლოვდებიან პოლიტიკურ ავტონომიის საზღვრებს.

ჩვენ მხოლოდ ეროვნული თვალსაზრისით ვეხებით ავტონომიის საკითხს და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ხომ შეიძლება უფრო მეტად დამტკიცდეს უვარგისობა „ავტონომიებისა“, როგორც დედა-საქართველოსთვის, აგრეთვე იმ ერთეულთათვის რომელთაც აქვთ ცენტრით მრბოლი ტენდენციები.

მაშასადამე, თუ არ ისმის საკითხი სვანეთის, სამეგრელოს, გურიის, კახეთის პოლიტიკური ავტონომიებისა, შეუძლებელია არსებობდეს საკითხი მაგალითად „სამუსულმანო საქართველოს ავტონომიისაც“.

ისტორიის ზეგავლენით და გაუგებრობის ნიადაგზე ხშირად ხდება აღრევა ეროვნული და სარწმუნოებრივი სხვაობისა, ხშირად სარწმუნოებრივს სხვა და სხვაობას სახავენ ეროვნულ სხვა და სხვაობად და ამ ნიადაგზე იქმნის ილუზია „ეროვნული ერთეულისა“.

აჭარელი ეროვნულად ისეთივე ქართველია, როგორც გურული: ერთი ენით ზნე-ჩვეულებით, მოდგმით, და მათ ანსხვავებთ მხოლოდ რჯული, სარწმუნოება. ლაზი, ან ჭანი იგივე მეგრელია და ორივე კი ერთი შტოა ქართველთა მოდგმის ხალხისა და მათი ეროვნული კულტურის წინსვლა შესაძლებელია მათი თანაშრომლობით ისტორიის ასპარეზზე.

რა თქმა უნდა შესაძლებელი და აუცილებელიც იყო სამუსულმანო საქართველოს მინიჭებოდა ფართო თვითმართველობა, მაგრამ ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომია მათი არ არის გამოწვეული ეროვნული პრობლემის, ეროვნული საკითხის მოსაწესრიგებლად და ამ მიზნით.

ეს ასეა ეროვნული პრობლემის თვალსაზრისით, მაგრამ პოლიტიკური კონსტრუქტის ზეგავლენით საქართველომ აღუთქვა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია და კონსტიტუციაშიაც აღნიშნულია იგი და ამ ისტორიული ფაქტის წინაშე ვალდებულნი ვართ ქედი მოვიხაროთ, ხოლო ჩვენს ტაქტზე და სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნარზე ჰკიდია რა კონკრეტიულს ფორმაში ჩამოისხმება ეს ავტონომია.

ჯერ-ჯერობით ასეთივე გამოურკვევლობის ან რკვევის ხანაშია აფხაზეთის ავტონომიის საკითხიც. საქართველომ აღიარა აფხაზეთის ავტონომია და კონსტიტუციაშიაც აღნიშნულია ეს.

იმ თვალსაზრისით, რომელიც ზევით განვავითარეთ, რომ ავტონომიის საჭიროება აქვს მხოლოდ ეროვნებით განსხვავებულს ერთეულს, აფხაზ ერს უეჭველად აქვს უფლება ავტონომიისა. ე.ი. აქვს უფლება შემოიკრიბოს მთლიანი აფხაზთა ერი, მოამწყვდიოს იგი ეროვნულს ფარგლებში, გაუძღვეს

თავის ეროვნულს კულტურას, არ გაითქვიფოს სხვა ერში და ამ ეროვნული სახით შევიდეს საკაცობრიო ოჯახში. ხოლო ეროვნული პრობლემის თვალსაზრისით სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა მოდგმის ხალხი თვით აფხაზეთში უმცირესობას შეადგენს (იხ. უკანასკნელი გამოკვლევა პ. ინგოროყვასი. ხელნაწერი მოეპოვება დამფუძნებელი კრების თვითმართველობათა კომისიას).

რთულია საკითხი აფხაზეთის ავტონომიისა, იგი ჯერაც კვლევის საგანია სხვა და სხვა კომისიებისა და არ ვიცით რა შინაარსს მიიღებს ეს ავტონომია, მაგრამ უფლება აფხაზების მხარესა ავტონომიის მოთხოვნაში და ის სიძნელე, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ თვით აფხაზნი უმცირესობას წარმოადგენენ სოხუმის ოლქში, შეიძლება დაძლეულ იქნეს ეროვნული უმცირესობათა უფლებათა გარანტიების მოშველებით.

მაგრამ როდესაც ვმსჯელობთ ეროვნული უმცირესობის უფლებების შესახებ, კონსტიტუციის 144 მუხლში ჩვენ უნდა ავღნიშნოთ ერთი გაუგებრობა.

ეს მუხლი ანიჭებს სრულს საშუალებას ყოველს ეროვნულს უმცირესობას ეროვნული კულტურით სარგებლობისას და განვითარებისას, მაგრამ რომელ „პოლიტიკურ თავისუფლებაზე“ შეიძლება აქ ლაპარაკი!

„არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური (!), სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება“-ო. არის ნათქვამი ამ მუხლში.

ჩვენ არ გვესმის რას უნდა ჰნიშნავდეს „პოლიტიკური თავისუფლება უმცირესობისა“ იმის გარეშე რა პოლიტიკური თავისუფლებაცა აქვს რესპუბლიკის ყოველს მოქალაქეს, მათს საზოგადოებათ, ორგანიზაციებს და კავშირებს?!

„თავისუფალი პოლიტიკური განვითარება“ მხოლოდ პოლიტიკურს, სახელმწიფოებრივს ერთეულს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნული უმცირესობანი წარმოადგენენ და უნდა წარმოადგენდენ კიდეცა მხოლოდ და მხოლოდ კულტურულს ერთეულს და არა პოლიტიკურს. თუ ჩვენ ეროვნულს უმცირესობას მივანიჭებთ პოლიტიკური მთელის უფლებებს, მას ჩვენ უნდა მივანიჭოთ სახელმწიფოებრივი ფუნქციები და ეს იქნება ავტონომია პოლიტიკურ-ეროვნული, მაგრამ ამ თავში აღნიშნული უფლებები უმცირესობათა არ ამჟღავნებენ ავტონომიას პოლიტიკური უფლებანი და თვისუფლებანი აღნუსხულია სხვა მუხლებში და თავებში ყველა მოქალაქისათვის და ამ თავში აღნიშნული ერთეულები, ეროვნული უმცირესობანი, ე.ი. სხვა ერის უმცირესობანი ქართველი ხალხის ტერიტორიაზე და რესპუბლიკაში და არა როგორც ერთი მთლიანი, შემოზღუდული ეროვნული ერთეული, ეროვნული პოლიტიკური ცხოვრება, ეროვნული სახელმწიფო აქვთ იქ, სადაც ბინადრობს მათი დედა ერი. მათი ეროვნული კულტურის კერა გაჩაღებულია არა საქართველოში, არამედ იქ, მათს სამ-

შობლოში და მათ აქვსთ უფლება მოსთხოვონ საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ ის, რომ ისინი ეროვნულად არ მოწყდნენ სრულიად თვის ერს, მის კულტურას, მის ენას.

დედა-ენა, დედა ერის ზნეჩვეულება, მისი სარწმუნოება, ხელოვნება და სხვა ამგვარი ღირებულებაა, თუ გააჩნია რომელიმე ერის უმცირესობას სადმე და ეს უმცირესობა სცნობს საჭიროდ იქონიოს სულიერი კავშირი ამ ეროვნულ ღირებულებებთან, ჩვენ ვალდებულნი ვართ მივსცეთ ამის საშუალება ჩვენს მოქალაქეებს, მივსცეთ უფლებები, რაიც საჭიროა ამისათვის, მაგრამ პოლიტიკურ ერთეულად მათ ვერ დავსახავთ.

ყველა ეროვნული უმცირესობა უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ იგი უმცირესობაა სხვის სახელმწიფოში და ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეურიგდება სახელმწიფოში სახელმწიფოს. ჩვენ ეროვნული საკითხი გადაწყვეტილად მიგვაჩნია, თუ ვიღებთ და ვცნობთ ეროვნული ერთეულის სრულს პოლიტიკურ თავისუფლებას. ეროვნულს სახელმწიფოს და ამ სახელმწიფოში ეროვნული კულტურის გაჩაღებას; მეორე მხრით ყოველ სახელმწიფოში თუ ვანიჭებთ სხვა ერის უმცირესობის კულტურულად განვითარებას.

ყოველმა ერმა თავისი კულტურა უნდა განავითაროს, თავისი ეროვნული არსებობა დაიცვას თავის ხარჯზე და საკაცობრიო ასპარეზზე გააჩაღოს ერების თანამშრომლობა, მაგრამ შეუძლებელია ეროვნული ცენტრის შექმნა ყველგან, სადაც კი ჩათესილია რამოდენიმე რიცხვი ამა თუ იმ ერისა.

სრულს სახელმწიფოებრივს ავტონომიას მოითხოვენ ირლანდიელები ინგლისელებისაგან, მაგრამ არა მგონია ირლანდიელმა პატრიოტმა ინგლისს აგრედვე მოსთხოვოს ხელმწიფების უფლებები იმ ირლანდიელებისათვის, რომელნიც იცხოვრებენ ინგლისში და ერთ და იმავე დროს არ იქნებიან ორივე სახელმწიფოს მოქალქენი (თუ ორი სახელმწიფოს მოქალაქეობა იქნება დაშვებული).

ირლანდიელს ინგლისში ექნება მხოლოდ ის პოლიტიკურ უფლებები, რაცა აქვს ინგლისის მოქალაქეს, მაგრამ როგორც უმცირესობას, მას უნდა მიენიჭოს კულტურული განვითარების თავისუფლება ეროვნულს ნიადაგზე.

ჩვენს ავტონომიას მოვითხოვდით რუსეთის სახელმწიფოში საქართველოსათვის, ჩვენ არ გვქონდა წარმოდგენილი, რომ ქართველთა კოლონიას პეტერბურგში ან მოსკოვში ჰქონოდეს იგივე სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური უფლებები, რომელნიც ექნებოდა ავტონომიურს საქართველოს. (კანონმდებლობა) მაგრამ უეჭველად კი მოვითხოვდით, რომ პეტერბურგელს ქართველს მისცემოდა უფლება და საშუალება აღზრდისა თავის დედა ენაზე და განვითარება და სამსახური თვისი ეროვნული ხელოვნებისა. თუ ავტონომიური ერთეულის ნაწილს არ ვანიჭებდით ჩვენს საერთო სახელმწიფოს მოქალაქეზე მეტს უფლებებს, როგორ შეგვიძლია დღეს ჩვენს სახელმწიფოში მივანიჭოთ სომეხს, რუსს, ებრაელს, გერმანელს იმაზე მეტი რაც ქართველს ექნება!

ჩვენი კონსტიტუციით ყველას თავისუფალი უფლება აქვს მიაკუთნოს თავისი თავი ამა თუ იმ ეროვნებას; შეადგინოს ეროვნული კავშირი, „მოაწყოს და დაიცვას თავისი კულტურული საქმე კონსტიტუციისა და კანონების საზღვრებში“ და ამ „კავშირს უფლება აქვს გახდეს იურიდიულ პიროვნებად“.

არავითარი შეზღუდვა მოქალაქის უფლებებისა არ შეიძლება ეროვნულად თვითგამორკვევისათვის და თუ ასეთი რამ მოხდება, კავშირს უფლება აქვს აღადგინოს ეს დათრგუნვილი უფლებანი სასამართლოს წესით.

კავშირი ემსახურება დედა-ენის და ეროვნული კულტურის ინტერესებს და ამის გასაძღოლად მას პროპორციულად უნდა მიეცეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავისი წილი.

ჩვენს კონსტიტუციაში არ არის აღნიშნული ეს უფლება და ჩემი აზრით, ამ მხრით უნდა შევსებულიყოს იგი.

აგრედვე უნდა ჩაემატოს ამ თავს ერთი მუხლი 146 მუხლის შემდეგ: „ეროვნულს კავშირს უფლება აქვს თავისი საკულტური მიზნებისათვის თავის წევრთათვის დააწესოს განსაზღვრული გადასახადი“ მართალია ეს არის საჯარო უფლება, მაგრამ როდესაც ასეთი ნებაყოფლობითი დაბეგვრა თავის თავისა არაფერს დაუშავებს სახელმწიფოს, რა უნდა გვქონდეს მისი საწინააღმდეგო!

ეროვნულს კავშირში შესვლა არ ანთავისუფლებს არავის თავის მოვალეობისაგან სახელმწიფოს წინაშე და თუ მოქალაქე ზედმეტ წვლილს გაიღებს, საკულტურო საქმეზე, ამის უფლება მას უნდა მიენიჭოს. კავშირში შესვლა და გამოსვლა ნებაყოფლობითია და თუ კავშირისაგან დაწესებული გადასახადი არ იქნება სასურველი კავშირის წევრისათვის, იგი არც შევა მასში.

ჩვენს კონსტიტუციაში ეროვნული უმცირესობა აღიარებულია როგორც უფლებათა სუბიექტი. აღიარებულია უმცირესობის უფლებები და კავშირს აქვს უფლება სასამართლოს წესით მოითხოვოს ამის ასრულება.

თითქმის ყველა ეროვნულმა უმცირესობამ წარუდგინა დამფუძნებელი კრების ოქმი საკონსტიტუციო კომისიას პროექტი უფლებათა გარანტიებისა, მაგრამ ყველა ამ პროექტის ნაკლი ის არის, რომ თითოეული უმცირესობა თავის თავს ჰსახავს ეროვნებად და არა ეროვნულ უმცირესობად და მოითხოვენ პოლიტიკურს უფლებებს. ეს შეხედულება კი შემცდარია და სახელმწიფო მას ვერ გაიზიარებს, ხოლო იმ შესწორებებით, რომელნიც ჩვენ ავღნიშნეთ, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები სრულიად უზრუნველყოფილია კონსტიტუციით.

უნდა ყველა ეროვნებამ გაითვალისწინოს, რომ მით მეტ პატივისცემას გამოიწვევენ მათი უფლებების მიმართ, რამდენადაც მეტი იქნება პატივისცემა და შეგუება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, მათი მხრითაც.

არც ერთმა უმცირესობამ, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობს არ უნდა წარუდგინოს ჩვენს რესპუბლიკას ისეთი ან იმაზე მეტი მოთხოვნილება, რასაც მათი ძმები მოელიან სხვა სახელმწიფოში. მაგალითად, სომხები ცხოვ-

რობენ ამერიკის დემოკრატიულს რესპუბლიკას, რომელს შტატშიაც ისინი ცხოვრობენ ისეთს პროექტს, როგორიც წარმოადგინეს აქ? რასაკვირველია არ წარადგენენ, ვინაიდან ისინი არიან მოქალაქენი ამერიკის შტატებისა, ხოლო სულიერად არიან თავის დედა-ერთან. შეიძლება იკითხოთ; მაშ სომხებს არ შეუძლიათ ავტონომია მოითხოვონ ოსმალეთში, რაკი მათ საკუთარი სახელმწიფო აქვთ არარატის რესპუბლიკის სახითაო.

ერთი რომ ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი იქნებოდა ეს გათიშული და დანაწილებული ერის ერთს ტერიტორიაზე შეგროვილიყო.

მაშინ მეტი ფიზიკური ძალაც ექნებოდათ და მათი კულტურული განვითარებაც უფრო ძარღვიანი იქნებოდა.

მოხდება ეს თუ არა არ ვიცით, ხოლო დღეს სომხის ერის იმ ნაწილს, რომელსაც ერთი მთლიანი ტერიტორია უჭირავს ოსმალეთში და შეადგენს ამ ტერიტორიაზე უმრავლესობას, მას უფლება აქვს მოითხოვოს ეროვნული ტერიტორიალური ავტონომია, ვინაიდგან ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის საფუძველია ტერიტორია და კომპაქტური ეროვნული მოსახლეობა.

ყველამ, ვისაც აქვს მისწრაფება ეროვნული ერთეულის შესაქმნელად ანგარიში უნდა გაუწიოს, როგორც იმ სახელმწიფოს ინტერესებს, რომლის ფარგლებშიაც იგი მოყოლილია, აგრედვე თავისი ეკონომიური და გეოგრაფიული ინტერესი და მდგომარეობას უნდა გაითვალისწინოს და მაშინ არ გაძნელდება ამ საკითხის მოგვარება.

გაზ. „სახალხო საქმე“, №№ 948-949, 953, 957, 959, 961, 965, 968, 971. 3 ოქტომბერ – 7 ნოემბერი, 1920 წ.

განმარტებითი ბარათი კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავისა

„სწავლა-განათლება და სკოლა“

პირველი იდეა, რომელიც სათავეში აქვს დადებული კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავს, მდგომარეობს ხალხის კულტურული წინსვლის საჭიროებაში. კულტურული წინსვლა მოითხოვს, ჯერ ერთი კულტურის თავისუფლებას, მის თავისუფლად განვითარებას, ყოველი დაბრკოლების მოსპობას მის გზაზე. სახელმწიფო კულტურის დარაჯათ უნდა იდგეს, არც თითონ უნდა იღებდეს კულტურის შემაფერხებელ ზომებს და არც არავის აძლევდეს უფლებას მისს შევიწროებისას. მაგრამ სახელმწიფოს როლი არ განისაზღვრება მარტო ამ პასიური დარაჯობით. კულტურის განვითარების საქმეში იგი აქტიურათაც ერევა და თითონვე კისრულობს მისს მფარველობას, ხელის შეწყობასა და გაძლიერებას.

აქედან გამომდინარეობს მეორე იდეა, რომელზედაც არის აშენებული კონსტიტუციის პროექტის ეს თავი. სახელმწიფო აუცილებელ საჭიროებათ სთვლის კულტურის დემოკრატიზაციას, მისს გადაქცევას მთელი ხალხის კუთვნილებათ. ძველი ტიპის სახელმწიფოში კულტურა, სწავლა-განათლება მხოლოდ მაღალი კლასების ხვედრი იყო, მდაბიო კლასებამდის მისი სხივები არ აღწევდა. ისტორიის უკანასკნელ ხანებში სამოქალაქო ცხოვრების განვითარებამ წარმოშვა აზრი, რომ უნდა იყოს კულტურის, სწავლა-განათლების ერთნაირი მინიმუმი, რომელზედაც ყოველს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და რომელიც სახელმწიფომ ყოველს მოქალაქეს უნდა მიაწოდოს. ეს მინიმუმი არის პირველ დაწყებითი სწავლა. დაიბადა იდეა საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლებისა რომ სწავლება მართლაც საყოველთაო გახდეს, აუცილებლად საჭიროა, რომ იგი იყოს სავალდებულო, ე.ი. უნდა იყოს გამოცემული კანონი, რომლებიც ბავშვების სწავლებას მშობლებისათვის ისევე ვალდებულებათ ხდის, როგორც, მაგ., გადასახადის ხდას, ან სამხედრო ბეგარას; დაწესდება განსაკუთრებლი სასჯელი იმ მშობელთათვის, რომლებიც ამ კანონს არ დაემორჩილებიან და ბავშვებს არ ასწავლიან. მაგრამ სავლდებულო მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სწავლა-განათლება, როდესაც იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება, ე.ი. როდესაც იგი არავითარ ახალ ხარჯს არ მიუმატებს მშობლების ბიუჯეტს, როდესაც იგი იქნება უფასო, უსასყიდლო. ესეც არ კმარა სწავლა-განათლების მთელს ხალხის კუთვნილებად გადასაქცევად. ღარიბ ღატაკები თავის შვილების სწავლებას ფაქტიურად ვერ მოახერხებენ, თუ მათი შვილები მშიერ-მწყურვალენი, ჩაუცმელ-დაუხურავი იქნებიან, თუ მათ არ ექნებათ წიგნები, რვეულები, კალმები, ხელსაწყოები და სხვ. მაშასადამე ყველაფერი ეს უნდა აძლიოს თვითონ სკოლამ სახელმწიფო ხარჯით (მე-125 მუხლი). საყოველთაო სწავლა განხორ-

ციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩამოთვლილი მოთხოვნები ერთად და უკლებლივ იქნებიან განხორციელებული: საყოველთაო სწავლა უნდა იყოს სავალდებულო, უსასყიდლო, ღარიბ მოსწავლეებს სკოლა უნდა აძლევდეს საჭმელ-სასმელს, ჩასაცმელ-დასახურავს და სწავლისათვის საჭირო ნივთებს. რომელიმე ეს მოთხოვნა რომ არ შესრულდეს, საყოველთაო სწავლების კანონი ქაღალდზე დარჩება და ვერ შესრულდება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი იდეა, რომელიც შეტანილია კონსტიტუციის პროექტის ამავე განყოფილებაში. სწავლება უნდა იყოს საერო, ე.ი. სწავლება უნდა იდგეს ყოველივე სარწმუნოების გარეშე, იგი უნდა თავისუფალი იყოს სარწმუნოებისაგან. ფაქტიურად ეს იდეა ჩვენში უკვე განხორციელებულია ორი წლის წინ გამოცემული პარლამენტის კანონით და არა გვგონია იყოს ისეთი მასწავლებელი (გარდა უიმედოთ დახავსებულ-ჩამორჩენილისა), რომლისათვისაც აშკარა არ იყოს ამ კანონის კეთილი ნაყოფი, პედაგოგიური თვალსაზრისით. მაგრამ გარდა პედაგოგიური თვალსაზრისისა, ამ კანონის გამოცემა მოითხოვს სულ უბრალო საზოგადოებრივი სამართლიანობაც: სარწმუნოება ეს ისეთი კუნჭულია ადამიანის ფსიხიკისა, რომელიც ყველაზე უფრო ადვილად შეიძლება ხელშეუხლებელი დასტოვო; რწმენა ინდივიდუალური მოვლენაა და ერთი ადამიანის რწმენა არაფერს უშლის მეორე ადამიანს. ყველა თავისუფლებათაგან სარწმუნოების თავისუფლება ყველაზე ადვილად განსახორციელებელია და ამიტომაც არის, რომ ისტორიაში მისი იდეა ყველანაირ თავისუფლების იდეებზე უწინ დაიბადა. მაგრამ შეუძლებელია სარწმუნოებრივი თავისუფლების განხორციელება, თუ სახელმწიფო რომელსამე სარწმუნოებას თავისად მიიჩნევს, უპირატესობას მიანიჭებს, მფარველობას გაუწევს და ხელოვნურად გააძლიერებს. სარწმუნოების სწავლება – ეს არის მისი მფარველობა. იშვიათად შეხვდებით ისეთს სახელმწიფოს, სადაც მთელი ხალხი ერთს სარწმუნოებას აღიარებს. სახელმწიფოს არ შეუძლიან ყოველს სჯულს ერთნაირი მფარველობა გაუწიონ, იგი ძალაუნებურად რომელსამე ერთს რჯულს აირჩევს. ეს კი უდრის სარწმუნოების, რწმენის საქმეში ჩარევას, ერთისათვის პრივილეგიის მინიჭებას, მეორეს დაჩაგვრას. ამის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება სახელმწიფომ მთლად უარი თქვას სარწმუნოებრივ საქმეებში ჩარევაზე და, მაშასადამე, სარწმუნოების სწავლებაზედაც. ეს, რა თქმა უნდა, არ მოასწავებს სარწმუნოების დევნას, მის წინააღმდეგ ძალადობის ხმარებას, პირიქით, სარწმუნოება კერძო კაცის სინიდისის საქმეთ გადაიქცევა. ყოველი მოქალაქე თუ მოინდომებს, აღზრდის თავის შვილებს იმ სარწმუნოების კვალობაზე, რომელსაც თითონაც მისდევს.

დაბოლოს კიდევ ერთი იდეა, რომელიც კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავშია გატარებული. ეს გახლავთ მთელი სწავლა-განათლების ორგანიული მთლიანობა. პედაგოგიკაში ეს იდეა წარმოიშვა დემოკრატიის გაძლიერებასთან ერთად; იგი წარმოადგენს სკოლის დემოკრატიზაციის ერთ-ერთს საშუალებას. ძველი, პრივილეგიებზე აშენებული სასკოლო სისტემა არ

ფიქრობდა მდაბიო ხალხის საჭიროებაზე. ერთი საფეხურის სკოლა სრულიად მოშორებული იყო მეორე საფეხურის სკოლისაგან. საშუალო სწავლა სრულებით არ შეესაბამებოდა პირველ-დაწყებითს და უმაღლესი – საშუალოს. პირველდაწყებითი სკოლა დანიშნული იყო მდაბიო ხალხისათვის, რომელსაც ხელოვნურად უშლიდნენ საშუალო სასწავლებელში სწავლის განგრძობას, საშუალო და უმაღლესი სწავლა კი მაღალ კლასების ბავშვთათვის იყო. ის, რასაცა ეწოდება „მთლიანი სკოლა“ გამომდინარეობს წოდებათა გათანასწორების იდეიდან სწავლა-განათლების მხრივ სასწავლო პროგრამის სხვა და სხვა საფეხურების სკოლაში უნდა ერთმანეთთან შეფარდებული იყოს: საშუალო სწავლება უნდა წარმოადგენდეს პირველ-დაწყებითი სწავლების განგრძობას და უმაღლესი სასწავლებელი უნდა იყოს საშუალოს განგრძობა. პირველდაწყებით სკოლაში კურსდამთავრებულ ბავშვს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლივ და უეკზამენოთ შესვლა საშუალო და საშუალოდან უნდა შესაძლებელი გახდეს უმაღლესში გადასვლა.

ასეთი გახლავთ მთავარი იდეები, რომელზედაც არის აშენებული კონსტიტუციის პროექტის მე-12 თავი. საკონსტიტუციო კომისიას ჰგონია, რომ ეს იდეები სრულს თანხმობაში და ჰარმონიაში არიან იმ იდეებთან, რომლებიც სათავეში აქვთ დადებული მთელს პროექტს. მთელი პროექტის მიზანია შექმნას უაღრესად დემოკრატიული სახელმწიფო და ამისთანა სახელმწიფოში კი აუცილებელია, რომ სწავლა-განათლება და კულტურა მთელი ხალხის კუთვილებათ გადაიქცეს. ჩვენი სწავლა-განათლების პროექტი წარმოადგენს ყველა იმ პრინციპების თავმოყრას, რომლებიც ახალ პედაგოგიურს ლიტერატურაში და პრაქტიკაში სკოლის დემოკრატიზაციის უდავო პრინციპებათ არიან აღიარებულნი.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 36-37.

თავი მეცამეტე

სოციალ-ეკონომიკური უფლებანი

მუხლი 128

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მუხლი 129

საკუთრების იძულებით ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესითა და საფასურით.

მუხლი 130

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით განასაზოგადოებრივოს ის სავაჭრო, სამრეწველო და სამეურნეო დარგი და კერძო წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მუხლი 131

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია სოფლის მეურნეობის აყვავება. მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწისმფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 132

დაქირავებული სამუშაო ძალა რესპუბლიკის კანონმდებლობის საზრუნავი საგანია.

მუხლი133

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ მმართველობას ევალება დააარსოს შრომის ბირჟა, შუამავალი კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს საშოვნელად.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 134

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 135

მოხუცებულობით, დაავადებით, თუ სხვა მიზეზით შრომის უნარმოკლებული მოქალაქე, რომლისათვისაც ზრუნვა კანონით ან იძულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით ასევე დაეხმარება ხაზინა უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარ დაკარგულის რჩენა არ შეუძლიან.

მუხლი 136

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მუხლი 137

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა ზემოაღნიშნულ მოვალეობათა აღსასრულებლად, რესპუბლიკის წლიური შემოსავლიდან უნდა გადაიდოს არა ნაკლებ 5%-ისა.

მუხლი 138

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს; ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 139

წარმოებაში 16 წლამდე ყმაწვილის შრომა აკრძალულია: 16 წლის მოზარდისთვის სამუშაო დრო ისაზღვრება 6 საათით დღეში მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 140

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველი რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მუხლი 141

განსაკუთრებული კანონები დაიცავენ ქალთა შრომას წარმოებაში: აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 142

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 143

რესპუბლიკას და თვითმმართველობას ევალება დედების და ბავშვების დაცვაზე მზრუნველობა.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 72-73

თავი მეჩვიდმეტე კონსტიტუციის პროექტისა

კონსტიტუციის გადაშინჯვა

(§§ 163, 164, 165, 166)

თეზისები

1. განსხვავება დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციათა შორის. ძირითადი საკონსტიტუციო კანონები. ორგანული კანონები. ჩვეულებრივი კანონები. წესი მათი მიღებისა და შეცვლისა სხვა და სხვანაირია. – გამონაკლისია მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანა; მაგალითად ინგლისი, რამოდენიმე უნგრეთი. აქ არაა განსხვავება ძირითად კონსტიტუციურ და ჩვეულებრივ კანონებს შორის. ყველა კანონი ერთნაირად მუშავდება. ერთნაირ მიღების პროცესს ემორჩილება, ერთნაირად იცვლება და გადაიშინჯება.

2. – დანარჩენ სახელმწიფოებში ყველგან ამა თუ იმ სახით გაძნელებული კონსტიტუციის გადაშინჯვა. გადაშინჯვის მთავარი აზრი – სახელმწიფოს წესწყობილების სიმტკიცე, ძირითად კანონების ხანგრძლივობა და ურყეობა მაგრამ კონსტიტუციის გამარტივებული გადაშინჯვა ყოველთვის არ იგულისხმებს სახელმწიფოს წესწყობილების მერყეობას და ძირითად კანონების ხანმოკლეობას. ამის მაგალითს წარმოადგენს ინგლისი თავის რამოდენიმე კონსერვატიული ფსიხიკით და პოლიტიკური ისტორიზმით.

3. – რევოლიუცია, დაპყრობა, შეერთება და სხვა ამ გვარი საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი მოვლენები ჩვეულებრივ კონსტიტუციის გადაშინჯვის საკითხს ადგებიან. კონსტიტუციის ცვლილება შესაძლებელია ამ მოვლენათა ზეგავლენით მაგრამ ჩვენთვის შესასწავლი და გასარკვევია უფლებრივი ცვლილება კონსტიტუციისა, ლეგალური გადაშინჯვა ძირითადი კანონების.

4. – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცვალებადობა საზოგადო კანონმდებლობის და საკუთრივ საკონსტიტუციო კანონთა ევოლიუცია. საზოგადოებრივ ძალთა ანტაგონიზმი, ინტერესთა სხვა და სხვაობა და მათი ჭიდილი. გავლენა კონსტიტუციის ცვალებადობის ევოლიუციაზე. ბრძოლა უფლებისათვის. კონსტიტუციის გადაშინჯვის ანუ შეცვლის აუცილებლობა როგორც პოლიტიკური ფაქტი და უფლებრივ სახელმწიფოებრივი მოვლენა.

5. – შესაძლებელია კონსტიტუციის ორნაირი გადაშინჯვა: საზოგადო და ნაწილობრივი. საზოგადო გადაშინჯვა ეხება მთელ კონსტიტუციას ან მის რომელიმე ორგანიულ მთლიან ნაწილს ან მთლიან განყოფილებას. ნაწილობრივი გადაშინჯვა ეხება კონსტიტუციის მუხლს, ამა თუ იმ სტატიის შეცვლას, მოსპობას ან დამატებას.

ეს სხვა-და სხვაობა გადაშინჯვისა უდავო და პრინციპიალური არაა. შეიძლება საერთო, საზოგადო გადაშინჯვა შეეხოს ერთად მრავალ მეორე ხარისხოვან, უმნიშვნელო მუხლს, მთელ თავს, შემდგარს ასეთი მუხლებისაგან. ხოლო ნაწილობრივ შეეხოს ერთს რომელიმე დიდ მნიშვნელოვან პრინციპიალურ მუხლს. მაშინ საყურადღებო და მნიშვნელოვანი იქნება უფრო ნაწილობრივი, ვიდრე საზოგადო გადაშინჯვა, აქედან სჩანს, რამდენად სრული და უზადო არ არის ამგვარი დაყოფა: საზოგადო და ნაწილობრივი გადაშინჯვა. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში დიდად საყურადღებო ძირითად კონსტიტუციურ პრინციპებთან ერთად არის ისეთი მუხლები (საქონლის დაკვლის წესი, ლატარია და სხვა.) რომელთა საგანი და დედა-აზრი სავსებით მოსათავსებელია ჩვეულებრივ კანონმდებლობის ფარგლებში.

6. – იქ სადაც აღიარებულია კონსტიტუციებში ორნაირი გადაშინჯვის სისტემა საზოგადო და ნაწილობრივი, – შემოღებულია სხვა და სხვა წესი. სხვა და სხვა პროცედურა მათთვის. მაგალითად დემოკრატიულ შვეიცარიაში კონსტიტუციის გადაშინჯვა არის საზოგადო და ნაწილობრივი.

საზოგადო გადაშინჯვა ემორჩილება ერთს წესს: თუ მარტო ერთი ფედერალური პალატა არის მომხრე საზოგადო გადაშინჯვის ან თუ ასეთი გადაშინჯვა მოითხოვა 50.000 სრულუფლებიანმა მოქალაქემ, საკითხი მოხდეს თუ არა საზოგადო გადაშინჯვა უნდა გადასწყვიტოს ხალხმა. თუ უკანასკნელი დაადასტურებს საზოგადო გადაშინჯვის საჭიროებას, ორივე ფედერალური პალატა უნდა განახლდეს ამ გადაშინჯვის განსახორციელებლად.

ნაწილობრივი გადაშინჯვა ემორჩილება მეორე წესს: თუ 50.000 სრულუფლებიანი მოქალაქე მოითხოვს ნაწილობრივ გადაშინჯვას, ე.ი. ახალი მუხლის მიღებას ან ძველის შეცვლას ან გაუქმებას და ამას მიემხრობა ორივე ფედერალური პალატა, გადაშინჯვის წინადადება გადაეცემა ხალხს დასამტკიცებლად, ხოლო თუ ხალხის ინიციატივის მოთხოვნას არ ემხრობიან ფედერალური პალატები, კითხვა უნდა გადაეცეს წინასწარ გადასაწყვეტად ხალხს. თუ უკანასკნელი მიემხრობა გადაშინჯვის საჭიროებას, ფედერალური კრება (პალატები) გადაშინჯავს კონსტიტუციას ნაწილობრივ ხალხის მოთხოვნილებისამებრ. თუ დამზადებული პროექტია გამოყენებული ინიციატივის გზით, ფედერალურ კრებას შეუძლიან ამ პროექტთან ერთად საკუთარი კონტრპროექტი წარუდგინოს ხალხს მისაღებათ და დასამტკიცებლათ.

ორივე შემთხვევაში, საზოგადო და ნაწილობრივ გადაშინჯვის დროს, შემოღებული საბოლოო დასტური და სანქცია მთელი შვეიცარიის ხალხის და კანტონთა უმრავლესობისა. ეს სავალდებულო საკონსტიტუციო რეფერენდუმია.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 369, ფ. 11.

პარლამენტი

სანიმუშო პროექტი

შედგენილი რაჟდენ არსენიძის მიერ

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შესდგება საყოველთაო პროპორციული თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით არჩეული დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც 20 წელი შესრულებია პარლამენტი აირჩევს სამი წლის ვადით.

პარლამენტის წევრთა ასარჩევათ რესპუბლიკა დაყოფილია საარჩევნო ოლქებათ, თანახმად საარჩევნო კანონისა, თვითეულ ოლქს უნდა მიეკუთვნოს განსაზღვრული პროპორციული რიცხვი დეპუტატებისა მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, დანარჩენს განსაზღვრავს საარჩევნო კანონი.

პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ცალკე პროვინციას, რომელმაც ისინი აირჩია.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრის და შეხედულობისათვის, რომელსაც იგი გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება იგი დატუსაღებულ იქნეს ან სასამართლოში მიეცეს, სანამ პარლამენტის წევრად ითვლება, უკეთუ თვით პარლამენტმა ამის დასტური არ მისცა, გამონაკლის შეადგენს ისეთი შემთხვევა, როცა მას დანაშაულის ჩადენის დროს მიუსწრებენ. ეს შემთხვევა დაუყონებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. დატუსაღებული ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი უნდა განთავისუფლებულ იქნეს უკეთუ ამას პარლამენტში მოითხოვს.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

პარლამენტის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმმართველობის სამსახურში, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის წევრი. სახელმწიფო კონტროლიორი, ან მინისტრის ამხანაგი ან ეჭიროს თვითმმართველობის ხმოსნის თანამდებობა. დეპუტატს შეუძლია მიიღოს მთავრობისაგან რაიმე პოლიტიკური დავალება ვადით არა უმეტეს ექვსი თვისა.

სუვერენობა ეკუთვნის ხალხს; პარლამენტი ამ კონსტიტუციით დადებულ ფარგლებში ახორციელებს ხალხის სუვენერობას.

პარლამენტი გამოსცემს კანონებს, დეკრეტებს და დადგენილებებს, მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

პარლამენტს ეკუთვნის: უმაღლესი გამგებლობა ჯარის და საერთო რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალების. პარლამენტის უფლებას შეადგენს ომის გამოცხადება, ზავის ჩამოგდება, დამტკიცება საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან აგრეთვე ამნისტიისა უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს. პარლამენტი ამტკიცებს ბიუჯეტს საშინაო და საგარეო სესხს. აირჩევს იმ პირთ, რომელთა არჩევა კონსტიტუციით ან კანონით აქვს მიკუთვნებული, და კონტროლს უწევს აღმასრულებელ ხელისუფალთა მოქმედებას.

პარლამენტის სხდომები საჭიროა, მაგრამ პარლამენტს შეუძლიან განსაკუთრებულ დადგენილებით ფარულად გამოაცხადოს თავისი სხდომა ან ნაწილი სხდომის (ზედ. 33).

პარლამენტი თვით გაარჩევს თავის წევრთა რწმუნებულობის და გადასწყვეტს ყოველივე დავას ამ საგანზე (შეერთ. შტატი. გამ. 5 მ.)

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით (ნახევარი) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეგლამენტით ან კანონით სხვა რაოდენობა არის დადგენილი.

პარლამენტის სესიის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, უკეთუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა (იხ. შედარება შვეიცარია კონსტ. №87 ბელგიის 38).

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის და კითხვის მიცემისა. წესი და ფარგალი შეკითხვის და კითხვის მიცემის განისაზღვრება კანონით და რეგლამენტით (ბელგია 40).

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტის საშვალებით წესს, რომლის მიხედვით იგი მოქმედობს თავის ფუნქციების ასრულების დროს (ბელგია 45).

პარლამენტის სესია იკრიბება ყოველ წელიწადს ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთი და იმავე დროს მთელ რესპუბლიკაში, იმ ანგარიშით რომ სესიის პირველ დღეს ახალ არჩეულ წევრთ შეიძლება ექნეთ შეკრებისა.

პარლამენტის მუშაობის დროებითი შეწყვეტა უნდა მოხდეს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

პარლამენტის მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს წელიწადში არა უმეტეს ხუთი თვისა; როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს მთავრობას ან პარლამენტის პრეზიდიუმს; პარლამენტის შეკრება სავალდებულოა თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის პარლამენტის ყოველ წევრს ან 5000 ამომრჩეველს.

20000 ამომრჩევლის ხელმოწერილი მოთხოვნილებით პარლამენტი ვალდებულია კანონპროექტი, საბოლოოდ განხილვის შემდეგ, ხალხის წინაშე

დასვას კენჭის საყრელად (რეფერენდუმი); რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

პარლამენტი ყოველ წლიურად აირჩევს პრეზიდიუმს: ერთი და იგივე პირი არ შეიძლება ზედიზედ თავმჯდომარეთ ან მის ამხანაგად იყოს არჩეული.

ხელით მინაწერი: როგორც მთავრობა მთლიანად, ისე თვითეული მინისტრი აღჭურვილი უნდა იყვეს საპარლამენტო ნდობით. როგორც მთავრობა ისე თვითეული მინისტრი უნდა გადადგეს, თუ ის დაკარგავს პარლამენტის გადაჭრილი დადგენილებით მის ნდობას.

მთავრობა განსაზღვრავს პოლიტიკის საერთო მიმართულებას და პასუხისმგებელია ამ მიმართულებისა და საერთო გამგებლობისათვის (მუხლი 8). თვითეული მინისტრი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მისთვის მინდობილ დარგს (მუხლი 9).

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 95-97.

პარლამენტი

რამდენი პალატიდან უნდა შესდგებოდეს საკანონმდებლო ორგანო?

იერემია ბენტამის დროიდან ეს საკითხი მეცნიერებაში სდგას დიდ იურიდიულ პრობლემათ და ამ პრობლემის გადაწყვეტას აქვს არამარტო აკადემიური თეორიული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. მრავალი მოსაზრებები მოყავთ იმის დასამტკიცებლათ, რომ ორ პალატიანი სისტემა აუცილებელია. სინტეზი ამ მოსაზრებებისა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიაში გამოსთქვა ერთ-ერთმა მემარჯვენე მიმართულების წარმომადგენელმა, იმაში მდგომარეობს, რომ ზედა პალატას შეაქვს სიდინჯე და მოფიქრება მეტის-მეტ აჩქარებულ ქვემო პალატის მუშაობაში. ზედა პალატაში სხვა ტემპერამენტით, სხვა გრძნობით იხილავენ წარდგენილ კანონპროექტს, ვიდრე ქვემო პალატაში, და ეს არის გარანტია იმისა, რომ კანონები ნაჩქარევად არ გამოიცემაო. ქვედა პალატას როგორც უზენაესი ხელისუფლების მატარებელს, ყველა სახელმწიფო ორგანოებზე მეტი მიდრეკილება აქვს თავისუფლების გაფართოვებისა და გაღრმავებისა დანარჩენ ორგანოებისა და დაწესებულებების ხარჯზე; ზედა პალატა კი ასუსტებს ქვედა პალატის ასეთ მისწრაფებებსო.

მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ასეთი ორ პალატიანი სისტემა ჩვენი რესპუბლიკისათვის სრულებით გამოუსადეგარია. ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ის, რომ I) ჩვენი სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც როგორც ქვედა

პალატა, ისე ზედა, თუ მივიღებთ ორ პალატიან სისტემას, საერთო, ფარული და თანასწორი კენჭის ყრით. და ერთნაირი სისტემა არჩევნებისა შექმნის ორივე პალატაში ერთი პარტიის უმრავლესობას; 2) იშვიათია, რომ სადმე პარტიულ დისციპლინას ჰქონდეს ისეთი მნიშვნელობა, როგორც ჩვენში; ამიტომ ყოველივე ის, რასაც მიიღებს ქვედა პალატა, თუ ეს საკითხს რაიმე პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, აუცილებლად მიღებულ იქნება ზედა პალატის უმრავლესობისგან. ცხადია ასეთ პირობებში ზედა პალატა ვერ ითამაშებს იმ როლს, რომლის შესრულებაში ორ პალატიანი სისტემის მომხრეები ხედავენ ზედა პალატის დანიშნულებას. ზედა პალატა ჩვენში იქნება ნამდვილი დუბლიკატი ქვედა პალატისა. დემოკრატიაში ორ პალატიანი სისტემა არსებობს. მხოლოდ ფედერაციაში, სადაც ზედა პალატა შესდგება ფედერაციის შემადგენელ სახელმწიფოთა (შტატები, კანტონები) წარმომადგენლებისაგან: უნიტარულ დემოკრატიაში კი, კომისიის აზრით, ორ პალატას არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს. იგი მხოლოდ გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს და უნაყოფო დროსა და საქმის დაკარგვას. კანონების სერიოზული განსჯის და დინჯად შეთანხმების მიღწევა, რომელზედაც უთითებენ ზოგიერთები, შეიძლება მოხდეს ორპალატიან სისტემითაც, სხვა საშვალებებით, მაგალითად, როდესაც საკნონმდებლო წესის შემუშავებით რეფერენდუმის შემოღებით და სხვა დაახლოვებით ასეთი მოტივები უდევს საფუძვლად კონსტიტუციის პროექტის მე-52 მუხლს, რომელიც ამბობს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და პროპორციული კენჭის ყრით არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს განურჩევლად სქესისა, ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა სამი წლით.

ერთ პალატიანი სისტემა არსებობს საბერძნეთში, ბულგარეთში, სერბიაში, ლუქსემბურგში, და გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფოებში.

ზედა პალატა ართულებს სახელმწიფო მექანიზმს. რა ხასიათის უნდა იყოს მაგალითად აღმასრულებელი ორგანოს პასუხისმგებლობა, თუ იქნა მიღებული ორ პალატიანი სისტემა? საკმარისია სულ ზერელე ანალიზი პარლამენტური წესწყობილების განვითარებისა, რომ ნათლად დავინახოთ, თუ როგორ ეკარგება თანდათან მნიშვნელობა ზედა პალატას და მის მაგიერ იზრდება ავტორიტეტი და მნიშვნელობა ქვედა პალატის.

ინგლისში მაგ., კაბინეტის კრიზისის დროს ზედა პალატას არა აქვს არავითარი გავლენა, მას არ შეუძლია ერთი საათითაც კი დასტოვოს ადგილას ის კაბინეტი, რომელსაც ქვედა პალატამ უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა. ასეთივე პრაქტიკა იკიდებს ფეხს ბელგიაშიაც. თითქმის ყველგან კაბინეტის შექმნის და დათხოვის უფლება ეკუთვნის ქვედა პალატას.

ინგლისში 1911 წელს გამოცემულ აქტებით ლორდთა პალატის უფლებები კიდევ უფრო შეიკვეცა. ეს აქტი ამბობს, რომ „ყოველი ბილი ფინანსიური

ხასიათისა, რომელიც მიღებულია ქვედა პალატის მიერ, ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ დღიდან ასეთი ბილის ზედა პალატაში გადაცემისა, თუნდაც იგი უარყოფილ იქნას უკანასკნელის მიერ," საბიუჯეტო უფლების ასეთი შეზღუდვით ლორდთა პალატას დაეკარგა ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი უფლება, საბიუჯეტო, რაიც შეიქნა წყარო მისი პოლიტიკური დაუძლურების. ამ რიგად ერთ პალატიანი სისტემის იდეა ბატონდება იქაც, სადაც დღემდე კიდევ შერჩენილა ზედა პალატა; პრაქტიკა უკვე სწყვეტს იმ საკითხს, რომლის გამო ამდენი თეორიული დავაა ატეხილი იურიდიულ მეცნიერებაში.

ჩვენი პარლამენტის არჩევნები დემოკრატიულია. მასში მონაწილეობს ყველა, ქალი და კაცი, რომელსაც 20 წელი შესრულებია. კომისიაში გამოითქვა სურვილი, რომ ამომრჩეველთ წლოვანება 18 წლამდე დაგვეყვანა, მაგრამ ეს არ იქნა მიღებული საერთოდ, მიუხედავათ ჰავისა და ბუნებისა, ჩვენში ადამიანის რამდენიმეთ ფიზიკური და გონებრივი მომწიფება ამ ვადაზე ადრე არ ხდება. 18 წლის მომხრენი ასაბუთებდნენ თავის აზრს მით, რომ რუსეთის რევოლუციამ წამოაყენა იდეა 18 წლიანებისთვის საარჩევნო ხმის მინიჭებისა. მაგრამ ეს იდეა იყო გამოწვეული არა პრინციპიალური მოსაზრებანი, არამედ იმ გარემოებით, რომ 18 წლიანები უკვე გამოწვეულ იქნენ ჯარში, და რაკი ომი ევალებოდათ, არჩევნების უფლებაც არ შეიძლებოდა არ მიცემოდათ. მაგრამ ეს იყო სრული არანორმალობა. ნორმალურ პირობებში კი ამას ადგილი არ უნდა ექნეს. სამხედო მოვალეობა ეს პირველი საზოგადოებრივი მოვალეობა ეკისრება მოქალაქეს 20 წლის შესრულებიდან, და ის ითვლება ამ ხნიდან სრულწლოვანად და ეს სამოქალაქო სრულწლოვანება ე.ი. ყველა უფლებით აღჭურვა უნდა გახდეს დატათ პირადი პოლიტიკური უფლებების მინიჭებისა.

პარლამენტი იკრიბება 3 წლის ვადით. საზოგადოთ პარლამენტის მოქმედების ვადა უდრის 3-5 წელს სხვა და სხვა ქვეყნებში. დემოკრატიაში ჩვენ გვგონია საკმარისია 3 წელიწადი ეს დრო სრულიად საკმაოა საკანონმდებლო მუშაობაში თვის კვალის დასარჩენათ. მეორე მხრივ 3 წლის შემდეგ პარლამენტის განახლებით მოქალაქეთ უფლება ეძლევათ თავის მხრივ შეაფასონ დეპუტატების ნამუშევარი და ხელახლათ არჩევნებით გამოხატონ ძალათა განწყობილების ცვალებადობა. ამით წარმომადგენლობითი ორგანო უფრო სწორი გამომხატველი გახდება ერის. ამისთვის მისი ნამუშევარი დაუახლოვდება პირდაპირ დემოკრატიის რეალურ შედეგებს. ცნობილია, რომ გრძელ ვადიანი პარლამენტები იშვიათად აღწევენ ნორმალურ დასასრულს. მაგ. ინგლისში თითქმის ყოველი პარლამენტი ვადაზე ადრე იშლება. ასეთი ცხოვრების კორექტივი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის და ცვალებადი საზოგადოებრივ ურთიერთობის ნაყოფია. საზოგადოება ამ გზით შეიჭრა პარლამენტის ცხოვრებაში და იმორჩილებს მას. დემოკრატიაში დაშლას პარლამენტისას ჩვენ მიერ მიღებულ მოკლე ვადის განმავლობაში ადგილი არ ექნება და არც შეიძლება დემოკრატიული პარლამენტის დაშლა ვადამდე,

რაზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი.

მე-53 მუხლი აწესებს ძირითად პრინციპებს საარჩევნო სისტემისას. ასეთი პრინციპებია: რესპუბლიკის ოლქებად დაყოფა და დეპუტატთა პროპორციული განაწილება ოლქებს შორის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. თანამედროვე მეცნიერება ერთგვარის სისწორით გამოსახატავად საუმჯობესოდ აღიარებს ერთის საარჩევნო ოლქის არსებობას. ჩვენ უკვე ვსცადეთ ერთი ოლქის არჩევნების წარმოება. ამ დებულების მიხედვით, – მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ, როგორც მოსალოდნელი იყო. გეოგრაფიული მდგომარეობა, მთა-ბარიანი ადგილები, მრავალ ერის და სარწმუნოების ხალხის მოხვედრა რესპუბლიკის ფარგლებში, თხოულობს ერთვარ ანგარიშის გაწევას. ამიტომ ადგილობრივ ინტერესებსაც უნდა ეყოლოს პარლამენტში თვისი წარმომავალი: უნდა შეიქნეს საკმაო მტკიცე და ძლიერი კავშირი მისგან, ხოლო, ამ კავშირს სახელმწიფო ვერ მოაგდებს მხოლოდ პარტიათა გამჭრიახობასა და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ მოსაზრებებზე. თვით საარჩევნო სისტემა უნდა იძლეოდეს პროვ[...] ინტერესების უზრუნველყოფას და ეს კი შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკის რამოდენიმე საარჩევნო ოლქათ დაყოფით. ხოლო ოლქებ შორის თანასწორობის დასაცველად კომისიამ მიიღო მეორე პრინციპი: დეპუტატთა რიცხვის პროპორციონალური განაწილება. თვით საარჩევნო კანონი ამ საფუძველზე აშენებული, კონსტიტუციაში არ იქნება ჩართული. იგი უნდა იყოს ცვალებადი, ადვილად შესაგუებელი შექმნილ ურთიერთობასთან და ამიტომ გამოცემული კანონის სახით და არა კონსტიტუციის რომლის შეცვლა რთულ პროცედურას მოითხოვს.

მე-54 მუხლი შეიცავს იმ ზოგად დებულების აღიარებას, რომ დეპუტატები წარმოუდგნენ ერს და არა პროვინციას. წინათ მიღებული მრავალ საარჩევნო ოლქის შემდეგ, ასეთი, თუნდა დეკლარაციულ ხასიათის განცხადება აუცილებელი იყო, რათა პროვინციასთან დაკავშირება პარლამენტისა საარჩევნო ოლქების საშუალებით არ გახდეს წყაროთ პარტიკულიარიზმის განვითარებისა. პროვინციალური პატრიოტიზმის გაძლიერებაც ისეთვე ნაკლია რესპუბლიკის ცხოვრებაში, როგორც უკიდურესი ცენტრალიზაცია, რომელიც პროვინციას თითქმის სრულად უყურადღებოდ სტოვებს და ცენტრის მსხვერპლად ხდის. მე-53 და 54 მუხლები ამ მხრივ ავსებენ ერთმანეთს და მოწოდებული არიან შექმნან ის წონასწორობა ამ ორ მიდრეკილებას შორის, რომელიც ასე აუცილებელია სახელმწიფოს საღი პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

მე-55 მუხლი ეხება დეპუტატის იმუნიტეტს. თანამედროვე კონსტიტუციონალურ სახელმწიფოსათვის იმუნიტეტის საკითხი დიდი ხანი გადაწყვეტილია და მისი ძირითადი უფლებანი ყველასაგან აღიარებული.

დეპუტატის იმუნიტეტს ანუ შეუვალობას ახასიათებს პირველად ყოვლისა ის მომენტი, რომ იგი განთავისუფლებულია როგორც სასამართლოს, ისე დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ დევნისაგან თავის აზრების წარ-

მოთქმისათვის პარლამენტის წინაშე. კონკრეტულად ეს ნიშნავს იმას, რომ თუ დეპუტატის სიტყვა მაგალითად აჯანყებისადმი მოწოდებას შეიცავს, ან შეურაცხყოფას აყენებს კერძო პირს, თუნდ პარლამენტის წევრს, დეპუტატი არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული ან დასჯილი იმ დროს, როდესაც კერძო პირი, რომელიც დეპუტატის წოდებით არ სარგებლობს, ასეთივე სიტყვის წარმოთქმისათვის დაისჯება, ისე როგორც მოითხოვს ამას სისხლის სამართლის კანონები.

ესაა პრივილეგია უპასუხისმგებლობისა, რომელიც ხორციელდება მატერიალურ უფლების სფეროში. ეს არ უნდა შევურიოთ იმ პრივილეგიას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროცესუალურ უფლების სფეროში და რომელსაც დეპუტატის ხელშეუხებლობა ეწოდება. ეს ორი პრივილეგია სხვა და სხვა მნიშვნელობისაა და შექმნილია ერთმანეთისგან დამოუკიდებლათ, მაგრამ ორივე ე.ი. უპასუხისმგებლობის და ხელშეუხებლობის პრივილეგიები ერთმანეთს ავსებენ და ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს. ორივე საშუალებით კანონმდებლობა სცდილობს დეპუტატი ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომ მას შეეძლოს სრულიად თავისუფლად შეასრულოს ის მოვალეობა, რომელიც მას დაკისრებული აქვს, როგორც ხალხის წარმომადგენელს.

პირველი პრივილეგია მეტის-მეტად შესუსტებული და შეზღუდული იქნებოდა, რომ მეორე პრივილეგია არ უზრუნველყოფდეს დეპუტატის ხელშეუხებლობას, ეს მეორე პრივილეგია, ხელშეუხებლობა იმაში მდგომარეობს, რომ დეპუტატი თუნდაც პარლამენტის გარეშე დანაშაულის ჩადენის გამო არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული პარლამენტის ნებადაურთველათ. ეს უფლებაც მეტად საჭირო და მიზანშეწონილია.

სასამართლოს რომ შეეძლოს დეპუტატის წინააღმდეგ ზომების მიღება პარლამენტის ნებადაურთველათ, ერთი რამ ამ უფლებით მეტის-მეტად ფართოდ ისარგებლებდნენ დეპუტატის მოღვაწეობის შეფერხებაში დაინტერესებული პირები; მეორეთ იმიტომ რომ მაშინ დეპუტატის ენერგია უმთავრესად პარლამენტის გარეთ დაიხარჯებოდა სასამართლოებში სიარულში. ეს კი მას მოაცდენდა თავის მოვალეობას. მაგრამ დაუსჯელობა, როგორც აღნიშნავს პროფესორი ჟიჟილენკო, არ აქარწყლებს თვით მოქმედების უსამართლოებას. სახელმწიფო ანთავისუფლებს დეპუტატს მხოლოდ სასჯელისაგან. რადგან ამას მოითხოვს საჯარო ინტერესი, მაგრამ თვით მოქმედება ამით არ კარგავს უკანონო ხასიათს. ეს აშკარად სჩანს იმ მაგალითიდან, რომ, თუ პარლამენტის წევრის სიტყვა, რომელიც რაიმე დელიქტს შეიცავს, იქნება გამეორებული კერძო პირის მიერ, უკანასკნელს მთელი თავის არა სასიამოვნო შედეგებით დააწვება სასჯელი.

რა განსხვავებაა უპასუხისმგებლობისა და ხელშეუხებლობას შორის. უპასუხისმგებლობის პრივილეგია ფარავს მხოლოდ დეპუტატის მოქმედებას პარლამენტში, და სპეციალურათ ისეთ მოღვაწეობას (სიტყვის წარმოთქმა,

განცხადების შეტანა, შეკითხვის შეტანა), რომელიც დეპუტატის მოვალეობას შეადგენს. მაშასადამე ამ პრივილეგიით რომ იქნეს დაცული დეპუტატის მოქმედება, საჭირო ორი მომენტის არსებობა. ერთი მოქმედება უნდა შეადგენდეს დეპუტატის მოღვაწეობას, სულ ერთია რა ფორმით იქნება იგი ჩადენილი, მაგალითად, სიტყვის წარმოთქმით, ხმის მიცემით, შეკითხვის შეტანით, კომისიაში აზრების გამოთქმით, თუ სხვა გზით და მეორე – ასეთი დეპუტატის მოღვაწეობა, რომელიც აზრების გამომჟღავნებისაკენ არის მიმართული, უეჭველად უნდა სწარმოებდეს თვით პარლამენტში. თუ რომელიმე მოქმედება დეპუტატის მოვალეობას არ შეადგენს, იგი უპასუხისმგებლობის პრივილეგიით ვერ დაიფარება თუნდაც პარლამენტის დარბაზში იყოს ჩადენილი, ამ შემთხვევაში დეპუტატი პასუხისმგებელია ისე, როგორც ყოველი მოქალაქე. ე.ი. დეპუტატი წარმოთმულ სიტყვისათვის შეიძლება დასჯილი იქნეს, თუ პარლამენტი ნებას დართავს მის სამართალში მიცემას. ე.ი. თუ მას არ დაიცავს ხელშეუხებლობა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ დეპუტატის მიერ თავის მოვალეობის გარეშე წარმოთქმული სიტყვა თავისუფალი არაა სასჯელისაგან. მაგრამ სასამართლოს რომ შეეძლოს ასეთი დეპუტატის წინააღმდეგ პროცესუალური აპარატის ამოძრავება, ე.ი. დაკითხვა, გამოძიება, სამართალში მიცემა და სხვა, საჭიროა პარლამენტის წინასწარი ნებართვით.

შემდეგ უპასუხისმგებლობის პრივილეგია ეხება მხოლოდ აზრების გამოთქმას პარლამენტში და არა ისეთ მოქმედებას, რომელიც მას დავალებული არა აქვს, როგორც წარმომადგენელს. ამიტომ თუ პარლამენტი სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, დეპუტატი მაინც თვისუფალია პასუხისმგებლობისაგან, თითქოს მისი მოქმედება არავითარ უკანონობის ელემენტს არ შეიცავდეს. და პარლამენტმაც რომ მოისურვოს, მას სასამართლოში ვერ მისცემს. სულ სხვაა თუ პარლამენტის წევრმა სადმე საჭიროთ გაიმეორა ასეთი სიტყვა, მაშინ მისი მოქმედება სისხლისსამართლის ობიექტით ხდება და ამით სასამართლოს საშვალება და უფლება მიეცემა მიიღოს დეპუტატის მიმართ პროცესუალური ზომები ე.ი. ჩამოართვას დეპუტატს ჩვენება, გაჩხრიკოს მისი ბინა, შეიპყროს იგი და სხვ.

მე-55 მუხლში აღნიშნული პრივილეგია არის მხოლოდ დეპუტატის პრივილეგია და არა პარლამენტის. პარლამენტის პრივილეგია რომ იყოს, მაშინ იგი იმ კერძო პირებზედაც გავრცელდებოდა, რომელიც გარედან არიან მოწვეული კომისიაში სამუშაოთ ან პრეზიდიუმმა დაიბარა თავისთან და სხვ.

ყველა სახელწმიფოების კონსტიტუციები, გარდა ინგლისისა, და მათ შორის ჩვენიც აღიარებს პასუხისმგებლობას, როგორც დეპუტატის პრივილეგიას, და ამტომ იგი კერძო პირის უკანონო მოქმედებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაფარავს. კერძო პირებზე რომ გაავრცელოთ დეპუტატების პრივილეგიები, მაშინ უკანასკნელი ბევრათ უფრო დიდი და ფართო პრივილეგია დაურჩებათ. ვიდრე დეპუტატებს. დაუსჯელობა დეპუტატისა ნაზღაურდება (Компенсируется) იმ დისციპლინარული ზომებით, რომლ-

ითაც პარლამენტი სჯის თავის წევრებს, რეგლამენტის ძალით რომლებიც დეპუტატთა კორპორაციას ეკუთვნიან, კერძო პირი კი ამ დისციპლინარულ ზომისაგანაც თავისუფალი გამოვა.

ყოველი კანონი, რომელიც განმარტავს დეპუტატების იმუნიტეტს, შეიცავს ერთ და იმავე დებულებას. დეპუტატი არ შეიძლება იქნეს მიცემული პასუხისგებაში იმ აზრის და შეხედულებისათვის რომელსაც იგი გამოსთქვამს მოვალეობის ასრულების დროს. მაგრამ სად არის ის ხაზი, რომელიც დეპუტატის მოვალეობას აშორებს იმ სფეროს, რომელიც არ შეადგენს დეპუტატის მოვალეობას. მეტის მეტად არამიზანშეწონილი იქნებოდა ჩამოთვლა იმ ობიეკტებისა, რომლის შესახებ მსჯელობა შეადგენს დეპუტატის მოვალეობას. შეიძლება სთქვან, რომ დეპუტატის მოღვაწეობა იწყება იმ დღიდან, რა დღიდანაც იგი პარლამენტის წევრათ ირიცხება. ეს ყალბი აზრია. ასეთი ფართო ფორმულა ვერავითარ დახმარებას ვერ გაგვიწევდა იმუნიტეტის ბუნების შესწავლის დროს. ჩვენ ვამბობთ, რომ დეპუტატის მოღვაწეობა პარლამენტის გარეთ სრულიადაც არ იფარება უპასუხისმგებლობა. მაშასადამე კანონი გულისხმობს მოვალეობის შესრულებას თვით პარლამენტში, როცა მას შეაქვს შეკითხვა ან რაიმე სხვა წერილობითი განცხადება, ან და კომისიაში ლაპარაკობს, ან სხვა მის მოვალეობას შეადგენს და ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევებს ფარავს დეპუტატის უპასუხისმგებლობის პრივილეგია.

დღეს იმუნიტეტის ცნება შეუსისხლხორცდა თანამედროვე საზოგადოების ინტელეკტუალურ ზრდას, ისეთ აუცილობელ პოლიტიკურ ფაქტორად გახდა რომ არც თეორიაში და არც პრაქტიკაში იმუნიტეტი არ იწვევს პრინციპიალურ კამათს. მის აუცილებლობას აღიარებენ როგორც უკიდრურესი კონსერვატორები, ისე უკიდურესი მამრცხენე ჯგუფების და წრეების წარმომადგენლები. როგორც პირველნი, ისე მეორენი ამბობენ, რომ ეს პრივილეგია რისი აუცილებელი პირობა პარლამენტის წევრების მოღვაწეობისა. პარლამენტის წევრი არ შეიძლება იქნეს დატუსაღებული, და გამოძიებასა და სამართალში მიეცეს, სანამ იგი პარლემენტის წევრათ ითვლება. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ის შემთხვევა, როცა დეპუტატს დანაშაულის ჩადენის დროს მიასწრებენ. ასეთ შემთხვევაში დეპუტატი შეიძლება შეპყრობილ იქნეს, მხოლოდ ამბავი უნდა ეცნობოს პარლამენტს.

თუ პარლამენტმა მოითხოვა, შეპყრობილი უნდა განთავისუფლებულ იქნეს და დევნა შეჩერდეს. ამ უფლებით პარლამენტს შეუძლია ისარგებლოს ყოველ შეპყრობისა ან გამოძიების შესახებაც, რომელიც კი აღძრულია რომელიმე მისი წევრის წინააღმდეგ.

მე-57 მუხლი პროექტისა ამბობს, რომ პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო. ამ მუხლს არა აქვს ისეთი პრინციპიალური მნიშვნელობა, როგორც ეს ქონდა მას წინათ. ეხლა ყველგან ეს პრინციპი აღიარებულია. იგი წამოყენებული იყო დემოკრატიისაგან, რომელსაც

სურდა უზრუნველეყო თავის წარმომადგენლები საკანონმდებლო დაწესებულებაში და მიეცა ღარიბისთვის იქ შესვლისა და მუშაობის შეძლება.

მე-58 მუხლი ამავე პროექტისა, პირდაპირ უკრძალავს დეპუტატებს რამე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს. აქიდან სჩანს, რომ, თუ დეპუტატმა არ მიიღო განსაზღვრული გასამრჯელო შეიძლება დეპუტატობა მხოლოდ ქონებრივ კლასის პრივილეგიათ გახდეს.

მე-58 მუხლი პროექტისა ამბობს, რომ „პარლამენტის წევრს შეუძლია იმავე დროს ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფოში ან თვითმმართველობის სამსახურში. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მთავრობის წევრი, სახელმწიფო კონტროლიორი, ან ეჭიროს თვითმმართველობის ხმოსნის ან რაიმე საპატიო თანამდებობა“. ამ მუხლის შედგენის დროს კომისიას ქონდა გათვალისწინებული ის დებულება, რომ დეპუტატი, რომელსაც ევალება უმაღლესი მეთვალყურეობა სახელმწიფოში არსებულ ორგანოების მიმართ, აბსოლიუტურად თავისუფალი უნდა იყოს და დამოუკიდებელი უკანასკნელებისაგან.

არავითარი დამოკიდებლობა არ არის ისეთი მტკიცე და ძლიერი როგორც დამოკიდებლობა ეკონომიკურ ნიადაგზე და როდესაც დეპუტატს რომელიმე უწყებაში ჯამაგირიანი ალაგი უჭირავს, მისი თავისუფლება შეზღუდულია, მის ნებისყოფას განსაზღვრული სფერო აქვს შემოფარგლული, ის სახელმწიფოში უბრალო მოხელეა, ესე იგი დეპუტატი უწყების წარმომადგენლის ნების აღმასრულებელი ხდება. წარმოუდგენელია, რომ ასეთ შემთხვევაში დეპუტატმა შესძლოს მოთხოვოს უწყების წარმომადგენელს პასუხი და კონტროლი გაუწიოს მის მოღვაწეობას. ამით აიხსნება, რომ თითქმის ყველგან არის აღიარებული შეუთავსებლობის პრინციპი. წარმოიდგინეთ, რომ უმრავლესობა დეპუტატებისა იმავე დროს სხვა და სხვა უწყებებში მსახურობენ, და მიხვდებით, რომ ასეთ შემთხვევაში მინისტრების პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე სრულიად მოსპობილი იქნება ფაქტიურად. ამ მოსაზრებითვე არ არის მისაღები, რომ დეპუტატები პარლამენტის დაუკითხვავათ მთავრობის მიერ ღებულობდნენ რაიმე დავალებას. პროექტიც იმას ნიშნავს, რომ „დეპუტატს შეუძლია მიიღოს მთავრობიდან მხოლოდ პოლიტიკური დავალება და ისიც არა უმეტეს ექვსი თვისა“. აქედან სჩანს, რომ დეპუტატის სურვილზე არის დამოკიდებული მიიღოს თუ არა მთავრობისაგან რაიმე დავალება. პროექტი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რამდენათ აუცილებელია ასეთ შემთხვევაში თვით პარლამენტის სანქციები.

მართალია კარგი გარანტიაა ის, რომ დეპუტატის ნების ყოფლობაზე არის დამოკიდებული მთავრობის დავალების მიღება. მაგრამ მთავრობას თითქმის ყოველთვის შეუძლია დაიყოლიოს დეპუტატი. და რომ მთავრობას შეეძლოს მოვალეობის დაკისრებით მოიცილოს თავიდან ისეთი დეპუტატი, რომლის მოღვაწეობა პარლამეტში მისთვის არა სასიამოვნოა, აუცილებლად საჭიროა ერთგვარი გარანტია. ზოგიერთი კონსტიტუციები მეტის მეტათ

იცავენ ამ შეუთავსებლობის პრინციპს და ამომრჩეველთა კორპუსიდან რიცხავენ ყველა სახელმწიფო მოხელეებს. არის კონსტიტუციები, რომლებიც გამონაკლის არ უშვებენ მინისტრებისათვისაც. ასეთი წესი არსებობს გოლანდიაში, შვეიცარიაში და შეერთებულ შტატებში. სხვა კონსტიტუციები კი აღიარებენ შეუთავსებლობის პრინციპს, მაგრამ განსაზღვრულ კატეგორიისთვის სტოვებენ გამონაკლისს. ასეთი სისტემა აქვს ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას, საყურადღებოა საფრანგეთსა და იტალიის კონსტიტუციები, რომლებშიაც დაშვებულია გამონაკლისი. იტალიის კონსტიტუცია ამბობს, როომ ყველა მოხელეები, რომლებიც ჯამაგირს სახელმწიფოდან ღებულობენ, არ შეიძლება არჩეულ იქნენ პარლამენტის წევრებად. მაგრამ შემდეგ კანონი აღნიშნავს იმ თანამდებობის პირთ, რომელთა არჩევა შესაძლებელია. სახელდობრ ა) მინისტრები და სახელმწიფოს სუბ-სეკრეტრები. ბ) სახელმწიფოს საბჭოს წევრნი. გ) კასაციურ სასამართლოს წევრნი. დ) გენერლები და ორდინალური პროფესორები. ჩვენმა პროექტმა იცის მხოლოდ ორი გამონაკლისი: მინისტრებისთვის, მათი ამხანაგებისათვის და სახელმწიფო კონტროლისათვის.

საკონსტიტუციო კომისიაში გამოითქვა აზრი, რომ პროექტში ყოფილიყო დაშვებული გამონაკლისი უნივერსიტეტის პროფესორებისათვის. მოყავდათ ის მოსაზრება, რომ უნივერსიტეტი სრულებით დამოუკიდებელი, ავტონომიური დაწესებულებაა და უხერხეულობა, რომელიც შეიძლება დაიბადოს, როდესაც დეპუტატს რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა უჭირავს, არ არსებობს პროფესორებისთვის.

საკითხია: რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა პროფესორების დეპუტატათ არჩევა?

პროფესორის სამუშაო სულ სხვა სახის და ხასიათისაა. ის მოითხოვს ფრიად დამჯდარ და უშფოთველ მუშაობას და ამიტომ პროფესორი, დეპუტატათ არჩეული, შეიძლება მოსწყდეს თავის აკადემიურ ცხოვრებას. მაგრამ პარლამენტშიც საჭირო არიან სპეციალისტები და საკითხია კიდევ, როდის, უფრო სარგებლობა მოაქვს სწავლულს. მაშინ, როდესაც ის უზიარებს ცოდნას განსაზღვრულ მოქალაქეთა კატეგორიას, თუ მაშინ, როდესაც ის სწორ და უაღრეს საჭირო ცნობებს აწვდენს ჩვეულებრივ კანონმდებლობას. მაგრამ, კომისიის აზრით, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ პროფესორი დეპუტატიც იყოს და პროფესორიც ერთ და იმავე დროს. პრაქტიკულად ის პროფესორები, რომელნიც სერიოზულად ეკიდებიან პოლიტიკურ მუშაობას, თვითონვე ძალაუნებურად თავს ანებებენ უნივერსიტეტში ლექციების კითხვას. ამას აკანონებს ჩვენი პრაქტიკაც.

როგორც მე-59 მუხლშია ნათქვამი, ხელისუფლება ეკუთვნის მთელ ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფობას. სუვერენი საერთოდ არის ხალხი. პირდაპირ დემოკრატიაში იგი თვით ახორციელებს უშუალოდ ამ უფლებას. მაგრამ სადაც ეს საძნელო ან შეუ-

ძლებელია ამა თუ იმ მიზეზით, იქ ხალხი იძულებულია კანონმდებლობა და უმაღლესი მართვა-გამგეობა გადასცეს თავის წარმომადგენლებს. ამ შემთხვევაში ხალხი თავის სუვერენობას ახორციელებს პირდაპირ უმთავრესად წარმომადგენლების არჩევით, საკანონმდებლო ინიციატივით, რეფერენდუმით. პარლამენტს ეკუთვნის ხალხის სუვერენობა მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში, რომლის გარეშე მას არ შეუძლია მოქმედება; რაც კონსტიტუციით პარლამენტს არა აქვს გადაცემული, ის ხალხს აქვს დარჩენილი; კონსტიტუცია და თვით ხალხი პარლამენტზე ზევით დგას და მეორე მხრივ პარლამენტის სუვერენობა ნიშნავს იმას, რომ ეს სუვერენობა არ ეკუთვნის აღმასრულებელ ორგანოს, კომიტეტს, სამინისტროს ან სასამართლოს. ამათ მოქმედებას საზღვრავს (კონსტიტუციის გარდა) თვით პარლამენტი, პარლამენტის გამოცემული კანონი. ამ რიგად სუვერენის სახელი ეკუთვნის ერს და შემდეგ შეზღუდული სახით-პარლამენტს. მეტს არავის.

მე-60 მუხლი ამბობს: „პარლამენტი გამოსცემს კანონს, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული“. იურიდიული შინაარსის მხრივ კანონსა და დეკრეტს შორის არ არსებობს განსხვავება: როგორც კანონი, ისე დეკრეტი მატერიალური ნორმაა. ფორმალური განსხვავება არსებობს იქ, სადაც კანონების გამოცემა შეადგენს პარლამენტის პრეროგატივას, ხოლო დეკრეტების გამოცემა აღმასრულებელი ხელისუფლებისას. ჩვეულებრივად დეკრეტი არის უფრო ადმინისტრატიული განკარგულება და აქვს მიზნათ კანონის სწორი შესრულება, დეკრეტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, რომელიც მასზე მაღლა სდგას.

ჩვენი პროექტი კანონის და დეკრეტის გამოცემას ანდობს ერთსა და იმავე დაწესებულებას და ამით ორივეს ერთსა და იმავე მნიშვნელობას აძლევს. კანონი და დეკრეტი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არც ავტორიტეტით, არც სფეროთი, რომლის შიგნი მათ უნდა მოაწესრიგონ საზოგადოებრივი ურთიერთობანი, და არც მატერიალური შინაარსით. მხოლოდ განხილვისა და გამოქვეყნების წესით განსხვავდებიან ერთმანეთისგან კანონი და დეკრეტი. დეკრეტის გამოცემა უფრო გაადვილებულია, ვიდრე კანონის.

ასეთი წესი არსებობდა აქამდისაც, ერთი და იგივე მატერიალური ნორმა შეიძლებოდა ყოფილიყო საჩქარო მოწესრიგება. როდესაც ცხოვრება სწრაფად მიმდინარეობს, როდესაც სტიქიური სიჩქარით იცვლება ერთი კომბინაცია ინტერესებისა და ძალებისა მეორედ და საჭიროა სწრაფი უფლებრივი რეგლამენტაცია ახლად შექმნილ წესრიგისა იქ აუციელებელია მოქნილი და ელასტიური აპარატის ამუშავება. ასეთი მდგომარეობა შეიძლება ყოველთვის მოიტანოს დრომ: სოციალური-პოლიტიკური ცხოვრება არ მიმდინარეობს ერთ განუსაზღვრელ ფარგლებში, მან იცის რყევა, გადახვევ-გადმოხვევა, შეჩერება ზრდაში, და ისევ ჩქარი ნაბიჯით წინ-სვლა. ხანგრძლივათ ერთ წერტილზე შეჩერების შემდეგ. ახლათ აღმოცენებული ინტერესები და

მიზნები ქმნიან ახალ მოქმედების შაბლონს, და საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია ჩვეულებრივი კანონების გამოცემით სწრაფათ დაამყაროს წესრიგი, რადგან ყველგან, სადაც მხოლოდ ერთი საკანონმდებლო პალატაა, კანონის გამოქვეყნება გართულებულია.

ამიტომ მატერიალური ნორმის გამოქვეყნება დეკრეტის სახით ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სავსებით მიზანშეწონილია. მე-60 მუხლი ამბობს დადგენილების შესახებაც. ამ მცნებას გარკვეული შინაარსი და მოქმედების სფერო აქვს მინიჭებული, როდესაც მისი გამომცემელი არის აღმასრულებელი ორგანო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დადგენილება ემყარება კანონს, ე.ი. არაფერში არ ეწინააღმდეგება მას, და აქვს მიზნათ უმთავრესათ კანონის სწორი შესრულება. ჩვენი პროექტის მიხედვით კი დადგენილებას უნდა ქონდეს სხვა მნიშვნელობა და ხასიათი. პროექტი არასფერს ამბობს, თუ რა კატეგორია საგნებისა შეიძლება იყოს დადგენილების ობიექტი. ის მხოლოდ ამბობს, რომ კანონის დეკრეტის და დადგენილების გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული, მაგრამ არა მარტო გამოცემის წესით შეიძლება განსხვავდეს ერთმანეთისგან კანონი და დადგენილება. მათ, როგორც ამას იზიარებს საკონსტიტუციო კომისია, აქვთ სხვა და სხვა მატერიალური შინაარსი და მნიშვნელობა, კანონს და დეკრეტს აქვს ერთი სფერო, დადგენილებას კი მეორე. პირველნი შეეხებიან ყოველგვარ განწყობილებას, მეორე კი ეხება მხოლოდ პარლამენტის შინაგან მხარეებს და აღმასრულებელ ძალის მოქმედების ჩარევას. ამ მხრივ პარლამენტის დადგენილება და არა კანონი შეიძლება ეხებოდეს მთავრობის ნდობას, გადადგომას და სხვ.

მე-61 მუხლის თანახმად პარლამენტის უფლებას შეადგენს უმაღლესი გამგებლობა ჯარისა და საერთოდ რესპუბლიკის ყველა შეიარაღებული ძალების ომის გამოცხადება, ზავის ჩამოგდება, დამტკიცება საზავო, სავაჭრო და სხვა ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან, ამნისტია, ბიუჯეტის დამტკიცება, საშინაო და საგარეო სესხის აღება, იმ თანამდებობის პირთა არჩევა, რომელთა არჩევა კონსტიტუციით ან კანონით მას აქვს მიკუთვნებული, და საერთოდ კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების. ამ მუხლით დაწვრილებით ანალიზს ჩვენ აქ არ შეუდგებით, მათში აღძრულ საგნებზე ჩვენ სხვა ადგილას გვექნება ეს განმარტებით ბარათში. აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გარდა ორი შემთხვევისა – ამნისტიის გამოცხადებისა, და კონტროლისა – ყველა მე-61 მუხლში აღნიშნული საკითხები ისე ღრმათ შეეხებიან ხალხის ინტერესებს, რომ მისი გადაწყვეტა, მოწესრიგება ან თვით ხალხის ან მის წარმომადგენლებს უნდა შეეძლოს მხოლოდ. დემოკარტიული პრინციპი მოითხოვს, რომ საკითხის გადაწყვეტაში უპირველეს ყოვლისა მიიღოს მონაწილეობა იმან, ვის ინტერესებსაც ყველაზე უფრო ეხება ამა თუ იმ საკითხის მოწესრიგება. ომის გამოცხადება, სესხის აღება, რომელიც ბოლოს და ბოლოს ხალხის გასასტუმრებელია, ისეთი მძიმე საკითხებია ის ღრმათ და ძლიერათ შეიჭრებიან ხალხის სოციალურ ცხოვრებაში, რომ ამ

საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება ემორჩილებოდეს ვინმე სხვას, თუ არა ხალხს ან მის პირდაპირ ორგანოს, პარლამენტს. ამნისტიას გამოცხადების და კონტროლის უფლება კი გამომდინარეობს პარლამენტის უზენაესობიდან.

პარლამენტის სხდომები საჯაროა. ასეთი წესი არსებობს ყველგან. პარლამენტის მოღვაწეობაში არის დაინტერესებული ხალხი, საზოგადოება. პარლამენტი სარგებლობს უაღრესი ავტორიტეტით უმთავრესად იმიტომ, რომ მისი მოღვაწეობა ხალხის თვალწინ მიმდინარეობს; საკმარისია პარლამენტის მუშაობა ხანგრძლივათ დაფარული გახდეს და ის ხალხს დაშორდება. საზოგადოების აზრმა, რომლითაც პარლამენტი ხელმძღვანელობს, და რომელიც ამყარებს თანხმობას პარლამენტსა და ხალხს შორის. შეიძლება დაკარგოს გავლენა პარლამენტზე, რადგან თვით საზოგადოების აზრიც იმის გამო, რომ პარლამენტი ფარულ მოღვაწეობას ეწევა, სულ სხვა მიმართულებას მიიღებს. მაგრამ არის საკითხები, რომლების შესახებ საჯაროთ ბჭობა და ბაასი შეიძლება არ შეიძლება იმის გამო, რომ ისინი სახელმწიფოებრივ საიდუმლობას წარმოადგენენ. პარლამენტის კომპეტენციაში შედის მაგალითად სამხედრო კრედიტების გახსნა, და დიდი ზიანი, პირდაპირ გამოუსწორებელი ზარალი შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს ამ საკითხის გამო დადგენილების საჯაროთ გამოტანამ, რადგან კამათის დროს აუცილებლათ იქნება აღნიშვნა ჯარის რაოდენობის, მისი სუსტი მხარეების და სხვ. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის სხდომა აუცილებლათ უნდა ფარულათ იქნეს გამოცხადებული. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა საკონსტიტუციო კომისია, მე-62 მუხლის რედაქციის შემუშავების დროს. პროექტი აღნიშნავს, რომ პარლამენტის სხდომები საჯაროა, მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით ფარულათ გამოაცხადოს თავისი სხდომა ან ნაწილი სხდომისა.

ის, რომ მინდობილების გარჩევა შეუძლია მხოლოდ იმ დაწესებულებას, რომლის წევრათაც ითვლებიან მანდატის წარმომადგენლები, არის ყველგან გაბატონებული. ჩვენი პროექტის მე-63 მუხლიც ამბობს: „პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა რწმუნებულებას და გადაწყვეტს ყოველივე დავას ამ საკითხზე“. ზოგიერთები პოლიტიკური თვალსაზრისით ასეთ წესს არ თვლიან მოზანშეწონილათ, ვინაიდან ადვილათ შეიძლება, რომ პარლამენტის უმრავლესობამ დიდი სისასტიკე გამოიჩინოს მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელთა მანდატის განხილვის დროს, და საჭირო ყურადღებით ვერ მოეკიდოს ან და დიდი თავაზიანობა გამოიჩინოს უმრავლესობის წარმომადგენელთადმი. ამ მოსაზრებით 1868 წ-ის ინგლისის ქვედა პალატამ უარი სთქვა ასეთ უფლებაზე და მანდატის განხილვა მიანდო მოსამართლეებს, თვითონ კი დაიტოვა სანქციის უფლება. პრაქტიკაში პარლამენტი ყოველთვის ცდილობს შეუფარდოს თავის მოქმედება მოსამართლეების აზრს, ამიტომ ჩვენც ზედმეტათ მივიჩნიეთ სუვერენ პარლამენტზე მაღლა დაგვეყენებინა რომელიმე სხვა ორგანო.

თანახმად მე-65 მუხლისა პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტაცია საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა. მაგრამ რამდენი რიცხვია საჭირო, რომ ჩვეულებრივი სხდომა კანონიერათ ჩაითვალოს. ეს კითხვა არ წყდება ამ მუხლით. იგი გულისხმობს მხოლოდ სესიის გახსნას, და არა ყოველ სხდომას. შეიძლება რასაკვირველია ყოველი სხდომისთვისაც ასეთი ქვორუმი იქნეს მიღებული, მაგრამ, ჩვენ გვგონია, პარლამენტს უფლება აქვს რეგლამენტით სხვა რაოდენობაც განსაზღვროს ჩვეულებრივ სხდომისათვისაც, გარდა პირველისა, როცა სესია იხსნება და კონსტრუიროვკა ხდება პარლამენტისა.

„პარლამენტის წევრთ, – ამბობს პროექტის მე-66 მუხლი, – უფლება აქვთ მთავრობისადმი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემის წესი. შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით და რეგლამენტით“.

სხვა ფუნქციებთა შორის პარლამენტს ევალება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება – ეს არის კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფალთა მოქმედებისა. თუ პარლამენტი ასრულებს კანონმდებლობით ფუნქციებს, ესე იგი სხვა და სხვა ნორმების საშვალებით მიზნათ ისახავს მოაწესრიგოს სოციალური მდგომარეობა, მას უნდა ქონდეს აგრეთვე უფლება ყოველთვის, როდესაც ამას საჭიროთ დაინახავს, მოითხოვოს აღმასრულებელ ხელისუფლების წევრთა წარმომადგენელთაგან ისეთი ზომის მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს კანონის ცხოვრებაში გატარებას. კონტროლის ფუნქციას უპირველესად ყოვლისა პარლამენტი ახორციელებს კითხვების საშვალებით. ყოველ დეპუტატს შეუძლია გამოსთქვას გაუგებრობა, სურვილი, მიმართოს შესაფერ კითხვით უწყების წარმომადგენელს სხვა და სხვა გაუგებრობის გასაფანტავად, ან რომელიმე საეჭვო საგნის ასახსნელათ.

კითხვების მიცემის დროს ალაგი არ აქვს კრიტიკას. კრიტიკა არის შეკითხვების მიზანი. შეკითხვის საშვალებითაც პარლამენტი ასრულებს კონტროლის ფუნქციებს. მაგრამ ამ ინსტიტუტს, ე.ი. შეკითხვების შეტანას, აქვს სულ სხვა მნიშვნელობა, ხასიათი და მიზანი, ვიდრე კითხვების მიცემას. შეკითხვის დროს მიზნათ აქვთ არა მარტო მინისტრის განმარტების მოსმენა როგორც ამას აქვს ალაგი კითხვის დასმის დროს, არამედ შეკითხვის შემტანთ განზრახული აქვთ უწყების წარმომადგენლის განმარტებანი კრიტიკის საგნათ გახადონ და გაიგონ თუ როგორ იქნება შეფასებული და აწონილი პარლამენტის მიერ ესა თუ ის აქტი აღმასრულებელ ორგანოში.

მე-67 მუხლის შემუშავების დროს საკონსტიტუციო კომისია ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ საკანონმდებლო ორგანო აუცილებლად უნდა სარგებლობდეს სრული ავტონომიით ყველა იმაში, რაც საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციების შესრულებას ეხება. ეს პრინციპი არის სავსებით აღნიშნული მე-67 მუხლში, რომელიც ამბობს, რომ „პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტით თავის მოქმედებსი წესს“.

ჩვენი პროექტის მე-52 მუხლი ამბობს, რომ „პარლამენტი აირჩევა სამი

წლის ვადით“-ო., მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ თუ ვინ უნდა მიიწვიოს სამი წლის შემდეგ პარლამენტის ახალი შემადგენლობა. პროექტი აღნიშნავს სხვა წესს. თითონ ამომრჩევლები არჩევნების შემდეგ შეიკრიბებიან ნოემბრის პირველ კვირა დღეს. პროექტი ამბობს, რომ „პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს“, მაგრამ ამ მუხლის შემუშავების დროს კომისია იყო დაინტერესებული არა ყოველ წლიურ სესიების განახლებით არამედ პარლამენტის ახალი შემადგენლობის მოწვევით. ახალი პარლამენტი თვითონ იკრიბება სამი წლის შემდეგ ნოემბრის პირველ კვირა დღეს, აქედან კი გამომდინარეობს, რომ იმავე დღეს უნდა დამთავრდეს ძველი პარლამენტის და მოვალეობა. პარლამენტი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა დროს უნდა მოხდეს ახალი არჩევნები, მაგრამ ლოღიკური აზრის მიხედვით, იგულისხმება, რომ არჩევნები ხდება ნოემბრის პირველ კვირემდე იმდენი დღით ადრე მაინც, რომ დეპუტატებმა მოასწრონ დედა ქალაქში ჩასვლა. ცხადია აგრეთვე, რომ ახალი პარლამენტის პირველ შეკრებამდე, რომლისთვისაც კანონით არის ვადა განსაზღვრული, ძველი პარლამენტი კი არ კარგავს თვის უფლებას. იგი შეიძლება ფაქტიურათ არ მუშაობდეს, სესია შეიძლება შეწყვეტილ იქნეს მაგრამ უფლება მისი განუწყვეტელია. არ არის ისეთი დრო, როდესაც პარლამენტი არ არსებობდეს, ამრიგად იცვლება პარლამენტის შემადგენლობა ახალ არჩევნების საშვალებით, მაგრამ მისი მოქმედება მუდმივია. იგი, როგორც უზენაესი ბატონი ქვეყნისა, განუწყვეტელია. ცხადია ამიტომ იგი არც თვითონ ითხოვს თავისთვის არც სხვა რომელიმე ძალას აქვს უფლება მის დათხოვნის. მისი მოქმედება ექვემდებარება მხოლოდ კონსტიტუციას და ამ უკანასკნელით განსაზღვრულ ფარგლებს. მართალია, პარლამენტის ცხოვრებაში შესაძლებელია საზოგადოდ ისეთი მომენტი, როცა იგი აღარ გამოხატავს ხალხის ნებასურვილებს, როცა ხალხის ევოლუციამ გაუსწრო მის შემადგენლობის ევოლუციას, და ასეთ შემთხვევაში სამართლიანი იქნებოდა პარლამენტის განახლება, მაგრამ ჩვენი პროექტი ასეთ განახლებას – რაიც შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის ვადამდე დათხოვნით, არ შეიცავს. ერთი იმიტომ რომ თვით ვადა პარლამენტისა მცირეა – 3 წელიწადი, და ამ მცირე ხნის განმავლობაში შეიძლება თამამად ითქვას, საგრძნობი განსხვავება ხალხსა და პარლამენტს შორის არ მოხდება. მეორეც იმიტომ რომ დათხოვნა პარლამენტისა – ნიშნავს მასზე მაღალი ორგანოს ხელისუფლების დაწესებას – პრეზიდენტის ან ზედა პალატის სახით, როგორც გერმანიის ახალ კონსტიტუციაშია. ეს კი ზღუდავს პარლამენტის სუვერენობას. ჩვენი პროექტი დათხოვნაზე ამიტომ არასფერს ამბობს.

თუ მაინც და მაინც მოხდა დაშორება ხალხის და პარლამენტის ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, არის მხოლოდ ერთი გამოსავალი გზა – ესაა რეფერენდუმით პარლამენტის დათხოვნა. რეფერენდუმი გამოხატავს ხალხის უზენაესობას პარლამენტზე. ხალხი მაშასადამე უმაღლესი კორექტო-

რია პარლამენტის და უკანასკნელის შეცვლა მას შეეძლო როგორც მორიგი არჩევნების დროს, ისე მანამდე, თუ ხალხი დაადასტურებს პარლამენტის დათხოვნის დეკერეტს სხვა გზით პარლამენტის შეზღუდვა – ჩვენთვის მიუღებელია.

პარლამენტის სესიის შეწყვეტის საკითხს წყვეტს თვით პარლამენტი.

მე-70 მუხლი პროექტისა ამბობს „პარლამენტის მუშაობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს წელიწადში არა უმეტეს 5 თვისა, განსაკუთრებულ შემთხვევაში მისი მოწვევის უფლება აქვს მთავრობას ან პარლამენტის პრეზიდიუმს. პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს. სხვა და სხვა პირობების გამო მთავრობა შეიძლება იძულებული გახდეს სწრაფათ გასწიოს ხარჯები, იხელმძღვანელოს ახალი ხელშეკრულობით და სხვა, და მის ასეთ შემთხვევაში უნდა პარლამენტის მოწვევამ ახალი კრედიტის გახნისათვის, ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის და სხვ“.

მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი და მრავალწლობით ნელ-ნელა შექმნილი სახელმწიფოებრივი წესრიგი შეიძლება შესუსტდეს ან და სრულებით დაემხოს თუ თავის დროზე არ იქნა მიღებული ზომები. ამის მიხედვით უნდა დაფასდეს 70 მუხლის მნიშვნელობა. იგი შესაძლებლად ხდის, რომ პარლამენტის გარეშე არავითარი კანონმდებლობითი აქტი არ იქნეს გამოცემული რომელიმე სხვა ხელისუფლების მიერ.

„ინიციატივის უფლება ეკუთვნის პარლამენტის ყოველ წევრს და 5000 ამომრჩეველს“. ასეთია მე-71 მუხლის რედაქცია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინიციატივა შეეხება მხოლოდ ჩვეულებრივ კანონების გამოცემას, და შეიცავს იმას, რომ ამ წესით შეიძლება აღძვრა საკანონმდებლო მუშაობის. ასეთი წესით შემოსული საკანონმდებლო წინადადება უნდა აუცილებლად განხილულ იქნეს, ე.ი. ან უნდა მიიღოს პარლამენტმა, ან უარყოს, ან შეასწოროს. ერთი სიტყვით მთელი ეს პროცესი კანონმდებლობისა გაატაროს, რომელიც კანონით და რეგლამენტით იქნება შემუშავებული საკანონმდებლო მუშაობისათვის.

უფრო საყურადღებოა მუხლი მე-72 მუხლი, რომელიც ეხება რეფერენდუმს, ე.ი. ხალხის პირდაპირ კანონმდებლობას.

დემოკრატიაში ხალხს უჭირავს უპირველესი ადგილი. იდეოლოგიურათ ხალხი დემოკრატიაში არის უპირველესი წყარო ყოველგვარ ხელისუფლებისა. ხალხის ნება არის აბსოლიუტი. არ არსებობს სახელმწიფო ნება, რომელიც იდგეს ხალხის ნებაზე მაღლა. ხალხის ნება უმაღლესი კანონია და მისი უარყოფა არ შეიძლება. ხალხი სუეერნია, როგორც მონარქი მონარქიულ სახელმწიფოში. მისი ხელისუფლება არ ისაზღვრება გარედან. თავის ნებას ის თვით ზღუდავს. თვით ხალხი იძლევა იმ საზღვრებს, რომელშიდაც უნდა გაიშალოს და იბატონოს მისმა ნებამ. ხალხი ცდილობს ისე, როგორც ნაცია, მიიღოს სახელმწიფოებრივი კოსმოსის ფორმა. ყველაფერში და ყველგან

მისი ნება სჭარბობს. იგი ყველაფერს იმონავებს. მის წინაშე ყველაფერი ქედს იხრის. ეს არის უდიდესი რეზერვუარი, რომლიდანაც გამომდინარეობენ ყველა სახელმიწფოში მოქმედი ძალები. ხალხი არის უმთავრესი ენერგია, რომელსაც მოყავს მოძრაობაში მთელი სახელმწიფოს მექანიზმი რომ ხალხი ნამდვილი სუვერენი იყოს, საჭიროა მან თვით სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებაში მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა. უამისოთ ხალხის სუვერენობის აღიარებას არავითარი მნიშვნელობა, გარდა დეკლარატიულისა, არ ექნება. სახელმწიფო თავის ხელისუფლებას ანხორციელებს სხვა და სხვა სახის და ტიპის ორგანოების საშვალებით, მაგრამ ყველა ორგანოთა მოვალეობის შესრულებაში ხალხს არ შეუძლია მიიღოს პირდაპირი მონაწილეობა.

თვით რუსო, რომელიც ცნობილია, როგორც მოძღვარი უშუალო მმართველობისა, ესე იგი ისეთი მართველობის, სადაც ხალხი პირდაპირ სხვა შუამდგომი ორგანოების დაუხმარებლათ იღებს მონაწილეობას მართვა-გამგეობაში, თვით რუსო აცხადებს, რომ აბსოლუტური დემოკრატიული მართველობა პირდაპირ წარმოუდგენელია. უმთავრესი ფუნქციები, რომელთა ასრულება შეუძლია მოქალაქეთ, ან არის საკანონმდებლო ფუნქციები.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების პრაქტიკამ გამონახა ერთნაირი ფორმები, რომლის საშვალებით ხალხს შეუძლია შეასრულოს საკანონმდებლო ფუნქციები. იდეალური და ნამდვილი დემოკრატიული იქნებოდა, რომ მთელი ხალხი პირდაპირ კენჭის ყრით იღებდეს ანუ უარყოფდეს ყოველ კანონს. მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოებში ტერიტორიალურ სიფართოვისა და მცხოვრებთა სიმრავლის გამო ამ ფორმით ხალხის მონაწილეობა კანონმდებლობაში არ ხერხდება. მხოლოდ შვეიცარიის რამდენიმე პატარა კატონებში“ ურისა, შვიცსა და უნტერვალდერში არსებობს ამ ჟამად ყოველი კანონის მისაღებათ პირდაპირ კენჭის ყრა. ხალხის ყრილობა ამ კანტონებში იკრიბება განსაზღვრულ დროს საჭირო ალაგას და იღებს კანონებს, გამოიტანს დადგენილებებს ყველა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც აინტერესებს ხალხის ყრილობას, ირჩევს მოხელეებს და სხვ. ეს არის ხალხის ნამდვილი პირდაპირი მართველობა. მაგრამ ჩვენ დროში ასეთი პირდაპირი მართველობა იშვიათ გამონაკლისს შეადგენს. უმეტეს შემთხვევაში საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებას ხალხი ანდობს საერთოთ თავის არჩეულ წარმომადგენლებს. ხოლო თვითონ კმაყოფილდება ზოგიერთ კანონების მიღებაში ჩარევით. ფორმა ამ ჩარევისა არის რეფერენდუმი.

რეფერენდუმი ორგვარია: სავალდებულო და ფაქულტატიური. რეფერენდუმი სავალდებულოა, როდესაც ესა თუ ის კანონპროექტი აუცილებლათ უნდა წარედგინოს ხალხს დასამტკიცებლათ. რეფერენდუმი ფაქულტატიურია, როდესაც კანონი უნდა წარედგინოს ხალხს დასამტკიცებლათ – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს კანონის მიერ განსაზღვრული ამომრჩეველთა რიცხვი. რეფერენდუმი შეიძლება იყოს ვეტო-ს სახითაც, ეს მაშინ, როდესაც მოქალაქეების განსაზღვრულ რიცხვს უფლება აქვს დაწესებულ დროს განმავლობაში უარი სთქვან კანონზე, რომელიც უკვე მიღებუ-

ლია საკანონმდებლო ორგანოს მიერ. მაშასადამე სავალდებულო რეფერენ-დუმი ეხება ყველა კანონპროექტს, ფაკულტატიური რეფერენდუმი მხოლოდ იმ კანონებს, რომელთა ხალხის წინაშე წარდგენას მოითხოვს მოქალაქეთა განსაზღვრული რიცხვი, ვეტო კი უკვე ძალაში შესულ კანონს. და ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ ხალხს შეუძლია უშუალო მონაწილეობის მიღება კანონმდებლობაში, ინიციატივის საშვალებითაც, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მოქალაქეთა განსაზღვრული რიცხვი მოითხოვს პარლამენტის-აგან, რომ მან ხალხს კენჭის საყრელათ წარუდგინოს საკითხი ამა თუ იმ რე-ფორმის საჭიროებისა. ინიციატივა და რეფერენდუმი ერთანეთს ავსებენ, და ორივე ერთად უმთავრესი ელემენტები არიან პირდაპირი მართველობისა. ამ ორი საშვალებით ხალხი რეალურათ ახორციელებს თავის ხელისუფლე-ბას. რეფერენდუმი არ არის ახალი ეპოქის აღმოჩენა. ის პრინციპი, რომ კონ-სტიტუციის მიღებისათვის საჭიროა ხალხის სანქცია, ხშირი იყო ამერიკის შტატებში. მაგალითად, 1778 წელს მასსაჩუზეტმა წარუდგინა კონსტიტუ-ცია ხალხს მისაღებათ. ასეთ საშვალებას მიმართა ნიუ-ჰემპშირმა ორჯერ 1779, 1784 წლებს. საფრანგეთში 1797, 1795, 1799, 1802, 1904, 1815 წლების კონსტიტუციები იქნენ წარდგენილი ხალხის წინაშე ასეთი წესი შეითვისა შვეიცარიამ 1802 წ.

ჩვეულებრივ კანონების მიღება რეფერენდუმის საშვალებით კი შექმ-ნილია შვეიცარიის მიერ. მართალია საფრანგეთის 1793 წ. კონსტიტუციაში იყო მუხლი, რომელიც ამბობდა საერთოთ სახალხო კენჭის ყრაზე, მაგრამ ეს მუხლი არასდროს არ შესულა ძალაში. შესაძლოა, როგორც ამას აღნიშ-ნავენ დოქტრინაში, რეფერენდუმი შვეიცარიაში იმ ნიადაგზე აღმოცენდა, რომ იქ არ არსებობდა სისტემა ხალხის წარმომადგენლობისა. ხოლო სადაც იყო, არ სარგებლობდა ხალხის ნდობით. შეიძლება ამაზე მიუთითონ იმათ, ვინც რეფერენდუმის შემოღების წინააღმდეგი არიან ჩვენში, მაგრამ სულ ერთია, დღეს დღეობით დემოკრატიულ სახელმწიფოების პრაქტიკას გარდა რეფერენდუმისა, სხვა ფორმა ხალხის ხელისუფლების განხორციელებისა. არ შეუმუშავებია არც ერთი სისტემა ის არ შეესაბამება პრინციპიალურად ხალხის ბატონობის აღიარებას, როგორც რეფერენდუმი და ინიციატივა.

1792 წელს კუტონი ამბობდა კონვენტში: „ჩვენ მოწვეული ვართ აქ სახელმწიფოს ყოველ კუთხიდან, რათა მივიღოთ პროექტი საზოგადოებრივ ხელშეკრულებისა, მე ვამბობ პროექტი, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ საერთო სურვილია, ყველა საკონსტიტუციო დადგენილება გადაეცეს ხალხს, მისაღებათ“. დანტონმა ამავე წელს განაცხადა: „არ შეიძლება არსებობდეს კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომელიც მიღებული იქნება ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ“. რევოლუციონური კანონმდებლობა ყოველთვის ამ თვალსაზრისს ადგა.

არ არსებობს ისეთი დებულება, რომელიც ყველას მიერ იყოს აღიარებუ-ლი, როგორც სწორი და უტყუარი დებულება. რეფერენდუმსაც ყავს მრავა-ლი მოწინააღმდეგე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რეფერენდუმი არ გამოხ-

ატავს ხალხის ნამდვილ ნებას, რომ იგი კონსერვატიური დაწესებულებაა, რომ მრავალ წარდგენილ კანონპროექტებიდან ხალხის მიერ მოწონებული იყო მხოლოდ რამოდენიმე და ისიც ყველაზე უფრო ცუდი და კონსერვატიული. მიუთითებენ იმაზედაც, რომ რეფერენდუმის დროს აბსენტიზმი ფრიად გავცელებულია. იყო შემთხვევები, როდესაც პროექტი გავიდა სულ რამდენიმე ხმის უმრავლესობით და სხვა.

აღნიშნავენ იმასაც, რომ რეფერენდუმის და ინიციატივის დროს დემაგოგია მეტის მეტათ გახშირებულია და ყოველ პოლიტიკურ ავანტიურიზმს ეძლევა რეალური ნიადაგი. აი მოკლეთ ყველა ის ნაკლი, რომელზედაც მოგვითითებენ რეფერენდუმის უარმყოფელნი.

შტიუხი, რომელიც მეტის მეტ საყურადღებო ცნონებს იძლევა რეფერენდუმის შესახებ, ამბობს, რომ „ხშირათ ამა თუ იმ დაბრკოლებათა დასაძლევათ მიმართავენ ხოლმე პარტიულ დისციპლინას, იშველიებენ მეგობრობას ყოველგვარი განწყობილებებს და დამოკიდებულებას რათა მიაღწიონ მიზანს. არ მოეშვებიან მანამდე. სანამ არ აიძულებენ ამა თუ იმ პირს თანხმობის განცხადებაზე და სხვა“.

მაგრამ არის მთელი რიგი მეცნიერებისა, რომლებიც სულ სხვანაირათ უყურებენ რეფერენდუმს. მათი აზრით, რეფერენდუმი და ინიციატივა აახლოვებდა ხალხის ფართო წრეებს პოლიტიკურ ცხოვრებასთან, ხელს უწყობენ სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გავრცელებას და განმტკიცებას ხალხში, პოლიტიკურათ ზრდიან მას; რეფერენდუმი და ინიციტიატივა არის ერთი უმთავრესი და უსწორესი საშვალება ხალხის ნამდვილი სურვილის და ნების გასაგებათ. საუკეთესო მცოდნე რეფერენდუმისა კურტი აღნიშნავს, რომ „რეფერენდუმი არის პოლიტიკური სკოლა ხალხისა. და სადაც მოქმედებს რეფერენდუმი იქ ყველა კლასები დაინტერესებულნი არიან სახელმწიფოთა და სახელმწიფოს მიზნებით“.

ასეთივე დადებით მხარეებს რეფერენდუმისას აღნიშნავენ ისეთი იურისტები, როგორც არიან ელინეკი, დაისი და სხვ. მართლადაც რეფერენდუმს აქვს დიდი მნიშვნელობა თვით საკანონმდებლო ორგანოს მოღვაწეობისათვის, რეფერენდუმის საშვალებით დიდ გავლენას ახდენს კანონმდებლობაზე საზოგადოებრივი აზრი. სრულებით ზედმეტია აღნიშვნა აქ იმისა, თუ რა ძლიერი ოპოზიცია არსებობს იურიდიულ მეცნიერებაში პარლამენტარულ დაწესებულებათა წინააღმდეგ. ელინეკი ამბობს, რომ არ არსებობს ისეთი პარლამენტარული დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს ცოტათ და ბევრათ მაგარ კრიტიკის „გაძლება“. ამავე დროს წარმოუდეგენელია სხვა სისტემა. გარდა ამისა, როდესაც ხალხი თვით წარმომადგენელთა კორპუსის საშვალებით ასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს, მაშასადამე საჭიროა კორექტივი. ამის როლს ასრულებს რეფერენდუმი. ამის გარდა სადაც საკანონმდებლო ორგანო სრულიად დამოუკიდებლათ მოქმედობს. იქ მას აქვს ტენდენცია აღიაროს თავის ნების სრული ბატონობა და უზენაესობა.

ამ სახით იგი შეიძლება ისეთივე დესპოტიური იდეოლოგიით გაიმსჭვალოს, როგორც მონარქი მონარქიულ სახელმწიფოში. საკანონმდებლო ორგანო ამით სრულიად დაშორდება ამომრჩევლებს მით უმეტეს, რომ საკანონმდებლო ორგანო უცვლელია რამოდენიმე წელს, ცხოვრება და რეალური ძალთა განწყობილება კი მუდამ ცვალებადია. ამის გამო იბადება ნამდვილი კოლიზია, პარლამენტისა და ხალხს შორის. ერთს ადგენს საკანონმდებლო ორგანო, და მეორე აინტერესებს ამჟამათ ხალხის უმრავლესობას. ამ მოტივებზეა აშენებული პარლამენტის ვადამდე დათხოვნა და აგრეთვე ხალხის მიმართ აპელაცია ე.ი. რეფერენდუმი. უნდა არსებობდეს რაიმე ძალა, რომელსაც შეეძლოს საკანონმდებლო ორგანოების ზემოაღნიშნულ მისწრაფებათა შეჩერება. მაგალითად, ინგლისში, სადაც პარლამენტი უზენაეს ორგანოთ არის აღიარებული. საზოგადოებრივ აზრს ისეთი დიდი გავლენა აქვს საკანონმდებლო ორგანოს მოღვაწეობაზე, როგორც არსად. ინგლისის პარლამენტის პრაქტიკაში არის შემთხვევა როცა პარლამენტი იძულებული გამხდარა დამორჩილებოდა საზოგადოებრივ აზრს და ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რომელსაც პარლამენტის უმრავლესობა წინათ გმობდა, არა მარტო ინგლისში, არამედ თითქმის ყველგან, საზოგადოებრივი აზრი, როცა იგი უმრავლესობის რწმენას გამოხატავს, მოქმედობს ამა თუ იმ სახით საკანონმდელბო ორგანოს მოღვაწეობაზე. და რაც უფრო ნათლად, აშკარათ. გარკვეულათ და ღრმათ გამოიხატება აზრი უმრავლესობისა, მით უფრო ძლიერია მისი გავლენა. რეფერენდუმი და ინიციატივა კი არიან ის საშვალებანი, რომლებიც ხელს უწყობენ გარკვეულ და ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრის სავსებით გამომჟღავნებას. პრესა. მიტინგები, კრებები სულ სხვაა. ისინი ყოველთვის არ გვაძლევენ ნამდვილ უმრავლესობის აზრს. ამ მხრივ რეფერენდუმს აქვს უდიდესი უპირატესობა, რეფერენდუმი არის პარლამენტის შემაჩერებელი ძალა. რეფერენდუმის საშვალებით ხალხი საკანონმდებლო ორგანოს უწევს კონტროლს, იმორჩილებს მას და ნამდვილ თავის მსახურ ორგანოთ ხდის.

რეფერენდუმი უფლებრივ სახელმწიფოს თვალსაზრისით სრულებით მისაღებია, და არ არის გასაკვირი, რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში იყო შეტანილი მუხლი, რომელიც მოითხოვდა რეფერენდუმის შემოღებას.

ციურიხელი პოლიტიკოსი ზიბერი ამბობს: „ჩვენ ხალხს სრულებიათაც არ ვაღიარებთ ფეტიშად, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენა ისაა, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ბედნიერი, როდესაც მართველობა და კანონმდებლობა სავსებით ემყარება ხალხს.

ჩვენმა საკონსტიტუციო კომისიამ უპირატესობა მისცა ფაკულტატიურ რეფერენდუმს. ჩვენი პროექტი ამბობს: „თუ 20.000 ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს“. სავალდებულო რეფერენდუმი არ მიიღო კომისიამ იმის გამო, რომ, როცა კანონპროექტები ხშირ-ხშირათ

სდგება ხალხის წინაშე დასტურისათვის, ეს იწვევს მოქალაქეების მოღალვას და ინდიფერენტიზმს, მით უმეტეს, რომ არავითარ პარტიას ფიზიკურათ არ შეუძლია გააცნოს ყოველი პროექტის შინაარსი ფართო წრეებს. ასეთი დეფექტები არა აქვს ფაკულტატიურ რეფერენდუმს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხალხს აქვს ბჭობა მხოლოდ იმ კანონპროექტებზე, რომელიც მას აინტერესებს, აღელვებს, კამათს იწვევს. ამ სახით რეფერენდუმის გატარება ჩვენში უფრო ადვილია, რადგანაც ჩვენი რესპუბლიკა ტერიტორიალურად და მცხოვრებთა რიცხვით პატარაა, და ამავე დროს პარტიული ორგანიზაციების მხრივ საკმაოთ განვითარებულია. ხალხი შეიძლება მოიტყუონ, შეცდომაში შეიყვანონ მომავლის ყალბი სურათის წარმოდგენით, მაგრამ პარტიულ პროპაგანდას და აზრთა შეხლა-შემოხლას ყოველთვის შეუძლია გადაარჩინოს საზოგადოება შემცდარ ნაბიჯს. ზოგი ფიქრობს, რომ სავალდებულო რეფერენდუმით ხალხის უფლება უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე ფაკულტატიური რეფერენდუმით. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ ხალხი რომელიმე კანონპროექტის შესახებ არ სვამს საკითხს, ცხადია იგი მის თანახმაა.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 49-61

დებულება – აღმასრულებელი ხელისუფლება

სანიმუშო პროექტი რაჟდენ არსენიძის

I. უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც შესდგება 7 წევრისაგან. (შვეიცარია პ. 95).

2. რესპუბლიკის მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის თავმჯდომარე საქართველოს რესპუბლიკის. თავმჯდომარეს ყავს თავისი მოადგილე. დანარჩენ წევრებს ეწოდება მინისტრები. (96).

3. მთავრობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს აირჩევს პარლამენტი. (98).

4. მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც უფლება აქვთ პარლამენტის წევრად ყოფნისა, და ამტკიცებს პარლამენტი.

5. მთავრობის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე თანამდებობა ეჭიროს ან რაიმე პროფესიას მისდევდეს. მას შეუძლია მხოლოდ იყვეს პარლამენტის წევრი ან თვითმმართველობის ხმოსანი. (97).

6. თავმჯდომარე დანიშნავს თანამდებობის პირთ საერთო მართველობისა და საგარეო ურთიერთობისათვის; გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონით ეს უფლება სხვა სახელმწიფო ორგანოს აქვს მინიჭებული. დანარჩენ თანამდებობის პირთ ის დანიშნავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს კანონში არის აღნიშნული. (ბელგია 66).

7. თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას და განკარგულებას კანონების აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს. (ბელგია 67). მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილისა ამ მოვლენისათვის თანახმად კანონში აღნიშნული წესისა. თავმჯდომარეს აქვს უფლება ფულის ბეჭდვის, „чеканка“ თანახმად კანონის დადგენილებისა. (ბელგია 74.) თავმჯდომარე აძლევს ომიანობის დროს სამხედრო ორდენებს და ჯილდოს თანახმად კანონისა. (ბელგია 76.) თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული ხელისუფლება, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით ან ცალკე კანონით აქვს მიკუთვნილი. (ბელგია 78.)

8. თავმჯდომარის ავადმყოფობის ან არ ყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

9. მთავრობის საერთო უფლებას და მოვალეობას შეადგენს:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა თანახმად კანონისა (102).

ბ) თვალ-ყურის გდება კონსტიტუციის და კანონების სწორად ასრულებისთვის.

გ) წარდგენა პარლამენტისათვის თავის კანონპროექტების და აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტებზე. რომელნიც საპარლამენტო ინიციატივით ან სხვა ორგანოებისაგან არის აღძრული.

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე) ზრუნვა რესპუბლიკის უზრუნველყოფისათვის გარეშე ხიფათისაგან, მისი ნეიტრალიტეტის და დამოუკიდებლობის დარღვევისაგან. (9).

ვ) ის ზრუნავს შინაგანი წესიერებისა და უშიშრობის დაცვისათვის. მოულოდნელ შემთხვევაში თუ საჭიროებამ მოითხოვა, და პარლამენტი შეკრებილი არ არის, უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა რესპუბლიკისა – 3. 000 კაცამდე, – ვადით არა უმეტეს სამი კვირისა, უკეთუ მეტი ძალა სჭირდება, ან მეტის ვადით, უნდა ამისთვის ნებართვა მიიღოს პარლამენტისაგან.

ზ) განაგებს ფინანსებს და ყოველ-წლიურად წარუდგენს პარლამენტს შესავალ-გასავალის პროექტს.

თ) თვალყურს ადევნებს რესპუბლიკის თანამდებობის პირთა მოქმედებას. (15).

ი) ანგარიშს აძლევს პარლამენტს თავის მოქმედებაში და ყოველ სესიაში ერთხელ მაინც წარუდგენს მოხსენებას საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ. ამის გარეშეც იგი ვალდებულია წარუდგინოს პარლამენტს სპეციალური მოხსენება, უკეთუ პარლამენტი მოითხოვს. (16).

10. რესპუბლიკის ყველა საქმეები განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის.

11. მთავრობა კოლექტიურად პასუხის მგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათის და თვითეული წევრი მთავრობისა პირადად თავის მოქმედებისათვის. (საფრანგეთი კან. 25 თებ. 1875 წ. მ. 6).

12. მინისტრებს უფლება აქვთ პარლამენტში ხმის მიცემისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დეპუტატად არიან არჩეული.

13. მთავრობის წევრს უფლება აქვს პარლამენტის სხდომას დაესწროს და, უკეთუ მოითხოვს, პარლამენტი ვალდებულია მას მოუსმინოს. თავის მხრივ პარლამენტის მოთხოვნით მინისტრი ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა განმარტება მისცეს.

14. მთავრობის წევრთა პასუხის გებაში მიცემა შეუძლიან მხოლოდ პარლამენტს. ამ შემთხვევაში მათი საქმე გადაეცემა გასარჩევად უმაღლეს საკასაციო სასამართლოს, რომელსაც უფლება აქვს მათი განსჯის. მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობა, სასჯელი და გასამართლება განისაზღვრება კანონით. (ბელგია 90).

15. მთავრობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს აირჩევენ ერთი წლით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი ვადა თავდება მაშინ, როდესაც უთავდება ვადა თვით პარლამენტს. ამავე დროს გაუდის ვადა მთვარობის ყველა წევრებსაც. (შვეიცარია 96. 98).

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 21-22.

1

კონსტიტუცია და მისი გადასინჯვა

ალ. მდივანი

წელიწადნახევარზე მეტია, რაც საქართველოს დამფუძნებელი კრება აწესრიგებს და განაგებს სახელმწიფო საქმეებსა და ცხოვრებას; ამ მიზნით არა ერთი კანონი შემუშავდა და გამოიცა კიდეც. მიუხედავად ამისა თავისი პირდაპირი დანიშნულება დამფუძნებელ კრებას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, მართალია, შედგენილია, მაგრამ მიღებული არ არის; მისს განხილვას დამფუძნებელი კრება დღეს შეუდგება. უეჭველია კონსტიტუციის არსებულ პროექტს ამა თუ იმ შესწორებით და ცვლილებით დამფუძნებელი კრება დაამტკიცებს და მით თავის პირდაპირ მოვალეობას შეასრულებს ქვეყნის წინაშე.

კონსტიტუციის შემუშავება – ეს უპირველესი და უმთავრესი დანიშნულებაა დამფუძნებელი კრებისა. კონსტიტუცია – ძირითადი კანონია, რომლის მიხედვით სახელმწიფო მთელი მართვა–გამგეობა მოეწყობა. საინტერესოა ვიცოდეთ, რა ზომებს მიმართავენ ხოლმე, რომ კონსტიტუცია მტკიცე შეიქმნეს, და რა პირობებს შეიმუშავებენ, რომ საჭიროების მიხედვით შესაძლებელი გახდეს მისი დამატება ან და შეცვლა.

კონსტიტუციის შეცვლის, ან და გადასინჯვის საკითხი ყოველთვის მწვავედ იყო დაყენებული სახელმწიფოთა სერიოზულ და ღრმა რყევისა და ნგრევის დროს. კრებამ, რომელმაც შეიმუშავა ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია და რევოლიუციონურ საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ დიდი პოლიტიკური წინდახედულება გამოიჩინეს და დიდი შრომა დახარჯეს ამ საკითხის გადაჭრის დროს. თავისი ისტორიული სიდიადის გარეშეც ეს საკითხი ზედმეტად საინტერესოა, ვინაიდან ის არსებითად დაკავშირებულია ზოგიერთ ძირითად შემეცნებასთან, რომელსაც მეცნიერება სახელმწიფო წეს–წყობილების შესახებ განსაზღვრავს და განმარტებს.

სახელმწიფოს მტკიცე და კარგი წესწყობილების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ყოველი კანონი უნდა შეიცვალოს კანონითვე. კანონი გარკვეული წესია, რომელიც სასტიკად განსაზღვრული გზით გამოიცემა. თუ არსებულ კანონის შეცვლა ან გამოცვლაა საჭირო, ამისათვის ხალხის წარმომადგენლობის თანხმობაა აუცილებელი. ხალხის წარმომადგენლობის გარეშე. რომ სახელმწიფოს თავს უფლება მიეცეს კანონის გამოცვლისა,

ეს იქნებოდა თანამედროვე სახელმწიფოს უმთავრეს დასაწყისის გაუქმება, მოსპობა. ამგვარად იცვლება ჩვეულებრივი კანონები; მაგრამ საკითხი გართულდება, როდესაც საქმე ძირითად კანონის ანუ კონსტიტუციის გადასინჯვას შეეხება.

ძირითად კანონის შესამუშავებლად და გამოსაცემად მოწოდებულია ყოველი დამფუძნებელი კრება, იგი მხოლოდ ძირითად კანონს შეიმუშავებს და მერმე დაიშლება. სახელმწიფო საქმეებისა და ცხოვრების მართვას ახალ არჩევნების შემდეგ ახალი საკანონმდებლო დაწესებულება შეუდგება.

ისტორიაში ყოფილა მაგალითები, როცა კონსტიტუცია მეფის ნებითა და სახელით გამოუციათ. XIX საუკუნეში ამგვარად შემუშავდა და გამოიცა კონსტიტუცია გერმანულ სახელმწიფოებში – ბავარიაში, საქსონიაში, პრუსიაში და სხვ. ამგვარად შემუშავებულ და გამოცემულს კონსტიტუციას „ნაბოძებ“ კონსტიტუციას ეძახიან.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია; ყველა სხვა კანონებს ჩვეულებრივ კანონებს ეძახიან და უკანასკნელნი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძირითად კანონს.

მაშასადამე თანამედროვე სახელმწიფოში არის ორი წყება კანონებისა: ძირითადი და ჩვეულებრივი. ვინაიდგან ეს კანონები სხვა და სხვა წესით შემუშავდება და გამოიცემა, მათი შეცვლა და გადასინჯვა მოხდება არა ერთისა და იმავე გზითა და სახით. კონსტიტუციის გადასინჯვისათვის თითქმის ყველგან დაწესებულია განსაკუთრებული პირობები, რომელნიც არ არსებობენ ჩვეულებრივ კანონების შესაცვლელად.

გადასინჯვის თვალსაზრისით თუ შევხედავთ კონსტიტუციებს, შეიძლება ისინი ორ რიგად გავყოთ; არის კონსტიტუციები, რომელთა გადასინჯვა არ არის დამოკიდებული განსაკუთრებულ დამატებით პირობებზე; მათი გადასინჯვა არ არის შეზღუდული; იგი ჩვეულებრივი საკანონმდებლო მოქმედებაა; არის კონსტიტუციები, რომელთა გადასინჯვა ზედმეტად შეზღუდულია, ვინაიდგან მათ შემუშავებისა და გამოცემის დროს აზრად ჰქონდათ ამ კინსტიტუციების მეტი სიმტკიცე და ხანგძლიობა.

პირველი რიგის კონსტიტუციების მაგალითს ინგლისის კონსტიტუცია წარმოადგენს. ინგლისი მთელი ევროპისათვის სახელმწიფოებრივი წესწყობილების მხრივ მაგალითად გადაიქცა. ინგლისში უფრო ადრე, ვიდრე სადმე სხვაგან, მეფეთა თვითმპყრობელობა შეზღუდული შეიქმნა, დამკვიდრდა და განვითარდა იქ ძალა-უფლება პარლამენტისა.

ინგლისის კონსტიტუცია უძველესია, ყველაზე უფრო ნაცადია და არასოდეს არ ყოფილა მომწყვდეული ერთ ძირითად სახელმწიფოებრივ კანონის ფარგლებში; ის თანდათანობისთ შემუშავდა: დაგროვდა აუარებელი ჩვეულებები, სასამართლოს დადგენილებები, პარლამენტის კერძო დადგენილებანი და როგორც შედეგი – წარმოიშვა სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება, როდესაც სიმტკიცით, კანონისადმი პატივისცემით, ან რომ წარ-

მოშვა და გაანვითარა ცხოვრებათა შორის და თავისუფლებით, იგი რომ თვითეულ ინგლისელს ანიჭებს, ვერც ერთ სხვა რომელიმე სახელმწიფოში არსებული წეს–წყობილება ვერ შეედრება. მთელი სახელმწიფოებრივი უფლება ინგლისში პარლამენტის ხელთაა. ინგლისურ პარლამენტს – მეფე, ლორდთა და თემთა პალატები შეადგენენ.

პალატების დადგენილებით, რომელიც მეფის მიერ დამტკიცებული იქმნება, ინგლისელ კანონმეტყველის კოკის თქმის არ იყოს, შესაძლებელია ყოველისფერი, მხოლოდ შეუძლებელია მამაკაცის დედაკაცად გადაქცევა. ინგლისში არ არსებობს ის განსხვავება ძირითად და ჩვეულებრივ კანონის შორის, რომლის შესახებ ზემოთ იყო ბაასი. ერთიცა და მეორეც ინგლისში გამოიცემა ერთი და იმავე ნებითა და წესით. ამისათვის ინგლისის პარლამენტს შეუძლია შესცვალოს ძირითადი კანონი, როგორც ის სცვლის ყოველ სხვა კანონს – თემთა პალატისა და ლორდთა პალატის დადგენილებით და მეფის დამტკიცებით.

ინგლისში მთელი ძალა სახელმწიფოებრივი უფლებისა მოთავსებულა თემთა პალატაში. ორას წელზე მეტია, რაც მეფეს ერთხელაც არ განუცხადებია უარი კანონის დამტკიცების შესახებ. ლორდთა პალატას 1911 წლიდან შეუძლია მხოლოდ დროებით შეჩერება ხალხის მიერ არჩეულ თემთა პალატის დადგენილებისა, მაგრამ მისი უარყოფა კი არა. შეიძლება ვსთქვათ, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა და შეცვლა ინგლისში სავსებით დამოკიდებულია თემთა პალატაზე. უკანასკნელის უბრალო დადგენილება საკმარისია კონსტიტუციის გადასინჯვისა და შეცვლისათვის როგორც მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ 1911 წლის კანონი, რომელმაც შეზღუდა ლორდთა პალატის უფლება. ლორდთა პალატის უფლება, ოდესმე გადამწყვეტი, მე-19 საუკუნის განმავლობაში საკმაოდ შესუსტდა, მიუხედავად ამისა ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ ლორდთა პალატას უფლება ჰქონდა თემთა პალატის დადგენილების უარყოფისა. ამ უფლების კანონით მოსპობა არა უბრალო შეცვლა იყო კანონისა, არამედ მთელი სახელმწიფოებრივი გადატრიალება. ეს მაინც მოხდა და ამ გზას დაადგა. ის უფლება, რომელიც ინგლისში ყველა კანონებს გამოსცემს ხოლმე. თემთა პალატაში შეუშავებული კანონი მიღებულ იქმნა ლორდების მიერ და წარედგინა მეფეს დასამტკიცებლად. ეს ცხადი და ნათელი მაგალითია კონსტიტუციის შეცვლისა ჩვეულებრივი კანონმდებლობითი წესით.

ინგლისი ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც კონსტიტუციის გადასინჯვა ეგრე გამარტივებულია. სულ სხვაგვარად არის მოწყობილი საქმე მაგალითად ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის კონსტიტუცია, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოს, 1787 წელს შეჰქმნეს იმგვარ პირობებში წარმოიშვა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონდა კონსტიტუციის სიმტკიცეს. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები წარმოიშვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირისაგან. თავდაპირველად ეს სახელ-

მწიფოები, ანუ შტატები, ინგლისის კოლონიები იყო. მათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებით და 1771 წელს გაერთიანდენ კავშირში. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ნათელი შეიქნა, რომ ეს კავშირი სუსტია და დაშლა მოელის; თორმეტი წლის შემდეგ აუცილებელი გახდა კავშირისათვის ახალი ძირითადი კანონის შემუშავება. ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა შეადგინეს კონსტიტუცია, რომელიც დღესაც მოქმედებს და უეჭველია კიდევ დიდ ხანს იმოქმედებს. მაგრამ ინგლისის კონსტიტუციაში მით განირჩევა ამერიკის კონსტიტუცია, რომ იგი ერთი ძირითადი კანონია ყველა შტატების მიერ ნებაყოფლობით მიღებული. დიდი ღირებულების საკითხი იყო ის, რომ შტატებს, კავშირის წევრებს, არ დაერღვიათ კონსტიტუცია, ერთსულოვნად და ერთგულად დაეცვათ იგი. ამერიკის სახელმწიფოს სიმტკიცე კონსტიტუციის ნამდვილ დაცვაზე იყო დამოკიდებული და ამისათვის ამერიკელებმა მიიღეს ზომები, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა არ ყოფილიყო გაადვილებული. ჩრდილო-ამერიკაში საკანონმდებლო უფლება ხალხის წარმომადგენელთა კრებას ეკუთვნის, ამ კრებას კონგრესი ჰქვიან. კონგრესი ორი პალატისაგან შესდგება: წარმომადგენელთა პალატისაგან და სენატისაგან. წარმომადგენელთა პალატას ირჩევს მთელი ამერიკის ხალხი საყოველთაო საარჩევნო კენჭის ყრით. შტატები, რომლებმაც კონსტიტუცია მიიღეს, თავიანთ ადგილობრივ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელნი არიან. მათ თავისი საკანონმდებლო კრებები აქვთ.

თვითეული კერძო შტატის საკანონმდებლო კრება ჰგზავნის ამერიკის სენატში ორ წარმომადგენელს.

ცხადია, ჩრდილო-ამერიკის სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება ზედმეტად რთულია. შეერთებულ შტატებში ვითომდა ორი სხვა და სხვა უფლებაა: ერთი – ეს მთელი კავშირის უფლება, რომელიც მთელი რესპუბლიკის საერთო საქმეებზე არის გავრცელებული, მაგ., – ჯარსა, ფლოტსა, საგარეო საქმეებზე და სხვ. მეორე – უფლება თვითეული სახელმწიფოსი. შტატის უფლებაა ადგილობრივი საკითხების მოწესრიგება და გადაწყვეტა, ხოლო მთელი კავშირის სათავეში პრეზიდენტი სდგას, რომელსაც სუყველა შტატის მცხოვრებლები აირჩევენ. თვითეულ შტატის სათავეში კი გუბერნატორია. მასაც შტატის მცხოვრებნი ირჩევენ.

შეერთებულ შტატების სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება და მისი სტრუქტურა ნათელს ჰყოფს იმ გარემოებას, რომ თუ კონსტიტუციის შეცვლა ან კონსტიტუციაში რამე შესწორების შეტანა სასურველია, ამისათვის უნდა შეთანხმდნენ ორივე უფლება: ყველა ამერიკელისათვის საერთო კონგრესი და თვითეული კავშირში მყოფი შტატი. ამიტომ ამერიკის კონსტიტუციის გადასინჯვა ნამეტანი ძნელი და რთული საქმეა.

გადასინჯვის ინიციატივა შეუძლია თავს იდვას საერთო კონგრესმა; ამ შემთხვევაში საჭიროა აღნიშნული წინადადება მიღებულ იქმნეს ცალ-ცალკე წარმომადგენელთა პალატისა და სენატის მიერ ორი მესამედი ხმის უმეტესო-

ბით თვითეულ პალატაში. სწორედ ამ გვარადვე კონსტიტუციის გადასინჯვა შესაძლებელია, თუ ამას მოისურვებს კავშირში მყოფი შტატების ორი მესამედის საკანონმდებელი კრებები. ამ შემთხვევაში აუცილებლივ უნდა მოწვეულ იქმნეს განსაკუთრებული კრებები. თვით შესწორებანი კონსტიტუციაში მიღებულ უნდა იქმნეს შემდეგ სამი მეოთხედი შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ. 1787 წლიდან მოყოლებული 133 წელი გავიდა და ამ დროის განმავლობაში ამერიკის კონსტიტუციაში მხოლოდ 15 შესწორება იყო შეტანილი. საერთოდ და მთლიანად ეს კონსტიტუცია ხელუხლებელია, და შეუცვლელია როგორც ერთი განსაცვიფრებელი ძეგლი სახელმწიფოებრივი წინდახედულებისა და გონიერებისა.

ინგლისისა და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია არის ორი მკაფიო მაგალითი ერთის მხრით ელასტიური და მეორეს მხრით გაყინული, მოუხეშავი კონსტიტუციისა. ყველა დანარჩენი კონსტიტუციები ამ ორი კონსტიტუციის შორის თავსდება და უახლოვდებიან ან ინგლისისას ან ჩრდილო ამერიკისას.

ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციების უმრავლესობა არა ელასტიურია და მათ გადასინჯვისა და შესწორებისათვის განსაკუთრებული პირობებია საჭირო, ზოგჯერ აუცილებელია საკანონმდებლო პალატამ მიიღოს წინადადება კონსტიტუციის შეცვლის შესახებ განსაკუთრებული ძლიერი უმრავლესობით, მაგ. 2/2 ან და ¾ (ყოფილი ავსტრია, ბავარია, საკსონია და სხვა), არის კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს, იმ გარემოებას, რომ წინადადება შეცვლისათვისა და გადასინჯვისათვის უნდა მიღებულ იქნეს პალატების მიერ ორჯერ (შვეცია).

ბელგიაში, რომლის კონსტიტუციას დიდი გავლენა ჰქონდა სხვა ქვეყნების კონსტიტუციებზე; საჭიროა შესწორება მიღებულ იქნეს ორჯერ და აუცილებლივ 2/3 ხმის უმრავლესობით. პირველ და მეორე კენჭის ყრის დროს პალატებს დაითხოვენ ხოლმე და ახალი არჩევნები სწარმოებს. ამგვარად, საბოლოოთ საკითხს გადასინჯვის შესახებ სწყვეტს ახლად ხალხის მიერ არჩეული პალატა.

სულ ადვილია კონსტიტუციის შეცვლა უნგრეთში და იტალიაში, სადაც ეს საქმე დაყენებულია ისე, როგორც ინგლისში და არავითარი განსაკუთრებული წესი ძირითად კანონის შესაცვლელად არ არსებობს.

ჩვენთვის ზედმეტად საინტერესოა, თუ რა წესი არსებობს კონსტიტუციის შეცვლისა საფრანგეთში, შვეიცარიაში და გერმანიაში. საფრანგეთი და შვეიცარია რესპუბლიკები არიან და მათი სახელმწიფოებრივი წეს–წყობილება ჩვენთვის ფრიად საგულისხმიეროა. გერმანიის იმპერიამ არა ერთი მწარე გაკვეთილი მოგვცა და ამისათვისაც უნდა ვიცოდეთ იქ დამყარებული წეს-წყობილება.

თანამედროვე საფრანგეთის წეს-წყობილება წარმოიშვა როგორც მე–XVIII საუკუნის დასასრულ მომხდარ დიდ რევოლუციის შედეგი როდესაც

1691 წ. დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა კონსტიტუცია. ის იმის ცდაში იყო, რომ შემუშავებული კონსტიტუცია სამუდამოდ დარჩენილიყო საფრანგეთის ძირითად კანონად; ამისათვის დამფუძნებელ კრების მიერ 1791 წლის კონსტიტუციის შეცვლა და გადასინჯვა შეზღუდული იყო რთულ და მძიმე პირობებით. თავდაპირველად საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ აუკრძალა ორ საკანონმდებლო კრებას, რომელიც დამფუძნებელ კრების საკანონმდებლო მუშაობის დასრულების შემდეგ მოწვეულ იქმნებოდა, რამე შესწორების შეტანა კონსტიტუციაში. შესწორება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ სამი საკანონმდებლო კრება თანდათანობით ამას მოითხოვდა. მეოთხე კრების შემადგენლობა, რომელსაც უნდა განეხილა ეს შესწორებანი, გადიდდებოდა 249 დეპუტატით და ამ კრების შემადგენლობაში შეუძლებელი იყო შესულიყვნენ იმ კრების წევრები, რომელმაც აღიარა კონსტიტუციის გადასინჯვა სასურველად. ყველა ამ წარმოუდგენელ დაბრკოლებასა და შეზღუდვას ვითომდა უნდა დაეცვა ხელშეკრულობა 1791 წლის კონსტიტუციისა. მაგრამ სრულიად სხვა გვარად დატრიალდა საქმე. 1791 წლის კონსტიტუციამ ორი წელი ძლივს იარსება და მე-19 საუკუნის განმავლობაში არც ერთ ქვეყანას არ შეუმუშავებია და არ უსარგებლებია იმდენი კონსტიტუციებით, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა.

სარევოლუციო კრებების დამახასიათებელია მისწრაფება როგორმე შეზღუდონ კონსტიტუციის შეცვლა; მაგრამ ისტორია გვეუბნება, რომ როდესაც კანონმდებელი ყოველ ღონისძიებას ხმარობს უზრუნველჰყოს თავისი ნაშრომი ყოველგვარ ცვლილებისაგან, ის ხშირად საწინააღმდეგო შედეგებს მიაღწევს ხოლმე. კონსტიტუცია, რომლის შეცვლა კანონიერის გზით თითქმის შეუძლებელია, სულ ადვილად შესაძლებელია რევოლიუციონერული გზით მოისპოს, როგორც ეს დაემართა საფრანგეთის დამფუძნებელ კრების ნაშრომს.

ეხლა საფრანგეთში ჰმოქმედებს 1875 წლის კონსტიტუცია. უკანასკნელი შედარებით მარტივია. კრება, რომელმაც შეიმუშავა ეს კონსტიტუცია, მოწვეული იყო საფრანგეთისათვის საუბედურო ომის შემდეგ გერმანელებთან ზავის ჩამოსაგდებლად და მისი მოქმედება გაგრძელდა 1871 წლიდან 1876 წლამდე. ეს კრება უმთავრესად შესდგებოდა მონარქისტებისაგან და თუ ისინი ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ საფრანგეთში რესპუბლიკის დაარსების საკითხში. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვით მონარქიულ პარტიების შორის არსებობდა დიდი უთანხმოება. ცნობილია, რომ გადამწყვეტი კენჭის ყრის დროს მართვა-გამგეობის ფორმის შესახებ რესპუბლიკანელებმა მხოლოდ ერთი ხმის უმეტესობით გაიმარჯვეს. მაგრამ მიუხედეავად იმისა, რომ საქმე წააგეს მონარქისტებმა, არ უარჰყვეს აზრი მომავალში მონარქიის აღდგენაზე და ამისათვის ყოველგვარ ზომებს ღებულობდნენ, რათა გაეადვილებინათ კონსტიტუციის შეცვლის შესაძლებლობა, რომ მოხდენილ დროს შეეცვალათ მართვა-გამგეობის ფორმა.

მართლაც, 1875 წლის თებერვლის 25-ს საკონსტიტუციო კანონი კონსტიტუციის შეცვლისათვის მოითხოვს ორივე პალატის დადგენილებას და დადგენილებას მათ შეერთებულ კრებისას, რომელსაც ნაციონალური კრება ჰქვიან, ისტორიამ არ გაამართლა მონარქისტების ზრახვანი და იმედები. დიდი რევოლუციის კონსტიტუციები, რომლებიც დაცული იყო ყოველმხრივ და ხანგრძლივი არსებობისათვის შექმნილი, ერთი მეორეზე ისპობა, 1875 წლის ძირითადი კანონი კი დღემდის არსებობს და კონსტიტუციის შეცვლის სიადვილემ ხელი არ შეუშალა რესპუბლიკის განმტკიცებას საფრანგეთში...

თუ საფრანგეთის კონსტიტუციიდან გადავალთ შვეიცარიის კონსტიტუციაზე, ჩვენ იქ კონსტიტუციის გადასინჯვის საქმეში სულ სხვა წრეს ვნახავთ. შვეიცარია, როგორც შეერთებული შტატები და ყოფილი გერმანიის იმპერია, არის რთული სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა რამოდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეერთებიდან, როდესაც ეს სახელმწიფოები შეერთდნენ, აღიარეს, – თუ რა საქმეები არის კავშირის ყველა წევრისათვის საერთო და ამ საქმეებისათვის შექმნეს განსაკუთრებული უფლება, რომლის დადგენილება ყველასათვის სავალდებულოა. მაგრამ თვითეულ კავშირში მყოფ სახელმწიფოს რჩება უფლება თავისი შინაგანი საქმეები, რომლებიც მთელს კავშირს არ შეეხება, გადასწყვიტოს და მოაწესრიგოს. შვეიცარიაში კერძო სახელმწიფოებს კანტონებს ეძახიან; უეჭველია, არის რამ საერთო შვეიცარიისა და ჩრდილო–ამერიკის შეერთებულ შტატების წეს-წყობილებას შორის; მაგრამ წესი კონსტიტუციის გადასადინჯვისა არ არის ერთი და იგივე.

შეერთებულ შტატებში, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითად კანონის შეცვლა ან შესწორება უნდა დამტკიცდეს სამი მეოთხედი შტატების საკანონმდებლო კრებების მიერ, ე.ი. შეცვლა ან შესწორება კონსტიტუციისა ხალხის წარმომადგენლობის საქმეა. შვეიცარიის კონსტიტუცია კი მოითხოვს, მის ყოვლეგვარ ცვლილების მიერ უშუალოდ მიღებასა და დადასტურებას. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ საკითხის აღძვრა შეუძლია კავშირის საკანონმდებლო პალატებს, ე.ი. ნაციონალურ საბჭოს (დეპუტატების პალატა) და სახელმწიფო საბჭოს (კანტონების წარმომადგენლებს თვითეულიდამ ორ-ორს) და აგრეთვე შვეიცარიის 50.000 მოქალაქეს. უთანხმოების დროს ხალხმა თავდაპირველად უნდა გამოარკვიოს, საჭიროა თუ არა საზოგადოთ კონსტიტუციის გადასინჯვა. როდესაც ეს საკითხი გადაწყვეტილია, მაშინ ახალ შესწორების ან და კონსტიტუციის მუხლის შინაარსი უნდა დაადასტურის ხალხმა და უნდა მიიღოს შვეიცარიის ხალხის უმრავლესობამ თვითეულ კანტონების საზღვრების მიუხედავად და აგრედვე კერძოდ თვითეულ კანტონის მცხოვრებლების უმრავლესობამ. ამგვარი წესი იმიტომ არის მიღებული, რომ დაცული იყოს იმ კანტონების ინტერესი; რომლებიც ნაკლებ არიან დასახელებული. ამგვარად, შვეიცარიის კანონით კონსტიტუციის გადასინჯვის საქმე თვით ხალხის ხელითაა; ეს არის უკანასკნელი საფეხური ხალხის ბატონობისა.

აქამდე ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება იმ რთულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე, რომლებიც რესპუბლიკელებს წარმოადგენენ. ყოფილ გერმანიის სახით ჩვენ გვაქვს საქმე რთულ სახელმწიფოსთან, რომელიც მონარქიებიდამ შესდგებოდა, 1871 წლის კონსტიტუციამ გააერთიანა 27 სახელმწიფო, სამეფო, სამთავრო და სხვ. გერმანიის იმპერატორის მეთაურობით; გერმანიის იმპერატორი იმ დროსვე პრუსიის მეფეა, და რადგანაც პრუსია კავშირის უძლიერესი სახელმწიფოა, მისი გავლენა დიდია, გადამჭრელია. ამ გარემოებას სწორედ ნათელს ჰყოფს კონსტიტუციის ის დადგენილებანი, რომლებიც ამ კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხს შეეხება. ეს წესი ერთი შეხედულებით ზედ-მეტად მარტივია. კონსტიტუცია იცვლება, როგორც ჩვეულებრივი კანონი; მაგრამ ყოველგვარი შესწორება უარყოფილად ჩაითვლება, თუ კავშირის საბჭოში 14 ხმა იქნება მისი წინააღმდეგი. კავშირის საბჭო – ეს იმპერიის მეორე საკანონმდებლო პალატაა. პირველი პალატა – რეიხსტაგი – აირჩევა ყველა გერმანელების მიერ პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო წესით.

რეიხსტაგის გვერდით მოქმედობს კავშირის საბჭო, რომელიც შესდგება გერმანიის თვითეულ სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენლებისაგან. კავშირის საბჭოში 58 წევრია და მხოლოდ პრუსია ჰგზავნის 17 წარმომადგენელს. საბჭოს ყველა წევრები თავისუფალი არ არიან კენჭის ყრის დროს; ისინი იქცევიან თანახმად იმ ინსტრუქციისა, რომელსაც მათ მისცემს მათი მთავრობა.

ამგვარად ეს მოხელეთა კრებაა, რომელსაც უფლება აქვს. თუ ყოველგვარი წინადადება კონსტიტუციის შეცვლისათვის შეიძლება უარყოფილ იქმნეს 14 ხმით, სრულიად ცხადია, რომ მხოლოდ პრუსიას, რომელსაც 14 ხმა აქვს, შეუძლია ხელი შეუშალოს კონსტიტუციის გადასინჯვას.

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ იმ კანონმდებლობათა მიმოხილვის მიხედვით, რომელნიც ჩვენ გავარჩიეთ?

რომელის წესი კონსტიტუციის გადათვალიერებისა უფრო ამართლებს თავის დანიშნულებას, ის, – რომელიც უფრო ამარტვივებს და აადვილებს გადასინჯვის საკითხს, თუ ის, რომელიც პირ-იქით ათასგვარ დაბრკოლებასა ჰქმნის გადასინჯვის შესაძლებლად?

ვფიქრობთ, არ არის საჭირო დაბრკოლებათა დაგროვება, როგორც 1791 წელს ფრანგებმა ეს ჩაიდინეს; გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეს არ არის მხოლოდ გარეგნული დაცვა კონსტიტუციისა.

გაზ. „სახალხო საქმე“, 24 ნოემბერი, 1920 წ.

II*

მთავრობა და მისი პასუხისმგებლობა

ყოველი წეს-წყობილება – თუ კი ის წეს-წყობილებაა, აუცილებლად ჰგულისხმობს არსებობას განსაზღვრულ წესებისას და გარკვეულ პირებისას, რომლებიც მათ შესრულებას თვალყურს ადევნებენ; სხვაგვარად რომ ვსთქვათ, ყოველი წეს-წყობილება ჰგულისხმობს კანონისა და უფლებების არსებობას.

თითქმის ყველა იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიამ გაიმარჯვა და გაბატონდა აღმასრულებელი ხელისუფლება ექვემდებარება და ემორჩილება საკანონმდებლო უფლებას; მთავრობა ფრთხილად ყურს უნდა უგდებდეს ხალხის ხმას და თავისი მოქმედება მას უნდა შეუფარდოს და შეუთანხმოს. მთავრობა ვალდებულია შეასრულოს ხალხის ნება. მართლაც, ხალხი კი არ არსებობს მთავრობისათვის, არამედ მთავრობა ხალხისათვის. მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი აღმასრულებელი ხელისუფლების გამართლება, როცა იგი ჰმოქმედებს ქვეყნის ანუ სახელმწიფოს ავტორიტეტულ წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

მაგრამ როგორ შევქმნათ ეს თანხმობა?

როგორ მოვსპოთ მთავრობასა და ხალხს შორის არსებული ძველი, საუკუნოების სიღრმიდან მომავალი უთანხმოება?

ყველამ კარგად იცის რომ იყო დრო, როცა ხალხი კი არა, მეფე იყო ყველა უფლებათა წყარო. რასაც სიკეთედ მიიჩნევდა მეფე, ის გადაიქცეოდა ხოლმე მთელი ერის წმინდა მოვალეობად. „სახელმწიფო თვით მე ვარ“, – ამბობდა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკი XIV, და ბევრს ეს სჯეროდა.

ხალხი თავის მიწა-წყალზე მონად ხდებოდა, მართველები ხალხის ინტერესებს კი არა, თავიანთ პირად ინტერესებს იცავდნენ. ამ გარემოებას შედეგად ის მოჰყვა, რომ სახელმწიფოს ორი ძირითადი ძალა-უფლება ერთი მეორეს სრულიად დაშორდა. სახელმწიფოს თავდაცვის მიღმა ინსტიქტმა შეიმუშავა ამ სახიფათო უფსკრულის მოსპობის საშუალება. სახელმწიფოები დემოკრატიული შეიქმნენ. წარმოიშვა მთელი ერის ხელმწიფება, მართვა-გამგეობის ფორმებიც საგრძნობლად გაუმჯობესდა. ეხლა მოწინავე დემოკრატიებს ზედმეტად რთული აპარატი აქვთ მართვა-გამგეობისა და ეს აპარატი უზრუნველჰყოფს ხალხის ნებასა და თავისუფლებას.

ამ აპარატის ცენტრად და საფუძვლად, უეჭველია, აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის – პასუხისმგებლობაა ერის ხელმწიფებისა და (ნებისა) და ამ ხელმწიფებასთან შეერთებულ საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე.

* გაზ. „სახალხო საქმე“, 12 დეკემბერი, 1920 წ.

მთავრობის პასუხისმგებლობის ორი სახე არსებობს: პასუხისმგებლობა იურიდიული სასამართლოს წინაშე და პოლიტიკური; ისტორიაში პირველმა მოამზადა მეორე; პირველი უფრო მარტივია, ბუნებრივია, უდავოა და თავისთავად იგულისხმება; მეორე უფრო შინაარსიანია და შეერთებულია ერის პოლიტიკური განვითარების უფრო დიდ დონესთან.

იურიდიული პასუხისმგებლობა მთავრობისა არის პასუხისმგებლობა კანონის წინააღმდეგ იმ დანაშაულობათათვის, რომლებიც მან ჩაიდინა თავის მოვალეობის ასრულების დროს. ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში ინგლისში თემთა (ქვედა) პალატას ჰქონდა უფლება უმაღლეს მოხელეთა წინააღმდეგ წამოეყენებია ბრალდება უფლების ბოროტად გამოყენებაში; ამ შემთხვევაში ზედა (ლორდთა) პალატა სასამართლოს როლს თამაშობდა. ინგლისის პრაქტიკამ შეიმუშავა მეორე უფრო ნამდვილი საშუალება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან საბრძოლველად – ბრალდება სპეციალურ კანონის გამოცემის გზით, რომლითაც ბრალდებულს მიუსაჯავდნენ სიკვდილით დასჯასა და „სისხლის გაფუჭებას“.

რევოლუციის დროს ამგვარ ბრალდების მსხვერპლი შეიქმნა მეფის მრჩეველი ლორდი სტრაფორდი, რომელიც ძრიელ სძულდა ხალხს. ინგლისში იურიდიულ პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაულობა კანონის წინააღმდეგ, მაგრამ ცხოვრებამ საკმაოდ გააფართოვა პარლამენტის უფლება და შექმნა შემდეგი ფორმულა: „პატიოსნება, სიმართლე, სარგებლობა“. მთავრობის წევრი, რომელიც რომელიმე ამ პრინციპს უღალატებს, პარლამენტის გულის წყრომას დაიმსახურებს. ამგვარად იურიდიული პასუხისმგებლობა ნამდვილ პოლიტიკურ სახეს ღებულობს.

თანამედროვე დასავლეთ კონსტიტუციებში მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპი სასამართლოს წინაშე აღიარებულია, თუმცა ამ პრინციპს პრაქტიკული მნიშვნელობა თითქმის აღარა აქვს.

აი მაგალითები: მე-12 მუხლი ივლისის 10, 1875 წლის საფრანგეთის საკონსტიტუციო კანონისა სხვათა შორის ამბობს: „დეპუტატთა პალატას შეუძლიან სამართალში მისცეს მინისტრები იმ დანაშაულობისათვის, რომლებიც მათ ჩაიდინეს თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს. ამ შემთხვევაში მათ ასამართლებს სენატი“.

ბელგიის კონსტიტუცია ადგენს: „ვერავითარ შემთხვევაში სიტყვიერი ან წერილობითი ბრძანება მეფისა ვერ გაანთავისუფლებს მინისტრს პასუხისმგებლობისაგან. წარმომადგენელთა პალატას აქვს უფლება მინისტრების წინააღმდეგ აღძრას ბრალდება და ისინი საკაციო პალატის სამართალში მისცეს. მეფეს შეუძლიან საკასაციო პალატის მიერ დამნაშავედ მიჩნეულ მინისტრს აპატიოს სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პალატა ამგვარ შუამდგომლობას აღძრავს“ (მუხ. 89, 90, 91).

პრუსიის საკონსტიტუციო აქტიც აღიარებს მინისტრების იურიდიულ პასუხისმგებლობას: „ერთი რომელიმე პალატის გადაწყვეტილებით მინის-

ტრების წინააღმდეგ შესაძლებელია აღძრულ იქმნეს ბრალდება კონსტიტუციის დარღვევაში, მოსყიდვაში და ღალატში: ამგვარ ბრალდების გამო გარდაწყვეტილებას მონარქიის უმაღლესი სასამართლო გამოიტანს ყველა განყოფილებათა შეერთებულ კრებაზე“ (მუხ.61). ბევრ სხვა კონსტიტუციებსაც აქვთ ამგვარივე დადგენილებანი.

სასამართლო, რომელსაც ექვემდებარება მინისტრების გასამართლება სხვა და სხვა სახელმწიფოებში სხვა და სხვა გვარია, თუ ინგლისში და საფრანგეთში ეს არის ზედა პალატა, თუ პრუსიაში, ბელგიაში, რუმინიაში და შვეიცარიაში ეს არის უმაღლესი საერთო სასამართლოს ორგანოები, ავსტრიაში, ბავარიაში და საბერძნეთში მინისტრების გასამართლებას მიანდობენ განსაკუთრებულ სასამართლოს დაწესებულებას. რაც შეეხება დამნაშავე მინისტრებს, როგორც წმინდა კერძო პირებას, ამ შემთხვევაში ისინი ექვემდებარებიან საერთო ჩვეულებრივ სასამართლოებს და საერთო კანონებს.

მიუხედავად ზემო აღნიშნულისა ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა მინისტრებისა, მთავრობისა, – საკმარისად არ უზრუნველჰყოფს ხალხის თავისუფლებასა და ნებას მთავრობის თვითნებობისაგან. ფორმალურად კანონის დაურღვევლად სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეებს შეუძლიანთ მთელი მთელი თავისი მოქმედებით წინ აღუდგნენ საკანონმდებლო დაწესებულების მისწრაფებებს. მათ აქვთ საშუალება მიუხედავად იმისა, რომ კანონის წინააღმდეგ დამნაშავედ არ იქნებიან მიჩნეული, ხალხის წარმომადგენლობის, პარლამენტის მთელი მოქმედება შეაფერხონ.

სწორედ ამისთვისაა, რომ მთავრობის სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობასთან ერთად საპარლამენტო ისტორიამ მიგვიყვანა მინისტრების ეგრედწოდებულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობამ და ბუნებრივი ლოღიკური დასკვნა ამ სახის პასუხისმგებლობისა არის ეგრედწოდებული მართვა-გამგეობის საპარლამენტო ფორმა.

საფრანგეთის 25 თებერვლის 1875 წლის საკონსტიტუციო კანონის მეექვსე მუხლი ამბობს: „მინისტრები სოლიდარული პასუხისმგებლობის მატარებელნი არიან პალატების წინაშე მთავრობის პოლიტიკის საერთო მიმართულებისათვის და ინდივიდუალურისა, მათ პირად მოქმედებისათვის. რესპუბლიკის პრეზიდენტი პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში“.

ბელგიის კონსტიტუციის სამოცდამესამე მუხლი ადგენს: „მეფის პიროვნება ხელუხლებელია; მისი მინისტრები პასუხისმგებელნი არიან“.

პრუსიის კონსტიტუციის მე-43 და მე-44 მუხლები შეიცავს შემდეგს: „მეფის პიროვნება ხელუხლებელია. მეფის მინისტრები პასუხისმგებელნი არიან“. მე-17 მუხლი გერმანიის საიმპერიო კონსტიტუციისა ამბობს: „იმპერატორს ეკუთვნის უფლება საიმპერიო კანონების დამზადებისა და გამოქვეყნებისა და მათი აღსრულებისათვის თვალყურის დევნა. იმპერატორი

გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას იმპერიის სახელით და მათ სინამდვილესათვის ხელის მოწერა, აუცილებელია იმპერიის კანცლერის მიერ რომელიც ამ აქტით თავის თავზე ღებულობს პასუხისმგებლობას“.

აი იმ დადგენილებათა მაგალითები რომლებიც მინისტრების პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ამყარებენ. პრაქტიკულად ეს პასუხისმგებლობა გამოიხატება აღმასრულებელ ხელისუფლების მოვალეობაში ყოველ განსაზღვრულ მომენტში ანგარიში წარუდგინოს ხალხის წარმომადგენლობას, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები მიზანშეწონილია და ძირითად კანონებს არ ეწინააღმდეგება; მთავრობა პასუხისმგებელია არა მარტო თავის მოქმედების კანონიერებისათვის არამედ თვის პოლიტიკის საერთო მიმართულებისათვისაც.

ბუნებრივი შედეგი ამგვარი წესწყობილებისა აღმასრულებელ ხელისუფლებისა და ხალხის ნების ავტორიტეტულ ორგანოთა შორის სავალდებულო პოლიტიკურ სოლიდარობის რეჟიმის დამყარებაა. ამგვარ წეს წყობილებას პარლამენტარიზმს ეძახიან. უნდა ვსთქვათ რომ ასეთი ფორმა მართვა გამგეობისა არის საუკეთესო ფორმა მინისტრების პასუხისმგებლობისა. ისტორიამ უფრო განვითარებული ფორმა აღმასრულებელ ხელისუფლების პასუხისმგებლობისა არ იცის. აღნიშნული წეს-წყობილება დამყარდა ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში და სხვ. მაგრამ არის მოწინავე ქვეყნები, სადაც შეიძლება ვსთქვათ ზემო აღნიშნული პასუხისმგებლობა მთავრობისა არ არსებობს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ზედმეტად საინტერესოა შვეიცარია, რომლის კონსტიტუციას საკმაო დიდი გავლენა აქვს ჩვენ საკონსტიტუციო კანონის პროექტზე.

აღმასრულებელი ხელისუფლება შვეიცარიაში განსაკუთრებული თვისებისაა და არ წააგავს იმას, რასაც ჩვენ სხვა სახელმწიფოებში ვხედავთ. ფედერალურ საბჭოს არა აქვს არც ვეტო-ს უფლება და არც შეადგენს იგი მართველობის კერძო ორგანოს. როგორც პრეზიდენტი ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ადმინისტრატიულ საქმეებშიაც კი ფედერალური საბჭო არ არის დამოუკიდებელი უფლების მატარებელი, ფედერალურ კრებას შეუძლია ფედერალურ საბჭოს ადმინისტრატიულ განკარგულებების გადათვალიერება, კონტროლიც და გაუქმებაც. მართალია, ამ უფლებით არ სარგებლობენ უკვე გამოცემულ განკარგულებათა გასაუქმებლად, მაგრამ საბჭო ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს და პალატები ამ შემთხვევით სარგებლობენ, რათა მიუთითონ საბჭოს ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ღონისძიებათა შეცვლაზე.

ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოს მდგომარეობა წააგავს პარლამენტარულ კაბინეტის მდგომარეობას: საბჭოს წევრებს არა აქვთ, მართალია, უფლება კრების წევრებად იყვნენ, მაგრამ შეუძლიანთ დაესწრონ პალატების კრებებს, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა დებატებში და მათ აქვთ დიდი გავლენა კანონმდებლობაზე. საბჭო მიუთითებს ფედერალურ კრებას საჭირო ზომებზე; ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კრება განსაკუთრებულ

რეზოლიუციის სახით ეგრედ წოდებულ „პოსტალატით“ წინადადებას მისცემს საბჭოს დაამზადოს ეს თუ ის კანონპროეკტი; აგრეთვე ის ზომები, რომლებიც საბჭოს მიერ არ არის შეტანილი, სანამ კომისიას გადაეცემოდეს ან და პალატა განიხილავდეს, გადაეგზავნება საბჭოს. თუმცა შვეიცარიაში აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ხელმწიფების შორის იმგვარივე მჭიდრო კავშირია როგორც ეს პარლამენტარულმა სისტემამ იცის, უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნული დამოკიდებულება სულ სხვა პრინციპზეა აგებული, ვინაიდან ფედერალური საბჭო არ არის პასუხის მგებელი პარლამენტარულ თვალთა ხედვით თუ მივუდგებით საქმეს და არ ანებებენ თავს მართვა-გამგეობას, როცა მათი კანონ-პროექტი არ იქნება მიღებული პალატის მიერ. შესაძლებელია საადმინისტრაციო და საკანონმდებლო საკითხების შესახებ არ არსებობდეს ერთგვარი აზრი ფედერალურ კრებისა და საბჭოს შორის; ამ შემთხვევაში საბჭო ემორჩილება კრების ნებას და ცდილობს სინდისიერად შეასრულოს მისი ბრძანება. შვეიცარიის ისტორიამ 1848 წლიდამ მოყოლებული იცის მხოლოდ ორი შემთხვევა, როცა საბჭომ თავი დაანება სამსახურს პოლიტიკური მიზეზების გამო და ამ ორ შემთხვევიდან ერთი იყო გამოწვეული საკანონმდებლო უფლებასთან შეჯახებით. საერთოდ უნდა ვაღიაროთ, რომ შვეიცარიამ არ იცის იმგვარი პასუხისმგებლობა როგორიცაა ინგლისში, საფრანგეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში.

ალ. მდივანი

III

შვეიცარიამ არ იცის საპარლამენტო პასუხისმგებლობა მთავრობისა; შვეიცარიელებს შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ უმაღლესმა მოხელემ თავი დაანებოს თავის თანამდებობის ასრულებას მხოლოდ იმიტომ, რომ მის მიერ წარდგენილი ზომები საკანონმდებლო დაწესებულების მიერ მოწონებული არ იქნა.

ფედერალურ საბჭოს (მთავრობის) წევრებს (7) ყველას ერთად ირჩევს თვითეული ახალი ფედერალური კრება როგორც კი იგი გაიხსნება; საბჭოს წევრები სამი წლით აირჩევიან ხოლმე, უკეთ რომ ვსთქვათ, იმავე ვადით, როგორც ფედერალური კრება. მართალია საბჭოს 7 წევრთა შორის განაწილებულია სახელმწიფო საქმეები, მაგრამ კონსტიტუცია აღიარებს, რომ ეს განაწილება საქმის გამარტივებისა და გასაადვილებლად არის მიჩნეული და ყველა გადაწყვეტილება გამომდინარეობს საბჭოსაგან, როგორც ერთ მთლიან დაწესებულებიდან.

ის პირი და უმაღლესი მოხელე, რომელიც „შვეიცარიის კავშირის პრეზიდენტის“ სახელს ატარებს, არის საბჭოს ერთი შვიდ წევრთაგანი და აირჩევა ხოლმე როგორც აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტი, ფედერალურ კრე-

ბის მიერ ერთი წლის ვადით. კონსტიტუცია მოითხოვს გადაჭრით, რომ პრეზიდენტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქმნეს არჩეული პრეზიდენტად ან ვიცე-პრეზიდენტად ზედი-ზედ. პრეზიდენტი არავითარ შემთხვევაში და არავითარ აზრით არ უნდა იყო თავი ადმინისტრაციისა. პრეზიდენტს შვეიცარიაში არ აქვს უფრო მეტი ძალა-უფლება საბჭოს სხვა წევრებთან შედარებით. ის არის, როგორც ამას სამართლიანად განმარტავენ, „ერის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და ამის და მიხედვით ის სცდილობს იცოდეს, თუ რას აკეთებენ მისი კოლეგები; გარდა ამისა ის ასრულებს სახელმწიფოს თავის როლს ყოველგვარ ცერემონიების დროს“.

დიდი განსხვავებაა შვეიცარიისა და ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტთა შორის. შეერთებული შტატების პრეზიდენტი არის თითქოს მთავარსარდალი ჯარებისა და ფლოტისა; ის სენატის უმრავლესობის თანხმობით ნიშნავს ელჩებს, კონსულებს, უმაღლეს სასამართლოს წევრებს და ცენტრალურ მმართველობის უმაღლეს მოხელეებს, სენატის თანხმობით ის შეეკვრება ხოლმე ხელშეკრულებებით უცხო სახელმწიფოებს და მათ წარმომადგენლებს მიიღებს; პრეზიდენტს აქვს უფლება ათი დღის განმავლობაში თავისი ვეტოთი უკანვე დაუბრუნოს კანონი, კონგრესის მიერ მიღებული. პრეზიდენტს აქვს ასევე უფლება დანიშნოს არაჩვეულებრივი კრებები ორივე პალატისა და ამ შემთხვევაში ვალდებულია წარუდგინოს მოხსენება, რომელიც დაახასიათებს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას და რომელშიაც აღნიშნული იქნება ახალი საჭირო ზომები. ყველა ამას უნდა დავუმატოთ უფლება შებრალებისა.

აშკარაა, რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას ამერიკის წესები სულ სხვაგვარია, ვიდრე შვეიცარიისა; შვეიცარიელებს ეშინიათ ერთ პირს ჩააბარონ ძალა-უფლება და ყოველთვის უპირატესობას აძლევენ კოლეგიალურ დაწესებულებას. ამისათვისაა, რომ პრეზიდენტის მაგიერ მათ დააწესეს ფედერალური საბჭო.

ჩვენი კონსტიტუციის პროექტი ამ შემთხვევაში განირჩევა როგორც შვეიცარიის ისე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციისაგან, ვინაიდან ის უფრო უახლოვდება იმ ქვეყნების კონსტიტუციას, სადაც წმინდა პარლამენტარიზმია გამეფებული. პარლამენტარულ წესწყობილების ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა თავს ანებებს თავის მოვალეობის ასრულებას, როგორც კი ნათლად გამოსახული ნება პარლამენტისა არ მიიჩნევს მთავრობის მოქმედებას სასურველად. მთავრობას არ შეუძლია მოქმედება ხალხის აზრის ავტორიტულ გამომსახველთა გარეშე. საერთო პოლიტიკა განისაზღვრება ხალხის ნებით. აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს განსახიერება მთელი სახელმწიფოს აზრისა და სულისა.

აქედან ნათელია, რომ პარლამენტარული მთავრობა თავდაპირველად უეჭველად პოლიტიკურად მთლიანი უნდა იყოს. სახელმწიფოებრივი აზრი განსაზღვრული მთლიანობაა. შეუძლებელია მინისტრებს შორის საერთო პოლი-

ტიკის საკითხების შესახებ აზრთა პრინციპული მოწინააღმდეგეობა იყოს.

გარეგანი გამოხატულება პარლამენტარულ მთავრობის პოლიტიკურ მთლიანობისა მისი „დეკლარაციაა“* მთავრობის დეკლარაცია, როგორც ამბობენ ეს ახალ მთავრობის ერთგვარი პასპორტია. დეკლარაცია განსაზღვრავს მთავრობის არსებობასა და მოქმედებას.

პარლამენტარულ მთავრობის პოლიტიკური მთლიანობა გამოიხატება აგრედვე პრემიერის (პირველი მინისტრის, კაბინეთის თავმჯდომარის) პიროვნებაში კაბინეტი გაერთიანებულია ერთი რწმუნებული პირით, რომელიც გამოსახავს მთავრობის ფიზიონომიას. პრემიერი არის პარლამენტარულ სახელმწიფოს მთელი პოლიტიკის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

მინისტრები პარლამენტარულ სახელმწიფოს ვალდებულნი არიან გაიზიარონ და აღიარონ ის პოლიტიკური პროგრამა, რომელსაც პრემიერი წამოაყენებს დეკლარაციის სახით. მოხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის წევრი მთავრობისა ამა თუ იმ ზომის შესახებ თავიანთ ამხანაგების აზრსა და შეხედულებას დაშორდება, მაშინ ის ვალდებულია გავიდეს კაბინეტიდან, რომ მთავრობის სოლიდარობა და მთლიანობა არ დაირღვეს. მოხდება აგრეთვე ისიც, რომ პარლამენტი კმაყოფილი არაა რომელიმე მინისტრის პოლიტიკისა. ამ შემთხვევაში სამსახურს თავს ანებებს ერთი წევრი მთავრობისა და ინდივიდუალური გასვლა კაბინეტიდან არ გამოიწვევს კოლექტიურ წასვლას. საპარლამენტო ისტორიამ იცის შემთხვევა, როცა ერთი მინისტრის ინდივიდუალურმა წასვლამ გამოიწვია მთელი კაბინეტის გასვლა. ასე მოხდა საფრანგეთში 1879 წელს როცა პალატამ გაილაშქრა სამხედრო მინისტრის წინააღმდეგ და სამსახურს თავი დაანება ვადიგტონის მთელმა კაბინეტმა.

შეიძლება ვსთქვათ, რომ ჩვენი კონსტიტუციის პროექტი აღმასრულებელ ხელისუფლების საკითხში პარლამენტარულ წესებს ამყარებს (მუხლი 83). მართალია მთავრობის თავმჯდომარეს ჩვენი კონსტიტუციის პროექტით იმოდენი ძალა-უფლება არა აქვს, როგორც ინგლისის პრემიერს; მაგრამ შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ მას გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა და ძალა-უფლება ეძლევა, ვიდრე შვეიცარიის დემოკრატიული კონსტიტუციით ფედერალურ საბჭოს თავმჯდომარეს.

ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე შვეიცარიაში, როგორც ეს აღვნიშნეთ უკვე, მხოლოდ თავმჯდომარეა და წარმომადგენელი შვეიცარიის კავშირისა ცერემონიების დროს, მას არავითარი მეტი უფლება, ვიდრე საბჭოს სხვა წევრებს არა აქვს; მას, სხვა წევრებს, ირჩევს ფედერალური კრება, ერთი წლის ვადით. ჩვენი კონსტიტუციის პროექტით კი მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც „არის იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი“ ირჩევს პარლამენტი სამის წლის ვადით (მუხ. 75-76, 86), მთავრობის დანარჩენ წევრებს კი იწვევს მთავრობის „თავმჯდომარე“

* საპარლამენტო ისტორიაში დეკლარაციის პირველ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ლორდ შელბორნის გამოსვლა პარლამენტის წინაშე 9 და 10 ივლისს 1782 წელს. [ავტორის შენიშვნა].

(მუხ. 77). „თავმჯდომარე სცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს. ან მისი შესრულება დააბრკოლოს. მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავისი განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისამებრ“ (მუხ.79).

ჩვენი კონსტიტუციის პროექტის ავტორებმა უარყვეს შვეიცარიის პრაქტიკა და უფრო დაუახლოვდნენ პარლამენტარულ წესებს. მაგრამ არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლების მოწყობის საკითხში შვეიცარიის კონსტიტუცია გაცილებით უფრო დემოკრატიულა, ვიდრე ჩვენი კონსტიტუციის პროექტი.

გაზ. „სახალხო საქმე“, № 1002. 12 დეკემბერი, 1920 წ.

დებულება – აღმასრულებელი ხელისუფლება

კონსტიტუციის პროექტის მე-74 მუხლის თანახმად, „უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას“. იმის მიხედვით, თუ როგორია ფორმა სახელმწიფო ხელისუფლების განაწილებისა, სხვა და სხვა ხასიათი და იურიდიული შინაარსი აქვს აღმასრულებელ ორგანოს ორგანიზაციას. ერთი სახე აქვს მას დემოკრატიაში, სადაც მიღებულია სახელმწიფოს ხელისუფლების მკაცრი განცალკევება ერთმანეთისაგან (მაგ., ამერიკაში) სხვაგვარი ორგანიზაცია აქვს მას პარლამენტულ რესპუბლიკაში, სადაც სახელმწიფოს წარმომადგენელი პარლამენტის უმრავლესობის მიხედვით ირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს და ავალებს მას ისეთ კაბინეტის შედგენას, რომელიც პარლამენტის უმრავლესობის ნდობით იქნება აღჭურვილი.

სულ სხვა გვარია აღმასრულებელი ძალის ორგანიზაცია უშუალო დემოკრატიაში. უშუალო დემოკრატია მიილტვის იქითკენ, რომ მთავრობის სათავეში დააყენოს აღმასრულებელი კოლეგია მოხელეთა, როგორც არის ეს, მაგალითად, შვეიცარიაში. ჩვენი პროექტით მიღებული სისტემა კი სულ სხვაგვარია. მასში აღებულია შერეული ტიპის შვეიცარულ-ფრანგული სისტემისა, პრინციპი პარლამენტარულ რესპუბლიკისა და უშუალო დემოკრატიისა. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის – კოლეგიას, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ამნაირათ ის სისტემა აღმასრულებელი ორგანოს ორგანიზაციისა, რომელიც აქვს შეთავსებული ჩვენ პროექტს, არ შეიცავს სავსებით ყველა იმ ელემენტებს, რომელიც ახასიათებს ცალ-ცალკე ზემოჩამოთვლილ სისტემებს. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი

პროექტის შემუშავების დროს საკონსტიტუციო კომისია, უფრო ნაკლებათ დამოკიდებული იყო დასავლეთ ევროპიული პრაქტიკისა და თეორიიდან, ვიდრე სხვა თავების შემუშავების დროს. ჩვენ ამ მხრივ გვქონდა რამოდენიმე საკუთარი პარლამენტარული პრეცედენტები, რომლების წესად არის გადაქცეული; საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სდგება დღემდე სწორეთ იმ წესით, რა წესით აქვს შეთვისებული პროექტს. მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევდა ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭო, მერე პარლამენტი, და ბოლოს მთავრობის თავმჯდომარე აირჩია დამფუძნებელმა კრებამ, და მას მიანდო კაბინეტის შედგენა. საკონსტიტუციო კომისიას არ ქონდა საფუძველი უარი ეთქვა ამ პრეცედენტებზე, მით უფრო პრაქტიკას ასეთი წესით უარყოფითი მხარეები არ მიუცია. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა არ არის მოკლებული არც ავტორიტეტს, არც ინიციატივას, არც სიმტკიცეს და არც ენერგიას.

საკონსტიტუციო კომისიაში მოყავდათ ის მოსაზრება, რომ უპრეზიდენტოთ აღმასრულებელი ხელისუფლება მოკლებული იქნება სიმტკიცეს და ავტორიტეტს, რადგან მთავრობის კრიზისების დროს, ე.ი. როცა ერთი მთავრობა გადადგება, სახელმწიფოს არ ეყოლება წარმომადგენელიო. მიუთითებენ იმაზედაც, რომ ასეთი სისტემა მთავრობის ორგანიზაციისა, როგორიც ჩვენ პროექტში, იძლევა კარგ ნაყოფს შვეიცარიაში მხოლოდ იმიტომ, რომ შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა, ხოლო საფრანგეთის ცდა, 1793 წლის და მესამე წლის რესპუბლიკისა, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა კოლეგიას, კრიზისით დამთავრდაო. მაგრამ ამის წინააღმდეგ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: როცა ამა თუ ის სისტემის აუცილებლობის დასაბუთებაში სჭარბობს ისტორიზმი, ე.ი. როცა სისტემის კარგი მხარეები ამტკიცებენ უცხო სოციალური ორგანიზაციის ისტორიული პრაქტიკით, ეს კიდევ არ არის იმის მოსასწავებელი, რომ ასეთივე ნაყოფიერი იქნება ის ჩვენ სოციალურ ურთიერთობაშიაც. და ამიტომაც საკონსტიტუციო კომისია ანგარიშს უწევს იმ პრეცედენტებს, რომლებიც ჩვენ საკუთარ სახელმწიფოს ამშენებლობის დროს ჩამოყალიბდა, რომელიც ჩვენი რევოლიუციური ცხოვრების წიაღიდან წარმოიშვა. სიმარტივე და მოქნილობა ამ აპარატისა დღეს ნათელია ყველასთვის. არც მთავრობის კრიზისების ხანა და სიმრავლე წარმოადგენს ჩვენთვის საშიშროებას. ჯერ ერთი რომ კრიზისის შემდეგაც შეიძლება ახალ მთავრობის შედგენამდე ძველი განაგრძობდეს მოქმედებას. მეორეც კი, რომ კრიზისები, როგორც ამას ამტკიცებს საფრანგეთის მაგალითი, არ არის ხანგრძლივი, იგი სულ რამდენიმე დღეში მთავრდება. აზერბაიჯანში, მართალია კრიზისი 100 დღე გაგრძელდა, მაგრამ ეს შედეგი იყო განსაკუთრებით იმის, რომ პარლამენტი არ არის ხალხის არჩეული, მაშასადამე მასში არსებული ძალთა განწყობილება არ ეყრდნობოდა საზოგადოების ძალთა რეალურ განწყობილებას. ასეთ პირობებში ბუნებრივია სურვილი კოალიციისა ყველა მოქმედ ძალებთან, ხოლო სურვილის რეალიზაცია უნიადაგო ოცნებაა. ბუნება დღევანდელ საზოგადოებისა, მისი

კლასობრივი ურთიერთობა, არ ითმენს ყველა ძალთა კოალიციას. კოალიცია შეიძლება მონათესავე ჯგუფების და არა ყველა კლასების. ყალბი გზა და ყალბი საფუძველი აი მიზეზი ხანგრძლივი კრიზისის და არა შეუძლებლობა ახალი მთავრობის შედგენის. ასეთ პირობებში კი პრეზიდენტი უკაბინეტოთ დარჩენილი უფრო კომიკური ფიგურა იქნებოდა, ვინემ რეალური წარმომადგენელი რესპუბლიკისა, მით უმეტეს, რომ მას არავითარი პოლიტიკის წარმოება არ შეეძლო.

მთავრობის გადადგომის დროს რომ ჩერდებოდეს მთელის სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატი, მაშინ რა თქმა უნდა მთავრობის კრიზისებს ექნებოდა უაღრესად დამრღვეველი გავლენა სახელმწიფოზე, და მაშინ სურვილი სახელმწიფოს სათავეში ისეთი პირის დაყენებისა, რომელიც არ იზიარებს კაბინეტის ბედს, არ იქნებოდა მოკლებული ერთგვარ საბუთიანობას.

მაგრამ სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელება ერთი წუთითაც არ ჩერდება კრიზისების დროს. კრიზისს განიცდის კაბინეტი, მაგრამ სახელმწიფო სივრცეზე განაგრძობენ მოქმედებას მრავალი დაწესებულებანი, რომლებიც ამ საკითხებს სწყვეტენ და ცხოვრებას მიუძღვებიან. რას კარგავს აღმასრულებელი ხელისუფლება ამ შემთხვევაში ხალხის თვალში. სრულიად არაფერს. კრიზისი მთავრობის არის კრიზისი პოლიტიკაში. იგი აღნიშნავს ერთი პოლიტიკის შეცვლას მეორეთი. ხალხის სურვილის თანახმად. და ეს ოდნავადაც არ ასუსტებს მთავრობის პრესტიჟს. პირიქით აძლიერებს მას ხალხის ნებასთან დაახლოვების საშუალებით.

მე-74, 75 და 76 მუხლები არის აღნიშვნა ჩვენი დღევანდელი პრაქტიკისა. ამ მუხლების მიხედვით უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას. მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი.

შემდეგი მე-77 მუხლი ამ პროექტისა ეხება მთავრობის შედგენას, იგი ამბობს: „მთავრობის დანარჩენ წევრებს, მინისტრებს, იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ“.

ზოგიერთი ფიქრობს პარლამენტარულ სახელმწიფოში უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელნი, მინისტრები, აუცილებლად უნდა სარგებლობდენ დეპუტატის წოდებით და პარლამენტის ნდობით. მთავრობის წევრები უნდა იყვნენ პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები. ეს უდავოა. მაგრამ პარლამენტარული სამინისტრო შეიძლება არ იყოს შემდგარი უსათუოდ პარლამენტის წევრებისაგან. ისტორია იძლევა მრავალ მაგალითს, როდესაც პარლამენტარული კაბინეტი მთლიანად ან ნაწილობრივ არა დეპუტატებისაგან შესდგებოდა. დე-ბრიუკერის კაბინეტმა დაამტკიცა, რომ პარლამენტარული სამინისტრო შეიძლება არ იყოს შედგენილი პარლამენტის წევრებისაგან, და მაინც ახორციელებდეს პარლამენტარულ პრინციპებს. ეს სამინისტრო პარლამენტის ნდობით სარგებლობ-

და 1852-1854 წ.წ. ამისათვის საკონსტიტუციო კომისია ფიქრობს, რომ 77 მუხლი პროექტისა არ ეწინააღმდეგება ამავე პროექტის 83 მუხლს, რომელიც აღიარებს მინისტრების პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. მინისტრების აყვანა არა პარლამენტის წევრთაგან ამავე დროს მიზანშეწონილიცაა, რადგან ამით კაბინეტის თავმჯდომარეს უფრო ფართო ასპარეზი ეძლევა თავის ცოდნით, ცნობილი პირი აირჩიოს და უწყების გამგებლობა ჩააბაროს. აქაც ჩვენი პარლამენტარული პრაქტიკა სავსებით ეთანხმება კომისიის პროექტის დებულებას.

მე-87 მუხლი პროექტისა განმარტავს, რომ „მთავრობის წევრს არ შეუძლიან ამავე დროს რაიმე თანამდებობა ეჭიროს, ან რაიმე პროფესიას მისდევდეს. მას შეუძლია იყვეს პარლამენტის წევრი და თვითმმართველობის ხმოსანი. ამ მუხლში არის აღიარებული პრინციპი სრული შეუთავსებლობისა. პროექტი უშვებს მხოლოდ ორ გამონაკლისს. მთავრობის წევრი შეიძლება იყოს იმავე დროს პარლამენტის წევრი და, თვითმმართველობის ხმოსანი. ეს ორი თანამდებობა მინისტრს არავისგან დამოკიდებულ მდგომარეობაში არ აყენებს, როგორც დეპუტატობა, ისე თვითმმართველობის ხმოსნობა, არის სრულებით დამოუკიდებელი სამსახური და კანონმდებლობითი წარმომადგენლების ხასიათისა. აქ არავის ნებას არ შეუძლიან მათზე იბატონოს გარდა ამრჩეველებისა და ესა თუ ის გეგმა უკარნახოს. მაშასადამე იგი დამოკიდებულია მხოლოდ ხალხზე, ან უკეთ იმ კლასზე, რომლის წარმომადგენლათ იგი არჩეულია.

დღევანდელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არის აგებული საზოგადოებრივ ინტერესების დიფერენციაციაზე და ამიტომაც უდიდესი გავლენა მათზე შეიძლება ქონდეს პარტიას. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ავტორიტეტი ემყარება არა მარტო პარლამენტის უმრავლესობის ნდობას: მთავრობისათვის საზოგადოებრივ აზრიც არა ნაკლებ ანგარიშ გასაწევია. ჩვენ ვიცით თანამედროვე პარლამენტარულ პრაქტიკიდან რამდენიმე მაგალითი, როდესაც კაბინეტი, რომელიც სარგებლობდა უმრავლესობის ნდობით, იძულებული გახდა გადამდგარიყო, რადგან საზოგადოებრივმა აზრმა მისთვის არა სასურველი ხასიათი მიიღო.

ამ მხრივ რომ შევხედოთ საგანს, მთავრობის წევრი, რომელიც რაიმე პროფესიას მისდევს და კერძო ან რომელიმე დაწესებულებაში მუშაობს, როგორც უბრალო მოხელე, რა თქმა უნდა მოკლებული იქნება იმ ავტორიტეტს, ურომლისოდაც შეუძლებელია მისი მოღვაწეობა ნაყოფიერ იყოს. მაგრამ მარტო ამ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდა საკონსტიტუციო კომისია. ამ მუხლის რედაქციის შემუშავების დროს მას ქონდა მიზნათ, რომ მთავრობის წევრს, მთელი თავისი ცოდნა, ენერგია და გამჭრიახობა შეეწირა იმ დიდ მოვალეობის შესრულებისათვის, რომლისათვის ის არის მიწვეული მთავრობაში. არ არსებობს არც ერთი მაგალითი კონსტიტუციონალურ პრაქტიკაში, რომ მინისტრს ქონდეს უფლება რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობის დაჭერისა.

პარლამენტის წევრს არ შეუძლია რაიმე ჯამაგირიანი თანამდებობა ეჭიროს, ხოლო მთავრობის წევრს, არავითარი, მიუხედავათ იმისა ჯამაგირიანია ის, თუ არა. აქ უკანასკნელ შემთხვევაში შეუთავსებლობა უფრო ვრცელია, ვიდრე პირველ შემთხვევაში. დეპუტატს შეიძლება ეჭიროს რაიმე უჯამაგირო საპატიო თანამდებობა, ან ვექილობდეს, ან ექიმობდეს ან და რაიმე სხვა თავისუფალ პროფესიას მისდევდეს, მთავრობის წევრი კი ვერც ერთ ასეთ თანამდებობასა და პროფესიას ვერ მოკიდებს ხელს. მას შეუძლია იყვეს მხოლოდ პარლამენტის წევრი და თვითმმართველობის ხმოსანი. სხვა გამონაკლისი პროექტმა არ იცის.

მე-99 მუხლი პროექტისა ამბობს, რომ „თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არ აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს ან მისი შესრულება დააბრკოლოს. მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მთავრობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისათვის თანახმად კანონში აღნიშნული წესისა. თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული ხელისუფლება, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისთვის მიკუთვნებული“.

ამ მუხლის სწორი ანალიზი დაგვანახებს, რომ მთავრობის თავმჯდომარის და მთავრობის დანარჩენ წევრების ხელისუფლება თითქმის არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც ყოველ მთავრობის წევრს შეუძლია ყოველთვის, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს, გასცეს განკარგულებანი, ცირკულიარები და სავალდებულო დადგენილებანი და აგრეთვე დანიშნოს რევიზია ცალკე პირთა ან ადგილი, ისე, მთავრობის თავმჯდომარეს შეუძლია თანახმად მოყვანილი მუხლისა გასცეს განკარგულებანი კანონის აღსრულებისათვის, დანიშნოს რევიზიები და სხვა. მაგრამ არის განსხვავებაც, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს ამ მუხლიდან. თუ ცალკე მთავრობის წევრნი გასცემენ ბრძანებას კანონის შესრულებისათვის, ეს ბრძანებანი იქნებიან აღსრულებული მხოლოდ იმ უწყების მიერ, რომელიც მინისტრის ხელქვეითია. მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებანი კი სავალდებულოა ყველა სახელმწიფოში მოქმედ დაწესებულებისათვის.

აქ თითქმის მეტის-მეტად არის გაფართოებული თავმჯდომარის პრეროგატივა, მაგრამ საკმარისია პრინციპის სწორი ანალიზი რომ გარეს ასეთი წარმოდგენა. მთავრობის თავმჯდომარის ასეთი ხელისუფლება გამომდინარეობს პირდაპირ მის იურიდიული მდგომარეობიდან. თუ აღმასრულებელ ორგანოს ევალება პარლამენტის გამოცემული კანონების შესრულება, ამ ორგანოს თავმჯდომარესაც უნდა ქონდეს ზეგავლენა მთელ სახელმწიფოს აპარატზედ იმდენათ, რამდენათაც ეს აუცილებელია კანონიერების დასამყარებლად და ცხოვრებაში საკანონმდებლო ორგანოს ნების გასატარებლად. ამ მოვლენას კი თავმჯდომარე ახდენს მე-79 მუხლში აღნიშნული საშვალებებით, ბრძანების გაცემით, რევიზიის დანიშვნით და სხვა. შემდეგ მე-79

მუხლი იძლევა კიდევ უარყოფით ფორმულას, რომლის შინაარსს შეადგენს ის, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვერ გამოსცემს ისეთ ადმინისტრატიულ განკარგულებას, რომელიც ან სრულებით უარყოფს კანონს, ან ეხება ისეთ ურთიერთობას, რომლის მოწესრიგება შეადგენს საკანონმდებლო ორგანოს მოვალეობას. პროექტი მთავრობის თავმჯდომარის განსაკუთრებულ პრეროგატივების შესახებ ამბობს, რომ ისეთი პრეროგატივები არა აქვს. შვეიცარიაში პრეზიდენტი არ სარგებლობს მეტი უფლებით, ვიდრე დანარჩენი საბჭოს წევრნი. ის არის მხოლოდ ნაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და ყოველ ცერემონიების დროს – ასრულებს სახელმწიფოს წარმომადგენლის როლს. არც მოხელეების დანიშვნა, არც საერთაშორისო ხელშეკრულობის დადება, არც პარლამენტის დათხოვა და მოწვევა, არც სახელმწიფოს ადმინისტრაციის უმაღლესი გამგეობა, არ შეადგენს პროექტის თანახმად თავმჯდომარის განსაკუთრებულ კომპეტენციას, როგორც თავმჯდომარის. თავმჯდომარეს შეუძლიან მხოლოდ სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკების გამართვა. ეს არის ის ერთად-ერთი რეალური უფლება, რომელსაც პროექტი ანიჭებს მთავრობის თავმჯდომარეს. სხვა განსაკუთრებული ხელისუფლებით ის ვერ ისარგებლებს, მაგრამ აქიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ მთავრობის თავმჯდომარეს არ შეუძლია იკისროს რომელიმე უწყების გაძღოლა, თავმჯდომარის უფლებები ჩვენი პროექტით ამ მხრივ არ იზღუდება.

თავმჯდომარის ავადმყოფობის ან არ ყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი, რომელსაც თავმჯდომარე მიანდობს. პროექტი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ და როდის უნდა მოხდეს მთავრობის თავმჯდომარის გარდაცვალების შემდეგ ახალი თავმჯდომარის არჩევა. ეს საკითხი დაისმება მხოლოდ მაშინ, თუ თავმჯდომარის არჩევა მიღებულ იქნა ვადით. განაგრძობს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე წლის ვადის გასვლამდე მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის ასრულებას, თუ პარლამენტი დაუყონებლივ მოახდენს ახალ არჩევნებს. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის მიერ არის არჩეული ან დანიშნული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. არჩეულია იგი პარლამენტის მიერ, თუ დანიშნულია მთავრობის თავმჯდომარის მიერ, ორივე ამ შემთხვევაში სხვა და სხვანაირად შეიძლება გადასწყდეს საკითხი: პირველ შემთხვევაში, ე.ი. თუ პარლამენტის მიერ იქნა არჩეული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, იგი აასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას ვადის დამთავრებამდე. მეორე შემთხვევაში კი ე.ი. როდესაც მოადგილე დანიშნულია მთავრობის თავმჯდომარის მიერ, უნდა მოხდეს ახალი არჩევნები. პარლამენტი შეიძლება არ იყოს თანახმა, რომ მთავრობის თავმჯდომარის სიკვდილის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა იკისროს, და ასეთ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს ნება უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

რა ბედი ეწვევა ძველ კაბინეტს ახალი მთავრობის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ? ახდენს თუ არა რაიმე გავლენას ძველ კაბინეტის შემადგენლობაზე ახალი თავმჯდომარის არჩევა?

ამ კითხვებზე საკონსტიტუციო კომისიამ ასეთი პასუხი მისცა მთავრობის ახალ თავმჯდომარეს აქვს, რასაკვირველია, უფლება სრულიად ახალი კაბინეტი შეადგინოს ან ძველში ცვლილებები შეიტანოს, მაგრამ შეუძლია უცვლელადაც დასტოვოს. მართლაც თუ მთავრობის მიერ აღებული პოლიტიკური ხაზი მოსწონს პარლამენტის უმრავლესობას, განა უმრავლესობის მიერ არჩეულმა მთავრობის ახალმა თავმჯდომარემ უეჭველად უნდა მოითხოვოს ნაწილობრივი ან მთლიანი განახლება მთავრობის შემადგენლობისა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პროექტის 77 მუხლის ძალით მის უფლებას შეადგენს მთავრობის წევრების მოწვევა.

მე-81 მუხლი განმარტავს, თუ რა შეადგენს „მთავრობის საერთო უფლებას და მოვალეობას“. ამ მუხლის თანახმად რესპუბლიკის მთავრობას ევალება საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა თანახმად კანონისა. სიტყვები „თანახმად კანონისა“ ნიშნავს იმას, რომ არც ერთ უწყების წარმომადგენელს არ შეუძლია გამოსცეს ისეთი ადმინისტრაციული განკარგულება, ან სავალდებულო დადგენილება თუ ცირკულიარი, რომელიც კანონს უარყოფს ან ნამდვილ მის შინაარსს ეწინააღმდეგება, ან და, როგორც ვსთქვით ზემოთ ისეთ საგანს ან ურთიერთობას ეხება, რომლის მოწესრიგება მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას შეადგენს, რადგან განკარგულებანი, ცირკულიარები, დადგენილებანი და სხვა, – ეს ის ზომებია, რომლის საშვალებითაც მთავრობა ახერხებს უმაღლეს მართვა-გამგეობას.

განცხადება იმისა, რომ მართვა-გამგეობა სწარმოებს „თანახმად კანონისა“, სრულებით მოკლებული იქნებოდა რეალურ შინაარსს და მნიშვნელობას, რომ ეს უაღრესი პრინციპი უფლებრივ სახელმწიფოისა არ იყოს უზრუნველყოფილი სხვა დაწესებულებათა მიერ, რომლებიც თვალყურს ადევნებენ აღმასრულებელი ორგანოს მოქმედების კანონიერებას. საკმარისია მოქალაქეს წაერთვა უფლება, ეძიოს მთავრობის უკანონო განკარგულებით დარღვეული ინტერესის აღდგენა, და პირველი პუნქტი 81 მუხლისა ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული დარჩება. მაგრამ ჩვენ გვაქვს ასეთი ორგანოები. უკანონო განკარგულებით კერძო მოქალაქის უფლებრივი სფერო თუ დაირღვა, მთავრობას წინ დაუდგება ამ უფლებით შეიარაღებულ-დაზარალებული მოქალაქე, რომელსაც მხარს უჭერს სასამართლო. თუ უკანონო განკარგულებით დარღვეულია საჯარო ინტერესები, ამ შემთხვევაშიც მთავრობას წინ უდგება იგივე სასამართლო ან პარლამენტის ინიციატივა და ხელისუფლება. პარლამენტი და სასამართლოები – აი ეს დაწესებულებანი, რომლებიც კანონიერების ფარგლებში ამწყვდევენ აღმასრულებელ ორგანოს მოღვაწეობას.

შემდეგში პუნქტები განმარტავენ იმას, რაც ჩვეულებრივათ ყველგან შეადგენს აღმასრულებელ ორგანოს მოვალეობას. მაგალითად, თვალყურის

დევნება კონსტიტუციის და კანონების სისწორით ასრულებისათვის, დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა, ზრუნვა შინაგანი წესრიგისა და უშიშროების დაცვისათვის და ფინანსების გამგებლობა. ამის გარდა აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია შეასრულოს მრავალი სხვა მოვალეობანიც, რომელნიც პარლამენტის მიერ ექნება დაკისრებული.

ამ მუხლში ჩამოთვლილ მოვალეობათა შორის საყურადღებოა დავალება, რომ მთავრობამ იზრუნოს შინაგან წესრიგისა და, უშიშროების დაცვისათვის, ხოლო მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა რესპუბლიკისა 3000 კაცამდე, ვადის არა უმეტეს სამი კვირისა. უკეთუ მეტი ძალა დაჭირდა ან მეტის ვადით, უნდა იმის ნება მიიღოს პარლამენტისაგან. მოტივი, რომლითაც ხელმძღვანელობდა კომისია ამ მუხლის შედგენის დროს, იყო ის, რომ ადვილი შესაძლებელია პარლამენტის ვაკაციის დროს რესპუბლიკაში შეიქნას ისეთი პირობები, როცა საჭიროდ რჩება სწრაფი და ენერგიული ზომების მიღება მთავრობის მხრივ, რომ დროზე მოეღოს ბოლო ანტისოციალურ მისწრაფებებს და უზრუნველყოფილ იქნეს რესპუბლიკაში წესრიგი და უშიშროება. თუ მთავრობას ასეთ საშვალებას წავართმევთ, მაშინ ის უნდა განთავისუფლებულ იყოს პასუხისმგებლობიდან იმ არეულობისათვის, რომელიც მოხდება პარლამენტის სესიის შეწყვეტის შემდეგ. ვისაც ევალება მიზნის მიღწევა, მის განკარგულებაში უნდა იყოს საშვალებანიც ამ მიზნის მისაღწევად. ინგლისში ჯარის უმაღლესი გამგებლობა ეკუთვნის პარლამენტს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში პარლამენტის ვაკაციის დროს, მთავრობას შეუძლია გამოიყენოს ჯარის ერთი ნაწილი ზოგიერთი ზომების მისაღებათ. მთავრობა მხოლოდ ვალდებულია დანიშნულ დროს განმავლობაში აუწყოს პარლამენტს.

მე-81 მუხლის იმ ნაწილს, რომელიც მთავრობის მიერ ჯარის გაწვევის წესს განმარტავს, არ აქვს ჩვენთვის ის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც აქვს მიკუთვნებული ამ საკითხს იქ, სადაც ბიუროკრატიულ მთავრობას წინ უდგას მტრული საზოგადოებრივი აზრი. არის მრავალი გარანტია იმისა, რომ დემოკრატიული მთავრობა ამ უფლებას ბოროტად ვერ მოიხმარს ხალხის საზიანოთ. საერთოდ მე-81 მუხლი აღნიშნავს რა საერთო მოვალეობას მთავრობისას, იგი განსაზღვრავს „საერთო პოლიტიკის სფეროს“, რომელიც მოხსენიებულია 83 მუხლში, მე-83 მუხლი ამბობს, რომ მთავრობა კოლექტიურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და თვითეული წევრი მთავრობისა პირადად თავის მოქმედებისათვის.

მეცნიერებაში გაბატონებული აზრით, პარლამენტარულ სამინისტროს დამახასიათებელი თვისება იმაშია, რომ ის „შედგება“, „ინიშნება“ ან ირჩევა პარლამენტის წევრებისაგან. ასეთ განმარტებას აქვს მხედველობაში მხოლოდ ინგლისური სისტემა მთავრობის შედგენისა. ინგლისში, პარლამენტის წევრს გარდა, არავინ არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პალატის სხდომაში, და რადგან ყოველთვის საჭიროა მთავრობის წევრების თანამშ-

რომლობა პარლამენტში, აუცილებელი ხდება, რომ მთავრობის წევრი იყოს იმავე დროს დეპუტატი. მაგრამ ასეთი თვისება სრულიადაც არ ახასიათებს პარლამენტარულ სამინისტროს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, შესაძლებელია ისეთი პარლამენტარული სამინისტროს არსებობა, რომელიც არ იქნება საკანონმდებლო ორგანოს წევრებისაგან შედგენილი. ჩვენ მოვიყვანთ მაგალითად დე ბრუკერის კაბინეტს და ამ მხრივ არა ნაკლებ საყურადღებოა ვალდეკ-რუსოსი და კომბის კაბინეტები, რომლებიც თუმცა არ იყვნენ შედგენილი პალატის წარმომადგენლებისაგან, მაგრამ თავის მოქმედებაში სავსებით ხელმძღვანელობდენ მხოლოდ ქვედა პალატის უმრავლესობის პოლიტიკური გეგმით.

რა თქმა უნდა, ნორმალურ პირობებში ჩვეულებრივ პარლამენტარული კაბინეტი, მთლად ან დიდი მისი უმრავლესობა შესდგება პარლამენტის წევრებისაგან. მაგრამ არ შეიძლება დაუპირდაპიროთ ერთმანეთს კაბინეტი, რომელიც მთლად შესდგება დეპუტატებისაგან, ისეთ კაბინეტს, რომელიც ნაწილობრივ მაინც შესდგება არა დეპუტატებისაგან, და პირველს ვუწოდოთ პარლამენტარული – მეორეს კი არა პარლამენტარული.

პარლამენტარული სამინისტრო არის ისეთი სამინისტრო, რომელიც თავის მოღვაწეობით ახორციელებს საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობის პოლიტიკურ პროგრამას. გარდა ამისა არის სხვა ნიშნებიც, რომელთაც პარლამენტარული სამინისტრო განსხვავდება არა პარლამენტარულისაგან. მაგალითად პარლამენტარული სამინისტროს სოლიდარობა სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე იმ სამინისტროსი, რომელიც ახორციელებს არა უმრავლესობის პოლიტიკურ პროგრამას, არამედ კონსტიტუციურ მონარქის ან პრეზიდენტის ნებას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველი ასეთი გამასხვავებელი დეტალები გამომდინარეობენ ზემოაღნიშნულ ძირითადი დებულებიდან. პარლამენტარულ მინისტრებს იწვევენ, როგორც განსაზღვრული პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლებს, ისინი მოწოდებული არიან განახორციელონ თავისი პარტიული ან კომპრომისული, კოალიციური პოლიტიკა, რომლისათვის ისინი იბრძოდენ, და რომლის გამარჯვება მათი შრომის და ენერგიის ნაყოფია. სწორედ ამისთვის პარლამენტარული კაბინეტი უნდა იყოს სოლიდარული.

სოლიდარობა პარლამენტარული კაბინეტისა არის გაგრძელება და განვითარება პოლიტიკური მოღვაწეობის სოლიდარობისა. მთელი შემადგენლობა პარლამენტარული კაბინეტის კოლეგიურია. იგი კისრულობს უმრავლესობის ნების მსახურებას და კოლეგიურათ აგებენ პასუხს იმ პოლიტიკური ნაბიჯებისათვის, რომელიც უარყოფილად იქნება შეფასებული საკანონმდებლო ორგანოს მიერ. მართალია პარლამენტარულ სახელმწიფოშიც ხდება კაბინეტის ნაწილობრივი შეცვლა, ეგრეთ წოდებული ნაწილობრივი კრიზისი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს კაბინეტის მთლიანათ გადადგომას უმრავლესობის მიერ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ. ყოველ პარლამენტარულ უმრავლესობას, ყოველ პარლამენტარულ

კაბინეტს და ყოველ პარლამენტარულ მინისტრს ნორმალურად უნდა ქონდეს ერთი პოლიტიკა. პარლამენტარული უმრავლესობის ნდობა, ეს ის რეალური საფუძველია, რომელზედაც ემყარება კაბინეტი. ეს კავშირი პარლამენტარულ სახელმწიფოში იმდენათ მტკიცეა და ძლიერი, რომ უმრავლესობის მიმართ გამოცხადებულ უნდობლობას მექანიკურად უნდა მოყვეს კაბინეტის გადადგომა და ახალი მთავრობის შედგენა.

შესაძლებელია რომელიმე ერთი უწყების კანონპროექტმა ან ნაბიჯმა გამოიწვიოს აღელვება და კრიტიკა პარლამენტის უმრავლესობის მხრივ. ამ შემთხვევაში იქნება ნიადაგი ნაწილობრივ კრიზისისათვის. პარლამენტარულ რეჟიმში, ნაწილობრივი კრიზისი უმრავლეს შემთხვევაში მთელი კაბინეტის კრიზისით იქცევა. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ვცანით ორივე სახის პასუხისმგებლობა შემოგვეღო. ამასთანავე ჩვენ განვსაზღვრეთ ფარგალი მთელი კაბინეტის და თვითეული წევრის პასუხისმგებლობისა 81 და 82 მუხლებით, რომელიც საზღვრავს მათ მოქმედების სფეროს. ამით შესაძლებელი ხდება უნდობლობა რომელიმე მინისტრისა მისი მოქმედების სფეროში, სადაც ის პირადი პასუხისმგებლობით მოქმედობს, მხოლოდ მის გადადგომით დამთავრდეს, და კაბინეტის მდგომარეობა კი არ შეირყეს. მთავრობის იმ კონსტრუქციის გამო, რომელიც ჩვენს პროექტშია მიღებული, ასეთი დაყოფა აუცილებელ კორექტივათ მიგვაჩნია, რომ კრიზისებმა ისეთი მასიური ხასიათი არ მიიღოს, როგორც საფრანგეთში აქვს ადგილი, საცა ხშირად წვრილმან საკითხზე იცვლება კაბინეტი და ახალი შემადგენლობა ისევ ძველი პოლიტიკით და პროგრამით გამოდის. ჩვენ გვინდოდა 81, 82 და 83 მუხლების დაპირისპირებით საერთო კრიზისი მთავრობისა გადაგვექცია საერთო პოლიტიკის კრიზისათ და არ მხოლოდ პიროვნებათა კრიზისათ, პოლიტიკის შეუცვლელათ.

შემდეგ სრული პარლამენტარული კრიზისები მით უფრო ხშირია, რაც უფრო მერყევია საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობა. თუ პარლამენტში ერთი რომელიმე პარტიული ჯგუფი შეადგენს დიდ უმრავლესობას, როგორც ეს არის მაგალითად ამჟამად ჩვენში, კაბინეტის კრიზისები ძალიან იშვიათი მოვლენაა, რადგან ასეთ შემთხვევაში პარლამენტარული უმრავლესობის კონტროლი, ფრაქციულ კონტროლათ იქცევა და ფრაქცია ან სხვა რომელიმე პარტიული ორგანო აძლევს მთავრობას ინსტრუქციებს სახელმძღვანელოთ. ასეთ პირობებში ძნელი დასაშვებია, რომ კაბინეტის პოლიტიკამ გადაუხვიოს საკანონმდებლო ორგანოს პოლიტიკურ გეგმას, ამიტომ ნაწილობრივ კრიზისებს უფრო მეტი ასპარეზი უნდა მიეცეს, ე.ი. პიროვნება, რომელიც სისწორით ვერ ახორციელებს მიღებულ პოლიტიკურ ხაზს, შეიცვალოს მეორეთ, რომლის პირადი თვისებები, მომზადება და სხვა უფრო შეეფერება მორიგ სამუშაოს.

საფრანგეთის პარლამენტში, შედარებით სხვა პარლამენტებთან, დიდ პარტიულ დიფერენციაციას აქვს ადგილი, კაბინეტის საერთო კრიზისები გახშირებული. სულ სხვა პირობებში არის მაგალითად ბელგიის კაბინეტი.

აქ კაბინეტში ყოველთვის იბრძოდა მხოლოდ ორი მიმართულება და ერთი რომელიმე პარტია და მისი მთავრობა ახალ არჩევნებამდი, ან უკეთ სანამ არჩევნებში გაიმარჯვებდეს მოწინააღმდეგე პარტიული მიმართულება, რჩება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში.

აქ მოკლედ უნდა აღვნიშნოთ ის ევოლუცია პარლამენტარული ინსტიტუტების განვითარებაში, რომელიც აღნიშნულია ახალ იურიდიულ მეცნიერებაში. იურიდიული დოქტრინა მეტის მეტი ყურადღებით ეკიდება და დიდ მნიშვნელობას აძლევს საზოგადოებრივ აზრის სხვა და სხვა უფლებრივ ინსტიტუტის განვითარებაში...

დაისის, ენზონის, ბუტბის ნოვგოროდცევის და კისტიაკოვსკის აზრით, პარლამენტარულ კაბინეტისათვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს, ვიდრე პარლამენტის უბრალო უმრავლესობას. ამის მაგალითების მოყვანა შეიძლება ინგლისის პრაქტიკიდან. ბალფურის სამინისტრომ შეიტანა პარლამენტში განცხადება გადადგომის შესახებ იმ დროს, როდესაც ქვედა პალატის უმრავლესობა მას მხარს უჭერდა. მაგრამ კაბინეტის გადადგომა მოხდა არა იმიტომ, რომ შეიცვალა ძალთა განწყობილება თვით პარლამენტში, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს და უმცირესობაში მყოფ პარლამენტარულ ოპოზიციას. ბალფურის სამინისტრო სარგებლობდა უმრავლესობის ნდობით, მაგრამ ის არ გრძნობდა ძალას, რომ შექმნილ პირობებში სახელმწიფოს გაძღოლოდა, რაკი საზოგადოებრივი აზრი ოპოზიციისაკენ გადაიხარა; ახალ არჩევნებში მართლაც ოპოზიცია გამოვიდა გამარჯვებული.

ამ შემთხვევამ განსაკუთრებული ალაგი უნდა დაიჭიროს ინგლისის პოლიტიკურ ისტორიაში, რადგან ასეთი პრეცედენტი შეიძლება კონსტიტუციონალურ ჩვეულებათ გადაიქცეს. ამით ინგლისის სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა და ინსტიტუტებს შორის ფრიად საყურადღებო ფაქტორი შეიქმნა საზოგადოებრივი აზრიც, რომელიც მჟღავნდება ინგლისში ახალი არჩევნებით. იმ თეორეტიკოსებს, რომლებიც სწერდენ მესამოცე და მესამოცდაათე წლებში, მაგალითად ბედჟგოტს, სრულებით არ ქონდა გათვალისწინებული ასეთი ევოლუცია პარლამენტარული სისიტემისა. მხოლოდ დაისი პირველათ მეოთხმოცე წლებში აღნიშნავს იმ ფაქტორის არსებობას, რომელიც ამზადებს დიდ ცვლილებებს ინგლისის სახელმწიფოებრივ სისტემაში: „მეტის მეტათ საყურადღებოა, სწერს დაისი, რომ ინგლისის კაბინეტს თანდათანობით ეცვლება ხასიათი და შესაძლოა რომ იგი არაპარლამენტარულ კაბინეტად გარდაიქმნას“. დაისის აზრით, შესაძლებელია ეხლაც, რომ პირველი მინისტრის არჩევა მოხდეს საერთო კენჭის ყრით.

ზემომოყვანილი შეხედულება თანდათანობით პოულობდა ალაგს პოლიტიკურ შემეცნებაში.

საყურადღებოა ამ მხრივ პირველ მინისტრების, – დიზრაელისა და გლადსტონის განცხადებანი ქვედა პალატაში. ორივე ხაზს უსვამდენ იმ მო-

მენტს, რომ ხელისუფლებას ისინი იღებენ პირდაპირ ქვეყნისაგან. ეს აზრი გამოსთქვა პირველად დიზრაელმა 1869, ხოლო გლადსტონმა 1874 წელს, უფრო სავსებით და ნათლად გამოხატა მან ეს აზრი ქვედა პალატის წინაშე წარმოთქმულ სიტყვებში: „ჩვენთვის ხელისუფლების ჩაბარება“, ამბობდა ის ქვედა პალატაში 19 მარტს 1874 წელს, – „არის აქტი მთელი ქვეყნისა“. 1880 და 1886 წელს კაბინეტის შეცვლა იყო შედეგი ახალი არჩევნების. ამიტომ ის დებულება, რომ კაბინეტის შედგენის და დანგრევის უფლება არის პარლამენტის უმრავლესობის ხელში, თითქოს შეიცვალა იმ დებულებით, რომელიც აღიარებს, რომ ასეთი უფლება ეკუთვნის ამომრჩეველთ.

იმ მაგალითების მიხედვით, როდესაც კაბინეტის კრიზისი გამოიწვია არა უმრავლესობის უნდობლობამ, არამედ საზოგადოებრივ აზრმა და ახალი არჩევნების შედეგებმა, კიდევ არ შეიძლება იმ თეზისის აღიარება, რომ ინგლისში პარლამენტარული წესწყობილება ადგია სრულ გადაგვარების გზას, როგორც ამას ფიქრობენ ზოგიერთები. ახალ დროშიაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა იმ კონსტიტუციონალურ წესს, რომელიც მთავრობის კრიზისისათვის აუცილებლად თვლის ქვემო პალატის მიერ უნდობლობის გამოცხადებას. 1885 წ. გლადსტონის სამინისტრო, 1886 და 1892 წ. სოლსბერის კაბინეტები გადადგენ მხოლოდ მისთვის, რომ მათ ქვედა პალატამ უნდობლობა გამოუცხადა.

ეს ისტორიული მაგალითები მოვიყვანეთ აქ მხოლოდ იმისთვის, რომ დაგვერღვია ის მოსაზრება, რომელიც მოყავთ პარლამენტარული წესწყობილების გადაგვარების დასამტკიცებლად იმათ, ვისაც სურს, რომ საკანონმდებლო ორგანოს გვერდში იდგეს არა პარლამენტისაგან დამოკიდებული მთავრობა, არამედ სრულუფლებოვანი, უაღრესი ავტორიტეტით, და პარლამენტის თანასწორი ხელისუფლებით აღჭურვილი აღმასრულებელი ძალა, პრეზიდენტი, ან მთავრობა, რომელიც შესძლებს ძლიერი მეტოქეობა გაუწიოს პარლამენტს. მე-83 მუხლის შემუშავების დროს საკონსტიტუციო კომისიას ქონდა მიზნათ ის, რომ კაბინეტის ბედიღბალი დაემორჩილებია პარლამენტის უმრავლესობის ვოტუმისათვის. პასუხისმგებლობას მაშასადამე თან ახლავს ის სანქცია რომ თუ კაბინეტის საერთო მოქმედება ან რომელიმე პრინციპიალური ხასიათის აქტი იქნა დაგმობილი უმრავლესობის მიერ, კაბინეტი უნდა გადადგეს.

მე-83 მუხლის უკანასკნელი ნაწილი ამბობს: „მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა იმ შემთხვევაში, უკეთუ დეპუტატათ ირიცხება“. მინისტრები რომ შეიძლება იყოს დეპუტატებათ, ეს თავის დროზე იქნა აღნიშნული. მინისტრად შესვლით სრულებითაც არ იკარგება დეპუტატის წოდება, მხოლოდ 83 მუხლი ერთი მხრით ზღუდავს მინისტრი-დეპუტატის უფლებას. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მინისტრ-დეპუტატს არ შეუძლია წარმოსთქვას პარლამენტში სიტყვა როგორც დეპუტატმა სანამ იმ მთავრობის წევრათ ირიცხება. იგი ყოველთვის ლაპარაკობს როგორც მთავრობის

წევრი, ეს აუცილებელიცაა რადგან დეპუტატის წარმოთქმულ სიტყვას არ მოყვება გადადგომა, თუნდაც ის დაიწუნონ, მინისტრისას კი. ამ შედეგების გამო საჭიროა მკაცრად იქნეს განსაზღვრული დეპუტატის სიტყვა მინისტრის სიტყვისაგან, ეს კი შეიძლება მხოლოდ მინისტრისათვის სადეპუტატო სიტყვის თქმის აკრძალვით.

მე-84 მუხლი ამბობს, რომ „მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტის სხდომას დაესწროს და, უკეთუ მოითხოვს, პარლამენტი ვალდებულია მას მოუსმინოს. თავის მხრივ პარლამენტის მოთხოვნით მინისტრი ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს“. ეს მუხლი არის განვითარება პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპისა. თუ დეპუტატებს აქვთ შეკითხვის და კითხვის მიცემის უფლება, პარლამენტს უნდა შეეძლოს მოსთხოვოს მთავრობის წევრს განმარტება მიცემულ შეკითხვისა და კითხვისა.

მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მთავრობის წევრთა გასამართლება სწარმოებს საერთო წესით. იმ თავში, სადაც დეპუტატების პრივილეგიების საკითხია გარჩეული, აღნიშნულია, თუ რა პრინციპზე ემყარება სხვა გვარი სისტემის აღიარება.

დემოკრატიაში დეპუტატი თუ მთავრობის წევრი განსხვავდება ჩვეულებრივ მოქალაქისაგან იმ მოვალეობით და უფლებით, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ თანამდებობას. პრივილეგიები, შეკავშირებული იმ განსაკუთრებულ მდგომარეობისაგან, რომელშიაც იმყოფება დეპუტატი ან მთავრობის წევრი, საჭიროა მიეკუთვნოს მათ იმდენათ, რამდენათაც ეს აუცილებელია მათთვის თავის მოვალეობის რაციონალურათ შესრულებისათვის. მაგრამ თუ დეპუტატი ან მთავრობის წევრი პასუხისგებაში მიეცა, ის დროებით სწყვეტს თავის მოვალეობის შესრულებას, და როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, ისე უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე და საერთო წესით აგოს პასუხი. მაშასადამე დეპუტატები და მინისტრები, ისე როგორც მოქალაქენი თანასწორი არიან სასამართლოს წინაშე. ე.ი. ერთი და იმავე წესით ხდება მათი გასამართლება. განსხვავებულია მხოლოდ წესი მათი პასუხისგებაში მიცემისა. თუ მინისტრი და უბრალო მოქალაქე ერთნაირი გზით შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში. დაიბადა ნიადაგი ამ მდგომარეობით ბოროტად სარგებლობისა იმათი მხრით, ვინც დაინტერესებულია მინისტრებს ხელი შეუშალოს და უმთავრესი დრო სასამართლო დაწესებულებებში სიარულში დააკარგვინოს. ამ მხრივ მე-85 მუხლი იძლევა საჭირო გარანტიას. მინისტრების პასუხისგებაში მიცემა, თანახმად ამ მუხლისა, შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. იქ აღძრულია ის დიდი პრინციპიალური საკითხი, რომლის შესახებ არ არსებობს ერთი გარკვეული აზრი. საჭიროა თუ არა პარლამენტის თანხმობა იმ შემთხვევაში, როდესაც მინისტრს რაიმე ბოროტმოქმედებაში ედება ბრალი, ან როდესაც მის წინააღმდეგ სამოქალაქო საქმე არის აღძრული. თუ მინისტრი დეპუტატია, მაშინ მასზე ვრცელდება ის წესი, რომელიც ამ კონ-

სტიტუციის პროექტის მე-55 მუხლით მიღებულია დეპუტატებისათვის, განსახილველია მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც მთავრობის წევრი არ სარგებლობს დეპუტატის წოდებით. როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ უსაფუძვლოთ მთავრობის წევრი არ იქნეს მოწყვეტილი თავის მოვალეობას. ამიტომ მიუხედავათ იმისა, არის თუ არა მინისტრი პარლამენტის წევრი, მისი პასუხისგებაში მიცემა ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში უნდა ემორჩილებოდეს იმ წესს, რა წესითაც მიიცემა პასუხისგებაში მინისტრი – დეპუტატი. პარლამენტი განიხილავს იმას, თუ რამდენათ სამართლიანია და იურიდიულად დასაბუთებული მინისტრის წინააღმდეგ საჩივარი ან ბრალდება და ამის მიხედვით გამოიტანს დადგენილებას მისი პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

კაბინეტის პასუხისმგებლობა, მე-83 მუხლში აღნიშნული, არ ეხება მინისტრის პირად მოქმედებას. იგი გულისხმობს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, და არა სისხლის სამოქალაქო საქმის გამო. მინისტრის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც საკითხი ეხება რომელიმე მინისტრის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებას ან მის წინააღმდეგ აღძრულ სამოქალაქო საქმეს.

მე-85 მუხლის შედგენის დროს კი კომისიას ქონდა გათვალისწინებული სწორეთ ეს უკანასკნელი შემთხვევები. ასე რომ მე-83 მუხლთან შედარებით მე-85 მუხლი აწესებს სულ სხვა ხასიათისა და მნიშვნელობის პასუხისმგებლობაში მიცემის წესს. ამ ორ პასუხისგებათა შორის არაფერი არ არის საერთო.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ.ფ. 14-20.

პროექტი

დებულება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობისა

ყოველი ბინადარი მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიისა არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე.

შენიშვნა: ბინადარი – მცხოვრები ეწოდება იმას ვინც ამ ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე არის მიწერილი.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქე სხვა რომელიმე სახელმწიფოსი.

საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი მოქალაქეობრივი უფლებებით.

უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომს რომელიც მოისურვებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებას, შეუძლია შუამდგომლობა აღძრას ამის შესახებ მთავრობის წინაშე, თუ მას ორ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია ხანგამოუშვებლათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დ) წინა (4) მუხლში აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირებული იქნეს

ა) იმათთვის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 1916 წლის მაისამდე 5 წელიწადს განუწყვეტლივ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და ნივთიერ შრომას ეწეოდა.

ბ) ვინც სამეცნიერო შრომით და სამხედრო მოქმედებით, ან სხვა რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი აქვთ საქართველოს რესპუბლიკის წინაშე.

გ) შუამდგომლობა მოქალაქეობის მიღების შესახებ უნდა წარედგინოს იმ ადგილობრივ მართველობას რომლის საზღვრებშიც ცხოვრობდა შუამდგომლობის აღმძვრელი.

ადგილობრივი მართველობა იხილავს აღძრულ შუამდგომლობას და თუ შესაძლებლად მიიჩნევს მის დაკმაყოფილებას თავის დასკვნას რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 201, ფ. 14.

მოქალაქეობის კანონპროექტი

დაწერილი გიორგი გვაზავას მიერ

საქართველოს მოქალაქეა:

1. – ყველანი, ვინც კი იყო მიწერილი საქართველოს რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წ. 19 ივლისამდე.

2. – ყველანი, ვისიც მამა ქართველი ტომისაა ან მოუპოვია საქართველოს მოქალაქეობა, მიუხედავად მათი ბინადრობისა.

3. – ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა.

4. – შობილი ქორწინების გარეშე, თუ დედა საქართველოს მოქალაქეა.

5. – უცხო ტომის პირს შეუძლიან მოიპოვოს საქართველოს მოქალაქეობა, თუ: ა/ არა ნაკლებ ათი წლისა გაუტარებია საქართველოში; ბ/ თუ წერილობით ხელს აიღებს ყოველგვარ თავადაზნაურულ წოდებაზე, თუ ადრე ამ წოდებას იგი ეკუთვნოდა და გ/ ფიცსა დასდებს, რომ იქნება საქართველოს ერთგული და პატიოსანი მოქალაქე.

შენიშვნა: ყველა ამისთანა საქმეები ექვემდებარება საოლქო სასამართლოს.

6. – ყველანი, ვისაც განსაკუთრებულ კანონით მიენიჭება საქართველოს მოქალაქეობა.

დამფუძნებელ კრების წევრი გიორგი გვაზავა.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 420, ფ. 51.

სოციალური უფლებანი

დებულება – ადგილობრივი მართველობა*

შემუშავებული მელიტონ რუსიას მიერ**

1. ადგილობრივი მართველობა განაგებს ადგილობრივი მართვა-გამგეობის და მეურნეობის საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

2. ორგანიზაცია, უფლებანი და მოვალეობანი და მართვა-გამგეობის წესი ადგილობრივ მართველობათა განისაზღვრება კანონით.

3. ადგილობრივ მართველობებს აქვთ უფლება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა კანონის ფარგლებში.

4. ადგილობრივი მართველობანი აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით პროპორციონალური სისტემით.

5. ადგილობრივ მართველობათა დადგენილებანი და განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

6. მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეარჩიონ ადგილობრივ მართველობათა დადგენილებანი და განკარგულებანი, თუ იგინი ეწინააღმდეგება კანონს. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

7. ადგილობრივი მართველობანი მართვა გამგეობის საქმეებში ემორჩილებიან მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს.

8. კანონი განსაზღვრავს იმ საგნებს, რის შესახებ ადგილობრივ მართველობათ დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალურ ხელისუფლების მიერ.

* ხელით მინაწერი: „კომისიას. დაერთოს ოქმს.“
** ხელით მინაწერი.

[ხელით მინაწერი]: დამატება: 9. ადგილ. მართვ. ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 26.

ადგილობრივი მმართველობა

კონსტიტუციის პროექტი ამ თავის შემუშავების დროს გამოვდიოდით იმ შეხედულობიდან, რომ ადგილობრივი მმართველობა – ქალაქის და ერობის სახელმწიფო ხელისუფლებად უნდა იქნეს აღიარებული; რომ ის საქმენი, რომლის გასაკეთებლად ადგილობრივი მმართველობა არის მოწვეული, არაფრით არ განირჩევა იმ საქმისაგან, რომელსაც სახელმწიფო აკეთებს და კიდევ მეტი ეს მმართველობა ერთად-ერთი ადგილობრივი ორგანოა ცენტრალი ხელისუფლებისა. მათ მოვალეობას შეადგენს განაგონ ადგილობრივათ არამც თუ მეურნეობის ყოველი დარგის საქმეები, არამედ აგრეთვე მართვა-გამგეობის საქმეებიც თავის ტერიტორიის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით ადგილობრივი მმართველობა განუყოფელი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფო მთელი მუშაობისა.

ამ გვარად უარყოფილია ის შეხედულობა, თითქოს არსებობდეს სახელმწიფო ინტერესებიდან განცალკევებული ადგილობრივი სარგებლობანი და საჭიროებანი, რომლის მოგვარება ენდობოდეს – „თვითმმართველობებს“ და ამასთანავე სახელმწიფოს ჰყავდეს ადგილობრივი ცალკე თავისი ორგანოები სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად.

ეს უკანასკნელი შეხედულობა ემყარებოდა ადგილობრივი და სახელმწიფოებრივ ინტერესების დაპირისპირებას და მოითხოვდა, რომ ადგილობრივ მმართველობის ორგანოებმა უნდა განაგონ მხოლოდ სამეურნეო საქმეები, რომელთაც ვიწრო ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ. ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის კანონმდებლობამ გადასცა რა ადგილობრივ მმართველობას სამეურნეო საქმეებთან ერთად ადმინისტრაცია და საერთოდ მმართვა-გამგეობის საქმეები – გადაჭრით დაადგა პირველ ზემოთ ნაჩვენებ გზას. ეს გზა ნათლად უჩვენებს თუ რაზედ უნდა იქნეს დამყარებული ჭეშმარიტი დემოკრატიული წესწყობილება, სად არის ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს სახელმწიფოს მთლიანი და მტკიცე შენობა. სახელმწიფოსთვის ეს საძირკველი არის ახალი თემი, ერთობა და განახლებული ქალაქი. გამოდიოდა რა ზემოაღნიშნული შეხედულობიდან, კომისიამ თვით სახელი „თვითმმართველობა“ შეუფერებლად იცნო ამ ახალი მიზნების მიხედვით. მისი ინტერესი და მუშაობა არამც თუ არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს

ინტერესს და მუშაობას, არამედ ადგილობრივ მმართველობის მთელი მოქმედება სახელმწიფოს მოქმედებაში ორგანულად ჩადუღებულია; სახელმწიფო მმართვა-გამგეობის საქმეების მწარმოებელია ადგილობრივად, ამიტომ „თვითმმართველობის“ მაგიერ უფრო შესაფერისია სახელწოდება „ადგილობრივი მმართველობა“.

ამ გვარად პროექტის პირველი მუხლის ძალით ადგილობრივი მმართველობა თავის ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფოს ერთად-ერთი წარმომადგენელია, სახელმწიფო ხელისუფლების ერთად-ერთი ადგილობრივი ორგანოა, რომელიც იმავე დროს განაგებს მეურნეობის ყოველ დარგს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

რაც შეეხება მის ორგანიზაციას, უფლება-მოვალეობის და მმართვა-გამგეობის წესს, ყველა ეს იქნება განსაზღვრული ცალკე კანონით (საერობო და საქალაქო დებულებებით).

ცხადია რაც უნდა დაწვრილებით იქნას შემუშავებული ადგილობრივი მმართველობის კანონმდებლობა, შეუძლებელია რომ იქნეს ის ამოწურული და ყოველი წრეები აღნიშნული. ამიტომ საჭიროა რომ ადგილობრივ მმართველობას თვითონ ქონდეს სავალდებულო დადგენილებების გამოცემის უფლება. ცხადია კანონმა უნდა განსაზღვროს ფარგლები სავალდებულო დადგენილებისა. ამ უფლებით ადგილობრივი მმართველობა თვითონ ხდება კანონმდებელი; ეს უფლება მეტად მნიშვნელოვანია და იგი ეხება მუნიციპალური ცხოვრების მრავალ მხარეს.

თავის-თავად ცხადია, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მთელი ძალა-უფლება დემოკრატიის, ხალხის, ხელშია – ადგილობრივ მმართველობათა ორგანოები ვერ იქნებიან დანიშნული ზევიდან – არამედ არჩეულ უნდა იქნენ ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით და პროპრციული სისტემით.

შემდეგი საკითხი, პროექტისა, არის იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ადგილობრივ მმართველობათა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

ერთი მხრით თუ მიეცა უფლება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს მუდამ ჩაერიონ ადგილბრივი მმართველობათა მუშაობაში, ყოველ მათ დადგენილებათა განკარგულებაში არამც თუ კანონიერების მხრივ, არამედ ამა თუ იმ მოქმედების მიზანშეწონილობის მხრივათაც, ერთი სიტყვით დააყენოს ეს ორგანოების ცენტრალური ორგანოების მუდმივი მმართველობის ქვეშ – ამით ჩვენ ჩავკლავდით ადგილობრივ მმართველობას დასაწყისშივე და შეუძლებლად გავხდიდით მის მუშაობას.

ამიტომ პროექტი გადაჭრით მოითხოვს, რომ ადგილობრივ მმართველობას მიეცეს სრული შეძლება გამოიჩინოს უნარი აღმშენებლობისა, მას მიეცეს ფართო ასპარეზი შემოქმედებითი მუშაობისა. მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება არ აქვთ გააუქმონ ადგილობრივ მმართველობის დადგენილება ან განკარგულება. ეს შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, როცა

ეს დადგენილებანი და განკარგულებანი ეწინააღმდეგება კანონს: ამ გვარათ სასამართლო ეხება ადგილობრივი მმართველობის დადგენილებას მხოლოდ კანონიერების მხრივ, რაც შეეხება მიზანშეწონილობას, იმის ერთად-ერთი მოსამართლე თვითონ ადგილობრივი მმართველობაა და მხოლოდ ის.

მეორეს მხრივ შეუძლებელია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით დაშვებულ იქნეს, რომ ადგილობრივი მმართველობის დადგენილება და განკარგულება ეწინააღმდეგებოდეს კანონს, არღვევდეს მას და ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰქონდეს უფლება არავითარი ზომების მიღებისა ამის წინააღმდეგ. უპირველესად აღსანიშნავია მართვა-გამგეობის სფერო. აქ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, თავის ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივი მმართველობა არამც თუ განაგებს მეურნეობის ყოველ დარგს, არამედ ის იმავე დროს ერთად-ერთი წარმომადგენელია სახელმწიფოსი მართვა-გამგეობის საქმეებში; მის გარეშე არ არსებობს სხვა ორგანო გამტარებელი ცენტრალურ ხელისუფლების პოლიტიკისა მმართვა-გამგეობის სფეროში; სწორედ აქ არის საჭირო ის ერთსულოვანება, ის სიმარტივე, დაუყოვნებლობა, და სიმტკიცე, რომელიც ახასიათებს მმართვა-გამგეობის საქმეს, სწორეთ, ამიტომ მხოლოდ მართვა-გამგეობის საქმეში, პროექტის აზრით, ადგილობრივი მმართველობა ემორჩილება მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს; ცენტრალური მთავრობის განკარგულება მართვა-გამგეობის საქმეში სავალდებულოა ადგილობრივი მმართველობისათვის. გარეშე ამისა ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია მხოლოდ შეაჩეროს და ისიც კანონით განსაზღვრულ პირობით და წესით ადგილობრივ მმართველობის დადგენილება თუ ეწინააღმდეგება კანონს. აუცილებელი პირობა ასეთი შეჩერებისა იქნება გადაცემა საქმისა სასამართლოში განსაზღვრულ ან თუ ასეთი გადაცემა არ მოხდა აღნიშნული განკარგულება ან დადგენილება თავის-თავად შედის ძალაში.

არის გამონაკლისი, როდესაც ადგილობრივი მმართველობის დადგენილება დამტკიცებული უნდა იქნეს ცენტრალური ხელისუფლების მიერ. როდესაც კითხვის შეცდომით გადაწყვეტა მძიმე და გამოუსავალ პირობებში ჩააყენებდა მუნიციპალიტეტს, ძირიანათ შეარყევდა მის ნივთიერ მდგომარეობას, ამ შემთხვევაში შეცდომა იქნება არ მიგვეცა ცენტრალ მთავრობისთვის უფლება ადგილობრივი მმართველობის ამ გვარი დადგენილების დამტკიცებისა ან უარყოფისა.

ასეთი საგნებია, მაგალითად, სესხის აღება, ან მმართველობის უძრავი ქონების განსხვისება განსაზღვრულ პირობების გარეშე. ასეთი შემთხვევა როცა ადგილობრივ მმართველობათა დადგენილება უნდა დამტკიცებულ იქნეს სახელმწიფო ცენტრალურ ორგანოების მიერ, უნდა სასტიკად განისაზღვროს კანონით.

ასეთია ის გზა, რომელსაც უნდა დაადგეს პროექტის აზრით რესპუბლიკის კანონმდებლობა ადგილობრივი მმართველობის შესახებ. ეს გზა ფართო ასპარეზს აძლევს ადგილობრივ მმართველობას აღმშენებითი მუშაობაში,

ძირს გაუმაგრებს და ააყვავებს მას და მასთან ერთად, ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის ქვაკუთხედი და საძირკველი ადგილობრივი მმართველობა არის.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 24-25.

ადგილობრივი თვითმართველობა

ევროპის ადგილობრივ თვითმართველობებს იმ ორ ტიპთა შორის, რომელიც გამოიმუშავა ევროპიულ სახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ, ადგილობრივ თუ სახელმწიფოებრივ სარგებლიანობის თვალ საზრისით უფრო გამოსადეგი შეიქნა ინგლისური ტიპი. ადგილობრივ ინგლისური თვითმართველობა, როგორც ვიცით, ხასიათდება ერთის მხრით ფართო კომპეტენციის, რომლის ფარგლებში შედის სახელმწიფოებრივ მართველობის ფუნქციის ერთი ნაწილი, როგორც არის მილიციის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა; მეორე მხრივ საგრძნობელი დამოუკიდებლობა ცენტრისაგან; ამ მდგომარეობას უზრუნველ ყოფს ის წესი, რომელიც თვითმართველობების მოქმედების კანტროლს შეეხება; კანტროლი შესაძლებელია მხოლოთ კანონიერების და არა მიზან-შეწონილობის თვალსაზრისით.

სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმართველობები ევროპის სხვა ქვეყნებში. ისინი სრულიად ექვემდებარებიან ცენტრს და წარმოადგენენ უკანასკნელის აგენტებს, რომელნიც გამოხატავენ ცენტრის ნებას. ეს ტიპი თვითმართველობისა სრულიათ ემსგავსება რევოლიუციამდე არსებულ რუსეთის ადგილობრივ ერობათ და ქალაქთა თვითმართველობებს.

ადგილობრივ თვითმართველობები, რომელიც გამომუშავდა რუსეთის რევოლიუციის პროცესში და რომელიც შემდეგ განადგურებულ იქნა ბოლშევიკურ დარბევისაგან და მხოლოდ საქართველოში გადარჩა სხვა მონაპოვართა ერთათ, თავისთავათ საგულისხმოა უნდა მიახლოვებოდა ინგლისის თვითმართველობების ტიპს, მხოლოთ არსებითი ცვლილებებით ფართო დემოკრატიზაციის და კომპეტენციის გაფართოებისაკენ.

ადგილობრივ თვითმართველობები საქართველოში როგორც ქალაქის ქალაქებში, დაბის მაზრებში და სოფლებში ირჩევა საერთო თანასწორი პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ამ ნაირათ ყველა მცხოვრებლები იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ საქმეების მართვა გამგეობაში – სრულ შეთანხმებულათ იმ პრინციპთან, რომელიც შეიცავს ხალხის ძალა უფლებობას, რაზედაც აშენებულია მთელი სახელმწიფოებრივობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ადგილობრივ თვითმართველობების

კომპეტენცია არ კმაყოფილდება მხოლოთ ერთი მეურნეობის წარმოების კითხვებით: მათ, როგორც მჭიდროთ შეკავშირებულს ადგილობრივ მცხოვრებლებთან, ვინც მათ ირჩევს და სრულ ნდობას – უცხადებს – ევალებათ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ფუნქციებიც თავის ტერიტორიის საზღვრებში. ადგილობრივი ადმინისტრაცია და მილიცია ექვემდებარება თვითმართველობებს. ამნაირათ ადგილობრივი თვითმართველობები წარმოადგენენ არ მარტო ადგილობრივ მეურნეობის საწარმოებელ ორგანოს, არამედ მასთან ერთად სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ორგანოსაც. არსებულ პირობებში არ არის და არც შეიძლება იქნეს წინააღმდეგობა ინტერესების ცენტრალურ და ადგილობრივ გამგეობათა შორის, რადგან ორივე ესენი ემსახურებიან ხალხის ძალაუფლებების პრინციპს და ემსახურებიან ერთ და იმავე საქმეს, ამიტომ უსაფუძლოა ადგილობრივ თვითმართველობებისადმი უნდობლობა, და საჭირო არ არის, რომ ცენტრი ჩაერიოს მათ მოქმედებაში, შეზღუდოს მათი უფლება მათი დადგენილბათა გაუქმებით ან შეჩერებით; ადგილობრივ თვითმართველობათ ფართო ინიციატივის უნარის – გამოჩენა მოითხოვს მას რომ ადგილობრივი თვითმართველობები თავისუფალი იყვნენ თავიანთ მოქმედებაში და ემორჩილებოდნენ მხოლოთ კანონიერების მხრივ კონტროლს სამართლის წესით.

ასეთი შეხედულებანი ამართლებს ქვევით მოყვანილ პრინციპებს, რომელთაც ემყარება ქალაქთა და ერობათა შესახებ არსებული დებულებანი.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 420, ფ. 57.

ბიუჯეტი

სახელმწიფო წარმოადგენს მეტად რთულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც დაკისრებული აქვს მრავალი მოვალეობა.

სახელმწიფომ უნდა შეინახოს ჯარი, ადმინისტრაცია, მთელი რიგი მოხელეებისა სხვა და სხვა დარგში. გაიყვანოს რკინიგზა, ხიდები, ააშენოს სხვა და სხვა დანიშნულებისათვის შენობები (ჯარისა, სკოლისა, სასამართლოსათვის და სხვ.). უზრუნველჰყოს მუშები დაზღვევით და სხვ.

ყოველივე ეს ითხოვს დიდ ხარჯს, და მაშასადამე, სახელმწიფოს უნდა დიდი ფული თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

აქედან თავის-თავად ცხადია, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა წყარო შემოსავლისა.

ამ გვარად ჩვენ მივიღებთ რთულ მეურნეობას, რომლის მიზანიც არის საჭირო თანხების გამონახვა და მათი დახარჯვა განსაზღვრული მიზნისათვის.

ეს არის სახელმწიფოს საფინანსო მეურნეობა.

კერძო მეურნე ვერ წაიყვანს კარგად თავის საქმეს, თუ მან არ იცის თავისი შემოსავალ-გასავალი განსაზღვრული დროისა.

თუ ის ხარჯავს ბევრით მეტს, ვიდრე შემოსავალი აქვს. ბოლოს და ბოლოს დაიღუპება. სამაგიეროთ თუ ხელს უჭერს და ხარჯავს გაცილებით ნაკლებს, ვიდრე შემოსავალი ნებას აძლევს, საქმე შეფერხდება, რიგიანათ ვერ გაფართოვდება და ვერ განვითარდება. მით უმეტეს სახელმწიფომ უნდა იცოდეს თავისი შემოსავალ-გასავალი განსაზღვრულ ვადაში ანუ ბიუჯეტი. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის დაწვრილებით გამოკვლევა და შესწავლა – საფინანსო პოლიტიკა – იმდენათ „საკონსტიტუციო“ საკითხი არ არის, რამდენადაც მეცნიერული. ამიტომ ის შედის საფინანსო მეცნიერების კომპეტენციაში.

ჩვენ კი არ გვაინტერესებს მთავარი საკითხი: რა დამოკიდებულობა უნდა არსებობდეს ბიუჯეტის სფეროში პარლამენტისა და მთავრობას შორის.

მივმართოთ ბიუჯეტის შედგენას.

ვის ეკუთვნის ბიუჯეტის შედგენა?

მთავრობას ფინანსთა მინისტრის მეთაურობით.

ეს არის დემოკრატიული პრინციპი.

პირველი იმიტომ რომ მთავრობა უფრო ახლოს არის სახელმწიფოს ყოველ დღიურ საჭიროებასთან და ამიტომ უკეთ იცის, რა ხარჯი დასჭირდება მას განსაზღვრულ ვადაში.

მეორე იმიტომ, რომ მთავრობის პასუხისმგებელი უფრო უზრუნველყოფილია, როდესაც ბიუჯეტს ის თვითონ ადგენს და არა პარლამენტს.

თემის ბიუჯეტი პარლამენტმა შეადგინა, თავის უვარგისობაში მუდამ ასე იმართლებს თავს; მე რა ვქნა ცუდი ბიუჯეტი მომეცით და ამან წაახდინა საქმეო.

რა ვადისა უნდა იყოს ბიუჯეტი?

არის ორი წლისა, სამისა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ბიუჯეტი უნდა იყოს ერთი წლისა. მაშინ პარლამენტის კონტროლი სჩანს და მისი გავლენაც როგორია. რაც უფრო დიდი ვადიანია ბიუჯეტი, მით უფრო იჩრდილება პარლამენტის კონტროლი და მნიშვნელობა, სამაგიეროთ პარლამენტის ხარჯზე იზრდება მთავრობის გავლენა. როგორც სუსტი მთავრობა არი არის სასურველი, ისე ეზრუნათ გავლენიანი, რომლის გვერდითაც ხალხი პარლამენტს აღარაფრათ აღარ აგდებს.

რადგანაც პარლამენტი არის მთელი ერის ნებისყოფის გამომხატველი, ამიტომაც იმის ხელში უნდა იყოს ყოველი ფინანსიური ზომის მიღება. მთელი ფინანსები უნდა იყოს პარლამენტის ხელში. ხოლო მათი დახარჯვა პარლამენტის მიერ დამტკიცებული წესით, მთავრობის ხელში.

აი ამ შემთხვევაში მთავრობა დაკმაყოფილებულია პარლამენტზე. თუ კი მიეცით მთავრობას უფლება, თავისი შეხედულებისამებრ დააწესოს გადასახადი და ხარჯი ისე, როგორც მარტო ის დაინახავს საჭიროთ, ამით

მთავრობას ეძლევა საკუთარი ფინანსები. ეს კი მძლავრი იარაღია და ასეთი მძლავრი იარაღი არ უნდა ჩააბაროს დემოკრატიულ რესპუბლიკის პარლამენტმა არცერთ მთავრობას.

სესხი წარმოადგენს ერთგვარ წყაროს შემოსავლისას და ესეც უნდა იყოს პარლამენტისა და არა მთავრობის ხელში. სახელმწიფო ფინანსების სტრუქტურა უნდა გამოჰხატავდეს ძალთა განწყობილებას.

დემოკრატიულ სახელმწიფოში საფინანსო დარგშიაც გატარებული უნდა იქნას სოციალური პოლიტიკა რომლის მიზანია ქონებრივი უთანასწორობის შენელება. (პროგრესული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, მემკვიდრეობაზე და სხვ.).

ამის მიხედვით ერთი პირველი დებულება ის არის, რომ ყოველი გადასახადი უნდა იქნეს დამტკიცებული პარლამენტის მიერ. პარლამენტი ვერც გაზრდის ვერც მიაკუთვნებს ამ უფლებას რომელიმე ორგანოს სახელმწიფოში. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობანი, რომელთაც ეძლევათ თავთავის მოქმედების ფარგლებში განსაზღვრულის და კანონით დამტკიცებული უფლება ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა.

როგორც დაწესება გადასახადისა ისე მისგან განთავისუფლება ექვემდებარება პარლამენტს და ეს მეორე დებულებაც ლოღიკურათ გამომდინარეობს პირველიდან. მომხდარა სხვაგან რომ მთავრობა პარლამენტის დაუკითხავათ ნიშნავს პენსიას, ამა თუ იმ ჯილდოს და სხვ. დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთი წესი დაუშვებელია, რადგანაც აქ არის ჩანასახი ორგვარი ხელისუფლებისა. ამიტომ მე-3 მუხლი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებების უზენაესობასა და ხელისუფლებას.

სესხი საბიუჯეტო უფლების ნაწილია და მე-4 მუხლი ამ საკითხში ადასტურებს პარლამენტის უზენაესობას. შესაძლებელია პარლამენტის სესიის შეწყვეტის დროს ისეთი მომენტი დადგეს, როდესაც სესხის აღება აუცილებელია და მაშინ მთავრობამ კი არ უნდა იდვას თვითონ თავს სესხის აღება, არამედ საჩქაროთ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და ასეთი შემთხვევა გათვალისწინებულია მე-5 მუხლში. დემოკრატიულ სახელმწიფოში ბიუჯეტი ყოველ წელს უნდა წარედგინოს პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად და ეს არის აღნიშნული მე-6 მუხლში.

პარლამენტს შეუძლია როგორც დამტკიცება, ისე შეცვლა ან სრულებით უარყოფა ბიუჯეტისა. ამ უკანასკნელს მიმართავდა ხოლმე სუსტი პარლამენტი ძლიერ და თავისნება მთავრობის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკური იარაღის ბრძოლისას, დემოკრატიულ სახელმწიფოში ამას არ ექნება ალაგი, მაგრამ შეიძლება პარლამენტმა ვერ მოასწრო ბიუჯეტის დამტკიცება საბიუჯეტო წლის თავშივე, მაშინ რა უნდა ჰქნას მთავრობამ, რა წესით უნდა დააფასოს მან თავისი ყოველდღიური ხარჯი.

ეს გათვალისწინებულია მე-7 მუხლში რომელიც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში მთავრობას უფლება ეძლევა წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით

აწარმოოს თავისი ხარჯი ყოველთვიურად განსაზღვრული ნაწილიდან.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველი თანხა უნდა იხარჯებოდეს დანიშნულებისამებრ. ამიტომ ყოველი პარაგრაფი ცალკე უნდა იქნეს დამტკიცებული და მტკიცედ დაცული.

მაგრამ პარაგრაფში, სხვა და სხვა მუხლია. შეიძლება ერთ მუხლს მორჩა თანხა, მაგრამ მეორეს არ ეყო. თუ მთავრობას არ ექნა უფლება, ერთი მუხლიდან მეორეში გადაიტანოს თანხა ერთსა და იმავე პარაგრაფის ფარგლებში ეს მეტად შეავიწიროვებს მთავრობას. და პარლამენტსაც ბევრ დროს წაართმევს, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში მთავრობამ პარლამენტისაგან გამოითხოვოს ნებართვა. ამიტომ ეს უფლება მთავრობისა გათვალისწინებულია მე-8 მუხლში.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ.ფ. 47-48.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

საკონსტიტუციო წინადადება, წარმოდგენილი გიორგი გვაზავას მიერ.

1. არ შეიძლება რაიმე განსაკუთრებული კანონით შეიზღუდოს ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი კულტურული განვითარება.

2. ყოველ ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს შეადგინოს ეროვნული კავშირი, მოაწყოს და აწარმოოს თავის კულტურილი საქმეები, თანახმად კანონისა.

3. ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილებით მსჯელობა და საქმის წარმოება თვითმართველობაში, სახელმწიფოსთან ერთად, შეიძლება შემოღებულ იქმნას ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობის ენაზედაც.

4. ცოდნა, გარდა სახელმწიფო ენისა, ერთის მაინც ადგილობრივისაც – სავალდებულოა ადგილობრივი მმართველობისა და მოსამართლეთათვისაც.

5. ადგილობრივი თვითმართველობა ვალდებულია დააარსოს საკმაო რიცხვი პირველ-დაწყებითი სკოლებისა ეროვნულ უმცირესობათათვის და გაიღოს სათანადო თანხა მათ შესანახად.

6. ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარება სასამართლოსა და მმართველობაში განისაზღვრება ცალკე კანონით.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 181, ფ. 129.

***

ეროვნული უმცირესობანი

პავლე საყვარლიძეს მიერ შემუშავებული

1. არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნულ უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენაზე. სწავლა აღზრდა და ნაციონალურ-კულტურული საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს მშობლიური ენით.

2. მიკუთვნება ამა თუ იმ ეროვნულ უმცირესობისადმი ისაზღვრება ძალდაუტანებლად მოქალაქეთა სურვილისა და ნებაყოფლობითი განცხადების თანახმად.

3. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება შეადგინოს დემოკრატიულად არჩეული ნაციონალური კავშირი, მოაწყვოს, აწარმოოს, წარმოადგინოს და დაიცვას თავის კულტურული საქმეები კონსტიტუციის და კანონების საზღვრებში.

4. არ შეიძლება ვინმე შეიზღუდოს თავის პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებში ნაციონალურ კავშირში მონაწილეობისათვის.

5. რესპუბლიკაში ყოველ ნაციონალურ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმენი, რომელნიც შეიცავენ კონსტიტუციით და კანონებით აღიარებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

6. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს აქვს თანასწორი უფლება დაინიშნოს სახელმწიფოებრივ, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო-საერობო სამსახურში.

7. ეროვნულად შერეული თვითმმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისთვის მიღებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლებისა და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისა მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობის პროპორციის მიხედვით.

8. ეროვნულ უმცირესობის სკოლებში სწავლება სწარმოებს ბავშვთა დედა ენაზე.

[ხელით მინაწერი]: 9. კანონის გამოქვეყნების წესი ეროვნული უმცირესობათათვის განისაზღვრება ცალკე კანონით.

10. არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა ენით.

შენიშვნა: მე-12 და მე-13 მუხლი თავისთავად უქმდება ამ კონსტიტუციის ძალით მოწვეულ პარლამენტის ვადის გასვლისას.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 182, ფ. 35.

ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება

ჩვენ, ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთ წარმომადგენელნი ერთხმათ ვმოწმობთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე: რომ ჩვენ, ბათომის ოლქის მკვიდრნი მრავალ საუკუნეთა ისტორიით, სისხლ-ხორცით [ხელით მინაწერი: სისხლით და ხორცით] და იდეალებით [ხელით მინაწერი: კულტურით და ზნეჩვეულებით] მუდამ განუყრელი ვყოფილვართ [ხელით მინაწერი: ვიყავით და ვართ] ჩვენი დედა-სამშობლო საქართველოდან [ხელით ჩასწორებული: საქართველოსთან].

2 რომ ჩვენი მხარე უსამართლოდ მოსწყვიტეს საქართველოს სხეულს ბრესტლიტოვსკის ძალდატანებითი ხელშეკრულებით, რომელიც უკუგდებულ იქმნა, მთელი ამიერ-კავკასიის მიერ სათანადო პროტესტით მოკავშირეთა წინაშე და რომელიც აწ უკვე გაბათილებულია მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებით.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქალაქი ბათომი მუდამ ქართული ყოფილა, რომ თურქების შემოსევამ მრავალი ქართველი აიძულა დაეტოვებინა აქ თავისი კერა და ამით ქალაქს ქართული ელფერი დაეკარგა, რომ აწ ბათომი გადაიქცა ბუდეთ, სადაც თავს იყრიან მრავალი ბოროტგანზრახული ელემენტები, რომელნიც ლამობენ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკის ამღვრევას და ძირს უთხრიან მოკავშირეთა და საქართველოს შორის კეთილგანწყობილებას;

ვითვალისწინებ რა ქალაქ ბათომის მნიშვნელობას საქართველოს აღორძინებისათვის და ამ ქალაქის და მთელი მხარის მომავალ დაცემა-განადგურებას იმ შემთხვევაში თუ აწინდელი გამოურკვეველი მდგომარეობა აქ შეიცვალა;

გამოვსთქვამთ მთელი ჩვენი კუთხის მცხოვრებთა ნება-ყოფლობით მხურვალე სურვილს და მტკიცე გადაწყვეტილებას, რათა ბათომი და მისი ოლქი კვლავ შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკას, როგორც მისი განუყოფელი და უდავო ნაწილი ამ მხარის მკვიდრთა საბედნიეროთ, საზოგადოებრივ წესის და მშვიდობიანობის განმტკიცების და გამარჯვებულ მოკავშირეთ ღირსების ტრიუმფისათვის.

ინებოს ღმერთმა, ჩვენი პატარა კუთხე გულის სიღრმიდან ამოძახილმა ხმამ მიაღწიოს მათ გულ-ყურამდის, ვისგანაც დამოკიდებულია მისი ბედის გადაწყვეტა და აგვისრულდეს ჩვენი ნატვრა და მისწრაფება.

[ხელით მინაწერი]: ბათომის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება

ჩვენ შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმისა მოგვეცა რა შეძლება ვაუწყოთ მთელს ქვეყანას ჩვენი ერის სურვილები, ვმოწმობთ:

1. ჩვენი ერი ქართველი ერის შტოა, ჩვენი მხარე ხანგრძლივ ისტორიის მსვლელობაში ყოველთვის შეადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ნაწილს.

2. ბრესტ-ლიტოვსკის ძალდატანებით ხელშეკრულებით ჩვენი მხარე მოშორებულ იქნა საქართველოდან და ეხლა, როცა ეს ხელშეკრულება გაბათილებულია მოკავშირეთ გამარჯვებით, ჩვენს ერს სწყურია შეერთება დედა-საქართველოსთან.

3. აწინდელი გამოურკვეველი მდგომარეობამ გარდაქმნა ბათომი და მთელს ჩვენს მხარეს პოლიტიკურ ავანტურიზმის საგნათ, იგი სპობს ამ კუთხის ეკონომიურ კეთილდღეობას, ხელს უწყობს არა სასურველ ბოროტ-განზრახულ ელემენტების მოქმედებას და იწვევს მცხოვრებთა აფორიაქებას.

4. ჩვენი ერის ინტერესები, ჩვენი სამშობლო საქართველოს ინტერესები, მთელი ამიერკავკასიის ინტერესები და დიდ სახელმწიფოთ ღირსება, რომელთაც დაანგრიეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ითხოვენ, რომ ბათომის და მისი ოლქის გამოურკვეველ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და ჩვენი მხარე დედა-საქართველოს დაუბრუნდეს.

ამას ვმოწმობთ ჩვენ ჩვენი ერის ნება-ყოფლობის თანახმად და გვწამს, რომ ჩვენი ღაღადი შესმენილ იქნება მათ მიერ ვისგანაც დამოკიდებულია ჩვენი ოლქის ბედ-იღბალი.

დამფუძნებელი კრების პავლე საყვარელიძის პირადი არქივი.
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულება

რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოს დამფუძნებელი კრება აქვეყნებს ქვემორე მოყვანილს დროებითი დებულებას ავტონომიური აფხაზეთის მართვა-გამგეობისათვის.

1. აფხაზეთი – მდინარე მახადირიდან ენგურამდე და შავი ზღვის ნაპირებიდან კავკასიონის ქედამდე საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და ამ საზღვრებში ავტონომიურად უძღვება თავის შინაურ საქმეებს.

2. ავტონომიურ აფხაზეთს აქვს თავის ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო – სახალხო საბჭო, არჩეული ორი წლით, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ.

3. აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის უწყება ვრცელდება აფხაზეთის საზღვრებში ყველა მიწასა და მფლობელობაზე და ყველა იქ მცხოვრებ პირზე, თანახმად რესპუბლიკის საზოგადო კანონებისა.

4. აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის უწყებას სახელდობრ ეკუთვნის:

ა. ადგილობრივი ფინანსები-ბიუჯეტი, კასა, გადასახადი, სესხი.

ბ. სახალხო განათლება-პირველდაწყებითი, საშვალო და უმაღლესი სწავლის საქმე, საზოგადოდ მთელი კულტურული შემოქმედება.

გ. ადგილობრივი საერობო და საქალაქო თვითმართველობა.

დ. სამომრიგებლო სამოსამართლო დაწესებულება.

ე. პირადი და საზოგადოებრივი უზრუნველყოფის და წესიერების დაცვა.

ვ. ადმინისტრაცია.

ზ. სახალხო ჯანმრთელობა, მედიცინა და ვეტერინარია.

Თ. მიმოსვლის საქმე – გზები ადგილობრივი მნიშვნელობისა.

თ. ბიუჯეტის დამტკიცება, ადგილობრივი თანხების გასავლის ანგარიშის განხილვა.

ი. საზოგადოებრივი და კულტურული საჭირობისათვის კერძო პირთა უძრავი ქონების ჩამორთმევა რესპუბლიკის საზოგადო კანონების ძალით.

კ. ყოველი საქმე, რომელიც რესპუბლიკის კანონით აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაეცემა.

5. გარდა იმ საქმეთა, რომელნიც აღნიშნული არიან წინა /4/ მუხლში, აფხაზეთის ავტონომიური მმართველობა დამოუკიდებლად განაგებს, რესპუბლიკის კანონების დროს, მიწის ნორმის დაწესების საქმეს, საზღვრავს

აგრეთვე სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის ხალხისთვის გადაცემის ფორმებს.

6. ავტონომიური აფხაზეთის მმართველობის სრულს განკარგულებაში გადადის ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის მიწა, ყველა კულტურულად მნიშვნელოვანი მამული და ტყე, ყველა სამკურნალო წყალი ზოგად სახელმწიფურ მიწებზე რომ იმყოფება იმათ გარდა, აგრეთვე წყლის ენერგია, რომელიც არ აღემატება ათი ათასს ცხენის ძალას.

ყველა მიწა და ტყე ზოგად სახელმწიფური მნიშვნელობისა, გაგრის კლიმატიური სადგური და წყლის ენერგია ათი ათას ცხენის ძალას ზევით რჩება სახელმწიფოს საკუთრებად.

აგრეთვე სახელმწიფოს სრულს განკარგულებაშია მიწის წიაღი თანახმად რესპუბლიკის საზოგადო კანონებისა.

7. სახელმწიფო ენა აფხაზეთში არის ქართული ენა. მაგრამ სახალხო საბჭოს შეუძლიან შემოიღოს შკოლებში სახმარებლად ავტონომიურ დაწესებულებებში სალაპარაკოდ და საქმის საწარმოებლად ადგილობრივი ენა [ენები – ჩასწორ. მელნით].

8. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქალაქეთა უფლება მოვალეობათ და მოქალაქობრივ თავისუფლებად უზრუნველყოფენ რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები.

9. ადგილობრივ დაწესებულებებში თანამდებობის პირთა დანიშვნის, გადაყვანის, [გადაყენების – ჩასწორ. მელნით] და დათხოვნის უფლება ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს და კომისარიატს.

ზოგად სახელმწიფო მოსამსახურენი აფხაზეთში ინიშნებიან შეძლებისადაგვარად ადგილობრივ მკვიდრთაგან.

10. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში არჩევნებისათვის აფხაზეთი შეადგენს ცალკე საარჩევნო ოლქს. იგი ამ ორგანოში წარმოდგენილ უნდა იქნეს პროპორციონალურად, რესპუბლიკის საერთო საარჩევნო მეტრის მიხედვით.

11. აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრნი, მისი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელნი, აგრეთვე ავტონომიური აფხაზეთის დაწესებულებათა მოსამსახურენი ფიცს ან აღთქმას სდებენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთგულებისათვის.

12. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა რაოდენობა განსაზღვრულია 30 კაცით.

13. აფხაზეთის სახალხო საბჭო თვითონ საზღვრავს თავის პრეზიდიუმის შემადგენლობას და თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მის მიერ შედგენილ რეგლამენტს.

14. სახალხო საბჭო იხილავს წევრთა [2] თავის [1] არჩევნების კანონების [კანონიერებას – ყველა ჩასწორ. მელნით] და ამტკიცებს საარჩევნო წარმოებას.

15. სახალხო საბჭოს წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულობისათვის, რომელსაც გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს. სახალხო საბჭოს წევრის პიროვნება ხელშეუხლებელია. იგი არ შეიძლება შეპყრობილ ან სასამართლოში [სამართალში – ჩასწორ. მელნით] მიცემულ იქნეს, ვიდრე სახალხო საბჭოს წევრათ ითვლება, თუ თვით სახალხო საბჭომ ნება არ დაჰრთო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ.

16. სახალხო საბჭოს წევრს ეძლევა გასამრჯელო, განსაზღვრული სახალხო საბჭოს დადგენილებით.

17. სახალხო საბჭოს მოწვევის და დათხოვის საკითხს, მისი [სესიების – ჩასწორ. მელნით] ვადის, აგრეთვე დებულებას აღმასრულებელ ორგანოს შესახებ საზღვრავს და ამუშავებს თვით სახალხო საბჭო.

18. სახალხო საბჭოს წევრს არ შეუძლიან მიიღოს რაიმე თანამდებობა აღმასრულებელი ორგანოსაგან.

19. სახალხო საბჭოს სხდომები საჭიროა [საჯაროა – ჩასწორ. მელნით]. მაგრამ სახალხო საბჭოს შეუძლიან ზოგიერთი კითხვებისთვის ფარულად გამოუცხადოს სხდომა.

20. ადგილობრივი საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის ამრჩეველთ, სახალხო საბჭოს და კომისარიატს. ინიციატივის აღძვრის წესებს განსაზღვრავს სახალხო საბჭო.

21. ავტონომიური აფხაზეთის აღმასრულებელი ორგანო არის აფხაზეთის კომისარიატი, რომლის წევრებს ირჩევს სახალხო საბჭო.

22. კომისარიატის წევრები სახალხო საბჭოს ანგარიშს აძლევენ თავის მოქმედებისათვის და პასუხს აგებენ მის წინაშე.

23. სახალხო საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს აქვეყნებს საქართველოს რესპუბლიკის სენატი.

24. ბიუჯეტის შესავსებათ აფხაზეთის ავტონომიურ მმართველობას ეძლევა აფხაზეთის ტერიტორიაზე აკრეფილ ზოგად სახელმწიფურ გადასახადთა განსაზღვრული ნაწილი. მას ეძლევა აგრეთვე ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე რესპუბლიკის მიერ გაცემულ სახელმწიფო კონცესიების შემოსავლისა.

25. აფხაზეთის ავტონომიური დებულების საზოგადო თუ ნაწილობრივი გადაშინჯვის ინიციატივის უფლება ეკუთვნის როგორც საქართველოს პარლამენტს ისე აფხაზეთის სახალხო საბჭოს. თვით დებულების გადაშინჯვის და მისი დამტკიცების უფლებას კი ანხორციელებს საქართველოს პარლამენტი კანონით განსაზღვრულ წესისამებრ.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 863, ფურც 92-95.

Резолюциія

Принятая Армянским Национальным Советом в Грузии, на заседании 6 июля 1920 г.

Армянский Национальный Совет в Грузии, обсудив раздел конституции Республики Грузии о правах национальных меньшинств, выработанный Конституционной Комиссией Меньшинств, выработнный Конституционной Комиссией Учредительного Собрания, находит, что раздел вообше не может удовлетворить требований национальных меньшинств, особенно армян в Грузии, которые в числе других меньшинств по своему количеству и другими отличиями занимают первое место.

Одновременно Совет находит, что раздел вовсе не обеспечивая национально-культурные интересы армян в Грузии, отрицает даже те права, которыми армяне в Грузии фактически до сих пор пользовались.

Но сему Совет, протестуя против этого Раздела, предлагает Президиуму принять соответствующие меры, для обеспечения культурно-национальных требований армян в Грузии, согласно выработанному Национальным Советом проекту.

Верно: Член-Секретарь Совета.

сцса. ф. 1833, ანაწ. 1, საქ. 76, ფ. 112.

О культурной автономии немцев в грузинской демократической республике

Центральный Совет Союза Закавказских немцев педставляет себе культурную автономию немцев в Грузии в следующем виде:

1) В духовно- научном отношении немцы расчитывают на признание за ними:

а) Права на ограниченное употребление своего т.е. немецкого языка у себя дома, в школе и в общественной жизни, причем под последней подразумевается также ведение дел в собственных учреждениях самоуправления, не исключая низших (сельских) судебны учреждений.

Б) Права на сохранение и развитие общего духовного состояния в области немецкой культуры, подразумевая под таковым преимущественно связь с немецкой наукой, в смысле возможности распространять её среди подрастающего поколения в подлежащих учебных заведениях, а именно, начиная с народной школы и кончая высшими учебными заведениями, в том числе и в сельско-хозяйственных, технических и коммерческих училищах.

В) Права на распространение среди немцев всех возрастов познаний, касающихся законов жизни и гражданственности, как например Общественного здравия, приличия и хозяйства, государственного беспорядка, задач общечеловеческого культурного преуспевания, способов достижения истинных благ жизни и т.п. путём учреждения народных университетов, библиотек, читален и других общеобразовательных заведений с применением во всех этих случаях немецкого языка и немецких методов и теории предпочтительно перед не-немецкими языками, методами и теориями, а равно права на распространение всякого рода газет и журналов, поощряющих воспринимание немецкой духовной-научной мысли.

2) В религиозно-нравственном отношении немцы претендуют на следующия права:

а) На право свободного исповедания своей религии и, главным образом, Евангелическо-Лютеранской веры как в церкви, так и в школе и на дому, с применением при этом немецкого языка и правил, исходящих от Закавказского Ев. – Лют. Синода, как высшего церковного учреждения ев. – лютеран в Грузии. Согласно постановления большинства немецких приходов в Заказвказьи, в том числе именно всех колонийских приходов, или в тех немногочисленных, преимущественно, или вернее – ис-

ключительно городских приходов, которые не вошли пока в означенный синодальный союз, тех правил, кои предусмотрены законом (Св. Зак. Т. XI, Уст. Иностран. Исп.) для подобных приходов, причём преподавание Закона Божьего, как обязательного предмета в школьном обучении, не следовало бы ограничить также для ев. – лютеран в государственно- законодательном порядке.

б) На право сохранения и укрепления в собственном кругу нравственного сознания свойственного германским народам, и на вытекающее из сего сознания – уважение к немецким традициям и немецкой самобытности в отношении нравственности, кои проявляются прежде всего в призвании Бога. Как начала всего существующего, в почитании родителей и начальств, в уважении мнения третьего лица, в соблюдении действующих государственного и правового порядков и в исполнении нравственных обязанностей, признаваемых сыздавна в немецкой родной семье.

3) В художественно-литературном отношении надлежало бы признать за немцами следующия права:

а) Право постановки на открытой сцене немецких пьес и право на устройство выставок как произведений немецких изящных искусств, так и немецкой художественной промышленности, со включением в неё и немецкой кустарной промышленности.

б) Право издательства относительно книг и других литературных произведений на немецком языке, а равно газет и журналов на немецком языке.

в) Право читать публичные лекции на всякие темы, устраивать литературные, драматические и музыкальные вечера, показывать кинематографические картины и т.п. пользуясь при этом, как средством обяснения, немецкой речью, или в последнем случае – немецкими надписями.

4) В хозяйственно-техническом отношении немцам нужны следующия права:

а) Право на свободное применение собственных хозяйственных методов и порядков, не исключая поливки садов, огородов, полей и иных видов угодий, ввосколько пользование этим правом не противоречит общегосударственным интересам (Ср. Зак. Т. XII, Уст. Сельск. Хоз., прил. К ст. 223), причём преимущественно применялось бы, сообразно с местными условиями методы и порядки, применяемые в Германии и других странах с преобладающим германским населением.

б) Право на свободное применение собственных технических методов как в сельско-хозяйственном быту, так и в других отраслях практиче-

ского труда, начиная с кустарной промышленности и ремесел и кончая фабричным производством, отдавая и в данном отношении предпочтение методам, испытанным в указанных в предыдущем подотделе (лит.а) странах.

5) В государственно-общественном отношении немцы претендуют на следующие права:

а) Права на установление известного правопорядка в отношениях немцев, живущих группами, как напр. Колонии, или отдельно от таковых, но не потеряв связи с ними оставаясь членами сих обществ, к самому Государству, т.е. Грузинской Демократической Республике, к органам городского и земского самоуправления, к имуществу движимому и недвижимому, состоящему в их владении по праву исключительно или общей собственности и.т.д. подобно тому правопорядку, который установлен законом, а именно «Положением о колониях в Закавказьи», Св. Зак. Т. IX, Зак. Сост. Прил. К. ст. 680 (прим.2). не отменённом по настоящее время в Грузии и

б) Вытекающия из сего общего права отдельные права:

а.а.) право пользования на всей територии Грузии всеми личными и имущественными правами, присвоенными по закону гражданам Грузинской Демократической Республики.

б.б.) право на самообложения для удовлетворения своих культурных надобностей в пределах предоставляемой им, немцам, автономии.

в.в.) Право самоуправления в делах общественных как сельчан, так и и горожан, в самых широких демократических размерах по собственному усмотрению, ввосколько таковое не противоречит общегосударственным интересам (самоотдельное правление, самотоятельный суд по маловажным делам, определяемыми в законодательном порядке).

г.г.) право веделения из общей земской организации самостоятельных мелких земских единиц по соглашения с местными раионами и уездными земствами и с подлежащими правительственными учреждениями.

д.д.) право неприкосновенности гарантированных действующим специальным законом, т.е. Положением о колониях в Закавказьи, имущественных прав немцев-поселенцев («колонистов») на состоящие в их владении по праву общественной собственности земельные угодия, восколько органичение этих прав не вызывается государственной надобностью.

е.е.) право видоизменения существующего в немецких колониях, по указанному в предыдущем пункте (д.д.) Положению землепользования в современном духе демократизации, с сохранением однако фидеиксисси-

ато (родового) характера сего землепользования, в целях поддерживания и впредь цельности колонийсского владения на благо всей республики (немцы-колонисты) самые аккуратные плательщики требуемых с них в столь крупных размерах податей и повинностей и на благо окрестных соплеменных жителей, для коих немецкие сельские хозяева призваны служить примерами.

ж.ж.) право выделения на всей територии Грузии немецких школ, без различия типов и степеней их, в особую школьную систему, руководимую собственным (немецким) инструктором или инспектором, избираемым представителями Союза Закавказских Немцев (на делегатском собрании) большинством голосов и утверждаемых в установленном порядке Правительством Грузии, причём главный котнороль в отношении деятельности сего выборного должностного лица и подведомственных ему школ признаётся также за правительством Грузии, а содержание как названного инструктора, так и всех немецких школ немцы принимают на себя, если они будут освобождены от взноса податей и повинностей, предназначенных на содержания школьного аппарата в Республике вообще.

з.з.) право сохранения существующего Союза Закавказских немцев и исполнительного его органа, Центрального Совета, по уставу, выработанному и утверждённому делегатским Собранием Союза на съезде 15-18 декабря 1919 г. В каковой Союз в настоящее время входят 18 отдельных (2 городских и 16 сельских) групп (так называемых «Ортсгруппен») и группа Союза Закавказских немецких учителей», руководствующаяся особым уставом, согласованным с уставом Союза и утверждённым на том же (вышеупомянутом) съезде представителей последнуго.

Председатель Центрального Совета Совета Закавказских Немцев:

3 Марта 1920 года.

Гор. Тбилиси

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 181, ფ.ფ. 154-156.

Проект Статута Самоуправления Эллинов Грузии.

Ст. 1. Высшим органов национального самоуправления эллинов Грузии является Эллинский Национальный Совет Грузии.

ПРИМЕЧАНИЕ: 1. Эллинами Грузии считаются все эллины, граждане Грузии (несущия общегосударственные, городские и земские повинности).

Ст. 2. На Эллинский Национальний Совет возлагается:

1) Защита национальных интересов эллинского населения Грузии.

2) Обединение, руководительство, управление и заведывание всеми делами населения в областях культурно-просветительной, образования, общественного призрения, здравоохранения, социально-экономической помощи, равно и в области религиозного культа.

Ст. 3. В компетецию эллинского Национального Совета входит:

1) Задачи народного образования, учреждение и содержание школ, гимназий, народных университетов, заботы о школьном и дошкольном образовании и проч.

2) Культурно-просветительние задачи. Учреждение народных домов, библиотек, читален, музеев, театров, устройство народных чтений, публичных лекций, заботы о народной литературе и музыке и проч.

3) Задачи социально-экономической помощи: устройство рабочих домов, бюро труда, кооперативов, судо-сберегательных товариществ и проч.

4) Задачи общественного призрения, устройство сиротских домов, народных столовых, домов для инвалидов и старых и других благотворительных учреждения.

5) Задачи народного здраво-охранения: устройство больниц, амбулаторий, санаторий, детских колоний, капли молока, институтов физического развития детей и юношества.

6) Вопросы беженства, иммиграции и эммиграции эллинского населения.

7) Метрикация и регистрация эллинского населения.

8) Бюджет, а также издание для своих учреждений уставов и инструкций.

9) Представительство в местных органах Правительственной власти городского и земского самоуправления по всем делам касающимся эллинского населения.

10) Представление Национальному Совету права на получение соответсвенной доли (пропорциональное отчислению) из Государственного и местного бюджета на все нужды местного эллинского населения.

11) Представительство эллинского Национального Совета во всех центральных органах по всем вопросам эллинской жизни.

Ст. 4. В видах достижения указанных в ст. 3 задач, устанавливается единство кассы всех национальных организации, единство бюджета (доходов и расходов) и единство сборов с населения.

Ст. 5. Для заведывания отдельными частями управления учреждаются при Национальном Совете отделы, которые действуют под руководством и наблюдением Совета, как органы исполнительной власти.

Ст. 6. Для удовлетворения нужды населения и осуществления всех задач Совета-Совет устанавливает обязательные взносы с населения, на основании принудительного прогрессивного-подоходного налога (право обложения).

Ст. 7. Национальным языком Совета и всех эллинских организаций признаётся язык эллинский. В официальных же сношениях в делопроизводстве и в заседаниях Совета применяется временно русский, как общепонятный.

Ст. 8. Члены Национального Совета несут свои обязанности безплатно, получая лишь диету, (суточные). Члены же исполнительного комитета и служащие в учрежденяях последнего получают определённое вознаграждение наравне со служащими в Государственных учреждениях.

Ст. 9. Средства Эллинского Национального Совета состоят из:

1) Пропорционального отчисления из бюджета органов местного самоуправления и государственной власти.

2) Поступлений от принудительного обложения населения по принципу прогрессивно-подоходного обложения.

3) Пожертвований и отказов по завещаниям и иных поступлений.

4) Доходов от принадлежащих Эллинскому Национальному Совету движимых и недвижимых имуществ.

5) Поступлений от пользования учреждениями Национального Совета (больницы, столовые, библиотеки и друг.)

Ст. 10. Эллинский Национальный Совет избирается всем эллинским населением обоего пола в возрасте не менее 20 –ти лет.

Ст.11. Выборы в Совет производятся путём всеобщего, прямого, равного и тайного голосования по принципу пропорционального представительства.

Ст.12. Эллинский Национальный Совет стоит за територриальное отбывание воинской повинности и желает, чтобы судебно-административное отделение Государственной территории совпадало с естественной группировкой эллинов Грузии, а равно, чтобы выборы лиц на судебно-административные должности происходили бы согласно желания нации и рекомендации Национального Совета.

«8» Марта 1920 года.

Гор. Тифлис.

Уполномоченный 2-ым сездом Эллинов Граждан Грузии для принятия участия в работах конституционной комиссии и защиты интересов Эллинов Грузии.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 181, ფ.ფ. 164-165.

Проект Русского национального совета о правах национальных меньшинств

1. Все народности в Грузии равны перед законом. Всеобщая перепись отмечает число граждан каждой нации, принадлежность к которой определяется свободным волеизъявлением совершеннолетних граждан, совершенным перед компетентными учреждениями и отмечается в национальных метрикулах.

ПРИМЕЧАНИЕ: I. Дети до 16-ти лет отмечаются в метрикулах родителей.

II. Принадлежащими к определённой нации почитаются и те граждане, кои не будучи занесены в национальные метрикулы, – всем образом своей жизни, либо отдельными знаменательными действиями (посещение национальной школы, участие в культурных национальных организациях, служба по национальному самоуправлению и т.д.) заставлять допустить презумпцию таковой их национальной принадлежности.

III. Для национальных обединений иматрикуляция граждан должна являться базисом для школьного образования и собственного прямого обложения.

IV. Всякое посягательство на свободу волеизъявления, указанного в семъ параграф, карается уголовным законом.

2. Впредь до состановления национальных кадастров, принадлежащими к данной национальности, считаются граждане, соотвествующей этнической группе, независимо от религиозной принадлежности, за исключением тех, кто добровольно заявит перед подлежащими учреждениями о своей непринадлежности к данной нации.

3. Национальные меньшинства, кои организуются в союзы с центральными и местными органами, – избираемыми всеми членами нации, на основе всеобщего, равного и тайного голосования, признаются частно и публично право и дееспособными юридическими лицами.

ПРИМЕЧАНИЕ: I. Как центральные, так и местные Советы избираются путём пропорциональных выборов по системе единого избирательного округа. Определение округов местных советов производится центральным Советом.

4. На органы Национальных Самоуправлений возлагается защита прав и интересов национальных учреждений и граждан данной национальности. Центральные национальные советы в Грузии являются органами представительства национальных меньшинств перед властями в Грузии.

5. Для содействия разрешению вопросов, связанных с интересами национальных меньшинств и с осуществлением национального самоуправления при Правительстве Грузии состоят народные уполномоченные, избираемые и смещаемые подлежащими национальными Советами и утверждаемые Правительством Грузии. Все уполномоченные по национальным делам образуют Совет по национальным делам при Председателе Правительства Грузии.

6. Государство представляет организованным национальным союзам право самоуправления в национальных делах, выделяет и передаёт им функции, связанные с вопросами культуры, находящимся в ведении органов государства и местного самоуправления, как-то организацию: 1) Народного (общего, внешкольного, дошкольного и профессионального) образования, искусств и вообще всесторонее развитие национальной культуры. 2) ведение всеми видами общественной и благотворительной помощи.

7. В условиях переходного времени, впредь до окончательного утверждения демократического строя, государство возлагает на организованные в Союзе национальные меньшиньства и им предоставляет право принять на себя заведывание определяемого в их ведении органами Центрального и Местного Управления функций по делам касающимся: 1) Народного здравия, 2) организации распределения (дело продовольственной помощи).3) Участия в разрешении вопросов, связанных с организацией сельско-хозяйственной помощи и переселением.

8. Органы Национального Самоуправления получают в своё распоряжение средства, ассигнуемые государством и органами местного управления на нужды, находящиеся в ведении Национального Союза. Средства эти должны быть пропорциональными численному соотношению данной национальности со всем [населением] Республики. На покрытие нужд Национальных Союзов, не обеспеченных суммами – государственного бюджета, им для осуществления задач и целей национального самоуправления, предоставляется право обложения членов национального обединения прогрессивным подоходным налогом.

9. Все национальные языки в школе, суде, законодательных и административных учреждениях, торговой и коммерческой жизни, печати и публичных собраниях и повсеместно в общественной жизни, признаются равноправными и свободными к употреблению.

ПРИМЕЧАНИЕ: Нарушение свободы пользования языком национального меньшинства карается уголовным законом.

10. При достижении в какой либо административной единице (город, уезд, село, теми) данной национальностью установленного законом процента, эта административная единица считается разноязычной и органы местной власти обязаны пользоваться языком этой нации во всех словесных и письменных сношениях с ее членами.

ПРИМЕЧАНИЕ: Права эти обеспечиваются специальным законом о языке.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 180, ფ.ფ. 80-86.

Тезисы Конституция Армянского Национального Самоуправления в Грузии, выработанной Армянским Национальным Советом.

1. Армяне в пределах Грузии образуют Армянское Национальное Самоуправление.

2. Национальное Самоуправление осуществляется через Национальное Собрание и его исполнительный орган – Национальный Совет.

3. Национальное Собрание избирается на основе всеобщего, прямого, равного, тайного и пропорционального избирательного права и созывается в сроки, им самим определяемые; Национальный же Совет действует в пределах прав, представленних ему Национальным Собранием.

4. Национальное Собрание и Совет являются публично-правовыми органами и обладают всеми правами юридического лица в том числе правом приобретать и отчуждать движимые имущества всеми законными способами.

5. Имущества Армянского Национального Самоуправления признаются собственностью армянской нации в Грузии.

6. Члены Национального Собрания в общих собраниях его пользуются свободою слова на общих с членами Законодательного Учреждения основаниях. За проступки и общия преступления члены Национального Собрания и Совета за время состояния их в сем званий подлежат преследованию и лишению свободы исключительно в судебном порядке.

7. В районах, где армянское наследие составляет не менее 15% жителей данного района (город, уезд, теми, село), армянский язык признается равноправным с государственным в административных местах, органах самоуправления, судебных установлениях, публичных собраниях и почтово-телеграфных сношениях, при чем эти места, учереждения, установления и должностные лица в сношениях с армянами обязанны принимать словесные и писменные заявления, объснения и все производственные бумаги на армянском языке и отвечать и выдавать бумаги на армянском же языке.

8. В Законодательных учреждениях армянский язык признается равноправным с государственным, и все общегосударственные законы и

распоряжения Центрального Правительства публикуются на ряду с грузинским так же на армянском языке. Равным образом публикуются на армянском языке все постановления, распоряжения адинистративных мест и лиц, органов местного Самоуправления, и судебных установлений в районах, указанных в п. 7 сих тезисов.

9. Права армянского языка исчисленные в п.п. и 7 сих тезисов, обезпечиваются специальным законом.

10. В компетенцию Армянского Национального Самоуправления входят а) Представительство и защита прав и интересов армянских учреждений и армян, как отдельных лиц так и их групп, вытекающих из их принадлежности к армянской национальности. и б) Ведение делами: народного просвещения и развития национальной культуры а также оказание армянскому населению помощи в деле продовольствия, сельского хозяйства, здравоохранения и призрения.

11. Дело армянского народного просвещения передаётся всецело армянскому Национальному Самоуправлению и преподавание в школах ведётся на армянском языке. Определение и утверждение программ преподавания в низших, средних и высших учебных заведениях – общеобразовательных, и специальных, а равно и управления ими всецело предоставляется Национальному Самоуправлению. В высших начальных и средних учебных заведениях обязательно преподавание грузинского языка.

12. Армянское Национальное Самоуправление получает на свое распоряжение на дело народного просвещения и развития национальной культуры средства и соответствующих бюджетов государства и органов местного Самоуправления пропорционально количеству населения.

13. Армянское Национальное Самоуправление имеет право назначать и облагать специальные налоги с армян на дела, входящия в круг его компетенции.

14. В заседании Совета Министров участует на правах Министра представитель Армянского Национального Совета по делам Армянского Самоуправления.

პავლე საყვარელიძის პირადი არქივი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

Проект Права национального меньшинства для евреев республики Грузии

1. Еврейское национальное меньшинство в Грузии, организованное в союзе, с центральными и местными органами, является публично и частно-правным юридическим лицом и частью единой еврейской нации.

2. К еврейской национальности в Грузии причисляется, впредь до составления национального кадастра, каждый еврей, не заявивший о своём выходе из еврейской нации и не принадлежащий ни к какому другому вероисповеданию, а после того, также тот, который будет внесён на основании указанных признаков в этот имеющий быть составленным, национальный кадастр.

3. Еврейское Национальное Меньшинство в Грузии пользуется правом национального самоуправления.

4. Огранами Еврейского Национального Самоуправления являются Еврейское Национальные Советы, возглавляемые Центральным Еврейским Национальным Советом Республики Грузии.

5. Еврейския Общины в каждом городе, местечке и селении избирают, на основе предусмотренного конституцией Грузии избирательного закона, местные Национальные Советы, руководящие Еврейской Национальной жизнью и организующие её в каждом данном месте и подчиняющиеся постановлениям Центрального Национального Совета.

6. Центральный Национальный Совет избирается съездом представителей Еврейских общин и является Центральным Органом Еврейского Национального Самоуправления.

7. Местные Национальные Советы избираются на основе предусмотренного конституцией Республики Грузии избирательного закона.

8. Лица Еврейской Национальности, не являющиеся подданными Республики Грузии, в течении пяти лет со дня обявления самостоятельности Грузии, пользуются в пределах Национального Самоуправления всей полнотой прав в том числе и политических и несут обязанности, независимо от своего подданства в по стечении этого срока, лишаются, в случае неприятия грузинского подданства, избирательных прав.

9. Органы Еврейского Национального Самоуправления, как институты публично и частно правовые, пользуются следующими правами:

а) Правом представительства и защиты интересов Еврейской Нации в общегосударственных и национальных Установлениях.

б) Правом сношения по обще-еврейским вопросам с еврейским с еврейскими учреждениями и организациями в других странах.

в) Правом самостоятельного принудительного обложения еврейского населения по принципу прогрессивно – подоходного налога.

г) Правом установления единого бюджета.

ПРИМЕЧАНИЕ: Отдельные Общества и учреждения, существовавшие в каждой общине до образования местных органов Еврейского Национального Самоуправления, по избрании таковых, поступают в их ведение и содержатся на их средства.

10. Компетенции Национальных Советов предоставляется:

а) Заведывание народным образованием (организация и управление школ, гимназий, народных университетов, детских садов, дошкольное и внешкольное воспитание и т.п.)

б) Удовлетворение культурно-просветительных потребностей: организации и управление народных домов, библиотек, читален, музеев, театров, заботы о народной музыке и литературе и т.п.

ПРИМЕЧАНИЕ: Тип, программа, и язык преподаваний для культурно-просветительных учреждений и учебных заведений определяются и устанавливаются самими органами Еврейского Национального Самоуправления, соотвественно нуждам и потребностям каждой данной общины.

в) Попечение о народным Здравии: (организация и управление больниц, амбулаторий, санаторий, детских приютов, капель молока и т.п.)

г) Попечение об общественном призрении: (организация и управление сиротских приютов, народных столовых, богоделен и пр.)

д) Удовлетворение социально-экономических нужд: (организация и управление учреждений взаимной и трудовой помощи, учреждений мелкого кредита, профессиональное образование, организация и управление кооперативов, артелей, домов трудолюбия и пр.)

е) Метрикация, регистрация и статистика.

ПРИМЕЧАНИЕ: Религиозные обрядности совершаются духовным раввином.

ж) Регулирование внутренного хозяйственного распорядка в вопросах традиционно-национального быта еврейского населения: (кошерное мясо, погребальное братство).

з) Регулирование праздничного отдыха, право замены отдыха по воскресениям и христианским отдыхом по субботам и по еврейским традици-

онно-национальным праздникам.

и) Вопросы беженства и эмиграции.

11. Органам Еврейского Национального Самоуправления отчисляется пропорциональная часть общегосударственных, городских и земских средств.

12. Бюджет органов Еврейского Национального Самоуправления составляется, как из указанных пропорциональных отчислений и поступлений от принудительного обложения, так и из: доходов от имуществ и предприятий еврейских учреждений, добровольных сборов и пожертвований и прочих поступлений.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 181, ფ. 168-169.

Проект Прав мусульман Восточной Грузии, вносимый в конституионную комиссию Учредительного Собрания Грузии

1. Предоставление мусульманам учавстовать в управление Руспублики выбором одного министра и 2 товарищей министра из мусульман.

2. Назначение или выбор в местах с мусульманским населением судей, следователей, а также административных должностных высших и низших лиц из мусульман. В местах со смешанным населением назначение или выбор этих должностных лиц пропорцианально числу жителей мусульман. Приём прошений и ведение переписки на мусульманском языке. А также приём прошений и заявлений во всех учреждениях Республики на мусульманском языке, для чего должен быть введён штат переводчиков, грамотных по мусульмански.

3. Предоставление в Учредительном Собрании и в Парламенте Республики мусульманам соответственное количество мест пропорционально мусульманского и немусульманского населения Республики, с тем, чтобы кандитатов на эти места выбирали сами мусульмане без борьбы с государсвтенными партиями.

4. Приравнение в делах обучения и воспитания с грузинским народом, открытие мусульманам в достаточном количестве и в каждом райо-

не начальных, высших начальных, ремесленных, сельско-хозяйственных училищ, учительских семинарий, гимназий. Преподавание во всех этих учебных заведениях на казённыя средства шариата. Отправка окончивших курс в средних уч. Заведениях за границу.

5. Религиозная автономия: а) Управление духовенства, духовных дел, разбор бракоразводных, наследственных дел в Особом Мусульманском Меджлисе, а по уездам казьями, проект штата коих предстален Национальным Советом Совету Министров Республики 8 мая 1919 г. За №100. Оплата жалования и содержание этих учреждений на государственный счёт по размерам не менее других учреждений; при чём мусульмане везде в Республике должны соблюдать свои праздники-пятницу и прочие, а в христианские праздники никто не должен их понуждать закрывать магазины, прекращать торговлю и т.п.

სცსა. ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 181, ფურც. 112.

II

„დამოუკიდებელ“ სოციალ-დემოკრატების კრება

კვირას, 3 აპრილს, თფილ[ისის] ქალ[აქის] ყოფ[ილ] თვითმართველბის დარბაზში შესდგა ეგ[რეთ] წოდ[ებულ] „დამოუკიდებელ“ მენშევიკთა კრება. თუმცა მათი განცხადების თანახმათ კრება უნდა ყოფილიყო მარტო „დამფუძნებლებისა“, მაგრამ ნამდვილათ კი მონაწილეობა მიიღო ყველა რწმენის მენშევიკებმა.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა მოქ. ხოჭოლავა, მდივნათ დ. თევზაძე. თავმჯდომარის ამხანაგათ სოლომონ თავაძე.

თავმჯდომარემ აუწყა კრებას მოწვევის მიზანი: შემდეგ შეეხო მათ და უნებურათ შექმნილ მდგომარეობას; აქ მოიგონა მან ცხრა მარტის დასაფლავებული ქართველი ჯარის-კაცები, სთქვა, თუ რამდენი ამისთანა უბედურება გადახდია თავს ქართველ ერს, წარმოუდგინა კრებას შავი დღეები წარსულის, შემდეგ დრო თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის; საერთოდ შეეხო აქ ქართველი ერის წარსულს, შეადარა იგი აწმყოს და გამოიყვანა შემდეგი დასკვნა: მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც მოხდა და რასაც ვხედავთ, დღეს, ქართველი ხალხი იპოვის ამ მდგომარეობიდანაც გამოსავალსო.

შემდეგ მომენტზე აკეთებს მოხსენებას კირილე ნინიძე. იგი ორჭოფულად იწყებს თავის მოხსენებას და თან ირონიულად იხსენიებს კომუნისტებს, ხან ამბობს – „უნდა ვიმუშაოთ მათთანო“, ხან კი ამბობს – „დათვმა რომ მოგერიოს „ბაბა“ უნდა უთხრა“-ო, ისე კი პრინციპიალურად ძალიან ზიზღს იწვევს კომუნისტების სახელის უბრალო გახსენებაც კი. იგი განაგრძობს, – „კომუნისტებმა გარეკეს საყოველთაო საარჩევნო უფლების ნიადაგზე არჩეული ჩვენი პარლამენტი, – ამით გამოიჩინეს კომუნისტური სახეო“.

მუშათა საბჭოებში მუშაობას და მის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას საჭიროთ თვლის კირილე ნინიძე. შემდეგ იგი ეხება აღმოსავლეთის ხალხის მიმართ კომუნისტების პოლიტიკას და ამბობს, – „ჩვენ იმათ პოლიტიკას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ამით ჩვენ მოგველის ფიზიკური განადგურებაო, ე.ი., ჩვენ უნდა დავიცვათო თავიდან ბოლომდის ნეიტრალიტეტიო, ჩვენ, სადაც მოხერხებული იქნება, ვიმუშავებთ კომუნისტებთან და სადაც არა – ჩვენსას ვიტყვითო, ფედერალისტებივით ლაქიობას არ დაუწყებთო. და თუ ამისთვის საჭირო იქნება, არც ციხეებს დავერიდებითო“.

აქ შემდეგ მომხსენებელი იხსენებს პეტროგრადში და მოსკოვში პროლეტარიატის ხელში პირველათ ძალა-უფლების გადასვლას და ამბობს: „თვით ნოე ჟორდანია იმ დროს რომ ყოფილიყო იქ უეჭველათ ბოლშევიკებთან იქნებოდაო“. რაც შეეხება მენშევიკების გაქცევას და იქედან გარეშე ძალის შემოყვანას, ამით საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას – იგი სასტიკათ ჰგმობს ასეთ აჯანყებას, იგი უმიზნოთ, კონტრ-რევოლიუციონურათ სთვლის.

შემდეგ ლაპარაკობს ვლადიმერ ჯიბლაძე. იგი შექმნილი მდგომარეობის გამო წელში გატეხილივით იწყებს ლაპარაკს. მისი ლაპარაკიდან გამოსჭვივის მწარე ბოღმა, საბჭოთა რესპუბლიკის სახელის გახსენება მას საშინელ ჟრუანტელს ჰგვრის და მომხსენებლებს ურჩევს შექმნილ მდგომარეობის გამო დაივიწყონ მენშევიკებმა ერთმანეთს შორის დავა, წარსული შეურაცყოფა, უთანხმოებები და შეუდგენ შეერთებული ძალით ნაყოფიერ დადებით მუშაობას.

მუხრან ხოჭოლავა ამბობს კრების დასასრულს: „მეორე ინტერნაციონალი არ არსებობს თავის თავად, მაგრამ მესამე კი მიუღებელია მათთვის და მოუწოდებს კრებას ეძიონ სხვა ინტერნაციონალი.

დამსწრე

გაზ. „კომუნისტი“, № 29. ოთხშაბათი, 6 აპრილი, 1921 წ.

პირთა საძიებელი

ა

ავალიშვილი, ნ., 131,
ალდენშტატი, ფონ, 230,
ალექსანდრე II, რუსეთის
იმპერატორი, 197,
ალექსანდრე III, რუსეთის
იმპერატორი, 33, 48, 64, 242, 256, 272,
ალშიბაია, გრიგოლ, 197,
ამირეჯიბი, შალვა, 35,
ანანიაშვილი, ნ. 29,
ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე, 6, 7,
არაქელა (იხ. ოქუაშვილი, არაქელ).
არსენიძე, რაჟდენ, ix, xiv, xx, 3, 21,
23, 32, 125, 178, 182, 183, 186, 187, 201,
216, 305, 436, 529, 550
არისტოტელე, 488,
ასათიანი, ალექსანდრე, xviii, 11, 12,
72, 75, 76, 78, 83, 84, 94, 103, 117, 150,
217, 221, 223, 248, 268,
აფხაიძე, 105.
ახმეტელაშვილი, ალექსანდრე, 302,
აჭარლები, 516,

ბ

ბალფური, 578,
ბარათაშვილი, იესე / იოსებ, 32, 39,
56, 59, 61, 63, 130, 183, 187, 190, 216,
218. 223, 273, 275, 277, 278,
ბარათაშვილი, ნ.
ბარსეგიანი, 229,
ბედჟგოტი, 578,
ბენტამ, იერემია, 531,
ბერიშვილი, პავლე, 217, 221, 223,
ბერიული, ტ.
ბისმარკი, 142, 143,
ბიული, პავლე, 127, 172,
ბერგ, ედუარდი (ბანკირი,
ამიერკავკ. ბანკის მმართველი), 260,
261,
ბერდო ზმანია, 198,
ბერიული, 129,
ბერძნები, 104,
ბერიშვილი, პავლე, 169,
ბერკვისტი, 230,
ბუტბი, 578,
ბლეკსტონი, 505,
ბორჟო, შ. 444, 445,
ბოჭორიძე, გიორგი, 313,
ბრაუნი, 430,
ბურინი, 230,
ბულანჟე (გენერალი), 505,

გ

გაბაშიძე, ს. 172,
გაგლოევი, გიორგი, 147, 148, 150, 151,
154, 160, 162, 170,
გამრეკელი, გ., 131,
გან, ბარონი, 197,
განოვი — იხ. გან, ბარონი,
გაჩეკი, ი. 454,
გეგეჭკორი ალექსანდრე (საშა), 309,
310, 312,
გეგეჭკორი, ევგენი, 193, 197, 199, 232,
234. 252,
გედევანიშვილი, ნიკოლოზ
(პოლკოვნიკი), 333.
გელოვანი, შოთა, 313,
გელეიშვილი, პეტრე, 35, 210, 211,
243,
გელიტაშვილი (დურგალი), 129,
გეორგი (იტალიური გემი), 334,
გესსენ, ვ.მ. 511,
გლადსტონი, 578, 579,
გვარჯალაძე, კონსტანტინე, 20, 22,
27, 28, 217, 220, 222, 241, 260, 272,

გვაზავა, გიორგი, ix, 39, 57, 58, 62, 75, 76, 81, 84, 87, 88, 105, 140, 169, 178, 182, 183, 186, 189, 190, 250, 264, 301, , 583, 592,
გვახარია, მაია, xxiii.
გიორგაძე, გრიგოლ, xix, 171, 173,
გიორგი, ძლევამოსილი, 138,, 180, 184, 496, 498
გიორგი XII, 2876
გობეჩია, ივანე, xviii, 23, 35, 36, 65, 81, 87, 247, 265, 268, 323, 327, , 427,
გობეჩია, იოსებ, 10, 17, 19, 21, 22, 24, 93, 187, 427,
გობეჩია, ი, 7, 17, 43, 57, 58, 103, 117, 140, 141,
გოლიათი (ბიბლიური პერსონაჟი), 20,
გოლოვლიოვი, 100,
გომართელი, ივანე, 4, 39, 40, 41, 53, 62, 66, 82, 87, 88, 90, 94, 117, 147, 150, 190, 193, 198, 201, 242, 260, 305, 323, 324,
გურსკი, 230,
გურული (გურიის მოსახლე), 516,
გურული, ზაქარია, 35, 39, 50, 81, 150, 201, 224,

დ

დაისი, 548, 578,
დადიანი, ლევან, 286,
დადიანი, სამსონ, vi, 19, 32, 33, 34, 35, 38, 39, 42, 47, 58, 62, 66, 68, 72, 74, 75, 82, 106, 135, 143, 160, 161, 182, 184, 186, 189, 195, 217, 221, 222, 224, 283, 302, 314, 482,
დავითი (ბიბლიური პერსონაჟი), 320,
დავით, აღმაშენებელი, 10, 614,
დანტონი, 547,
დარჩიაშვილი, 430,
დალეიდა, 230,
დე-ბრიუკერი, 570, 576,
დე მარტელი, 232,
დემეტრაშვილი, ი., 130,
დენიკინი, ანტონ, 16, 24, 285,
დიასამიძე, გრიგოლ, 311,
დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე, 197,
დიზრაელი, 578,
დოვლე, მუაზაზედ, 230,
დოუელი, 505,
დუბსი, 466,
დუმბაძე (მოხელე), 254,
დუმბაძე, ლადო, 309, 310, 312,

ე

ებრაელები, 104,
ეგოროვი. არჩილ, 313,
ელიავა, ნიკო, 327,
ელიავა, შალვა, 309, 310, 312,
ელიავა ნიკო, 7, 81, 158, 211,
ელინეკი, 443, 468, 512, 548,
ელიოტი, ჯორჯ, 485,
ელისაბედ (ინგლისის დედოფალი), 484,
ემუხვარი, 175,
ენზონი, 578,
ერაძე, გიორგი, 10, 16, 17, 21, 78, 98, 152, 156, 157, 204, 205, 251, 252,
ერეკლე, ქართლ-კახეთის მეფე, 46,
ერმოლოვი (მინისტრი), 108,
ესმენი (მეცნიერი), 470,
ესტონელები, 104,

ვ

ვარიაგები, 97, 99,
ვალდეკ-რუსსო, 576,
ვანდალები (ტომი), 486,
ვარდოიანცი, 132,
ვეფხვაძე, (დამფ. კრების თანამშრომელი), 101,
ვეშაპელი, გრიგოლ, 16, 35, 36, 37, 66, 74, 78, 83, 106, 192, 205, 273, 297, 301, 310, 327,
ვოიტინსკი, ვლადიმირ, 12, 20,
ვრაციანი, სიმონ, 248,

ზ

ზაქარიაძე, ალექსანდრე, viii, xxii, 334.
ზიბერი, 549,
ზურაბიშვილი, ილია, 29, 31, 37, 50,

51, 56, 92, 120, 126, 167, 170, 229, 241, 257, 276, 279, 282, 313,
ზურგიელიძე (იოს. გრიშაშვილის ერთ-ერთი ლიტერ. ფსევდონიმი), 267,

თ

თავაძე, სოლომონ, 614,
თამარი, მეფე, 10, 503, 614,
თაყაიშვილი, ექვთიმე, 1, 2, 5, 6, 8, 13, 23, 29, 30, 48, 51, 52, 53, 54, 55, 56, 62, 80, 86, 89, 116, 124, 126, 165, 170, 171, 177, 183, 195, 213, 228, 238, 254, 256, 273, 274, 277, 278, 279, 280, 303, 313,
თეთრი გიორგი, 180, 185, 426, 498,
თევზაია, ვიკტორ (ბიკტორ), 12, 28, 80, 94, 96, 99, 101, 117, 136, 156, 160, 182, 186, 245, 260, 265, 266, 267, 287, 296,
თევზაძე, დ, 614,
თოდუა, იონა, viii, xxii, 322
თოდუა, ქრისტინე (ბადუ), 322, ,
თოფურიძე, დიომიდე, 260,
თურქები, 594,

ი

იაკობ I (ინგლისის მეფე), 485,
იაკობაშვილი, ირაკლი, iv, xxiii.
ივანიცკი, ინგილო რაფიელ, 147,
იმერელი, 516,
იმნაიშვილი, ნიკოლოზ, 3, 4, 242, 273, 274, 275, 302, 323, 327,
იმნაიშვილი, ნიკიფორე, 442,
ინგლისელი, 517.
ინგოროყვა, პავლე, 517.
ირლანდიელი, 517.

კ

კავური, 478,
კალანდარიშვილი, ლ. 170,
კალაძე, ერმალოზ, 273, 274, 442,
კალიაევი, ივან, 197.
კანდელაკი, კონსტანტინე, vi, xii, xii, 12, 20, 89, 93, 96, 97, 99, 100, 101, 103, 107, 110, 117, 122, 260, 301,
კაუცკი, კარლ, xx, xxi, 437, 471.
კაც, შ. (მესაათე), 254,
კედია, სპირიდონ, 9, 13, 16, 18, 35, 36, 39, 62, 66, 68, 70, 72, 74, 76, 79, 82, 190, 205, 206, 209, 210, 211, 247, 248, 295, 302, 303, 305, 323, 324,
კეინი, ტომას, 505,
კენჭოშვილი, ხათუნა, xxiii.
კერესელიძე, გ. (რესტორნის მფლობელი), 29.
კვირკველია, ბესარიონ (ბესო), 309, 310, 312.
კიაზიმ ბეი, 229, 235.
კისტიაკოვსკი, 578.
კლარკი, 468.
კობახიძე, ნათია, xxiii.
კობახიძე, ნიკოლოზ, 313.
კობეშავიძე, თ., 255.
კოვალიოვი, მიხეილ, 132, 170.
კოკი, ლორდი, კანონმეტყველი, 485, 555.
კომბი, 576.
კონსიდერანი, 267.
კოპალეიშვილი, ილია, 128, 273, 274, 442.
კოპალეიშვილი, ნ., 131.
კორბელი, 229.
კრესი, ფონ,104.
კუტონი, 547.

ლ

ლაზი, 516.
რარინსკის ქალი, 245.
ლასალი, ფერდინანდ, 443.
ლასხიშვილი, გიორგი, 35, 36, 195, 260, 301.
ლებენდინსკი (ლებედინსკი) 130.
ლენინი (ულიანოვ), ვლადიმერ, 430, 472, 490. 491,.
ლერმონტოვი, მიხეილ, 101.
ლისტი, 472.
ლოკკ, ჯონ, 505.
ლომთათიძე, ალექსანდრე, xix, 1, 2, 5, 8, 13, 18, 22, 23, 29, 30, 31, 32, 33, 35, 36, 37, 38, 42, 48, 50, 89, 92, 117,

119, 124, 126, 165, 167, 168, 170, 171, 172, 177, 185, 192, 194, 195, 196, 198, 199, 201, 212, 213, 216, 222, 226, 228, 238, 241, 242, 244, 246, 254, 256, 257, 259, 273, 275, 276-280, 282, 291, 301, 302, 303.
ლორთქიფანიძე, იასონ, 260.
ლორთქიფანიძე, ივანე, 113, 127, 129, 147, 148, 151, 152, 153, 154, 157, 160, 162, 164, 244, 245, 247, 266,301, 302, 319, 427.
ლორთქიფანიძე, გრიგოლ, 195, 319.
ლორის-მელიქოვი, 2.
ლოტი, პიერ, 236.
ლუდოვიკ XIV, 561.
ლუნაჩარსკი, ანატოლი, 472.

მ

მალავსკი, თ. (სასახლის გამგე). 129.
მაღალაშვილი, გ., 130.
მახარაძე, იოსებ, 255.
მახარაძე, ფილიპე, 46, 309, 310, 312.
მაზნიაშვილი, გიორგი, 334.
მაკ-მაგონი (მარშალი), 462.
მარტოვი, ლევ, (მარტოველები) 430.
მარქსი, კარლ, 489.
მახარაძე, იაკობ, 255.
მატისევიჩი, 171,
მაჭავარიანი, ივანე, 262, 265, 266, 267, 268, 299, 302.
მაჩაბელი ივანე, 197.
მაცაბერიძე, მალხაზ, iv, xii.
მაძინი, ჯუზეპე, 479.
მგელაძე, ვლასა, 74, 205.
მდივანი, ალექსანდრე, ix, 553, 565.
მდივანი, ბუდუ, 309, 310, 312.
მდივანი, სიმონ, 33, 174, 191, 192.
მეგრელი (მეგრული), 223, 516.
მეიერი, ანტონ, 471.
მელერი. 229.
მესხიშვილი, (ალექსი-მესხიშვილი) შალვა, 80, 82, 93, 117, 160, 164, 216, 219, 220, 224, 314, 323.
მხეიძე, მ. 130.
მჭედლიშვილი, მაია, xxiii.
მილეირანი, 430.
მოზერი, 229.
მონტესკიე, 510.
მორელი (ფირმა „შაბრიერ-მორელი“), 89, 90.
მუსულმანი ქართველები, 594.

ნ

ნათაძე, გრიგოლ, 427.
ნათაძე, ლეო, 39, 62, 158, 172, 178, 185, 190, 209, 210, 216, 264, 266, 305.
ნაზარეტიანი, ჰამაიაკი, 309, 310, 312,
ნანეიშვილი, ალექსანდრე, 29, 170, 313,
ნაპოლეონ ბონაპარტი, 455,
ნარიმანიძე, გ., 129,
ნიკოლაძე, იაკობ, 255,
ნიკოლეიშვილი, ირინე. xxiii.
ნიკოლოზ II, 32, 33, 46,
ნინიძე, კირილე, xvi, 128, 133, 173, 191, 217, 221, 222, 242, 248, 251, 274, 275, 301, 442, 615,
ნეტემანი, 230,
ნოდია, გიორგი, 7,
ნოვგოროდცევი, 578,
ნუცუბიძე, ილია, vii, 8, 21, 23, 25, 35, 36, 63, 80, 127, 427, 262, 302,
ნუცუბიძე, შალვა, 3, 16, 17, 18, 19, 68, 69, 70, 71, 83, 125, 161, 204, 216, 217, 218, 220, 221, 223, 224, 254, 287,

ო

ოკუჯავა, მიშა, 309, 310, 312,
ონიაშვილი, დავით, 173, 191,
ორახელაშვილი, მამია, 309, 310, 312
ორჯონიკიძე, სერგო, 291, 297,
ოსტროვსკი, ვ., 200, 229,
ოქუაშვილი, არაქელ, 45,

პ

პასკევიჩი, 197,
პაპალაშვილი, შალვა. xxiii.
პაპუნა, 221,
პაშკოვი, 100,
პეინ, თომას
პლეხანოვი, გიორგი

(პლეხანოველები), 430,
პეტრე დიდი, 317, 511,
პიმი, (ინგლისის პარლამენტის
დეპუტატი), 485,
პოლი, 229,

ჟ
ჟიჟილენკო. 535.
ჟორდანია, ნოე, vi, ix, xii, xiv, xv, xvi,
8, 14, 17, 19, 32, 42, 46, 67, 68, 69, 82,
97, 156, 193, 195, 196, 198, 209, 212, 218,
223, 230, 233, 236, 248, 249, 250, 251,
255, 265, 284, 287, 301, 302, 303, 306,
309, 428, 448, 451, 478, 333.
ჟორესი, ჟან, 430.

რ
რამიშვილი, ისიდორე, 197.
რამიშვილი, ნოე, 77, 195, 206, 208,
210, 245, 246, 310, 332.
რაუშერი, ფრიდრიხ, 197, 229, 233.
რიხტერ, ევგენი, 142.
რობინოვ, 10.
რუსია, მელიტონ, ix, 39, 62, 190, 242,
253, 260, 305, 584.
რუსსო, ჟან-ჟაკ, 488, 546.
რუსთაველი, შოთა, 195, 198, 220, 251.
რცხილაძე, გრიგოლ, 34, 55, 71, 72, 81,
83, 93, 94, 100, 117, 121, 134, 183, 189,
202, 210, 217, 223, 228, 260, 302, 327.

ს
საბახტარაშვილი, კონსტანტინე, 12,
51, 232.
საყვარელიძე, ანდრია (ანდრო), 313.
საყვარელიძე, ლილი, xxiii.
საყვარელიძე, პავლე, ix, xx, 33, 38,
39, 42, 56, 62, 63, 86, 137, 138, 140, 143,
177, 187, 190, 195, 216, 253, 265, 266, 268,
269,274, 301, 305, 322, 593, 595, 610.
სალარიძე, ალექსანდრე, 313.
სალაყაია, იოსებ. 6, 8, 24, 34, 36, 133,
161, 173, 174, 191, 192, 301.
სალუქვაძე, ანანია, 275.
სეკფერისი, 229.
სერგიევი — იხ. დიდი მთავარი
სერგი ალექსანდრეს ძე,
სვიმონიშვილი, ვლადიმერ, 131.
სვატოში, 230.
სკობელევ, მათე, 12, 21, 27.
სოლომონ II, 286.
სოლოღაშვილის ასული, ანნა, 2.
სოლსბერი, 579.
სომხები, 61, 104.
სულაქველიძე, აპოლონ, 273, 274,
442.
სურგულაძე, პეტრე, 147.
სტიუარტები (დინასტია), 485.
სტოქსი, 194, 323.
სტრაფორდი, ლორდი, 485, 562.

ტ
ტაბიძე, გალაკტიონ, 197.
ტახტარიოვი, 505.
ტერ-სტეფანიანი (ტერ-სტეფანოვი),
გარეგინ, 217, 223, 245, 246, 247, 298,.
ტიუდორები (დინასტია), 485.

უ
უორდროპ, ოლივერ, 233.
ურატაძე, გრიგოლ, 67, 82, 173, 174,
191, 215, 219, 224, 241, 272.

ფ
ფაიკი, ომარ, 309, 310, 312.
ფილიპსი (ინგლისის პარლამენტის
დეპუტატი), 485.
ფირცხალავა, სამსონ, 33.
ფირცხალაიშვილი, ალ. 174, 191.
ფირცხალაიშვილი, ილია, 228, 273,
274, 442.
ფირცხალაიშვილი, 243.
ფერან-გენტრანი, 120, 165.
ფრიდრიხ ვილჰელმ პირველი, 510.
ფრანდენი, ე. 457.
ფურიე, 267.
ფშავ-ხევსური, 516.

ქ
ქავთარაძე, 12, 236.
ქავთარაძე, სერგო, 229, 334.
ქართლ-კახელი, 516.
ქარუმიძე, შალვა, 76, 77, 84, 201, 202, 208, 211, 301, 302.

ღ
ღამბაშიძე, დავით, 12.
ღაღანიძე, სოფიო, xxiii.
ღლონტი, თედო, 71, 93, 95, 106, 108, 110, 113, 117, 147, 152, 154, 158, 163, 204, 205, 210, 220.

შ
შაბრიერ (ფირმა „შაბრიერ-მორელი“), 89, 90, 146
შარაშიძე, დავით, 212.
შარაშიძე, ქრისტინე, 1, 2, 5, 29, 30, 31, 126, 146, 165, 166, 167, 168, 169, 170, 213, 215, 226, 228, 238, 254, 256, 257, 272, 276, 277, 280, 301, 303.
შაფრინი, 12.
შევალიე, აბელ, 194, 197, 229, 231.
შევარდნაძე, ირ., 254.
შევჩუკი, გერასიმ, 128, 132.
შელბორნი, ლორდი, 567.
შენგელაია, ლეო, vi, xviii, 8, 9, 13, 14, 15, 18, 23, 24, 26, 32, 33, 34, 35, 39, 42, 43, 44, 47, 58, 60, 61, 74, 76, 77, 79, 82, 83, 93, 95, 96, 109, 117, 121, 132, 140, 142, 143, 182, 183, 187, 209, 217, 218, 220, 221, 222, 223, 247, 251, 251, 266, 292, 427.
შოთა, (რუსთაველი), 106.
შონია, მაკ. 130.
შუბითიძე, თეა, xxiii.
შუბლაძე, გ., 130.
შჩედრინი, 221.
შტიუხი, 548.

ჩ
ჩერნევსკი, 100.
ჩიკვაიძე, 3, 125.
ჩერუტტი (ელჩი), 199, 229, 234.
ჩხეიძე, ნიკოლოზ (კარლო), 29, 35, 55, 93, 116, 119, 120, 121, 124, 126, 134, 146, 151, 162, 315, 328, 332.
ჩხეიძე, 132.
ჩხენკელი, აკაკი, xix, 11, 20, 26, 39, 62, 243, 448.
ჩხიკვიშვილი, ბენია, 214, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 224, 242, 254, 266, 298, 301.

ც
ცაბაძე, ვასილ, 150, 201, 215, 219, 225, 243, 260.
ცაგარელი, ალექსანდრე, 446, 481.
ცისკარიშვილი, გაბრიელ, 7. 260, 302.
ცინცაძე, ნოე, 156.
ციციშვილი, ეკატერინე (მანქანით გადამწერი), 131.
ცხაკაია, მიხა, 32.

ძ
ძაბახიძე, ნ., 131.

წ
წერეთელი, ზურაბ, 286.
წერეთელი, ირაკლი, xvi.
წერეთელი, მიხაკო, 311.
წერეთელი, ქაიხოსრო, 286.
წულაია, პავლე, 53, 147, 153, 160, 161, 163, 241, 272.
წულაძე, ვასო, 218, 224.
წულუკიძე, ვარდენ (გენერალი), 333.
წუწუნავა, ალექსანდრე, 198.

ჯ
ჯავახიშვილი, ივანე, 448, 476.
ჯაფარიძე, 209.
ჯაფარიძე, ივანე (სენატორი), 118.
ჯაფარიძე, კონსტანტინე, 1, 2, 5, 35,

37, 38, 39, 48, 50, 51, 52, 53, 55, 56, 62, 63, 89, 92, 116, 120, 124, 126, 127, 165, 167, 168, 169, 170, 172, 177, 183, 190, 213, 216, 228, 238, 253, 256, 257, 272, 276, 277, 280, 283, 302, 305.
ჯაფარიძე, სერგო, 62, 167, 168, 169, 187, 189, 260.
ჯაფარიძე, სიმონ, 305.
ჯაყელი (ბაქოელი კომერსანტი), 12.
ჯგერენაია, ემზარ, xxiii.
ჯიბლაძე, ვლადიმერ, 615.
ჯიბლაძე, სილიბისტრო, 35, 428.
ჯუღელი, ვალიკო, xx, 6, 8, 11, 13, 18, 21, 22, 23, 24, 26, 28, 71, 130, 161, 164, 171, 192, 245, 251, 262, 263, 264, 266, 267, 268, 269, 290, 296, 301, 302.

ხ

ხარშილაძე, დარეჯან, xxiii.
ხიზამბარელი-სანიკიზე, თამარ, xxiii.
ხელთუფლიშვილი, 244.
ხვინგია, ნიკოლოზ, xii, 359.
ხომერიკი, ნოე, 157, 161, 195, 207, 209, 211, 301,
ხოსიტაშვილი, მზია, xxiii.
ხოშტარია, აკაკი, 63, 211.
ხოჭოლავა, მუხრან, 216, 264, 273, 274, 275, 287, 299, 442, 614, 615.

ჭ

ჭანი, 516.
ჭელიძე, თეიმურაზ, 274, 442.
ჭიაბრიშვილი, ან. 273, 302.
ჭიჭინაძე, ბესარიონ, 147, 152, 160, 163, 170.
ჭიჭინაძე, პარმენ, 65, 81, 197, 198, 199, 322.
ჭურცილიძე, ნ., 131.
ჭრიაშვილი, გლახა, 45.

ჰ

ჰუნები (ტომი), 486.

ადგილთა საძიებელი

ა

ავსტრალია, 480, 481,
ავსტრია, 210, 217, 222, 557, 563,
ავსტრო-უნგრეთი, 263,
ადერბეიჯანი (აზერბაიჯანი), 74, 79, 84, 123, 188, 210, 231, 252, 294, 295, 306, 307, 320, 569,
აზია, 292, 297,
ათინა, (ათენი), 486,
აკაბაცი, 128,
აკარაკლი, 128,
ალავერდი, 128,
ალბანია, 210,
ალი, 171,
ალექსანდროფელდი, 172,
ალპები, 455,
ამბულახი, 247,
ამერიკა, 10, 19, 21, 25, 59, 210, 211, 229, 268,292, 295, 444, 454, 457, 461, 495, 504, 505, 555, 556, 566, 568,
ამერიკის შეერთებული შტატები (ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები), 460, 470, 480, 539, 547, 553, 555, 557, 564,
ამიერკავკასია (ამიერ-კავკასია), 146, 173, 321, 322, , 381, 449, 451, 594,
ანგორა, 138, 229, 236,
ანკარა, 229,
აპპენცელ (კანტონი შვეიცარიაში), 455, 490,
არმანი, 128,
ახპატი, 129,
არჩო, 129,
ასპინძა, 132,
ახალციხე, 129, 214,
ახალქალაქი, 214, 242,
აფრიკა, 98, 110, 123,
აფხაზეთი (აბხაზეთი), 60, 104, 130, 175, 192, 245, 321, 352, 401, 425, 441, 516, 519, 596, 597,
აჭარა, 334,

ბ

ბავარია, 554, 557, 563,
ბათუმი (ბათომი), viii, xxii, xxiii, 92, 174, 191, 238, 245, 332, 333, 334, , 352, 359, 401, 450, 594, 595,
ბაზალეთი (სოფ.), 128,
ბალკანეთი, 295,
ბაქო, 285, 297, 304,
ბელგია, 137, 193, 229, 295, 322, 328, 474, 477, 480, 496, 497, 532, 551, 552, 557, 562, 563, 564,
ბერლინი, 51,
ბერნი, 457,
ბორდო, 138,
ბორჩალო, 48, 163, 284, 294, 298, 307, 309,
ბორჩხა, 129,
ბოჩის-ხევი. 128,
ბრესტ-ლიტოვსკი, 450, 595,
ბრესტლიტოვსკი
ბრიუსელი, 480, 206,
დიდი ბრიტანეთი, xiii, 119, 229, 232, 260,
ბროლონი, 171,
ბულგარეთი, 532,

გ

გაგრა, 597,
გერგეთი, 128,
გერმანია, 10, 73, 104, 124, 197, 198, 210, 217, 222, 231, 262, 328, 472, 474, 510, 532, 549, 554, 557, 559, 229,

გერტრანი-ფერრან გერტრანი
გლარუსი (კანტონი შვეიცარიაში), 490,
გოლანდია (ჰოლანდია), 230, 295, 539,
გორი, 147, 150, 171, 201, 215, 321, 504,
გულაკარასი, 128,
გუმბრი, 16,
გურია, 504, 505, 516,

დ

დანდალა, 129,
დარუბანდი, 10,
დელგეთი (ავსტრალიის ფედერაციის პირველი დედაქალაქი), 481,
დილიჯანი294,
დისიხი, 128,
დონი, 109,
დუშეთი, 128,
დუშეთ - თიანეთი, 321,

ე

ევროპა, 10, 19, 20, 26, 65, 94, 96, 103, 105, 114, 121, 194, 217, 222, 230, 243, 268, 288, 292, 295, 297, 315, 322, 328, 442, 474, 475, 557, 588,
ეკატერინენფელდი, 16,
ენგური, 596,
ერევანი, 16, 171, 247, 285, 297,
ესპანეთი (ისპანია), 229,
ესტონეთი, 19, 229, 231,
ესტონია, 210, 325,

ვ

ვარნალი, 129,
ვარტანლი, 128,
ვაშინგტონი (აშშ დედაქალაქი), 480,
ვერდენი, 309, 311,
ვენა, 474,
ვენეცუელა (ვენესუელა)
ვორონცოვკა, 128, 129, 132,

ზ

ზაქათალა (ზაქათალას ოლქი), 352, 401, 425,
ზუგიდი, 114, 214, 242, 246, 248, 504, 505,

თ

თბილისი (ტფილისი), 10, 33, 74, 75, 111, 127, 130, 132, 137, 138, 146, 157, 171, 185, 197, 205, 234, 242, 272, 285, 301, 302, 306, 308, 309, 311, 318, 319, 322, 329, 336, 381, 446, 451, 478, 614,
თელავი, 504,
თურქეთი, 229,

ი

იალბუზი, 291,
იმერეთი, 104, 321, 504,
ინგლისი, 66, 76, 82, 94, 97, 110, 111, 115, 193, 211, 230, 231, 233, 263, 295, 483, 484, 485, 501, 505, 506, 510, 520, 532, 539, 549, 555, 556, 557, 562, 563, 564, 575, 578, 588,
ინდოეთი, 98,
იტალია, 95, 97, 102, 108, 115, 134, 175, 193, 194, 197, 199, 210, 229, 231, 234, 235, 263, 328, 334, 478, 539, 557,

კ

კავკასია, 157, 234, 244, 294,
კამასლი, 128,
კარაკალი, 128,
კარანსი, 128,
კარდიფი, 100,
კახეთი, 4, 5, 38, 80, 116, 146, 147, 150, 151, 169, 241, 309, 504, 516,
კიდარბეგი, 129,
კოდორი, 104,
კონსტანტინოპოლი, 138,
კოჯორი, 308,
კურტანი, 128,

ლ

ლაგოდეხი, 129,
ლანკაშირი, 111,
ლატვია, 19, 230, 231, 325,
ლენქორანი, 322,
ლეჯანი, 128,
ლიუქსემბურგი (ლუქსემბურგი), 474, 477, 480, 532,

ლილო, 307,
ლიხი (ქედი),
ლიტვა, 230, 231,
ლეჯანახი, 128,
ლოზანა, 480,
ლონდონი, 12, 428, 202, 236, 321,
ლორი, 306, 308,
მათხოჯი, 254,
მალაი-კარაკლისი, 128,
მარტყობი (მარტყოფი), 307,
მახადირი, 596,
მერისი, 171
მონაკო, 104,
მოსკოვი, 197, 210, 519,
მცხეთა, 303

ნ
ნამახვეტი, 171,
ნატანები, 174, 191,
ნიკოლაევსკი, 128,
ნიუ-კემპშირი (ნიუ-გემპშირი), 547,
ნოვათარპორკლო, 128,
ნოვოალექსანდროვკა, 128,
ნორვეგია, 230, 463, 466,
ნორტმუნდი, 111,

ო
ოსმალეთი, 123, 171, 231, 235, 236, 295, 334,
ოზურგეთი, 504, 505,
ოჩემჩირე (ოჩამჩირე), 114,

პ
პარიჟი (პარიზი), , 11. 12, 19, 25, 138, 142, 202, 312, 480,
პეტერბურგი, (პეტროგრადი), 309, 311, 519,
პოლონეთი, 88, 198, 200, 210, 229, 229, 231, 317, 325,
პორტუგალია, 59, 469,
პრუსია, 142, 554, 559, 563,

რ
რომი, 51, 235, 296, 478, 486,
როსტოვი, 317,
რუმინია (რუმინეთი), 480, 563,
რუსეთი, xix, 46, 72, 84, 87, 88, 99, 100, 102,108, 138, 141, 164, 211, 229, 230, 231, 236, 247, 263, 304, 312, 315, 317, 320, 322, 324, 429, 446, 448, 449, 450, 452, 490, 503, 511, 512, 588,
რუსეთ-ციმბირი, 321,

ს
საბერძნეთი, 136, 229, 532, 563,
სადახლო, 292,
სამეგრელო, 46, 504, 505, 519,
საუხსულახი, 128,
სამურზაყანო, 104,
სამუსლიმანო (ოსმალეთის, სამაჰმადიანო) 27თელო), 352, 401, 425, 446,
სანაინი, 129,
სანდომინგო (სანტო-დომინგო)
სარჩაპატი, 128,
საუხსულახი, 128,
საფრანგეთი, xi, xii, xxii, 51, 59, 66, 73, 83, 97, 110, 127, 142, 152, 153, 193, 194, 197, 210, 229, 230, 231, 267, 310, 311, 326, 328, 334, 443, 444, 454, 457, 461, 462, 464, 469, 480, 504, 505, 539, 552, 553, 557, 558, 559, 562, 563, 567, 569, 577,
საქართველო, xi-xxiii, 10, 11, 12, 15, 20, 21, 24, 25, 26, 27, 44, 46, 51, 72, 73, 87, 91, 93, 94, 95, 96, 99, 101, 105, 112, 120, 121, 137, 138, 143, 157, 165, 166, 176, 177, 178, 179, 180, 185, 186, 193, 196, 197, 198, 199, 213, 221, 226, 227, 229, 230, 232, 233, 234,235, 236, 238, 239, 256, 257, 260, 262, 272, 276, 280, 281, 282, 284, 285, 288, 289, 292, 294, 296,297, 298, 300, 304. 306, 315, 319, 321, 325, 326, 328, 329, 330, 333, 338, 342, 347, 352, 355, 356, 357, 381, 382, 383, 384, 401, 425, 426, 438, 442, 444, 446, 447,

448, 449, 451, 452, 459, 462, 463, 464, 466, 467, 473,475, 476, 477, 478, 496, 496, 503, 505, 519, 520, 529, 532, 550, 569, 582, 583, 588, 593, 594, 595, 596,
საქსონია, 554, 557,
საჩხერე, 152,
სერბია, 322, 532,
სენაკი, 504,
სვანეთი, 519,
სიღნაღი, 247, 504,
სომხეთი, 16, 74, 79, 84, 123, 210, 231, 248, 284, 288, 289, 292, 295, 298, 300, 304, 305, 310, 320, 322,
სოხუმი, vii, 16, 129, 130, 152, 171, 175, 352, 401,
სოჭი, 16, 285, 299,
სპარსეთი, 98, 123, 230, 231,
სპარსეთ - თურქეთი, 321,
სტამბოლი, 11, 236,

ტ

ტიბრი 235,
ტფილისი (იხ. თბილისი).
ტყვარჩელი, 55, 80, 93, 94, 96, 100, 102, 104, 106-109, 111, 112, 115, 116, 117, 121, 134,
ტყვიბული, 116,

უ

უკრაინა, 10, 19,
უნგრეთი, 210, 557,
უნტერვალდენ (კანტონი შვეიცარიაში), 455, 490,
ური / ურიში (კანტონი შვეიცარიაში), 455, 490,
ურუტი, 128,

ფ

ფინეთი (ფინლიანდია), 230, 231,
ფოთი, 112, 114, 334,

ქ

ქართლი, 504,
ქიასხევი, 128,
ქიზიყი, 504,
ქუთაისი, viii, xxi, 254, 314, 318, 319, 326, 446, 504,
ქობულეთი, 334,

ღ

ღვანკითი, 310,

ყ

ყარაბახი, 322,
ყარაიაზი, 307,
ყარსი, 450,

შ

შაგალი, 128,
შვავილა (სოფ.), 128,
შვეცია, 557,
შვეიცარია, 11, 20, 21, 26, 27, 57, 59, 137, 455, 456, 457, 458, 461, 467, 470, 474, 477, 480, 490, 495, 505, 539, 550, 557, 558, 563, 564, 565, 566, 567,
შვეიცარულ - ფრანგული, 568,
შორაპანი, 504,
შრომა, 254,
შოტლანდია, 111, 485,
შიხანი, 129,
შულავერი, 16, 308, 309, 310, 311, 312,

ჩ

ჩაქვი, 130,
ჩერნოგორია, 322,
ჩეხოსლოვაკია, 230,
ჩინეთი, 220,

ცـ

ცედნი (სოფ), 128,
ციხე-ლორი, 128,
ცხინვალი, 104,

ჯ

ჯალალოღლი, 128, 132, 254,

ხ

ხაშური, 321,
ხვანჭკარა - ბუკეთი, 129,
ხონი, 138,

ჭ

ჭიათურა, 104,

ჰ

ჰალიზგა (მდინარე), 104,